ტომი VIII

საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომის შემდგომი აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში (1941 – 1975 წწ.)

შესავალი

§ 1. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია

საქართველოს ისტორიის ნარკვევების წინამდებარე ტომი ეძღვნება საბჭოთა ხანის საქართველოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდებს. ტომში გაშუქებულია საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი აღდგენა-განვითარებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითადი მოვლენები.

გერმანიის იმპერიალიზმის მიერ საბჭოთა ქვეყნისათვის თავსმოხვეული ომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ისტორიაში. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი მეორე მსოფლიო ომის განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომაც საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ამ ომში ღრმა კვალი გაავლო თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში.

მეორე მსოფლიო ომი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკის გაგრძელება იყო. ვ. ი. ლენინი არაერთგზის მიუთითებდა, რომ **“ომი არის მხოლოდ განგრძობა პოლიტიკისა სხვა”** (სახელდობრ ძალდატანებითი) “საშუალებებით” …სწორედ ასეთი იყო ყოველთვის თვალსაზრისი მარქსისა და ენგელსისა, რომლებიც **ყოველ** ომს უყურებდნენ როგორც მოცემულ, დაინტერესებულ სახელმწიფოთა – და მათ შიგნით **სხვადასხვა კლასთა** – პოლიტიკის განგრძობას მოცემულ დროს”[1].

მეორე მსოფლიო ომში გამოიხატა 30-იანი წლების კაპიტალისტური სამყაროს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი, წამყვანი იმპერიალისტური ქვეყნების მძაფრი დაპირისპირება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, კაპიტალისტური სისტემის განუყოფელი ბატონობის აღდგენისათვის. იმპერიალისტურ წინაამდეგობათა ნიადაგზე წარმოშობილი ეს ომი თავისი მასშტაბის, ადამიანთა მსხვერპლის, მატერიალურ ფასეულობათა განადგურებისა და უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკური შედეგების მიხედვით უმაგალითო იყო. თუ პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა 10 მილიონი კაცი, ორჯერ მეტი დასახიჩრდა, მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა 50 მილიონი, დაიჭრა და დასახიჩრდა რამდენიმე ათეული მილიონი, მათ შორის დაიღუპა 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი, ხოლო მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგმა პირდაპირი სამხედრო ხარჯებით 4 ტრილიონ დოლარს მიაღწია[2].

გერმანიის ფაშიზმს მსოფლიოს ხალხებზე გაბატონების ერთ-ერთ აუცილებელ და გადამწყვეტ პირობად მიაჩნდა საბჭოთა კავშირის მოსპობა. დასავლეთის სახელმწიფოთა მიუნხენის პოლიტიკა იმ ვარაუდს ემყარებოდა, რომ იმპერიალისტური წინააღმდეგობანი შეიძლებოდა დაძლეულიყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ფაშისტურ სახელმწიფოთა ომის საშუალებით. მათ "სურდათ დაწყებულიყო ომი კაპიტალისტურ სამყაროსა და იზოლირებულ საბჭოთა ქვეყანას შორის. მაგრამ ისე მოხდა, რომ ომი თვით კაპიტალისტურ სამყაროს შიგნით დაიწყო"[3].

იმპერიალისტური მსოფლიოს სამხედრო კონფლიქტების ცდების საპირისპიროდ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებდნენ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, აქტიურად ისწრაფოდნენ სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისაკენ, აყენებდნენ კოლექტიური უშიშროების დაცვის ღონისძიებებს. ამ პოლიტიკას საფუძვლად უდებდნენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს. სსრ კავშირის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით საბჭოთა კავშირმა 1939 წლის აგვისტოში გერმანიასთან დადებულ ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტით მიაღწია ომის დაწყების გადავადებას, მოიპოვა ორწლიანი მშვიდობა, რაც ესოდენ საჭირო იყო სოციალიზმის მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. საბჭოთა კავშირის ამ ნაბიჯმა შეუძლებელი გახადა კაპიტალისტური ქვეყნების ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა. ეს კი დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა გახდა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, როგორც ეს წინა ტომშია ნაჩვენები, განახორციელეს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში კაპიტალისტური ქვეყნების მიერ მიტაცებული დასავლეთ უკრაინის, დასავლეთ ბელორუსიისა და სხვა ტერიტორიების შემოერთების

ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა ქვეყნის დასავლეთის საზღვრების განმტკიცებას.

1939 წლის სექტემბერში პოლონეთზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ერთმანეთს შეეჯახა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების ორი დაჯგუფება. ეს ომი, ისევე როგორც პირველი მსოფლიო ომი, მისი მსვლელობის პირველ ეტაპზე თავისი ხასიათით იმპერიალისტური იყო, რადგან ომში ჩაბმულ ორივე მხარეს ამოძრავებდა იმპერიალისტური მიზნები - ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოებს, პირველ რიგში გერმანიას, მსოფლიოს გადანაწილება, ხოლო ინგლისს, საფრანგეთს – თავიანთი კოლონიური იმპერიების შენარჩუნება. ფაშისტურმა გერმანიამ 1940 წლის აპრილ-ივნისში მოახდინა დანიის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, ბელგიისა და საფრანგეთის, ხოლო 1941 წლის აპრილში იუგოსლავიის, ალბანეთისა და საბერძნეთის ოკუპაცია, რის შედეგადაც მეორე მსოფლიო ომმა ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხების მხრივ გამათავისუფლებელი ხასიათი მიიღო. სსრ კავშირის ჩაბმამ ომში 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის მოულოდნელი თავდასხმის შედეგად ძირეულად შეცვალა მეორე მსოფლიო ომის ხასიათი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებით დასრულდა მეორე მსოფლიო ომის გადაქცევა იმპერიალისტური ომიდან ანტიფაშისტურ, სამართლიან და განმათავისუფლებელ ომად ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ფაშისტური გერმანიის მესვეურთ უნარი არ აღმოაჩნდათ სწორად შეეფასებინათ სსრ კავშირის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, სოციალისტური სახელმწიფო წყობილების სიმტკიცე და საბჭოთა კავშირის ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ფაქტორები.

როგორც სოციალიზმის მშენებლობის წლებში, ასევე განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით. პარტიამ აამოძრავა და დარაზმა საბჭოთა ხალხი დიდი სამამულო ომისათვის.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს იმდროინდელი კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე ძლიერი, ჰიტლერული რაიხისა და მისი სატელიტების უზარმაზარი სამხედრო მანქანა, ჩაშალეს მსოფლიოზე გაბატონების ფაშისტური გეგმები. "საბჭოთა იარაღი მარადიული დიდებით შემოსა დამპყრობთა შემუსვრამ მოსკოვთან, ლენინგრადის დაცვამ, გმირი სტალინგრადის ეპოპეამ, კავკასიისათვის ბრძოლამ, კურსკ-ორიოლის რკალზე გრანდიოზულმა შერკინებამ, კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაციამ, ბერლინის ძლევამოსილმა შტურმმა და ბევრმა სხვა უდიდესმა ოპერაციამ, რომლებიც სამუდამოდ შევა ომების ისტორიაში" [4]

საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმმა თავი იჩინა სახალხო პარტიზანულ ომში, რომელიც მრისხანე ძალად გაიშალა მტრის მიერ ოკუპირებულ სსრ

კავშირის ტერიტორიაზე და ჰიტლერელთა მიერ დაპყრობილი ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში, რამაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურებაში.

ომის მძიმე წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო შეკავშირებულმა მრავალეროვანმა საბჭოთა ხალხებმა ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ნათლად ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი.

დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრონტისა და ზურგის ერთიანობას. საბჭოთა მეომრების პატრიოტიზმი და გმირობა, ასევე მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომა ზურგში ჰიტლერული გერმანიის განადგურების მთავარი ფაქტორი გახდა.

საბჭოთა კავშირის ძლევამოსილმა გამარჯვებამ ფაშიზმზე მსოფლიოს ხალხები იხსნა დამონებისაგან, ხოლო ცივილიზაცია მოსპობის საფრთხისაგან. სსრ კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების, კერძოდ, მილიტარისტული იაპონიის განადგურებაში. ეს მოწმობდა, რომ სოციალიზმი თანამდეროვე საზოგადოების ისტორიული განვითარების წამყვარი ძალა გახდა.

საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა რადიკალურად შეცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე, ნათლად ცხადყო სოციალზმის უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე და უჩვენა სოციალიზმის ისტორიული პერსპექტივა. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, “XX საუკუნის მანძილზე ჩვენი ქვეყანა ორჯერ იდგა მსოფლიოს უდიდეს ცვლილებათა სათავეებთან. ასე იყო 1917 წელს, როცა ოქტომბრის გამარჯვებამ ყველას აუწყა, რომ კაცობრიობამ დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა. ასე იყო 1945 წელს, როცა ფაშიზმის განადგურებამ, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა, წარმოშვა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების მძლავრი ტალღა, რომელიც მთელ პლანეტას მოედო, განამტკიცა მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში”[5].

საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ გერმანიის ფაშიზმზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ბედზე. ამიტომ დიდია ინტერესი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიისადმი, საერთოდ, და საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი, კერძოდ, ქართული ისტორიული მეცნიერების ძირითადი ამოცანაა დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა.

როგორც ცნობილია, დიდი სამამულო ომის პირველი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები ასეთია: 1941 წლის 22 ივნისი – 1942 წლის ნოემბერი. ეს იყო მეტად ძნელი პერიოდი საბჭოთა ქვეყნისათვის, როდესაც წითელი არმიის იძულებითი უკანდახევის შედეგად მტერმა შეძლო საბჭოთა კავშირის სიღრმეში შეღწევა. მაგრამ მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა განლაგების განადგურების შედეგად შეჩერებულ იქნა მათი ჯარების წინსვლა

აღმოსავლეთით, ჩაიფუშა "ელვისებური ომის" გეგმა, მომზადდა საბჭოთა კავშირის ხელში ინიციატივის გადასვლის წანამძღვრები. ამ პერიოდში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი სამხედრო გამოცდილება დააგროვეს; შეიქმნა ანტიფაშისტური კოალიცია.

სამამულო ომის მეორე პერიოდი (1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის ბოლომდე) ძირეული გარდატეხა იყო სამამულო ომის მსვლელობაში. ფაშისტურმა არმიამ კატასტროფული მარცხი განიცადა სტალინგრადთან და კურსკის რკალზე. ეს ეტაპი შემობრუნების პუნქტი გახდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაშიც.

დიდი სამამულო ომის უკანასკნელი პერიოდია 1944 – 1945 წლის 9 მაისი. ამ პერიოდის მთავარი მოვლენა იყო გერმანელ ოკუპანტთა განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან, მოკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნა, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხების განთავისუფლება ფაშისტური ოკუპაციისაგან და ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურება. ამით დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილი იყო საბჭოთა კავშირ-იაპონიის სამხედრო ოპერაციები შორეულ აღმოსავლეში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მოქმედებასთან ერთად წყნარი ოკეანის აუზში. მსოფლიო ომი დამთავრდა მილიტარისტული იაპონიის კაპიტულაციით შორეულ აღმოსავლეთში, ანტიფაშისტური კოალიციის სახელმწიფოთა გამარჯვებით[6].

სამამულო ომის ყოველი პერიოდი ხასიათდებოდა ზურგის მშრომელთა პატრიოტიზმის აღმავლობით. ომის მსვლელობის კვალობაზე იზრდებოდა ფრონტისადმი დახმარება, იცვლებოდა და ვითარდებოდა საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი სახალხო მეურნეობა.

ტომის ავტორებმა ფაქტობრივი მასალებისა და ისტორიული მოვლენების უკეთ წარმოსაჩენად საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდის საქართველოს ისტორიის გაშუქებისას მიზანშეწონილად არ ჩათვალეს გამოეყოთ ომის მეორე და მესამე პერიოდები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, როგორც ზურგის რეგიონის, სახალხო მეურნეობის განვითარებაში არ შეიმჩნეოდა მკვეთრი ზღვარი ამ ეტაპებს შორის. ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ამგვარი გადმოცემის თანამიმდევრობამ და მეცნიერულმა ანალიზმა მკითხველს უნდა გაუადვილოს ტომის ამ ნაწილში მოცემული მასალის ათვისება.

საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ომის პირველი დღეებიდანვე დაიწყო სამხედრო ვალდებულთა გაწვევა საბჭოთა არმიაში. ფრონტზე წასულთა შორის ბევრი მოხალისე იყო. იქმნებოდა სახალხო ლაშქარი. რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში მოქმედებდნენ გამანადგურებელი ბატალიონები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა 25 ათასზე მეტი კაცი. ამ ბატალიონებმა დიდი როლი შეასრულეს დივერსანტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ზოგჯერ მონაწილეობდნენ კავკასიის უღელტეხილების დაცვის საბრძოლო ოპერაციებშიც. დიდი

სამამულო ომის განმავლობაში საქართველოდან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში გაწვეულ იქნა 700 ათასზე მეტი მებრძოლი, მათგან 52,6 ათასი კომუნისტი, ანუ საქართველოს კომუნისტური პარტიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი, 160 ათასი კომკავშირელი.

ავტორები შეეცადნენ შეძლებისდაგვარად წარმოეჩინათ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საქართველოს წარგზავნილთა საბრძოლო გმირობა, გაეშუქებინათ ქართველ მეომართა მონაწილეობა სამამულო ომის უმნიშვნელოვანეს ოპერაციებში. ქართველმა მეომრებმა და მხედართუფროსებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მტერთან პირველ შეტაკებებში, მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვაში და სამამულო ომის სხვა დიდმნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებში. 1942 წელს ფორმირებულმა ქართულმა ეროვნულმა დივიზიებმა თავი გამოიჩინეს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში. ქართველი მეომრები მონაწილეობდნენ ფაშისტური გერმანიის ჯარებისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის განთავისუფლებასა და მტრის საბოლოო განადგურებაში, საბჭოთა მიწა-წყალზე გაშლილ პარტიზანულ ბრძოლებსა და ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ტომში ასახულია საქართველოს მშრომელთა წვლილი საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ომმა საქართველოს სახალხო მეურნეობის წინაშე საომარ ყაიდაზე გარდაქმნის რთული ამოცანები დააყენა. მრეწველობის დარგში უნდა განხორციელებულიყო საქართველოში მანამდე არარსებულ სამხედრო საწარმოთა მშენებლობა. აუცილებელი იყო ევაკუირებულ საწარმოთა სწრაფი ამუშავება და სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა თავდაცვითი პროდუქციის წარმოებაზე.

დიდი სამამულო ომის პირველ წლებში მტრის მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის შედეგად საბჭოთა ქვეყანამ დაკარგა მძლავრი ინდუსტრიული რაიონები, იქ თავმოყრილი იყო ქვანახშირის მოპოვების ნახევარზე მეტი, მეტალურგიულ საწარმოთა დიდი ნაწილი, უკრაინისა და ყუბანის უმნიშვნელოვანესი სასურსათო ბაზა, დაირღვა რაიონთაშორისო და დარგთაშორისო სამეურნეო კავშირი, საწარმოთა კოოპერირება და დარგობრივი პროპორციები, გაძნელდა საქართველოს მრეწველობის საწარმოთა თანამშრომლობა რსფსრ და სხვა მოძმე რესპუბლიკების საწარმოებთან. მაგრამ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში შეძენილმა გამოცდილებამ რესპუბლიკის მრეწველობას შესაძლებლობა მისცა შეენარჩუნებინა წარმოების მაღალი დონე. საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონებიდან სხვადასხვა სამრეწველო ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების შემოზიდვის შემცირება-შეწყვეტის მიუხედავად, ადგილობრივ ნედლეულზე სამრეწველო საწარმოთა გადასვლისა და შემცვლელ სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების წარმოების ორგანიზაციის გზით, საქართველოს მრეწველობა შეუფერხებლად მუშაობდა და ახალი ასორტიმენტის პროდუქციას აწარმოებდა ფრონტისა და ზურგისათვის. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა კარგად გაართვეს თავი

საომარი საჭურვლისა და იარაღის წარმოებას. განსაკუთრებით დიდი შედეგები იქნა მოპოვებული მეტალურგიული მანგანუმის წარმოების განვითარებაში. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში პირველად საბჭოთა კავშირში მიიღეს მეტალური მანგანუმი ელექტროთერმიული წესით, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საჯავშნე ფოლადის წარმოებისათვის.

სახალხო მეურნეობის სათბობით მომარაგების უზრუნველსაყოფად გაიზარდა ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოება. დიდი ცვლილებები განიცადეს ავტოშემკეთებელმა საწარმოებმა, ქიმიურმა, მანქანათმშენებელმა და მსუბუქი მრეწველობის დარგებმა. რესპუბლიკის მრეწველობაში წამყვანი ადგილი ეჭირა წარმოების საშუალებათა წარმოებას, საქართველოს მრეწველობა ფრონტს ამარაგებდა იარაღითა და საბრძოლო მასალებით, სურსათითა და ტანსაცმლით.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1943 წლის მეორე ნახევრიდან მტრის ოკუპაციისაგან განთავისუფლებული უკრაინისა და სხვა რაიონების სახალხო მეურნეობის აღდგენით სამუშაოებში.

სსრ კავშირის ზურგის რაიონებში, მათ შორის საქართველოში, არ შეწყვეტილა კაპიტალური მშენებლობა. ომის პერიოდში საქართველოს მანქანათმშენებლობას შეემატა 16 ახალი საწარმო. ამუშავდა მძლავრი საავიაციო ქარხანა თბილისში, ქვანახშირის ახალი შახტები. 1944 წელს რუსთავში დაიწყო ქართული მეტალურგიის გიგანტის – ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, განახლდა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დასრულდა შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა, რომელსაც სამხედრო სტრატეგიული, ხოლო შემდგომ დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. დაბების – აკარმარასა და კვეზანის ბაზაზე 1942 წლის აპრილში შეიქმნა ქალაქი ტყვარჩელი. ქვეყნის თავდაცვის საწარმოთა საჭიროებისათვის გაფართოვდა საქართველოში იშვიათ ლითონთა მთელი რიგი საბადოების დაზვერვა-მოპოვება და სამრეწველო ექსპლოატაცია.

ძნელ პირობებში მოუხდათ მუშაობა საქართველოს ტრანსპორტის მუშაკებს. ომის პირობების შესაბამისად შეიცვალა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ხასიათი და მოცულობა. ტრანსპორტის მუშაკებმა წარმატებით გაართვეს თავი მტრისაგან დროებით ოკუპირებული რაიონების საწარმოო-დაწესებულებათა ევაკუაციას, საბჭოთა ჯარების ნაწილების დესანტის გადასხმას შავი ზღვის სანაპირო პუნქტებში, ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტის მომარაგებას იარაღითა და ცოცხალი ძალით. ისინი ხშირად საბრძოლო ოპერაციებშიც მონაწილეობდნენ.

საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მიერ ომიანობის პირობებით გამოწვეული რთული ამოცანების გადაჭრაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის

შრომითი და პოლიტიკური აქტივობის აღმავლობამ. შრომის სოციალისტური ფორმები 1941 – 1945 წლებში საქართველოს მრეწველობასა და ტრანსპორტზე, რომელიც ძირითადად ანალოგიური იყო მთლიანად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის შრომითი აქტივობის ფორმებისა, თვისებრივად განსხვავდებოდნენ ომამდელი ფორმების ხასიათისაგან. ეს განაპირობა ამოცანების სიახლემ და მუშათა კლასის კვალიფიციური შემადგენლობის განსხვავებულობამ. სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მუშათა კლასის შრომითი აქტივობის მთავარი ფორმები იყო ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადების ორგანიზაცია და მათი შეჯიბრება ფრონტული ბრიგადის წოდებისათვის, ორასოვანთა მოძრაობა, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობაში და ლენინური მოძრაობა ტრანსპორტზე. მუშათა კლასის პატრიოტიზმზე მეტყველებს ნოვატორთა რიცხვის ზრდა რესპუბლიკის მრეწველობაში. 1941 წლის მიწურულისათვის მანქანათმშენებელ მრეწველობაში ნოვატორები შეადგენდნენ 40,5 პროცენტს, ხოლო 1942 წლის ბოლოს – 48,3 პროცენტს, მრეწველობის ზოგიერთ დარგში ნოვატორები ბევრად მეტი იყვნენ.

სამამულო ომმა უაღრესად დიდი მნიშვნელობის ამოცანები დააყენა საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე. საბჭოთა ქვეყნის ზურგის რაიონების სოფლის მეურნეობას ნაწილობრივ მაინც უნდა შეევსო მტრის მიერ სასოფლო-სამეურნეო რაიონების ოკუპაციით გამოწვეული დიდი დანაკლისი. სოფლის მეურნეობა დიდ სიძნელეებს განიცდიდა. მაგალითად, შრომისუნარიანი მოსახლეობის ფრონტზე წასვლის შედეგად შემცირდა შრომითი რესურსები, შემცირდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ თავდადებული შრომით მიაღწია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის, პირველ რიგში მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობისა და საერთო მოსავლის გადიდებას. გატარდა ღონისძიებანი მრავალწლიანი კულტურების ფართობების შენარჩუნებისა და მათი მოსავლიანობის გასადიდებლად.

ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა მეცხოველეობა. და მაინც საქართველო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო დავალებებს. დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს სულ 115 მლნ ფუთამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული.

ტომში ნაჩვენებია საქართველოს კოლმეურნე გლეხობის აქტიური მონაწილეობა და წარმატებანი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სოფლის მშრომელთა პატრიოტიზმი არმიისა და ფლოტის შესაიარაღებლად დიდი რაოდენობის ფულადი სახსრების შეგროვებაში. სამამულო ომის წლებში საქართველოს მშრომელთა სხვადასხვა ნებაყოფლობითმა შენატანებმა ომის საჭიროებისათვის და მათ მიერ შემენილმა სესხის ობლიგაციების,

ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების ღირებულებამ შეადგინა 3173 მლნ მან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დიდი როლი შეასრულეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, პოლიტგანყოფილებათა დროებით აღდგენამ.

ტომის ავტორები შეეცადნენ წარმოეჩინათ საქართველოს მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარების ძირითადი ტენდენცია სამამულო ომის პერიოდში, გაეანალიზებინათ ზოგიერთი ნაკლოვანების მიზეზი და ეჩვენებინათ მათი დაძლევისათვის გაწეული მუშაობა.

სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნამ და შრომითი რესურსების მნიშვნელოვანმა შემცირებამ აუცილებელი გახადეს ფართო ღონისძიებათა განხორციელება კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა კადრების მომზადების, სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე მოსული ათასობით ქალისა და ახალგაზრდობის პროფესიულ სწავლებისა და პოლიტიკური აღზრდისათვის. ფრონტისათვის უდიდესი მატერიალური რესურსების მოხმარებასთან ერთად კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენდნენ მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების უზრუნველყოფისადმი. გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. ომის წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 207 ათასი კვ მ საცხოვრებელი ფართობი. 1941 – 1945 წლებში საქართველოში მშრომელთა სოციალურ-კულტურულ მომსახურებაზე დაიხარჯა თითქმის 4 მლრდ მანეთი, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვაზე - 1 249 მლნ მან, სოციალურ უზრუნველყოფაზე – 400 მლნ მან.

დიდი სამამულო ომის სამსახურში ჩადგა ქართული მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. სამამულო ომის წლებში გაიზარდა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი. ამას მოწმობს მშრომელთა ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ. პარტიაში შედიოდნენ წარმოების მოწინავენი, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. ომის პერიოდში, კერძოდ, 1941 – 1945 წლის ივლისამდე, პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა 44 159 მოწინავე მშრომელი. დიდ სამამულო ომში საქართველოს მშრომელთა წვლილის მაჩვენებელია ისიც, რომ მედალი "შრომითი მამაცობისათვის 1941 – 1945 წლების დიდ სამამულო ომში" გადაეცა 333 344 კაცს.

ტომში შეძლებისდაგვარად სრულადაა წარმოჩენილი საქართველოს მშრომელთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ამ მონაწილეობის შესახებ ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: "ქართველი ხალხის ათიათასობით მამაცმა შვილმა თავისი სახელი შემოსა დიდების შარავანდედით...

მხედრული გმირობის შესაფერი იყო იმათი შრომითი გმირობაც, ვინც ზურგში მუშაობდა. საქართველო ფრონტს აძლევდა თვითმფრინავებს,

ავტომატურ იარაღსა და სხვა სახეობის შეიარაღებას, ტყვია-წამალს, ტანსაცმელსა და სურსათს. ჰოსპიტლებად გადაკეთებულმა საქართველოს საავადმყოფოებმა და ჯანმრთელობის კერებმა ასეულ ათასობით დაჭრილს შეუწყეს ხელი კვლავ დაბრუნებულიყვნენ ფრონტზე. გულითადი ზრუნვით ეკიდებოდა ქართველი ხალხი სხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებულთ. აქ ერთხელ კიდევ იჩინა თავი ხალხთა ლენინურმა მეგობრობამ – საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის ურყევმა საფუძველმა”[7].

საქართველომ, როგორც ერთ-ერთმა მოკავშირე რესპუბლიკამ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამამულო ომში. ქართული ისტორიოგრაფიის ამოცანა სწორედ ის არის, რომ მეცნიერულად გააშუქოს და გააანალიზოს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის საბრძოლო და შრომითი გმირობა.

წყაროები. დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიისათვის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად პირველი ნაბიჯები ომის წლებშივე გადაიდგა. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 16 თებერვლის დადგენილებით საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში ჩამოყალიბდა “საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიისათვის მასალებისა და დოკუმენტების შეგროვების სექცია”. ახლად დაარსებულ უჯრედს ევალებოდა აგრეთვე სამამულო ომის ცალკეული საკითხების შესწავლა და მისი შედეგების გამოქვეყნება. 1944 წლის დეკემბერში სექცია გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს და სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია ეწოდა. ამ კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აკად. გ. ხაჭაპურიძე (ხელმძღვანელი), ს. ჯანაშია, კ. თარგამაძე, ბ. ნანიტაშვილი, ა. იოსელიანი, ნ. ჭეიშვილი, ი. ტაბაღუა, მ. ქოჩიაშვილი და სხვები, ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწია, შეადგინა ქართულ და რუსულ პრესაში ქართველი მეომრების საბრძოლო საქმეების შესახებ გამოქვეყნებული მასალების ბიბლიოგრაფია, შეაგროვა ქართული საფრონტო გაზეთები, შექმნა არქივი (თუმცა მას ნამდვილი არქივის სახე არ ჰქონია, რადგან არქეოგრაფიულად დამუშავებული არ ყოფილა). შეკრებილი მასალები 1950 წლის იანვარში მიიღო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა[8] იმასთან დაკავშირებით, რომ მას გადაეცა სამამულო ომის კომისია, რომელიც საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებად ჩამოყალიბდა. ამ დროიდან მიეცა დასაბამი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი სამამულო ომის ისტორიის შესწავლის მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებას, რადგან უკვე არსებობდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა სამამულო ომის გმირული ეპოპეის ცალკეული საკითხების მეცნიერული შესწავლსათვის.

უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საინტერესო გამოცემის შესახებ, რომელიც განხორციელდა დიდი სამამულო ომის წლებში. ეს იყო სამ ნაკვეთად დასტამბული ბიბლიოგრაფიული საძიებელი “ქართველი მეომრები საბჭოთა

კავშირის დიდ სამამულო ომში". ერთ წიგნად დაბეჭდილი პირველი და მეორე ნაკვეთები მოიცავენ 1941 – 1943 წლებში ქართველი მეომრების საბრძოლო გმირობის თაობაზე ქართულ, რუსულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს. მებრძოლთა გვარები დალაგებულია ანბანური რიგით, ბიბლიოგრაფიული მასალა თითოეული მებრძოლის შესახებ – ქრონოლოგიურად, ხოლო ცნობები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ – გამოქვეყნების თარიღის მიხედვით. აღნიშნულ ორ ნაკვეთში მოცემულია საძიებელი 7 ათასი მებრძოლის, ხოლო მესამე ნაკვეთი (1944 – 1945 წლებში გამოქვეყნებული მასალები) შეიცავს ცნობებს 4 316 მებრძოლის შესახებ. ორივე წიგნს დართული აქვს საძიებლები. ამ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს, რომელთა შემდგენლებმა, საქართველოს წიგნის პალატის თანამშრომლებმა, დიდი მუშაობა გასწიეს, ფართოდ გამოეხმაურა ქართველი საზოგადოებრიობა. გათვალისწინებული იყო ამ გამოცემის გაგრძელება, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ განხორციელდა.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართულ ენაზე გამოქვეყნდა მასალებისა და დოკუმენტების რამდენიმე კრებული[9]. თუმცა დასახელებული პუბლიკაციები გაკვრით ეხებოდნენ საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობას პარტიზანულ მოძრაობაში როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მათ, როგორც პირველწყაროების გამოქვეყნებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

როგორც აღინიშნა, გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების გმირული საბრძოლო შემართების შესახებ ომის მსვლელობაშივე იქმნებოდა დოკუმენტური წყაროები. სამამულო ომის ფრონტებზე საქართველოს არაერთმა წარგზავნილმა ისახელა თავი. მათზე იწერებოდა ნარკვევები და წერილები. 1942 წელს დაიბეჭდა ნარკვევები საბჭოთა კავშირის გმირების ნ. ადამიას, მ. გახოკიასა და ა. გეგეშიძის შესახებ. ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა ნარკვევი გენერალ კ. ლესელიძეზე და სხვ. გამოდიოდა წიგნების სერია "სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი". პირველი სამი წიგნი გამოიცა 1942 წელს, მეოთხე წიგნი – 1943 წელს, ხოლო მეხუთე და მეექვსე – 1944 წელს. ეს არის ნარკვევების, საგაზეთო სტატიებისა და სხვა მასალების კრებულები. ომის დამთავრების შემდეგ 1946 – 1947 წლებში რუსულ ენაზე დაიბეჭდა წიგნების სერია "ჩვენი გმირები", რომელიც ზემოხსენებული ქართული გამოცემის ტიპისაა. სამამულო ომის ფრონტებზე ქართველი მებრძოლების გმირობისა და საერთოდ ომში საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობის ამსახველი დიდძალი მასალა შეაგროვა ზემოხსენებულმა კომისიამ, რომლის მიერ შედგენილი არქივი 50-იან წლებში სამამულო ომის ქართული წყაროთმცოდნეობის ძირითადი ბაზა იყო. ამ წყაროებზე დაყრდნობით დაიწერა პირველი ნაშრომები, მათ შორის ნ. ჭეიშვილის "მასალები ქართველი მეომრების მონაწილეობისა ბერლინის აღებისათვის

ბრძოლაში”, რომელიც 1951 წელს დაიბეჭდა. ეს წიგნი თავისთავად წყაროთმცოდნეობითი ხასიათის პუბლიკაციაა.

სამამულო ომის ცალკეული საკითხების სრულყოფილი გაშუქებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მემუარულ ლიტერატურას[10], რადგან ამ თავისებური წყაროს გამოყენება და ამის საფუძველზე ამა თუ იმ მასალისა, თუ ცნობის შეჯერება ფაქტებისა და მოვლენების ჯაჭვში ზოგიერთი წყვეტილი რგოლის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

არაერთი მებრძოლის გმირობის ამბავი მოითხოვს გამომზეურებას. ამ საქმეში ისტორიულ მეცნიერებას ფრიად სასარგებლო სამსახური შეიძლება გაუწიოს პუბლიცისტურმა და სხვა ჟანრის ლიტერატურამ, რომელიც უკანასკნელ წლებში ძლიერ მოზღვავდა, რაც მისასალმებელია. ეს პირველ ყოვლისა შეეხება ომის მონაწილე მხედართუფროსების, ოფიცრებისა და მებრძოლების მოგონებებს. მათ შორის აღსანიშნავია თადარიგის გენერალ-მაიორის გ. ყურაშვილის ნაშრომები “სამშობლოს ერთგული შვილები” (1965) და “თერგიდან სევასტოპოლამდე” (1968). ეს ნაშრომი ასახავს 414-ე ანაპის წითელდროშოვანი დივიზიის საბრძოლო გზას. ამავე დივიზიის საბრძოლო გზას აშუქებს პოლკოვნიკ ვ. ჯანჯღავას წიგნი “414-ე წითელდროშოვანი” (1968), რომელშიც ავტორმა გამოიყენა პირადი ჩანაწერები, დივიზიის მებრძოლთა მოგონებანი, აგრეთვე საარქივო მასალები. აღსანიშნავია მისივე ნაშრომი “ქერჩის პლაცდარმზე” (1973). უნდა მოვიხსენიოთ თადარიგის გენერალ-მაიორის ნ. კალაძის წიგნები: “ბერლინის ოპერაცია” (1967), “სტალინგრადი, კურსკი, ბერლინი” და “უდრეკი კავკასიონი” (1973); თადარიგის გენერალ-მაიორის ნ. თავართქილაძის ნაშრომები: “ქართველი მეომრები სტალინგრადის დაცვისათვის ბრძოლაში” (1972) და “იყო ასეთი დღეები” (1968); ვ. ძაბახიძის “ცეცხლოვანი ფურცლები” (1966); ე. კობერიძის “მეთხუთმეტე გვარდიული ქართული ბატალიონის შესახებ” (1968); ბრესტის ბრძოლების მონაწილის ა. კალანდაძის “დღეები ბრესტის ციხეში” (1968); მარუხის ბრძოლების მონაწილის შ. თელიას მოგონებები “საქართველოს კარიბჭესთან” (1969); ქართველ პარტიზანთა ცნობილი მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის დ. ბაქრაძის დოკუმენტური ნარკვევები: “გმირთა სისხლით” (1961), “ძველ გზებსა და ბილიკებზე” (1965), “კარპატების რეიდი” (1968); საბჭოთა კავშირის გმირის ო. ჩეჩელაშვილის “ფოლადის ფრთებზე (მფრინავის ჩანაწერები)” (1965) და სხვ.

დიდი სამამულო ომის წლებში შეიქმნა მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელსაც ერთგვარად პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. ამ ხასიათის მასალების შეკრება-შესწავლა საინტერესოა არა მარტო ისტორიული კვლევა-ძიების, არამედ სხვადასხვა მეცნიერული ასპექტით განზოგადების თვალსაზრისითაც.

დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის საკითხების გაშუქებისას ავტორები ეყრდნობოდნენ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურას, პირველ რიგში საბჭოთა

კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის ექვსტომეულს, უცხოურ ლიტერატურას, რომლებშიც ნაჩვენებია საბჭოთა მეომრების მონაწილეობა ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში.

მაგრამ დიდ სამამულო ომში საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობის გასაშუქებლად ძირითადი წყაროა საარქივო მასალები. დიდ სამამულო ომში მრავალეროვანი საბჭოთა ხალხების მონაწილეობის შესახებ მდიდარი მასალებია დაცული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივსაცავში, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივში (პოდოლსკი). წინამდებარე ტომის ავტორებმა ფართოდ ისარგებლეს აღნიშნული არქივის მასალებით. ამ არქივში დაცულია ქართული ეროვნული დივიზიების საარქივო ფონდებიც.

ახალი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ საქართველოში დაბადებულ და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიერ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში გაწვეულ მებრძოლთა შორის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა არა 138 მებრძოლს, როგორც ეს დღემდე იყო ცნობილი საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში, არამედ 156 მეომარს. დიდ სამამულო ომამდე - ფინეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო კონფლიქტის, ხასანის ტბისა და ხალხინ-გოლის რაიონებში და ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილეთა შორის საქართველოს 8 წარგზავნილს მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ამრიგად, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება საქართველოში მინიჭებული აქვს 164 კაცს[11].

ტომში გამოყენებულია აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური სამხედრო-საზღვაო არქივისა და ნაწილობრივ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალები.

საქართველოს მშრომელთა თავდადებული შრომის შესახებ დიდი სამამულო ომის პერიოდში მდიდარი მასალაა დაცული სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში, სადაც თავმოყრილია აგრეთვე დოკუმენტები და მასალები ომის წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი მასალები, მტრის მიერ ოკუპირებული რაიონებიდან ევაკუირებულ საწარმოთა მიღება-განლაგების, თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობისა და საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების ფორმირების შესახებ. საარქივო მასალები შეიცავენ ცნობებს წითელი არმიის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლისა და საჩუქრების შეგროვების, ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების, სახსრების შეგროვების შესახებ სატანკო კოლონებისა და საბრძოლო თვითმფრინავების მშენებლობისათვის, სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის, ამიერკავკასიის ფრონტისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის ნაწილების სურსათით მომარაგების შესახებ და სხვ. პარტიული არქივის მასალებზე დაყრდნობით ტომის ავტორებმა

გააშუქეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი ფრონტის დასახმარებლად ზურგის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში. სამწუხაროდ, პარტიული არქივის მასალები შეიცავენ მცირე ცნობებს პარტიზანულ და წინააღმდეგობის მოძრაობაში საბჭოთა მებრძოლების, მათ შორის ქართველ მეომართა, მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე საინტერესო მასალებს იძლევა საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დიდი სამამულო ომის ფონდი.

ტომის ავტორებმა ისარგებლეს ზოგიერთი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის პარტიული არქივებისა და საქართველოს რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისარიატების საარქივო მასალებით.

დიდი სამამულო ომის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა პარტიული და საბჭოთა პრესა. ომიანობის პერიოდში ძლიერ გაიზარდა პრესის როლი, რადგან უდიდესი ყურადღება მიენიჭა სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა მებრძოლების გმირობისა და ზურგის მშრომელთა პატრიოტიზმის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობას და საბჭოთა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მშრომელთა მობილიზაციასა და დარაზმვას.

განსაკუთრებით დიდია ეგრეთ წოდებული საფრონტო პრესის, როგორც ერთ-ერთი პირველხარისხოვანი დოკუმენტური წყაროს, მნიშვნელობა დიდი სამამულო ომის ისტორიისათვის. ფრონტული პრესა დიდ პარტიულ-პოლიტიკურ, აღმზრდელობით და ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა არმიის მებრძოლთა შორის. მისი უპირველესი ამოცანა იყო საბჭოთა მეომრების მხედრული გმირობის პოპულარიზაცია. იგი ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფრონტისა და ზურგის კავშირის განმტკიცების საქმეშიც.

ქართული საფრონტო პრესა შეადგინეს ძირითადად ქართული ეროვნული დივიზიების გაზეთებმა, რომლებიც ამ სამხედრო შენაერთების საბრძოლო გზის მემატიანეებს წარმოადგენენ. ყოველ დივიზიას თავისი გაზეთი ჰქონდა. მაგალითად, 224-ე ქართული დივიზია უშვებდა გაზეთს "ქართველი მსროლელი", 242-ე დივიზია – "სამშობლოსათვის", 414-ე მსროლელი დივიზია "სამშობლოს დამცველს", 296-ე დივიზია – "სტალინელს", 406-ე დივიზია – "სამშობლოსათვის", 392-ე მსროლელი დივიზია – "წინ გამარჯვებისაკენ", 349-ე დივიზია – "სამშობლოს სადარაჯოზე", 276-ე დივიზია – "გამარჯვებისათვის"[12]. ამას გარდა, მოქმედ არმიაში გამოდიოდა გაზეთები სხვადასხვა ეროვნების მებრძოლთათვის. აზერბაიჯანულ, ქართულ, სომხურ, უზბეკურ და სხვა ენებზე დაბეჭდილი გაზეთები უმთავრესად რუსულ ენაზე გამომავალი გაზეთების თარგმანებია. სათაურებიც რუსული გაზეთის ანალოგიით ეძლეოდათ[3]. ყირიმის ფრონტზე რუსული გაზეთების შესატყვისად ქართულ ენაზე გამოდიოდა "მედგარი შეტევა", ხოლო შემდგომ

“ყირიმის საბრძოლო”, სხვა ფრონტებზე – “სუვოროველი”, “სამშობლოს ღირსებისათვის”, “წინ სამშობლოსათვის”, “მტრის გასანადგურებლად” და სხვ.

ქართული საფრონტო პრესა მნიშვნელოვნად ავსებს რესპუბლიკური პრესისა და სხვა წყაროებში დამოწმებულ ფაქტობრივ მასალებს სამამულო ომის ფრონტებზე ქართველ მეომართა გმირობის შესახებ, იძლევა ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის აღდგენა-დაზუსტების შესაძლებლობას. საფრონტო გაზეთების ფურცლებზე აისახებოდა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, საბჭოთა ხალხების შვილების მხარდამხარ ქართველ მეომართა საბრძოლო გმირობა, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომა, პარტიისადმი, კომუნიზმის იდეებისადმი საბჭოთა ადამიანების ერთგულება. საფრონტო პრესა დიდ როლს ასრულებდა საბჭოთა მეომრების მაღალი საბრძოლო და მორალური თვისებების, მტრის სიძულვილისა და სამშობლოსადმი თავდადების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ფრონტული გაზეთების ფურცლებზე ქვეყნდებოდა მოწოდებანი, მებრძოლთა წერილები ზურგის მშრომელებისადმი და მშრომელთა წერილები მებრძოლებისადმი, მასალები პარტიზანული მოძრაობის შესახებ სსრ კავშირისა და ასევე ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე. საფრონტო პრესაში მოღვაწეობდნენ ქართული სიტყვის ოსტატები და ახალგაზრდა დამწყები პოეტები. სამამულო ომის წლებში ქართულ საფრონტო გაზეთებში გამოქვეყნებულმა ლექსებმა შეადგინეს ქართული პოეზიის განვითარების ერთ-ერთი ფრიად საინტერესო ნაკადი.

სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიისათვის, კერძოდ კი ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველი მეომრების მონაწილეობის ისტორიისათვის წყაროს მნიშვნელობას იძენს უცხოეთში გამოცემული ისტორიული ლიტერატურა. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ პიეტრო სეკიას და ჩინო მოსკატელის წიგნი “მონტე როზა ჩავიდა მილანში”, რომელიც 1961 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე[4]. ამ წიგნში დამოწმებულია იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ქართველი მეომრების, პარტიზანული რაზმების მონაწილეობა იტალიის ათობით ქალაქის განთავისუფლებაში. ქართველი პარტიზანების – იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს იტალიურიდან რუსულ ენაზე თარგმნილი მაურო გალენის წიგნი[5].

1973 წელს პოლონურ ენაზე დაიბეჭდა ავტორთა კოლექტივის ნაშრომი[6], რომელშიც დახასიათებულია ვარშავის გარეუბან პრავაპოდმეისკაში მოქმედი პარტიზანული რაზმის, მათ შორის ქართული პარტიზანული რაზმის, საბრძოლო საქმიანობა.

სამამულო ომის ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტებისა და მასალების მეცნიერულ პუბლიკაციას. გამოქვეყნდა დოკუმენტებისა და მასალების მხოლოდ ორიოდე კრებული[7].

დიდ სამამულო ომში საქართველოს მშრომელთა მონაწილეობის შესახებ სადღეისოდ არსებობს ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა, მაგრამ იგი კვლავ საჭიროებს ახალი მასალებით შევსებას. ეს მასალები გაბნეულია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივსაცავში. ფრიად საინტერესო ფაქტობრივ მასალებს შეიცავს პრესაც. საჭიროა სამამულო ომის ვეტერანთა მოგონებებისა და სხვა ხასიათის მასალების შეკრება.

ისტორიოგრაფია. დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი სამამულო ომის მთელ საბჭოურ ისტორიოგრაფიასთან, რადგან მან ძირითადად ანალოგიური გზა განვლო. რაც დრო მიდის, უფრო იზრდება ინტერესი სამამულო ომში ამა თუ იმ ხალხის მონაწილეობისადმი, რომლის შესწავლისას თავს იჩენს ამ მონაწილეობის რაც შეიძლება სრულყოფილი წარმოჩენის ტენდენცია, კვლევა-ძიების ეს მთავარი ხაზი განსაზღვრავს სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის მიზანდასახულობას[8].

დიდი სამამულო ომის წლებში იბეჭდებოდა მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევები და სხვა სახის ლიტერატურა, რომელიც ისტორიული მეცნიერების პატრიოტული ხასიათის გამო პირდაპირ ეხმაურებოდა სამამულო ომის ისტორიის პრობლემატიკას. მხედველობაში გვაქვს ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1941 -1943 წლებში შემოღებული სამეცნიერო-პოპულარული სერია “ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ”. ამ სერიით დაბეჭდილი ბროშურები ასახავდნენ სხვადასხვა ჯურის მტრებთან ქართველთა გმირული ბრძოლის ეპიზოდებს[9]. ხატოვნად დაწერილმა ამ მცირე მოცულობის ნარკვევებმა იმხანად მებრძოლი პუბლიცისტიკის უაღრესად საპატიო და პატრიოტული მისიაც შეასრულეს. თემატურად ეს პუბლიკაციები დიდი სამამულო ომის ცალკეული ეპიზოდების შესწავლის ერთგვარ იერსახედ წარმოსდგნენ, რადგან ქართველი ხალხის გმირობა დიდ სამამულო ომში საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მომხდურ მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების, სხვა ტომის ხალხებთან, პირველ ყოვლისა რუს ხალხთან, საბრძოლო თანამეგობრობის ტრადიციის გაგრძელებაც იყო.

ნიშანდობლივია, რომ დიდი სამამულო ომის წლებში შეიქმნა საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელოც[10], რომლის ავტორებს, ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლებს ივ. ჯავახიშვილს, ნ. ბერძენიშვილს და ს. ჯანაშიას სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

სამამულო ომის წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში წინა პლანზე წამოიწია საბჭოთა ხალხების სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის თემატიკამ[11]. გამოქვეყნდა არაერთი დიდი თუ მცირე მოცულობის ნაშრომი ქართველი და რუსი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის შესახებ[12]. დიდი სამამულო ომის პერიოდში ქართული ისტორიული მეცნიერების ამოცანები მოცემული იყო ჟურნალ “ბოლშევიკის” 1942 წ. № 5 – 6 დაბეჭდილ ი. თავაძის

წერილში “საზოგადოებრივი მეცნიერებანი და მათი ამოცანები დიდი სამამულო ომის პირობებში”. ომის დაწყების პირველსავე თვეებში სხვადასხვა დარგის მეცნიერებმა და მწერლებმა გამოაქვეყნეს წერილები, რომლებშიც განმარტავდნენ ფაშიზმის რაობას[13].

დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ამოცანა იყო ამ ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის მეცნიერული შესწავლა. ეს პრობლემატიკა იმთავითვე დაისახა, ერთი მხრივ, სამამულო ომის ფრონტებზე და პარტიზანულ მოძრაობაში ქართველი მეომრების მონაწილეობისა და, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის, ზურგის მშრომელთა პატრიოტიზმის შესწავლის ასპექტებით. მაგრამ საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობა სამამულო ომში პირობითად ორ ნაწილად გაიყო – მონაწილეობად ომის ფრონტებზე და პარტიზანულ მოძრაობაში.

დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაიაში, როგორც ი. კაჭარავა აღნიშნავს, სამი მიმართულებით წარიმართა: “ჯერ ერთი, მეცნიერული შესწავლის ობიექტი გახდა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში, მეორე, ქართველი ხალხის მონაწილეობა ჰიტლერული ურდოების წინააღმდეგ დიდ განმათავისუფლებელ ომში და, ბოლოს, მესამე, ქართველების მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ რაიონებში გაშლილ პარტიზანულ მოძრაობასა და ევროპის ქვეყნებში დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში”[14].

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და პარტიზანულ მოძრაობაში ქართველ მეომართა მონაწილეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენადმე ხელოვნურად გაყოფილი აღმოჩნდა და ერთმანეთისაგან იზოლირებულად შეისწავლებოდა. პარტიზანული მოძრაობა, ისევე როგორც ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდი სამამულო ომის ფრონტების ოპერაციებთან.

ცნობილია, რომ დიდმა სამამულო ომმა ფრონტი და ზურგი, მთელი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად აქცია. საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი სახალხო მეურნეობა მატერიალური რესურსების სრული მობილიზაციით მუშაობდა ფრონტის დასახმარებლად. საქართველო ზურგის რაიონი იყო (მხოლოდ მცირე დროის მანძილზე – კავკასიის დაცვის პერიოდში – იქცა იგი ფრონტისპირა რაიონად), ამიტომ ბუნებრივია, ომის შემდგომი ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების საგანი იყო სამამულო ომის წლებში საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის, მათი პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტივობის საკითხების მეცნიერული შესწავლა-განზოგადება. პირველი მონოგრაფიაც სწორედ ამ თემატიკაზე დაიწერა. ეს იყო ა. იოსელიანის ნაშრომი “საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941 – 1945 წწ.)”, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა. ხსენებული შრომა მოიცავს საკითხთა ფართო წრეს,

რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის ამოცანების შესატყვისად საქართველოს სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის, ომის დროის სიძნელეთა გადალახვის ღონისძიებანი, საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომა ფრონტის დასახმარებლად, ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა სსრ კავშირის ხალხებთან დიდ სამამულო ომში, რესპუბლიკის მშრომელთა დახმარება ომით დაზარალებული საბჭოთა კავშირის რაიონებისადმი, საყოველთაო-სახალხო ზრუნვა ფრონტელთა ოჯახებისადმი და სხვ.

1958 წელს ა. იოსელიანმა გამოაქვეყნა აგრეთვე მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი "საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან (ტრანსპორტის მუშაკთა პატრიოტიზმი დიდი სამამულო ომის პერიოდში 1941 – 1945 წწ.)".

საქართველოს მშრომელთა სახელოვანი შრომითი გმირობის შესახებ სამამულო ომის წლებში დაიწერა არაერთი მეცნიერული ნარკვევი თუ სტატია. ამ ნაშრომებში გაშუქებულია საქართველოს, როგორც ზურგის რაიონის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების საომარ ყაიდაზე გარდაქმნის პირობებში მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის საკითხები, ნაჩვენებია რესპუბლიკის ავტონომიური მხარეების, ცალკეული ქალაქებისა და მსხვილ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შრომითი გმირობა, მუშათა კლასის რიგების ახალი შევსების მომზადების ღონისძიებანი და სხვ.[15] საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი საკითხები გააშუქეს ქართველმა ეკონომისტებმა. დაიბეჭდა საქართველოს კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმის ამსახველი ნაშრომები[16].

დიდ სამამულო ომში საქართველოს მშრომელთა გმირულ შემართებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ინტელიგენციამ. მისი ცალკეული რაზმების მონაწილეობა საბჭოთა ხალხის ბრძოლაში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ აისახა უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში[17]. მათ შორის უნდა აღინიშნოს ვ. ლობჟანიძის ნაშრომი, რომელშიც კარგად არის ნაჩვენები ქართველ მეცნიერთა წვლილი ფრონტისადმი დახმარების უზრუნველყოფასა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ახალი მეცნიერული მიღწევების დანერგვაში. დაიწერა არაერთი ნაშრომი სამამულო ომის წლებში ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის, თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიის, კინოს, სახვითი ხელოვნების განვითარებისა და წვლილის შესახებ მტერზე გამარჯვების საქმეში.

დიდი სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის მშრომელთა პატრიოტული შემართების ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალა იყო კომუნისტური პარტია და მისი ერთგული თანაშემწე – კომკავშირი. საქართველოს კომპარტიის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, აგრეთვე დიდ სამამულო ომში კომკავშირელი ახალგაზრდების მონაწილეობის საკითხებს მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი[18].

დიდ სამამულო ომში საქართველოს მშრომელთა მონაწილეობის საკითხები გამოკვლეულია სადისერტაციო ნაშრომებში, რომელთა დიდი ნაწილი ცალკე წიგნებად დაისტამბა და ამრიგად დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი შეადგინა.

50-იან წლებში დაწერილ სადისერტაციო ნაშრომებს საფუძვლად დაედო "სამამულო ომის კომისიის" მიერ შეგროვილი მასალები. პირველი დისერტაცია მიეძღვნა მტრის ზურგში გაშლილ პარტიზანულ მოძრაობაში და ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველი ხალხის შვილების მონაწილეობას[19], საერთოდ კი სამამულო ომის პრობლემატიკაზე შესრულებული დისერტაციები პირველ ყოვლისა ეხებოდა ქართველი ხალხის მონაწილეობას კავკასიისათვის ბრძოლაში[20], საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის წვლილს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. შემდგომ წლებში საკვლევი საკითხების წრე გაფართოვდა. საკანდიდატო დისერტაციები დაიწერა ისეთ თემებზე, როგორიც არის ქართველი მეომრების მონაწილეობა მტრისაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში[21], ქართული საფრონტო პრესა[22], საქართველოს მუშათა კლასი და მრეწველობა[23], კოლმეურნე გლეხობა[24], თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა თავდადებული შრომა[25], დიდ სამამულო ომში ქართველი ქალების მონაწილეობა[26], ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობა[27], აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის მშრომელთა მონაწილეობა დიდ სამამულო ომში[28], საქართველოს კომკავშირის შრომითი გმირობის საკითხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ზემოთ დასახელებული დისერტაციების უდიდესი ნაწილის გარდა, დაცულ იქნა აგრეთვე სამამულო ომის თემატიკის თვალსაზრისით უფრო ფართო პლანის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც შეეხებოდა ამიერკავკასიის მშრომელთა მონაწილეობას დიდ სამამულო ომში[29]. რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომი დაიწერა დიდი სამამულო ომის სხვადასხვა საკითხზე ისტორიულ-პარტიული მეცნიერების პრობლემატიკიდან[30]. სულ საქართველოში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში – პარტიის ისტორიის ინსტიტუტში) დიდი სამამულო ომის პრობლემატიკაზე დღემდე დაცულია 16 საკანდიდატო და 4 სადოქტორო დისერტაცია. ნიშანდობლივია, რომ სადისერტაციო ნაშრომების თემატიკასაც იგივე ხარვეზი აქვს, რაც დამახასიათებელია დიდი სამამულო ომის ისტორიოგრაფიისათვის საერთოდ. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა სამამულო ომის ფრონტებზე ქართველი მეომრების მონაწილეობის შესწავლას. გარდა ამისა, დაიწერა მთელი რიგი შრომები და დისერტაციები, რომლებიც უშუალოდ არ ეძღვნებიან დიდი სამამულო ომის თემატიკას, მაგრამ ქრონოლოგიურად მოიცავენ დიდი სამამულო ომის ისტორიულ მონაკვეთს[31].

როგორც ზემოთ ითქვა, დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სამამულო ომის ფრონტებზე საქართველოს წარგზავნილთა საბრძოლო საქმეების შესწავლა-გაშუქება. პირველი ნაშრომი, რომელშიც განხილულია დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ქართველი ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხი, იყო ნ. ჩახვაშვილის შრომა "ქართველი კომკავშირელები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე", რომელიც 1946 წელს დაიბეჭდა. საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობას დიდი სამამულო ომის ცალკეულ მნიშვნელოვან ოპერაციებში მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი. ეს საკითხები უფრო სრულად აისახა მ. ქოჩიაშვილის წიგნში "ქართველი მეომრები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე" (თბ., 1965 წ.). ქართველი მეომერების გმირობა საბჭოთა არმიის რიგებში დიდი სამამულო ომის რონტებზე უფრო ფართოდ გაშუქებულია მ. ქოჩიაშვილის მეორე ნაშრომში "ქართველი ხალხის საბრძოლო მამაცობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში" (ნაწ. I, თბ., 1975). ამ წიგნში საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მასალებთან ერთად გამოყენებულია ომის ვეტერანთა მოგონებები, სამხედრო-ისტორიული ლიტერატურა.

1969 წ. დაისტამბა ი. ბაბალაშვილის შრომა: "Воины-грузины в боях за Украину в годы Великой Отечественной войны". მასში დაწვრილებითაა განხილული ქართველი მეომრების მონაწილეობა სევასტოპოლისა და ქერჩის დაცვაში, შემდეგ, კი – ბრძოლებში დნეპრისა და კიევისათვის, ჰიტლერელებისაგან აღმოსავლეთ უკრაინისა და იმიერკარპატების განთავისუფლებისათვის. ი. ბაბალაშვილის ნაშრომი ეყრდნობა პარტიული არქივის, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივის დოკუმენტებსა და მასალებს. მომდევნო ნაშრომებში "Советская Грузия в битве Великой (1941 -1945 гг.)", "Вклад Грузии в общее дело победы над фашизмом (1941 -1945 гг.)", რომლებიც ი. ბაბალაშვილმა გამოაქვეყნა 1972 – 1975 წლებში, უფრო დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობას, ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებისადმი დახმარებას, ნაჩვენებია აგრეთვე ქართველ მეომართა საბრძოლო გმირობა.

ქართველი ხალხის შვილების მონაწილეობა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში გაშუქებულია ი. ბაბალაშვილის ნაშრომში "საქართველოს წვლილი კავკასიის დაცვაში", რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა. საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლებში ამიერკავკასიის ხალხებთან ერთად მოცემულია კ. ცქიტიშვილის სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც ცალკე წიგნად დაისტამბა 1969 წელს, "Закавказье в годы Великой Отечественной войны (1941 -1945 гг.)". ამ წიგნის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ მასში მოცემულია ფართო ისტორიული ფონი, ჰიტლერული არმიის სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური გეგმების, ცალკეული უმნიშვნელოვანესი სამხედრო ოპერაციების დახასიათება. ნაჩვენებია კავკასიის დაცვის მნიშვნელობა დიდ სამამულო ომში სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა მეომრების, უპირველეს ყოვლისა კი ამიერკავკასიის

ხალხების, ტრადიციული საბრძოლო მეგობრობა. ომის უმნიშვნელოვანეს ოპერაციებში საქართველოს შვილების მონაწილეობის საკითხები ასევე ფართოდაა განხილული კ. ცქიტიშვილის მომდევნო ნაშრომებში – "დიადი გამარჯვების საწყისები" (1974 წ.), "На фронтах Великой Отечественной войны" (1975). დაიწერა ერთობლივი ნაშრომები ქართველი და მომმე საბჭოთა ხალხთა შვილების საბრძოლო თანამეგობრობის შესახებ დიდ სამამულო ომში[32], პოპულარული ნარკვევები ცალკეული ქართული სამხედრო შენაერთების საბრძოლო გზის, აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მხედართუფროსის კ. ლესელიძის შესახებ[33].

მნიშვნელოვანი შენაძენია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიი, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილების მიერ მომზადებული კრებული "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო", რომელიც 1964 წელს გამოიცა. ეს არის ბიოგრაფიული ხასიათის ნარკვევების კრებული საქართველოს იმ მეომრების შესახებ, რომელთაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. გარდა ამისა, გამოცემულია კრებულები საბჭოთა კავშირის გმირების შესახებ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან[34]. 1975 წელს დაიბეჭდა ალბომი – კრებული "საბჭოთა კავშირის გმირები (საქართველოს სსრ)", რომელშიც მოცემულია მოკლე ნარკვევები საბჭოთა კავშირის თითოეული გმირის შესახებ.

დიდი სამამულო ომის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია მტრის ზურგში ომის დაწყებისთანავე გაშლილი პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლო შეასრულა გერმანიის ფაშიზმის განადგურებაში. საბჭოთა მებრძოლებმა, მათ შორის ქართველმა მეომრებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიზანულ მოძრაობაში არა მარტო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე[35], არამედ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში, რომელიც გერმანელ ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ თითქმის ყველა ქვეყანაში ანტიფაშისტური ეროვნული ფრონტის ორგანიზაციის შედეგად გადაიზარდა მძლავრ პარტიზანულ მოძრაობად.

თუ სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა მებრძოლების საგმირო საქმეებს დღენიადაგ აშუქებდა პრესა, ქვეყნდებოდა დოკუმენტური მასალები, იბეჭდებოდა ნარკვევები და ამრიგად იქმნებოდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა ამ საკითხების მომავალი შესწავლისათვის, ძლიერ ცოტა რამ იწერებოდა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ პარტიზანული მოძრაობის მონაწილეთა შესახებ. ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა დიდი საზოგადოებრივი ინტერესი არ გამოეწვია საკავშირო პრესაში, კერძოდ გაზეთ "პრავდაში" 1945 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებულ დოკუმენტს[36], რომელიც ეხებოდა საბჭოთა ტყვეების განთავისუფლების საკითხებს. ამ დოკუმენტის მეშვეობით პირველად გახდა ცნობილი ჰიტლერელთა ღრმა ზურგში ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ქართველ სამხედრო ტყვეთა ათასეულის აჯანყების ფაქტი. იგი საფუძვლად დაედო ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველ მეომართა მონაწილეობის შესახებ

დაწერილ პირველ ნაშრომს. ეს იყო მ. ქოჩიაშვილის წიგნი "ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში (აჯანყება კუნძულ ტექსელზე)", რომელიც 1948 წელს გამოქვეყნდა. ამით ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა კუნძულ ტექსელზე ქართველი სამხედრო ტყვეების – პარტიზანების ბრძოლა გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ. ეს აჯანყება ჰოლანდიელ ხალხს ჰოლანდიელი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად მიაჩნია[37].

მ. ქოჩიაშვილის აღნიშნული ნაშრომი პრესის მასალებთან ერთად უმთავრესად ემყარება ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოტანილ ქართული ბატალიონის შტაბის არქივის, აგრეთვე ამ ბატალიონის გადარჩენილ მეთაურთა და მებრძოლთა მიერ მოწოდებულ მასალებს. წიგნს დართული აქვს დამატებანი – უცხოური წყაროები ქართველი პარტიზანების მოქმედების შესახებ ჰოლანდიაში, ქართული ბატალიონის მებრძოლთა მოგონებები და არალეგალური პარტიული ჯგუფის საქმიანობის ამსახველი მასალები[38].

წიგნს ფართოდ გამოეხმაურა ქართული საზოგადოებრიობა. მან ინტერესი გამოიწვია თვით ჰოლანდიის ლიტერატურულ და სამეცნიერო წრეებშიც. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მ. ქოჩიაშვილის წიგნში დამოწმებული მასალები აისახა ჰოლანდიაში, ასევე საბჭოთა კავშირში გამოცემულ წიგნებში, კერძოდ ვან დერ ფლისის წიგნში "ტრაგედია ტექსელზე", რომელიც ამსტერდამის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კათედრის პროფესორის კარლ ებელინგის წინასიტყვაობით დაიბეჭდა 1956 წელს ჰოლანდიაში[39]. ტექსელის კუნძულზე ქართველ სამხედრო ტყვეთა აჯანყება აისახა აგრეთვე ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის (1958 წ. დეკემბერი) მასალებში, რომელთა შემოკლებული რუსული თარგმანი გამოვიდა 1959 წელს[40]. ხსენებული მასალების კრებულის იმ ნაწილში, რომელიც ახასიათებს ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის საქმიანობას ომის წლებში, ქართველთა აჯანყება ტექსელზე შეფასებულია როგორც ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის თვალსაჩინო მოვლენა, რადგან ქართული ბატალიონის პარტიული ჯგუფი დაკავშირებული იყო ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ჰარლემის ორგანიზაციასთან.

უცხოურ გამოცემებში იშვიათად, მაგრამ მაინც იბეჭდება ქართველი საბჭოთა ავტორების წერილები ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველი მეომრების მონაწილეობის შესახებ[41].

1958 წელს დაიბეჭდა ნ. ჭეიშვილის ნაშრომი "ქართველები ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში". მაგრამ ამ ნაშრომში, რომლის გამოცემა უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, ასახვა ვერ პოვეს იტალიის პარტიზანული მოძრაობის მონაწილე იმ ქართველ მებრძოლთა სახელებმა, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ ცნობილნი იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მაშინდელი მეთაურებისა და მონაწილეთა მეოხებით.

პარტიზანულ მოძრაობაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ გამოქვეყნებული წიგნები განმაზოგადებელი ნაშრომები არ არის, ისინი არ იძლევიან ქართველი მეომრების მონაწილეობის სრულ სურათს ევროპის თუნდაც ერთი რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგობის მოძრაობაში, მაგრამ ყოველი ახალი გამოცემა არის ცდა რელიეფურად წარმაოჩინოს ქართველ მეომართა საქმენი პარტიზანულ მოძრაობაში[42]. არსებულ ლიტერატურას ეყრდნობა აბ. სურგულაძის ისტორიული ხასიათის ნარკვევი "სამშობლოდან დაშორებით", რომელიც 1975 წელს დაიბეჭდა. ნაშრომში ნაჩვენებია იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ფონზე ქართველ საბჭოთა მებრძოლთა პარტიზანული რაზმების მონაწილეობა იტალიის სხვადასხვა პროვინციის გერმანელი ფაშისტებისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საგანგებოდ ჩერდება ავტორი ჩვენი თანამემამულეების – იტალიის სახალხო გმირის ფორე მოსულიშვილის[43] და "მხედრული მამაცობისათვის" ბრინჯაოს მედლით დაჯილდოებული გიორგი ვარაზაშვილის (კაპიტანი მონტი) გმირობის ამბებზე. მიუხედავად ამისა, როგორც თვით ავტორი შენიშნავს, ამ ნარკვევში წარმოდგენილი სურათი სრული არ არის სათანადო მასალების სიმცირის გამო.

ქართველი მეომრების მონაწილეობა ევროპის ქვეყნების პარტიზანულ მოძრაობაში საბჭოთა მეომრების, კერძოდ, ამიერკავკასიის სხვა ხალხების შვილებთან გაშუქებულია კ. ცქიტიშვილის მონოგრაფიაში "Закавказье в партизанской войне 1941 – 1945 гг." , რომელიც გამოქვეყნდა 1973 წელს. ამ ნაშრომში ამიერკავკასიელი, მათ შორის ქართველი, მეომრების გმირობა პარტიზანულ ბრძოლებში განხილულია ფართო პლანით. ნაჩვენებია მიზეზები, რომელთა ნიადაგზე აღმოცენდა და გაიშალა პარტიზანული მოძრაობა გერმანელ ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში. ასევე ფართო ისტორიულ ფონზეა გაშუქებული ქართველ მეომართა მონაწილეობის საკითხი პარტიზანულ მოძრაობაში პოლკოვნიკ მ. ჯინჭველაძისა და უ. სიდამონიძის სტატიაში, რომელიც შეტანილია წიგნში "ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში" (1965).

ქართველი მეომრების პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობის საკითხები განხილულია რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნებშიც, მათ შორის მ. სემირიაგას წიგნში "Советские люди в Европейском Сопротивлении" (М., 1970), აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის ისტორიის სამტომეულის მესამე ტომში, რომელიც ევროპის წინაამდეგობის მოძრაობას ეხება[44].

დიდ სამამულო ომში საქართველოს მშრომელთა მონაწილეობის საკითხები განხილულია მთელ რიგ კოლექტიურ ნაშრომებში, კერძოდ, საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ტომის ქართულ (1960) და რუსულ (1968) გამოცემებში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში (1971) და საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევებში (1972).

ცალკე უნდა გამოვყოთ ავტორთა კოლექტივის – სამხედრო პირებისა და ისტორიკოსების თანამშრომლობით დაწერილი რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია “სამშობლოს დამცველთა უკვდავი გმირობა” (1975), “ომის გზებზე” (მასალების შემკრები და კრებულის შემდგენელი გ. ზურაბიანი) ოთხ წიგნად (1968, 1972, 1975), რომელიც შეიცავს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მდიდარ ფაქტობრივ მასალებს, სადაც ნაჩვენებია ქართული სამხედრო შენაერთებისა და ქართველი მეომრების საბრძოლო გზა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ წიგნში “Краснознаменный Закавказский” (1969), რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შექმნა-საქმიანობის ისტორიის ნარკვევებს წარმოადგენს, დიდი ადგილი ეთმობა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების მონაწილეობას დიდ სამამულო ომში. ამას გარდა უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი, რომლებშიც სპეციალური ლიტერატურის, საარქივო და პრესის მასალების მოშველიებით, მეცნიერულ აპარატზე დაყრდნობით დამოწმებულია მრავალი საინტერესო ცნობა ქართველი მეომრების საბრძოლო გმირობის შესახებ. ცხადია, ეს ლიტერატურა სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვარი არ არის, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხის მონაწილეობის რიგი საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის.

დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფია, როგორც მისი ზოგადი დახასიათების მიხედვითაც შეიმჩნევა, მთელ რიგ საყურადღებო ნაშრომს შეიცავს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის მრავალი საკითხი საჭიროებს ღრმა კვლევა-ძიებას. ამ ომში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წვლილის სრულყოფილ წარმოჩენას კარგი სამსახური შეუძლია გაუწიოს დოკუმენტებისა და მასალების მეცნიერულმა პუბლიკაციამ. მან ხელი უნდა შეუწყოს ისტორიული მეცნიერების დოკუმენტური ბაზის გაფართოებას, წყაროებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. იგი უთუოდ აამაღლებს სამამულო ომის პრობლემატიკაზე მუშაობის მეცნიერულ დონეს.

მეორე მსოფლიო ომის ისტორიას შეგნებულად ამახინჯებენ სხვადასხვა ჯურის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები, რათა დაამცირონ საბჭოთა ხალხის როლი მეორე მსოფლიო ომში და მიითვისონ ფაშიზმზე გამარჯვების შედეგები.

საბჭოთა კავშირის ძლევამოსილმა გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში, კომუნისტური პარტიის ურღვევმა კავშირმა მშრომელ მასებთან კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება. ომის შემდგომ საბჭოთა ხალხმა განაგრძო დროებით შეწყვეტილი სვლა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების გზაზე.

[1] **ვ.ი.ლენინი, თხზ.,**.ტ. 21, 255 – 256.
[2] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941 – 1945Б том шестой, М., 1965, стр. 8.
[3] "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია". თბ..1973. გვ. 619, 623.
[4] **ლ.ი. ბრეჟნევი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ. სიტყვები და სტატიები, თბილისი, 1976, გვ.755-756.**
[5] ლ. ი ბრეჟნევი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ. სიტყვები და სტატიები, გვ. 758.
[6] «История Великой Отечественной войны Советского Союза (1941 – 1945 гг.)», том первый, М., 1960, XXIII – XXVIII.
[7] **ლ. ი. ბრეჟნევი,** ლენინური კურსით, ტ. 3, თბ., 1973, გვ. 373.
[8] სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის მიერ შეკრებილი მასალები 1958 წლის ოქტომბერში გადაეცა საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს. იგი ცალკე ფონდის (ფ. 2514) სახით არის დაცული ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.
[9] "ადამიანთა და მატერიალური რეზერვების ომი". თბ., 1942; "საბჭოთა ხალხის პარტიზანული ბრძოლა დიდ სამამულო ომში", თბ., 1942; "გერმანელთა ზურგში პარტიზანული ბრძოლის გამოცდილებიდან", თბ., 1942; "ევროპის პარტიზანების ბრძოლა გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ", თბ., 1942 და სხვ.
[10] მემუარული ხასიათისაა დიდი სამამულო ომის მონაწილის, შემდგომში მკვლევარ-ისტორიკოსის პროფ. დ. გვრიტიშვილის ნაშრომი "ქართველი სტალინგრადელები", თბ., 1944.
[11] კარლო **ცქიტიშვილი,** ტრისტან **ჩინჩილაკაშვილი.** "საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან", თბ., 1977, გვ. 7.
[12] იხ. **ე. მამუკელაშვილი,** ქართული საფრონტო პრესა, თბ., 1968, გვ. 17.
[3] **ა. კელენჯერიძე,** პირველი ქართული საფრონტო გაზეთი, წიგნში "კალმით და ხიშტით", თბ., 1966.
[4] **П. Секкья, Ч. Москатели,** Монте-Роза спустилась в Милан, М., 1961.
[5] **М. Галлени,** Советские партизаны в Итальянском движении сопротивления, М., 1970.
[6] Warzawa Prawa – Podmuska 1942 – 1944, Warzawa, 1973. ცნობა ამ წიგნის შესახებ მოგვაწოდა პოლონეთის პარტიზანული მოძრაობის მონაწილემ, ქართული პარტიზანული რაზმის ყოფილმა მეთაურმა, ივ, ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ვ. გუჩუამ.
[7] "Юго-Осетия в период Великой Отечественной войны (1941 – 1945 гг)", сб. док. и матер. Цхинвали, 1963; "ლაპარაკობენ გმირები (მასალების კრებული)", თბ., 1970.
[8] დიდი სამამულო ომის ისტორიოგრაფიის შესახებ იხ. **ი. კაჭარავა,** ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, **გ. თევზაძე,** დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ისტორიოგრაფია, შრ. კრებ. საბჭოთა საქართველოს ისტრიის საკითხები, 1967.
[9] **ნ. ბერძენიშვილი,** თათართა ბატონობის ხანა, თბ., 1941, **ვ. გაბაშვილი,** თათართა შემოსევები საქართველოში, თბ., 1943; **გ. ქიქოძე,** ერეკლე მეფის ომები, თბ., 1943; **ო. სოსელია,** შალვა ახალციხელი, თბ., 1943, **ლ. ბოჭორიშვილი,** ბახტრიონის გმირები, თბ., 1943, **შ. მესხია,** ერთი ფურცელი ქართველთა გმირული წარსულიდან, თბ., 1973 და სხვ.
[10] **ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია,** საქართველოს ისტორია, თბ., 1943.
[11] საქართველოში გერმანელი ინტერვენტების თარეში 1918 წ. ჟურნ. "ბოლშევიკი", 1943, №9; **მ. გაბრიჩიძე,** გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, დოკუმენტების კრებული, რუს. ენაზე, 1942; **მისივე,** ჩვენი ქვეყნის სარდლები და გმირები, თბ., 1942; **მ. დუმბაძე,** გენერალი ივ. ანდრონიკაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1943); **მ. გოცაძე,** 1812 წლის სამამულო ომის სახალხო გმირები (ჟურნ. "ბოლშევიკი", 1943, №2) და სხვ.

[12] **გ. ხაჭაპურიძე,** 1812 წ. სამამულო ომი, ჟურნ. "კომუნისტური აღზრდისათვის", 1941; **ი. ანთელავა,** 1812 წ. სამამულო ომში ქართველების მონაწილეობის საკითხისათვის, სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1942.

[13] **ნ. მუსხელიშვილი, ს. ჯანაშია, გ. ახვლედიანი, ლ. გოკიელი,** ფაშიზმი მეცნიერების მტერია, ჟურნ. "ბოლშევიკი", 1941, № 5 - 6; **მ. გოგიბერიძე,** ფაშიზმი მეცნიერების და კულტურის მტერია, ჟურნ. "მნათობი", 1941, № 8; **კ. გამსახურდია,** ფაშიზმი მსოფლიო კულტურის მტერია, ჟურნ. "მნათობი"1941 წ. № 10; **კ. კაპანელი,** ფაშიზმი კულტურის მტერია, თბ., 1943; **ე. ბურჭულაძე,** სსრ კავშირის ხალხთა საბრძოლო ერთიანობა ფაშიზმთან ბრძოლაში, ჟურნ. "მნათობი", 1941, № 12 და სხვ.

[14] **ი. კაჭარავა,** ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 428.

[15] **ი. კოდუა,** სოციალისტური შეჯიბრება და შრომის ნაყოფიერება სამამულო ომის პერიოდში, ჟურნ. "ბოლშევიკი", 1942, № 7; **ა. ებრალიძე,** საქართველოს მუშათა კლასის შრომითი გმირობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1957; **ა. იოსელიანი,** საქართველოს მუშათა კლასის შრომითი წარმატება დიდი სამამულო ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში (1943), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1961; **რ. ერისთავი,** ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა დიდი სამამულო ომის პერიოდში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1971, № 4; **ნ. ჯოლოღუა,** აფხაზეთის მუშათა კლასის როლი დ მისი შრომითი მოღვაწეობა სამამულო ომის პირველ პერიოდში (1941 – 1942 წწ), სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 21, 1971; **ქ. თოფურიძე,** სოციალისტური შეჯიბრების როლი საქართველოს ინდუსტრიული ქალაქების მრეწველობაში 1941 – 1945 (ქუთაისი), შრ., კრებ. საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, VIII, 1975; **А. Асланишвили.** Трудовые резервы Грузии в Великой Отечественной войне, Тб., 1972.

[16] **ო. აბუთიძე,** საქართველოს კოლმეურნეთა შრომითი გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში. ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 20, 1959; **М. Делба,** Колхозное крестьянство в годы Великой Отечественной войны, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 30, სოხუმი, 1959; **ვ. ჯიქია,** საქართველოს საბჭოთა მეურნეობები დიდი სამამულო ომის წლებში, შრ., კრებ. საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971; **თ. ჟღენტი,** საქართველოს კოლმეურნე გლეხობა დიდი სამამულო ომის წლებში, შრ., კრებ. საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971.

[17] **ს. საყვარელიძე,** საქართველოს მეცნიერ-მედიკოსები დიდ სამამულო ომში, თბ., 1966; **ზ. შველიძე,** თბილისის უნივერსიტეტის წარგზავნილები დიდ სამამულო ომში, თბ., 1971; **ი. ხაინდრავა-ბენიძე,** თბილისის უნივერსიტეტის ქალები დიდ სამამულო ომში, თბ., 1973; **ი. გიორგაძე,** მასწავლებლები დიდ სამამულო ომში, თბ., 1971; **დ. იობაშვილი,** დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი მწერლები. თბ., 1967; **М. Делба,** Интеллигенция Абхазии в годы Великой Отечественной войны, Сухуми, 1959.

[18] **ა. აღლაძე,** საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა დიდი სამამულო ომის პერიოდში, ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", 1965, № 5; **შ. ნოზაძე,** პოლიტიკური მუშაობა თბილისში დიდი სამამულო ომის პერიოდში, ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", 1965, № 4; **ნ. ჩახვაშვილი,** საქართველოს კომკავშირი დიდ სამამულო ომში, თბ., 1958; **ო. აბუთიძე,** საქართველოს კომკავშირის შრომითი გმირობა დიდ სამამულო ომში (1941 – 1945 წწ.), თბ., 1960.

[19] **მ. ქოჩიაშვილი**, დიდ სამამულო ომში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის ისტორიიდან (აჯანყება კუნძულ ტექსელზე), 1954.

[20] **მ. ბარამია,** ქართველი ხალხი კავკასიისათვის ბრძოლაში, 1956; ცალკე წიგნად გამოიცა 1960 წ. სათაურით "ქართველი ხალხის მონაწილეობა კავკასიის დაცვაში".

[21] **И. П. Бабалашвили,** Войны-грузины в боях за Украину в годы Великой Отечественной войны, 1969.

[22] **ე. მამუკელაშვილი,** ქართული საფრონტო პრესა, თბ., 1970.

[23] **ა. მუშკუდიანი,** საქართველოს სსრ მუშათა კლასი დიდი სამამულო ომის პერიოდში, 1969.

[24] **შ. აფრიდონიძე,** საქართველოს კოლმეურნე გლეხობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941 – 1945 წწ.), 1968.

[25] **შ. ნოზაძე,** თბილისი დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში (1941 – 1945), 1965; **მ. ცანავა,** ქალაქ ქუთაისის მშრომელები 1941 – 1945 წწ. დიდ სამამულო ომში, 1963.

[26] **ქ. ანთიძე,** ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში, 1955. ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1958 წ. სათაურით "საქართველოს ქალთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში".

[27] **В. А. Лобжанидзе,** Грузинская Советская интеллигенция в период Великой Отечественной войны (1941 – 1945 гг.), 1965.

[28] **А. А. Абшилава,** Трудящиеся Очамчирского района Абхазской АССР в годы Великой Отечественной войны 1941 – 1945 гг. 1962; **Б. З. Плиев,** Трудящиеся Юго-Осетии в период Великой Отечественной войны, 1957, **ს. ტაბაღუა,** აჭარის ასსრ მშრომელები დიდ სამამულო ომში, 1975; **პ. ჯიშკარიანი,** ზუგდიდის მშრომელები დიდ სამამულო ომში, 1960.

[29] **К. В. Цкитишвили,** Закавказье в годы Великой Отечественной войны, 1970.

[30] **И. Джологуа,** Абхазская Коммунистическая партия Грузии в период Великой Отечественной войны, Тб., 1973; **А. А. Асланишвили.** Парторганизации Грузии в борьбе за подготовку квалифицированных рабочих кадров в системе трудовых резервов в годы Великой Отечественной войны (1941 – 1945 гг.), 1970.

[31] **შ. მესხია, ა. სურგულაძე, დ. გვრიტიშვილი,** თბილისის ისტორია, თბ., 1958; **М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа,** Из истории рабочего класса Грузии (1921 – 1957 гг.), Тб., 1961; **ა. კიკვიძე,** საქართველოს ისტორია XIX - XX საუკუნეები, III, თბ., 1967; **მ. ნათმელაძე,** საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია, II, თბ., 1975.

[32] **М. Кочиашвили, И. Слинько,** Боевое содружество украинского и грузинского народа в подпольной партизанской борьбе против немецко-фашистской оккупации на Украине, в кн. "Из истории украино-грузинских связей", Тб., 1968.

[33] **კ. დობორჯგინიძე,** კავკასიის მისადგომებთან (392-ე ქართული მსროლელი დივიზიის შესახებ), თბ., 1971; **პ. შამათავა,** დივიზია გადადიოდა კავკასიონზე, თბ., 1968; **ა. კელენჯერიძე,** ქერჩი. 1942 (ქართველები დიდ სამამულო ომში), თბ., 1969; **მ. დავითაშვილი,** ლესელიძე, თბ., 1975.

[34] Сины Абхазии – Герои Советского Союза (сост. А. Абшилава), Сухуми, 1961; Отважные сины Осетии, «Цхинвали», 1970.

[35] **ა. თომაძე,** პარტიზანული ქრონიკები, თბ., 1971.

[36] К вопросу о положении советских военнопленных, освобожденных английскими войсками. გაზ. «Правда», 1945 წლის 6 ივნისი ხსენებული დოკუმენტი შემდგომ შეტანილ იქნა წიგნში: «Внешняя политика Советского Союза в период Великой Отечественной войны», т. 14, 1974, стр. 285 – 292. ცნობები ტექსელის აჯანყების შესახებ დაიბეჭდა ჰოლანდიის კომუნსტური პარტიის ჰარლემის ორგანიზაციის ბიულეტენში (1945 წ. № 2), გაზ. "De Vaarheid"-ში (ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო), 1945 წლის 21 მაისს. იხ. ი. კაჭარავა, "ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები", 1962, გვ. 432.

[37] გაზ. . "De Vaarheid", 1945 წლის 2 ივლისი.

[38] ეს დოკუმენტები დამატების სახით დართული აქვს მ. ქოჩიაშვილის მიერ 1969 წელს გამოცემულ ნაშრომს "Страницы боевых подвигов ", რომელშიც მოცემულია ქართველ მეომართა მონაწილეობა პარტიზანულ მოძრაობაში როგორც გერმანელ ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში. ოღონდ ამ წიგნის დამატება უფრო ფართოა, მასში მოცემულია ტექსელის აჯანყების მონაწილე მებრძოლთა და მეთაურთა სია.

[39] J. A. Van der Vlis. Tragedie op Texel, 6-26 april van der jear 1945.

[40] XIXсъезду Коммунистической партии Нидерландов, М., 1959.

[41] მ. ქოჩიაშვილი, ქართველები პოლონეთისათვის ბრძოლებში, Газ. «Воиска Польского» 1959 № 231.

[42] **შ. შურღაია,** ქართველები იტალიის მთებში, თბ., 1971.
[43] ფორე მოსულიშვილს ეძღვნება ე. სიხარულიძის წიგნი "იტალიის ეროვნული გმირი", თბ., 1973.
[44] "Вторая мировая война, Движение Сопротивления в Европе», III, М., 1966.

§ 2. ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია

მეორე მსოფლიო ომს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრების შედეგად განუზომლად გაიზარდა საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური პრესტიჟი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი ამოცანა იყო უდიდესი მსხვერპლის ფასად მოპოვებული გამარჯვების განმტკიცება, საერთაშორისო თანამშრომლობისა და დემოკრატიული მშვიდობის უზრუნველყოფა.

კაპიტალისტური სამყაროსათვის კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი მოვლენები მის საზიანოდ განვითარდა. ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების პოლიტიკაში აშკარად იჩინა თავი ღრმა ტენდენციამ. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტებმა სცადეს მიეთვისებინათ გერმანიაზე, იაპონიასა და მათს დამქაშებზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების ნაყოფი, გადაერჩინათ იმპერიალიზმი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს მძიმე ზარალი განიცადა, შეენარჩუნებინათ ფაშიზმის ნაშთები კაპიტალისტურ ქვეყნებში და ახალი ომის გაჩაღების ან მისი საფრთხის შექმნის გზით დაებრუნებინათ კაპიტალისტური სისტემის მიერ დაკარგული პოზიციები. ამ მკვეთრად ურთიერთდაპირისპირებულმა მიმართულებამ ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში განაპირობა მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის დაშლა.

მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირის გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა საერთაშორისო ვითარება. ამ გამარჯვების პოლიტიკური შედეგი იყო მსოფლიო იმპერიალისტური სისტემის სერიოზული დასუსტება და რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის შედეგად ხელსაყრელი პირობების შექმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევისათვის. დაიწყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი, მეორე ეტაპი. მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ამ ეტაპის მაჩვენებელი იყო სახალხო-განმათავისუფლებელი რევოლუციების შედეგად კაპიტალისტური სისტემისაგან ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ჩამოშორება. დემოკრატიული გარდაქმნებისა და სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ ალბანეთი, ბულგარეთი, აღმოსავლეთ გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ჩინეთი, კორეა და

ვიეტნამი. ამ ქვეყნებში ისტორიული და ეროვნული განვითარებისდაკვალად მშრომელთა ხელისუფლებამ სახალხო დემოკორატიის სახე მიიღო. პროლეტარიატის დიქტატურის ამ ახალ ფორმაში აისახა სოციალისტური რევოლუციის განვითარების თავისებურება ახალ ისტორიულ პირობებში, რომელიც გამოიხატა იმპერიალიზმის შესუსტებითა და საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შეცვლით სოციალიზმის სასარგებლოდ. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად, რამაც დასაბამი მისცა საერთაშორისო სოციალიზმის განვითარების ახალ ეტაპს. მკაფიოდ გამოჩნდა სოციალიზმის ისტორიული პერსპექტივა.

როგორც სკკპ პროგრამაშია ნათქვამი, მსოფლიო სოციალიზმის სისტემა არის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამეგობრობა, თავისუფალი, სუვერენული ხალხებისა, რომლებიც მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით, გაერთიანებულნი არიან ინტერესებისა და მიზნების ერთობით, საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობის მჭიდრო კავშირით[35]. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ორი მთავარი მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური ბანაკი – სოციალისტური, დემოკრატიული ბანაკი და იმპერიალისტური, რეაქციული ბანაკი.

სოციალიზმის მსოფლიო ბანაკის შექმნა ამ ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების სწორი პოლიტიკის შედეგი იყო. მასში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა, რომელმაც გაანადგურა ფაშისტური გერმანია და მილიტარისტული იაპონია, მორალური, მატერიალური დახმარება გაუწია სოციალისტური განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნებს. ამ სისტემის შექმნამ დააჩქარა მსოფლიო რევოლუციური პროცესი, ხელი შეუწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების განმტკიცებას, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილე კაპიტალისტური ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად დაზარალდა ამერიკის შეერთებული შტატები, ამავე დროს მკვეთრად გადიდდა მისი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი. ამერიკელ იმპერიალისტთა მოგება 1938 წლის 3,3 მილიარდი დოლარიდან 1943 წელს 24,6 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ომის დასასრულს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც შანტაჟს ეწეოდა ატომური იარაღის მონოპოლიით, აშკარა ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე გადავიდა, ოკეანისგაღმელი იმპერიალისტები ისწრაფოდნენ ყველა კაპიტალისტური ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული გაეხადათ, მათი დახმარებით სოციალისტურ ქვეყნებში აღედგინათ კაპიტალიზმი და უზრუნველეყოთ თავიანთი მსოფლიო ბატონობა. ამ ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა კონკრეტული გამოხატულება იყო "ტრუმენის დოქტრინა" (1947 წლის გაზაფხული) და "მარშალის გეგმა" (1947 წლის ზაფხული).

იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვანი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ იმითაც გამოიხატა, რომ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის

ქვეყნების ირგვლივ მათ მოაწყვეს სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აიყვანეს ძირგამომთხრელი მუშაობა, შექმნეს აგრესიული სამხედრო ბლოკების სისტემა, მათ შორის უმთავრესია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი (ნატო), იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა 40-იანი წლების მეორე ნახევარში და 50-იან წლებში ლოკალური ომები გააჩაღეს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

ახალი ომის მზადებას კაპიტალიზმის ქვეყნებში მოჰყვა გამალებული შეიარაღება, სამხედრო ხარჯების გადიდება, შეიარაღებულ ძალთა რაოდენობის ზრდა. 1952 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიარაღებული ძალების რაოდენობა 1939 წელთან შედარებით გაიზარდა 6-ჯერ, ინგლისში – 2,5-ჯერ. სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა 1949 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგინა 32,6 პროცენტი, ინგლისში – 20,2, საფრანგეთში – 19,4, თურქეთში – 32,6, კანადაში – 12,8 პროცენტი[36].

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ათწლეული დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების პერიოდია. სოციალისტური სისტემის წილად მეორე მსოფლიო ომამდე მოდიოდა მთელი დედამიწის ტერიტორიის 17 პროცენტი, მოსახლეობის დაახლოებით 9, და მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 10 პროცენტი. ომის შემდეგ კი – ტერიტორიის 26 პროცენტი, მოსახლეობის 35 პროცენტი და სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით ერთი მესამედი.

სოციალისტური მეურნეობის უპირატესობამ უზრუნველყო სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკის სწრაფი ზრდა.

ომის შემდგომ წლებში მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მთავარი ამოცანა იყო უზრუნველეყოთ მტკიცე მშვიდობა და ხალხთა თანამშრომლობა. ამ ამოცანამ განსაზღვრა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა.

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა ხელს უწყობდა იმას, რომ ომის შემდგომ პერიოდში სსრ კავშირი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გამხდარიყო მთელი მშრომელი კაცობრიობის მიზიდულობის ცენტრი, დიდი და მცირე ხალხების მშვიდობისა და მეგობრობის მედროშე და დაუცხრომელი ქომაგი.

1949 წელს საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება ხუთ დიდ სახელმწიფოს – სსრ კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებულიყო მშვიდობის პაქტი. 1951 წლის 12 მარტს სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მიიღო კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ და ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც უნდა ყოფილიყო იგი, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ უმძიმეს ბოროტმოქმედებად გამოაცხადა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკლებლივ ყველა სესიაზე საბჭოთა დელეგაციას შეჰქონდა განიარაღებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების ღონისძიებათა წინადადებები. 1946 წლის სექტემბერში საბჭოთა მთავრობამ პირველმა წამოაყენა წინადადება ატომური იარაღის უცილობელი აკრძალვის შესახებ. მომდევნო წლებში სსრ კავშირი არაერთხელ ყოფილა მსგავსი აქციების ინიციატორი.

ომის შემდგომ წლებში მშვიდობის მოძრაობის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ორგანიზებული ფრონტის შექმნა. 1949 წლის აპრილში პარიზსა და პრაღაში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესი, რომელზეც წარმოდგენილი იყო 72 ქვეყნის 600 მილიონი ორგანიზებული მშვიდობის მომხრე. ამ კონგრესზე მიღებული მანიფესტი მსოფლიოს ყველა ხალხს მოუწოდებდა აქტიურად ებრძოლათ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. კონგრესმა დააარსა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო – მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტი, რომლის სტოკჰოლმის სესიამ 1950 წლის დამდეგს მიიღო მოწოდება ატომური იარაღის აკრძალვისა და იმ მთავრობის სამხედრო დამნაშავედ გამოცხადების შესახებ, რომელიც ამ იარაღს გამოიყენებდა. მოწოდებას ხელი მოაწერა 500 მილიონზე მეტმა კაცმა, აქედან სსრ კავშირში – 115 მილიონმა.

1950 წლის ნოემბერში ვარშავაში შეიკრიბა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა 2 065 კაცი 80 ქვეყნიდან. კონგრესის მანიფესტმა ყველა ქვეყნის მშრომელებს მშვიდობისათვის საბრძოლველად მოუწოდა. ვარშავის კონგრესმა დააარსა მშვიდობის მოძრაობის ახალი ხელმძღვანელი ორგანო – მშვიდობის მსოფლიო საბჭო.

1951 წლის თებერვალში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო მიმართვა სსრ კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. ამ მიმართვის ხელმოწერათა შეგროვებამ ნათელყო მშვიდობის მოძრაობის სწრაფი ზრდა. მიმართვას ხელი მოაწერა 600 მილიონზე მეტმა კაცმა, აქედან 118 მილიონამდე საბჭოთა მოქალაქემ.

1952 წლის დეკემბერში ვენაში გაიმართა მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობდა 85 ქვეყნის 1857 წარგზავნილი. კონგრესმა მხარი დაუჭირა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას და მიიღო მოწოდება კორეაში, ვიეტნამში, ლაოსში, კამბოჯასა და მალაიაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის, ტუნისსა და მაროკოში ძალმომრეობის აღკვეთის შესახებ. კონგრესმა მოითხოვა დაწყებულიყო მოლაპარაკება საყოველთაო განიარაღების თაობაზე, აგრეთვე ატომური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და მოსახლეობის მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის, გამალებული შეიარაღების შეწვყეტისა და

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოების მიღების შესახებ[37].

მშვიდობის მოძრაობაში, მშვიდობის მომხრეთა ორგანიზებული საერთაშორისო ფრონტის შექმნაში წამყვან როლს ასრულებდა სსრ კავშირი, რომელიც მტკიცედ იცავდა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ლენინურ პრინციპს, მაგრამ ამასთანავე იბრძოდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენის იმპერიალისტური ცდების წინააღმდეგ და სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტთა ხელყოფისაგან ამ ქვეყნების დასაცავად.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა მოასწავებდა სახელმწიფოთა შორის ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის წარმოშობას, რომელსაც საფუძვლად დაედო ერთი ტიპის ეკონომიკური საფუძველი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რევოლუციური მონაპოვრისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის საერთო ინტერესები, ერთიანი იდეოლოგია და მიზანი. სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობა აგებულია თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის, ძმური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ინტერნაციონალურ პრინციპებზე. მათი ეს ურღვევი კავშირი განმტკიცებულია მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებით.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები სოციალიზმს აშენებენ სსრ კავშირის უანგარო დახმარებითა და მის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს და აჩქარებს ამ ქვეყნებში ახალი ცხოვრების მშენებლობის ტემპებს. 50-იან წლებში სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა გაცილებით სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე კაპიტალისტური ეკონომოიკა. მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წლისათვის 1937 წელთან შედარებით სოციალისტურ ქვეყნებში გაიზარდა 5-ჯერ, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მხოლოდ 2-ჯერ.

სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა ხორციელდება მრავალ სფეროში, როგორიცაა საგარეო ვაჭრობა, კრედიტების მიცემა, მეცნიერულ-ტექნიკური დახმარება, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგისათვის კადრების მომზადება. სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონმოიკურ თანამშრომლობაში გეგმაზომიერების უზრუნველსაყოფად 1949 წლის იანვარში შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას, რათა რაც შეიძლება სწრაფად განვითარდეს თითოეული სოციალისტური ქვეყნის და საერთოდ მთელი სოციალისტური ბანაკის საწარმოო ძალები.

50-იანი წლების ბოლო საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში აღინიშნა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენით – სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებით. განვითარებული

სოციალისტური საზოგადოების აშენება სსრ კავშირში მოასწავებს სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად, საზოგადოების განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, მთელი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვებას, საზოგადოების იდეურ ერთიანობას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, სოციალისტური ერების ყოველმხრივ აყვავებასა და დაახლოებას.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება სსრ კავშირში იმის შედეგია, რომ ძალთა თანაფარდობაში მოხდა ძირეული ცვლილებები სოციალიზმის სასარგებლოდ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ეს უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებამ შექმნა წანამძღვრები კომუნისტური მშენებლობის ისტორიული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საბჭოთა კავშირმა განახორციელა ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ომის კერის ლიკვიდაციას აღმოსავლეთ აზიაში, დაძაბულობის შენელებას ევროპაში, კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას. ევროპის ხალხთა უშიშროებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის მიზანს ემსახურებოდა 1955 წლის მაისში ვარშავაში ხელმოწერილი ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ სსრ კავშირსა და ევროპის სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა შორის. ხელშერულების მონაწილე სახელმწიფოებმა რომელიმე ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ამ ქვეყნისათვის დაუყოვნებლივი და ყოველმხრივი დახმარების ვალდებულება იკისრეს. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგულმა სსრ კავშირმა დახმარება აღმოუჩინა უნგრელ ხალხს კონტრრევოლუციური ამბოხების ლიკვიდაციაში, რითაც აღკვეთა იმპერიალისტთა ცდა კაპიტალიზმის რესტავრაცია მოეხდინათ ევროპის ცენტრში. საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაცია ითვალისწინებდა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან მეგობრული კავშირების შემდგომ განმტკიცებას.

მტკიცდებოდა სსრ კავშირის ურთიერთობა ნეიტრალურ სახელმწიფოებთან, რომელნიც "მშვიდობის ზონაში" შედიან და დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ მოქმედებენ.

იმპერიალისტების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო წინააღმდეგობათა მიუხედავად, ფართოვდებოდა სსრ კავშირის საქმიანი ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ჩვენი ქვეყანა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებებისა და სულ უფრო მზარდი საერთაშორისო ავტორიტეტის მეოხებით მძლავრი საერთაშორისო დემოკრატიული ბანაკის ცენტრი გახდა. სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა შეესაბამება დედამიწის ყველა ხალხის ინტერესებს, რადგან იგი

მიმართულია ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების იმპერიალისტური ცდების წინააღმდეგ, მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

ამ ტომის მეორე ნაწილში გაშუქებულია საქართველოს ომის შემდგომი ისტორიის ძირითადი საკითხები.

დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი იყო ომით დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. ომის მძიმე შედეგების დასაძლევად დიდი მუშაობა გაიშალა ომის წლებშივე, როდესაც გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მოძმე საბჭოთა ხალხების ერთობლივი მეცადინეობით განახლდა მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმოების მუშაობა, კვლავ მწყობრში ჩადგა სატრანსპორტო მაგისტრალები, აღდგა სოფლის მეურნეობა.

ტომში საქართველოს ომის შემდგომი სამეურნეო განვითარების დახასიათებასთან ერთად ნაჩვენებია საქართველოს მშრომელთა მონაწილეობა ამ დიდ საერთო-სახალხო საქმეში. მართალია, საქართველო ზურგის რაიონს წარმოადგენდა, მაგრამ ომმა მის სახალხო მეურნეობას სერიოზული ზარალი მიაყენა. ეს გამოიხატა პირველ ყოვლისა შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირებით, მიუხედავად იმისა, რომ რევაკუაციის შემდეგ საქართველოში დარჩა ომის წლებში ევაკუირებულთა ნაწილი. თუ მრეწველობის ზოგიერთი დარგი გაფართოვდა, მრეწველობა მთლიანად ცალმხრივად ვითარდებოდა. შემცირდა მრეწველობის პროდუქციის ფიზიკური მოცულობა. ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის – მარცვლეულისა და ბაღჩეულის – ნათესი ფართობისა და საშუალო მოსავლიანობის გადიდების მიუხედავად, ომმა შეაფერხა საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო განვითარება, კერძოდ ინტენსიური და შრომატევადი დარგებისა. გაუარსედა ჩაის მეურნეობის მდგომარეობა. ომის ბოლო წლებში შემცირდა ტექნიკური კულტურების ფართობი, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს კოლმეურნეობათა მუშაობაში. ომმა თავისი დაღი დააჩნია ტრანსპორტსაც. დაზარალდა სარკინიგზო და სანავსადგურო მეურნეობა, საავტომობილო ტრანსპორტი და საჰაერო სამოქალაქო ფლოტი. ომის შედეგად შემცირდა როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობის, ისევე მის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა. გაუარესდა საქართველოს მუშათა კლასის კვალიფიციური შემადგენლობა.

წიგნის ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ომის შემდგომი ხუთწლედების მთავარი ამოცანების გადაწყვეტისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლას. მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი გეგმებით დაისახა მშვიდობიან ყაიდაზე გადაყვანილი მძიმე მრეწველობის დარგების შემდგომი განვითარება, ახალი დარგების შექმნა, მოხმარების საგნების მნიშვნელოვანი გაფართოება, კაპიტალური მშენებლობა. ამ პერიოდის მსხვილი მშენებარე ობიექტები იყო ამიერკავკასიის

მეტალურგიული ქარხანა რუსთავში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი, ხრამის ჰიდროელექტროსადგური და ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა.

სოფლის მეურნეობის დარგში მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი გეგმების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სოფლის მეურნეობის აღმავლობის უზრუნველყოფა, სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის საქონლიანობის ამაღლება, კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცება, სოფლის მეურნეობის წამყვან კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება.

დასახული გრანდიოზული გეგმების განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის, სოფლის მეურნეობის შრომითი კოლექტივების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა, რაც მკაფიოდ გამოვლინდა საერთო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარებაში. ომის შემდგომ პერიოდში სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის ფორმები საქართველოს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე ძირითადად, მთლიანად სსრ კავშირისა და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში გაშლილი შეჯიბრების ფორმების ანალოგიური იყო, დიდად შეუწყო ხელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

ფაქტობრივი მასალის მოშველიებით ტომში გაანალიზებულია საბჭოთა მუშათა კლასის სხვა ეროვნულ რაზმებთან საქართველოს მუშათა კლასის სოციალისტური შეჯიბრება და ნაჩვენებია მისი გავლენა მაღალი საწარმოო შედეგების მოპოვებაში. მუშათა კლასის გმირული შემართების შედეგად გადაჭარბებით შესრულდა საქართველოში ომის შემდგომი მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი გეგმები ძირითადი სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის დარგში. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სამრეწველო მშენებლობა მეხუთე ხუთწლედში, როდესაც აშენდა 107 მსხვილი სამრეწველო საწარმო. ძირითადად დამთავრდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. 1951 წლის აგვისტოში ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ გამოუშვა პირველი ქართული სატვირთო ავტომობილი. საექსპლოატაციოდ გადაეცა გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგი, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. მეოთხე და მეხუთე ხუთწლედების პერიოდში ამუშავდა ხრამის, სოხუმის, ჩითახევის, შაორის, ორთაჭალისა და სამგორის ჰიდროელექტროსადგურები, რუსთავის თბოელექტროცენტრალი. მეხუთე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მეოთხე ხუთწლედის გეგმას, ხოლო 1940 წლის დონეს 2,6-ჯერ აღემატებოდა. ეს ძირითადად მოხდა იმის გამო, რომ გადიდდა მანგანუმისა და ქვანრახშირის ამოღება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ლითონმჭრელი ჩარხების წარმოება, ცემენტისა და სხვა საშენი მასალების გამოშვება, მსუბუქი

და კვების მრეწველობის პროდუქცია. წარმოიშვა ახალი სამრეწველო დაბები და ქალაქები.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მეექვსე ხუთწლიანი გეგმა, რომლის დირექტივები დაამტკიცა სკკპ XX ყრილობამ. დირექტივებით გათვალისწინებული იყო მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის, ელექტროენერგიის გამომუშავების მნიშვნელოვანი ზრდა, ახალი სამრეწველო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

მეექვსე ხუთწლედში შეიცვალა საქართველოს მრეწველობის სტრუქტურა, შეიქმნა ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის ახალი სამრეწველო დარგები. ამუშავდა ქარხნები "ელექტროავტომატი" და "ელექტროგამშვები", საინსტრუმენტო ქარხანა თბილისში, მანგანუმის ახალი ითხვისის მაღარო და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა. თბილისის ელმავალსაშენებელმა ქარხანამ 1957 წლის 31 დეკემბერს გამოუშვა რვაღერძიანი სამაგისტრალო ელმავალი. აშენდა კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოები ქუთაისში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში. საექსპლოატაციოდ გადაეცა ტყიბულისა და გუმათის № 2 ჰიდროელექტროსადგურები. გაიზარდა შრომის ელექტროაღჭურვილობა, განსაკუთრებით მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობასა და სხვა დარგებში. ამას ხელი შეუწყო საქართველოს ენერგეტიკული ბაზის გაფართოებამ ამიერკავკასიის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნისა და შემდეგ რსფსრ ენერგოსისტემასთან გაერთიანების შედეგად. ომის შემდგომი სახალხო მეურნეობის, მათ შორის მრეწველობის, განვითარების საკითხები განხილულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XIV (1949), XV (1952), XVI (1954) XVII (1956) და XVIII (1958) ყრილობებზე. ყურადღება მიექცა იმ გარემოებასაც, რომ მეექვსე ხუთწლედის სამ წელიწადში – 1956 – 1958 წლებში – საქართველოს ზოგიერთმა მსხვილმა სამრეწველო საწარმომ ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმები, რაც შედეგად მოჰყვა სუბიექტივისტური და ვოლუნტარისტული ხასიათის შეცდომებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ტომის ავტორები შეეცადნენ ეჩვენებინათ საქართველოს ეკონომიკური კავშირების გაფართოება მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან, საქართველოს მრეწველობის როლი სსრ კავშირის ეკონომიკურ კავშირებში უცხოეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

სწრაფად ვითარდებოდა ამ პერიოდში საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი, გადიდდა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების როლი საბჭოთა კავშირის საგარეო სავაჭრო კავშირებში.

ტომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს სოფლის მეურნეობას, რომლის განვითარებას ომის შემდგომ პერიოდში საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ მიღებული სპეციალური დადგენილებანი. ამ დადგენილებებმა დასახეს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდება, მევენახეობის, მეჩაიეობის, მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება, კოლმეურნეობათა განმტკიცება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გადიდება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის გაზრდა, მნიშვნელოვან მელიორაციულ სამუშაოთა განხორციელების კონკრეტული ამოცანები.

მეექვსე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შედეგად მოჰყვა საკოლმეურნეო წყობილების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განმტკიცება. 1953 – 1958 წლების მანძილზე საქართველოში კოლმეურნეობათა რაოდენობა გაიზარდა 201 ერთეულით, შეიქმნა 19 ახალი საბჭოთა მეურნეობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ასევე საქართველოში დაშვებულ იქნა შეცდომები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში. განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად, რომელმაც შეცვალა კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურების არსებული წესი. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წესი და პირობები.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობის შესუსტების შედეგად 50-იან წლებში შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოება. იგი ჩამორჩა გეგმიურ დავალებათა შესრულებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებაში.

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში შესრულდა საირიგაციო და მელიორაციული სამუშაოები, დაიწყო ზემო სამგორის მაგისტრალური არხის, სალთვისის სარწყავი არხის პირველი რიგის, თეძამ-ოკამის, კეხვის, მუხრანის და ვანათის სარწყავი სისტემების, წითელგორის, კოლხიდისა და ინგურ-ხუმუშკურის საშრობი სისტემების ექსპლოატაცია.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების ამოცანებმა მოითხოვეს მუშათა კლასის შრომითი ინიციატივის შემდგომი განვითარება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართოდ დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების საკითხი დაისვა.

ტომში ნაჩვენებია საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობაზე სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების წარმოშობა და მათი დანერგვის კვალობაზე მოპოვებული მიღწევები მეექვსე ხუთწლედში. შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალი მეთოდების გამოყენებაში კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გამოხმაურება რსფსრ, უკრაინისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების სამრეწველო ცენტრების მუშათა თაოსნობებზე, მათთან ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების გაგრძელება-გაფართოება.

ტომში საუბარია ქართველ კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაზე რუს, უკრაინელ, აზერბაიჯანელ და სომეხ კოლმეურნეებთან, მათ მონაწილეობაზე სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საგულისხმოა, რომ 1946 – 1958 წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს სოფლის 1066 მშრომელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო სამ მათგანს მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნებისა და შემდგომი მიღწევებისათვის მეორედ მიენიჭა ეს მაღალი საპატიო წოდება.

მშრომელთა პოლიტიკურ აქტივობას მოწმობდა უპირველეს ყოვლისა კომუნისტური პარტიის რიგების ზრდა. 1958 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში იყო 196 786 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 1953 წელთან შედარებით პარტიის რიგები გაიზარდა 23 797 კაცით.

საზოგადოების პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლების მკაფიო გამოხატულება იყო მასების მხარდაჭერა პარტიის გადაწყვეტილებებისადმი და თავდადებული ბრძოლა მათი განხორციელებისათვის. ტომში ნათქვამია 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბირთვის შემადგენლობის სამგზის ცვლილება-განახლების, თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნისა და გაუქმების თაობაზე.

მშრომელთა ბეჯითი შრომის შედეგად მეექვსე ხუთწლედის სამი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, თუმცა რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია არათანაზომიერად იზრდებოდა, ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაშიც.

ტომში მოცემულია საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დახასიათება ომის შემდგომ პერიოდში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენდა დიდი სამამულო ომის წლებში მკვეთრად გაუარესებული ხალხის მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იყო საბარათო სისტემის გაუქმება და ფულის რეფორმის განხორციელება 1947 წლის დეკემბერში, აგრეთვე სასურსათო საქონელზე და მასობრივი მოხმარების სამრეწველო საქონელზე სახელმწიფო საცალო ფასები მრავალგზის შემცირება. დამოწმებულია სტატისტიკური მასალები მუშა-

მოსამსახურეთა ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდების, საზოგადოებრივი ფონდების განუხრელი ზრდის საილუსტრაციოდ. იზრდებოდა საბჭოთა ვაჭრობის ყველა ფორმა – სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო. ორჯერ და მეტად გადიდდა საცალო საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე. გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, დაინერგა ვაჭრობის პროგრესული ფორმები.

მეოთხე და განსაკუთრებით კი მეხუთე ხუთწლედში გადიდდა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, მათ შორის საბინაო მშენებლობაშიც. მაგრამ ვერ იქნა უზრუნველყოფილი მათი ათვისება, რის გამოც ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობის სახელმწიფო გეგმები წლიდან წლამდე შეუსრულებელი რჩებოდა.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის კომუნალური და სამედიცინო მომსახურების დახასიათებას. ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა საავადმყოფოებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი, გაიზარდა სამედიცინო კადრების რაოდენობა. დიდი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს კურორტების აღდგენისა და შემდგომი კეთილმოწყობისათვის.

სათანადო ადგილი ეთმობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს ომის შემდგომ პერიოდში. გაიზარდა ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობა. განმტკიცდა სპორტული მატერიალური ბაზა, რამაც ხელი შეუწყო ქართველ სპორტსმენთა სანაქებო წარმატებებს საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას მოჰყვა მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი გადიდება. 50-იანი წლების ბოლოს საქართველოს მოსახლეობა აღემატებოდა 4 მლნ კაცს, ანუ 20 წლის განმავლობაში გაიზარდა 504 ათასით. საგრძნობლად იმატა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობამ (607 ათასით), ხოლო სოფლისა შემცირდა (175 ათასი კაცით). ეს გარემოება განაპირობა მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობრივმა ზრდამ. ტომის ავტორებმა მკითხველებს შეძლებისდაგვარად მიაწოდეს სრული მონაცემები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა, მუშათა ცალკეული ჯგუფების რაოდენობა და მრეწველობის სხვადასხვა დარგში მათი თანაფარდობა, საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა დასაქმება, ქალთა შრომის გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

სამამულო ომმა დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა ქვეყნის როგორც სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე მეცნიერების განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაზე. ომის შემდგომ პერიოდში უდიდესი ყურადღება მიექცა სახალხო განათლების შემდგომ გარდაქმნა-სრულყოფას. საქართველოში საშუალო სკოლა გადავიდა თერთმეტწლიან, ხოლო არასრული საშუალო სკოლა 8-წლიან სწავლებაზე. ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, საქართველოშიც განხორციელდა მსხვილ ქალაქებში საყოველთაო

საშუალო, ხოლო სოფლის რაიონებში არასრულ საშუალო სწავლებაზე გადასვლა. გაფართოვდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. მეექვსე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე საქართველოში აშენდა 143 ახალი სასკოლო შენობა, მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში, რამაც ხელი შეუწყო სამცვლიანი და ორცვლიანი სწავლების შეკვეცას. ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე სახალხო განათლების დარგში არსებულ ნაკლოვანებებზე, მოცემულია ციფრობრივი მასალა საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კონტინგენტის დინამიკისა და სპეციალისტთა მომზადების რაოდენობის შესახებ.

ტომში ფართოდაა წარმოდგენილი ომის შემდგომი ქართული მეცნიერების განვითარების მთავარი მიმართულებანი. ამ პერიოდში სწრაფად ვითარდებოდა მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ხოლო მეხუთე ხუთწლედში განსაკუთრებით სწრაფად სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი. ხაზგასმულია ქართული მათემატიკური, ფიზიოლოგიური, გეოლოგიური, ენათმეცნიერული და ფსიქოლოგიური სამეცნიერო სკოლების დიდი წარმატებანი, რომლებმაც მათ მსოფლიო აღიარება მოუტანა. მაღალ დონეს მიაღწია სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ მედიცინისა და ბიოლოგიის დარგში. შეიქმნა მთელი რიგი ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დაწესებულებანი.

ნაჩვენებია იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება, რომელიც ნაკარნახევი იყო განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების განხორციელების აუცილებლობით. გაფართოვდა საქართველოს კულტურული ურთიერთობა არა მარტო მოძმე რესპუბლიკებთან, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებთანაც. დაარსდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება.

დიდი ყურადღება დაეთმო ომის შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხებს. ნაჩვენებია ამ პერიოდში ჩატარებული ქართველ მწერალთა III (1946) და IV (1954) ყრილობებისა და კონფერენციების მნიშვნელობა ეროვნული მწერლობის განვითარებაში. დასახელებულია ომის შემდგომ პერიოდში შექმნილი ყველაზე მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები, ქართული კლასიკური და საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის თარგმანები. ომის შემდგომ ქართულ მწერლობას შეემატა ახალგაზრდა პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგთა და ლიტერატურის კრიტიკოსთა ახალი თაობა. ნაჩვენებია აფხაზი, ოსი, საქართველოში მომუშავე რუსი და სომეხი მწერლების შემოქმედება.

დახასიათებულია ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება, კერძოდ, უმნიშვნელოვანესი თეატრალური დადგმები, ქართული თეატრების კონტაქტები მოძმე რესპუბლიკების თეატრალურ კოლექტივებთან. ამ პერიოდში თბილისში ორჯერ ჩატარდა აზერბაიჯანისა და სომხეთის

თეატრების გაცვლითი გასტროლები, რომელთაც ეწოდა ამიერკავკასიის თეატრალური გაზაფხული. თეატრალური ხელოვნების განვითარებას დიდად უწყობდა ხელს სახელმოხვეჭილი საბჭოთა თეატრების გასტროლები საქართველოში და ქართული თეატრებისა მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

განსაკუთრებით დიდ აღმავლობას განიცდიდა ეროვნული კინემატოგრაფია 50-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ქართულ კინოში მოვიდა ნიჭიერ რეჟისორთა და მსახიობთა ახალი თაობა, რომელმაც შექმნა არაერთი ფრიად საყურადღებო კინონაწარმოები.

ეს პერიოდი ერთგვარად გარდატეხის ეტაპია ქართული სახვითი ხელოვნების - ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგების განვითარებაში, რაც გამოიხატა თანამედროვეობის თემატიკის მრავალფეროვნებაში. სახვითი ხელოვნების წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხატვართა III (1955) და IV (1958) ყრილობებს, არქიტექტორთა III (1947) და IV (1955) ყრილობებს, მხატვართა კონფერენციებს, ტრადიციულ და საიუბილეო გამოფენებს. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული ქართული ჭედური ხელოვნების აღორძინება და ახალი ეტაპი ქართული კერამიკის განვითარებაში.

ტომში წარმოჩენილია ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნებისა და ქორეოგრაფიის, ასევე ხალხური თვითმოქმედების განვითარება ომის შემდგომ პერიოდში, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი კონტაქტების გაფართოება მოძმე საბჭოთა ხალხების მუსიკალურ შემოქმედებასთან. ჩატარდა "ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული" და მუსიკალური დეკადები, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული მუსიკის გამდიდრებასა და მისი მიღწევების პროპაგანდას. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ინსტრუმენტულმა და კამერულმა მუსიკამ, დასაბამი მიეცა საესტრადო სიმღერის ინტენსიურ განვითარებას. ქართველმა კომპოზიტორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მუსიკალური კულტურის საგანძურში.

უდიდესი წარმატება ხვდა წილად ქართულ საბალეტო ხელოვნებას და ხალხურ ქორეოგრაფიას ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, რომელიც გაიმართა 1958 წლის მარტში მოსკოვში. ტომში მოცემულია ამ დეკადის, ასევე საქართველოს დედაქალაქის – თბილისის 1500 წლის იუბილეს მოკლე დახასიათება.

ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის გადმოცემას საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლის მეცნიერული განზოგადება.

წყაროები. დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხების მეცნიერული შესწავლის მთავარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX და XX ყრილობებისა და საქართველოს კომპარტიის XIV (1959), XV (1952), XVI (1954), XVII (1956) და XVIII (1958) ყრილობების მასალები, რომლებშიც მოცემულია ომით დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ომის შემდგომი განვითარების, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების ძირითადი ამოცანები. მათი გადაჭრის შედეგების, საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებისა და საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მთავარ ტენდენციათა და მიმართულებათა ანალიზი.

ხსენებული მასალების ნაწილი გამოქვეყნებულია სათანადო კრებულებში[38] ან ცალკე გამოცემების სახით. დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, ხოლო XV, XVI, XVII და XVIII ყრილობების მასალები მხოლოდ ნაწილობრივ არის დასტამბული. ამ ყრილობების სტენოგრაფიული ანგარიშები და სხვა მასალები, მათ შორის ხელმძღვანელ ორგანოებში ცალკეულ უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშები, მოხსენებითი ბარათები, პერიოდულად ჩატარებულ შემოწმებათა და ცალკეულ საკითხთა განსახილველად შეკრებილი სხვადასხვა ხასიათის ცნობები და დოკუმენტური მასალები დაცულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივში, აგრეთვე საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების არქივებში. საქართველოს ომის შემდგომი პერიოდის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლისათვის საჭირო მასალების ნაწილი თავმოყრილია საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში) და აგრეთვე საუწყებო არქივებში.

ომის შემდგომი პერიოდის ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის შესწავლისას პარტიული არქივის მასალებთან ერთად გამოყენებულია ლიტერატურული, თეატრალური მუზეუმებისა და შემოქმედებითი კავშირების საარქივო მასალები.

საბჭოთა საზოგადოების ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებას ემსახურება სამეურთნეო საკითხებზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივების პუბლიკაცია[39]. ომის შემდგომ პერიოდს ეხება ამ გამოცემის III და IV ტომის ნაწილი. წყაროს ხასიათისაა ასევე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომლებიც ყოველთვიურად იბეჭდება ქართულ და რუსულ ენებზე[38]. წყაროს მნიშვნელობა ენიჭება საცნობარო ხასიათის ლიტერატურას. მაგალითად, საინტერესო ფაქტობრივ მასალებს, დოკუმენტებს, წერილებსა და მემუარებს სათანადო პირველწყაროების მითითებით შეიცავს უძველესი დროიდან ჩვენს

დღეებამდე რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ 1961 წელს ორ წიგნად დასტამბული მეგობრობის მატიანე[39]. გამოქვეყნებული და საარქივო მასალების საფუძველზეა შედგენილი საბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე, რომელიც 1967 წელს გამოქვეყნდა[40]. აქ ქრონოლოგიური წესითაა მოცემული მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები და მოვლენები, რაც საშუალებას იძლევა დაზუსტდეს ზოგიერთი ისტორიული თარიღი. საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევართ უთუოდ დახმარებას უწევს უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ცნობარები[41]. ისინი იძლევიან პასუხს საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კმოკავშირული ორგანიოების ყრილობების, სესიების, კონფერენციებისა და პლენუმების ჩატარების, საქართველოს კომპარტიის ეროვნული და სოციალური შემადგენლობისა და ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურული ცვლილებების შესახებ.

ისტორიული კვლევა-ძიებისათვის ძვირფასი წყაროა სტატისტიკა. რეგულარულად ქვეყნდებოდა საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების ამსახველი სტატისტიკური კრებულები. მათი გამოყენება იძლევა ისტორიულ მოვლენათა განვითარების ძირითადი ტენდენციისათვის თვალის გადევნების შესაძლებლობას, წარმოდგენას ცალკეული ფაქტისა თუ მოვლენის მასშტაბურობის, ხარისხისა და დონის შესახებ.

როგორც საბჭოთა საზოგადოების ისტორიის სხვა პერიოდებისათვის, ასევე ომის შემდგომი წლების ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი წყაროა პრესა, რომელიც ხასიათდება მასალების დიდი მრავალფეროვნებით. ისინი ეხებიან ომის შემდგომი სახალხო მეურნეობისა და კულტურის, საბჭოთა ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების თითქმის ყველა მხარეს. განსაკუთრებით დიდია პრესის მნიშვნელობა ფაქტობრივი მასალის შემცველობის თვალსაზრისით. პრესის მასალების გარეშე შეუძლებელია მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შემოქმედებითი და პოლიტიკური აქტივობის კონკრეტული ფორმების შესწავლა. იგი იძლევა მასალებს აგრეთვე სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა და სიძნელეების თაობაზე. საგაზეთო და საჟურნალო მასალების გამოყენება საარქივო დოკუმენტებისა და სხვა სახის მასალებთან მათი შეჯერების მეოხებით ხელს უწყობს წყაროებისადმი კრიტიკულ მიდგომასაც.

ამრიგად, საქართველოს ომის შემდგომი ისტორიის წყაროები თითქმის სრულიად გამოუქვეყნებელია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დოკუმენტური მასალების ნაწილს, რომელიც პრესაში იბეჭდებოდა, რამაც პრესა პირველწყაროდ აქცია.

ისტორიოგრაფია. როგორც მთლიანად საბჭოთა საზოგადოების ისტორიის, ასევე მისი ცალკეული ეტაპების მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებით გაფართოვდა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. სკკპ XX

ყრილობამ დასაბამი მისცა საბჭოთა ისტორიოგრაფიის ახალ ეტაპს. გადაჭრით დაისვა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შემოქმედებითად მომარჯვების საფუძველზე ისტორიული პროცესებისა და მოვლენების ობიექტური შესწავლის ამოცანა. ამ ამოცანების შესატყვისად, საბჭოური ისტორიოგრაფიის ახალი ეტაპი ხასიათდება საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების კონკრეტული საკითხების უფრო სიღრმისეული და მრავალმხრივი შესწავლით.

ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ პირველი ნაშრომია 1960 და 1968 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე დასტამბული საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ტომის უკანასკნელი თავები, რომელშიც მოკლედაა გადმოცემული ომის შემდგომ წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კუტურული განვითარების ყველა ძირთიადი საკითხი. აღნიშნული პერიოდის შესწავლას მიეძღვნა რამდენიმე სადოქტორო[42] და საკანდიდატო დისერტაცია[43]. ამ ნაშრომებში, რომლებიც ემყარებიან მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას, პირველ რიგში ავტორების მიერ მიკვლეულ და მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანილ საარქივო მასალებს, სსრ კავშირის მთელი ომის შემდგომი განვითარების, საერთო ისტოიულ ფონზე გაშუქებულია საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, მუშათა კლასის ისტორიის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საკითხები; ახსნილია ის სიძნელენი, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელი იყო ომით დაზარალებული საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება. ზოგიერთი სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები სცილდება ომის შემდგომ წლებს და მოიცავს განვითარებული სოციალისტური საზოგადობის და კომუნისტური მშენებლობის ეტაპსაც.

ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებს ეხება ისტორიულ-პარტიული მეცნიერების თემატიკაზე დაცული სადოქტორო[44] და საკანდიდატო დისერტაციები[45], რომელთაგან ზოგი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა.

ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის ცალკეული პრობლემებიდან სადღეისოდ ყველაზე ფართოდ არის შესწავლილი მუშათა კლასის ისტორიის საკთხები. მ. ნათმელაძისა და ნ. სტურუას გამოკვლევაში[46] გაშუქებულია 1946 – 1958 წლებში რესპუბლიკის მუშათა კლასის ბრძოლა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების აღდგენა-განვითარებისა და შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური საზოგადოების სრული და საბოლოო გამარჯვების პერიოდში. განხილულია მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის, მის შემადგენლობაში მომხდარი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებების, საქართველოს მუშათა კლასის საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სხვა ეროვნულ რაზმებთან ძმური

მეგობრობის განმტკიცების, საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი ამაღლებისათვის კოლმეურნე გლეხობისადმი დახმარების, მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და სხვა საკითხები.

ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის საკითხები გაშუქებულია ს. შარიქაძის მონოგრაფიაში "საქართველოს მუშათა კლასი ომის შემდგომ პერიოდში (1946 – 1963)", რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში ნაჩვენებია ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმების განხორციელებისათვის საქართველოს მუშათა კლასის თავდადებული შრომა. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების წარმოშობა-განვითარებას მრეწველობაში, მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას, მეცნიერებისა და წარმოების კავშირის გაფართოებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობის საკითხებს. მონოგრაფია ეხება მუშათა კლასის აქტიურ მონაწილეობას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებასა და სოფლის მეურნეობის კადრებით განსამტკიცებლად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებათა განხორციელებაში.

საქართველოს მუშათა კლასის ომის შემდგომი ისტორიის პრობლემატიკას მიეძღვნა ს. ჩხარტიშვილის მონოგრაფია "სოციალისტური შეჯიბრების ისტორია საქართველოს მრეწველობაში (1926 – 1973 წწ.)", რომელიც 1974 წელს დაიბეჭდა. ნაშრომის ძირითადი მიზანია აჩვენოს სოციალისტური შრომის ფორმები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამიტომ, ბუნებრივია, წიგნში ცალკე თავი ეთმობა სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარებას 1946 – 1958 წლებში. ნაშრომში დახასიათებულია მუშათა მასების შრომითი შეჯიბრების განვითარების ძირითადი ეტაპები, გამომგონებლობა და რაციონალიზატორობა, მეცნიერებისა და წარმოების კავშირი.

1966 წელს დაიბეჭდა გ. ლეჟავას მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი "აფხაზეთის მუშათა კლასის შრომითი გმირობა (1946 – 1965 წწ.)". ნაშრომში განხილულია სოციალიზმის აშენების დამთავრებისა და მომდევნო პერიოდში – კომუნისტური მშენებლობის წლებში – აფხაზეთის მუშათა კლასის შრომითი აქტივობის ზრდა-განვითარების, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების აღმოცენება-დანერგვისა და მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საკითხები.

ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ისტორიის საკითხები გაშუქებულია აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების მეორე წიგნში[47]. მასში ნაჩვენებია ქართველ ხალხთან ერთად აფხაზეთის მშრომელთა მიერ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული მიღწევები. იგი პირველი ცდაა

საბჭოთა ხანის, მათ შორის ომის შემდგომი წლების აფხაზეთის ისტორიის სისტემატური გადმოცემისა.

ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 50-იანი წლების მეორე ნახევარში, გამახვილდა ყურადღება საქართველოს ქალაქების განვითარების სხვადასხვა საკითხის ისტორიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიული შესწავლისადმი. ისტორიული მეცნიერებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ნარკვევებს, როგორიცაა "თბილისი" (1957), ვ. ჯაოშვილის "ჭიათურა" (1959), ნ. ნაჭყებიას "ფოთი" (1957); ამავე პერიოდში დაიბეჭდა შ. მესხიას, დ. გვრიტიშვილის, ა. სურგულაძის "თბილისის ისტორია" (1958).

ისტორიული მეცნიერების ინტერესი სოციალისტური ქალაქების ისტორიისადმი უფრო გაფართოვდა 60-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც პარტიამ საჭიროდ მიიჩნია 30-იან წლებში დიდი პროლეტარული მწერლის მ. გორკის ინიციატივით დაწყებული ქალაქებისა და ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შექმნის სამუშაოთა განახლება. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც ერთ-ერთ საკვლევ პრობლემად დაისახა საქართველოს ინდუსტრიული ცენტრების – სოციალისტური ქალაქების აღმოცენება-განვითარების ისტორიის კვლევა-ძიება.

ახალ, სოციალისტურ ქალაქებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქ რუსთავს, ისტორიის ბედუკუღმართობით იავარქმნილი შუა საუკუნეების ქალაქი 40-იანი წლების ბოლოდან ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ბაზაზე ხელახლა აღმოცენდა. ამიტომ, ბუნებრივია, რუსთავის შესახებ უკვე 50-იან წლებში დაიწერა რამდენიმე პოპულარული ნარკვევი[48].

1965 წ. დაიბეჭდა ქ. თოფურიძის ისტორიული ხასიათის ნარკვევი "რუსთავი", რომელიც დაწერილია ძირითადად საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მასალების, სოციალისტური ქალაქების შესახებ არსებულ ზოგად და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით. ნაშრომში, ერთი მხრივ, უმთავრესი ყურადღება ეთმობა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე ქალაქის მშენებლობის ისტორიას, მშენებელთა და მეტალურგთა მრავალეროვანი კოლექტივის შემოქმედებითი შრომის დახასიათებას, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ქალაქ რუსთავს, მისი მოსახლეობის ინტერნაციონალურ შემადგენლობას, სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივების კავშირ-ურთიერთობას მოძმე რესპუბლიკების სოციალისტური ქალაქების შრომით კოლექტივებთან, საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოებთან.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის ომის შემდგომი პერიოდის სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორია მონოგრაფიულად შეუსწავლელია. ამ პრობლემის რიგი საკითხები გაშუქებულია საქართველოს ისტორიის მესამე ტომში, აგრეთვე ორიოდე ნარკვევში[49].

ომის შემდგომ წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დახასიათება მოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების დამხმარე სახელმძღვანელოებში[50], საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში (თბ., 1971), საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევებში (თბ., 1972), ქართველი ეკონომისტების მიერ გამოცემულ წიგნებში[51], საიუბილეო ისტორიულ-ეკონომიკური ხასიათის ნარკვევებში[52].

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება სსრ კავშირში, მათ შორის საქართველოში, განაპირობა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ, რომლის გამოცდილება საბჭოთა ხანაში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის, ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნა-განვითარების განზოგადების საფუძველზე ნაჩვენებია გ. ბრეგაძის მონოგრაფიაში "საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება" (1970).

ომის შემდგომი საქართველოს ისტორიის შესწავლაში მოპოვებულ წარმატებათა მიუხედავად ხარვეზებიც დიდია. ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა სპეციალური მონოგრაფია, რომელშიც სრული და სისტემატური სახით იქნებოდა გადმოცემული ფაქტებითა და მოვლენებით მდიდარი საქართველოს ომის შემდგომი პერიოდის ისტორია. ასეთი ისტორიის დაწერა გულისხმობს კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევების შექმნას. კულტურული მშენებლობის სხვადასხვა სფეროს გამთლიანებული შესწავლის ცდას წარმოადგენდა დ. მაისურაძის წიგნი "Культура Советской Грузии" (1962) და ზ. ბაბუნაშვილის წიგნი "ქართული საბჭოთა კულტურა ნახევარი საუკუნის მანძილზე" (1974), რომლებშიც დახასიათებულია ქართული საბჭოთა კულტურის განვითარების ძირითადი მიმართულებანი, კულტურული რევოლუციის განხორციელების შედეგად ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობის პროცესი. 1972 წ. გამოქვეყნებული წიგნი – "საქართველოს სსრ კულტურა" არსებითად საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის მშენებლობის მიმოხილვას წარმოადგენს, რომელშიც ომის შემდგომი პერიოდის ქართულ კულტურას არც თუ ისე დიდი ადგილი აქვს დათმობილი. წინამდებარე ტომმა რამდენადმე უნდა შეავსოს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი. ამჯერად ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხები ისტორიული მეცნიერების მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მომუშავე სპეციალისტთა ნაშრომების სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სოციალიზმის მშენებლობის ცალკეულ ეტაპებზე, მათ შორის ომის შემდგომი წლების, სოციალიზმის აშენების დამთავრების პერიოდის ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების

ისტორიული გზის შესახებ მეცნიერულად სრულფასოვანი გამოკვლევის შექმნა გულისხმობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის მეცნიერ-სპეციალისტთა მუშაობის კოორდინაციას. ისტორიული მოვლენების კომპლექსური შესწავლა ხომ თანამედრვეობის მოთხოვნაა.

ტომში გათვალისწინებული ისტორიოგრაფიული ბაზა ასახავს საქართველოს უახლესი ისტორიის ომის შემდგომი ეტაპის მეცნიერული შესწავლის დონეს. მაგრამ ეს ლიტერატურა, როგორც ჩვენი მიმოხილვიდანაც ჩანს, მცირეა და, ბუნებრივია, ყველა საკვანძო საკითხის მთელი სიღრმე-სიგანით გაშუქების შესაძლებლობას ვერ იძლევა.

---

[35] ”საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა”, თბ., 1971, გვ. 28.

[36] “Международное революционное движение рабочего класса», под редакцией **Б. Н. Пономарева** (гл. ред.), **А. А. Арзуманян, В. И. Статина и Т. Т. Тимофеева,** М., 1964, стр. 77.

[37] «Международные отношения и внешняя политика СССР (1917 – 1960 гг.)», стр. 406.

38 «Коммунистическая партия Советского Союза в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК», том шестой 1941 – 1954 гг., М., 1971; том седьмой, 1955 – 1959 гг.,

39 «Решения партии и правительства по хозяйственным вопросам», т. 3, 4, М., 1968.

М., 1971.

39 «Решения партии и правительства по хозяйственным вопросам», т. 3, 4, М., 1968.

[38] იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი 1941 – 1958 წლებისა.

[39] «Летопись дружбы», книга первая и вторая, Тб., 1967.

[40] “საბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე 1921 – 1966 წწ.”, თბ., 1967.

[41] «Коммунистическая партия Грузии в цифрах (1931 – 1970 гг.)», сборник статистических материалов Тб., 1971; “საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები”, თბ., 1970.

[42] **Н. И. Стуруа,** Грузинская ССР в послевоенный период (1945 – 1953 гг.), 1964; **ს. შარიქაძე,** საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1945 – 1965 წწ.), 1968; **კ. ტოტოჩავა,** საქართველოს სსრ ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ისტორია (1921 – 1958 წწ.), 1971; **В. Карчава.** Абхазская автономная Советская социалистическая республика в послевоенный период (1945 – 1965 гг.), 1975.

[43] **ე. ქვათაძე,** საკოლმეურნეო სოფელი სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში (საქართველოს სსრ წითელწყაროს მაგალითზე), 1966; **გ. ლეჟავა,** აფხაზეთის მუშათა კლასი ომის შემდგომ პერიოდში (1945 – 1953 წწ.), 1966; **ვ. სახეიშვილი,** აფხაზეთის მშრომელები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, 1968; **Н. Г. Датешидзе,** Трудящиеся Грузии в борьбе за развитие химической промышленности в период Великой Отечественной войны Советского Союза и послевоенного мирного строительства (1941 – 1955 гг.), 1971.

[44] **В. Н. Агеев,** Партийные организации Закавказья в борьбе за развитие социалистического соревнования и распространения передового опыта (1950 – 1965 гг.), 1970; **ვ. ქარუმიძე,** საქართველოს კომკავშირის საქმიანობა კომუნიზმის მშენებლობაში ახალგაზრდობის როლის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებათა ცხოვრებაში გატარებისათვის (1946 – 1965 წწ.), 1974.

[45] **Н. Г. Черкезишвили.** Работа партийной организации Грузии в области партийной пропаганды (в период между XX – XXII съездами КПСС) 1963; **К. В. Цкитишвили,** Пропаганда Ленинских идей дружбы народов в печати Грузии (1956 – 1961 гг.), 1963; **К. С. Челидзе,** Массово-политическая работа партийных организации Грузии (период между XX – XXII съездами КПСС), 1965; **შ. ჯაფარიძე,** აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაცია სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის ბრძოლაში (1946 – 1965 წწ.), 1966; **Х. Авидзба,** Абхазская организация Компартии Грузии в борьбе за организационно-хозяйственное укрепление колхозов (1946 – 1966),

1970; **გ. ნანსყანი,** საქართველოს მაღალმთიანი რაიონების პარტიული ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1921 – 1950 წწ.) ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიისა და ყაზბეგის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, 1970; **გ. ბაკურაძე,** საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა პარტიული კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის ომისშემდგომ პერიოდში (1945 – 1954 წწ.), 1971; **ბ. კვარაცხელია,** საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაცია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის პერიოდში (1946 – 1950 წწ.), 1971; **გ. საითიძე,** საქართველოს პარტიული და საბჭოთა პრესა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში (გაზ. "კომუნისტის" და "Заря Востока"-ს მაგალითზე), 1971; **ა. წოწკოლაური,** საქართველოს კომუნისტური პარტიის ღონისძიებანი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეცნიერო განმტკიცებისათვის (1951 – 1955 წწ.); **მ. ქვარცხავა,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაცია სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში (1946 – 1965 წწ.), 1972; **რ. ჯანაშია,** საქართველოს კომპარტიის ბრძოლა მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის (1946 – 1955 წწ.), 1975.

[46] **М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа,** Из истории рабочего класса Грузии (1921 – 1958 гг.), Тб., 1951.

[47] "Очерки истрии Абхазской АССР», ч. II, Сухуми, 1964.

[48] **შ. ღონღაძე,** ქართველი მეტალურგები, თბ., 1955; **П. Мусеридзе,** Новый социалистический город Рустави и содружество народов СССР, Тб., 1957; **Ш. Багашвили, Л. Кулага,** Рустави, М., 1958.

[49] **ლ. დოიჯაშვილი,** საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის მეხუთე ხუთწლედში (გორის რაიონის მაგალითზე), თბ., 1959; **Т. Жгенти,** Колхозное крестьянство Абхазской АССР в борьбе за восстановление и развитие сельского хозяйства в послевоенный период (1945 – 1958 гг.), Тб., 1961.

[50] "საქართველოს ისტორია", სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VIII – X კლასებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958; "საქართველოს ისტორია", დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. III, თბ., 1960; «История Грузии», т. III, Тб., 1968.

[51] «Грузинская ССР, краткий историко-экономический очерк», под редакцией проф. П. В. Гугушвили, М., 1957; "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 – 1961 წწ.", თბ., 1961 და სხვ.

[52] **ს. შარიქაძე,** საბჭოთა საქართველოს 40 წელი, თბ., 1961; **Н. Н. Стуруа.** Советская Грузия к 50-летию Октября, Тб., 1967; «Сорок лет Советской Грузии», краткий очерк, Тб., 1961; «Промышленность Грузии за 40 лет. 1921 – 1961 гг.», Тб., 1961; «Грузия», краткий исторический очерк, Тб., 1961.

§ 3. განვითარებული სოციალიზმის პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია

XX საუკუნის 50 – 60-იანი წლების მიჯნაზე სსრ კავშირში დაიწყო სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადაზრდის ახალი ისტორიული პერიოდი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ, რომელიც 1959 წლის იანვარ –თებერვალში მიმდინარეობდა, განაზოგადა საბჭოთა ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების შედეგები ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში და გააკეთა დიდმნიშვნელოვანი თეორიული დასკვნა იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვა არა მარტო

მთლიანად, არამედ საბოლოოდაც, “ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისა და მისი სრული საბოლოო გამარჯვების საკითხი გადაჭრილია საზოგადოებრივი განვითარების მსოფლიო ისტორიული მსვლელობით”[1]

როგორც ცნობილია, 30 –იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში ძირითადად აშენდა სოციალიზმი. ”ახორციელებდა რა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას, ჩვენმა ხალხმა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, მოახდინა უღრმესი გარდაქმნები. გადალახეს რა თავიანთ გზაზე ყველა სიძნელე, ამსხვრევდნენ რა კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტების – ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვათა წინააღმდეგობას, ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვეს ისტორიული გამარჯვება, ააშენეს ახალი, სოციალისტური საზოგადოება”[2]

სსრ კავშირი გახდა მძლავრი ინდუსტრიულ – საკოლმეურნეო სახელმწიფო, სოციალისტური სექტორი გაბატონდა მთელ სახალხო მეურნეობაში. ამ ისტორიული მოვლენით დაიწყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამამთავრებელი ეტაპი, რომლის კანონზომიერი განვითარება შეაფერხა დიდმა სამამულო ომმა.

ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ომის მძიმე შედეგების დაძლევის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი დაჩქარებული განვითარების შედეგად, საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების განმტკიცების საფუძველზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად შეიქმნა მძლავრი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, შემდგომ განვითარდა სოციალისტური დემოკრატია, განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ – პოლიტიკური ერთიანობა, შეიქმნა განვითარებული სოციალისტური კულტურა, ერების ყოველმხრივ აყვავებასთან ერთად გაღრმავდა მათი დაახლოების პროცესი. ამ ამოცანების გადაწყვეტა კი, როგორც ვ.ი. ლენინი წერდა, ნიშნავდა “განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნას”[3]

მას შემდეგ, რაც შეიქმნა მსოფლიოს სოციალისტური ბანაკი, გაფართოვდა საეთაშორისო მუშათა მოძრაობა, და ეროვნულ –განმათავისუფლებელი მოძრაობა, სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა მებრძოლი ძალების თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე, მოისპო სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობა. მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, “სოციალისტური წყობილების გამარჯვება ამა თუ იმ ქვეყანაში შეგვიძლია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებად მივიჩნიოთ, ხოლო კაპიტალიზმის რესტავრაცია შეიძლება გამორიცხულად მივიჩნიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური პარტია, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა, მტკიცედ ახორციელებს მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებაში; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

პარტია დაუცხრომლად განამტკიცებს ქვეყნის თავდაცვას, მისი რევოლუციური მონაპოვრების დაცვას, თუ თვითონაც ფხიზლად არის და ხალხსაც უნერგავს სიფხიზლეს კლასობრივი მტრის მიმართ, შეურიგებლობას ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წმინდად იცავს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, განამტკიცებს ერთიანობასა და ძმურ სოლიდარობას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან[4].

ამრიგად, სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების ისტორიული ფაქტი გამოხატავს არა მარტო საბჭოთა ქვეყნის შიგნით მომხდარი ძირეული ცვლილებების შედეგს, არამედ აგრეთვე ძალთა თანაფარდობის სოციალიზმის სასარგებლოდ შეცვლას საერთაშორისო ასპარეზზე.

50- იანი წლების დამლევისათვის დაიწყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინა ეტაპებისაგან. თუ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპს დასაბამი მისცეს პირველმა მსოფლიო ომმა და დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მეორე ეტაპი კი დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომთან, ფაშიზმის განადგურებასთან და ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბების დასაწყისთან, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპი დაიწყო კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების მშვიდობიანი შეჯიბრებისა და ბრძოლის პროცესში. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია სოციალიზმის გამარჯვება ქვეყნების ერთ ჯგუფში, კაპიტალიზმის ბატონობისა და გავლენის სფეროების მკვეთრი შეკვეცა, იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა გამძაფრება, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის ახალი აზვირთება, ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის უმაგალითო გაქანების შედეგად იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვრევა, მრავალი წინათ ჩაგრული ქვეყნის დადგომა დამოუკიდებელი განვითარების გზაზე, ყოველივე ეს ნათლად მოწმობს მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემდგომ გაღრმავებას.

სოციალისტური სისტემის შექმნასთან ერთად წარმოიწვა ახალი კანონზომიერებანი სახელმწიფოთა ურთიერთობაში – სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდახმარება და ძმური თანამშრომლობა, შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება და ეკონომიკური ინტეგრაცია, ეკონომიკის განვითარების გეგმიური ხასიათი, ეკონმიკის ზრდის სწრაფი და მყარი ტემპები და სხვ. ამ კანონზომიერებათა ობიექტურ საფუძველს ქმნის ის, რომ სოციალისტურ ქვეყნებს აქვთ ერთი ტიპის ეკონომიკური ბაზისი, ერთი ტიპის სახელმწიფო წყობილება, ერთიანი იდეოლოგია, საერთო ინტერესები რევოლუციურ მონაპოვართა დაცვაში იმპერიალისტური ბანაკის მხრივ ხელყოფისაგან და ერთიანი დიადი მიზანი – კომუნიზმი.

სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა - საგარეო ვაჭრობა, სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, სახელმწიფოთაშორისო

სპეციალიზაცია და კოოპერირება, მეცნიერულ – ტექნიკური თანამშრომლობა და სხვა, სავსებით შეესაბამება ეროვნული სახელმწიფოების განვითარების ინტერესებსა და ამოცანებს. ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში ყველა სოციალისტურ ქვეყანას ექმნება დამატებითი შესაძლებლობანი რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი რესურსები და ბუნებრივი სიმდიდრენი სახელმწიფო სუვერენიტეტის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება მოასწავებს კომუნისტური საზოგადოებრივ –ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ნიშნების ცხოვრებაში დამკვიდრებას. “სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების ნაცვლად ჩვენ ახლა გვაქვს მეურნეობის მომწიფებელი, კარგად აღჭურვილი ტექნიკური სისტემა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად...

მუშათა კლასის წამყვანი როლის შენარჩუნების პირობებში ჩვენშთი განხორციელდა ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოების შესამჩნევი პროცესი, სულ უფრო გარკვევით მკვიდრდება სოციალისტური საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება, აქტიურად იშლება არსებითი განსხვავებანი ფიზიკურ და გონებრივ შრომას, ქალაქად და სოფლად შრომისა და ცხოვრების პირობებს შორის.

უდიდესი ნახტომი მოახდინა ომის შემდეგ ჩვენმა საზოგადოებამ კულტურული განვითარების დარგში...

მნიშვნელოვნად წაიწია წინ სოციალისტური დემოკრატიის განვითარებამ, - განმტკიცდა მართლწესრიგი, განვითარდა კანონმდებლობა, ამაღლდა საბჭოების როლი და აქტივობა.

ყველა ამ ძირეულმა ცვლილებამ ჩვენს პარტიას შესაძლებლობა მისცა გამოეტანა დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პოლიტიკური დასკვნა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომით აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება[5].

ვ.ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კომუნიზმი უნდა აღმოცენედეს სოციალიზმიდან, როგორც მისი საკუთარი განვითარების შედეგი. სოციალიზმის სრული გამარჯვება სსრ კავშირში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის წინსვლის გზაზე, რადგან, როგორც სკკპ პროგრამაშია აღნიშნული, განვითარებული სოციალიზმის პირობებში წყდება კომუნიზმის მშენებლობის სამართლიანი ამოცანა. იქმნება კომუნიზმის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, ხორციელდება სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნა კომუნისტურ წარმოებით ურთიერთობებად, აგრეთვე ახალი, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბება.

კომუნიზმის მშენებლობის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ეს სამი ძირითადი ამოცანა, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ პროგრამაში, ასახავს კომუნიზმის გზით

სოციალისტური საზოგადოების განვითარების მთავარი სფეროების ობიექტურ კანონზომიერებათა მოთხოვნას.ამ მოთხოვნათა საფუძველზე იქმნება მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების განვითარების პერსპექტიული გეგმები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება იქნება ახალი წინგადადგმული ნაბიჯი კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ახალ ხუთწლედში პარტიის, " მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი, აღმშენებლობითი საქმიანობა... მოხმარდება XXV ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების გადაწყვეტას[6].

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის მთავარი იდეურ – პოლიტიკური იარაღი გახდა, ანტიკომუნიზმი, რომლის დროშით იმპერიალისტური რეაქცია დევნის ყოველივე რევოლუციურსა და პროგრესულს, ცდილობს დაქსასოს მშრომელთა რიგები კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ანტიკომუნიზმის მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. იგი მიზნად ისახავს რევოლუციური ძალების გათიშვას. საერთაშორისო ასპარეზზე მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში საბჭოური სინამდვილის მეცნიერულ შესწავლა –გაშუქებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

წინამდებარე ტომის ბოლო ნაწილი მიზნად ისახავს მეცნიერულად განაზოგადოს სსრ კავშირში განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა საქართველოს სოციალურ ეკონომიკური და კულტურული განვითარების ისტორიული გზა ჩვენი საუკუნის 50 –იანი წლების დამლევიდან 70 –იანი წლების შუახანებამდე.

წყაროები. განვითარებული სოციალიზმის ეტაპის საქართველოს იტსორიის კონკრეტული საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის პირველწყაროების მნიშვნელობა აქვს საბოჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებს-რიგგარეშე XXI (1959), XXII (1961), XXIII (1966), XXIV (1971) და XXV (1976)[7], სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს[8]; კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეთა სიტყვებსა და მოხსენებებს. ეს მასალები გამოქვეყნებულია და ამდენად ხელმისაწვდომია მკვლევართათვის.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის მეცნიერული გაშუქება შეუძლებელია საქართველოს კომპარტიის XXI (1961), XXII (1964), XXIII (1966), XXIV (1971) და XXV (1976) ყრილობების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობის გარეშე. ყრილობების მასალები, რომლებიც შეიცავენ ყრილობებზე განხილულ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებებს და სხვა ძირითად მოხსენებებსაც და მათ გარშემო მიღებულ რეზოლუციებს, ასევე გამოქვეყნებულია[9].

განსახილველი პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეცნიერული შესწავლისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ სპეციალურ დადგენილებებს. ეს არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება "პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 11 იანვრის დადგენილება "საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 24 ივნისის დადგენილება. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გადაწყვეტილებები, საქართველოს კომპრატიის ცენტრალური კომიტეტის იმ პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებებისა, რომლებიც ჩატარდა 1972 – 1975 წლებში. ამ პარტიული ფორუმების მასალებში მოცემულია მდიდარი ფაქტობრივი მონაცემები, მათი ყოველმხრივი ღრმა ანალიზი, რესპუბლიკის განვითარების ძირითად ტენდენციათა დახასიათება. გარკვეული ასპექტით აღნიშნული მასალები წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული და შეფასებული. აქვე უნდა დავძინოთ, რომ უკანასკნელი ათწლეულის შესახებ საისტორიო მასალების ნაწილი ჯერ კიდევ არ ქცეულა საარქივო წყაროებად, ამიტომ, ბუნებრივია, პარტიული არქივი და ოქტომბრის რევოლუციისა და სახალხო მეურნეობის ცენტრალური სახელმწიფო არქივები თავისი ფილიალებით მხოლოდ მცირეოდენ მასალას თუ იძლევიან უახლოეს პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ. ასეთი მასალების დიდი ნაწილი ინახება საუწყებო არქივებში, ხოლო ნაწილი სარგებლობისათვის ჯერ კიდევ არ არის გამზადებული. ეს გარემოება, ცხადია, გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის ყოველმხივი და სიღრმისეული შესწავლა-განზოგადებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას შემოქმედებითი კავშირების საარქივო მასალების მიმართაც.

საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესასწავლად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო საკითხებზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივების მრავალტომიან პუბლიკაციას. 60 –70-იანი წლების მონაკვეთს ეხება ამ გამოცემის IV ტომის ნაწილი, V, VI, VII, VIII, IX და X ტომები[10], აგრეთვე კრებულები, რომლებშიც მოცემულია პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივები და გადაწყვეტილებები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით[11].

ფრიად საგულისხმო წყაროა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პერიოდული პუბლიკაცია[12]. წყაროს მნიშვნელობა შეიძლება მიეკუთვნოს საცნობარო ხასიათის ლიტერატურასაც.

ისტორიული კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი წყაროა ოფიციალური სტატისტიკური კრებულები[13]. ამგვარ კრებულებს შორის განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის სტატისტიკურ წელიწდეულებს, რომელთა გამოცემას სისტემატური ხასიათი მიეცა 1958 წლიდან[14], განსაკუთრებით მრავალფეროვან და მდიდარ სტატისტიკურ მასალას შეიცავს რამდენიმე წელიწდეული. ქვეყნდება თემატიკურ-სტატისტიკური კრებულებიც[15]. სტატისტიკურ წყაროს განეკუთვნება მოსახლეობის პერიოდული აღწერის შედეგებიც. განსახილველ პერიოდში ჩატარდა მოსახლეობის ორი სრულიად საკავშირო აღწერა – 1959 და 1970 წლებში. მართალია, ამ აღწერების სრული შედეგები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ, ის, რაც ნაწილობრივ, ფრაგმენტულად მაინც ხელმისაწვდომია, ფრიად ფასეულია. ამგვარი მასალების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იძლევიან საბაზისო სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა ანალიზით შესაძლებელი ხდება ისტორიულ მოვლენათა განვითარების პროცესების ტენდენციების გამოკვეთა და განზოგადება.

საბჭოთა საზოგადოების ყოველი ეტაპის, მათ შორის განვითარებული სოციალიზმის პერიოდის ისტორიის ცალკეული საკითხების, ყოველმხრივი შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პერიოდული პრესის მასალების გამოყენებას. საგაზეთო და საჟურნალო მასალების მოშველიებით მთელ რიგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის მიგნება, თარიღის დაზუსტება, საზოგადოებრივ მოვლენათა შორის კავშირურთიერთობის გათვალისწინება.

წინამდებარე ტომში გამოყენებული და დამოწმებული წყაროების დიდი ნაწილი პირველად შემოდის მეცნიერულ მიმოქცევაში, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს თანამედრვოე ისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზას.

ისტორიოგრაფია. განვითარებული სოციალიზმის პირობებში ისტორიული მეცნიერების ამოცანები უკავშირდება, ერთი მხრივ, საბჭოთა ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გზის მანძილზე მომხდარ ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებათა თეორიულ განზოგადებას, ხოლო, მეორე მხრივ, 60 – 70-იან წლებში საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის ასპექტით საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების კონკრეტული საკითხების შესწავლას.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია აღნიშნული პერიოდის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისათვის მუშათა კლასის ბრძოლის, თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების და მასთან დაკავშირებით სოფლის სოციალური განვითარების პრობლემების კვლევას. ამ მხრივ საგულისხმოა ს. ჩხარტიშვილის წიგნი “კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში”, რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს მრეწველობაში სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმის – კომუნისტური შრომისათვის ცალკეული დამკვრელებისა და შრომითი კოლექტივების მოძრაობის პირველი ნაბიჯები

და მისი გადაქცევა მასობრივ მოძრაობად. ნაჩვენებია კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის როლი მეცნიერული პროგრესის დანერგვის, მუშათა მასების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების, ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში. ამ პრობლემას ეხება მ. ჯიჯეიშვილის ნაშრომი "მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალაა", რომელიც 1976 წელს დაიბეჭდა. ამ წიგნში საბჭოთა საქართველოს მაგალითზე ნაჩვენებია მუშათა კლასის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საკოლმეურნეო მშენებლობასა და გლეხობის სოციალისტურად აღზრდაში, სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და ახალი ადამიანის ფორმირებაში.

საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის შრომისა და ბრძოლის გამოცდილების შესწავლა-განზოგადება მჭიდროდაა დაკავშირებული მუშათა კლასის მოღვაწეობის სფეროს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებასთან. ამიტომ ქართველ ეკონომისტთა ნაშრომებს ქართული ისტორიოგრაფიისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ასეთ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ავტორთა კოლექტივის მიერ ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიას "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები"[16]. ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს სახალხო მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე განხორციელებულ სოციალისტურ გარდაქმნათა მთავარი შედეგები, გაანალიზებულია რესპუბლიკის ეკონომიკის წამყვარი დარგების თანამედროვე მდგომარეობა, დასახულია მათი განვითარების ტემპებისა და მთავარ მიმართულებათა პერსპექტივები.

საქართველოს მუშათა კლასის განსახილველი პერიოდის ისტორიის პრობლემატიკა შეისწავლება როგორც საბჭოთა საზოგადოების ისტორიის[17], ასევე ისტორიულ-პარტიული, სოციოლოგიური და ეთნოგრაფიული ასპექტებით. ამას მოწმობს უკანასკნელ წლებში დაცული დისერტაციებიც, რომელთა ნაწილი ცალკე წიგნად დაისტამბა[18].

XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან განახლდა დიდი პროლეტარული მწერლის მ. გორკის იდეით 1931 წლიდან დაწყებული მუშაობა ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შექმნისათვის. მას ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო და კულტურული ცენტრების მუშები, ისტორიკოსები და მწერლები. ამ მიმართულებით საქართველოშიც გადაიდგა პირველი ნაბიჯი. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ისტორიულ-პარტიულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეიქმნა ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის შემსწავლელი კომისია. დაიგეგმა 1933 წლისათვის გამოსაცემად მომზადებულიყო რამდენიმე მსხვილი სამრეწველო საწარმოს, სახელდობრ, ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების, საორთქმავლო დეპოს, ჭიათურის მარგანეცის წარმოებისა და თბილისის ტრამვაის სახელოსნოების ისტორია[19]. მაგრამ ეს მუშაობა შეწყდა დიდი სამამულო ომის პერიოდში.

60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში ფართო მასშტაბით გაიშალა მუშაობა ქალაქების, სოფლებისა და ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შესაქმნელად. მაგალითად, უკრაინაში განხორციელდა ქალაქებისა და სოფლების 26-ტომიანი ფუნდამენტური გამოცემა. 1963 წლის მაისში ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფმა პრესაში დაბეჭდა წერილი "შევქმნათ ფაბრიკა-ქარხნების ისტორია"[20], რომელსაც გამოეხმაურა ქართველი საზოგადოებრიობა. გამოქვეყნდა რამდენიმე ნარკვევი თბილისის სამრეწველო საწარმოთა ისტორიის შესახებ[21].

1973 წლის თებერვალში ისტორიკოსთა ჯგუფმა კვლავ გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე და გამოვიდა მოწოდებით "დავწეროთ ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ისტორია"[22].

ამ მუშაობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის შედეგად, რომელსაც ახორციელებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შექმნილი საპრობლემო ჯგუფი, ხოლო შემდეგ განყოფილება, უკანასკნელ წლებში მომზადდა მთელი რიგი ნარკვევები, რომელთაგან რამდენიმე გამოქვეყნდა კიდეც[23].

უახლოესი წარსულის მეცნიერულ შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებს. ფრიად საყურადღებოა ე. ქვათაძის მონოგრაფია "საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში", რომელიც 1976 წელს გამოქვეყნდა. მონოგრაფიაში დოკუმენტური მასალებისა და საზოგადოებრივი აზრის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, ერთი მხრივ, სოფლის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები, ხოლო მეორე მხრივ, განვითარებული სოციალიზმის პერიოდში ქალაქისა და სოფლის, ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოების ტენდენციები. ნაშრომში მოცემულია ავტორისეული რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაციის ამაღლების საკითხებზე. საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები კონკრეტულ-სოციოლოგიურ დაკვირვებათა საფუძველზე განხილულია ასევე ე. ქვათაძის მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევში "სკკპ აგრარული პოლიტიკა და საქართველოს მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები" (1975). ამ ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა მთის რეგიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის, შრომის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მთის ზონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაციის საკითხებს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს ეხება რამდენიმე სოციოლოგიური ნაშრომი[24] მთელ რიგ სადისერტაციო ნაშრომებში გაშუქებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ამ დარგის შემდგომი აღმავლობისათვის

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის საკითხები[25]. დაიწერა სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები შვიდწლედის პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობის შესახებ[26].

ქართული ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ყურადღების საგანია განვითარებული სოციალიზმის პერიოდის კულტურული მშენებლობის, კერძოდ, ინტელიგენციის მოღვაწეობისა და ინტელიგენციასთან კომუნისტური პარტიის მუშაობის საკითხები[27]. ამ პრობლემებზე შესრულდა რამდენიმე დისერტაცია, მათი ნაწილი ეხება საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობას, იდეოლოგიურ მუშაობასა და სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის საკითხებს, აგრეთვე პროფკავშირების საქმიანობას[28].

განსახილველი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხები ნაწილობრივ გაშუქებულია საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ტომის რუსულ გამოცემაში (1968)[29] და საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევებში (1971), რომლებიც უახლოეს წარსულს, ცხადია, ვერ მოიცავენ.

საქართველოს ისტორიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად მშრომელი მასების მობილიზაციის საქმეში პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნარკვევებს[30], საცნობარო ხასიათის ლიტერატურას[31], საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გამოცემულ ისტორიულ[32], ისტორიულ-ეკონომიკური ხასიათის ნარკვევებს[33] და ქართველ ეკონომისტთა გამოკვლევებს[34]. საინტერესო ფაქტობრივ მასალებს შეიცავს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისადმი მიძღვნილი ბროშურების სერია – "საქართველოს სსრ მეცხრე ხუთწლედში"[35].

სკკპ XXV ყრილობამ, რომელიც უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და მსოფლიო რევოლუციური პროცესის მსვლელობაში, განსაზღვრა მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების, მეცნიერების მთავარი მიმართულებანი თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ყრილობამ ფუნდამენტურ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნა იმ პრობლემათა მეცნიერული კვლევის აუცილებლობა, რომელნიც როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. არსებითად ასეთად იქნა მიჩნეული იმ საკითხების კვლევა, რომელიც ეხება საბჭოთა საზოგადოებას, მისი საწარმოო ძალების განვითარების ტენდენციებს. მასში იგულისხმება განვითარებული სოციალიზმის პირობებში შრომის ხასიათი და შინაარსი, სოციალური სტრუქტურის ცვლილებანი, შრომის მიხედვით განაწილების სრულყოფა,

მორალური და მატერიალური სტიმულების შეხამება, სოციალისტური ყოფა-ცხოვრება და მრავალფეროვანი კულტურის განვითარება. ამ პრობლემების შესწავლა კი, როგორც სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, მოითხოვს მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევართა ერთობლივ მუშაობას. ხსენებული საკითხების შესწავლა ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, ეკონომიკურ, ისტორიულ-პარტიულ მეცნიერებებთან ერთად ისტორიული მეცნიერების უპირველეს ამოცანას შეადგენს. მათ განხორციელებაში დიდი როლი აკისრიათ ეროვნულ ისტორიულ მეცნიერებებს, რომელთა ამოცანა, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო ფართოა, რამდენადაც მათ თანამედროვე სოციალისტური საზოგადოების განვითარების საერთო კანონზომიერებებთან ერთად ეროვნული თავისებურებანი უნდა წარმოაჩინონ.

სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების წინაშე დასმული ამოცანები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ცხოვრებასთან მისი უმჭიდროესი კავშირის პირობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში რესპუბლიკის კომპარტიის XXV ყრილობაზე მართებულად მიუთითა, რომ ახლო წარსულში "ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის ელემენტების გამოვლინების პირობებში ეკონომიკაზე უფრო მეტად დაზარალდა ადამიანის ფსიქიკა, მისი სულიერი სამყარო, მისი მსოფლმხედველობა"[36]. ამიტომ თანამედროვე ეტაპის საქართველოს ისტორიოგრაფია მოწოდებულია განაზოგადოს ნეგატიური მოვლენების დაძლევისათვის საქართველოს მშრომელთა თავდადებული და მიზანსწრაფული ბრძოლის გამოცდილება, რომელსაც წარმართავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიის ნარკვევების სხვა ტომებისაგან განსხვავებით, რომელნიც ემყარებიან ფართო წყაროთმცოდნეობის ბაზას, გამოქვეყნებულ მეცნიერულ მონოგრაფიებსა და ნარკვევებს მერვე ტომი საქართველოს ომის შემდგომი პერიოდის ისტორიის სისტემატური გადმოცემის პირველი ცდაა, ამიტომ, ბუნებრივია, იგი განხილული საკითხების შესწავლის სისრულისა და მეცნიერული დონის სრულყოფის მხრივ დაზღვეული არ იქნება ზოგიერთი ნაკლისაგან.

სოციალზიმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირის გადასვლა კომუნისტურ მშენებლობაზე მოასწავებდა ახალ ეტაპს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცებაში.

წინამდებარე ტომში განხილულია განვითარებული სოციალიზმის პერიოდის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მათ გაშუქებას საფუძვლად დაედო სკკპ XXI, XXII, XXIII, XXIV და XXV ყრილობებისა და საქართველოს კომპარტიის XIX, XX, XXI, XXII, XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი, სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის, მერვე და მეცხრე ხუთწლიანი გეგმების

დირექტივები, რომელთა განხორციელებისათვის რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული ბრძოლა შეადგენს ამ პერიოდის ისტორიის მთავარ შინაარსს.

60-იან და 70-იანი წლების პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ელექტროენერგეტიკა, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია და მძიმე მრეწველობის სხვა დარგები. მერვე ხუთწლედში მწყობრში ჩადგა 60, ხოლო მეცხრე ხუთწლედში – 73 მსხვილი სამრეწველო საწარმო. გაფართოვდა ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან, გადიდდა საქართველოს სამრეწველო პროდუქციაში საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხვედრითი წონა. გაფართოვდა საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტი, რაც საქართველოს ინდუსტრიული ძლიერების ზრდის მაჩვნებელი იყო.

ტომში დახასიათებულია ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებანი, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის მასშტაბი და დონე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ამასთანავე ხაზგასმულია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა საქართველოში 60-იანი წლების პირველ ნახევარში საგრძნობლად ჩამორჩა საერთო-საკავშირო მაჩვენებელს, შენელდა მრეწველობის განვითარებაც. ამ პროცესებზე გავლენა მოახდინა მთელ ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შენელებამ ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის შედეგად, რომელიც დაგმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა და განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ახალი მიმართულებანი. 60-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელდა სამეურნეო რეფორმა, რომლის მთავარ შინაარსს შეადგენდა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის, მეურნეობის გაძღოლისა და ეკონომიკის მართვის მთელი სისტემის სრულყოფა, ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერება კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესატყვისად. ამით შეიქმნა თვისებრივად ახალი ეტაპი საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარებაში.

ტომის ავტორები შეეცადნენ დაეხასიათებინათ ეკონომიკური რეფორმის შედეგად საქართველოს მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარება და ხაზი გაესვათ იმ გარემოებისათვის, რომ მერვე ხუთწლედის პერიოდში და მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე საქართველოში საგრძნობლად შენელდა შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიური ტემპი, რითაც რესპუბლიკა კიდევ უფრო ჩამორჩა საერთო-საკავშირო დონეს. ამის მიზეზი იყო სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომები, პარტიული ცხოვრებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების დარღვევა. რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული ნაკლოვანებები მხილებულ იქნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური

მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1972 წლის 22 თებერვალს მიღებულ დადგენილებაში, რომელიც გახდა ახალი ეტაპის მომასწავებელი საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ 1972 წლის სექტემბრიდან დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისა და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის რესპუბლიკაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებაში დასახული საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების საერთო-საკავშირო დონისაგან ჩამორჩენის დაძლევამ, რამაც უზრუნველყო მეცხრე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

ტომში განხილულია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები, ფართოდაა გაშუქებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ტექნიკური და ენერგოაღჭურვილობის დონის, მრავალწლიან ტექნიკურ კულტურებთან ერთად მემინდვრეობის განვითარებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ამაღლების ღონისძიებანი, საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოები. მაგრამ ამასთან ხაზგასმულია, რომ ხშირმა და გაუმართლებელმა რეორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობისადმი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის არასწორი მეთოდების დანერგვამ, პარტიული ორგანოების აგების ტერიტორიული პრინციპის საწარმოო პრინციპით შეცვლამ, რაც არ შეესაბამებოდა სოფლად საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების ამოცანებს, უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ დარგის განვითარებაზე, შეაფერხა სასოფლო-სამეურნეო წარმეობის ზრდის ტემპი როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ აღდგენილ იქნა სასოფლო რაიონების პარტიული კომიტეტები, ტერიტორიული პრინციპი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში. მაგრამ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების ამ თვისებრივად ახალ პერიოდში საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად 60-იანი წლების მეორე ნახევარში და 70-იანი წლების დასაწყისში კვლავ ძალაში რჩებოდა საშუალო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის ჩამორჩენის ტენდენცია. ტომის ავტორები შეეცადნენ აეხსნათ მერვე ხუთწლედის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების ჩამორჩენის მიზეზები.

ტომში განხილულია ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში 1973 – 1975 წლებში. ეს გამოიხატა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავებით,

საქართველოს გადაქცევით ჩაისა და ყურძნის ერთ-ერთ ძირთად მწარმოებლად. ფაქტიურად ამ პერიოდში დაიწყო "კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების" განხორციელება, რასაც შედეგად მოჰყვა საკოლმეურნეო დემოკრატიის განმტკიცება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლება, მშრომელთა მატერიალური სტიმულირების გაძლიერება, კოლმეურნეობათა საწარმოო-სამეურნეო ინიციატივის განვითარება, ქალაქთან სოფლის დაახლოება.

სოციალისტური მშენებლობის ყოველ ეტაპზე იზრდებოდა მშრომელი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. მართალია, 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირში მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციებიც გახდნენ დაუსაბუთებელი ექსპერიმენტების ობიექტი, კერძოდ, დაირღვა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ტერიტორიული ნიშნით აგების პრინციპი, რამაც შექმნა მათი საქმიანობის სფეროს შეკვეცის საშიშროება, მაგრამ 60-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოები კვლავ იქცნენ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მასების მონაწილეობის მთავარ ფორმად. ტომში დახასიათებულია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განმტკიცება, ხაზგასმულია, რომ, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, განვითარებული სოციალიზმის პირობებში საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები მკაფიოდ გამოხატავდნენ საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს დემოკრატიულ ხასიათს. გაშუქებულია საბჭოების საქმიანობა ახალი, შედარებით სრულყოფილი, საკანონმდებლო აქტების მიღების, რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობასა და მმართველობის ორგანოების სტრუქტურაში ზოგიერთი ცვლილების საფუძველზე .

ტომში ნაჩვენებია საქათველოს კომუნისტური პარტიის რიგების ზრდა, მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით 70-იანი წლების პირველ ნახევარში, პროფესიული კავშირების როლის ზრდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პერსპექტიული გეგმების შემუშავება-განხორციელებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში. გაიზარდა რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზატორული როლი ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის განვითარებაში და მათ მონაწილეობაში დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებზე, სამრეწველო საწარმოებში დამრიგებლობის ინსტიტუტის შექმნაში, გაუმჯობესდა კომკავშირული კადრების თვისებრივი შემადგენლობა.

ტომში ხაზგასმულია, რომ მასების პოლიტიკური აქტივობა განუყოფელია მათი შრომითი აქტივობისაგან, რადგან იგი გამოიხატებოდა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმების წარმოშობასა და დანერგვაში. ავტორები შეეცადნენ ეჩვენებინათ კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე წარმოშობილი სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმის –

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის – დამკვიდრება საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, სოფლის მეურნეობაში; სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაფართოება მოძმე რესპუბლიკების შრომით კოლექტივებთან, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობის ახალი ფორმების წარმოქმნა.

ტომში გაშუქებულია მუშათა კლასის შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც განსაკუთრებით ამაღლდა ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორიც იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი. ეს ღირსშესანიშნავი საიუბილეო თარიღები საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონების სამრეწველო მუშათა მასების საწარმოო ინიციატივისადმი ერთსულოვან მხარდაჭერასთან ერთად, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების ახალ თაოსნობათა წარმოშობის სტიმული გახდა. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია რესპუბლიკამ 1973 – 1978 წლებში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც საქართველოს სსრ ექვსჯერ ზედიზედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. 1966 წელს რესპუბლიკას გადაეცა ლენინის მეორე ორდენი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით – ოქტომბრის რევოლუციის ორდენი (1971), ხოლო სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცებაში მიღწეული წარმატებებისათვის – ხალხთა მეგობრობის ორდენი (1973), 1967 წელს ლენინის ორდენით დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ტომში განხილულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის საკითხები შვიდწლედის, მერვე და მეცხრე ხუთწლედების პერიოდში, გაანალიზებულია ცვლილებები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობრივ და თვისებრივ შემადგენლობაში, მუშა-მოსამსახურეთა განაწილება სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, რამაც გავლენა მოახდინა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ურთიერთშეფარდებაზე, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებათა ზრდაზე. 1959 – 1975 წლებში საქართველოში ქალაქების რაოდენობა გადიდდა 18 ერთეულით, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებისა – 23 ერთეულამდე, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა კი სახალხო მეურნეობაში ამ პერიოდში გაიზარდა 836 ათასი კაცით.

ავტორები შეეცადნენ ეჩვენებინათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებანი ხელფასის ახალი განაკვეთების მიღებასთან დაკავშირებით მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა განათლების,

ჯანმრთელობის დაცვის, მომსახურების სფეროსა და სხვა დარგების მუშაკთა ხელფასის გადიდების, კოლმეურნეობებში შრომის ფულად ანაზღაურებაზე გადასვლის, შინასამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვის, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის შემოღებისა და სხვა დარგში. ტომში დახასიათებულია საბინაო მშენებლობის მოსახლეობის სავაჭრო, სამედიცინო, კომუნალური და კულტურული მომსახურება, ნაჩვენებია ამ სფეროში ახლო წარსულში არსებული ნაკლოვანებანი და მათი დაძლევის ზოგიერთი შედეგი.

ტომში ფართოდაა გაშუქებული სახალხო განათლების, უმაღლესი სკოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა, დახასიათებულია ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების განვითარება 1959 –1975 წლებში. განსაკუთრებით გაფართოვდა ამ პერიოდში საქართველოს კულტურული კონტაქტები როგორც მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ტომის უკანასკნელი ქვეთავი ამ საკითხს ეხება.

ტომში ნაჩვენებია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, კულტურის განვითარება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხერთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი ცვლილებები, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრება შეფასებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 24 ივნისის დადგენილებაში “თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ”.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ დასახა მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ამოცანები, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ეს პერიოდი სცილდება ტომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ამიტომ ამის შესახებ მოკლედაა მოთხრობილი ტომის ბოლო ნაწილში.

მერვე ტომის უკანასკნელ თავებში შესული ნარკვევები, რომლებიც ეყრდნობიან მეცნიერულ ბრუნვაში ახლად შემოტანილ წყაროებს, პირველად ქვეყნდება, ამიტომ დაზღვეული არ იქნება ზოგიერთი ხარვეზისა და ნაკლისაგან.

[1] “სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები”, თბ., 1959, გვ. 121.
[2] იქვე, გვ. 5.
[3] **ვ.ი. ლენინი,** თხზ., ტ. 30, გვ.396.
[4] **ლ.ი. ბრეჟნევი,** ლენინური კურსით, ტ.3,თბ., 1971, გვ.354.
[5] **ლ.ი. ბრეჟნევი,** ლენინური კურსით, ტ.. 4, თბ., 1974, გვ. 104 – 105.
[6] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 208.
[7] სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები, თბ., 1959; სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962; სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1963; სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971. სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976.
[8] КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, т. 8, 1959 1965 гг., 1972; т. 9. 1966 –1968гг., М., 1972; т, 10, 1969 –1971 гг., М., 1972.
[9] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას. საქ. კპ XXI ყრილობის რეზოლუცია საქ. კპ ცკ საანგარიშო მოხსენების გამო”, თბ., 1961; “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას, რეზოლუცია საქ. კპ ცკ საანგარიშო მოხსენების გამო”, თბ., 1964; “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას, რეზოლუცია საქ. კპ ცკ საანგარიშო მოხსენების გამო”, თბ., 1966; საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას, რეზოლუცია საქ. კპ ცკ საანგარიშო მოხსენების გამო”, თბ.., 1971; “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას”, თბ., 1976.
[10] «Решения партии и правительства по хозяйственным вопросам», т. 4, 1953 – 1961 годы, М., 1968; т. 5, 1962 – 1965 годы, 1968; т. 6, 1966 июнь – 1968 годы, М., 1968; т. 7, июль 1968 – 1969 годы, М., 1970; т. 8, 1970 – февраль – 1972 годы, М., 1972; т. 9, февраль 1972 г. – сентябрь 1973 г. М., 1974; т. 10, октябрь 1973 – октябрь 1975 г. – М., 1976: «Законодательные акты по вопросам народного хозяйства ССР», т. II, М., 1961;
[11] «Решения партии и правительства по сельскому хозяйству (1965 – 1974 гг.)», М., 1975.
[12] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი 1959 – 1974 წლებისა, რომლებიც გამოიცა 1960 – 1974 წლებში.
[13] «Страна Советов за 50 лет», М., 1967; «Советская Грузия к 50-летию Великой Октябрской социалистической революции», Т., 1967; “საბჭოთა საქართველოს 50 წელი”, თბ., 1971, «Грузинская ССР в цифрах 1972 г.,» Тб., 1973; «Грузинская ССР в цифрах в 1974 году» Тб., 1975; «Грузинская ССР в 1975 г.», Тб., 1976; «Грузинская ССР в девятой пятилекте, Цифри и факты», Тб., 1976; «Народное хозяйство Абхазской АССР», Сухуми, 1967; “საბჭოთა აჭარის 40 წელი”, თბ., 1961.
[14] «Народное хозяйство СССР в 1958 г.», стат. ежегодник, М., 1959; «Народное хозяйство СССР в 1963 году», стат. ежегодник, М., 1965; «Народное хозяйство СССР в 1967 году», М., 1968; «Народное хозяйство СССР в 1922 – 1972 гг», юбилейный сборник, Тб., 1962; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1962 году», Тб., 1963; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 году», Тб., 1965; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1967 году», Тб., 1968; “საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრ კავშირის 50 წლისთავზე”, სტატისტ. წელიწდეული, თბ., 1972; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», Тб., 1974;
[15] «Просвещение и культура Грузинской ССР», Стат. сб., Тб., 1965; «Численность, состав и движение населения Грузинской ССР», Тб., 1965; «Советская торговля Грузинской ССР», стат. сб. Тб., 1965; «Промышленность Грузинской ССР», стат. сб., Тб., 1966; «Сельское хозяйство

Грузинской ССР», ч. I – II, Тб., 1972; "საქართველოს კომუნისტური პარტია ციფრებში". თბ., 1976; "საქართველოს კომკავშირი, ციფრები და ფაქტები", 1972; «Социалистическое соревнование трудящихся Грузии в 1973 году, цифры и факты», Тб., 1974.

[16] Экономика Советской Грузии. Достижения, проблемы, перспективы (гл. ред. В. Мелкадзе), 1972. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., 1975.

[17] **მ. ჯიჯეიშვილი,** საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის შესრულებისათვის თბ., 1976.

[18] **ბ. ბაქრაძე,** საქართველოს მუშათა კლასი კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში (1959 – 1965 წწ.), 1972; **ხ. ახალაია,** აფხაზეთის მუშათა კლასი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში (1959 – 1965 წწ.), 1971; **ვ. ჭანუყვაძე,** სკკპ პროგრამა სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გადაზრდის შესახებ, 1965; **ე. ფანჯავიძე,** საქართველოს კომპარტია კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის სათავეში (რესპუბლიკის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს მაგალითზე), 1959 – 1965 წწ., 1968; **Г. Кукутария,** История борьбы трудящихся за развитие химико-фармацевтической промышленности в Советской Грузии (1921 – 1965 гг.), 1975; **Т. Кикнадзе,** Конкретно-социологическое изучение процесса профессиональных изменений в составе рабочих кадров Руставского металургического завода, Тб., 1973; **გ. ჯავახიშვილი,** ტყიბულის მუშათა ყოფა და კულტურა, 1971.

[19] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 8, ს. 10, ფურც. 4 – 7.

[20] **ნ. ბერძენიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ნათმელაძე, ს. შარიქაძე,** "შევქმნათ ფაბრიკა-ქარხნების ისტორია", გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1963 წლის 24 მაისი.

[21] **გ. პატარაია,** თბილისის კერამიკული კომბინატი. თბ., 1965; **კ. ტოტოჩავა**, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ისტორია, თბ., 1967 **ა. ცქიტიშვილი**, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი "საბჭოთა საქართველო", თბ., 1968.

[22] მიმართვას ხელს აწერენ გ. მელიქიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი; პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი; ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, ა. სურგულაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები; მ. კანტერე, ა. კოჭლავაშვილი, მ. ნათმელაძე, ი. ჩიქავა, ს. ჩხარტიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები. გაზ. "კომუნისტი", 1973 წლის 21 თებერვალი.

[23] **ნ. ინწკირველი**. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, ბათუმი, 1975; **შ. ოქროცვარიძე**, თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა სამამულო ომის წლებში, თბ., 1966; **შ. ყარაულაშვილი**, თელავის აბრეშუმ-სახვევ-საძახავი ფაბრიკის ისტორია, თბ., 1976.

[24] **რ. კლიმიაშვილი**, ქალაქ თბილისის დემოგრაფიული პროცესების სოციალური ასპექტები, თბ., 1974; **ა. კაცაძე**, დასავლეთ საქართველოს მთის თანამედროვე მიგრაციული პროცესების სოციალური პრობლემები, თბ., 1974; **მ. ბექაია**, ძველი და ახალი საოჯახო ყოფა საქართველოში, თბ., 1966.

[25] **ვ. გონგაძე**, თეთრიწყარო (მისი ახლო წარსული და აწმყო), 1961; **ი. წურწუმია**, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ისტორია (1921 – 1965 წწ.), 1966; **ნ. ყაჭეიშვილი**, მახარაძის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახ. სოფ. შრომის კოლმეურნეობის ისტორია (1921 – 1965 წწ.), 1970; **პ. ნოზაძე**, საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის შვიდწლედში (1959 – 1965 წწ.), 1973; **ა. ჯაყელი**, აჭარის პარტიული ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში (1959 – 1965 წწ.), 1967.

[26] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის (1959 – 1965 წწ.), 1966; **ს. მოდებაძე**, სამხრეთ ოსეთის პარტიული

ორგანიზაცია სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში (1959 – 1965 წწ.), 1967.

[27] **ვ. კაჭარავა**, თბილისის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციასთან, 1966; **А. Утургаули**, Интеллигенция Грузии в период строительства коммунизма, 1973.

[28] **А. Азиров,** Деятельность партийной организации Грузии по вовлечению трудящихся в управление государственными и общественными делами (1956 – 1963 гг.), 1964; **ზ. ფრუიძე**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობა (1965 – 1970 წწ.), 1971; **ა. მექვაბიშვილი**, საქართველოს კომპარტიის სასოფლო-სამეურნეო კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, 1974; **ი. შენგელაია**, საქართველოს პროფკავშირების ბრძოლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის (1966 – 1970 წწ.), 1975.

[29] История Грузии, учебное пособие, III (авторы: доктора исторических наук Ю. М. Качарава, Н. Б. Махарадзе, Н. И. Стуруа и А. Н. Сургуладзе; Кандидаты исторических наук: Ц. П. Каландадзе, М. И. Кочиашвили, М. В. Натмеладзе и С. Д. Чхартишвили), Тб., 1968.

[30] **ვ. ჭანუყვაძე**, საქართველოს კომუნისტური პარტია ტექნიკური პროგრესისა და მასების შემოქმედების სათავეში, თბ., 1973; **ა. იაკობიძე**, პროფკავშირი და სოცშეჯიბრება სახალხო მეურნეობაში, თბ., 1975.

[31] Грузия, краткий истрический очерк, Тб., 1966, ჩვენი ზრდის საფეხურები (საინფორმაციო-საცნობარო მასალები საქართველოს სსრ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ), თბ., 1976; Грузинская ССР. Индустрия, Тб., 1971; Грузинская ССР. Сельское хозяйство, Тб., 1971; Грузинская ССР, Культура, Тб., 1971 Грузинская ССР, Материальное благосостояние народа, Тб., 1971.

[32] **Н. Стуруа,** Советская Грузия к 50-летию Октября, Тб., 1967.

[33] საქართველოს სსრ მოკლე ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი, თბ., 1970; **ვ. ვადაჭკორია**, საქართველოს კვების მრეწველობა მერვე ხუთწლედში, თბ., 1971; **ვ. დუმბაძე**, საყოფაცხოვრებო მომსახურება ხალხის საკეთილდღეოდ, თბ., 1971; **ვ. ლომთაძე, ნ. შარაშენიძე, მ. ჭიაურელი,** საქართველოს სსრ მოსახლეობის ცხოვრების დონე და მისი ამაღლება მეცხრე ხუთწლედში, თბ., 1974.

[34] **პ. გუგუშვილი**, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ., 1973; **ა. გუნია**, საქართველოს სსრ ინდუსტრია, თბ., 1972.

[35] "საქართველოს სსრ მეცხრე ხუთწლედში"; **ვ. ვადაჭკორია,** მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, თბ., 1976; **ნ. ჭითანავა,** სოფლის მეურნეობა, თბ., 1976; **ი. ციციშვილი,** კაპიტალური მშენებლობა, თბ., 1976; **ი. ვეკუა,** მეცნიერება, თბ., 1976; **ლ. კიკაბიძე,** ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, თბ., 1976; **ი. ზედგენიძე,** სახალხო ჯანმრთელობის დაცვა, თბ., 1976; **გ. ჯიბლაძე,** განათლება, თბ., 1976.

[36] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 110.

§ 4. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი პერიოდისსაქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია

თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისა და მისი ეროვნული რესპუბლიკების უახლესი ისტორიის საკითხებისადმი.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სოციალისტური ეკონომიკისა და ხალხის პოლიტიკური სიმტკიცის დიდი გამოცდა იყო. ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებამ თვალნათლივ დაანახა მთელ მსოფლიოს სოციალიზმის სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და მსოფლმხედველობითი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით. ეს გამარჯვება საბჭოთა ქვეყანამ მძიმე დანაკლისის ფასად მოიპოვა.

"ვერავითარი სტატისტიკა ვერ შეგვიქმნის ნამდვილ წარმოდგენას იმ ზარალის ნამდვილი მასშტაბის შესახებ, რაც საბჭოთა ხალხმა განიცადა ომის წლებში, - ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, - განა შეიძლება გამოვიანგარიშოთ და ციფრებით გამოვხატოთ ის უდიდესი შრომა, აზრი, ნიჭი, რაც ჩვენი ადამიანების ბევრმა თაობამ მოახმარა ფაშისტების მიერ განადგურებულ უდიდეს მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნას"[1].

ფაშისტური გერმანიის დაპყრობით გეგმებში კავკასიას და, რასაკვირველია, საქართველოსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. გერმანიის მთავარსარდლობა ვარაუდობდა, საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში არაპოპულარული იყო[2], და აქ საბჭოთა სამხედრო ძალების განადგურება უცილობლად მიაჩნდა, ამასთან იგი მიზნად ისახავდა: 1) ხელში ჩაეგდო კავკასიის ნავთობის რაიონები და საბჭოთა ქვეყანა ამ სტრატეგიული ნედლეულის გარეშე დაეტოვებინა[3], 2) თავის გავლენის სფეროდ – პროტექტორატად - ფაქტიურად კოლონიად გადაექცია საქართველო[4], 3)კავკასია გამოეყენებინა შუა აღმოსავლეთთან შემაერთებელ ხიდად, ამ რეგიონის ნავთობით მდიდარი ქვეყნების მისატაცებლად[5], 4) დაეკავებინა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო და ამ გზით მწყობრიდან გამოეყვანა საბჭოთა კავშირის შავი ზღვის სამხედრო ფლოტი[6], 5) კავკასიის დაპყრობით დაეჩქარებინა ფაშისტური გერმანიის მხარეზე იმპერიალისტური იაპონიისა და თურქეთის ომში ჩაბმა[7], 6) შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებისა და გერმანიის მხარეზე თურქეთის გამოსვლის შედეგად დაეკავებინა სპარსეთის ყურე და ჩაეშალა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მხრივ ლენდ-ლიზის სახით საბჭოთა კავშირისათვის დახმარების შესაძლებლობა[8].

ბურჟუაზიული ისტორიკოსები და სამხედრო სპეციალისტები ამაოდ ირწმუნებიან, თითქოს კავკასიაში გერმანელთა მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იყო ჰიტლერისა და გერმანელთა ჯარების მთავარსარდლობის ტაქტიკური შეცდომები, რაც გამოიხატა, მაგალითად, იმაში, რომ იტალიელთა კორპუსი და რუმინელთა მესამე არმია კავკასიის ფრონტის ნაცვლად ჰიტლერის განკარგულებით სტალინგრადის ფრონტზე გადაისროლეს, გერმანელთა სამხედრო მრჩევლები მოტყუვდნენ კავკასიის ლანდშაფტისა და კლიმატის

შეფასებაში[9]. თითქოსდა დაცინვით წერენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რაც ჰიტლერს მიუღია, კავკასიიდან ჯარების დროულად გაყვანა იყოო[10]. ისინი უხერხულობას არ გრძნობენ, როდესაც იმასაც აღნიშნავენ, რომ საბჭოთა სახმედრო ძალები "გააფთრებით იცავდნენ უღელტეხილებს", თერგის მისადგომები გერმანელებისათვის "გადაულახავ დაბრკოლებად" იქცა. თერგზე საბჭოთა ტანკებისა და ავიაგამანადგურებლების ახალი შენაერთები უტევდნენ გერმანელთა ჯარებს, რომლებიც საწვავის უქონლობის გამო უმოქმედოდ იდგნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელთა შეტევა შეეჯახა კარგად მოფიქრებულ, გააფთრებულ წინააღმდეგობას. ადგილობრივმა მოსახლეობამ კი დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლები გააჩაღა[11].

ბურჟუაზიული ისტორიკოსები იძულებული არიან აღიარონ, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხი მზად იყო ეკონომია გაეწია ყველაფერში, ოღონდ კი საბჭოთა არმია ყოველმხრივ უზრუნველეყო საკვებით, ტანსაცმლით, ტრანსპორტით, იარაღით, სამედიცინო ინვენტარით და ა. შ. საბჭოთა ხალხს გამარჯვების სამსხვერპლოზე მიჰქონდა ყველაფერი, ისინი წერენ, რომ მეორე მსოფლიო ომი არარუსი ხალხების ომიც იყო. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალმა ყველა ერმა და ეროვნებამ გადაიტანა ომის საშინელებანი. უკრაინელ პარტიზანებთან ერთად საბჭოთა კავშირის სხვა ერების წარმომადგენლების გვერდით ქართველებიც იბრძოდნენ, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში, განსაკუთრებით კი კავკასიისათვის ბრძოლებში. გერმანელთა დივერსიული ოპერაციების "თამარა I"-ისა და "თამარა II"-ის განხორციელების დროს საქართველოს ტერიტორიაზე პარაშუტისტთა სადესანტო ნაწილების მეომართა დიდი უმრავლესობა მოსპეს და შეიპყრეს[12].

დიდმა სამამულო ომმა ბურჟუაზიულ იდეოლოგებს გაუცრუა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმა და ომის საშინელებანი გამოააშკარავებდა არარუსი ერვონებების სწრაფვას სეპარატიზმისაკენ. ბურჟუაზიული ისტორიკოსის პატრიკ ფონ ცუმ მულენის აზრით, კავკასიაში ომის პირველი თვეები არსებითად ისეთივე იყო, როგორც საბჭოთა კავშირში. აქაც მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გადაყვანა, გამალებული მობილიზაცია. საერთაშორისო პრესის მიერ გავრცელებული ჭორები კავკასიის ხალხთა საბჭოთა ხელისუფლებისადმი არალოიალობის შესახებ არ დადასტურდა, პირიქით, საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დარჩა; ომის უმძიმეს დღეებში – 1942 წლის 13 და 23 აგვისტოს – ორჯონიკიძესა და თბილისში ჩატარებულ მიტინგებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა ბრძოლის საქმეში; თბილისიდან ფრონტზე გაიგზავნა 1200-ზე მეტი კვალიფიციური აქტივისტი, სამხედრო ნაწილებში იდეოლოგიური მუშაობის ჩასატარებლად; ცენტრალურ კავკასიაში საწარმოები ამზადებდნენ იარაღს და აღჭურვილობას,

ამიერკავკასიის ფრონტის ხელმძღვანელობის ბრძანებით მთებში დაუყოვნებლივ მიდიოდნენ მთამსვლელთა რაზმები და გადამზადებულ აქტივისტთა ჯგუფები, რათა იქ დაქსაქსულ ნაწილებს შორის კავშირი აღედგინათ და საბრძოლველად დაერაზმათ[13].

ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ცდილობს ქართველი ხალხის ეს აქტივობა ფრონტზე და ზურგში რაღაც ექსპანსიონისტური ზრახვებით ახსნას[14] და ივიწყებს, რომ ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლა – ეს იყო ბრძოლა ნაციონალ-სოციალისტების კაცთმოძულე რასობრივი იდეოლოგიის წინააღმდეგ, ბრძოლა სოციალისტური სამშობლოსა და ოქტომბრის მონაპოვრის დაცვისათვის. ომამდელი, ომის პერიოდისა და ომის შემდგომი საბჭოთა საქართველოს ისორია მაგალითია იმისა, რომ ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად დარჩა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხალხთა შორის თანასწორობის ლენინური პოლიტიკის ერთგული.

ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების შემდეგ საბჭოთა კავშირი შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობლების მოშუშებასა და სახალხო მეურთნეობის შემდგომ განვითარებას. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ფ. შუმანის აღიარებით, ჩვენი ქვეყანა იმდენად დანგრეული და გაპარტახებული იყო, ზარალი კი იმდენად დიდი, რომ ვერც ერთი უცხოელი მეთვალყურე ვერ წარმოიდგენდა მის აღდგენას ერთი თაობის მანძილზე[15].

მაგრამ, სულ რაღაც ერთი ხუთწლეულის შემდეგ ბურჟუაზიული ისტორიკოსები იძულებული გახდნენ ერწმუნათ საბჭოთა სასწაული – სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით კი მრეწველობის, აღდგენა და განვითარება, ამან სერიოზულად შეაშფოთა კაპიტალიზმის აპოლოგეტები, დასავლეთში იმატა იმ ლიტერატურამ, რომელიც ყოველნაირად ამახინჯებდა საბჭოთა სინამდვილეს.

საბჭოთა მრეწველობის განვითარების გრანდიოზულობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს უკვე აღარ შეეძლოთ მისი უარყოფა, პარალელურად კი ყოველნაირად ამახინჯებდნენ და ჩრდილს აყენებდნენ ჩვენს სინამდვილეს. ასე, მაგალითად, თუ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში, ერთი მხრივ, აღინიშნება საქართველოს სამრეწველო მიღწევები – რომ ქუთაისში აშენდა მანქანათსაშენებელი, რუსთავში კი ფოლადსასხმელი ქარხნები, წარმატებით ხორციელდება ავტომატიზაცია, განვითარდა კვების, საფეიქრო და ავეჯის მრეწველობა, არის საკავშირო მნიშვნელობის მანგანუმის საბადოები, ცნობილი შამპანურის ქარხანა, რომლის პროდუქცია წელიწადში 9 მილიონ ბოთლს შეადგენს, მატულობს ჩაისა და ღვინის პროდუქცია[16] და ა. შ. – მეორე მხრივ კი (ხშირად იგივე ავტორები) ამ მიღწევებს ისეთი სახით წარმოადგენენ, თითქოს ის ჩვენი რესპუბლიკის, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყოს მიმართული. რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიკოსების აზრით, მიუხედავად საბჭოთა საქართველოს სამრეწველო მიღწევებისა, ერთიანი საკავშირო სამეურნეო

გეგმის არსებობა თითქოსდა მოკავშირე ეროვნული რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, ინტერესების შებღალვას ემსახურება, რომ ურთიერთობანი საერთო საკავშიროსა და რესპუბლიკურ ეკონომიკას შორის ისეა განსაზღვრული, როგორც მთელსა და ნაწილს შორის, ამიტომაც მოკავშირე რესპუბლიკას არ ძალუძს დამოუკიდებლად გამოიყენოს საკუთარი ბუნებრივი რესურსები – ქვანახშირი, ნავთობი, სპილენძი და სხვ. უფრო მეტიც, თითქოსდა არარენტაბელური ქარხნების, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შენება[17] და ა. შ.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა განვითარებული ქვეყნების ხალხებმა არ ირწმუნონ ის ფაქტი, რომ კერძო საკუთრების გაუქმებით საბჭოთა კავშირში გაქრა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი კონკურენცია და ანარქია, წარმოების განსაზოგადოების ბაზაზე აღმოცენდა ახალი კანონი - სახალხო მეურნეობის გეგმიური (პროპორციული) განვითარების კანონი, რის საფუძველზეც საბჭოთა სახელმწიფოს საგეგმო ორგანოები ახდენენ საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებას, ანაწილებენ ბუნებრივ და შრომით რესურსებს საბჭოთა სოციალისტურ ეროვნულ რესპუბლიკებს შორის, იცავენ მთელი ქვეყნისა და მის ცალკეულ რაოინებს შორის პროპორციას, რომ ცალკეული ელემენტები, საზოგადოებრივი წარმოების რგოლები მუდამ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს.

საკავშირო გეგმიანობაში დემოკრატიული ცენტრალიზმი – საერთო-საკავშირო ინტერესების უპირატესობა და მათდამი ცალკეული რესპუბლიკების ინტერესების დაქვემდებარება არ ნიშნავს ეროვნული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთისადმი დაქვემდებარებას, როგორც ამას ბუჟუაზიული ისტორიკოსები "ხსნიან", არ გამორიცხავს თითოეული რესპუბლიკის თაოსნობასა და თვითმოქმედებას პერსპექტიული გეგმების შედგენაში. სოციალისტური წარმოება ემსახურება მთელი საბჭოთა საზოგადოების, ყველა ერისა და ეროვნების მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას და გამოიცხავს ყოველგვარ ეროვნულ პრივილეგიას. აქედან გამომდინარე, აღმოცენდა და მტკიცდება ფედერაციულ კავშირში მყოფი რესპუბლიკების საერთო ეკონომიკური ინტერესები. საერთო-ეკონომიკური დაინტერესება ვლინდება თითოეული რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის მთლიანობაში და მათ ურთიერთგანმაპირობებელ კავშირში. ამიტომაც, ბუნებრივია, საკავშირო და რესპუბლიკური ეკონომიკური ურთიერთობანი ისეა შეხამებული, როგორც დამოკიდებულება მთელსა და ნაწილს შორის.

კომუნისტურმა მშენებლობამ ახალი ამოცანები დაუსხა საბჭოთა კავშირსა და ეროვნულ რესპუბლიკებს. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საერთო-საკავშირო მასშტაბით. ამის ნათელი დადასტურებაა ყაზახეთის 25-მილიონიანი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, მაგისტრალური გაზსადენების (ყარადაღი-კიროვაბადი-თბილისი-ერევანი და

ორჯონიკიძე-თბილისი) მშენებლობა, საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნა. ბურჟუაზიული ისტორიკოსების – ნიუთისა და ნოუვის – აღიარებით, უტყუარი საბუთებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამიერკავკასიის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას (შეიძლება აზერბაიჯანის გამოკლებით) ფულადი დახმარება ეძლეოდა საკავშირო შემოსავლიდან. ეს რესპუბლიკები უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშიც იმყოფებოდნენ, ვინაიდან თავისი ეკონომიკისა და სოციალური განვითარებისათვის ღებულობდნენ იმაზე მეტს, რასაც საკუთარი ტერიტორიიდან მიიღებდნენ. საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, ამ რესპუბლიკების კაპიტალდაბანდებანი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებში აღემატებოდა ადგილობრივ რესურსებს. 1955 წლამდე სამრეწველო დაბანდება ამ რესპუბლიკებში დაფინანსებული იყო უშუალოდ საკავშირო ბიუჯეტიდან, ჯეროვნად უნდა შევაფასოთ ის, რომ ამ ხარჯებს გამოჰყოფდა მოსკოვი და რომ ამ რესპუბლიკების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო განვითარება ითვალისწინებდა მთელი საჭოთა კავშირის ინტერესებს[18].

ბურჟუაზიული იდეოლოგები, როგორც წესი, აღნიშნავენ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობების (რომლებიც თავისთავად აბათილებენ პროფესიონალ ანტისაბჭოთა მოღვაწეთა მონაჩმახს) “არასაიმედოობას”[19].

სახალხო მეურნეობის ახალ დარგებში ეროვნული კადრების შექმნას და სოფლის მეურნეობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარებას მოჰყვა საქართველოს ფარგლებიდან არაქართველი მოსახლეობის, მათ შორის რუსების, დენადობა. ეს პროცესი არ გამოჰპარვიათ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს. ახლა ისინი ამ მოვლენის ნამდვილი მიზეზების ღრმა ანალიზის ნაცვლად ირწმუნებიან, რომ ქართველები სახალხო მეურნეობაში “არ საჭიროებენ რუს მრჩევლებს და პროტექტორებს”, რომ ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის ზრდამ აიძულა ისინი მიეტოვებინათ ეს რესპუბლიკა[20].

ბოლო ხანებში ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ბევრს წერენ იმის შესახებ, თითქოს საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომელიც დიდი ინტენსიურობით გამოირჩევა, მუშახელის ნაკლებობას განიცდის, თითქოს გლეხობა საკოლმეურნეო შრომითი ფორმით დაინტერესებული არ იყოს. თურმე საქართველოს სოფლის მეურნეობაში კერძო მეურნეობა და საქმიანობა მეტ როლს ასრულებს, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე კუთხეში. ჭარბი მუშახელი, ის, ვინც კოლმეურნეობაში არ არის დასაქმებული, სხვა, უფრო შემოსავლიან, საქმეს ეწევა, მაგალითად, 1962 წლისათვის ორი მესამედი ყურძენი, ციტრუსების თითქოს ნახევარი და ხილისა და კენკროვანის სამი მეოთხედი კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდათ და ისინი აწარმოებდნენო. ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცებით, ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ის არის, რომ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების (გარდა ბელორუსიისა) კოლმეურნეებთან შედარებით ქართველ კომლმეურნეებს ნაკლები

შემოსავალი აქვთ, ეს კი თავის მხრივ იმითაა გამოწვეული, რომ შრომადღეებზე ნაკლებს უხდიან, მეორე მხრივ, იმით, რომ მთავრობა ებრძვის კერძო მესაკუთრეებს და არა აძლევს საშუალებას საკუთარი პროდუქტი რესპუბლიკის გარეთ გაიტანოს და იქ გაყიდოს[21].

მდიდარი ფაქტობრივი მასალა აქარწყლებს ბურჟუაზიული ისტორიკოსების მონაჭორს საქართველოს სოფლის მეურნეობაში საკოლმეურნეო შრომითი ფორმის უგულებელყოფაზე, კერძო სექტორის უპირატესობასა და კოლმეურნეთა ნაკლებშემოსავლიანობაზე. 50-იანი წლების ეკონომიკურ რეფორმამდე საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების ერთ-ერთი არსებითი ნაკლი იყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მოქმედების სფეროს შეზღუდულობა, რაც განსაკუთრებით შეეხო სოფლის მეურნეობას, სადაც, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, მოქმედებს წარმოების სოციალისტური საკუთრების კოოპერაციული ფორმა, რომელიც ფართოდ თხოულობს სოფლის მუშაკთა ეკონომიკური ინტერესების გამოხატვას სასაქონლო-ფულადი ურთიერთობით. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ამ ფაქტს დროულად მიაქცია ყურადღება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებმა სოფლის მეურნეობის ფინანსებით უზრუნველყოფის ზრდამ, მელიორაციისა და ირიგაციის განვითარების ფართო პროგრამამ, აგრარულ-ინდუსტრიული კომპლექსების შექმნამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფლებათა და ინიციატივის გაფართოებამ, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა და მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებამ, სასოფლო-სამეურნეო ფასების გაზრდასთან დაკავშირებით კოლმეურნეობისათვის შრომადღეზე "საერთო საკავშირო საშუალო ფასის" დადგენამ და სხვა ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სფეროს გაფართოებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, გაზარდეს საწარმოო კოლექტივებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური სტიმულირება.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები გულგრილად ვერ უყურებენ საბჭოთა საქართველოს კულტურულ მიღწევებს. ისინი ნება-უნებლიეთ აღიარებენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ხალხი, ვისაც რევოლუციამდე 85 პროცენტი უწიგნური ჰყავდა, ეხლა 19 უმაღლეს სასწავლებელში ზრდის თავის შვილებს. საქართველოში მოისპო უწიგნურობა და იგი ერთ-ერთი ყველაზე განათლებული რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში[22].

საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს ეს ამბავი ხელს არ უშლის ცილისმწამებლურად ამტკიცონ, თითქოს საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, ტარდება რუსიფიკაციის პოლიტიკა რუსული ენის იძულებითი გავრცელებით[23]. მაშინ როცა ბევრი შედარებით ობიექტური საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსიფიკაციას, ეროვნულ და რასობრივ დისკრიმინაციას ბოლო მოეღო

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რომ ყველა ერის წარმომადგენელს შეუძლია ისწავლოს დედაენაზე, და საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მიღწევაა ამ ქვეყნის ეროვნულ სკოლებში ადგილობრივ ენათა თავისუფალი მოქმედება, რომ დასავლეთ სამყაროს ჯერ კიდევ ბევრი მეცნიერი ტენდენციურად უგულებელყოფს ან შავი ფერებით წარმოგვიდგენს ეროვნული ენის თავისუფალი მოქმედების იმ თვალსაჩინო როლს, რასაც ის ასრულებს ერების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში[24]. იმას, რომ რუსული ენის მცოდნე ქართველ ხალხში ბევრია, რომ როგორც უძველესი კულტურის ხალხს შეეფერება, ქართველები თავისი ტრადიციების ერთგულნი არიან, ისიც კი აღიარებს, ვინც ენობრივ რუსიფიკაციაზე წერს[25], ე. ი. რუსული ენის ცოდნა არ იწვევს რომელიმე ერის ისტორიის ან ლიტერატურის, მისი წარსულის ან სულიერი სამყაროს დამახინჯებას.

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება ეთმობა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის საკითხებს. კაპიტალიზმის აპოლოგეტები განსაკუთრებული მონდომებით ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს საბჭოთა კავშირში ეროვნულ რესპუბლიკებს არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა. ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი კი, პირიქით, ჩამოთვლის მოკავშირე რესპუბლიკის როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტს – დამოუკიდებელი მმართველობა, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, პოლიტიკური სისტემა, რომელიც არ გამორიცხავს არჩევნებს და პოლიტიკურ ინსტიტუტებში ხალხის ფართო მასების მონაწილეობას და ა. შ. – და ფაქტობრივი მონაცემების საწინააღმდეგო დასკვნებს კი აკეთებს[26].

საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პრობლემები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში მათი თეორიული დამუშავება მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. რა თქმა უნდა, მათ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის იმ წარმომადგენლების ინტერესიც აღძრეს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ დააკნინონ და დაამახინჯონ კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობა. ისინი ლამობენ დაამტკიცონ, რომ კომუნიზმი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგი და მთელი კაცობრიობის მომავალი კი არაა, სოციალური ექსპერიმენტია, რომ მისი განხორციელება ეროვნული რესპუბლიკის მოსპობის საწინდარია და სხვ.[27].

ანტიკომუნისტებს განსაკუთრებით არ მოსწონთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა, რაც გამოწვეულია სოციალისტური საზოგადოების სიმწიფითა და საზოგადოების მმართველობის ამოცანების გართულებით, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობითა და სხვა საშინაო და საგარეო მოვლენებით. ფალსიფიკატორები ისწრაფვიან გააიგივონ სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური ზედნაშენის განვითარება და ის

პროცესები, რომლებიც ბევრი კაპიტალისტური ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, როცა მათი პოლიტიკური სტრუქტურა ანტიდემოკრატიული პროცესების ძლიერ ზემოქმედებას განიცდის. მათთვის გაუგებარია საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ზედნაშენში მიმდინარე პროგრესული პროცესები – მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა, ეკონომიკურსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისა და კომუნისტური აღზრდის სისტემის გაუმჯობესება და ა. შ.

ძირითადად ასეა გაშუქებული ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ომისა და ომის შემდგომი პერიოდის ისტორიის საკითხები, რომლებიც მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზეა განხილული წინამდებარე ტომში.

* *

"საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მერვე ტომის რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა ა. კოჭლავაშვილმა და მ. ჯიჯეიშვილმა, საძიებელი შეადგინა და წყაროები შეაჯერა უმცროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ე. კუპატაძემ, ფოტოილუსტრაციები მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ფოტო-ფიქსაციის განყოფილების გამგემ ნ. არჩვაძემ.

---

[1] **ლ. ი. ბრეჟნევი,** ლენინური კურსით, I, თბ., 1971, გვ. 150.

[2] Hitler and Russia. The third Reich in a two-Front war 1937 – 1943 by Trumbull Higgins. New – York. 1966, p. 76.

[3] The Russo-German War 1941 – 1945. Albert Seaton, London, 1971, p. 266. Hans Adolf Jacobson 1939 – 1945. Der Zweite Weltkrieg in Chronik und Dokumenten. Darmstadt 1961. S. 262; Aid to Russia 1941 – 1946. Strategy. The Origins of the Cold War. George C. Herring, Jr. New-York and London. 1973, p. p. 67, 70: Prof. Dr. David L. Haggen, Der unnötige Krieg 1939 – 1945. „Germanz must perish", Tübingen, 1974, S. 534; The second World War 1939 – 1945. A Strategical and Tactical History by Major-General J. F. C. Fuller, New-York, 1948, p. 116; A History of Russia. Medieval, Modern, Contemporary. Paul Dukes, London and Basingstoke, 1974, p. 272; Friedrich Lenz. Stalingrad – Der "verlorene" Sieg. Heidelberg. 1956, S. S. 17, 19; Waldemar Erfurth. Die Geschichte des Deutschen Generalstabes von 1918 bis 1945, Berlin, Frankfurt, 1960. S. 291-292.

[4] Patrik von zum Mühlen. Zwischen Hakenkreuz und Sowjetstern. Der Nationalismus der sowjetischen Orientvölker in Zweiten Weltkrieg. Düsseldorf, 1971, S. S. 106, 171; The Russian Compaignes of 1941 – 1943 by W. E. D. Allen and Paul Mouratoff, New-York, 1944, p. 87; Hitler and Russia. The third… p. 179.

[5] Hitler and Russia, The third… p. 83; The Russo-German War.., p. 266.

[6] Der Zweite Weltkrieg. In Bilden und Dokumenten. Herausgegeben von Hans-Adolf Jacobson und Hans Dollinger. Zweiter Band. Der Weltkrieg 1941 – 1943. Verlag Kurt Desch. München, Wien, Basel. 1962. Auszug aus der Weisung N 45 für die Fortsetzung der Operation „Braunschweig".

[7] Hans-Adolf Jacobson. Der Zweite Weltkrieg.., S. S. 261, 266, 268; Friedrich Lenz. Stalingrad.., S. 12; Hitler and Russia. The third …, p. 198; Paul Carell. Unternehmen Barbarossa. Der Mensch nach Rusland. Frankfurt am Main, Berlin, Wien, 1963, S. 457.

[8] Paul Carell. Unternehmen Barbarossa.., S. 458.

[9] Waldemar Erfruth. Die Geschichte des deutschen.., S. S. 292-292; Hellmuth Günther Dahms. Geschichte des Zweiten Weltkrieges. Tübingen, 1965, S. S. 454 - 457; იგივე. Der Zweite Weltkrieg, Tübingen, 1960, S. S. 270, 298; Paul Carell, Unternehmen Barbarosa.., S. S. 436, 474; The Russo-German War.., p. 285; Wilhelm Tieke. Der Kaukasus und das Öl. Der deutsch-sowjetische Krieg in

[10] Waldemar Erfurth. Die Geschichte des deutschen.., S. S. 301-302.

[11] Waldemar Erfurth. Die Geschichte des deutschen.., S. S. 301-302. Hitler and Russia. The third.., p. 212; Paul Carell, Unternehmen Barbarosa.., S. S. 459, 462, 472, 475; The Russo-German War.., p. 285; Walter Görlitz. Der Zweite Weltkrieg 1939 - 1945, Stuttgart, 1951, S. 358; Hellmuth Günther Dahms. Geschiche des Zweite.., S. 454; იგივე. Der Zweite... S. 270. Wilhelm Tieke. Der Kaukasus.., S. 153, 164.

[12] Russia and the Sovietunion. A Modern Historz bz Warren Bartlett Walsh. Ann Arbor, 1958, p.p. 514-515; Patrik von zum Mühlen. Zwischen.., S. S. 172-173, 234-235; Walter Kolarz. Die Nationalitätenpolitik der Sowjetunion, Frankfurt am Main. 1956, S. 275; D. M. Lang, A Modern History of Soviet Georgia, London, 1962, p. 259.

[13] Patrik von zum Mühlen. Zwischen... S. S. 21, 171, 197, 206, 218; Wilhelm Tieke. Der Kaukasus.., S. S. 154-155.

[14] Walter Kolarz. Die Nationalitänpolitik.., S. 275; Vernon V. Aspaturian. The Union Republics in Soviet Diplomacy. A Study of Soviet federalism in the servise of Soviet policy, Geneva, Paris, p.p. 71 - 74.

[15] **F. Schuman.** Russia since 1917, New-York, 1957, p. 320.

[16] John Gunter. Inside Russia today, New-York, 1957, 1958, p. 442; The Soviet Middle East. A Communist Model for Development by Alec Nove and J. A. Newth New-York, Washington, 1967, p. 50.

[17] Ideology, politics and government in the Soviet Union. John Armstrong, Frederick A. Praeger. New-York, Washington, London, 1967, p.p. 136-137; The Russian Review. An American Quarterly devoted to Russia Past and Present, October, 1965, vol. 24, N 4, p. 328; January, 1963, vol. 22, N 1, p. 14; How the Soviet System works. Cultural, Psichological and Social themas. Raymond A. Bauer, Alex Inkeles and Clyde Kluckhohn, Harvard university Press, Cambridge, 1957, p. 208; The Soviet Departation of Nationalities by R. Conquest. London. 1960, p. 115; The Soviet Middle East.., p. 51; Soviet Studies. A Quarterly Review of the Social and Economic Institutions of the USSR. Edited on behalf of the Department for the Study of the Social and Economic Institutions of the USSR. University of Glasgow by J. Miller M. A; R. A. G. Schlesinger, Dr. Rez. opl. D. vol XIII, Juli 1961, N 1, p. 36.

[18] The Soviet Middle East.., p. 97.

[19] Walter Kolarz. Die Nationalitänpolitik.., S.S. 23, 39-40, 274-275; Demographic and Ethnographic changes in Transcaucasia 1897 - 1956, Richard Pipes. Winter. 1959, p.p. 61, 63.

[20] Herman-Buchner. Rusland für mȝßig Vorgeschrittene. Das neue Geschichte des Sowjetstaates. Europa Verlag, Wien, Frankfurt, Zürich. 1970, S. 46; The Nations of the USSR in 1970 by Roman Szporluk. Ann Arbor (Mich), 1971, p.p. 77-78.

[21] Ost-Europa Wirtschaft III Jahrgang, April 1958, Heft 1, Stuttgart, S. 28; IX Jahrgang, September 1964, Heft 3, S.S. 28, 32; The End of the Russian Peasantry. The Social Structure and Culture of the Contemporary Soviet Agricultural Population by Jan H. Hill M. Mattews-Class and Society in Soviet Russia, London, 1952, p.p. 117, 122; Soviet Studies.., vol. XXVII, January 1975, N 1, p.p. 12-13; The Soviet Middle East.., p.p. 58, 63; Berichte des Bundesinstituts für Ostwissenschaftliche und Internationale Studien. Die nichtrussischen Literaturen der UdSSR von Jan Müller-Udeis. 46/1975, Köln, 1975, S. 11-12.

[22] Soviet Studies.., vol. III, October 1951, N 2, p.p. 116-117; John Gunther. Inside Russia.., p.p. 442, 446-447, 449; H. Schwarz. The Soviet Economy since Stalin. Philadelphia and New-York, 1965, p. 34-35; The Soviet Middle East.., p. 78; The Impact of the Russian Revolution 1917 – 1967. The Influence of

Bolshevism on the World outside Russia, London, 1967, p.p. 20-21; Ideology, politics and.., pp. 136-137; Berichte des Bundesinstituts für Ostwissenschaftliche.., S. 26; The Soviet Union by Elisabeth Koutaissoff, London, p.p. 209, 221; Patrik von zum Mühlen. Zwischen.., S. 237; Inside Soviet schools. Susan Jacoby, New-York, 1974, p. 153.

[23] Berichte des Bundesinstituts für Ostwissenschaftliche.., S.S. 2 –5; The Annals of the American Academy, vol. 263, May 1949, p. 122; Soviet Russian nationalism, Frederick C. Barghoorn, New-York, 1956, p.p. 102, 108; Soviet Studies.., vol. XIV, October 1962, N 2, p.p. 140, 146; Soviet Studies Series.., Edited by Robert Conquest. Soviet Nationality Policy in Practice. London, Sydney, Toronto, 1967, p. 78; Inside Soviet schools.., p. 74.

[24] Nigel Grant. Soviet Education. Baltimore-Maryland, 1964, p. 17-18; Inside Soviet schools.., p.p. 158, 160; Soviet Studies.., Vol. XXVI, January, 1974, N 1, p. 28.

[25] Soviet Russian nationalism.., p. 93; Ideology, politics and.., p. 136, 137; The Union Republics.., p. 201; The Russian Review.., vol. 22, January 1963, N 1, p. 4.

[26] The Nationality problem of the Soviet Union and Russian communist imperialism by Roman Smal-Stocki (Marquette University) with a proface by Lew E. Dobriansky (Georgtoun University), 1958, Milwankee, p. 42; Vernon Aspaturian. The Union Republics.., p. 201-202; The Soviet Middle East.., p. 113- 122.

[27] Walter Kolarz. Die Nationalittänpolitik.., S. 37; The Soviet System of government. Revised edition by John Hazard. The University of Chicago press. Published 1957, Second edition 1960, third impression 1962, p. 84; Journey through the Soviet Union-by Vermont Royster (Editor the Wall street Journal), New-York, 1962, p. 16; The Russian Review.., October 1965, vol. 24, n 4, p. 326.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საქართველოს სსრ დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში (1941 – 1942 წწ.)

§1. ომის დასაწყისი. ქართველი მეომრების მონაწილეობა პირველ ბრძოლებში

ფაშისტურმა გერმანიამ ხელთ იგდო და დაიმორჩილა 1941 წლის ზაფხულისათვის ევროპის ქვეყნების უმრავლესობა. მის განკარგულებაში იყო ხუთი მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 290 მილიონ კაცს შეადგენდა. აგრესორების შეიარაღებული ძალების საჭიროებას ხმარდებოდა მათ მიერ ოკუპირებული სახელმწიფოების მთელი ეკონომიკური პოტენციალი.

ჰიტლერმა და მისმა ხელქვეითებმა, როცა ხელ-ფეხი გაეხსნათ დასავლეთში და უზრუნველყვეს თავიანთი შეიარაღებული ძალების ზურგი და ფლანგები, აგრეთვე იმის იმედით, რომ იზოლირებული დიდი ბრიტანეთი საზავო მოლაპარაკებას დაიწყებდა, საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების მიუხედავად, გადაწყვიტეს პრაქტიკულად განეხორციელებინათ თავიანთი დიდი ხნის ოცნება – “ბარბაროსას” გეგმა, რომელიც 1940 წლის დამლევს შეადგინეს და 1941 წლის მარტში დააზუსტეს. ამ გეგმაში ნათქვამი იყო: “გერმანიის შეიარაღებული ძალები მზად უნდა

იყვნენ იმისათვის, რომ ჯერ კიდევ ინგლისთან ომის დამთავრებამდე ელვისებური სამხედრო კამპანიის გზით დაამარცხონ საბჭოთა კავშირი”[1].

ჰიტლერული გერმანიის მესვეურთა დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტისადმი, ჩანს გერმანელი გენერალ-მაიორის ფონ ბუტლარის შემდეგი სიტყვებიდან: “მოსკოვის ხელშეკრულებამ კი არ აღმოფხვრა, არამედ მხოლოდ დროებით მიჩქმალა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული იდეოლოგიური წინააღმდეგობანი. საბჭოთა რუსეთი ჰიტლერისა და მრავალი ძველი ნაციონალ-სოციალისტის თვალში კვლავ ნომერ პირველ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ რჩებოდა”.

“რუსი სფინქსი”, რომლის ძალების განსაზღვრა ძნელი იყო თავისი იდუმალი გეგმებითა და საშიში იდეოლოგიით, მაჯლაჯუნასავით აწვა ჰიტლერს და მოსვენებას უკარგავდა. იგი იმედოვნებდა, საბჭოთა კავშირს სწრაფი საომარი კამპანიით გავუსწორდები და მთელ მსოფლიოს დავანახვებ, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი მსოფლმხედველობის ძლიერება მხოლოდ მოჩვენებითიაო”[2].

ჰიტლერულმა სამხედრო სარდლობამ სსრ კავშირზე თავდასხმის წინ საბჭოთა კავშირის საზღვრებთან თავი მოუყარა და საომრად გაამზადა სრულად დაკომპლექტებული და ომებში ნაცადი 190-მდე დივიზია. აქედან 153 გერმანული დივიზია იყო (მათ შორის 17 სატანკო და 13 მოტორიზებული), დანარჩენი კი გერმანიის სატელიტებისა. სახმელეთო ჯარებს ჰქონდათ დაახლოებით 3500 ტანკი და 50 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. საომარ ოპერაციებში ჩაბმული სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში ითვლებოდა 3 940 გერმანული, 500 რუმინული და 500 ფინური თვითმფრინავი[3].

1941 წლის 22 ივნისს დილის 4 საათზე ფაშისტური გერმანია და მისი სატელიტები მუხანათურად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ სსრ კავშირს.

ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე სისხლისმღვრელი საომარი მოქმედება გაჩაღდა. მოწინააღმდეგემ, რომელსაც დიდი უპირატესობა ჰქონდა, განსაკუთრებით ბრძოლის ტექნიკური საშუალებების მხრივ, და რომელმაც ამასთან გამოიყენა მოულოდნელობის ფაქტორი, აგრეთვე დასავლეთის სამხედრო ოლქების არასაკმარისი საბრძოლო მზადყოფნა, ომის პირველ საათებში მძიმე ზარალი მიაყენა საბჭოთა ქვეყნის საზღვრისპირა რაიონებს, რამაც, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა უახლოესი ოპერაციების შემდგომ მსვლელობაზე. განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა საბჭოთა ავიაციამ. ამის თაობაზე ა. იაკოვლევი წერდა: “გერმანელთა ავიაცია თავს დაესხა ჩვენი სასაზღვრო ოლქების 66 აეროდრომს. უკვე ომის პირველი დღის ნახევარში ჩვენ 1200 თვითმფრინავი დავკარგეთ: 300 მანქანა დაიღუპა საჰაერო ბრძოლებში, ხოლო 900 – აეროდრომებზე”[4].

დიდი ზარალის მიუხედავად საბჭოთა მფრინავები მტერს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. როგორც გერმანიის გენერალური შტაბის

ოფიცერმა გრეფრატმა აღიარა, “1941 წლის 22 ივნისიდან 5 ივლისამდე განვლილ პერიოდში გერმანელთა სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაჰკარგეს ყველა ტიპის 807 თვითმფრინავი, ხოლო 6-დან 19 ივლისამდე განვლილ პერიოდში – 477. ეს ზარალი იმას მოწმობს, რომ გერმანელთა მოულოდნელი თავდასხმის მიუხედავად, რუსებმა შეძლეს გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევისთვის სათანადო ძალებისა და დროის გამონახვა”[5].

წითელმა არმიამ საზღვრისპირა ბრძოლებსა და შემდგომ 1941 წლის შემოდგომის მიწურულამდე ჩატარებულ თავდაცვითს ოპერაციებში მძიმე ზარალი მიაყენა ფაშისტ დამპყრობლემბს. ამის გამო ისინი იძულებული გახდნენ დაერღვიათ თავიანთი სტრატეგიული გეგმები. ჰიტლერელი ხელმძღვანელები არა მარტო მიხვდნენ, რომ მანკიერი იყო მათი გეგმები, რომელთა მიხედვით ოქტომბრისათვის აპირებდნენ ლენინგრადისა და მოსკოვის აღებას, აგრეთე ვოლგაზე გასვლას და საბჭოთა კავშირის მთელი ევროპული ნაწილის ხელში ჩაგდებას, არამედ ისინი იმაშიც დარწმუნდნენ, რომ დიდი პოლიტიკური შეცდომები დაუშვეს.

ჰიტლერულ მთავრობას იმის იმედიც ჰქონდა, რომ ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა სახელმწიფოში დაიწყებოდა ეროვნული და სოციალური კონფლიქტები, ხოლო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ვერ გაუძლებდა ძლიერ დაძაბვას და ზურგი მოიშლებოდა. ამას გარდა, ჰიტლერელები სსრ კავშირის საერთაშორისო იზოლაციაზეც ამყარებდნენ ვარაუდს. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც საბოლოოდ დარწმუნდნენ თავიანთი ადრინდელი პოლიტიკის უსაფუძვლობაში და რომლებსაც ამოძრავებდათ ანგარებითი მიზანი – ჩამოეშორებინათ ყველაზე საშიში კონკურენტი – ჰიტლერული გერმანია მსოფლიო ბაზრების დაპყრობის საქმეში, თავიანთი ქვეყნების მასებისა და პროგრესული ძალების გავლენით, მხარი დაუჭირეს სსრ კავშირს აგრესორების წინააღმდეგ ომში. დიდმა ბრიტანეთმა ეს განცხადება გააკეთა სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის დღეს, ორი დღის შემდეგ კი, 24 ივნისს, ამ განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც შეუერთდა.

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, რომელიც ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით შეიქმნა 1941 წლის 30 ივნისს ჩვენი ქვეყნის მთელი პოლიტიკური, სამხედრო ად სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის, წითელი არმიის მიერ საზღვრებისპირა და თავდაცვით ბრძოლებში მოგებული დრო მთლიანად გამოიყენა იმისათვის, რომ დაემთავრებინა დაწყებული მობილიზაცია და სტრატეგიული რეზერვების შექმნა, მომზადება და შეიარაღება; სამხედრო ყაიდაზე გარდაექმნა სახალხო მეურნეობა და მოეხდინა წამყვან სამრეწველო საწარმოთა ევაკუცია საფრთხეში ჩავარდნილი რაიონებიდან აღმოსავლეში, რასაც კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა ომის შემდგომი წარმოებისათვის.

მძიმე ზარალისა და სტრატეგიული გეგმების ჩაფუშვის მიუხედავად ჰიტლერელი დამპყრობლები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ აეღოთ მოსკოვი, ლენინგრადი, გაჭრილიყვნენ ვოლგასთან და ზამთრის დადგომამდე ძლევამოსილად დაემთავრებინათ ომი.

დიდი ზარალის ფასად მოწინააღმდეგემ შეძლო ბრძოლები გაეჩაღებინა მოსკოვის მისადგომებთან. გერმანელთა ჯარების ჩრდილოეთის დაჯგუფებამ მოახერხა ლენინგრადის ბლოკირება. ყველაზე დიდი ტერიტორიული მიღწევა ჰქონდა "სამხრეთის" არმიების ჯგუფს, რომელმაც აიღო დონბასი, შეიჭრა ყირიმის ნახევარკუნძულზე და ხელთ იგდო დონის როსოტოვი.

დასავლეთის, კალინინისა და სამხერთ-დასავლეთის ფრონტების ჯარებმა 1941 წლის 5 – 6 დეკემბერს დაიწყეს კონტრშეტევა, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა კალინინიდან კოსტორნაიამდე, გაანადგურეს გერმანიის არმიის მთავარი სატანკო დაჯგუფება, რომელიც მოსკოვს უტევდა, და უკუაქციეს მტრის ჯარები.

1941 – 1942 წლების ზამთრის კამპანიის პერიოდში წითელი არმიის ჯარებმა ჩაატარეს მთელი რიგი თანამიმდევრული შეტევითი ოპერაციები და 300-ზე მეტი კილომეტრით წაიწიეს წინ დასავლეთისაკენ, ამასთან, გერმანელი ოკუპანტებისაგან მთლიანად გაწმინდეს მოსკოვისა და ტულის ოლქების მთელი რიგი რაინები, აგრეთვე უკრაინისა და ყირმის ზოგიერთი რაიონი. საბოლოო ანგარიშით განთავისუფლებულ იქნა 11 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის 60-ზე მეტი ქალაქი.

წითელი არმიის გამარჯვებამ მოსკოვისათვის ბრძოლაში ჩაფუშა "ელვისებური ომის" გეგმა და გააქარწყლა ჰიტლერული არმიის უძლეველობის მითი. მან დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის მიმართ იაპონიისა და თურქეთის პოლიტიკაზე. ამას გარდა, ჰიტლერელთა მიერ დამონებულმა ხალხებმა, რომელნიც აღაფრთოვანა საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ მოსკოვთან, უფრო ფართოდ გაშალეს ანტიფაშისტური ბრძოლა. ანტიჰიტლერული კოალიცია სულ უფრო ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. დიდი ბრიტანეთი კი გადაურჩა ჰიტლერელთა ურდოების შეჭრას, რადგან გერმანელებმა თავიანთი ძირითადი ძალები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოიყვანეს.

ომის დაწყებისათვის სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურს გადიოდა 130 ათასზე მეტი საქართველოს მეომარი, რომელთა დიდი ნაწილი დასავლეთის საზღვრისპირა სამხედრო ოლქებში იმყოფებოდა. ისინი პირველნი გაუმკლავდნენ ფაშისტ დამპყრობთა დარტყმებს. გარდა ამისა, ომის პირველივე დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაიგზავნა მრავალი ათასი თადარიგის მებრძოლი და მეთაური. მაგალითად, დასავლეთის, ბრიანსკის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთისა და ყირიმის ფრონტებზე ომის დასაწყისშივე სათადარიგო ნაწილებიდან და შენაერთებიდან – 74 925 კაცი, მათ შორის – 3 057 ოფიცერი. ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებმა

საქართველოდან მიიღეს 16 643 თადარიგში მყოფი მებრძოლი; ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა – 7410 კაცი; სამხედრო სასწავლებლებში, სხვადასხვა სამეთაურო კურსებზე და სამხედრო აკადემიებში მიავლინეს 19 719 კაცი[6].

საქართველოს სამხედრო კომისარიატების მიერ ომის პირველ დღეებში თადარიგიდან გაწვეულთა უმრავლესობა გაიგზავნა ფრონტზე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მობილიზებულ ან ახლად ფორმირებული საერთო-საჯარისო შენაერთების შემადგენლობაში.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე საბჭოთა ჯარების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში სსრ კავშირის სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს შვილები.

საზღვრისპირა ბრძოლებსა და მომდევნო თავდაცვითს ოპერაციებში ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში, უკრაინასა და მოლდავეთში, აგრეთვე ბრესტის, სმოლენსკისა და კიევისათვის გააფთრებულ ბრძოლებში საბჭოთა სახელმწიფოს მრავალი ეროვნების მეომართა მხარდამხარ ათასობით ქართველიც იბრძოდა. ამ სისხლისმღვრელ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მსროლელი შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა: გენერალ-მაიორმა პ. აბრამიძემ, ოფიცრებმა ვ. აფაქიძემ, შ. გოგოლიშვილმა, გ. კუხალაშვილმა, გ. ყურაშვილმა, ი. მითაიშვილმა, ტ. ურთმელიძემ, ვ. ქირიამ, შ. ყიფიანმა, ს. შერეზადაშვილმა, დივიზიის კომისარმა ნ. კალაძემ, შენაერთის პოლიტგანყოფილების უფროსმა ვ. ციკოლიამ; ცხენოსანთა პოლკების მეთაურებმა ვ. გაგუამ და ა. ინაურმა; საარტილერიო ნაწილების მეთაურებმა ა. გიორგობიანმა, გ. ელიოსიძემ, **გ. ჭინჭარაძემ**; ქვეგანაყოფის მეთაურებმა ი. ადვაძემ, ს. ასათიანმა, კ. არშბამ, ა. ბობოხიძემ, ი. გაბუნიამ, ს. ვაშაკიძემ, ტ. ლაშხიამ, მ. მაკარიძემ, მ. ნაცვლიშვილმა, გ. ძაძამიძემ; ჯარისკაცებმა და სერჟანტებმა პ. აფხაზავამ, გ. მიჩინაშვილმა, ნ. ბუაძემ, ა. ბერელიძემ, ვ. ჯიქიამ, კ. კრავიშვილმა, ი. ციციშვილმა და სხვებმა. ჯერ კიდევ თავდაცვით ბრძოლებში უკრაინისათვის ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა მამაცი აფხაზი ოფიცერი ვ. ხარაზია, რომელსაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ჩვენი ქვეყნის დასავლეთი საზღვრების საჰაერო სივრცე ომის დაწყებისთანავე მძაფრი ბრძოლების ასპარეზად იქცა. საბჭოთა შევარდნები – რუსები, უკრაინელები და სსრ კავშირის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, მათ შორის ქართველი მფრინავები – საავიაციო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მეთაურები ჭ. ბენდელიანი, ა. დაჩანიძე, შ. ძამაშვილი, გ. ჯაბადარი, ა. ქავთარაძე, შ. ლებანიძე, ლ. თავაძე, მ. ტაბატაძე, ა. წურწუმია და სხვები არათუ უზრუნველყოფდნენ სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედებას და იცავდნენ სამხედრო ობიექტებს, არამედ რისხვად ატყდებოდნენ როგორც მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებს, ისე თავდაცვის სამრეწველო საწარმოებს მტრის ზურგში.

იმათ შორის, ვინც გმირულად იცავდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვანს, შემდეგ კი მონაწილეობდა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში, თავი ისახელეს და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს ასობით ქართველმა მებრძოლმა და მეთაურმა. მათ შორის იყვნენ: საჰაერო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი დ. შანშაშვილი, არტილერიის გენერალ-მაიორი გ. ჯინჭარაძე, ავიაციის გენერალ-მაიორი ლ. გოლიაძე, არმიის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი ვ. მჟავანაძე, ვიცე-ადმირალი გ. აბაშვილი, კონტრ-ადმირალები ვ. ლეჟავა და ს. რამიშვილი, აგრეთვე ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მეთაურები ოფიცრები: კ. არშბა, გ. ბარბაქაძე, გ. ბურჭულაძე, ო. ღარიბოვი, კ. დავითულიანი, დ. ზასეევი, დ. ზოიძე, ვ. ქინქლაძე, ვ. ლესელიძე, შ. მესხი, შ. მელიქიძე, ნ. მურადაშვილი, გ. რუხაძე, ა. ხარებოვი; ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები: შ. აბაშიძე, ა. ახალური, კ. ახმედოვი, ა. ბერიძე, ს. ღვინიანიძე, ლ. გიგაური, ნ. ჯიქია, გ. კაკალაშვილი, კ. ლეჟავა, დ. მაისურაძე, ე. ნოზაძე, ე. პოღოსოვი, ლ. რუხაძე, შ. სირაძე, ნ. ცხადაია, ი. ჩილაკიძე, გ. ელერდაშვილი და მრავალი სხვა[7].

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 141-ე მსროლელი პოლკის სნაიპერებმა დ. ინაშვილმა და ა. ჩაჩავამ. ა. ქავთარაძემ გმირობა ჩაიდინა გატჩინის რაიონში. იგი ერთ-ერთი პირველი ეკვეთა მტრის პოზიციას შეძახილებით: “წინ, ამხანაგებო, სამშობლოსათვის, სტალინისათვის!”, საკუთარი სხეულით დაფარა ხანგრძლივი საცეცხლე წერტის ამბრაზურა და ჩააჩუმა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევი, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს შემტევ ნაწილს იერიშის განვითარებაში[8].

ლენინგრადის მოლაშქრეთა რიგებში იბრძოდნენ ა. წილოსანი – კომუნისტი, კიროვის ქარხნის მექანიკოსი, და მისი ვაჟი მ. წილოსანი – სტუდენტი, კომკავშირელი. ფრონტის ერთ-ერთ უბანზე შეუპოვრად იბრძოდა მსროლელი ბატალიონი, რომლის კომისარი იყო მ. ნამგალაძე. ქვეითებს ჰაერიდან ეხმარებოდნენ “ილ-2” მოიერიშენი. ერთ-ერთ თვითმფრინავს მეთაურობდა კომისრის ვაჟი ნ. ნამგალაძე. ეს ბრძოლა მამა-შვილისათვის მშვიდობიანად დამთავრდა. მაგრამ ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის შემდეგ ისინი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს – მამა, ნამგალაძე, გმირულად დაიღუპა.

ლენინის ქალაქის ცაში უშიშრად იბრძოდნენ ქართველი შევარდნები. განსაკუთრებით ისახელეს თავი საავიაციო ქვეგანაყოფის მეთაურებმა შ. ბედუკაძემ, ა. გურგენიძემ, დ. ჯაბიძემ, გ. დორეულმა, მ. მაჩაბელმა, ი. მირიანაშვილმა, ზ. ხიტალიშვილმა, გ. ჩიტაიშვილმა, ნ. შიოშვილმა და სხვებმა. მათ საჰაერო ბრძოლებში მოსპეს ათობით ფაშისტი სვავი. ერთ-ერთ გააფთრებულ საჰაერო ბრძოლაში თავიანთი ბომბდამშენების დაცვის დროს დ. ჯაბიძემ და მისმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს სამი “მესერშმიდტ-109”, მაგრამ მოწინააღმდეგემაც ჭურვის პირდაპირი მოხვედრებით ააფეთქა მეთაურის თვითმფრინავი. მძიმედ დაჭრილმა დ. ჯაბიძემ შეძლო დამსხვრეული

თვითმფრინავიდან პარაშუტით დაშვება. გერმანელებს არ უნდოდათ ხელიდან გაეშვათ მამაცი საბჭოთა ასი და გააფთრებით შეუტიეს დაჭრილ მფრინავს. მაგრამ გამანადგურებელმა მფრინავმა, ნ. შიოშვილმა არ მიატოვა გასაჭირში მყოფი მეთაური და საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა მეგობარი. ჯაბიძე მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე[9].

ლენინგრადთან მამაცთა სიკვდილით დაეცა მრავალი ქართველი მეომარი, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირები მსროლელი ნაწილის მეთაური მაიორი ს. კეთილაძე, ნაღმმტყორცნელთა პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვ. ლესელიძე და რიგითი მებრძოლები ი. აბუაშვილი, ი. ბურდული, კ. დალაქიშვილი, ა. ქავთარაძე. ი. კორინთელი, გ. მჭედლიშვილი, გ. შაბურიშვილი და სხვები[10].

მოსკოვთან ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის სხვა ერვონებათა მეთაურებთან და მებრძოლებთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა ათასობით ქართველი მეომარი. ქართველი ოფიცრები წარმატებით მეთაურობდნენ საერთო-საჯარისო ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს, მათ შორის იყვნენ: მ. კაზიშვილი, გ. კანაჩაძე, ე. კობერიძე, მ. მიქელაძე, ი. მითაიშვილი, კ. სუხიაშვილი, პ. ჩხობაძე, პ. ჩანჩიბაძე, პ. შიოშვილი და სხვები.

როგორც დედაქალაქის გმირული დაცვის პერიოდში, ისე კონტრშეტევის დროს განსაკუთრებით ისახელა თავი პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძის 107-ე მსროლელმა დივიზიამ, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს, შემდეგ კი შემოვლითი მანევრით გავიდა მტრის მსხვილი დაჯგუფების ფლანგზე და თავისი წვლილი შეიტანა ამ დაჯგუფების განადგურებაში. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის დივიზია გარდაიქმნა გვარდიულ დივიზიად[11]. განსაკუთრებული შეუპოვრობა გამოიჩინა 75-ე საზღვაო მსროლელმა ბრიგადამ, რომელსაც პირველი რანგის კაპიტანი კ. სუხიაშვილი მეთაურობდა. ბრძოლაში მოპოვებული დიდი წარმატებისათვის შენაერთს ეწოდა მე-3 გვარდიული მსროლელი ბრიგადა. თავი ისახელა აგრეთვე პოლკოვნიკ კაზიშვილის 133-ე მსროლელმა დივიზიამაც.

ფაშისტურ სატანკო არმადებს დედაქალაქისაკენ – ტულა-მოსკოვის მიმართულებით საიმედოდ უღობავდნენ გზას პოლკოვნიკ კ. ლესელიძის 50-ე არმიის საარტილერიო ქვეგანაყოფები და ნაწილები.

ფაშისტთა თვითმფრინავებისაგან დედაქალაქის საჰაერო დაცვაში მონაწილეობდნენ საზენიტო შენაერთები, რომელთაც მეთაურობდნენ არტილერიის გენერალ-მაიორი მ. კიკნაძე და პოლკოვნიკი ა. ნაკაშიძე, აგრეთვე საავიაციო დივიზია პოლკოვნიკ ე. ტატანაშვილის მეთაურობით. მოსკოვის ცაში მამაცურად იბრძოდნენ საავიაციო ქვეგანაყოფების მეთაურები ვ. ანთაძე, ბ. ზუმბულიძე, გ. ინასარიძე, გ. კილასონია, შ. ქირია, კ. მებაღიშვილი, ვ. ფარჯიკია, შ. სარაული და სხვები. საბრძოლო დავალებათა ჩინებულად შესრულებისა და მამაცობისათვის ბ. ზუმბულიძეს, გ. ინასარიძეს, გ.

კილასონიას, შ. ქირიას და კ. მებაღიშვილს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მოსკოვის მიწაზე მამაცთა სიკვდილით დაეცა მრავალი საბჭოთა მეომარი, მათ შორის პოლკების მეთაურები პოლკოვნიკი შ. ყიფიანი, პოდპოლკოვნიკი გ. ელიოსიძე და მაიორი ს. შერეზადაშვილი, ძმები სიმონ და ფილიპე კაკულიები, რომლებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ პანფილოვის დივიზიაში, და ბევრი სხვა.

მოსკოვთან გააფთრებულ ბრძოლებში სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებითა და გმირული ბრძოლით თავი ისახელეს ოფიცრებმა: ვ. ადეიშვილმა, ბ. ბოხუამ, გ. ვარდოსანიძემ, პ. გაგნიძემ, ი. გოგოლაძემ, ი. ჯახიევმა, ი. კაპანაძემ, ე. კაკაშვილმა, მ. ლისნიცკიმ, მ. მელიქიანცმა, კ. ორმოცაძემ, ვ. ოსიპოვმა, გ. ფირცხალავამ, დ. თავზარაშვილმა, ა. ხარჩენკომ, შ. წიკლაურმა, ჯარისკაცებმა და სერჟანტებმა: ვ. ბატიაშვილმა, ა. კურტანიძემ, ხ. ნოზაძემ, ს. სიმონიანმა, ი. თომაძემ, ა. ჩხეტიანმა, კ. ემხვარმა და სხვებმა. მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმი გამოიჩინეს ქართველმა მეომარმა ქალებმაც, რომელთა მამაცი წარმომადგენელი თამარ კოსტანაშვილი მე-3 კომუნისტური დივიზიის რიგებში იბრძოდა.

ოდესის გმირულ დამცველთა შორისაც ბევრი ქართველი მეომარი იყო. ისინი იბრძოდნენ არა მარტო სახმელეთო ჯარების რიგებში, არამედ საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ავიაციასა და გემებზე.

გმირული გარნიზონის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც მეთაურობდა მაიორი გ. გამილაგღაშვილი, ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ბრძოლის ისეთ განსაკუთრებით ძნელ სახეობაში, როგორიცაა კონტრიერიშები სოლივით შეჭრილი მტრის წინააღმდეგ. იმ უბნებზე, რომლებსაც იცავდნენ მეომრები მაიორ გ. გამილაგღაშვილის ხელმძღვანელობით, მტერი ვერაფერს ხდებოდა და დიდ ზარალს განიცდიდა[12].

ზღვისპირეთის არმიის ერთ-ერთი პოლკის სამხედრო კომისარი იყო გაბედული პოლიტმუშაკი ი. ურუშაძე. კომისარი ურუშაძე მუდამ იქ გაჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად გაჭირდებოდა საქმე, და ვაჟკაცობისა და გამჭრიახობის მაგალითს იძლეოდა.

ოდესის გმირულ დაცვაში თავი გამოიჩინეს ოფიცრებმა: კ. არზიანმა, დ. ბარდანაშვილმა, მ. გოდინმა, ი. კლდიაშვილმა, ა. თალაკვაძემ, დ. ლაბაძემ, ს. ლიახმა, ა. მეტრეველმა, ი. მჭედლიძემ, ა. ქათამაძემ, გ. ხატიაშვილმა, ა. ჩხაიძემ; ზემდეგებმა კ. კოხრეიძემ, ი. ღლონტმა, მ. ნაცვალაძემ, დ. მანაშეროვმა, ნ. ოსმანოვმა, გ. ფაღავამ, მ. ფორჩხიძემ, ი. ხელაძემ; მატროსებმა მ. ბაქრაძემ, გ. ქირიამ, ვ. პატარიძემ, ვ. სირაძემ, პ. უკლებამ, ვ. ჩოფიკიანმა და სხვებმა.

მოსკოვთან კონტრშეტევისა და ტიხვინისა და დონის როსტოვის გასათავისუფლებლად კონტრდარტყმების დროს, აგრეთვე სევასტოპოლის გმირული დაცვის დღეებში, 1941 წლის 25 – 30 დეკემბერს, კავკასიის

ფრონტის, შავი ზღვის ფლოტისა და აზოვის სამხედრო ფლოტილიის ძალებმა განახორციელეს ქერჩი-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაცია.

საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირებული და დაკომპლექტებული თხუთმეტზე მეტი საჯარისო შენაერთი და ნაწილი მონაწილეობდა სევატოპოლის გმირულ დაცვასა და სადესანტო ოპერაციაში, აგრეთვე შემდგომ ბრძოლებში ქერჩის ნახევარკუნძულზე. მაგალითად, 63-ე სამთო-მსროლელი, 224-ე, 390-ე, 396-ე მსროლელი და მთელი რიგი სხვა დივიზიები. ყველა ეს შენაერთი, ძირითადად, შეავსეს საქართველოდან გაწვეულმა სამხედრო ვალდებულებმა. 390-ე მსროლელ დივიზიაში იყო 5 431 ქართველი მეომარი, ხოლო ყოფილ ქართულ 63-ე სამთო-მსროლელ დივიზიაში ფრონტზე გაგზავნისას – 222 ქართველი ოფიცერი და 5 919 ქართველი მებრძოლი. დაახლოებით ასეთივე თანაფარდობით შეივსო სხვა შენაერთებიც. სულ კი ყირიმის ფრონტზე 1942 წლის 15 აპრილამდე საქართველოდან 65897 სამხედრო ვალდებული გაიგზავნა[13].

ყირიმის ნახევარკუნძულზე გააფთრებულ ბრძოლებში მონაწილე მრავალ ათას ქართველ მეომარს შორის, რომლებმაც თავი ისახელეს და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს, იყვნენ ოფიცრები: ს. ავაქოვი, მ. ბარამიძე, მ. გულისაშვილი, ს. გაგნიძე, გ. კასრაძე, კ. ოკრიბელაშვილი, ბ. ნეფარიძე, ა. რუხაძე, გ. ხვედელიძე, ვ. ძაბახიძე, მ. ჯინჭარაძე, ი. ქანთარია; ჯარისკაცები და სერჟანტები: ა. გელაშვილი, ი. ვაშაძე, მ. კაპანაძე, ლ. ლობჟანიძე, ი. მჭედლიშვილი, ა. ტაბატაძე, ი. შვანგირაძე, შ. ჯიქია და მრავალი სხვა. თავი ისახელეს აგრეთვე ქართველმა მეომარმა ქალებმა: თ. აბრამიშვილმა, მ. ბაღაშვილმა, მ. გოგოლაძემ, თ. ღვინიაშვილმა, ც. ჯავახიამ, ზ. მანტკავამ, ვ. ნანიკელაშვილმა, ბ. ნაჭყებიამ და სხვებმა.

საბჭოთა სამშობლოს ბევრი დამცველი გმირულად დაიღუპა ქერჩის ნახევარკუნძულზე სისხლისმღვრელ ბრძოლებში, მრავალი მათგანი შთანთქა შავი და აზოვის ზღვების ტალღებმა. განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახეს პირველ სადესანტო ოპერაციაში მონაწილე 224-ე და 390-ე მსროლელმა დივიზიებმა. ამ ბრძოლებში დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის გმირი გ. სხულუხია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პოლკოვნიკი ა. ქვათაძე, პოლკოვნიკები ა. რამაზაშვილი, ს. ტარიელაშვილი, ი. ხახანოვი; ოფიცრები: ნ. ანანიაშვილი, გ. ალიბეგოვი, დ. ბრეგაძე, ა. გიორგაძე, ს. დეგალოვი, გ. ჯაბადარი, ვ. ჯიქიძე, ვ. ყიფიანი, ი. ქურდაძე, ი. კასრაძე, ვ. კაჭკაჭიშვილი, მ. მარგოშია, რ. მაღალაშვილი, დ. მგელაძე, ბ. ნეფარიძე, ა. რუხაძე, ი. სვანიძე, ა. თაფლაშვილი, თ. ურთმელიძე და ბევრი სხვა.

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ უკვე პირველსავე ბრძოლებში გამოვლინდა საქართველოს შვილების უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, მათი მამაცობა, მზადყოფნა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვათ საბჭოეთის ქვეყნის ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

[1] «Мировая война 1939 – 1945 гг», Сборник статей, М., 1957, стр. 155.
[2] «Мировая война 1939 – 1945 гг.», Сборник статей, М., 1957, стр. 149.
[3] «История Великой Отечественной войны Советского Союза 1941 – 1945 гг», т. I, стр. 384.
[4] **ა. იაკოვლევი,** ცხოვრების მიზანი, თბ., 1969, გვ. 316 – 317.
[5] "Мировая война 1939 – 1945 гг», стр. 472.
[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც. 160 – 171.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13136, ფურც. 24.
[8] «История Грузии», т. III, Тб., стр. 222 – 223.
[9] "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო", თბ., 1964, გვ. 218 – 228.
[10] **იქვე,** გვ. 252 – 255.
[11] Архив МО СССР, ф. 107, д. 133, сд. и 75.
[12] **Г. В. Хачапуридзе,** Грузинский народ в борьбе за свою свободу и независимость. Тб., 1943, стр. 150.
[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც. 160 - 171.

§ 2. სამხედრო-სამობილიზაციო ღონისძიებანი. მოსახლეობის მომზადება საჰაერო თავდაცვისათვის

სამამულო ომის მეორე დღიდან დაიწყო სამხედრო ვალდებულთა მობილიზაცია საბჭოთა არმიასა და ფლოტში. ამასთან ერთად მიმდინარეობდა ტრანსპორტის, გამწევი ძალისა და მატერიალურ საშუალებათა მობილიზაციაც. უკვე 1941 წლის 27 ივნისისათვის ჯარის ნაწილებში გაიგზავნა: 6183 უფროსი და საშუალო მეთაური, 7 086 – უმცროსი მეთაური, 68 385 – რიგითი, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს გადაეცა 4 319 ავტომანქანა, 334 ტრაქტორი, 18 926 ცხენი და ა. შ.[1].

სამხედრო-მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა 1941 წლის 12 ივნისისათვის ძირითადად დაამთავრეს სამობილიზაციო გეგმის შესაბამისი ყველა ღონისძიება. თადარიგიდან გაიწვიეს 1 206 ქალი, უმთავრესად ექიმები, ფერშლები და მედიცინის დები. ამას გარდა, 1941 წლის დამლევს და 1942 წლის დამდეგს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი განკარგულებით სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესაბამისად კავშირგაბმულობის სამსახურისა და საჰაერო თავდაცვისათვის, აგრეთვე ზურგის ორგანოებისათვის მობილიზებულ იქნა 19-დან 25 წლის ასაკის 6 783 ქალი.

სამობილიზაციო ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობდა არა მარტო საბჭოთა პატრიოტიზმის მასობრივი გამოვლინება, მობილიზებულთა და საქართველოს მთელი მოსახლეობის მაღალი პოლიტიკურ-მორალური განწყობილება, არამედ რესპუბლიკური და

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამხედრო და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების კარგად ორგანიზებული მუშაობაც.

ქართველი ხალხის მაღალი პატრიოტიზმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულება გამოვლინდა ფრონტისაკენ ლტოლვაშიც. საქართველოს სამხედრო კომისარიატებში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა არაწვევამდელთა განცხადებები ფრონტზე მოახლისეებად გაგზავნის შესახებ. ომის პირველ 10 დღეში მარტო ოცდაათ სამხედრო კომისარიატში (ეს იყო სამხედრო სამმართველოს ორგანოების საერთო რაოდენობის მესამედი) შევიდა 6 422 ასეთი განცხადება. ფრონტზე მოხალისეებად წასვლის სურვილს გამოთქვამდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები[2]. მოხალისეთა განცხადებები შედიოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებშიც.

კოლმეურნე ქალმა ს. ჟორჟოლაძემ თელავის რაიონის შალაურის სოფლის საბჭოს კრებაზე განაცხადა: “მე ოთხი ვაჟი მყავს წითელ არმიაში, ამ დღეებში ჩემი ქალიშვილი მიდის ფერშლად, მეც ყოველ წუთს მზად ვარ შევიდე მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში, აქტიური მონაწილეობა მივიღო გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში”.

ყოფილი პარტიზანი, საკ. კპ (ბ) წევრი 1918 წლიდან ვ. ქებაძე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე (ორჯერ დაჭრილი), თავის განცხადებაში წერდა: “კარგად ვიცნობ გერმანიისა და პოლონეთის ტერიტორიას, როცა წინათ ვომობდი (1914 წ.), არ ვიცოდი, რისთვის ვომობდი, ახლა კი ვიცი, რისთვის უნდა ვიბრძოლო, კარგად ვიცი ტყვიამფრქვევ “მაქსიმის” ხმარება. გთხოვთ გამგზავნოთ ფრონტზე”[3].

სამობილიზაციო ღონისძიებათა გეგმის გარეშე ასობით კომკავშირელი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გაიგზავნენ სამხდერო სასწავლებლებსა და საჰაერო-სადესანტო ჯარებში. მაგალითად, უკვე 1941 წლის 5 ივლისისათვის სოხუმის ქვეითი ჯარის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა 100 სტუდენტი, ბაქოს სასწავლებელში კი – 80. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 10 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე 750 კომკავშირელი გაიგზავნა საჰაერო-სადესანტო ჯარებში[4].

1941 წლის 23 ივნისიდან 1942 წლის 15 აპრილამდე საქართველოდან სხვადასხვა ფრონტებსა და სამხედრო ოლქებში გაიგზავნა 354 332[5], მათ შორის 52 600 კომუნისტი, ე. ი. საქართველოს კომპარტიის რიცხობრივი შემადგენლობის ნახევარი, და 160 ათასი კომკავშირელი.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 24 ივნისის დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველა რაიონსა და ქალაქში მტრის პარაშუტისტებთან, ჯაშუშებთან და დივერსანტებთან საბრძოლველად, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ობიექტების დასაცად არაწეევამდელთაგან შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები თითოეული

200 – 250 კაცის შემადგენლობით. 1941 წლის 28 აგვისტოს შეიქმნა სპეციალური სამმართველო საქართველოს სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების უფროსის გენერალ-მაიორ ნ. ლაბაძის ხელმძღვანელობით, ეს სამმართველო სათავეში ედგა რესპუბლიკურ გამანადგურებელ ბატალიონებს.

სამხედრო კადრების მასობრივად მომზადებისათვის შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო სწავლების სისტემა. საქართველოში 1941 წლის 15 ოქტომბრისათვის პირველი რიგის საყოველთაო სამხედრო სწავლებაში მომზადდა 17 875 თადარიგის სამხედრო ვალდებული და 1923 წელს დაბადებული 9 875 წვევამდელი, ხოლო 1942 წლის ზაფხულისათვის საყოველთაო სამხედრო სწავლების სისტემაში მომზადებული სამხედრო სპეციალისტების რაოდენობამ 77 969 კაცს მიაღწია. საყოველთაო სამხედრო სწავლების ხელმძღვანელობის მიზნით 1941 წლის შემოდგომაზე რესპუბლიკურ სამხედრო კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება[6].

საქართველოს ტერიტორიაზე ომის პირველი დღეებიდანვე დაიწყო საევაკუაციო ჰოსპიტლების მოწყობა.

საევაკუაციო ჰოსპიტლებად გადაკეთდა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სხვადასხვა პანსიონატების უმრავლესობა თავისი შტატით (სამედიცინო და მომსახურე პერსონალით), მოწყობილობით, ქონებითა და ინვენტარით, აგრეთვე 51 სკოლის შენობა, რამდენიმე სასტუმრო და მთელი რიგი საზოგადოებრივი შენობები.

საქართველოში უკვე 1941 წლის ნოემბრისათვის იყო 62 საევაკუაციო ჰოსპიტალი 24 760 საწოლით, აქედან 50 ევაკო-ჰოსპიტალი 20 300 ადგილით დაექვემდებარა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, დანარჩენი თორმეტი კი 4 460 საწოლით შედიოდა საკავშირო პროფსაბჭოს გამგებლობაში. თბილისში იყო 29 საევაკუაციო ჰოსპტალი 11 800 საწოლით, ქუთაისში – ხუთი 2 100 საწოლით, წყალტუბოში – ორი 1 500 საწოლით, ბორჯომში – სამი 900 საწოლით, თელავში – ორი 600 საწოლით, დანარჩენი კი – სოხმუში, ბათუმში, სტალინირში, გორში, მახარაძეში, ქობულეთში, ახტალაში, მენჯში, აბასთუმანში, ლიბანში, ცემში და რესპუბლიკის სხვა დასახლებულ პუნქტებში[7].

იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში უაღრესად დაძაბული სტრატეგიული ვითარება შეიქმნა, 1942 წლის ზაფხულში რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჭირო გახდა გადაუდებელ დამატებით სამობილიზაციო ღონისძიებათა განხორციელება.

ვინაიდან ქვეყნის სხვა რაიონებიდან ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ფრონტებისათვის რეზერვების მიწოდება შეიზღუდა, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულების საფუძველზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დაიწყო ჯარების სხვადასხვა გვარეობათა ათობით მეტი შენაერთისა და ნაწილის, მათ შორის ეროვნული ნაწილების ფორმირება, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე

მსროლელი და სამთო-მსროლელი დივიზია, ორი სათადარიგო შენაერთი სამარშო შევსების მოსამზადებლად და ფრონტზე გასაგზავნად, თორმეტი ალპინისტური რაზმი თითოეული 295 კაცის შემადგენლობით, ექვსი მშენებელ მუშათა კოლონა, თითოეულ კოლონაში შედიოდა 900-კაციანი თორმეტი რაზმი, და მთელი რიგი სხვა სამხედრო ნაწილები.

სამთო-მსროლელი დივიზიები და ალპინისტური რაზმები ძირითადად დაკომპლექტდა მთიელებით, აგრეთვე იმ პირებით, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს. ამ ფორმირებათა სამთო მომზადებისა და ბრძოლაში გამოყენებისათვის ინსტრუქტორებად დაინიშნენ საქართველოს ალპინისტთა რესპუბლიკური კლუბის წევრები.

1942 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ფორმირებული სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობით დასაკომპლექტებლად, აგრეთვე მოქმედი არმიის სამარშო შევსებისათვის საქართველოდან მობილიზაციით გაიწვიეს თადარიგის უფროსი ასაკის 162 920 ვალდებული[8].

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებით 1942 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს სს რესპუბლიკაში საჰაერო თავდაცვის ჯარებში სამსახურისათვის მობილიზებულ იქნა 19-დან 30 წლამდე ასაკის 4500 ქალი, ზურგის ნაწილებში მამაკაცების შესაცვლელად 602 ქალი, ხოლო 2 700 ქალი ავტომძღოლების კურსებზე გაიგზავნა. ამას გარდა, რესპუბლიკის პარტიული აქტივის შემადგენლობიდან 25 –35 წლის ასაკის 41 ქალი წავიდა ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარებში პარტიულ-პოლიტიკურ სამუშაოზე[9].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და რესპუბლიკის სახკომსაბჭო დიდ ყურადღებას უთმობდნენ მომქედი არმიის ჯარების სხვადასხვა გვარეობისათვის სამეთაურო და პოლიტიკური კადრების, აგრევთე სამხედრო სპეციალისტების მომზადებას. 1942 წელს მეთაურთა და პოლიტიკური კადრების მოსამზადებლად სხვადასხვა სამხედრო აკადემიასა და სასწავლებელში რესპუბლიკიდან მიავლინეს 5 939 კაცი, ხოლო საყოველთაო სამხედრო სწავლების ხაზით და საქართველოს ქიმიური თავდაცვის სასწავლო ორგანიზაციებში მომზადდა 148 756 სამხედრო სპეციალისტი[10]. გარდა ამისა, საქართველოს სსრ წითელი ჯვრის ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ 1942 წელს მოამზადა “მშთ” და “იმშთ” 395 740 ნიშნოსანი, 1 603 მედიცინის და, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხაზით სამხედრო-სათხილამურო მომზადების 700 ხელმძღვანელი, 300 ალპინისტი ინსტრუქტუორი და ათასი ავტომძღოლი. ამავე პერიოდში კომკავშირულ-ახალგაზრდულ სპეციალურ ქვედანაყოფებში მომზადდა 5 650 სამთო მსროლელი[11].

როგორც უკვე ითქვა, ომის დაწყებისთანავე საქართველოში ჩატარდა სამობილიზაციო ღონისძიებანი და შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებსაც საჭიროების მიხედვით იყენებდნენ სამხედრო მომზადების, საბრძოლო ჯგუფების ჩამოყალიბებისა და ოპერატიულ დავალებათა შესასრულებლად. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოადგნენ კავკასიონის მთავარ ქედს, გაახშირეს საპარაშუტო-სადესანტო ჯგუფების გადმოსხმა და გააძლიერეს ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საჭირო გახდა მთელი რიგი გამანადგურებელი ბატალიონების ყაზარმულ მდგომარეობაში გადაყვანა. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 7 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე უმთავრესად რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ, ძირითადად აფხაზეთის რაიონებში 17 გამანადგურებელი ბატალიონი 4 130 კაცის საერთო რაოდენობით გადაყვანილ იქნა ყაზარმულ მდგომარეობაში, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მათი ბრძოლისუნარიანობა და ხელი შეუწყო მოქმედი არმიის ზურგის გაუვნებლობას[12]. კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული იყო საფრონტო ზურგის ორგანოთა დიდი უმრავლესობა, მათ შორის საარმიო და საფრონტო დაქვემდებარების ასამდე საველე მოძრავი ჰოსპიტალი, აგრეთვე საჯარისო შენაერთების სამედიცინო-სანიტარული ბატალიონები. საველე მოძრავი ჰოსპიტლებისა და ფრონტის სხვა სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა წარმატებითი მუშაობა მნიშვნელოვანდ იყო დამოკიდებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიორიაზე არსებული საევაკუაციო ჰოსპიტლების ფართო ქსელზე. მაგრამ როცა გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო შემდეგ უშუალოდ საქართველოს სს რესპუბლიკის საზღვრებთან, არსებული ჰოსპიტლები სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. მათ უკვე აღარ შეეძლოთ მთლიანად მიეღოთ და ნორმალურად ემკურნალათ ფრონტიდან გამოგზავნილ დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთათვის, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდა. ამიტომ რესპუბლიკაში გაიხსნა 12 ახალი საევაკუაციო ჰოსპიტალი (თბილისში, ქუთაისში, წყალტუბოში, ბორჯომში, ჭიათურაში, თელავში, გურჯაანში, სურამში, წაღვერში, ხარაგაულში), 10 ათასი საწოლით გაიზარდა საევაკუაციო ჰოსპიტლების ტევადობა[13]. 1943 წლის 25 იანვრისათვის საქართველოში მოქმედებდა 74 საევაკუაციო ჰოსპიტალი 38 030 საწოლით[14]. დიდი რაოდენობით სისხლი მისცეს ჰოსპიტლებს საქართველოს დონორებმა. 1942 წელს აქტიური დონორების რიცხვი 12 110 კაცამდე გადიდდა, ხოლო 1943 წელს საქართველოში 28 309 დონორი იყო[15].

საქართველოდან უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ფრონტზე ახალი შევსება. 1941 წლის 23 ივნისიდან 1944 წლის 1 დეკემბრამდე სსრ კავშირის შეირაღებულმა ძალებმა საქართველოდან დასაკმოპლექტებლად მიიღეს სულ 562 756 სამხედრო ვალდებული. გარდა ამისა, რესპუბლიკაში მობილიზებულ

და მრეწველობაში დასაქმებულ იქნა 20 164 ახალწვეული. ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან გაიწვიეს 582 920 კაცი[16].

1943 – 1944 წლებში საყოველთაო სამხედრო სწავლების სისტემაში მომზადდა სხვადასხვა სამხედრო სპეციალობის 87 394 რიგითი მებრძოლი და სერჟანტი. რესპუბლიკის საჰაერო ქიმიური თავდაცვის სასწავლო ორგანიზაციებში კი – 110 ათასზე მეტი სამხედრო სპეციალისტი[17]. ამავე პერიოდში რესპუბლიკის წითელი ჯვრის ორგანიზაციებში მომზადდა “მსთ” და “იმსთ” 510 000 ნიშნოსანი. აგრეთვე დაახლოებით 2 500 მედიცინის და.

ადგილობრივი საჰაერო და ქიმიური თავდაცვის ორგანოები ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდში ეწეოდნენ მუშაობას იმისათვის, რომ მოსახლეობა მასობრივად მოემზადებინათ საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის, საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და სახლმმართველობებში ეწყობოდა ჯგუფური მეცადინეობები, სადაც ძირითადად წარმოებდა ინდივიდუალური მომზადება. ხორციელდებოდა აგრეთვე მასობრივი სწავლება საწარმოს, დაწესებულების ან დასახლებული პუნქტისა და რაიონის მასშტაბით. ამ პრაქტიკულ მეცადინეობებზე ქმნიდნენ და ამზადებდნენ თვითდაცვის კომიტეტებს ფაბრიკა-ქარხნებთან და სხვა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქმნიდნენ აგრეთვე ჯგუფებს საცხოვრებელ სახლებთან. ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბები ყველა დონეზე – საობიექტოდან რესპუბლიკურამდე, გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელობდნენ მოსახლეობის თავდაცვის ჯგუფებისა და საობიექტო რაზმების მომზადებას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სხვადასხვა თავშესაფრის მშენებლობასა და მოწყობას, აგრეთვე ქიმიური თავდაცვის საშუალებათა, მედიკამენტების, სანიტარული, საინჟინრო და სახანძრო ქონების შეძენასა და შენახვას. გარდა ამისა, საჰაერო თავდაცვის შტაბები, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით გეგმავდნენ მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში მოსახლეობისა და მატერიალურ საშუალებათა შესაძლო ევაკუაციას იმ რაიონებიდან, რომლებსაც საფრთხე ემუქრებოდა. ისინი ითვალისწინებდნენ არა მარტო იმ ადგილებს, სად და რამდენი ევაკუირებული გაეგზავნათ, არამედ საჭირო სატრანსპორტო საშუალებებს, მომარაგების წესს, თავდაცვისათვის საჭირო ქონების უზრუნველყოფას, აგრეთვე საჰაერო თავდაცვის ღონისძიებებს. ომისწინა წლებში აშენდა და მოეწყო სხვადასხვა კატეგორიის თავშესაფრები, აგრეთვე თავშესაფრებად გამოყენებული იყო მთელი რიგი სარდაფები, მაგრამ ომის დასაწყისში შექმნილი რთული ვითარება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისაგან და პირველ რიგში ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შატბებისაგან მოითხოვდა სასწრაფოდ მოეგვარებინათ დიდ რაოდენობით ქიმიური თავდაცვის საშუალებათა და თავშესაფრების მოწყობილობათა წარმოება. ომის პირველსავე დღეებში დაიწყო მოსახლეობი საყოველთაო სავალდებულო მომზადება საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის.

სწავლებაში ჩააბეს როგორც მოზრდილი მოსახლეობა 16-დან 60 წლამდე, ისე ბავშვები 8-დან 16 წლამდე.

1941 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში საჰაერო-ქიმიურ თავდაცვაში მომზადდა: მოზრდილი მოსახლეობა და ბავშვები – სულ 1 367 768 კაცი, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის 20 317 ინსტრუქტორი, თავდაცვის 2 100 ჯგუფი.

საჰაერო თავდაცვის რაზმები და ჯგუფები აღჭურვილი იყვნენ უმთავრესად ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დამზადებული საჭირო ინსტრუმენტებითა და ქონებით. იბეჭდებოდა პლაკატები, სასწავლო ლიტერატურა საჰაერო და ქიმიური თავდაცვის შესახებ[18]. ომის პირველსავე კვირეებში დაიწყო ყუმბარსაფრების, აირსაფრების, საველე და გვირაბის ტიპის საფრების მშენებლობა.

სიძნელეებისა და ნაკლოვანებათა მიუხედავად საქართველომ თავი გაართვა მოსახლეობის საჰაერო და ქიმიური თავდაცვის მასობრივი მომზადების ამოცანებს.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12112, ფურც. 189.
[2]. პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ.12112,ფურც.189.
[3] **იქვე.**
[4] **იქვე,** საქ. 11762, ფურც. 86; საქ. 12262, ფურც. 101; საქ. 12275, ფურც. 268.
[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც. 160 - 171.
[6] იქვე, საქ. 12763, ფურც. 38 –39; საქ. 12383, ფურც. 79.
[7] პარტიული აქტივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12530, ფურც. 255; საქ. 12532, ფურც. 25 – 47.
[8] იქვე, საქ. 12383, ფურც. 24; საქ. 12387, ფურც. 240 – 242.
[9] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12387, ფურც. 311 – 314; საქ. 12369, ფურც. 1; საქ. 12272, ფურც. 68 – 69; საქ. 12307, ფურც. 139; საქ. 12389. ფურც. 274.
[10] იქვე, საქ. 12290, ფურც. 224; საქ. 12766, ფურც. 126; საქ. 12386, ფურც. 47– 99; საქ. 12313, ფურც. 43 - 44; საქ. 12763, ფურც. 61 – 62.
[11] იქვე, საქ. 12811, ფურც. 69; საქ. 12765, ფურც. 50; საქ. 12252, ფურც. 97; საქ. 12320, ფურც. 153; საქ. 12338, ფურც. 66 – 70; საქ. 12331, ფურც. 76 - 80; საქ. 12318, ფურც. 44.
[12] იქვე, საქ. 12383, ფურც. 131; საქ. 12990, ფურც. 180.
[13] გამოთვლილია პარტიული არქივის (თბილისი) მონაცემების მიხედვით, ფ. 14, საქ. 12530, ფურც. 255; საქ. 13131, ფურც. 41 – 42.
[14] იქვე, ფ. 14, საქ. 13431, ფურც. 41 – 42; საქ. 12532, ფურც. 25 – 47.
[15] იქვე, საქ. 13474, ფურც. 119.
[16] იქვე, ფ. 14, საქ. 13811, ფურც. 52; საქ. 13812, ფურც. 203 – 205; საქ. 13813, ფურც. 1 – 5.
[17] იქვე, საქ. 13616, ფურც. 196 - 197; საქ. 13475, ფურც. 63.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12247, ფურც. 52.

§ 3. საქართველოს მშრომელთა მონაწილეობა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში. ფრონტისათვის საყოველთაო სახალხო დახმარების ორგანიზაცია

დიდმა სამამულო ომმა მოითხოვა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითებათა საფუძველზე ამ ორგანიზაციების მთელი საქმიანობა წარიმართა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების გაზრდისაკენ. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წინაშე დაისახა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული საკითხები. იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის რიცხობრივი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, სახელდობრ, როგორც ზემოთ აღინიშნა, 52 600 კომუნისტი მობილიზებული იყო არმიაში, საჭირო გახდა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების შევსება ახალი კადრებით. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში და სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები მთავარ ყურადღებას უთმობდნენ იმას, რომ მოქმედი არმიისათვის ვადაზე და ხარისხიანად მოემზადებინათ სამხედრო კადრები, აგრეთვე მთლიანად შეესრულებინათ სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალება საომარი აღჭურვილობით, მოწყობილობითა და კვების პროდუქტებით ფრონტის მაქსიმალურად უზრუნველყოფის შესახებ.

პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოები ყოველდღიურად ზრუნავდნენ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად, ყოველ ღონეს ხმარობდნენ საზღვრისპირა რაიონების ტერიტორიაზე თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში მოსახლეობის მაქსიმალურად ჩაბმისათვის.

პარტიული ორგანოების სამხედრო განყოფილებები არა მარტო ეხმარებოდნენ რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატებს რეზერვების მომზადებასა და ფრონტზე გაგზავნაში, არამედ სისტემატურ კონტროლს უწევდნენ თავდაცვითი პროდუქციის დროულად და ხარისხიანად გამოშვებას, ისინი დიდ მზრუნველობას იჩენდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების, აგრეთე ომის ინვალიდების შრომითი მოწყობისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის.

ბევრი რამ გაკეთდა საევაკუაციო ჰოსპიტლების ნორმალური მუშაობისათვის, აგრეთვე მეომრებისათვის თბილი ტანსაცმლისა და საჩუქრების შესაგროვებლად და ფრონტზე გასაგზავნად.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს და საჯარისო გაერთიანებისა და შენაერთების პოლიტგანყოფილებებს პირად შემადგენლობაში პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციასა და

გატარებაში. ცენტრალურმა კომიტეტმა სამხედრო ნაწილების პოლიტგანყოფილებებსა და საარმიო გაზეთების რედაქციებში მუდმივ სამუშაოდ გაგზავნა ასობით გამოცდილი პარტიული მუშაკი. ამიერკავკასიის გამომცემლობებს გადაეცათ საბეჭდი მანქანები, შრიფტი, ქაღალდი და სხვა სასტამბო მოწყობილობა. საარმიო გაზეთებში თანამშრომლობდნენ საქართველოს მწერლები და ჟურნალისტები[1].

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრები იყვნენ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ალექსანდრე საჯაია, ხოლო 46-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძე.

საქართველოდან ფრონტზე იგზავნებოდა ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე სხვა ნაბეჭდი პროდუქცია. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები ყოველდღე იღებდნენ გაზეთებს "ზარია ვოსტოკას" 17 595 ეგზემპლარს, "კომუნისტს" - 14 140, "მოლოდოი სტალინეცს" - 10 ათას ეგზემპლარს. სამხრეთის ფრონტს გაეგზავნა ათეულ ათასობით ეგზემპლარი 40 დასახელების წიგნი და ბროშურა[2].

რესპუბლიკის გამომცემლობები წითელი არმიის ჯარებისათვის უშვებდნენ სხვადასხვა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მასალას, როგორც ქართულ და რუსულ, ისე გერმანულ, იტალიურ და თურქულ ენებზე[3]. არმიის პოლიტგანყოფილებები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან იღებდნენ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო მასალებს. მაგალითად, 1941 წლის აგვისტოში მათ გადაეცათ ოთხი მოძრავი კინოდანადგარი ³ – 25-ის ათი კომპლექტი ელექტროძრავითურთ. 1942 წდის დამდეგს კი კიედვ ათი მოძრავი კინოდანადგარი, ხუთი საბეჭდი მანქანა "ამერიკანკა" და ერთი მილიონი რვეული[4].

წითელი არმიის მეომრებისათვის ხშირად ეწყობოდა სპეციალური რადიოგადაცემები, სადაც გამოდიოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, გამოჩენილი მეცნიერები, ცნობილი მუშები და კოლმეურნეები, მწერლები და მსახიობები[5].

რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები ქმედით დახმარებას უწევდნენ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებს და შავი ზღვის ფლოტის ნაწილებს საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებზე თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში. ამ სამუშაოებში ფართოდ იყო ჩაბმული მოსახლეობა. თავდაცვითი პოზიციების მასობრივი მშენებლობა, განსაკუთრებით საშიშ ზღვისპირა და საზღვრისპირა უბნებზე, 1941 წლის სექტემბერში დაიწყო. თავდაცვითი მშენებლობისათვის მარტო 1941 წლის მეოთხე კვარტალში ყოველდღიურად მუშაობდა 43 ათასი კაცი და 4 300 საზიდარი. ამას გარდა, ადგილობრივი რესურსებიდან გამოიყო 10 ათასი ტონა ცემენტი, ჩოხატაურის, სუფსის, ბათუმის, კოდორისა და სხვა ხე-ტყის სახერხი ქარხნებიდან 404 900 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა. რესპუბლიკის

ადგილობრივი თავდაცვის ზღუდეებზე დაბრკოლებათა შესაქმნელად მრეწველობამ დაამზადა და ფრონტს გადასცა 100 ათასი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, 25 ათასი ქვეითი ჯარების საწინააღმდეგო ნაღმი, 150 ათასი ამფეთქებელი და 500 ათასი მიწის ტომარა[6].

მაგრამ თავდაცვითი მშენებლობა ამით როდი შემოიფარგლა. საქართველოს სხვა რაიონებში შენდებოდა სხვადასხვა ნაგებობანი, სიმაგრეები, აეროდრომები, სანგრები, ბაზები და გზები. გაგრის რაიონში აშენდა საველე ნაგებობანი, რომლებზეც რამდენიმე თვის მანძილზე დღედაღამ მუშაობდა 3 879 კაცი და 116 ურემი. ფოთის ნავსადგურის ყურის გაწმენდა-გაღრმავებაზე ყოველდღე მუშაობდა 4 200 კაცი და 200 საზიდარი. ჯავა-ონის გზის მშენებლობაზე მარტო 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში ყოველდღიურად დასაქმებული იყო 7 ათასამდე კაცი. მარტო 1941 წლის ნოემბერში თავდაცვითს სამუშაოებზე დღედაღამ შრომობდა ბორჯომის რაიონიდან 650 კაცი, წალკიდან – 715, ადიგენიდან – 885, ახალციხიდან – 750, ასპინძიდან – 842, ახალქალაქიდან – 785, ბოგდანოვკიდან – 840 და ა. შ. საქართველოს სამხედრო გზის შეკეთებაზე მთელი 1941 – 1942 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მარტო დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებიდან ყოველდღიურად საშუალოდ 500 კაცი მუშაობდა[7].

1941 წლის სექტემბერში საქართველოს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეუდგნენ თბილი ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ნივთების შეგროვებას წითელი არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის. მშრომელთა პატრიოტიზმს მოწმობს შემდეგი ციფრები: საქართველოს მოსახლეობამ 1942 წლის პირველი იანვრისათვის საბჭოთა არმიის მებრძოლებს გაუგზავნა 20 708 წყვილი თექისა და ნაბდის ჩექმა, 66 156 წყვილი შალის ხელთათმანი და ხელჯაგი, 53 298 წყვილი თბილი საცვალი, 139223 წყვილი შალის წინდა და ათი ათასობით სხვა ტანსაცმელი, თეთრეული[8].

ყოველი დღესასწაულისათვის საქართველოს მშრომელები ფრონტზე ათასნაირ საჩუქრებს უგზავნიდნენ არმიისა და ფლოტის მეომრებს, ამანათში დებდნენ პატრიოტული შინაარსისა და ოპტიმიზმით აღსავსე ბარათს, მიმართვას მეომრისადმი. როგორც წესი, ფრონტზე საჩუქრები მიჰქონდათ რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციებს. ეს მეტად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა ზურგისა და ფრონტის კავშირის განმტკიცებაზე. 1941 წლის დეკემბერში სამხრეთის ფრონტზე გაიგზავნა 20 ათასი ამანათი. აქედან ნახევარი გადაეცა 44-ე და 51-ე არმიებს, 9 ათასი კი სევასტოპოლის გმირულ გარნიზონს. გარდა ამისა, 1941 წლის 22-დან 29 დეკემბრამდე ბათუმიდან სევასტოპოლში ჩაიტანეს დაახლოებით 12 ათასი საჩუქრების ამანათი. სულ კი მოქმედ არმიაში გაიგზავნა 38 ათასი ამანათი საახალწლო საჩუქრებით[9].

საბჭოთა ხალხს სურდა მაქსიმალური მატერიალური დახმარება გაეწია სამშობლოსათვის საძულველი მტრის განადგურების საქმეში და კომუნისტური პარტიის მოწოდებით დაიწყო ფულადი და სხვა მატერიალური

სახსრების შეგროვება ქვეყნის თავდაცვის ფონდისათვის. ეს კამპანია ომის პირველი დღეებიდანვე ფართოდ გაიშალა საქართველოში. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის ცნობით უკვე 1942 წლის იანვრისათვის რესპუბლიკის მოსახლეობამ ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეიტანა დაახლოებით 40,8 მლნ მანეთი, 3,5 კილოგრამი ოქრო და პლატინა, 363 კგ ვერცხლი, 9 982 მანეთის ვალუტა და ძვირფასი ნივთები, აგრეთვე 3 510 კგ ხორცი, 316 ცენტნერი რძის პროდუქტები, 20,4 ათასი ცალი კვერცხი, 893 ტონა მარცვლეული და ა. შ.[10].

როგორც პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოები, ისე საქართველოს მთელი მოსახლეობა განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდნენ მტრის მიერ დროებით ოკუპირებული სსრ კავშირის საზღვრისპირა რაიონებიდან ევაკუირებულთა მიმართ. ომის პირველსავე თვეებში საქართველოში ევაკუირებულ იქნა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის საბავშვო სახლები. მაგრამ ბავშვები ჩამოდიოდნენ ცალ-ცალკე არაორგანიზებულადაც, რაც კიედევ უფრო აძნელებდა მათს მიღება-დაბინავებას და სათანადოდ უზრუნველყოფას. ევაკუაციით ჩამოსულ საბავშვო დაწესებულებათა დიდი უმრავლესობა მოთავსდა თბილისის მახლობლად მდებარე საკურორტო დაბა კოჯორში, არაორგანიზებულად ჩამოსულ ბავშვთა ნაწილი მიიღეს საქართველოში არსებულ ბავშვთა სახლებში, რომელთა ადგილების რაოდენობა 1050-ით გადიდდა.

1942 წლის 13 ნოემბრისათვის ლენინგრადიდან, ეისკიდან, დნეპროპეტროვსკიდან, სიმფეროპოლიდან და სევასტოპოლიდან საქართელოში ჩამოვიდა 10 საბავშვო სახლი.

რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებათა არსებული ქსელის მნიშვნელოვნად გაფართოების მიუხედავად ყველა ევაკუირებული ბავშვის დაბინავება ვერ მოხერხდა. ამიტომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სახალხო კომისარიატებმა ითავეს 2 340 ბავშვისათვის აღმოეჩინათ პატრონი და 320 ბავშვი გაეშვილებინათ[11].

მძიმე სამხედრო-სტრატეგიული ვითარება, რაც საბჭოთა კავშირის სამხრეთში 1942 წლის ზაფხულში შეიქმნა, ჩვენი ქვეყნის უდიდესტი ტერიტორიის ოკუპაციისა და ფაშისტ დამპყრობთა დიდი ძალების სტალინგრადთან და კავკასიონის მთისწინეთთან გასვლის შედეგად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ადგილობრივ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს უნდა განეხორციელებინათ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დასახული სპეციალური თავდაცვითი ღონისძიებანი.

1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ჰიტლერელებმა ხელთ იგდეს კავკასიონის მთავარი ქედის მთელი რიგი უღელტეხილები და შეიჭრნენ საქართველოს ჩრდილოეთ მაღალმთიან რაიონებში. რესპუბლიკის ტერიტორია ფრონტისპირა ზოლად იქცა. გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა რესპუბლიკის ჩრდილოეთ საზღვრებზე, მოწინააღმდეგე ბომბებს უშენდა

ზოგიერთ დასახლებულ პუნქტს და საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიულ-საპარაშუტო დესანტებს გზავნიდა. მტერმა დაბომბა სოხუმი, ფოთი, ბათუმი, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტები[12].

უკვე 1942 წლის 4 მაისს შავი ზღვის სანაპიროსა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან 15 კილომეტრის სიღრმის ტერიტორიის ზოლში შემოღებულ იქნა განსაკუთრებული სამხედრო რეჟიმი. 1942 წლის 13 აგვისტოს სრული შუქშენიღბვის რეჟიმი დაწესდა საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. 24 აგვისტოს კი სახმედრო მდგომარეობა გამოცხადდა ქალაქებში თბილისში, ხაშურში, ზესტაფონში, სამტრედიაში და საქართველოს მთელი შავი ზღვის სანაპიროს დასახლებულ პუნქტებში. სექტემბრის შუა რიცხვებში თავდაცვის საქალაქო კომიტეტები მოეწყო ქალაქებში: სოხუმში, ბათუმსა და ფოთში[13].

იმისათვის, რომ დახმარებოდნენ ჯარებს საბრძოლო დავალებათა შესრულებაში, დროულად უზრუნველეყოთ ისინი მატერიალური საშუალებებით, მოეხდინათ სამხედრო სარდლობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთმოქმედების კოორდინაცია, აგრეთვე დაეწესებინათ მკაცრი კონტროლი ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს დადგენილებათა ვადაზე შესრულებისათვის, რესპუბლიკის ხელმძღვანელი შემადგენლობიდან დაინიშნენ სამხედრო საბჭოს სპეციალური რწმუნებულები. მათ შორის იყვნენ: გ. ალავიძე, ვ. ბაქრაძე, მ. ბეჭვაია, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. გაგუა, ს. იშხანოვი, გ. კარანაძე, გ. ნარსია, ა. საჯაია, გ. სტურუა, ვ. ცხოვრებაშვილი, გ. თვალჭრელიძე, ზ. ჩხუბიანაშვილი და სხვები[14].

იმის გამო, რომ ამიერკავკასიას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, საჭირო გახდა ამიერკავკასიის მთელი ძალებისა და საშუალებათა მობილიზაცია. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითებით ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკაში, კერძოდ, საქართველოში, ჩატარდა მრავალი მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიება ლოზუნგით "ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის". ამ ღონისძიებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თბილისში გამართული ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების (1942 წლის 23 აგვისტო) და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდობის წარმომადგენლების (1942 წლის 27 სექტემბერი) ანტიფაშისტური მიტინგები. ამ მიტინგებზე მთელი პირდაპირობით და გულახდილობით ითქვა იმ მრისხანე საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრებოდა საბჭოთა ადამიანების, მათ შორის კავკასიის მოსახლეობის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, და დაისახა გადაუდებელი ამოცანები რევოლუციური სიფხიზლისა და საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად. აღინიშნა, რომ მთელ მოსახლეობას მონაწილეობა უნდა მიეღო არმიისათის დახმარების გადიდებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებაში.

ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურ მიტინგზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა, აკადემიკოსები ი. ბერიტაშვილი და ი. ორბელი, პოეტი სამედ ვურღუნი, მწერალი კ. გამსახურდია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აიკანუშ დანელიანი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მასწავლებელი ქალი საიდა იმანოვა და სხვები. მიტინგმა ამიერკავკასიის ხალხებისადმი მიიღო მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო ”აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ხალხებო! საყვარელო მამებო და ძმებო, დედებო და დებო! მთელი ჩვენი შრომა, მთელი ჩვენი უნარი და ძალ-ღონე მოვახმაროთ მტრის განადგურებას! გავაძლიეროთ სიფხიზლე, უფრო ენერგიულად დავეუფლოთ სამხედრო ცოდნას.

დაე ყოველდღიურად, ყოველ საათობით ვზრდიდეთ ჩვენი წითელი არმიისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, მტრის გასანადგურებლად ნავთობის, ქვანახშირის, მარგანეცის, სპილენძის მოპოვებას. უხვად მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას საჭურველი, ნედლეული და სურსათი, რათა მოვაახლოოთ ჩვენი გამარჯვების ჟამი. დაე მთელი სიმძლავრით მუშაობდეს ყოველი ჩარხი და ჩქეფდეს თავდადებული შრომა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე!”[15]. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სახკომსაბჭო, აგრეთვე, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოს საზღვრებთან ფრონტის მოახლოების კვალობაზე კიდევ უფრო დიდ ყურადღებას უთმობდნენ რესპუბლიკის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე თავდაცვითი ნაგებობებისა და განსაკუთრებულად გამაგრებული ობიექტების მშენებლობას.

კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე (ჯვრისა და მამისონის უღელტეხილების გარდა) აიგო 150 კილომეტრი ფრონტის საერთო სიგრძისა და 20 კილომეტრამდე სიღრმის 11 საპოლკო უბანი, ხოლო მამისონის უღელტეხილის დასაცავად აიგო თავდაცვითი ზოლი საერთო-საჯარისო შენაერთებისათვის.

თავდაცვითი ზღუდე რამდენიმე შენაერთისათვის აშენდა აგრეთვე რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე. იგი გათვალისწინებული იყო ადლერის მხრიდან რიონის ხეობაში უმოკლესი გასასვლელი გზებისა და საკვანძო ცენტრების ქუთაისისა და სამტრედიის, აგრეთვე შავი ზღვის ნავსადგურების დასაცავად. ამ თავდაცვითი ზღუდის საერთო სიგრძე ფრონტის ხაზით შეადგენდა 90 –100 კილომეტრს, სიღრმით კი დაახლოებით – 30 კილომეტრს[16].

შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასაძლიერებლად დამატებით მოეწყო თავდაცვითი პოზიციები ფოთი-ქობულეთის ზღუდეზე. ამ პოზიციების სიგრძე დაახლოებით 110 კილომეტრი იყო, სიგანე – 35 კილომეტრამდე. აიგო აგრეთვე ინგურისა და ოჩამჩირის პოზიციები.[17]

მნიშვნელოვანი თავდაცვითი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს სამხედრო გზაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დასახლებული

პუნქტებისა და მათი მისადგომების გამაგრებას, აგრეთვე დარიალის ხეობას და ჯვრის უღელტეხილს. ამ მიმართულებით გარდა იმისა, რომ მოეწყო თავდაცვითი ზოლი, აიგო ათასზე მეტი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი, ძელმიწური საცეცხლე წერტი. ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების დასადგმელად გამოყენებულ იქნა 1500-ზე მეტი ქვის შენობა, დაიდგა 300-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო ზღუდეები, დაახლოებით 25 სიგრძივი კილომეტრი თხრილი და მრავალი სხვადასხვაგვარი ნაღმღობურა[18].

ასეთი რთული და შრომატევადი თავდაცვითი მშენებლობისათვის ორჯონიკიძე-თბილისის მიმართულებით ხელისუფლების რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა გამოიყენეს დიდძალი ტრანსპორტი, საამშენებლო ტექნიკა და მასალა, მაგრამ ამ სამუშაოს ვადაზე და ხარისხიანად შესრულებისათვის საჭირო იყო მაღალკვალიფიციური მუშახელი და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი. ამიტომ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახკომსაბჭომ ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობა დააკისრა ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტრესტის კოლექტივს. სამ თვეზე მეტხანს თავგანწირულად შრომობდა ეს კოლექტივი ხანგრძლივი საცეცხლე წერტებისა და სხვა ძლიერ გამაგრებული ობიექტების მშენებლობაზე და ღირსეულად შეასრულა დაკისრებული დავალება[19].

საქართველოს მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში. იმ მრისხანე ჟამს მას შეგნებული ჰქონდა უდიდესი პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე და დღედაღამ თავდადებით შრომობდა. არ იშურებდა არც ძალებსა და არც საშუალებებს.

თავდაცვითი მშენებლობის საქმეში თავი გამოიჩინეს დუშეთის, გაგრის, ზუგდიდისა და ქუთაისის რაიონებმა, რომელთა დამსახურება აღნიშნა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ.

რესპუბლიკური კომისია, ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოს მშრომელთა შორის განაგრძობდნენ ფართო ახსნა-განმარტებით და ორგანიზაციულ მუშაობას სსრ კავშირის ცენტრალური კომიის მიერ დასახული თბილი ტანსაცმლის შეგროვების გეგმების შესასრულებლად. 1942 წელს წითელ არმიას გაეგზავნა დიდძალი თბილი ტანსაცმელი და სხვა საგნები[20] (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საგნების დასახელება	ჩ ა ბ ა რ და			
	1/I-დან 1/ IV-მდე	1/IV-დან 1/VIII-მდე	1/VIII-დან 31/ XI-მდე	ს უ ლ 1942 წ.

1	2	3	4	5
ჯუბაჩები	5.465 ცალი	5.030 ცალი	3.233 ცალი	13.728 15.328
ბეწვის ჟილეტები	11.491 ”	3.155 ”	682 ”	34.086
თექის ჩექმები	16.807 წყ.	6.678 წყ.	10.601 წყ.	87.952 56.348
შალის წინდები	39.918 ” 31.673 ”	3.138 ” 2.671 ”	44.986 ” 22.004 ”	6.078
შალის ხელთათმანები	286 ”	2.232 ”	3.560 ”	38.826
ბეწვისა და ტყავის ხელჯაგები..... ..	19.967” 9.078 ცალი	8.438 წყ. 1.342	10.421” 2.395 ცალი	12.815 12.064 18.273 29.752
თბილი თეთრეული	6. 079 ”	ცალი 1.393 ”	4.592 ” 5.090 ”	8.858
დაბამბული კურტაკები	10.170 ”	3.013 ”	6.067 ”	
და ტანსათბურები	20.340 ” 3.345 კგ.	3.345 ” 1.832 კგ.	3.683 კგ.	
დაბამბული შარვლები				
ყურებიანი ქუდები				
ტყაპუჭები				
მატყლი				

მასობრივი ხასიათი მიიღო მოქმედ არმიაში საჩუქრების გაგზავნამ. 1942 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელთა დელეგაცია გაემგზავრა ყირიმის ფრონტზე და მეომრებსა და მეთაურებს მთელი ეშელონი საჩუქრები წაუღო. საჩუქრებით დატვირთული მეორე მატარებელი, რომელსაც აგრეთვე მიჰყავდა ქართველი ხალხის წარმომადგენელთა ჯგუფი, სამხრეთის ფრონტზე გაემგზავრა[21].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავზე (1942 წლის ნოემბერში), საქართველოს მშრომელებმა ფრონტზე გაგზავნეს 105 სარკინიგზო ვაგონი საჩუქრებით, აქედან 23 ვაგონი გადაეცა შავი ზღვის ამიერკავკასიის ჯგუფის ჯარების მეომრებს, 23 – მე-9 არმიის ნაწილებსა და შენაერთებს, 20 ვაგონი – 37-ე არმიას, 22 ვაგონი – 46-ე არმიას, ხუთი – შავი ზღვის ფლოტს, სამ-სამი ვაგონი – მე-4 და მე-5 საჰაერო არმიებს და ექვსი ვაგონი – სპეციალურ ნაწილებსა და შენაერთებს[22].

საოქტომბრო დღესასწაულისათვის საჩუქრების მიღებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების სამხედრო

საბჭომ გულითადი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის მშრომელებსა და ორგანიზაციებს ფრონტელებზე ზრუნვისათვის.

ამას გარდა, დიდი ოქტომბრის 25-ე წლისთავისათვის არმიისა და ფლოტის უმაღლეს მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობას გაეგზავნა დიდძალი პერსონალური ამანათები.

1942 წელს რესპუბლიკაში ჩატარდა მთელი რიგი კამპანიები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების გაზრდისათვის. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო სახსრების შეგროვება ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის სატანკო კოლონის ასაგებად. თავდაცვა ავიაქიმის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების სახსრებით აიგო სატანკო კოლონა "საქართველოს თავდაცვაავიაქიმელი", მედიცინის მუშაკთა სახსრებით – ავიაესკადრილია "საქართველოს მედმუშაკი", სვანეთის მშრომელთა სახსრებით – წყალქვეშა ნავი, რომელიც გადაეცა წყალქვეშა ნავის სახელგანთქმულ მეთაურს, საბჭოთა კავშირის გმირს ი. იოსელიანს[23].

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების მრავალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ არმიისა და ფლოტისათვის საბრძოლო ტექნიკის ასაგებად სახსრების შეგროვების ინიციატივა გამოიჩინეს. რესპუბლიკაში ყველაზე დიდი თანხა შეგროვდა საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის "საბჭოთა საქართველოს" და სატანკო კოლონის "საქართველოს კოლმეურნის" ასაშენებლად. 1943 წლის 19 თებერვლისათვის შეგროვდა 277 მილიონ მანეთზე მეტი, აქედან თვითმფრინავების ასაშენებლად 162 მილიონი მანეთი, ხოლო ტანკებისა – დაახლოებით 111 მლნ მანეთი[24].

სოფლის მრავალი მშრომელი ავლენდა მაღალ საბჭოთა პატრიოტიზმს და საბრძოლო ტექნიკის წარმოების ფონდში დიდი თანხები შეჰქონდა, ზოგჯერ კი მთელი თავისი შრომითი დანაზოგიც. გალის რაიონის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ჯგუბურიამ შეიტანა 300 ათასი მანეთი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნემ ი. ხაზალიამ – 250 ათასი მანეთი, ლენინგორის რაიონის კოლმეურნემ გ. ბაშარაულმა – 150 ათასი მანეთი, ჯავის რაიონის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ მ. პლიევამ – 100 ათასი მანეთი[25].

საბრძოლო ტექნიკის მშენებლობის ფონდში დიდძალი ფულადი თანხები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეჰქონდათ ცალკეულ კოლექტივებს. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 1942 წლის 27 დეკემბერს სატანკო კოლონის "საქართველოს კოლმეურნის" საბრძოლო მანქანების ასაგებად შეიტანა ერთი მილიონი მანეთი. ეს კოლმეურნეობა მთელი რიგი წლების მანძილზე ეჯიბრებოდა უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას.

ამიტომ ქართველმა კოლმეურნეებმა მიმართეს უმაღლეს მთავარსარდალს თხოვნით ეს ტანკები გაეგზავნათ უკრაინის მიწა-წყლისა და გერმანელ ფაშისტთა ტყვეობისაგან მოძმე უკრაინის მშრომელების განსათავისუფლებლად[26].

წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ სატანკო კოლონის "საქართველოს კოლმეურნის" ასაგებად შეიტანა 305 ათასი მანეთი, წითელი არმიის პურის ფონდში 1250 ფუთი და სამრეწველო მუშების კვების გასაუმჯობესებელ ფონდში ათასი ფუთი მარცვლეული[27].

არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი პატრიოტული და მამობილიზებელი გავლენა მოახდინა ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცებაზე მიმოწერამ რესპუბლიკის მშრომელთა და მოქმედ არმიაში მყოფ ქართველ მეომართა შორის.

სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ფრონტების ქართველ მეომართა მოწოდებაში საქართველოს მშრომელებისადმი ნათქვამია: "ქართველი ხალხის შვილები – სტალინგრადის დიდი ეპოპეის მონაწილენი, ლენინის ქალაქის დამცველები, ჩრდილოეთ კავკასიაში მოპოვებულ გამარჯვებათა მონაწილენი, ქართველები, რომლებიც სახელოვანი წითელი არმიის რიგებში იცავენ დიად სამშობლოს ფრონტის მთელ სიგრძეზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, გმირულად იხდიან ვალს სამშობლოს წინაშე...

ჩვენ მუდამ გვახსოვს მშობლიური საბჭოთა საქართველო, მისი ამაყად აზიდული მთები, აყვავებული ველ-მინდვრები და ჩვენი ხალხის შრომით ბაღნარად და ვენახებად ქცეული მხარე, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. მუდამ თვალწინ გვიდგას ჩვენი ციხე-კოშკები – წინაპართა გმირობისა და ვაჟკაცობის უტყვი მოწმენი – და გულის ფიცარზე გვაწერია მშობლიური ქართული მიწის სიყვარული.

ბრძოლის ველზე ფიცს ვდებთ საყვარელი სამშობლოს წინაშე, რომ ულმობლად მოვსპობთ პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოებს – ჩვენი ხალხის მუხანათ და სასტიკ მტერს – და შეუპოვარი ბრძოლით კვლავ დავუმტკიცებთ ჩვენს ერთგულებას ჩვენ სამშობლოს"[28].

ამ მიმოწერას საკმაოდ ინტენსიური ხასიათი ჰქონდა და ხელს უწყობდა ქართველი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების მობილიზაციას დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის.

ეს კამპანიები იყო პასუხი კომუნისტური პარტიის მოწოდებაზე "ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!" საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ მასობრივ-პოლიტიკურ კამპანიებს, განსაკუთრებით ზრუნავდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობისათვის.

[1] პარტიული არქივი (თბილისი). ფ. 14, საქ. 11595, ფურც. 16 –17.
[2] იქვე, საქ. 11762, ფურც. 26; საქ. 12770 ფურც. 130.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12247, ფურც. 52-61.
[4] იქვე, საქ. 11762, ფურც. 26; საქ. 12389. ფურც. 229.
[5] იქვე, საქ. 12299, ფურც. 379.
[6] იქვე, საქ. 12383, ფურც. 45-76; საქ. 12389, ფურც. 211.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11666, ფურც. 6-8; საქ. 11764, ფურც 165; საქ. 12389, ფურც. 226; საქ. 11621, ფურც. 26-27.
[8] იქვე, საქ. 11648, ფურც. 14; საქ. 11762, ფურც. 138-139.
[9] იქვე, საქ. 11776, ფურც. 100; საქ. 11764, ფურც. 156; საქ. 12362, ფურც. 4.
[10] იქვე, საქ. 12541, ფურც. 16; საქ. 12361, ფურც. 4.
[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12288, ფურც. 40; საქ. 12511, ფურც. 11-112.
[12] იქვე, საქ. 12407, ფურც. 5-13; საქ. 12420, ფურც. 9 – 10; საქ. 12420, ფურც. 31, 104; საქ. 12426, ფურც. 99; საქ. 12387, ფურც. 314.
[13]. პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12383, ფურც. 216-252; საქ. 12320, ფურც. 268.
[14] იქვე, საქ. 12393, ფურც. 122; საქ. 12359, ფურც. 39-41; საქ. 12383, ფურც. 200-210.
[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12229, ფურც. 15; საქ. 12315, ფურც. 185.
[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12383, ფურც. 258
[17]. იქვე, ფურც. 258-260.
[18] იქვე, საქ. 12564, ფურც. 72.
[19] იქვე, საქ. 12674, ფურც. 275-276.
[20] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12383, ფურც. 256, საქ. 13131, ფურც. 93-101.
[21] იქვე, საქ. 12366, ფურც. 105; საქ. 12392, ფურც. 151-152.
[22] იქვე, ფურც. 33 – 91.
[23] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12366, ფ. 14, საქ. 13660, ფურც. 32.
[24] იქვე. საქ. 12356, ფურც. 4 – 6; საქ. 12369, ფურც. 3 – 5; საქ. 12510, ფურც. 59; საქ. 12375, ფურც. 13; საქ. 13186, ფურც. 15 – 17.
[25] იქვე, ფ. 14, აღწ. I, საქ. 12356, ფურც. 6 – 76.
[26] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, საქ. 12512, ფურც. 297.
[27] იქვე, საქ. 13088, ფურც. 28.
[28] იქვე, ფ. 14, საქ. 12992, ფურც. 22; საქ. 12382, ფურც. 258 – 275.

§ 4. საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა

ომმა სახალხო მეურნეობის წინაშე დასახა რთული ამოცანები. ყველა მისი დარგი დაექვემდებარა ფრონტის ინტერესებს. ფრონტს ყოველდღიურად სულ უფრო მეტი საჭურველი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა, ტანსაცმელი და სურსათი ესაჭიროებოდა. სამრეწველო საწარმოები უმოკლეს ვადაში უნდა გადასულიყვნენ სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე. ამან მოითხოვა საწარმოთა გარდაქმნა, სამრეწველო წარმოების მთელი სტრუქტურის ძირეული შეცვლა, კადრების გადამზადება, ადგილობრივი მასალებისა და

ნედლეულის გამოძებნა. რესპუბლიკის მშრომელებმა ღირსეულად დაძლიეს სამხედრო ყაიდაზე ეკონომიკის გარდაქმნის მთელი სიძნელეები.

ომის პირველსავე თვეებში გაფართოვდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სამხედრო მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის ახალ სახეობათა გამონახვა. 1941 წლის დამლევს რაჭისა და ცანის სამთომეტალურგიულმა კომბინატებმა თითქმის გააორკეცეს თეთრი დარიშხანის მიწოდება. 1941 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა მოლიბდენის მადნის მოპოვება (თითქმის 39 პროცენტით) და მოლიბდენის კონცენტრატის წარმოება, ვოლფრამის (27 პროცენტით), სურმის (13 პროცენტით) და ნავთობის (39 პროცენტით) მოპოვება[1].

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები გადაჭარბებით ასრულებდნენ ქვანახშირის მოპოვების სულ უფრო მზარდ გეგმებს. 1941 წ. ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში ამოიღეს 6,5 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1940 წელს[2].

წარმატებით მუშაობდნენ "საქგუმბრინის" და "საქბარიტის" სამმართველოთა კოლექტივები, რომელთა პროდუქცია თავდაცვის მრეწველობას ხმარდებოდა, "საქგუმბრინმა" 1941 წელს ნავთობის მრეწველობას მიაწოდა 107 ათასი ტონა გუმბრინი, ხოლო "საქბარიტი" 1941 წელს თავდაცვის მრეწველობის საწარმოებს ყოველთვიურად უგზავნიდა 3 ათას ტონამდე ბარიტს[3]. ახალციხის აქატის წარმოების კოლექტივმა 1941 წლის განმავლობაში საავიაციო, საარტილერიო, სატანკო, ხელსაწყოთმშენებელ და სხვა სამხედრო ქარხნებს 40 ტონა აქატი მიაწოდა[4].

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მუშები ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ და თავდაცვითს ქარხნებს აწვდიდნენ ასეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვან მანგანუმს. თუმცა ომის დაწყებიდან მადნის მოპოვება და გამდიდრება მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ 1941 წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 1,4 მილიონი ტონა ქართული მანგანუმი[5].

თავდაცვითი მრეწველობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციას. ქარხანა ძირითადად მუშაობდა ჭიათურის მანგანუმის მადანზე. 1941 წლის საწარმოო გეგმა ქარხანამ 131 პროცენტით შეასრულა და ბევრად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ზესტაფონის მეტალურგებმა სსრ კავშირში პირველად აითვისეს საჯავშნე ფოლადისათვის მეტად საჭირო ელექტროლიზური მანგანუმის წარმოება, რომლის ახალი, გაუმჯობესებული მეთოდი ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს რ. აღლაძეს. მას ამისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე – მკვეთრად გადიდებულიყო სამხედრო პროდუქციის წარმოება ქვეყნის ზურგის რაიონებში – მოხდა საქართველოს საწარმოთა დაჯგუფება და კოოპერირება მათი პროფილისა და საწარმოო შესაძლებლობათა მიხედვით. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების (პპშ) წარმოება დაევალა საწარმოთა ორ ჯგუფს.

პირველ ჯგუფში შედიოდნენ თბილისის საწარმოები: კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, სატელეგრაფო აპარატურის ქარხანა, 26 კომისრის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქანხნები, კუიბიშევის სახელობის ხის დასამუშავებელი ქარხანა და სხვ. მეორე ჯგუფში შევიდნენ ასევე თბილისის საწარმოები: სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა, საორთქმავლო დეპო, ელექტროტექნიკური ქარხანა, საელმავლო დეპო, რკინიგზის სახელოსნო სასწავლებელი და მთელი რიგი სხვა საწარმოები. თითოეული მათგანი უშვებდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების გარკვეულ დეტალს ან მთელ კვანძს, მაგრამ მთელი ავტომატის საბოლოო დამზადებაზე პასუხისმგებელი იყო მეთაური საწარმო. ასეთი საწარმოები იყო პირველ ჯგუფში ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, რომელიც 1941 წლის ივლისში სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა, მეორე ჯგუფში კი – სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა.

1942 წლის პირველ კვარტალში საწარმოთა პირელ ჯგუფს უნდა გამოეშვა 6 ათასი ცალი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, დაამზადა კი 6 873 ცალი[6].

საწარმოთა მეორე ჯგუფს 1942 წლის იანვარში უნდა აეთვისებინა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ცალკეული დეტალების წარმოება და გამოეშვა 100 ცალი პპშ. ამავე საწარმოებს დაეკისრათ 82-მილიმეტრიანი საბატალიონო ნაღმსატყორცნების დამზადება. ნაღმსატყორცნების წარმოება დაიწყეს თბილისის, კიროვის, კალინინის, 26 კომისრის სახელობის ქარხნებმაც, ჰიდრომეტეო-ხელსაწყომ, ბათუმის მომთუთიავებელმა ქარხანამ და სხვა საწარმოებამა. გათვალისწინებული იყო ყოველთვიურად 50 – 55 ნაღმსატყორცნის გამოშვება, ეს დავალება გადაჭარბებით სრულდებოდა.

50-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების დამზადებაში მონაწილეობას იღებდნენ მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები, მაგრამ მეთაური საწარმო იყო თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხანა, რომელმაც ნაღმსატყორცნების გამოშვება უკვე 1941 წლის ნოემბერში დაიწყო. გეგმის მიხედვით ნოემბერში ჯარებისათვის უნდა გაეგზავნათ 200 ნაღმსატყორცნი, ყოველ მომდევნო თვეში კი 250, ფაქტიურად ქარხანა თვეში 300 ნაღმსატყორცნს უშვებდა[7]. სამხედრო-საზღვაო ფლოტს ეგზავნებოდა ასობით ცეცხლმტყორცნი, რომელსაც კალინინის სახელობის ქარხანა ამზადებდა[8].

საარტილერიო ჭურვებს, ნაღმებს და ბ. მ. 13 დანადგარის (”კატიუშას”) მრავალ დეტალს ამზადებდნენ თბილისის ფოლად-თუჯსასხმელო, კიროვის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნები, თბილისის ავტოშემკეთებელი და სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნები, აგრეთვე ”ჭიათურმარგანეცის” ტრესტისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა მექანიკური სახელოსნოები, ხელისა და ტანკსაწინააღმდეგო გრანატებს ამზადებდნენ თბილისის კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნები, ბათუმის მომთუთიავებელი ქარხანა, გორის საკონსერვო ქარხანა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სახელოსნოები. თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ელექტროტექნიკური ქარხნები, აგრეთვე თბილმშენის ტრესტის სახელოსნოები ამზადებდნენ ნაღმის ამფეთქებლებს. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გეოლოგიური სამმართველოს სპეციალური ლაბორატორია უშვებდა სასიგნალო რაკეტებსა და ტანკსაწინააღმდეგო ფუგასებს, ასაფეთქებელ მასალებს ამზადებდა კასპის ცემენტის ქარხანა, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა და საქართველოს სხვა ქიმიური საწარმოები. ტანკების სათადარიგო ნაწილებს ამზადებდა ფოლად-თუჯსამსხმელო, კიროვის, 26 კომისრის სახელობის, ავტოშემკეთებელი, "საქსოფლელექტრო" და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები, ბათუმის ფანერის ქარხანა, აგრეთვე საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ადგილობრივი მრეწველობა.

საქართველოს მრეწველობა დიდი რაოდენობით აწარმოებდა ქიმიური და საინჟინრო აღჭურვილობის საგნებს, აგრეთვე კავშირგაბმულობის ქონებასა და საშუალებებს, დამცავ კოსტუმებს, ქვეითი ჯარისა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს, სატელეფონო კოჭებს, მაღალი ძაბვისათვის გათვალისწინებულ იზოლირებულ მავთულებს, რადიოგადამცემებს, რადიომიმღებებს, რადიოსადგურებს და ა. შ. მაგალითად, 1941 წელს მარტო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის სახელოსნოებმა ამიერკავკასიის ფრონტს გადასცეს 15 რადიომიმღები.

1941 წლის ოქტომბერში მშენებარე დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ თავის ბაზაზე მიიღო ტაგანროგიდან ევაკუირებული საავაიაციო ქარხანა საწარმოო კოლექტივთან ერთად. 1941 წლის ნოემბერში ქარხანამ გამოუშვა რამდენიმე გამანადგურებელი, ამ დროისათვის ქარხანაში მუშაობდა ათასობით კაცი, რომელთა შორის მრავალი ტაგანროგელი იყო[9].

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას საწარმოო კავშირი ჰქონდა საქართველოს 28 ქარხანასთან, მათ შორის იყო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი, ფოლად-თუჯსასხმელო, კიროვის, კალინინის, 26 კომისრის სახელობის, "ჰიდრომეტეოხელსაწყო", სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სატელეფონო-სატელეგრაფო აპარატურისა და ბათუმის ფანერის ქარხნები.

თბილისის საავიაციო ქარხანასთან კოოპერირებული საწარმოები უშვებდნენ სხვადასხვა მოწყობილობებსა და ხელსაწყოებს, დეტალებს, ნახევარფაბრიკატებს, სპეციალურ მასალებს და ა. შ. მაგალითად, თბილისის კინოასლგადამღები ფაბრიკა ამზადებდა აეროლაქს, თბილისის ქიმიური კომბინატი – საღებავებსა და კაზეინის წებოს, საფეიქრო საწარმოები – სპეციალურ ქსოვილებს, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის საწარმოები – ხე-ტყის მასალას და სხვა ნაწარმს[10].

საავიაციო ქარხნის კოლექტივმა, კოოპერირებულ საწარმოთა სისტემატური დახმარებით უკვე 1942 წლის დამდეგიდან გადაჭარბებით შეასრულა გამანადგურებლების "იაკ-1-ის", "ლაგ-ის" და "იაკ მე-3-ის" გამოშვების ყველა დავალება. 1941 წლის დეკემბერში საქართველომ მიიღო სევასტოპოლიდან

ევაკუირებული ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქრახანა თავის საწარმოო პერსონალთან ერთად, ქარხნის ნაწილი გაიგზავნა ფოთში, ნაწილი კი ბათუმში.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ განსაკუთრებული ყურადება დაუთმეს საფეიქრო, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა საომარ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეს. აღნიშნული საწარმოები წარმატებით ართმევდნენ თავს დაკისრებულ საპასუხისმგებლო ამოცანებს და უკვე ომის პირველ დღეებში დაიწყეს ჯარების მოსამარაგებლად სპეციალური ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თავსაბურავების, აღჭურვილობის, ცხენის აღკაზმულობის, სააღალო-სამეურნეო ინვენტარის, კვების პროდუქტების, მედიკამენტებისა და სხვ. გამოშვება. თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკამ 1941 წლის ივლისში დაამზადა 18730 მეტრი რუხი საფარაჯე და 25 ათასი მეტრი საშარვლე მაუდი, ხოლო ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ იმავე წლის აგვისტოში გამოუშვა 23 ათასი მეტრი საშარვლე მაუდი. 1941 წლის დამლევსა და 1942 წლის დამდეგს საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა აითვისეს დიაგონალის ქსოვილის წარმოება ჯარების საჭიროებისათვის, კარკასული აბრეშუმის ქსოვილის წარმოება პარაშუტებისათვის. 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ საავიაციო მრეწველობისათვის გამოუშვა 50 ათასი მეტრი სპეციალური ბამბეულის ქსოვილი. 1941 წელს არმიამ მიიღო 770 ათასი მეტრი რუხი საფარაჯე მაუდი (გეგმის 103,3 პროცენტი) და 45 ათასი მეტრი სპეციალური აბრეშუმისა და ნახევრად აბრეშუმის ქსოვილი (გეგმის 112,7 პროცენტი). წლის ბოლოს საქართველოს თავდაცვითი პროდუქციის ხვედრითი წონა სამკერვალო მრეწველობაში შეადგენდა 72,5 პრცოენტს, ანუ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მთელი ღირებულების 22 პროცენტს. 1941 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში სამხედრო უწყებას გადაეცა 475 ათასი ხალათი (გიმნასტურა), 508 ათასი შარვალი, 143 ათასი ტანსათბურა, 187 ათასი დაბამბული შარვალი და ნახევარი მილიონი წყვილი სამხედრო ფეხსაცმელი[11].

გაიზარდა კვების მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის გამოშვებაც, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო სამხედრო მიწოდებათა გადიდებით.

კვების მრწეველობის საწარმოთა მთლიანი პროდუქციის გეგმა 1941 წელს 104 პროცენტით შესრულდა. 1941 წელს არმიისა და ფლოტის მოსამარაგებლად გაიგზავნა 6740 ტონა ორცხობილა, 2767 ტონა მაკარნის ნაწარმი, 198 ტონა ჩაი, 1106 ათასი დეკალიტრი ღვინო, 247 ტონა ზეთი, 447 ტონა თამბაქო, 136 მლნ ცალი პაპიროსი, 288 ტონა სარეცხი საპონი, 2305 ათასი ცენტნერი ხორცი, 15 ათასი ბოთლი შამპანური ღვინო, გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ხორცისა

და რძის პროდუქტები, პურფუნთუშეულის ნაწარმი, ცხოველური ცხიმი, სხვადასხვა კონსერვი და საკვები კონცენტრატები[12].

რესპუბლიკის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები, მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი და ტაბახმელის ბიოკომბინატი სამხედრო უწყებისათვის მნიშვნელოვანი რაოდენობით აწარმოებდნენ მედიკამენტებს, სხვადასხვა პრეპარატს, ეპიზოოტიის საწინააღმდეგო შრატებს, ვაქცინებსა და სადიაგნოსტიკო-ვეტერინარულ პრეპარატებს, განგრენის საწინააღმდეგო შრატს, ჭრილობის ფაგებს, ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატს, დიზენტერიის საწინააღმდეგო აბებსა და ვაქცინას, დიგალენს, სკიპიდარს, ქაფურის ზეთს ამპულებში, ატმის ზეთს, გლაუბერის მარილს, კალციუმის ქლორიდს, ამპულებითა და ხსნარით, ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატს და ა. შ.[13]

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის არტელები და სახელოსნოები არმიისათვის საჭირო პროდუქციის მასობრივ წარმოებას შეუდგნენ. 1941 წლის დამლევს მათ დაამზადეს 100 ათასი ყურებიანი ქუდი, 100 ათასი წყვილი სხვადასხვანაირი ფეხსამელი, 100 ათასი ქამარი, 70 ათასი კარდალა, 100 ათასი წყვილი ტრიკოტაჟის წვივსახვევი, 50 ათასი მათარა, 25 ათასი მოთუთიავებული და 25 ათასი რკინის ვედრო, 24 ათასი ცხენის თოფრა და ბრეზენტის ვედრო, ასი ათასობით ნალი, ცხენის ჯაგრისი და საფხეკი, მრავალი ქვაბი, სადუღარა, ცეცხლგამძლე და სანიტარული კარადები, სალაშქრო და სასაპალნე სამზარეულოები, ორცხენიანი და ერთცხენიანი საზიდრები და სხვ[14].

საქართველოს სამხატვრო მრეწველობის ტრესტის საწარმოები ამზადებდნენდიდძალ თაბაშირს, სამედიცინო საკაცეებსა და კარადებს, ნიჩბებსა და სხვა სასანგრე ინსტრუმენტებს[15].

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისა და 1941 წლის საწარმოო გეგმების შესრულების წინასწარი შედეგები შეაჯამა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის ნოემბრის პლენუმმა. პლენუმზე აღინიშნა მოწინავე საწარმოები (თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა და სხვ.), აგრეთვე გაკრიტიკებულ იქნენ ის საწარმოები, რომლებიც არასაკმაოდ ორგანიზებულად შეუდგნენ სახელმწიფო დავალებათა შესრულებას. პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და კულტურის კონკრეტული ამოცანები. 1942 წლისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობის წინაშე დაისახა ახალი რთული და პასუხსაგები ამოცანები.

1942 წლის ზაფხულში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ვითარება კიდევ უფრო გართულდა იმის გამო, რომ ფაშისტურმა ჯარებმა ხელთ იგდეს სახმელეთო კომუნიკაციები, რომლებიც ამიერკავკასიას აკავშირებდნენ

საბჭოთა კავშირის სხვა რაინებთან. ამან, ბუნებრივია, დაარღვია საქართველოს მთელი რიგი წამყვანი სამრეწველო საწარმოების კოოპერირება ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ოლქების ფაბრიკა-ქარხნებთან და ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკასთან, მნიშვნელოვნად გაძნელდა რესპუბლიკის მრეწველობის მომარაგება საფაბრიკო და საქარხნო მოწყობილობის სათადარიგო ნაწილებით, ნახევარფაბრიკატებით, შავი და ფერადი ლითონებით და მთელი რიგი სხვა მასალებით. ამასთან, ვინაიდან საქართველო ფრონტისპირა ზოლად იქცა, ზოგიერთ საწარმოს, კერძოდ, სამთამადნო ინდუსტრიას მუშაობა უხდებოდა უშუალოდ საომარ მოქმედებათა რაიონების ახლოს, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნიდა.

არახელსაყრელი პირობების მიუხედავად საქართველოს მშრომელები ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ ყოველდღიური ხელმძღვანელობით და დახმარებით შეუპოვრად სძლვედნენ სიძნელეებს და ასრულებდნენ საწარმოო გეგმებს.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობის საწარმოებმა 1942 წელს გაადიდეს ქვეყნის თავდაცვითი მრეწველობისათვის საჭირო სტრატეგიული მასალების მოპოვება. კარობის მოლიბდენის კომბინატმა 1942 წელს მოლიბდენის მოპოვების გეგმა 104,4 პროცენტით შეასრულა. შესაბამისად გაიზარდა მოლიბდენის კონცენტრატის გამომუშავებაც[16]. წარმატებით სრულდებოდა ნახევრად ძვირფასი ქვის მოპოვების გეგმა ახალციხის აქატის ძიების ადგილებში[17]. მკვეთრად შემცირდა მანგანუმის მადნის მოპოვება ჭიათურაში. თუ 1941 წელს "ჭიათურმარგანეცის" ტრესტის 8 მაღაროში საშუალოდ 4 060 კაცი იყო, რომლებმაც 1365 ათას ტონაზე მეტი მანგანუმი გამოიმუშავეს, 1942 წელს მუშაობდა მხოლოდ 3 სამადნო სამმართველო, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა მუშათა რიცხვი და, მაშასადამე, მადნის მოპოვებაც[18]. ჭიათურის მაღაროელთა ნაწილი გადაყვანილ იქნა ქვანახშირის მრეწველობაში.

მანგანუმის საბადოთა ნაწილობრივი კონსერვაცია მოხდა იმის გამო, რომ "ჭიათურმარგანეცის" ტრესტს ჰქონდა სასაქონლო პროდუქციის მნიშვნელოვანი მარაგი, რომელიც შემდგომ გამოიყენეს მეტალურუგიულმა და თავდაცვითმა საწარმოებმა. მას შემდეგ რაც მტერმა ხელთ იგდო ნიკოპოლი, ჭიათურა ხანგრძლივი დროის მანძილზე მანგანუმის მთავარი მიმწოდებელი გახდა. მაგალითად, 1942 წლის IV კვარტალში მარტო მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი ჭიათურიდან ყოველთვიურად 25 ათას ტონა სასაქონლო პროდუქციას იღებდა[19].

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ დაძლია მაღაროთა საომარ ყაიდაზე გარდაქმნის მნიშვნელოვანი სიძნელენი და 1941 წელს ქვანახშირის მოპოვება 1940 წელთან შედარებით 6,5 პროცენტით გაადიდა.

საქართველო ქვანახშირით უზრუნველყოფდა არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკების საწარმოებს, არამედ 1942 წლიდან, როცა ჰიტლერელებმა ხელთ იგდეს დონბასი, იგი გახდა ქვანახშირის ერთადერთი მიმწოდებელი

ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების ჯარების, შავი ზღვის ფლოტისა და ამიერკავკასიის რკინიგზისათვის, რომლებიც ყოველთვიურად ღებულობდნენ ათიათასობით ტონა ქვანახშირს[20].

"ტყვარჩელქვანახშირისა" და "ტყიბულქვანახშირის" ტრესტების მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემადგენლობა, აგრეთვე ახალციხის ქვანახშირის მაღაროელები, რომლებიც სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, სისტემატურად ადიდებდნენ ქვანახშირის მოპოვებას. 1942 წელს 1941 წელთან შედარებით მოპოვებულ იქნა 9,1 პროცენტით მეტი ქვანახშირი[21].

საქართველოში მკვეთრად გაიზარდა ნავთობის მოპოვება, თუმცა მისი ხვედრითი წონა სსრ კავშირში მოპოვებულ ნავთობის საერთო მოცულობაში კვლავ უმნიშვნელო იყო. 1942 წელს ნავთობი მოპოვებულ იქნა 43,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს. წარმატებით სრულდებოდა ახალი ნავთობის საძიებელი ბურღვის გეგმაც. მაგალითად, 1942 წლის პირველ ნახევარში ბურღვის დავალება 180 პროცენტით შესრულდა[22].

რესპუბლიკის ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა, რომელიც ძირითადად ბაქოს ნავთობზე მუშაობდა, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ყოველთვიურად ათეულ ათასობით ტონა თხევად საწვავს აწვდიდა. მარტო 1942 წლის მეორე კვარტალში ბათუმის ნავთობსახდელმა ქარხანამ სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 24 მარტის დადგენილების შესაბამისად გამოიმუშავა ათობით ათასი ტონა საავიაციო ბენზინი "ბ-70". სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს თავის პროდუქციას აწვდიდა აგრეთვე მირზაანის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა[23].

ნავთობის მრეწველობის ნორმალურ მუშაობს ხელს უწყობდნენ საქართველოს გამწმენდი თიხის (გუმბრინის), დამამძიმებლების (მაგნიტური ქვიშების) და სპეცდეტალების მწარმოებელი საწარმოები. "მთავარტექნავთობმომარაგების" თბილისის კანტორამ 1942 წლის გეგმა 115,7 პროცენტით შეასრულა და ნავთობის მრეწველობას 100 ათასი ტონა გუმბრინი მიაწოდა[24]. სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისრის 1943 წლის 15 მარტის ბრძანებაში აღინიშნა, რომ ნავთობის "მთავარტექმომარაგების" თბილისის კანტორამ 1942 წელს სავსებით უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ნავთობზეთის ქარხნები, აგრეთვე ბაქოს ნავთობის საწარმოები სპეცდეტალებით და გუმბრინით.

1942 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში 1940 წელთან შედარებით 1,2 პროცენტით შემცირდა. ეს მოხდა თბოსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირების შედეგად[25]. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდნენ მრეწველობის საბაზისო დარგების საწარმოთა საომარ ყაიდაზე გარდაქმნას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა 1942 წელს წარმატებით შეასრულა სპეციალურ შენადნობთა გამოშვების დავალება. ამავე დროს ქარხანამ მიაღწია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას იმ

გზით, რომ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა ნედლეული და ელექტროენერგია, აგრეთვე ადგილობრივი ნედლეულით შეცვალა მასალები, რომლებიც წინათ სხვა რაიონებიდან შემოჰქონდათ.

1942 წლამდე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას დონბასიდან (ტარასოვკა) ყოველწლიურად შემოჰქონდა ათეულ ათასობით ტონა კვარცი. 1940 წელს ერთი ტონა ეს ნედლეული საწარმოს თითქმის 57 მანეთი უჯდებოდა. 1942 წელს დონბასის კვარციტები შეცვალეს აჯამეთის ხალცედონით, რომლის საბადო ქარხნიდან დაშორებულია 37 კილომეტრით. ადგილობრივი ნედლეულის ღირებულებამ დაახლოებით 44 მან. შეადგინა. 1941 წლის ოქტომბერში ერთი ტონა ელექრტოლიზური ლითონური მანგანუმი საწარმოს 300 ათასი მანეთი უჯდებოდა. 1942 წელს კი მისი თვითღირებულება 97 ათას მანეთამდე შემცირდა[26]. გარდა ამისა, 1942 წელს ქარხანა აწარმოებდა ნიკელსა და კობალს, აბრაზიულ ნაკეთობებს (კარბორუნდის სახეხი თვლები) და ნახშირის ფხვნილს რადიო და სატელეფონო აპარატურისათვის[27].

თავდაცვითი ინდუსტრიისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხანას, რომელიც საავიაციო და სატანკო მრეწველობის საწარმოებს, აგრეთვე გემთსაშენი და საომარი მასალის დამამზადებელ ქარხნებს წითელი სპილენძის ფურცლებს აწვდიდა. მარტო 1942 წელს მან სამხედრო მრეწველობის საწარმოებს გადასცა 700 ტონაზე მეტი წითელი სპილენძი[28].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტომატ-ტყვიამფრქვევის (პპშ) წარმოება რესპუბლიკის სამრწეველო საწარმოების ორ ჯგუფში მოეწყო. პირველი ჯგუფის წამყვანი საწარმო იყო თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა, ხოლო მეორესი – სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა. 1942 წელს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა გადაყვანილ იქნა მთლიანად საარტილერიო და სასროლი იარაღის, აგრეთვე ოპტიკური ხელსაწყოების შეკეთებაზე. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 3 ივნისის დადგენილებით საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში მოეწყო თბილისის ინსტრუმენტული ქარხანა[29], რომელსაც ტყვიამფრქვევ-პისტოლეტების მწარმოებელი ქარხნების პირველი ჯგუფის მოწინავე საწარმოს ფუნქციები დაეკისრა.

ავტომატ-ტყვიამფრქვევების მწარმოებელი სამრეწველო საწარმოების კოლექტივები რესპუბლიკისა და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყოველთვიურად და კვარტალურად ზრდიდნენ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების გამოშვება-მიწოდების გეგმას. 1942 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა საქართველოდან მიიღეს 6873 პისტოლე-ტყვიამფრქვევი, მეორე კვარტალში – 11 277, მესამე კვარტალში – 11 836, ხოლო მეოთხე კვარტალში – 20 710, სულ 1942 წლის განმავლობაში

რესპუბლიკაში დამზადდა და ჯარის შესაიარაღებლად გაიგზავნა 50 696 ავტომატი "პპშ"[30].

რესპუბლიკის ავტომატ-ტყვიამფრქვევების დამამზადებელი საწარმოები არა მარტო გადაჭარბებით ასრულებდნენ საწარმოო გეგმებს, არამედ თანდათან აიაფებდნენ გამოსაშვებ პროდუქციას. 1942 წლის მესამე კვარტალში პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების წარმოება სახელმწიფოს უჯდებოდა 39,6 პროცენტით იაფი, ვიდრე იმავე წლის პირველ კვარტალში[31].

საქართველოს მრეწველობამ დაძლია მთელი რიგი სიძნელეები და მოკლე ვადაში აითვისა 50-მილიმეტრიანი და 82-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნები, აგრეთვე ცეცხლმტყორცნები.

1942 წლის მეორე კვარტალიდან სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით 82-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების გამოშვების გეგმა თითქმის გაორკეცდა. სამრეწველო საწარმოთა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ედგა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა, 1942 წელს ჯარისა და ფლოტის შესაიარაღებლად გაგზავნა დაახლოებით 1 200 ნაღმსატყორცნი[32].

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ 1942 წელს შავი ზღვის ფლოტისათვის დაამზადა 2710 ცეცხლსატყორცნი[33], მაგრამ 1943 წლის დამდეგს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ქარხანამ შეწყვიტა ამ პროდუქციის წარმოება და დაიწყო სტაციონალური ცეცხლმტყორცნების დამზადება[34].

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა ამზადებდა რეაქტიული ნაღმსატყორცნის "ბმ-13"-ის ძირითად ნაწილებს. 1942 წლის დამლევისათვის მან სამხედრო უწყებას დიდი რაოდენობით გადასცა ამ ნაღმსატყორცნის დანადგარის ძირითადი ნაწილები და რეაქტიული ჭურვების დეტალები[35].

თბილისის ავტოშემკეთებელმა ქარხანამ 1942 წლის განმავლობაში დაამზადა 3 200-ზე მეტი ნაღმსატყორცნი, "ბმ-13" რეაქტიული ჭურვის ათიათასობით დეტალი და სხვადასხვა ამფეთქებელი, კაპიტალურად შეაკეთა ასობით ტანკი და ტანკის მოტორი, სხვადასხვა მარკის 2 686 ავტომანქანა, 474 ავტომობილის მოტორი, დიდძალი მოტოციკლეტი, ავტომანქანების, ტანკებისა და ტრაქტორების დეფიციტური სათადარიგო ნაწილები და დეტალები, კამერები და საბურავები[36].

საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა მოქმედი არმიის მოსამარაგებლად გაგზავნეს 100 ათასობით ცალი ჭურვი, ნაღმი, რეაქტიული ჭურვების დეტალები, ხელყუმბარები, ასობით ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება, ათასობით სასიგნალო რაკეტა და ცემენტის ავიაბომბი[37].

ბათუმის მომთუთიავებელმა ქარხანამ დაამზადა ხელყუმბარები, "ჭიათურმარგანეცის" ტრესტის მექანიკურმა სახელოსნოებმა – 50-მილიმეტრიანი ნაღმების კორპუსები და კასპის ცემენტის ქარხანამ, თბილისის

ქიმიურმა კომბინატმა და ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ - ფეთქებადი ნივთიერებანი[38].

საქართველოს საწარმოებმა გაადიდეს საინჟინრო და ქიმიური აღჭურვილობის, აგრეთვე კავშირგაბმულობის მოწყობილობათა წარმოება. 1942 წელს მოქმედ არმიას გაეგზავნა 800 ათასზე მეტი ცეცხლგამჩენი ბოთლი, 12,5 ათასამდე დამცველი ქიმიური კომბინეზონი, 300 ათასი მ. იზოლირებული მავთული და სხვადასხვა სატელეგრაფო და რადიოაპარატურა[39].

საქართველოს საწარმოები გეგმის ზევით ამზადებდნენ გადამღობავ საშუალებებს და საბრძოლო აღჭურვილობის საგნებს. მარტო აგვისტო-ოქტომბერში ჯარს გადაეცა 50 ათასი ტანკსაწინააღმდეგო და 40 ათასი ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმები, აგრეთვე 10 ათასი წერაყინი და 2 ათასი კლდის სამტვრევი ჩაქუჩი[40].

ფოთის, ბათუმისა და სოხუმის გემთშემკეთებელი საწარმოების კოლექტივები გადაჭარბებით ასრულებდნენ ხომალდებისა და გემების შეკეთების გეგმას და ამავე დროს დიდძალ საბრძოლო მასალას აწარმოებდნენ[41].

1942 წლის ნოემბრის დამლევიდან თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანა გადავიდა უფრო გაუმჯობესებული თვითმფრინავების წარმოებაზე, რამაც მოითხოვა წარმოების ტექნოლოგიის გარდაქმნა, ამან კი ბუნებრივია, გამოიწვია თვითმფრინავების გამოშვების რამდენადმე შემცირება[42].

მოქმედი არმიის ჯარები რომ შეუფერხებლად მომარაგებულიყო ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, აღჭურვილობით, საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებით, აგრეთვე სხვა მატერიალური საშუალებებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საფეიქრო, მსუბუქი, კვების, რძისა და ხორცის, ადგილობრივი, ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციების საწარმოთა გეგმიურ და კარგ მუშაობას.

რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა 1942 წლიდან დაიწყეს სამხედრო პროდუქციის მასობრივი გამოშვება[43]. ომმა მოითხოვა ადრე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან შემოტანილი ნედლეულის ნაცვლად ადგილობრივ გამონახულიყო ნედლეულის ახალი სახეობანი, აგრეთვე მასალები და ქიმიკატები.

1942 წელს საქართველოს საფეიქრო მრეწველობამ მნიშვნელოვნად მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1940 წელს. ბევრად გადიდდა აგრეთვე სამხედრო პროდუქციის წარმოება. რუხი საფარაჯე მაუდის დამზადება 1942 წელს ორჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო საპარაშუტე ტილოს ქსოვილის წარმოება 1941 წელთან შედარებით – თითქმის 6-ჯერ. გარდა ამისა, 1942 წელს საფეიქრო ფაბრიკებმა გამოუშვეს და სამხედრო უწყებას გადასცეს 475 ათას მეტრამდე დიაგონალისა და 276 ათას მეტრზე მეტი სპეციალური ბამბის ქსოვილი[44]. რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობამ 1942 წელს გამოიმუშავა 80 ათასი მეტრი სპეციალური ქსოვილი საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ალპინისტური რაზმების მეომართა ტანსაცმლისათვის[45].

სამკერვალო და ფეხსაცმლის, აგრეთვე ტყავის ქარხნების რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1942 წელს მოაწყო საკერავი ძაფის, საძირე რეზინის, ხელოვნური ტყავისა და სხვა მასალის წარმოება, ხოლო ტყავის თრიმვლისათვის იყენებდა სულფატ-ცელულოზის ექსტრაქტს, რომელსაც ენგურის ქაღალდის კომბინატის ნარჩენებისაგან ამზადებდნენ[46].

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები მოსახლეობისათვის ადგილობრივი ნედლეულისაგან ამზადებდნენ მთელ რიგ პირველი საჭიროების საგნებს. კერძოდ, 1942 წლის მანძილზე გამოშვებულ იქნა დაახლოებით 1,5 მლნ წყვილი ფეხსაცმელი, 7 მლნ ერთეული ტრიკოტაჟის ნაწარმი და ა. შ.[47]. მაგრამ საგრძნობლად გაიზარდა სამხედრო პროდუქციის ხვედრითი წონა. მაგალითად, საქართველოს სამკერვალო ფაბრიკებში სამხედრო პროდუქციის ხვედრითმა წონამ შეადგინა 85 პროცენტი, ნაცვლად 1941 წლის მეორე ნახევრის 72,5 პროცენტისა[48]. მთლიანად 1942 წლის განმავლობაში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა შეიარაღებული ძალების მოსამარაგებლად გაგზავნა მთელი თავისი პროდუქციის 56,4 პროცენტი, სამხედრო უწყებას გადაეცა 418,3 ათასი ფარაჯა, 372,3 ათასი ხალათი, 274 ათასი შარვალი, 113,2 ათასი ტანსათბური, 124 ათასი დაბამბული შარვალი, მილიონი წყვილი საარმიო დაბალყელიანი ფეხსაცმელი, 3 მლნ მანეთის ცხენის ამუნიცია, დიდი რაოდენობით თავსაბურავები, თეთრეული, სახვევები, ხელთათმანები, სხვადასხვაგვარი ჩანთები და შალითები, ქეჩა და სხვ[49].

1942 წელს საქართველოს კვებისა და რძე-ხორცეულის მრეწველობამ სპეციალური გადიდებული დავალება მიიღო ეწარმოებინა საკვები კონცენტრატები, ვიტამინები, ხორცის კონსერვი, მოშუშული ხორცი, ხმელი ხილი და ბოსტნეული, მანგანუმმჟავა კალიუმისაგან დაემზადებინა სახარინი და მთელი რიგი სხვა სურსათი[50].

შეიარაღებული ძალებისათვის გაგზავნილი პროდუქციის ხევდრითი წონა რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოების მიერ გამომუშავებულ საერთო პროდუქციაში შეადგენდა: მაკარონის ნაწარმისა – 64,1 პროცენტს, ჩაის – 73,7, სარეცხი საპნის – 45,4, თამბაქოს – 78,2 პროცენტს[51]. არმიისა და ფლოტის მოსამარაგებლად გადიდდა რძე-ხორცეულის ნაწარმის მიწოდებაც. მაგალითად, სამხედრო უწყებისათვის ხორცის პროდუქტების მიწოდების წლიური გეგმა შესრულდა 107,7 პროცენტით[52].

რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობამ მნიშვნელოვნად გაადიდა ხორცის, ხორც-მცენარეულისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება და შეიარაღებული ძალებისათვის პროდუქციის მიწოდების დავალება შეასრულა[53].

”სამტრესტის” საწარმოებმა 1942 წელს გეგმის ზევით გამოუშვეს 7,5 მლნ მანეთის ღვინისა და არყის პროდუქცია[54].

აგარის შაქრის ქარხანა, რომელმაც 1942 წელს გამოიმუშავა 4,3 ათასი ტონა შაქარი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს განკარგულებით მიმაგრებულ იქნა ამიერკავკასიის ფრონტზე[55]. "საქთევზტრესტმა" 1942 წელს თევზჭერის გეგმა მხოლოდ 77,2 პროცენტით შეასრულა, დაამზადა 23 152 ცენტნერი თევზი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი არმიასა და ფლოტს გაუგზავნა[56].

1942 წელს საქართველოს მიერ საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის გაგზავნილი კვებისა და რძე-ხორცეულის მრეწველობის ძირითადი პროდუქტების რაოდენობა მოცემულია მე-2 ცხრილში[57].

ცხრილი 2

პროდუქტების დასახელება	ზზომის ერთეული	რაოდენობა
ორცხ ორცხობილა.....	ტონა	10484, 2
ხორც. ხორცი.....	"	8.565,7
ძეხვი ძეხვი და შებოლილი პროდუქტები	"	794,5
	"	4,9
ფრინვფრინველი	"	128,4
	"	604,1
საკვებსაკვები ცხიმები	"	107,3
	აა ათასი	680,9
კარაქიკარაქი.....	პირობ. ქილა	35,0
ყველიყველი და ბრინზა	"	173,7
	"	1.916,7
ხორც ხორცის კონსერვები	ტონა	6.091,7
	"	1.835,0
ხორც- ხორც-მცენარეული კონსერვები	"	4.987,0
	"	138,0
რძის რძის კონსერვები	მილიონი	48,0
	ცალი	118,0
რძის რძის ნაწარმი	ااااتاسي	37.865,0
	دیکالیتري	6,0367
მაკარ მაკაროის ნაწარმი	"	
შავი ჩშავი ჩაი.....	ტონა	
	"	
თამბათამბაქო		
პაპირპაპიროსი		
არაყი .არაყი.....		
ყურძყყურძნის ღვინო		

მარცვმარცვალ	ფუმარაჟი		
მამაკარონის	ნაწარმი		

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საჭურვლის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის წარმოებაში, დიდი რაოდენობით დაამზადეს განსაკუთრებით 1942 წელს საბარგულ-სასაქონლო, სანიტარიული და ვეტერინარული ინვენტარი, ისინი აგრეთვე ასრულებდნენ სამხედრო უწყების შეკვეთებს ჯარების საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

ქობულეთის ტუნგის, ბათუმისა და ზუგდიდის კოფეინის, გაგრის, თელავის, ყვარელის, მარნეულის ეთერზეთოვანი და ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები, აგრეთვე საქართველოს მთელი რიგი სხვა საწარმო-დაწესებულებანი სამხედრო უწყებას აწვდიდნენ ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატს, ქაფურის ზეთს, ამიაკის სელიტრას, ჭრილობის ფაგს, დიზენტერიის საწინააღმდეგო ვაქცინას, კალციუმის ქლორიდს, მანგანუმმჟავა კალიუმს, ნემსიწვერას ზეთს, ევგენოლს, ტუნგის ზეთს, განგრენის საწინააღმდეგო შრატს და სხვა უძვირფასეს მედიკამენტებს, პრეპარატებსა და ეთერზეთოვან პროდუქტებს[58].

ობიექტური პირობებით გამოწვეული რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, საქართველოს მრეწველობამ ღირსეულად გაართვა თავი მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის ურთულეს ამოცანებს.

უაღრესად დაძაბული მუშაობა მოუხდა რესპუბლიკის ტრანსპორტის საწარმოებს ომის პირველსავე წელს და, განსაკუთრებით, კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში. იგი უზრუნვლყოფდა სამობილიზაციო ღონისძიებათა ნორმალურ ჩატარებას, მრეწველობის მუშაობას, სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს, დიდძალი ევაკუირებული მოსახლეობისა და სხვადასხვა ტვირთის მიღება-გადაგზავნას; მოქმედ არმიას შეუფერხებლად აწვდიდა რეზერვებს, იარაღს, საბრძოლო მასალას, სურსათს, ფორმის ტანსაცმელს და სხვა მატერიალურ საშუალებებს, ზურგში გადაჰყავდა დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლები, გადაჰქონდა მწყობრიდან გამოსული საბრძოლო ტექნიკა და ნადავლი, გადაჰყავდა ტყვეებიც.

ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარების მიერ წარმოებული საბრძოლო ოპერაციების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებანი უზრუნველყოფდნენ ჯარების დროულ გადაჯგუფებას, დამკვრელი დაჯგუფებებისა და მატერიალური საშუალებების საჭირო მარაგის შექმნას, რათა შეესრულებინათ სამხედრო სარდლობის ოპერატიული ჩანაფიქრი და მიზნები გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად.

საპასუხისმგებლო და რთულ დავალებებს ასრულებდნენ ამიერკავკასიისა და მათ შორის საქართველოს რკინიგზელები. ისინი გამოდიოდნენ სოციალისტური შეჯიბრების მოთავეებად და შრომის

სოციალისტური მეთოდების დანერგვისა და სწორი ორგანიზაციის მაგალითს იძლეოდნენ. მარტო საერთო დატვირთვის საშუალო სადღეღამისო გეგმა უდრიდა 1500 ვაგონს, ამათგან დაახლოებით 75 პროცენტი მშრალი ტვირთისათვის იყო გათვალისწინებული. მაგრამ ამიერკავკასის რკინიგზის კოლექტივი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა დავალებებს და არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში[59].

საქართველოს 13 ათას კმ-ზე მეტი სიგრძის ულიანდაგო გზების ქსელი უზრუნველყოფდა ჯარების, საბრძოლო ტექნიკისა და მატერიალურ საშუალებათა მოძრაობას ფრონტსა და ზურგს შორის[60]. გზატკეცილებზე მომუშავეებს დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდათ, რათა წესრიგში ჰქონოდათ რესპუბლიკის ყველა ის გზა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისათვის.

საქართველოს საავტომობილო პარკი დიდი არ იყო. ომის დაწყებისას მას ჰქონდა დაახლოებით 20 ათასი ავტომანქანა, რომელთაგან 5 ათასამდე მანქანა ომის პირველ დღეებშივე ჯარებს გადაეცა, დანარჩენი მანქანები (მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად არ მარაგდებოდნენ სათადარიგო ნაწილებით, რეზინით და არც გამოცდილი მძღოლები ჰყავდათ, რადგან კვალიფიციური მძღოლები არმიაში გაიწვიეს) ხელს უწყობდნენ არა მარტო სახალხო მეურნეობის დავალებათა შესრულებას, არამედ დიდ დახმარებას უწევდნენ სამხედრო უწყებასაც. საავტომობილო ტრანსპორტით გადაჰყავდათ რესპუბლიკის გამანადგურებელი ბატალიონები საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად[61].

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველო, მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად, ასრულებდა არა მარტო სახალხო-სამეურნეო ამოცანებს, არამედ არსებით დახმარებას უწევდა მოქმედ არმიას. კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში სამოქალაქო ავიაციის მფრინავებმა ათასობით რეისი გააკეთეს იმისათვის, რომ საჯარისო შენაერთების პირადი შემადგენლობა, აგრეთვე საჭურველი, საბრძოლო მასალა და სხვა მატერიალური საშუალებები გადაესროლათ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებსა და ფრონტის ძნელად მისადგომ უბნებზე. ხშირად ისინი კავშირგაბმულობისა და სანიტარიული ავიაციის ფუნქციებსაც ასრულებდნენ.

ის უდიდესი ოპერატიული ამოცანა, რომელსაც ასრულებდნენ დიდი სამამულო ომის წლებში შავი ზღვის ფლოტი და აზოვის ფლოტილია ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების ჯარებთან ურთიერთმოქმედებით და შავი და აზოვის ზღვების ტრანსპორტის მუშაკთა მონაწილეობით, წარმატებით ვერ განხორციელდებოდა სოხუმის, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მუშაკების თავდადებული შრომის გარეშე. სწორედ ეს ნავსადგურები ომის ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში შავი ზღვისა და აზოვის აუზების ხომალდებისა და გემების ძირთადი ბაზა იყო. ამ ნავსადგურებით წარმოებდა უკრაინისა და ყირიმის სანაპირო რაიონების

მოსახლეობის, ჯარის, სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი ტვირთისა და საბრძოლო ტექნიკის ევაკუაცია. აქედანვე იგზავნებოდა ოდესისა და სევასტოპოლის გმირული გარნიზონებისათვის რეზერვები, იარაღი, საბრძოლო მასალა და სხვა მატერიალური საშუალებანი. ძირითადად ამ ნავსადგურებში წარმოებდა მრავალი დიდმნიშვნელოვანი სადესანტო ოპერაციების ჩატარებისათვის გათვალისწინებული ჯარის მომზადება და ეკიპირება. მარტო კავკასიის დაცვის პერიოდში საქართველოს ნავსადგურებიდან ზღვით გადაყვანილ იქნა 213 ათასზე მეტი კაცი და გადატანილ იქნა 260 ათასამდე ტონა სამხედრო ტვირთი[62].

საქართველოს რადიომაუწყებლობისა დ კავშირგაბმულობის დაწესებულებათა ქსელი უზრუნველყოფდა ნორმალურ მასობრივ ინფორმაციას, რესპუბლიკის მოსახლეობის საფოსტო-სატელეგრაფო მომსახურებას. საქართველოს მტკიცე კავშირი ჰქონდა აგრეთვე მოსკოვთან, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებთან, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქთან და რაიონულ ცენტრთან. მეკავშირეები ომის პირველი დღეებიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამობილიზაციო ღონისძიებათა, აგრეთვე ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის დროულად ჩატარებაში.

მაგრამ, იმის გამო, რომ ომის დაწყებისთანავე კავშირგაბმულობის არხების მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიის ფრონტის სამმართველოს გადაეცა და მოქმედი არმიის ჯარების მომსახურებისათვის ათობით საველე საფოსტო სადგური შეიქმნა, საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა ცოტა შრომა როდი გასწიეს იმისათვის, რომ შეერჩიათ და მოემზადებინათ ახალი კადრები, აგრეთვე აეშენებინათ კავშირგაბმულობის დამატებითი ხაზები, სატრანსლაციო კვანძები, ტრანსფორმატორები და გამაძლიერებლები ფრონტსა და ზურგს შორის ნორმალური კავშირის დასამყარებლად.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13311, ფურც. 14; საქ. 13312, ფურც. 13.
[2] იქვე, საქ. 11298, ფურც. 6; საქ. 11773, ფურც. 102.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12683, ფურც. 79; საქ. 12677, ფურც. 12.
[4] იქვე, საქ. 12678, ფურც. 16.
[5] იქვე, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 27 - 28.
[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12217, ფ. 24 - 28; საქ. 12381, ფ. 14 – 16, საქ. 12563, ფ. 201.
[7] იქვე, ფ. 14, საქ. 11636, ფურც. 100.
[8] იქვე, საქ. 12275, ფურც. 241.
[9] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12674, ფურც. 106 - 108.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11632, ფურც. 36 - 37; საქ. 11641, ფურც. 39; საქ. 11634, ფურც. 63 - 69; საქ. 12229, ფურც. 71 – 72.
[11] იქვე, საქ. 11803, ფურც. 42; საქ. 14093, ფურც. 40, 50.
[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 14093, ფურც. 6 - 8.
[13] იქვე, საქ. 12359, ფურც. 21; საქ. 12377, ფურც. 338; საქ. 13145, ფურც. 13.
[14] იქვე, ფ. 14, საქ. 11561; ფურც. 73 - 80; საქ. 11621, ფურც. 34 - 35; საქ. 12510, ფურც. 212.

[15] იქვე, საქ. 11616, ფურც. 20; საქ. 12393, ფურც. 7 – 12.
[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12811, ფურც. 48 - 49; საქ. 13146, ფურც. 29; საქ. 12678, ფურც. 1; საქ. 13307, ფურც. 73.
[17] პარტიული არქივი (თბილისი), საქ. 12678, ფურც. 16.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), აღწ. 2, საქ. 1395, ფურც. 6.
[19] იქვე, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 12681, ფურც. 5.
[20] იქვე, საქ. 12389, ფურც. 280 – 290.
[21] «История Грузии», т. III, стр. 180.
[22] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12122, ფურც. 4; საქ. 12702, ფურც. 33 - 34.
[23] იქვე, ფ. 14, საქ. 12354, ფურც. 145.
[24] იქვე, საქ. 13350, ფურც. 51.
[25] "საქენერგოს 1942 წლის წლიური ანგარიში. განმარტებითი ბარათი", გვ. 15;
[26] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11295, ფურც. 12 - 24; საქ. 12913, ფურც. 68 – 69.
[27] იქვე, საქ. 12674, ფურც. 69 - 71; საქ. 12867, ფურც. 77.
[28] იქვე, საქ. 12674, ფურც. 90.
[29] იქვე, ფ. 14, საქ. 12303, ფურც. 236 - 267.
[30] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12307, ფურც. 177; საქ. 12328, ფურც. 419; საქ. 12518, ფურც. 91, საქ. 12359, ფურც. 19 - 32; საქ. 12510, ფურც. 129 - 245; საქ. 12992, ფურც. 1.
[31] იქვე, საქ. 12992, ფურც. 1; საქ. 12510, ფურც. 130 - 245.
[32] იქვე, საქ. 12559, ფურც. 32; საქ. 12511, ფურც. 79.
[33] იქვე, ფ. 14, საქ. 12307, ფურც. 175 – 176, საქ. 12328, ფურც. 203; საქ. 14035, ფურც. 30 -35.
[34] იქვე, საქ. 12359, ფურც. 65 – 70.
[35] იქვე, საქ. 12328, ფურც. 158.
[36] იქვე, საქ. 13136, ფურც. 30 - 31.
[37] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12389, ფურც. 212 - 243; საქ. 12320, ფურც. 277; საქ. 12233, ფურც. 189; საქ. 13133, ფურც. 14.
[38] იქვე, საქ. 13309, ფურც. 8; საქ. 12693, ფურც. 34; საქ. 12704, ფურც. 10; საქ. 12383, ფურც. 163; საქ. 12387, ფურც. 407.
[39] იქვე, საქ. 14035, ფურც. 29; საქ. 13131, ფურც. 35; საქ. 12260, ფურც. 72; საქ. 12262, ფურც. 54 - 55; საქ. 12336, ფურც. 197.
[40] იქვე, საქ. 12315, ფურც. 183; საქ. 12315, ფურც. 258; საქ. 12318, ფურც. 114.
[41] იქვე, საქ. 12388, ფურც. 143 – 146.
[42] იქვე, საქ. 13309, ფურც. 15; საქ. 12563, ფურც. 51; საქ. 13309, ფურც. 15.
[43] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11795, ფურც. 23; საქ. 14093, ფურც. 1.
[44] იქვე, საქ. 14105, ფურც. 48 - 50.
[45] იქვე, საქ. 12313, ფურც. 49; საქ. 12315, ფურც. 237.
[46] იქვე, საქ. 14105, ფურც. 52 - 53; საქ. 11634, ფურც.137; საქ. 12673, ფურც. 20 - 22; საქ. 12982, ფურც. 33.
[47] იქვე, საქ. 12376, ფურც. 31 - 85; საქ. 12374, ფურც. 52.
[48] იქვე, საქ. 14093, ფურც. 4; საქ. 14105, ფურც. 51.
[49] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 14093, ფურც. 4 - 6; საქ. 14105, ფურც. 51 – 52.
[50] იქვე, საქ. 12383, ფურც. 170; საქ. 12554, ფურც. 182; საქ. 12375, ფურც. 132; საქ. 12376, ფურც. 213; საქ. 12377, ფურც. 365.
[51] იქვე, საქ. 14093, ფურც. 7 - 8; საქ. 14105, ფურც. 50.
[52] იქვე, საქ. 14, 93, ფურც. 9 - 10.
[53] იქვე, საქ. 12394, ფურც. 18; საქ. 14093, ფურც. 11.
[54] იქვე, საქ. 13122, ფურც. 304; საქ. 13396, ფურც. 3.
[55] იქვე, საქ. 13122, ფურც. 304; საქ. 13398, ფურც. 34.
[56] იქვე, საქ. 13408, ფურც. 3.

[57] იქვე, საქ. 13410, ფურც. 54 - 75; საქ. 14093, ფურც. 8.
[58] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12527, ფურც. 7; საქ. 13408, ფურც. 6 – 36; აღწ. 2, საქ. 89091, ფურც. 1 – 5; საქ. 12564, ფურც. 176 – 182.

[59] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 14050, ფურც. 166.
[60] იქვე, საქ. 11819, ფურც. 30; საქ. 13336, ფურც. 5.
[61] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12315, ფურც. 193; საქ. 12318, ფურც. 88.

[62] Архив ИО Главного штаба ВМФ СССР, д. 17716, л. 347.

§5 სოფლის მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა

ომმა სოფლის მერნეობას ახალი რთული ამოცანები დაუსახა. მან სოფლებს ჩამოაშორა მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი და კვალიფიციური ნაწილი. ფრონტს გადაეცა უამრავი ტრაქტორი, ავტომანქანა, აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალა. მიუხედავად ამისა, სოფლის მშრომელებს უმოკლეს ვადებში უნდა შეესრულებინათ მთელი სასოფლო- სამეურნეო სამუშაოები, მაქსიმალურად გაედიდებინათ კვების პროდუქტების წარმოება და მრეწველობისათვის ნედლეულის მიწოდება. საქართველოში, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ზურგის რაიონებში, საჭირო იყო ახალი მიწების ათვისება, რათა რამდენადმე მაინც აენაზღაურებინათ ის დანაკლისი, რაც გამოწვეული იყო სსრ კავშირის უმნიშვნელოვანესი სასოფლო – სამეურნეო რაიონების დროებითი ოკუპაციით.

ზურგში დარჩენილ სოფლის მეურნეობის მუშაკებს უნდა შეეცვალათ ფრონტზე წასული კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშები, გამოენახათ შესაძლებლობანი ომის დროის ყველა ამოცანის წარმატებით შესასრულებლად.

სოფლის მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის მთავარი სიმძიმე დააწვათ ქალებსა და მოზარდებს, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ომის დროის წარმოუდგენელი სიძნელეები. ორგანიზებულად ჩატარდა 1941 წლის მოსავლის აღების და სხვა სასოფლო –სამეურნეო სამუშაოები. თელავის რაიონის სოფ. აკურის კოლმეურნეობა “მოწინავის” 72-მა მშრომელმა ქალმა 1941 წლის ზაფხულში 8 დღის განმავლობაში უდანაკარგოდ აიღეს მარცვლეულის მთელი მოსავალი. ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი აიღეს ზუგდიდის რაიონის “ინგირის” კოლმეურნეობის მეჩაიემ ორდენოსანმა ქიონია სარსანიამ, ქობულეთის რაიონის სოფ. ულიანოვკის სასოფლო – სამეურნეო არტელის კოლმეურნემ ხატიჯე კაკაბაძემ და რესპუბლიკის სხვა მეჩაიეებმა.

თბილისის რაიონის მარტყოფის მანქანა – ტრაქტორთა სადგურების ტრაქტორისტთა ბრიგადას სათავეში ჩაუდგა სოფლის მასწავლებელი თამარ სახლთხუციშვილი. ბრიგადამ ვადაზე ადრე შეასრულა 1941 წლის გეგმა.

ომის პირველ დღეებშივე შეიქმნა ტრაქტორისტების მოსამზადებელი სპეციალური კურსები. 1941 წლის 25 აგვისტოსათვის საქართველოში მომზადდა 1,8 ათასი ტრაქტორისტი ქალი. მარტო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში 25 კოლმეურნე ქალი ტრაქტორისტი გახდა[1].

ომის დასაწყისში თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოიყო სათესი ნაკვეთები, ეგრეთ წოდებული თავდაცვის ჰექტარები. ამ ნაკვეთებზე მოწეული სასოფლო – სამეურნეო კულტურების მოსავალი წითელი არმიისა და ფლოტის ფონდში შეჰქონდათ.

საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის სასოფლო – სამეურნეო პროდუქტებითა და სამრეწველო ნედლეულით უზრუნველყოფისათვის საჭირო იყო როგორც ნათესი ფართობების, ისე, უმთავრესად, მოსავლის მაქსიმალური გადიდება. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შედეგად უკვე 1941 წლის დამლევისათვის ნათესი ფართობები 30 ათასი ჰექტარით გადიდდა, ძირითადად ითესებოდა მარცვლეული და ბოსტნეული კულტურები.

გაიზარდა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, რის შედეგად გადიდდა სოფლის მეურნეობის კულტურების საერთო მოსავალი. მაგალითად, 1940 წელს აღებულ იქნა 6,7 მლნ ცენტნერი მარცვლეული, 1941 წელს კი – 7,3 მლნ ცენტნერი. 1940 წელს დამზადდა 3,1 ათასი ტონა ტუნგის ნაყოფი, ხოლო 1941 წელს – 3,5 ათასი ტონა, 1940 წელს მოიკრიფა 51, 7 ათაი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო 1941წელს – 58,2 ათასი ტონა. რესპუბლიკის მევენახეობის 19 რაიონში დაახლოებით 25 ათას ჰექტარ ვენახის ფართობზე 1941 წელს “ სამტრესტმა” და “შამპანკომბინატმა” დაამზაადეს 292, 4 ათასი ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად 1940 წლის 256,4 ათასი ცენტნერისა. გაიზარდა ნემსიწვერას, აბრეშუმის პარკის, თამბაქოს, ბოსტნეულის, ბახჩეულისა და სხვა სასოფლო – სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა”[2].

კარგ შედეგებს მიაღწიეს რესპუბლიკის მეცხოველეებმა როგორც პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის, ისე პროდუქტიულობის ამაღლების მხრივ, რამაც უზრუნველყო სახელმწიფო დავალებათა შესრულება ჯარებისა და მოსახლეობის ხორცისა და რძის პროდუქტებით და მრეწველობის ნედლეულით (მატყლი, აბრეშუმი, ტყავი და სხვ.) მომარაგების საქმეში. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში პრუტყვის სულადობის ზრდა ნაჩვენებია მე – 3 ცხრილში[3].

ცხრილი 3

პირუტყვის დასახელება	სულადობის რაოდენობა ათასობით	
	1941 წლის იანვრისათვის	1942 წლის იანვრისათვის
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	554,8	597,1
მათ შორის	66,6	86,6
ძროხები და ფურ-კამეჩები	891,1	1076,3
ცხვრები და თხები	45,5	52,3
ღორები	39,6	33,1
ცხენები		

ცხენების სულადობის შემცირება დაკავშირებული იყო სამობილიზაციო ღონისძიებებთან.

ომის წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამკურნალწამლო მცენარეების დამზადებას. ამ საქმეში უმთავრესად სოფლის მოსახლეობა იყო ჩაბმული. ყოველწლიურად მზადდებოდა ასობით ტონა შმაგა, გვირილა, ევკლიპტი, ვალერიანის ფესვები, შროშანი, მოცვი, ასკილი და სხვა სამკურნალო მცენარეები[4].

1942 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდათ მუშაობა. მაგრამ ჩაებნენ რა საკავშირ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ღირსეულად გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ სამეურნეო ამოცანებს. ამ საქმეში სოფლის მეურნეობის მუშაკებს დიდი დახმარება გაუწიეს რესპუბლიკის ქალაქებმა. სამრეწველო საწარმოების მუშებმა და საინჟინრო - ტექნიკურმა პერსონალმა დაამზადეს და კლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა –ტრაქტორთა სადგურებს მიაწოდეს სასოფლო – სამეურნეო იარაღები და ინვენტარი, აგრეთვე ტრაქტორების, კომბაინებისა და ავტომანქანებისათვის ხელსაწყობი და სათადარიგო ნაწილები. ამას გარდა, ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობა უშუალოდ მონაწილეობდა სასოფლო –სამეურნეო სამუშაოებში.

მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც წინასწარ გადიოდნენ სასოფლო – სამეურნეო სამუშაოებისათვის მოსამზადებელ ელემენტარულ

კურსს, არდადეგების პერიოდში ორგანიზებულად მიდიოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაზე დიდი გავლენა მოახდინა 1942 წელს საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ მიღებულმა დადგენილებამ " კოლმეურნეთათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის მომატების შესახებ". "კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და პირუტყვის სულადობის გადიდების შესახებ" და "მანქანა – ტრაქტორთა სადგურების მუშაობის და ტრაქტორისტებისა და კომბაინერებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების შემოღების შესახებ". განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა – ტრაქტორთა სადგურებში პოლიტიკური განყოფილებების შექმნას, რომლებმაც უდიდესი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის მუშებისა და სპეციალისტების იდეურ – პოლიტიკური აღზრდის, მათ შორის შრომითი დისციპლინის განმტკიცების, აგრეთვე კოლმეურნეთა შრომის ეფექტიანობისა და სასოფლო – სამეურნეო წარმოების ამაღლების საქმეში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1942 წელს აითვისეს 53 ათას ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები, რომელთა უმეტესი ნაწილი გამოყენებულ იქნა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესების გასაფართოებლად. გადიდდა აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულის, ბახჩეულისა და ტექნიკური კულტურების ნათესიფართობები. კერძოდ, 1942 წელს დაითესა მეტი, ვიდრე 1940 წელს: სიმინდი – 27,3 ათასი ჰექტარი, კარტოფილი – 4,3 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურები–1,9 ათასი ჰექტარი. ტუნგის ნარგავების ფართობმა 1942 წელს შეადგინა 3611 ჰექტარი, ნაცვლად 1941 წლის 2104 ჰექტარისა, თამბაქოს პლანტაციების ფართობი უმნიშთნელოდ გადიდდა, შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი გადიდდა 1233 –ით, მზესუმზირისი კი –1682 ჰექტარით[5].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სასოფლო – სამეურნეო ტექნიკისა და ქიმიური სასუქების დიდ ნაკლებობას განიცდიდა, რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა 1942 წელს მნიშვნელოვნად გაზარდეს მოსავლიანობა და სოფლის მეურნეობის მთლიანი მოსავალი.

1942 წელს რესპუბლიკაში მოიწიეს მარცვლეული 8,3 მლნ ცენტნერი, ანუ 1,6 მლნ ცენტნერით მეტი, ვიდრე 1940 წელს; კარტოფილი –2,0 მლნ ცენტნერი, ნაცვლად 1940 წლის 1,5 მლნ ცენტნერისა. საქართველოს მეჩაიეებმა 1942 წელს 101,3 პროცენტით შეასრულეს გეგმა და სახელმწიფოს ჩააბარეს თითქმის 60, 8 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 1940 წელთან შედარებით 9 ათასი ტონით მეტი. 1941 წელს დამზადდა 3,5 ათასი ტონა ტუნგის ნაყოფი, 1942 წელს კი – 4,5 ათასი ტონა. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1942 წელს სახელმწიფო დამზადებას ჩააბარეს: 25 ათასი ტონა ბოსტნეული, 1,3 ათასი ტონა არაქისი, 16,3 ათასი ტონა ნემსიწვერა, 24 ათასი

ტონა ხორცი და თითქმის ამდენივე რძის პროდუქტი, დიდი რაოდენობით თამბაქო, მატყლი, შაქრის ჭარხალი, ციტრუსი, თაფლი, ხილი, კაკალი და ა.შ.[6].

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა და მევენახეებმა 1942 წელს ვერ შეძლეს გეგმის შესრულება. დამზადდა 32241, 6 ც აბრეშუმის პარკი (გეგმის 83,5 პროცენტი). ერთი კოლოფი აბრეშუმის გრენიდან მიღებულ იქნა 28, 8 კგ აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43, 7 კილოგრამისა, რაც აიხსნებოდა აბრეშუმის ჭიის ცუდი მოვლით[7].

"სამტრესტმა" და "საქშამპანკომბინატმა", რომლებსაც დაკისრებული ჰქონდათ ყურძნის სახელმწიფო დამზადება, საქართველოს მევენახეობის 19 წამყვან რაიონში 1942 წელს მიიღეს მხოლოდ 246,4 ათასი ცენტნერი ყურძენი, ანუ 10 ათასი ცენტნერით ნაკლები, ვიდრე 1940 წელს.

1941- 1942 წლების ზამთრის მკაცრმა ყინვებმა მოსპო 10 ათას ჰექტარზე მეტი ციტრუსების ნარგავი, რის შედეგად ციტრუსების მოსავალი 1942 წელს ორჯერ შემცირდა. თუმცა 1942 წელს მთელი რიგი მნიშვნელოვანი და ეფექტიანი ღონისძიებები ჩატარდა ყინვისაგან დაზიანებული პლანტაციების აღსადგენად[8].

1942 წელს დამზადების ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სამკურნალწამლო ნედლეულის შეგროვება – ჩაბარების საქმეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 235 ტონისა დამზადდა 243 ტონა[9].

მთლიანად შესრულდა ჯარების მომარაგების დავალებანი. მაგალითად, 1942 წელს სამხედრო უწყებას გადაეცა 23 ათასი ტონა ბოსტნეული და 12 ათასი ტონა კარტოფილი. ხშირად ჯარებს სასოფლო–სამეურნეო პრდუქტები გეგმის გარეშეც ეგზავნებოდათ. მაგალითად, ყირიმის ფრონტის სამხედრო საბჭოს თხოვნით მარტო 1942 წლის თებერვალში ნოვოროსიისკის გმირმა დამცველებმა საქართველოდან ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული მიიღეს[10].

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტოიაზე დისლოცირებულმა საევაკუაციო ჰოსპიტლებმა საშეფო დახმარების წესით საქართველოს კოლმეურნეობებისაგან მიიღეს ათასობით ტონა სასოფლო –სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტები[11].

კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში საქართველოს აღარ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა რესპუბლიკის ჩრდილოეთის მაღალმთიანი რაიონებისა და ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებით, რამაც პირუტყვის სულადობის შემცირება გამოიწვია. 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს დიდძალი ევაკუირებული პირუტყვი, რომლებიც შემდეგ ნამატთან ერთად დაუბრუნდა განთავისუფლებულ რაიონებს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1942 წელს მიღებულ დადგენილებას "კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის

შენარჩუნებისა და პირუტყვის სულადობის გაზრდისათვის ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების განსახორციელებლად იბრძოდნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს როგორც საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდების, ისე მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების მხრივ. 1942 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 3,9 პროცენტით, ცხვრისა და თხის – 3,5 პროცენტით, ღორისა – 24,1 პროცენტით. მაგრამ მკვეთრად შემცირდა ცხენების, სახედრებისა და ჯორების სულადობა როგორც განსაზოგადოებულ სექტორში, ისე მშრომელთა ინდივიდუალურ მეურნეობაში[12].

1942 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და რესპუბლიკის მოსახლეობისათვის რძისა და ხორცის პროდუქტების, აგრეთვე მრეწველობისათვის ტყავის ნედლეულისა და მატყლის მიწოდების გეგმა. წითელი არმიის ფონდს გადაეცა 248 ათასი ფუთი სურსათი[13].

კავკასიისათვის ბრძოლის ყველაზე მძიმე პერიოდში, როდესაც ჰიტლერელ დამპყრობთა ურდოები ამიერკავკასიის სიღრმისაკენ მოიწევდნენ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ისე როგორც სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების მუშაკებმა, ცხადყვეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი უსაზღვრო ერთგულება, მათ გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო – სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების წლიური გეგმები და სახელმწიფოს ჩააბარეს ბევრად მეტი სურსათი და ნედლეული, ვიდრე 1941 წელს.

---

[1]პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1185, ფურც. 1-10.
[2] იქვე, საქ. 11595,ფურც.4-9; საქ.13389,ფურც.86; საქ. 14105,ფურც.38; საქ.13378, ფურც.65.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12757, ფურც.11.
[4] იქვე, საქ. 12 534, ფურც. 31 – 35.
[5] პარტიული არქივი (თბილისი) , ფ. 14, აღწ. 1, საქ. 11595, ფურც. 4 –9, საქ. 14172, ფურც. 9, და გაზ. "პრავდა" 1946 წლის 25 თებერვალი.
[6] პატიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 14172, ფურც. 9; საქ. 13376, ფურც. 65; საქ.12354, ფურც. 45 –48; საქ.13386, ფურც. 86.
[7] იქვე, საქ. 13365, ფურც.1-31.
[8] იქვე, საქმე 14105, ფურც.39; საქ,12796, ფურც.4-13.
[9] იქვე, საქ. 12534, ფურც.31 – 34; საქ. 12290, ფურც. 87.
[10] იქვე, საქ. 12383, ფურც. 23; საქ.13158, ფურც.39.
[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12632, ფურც. 25- 47.
[12] იქვე, საქ. 13516,ფურც.139.
[13] იქვე, საქ.12844, ფურც. 21 –24.

§ 6. სოციალისტური შეჯიბრების განვითარება საქართველოში 1941 – 1942 წლებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, ომმა მატერიალურ წარმოებასა და სულიერი ცხოვრების ყველა დარგს უამრავი ადამიანი მოსწყვიტა. სახალხო მეურნეობის მუშებითა და სპეციალისტებით უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა განსაკუთრებული ცენტრალური და ადგილობრივი კომისიები, რომლებიც დიდი სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მობილიზაციით გაუგზავნეს 80 ათასზე მეტი კაცი[1]. მიუხედავად ამისა, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდნეობა საწარმოებში დღითიდღე მცირდებოდა. მაგალითად, მუშათა რიცხვი რესპუბლიკის მრეწველობაში 1941 წელს 1940 წელთან შედარებით შემცირდა 5 ათასი კაცით, ხოლო 1942 წელს – 15 ათასი კაცით[2].

ომის პირველი დღეებიდანვე საგრძნობლად ამაღლდა ზურგის მუშაკთა შრომითი აქტივობა, რაც გამოიხატა იმით, რომ ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. საბრძოლო ლოზუნგებად იქცა მოწოდებანი: “ვიდრე დავალებას არ შეასრულებ, შინ ნუ წახვალ!”, “შეასრულე შენი სამუშაო და იმუშავე ფრონტზე წასული ამხანაგის მაგივრადაც!”, “ვიმუშაოთ ისე, როგორც ფრონტი მოითხოვს!”, “ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!”.

ომის სხვადასხვა ეტაპზე სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების კვალობაზე სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და მეთოდები მრავალმხრივი და მრავლფეროვანი იყო. მათ წარმოშობდა მშრომელი მასების ინიციატივა, პარტიული, პროფკავშირული და კმოკავშირული ორგანოების ხელმძღვანელობით. სოციალისტური შეჯიბრების ფორმების ეს მრავალფეროვნება იყო მისი განსაკუთრებული ცხოველუნარიანობისა და ნაყოფიერების წყარო.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში დიდი როლი შეასრულა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ეროვნული კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო და საოლქო კომიტეტების პარტორგების ისნტიტუტის გაფართოებამ.

საქართველოს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა უზრუნველყოფდა 1941 – 1942 წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურენობის მიერ საწარმოო დავალებათა შესრულების სიძნელეთა წარმატებით დაძლევას. ამ პერიოდში სოციალისტური შეჯიბრების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო შრომის ნაყოფიერების გადიდება, თითოეულ საწარმოში არსებული რეზერვების გამოვლინება და მათი მაქსიმალურად გამოყენება.

საქართველოში საწარმოო გეგმების 200 – 300 და უფრო მეტი პროცენტით შესრულების პიონერები იყვნენ ი. ბ. სტალინის სახელობის

ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშები: ა. აკოფოვი, გ. ქსოვრელი, პ. მუხიგულაშვილი, ი. ჭუმბურიძე და სხვები.

1941 წლის ივნისში საქართველოში ფართოდ გავრცელდა ორასოვანთა პატრიოტული მოძრაობა. ამ მოძრაობის არსი მდგომარეობდა ფრონტზე წასული მუშების შეცვლაში. ორასოვანები აცხადებდნენ: ვიმუშავებთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ ფრონტზე წასული ამხანაგების მაგივრადაცო. საქართველოს ბევრი მუშა და კოლმეურნე ცვლიდა რამდენიმე ამხანაგს და გეგმას 300 – 500 და მეტი პროცენტით ასრულებდა. ნიჟნიტაგილის მღარავი მუშა თ. ბოსი გამოვიდა ათასოვანთა პატრიოტული მოძრაობის ინიციატორად. იგი ცვლის საწარმოო დავალებას ათასი და მეტი პროცენტით ასრულებდა. 1942 წლის გაზაფხულზე საქართველოს სამრეწველო საწარმოთა მოწინავე ნოვატორებმა მხარი დაუჭირეს ამ თაოსნობას[3].

სოციალისტური შეჯიბრების განვითარების შემდეგი ეტაპი იყო ბრძოლა საათობრივი დაცვლის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე ცალკეული მუშების, ბრიგადების, საამქროების, ფაბრიკა-ქარხნების შეჯიბრების გადაზრდა რაიონებისა და ცენტრების, მთელი საწარმოო დარგების შეჯიბრებად[4].

საქათველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, შემდგომი გავრცელება პოვა ომამდე წარმოშობილმა მრავალდაზგოსანთა და პროფესიის შეთავსების მოძრაობამ, რომელმაც სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი მოიცვა.

საბჭოთა პატრიოტმა ქალებმა, რომლებმაც სამუშაოს სხვადასვხა უბანზე შეცვალეს ფრონტზე წასული მამები, ძმები, დედები და შვილები, მოაწყვეს ქალების მოძრაობა, რომლის მიზანი იყო ეგრეთ წოდებული მამაკაცის პროფესიის დაუფლება[5].

გაიშალა შეჯიბრება პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოულციის 25 წლისთავისათვის ერთ-ერთი საავიაციო ნაწილის მებრძოლებმა თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას გაუგზავნეს მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: “ჩვენ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს: 1. არ მივუშვათ მტერი დასაცავ ობიექტებთან. მედგრად და ვაჟკაცურად გავანადგუროთ, ჩამოვყაროთ, დავწვათ, გავთარნოთ ფაშისტური სვავები თავდაცვითი ობიექტების მისადგომებთან. 2. სრულყოფილად შევისწავლოთ მრისხანე საბრძოლო ტექნიკა, გავხდეთ საჰაერო ბრძოლის ოსტატები, აუცდენლად ვურტყათ მტერს... 3. განვამტკიცოთ საბჭოთა საბრძოლო დისციპლინა, როგორც მტერზე გამარჯვების საწინდარი. 4. ჩვენს რიგებში აღვზარდოთ სიფხიზლის, სამშობლოსადმი ერთგულების, სიმტკიცისა და მტრისადმი სიძულვილის გრძნობა...

ამხანაგო მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებიო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავს შევხვდეთ ახალი საწარმოო მიღწევებით! მეტი თვითმფრინავი ფრონტს! ავამაღლოთ საბრძოლო

ტექნიკის ხარისხი! მთელი ჩვენი ძალა და ნებისყოფა მტრის გასანადგურებლად! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!”[6].

ამ მოწოდების საპასუხოდ ქარხანამ უფრო ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება. დიდი ოქტომბრის 25 წლისთავის აღსანიშნავად დამატებითი ვალდებულებანი იკისრა გადაჭარებებით შეესრულებინა საბრძოლო მანქანების გამოშვების გეგმა[7].

ასეთ კავშირს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღაფრთოვანებდა სამშობლოს დამცველებს მასობრივი საბრძოლო გმირობისათვის, ხოლო საწარმოო კოლექტივებს – შრომითი თავდადებისათვის.

1941 წლის ოქტომბრის წინა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში წარმოიშვა ახალგაზრდულ-კომკავშირული და საფრონტო ბრიგადები.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მრეწველობას ჰყავდა სულ 1279 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, ამათგან 357-ს მიენიჭა ფრონტული ბრიგადის წოდება[8]. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების შეჯიბრებას ფრონტული ბრიგადის წოდებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ომის პირველ თვეებში მკვეთრად გაიზარდა ახალგაზრდა მუშების რაოდენობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ახალგაზრდა მუშების საწარმოო კვალიფიკაციასა და პრფესიულ ოსტატობაზე, მათს კარგ მუშაობაზე ბევრად იყო დამოკიდებული გეგმების შესრულება.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მაუდის ფაბრიკისა და სხვა მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდულ საფრონტო ბრიგადებს სამუდამოდ გადაეცათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების გარდამავალი წითელი დროშები.

1941 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩატარდა შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერება, რაციონალიზატორულ წინადადებათა შეკრების ერთთვიური, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქალაქო და რაიონული თათბირები. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ინიციატორები იყვნენ მუშები, რომლებიც იბრძოდნენ იმისათვის, რომ გაეზარდათ ფრონტისათვის მომუშავე საწარმოთა სიმძლავრე.

1942 წლის მაისში საქართველოს მშრომელები ჩაებნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც დაიწყო სსრ კავშირის მეტალურგიული, საავიაციო და სატანკო მრეწველობის წამყვან საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით.

საქართველოს მშრომელთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გამოუყენებელი რეზერვების მაქსიმალურ მობილიზაციას ფრონტის შეკვეთების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

1942 წელს საქართველოში ფართოდ გავრცელდა პროფესიების მიხედვით ინდივიდუალური და ბრიგადული შეჯიბრება, რომელიც შეჯიბრების მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტად იქცა.

ქართველი ხალხის, პირველ რიგში მუშათა კლასის, პატრიოტულ აღმავლობას მოწმობს რესპუბლიკის მრეწველობაში ნოვატორთა (სტახანოველთა) რიცხვის ზრდაც. 1941 წლის დამლევს მანქანათმშენებლობის მრეწველობაში ნოვატორთა რიცხვი შეადგენდა 40,5 პროცენტს, 1942 წელს კი – 48,3 პროცენტს. მრეწველობის ზოგიერთ დარგში ნოვატორები გაცილებით მეტი იყვნენ. თუ მთლიანად მრეწველობაში 1941 წელს მუშების საერთო რიცხვიდან ნოვატორები 52,1 პროცენტი იყო, 1941 წლის დამლევისათვის მათი რაოდენობა 55,1 პროცენტამდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, რის შედეგადაც 1942 წელს დაიზოგა 2 მლნ მანეთი და გეგმის ზევით დაგროვდა 12 მლნ მანეთი[9].

ომის პირველი დღეებიდანვე სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა რესპუბლიკის ტრანსპორტზეც. მთავარი ყურადღება დაეთმო დატვირთვა-გადმოტვირთვის ვადების შემცირებას, სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის სიჩქარის გადიდებას, რემონტთაშორისი გარბენის გახანგრძლივებას, მძიმე წონის შემადგენლობის ტარებას, საწვავის მაქსიმალურად დაზოგვას და ა. შ. გარდაამისა, რკინიგზელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წრიული მოძრაობის ზუსტ ორგანიზაციაში, როდესაც ორთქლმავალი ან ელმავალი დეპოში შეუსვლელად ზედიზედ რამდენიმე რეისს აკეთებდა, აგრეთვე თვით ორთქლმავლების ბრიგადების მიერ გზაში წევის საშუალებათა მიმდინარე რემონტის საუკეთესოდ ათვისებაში. ამის წამომწყები და ინიციატორი იყო ჯერ კიდევ ომამდე ცნობილი მემანქანე ნოვატორი ნ. ა. ლუნინი[10].

ბევრი ქართველი რკინიგზელი იყო სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის დანერგვის ინიციატორი. მაგალითად, ერთ-ერთმა პირველმა მძიმე წონის სარკინიგზო შემადგენლობა შავი ზღვის მაგისტრალზე გადიდებული სიჩქარით წაიყვანა სამტრედიის კვანძის მემანქანემ შ. კოხრეიძემ, ხოლო სადგურებზე მატარებლების სწრაფი შედგენისა და დაშლის ყველაზე რაციონალური მეთოდი პირველად გამოიყენა ბათუმელმა რკინიგზელმა მანჯგალაძემ. მისი გამოცდილება მალე დაინერგა მთელი ამიერკავკასიის რკინიგზაზე. თბილისის გზის უბნის რკინიგზელმა ს. ებრალიძემ გამოიყენა დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის ვაგონების საკუთარი აღრიცხვის მეთოდი და მიაღწია ვაგონ-საათების მნიშვნელოვან დაზოგვას. 1942 წლის ცხრა თვის მანძილზე დაიზოგა 914 ვაგონ-საათი[11].

სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებს არც სოფლის მშრომელები ჩამორჩებოდნენ. ომის დროს დიდ სიძნელეთა გადალახვის მიზნით, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კოლექტივები

შეჯიბრებას აწყობდნენ, რათა ვადაზე ადრე და მაღალ აგრო-ტექნიკურ დონეზე შეესრულებინათ მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რაციონალურად გამოეყენებინათ შრომითი რესურსები და ტექნიკა, გაედიდებინათ ნათესი ფართობები, მოსავლიანობა, გაეზარდათ პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა და, რაც მთავარია, გადაჭარბებით შეესრულებინათ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციით მოსახლეობისა და პირველ რიგში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახელმწიფო მომარაგების გეგმა.

საქართველოს კოლმეურნეები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ რსფსრ ნოვოსიბირსკის ოლქის კოლმეურნეთა მოწოდებას კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

სოფლის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით აამაღლეს შრომითი აქტივობა და სწორად მოაწყვეს სოციალისტური შეჯიბრება, რის შედეგად დიდი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმეში.

---

[1] "საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", თბ., 1971, გვ. 612.
[2] «История Грузии», т. III, стр. 196.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13309, ფურც. 15.
[4] «Великая Отечественная война Советского Союза 1941 – 1945, Краткая история», М., 1970, стр. 186.
[5] **М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа,** Из истории рабочего класса ГрузииТб., 1961, стр. 136.
[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13309, ფურც. 17.
[7] იქვე, ფურც. 18 – 19.
[8] «История Грузии», т. III, стр. 191.
[9] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 14105, ფურც. 50; საქ. 14093, ფურც. 7 – 8.
[10] «Великая Отечественная война Советского Союза 1941 – 1945 гг, Краткая история», стр. 190.
[11] **ა. იოსელიანი,** საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941 – 1945 წწ.), თბ., 1958, გვ. 166.

თავი მეორე

საქართველოს სახალხო მეურნეობა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების პერიოდში (1943 –1945 წწ.)

§1. მრეწველობა ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის ბრძოლაში

მიუხედავად იმისა, რომ 1943 წლის დამდეგისათვის დიდი სამაულო ომის ფრონტებზე მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, საქართველოს სახალხო მეურნეობას სერიოზული სიძნელეების დაძლევა უხდებოდა. მას გადიდებული საწარმოო დავალებანი უნდა შეესრულებინა, რათა დაეკმაყოფილებინა ფრონტის გაზრდილი მოთხოვნილებები და რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველყო პირველი საჭიროების საგნებით, სურსათითა და საწვავით.

რესპუბლიკისა და ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფო ორგანოები საკ. კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის თავდაცვის კომიტეტის მითითებათა შესაბამისად ძრითად ყურადღებას უთმობდნენ სტრატეგიული ნედლეულის, საწვავისა და სამხედრო პროდუქციის წარმოებას. 1943 –1944 წლების განმავლობაში ისინი საჭირო ღონისძიებებს ახორციელებდნენ იმისათვის, რათა გაედიდებინათ ფართო მოხმარების საგნების, სასოფლო – სამეურნეო ინვენტარის, სხვადასხვა მანქანებისა და აგრეგატების სათადარიგო ნაწილების გამოშვება როგორც რესპუბლიკის საჭიროებისათვის, ისე ფაშისტთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად.

1943 – 1945 წლებში გაფართოვდა სამრეწველო – სატრანსპორტო საწარმოთა მშენებლობა. თუ ომის დაწყებითს პერიოდში ძირითადად ხდებოდა არსებული სამრეწველო საწარმოების გარდაქმნა – გაფართოება, აგრეთვე ევაკუირებული ქარხნების განლაგება და ამოქმედება, ამჯერად კაპიტალდაბანდების ზრდა ძირითადად განაპირობა ახალი, პირველ რიგში, ინდუსტრიის საბაზისო ობიექტების, აგრეთვე ახალი მაგისტრალური რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობამ.

განსაკუთრებით გაიზარდა კაპიტალდაბანდებანი მრეწველობაში ომის დამამთავრებელ ეტაპზე. 1945 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდების მთელი თანხიდან მძიმე ინდუსტრიის ობიექტების მშენებლობაზე დაიხარჯა დაახლოებით 40 პროცენტი, ანუ 38,8 პროცენტით მეტი, ვიდრე ომის პირველ წელს. სულ კი ომის პერიოდში კაპიტალდაბანდებამ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შეადგინა 2590,9 მლნ მანეთი (1955 წლის 1 ივლისის ფასებით), რომლის დიდი ნაწილი მოხმარდა სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას[1]. ამის შედეგად ომის წლებში მძიმე ინდუსტრიის საწარმოების ძირითადი ფონდების ღირებულება 37,1 პროცენტით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ძირითადად შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე მანქანათმშენებლობის საწარმოთა სიმძლავრე გაიზარდა 4-ჯერ, ხოლო დანარჩენი ლითონდამმუშავებელი საწარმოებისა – 2,1-ჯერ, სამთამადნო და ქიმიური საწარმოების პროდუქცია – თითქმის 2-ჯერ და ა.შ.

საქართველოში, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ზურგის რაიონებში, ომის დროს არ შეწყვეტილა ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა. 1940 წელს რესპუბლიკაში იყო 14631, ხოლო 1945 წელს – 14997

სამრეწველო საწარმო[2]. ომის წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორასზე მეტი მსხვილი, საშუალო და წვრილი საწარმო და დამოუკიდებელი საამქრო.

ომის წლებში უდიდესი მნიშვნელობის სამუშაო შეასრულა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა გეოლოგიურმა სამმართველომ სასარგებლო წიაღისეულის ძიება – დამუშავების საქმეში. დაიწყო ვერცხლიწყლის, სპილენძისა და პოლიმეტალების ახალი საბადოების ათვისება[3]. გადიდდა მთელი რიგი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. საქართველოს სამთამადნო მრეწველობა ქვეყანას აწვდიდა დიდძალ სტრატეგიულ ნედლეულს. კარობის მოლიბდენის კომბინატმა 1944 წელს ამოიღო მადანი და 1942 წელთან შედარებით გამოიმუშავა თითქმის 2 –ჯერ მეტი მოლიბდენის კონცენტრატი. ამ წლებში გაორკეცდა ვოლფრამის კონცენტრატის გამომუშავება[4]. მნიშვნელოვნად გადიდა თეთრი დარიშხანის წარმოებაც ცანის სამთომეტალურგიულ კომბინატში[5].

1943 – 1944 წლებში მანგანუმისმრეწველობა სისტემატურად ზრდიდა მადნის მოპოვებას და საბრძოლო მასალის წარმოებას.ამ პერიოდში განახლდა მადნის ამოღება ადრე დაკონსერვებულ საბადოებში, ამუშავდნენ გამამდიდრებელი ფაბრიკებიც, რის შედეგადაც მუშების რაოდენობა 850 კაციდან 2 ათას კაცამდე, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვება 216 ათასი ტონიდან 1944 წელს 476 ათას ტონამდე გადიდდა[6].

1945 წელს მიუხედავად იმისა, რომ “ჭიათურმარგანეცის” ტრესტის ორი საბადო დაკონსერვებული იყო და 13 გამამდიდრებელი ფაბრიკიდან მხოლოდ 7 მოქმედებდა, ტრესტის მუშათა და ინჟინერ –ტექნიკოსთა შემადგენლობამ, რომელთა რიცხვმა 1945 წელს 3246 კაცს მიაღწია, ამოიღო 1,3 მილიონი ტონა მადანი და მრეწველობას მიაწოდა 850 ათასი ტონა სასაქონლო მანგანუმი[7].

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა, რომელიც დიდი დაძაბვით მუშაობდა, 1943 წელს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებდა გეგმიურ დავალებებს. რესპუბლიკაში ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო მოპოვება 2500 ტონას აღემატებოდა[8]. იმისათვის, რომ ქვანახშირით უზრუნველყოთ შავი ზღვის ფლოტი, რომელსაც ყოველთვიურად 15 ათასი ტონა მყარი საწვავი ესაჭიროებოდა, ტყვარჩელში სპეციალურად აშენდა გამამდიდრებელი ფაბრიკა[9].

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 16 აპრილის დადგენილებით მნიშვნელოვნად უნდა გადიდებულიყო ქვანახშირის მოპოვება. საქართველოს უნდა მიეცა მარტო 750,3 ათასი ტონა კოქსვადი ქვანახშირი (“ტყიბულქვანახშირის” ტრესტს 455,7 ათასი ტონა, ხოლო “ტყვარჩელქვანახშირის” ტრესტს - 277,2 ათასი ტონა)[10]. ამ დადგენილების შესაბამისად, დაიწყო ახალი მაღაროების მშენებლობა, აგრეთვე არსებული მაღაროების რეკონსტრუქცია. გარდა ამისა, ქუთაისში დაიწყო სამთო – საშახტო მოწყობილობათა ქარხნის – “სამთოელის” მშენებლობა, დაახლოებით 8 ათასი ტონა ნაკეთობათა წლიური სიმძლავრით, ხოლო ბორჯომის რაიონის სოფ. ჩითახევში 18 ათასი კილოვატი სიმძლავრის

ჰიდროელექტროსადგურის -მდ. მტკვარზე[11]. 1945 წელს რესპუბლიკაში მოპოვებულ იქნა 128 ათასი ტონით მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1944 წელს[12].

1943-1944 წლებში საქართველოს ნავთობის მრეწველობა სისტემატურად ასრულებდა ნავთობპროდუქტების გადამუშავების დავალებებს 1943 წელს გამომუშავებულ იქნა 12, 5 ათასი ტონით მეტი ნავთობპროდუქტი, ვიდრე 1942 წელს[13].

გარდა ბათუმსა და მირზაანში არსებული ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებისა, 1944 წლის იანვარში თბილისის რაიონში მწყობრში ჩადგა ახალი ნავათობგადამმუშავებელი საწარმო[14].

“საქგუმბრინის” მაღაროთა სამმართველომ 1943–1944 წლებში ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებსა და კვების მრეწველობის სხვადასხვა ფაბრიკას გაუგზავნა ათეულ ათასობით ტონა გუმბრინი. 1944 წელს მარტო აზერბაიჯანის ნავთობგადამმუშავებელი საწარმოები ყოველთვიურად იღებდნენ 3,5 ათას ტონა გუმბრინს[15].

1945 წელს შემცირდა ნავთობის მოპოვება – გადამუშავება, რაც განპირობებული იყო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა საწარმოებლად გამოყოფილი სახსრების შემცირებით და ნავთობსარეწების საჭირო მოწყობილობითა და მასალებით არადამაკმაყოფილებელი მომარაგებით. ნავთობპროდუქტების გადამუშავების გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეული იყო აგრეთვე ნედლი ნავთობის მოწოდების მნიშვნელოვანი შემცირებით. როგორც ცნობილია, 1943 –1945 წლებში დიდი სახსრები ხმარდებოდა განთავისუფლებულ რაიონებში მრეწველობის, მათ შორის ნავთობის ამოღება – გადამუშავების აღდგენას.

სამრეწველო წარმოების გაფართოებამ მოითხოვა ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდება. საქართველოს ელექტროსადგურებმა 1943 – 1944 წლებში ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდებას მიაღწიეს გაცდენებისა და ელექტროენერგიის ქსელში დანაკარგის მაქსიმალური შემცირებით, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებების განხორციელების შედეგად. 1943 წელს რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 714 მლნ კილოვატსაათი, ხოლო 1944 წელს –773 კილოვატსაათი ელექტროენერგია. “საქენერგოს” სიტემის საწარმოებმა 1943 წელს 1942 წელთან შედარებით გამოიმუშავეს 8,3 მლნ კილოვატსაათით, ხოლო 1944 წელს –78,9 მლნ კილოვატსაათით მეტი ელექტროენერგია.

ომის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის ელექტროსადგურების სიმძლავრე 211 ათას კილოვატამდე გაიზარდა, ნაცვლად 1940 წლის 180 ათასი კილოვატისა. მაგრამ ელექტროენერგიის გამომუშავება 1944 წლის დონეს 32,7 მლნ კილოვატსაათით ჩამორჩებოდა[16].

საქართველოს ენერგეტიკული ბაზის შემდგომი გაფართოების მიზნით უკვე 1944 წელს საკ. კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე განახლდა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მაგრამ ეკონომიკური სიძნელეების

გამო სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ 1945 წლის დამდეგს დაიწყო. წლის ბოლოს კაპიტალური სამუშაოების გეგმა ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ორჯერ გაიზარდა. ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში დაიდგა 25 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეორე ტურბოაგრეგატი, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1945 წლის 28 დეკემბერს[17].

1943 – 1945 წლებში დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაადიდა როგორც ფეროშენადნობებისა და ელექტროლიტური მანგანუმის, ისე სხვა პროდუქციის წარმოება.

ლითონდამმუშავებელი, ქიმიური, ხის დამმუშავებელი და ადგილობრივი მრეწველობის, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა არა თუ გაზარდეს სამხედრო პროდუქციის წარმოება, არამედ განაახლეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე სამოქალაქო ასორტიმენტის საქონლის გამოშვება. გაიზარდა სამხედრო პროდუქციის ხვედრითი წონა. მაგალითად, 1941 წელს საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში სამხედრო პროდუქციის ხვედრითი წონა შეადგენდა 5,8 პროცენტს, 1942 წელს – 49,7-ს, 1943 წელს კი იგი მთელი საერთო პროდუქციის 55,9 პროცენტამდე გადიდდა. სულ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა 1943 წელს სამხედრო უწყებისათვის გამოუშვეს 24,5 პროცენტზე მეტი პროდუქცია, ვიდრე 1942 წელს[18].

მატერიალური მომარაგების საქმეში არსებული მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად, რესპუბლიკის შინაგანი რესურსების გამოძებნისა და გამოყენების შედეგად გაიზარდა შეიარაღების გამოშვება. 1943 წელს საქართველოს მრეწევლობამ სამხედრო უწყებას მიაწოდა 90 ათასამდე ავტომატი, ანუ 76 პროცენტით მეტი, ვიდრე 1942 წელს[19]. შეიარაღების წარმოების ტემპები 1944 წლის პირველ ნახევარშიც იზრდებოდა, მაგრამ წლის მეორე ნახევარში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა დაიწყეს ახალი, უფრო სრულყოფილი სამხედრო პროდუქციის ათვისება. ამის შედეგად რამდენადმე შემცირდა ზოგიერთი სახეობის შეიარაღების წარმოების მოცულობა. მაგალითად, 1944 წელს გამოშვებულ იქნა 73,5 ათასი გაუმჯობესებული პისტოლეტ-ავტომატი ”პპს” ნაცვლად 1943 წელს გამოშვებული 90 ათასი ”პპშ” ავტომატისა.

შავი ზღვის ფლოტის შეკვეთით 1943 – 1944 წლებში თბილისის ორჯონიკიძის, კალინინის, 26 კომისრის, კიროვის სახელობის ქარხნებსა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა საწარმოში დაიწყეს სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების წარმოება საბრძოლო გემების აღჭურვისათვის[20].

მართალია, 1943 – 1945 წლებში ზოგიერთი სახეობის შეიარაღების წარმოება გადიდდა, მაგრამ მთლიანად საქართველოს სამხედრო პროდუქციის მოცულობა თანდათან შემცირდა. ეს გამოწვეული იყო შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების გამოშვების მკვეთრი გადიდებით სსრ კავშირის

აღმოსავლეთ რესპუბლიკებში, სადაც ამისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა, აგრეთვე მრეწველობის აღდგენით გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების რაიონებში.

საქართველოს ლითონდამმუშავებელმა და ხელსაწყოთსაშენებელმა საწარმოებმა შეამცირეს შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის წარმოება და გაზრდილი ტემპით იწყეს პროდუქციის გამოშვება როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, ისე გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად. 1943 წელს საქართელოს ამ სამრეწველო საწარმოების პროდუქციაში დიდი ადგილი ეკავა ავტომანქანების, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებსა და დეტალებს. ავტოტრაქტორგასაღებისა და სასოფლო-სამეურნეო მომარაგების მთავარ სამმართველოებს გადაეცა 205,5 ათასი ცალი სათადარიგო დეტალი[21], რომელთაგან ნაწილი გამოყენებულ იქნა სამხედრო უწყების მოტორებისა და ავტომანქანების შესაკეთებლად[22].

1945 წელს 1944 წელთან შედარებით გადიდდა ქიმიური მრეწველობის მთელი რიგი დარგების პროდუქცია, სამშენებლო მასალების წარმოება და სხვ.

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 28 თებერვლისა და 1945 წლის 6 მარტის დადგენილებათა საფუძველზე გაიზარდა მთელი რიგი ქარხნების საწარმოო სიმძლავრე, აგრეთვე დაიწყო ახალი მსხვილი ობიექტების მშენებლობა. 1945 წელს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნისა და ქარხანა "ჩარხის" საწარმოო სიმძლავრე ერთნახევარჯერ გადიდდა, ხოლო ლითონის ჩამოსხმა თბილისის ქარხანა "ცენტროლიტში" თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა[23].

1945 წლის აგვისტოში ქუთაისში დაიწყო საავტომობილო ქარხნის მშენებლობა.

დიდი მუშაობა გასწია ორჯონიკიძის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა სამხედრო გემებისა და ხომალდების შეკეთება-აღდგენის საქმეში. 1945 წლის პირველ კვარტალში შეკეთდა რამდენიმე გემი, გარდა ამისა, შავი ზღვის ფლოტს გადაეცა ამ ქარხანაში აგებული საესკადრო ნაღმოსანი[24].

მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ზოგიერთი საწარმოსა და დამხმარე ნაგებობის მშენებლობა გრძელდებოდა, თბილისის საავიაციო ქარხნის კოლექტივი, მათან კოოპერირებული რესპუბლიკის საწარმოების დახმარებით არათუ წარმატებით ასრულებდა საბრძოლო მანქანების გამოშვების გეგმურ დავალებებს, არამედ ამასთან ეუფლებოდა უახლესი საფრენ-ტექნიკური მონაცემების მქონე თვითმფრინავების წარმოებას. 1943 წელს ქარხნის კოლექტივმა წითელ არმიას საჩუქრად გადასცა უფასოდ დამზადებული თვითმფრინავების რგოლი, რომელსაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ა. წურწუმიას სახელი[25]. მოპოვებული მაღალი საწარმოო

მაჩვენებლებისათვის ქარხნის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პრემია[26].

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით თბილისის საავიაციო ქარხანას დაევალა 1944 წლის მარტიდან დაეწყო ახალი მანქანების "იაკ-3"-ის გამოშვება, ადრე გამოშვებული "ლაგგ-3"-ის ნაცვლად. ამასთან დაკავშირებით 1944 წლის პირველ კვარტალში თვითმფრინავების გამოშვება რამდენადმე შემცირდა, მაგრამ შემდგომ პერიოდში ქარხანამ გაადიდა ახალი მარკის თვითმფრინავების გამოშვება[27].

1944 წელს ქარხნის კოლექტივმა რესპუბლიკის კომკავშირლების სახსრებით გეგმის ზევით ააგო საბრძოლო თვითმფრინავები ესკადრილიისათვის "საქართველოს კომკავშირელი". ეს თვითმფრინავები 1944 წლის 14 დეკემბერს გადაეცათ საავიაციო შენაერთებს[28]. 1945 წელს ქარხანამ ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს ასობით თვითმფრინავი მიაწოდა.

თბილისის სატელეფონო-სატელეგრაფო აპარატურის ქარხანა სამხედრო უწყებას ყოველთვიურად აწვდიდა სწრაფმოქმედი საწერი აპარატურის ათობით კომპლექტს – პერფორატორებს, ტრანსმიტერებს, ონდულატორებს და სხვ.[29].

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა, როგორც წინა თავში ითქვა, 1942 წლის განმავლობაში გამოუშვეს მნიშვნელოვნად მეტი საერთო პროდუქცია და დაამზადეს ბევრად მეტი შალის, აბრეშუმისა და ნახევრადაბრეშუმის ქსოვილები, ვიდრე ომამდელ 1940 წელს, მაგრამ 1943 და 1944 წლებში შემცირდა რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის როგორც საერთო, ისე ნატურალური პროდუქცია[30]. 1945 წელს წინა წელთან შედარებით დამზადდა 159 ათასი მეტრით ნაკლები შალის, და 386,5 ათასი მეტრით ნაკლები აბრეშუმისა და ნახევრადაბრეშუმის ქსოვილი. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობამ გამოუშვა 1,5 მლნ მეტრი შალის ქსოვილი, 4,2 მლნ მეტრი აბრეშუმისა და ნახევრადაბრეშუმის ქსოვილი[31].

1943 – 1944 წლებში საქართველოს მსუბუქ მრეწველობას არა მარტო მთლიანად უნდა შეესრულებინა სამხედრო უწყების გაზრდილი შეკვეთები (განსაკუთრებით სამკერვალო და ტყავეულის პროდუქცია) და დაეკმაყოფილებინა რესპუბლიკის მოსახლეობის მინიმალური მოთხოვნილება ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და სხვა პირველი საჭიროების საგნებზე, არამედ დამატებით უნდა გამოეშვა მილიონობით მანეთის ფართო მოხმარების საქონელი ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად.

1943 წელს სამკერვალო ფაბრიკების საერთო პროდუქცია 1942 წლის დონეზე დარჩა, 1944 წელს კი მათ გამოუშვეს 47,3 მლნ მანეთის (1926 – 27 წლების ფასებით) საქონელი, ნაცვლად 40,7 მლნ მანეთისა 1942 წელს. რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობამ 1943 წელს შეიარაღებულ ძალებს

გადასცა მთელი თავისი იპროდუქციის 87 პროცენტი, ხოლო 1944 წელს უფრო მეტი[32].

რესპუბლიკის ფეხსაცმლის ფაბრიკებიც პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს სამხედროო უწყებას უგზავნიდნენ. 1943 – 1944 წლებში გაიგზავნა 2,1 მლნ წყვილი მარტო ჯარისკაცის ფეხსაცმელი. თბილისის ცხენის აღკაზმულობა-უნაგირის ფაბრიკამ, რომელიც აწარმოებდა უნაგირებსა და აგრეთვე ცხენის მოსართავს, 1944 წელს მკვეთრად შეამცირა პროდუქციის გამოვშება[33].

1943 – 1944 წლების განმავლობაში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა სულ გაოუშვეს 600 მლნ მანეთის პროდუქცია. აქედან 62 პროცენტი გაიგზავნა ჩვენი ქეყნის შეიარაღებული ძალების მოსამარგებლად, დანარჩენი კი მოხმარდა საქართველოს მოსახლეობას და ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს[34].

1945 წელს რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ გეგმას 4 პროცენტით გადააჭარბა. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს სამკერვალო, საგალანტერიო, ტყავისა და რეზინის მრეწველობის საწარმოებმა. გაცილებით გააუარესეს მუშაობა ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოებმა. მათ დაამზადეს 2,6 მლნ წყვილი ფეხსაცმელი, ანუ 0,6 მლნ წყვილით ნაკლები, ვიდრე 1944 წელს და 1945 წლის საწარმოო გეგმა მხოლოდ 85 პროცენტით შეასრულეს. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ნაწილობრივ შეიცვალა წარმოების ტექნოლოგია სამოქალაქო ფეხსაცმლის გამოვშების გადიდების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოები, როგორც წესი, წლიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებდნენ, მაინც 1943 – 1944 წლების განმავლობაში ზოგიერთი სახეობის პროდუქციის წარმოება შემცირდა. ამ პერიოდში ასევე შემცირდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების ხვედრითი წონა. რესპუბლიკის კვების პროდუქტების წარმოების დინამიკა 1943 – 1944 წლებში ომამდელ 1940 წელთან შედარებით ნაჩვენებია ცხრილში (იხ. 1)[35].

ცხრილი 1.

პროდუქციის დასახელება		**წლები**		
		1940	1943	1944
პურ-	ტონა	203.802	156.091	125.178
ფუნთუშეულის ნაწარმი	ტონა	5.526	7.665	6.342
.....	მლნ.	4.614	90	177
მაკარონის	ცალი	886	5.367	5.967
ნაწარმი	ტონა	4.944	2.197	2.885
პაპიროსები	ტონა	10.960	13.923	12.124
.....	ტონა	2.591	2.382	2.391
მზა თამბაქო	ტონა	610	142	122
(მოსაწევი)	ათასი	111	1.100	780
საკონდიტრო	დკლ.			

ნაწარმი	ათასი	28.299	29.892	24.810
ბაიხაო ჩაი	დკლ.	10.005	8.962	9.762
(პირველადი დამუშ.)	ათასი	325	346	316
მწვანე აგურის ჩაი	პირობითი	1.562	1.961	1.694
.....	ქილა			
ლუდი	ტონა			
.....	ტონა			
ღვინო	ტონა			
.....				
კონსერვები				
.....				
ხორცი				
.....				
ცხოველური				
ცხიმი				
ყველი				
.....				

პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის მნიშვნელოვანი შემცირება უნდა აიხსნას იმით, რომ ჯერ ერთი, თითქმის მთლიანად შეწყდა საქართველოში მარცვლეულის, ფქვილისა და შაქრის შემოზიდვა და რესპუბლიკა კმაყოფილდებოდა შინაგანი რესურსებით, მეორეც, მშვიდობიან დროს ჯარებს პურით ამარაგებდნენ რესპუბლიკის ქარხნები და ფურნეები, ხოლო ომის დაწყებიდანვე საჯარისო შენაერთებს პურით უზრუნველყოფდნენ საველე პურის საცხობები და მათ მიერ გამოშვებული პურის ნაწარმი, ბუნებრივია, არ შედიოდა ამ პერიოდში გამოშვებული პურ-ფუნთუშეულის საერთო ჯამში.

პაპიროსის წარმოების შემცირება კი ძირითადად გამოწვეული იყო შესაფერისი ქაღალდისა და პაპიროსის ჰილზების უქონლობით, რომლებიც ადრე ჩვენი ქვეყნის ცენტრალური რაიონებიდან შემოჰქონდათ.

კვების მრეწველობის პროდუქციის მიწოდების ხვედრითი წონის შემცირება შეეხო ყველა სახეობის ნაწარმს, გარდა თამბაქოსი. მაგალითად, 1942 წელს შეიარაღებული ძალების მოსამარაგებლად გაიგზავნა რესპუბლიკაში წარმოებული მაკარონის ნაწარმის 64,1 პროცენტი, ხოლო 1943 წელს – 55,5 პროცენტი, 1942 წ. გაიგზავნა ბაიხაო ჩაის 73,7 პროცენტი, 1943 წ. კი 58,5 პროცენტი, ჯარებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების ხვედრითი წონის შემცირების მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მარაგდებოდნენ აგრეთვე გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების რესურსებითაც.

1945 წელს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 1944 წელთან შედარებით გაზარდეს საფქვავ-საბურღულე პროდუქტების, შაქრის, მაკარონის ნაწარმის, ზეთის, პაპიროსისა და სხვა

საქონლის წარმოება. საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს თბილისის საწარმოებმა: ფქვილკომბინატმა, მაკარონის ფაბრიკამ და № 2 თამბაქოს ფაბრიკამ, აგრეთვე აგარის შაქრის ქარხანამ.

საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა 1943 – 1944 წლების საწარმოო დავალებანი და პროდუქციის უდიდესი ნაწილი არმიასა და ფლოტს გაუგზავნა. ასევე წარმატებით მუშაობდნენ ამ დარგის საწარმოები 1945 წელს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ომის წლებში შემცირდა თევზჭერა და მისი დამუშავება. მაგრამ ბათუმის, სოხუმის, ფოთისა და "საქთევზტრესტის" სხვა საწარმოები სისტემატურად ასრულებდნენ თევზის პროდუქტების წარმოების გეგმიურ დავალებებს.

1943 – 1944 წლებში "სამტრესტისა" და "საქშამპანკომბინატის" საწარმოებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბეს წლიურ გეგმას და უდიდესი მოგება მისცეს სახელმწიფოს, მარტო 1943 – 1944 წლებში სახელმწიფომ "სამტრესტისა" და "საქშამპანტრესტის" საწარმოებისაგან მიიღო 1,1 მლრდ მანეთი წმინდა მოგება[36].

1943 – 1944 წლებში კარგად მუშაობდნენ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია. მათ გადაჭარბებით შეასრულეს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პროდუქციის წარმოების გეგმა. იმის გამო, რომ რესპუბლიკაში მწვავედ იგრძნობოდა ელექტრომრეწველობის საქონლის ნაკლებობა, ადგილობრივი მრეწველოლბისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა დაიწყეს ნათურების, საკიდი კარბოლიტური ვაზნების, ფაიფურის გორგოლაჭებისა და საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობის მრავალი სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების გამოშვება[37].

მრეწველობის მუშაკთა თავდადებული მუშაობის მიუხედავად, სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა 1945 წელს 1940 წელთან შედარებით შემცირდა 20 პროცენტით, ძირითადად ფართო მოხმარების საგნების წარმოების შეკვეცის გამო.

---

[1]პარტიული არქივი (თბილისი),ფ. 14,აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 20.
[2] იქვე, საქ. 269, ფურც. 39 –40; საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალები.
[3] იქვე, ფ. 14, საქ. 14014, ფურც. 67.
[4] იქვე, საქ. 13533, ფურც. 43; აღწ, 2. საქ. 1397. ფურც. 64.
[5] იქვე, საქ. 1392, ფურც. 1.
[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 13311, ფურც. 53; აღწ. 2, საქ. 1395, ფურც. 6.
[7] იქვე, ფ. 14,აღწ. 2, საქ. 1395, ფურც. 6; საქ. 269, ფურც. 21-28; საქ. 256, ფურც. 172 –174.
[8] იქვე, საქ. 13355, ფურც. 40.
[9] იქვე, საქ. 12674, ფურც. 152-157.
[10] იქვე. აღწ., 1, საქ. 14062, ფურც. 91.
[11] იქვე, საქ. 14062, ფურც. 91.

[12] იქვე, აღწ. 2, საქ, 269, ფურც. 27 –28 და 39 –41.
[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 13874, ფურც. 1-3; საქ. 13556, ფურც. 75, საქ. 12995, ფურც. 24.
[14] . იქვე, საქ. 13676, ფურც. 113; საქ. 14063, ფურც. 21.
[15] იქვე, საქ.14053, ფურც. 15.
[16] იქვე, აღწ. 2, საქ. 259, ფურც. 34.
[17] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 191, ფურც. 135 – 167.
[18] ჟურნ. "ბოლშევიკი" № 3 – 4, 1945, გვ. 56.
[19] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12992, ფურც. 7 – 44; საქ. 12972, ფურც. 126; საქ. 13129, ფურც. – 33; საქ. 13668, ფურც. 155.
[20] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12804, ფურც. 138– 139.
[21] იქვე, საქ. 13662, ფურც. 8.
[22] იქვე, საქ. 12859, ფურც. 93 - 94.
[23] იქვე, საქ. 1399, ფურც. 28.
[24] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 259, ფურც. 41.
[25] იქვე, აღწ. 1, საქ. 13122, ფურც. 164 - 165.
[26] იქვე, საქ. 13122, ფურც. 165 - 166.
[27] იქვე, აღწ. 2, საქ. 13136, ფურც. 54; საქ. 13813, ფურც. 6.
[28] იქვე, საქ. 13803, ფურც. 472.
[29] იქვე, საქ. 13530, ფურც. 261; საქ. 14045, ფურც. 14.
[30] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 14105, ფურც. 48 და ფ. 14, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 22 – 25, და 27 – 28.
[31] იქვე, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 22 – 24 და 27 – 28.
[32] იქვე, საქ. 14093, ფურც. 4,
[33] იქვე, საქ. 14105, ფურც. 61 – 62.
[34] იქვე, საქ. 14093, ფურც. 4.
[35] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 14105, ფურც. 42 – 43.
[36] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13389, ფურც. 90– 95; საქ. 14093, ფურც. 11.
[37] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12376, ფურც. 214.

§ 2 ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზა, კერძოდ კი ქართველი რკინიგზელები, მართალია, 1943 წლის მეორე ნახევრიდან ერთგვარად განთავისუფლდნენ ჯარის ოპერატიული გადაყვანა – გადმოყვანისაგან, მაგრამ მათი სამუშაოს მოცულობა არა თუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ბევრად გადიდდა სტრატეგტული ნედლეულის , ნახევარფაბრიკატების , საწვავის , სურსათის რესპუბლიკათშორისი გადაზიდვა, აგრეთვე ლენდ – ლიზით მიღებული იმპორტული ტვირთის გადატანა.

დიდი წარმატებები მოიპოვეს ამიერკავკასიის რკინიგზელებმა 1944 წელს. გეგმის შესაბამისად მათ უნდა დაეტვირთათ და გადაეზიდათ სულ 549 ათასი ვაგონი. რკინიგზელებმა ღირსეულად შეასრულეს ეს დავალება და გადაზიდვის წლიური გაგმა 1944 წლის 19 დეკემბრისათვის გაანაღდეს[1].

1945 წლის მარტში სამოქალაქო მომსახურებისათვის საექსპლოტაციოდ გადაეცა ამიერკავკასიის რკინიგიზის შავი ზღვის მაგისტრალი. ამავე წელს დამთავრდა ბორჯომი – ვალეს სარკინიგზო უბნის მშენებლობა, მშენებლობის პროცესში იყო კაჭრეთ – მირზაანის რკინიგზის შტო.

ამიერკავკასიის რკინიგზელებმა 1945 წელს დატვირთვა – გადმოტვირთვის სამუშაოთა გეგმა 11 თვეში შეასრულეს. რკინიგზის წლიურმა ტვირთბრუნვამ შეადგინა 7, 7 მლნ ტოეა, ანუ 1,2 მლნ ტონით მეტი, ვიდრე 1944წელს.

კავკასიის მთისწინეთში ჰიტლერული ჯარების განადგურების შემდეგ, რესპუბლიკის საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტი თითქმის მთლიანად განთავისუფლდა სამხედრო გადაზიდვებისა და თავდაცვითი სამუშაოებისაგან, მხოლოდ იშვიათად იყენებდნენ მას ჯარების სასოფლო – სამეურნეო პროდუქტებით მოსამარაგებლად, აგრეთვე დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების სანიტარული მატარებლებიდან საევაკუაციო ჰოსპიტლებში გადასაყვანად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტი 1943 –1944 წლებში სახალხო მეურნეობის ამოცანებს ასრულებდა, იგი მაინც დიდ სიძნელეებს განიცდიდა საავტომობილო პარკის შკმცირების, სათადარიგო ნაწილებისა და ავტორეზინის ნაკლებობის გამო. 1945 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოს ჰქონდა 6, 1 ათასი ავტომანქანა, რომელთაგან მხოლოდ 1,8 ათასი იყო საექსპლოატაციოდ ვარგისი. მანქანების უმეტესი ნაწილი იმდენად იყო დაზიანებული, რომ შეკეთებაც კი არ შეიძლებოდა.გარდა ამისა, ბევრი მანქანა საავტომობილო რეზინისა და მთელი რიგი სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო უქმად იდგა. ამიტომ სახალხო – სამეურნეო გადაზიდვის მთელი სიმძიმე სჭაპანო ტრანსპორტს დააწვა, თუმცა, აქაც იგრძნობოდა გამწევი ძალის მწვავე ნაკლებობა. მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებებისა, საქართველოს საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტმა რესპუბლიკათაშორისი სახალხო – სამეურნეო გადაზიდვების ამოცანები შეასრულა და დახმარება გაუწია რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საჯარისო შენაერთებსა და ნაწილებს[2].

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გზათა მთავარი სამმართველო ემსახურებოდა და უვლიდა 2060კმ რესპუბლიკური და 9400კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს და ყოველწლიურად დიდი მოცულობის სარემონტო –აღდგენით სამუშაოებს ასრულებდა. 1943 წელს საგზაო სამუშაოებზე დაიხარჯა 33,6 მლნ მანეთი, აქედან მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესრულებულ იქნა 18,4 მლნ მანეთის ოდენობის სამუშაოები. გარდა ამისა, გზათა მთავარ სამმართველოს ყოველწლიურად შემოდგომა –გაზაფხულის პერიოდში წესრიგში მოჰყავდა უღელტეხილების გადასასვლელები და ძნელად სავალი უბნების 1100კმ-მდე საერთო სიგრძის 13 გზა, რაზედაც ცოტა ძალა და საშუალებები როდი იხარჯებოდა[3].

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლი ს 1 მარტის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. გაჰყავდათ გზატკეცილები: მაიაკოვსკი – საირმე –დიდმაღალა; ჩოხატაური – ბახმარო და სხვ. წარმოებდა საქართველოს სამხედრო გზის, შავი ზღვისპირეთის გზატკეცილის, თბილისი – რუსთავი –წითელი ხიდის გზატკეცილისა და სხვათა რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტმა, რომელიც დიდ სიძნელეებს განიცდიდა თვითმფრინავების ნაკლებობის გამო, ძირითადად გაართვა თავი რესპუბლიკის შიგნით და რესპუბლიკათაშორის მგზავრების გადაყვანისა და სახალხო – სამეურნეო გადაზიდვების ამოცანებს. გარდა ამისა, სამოქალაქლ ავიაციის თვითმფრინავებს, თუმცა იშვიათად ვიდრე 1942 წელს, მაგრამ მაინც იყენებდნენ კავშირგაბმულობის მოსაწყობად და ჯარებისათვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, აგრეთვე სამხედრო მომსახურეთა გადასაყვანად და საბრძოლო ტვირთის გადასატანად.

თბილისისა და ქუთაისის საავიაციო სარემონტო სახელოსნოებმა ასობით სხვადასხვა ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი შეაკეთეს[4].

1945 საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველომ, თუმცა ვერ შეასრულა გეგმა, მაგრამ მაინც გადაიყვანა 8,1 ათასი მგზავრი და გადაიტანა გაცილებით მეტი ტვირთი, ვიდრე 1944წელს.

1943 წელს და 1944 წლის დამდეგს შავი და აზოვის ზღვების საბრძოლო გეგმებსა და ხომალდებს ძირითადად საქართველოს ნავსადგურებში ჰქონდათ ბაზა, აქვე გადიოდნენ მომზადებას ის ჯარები, რომლებიც მონაწილეობდნენ ნოვოროსიისკ – ტამანისა და ქერჩის სადესანტო ოპერაციებში. ტამანის ნახევარკუნძულზე მოქმედი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებისათვის გათვალისწინებული დიდი რეზერვები და მატერიალურ – ტექნიკური საშუალებანი იგზავნებოდა ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ნავსადგურებიდან. აქვე ხდებოდა დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა მიღება და ჰოსპიტლებში განაწილება, აგრეთვე მწყობრიდან გამოსული საბრძოლო ტექნიკისა და ნადავლის ევაკუაცია. ამ ნავსადგურების კოლექტივები უზრუნველყოფდნენ ჯარების გადაყვანას და დიდძალი ტვირთის გადაზიდვას, გარდა ამისა, დიდ მუშაობას ეწეოდნენ სანავსადგურო ნაგებობათა მშენებლობის, გაფართოებისა და სრულყოფისათვის. საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები 1945 წელს კვლავ განაგრძობდნენ დიდი რაოდენობით ტვირთის გადაზიდვას, გადიდდა როგორც შიგარესპუბლიკური, ისე საექსპორტო საიმპორტო ტვირთბრუნვა.

მიუხედავად იმისა, რომ 1943 წლის მეორე ნახევრიდან რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის , კავშირგაბმულობისა და საფოსტო დაწესებულებათა ქსელი განთავისუფლდა მოქმედი არმიის მომსახურებისაგან, მათ მოუხდათ მთელი რიგი სიძნელეების გადალახვა და უდიდესი დაძაბული მუშაობა, რათა მოსახლეობას ჰქონოდა მუდმივი მასობრივი ინფორმაცია, მყარი

კავშირგაბმულობა, აგრეთვე საფოსტო კორესპონდენციების ნორმალური გაცვლა.

1944 –1945 წლებში კორესპონდენციების ნაკადი სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა და საფოსტო დაწესებულებების მუშაობაც რთულდებოდა. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის ვრცელი ტერიტორიის ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკები დიდ დახმარებას უწევდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებს მუშაობის განახლება – მოგვარების საქმეში.

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის, კავშირგაბმულობისა და საფოსტო დაწესებულებების მუშაკებმა 1944 –1945 წლების განმავლობაში წარმატებით შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანები.

კავშირგაბმულობის დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას მოწმობს შემდეგი ციფრები: 1940 წელს საქართველოში იყო კავშირგაბმულობის 650 საწარმო, ომის ბოლოსათვის კი მათი რიცხვი 707 –მდე გაიზარდა. სატელეფონო ქსელი 1940 წლის 22, 4 ათასი ნომრიდან 25, 2 ათას ნომრამდე გაფართოვდა.

რესპუბლიკის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს გარდაქმნაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ -ერთ არსენალად, დიდ სამაულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების საქმეში.

---

[1] იქვე, საქ. 14053, ფურც. 166

[2]პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 225, ფურც. 13 –14.

[3] იქვე, საქ.14053, ფურც, 65; საქ.12311, ფურც. 54; საქ.13336, ფურც. 5 –14; საქ. 12930, ფურც. 190 – 192

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12988, ფურც. 83; საქ. 12429, ფურც. 8.

§ 3. სოფლის მეურნეობა

1943 – 1945 წლებში, მიუხედავად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშათა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების რიცხვის შემცირებისა, სოფლის მშრომელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირული გამარჯვებებით აღფრთოვანებული სოფლის მოსახლეობის შრომითი აქტივობა, რაც გამოიხატა გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის გადიდებით.

1940 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა გამოიმუშავეს 130,6 მლნ შრომადღე, 1943 წელს – 138,8 მლნ., ხოლო 1944 წელს – 133,3 მლნ შრომადღე. ერთი კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომადღეების საშუალო რაოდენობა კი 1940 წელს უდრიდა 125-ს, 1943 წელს – 143-ს და 1944 წელს – 145 შრომადღეს[1].

უნდა აღინიშნოს, რომ 1943 – 1944 წლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის მოსახლეობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა. 1942 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობდა 100 ათასი მოსწავლე და სტუდენტი, აგრეთვე 7 ათასი მასწავლებელი, რომლებმაც გამოიმუშავეს 6 მლნ შრომადღე, ხოლო 1943 წელს 120 ათასი მოსწავლე და 8 ათასზე მეტი მასწავლებელი შრომობდა რესპუბლიკის კომლეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე, რომლებმაც გამოიმუშავეს 8 მლნ შრომადღე[2].

1943 – 1945 წლებში რესპუბლიკის მრეწველობამ გაადიდა იარაღის, ინვენტარისა და ტრაქტორების, კომბაინებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოება.

1943 წელს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალმა ომის პერიოდის მაქსიმალურ მაჩვენებლებს მიაღწია. მარცვლეული კულტურების ფართობი 850 ათას ჰექტარს აღემატებოდა. მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 1,5 ცენტნერით გაიზარდა და მიღებულ იქნა 210 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს. რამდენადმე სხვა მდგომარეობა იყო 1944 წელს. ამ წელს საერთო მოსავლიანობა 1943 წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფლის მშრომელებმა მოიწიეს 116 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს[3]. გაიზარდა სასაქონლო პროდუქციაც.

მარცვლეული და პარკოსანი კულტურების გაფართოებას როგორც მთლიანად ომის პერიოდში, ისე 1943 – 1944 წლებში თან ახლდა ერთწლიანი ტექნიკური კულტურების ფართობების შემცირება 1940 წლის 51,6 ათასი ჰექტარიდან 1944 წელს 42,3 ათას ჰექტარამდე.

გაიზარდა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შესაბამისად მათი სახელმწიფო დამზადებაც. მაგალითად, 1943 წელს რესპუბლიკაში მოიკრიფა 60,6 ათასი ტონა, ანუ თითქმის 10 ათასი ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე 1940 წელს. 1943 წელს დამზადდა 432,6 მლნ ცალი ციტრუსის ნაყოფი, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 70 მლნ ცალით მეტი, ტუნგის ნაყოფი – 6,8 ათასი ტონა, ნაცვლად 1940 წლის 3,1 ტონისა. მიუხედავად იმისა, რომ 1943 წელს კახეთის მევენახეობის 4 ძირითადი რაიონი (საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის) სეტყვისაგან ძალიან დაზარალდა, მაინც რესპუბლიკაში დამზადდა 6 560 ტონით მეტი ყურძენი, ვიდრე 1940 წელს. 1943 წელს დამზადებულ იქნა ათასობით ტონა ხილი[4].

1943 წელს გადაჭარბებით შესრულდა პურის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 3 მილიონამდე ფუთი მარცვლეული, მათ შორის 54 ათასი ფუთი – 1944 წლის ანგარიშში. სახელმწიფო დამზადების გარდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში საქართველოს მშრომელებმა უსასყიდლოდ შეიტანეს 58,8 ათასი ფუთი, ხოლო ფაშისტთა ოკუპაციისაგან დაზარალებულთა დამხმარე ფონდში – 13,2 ათასი ფუთი. გარდა ამისა, პურის სახელმწიფო დამზადების ორგანოებმა წითელ არმიას გადასცეს 322,3 ათასი ფუთი მარცვლეული[5].

საქართველომ 1944 წელს პურის დამზადების გეგმა 5 ოქტომბრისათვის შეასრულა. ასევე გადაჭარბებით შესრულდა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გეგმიური დავალებანი[6].

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში კი ისეთი შრომატევადი კულტურების განვითარებისათვის, როგორიცაა ჩაი, თამბაქო, ყურძენი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 21 იანვრის დადგენილებას "საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ჩაის მრეწველობის დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილებით შემოღებულ იქნა სახელმწიფო ფასით სიმინდის მიყიდვა იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებმაც შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლისა და ყურძნის დამზადების სახელმწიფო დავალება. მოწინავე მეჩაიეებისა და მევენახეების წახალისების მიზნით ყურძნის, თამბაქოს, ჩაისა და სხვა ძვირფასი და შრომატევადი კულტურების დამზადების ფასი 2 – 3-ჯერ გაიზარდა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე სხვა ღონისძიებანიც, რომლებიც მიზნად ისახავდნენ როგორც მოსავლიანობის გადიდებას, ისე ამ კულტურების სამრეწველო გადამუშავების გაუმჯობესებას.

ამ დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ ბევრად გაადიდა კოლმეურნეთა შემოსავალი და სტიმული მისცა იმ კულტურების განვითარებას, რომლებიც წარმოადგენდნენ ძვირფას ნედლეულს მრეწველობისათვის.

იმის გამო, რომ 1944 წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებთან სატრანსპორტო კავშირი, საქართველო ბევრად მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს აწვდიდა სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებსა და სამხედრო უწყებას[7].

1943 – 1944 წლებშისაქართველოს მეცხოველეებმა წარმატებები მოიპოვეს როგორც პირუტყვის სულადობის გაზრდის, ისე მათი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. თუ 1941 – 1942 წლებში ერთგვარად შემცირდა არაგანსაზოგადოებული პირუტყვის რაოდენობა, 1943 წლიდან პირუტყვის რაოდენობა თანდათან გაიზარდა არა მარტო განსაზოგადოებულ, არამედ პირად სექტორშიც.

რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობის ზრდის ციფრები მოცემულია მე-2 ცხრილში (ათას სულობით).

საქართველოს მეცხოველეებმა 1943 – 1944 წლებში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს

ცხრილი 2

პირუტყვის დასახელება	პირუტყვის სულადობა მეურნე-ობის ყველა კატეგორიის მიხედ-ვით (1 იანვრისათვის)		მათ შორის განსაზოგადოე- ბულ სექტორში	
	1943	1944	1943	1944
მსხვილი რქოსანი პირუტყვი	1433	1482	619	646
ცხვრები და თხები	1878	1999	1101	1204
ღორები	364	422	52	64
ცხენები	86	85	29	29
სახედარი და ჯორები	21	23	2	2,9

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დავალებანი. 1944 წელს ხორცის დამზადების გეგმა 114,9 პროცენტით შესრულდა, რძის – 103,8, ყველის – 138,1, მატყლის – 112,7 პროცენტით[8].

საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1945 წელსაც. თუმცა 1944 წელთან შედარებით მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო ნათესი ფართობი და მთლიანი მოსავალი რამდენადმე შემცირდა, სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები ძირითადად შესრულებულ იქნა. პურის დამზადების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა ოქტომბრისათვის შესრულდა[9].

ომმა შეზღუდა მრავალწლიანი კულტურების განვითარების შესაძლებლობანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1945 წელს, გარდა ციტურესებისა და ხეხილის ბაღებისა, რომლებიც ძალზე დააზიანა 1941 – 1942 წლების მკაცრმა ყინვებმა, მრავალწლიანი ნარგავების ფართობები გადიდდა. ჩაის პლანტაციები ომის ბოლოსათვის 1896 ჰექტარით გაიზარდა და შეადგინა 51 532 ჰექტარი, ხოლო ვენახების ფართობი შემცირდა თითქმის 10 ათასი ჰექტარით და შეადგინა 59 208 ჰექტარი, ციტრუსების პლანტაციები კი შემცირდა 4,9 ათასი ჰექტარით, ხოლო ხეხილის ბაღები – 3,8 ათასი ჰექტარით. 1945 წელს საქართველოში იყო 19,7 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა და 88,0 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები[10].)))))

1945 წელს დამზადდა უფრო მეტი ყურძენი, შაქრის ჭარხალი, აბრეშუმის ჭიის პარკი და ტუნგის ნაყოფი, ვიდრე 1944 წელს. ბევრად უარესად იყო რესპუბლიკის სუბტროპიკული კულტურების საქმე. სულ მოიკრიფა 24,5 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ წინა წლის მოსავლის დაახლოებით 50 პროცენტი, ხოლო ციტრუსების ნაყოფი გაცილებით ნაკლები, ვიდრე 1944 წელს[11]. 1945 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრებისა და თხების, ღორებისა და ცხენების სულადობა, ფუტკრის სკების რაოდენობა.

1946 წლის იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო თითქმის 1,5 მლნ სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 2 მლნ-ზე მეტი ცხვარი და თხა, 473,5 ათასი ღორი და 84 ათასი ცხენი[12].

მეცხოველეობის პროდუქტებისა და სამრეწველო ნედლეულის ძირითად სახეობათა ჩაბარების სახელმწიფო გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1946 წლის დამზადების ანგარიშში ავანსად ჩააბარეს 36,7 ათასი ცენტნერი ხორცი.

მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში თავი ისახელეს აფხაზეთის ასსრ-ს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ამბროლაურის, ახმეტის, დუშეთის, ზუგდიდის, ყაზბეგის, თეთრი წყაროსა და ტყიბულის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ომის პერიოდში საბჭოთა მეურნეობების რიცხვი რამდენადმე გაიზარდა. 1945 წელს სულ იყო 78 საბჭოთა მეურნეობა, ამათგან მევენახეობის – 23, ციტრუსების – 21, ჩაის – 17, მეხილეობის – 5, ტუნგის – 3, ეთერზეთოვანი კულტურების – 2, მეცხოველეობის – 6, ნადირთმოსაშენებელი – 1[13].

გაიზარდა აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რაოდენობა, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა მათი ტექნიკური აღჭურვილობა, შემცირდა აგრეთვე ამ სადგურების მიერ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა. 1940 წელს 58-მა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა, რომლებსაც 2,4 ათასი ტრაქტორი და 512 კომბაინი ჰქონდათ, დაამუშავეს 835 ათასი ჰექტარი ფართობი, ხოლო 1945 წელს 60-მა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა, რომელთა შემადგენლობაში იყო 1,9 ათასი ტრაქტორი და 471 კომბაინი, მხოლოდ 599 ათასი ჰექტარი ფართობი დაამუშავეს. 1940 წელს კომბაინებმა მოსავალი აიღეს 100 ათასი ჰექტარი ფართობიდან, 1945 წელს კი – მხოლოდ 87 ათასი ჰექტარიდან[14].

რესპუბლიკის კოლმეურნეებმა დიდი სიძნელეები გადაიტანეს და პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით გაზარდეს სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებ, ამან კი ხელი შეუწყო კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც ჩანს მე-3 ცხრილიდან[15].

ცხრილი 3

მაჩვენებლების დასახელება	წ ლ ე ბ ი				
	1940	1942	1943	1944	1945
გამომუშავებული შრომადღეების					
რაოდენობა (ათასებში)	130.621	127.239	138.811	133.244	133.618
კოლმეურნეობის					
ფულადი შემოსავალი (ათას მან.)*	513.658	630.518	1.091.242	1.330.024	1.113.179
1კოლმეურნეობაზე საშუ.	124,0	164,5	263,2	329	273,7
ფულადი შემოს. (ათას მან.)	2	2,2	3,3	4.4	3,2
ფულადი ანაზღ. 1 შრომადღეზე					
(მანეთებში) .	48	67	162	265	180
კოლმეურნეობათა რაოდ.1					
მლნ მანეთზე მეტი შემოსავლით	809.481	1.020.075	1.204.526	1.397.766	1.589.234
წარმოების ძირითადი საშ.					
ღირებ.(ათას მანეთებში) ...	762.287	988.185	1.312.099	1.613.945	1.829.630
კოლმეურნეთა					
განუყოფელი ფონდის					
თანხა (ათას მანეთებში)					

1945 წელს კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავლის რამდენადმე შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის დაბალი მოსავლიანობით.

ომის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობამ, მნიშვნელოვანი სიძნელეების მიუხედავად, ძირითადად შეძლო მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულება. დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 115 მილიონამდე ფუთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული.

ომის წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დიდ ნაწილს გადაეცა მთავრობის ჯილდოები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 525 კაცი, მათ შორის რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები: ვ. გოგოხია, გ. ჯგუბერია, ქ. დიჯავაძე, ი. ქავთარაძე და მ. ორაგველიძე[16].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების საქმეში.

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 97 – 110.
[2] «История Грузии», т. III, стр. 167.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13478, ფურც. 3 – 4; "საქართველოს ისტორია", ტ. III, გვ. 201.
[4] იქვე, საქ. 14105, ფურც. 39; საქ. 12846, ფურც. 79; საქ. 14172, ფურც. 9; საქ. 12673, ფურც. 28; საქ. 12895, ფურც. 11; საქ. 13128, ფურც. 94.
[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13164, ფურც. 16; , საქ. 12335, ფურც. 46.
[6] იქვე, საქ. 13635, ფურც. 251; გაზ. "კომუნისტი", 1945 წლის 4 ოქტომბერი.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13112, ფურც. 341 და საქ. 14096, ფურც. 12.

[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12376, ფურც. 222.
[9] იქვე, საქ. 191, ფურც. 32.
[10] იქვე, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 53 – 57.
[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 53 – 57.
[12] იქვე, ფურც. 66.
[13] იქვე, საქ. 269, ფურც. 72.
[14] იქვე, აღწ. 2, საქ.269, ფურც. 79 – 81.
[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 269, ფურც. 76.
* 1926 – 27 წლის უცვლელი ფასებით.
[16] «История Грузии», т. III, стр. 202.

§ 4. საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდა 1943 – 1945 წლებში

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რომლის რიგებში მშრომელთა სულ უფრო მეტი მასები ებმებოდნენ.

საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ფრონტზე საომარ მოქმედებათა ძირეული გარდატეხის შემდეგ, 1942 წლის მაისში დაწყებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ერთი წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კიდევ უფრო ენერგიულად და თავდადებით შეუდგნენ შრომას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა უბანზე. მათ აღაფრთოვანებდათ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე საბრძოლო წარმატებები და განვლილი წლების უდიდესი შრომითი მიღწევები, იმის რწმენა, რომ ახლოვდებოდა ფაშისტურ გერმანიაზე საბოლოო მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების ჟამი.

გაიშალა შეჯიბრება პროფესიების მიხედვით "საუკეთესო მეფოლადის", "საუკეთესო მექურის", "საუკეთესო მყელავი მემანქანის", "საუკეთესო მტვირთავ-მემანქანის", "საუკეთესო ხარატის", "საუკეთესო ტრაქტორისტის",

“საუკეთესო კომბაინერის” და ა. შ. წოდების მოსაპოვებლად. ამ მაღალკვალიფიციურ ოსტატთა შრომის განსაკუთრებული საერთო ნიშანი იყო წარმოების საშუალებათა, ნედლეულის, ელექტროენერგიისა და სათბობის რაციონალური, ეკონომიკური მოხმარება, შრომის სანიმუშო, გონივრული ორგანიზაცია და დროის ელემენტის გამოყენების სწორად გაანგარიშება[1].

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების დასაყრდენ ძალას, ახალგაზრდა მუშების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სკოლას წარმოადგენდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები. ეს ბრიგადები იყვნენ აგრეთვე შრომის მოწინავე სოციალისტური მეთოდების დანერგვის ინიციატორები სახალხო მეურნეობაში. ამას გარდა, პირველად ამ ბრიგადებში გავრცელდა ფართოდ ახალი პატრიოტული მოძრაობა ლოზუნგით: “მეტი პროდუქცია – ნაკლები მუშახელით”. ამ მოძრაობის წამომწყები იყო მოსკოვის 1-ლი საკისარების ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადა, რომელსაც ე. ბარიშნიკოვა ხელმძღვანელობდა[2].

1944 წელს ურალის სატანკო ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული საფრონტო ბრიგადის ხელმძღვანელმა ე. აგარკოვმა განავითარა ე. ბარიშნიკოვას თაოსნობა და წამოაყენა წინადადება ბრიგადების, საამქროებისა და საწარმოო უბნების გამსხვილებისა და ამ გზით არა მარტო კვალიფიციური მუშების, არამედ აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეების გამოთავისუფლების შესახებ წარმოების სხვა უბნებზე გამოსაყენებლად.

ორივე ზემოაღნიშნული პატრიოტული წამოწყება სწრაფად გავრცელდა მთელი ჩვენი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმასაც, რომ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სიმცირის მიუხედავად მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა საწარმოო, პირველ რიგში თავდაცვითი პრორდუქციის გამოშვების გეგმები. საწარმოები მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. მაგალითად, მარტო რესპუბლიკის მრეწველობაში მუშათა რაოდენობა 1943 წლისათვის 1940 წელთან შედარებით 14,8 ათასი კაცით შემცირდა, ხოლო 1944 წელს – 13,4 ათასი კაცით[3].

მაგრამ მუშათა კლასის რიგები ძირითადად ივსებოდა კვალიფიციური კადრებით, რომლებსაც შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლები და სამრეწველო-სატრანსპორტო საწარმოებთან არსებული კურსები ამზადებდნენ. დიდი სამამულო ომის პერიოდში შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლებმა 26.7 ათასი კვალიფიციური მუშა მოამზადეს, მათ შორის სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებმა – 10,9 ათასი, ხოლო საფაბრიკო-საქარხნო, სამთო მრეწველობისა და სამშენებლო სკოლებმა – 15,8 ათასი მუშა[4].

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე რესპუბლიკის მშრომელთა რიგებში მნიშვნელოვანი ადგილი ქალებმა დაიკავეს. ომის დასასრულს საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო საშუალო წლიური შემადგენლობის 42 პროცენტი ქალები იყვნენ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით ქალები შეადგენდნენ: მრეწველობაში 35 პროცენტს, სოფლის მეურნეოაში – 43, ჯანმრთელობის დაცვის დარგში – 76, კავშირგაბმულობაში – 56, ტრანსპორტზე – 19 პროცენტს[5].

მალე, ე. აგარკოვის მაგალითის კვალდაკვალ სამრეწველო საწარმოებსა და სხვა ინდუტსრიულ ობიექტებზე შეიქმნა კომპლექსური კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები. ეს ბრიგადები აერთიანებდნენ სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციურ მუშებს, რომელბიც ნაკადური და კონვეიერული მეთოდების დანერგვით მნიშვნელოვნად ზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას და გადაჭარბებით ასრულებდნენ პროდუქციის გამოშვების გეგმიურ დავალებებს[6].

ბრიგადებს შიგნით გაიშალა მოძრაობა დასპეციალებისათვის. ეს კი ხელს უწყობდა სამრეწველო საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. მოსკოვის შიგასახეხი ჩარხების ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირის ტ. შაშკოვას მაგალითისამებრ საქართველოს საწარმოებში გადაისინჯა ნაკადური ხაზები, წარმოების ტექნოლოგიური პროცესები და გამოვლენილ და აღმოფხვრილ იქნა ნაკადისა და ტექნოლოგიური რეჟიმის ნაკლოვანი მხარეები, რის შედეგად ბევრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

1943 – 1945 წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა სოციალისტური შეჯიბრება, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის გამოშვების გადიდებას. მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითი მრეწველობის დარგების მიხედვით. კარობის მოლიბდენის კომბინატმა 1944 წელს 1942 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაზარდა მადნის მოპოვება და მოლიბდენის კონცენტრატის წარმოება. ვოლფრამის კონცენტრატის გამომუშავების გეგმა 205 პროცენტით შესრულდა. წარმოების მოწინავე სოციალისტური მეთოდების დანერგვისა და კონცენტრატების გამომუშავების ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შედეგად შრომის ნაყოფიერება 11,2 პროცენტით გადიდდა[7].

“ჭიათურმარგანეცის” ტრესტის კოლექტივი, რომელიც მონაწილეობდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, როგორც წესი, გადაჭარბებით ასრულებდა გეგმიურ დავალებებს. მაგალითად, 1945 წელს ტრესტმა გამოიმუშავა 850,4 ათასი ტონა გამდიდრებული მანგანუმი ნაცვლად 1944 წელს გამომუშავებული 475,7 ათასი ტონისა.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი “ჭიათურმარგანეცის”, “ტყიბულქვანახშირისა” და “ტყვარჩელქვანახშირის” ტრესტები, ზემო ავჭალისა და რიონის ელექტროსადგურები, ქუთაისის ლითოფონის, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები და საქართველოს სხვა სამრეწველო საწარმოები.

საწარმოო მიღწევების, რთული დავალებების სანიმუშოდ შესრულების, ფეროშენადნობთა ახალი სახეების ათვისებისა და მრეწველობაში დანერგვისათვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია გადაეცა, ხოლო სადნობ საამქროს "საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეროშენადნობი საამქროს" წოდება მიენიჭა. ამას გარდა, მრავალი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი ფულადი პრემიებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა. ელექტროლიზური მანგანუმის ახალი სახეობის შექმნაში განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად ქართველმა მეცნიერმა, ქიმიკოს-ტექნოლოგმა რ. აგლაძემ მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის მოლოცვა და მადლობა[8].

1943 წელს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელები დიდ საწარმოო წარმატებებს აღწევდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრების მორიგი ხელშეკრულებების შედგენისას ქარხნის კოლექტივი გაზრდილ ვალდებულებებს კისრულობდა და, როგორც წესი, მთლიანად ასრულებდა მათ. მაგალითად, კოლექტივის ერთ-ერთ წინასადღესასწაულო ვალდებულებებში ნათქვამი იყო: "ჩვენ, № 5 და 9 საამქროს მუშები, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი წითელი არმიის წარმატებებით აღფრთოვანებულნი, ვალდებულებას ვიღებთ, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღებთ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას და 115 პროცენტით შევასრულებთ აპრილის თვის საწარმოო პროგრამას. ამას გარდა, წითელი არმიის საჩუქრად გეგმის ზევით, უსასყიდლოდ დავამზადებთ საავიაციო რგოლის თვითმფრინავებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან წურწუმიას სახელს ვუწოდებთ"[9].

მართლაც, საწარმოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნრიკურმა მუშაკებმა მთლიანად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ქარხნის კოლექტივი სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრემიით დაჯილდოვდა[10].

რესპუბლიკის ტრანსპორტზე შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და ტვირთბრუნვის ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 15 აპრილისა და 8 მაისის ბრძანებულებებმა რკინიგზის, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის სამხედრო მდგომარეობაზე გადასვლის შესახებ. დანგრეული რკინიგზების სასწრაფოდ აღდგენისა და მოძრავი შემადგენლობის რემონტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალ პატრიოტულ მოძრაობას, რომელიც დაიწყო სვერდლოვსკის რკინიგზის ლიანდაგის შემომვლელმა მ. კაზანცევმა. მ. კაზანცევის ინიციატივით მუშახელის ნაკლებობის შესავსებად სარემონტო ბრიგადების შემადგენლობაში

შეიყვანეს რკინიგზის ლიანდაგის შემომვლელები და დარაჯები, რომელნიც არა მარტო თავიანთ უშუალო მოვალეობას ასრულებდნენ, არამედ სარკინიგზო მეურნეობასა და მოძრავ შემადგენლობასაც აღადგენდნენ[11].

გადაზიდვების დიდი მოცულობის მიუხედავად, ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს არაერთხელ გაუმარჯვნია სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ომის პერიოდში რკინიგზელებმა 19-ჯერ მოიპოვეს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ მათ სამუდამოდ გადაეცა. 1943 წელს მრავალი რკინიგზელის მამაცური შრომა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა. დაჯილდოებულთა შორის 1221 კაცი საქართველოდან იყო, ხოლო ორთქლმავლის მემანქანეებს ნ. გელაძეს, შ. კოხრეიძეს, ა. წიკლაურს და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს გ. კიკნაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ[12].

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სერიოზული წარმატებები მოიპოვეს საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურების – ბათუმის, ფოთისა და სოხუმის კოლექტივებმა. ისინი ტვირთბრუნვისა და სხვა ძირითადი სამუშაო მაჩვენებლების მიხედვით სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდნენ საწარმოო დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს.

დიდი სამამულო ომის წლებში მთავრობისა და საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საქართველოს კავშირგაბმულობის საწარმო-დაწესებულებების მრავალი მუშაკი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1943 წელს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ლაგოდეხისა და მახარაძის რაიონებმა და მათ სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებისათვის საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნათ.

იმავე წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია გორის რაიონმა, რომელსაც სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. 1943 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები შესანიშნავი შედეგებით დაამთავრეს აბაშის, აგარის, ქარელის, თელავისა და ხაშურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. მათ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია დაიმსახურეს. მოწინავე რაიონებად აღიარეს აგრეთვე წითელწყაროს, ზუგდიდის, ახალციხის, გუდაუთის, გურჯაანის, წალენჯიხის, ქობულეთის, ჯავის, ახალქალაქის, წყალტუბოს, გეგეჭკორის, ქუთაისისა და სხვა რაიონები[13].

1944 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი წარმატებები მოიპოვა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა გორის რაიონმა, რისთვისაც მას მეორედ გადაეცა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა აგრეთვე თეთრიწყაროს რაიონს. 1944 წ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელმაც დიდი წარმატებები მოიპოვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრაქტორების საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად მომზადებისათვის, გადაეცა სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა[14].

საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა თავდადებული შრომის მიუხედავად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი სოფლის მეურნეობის წარმოებაში რამდენადმე შესუსტდა.

ომის დროს შემცირდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში საერთო მომუშავეთა რაოდენობა, მაგრამ ამ ხარვეზს ავსებდა კოლმეურნე გლეხობის შრომითი აქტივობის მკვეთრად ამაღლება. ამას მოწმობს როგორც საქართველოს კოლმეურნეთა შრომადღეების საერთო რაოდენობის ზრდა, ისე თითოეული კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1940 წელს ქართველმა კოლმეურნეებმა 130 629 ათასი შრომადღე გამოიმუშავეს, 1943 წელს – 138 111 ათასი, 1944 წელს – 133 244 ათასი. 1940 წელს თითოეულმა კოლმეურნემ საშუალოდ 125 შრომადღე გამოიმუშავა, 1943 წელს – 143, ხოლო 1944 წელს – 145 შრომადღე[15].

1943 წლიდან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილე კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა შეფობა იკისრეს ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში საწარმოების აღდგენაზე და დიდ დახმარებას უწევდნენ მათ. მაგალითად, დონბასის მრეწველობის, კერძოდ, ქალაქ ენაკიევოს აღდგენაზე დიდხანს მუშაობდა თბილისის ახალგაზრდული რაზმი მაღალკვალიფიციური ინჟინრებისა და ტექნიკოსების ხელმძღვანელობით.

დიდი სამამულო ომის დასასრულისათვის 1945 წელს, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი საფეხური იყო მოძრაობა შრომის ორგანიზაციის, წარმოების ტექნოლოგიისა და მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ ქართველმა ხალხმა დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მნიშვნელოვანდ განავითარა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა თავისი საქმიანობის ყველა სფეროში, ეხმაურებოდა და ეუფლებოდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმებსა და

მეთოდებს, წარმატებით ასრულებდა მის წინაშე დასახულ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანებს, ცდილობდა მაქსიმალურად დახმარებოდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ფაშიზმზე მსოფლიო ისტორიული გამარჯვების მისაღწევად.

---

[1] «История Великой Отечественной войны Советского Союза 1941 – 1945», т. 3, М., 1962, стр. 179.
[2] «История Великой Отечественной войны Советского Союза 1941 – 1945», стр. 181.
[3] «История Грузии», т. III, стр. 196.
[4] "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული", თბ., 1967, გვ. 166.
[5] «Народное хозяйство Грузинской ССР к 50-летию СССР. Статистический ежегодник», Тб., 1972, стр. 215.
[6] «Великая Отечественная война Советского Союзе, 1941 – 1945», стр. 440.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 1392, ფურც. 14, 54; საქ. 13533, ფურც. 43.

[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13308, ფურც. 216 – 217; საქ. 13548, ფურც. 53; საქ. 14045, ფურც. 8; აღწ. 2, საქ. 268, ფურც. 2 – 3.
[9] იქვე, საქ. 13136, ფურც. 2, საქ. 13122, ფურც. 164 – 165.
[10] იქვე, საქ. 13122, ფურც. 165 – 166.
[11] «История Великой Отечественной войны Советского Союза», т. III, стр. 195.
[12] «История Грузии», т. III, стр. 197.

[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13478, ფურც. 3 – 4; გაზ. "კომუნისტი", 1945 წლის 4 ოქტომბერი.
[14] «История Грузии», т. III, стр. 203.
[15] «История Грузии», т. III, стр. 262 – 263.

თავი მესამე საქართველოს მშრომელთა საბრძოლო გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში

დიდ სამამულო ომში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოთ ქართველ მეომრებს. ისინი იბრძოდნენ არა მარტო როგორც რიგითი მებრძოლები და ქვეგანაყოფების მეთაურები, არამედ მიუძღოდნენ სხვადასხვა გვარეობის ჯარების ნაწილებსა და შენაერთებს. ბევრი ქართველი გენერალი, ადმირალი და ოფიცერი ხელმძღვანელობდა მსროლელ, ცხენოსან, საარტილერიო, საავიაციო, საჰაერო – სადესანტო, საზენიტო და სხვა დივიზიებს, აგრეთვე საზღვაო ფლოტის შენარეთებსა და კორპუსებს. ბევრსაც ეკავათ სხვადასხვა მეტად საპასუხისმგებლო პოსტები საჯარისო შენარეთების შტაბებსა და პოლიტსამმართველოებში.

§1. წითლი არმიის ქართული დივიზიების ფორმირება

1938 წელს წითელი არმიის ეროვნული ნაწილები, მათ შორის ქართული ფორმირებანი, გარდაიქმნენ ჩვეულებრივ საერთო –საჯარისო შენაერთებად. მხოლოდ ყოფილი ქართული სამხედრო ნაწილები (47 –ე და 63 –ე სამთო – მსროლელი დივიზიები) კვლავ დისლოცირებული იყვნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას ორივე ეს შენაერთი შეივსო საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების რესურსებით და გაიგზავნა ფრონტის სხვადასხვა უბანზე: 47 – ე სამთო – მსროლელი დივიზია სამხრეთის ფრონტზე, ხოლო 63-ე სამთო – მსროლელი დივიზია 1941 წლის 25 აგვისტოს ამიერკავკასიის ფრონტის სხვა ჯარებთან ერთად შევიდა ირანის ტერიტოტრიაზე, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გაიგზავნა ყირიმის ფრონტზე[1].

დიდი სამამულო ომის მსვლელობაში კვლავ საჭირო გახდა ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნა. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. ისინი სისტემატურად უნდა დახმარებოდნენ ეროვნულ ფორმირებებს როგორც პირადი შემადგენლობის მორალურ – პოლიტიკური მდგომარეობისა და სამხედრო დისციპლინის ამაღლებაში, ისე პარტიულ – პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციისა და წარმართვის საქმეში, აგრეთვე ეროვნული სამხედრო კადრების შერჩევასა, აღზრდასა და განაწილებაში.

ქართული მსროლელი დივიზიების ჩამოყალიბება დაიწყო 1942 წლის თებერვალში. თავდაპირველად შეიქმნა: 406-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც პირველი დღეებიდანვე დაეკისრა საბრძოლო ამოცანა – დაეცვა საბჭოთა კავშირ –თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ერთ –ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი; 392 – მსროლელი დივიზია, რომელიც გამოყენებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვითს ბრძოლებში ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების შემადგენლობაში. დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა 414 –ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კავკასიისა და ყირიმისათვის ბრძოლებში[2].

საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა 386,388, 390 –ე და 394 –ე მსროლელი დივიზიების ფორმირება. მართალია, ისინი არ ითვლებოდნენ ეროვნულ შენაერთებად, მაგრამ ამ დივიზიების უმრავლესობას ქართველი მეომრები შეადგენდნენ.

ყირიმის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთი პირველი პლაცდარმი ხელთ იგდო 224 –ე მსროლელი დივიზიის 143 –ე პოლკის ბატალიონმა, რომელსაც კაპიტანი გ. სისაური მეთაურობდა. სხვა საჯარისო შენაერთებთან ერთად 224–ე დივიზიამ გაათავისუფლა ქერჩი, გავიდა აკ-მონაის პოზიციებზე და დაიკავა თავდაცვის ზოლი. აქ მან დიდი შევსება მიიღო საქართველოდან და ეროვნულ

საჯარისო შენაერთად გადაიქცა. 394-ე მსროლელი დივიზია შევიდა 46–ე არმიის შემადგენლობაში. იგი ჯერ იცავდა შავი ზღვის სანაპიროს, შემდეგ იბრძოდა კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე, მერე კი – უკრაინის ტერიტორიაზე[3].

მას შემდეგ, რაც 242–ე მსროლელმა დივიზიამ დიდი ზარალი განიცადა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მტერთან შერკინებაში, იგი გამოყვანილ იქნა ბრძოლიდან. დივიზია მარშით გავიდა ქლუხორის უღელტეხილიდან სოხუმში, სადაც ხელახლა დაკომპლექტდა და გარდაიქმნა სამთო – მსროლელ დივიზიად. ეს დივიზია მონაწილეობდა თავდაცვითს ბრძოლებში კავკასიონის მთავრი ქედის დასავლეთი ნაწილის უღელტეხილებისათვის, შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ შეტევით ოპერაციებში.

კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში ხელახლა ფორმირებისათვის საქართველოში გადმოყვანილ იქნა 276 –ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მძიმე დანაკლისი განიცადა ჩრდილოეთ კავკასიაში უკან დახევის დროს, იგი შეივსო და კვლავ ფრონტზე გაიგზავნა[4].

ამას გარდა, ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შემდგომ ჩამოყალიბდა კიდევ ორი ქართული მსროლელი დივიზია (296-ე და 349–ე), რომელთა ძირითადი დანიშნულება იყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვა[5].

საქართველოს კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სახკომსაბჭო დიდ ყურადღებას უთმობდნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საჯარისო ფორმირებებს და დახმარებას უწევდნენ მათ როგორც პირად შემადგენლობასათნ პარტიულ – პოლიტიკურ და მასობრივ - აღმზრდელობით მუშაობაში, ისე საჭირო მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფაში. ჯარებისადმი დახმარების ღონისძიებებს ადგენდა და ამტკიცებდა საქართველოს კპ /ბ/ ცენტრალური კომიტეტის ბიურო. როგორც ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, ისე მთელი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულებას კონტროლს უწევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილება.

ქართული დივიზიების შექმნის დაწყებითს ეტაპზე პირადი შემადგენლობის პარტიული და კომკავშირული ბირთვის გასაძლიერებლად ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს თხოვნით საქართველოს კპ/ბ/ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დივიზიებში გაგზავნა ათასი კომუნისტი და 3 ათასი კომკავშირელი.[6].

მოქმედ არმიაში მყოფი ქართული დივიზიების მებრძოლებსა და მეთაურებს შორის პარტიულ – პოლიტიკური და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ მოსაწყობად საქართველოს კპ/ბ/ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ შენაერთებში ხანგრძლივი ვადით მიავლინა რესპუბლიკის პარტიულ-პოლიტიკური აპარატის ასობით მუშაკი, რომლებიც არა მარტო ეხმარებოდნენ

მეთაურეებსა და პოლიტხელმძღვანელებს პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებათა განხორციელებაში, არამედ თვითონაც მონაწილეობდნენ ბრძოლებში და ხშირად გამბედაობისა და მამაცობის მაგალითებს იძლეოდნენ. მაგალითად, 1942 წლის სექტემბერში, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში მძიმე, სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული, 392-ე და 414-ე მსროლელ დივიზეიბში ას-ასი პარტიული მუშაკი გაიგზავნა, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში[7]. ეროვნულ საჯარისო ფორმირებებს არაერთხელ სწვევიან რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები. ფრონტზე ქართული დივიზეიბის მებრძოლთა ხშირი სტუმრები იყვნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დელეგაციები და ბრიგადები.

საქართველოს კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო სამხედრო-პოლიტიკური მომზადების უკეთ ორგანიზებისა და საბრძოლო წვრთნის ვადის მაქსიმალურად შემცირების მიზნით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, რომ ქართული შენაერთები უზრუნველყოთ მშობლიურ ენაზე გამოცემული სამხედრო წესდებებით, დარიგებებით, ლექსიკონებითა და სხვადასხვა სასწავლო სახელმძღვანელოებით. მაგალითად, 1942 წლის მარტში 224-ე მსროლელ დივიზიაში 32 ათას ეგზემპლარზე მეტი სამხედრო წესდება და დარიგებანი დაიგზავნა. ქართულ დივიზიებში იგზავნებოდა ქართულ ენაზე გამოცემული დიდძალი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, რაც ხელს უწყობდა პირადი შემადგენლობის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით[8].

ქართული დივიზიები ათიათასობით ღებულობდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ჰქონდათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოც მშობლიურ ენაზე. ამას გარდა, ისინი საქართველოდან იღებდნენ სასტამბო მოწყობილობასა და ქართულ შრიფტს. 1942 წლის დამდეგს სასტამბო მოწყობილობის სურლი კომპლექტი გადაეცა 224-ე, 392-ე, 406-ე და სხვა დივიზიებს, აგრეთვე გაზეთ “ბოევოი ნატისკის” გამომცემლობას. ეროვნულ შენაერთებს გადაეცათ მოძრავი კინოდანადგარი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ქაღალდი, რვეულები, საღებავები და სხვა კულტინვენტარი, აგრეთვე მედიკამენტები და სამკურნალო პრეპარატები[9].

ახლად ფორმირებული ქართული დივიზიების პირადი შემადგენლობის შევსება ხდებოდა ძირითადად უფროსი ასაკის თადარიგის სამხედრო ვალდებულთაგან, ბევრმა მებრძოლმა და მეთაურმა ფორმირების დაწყებისთანავე გამოთქვა დაუყოვნებლივ ფრონტზე გაგზავნის სურვილი. მარტო 392-ე მსროლელ დივიზიაში შენაერთის შექმნისთანავე 1500-ზე მეტი ასეთი განცხადება შევიდა[10].

მაღალმა პოლიტიკურმა შეგნებულობამ, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებამ, სამშობლოს სიყვარულმა და მტრისადმი მწვავე სიძულვილმა, აგრეთვე საბრძოლო წვრთნისა და პოლიტიკური მომზადების გონივრულმა ორგანიზაციამ განაპირონა ის, რომ სულ მოკლე ხანში ქართულმა

ეროვნულმა შენაერთებმა მთლიანად გაამართლეს თავიანთი დანიშნულება და ღირსეულად შეასრულეს მათ წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანები.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც. 165 –170.
[2] Архив МО СССР, ф. 406, сд, ф. 392, сд. и ф. 414 сд. иторические формуляры.
[3] პარტიული არქივი (თბილისი) ფ. 14, ფურც. 12382, ფურც.170.
[4] "ქედუხრელი კავკასიონი" , თბ., 1969, გვ.73-77.
[5] Архив МО СССР,ф,295 ед и 349 ед, исторические формуляры.
[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ.11762, ფურც. 31 –32.
[7] **იქვე,** საქ. 12509, ფურც. 73; საქ. 12387, ფურც. 160.
[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12386, ფურც. 241; საქ. 12275, ფურც 131-133.
[9] **იქვე,** საქ. 12386, ფურც. 241.
[10] **იქვე,** საქ. 12387, ფურც. 4.

§ 2. ქართული დივიზიების საბრძოლო გზა და ქართველ მეომართა გმირობა 1942 წლის ბრძოლებში

მთლიანად ქართველი მეომრებით დაკმოპლექტებული 244-ე მსროლელი დივიზია პირველი იყო ეროვნულ სამხედრო ფორმირებებს შორის, რომელმაც საბრძოლო მოქმედება ქერჩის ნახევარკუნძულზე დაიწყო. დივიზიის მეთაური იყო პოლკოვნიკი ვ. ძაბახიძე, ხოლო შენაერთის სამხედრო კომისარი – პოლკის კომისარი ო. მუსერიძე.

როგორც ცნობილია, ყირიმის ფრონტის ჯარებმა 1942 წლის თებერვალ-მარტში არაერთხელ სცადეს დაეგვირგვინებინათ დაწყებული ოპერაცია – საბოლოოდ გაენადგუნებინათ გერმანელთა მე-11 არმია და გაეთავისუფლებინათ ყირიმი. მაგრამ ეს შეტევითი ოპერაციები, რომლებშიც 224- ე დივიზიაც მონაწილეობდა, ნაჩქარევად მზადდებოდა, არ იყო უზრუნველყოფილი მატერიალურად, არც სხვა შენაერთებთან ურთიერთმოქმედება იდგა სათანადო დონეზე. ამიტომ შეტევამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, მისი შედეგები უმნიშვნელო იყო, ხოლო დივიზიამ ამ ბრძოლებში მეტად დიდი დანაკლისი განიცადა.

ყირიმის ფრონტის ერთ-ერთი შეტევითი ოპერაცია დაიწყო 1942 წლის 27 თებერვალს. ამ ოპერაციაში 224-ე მსროლელი დივიზიაც მონაწილეობდა. საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ დივიზიის ნაწილებმა მეზობელ შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზზე, დიდი ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს, შემდგომ განავითარეს შეტევა და გაათავისუფლეს დასახლებული პუნქტები ჯანტორა, პარპაჩი და ტულუმჩაკი. მაგრამ დასახულ მიზანს ვერც ამ ოპერაციამ მიაღწია. სხვა გარემოებებთან ერთად ამ ოპერაციის წარმატებას ხელი შეუშალა კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც იერიშისთანავე

დაიწყო, ადგილმდებარეობა მუხლამდე ატალახდა, შეუძლებელი გახდა არა მარტო საბრძოლო ტექნიკისა და ტრანსპორტის მოძრაობა, არამედ ქვეითი ჯარის შეტევაც. ამასთან დაკავშირებით დივიზიამ მიიღო ბრძანება შეეწყვიტა შეტევა და თავდაცვაზე გადასულიყო.

სოფელ ჯანტორის რაიონში ბრძოლის დროს დივიზიის მეომრებმა იპოვეს ქართველი მზვერავის, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის, კომუნისტური პარტიის წევრ გრიგოლ პეტრეს ძე სხულუხიას დამწვარი სხეული. ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი სხულუხია ჰიტლერელებს ჩაეგდოთ ხელი და საშინლად ეწამებინათ. გ. სხულუხიას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება[1].

1942 წლის თებერვალში დივიზიას ესტუმრა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის კ. შეროზიას მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. საჯაია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, პოეტი ირ. აბაშიძე და სხვები. დელეგაციამ დივიზიის მებრძოლებს გადასცა საქართველოს მშრომელთა საჩუქრები. დელეგაციის წევრებმა დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩაატარეს შენაერთის პირად შემადგენლობაში[2].

8 მაისს გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოულოდნელი და მძლავრი საავიაციო და საარტილერიო დარტყმის შემდეგ შეტევაზე გადმოვიდნენ. ისინი შემოიჭრნენ ვიწრო, 5-კილომეტრიან ზოლში და განავითარეს შეტევა.

224-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები მთელი დღის მანძილზე იგერიებდნენ ჰიტლერული ჯარების გააფთრებულ იერიშებს და, ძირითადად, შეინარჩუნეს თავდაცვითი ზოლი აკ-მონაის პოზიციებზე.

თუმცა მტრის ჯარებმა დაქსაქსეს შენაერთის საბრძოლო რიგები, ღრმად, სოლივით შეიჭრნენ მის თავდაცვით ზოლში და ზოგიერთ ნაწილს მოუჭრეს უკან დასახევი გზები, დივიზია 11 მაისამდე უმკლავდებოდა მტერს და იგერიებდა მის სატანკო იერიშებს. მაგრამ იმის გამო, რომ მდგომარეობა გამწვავდა, შენაერთებმა დიდი ზარალი განიცადეს, შეწყდა მომარაგება, დაირღვა კავშირი ზემდგომ შტაბებთან და სარდლობასთან, დივიზიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა: 11 მაისს ღამით შენაერთი უნდა გამოსულიყო ბრძოლიდან და არიერგარდული ბრძოლებით დაეხია უკან ტურეცკი ვალის ზღუდეზე, სადაც დაიკავებდა თავდაცვითს ზოლს და სადაც ვარაუდის თანახმად უკვე თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ყირიმის ფრონტის ძირითადი ძალები და საშუალებანი.

დივიზიის ნაწილებმა გამოიყენეს აზოვის ზღვასა და აკტაშის ტბას შორის მდებარე ვიწრო ზოლი და შედარებით მცირე ზარალის ფასად 13 მაისს განთიადისას მიაღწიეს ტურეცკი ვალის ჩრდილოეთ უბანს, სადაც ისინი ფრონტის ძირითად ძალებს უნდა შეხვედროდნენ. მაგრამ ტურეცკი ვალზე

მათ დახვდათ ჰიტლერელთა საჯარისო ნაწილები, რომლებმაც დივიზიას გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს და უდიდესი ზარალი მიაყენეს. დივიზიის მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. მან თითქმის მთლიანად დაკარგა არტილერია და დარჩენილი საბრძოლო მასალის მარაგი, სატრანსპორტო საშუალებანი და, რაც მთავარია, ხელმძღვანელი შემადგენლობის დიდი უმრავლესობა, რომელნიც უკანასკნელ ბრძოლებში უკან დახევის დროს პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ მეომრებს და მიუძღოდნენ მათ იერიშზე. ყოველივე ამის გამო დივიზია იძულებული გახდა ცალკეულ რაზმებად, სხვადასხვა მიმართულებით გაჭრილიყო აღმოსავლეთი – ქერჩის სრუტისაკენ. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს და გმირულად დაიღუპნენ დივიზიის არტილერიის უფროსი პოლკოვნიკი ს. ტარიელაშვილი, შენაერთის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკის კომისარი ა. რამაზაშვილი, საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკის მეთაური მაიორი ს. დეგელოვი, შენაერთის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ბატალიონის კომისარი ა. თაფლიაშვილი, დივიზიის პარტიული კომისიის მდივანი ბატალიონის კომისარი ა. გიორგაძე და სხვები. დივიზიამ დიდი ზარალი განიცადა და 15 და 16 მაისს დარჩენილმა მცირე ჯგუფებმა გააღწიეს ქერჩის სრუტესთან.

224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლთა უმრავლესობა გმირულად დაიღუპა ქერჩის მიწაზე. მათ შორის: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი პოლკოვნიკი ა. ქვათაძე, დივიზიის შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი თ. ურთმელიძე, 143-ე პოლკის სამხედრო კომისარი მ. ფალავანდიშვილი, ბატალიონის კომისარი ე. ცეცხლაძე, უფროსი ლეიტენანტი ი. ქურდაძე, პოლიტხელმძღვანელები ვ.ჯიქიძე, ვ. კაჭკაჭიშვილი, შ. კალანდარიშვილი, რ. თავაძე და ბევრი სხვა. შენაერთის პირადი შემადგენლობის ერთი ნაწილი – დაჭრილი მეომრები ტყვედ ჩავარდნენ. ბევრი იმათგანი, რომელთა ევაკუაცია ვერ მოხერხდა ტამანის ნახევარკუნძულზე ფრონტის სხვა შენაერთების მებრძოლებთან ერთად გამაგრდა ქერჩის რაიონის ქვის სამტეხლო გვირაბებში და 1942 წლის 25 მაისამდე განაგრძობდა შეუპოვარ წინააღმდეგობას, შემდეგ კი გადარჩენილმა მებრძოლებმა მთებს მიაშურეს და იქ პარტიზანული რაზმები ჩამოაყალიბეს.

ტამანის ნახევარკუნძულზე ევაკუირებულ იქნა 224-ე მსროლელი დივიზიის 2519 სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგან 1781 მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის შენაერთების დასაკომპლექტებლად გაიგზავნა, ხოლო 738 რიგითი ჯარისკაცი და სერჟანტი, რომელთაც ხანმოკლე მკურნალობა ესაჭიროებოდათ, გადაეცა 28-ე სათადარიგო მსროლელ ბრიგადას[3].

სევასტოპოლის გმირულ დამცველებს შორის ქართველი მეომრებიც იყვნენ. 1941 წლის ნოემბრის დამლევს ამ გმირული გარნიზონის ჯარების გასაძლიერებლად გაიგზავნა დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული 388-ე მსროლელი დივიზია, რომლის შემადგენლობაში 5 676 ქართველი

მებრძოლი იყო, აქედან 136 კაცი მეთაურთა შემადგენლობაში შედიოდა. ამ დივიზიას ამოცანად დაუსახეს დაეცვა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხიმგებლო უბანი, რომელიც იფარავდა ჩრდილოეთის უბნის მისადგომებს.[4]

17 დეკემბერს მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა, სევასტოპოლის დამცველთა გააფთრებული და თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, სამ დღე-ღამეში დიდი და მძიმე ზარალის ფასად სოლივით შეიჭრა საბჭოთა ჯარების თავდაცვაში და შექმნა საშიში მდგომარეობა.

სევასტოპოლის დამცველთა დასახმარებლად ამიერკავკასიის ფრონტიდან გადაიყვანეს სამხედრო შენაერთები, რომელთა შემადგენლობაში მრავალი ქართველი მებრძოლი ირიცხებოდა, აგრეთვე თბილისში ფორმირებული 386-ე მსროლელი დივიზია. ამ დივიზიის რიგებში 6 284 ქართველი მებრძოლი და მეთაური იყო[5]. 386-ე დივიზია სევასტოპოლში ჩავიდა 1941 წლის დეკემბერში, როცა გერმანელებმა მეორედ შეუტიეს გმირ ქალაქს. 386-ე დივიზია ჩაება ცხარე თავდაცვით ბრძოლებში მე-2 სექტორის ზოლში. ეს ზოლი იფარავდა ქალაქის ძირითად მისადგომებს აღმოსავლეთიდან. 386-ე დივიზია წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად გმირულად უმკლავდებოდა ფაშისტური ჯარების გააფთრებულ იერიშებს. მართალია, აქ ჩვენმა ჯარებმა დიდი ზარალი განიცადეს, მაგრამ მტერს მაინც არ მიეცა საშუალება ქალაქში შეჭრილიყო[6].

1941 წლის დეკემბერში მარტო 386-ე და 388-ე მსროლელ დივიზიებში 13 096 საქართველოს შვილი იყო[7]. ამას გარდა, ბევრი ქართველი იბრძოდა საზღვაო ქვეითი ნაწილების, ფლოტის, ავიაციის, სანაპირო არტილერიისა და ზღვისპირეთის ცალკე არმიის სხვა შენაერთების შემადგენლობაში. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე ზღვისპირეთის ცალკე არმიის 388-ე მსროლელი დივიზიის 773-ე და 782-ე პოლკებში შეიქმნა ორ-ორი ქართული ასეული. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო სევასტოპოლის გმირული გარნიზონის ზოგიერთ სხვა ნაწილსა და შენაერთში[8]. 1942 წლის 20 მარტისათვის ზღვისპირეთის ცალკე არმიის იმ ნაწილებში, რომლებიც სევასტოპოლს იცავდნენ, ირიცხებოდა 64 971 მეომარი. აქედან რუსი – 28 134, უკრაინელი – 15893, ქართველი – 5 234, აზერბაიჯანელი – 4 278, სომეხი – 3 639 და სხვა ეროვნების წარმომადგენელი – 7 793[9].

სევასტოპოლის გმირულ დაცვას მრავლი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მათ შორის ბევრი ქართველი მებრძოლი სამუდამოდ მიიბარა სევასტოპოლის მიწამ, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას არმიისა და ფლოტის, ან სახალხო შურისმგებელთა რიგებში. მრავალი მათგანის გმირობა აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით, ხოლო საზღვაო ქვეით სნაიპერთა ინსტრუქტორს ზემდეგ ნ. ადამიას, უმცროს პოლიტხელმძღვანელს მ. გახოკიძეს, საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაურს კაპიტან ა. გეგეშიძეს და საავიაციო ესკადრილიის მეთაურს მაიორ ა.

წურწუმიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ[10]. ა. წურწუმიას სახელი მიენიჭა საავიაციო ესკადრილიას, რომელსაც იგი მეთაურობდა.

როდესაც გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასიის დიდი ნაწილი, შესვლა იწყეს კავკასიის მთისწინეთში და წარმოიშვა ამიერკავკასიაში მათი გაჭრის რეალური საფრთხე, მთავარბანაკის მითითებით ამიერკავკასიის ფრონტის სარდალმა ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფს რეზერვიდან გადასცა მთელი რიგი ახლად შექმნილი შენაერთები, მათ შორის 392-ე და 414-ე ქართული დივიზიები.

1942 წლის 4-დან 6 აგვისტომდე 392-ე დივიზია გადაყვანილ იქნა ელხოტოვოს, დარგ-კოხისა და ალაგირის რაიონში და შევიდა მე-9 არმიის შემადგენლობაში. 1942 წლის 21 აგვისტოს ეს დივიზია 37-ე არმიას დაექვემდებარა და მიეცა შემდეგი ამოცანა: განევითარებინა შეტევა დოკშუკინოს რაიონში, 22 აგვისტოს დილით ერთბაშად დაერტყა მოწინააღმდეგისათვის ნოვო-ივანოვსკის მიმართულებით და გასულიყო მდინარე ურბანის სამხრეთ ნაპირზე. ხუთი დღე-ღამის გაცხარებული ბრძოლის შედეგად, რომლის დროსაც შენაერთის პირადმა შემადგენლობამ უდიდესი გმირობა და თავგანწირვა გამოიჩინა, 26 აგვისტოსათვის დივიზიამ გაათავისუფლა დასახლებული პუნქტები: პრიშიბსკაია, კოტლიაროვსკაია, მაისკოე, ვლადიმირსკი, სოვეტსკი, კრასნაია პოლიანა, პრავოურვანსკი, სლავინსკი, ტრუდ-გორეცი, პსინოვო, და დღის ბოლოსათვის შეასრულა საბრძოლო ბრძანება, თავდაცვაზე გადავიდა[11]. 29 აგვისტოს დივიზიამ შეტევა განაახლა, მტერი განდევნა, ცხენსაშენის, გუგაევოს, ნოვო-ივანოვსკოეს, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის, ნოვო-კურსკის, დაბა ფსიხის დასახლებული პუნქტებიდან და გავიდა მდინარე ბაქსანის მარჯვენა ნაპირზე. მაგრამ იმის გამო, რომ მოწინააღმდეგემ შეძლო ბრძოლაში შეეყვანა ახალი ძალები, დივიზიამ ვეღარ განავითარა ეს წარმატება და ვერ გადალახა მდ. ბაქსანი. იგი იძულებული გახდა მის მარჯვენა ნაპირზე დაეკავებინა თავდაცვა, გამაგრებულიყო.

ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის სარდლის 1942 წლის 8 სექტემბრის ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ წარმატებით განხორციელებულ შეტევით ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა 392-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგის 23-ე სატანკო დივიზიას. დივიზიის საბრძოლო მოქმედებას ასევე მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ. შენაერთის ორმოცდაათზე მეტ მერძოლს მთავრობის ჯილდოები გადაეცა. დივიზიის სამ მებრძოლს, გმირულად დაღუპულ პოლიტხელ ვ. კანკავას, პოლიტხელ ვ. ლურსმანაშვილს და საარტილერიო დივიზიონის მეთაურს უფროს ლეიტენანტს ა. პირმისაშვილს 1942 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ[12].

გაცხარებული შეტევითი ბრძოლების დროს დივიზიას ეწვია საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში

შედიოდნენ: საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. თავაძე, მწერლები ი. აბაშიძე, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი და სხვები. დელეგაციამ დივიზიის მებრძოლებს გადასცა ქართველ მშრომელთა დიდძალი საჩუქრები. ისინი უამბობდნენ რიგით ჯარისკაცებსა და მეთაურებს ზურგში დარჩენილთა შრომით გმირობაზე. დელეგაციამ 10 დღეს დაჰყო დივიზიაში და ნაყოფიერი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩაატარა შენაერთის პირად შემადგენლობაში.

დივიზიამ წარმატებით განახორციელა შეტევითი ბრძოლები დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ ი. სილაგაძის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ დივიზიის ნაწილებმა 37-ე არმიის სარდლის ბრძანებით ჩაატარეს ორი ოპერაცია, რომლებიც მარცხით დამთავრდა[13].

1942 წლის ოქტომბრის დამდეგს 392-ე მსროლელი დივიზია გადაყვანილ იქნა 37-ე არმიის მარცხენა ფლანგზე, სადაც მან შეცვალა მე-2 გვარდიული მსროლელი დივიზია და დაიკავა თავდაცვა. როდესაც მძიმე თავდაცვითი ბრძოლები დაიწყო, 392-ე მსროლელი დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი გ. ყუფარაძე[14].

მოწინააღმდეგემ ბრძოლაში შეიყვანა ახალი რეზერვები და 200-ზე მეტი ტანკის დახმარებით 25 ოქტომბერს შეტევაზე გადმოვიდა. დივიზიამ შეძლო მოეგერიებინა იერიშები და შეენარჩუნებინა დაკავებული თავდაცვითი ზღუდე. მაგრამ იმის გამო, რომ 37-ე არმიის შენაერთები უკან იხევდნენ, დივიზიას აღარც მეზობელი ეყოლებოდა და აღარც გზები ექნებოდა მომარაგებისა და ევაკუაციისათვის. ამიტომ მის ნაწილებს მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევის რეალური საფრთხე შეექმნათ. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს 802-ე და 790-ე მსროლელმა პოლკებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ მაიორები ა. ბერაძე და გ. ნადირაძე, 955-ე საარტილერიო პოლკმა მაიორ მ. გეთიას მეთაურობით და სასწავლო მსროლელმა ბატალიონმა, რომელსაც მაიორი გ. ხმელიძე მეთაურობდა[15].

ამ დაძაბულ ბრძოლებში 1942 წლის 25 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე დივიზიამ გაანადგურა გერმანელთა 563-ე ცალკე მოტომსროლელი ბატალიონი, 635-ე ტექნიკური ბატალიონი და მე-2 რუმინული სამთო-მსროლელი დივიზიის ქვეგანაყოფები, გაათავისუფლა რაიონული ცენტრი ნიჟნი ჩეგემი, ხელთ იგდო ტყვეები და დიდძალი ნადავლი. მაგრამ თვითონაც მძიმედ დაზარალდა. 4 ნოემბრისათვის დივიზიაში დარჩა პირადი შემადგენლობის ნახევარზე ნაკლები, ანუ 5 600 კაცი, სასროლო შეიარაღების თითქმის 40 პროცენტი. იმასთან დაკავშირებით, რომ მოწინააღმდეგის ჯარებმა ხელთ იგდეს ნალჩიკი, ღრმად შეიჭრნენ 37-ე არმიის საბრძოლო რიგებში და გავიდნენ ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან, 392-ე მსროლელი დივიზია მეტად მძიმე ვითარებაში ჩავარდა. იგი ფაქტიურად მოწვეტილი აღმოჩნდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის ძირითადი ძალებისაგან, მისი შევსება პირადი შემადგენლობით, საჭურველითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით შეუძლებელი

გახდა, ხოლო მომარაგება და ევაკუაცია უაღრესად გაძნელდა. ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ გაითვალისწინა ყველა ეს გარემოება და გადაწყვიტა დივიზია კავკასიონის მთავარი ქედით დასავლეთ საქართველოში გადაესროლა.

ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის განკარგულების შესაბამისად 1942 წლის 6 ნოემბერს, ღამით, 392-ე მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც არიერგარდები იცავდნენ, იწყო უკან დახევა ბაქსანის ხეობიდან დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილის მიმართულებით. დივიზიას თან მიჰყავდა 400 დაჭრილი და მწოლიარე ავადმყოფი. იგი მოძრაობდა მეტად რთული მაღალმთიანი ადგილმდებარეობისა და ზამთრის მძიმე კლიმატურ პირობებში. მაგრამ შენაერთის პირადმა შემადგენლობამ მედგრად და ვაჟკაცურად გაუძლო ყოველგვარ გასაჭირს. დივიზიამ არა მარტო ორგანიზებულად და უდანაკლისოდ გადალახა ეს ძნელი 145-კილომეტრიანი გზა, არამედ თან წამოიღო აგრეთვე 12 ტონა მოლიბდენი და გადმორეკა დაახლოებით 28 ათასი სული პირუტყვი[16].

საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის შენაერთის 247 მეომარს მიეკუთვნა მთავრობის ჯილდოები, ხოლო დივიზიის მეთაური გ. ყუფარაძე დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით და მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება[17].

414-ე მსროლელი დივიზია შეყვანილ იქნა 44-ე მოქმედ არმიაში. 1942 წლის 1 აგვისტოს იგი დაიძრა ბუინაკსკიდან გროზნოს გარე თავდაცვითი სარტყელის მიმართულებით და დაიკავა თავდაცვა თერგის მარჯვენა ნაპირზე.

მტერი გამალებით მოიწევდა გროზნოს ნავთობსარეწებისაკენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობა მტკიცე კედლად აღიმართა, რათა არ შეეშვა ფაშისტები ნავთობსარეწებში. სისხლისმღვრელ ბრძოლებში დივიზიამ დიდი ზარალი განიცადა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 1367-ე და 1375-ე მსროლელმა პოლკებმა მაიორების ა. შავლიაშვილისა და ტ. მეძმარიაშვილის მეთაურობით, აგრეთვე დივიზიის მესანგრეებმა და არტილერისტებმა.

მიუხედავად იმისა, რომ დივიზია ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დაკომპლექტებული პირადი შემადგენლობით, ამასთან აკლდა იარაღ-საჭურველი, საბრძოლო მასალა და სხვა მატერიალური საშუალებანი, იგი მორიგი საბრძოლო დავალების შესრულებას შეუდგა.

44-ე არმიის სარდლის გადაწყვეტილებით 414-ე მსროლელ დივიზიას უნდა გადაელახა თერგი და სხვა ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით ალყაში მოექცია და გაენადგურებინა მოწინააღმდეგე, და გაეთავისუფლებინა სტანიცა იშჩერსკაია. მეტად რთული ვითარება შეიქმნა, მაგრამ დივიზიამ მიანც შეძლო იშჩერსკაიას განთავისუფლება, შემდეგ 414-ე დივიზიის შეტევა შეჩერებულ იქნა. ამის შემდეგ ბრძოლაში ჩაება 223-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც დაევალა დამარცხებული მტრის ნაშთების დევნა. მაგრამ მოწინააღმდეგემ

ძალა მოიკრიბა და კონტრიერიშზე გადმოვიდა. მან უკუაქცია 223-ე დივიზიის მეწინავე ნაწილები და ტაქტიკურად ხელსაყრელ ზღუდეზე გამაგრდა.

414-ე დივიზია გადაიყვანეს თომაზოვო-ზოლოტორიოვოს რაიონში. მან ბრძოლით გაიარა 30-კილომეტრიანი გზა მძიმე პირობებში და თავი მოიყარა დასახულ რაიონში. აქ იგი სხვა შენაერთებთან ერთად გადავიდა შეტევაზე, მონაწილეობა მიიღო მოზდოკის განთავისუფლებაში და იწყო მტრის განადგურებული ნაწილების დევნა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილები (დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი, ხოლო სამხედრო კომისარი – პოდპოლკოვნიკი ვ. ონიანი) შევიდნენ ზემო სვანეთში. მათ თავდაცვა დაიკავეს კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით 120 კილომეტრ სიგრძეზე. დივიზიის თავდაცვის ზოლში შედიოდა დონღუზ-ორუნ-ბაში, მესტიის, ბეჩოსა და სხვა უღელტეხილები. 242-ე დივიზიის მარჯვნივ თავდაცვაში იმყოფებოდნენ 351-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები, ხოლო მარცხნივ – 394-ე მსროლელი დივიზიისა. ამ დივიზიების პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ქართველი მებრძოლები და მეთაურები იყვნენ[18].

პირველი საბრძოლო ნათლობა 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ მიიღო უღელტეხილების დასაცავად გაჩაღებულ უაღრესად მძიმე ბრძოლებში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მე-900 პოლკმა მაიორ ლ. გოგატიშვილის მეთაურობით და დივიზიის არტილერისტებმა მაიორ ნ. ყანჩაველის ხემლძღვანელობით[19].

242-ე დივიზიას ეხმარებოდა სვანეთის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩამოყალიბებული სპეციალური რაზმი, რომელიც ასრულებდა სადაზვერვო საბრძოლო დავალებებს და ანადგურებდა ჩვენს მთებში შემოღწეულ მტრის პატარ-პატარა ჯგუფებს. ამას გარდა, რაზმის მეომრები ხშირად უწევდნენ მეგზურობას დივიზიის ქვეგანაყოფებსა და ნაწილებს, როდესაც ისინი ძნელადსავალი და ნაკლებად ცნობილი მიმართულებით მოქმედებდნენ მტრის ფლანგებსა და ზურგში.

დივიზიას დიდი დახმარება გაუწიეს კლდეზე ცოცვის სპეციალისტებმა: სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. გვარლიანმა, გ. ზურაბიანმა, ბ. ხერგიანმა, გ. ხერგიანმა, ჩ. ჩართოლანმა და სხვ. აგრეთვე ალპინისტებმა: ს. გვალიამ, მ. გეგეჭკორმა, ი. გუბანოვმა, რ. მაჭავარიანმა, გ. რამიშვილმა და სხვ. ისინი არა მარტო წვრთნიდნენ შენაერთის პირად შემადგენლობას მაღალმთიან კლდოვან ადგილებში სამოქმედოდ, არამედ ხშირად წინ უძღოდნენ ქვეგანაყოფს და ფრონტის ძნელად მისადგომ უბნებზე გაჩაღებული ბრძოლების დროს, ვაჟკაცობის, გამბედაობისა და თავგანწირვის მაგალითს უჩვენებდნენ მეომრებს. ამისათვის მათი და ბევრი სხვა უშიშარი მამაცი ადგილობრივი მცხოვრების საბრძოლო გმირობა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა.

მას შემდეგ, რაც მტრის ჯარები ალყაში მოექცნენ სტალინგრადთან და ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე, გერმანელთა

ჯარებმა, წითელი არმიის დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით იწყეს ტამანისაკენ უკან დახევა. ამასთან დაკავშირებით 1943 წლის იანვარში 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია 897-ე პოლკის გამოკლებით გადაყვანილ იქნა გელენჯიკის რაიონში, ხოლო 897-ე სამთო-მსროლელი პოლკი შეყვანილ იქნა იმ საზღვაო დესანტის შემადგენლობაში, რომელიც მტრის ნოვოროსიისკის დაჯგუფების ზურგში გადასხდა "მცირე მიწაზე"[20].

ჩრდილოეთ კავკასიისათვის იმ მძიმე ჟამს, როდესაც ჰიტლერულმა ჯარებმა ხელთ იგდეს ნალჩიკი და გაიჭრნენ ქ. ორჯონიკიძის ჩრდილო-დასავლეთ მისადგომებთან, სოფელ გიზელის რაიონში გადაიყვანეს და ბრძოლაში ჩააბეს 276-ე მსროლელი დივიზია. მტერი არ ერიდებოდა კოლოსალურ ზარალს და ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო ქ. ორჯონიკიძე და გასულიყო საქართველოს სამხედრო გზაზე. მაგრამ იმის შედეგად, რომ ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობამ სასწრაფო ზომები მიიღო ჯარების გადაჯგუფებისა და გაძლიერებისათვის, დროულად მიეშველნენ მოქმედ ჯარებს რეზერვები, რომელთა შორის 276-ე დივიზიაც იყო, აგრეთვე კავკასიის დამცველთა განუმეორებელი სიმტკიცისა და თავგანწირვის მეოხებით თავიდან იქნა აცილებული საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა ამიერკავკასიას. მტერმა ვერ შეძლო ორჯონიკიძეში შეჭრა[21]. სწორედ ამ ბრძოლებში მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა სერჟანტმა ნ. გოგიჩაიშვილმა. მსროლელ ქვედანაყოფს, რომლის შემადგენლობაშიც გოგიჩაიშვილი იბრძოდა, დაუსახეს ამოცანა აეღო ქალაქისაკენ მიმავალ გზატკეცილთან მდებარე პატარა უსახელო სიმაღლე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რამდენადაც იგი იფარავდა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. ამიტომ იყო, რომ სიმაღლე ხელიდან ხელში გადადიოდა და ამ ბრძოლაში დიდ ზარალს განიცდიდა ორივე მხარე – მტერიც და საბჭოთა ქვედანაყოფიც. 1942 წლის 2 ნოემბრის შუადღისათვის უსახელო სიმაღლის დამცველთაგან ოთხი მამაცი მეომარიღა იყო ცოცხალი: ტ. ბერიშვილი, ს. ქადაგიშვილი და გ. ფატლაძე. მათ მძიმედ დაჭრილი სერჟანტი ნ. გოგიჩაიშვილი მეთაურობდა. ისინი მაშველი ძალების მოსვლამდე თავგანწირვით უმკლავდებოდნენ მტერს და დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლითა და ხელყუმბარებით იცავდნენ დაკავებულ პოზიციას. უშიშარმა მებრძოლებმა მტრების გვამებით მოჰფინეს სიმაღლის ფერდობები. ამ ბრძოლის მონაწილეთა გმირობა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა, ნ. გოგიჩაიშვილს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ორჯონიკიძის მისადგომებთან რამდენიმე დღის მძაფრი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ჯარები, მათ შორის 276-ე მსროლელი დივიზია, კონტრშეტევაზე გადავიდნენ და გაანადგურეს ფაშისტი დამპყრობლები. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელეს 876-ე მსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონის, 852-ე საარტილერიო პოლკის ბატარეისა და 873-ე პოლკის მსროლელი ასეულის მეომრებმა[22].

276-ე დივიზიამ შეტევა განავითარა ელხოტოვოს, მაისკოეს, პიატიგორსკისა და კისლოვოდსკის მიმართულებით. იგი გააფთრებული ბრძოლებით ანადგურებდა ფაშისტური ჯარების არიერგარდებს და ათავისუფლებდა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებსა და სოფლებს. ამ ბრძოლებში დივიზიამ დიდი დანაკლისი განიცადა.

მთავრობის ჯილდოები მიენიჭა 100-მდე კაცს, მათ შორის დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ ი. სევასტიანოვს, შენაერთის კომისარს, ბატალიონის უფროს კომისარს გ. ჩარგეიშვილს, 852-ე საარტილერიო პოლკის მეთაურს მაიორ მ. ბჟალავას, რიგით მებრძოლებს: რ. კივაძეს, პ. პაპიძეს, ს. წიკლაურს და სხვ.

ქართველი მეომრები მონაწილეობდნენ სტალინგრადის ბრძოლებში. გვარდიულ დივიზიას, შემდგომში გვარდიულ მსროლელ კორპუსს სარდლობდა გენერალ-მაიორი პ. ჩანჩიბაძე, საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე იყო საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-მაიორი ვ. ნანეიშვილი. ბრძოლებში თავი ისახელეს სხვადასხვა გვარეობის ჯარების შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა: გ. გოცირიძემ, კ. ჯახუამ, ი. ჯორჯაძემ, მ. დიასამიძემ, ნ. კალაძემ, გ. კუხალიშვილმა, ნ. თავართქილაძემ, ხ. ხარაზიამ, შ. ჭანკოტაძემ, გ. ჩიტაიშვილმა, ლ. ერისთავმა და სხვ. ყველა მათგანს გადაეცა მთავრობის ჯილდოები, ხოლო განსაკუთრებით გამორჩეული ნაწილები და შენაერთები გარდაიქმნა გვარდიულ ნაწილებად და შენაერთებად. კერძოდ, გვარდიულის სახელი მიენიჭა კ. ჯახუასა და ნ. თავართქილაძის მსროლელ დივიზიებს, ხოლო თვით კ. ჯახუასა და ნ. თავართქილაძეს გვარდიის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭათ.

გმირულად იბრძოდა პოლკოვნიკ მ. დიასამიძის მსროლელი პოლკი. ამ ნაწილის ბევრ მებრძოლს გადაეცა მთავრობის ჯილდოები, ხოლო პოლკის მეთაურს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მის შესახებ ნ. ტიხონოვი წერდა: "საბჭოთა კავშირის გმირი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი დიასამიძე ვეფხვივით ეკვეთება და მუსრს ავლებს ქაჯებს – გერმანელ ურდოებს. უბადლო მებრძოლნი იყვნენ ძველი ქართული ეპოსის გმირები, მაგრამ მათ არც დიასამიძე უდებს ტოლს... დიასამიძემ მკვდარ გზად აქცია და ალმოდებული ტანკების ჩირაღდნებით მოჰფინა გერმანელთა ბატალიონების გზა"[23].

საბჭოთა კავშირის მრავალი ხალხის შვილები იცავდნენ სახელგანთქმულ "პავლოვის სახლს". მათ შორის იყვნენ ქართველები მოსიაშვილი, ნ. სტეფანიშვილი და აფხაზი ცუგბა.

სტალინგრადის ცაში თავგანწირვით იბრძოდნენ და გამბედაობისა და მამაცობის სასწაულებს ახდენდნენ ქართველი მფრინავები: ნ. აბრამიშვლი, ჭ. ბენდელიანი, ბ. ზუმბულაძე, დ. თავაძე, გ. თვაური, ზ. ხითალიშვილი და სხვ. მათ არ ჩამოუვარდებოდნენ არც ქართველი მფრინავი გვარდიელი ქალები თ. მელაშვილი, გ. ტურაბელიძე და ი. ოსაძე. ამ მფრინავებმა დაიმსახურეს

მთავრობის ჯილდოები, ხოლო ზოგიერთი მათგანი შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

უკვე 1942 წლის 15 აპრილისათვის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში 500 ათასამდე საქართველოს წარმომადგენელი იყო. მარტო ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში კავკასიის დაცვის დროს 200 ათასზე მეტი ქართველი იბრძოდა.

ქართული დივიზიებისა და წითელი არმიის სხვა შენაერთებისა და ფლოტის ქართველმა მებრძოლებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს მტრის განადგურების საქმეში სტალინგრადთან და კავკასიაში.

---

[1] "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო", თბ., 1964, გვ. 356 – 359.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12392, ფურც. 151.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12389, ფურც. 244 - 245.
[4] იქვე, საქ. 12382, ფურც. 160 - 171.
[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც. 160 - 171.
[6] Архив МО СССР, ф. 386 сд, исторический формуляр.
[7] 1941 წლის ბოლოსათვის მსროლელი დივიზიების პირადი შემადგენლობის საშტატო რაოდენობამ 11612 კაცს მიაღწია, მათ შორის 860 ოფიცერი იყო.
[8] Архив МО СССР, ф. 388, оп. 4318, л. 1 – 80.
[9] Архив МО СССР, ф. 288, оп. 9912, д. 9, л. 222.
[10] "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო", გვ. 25, 112 – 117, 468 – 470.
[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც. 243 – 247; **პ. შამათავა,** ქართველი მებრძოლები, თბ., 1960, გვ. 24 – 25.
[12] "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო", გვ. 212 – 215; 258 – 262; 306 - 311.
[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც. 248 -251.
[14] იქვე, საქ. 12382, ფურც. 252 –253.
[15] იქვე, ფურც. 241.
[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12382, ფურც.240 -241.
[17] Архив МО СССР, ф. 392, сд, исторический формуляр, лл. 5 – 8.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12383, ფურც. 168 - 171.
[19] Архив МО СССР, ф. 242, гсд, исторический формуляр, лл. 10 – 12.
[20] Архив МО СССР, ф. 242, гсд, исторический формуляр, лл.
[21] იქვე, ფურც. 2 – 6.
[22] Архив МО СССР, ф. 5871, оп. 5719, д. 55, л. 77.
[23] Газ. «Известия», 1 января 1943 г.

§ 3. ქართული დივიზიები 1943 –1944 წლების ბრძოლებში

კავკასიის მთისწინეთში ჰიტლერული ჯარების განადგურების შემდეგ 242 – ე სამთო- – მსროლელი დივიზია, რომელიც 56 –ე არმიაში შედიოდა, მონაწილეობდა მოწინააღმდეგის მძლავრად გამაგრებული ზოლის "ცისფერი ხაზის" გარღვევაში, აგრეთვე მტრის ჯარების განადგურებაში სტანციების

კრიმსკაია, მოლდავანსკოეს რაიონში და ქალაქ ტამანისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. ხოლო ამ დივიზიის 897-ე სამთო – მსროლელი პოლკი, რომელიც "მცირე მიწაზე" გადასხმულ საზღვაო დესანტში იმყოფებოდა, მე–18 არმიის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნოვოროსიისკის განთავისუფლებაში. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის 242–ე დივიზიას ტამანის დივიზიის საპატიო სახელი მიენიჭა, ხოლო მისი პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს გადაეცა მთავრობის ჯილდოები, მათ შორის დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ ვ. ლისინოვს, რომელიც დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკ გ. ყურაშვილის მწყობრიდან გამოსვლის გამო[1].

242-ე ტამანის სამთო–მსროლელი დივიზია მონაწილეობას იღებდა ქერჩის სადესანტო ოპერაციაში, ხოლო 1944 წლის აპრილში მონაწილეობდა უკრაინის მე–4 ფრონტის ჯარებისა და ზღვისპირეთის ცალკე არმიის შეტევებში ყირიმის განთავისუფლებისათვის. დივიზია დევნიდა უკანდახეულ ჰიტლერულ ჯარებს, იბრძოდა ფაშისტური ჯარების დაჯგუფების გასანადგურებლად სევასტოპოლის რაიონში და ხელს უწყობდა ქალაქის განთავისუფლებას. მან სხვა დივიზიებთან ურთიერთმოქმედებით გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვის ზოლი სიმაღლე გორნაია – სოფელ ყარანის ზღუდეზე და შეუტია კაზაძის უბისა და ხერსონესის საერთო მიმართულებით.

დივიზიის 903 –ე სამთო –მსროლელი პოლკის ქვედანაყოფმა იერიში მიიტანა სიმაღლე გორნაიაზე და შეუპოვრად მიიწევდა წინ. დარჩა ერთადერთი ტრანშეა თვით სიმაღლის თხემზე, მაგრამ გერმანელები განწირულის შეუპოვრობით იცავდნენ მას. მაშინ მსროლელი ასეულის მეთაურმა ლეიტენატმა გამცემლიძემ ბრძანა: ამხანაგებო, მომყევით! და თვითონ პირველი შეიჭრა მტრის ტრანშეაში. ჰიტლერელებმა ვეღარ გაუძლეს საბჭოთა მეომრების გრიგალისებურ დარტყმას და თავგზააბნეულნი გაიქცნენ. ლეიტენანტი გამცემლიძე კი გმირულად დაიღუპა.

საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის 242-ე ტმანის სამთო – მსროლელი დივიზია წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. შენაერთის ბევრმა მებრძოლმა სსრ კაშირის ორდენები და მედლები დაიმსახურა. დივიზიის მეთაურს ვ. ლისინოვს გადეცა წითელი დროშის ორდენი, ამასთან გენერალ – მაიორის წოდება მიენიჭა.

ყირიმის განთავისუფლების შემდეგ, 1941 წლის აგვისტოში. 242-ე დივიზია სხვა შენაერთებთან ერთად გადაისროლეს ქალაქ სტრის რაიონში, ლვოვის სამხრეთ– დასავლეთით, და შეიყვანეს უკრაინის მე–4 ფრონტის შემადგენლობაში. დივიზიამ მონაწილეობა მიიღო ფაშისტების განადგურებასა და განდევნაში დასავლეთ უკრაინის მრავალი დასახლებული პუნქტიდან. მან რთული მთაგორიანი და ტყიანი ადგილმდებარეობის პირობებში წარმატებით გადალახა კარპატები, გაანადგურა მტრის მნიშვნელოვანი ძალები და შეუდგა იმიერკარპატეთის ქალაქებისა და სოფლების განთავისუფლებას. ბრძოლებში კარპატების გადალახვის დროს, როგორც მე–3 ე სამთო– მსროლელი კორპუსის

ყოფილი მეთაური გენერალი ა. ვედენინი თავის მოგონებებში წერს, განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს 242 – დივიზიის მე- 900 სამთო-მსროლელი პოლკის 1–მა ბატალიონმა კაპიტან გ. შავლოხაშვილის მეთაურობით[2].

242 – ტამანის წითელდროშოვანი სამთო – მსროლელი დივიზია ერთ – ერთი პირველი შევიდა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე და მონაწილეობა მიიღო ბევრი ქალაქისა და სოფლის, მათ შორის, კოშიცეს, მორავსკა-ოსტრავასა და ოლომეუცის განთავისუფლებაში. საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებასა და, ამასთანავე, შენაერთის პირადი შემადგენლობის მიერ თავგანწირვისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის 242-ე დივიზია კუტუზოვის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა[3].

ეგრეთ წოდებული "ციფერი ხაზის" გარღვევის დროს ტამანის ნახევარკუნძულზე 276- –ე მსროლელი დივიზია მეტად რთულ საბრძოლო პირობებში მოქმედებდა. მან აქ დიდი დანაკლისი განიცადა, მწყობრიდან გამოვიდა ბევრი მებრძოლი. ამის მიუხედავად, დივიზიამ წარმატებით შეასრულა მის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანები. მეზობელ შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით მან გაარღვია მძლავრად გამაგრებული ფაშისტთა პოზიციები, შემდგომ განავითარა წარმატება და გაანთავისუფლა ნახევარკუნძულის ბევრი დასახლებული პუნქტი. დივიზიამ განსაკუთრებით ისახელა თავი ქალაქი – ნავსადგურის თემრიუკისათვის 1943 წლის სექტემბერში გაჩაღებულ ფიცხელ ბრძოლებში, რისთვისაც მას თემრიუკის საპატიო სახელი მიენიჭა.

კავკასიაში გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების შემდეგ 276–ე დივიზია გაიგზავნა უკრაინაში და შევიდა უკრაინის I-ლი ფრონტის ჯარების შემადგენლობაში. მან მონაწილეობა მიიღო კიევთან ფაშისტური ჯარების კონტრშეტევის მოგერიებაში. ჟიტომირ– ბერდიჩევის ოპერაციის შემდეგ დივიზიას მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა რადამიშლკორისტენის მიმართულებით. შენაერთმა ამ ბრძოლებშიც სასახელოდ შეასრულა მინდობილი საბრძოლო დავალებანი. შემდეგ 276-ე დივიზია ჩაება კორსუნ– შევჩენკოვსკისა და ლვოვ-სანდომირის ოპერაციებში. მძიმე ბრძოლებში შენაერთის ბევრმა მებრძლომა გამოიჩინა თავი და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა.

ომის დამამთავრებელ ეტაპზე თემრიუკის ორგზის წითელდროშოვანმა 276-ე დივიზიამ მონაწილეობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის მრავალი ქალაქისა და სოფლის განთვაისუფლებაში. ამით დივიზიამ დაამთავრა თავისი სახელოვანი საბრძოლო გზა[4]. საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, რომლის დროსაც შენაერთის პირადმა შემადგენლობამ დიდი გმირობა და მამაცობა გამოიჩინა, ბევრ მებრძოლსა და მეთაურს გადაეცა მთავრობის ჯილდოები. მათ შორის იყვნენ: დივიზიის მეთაური გენერალ – მაიორი პ. ბეჟკო,პოლკოვნიკები ჰ. ბეჟანიძე, მ. ბჟალავა და ჩარგეიშვილი, მაიორები ვ. გურგენიძე, ა. ზარნაძე, გ. პუდიაკი და წულესიკირი, კაპიტნები და ლეიტენატები შ. ბუკია, გ. გერმანოზაშვილ, გ. მოტინი, დ. აშბა, გ. გვანცელაძე,

ე. მახათაძე, ე. თოდრია და ს. კაფაროვი, ზემდეგი, საბჭოთა კავშირის გმირი ნ. გოგიჩაიშვილი, სერჟანტები და ჯარისკაცები ს. აბრამიშვილი, გ. ალავიძე, რ.ბუაძე, გ. გაგუა, ტ. ზოიძე, ი. კულაკოვი, ლ. კამკამიძე, შ. მეტრეველი და ვ. ჩიმაკაძე. შემდგომში დივიზია ორჯერ დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.

414 –ე დივიზია აქტიურ მონაწილეობას იღებდა "ცისფერი ხაზის" გარღვევასა და ნოვოროსიისკის განთავისუფლებაში. იგი ერთ-ერთი პირველი შეიჭრა ანაპაში, გაანადგურა მტრის გარნიზონი და გაწმინდა ქალაქი ოკუპანტებისაგან, რისთვისაც დივიზიას ანაპის საპატიო სახელი მიენიჭა, ხოლო მის სამი ათასამდე მებრძოლს მთავრობის ჯილდოები გადაეცათ. შემდგომ 414-ე დივიზია ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე. მან გადალახა ქერჩის სრუტე, გააფართოვა პლაცდარმი და გამაგრდა ყირიმის მიწაზე. დივიზია სამ თვეზე მეტხანს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა, რადგან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები აურიცხელი ზარალის მიუხედავად ცდილობდნენ რადაც უნდა დაჯდომოდათ მოესპოთ პლაცდარმზე გამაგრებული საბჭოთა ჯარები და შეენარჩუნებინათ ყირიმი. აქ განსაკუთრებით სასახელოდ იბრძოდნენ 1367–ე მსროლელი პოლკის მეომრები პოლკოვნიკ ე. ქანთარიას მეთაურობით, 1053-ე საარტილერიო პოლკის არტილერისტები, რომელთაც წინ უძღოდა პოდპოლკოვნიკი ხ. გაფრინდაშვილი და 443–ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობა მაიორ გ. ხარატიშვილის ხელმძღვანელობით.

ზღვისპირეთის ცალკე არმიამ, მათ შორის მე–11 გვარდიულმა მსროლელმა კორპუსმა, რომლის შემადგენლობაში 414–ე ანაპის დივიზიაც შედიოდა, 1944 წლის 11 აპრილს გაანადგურა მოწინააღმდეგის ქერჩის დაჯგუფება, გადალახა გერმანელთა თავდაცვის ზოლი და სწრაფი შეტევა განავითარა ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ სევასტოპოლის მიმართულებით. 414–ე დივიზია დევნიდა მტრის ჯარებს და ანადგურებდა მის საფარ ნაწილებს, გაათავისუფლა ყირიმის ბევრი დასახლებული პუნქტი და 16 აპრილს, საღამოს, გავიდა ნოვო-სერგეევკის დასახლებასთან, სიმფეროპოლის აღმოსავლეთ გარეუბანში, შემდეგ კი ჩაება სევასტოპოლის იერიშში[5]. ამ იერიშის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საპუნ – გორას აღებას. საპუნ-გორასათვის შერკინებაში თავი ისახელეს 414–ე დივიზიის 1367 –ე პოლკის მებრძოლებმა. სევასტოპოლის ქუჩებში ერთ-ერთი პირველნი შეიჭრნენ და მტერს ეკვეთნენ 1367-ე 1371 –ე მსროლელი პოლკების მებრძოლები, მომდევნო ორი დღე- ღამის განმავლობაში დივიზია მონაწილეობდა მტრის დიდი დაჯგუფების განადგურებაში სევასტოპოლის დასავლეთით, სტრელეცკაიას უბის რაიონში.

საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის 414–ე დივიზია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. 1367–ე და 1371–ე მსროლელ

პოლკებს სევასტოპოლის საპატიო სახელი მიენიჭა, ხოლო დივიზიის ხუთი ათასზე მეტ მებრძოლს სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცა. ზემდეგ ს. ჩხაიძეს, უფროს სერჟანტ გ. სამხარაძეს და რიგით მებრძოლ ვ. პაპიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. 414–ე ანაპის წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ვ. ძაბახიძე დაჯილდოვდა სუვოროვის II ხარისხის ორდენით, მისი მოადგილე პოლკოვნიკი ს. ბერუჩაშვილი – წითელი დროშის ორდენით, პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გ. ჯანჯღავა – წითელი ვარსკვლავის ორდენით, ხოლო 1367 –ე და 1361 –ე პოლკის მეთაურები პოლკოვნიკები, ე. ქანთარია და გ. მანაგაძე - სუვოროვის III ხარისხის ორდენებით[6].

სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მრავალი ათასი მებრძოლი დაიღუპა. გმირთა უკვდავსაყოფად, ვინც თავისი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა ჩვენი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, საპუნ-გორაზე აღმართულია დიდების ობელისკი.

ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებასა და სევასტოპოლის იერიშში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მე –13 გვარდიული მსროლელი კორპუსის მეომრებმა სუვორვის I ხარისხის ორდენის კავალერის გენერალ-ლეიტენანტ პ. ჩანჩიბაძის მეთაურობით. მრავალმა საბჭოთა შევარდენმა, რომლებიც თავგანწირვით მუსრავდნენ მტერს ჰაერში ყირიმის მიწაზე, მამაცობის, გამბედაობისა და საფრენოსნო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები უჩვენეს და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს. მათ შორის იყო არაერთი ქართველი მფრინავი. მაგალითად, უმცროსმა ლეიტენანტმა ი. ჯინჭარაძემ მრავალჯერ ისახელა თავი დონბასის, ხარკოვის, ბელგოროდის, პეეკოპისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებისათვის ბრძოლებში. ი. ჯინჭარაძეს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. გმირის უკვდავსაყოფად, ბათუმში, სადაც მან დაწყებითი საავიაციო განათლება მიიღო, პიონერთა პარკში დადგმულია ი. ჯინჭარაძის ბიუსტი, ხოლო ქალაქის ერთ –ერთ ქუჩას მისი სახელი ჰქვია. გმირის მშობლიურ მახინჯაურში ი. ჯინჭარაძის სახელობის საშუალო სკოლის ეზოში დადგმულია უშიშარი მფრინავის ძეგლი. მახინჯაურის კოლმეურნეობაც ი. ჯინჭარაძის სახელს ატარებს.

მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა დ. თავაძის მოიერიშეთა ესკადრილიამ სტალინგრადის, დონის როსტოვისა და ხარკოვის, ნოვოროსიისკისა და ტამანის ნახევარკუნძულისათვის ბრძოლებში. მაგრამ განსაკუთრებული გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს მოიერიშეებმა დ. თავაძის მეთაურობით ქერჩის სადესანტო ოპერაციაში და სევასტოპოლის იერიშის დროს.

ყირიმში გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების შემდეგ 1944 წლის 19 აგვისტოს მაიორ დ. თავაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ამ დროისათვის იგი უკვე იყო ორი წითელი დროშის ორდენის, ალექსანდრე ნეველისა და დიდი სამამულო ომის I ხარისხის ორდენების, აგრეთვე მრავალი მედლის კავალერი.

ცხრამეტი წლის მფრინავი ზ. ხიტალიშვილი მთის სოფლიდან იყო. მან პირველდაწყებითი საფრენოსნო წვრთნა თბილისის აეროკლუბში მიიღო. მრავალ თავდაცვით ბრძოლებში მონაწილეობდა, იცავდა საბჭოთა ჯარებს იძულებითი უკან დახევის დროს, ანადგურებდა ფაშისტ დამპყრობლებს მოსკოვის მისადგომებთან, მტერს მუსრავდა ლენინის ქალაქთან და სტალინგრადთან. ყირიმის განთავისუფლების დაწყების მომენტში კაპიტანი ზ. ხიტალიშვილი ეკსადრილიას მეთაურობდა. იგი იყო ორი წითელი დროშის ორდენის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენების, აგრეთვე ოთხი მედლის კავალერი. 1944 წლის 14 აგვისტოს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ოდესისა და სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილემ, მესამე რანგის კაპიტანმა ი. იოსელიანმა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მესტიისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა სახსრებით აგებულ წყალქვეშა ნავს "საბჭოთა სვანეთს" მეთაურობდა, არაჩვეულებრივი გმირობა ჩაიდინა ქერჩის სადესანტო ოპერაციისა და ყირიმის ზღვისპირა ქალაქების განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს. 1944 წლის 19 მაისს გაზეთი "პრავდა" წერდა, რომ წყალქვეშა ნავმა ი. იოსელიანის ხელმძღვანელობით შავ ზღვაში ჩაძირა მტრის 16 ხომალდი, მწყობრიდან გამოიყვანა ორი ტრანსპორტი და მზე დაუბნელა ათასობით ფაშისტს. 1944 წლის 16 მაისს ი. იოსელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ყირიმის ნახევაკუნძულის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ცხარე ბრძოლებში მრავალმა ქართველმა მებრძოლმა და მეთაურმა გამოიჩინა თავი და მთავრობის ჯილოდოები დაიმსახურა. განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისათვის ოც მეომარს საქართველოდან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მათ შორის იყვნენ: მატროსი რ. ბარციცი, უფროსი ლეიტენატები გ. გაბრიაძე და ა.კანანაძე, ლეიტენანტი პ. წიქორიძე და რიგითი მებრძოლი ვ. ესებუა.

მეორე მსოფლიო ომის ერთ - ერთ უდიდეს ბრძოლაში – ორიოლ-კურსკის რკალზე – მრავალ საჯარისო შენაერთს უნარიანად მეთაურობდნენ ქართველი ოფიცრები და გენერლები ვ. ჯანჯღავა, კ. ჯახუა, მ. კაზიშვილი, ნ. კალაძე, ი. ლეითაძე, მ. მიქელაძე და სხვები. გმირულად იბრძოდნენ აგრეთვე ავიაციის გენერალ-მაიორის ვ. ნანეიშვილისა და პოლკოვნიკ ე. ტატანაშვილის საავიაციო შენაერთები, კურსკის რკალზე თავდაცვითს ბრძოლებში განსაკუთრებული შეუპოვრობა და სიმტკიცე გამოიჩინა შენაერთმა, რომელსაც პოლკოვნიკი, ამჟამად გენერალ – ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ჯანჯღავა მეთაურობდა. "მთავარი მიმართულებით თავდაცვაში მყოფი (მე –13 არმიის მარცხენა ფლანგი) ორი საბჭოთა დივიზიის (გენერალ ა. ბარინოვის 81 –ე და პოლკოვნიკ ვ. ჯანჯღავას მე –15 დივიზიების) წინააღმდეგ შეტევაზე გადმოვიდა მტრის 4 ქვეითი დივიზია და 250 ტანკი, რომლებსაც 100 –მდე თვითმფრინავი ეხმარებოდა. მხოლოდ მეხუთე შეტევის შემდეგ დღის ბოლოს შეძლეს ჰიტლერელებმა 6 - 8 კილომეტრით სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენი თავდაცვის მეტად ვიწრო უბანზე და გასულიყვნენ მეორე თავდაცვით

ზოლთან. ამას მტერმა დიდი ზარალის ფასად მიაღწია. მარტო მე–13 არმიის არტილერიამ მოსპო 15 ათასამდე ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურა 110 ტანკი”[7].

მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც პოლკოვნიკი ვ. ჯანჯღავა ხელმძღვანელობდა, თავდაცვით ბრძოლაში უმაგალითო სიმამაცე გამოიჩინა, და წარმატებით შეასრულა საბროლო დავალება კურსკის რკალზე, აგრეთვე ერთ–ერთმა პირველმა გადალახა დნეპრი და სხვა დაბრკოლებები ბელორუსიის ტერიტორიაზე, აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალაქების ბობრუისკის, ბარანოვიჩისა და მრავალი დასახლებული პუნქტის განთავისუფლებაში.

სტალინგრადის ბრძოლაში თავი ისახელა 69 – ე გვარდიულმა დივიზიამ გენერალ– მაიორ კ. ჯახუას მეთაურობით. ამ დივიზიამ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ფაშისტთა განადგურებაში ახტირკა-ბოგოდუხოვოს რაიონში, ხელი შეუწყო საბჭოთა ჯარების გასვლას ხარკოვის დასავლეთით და ქალაქის განთავისუფლებაში, შემდეგში გენერალ კ. ჯახუას გვარდიელებმა მეზობელ შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით გაათავისუფლეს პოლტავა, პირველნი გაიჭრნენ კრემენჩუგის ჩრდილო – დასავლეთ მისადგომებთან, უკან დასახევი გზები გადაუჭრეს ჰიტლერელებს, შემდეგ კი ერთბაშად გადალახეს დნეპრი და ხელთ იგდეს პლაცდარმი, საიდანაც უზრუნველყოფდნენ არიმიის სხვა შენაერთების გადასვლას მდინარეზე.

მე-7 გვარდიული საჰაერო-სადესანტო დივიზია, რომელსაც მეთაურობდა გენერალ – მაიორი მ. მიქელაძე, 69–ე გვარდიულ დივიზიასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით მონაწილეობდა მტრის ახტრიკა – ბოგოდუხოვოსა და ხარკოვის დაჯგუფებების განადგურებაში, აგრეთვე პოლტავასა და კრემენჩუგის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

369-ე მსროლელმა დივიზიამ პოლკოვნიკ მ. კაზიშვილის მეთაურობით თავი გამოიჩინა მოსკოვთან ბრძოლაში. იგი სხვა შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით პირველი შეიჭრა რჟევში. სმოლენსკის ოპერაციის დროს მ. კაზიშვილი მეთაურობდა 133 –ე მსროლელ დივიზიას, რომელმაც 31-ე არმიის შემადგენლობაში წარმატებით შეასრულა მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზოლის გარღვევისა და ქალაქის ოკუპანტებისაგან განთავისუფლების საბრძოლო დავალება, რისთვისაც დივიზიას “სმოლენსკის” საპატიო სახელი მიენიჭა, ხოლო შენაერთის მეთაური პოლკოვნიკი მ. კაზიშვილი სუვოროვის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1944 წლის იანვარში სმოლენსკის 133 –ე მსროლელმა დივიზიამ უკრაინის 1–ლი ფრონტის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო კორსუნ – შევჩენკოვსკის ოპერაციაში. ბრძოლაში მამაცობის გამოჩენისა და რთულ ვითარებაში დივიზიის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის პოლკოვნიკი მ. კაზიშვილი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით[8].

ბელორუსიის განთავისუფლებისათვის მძიმე, სისხლისმღვრელ ბრძოლაში ათასობით ქართველი მონაწილეობდა. გმირული ბრძოლითა და თავდადებით ბევრმა მათგანმა მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა. მათ შორის იყვნენ: უმცროსი სერჟანტი ტანკგამანადგურებელი შ. გამცემლიძე, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ხელყუმბარების შეკვრით ქვეშ შეუვარდა მეწინავე ტანკს და საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩაშალა მტრის შემოტევა; სახელგანთქმული სნაიპერი ზემდეგი ვ. კვაჭანტირაძე; მეტყვიამფრქვევე უმცროსი სერჟანტი ს. ჭიღლაძე და ასეულის მეთაური კაპიტანი შ. ჩილაჩავა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. ბელორუსიის ცაში გამართულ ბრძოლებში თავი ისახელეს არა მარტო ქართველმა მფრინავმა მამაკაცმა ოფიცრებმა გ. ინასარიძემ, კ. მებაღიშვილმა, შ. შურღაიამ და სხვებმა, არამედ მფრინავმა ქალმაც, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერმა, გვარდიის ლეიტენატმა ი. მიქელაძემ.

ბევრი ქართველი მებრძოლი და მეთაური მონაწილეობდა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის განთავისუფლებაში. ბევრ მათგანს სამაგალითო გულადობისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ესენი იყვნენ: მეორე გვარდიული არმიის სარდალი გენერალ–ლეიტენატი პ. ჩანჩიბაძე, 406 –ე მძიმე ბომბდამშენი საავიაციო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბ. ზუმბულიძე, მსროლელი ბატალიონის მეთაური კაპიტანი ა. ბიბილაშვილი, საავიაციო ესკადრილიის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ა. გურგენიძე, მსროლელი ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ა. შიშინაშვილი და საავიაციო რგოლის მეთაური გვარდიის ლეიტენატი კ. მებაღიშვილი. ბალტიისპირეთისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს იმ საჯარისო ნაწილებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ: გენერალ-მაიორი პ. შიოშვილი, ავიაციის გენერალ-მაიორი ლ. გოლიაძე, ვიცე-ადმირალი გ. აბაშვილი, პოლკოვნიკები ა. ბარბაქაძე, ა. ჯაფარიძე და ი. ძამაშვილი.

ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებთან შედარებით ყველაზე მეტი ქართველი იბრძოდა უკრაინისა და მოლდავეთის მიწაზე. მარტო უკრაინის 1–ლი ფრონტის ჯარებში, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ კიევის განთავისუფლებაში, 1944 წლის 1 იანვრისათვის 1110 ქართველი მებრძოლი და მეთაური იყო[9]. ათასობით ქართველ მეომარს გადაეცა მთავრობის ჯილდოები, მათ შორის 42 კაცს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დნეპრისათვის ბრძოლაში თავი ისახელა გვარდიის უფროსმა სერჟანტმა გ. ბუაჩიძემ, რომელსაც 1943 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, იგი მონაწილეობდა უკრაინისა და მოლდავეთის, შემდეგ კი რუმინეთისა და უნგრეთის ქალაქებისა და სოფლების განთავისუფლებაში. თავისი სახელოვანი საბრძოლო გზა გ. ბუაჩიძემ დაამთავრა ავსტრიის ტერიტორიაზე[10].

გვარდიის უფროსი ლეიტენანტის ვ. ბეროშვილის ასეულმა მონაწილეობა მიიღო დნეპრის გადალახვაში, რისთვისაც 1943 წლის ოქტომბერში ვ. ბეროშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მორიგი საბრძოლო დავალების დროს იგი გმირულად დაეცა უკრაინის მიწაზე[11].

უკრაინის რესპუბლიკის ჩერკასის საოლქო ცენტრში პიონერთა სასახლის შენობის კედელზე გაკრული მემორიალური დაფა გვამცნობს, რომ 1943 წლის დეკემბერში ქალაქის განთვისუფლებასა და ამ სახლის იერიშის დროს მამაცობა გამოიჩინა ქართველი ხალხის შვილმა საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. ჩიქოვანმა. ქალაქ ჩერკასში მისი სახელი ერთ –ერთ ქუჩასაც დაარქვეს. კაპიტან ვ. ჩიქოვანის ასეული კორსუნ–შევჩენკოვსკის ოპერაციის სისხლისმღვრელი ბრძოლების მონაწილეა. 1944 წლის 1 მარტს, როცა ის იყო ოპერაცია დასასრულს უახლოვდებოდა, ჩერკასის ოლქის ზვინიგოროდის რაიონის სოფელ ვოდიანიკაში დაიღუპა ვ. ჩიქოვანი. იგი დასაფლავებულია სოფელ ვოდიანიკის ცენტრში, სადაც აღმართულია გმირის ძეგლი. სოფელ ვოდიანიკის კოლმეურნეობას მინიჭებული აქვს ვ. ჩიქოვანის სახელი.

მფრინავი გამანადგურებლები შ. ქირიას მეთაურობით შიშის ზარს სცემდნენ ჰიტლერის ნაქებ სვავებს. შ. ქირია უკრაინის დედაქალაქის რაიონში მდინარეზე გადასასვლელების დასაცავად თავისი ესკადრილიით ბრძოლაში ჩაება მტრის ორმოცი ბომბდამშენის წინააღმდეგ. გერმანელებმა დაკარგეს 9 თვითმფრინავი, მათ შორის 3 ესკადრილიის მეთაურმა ჩამოაგდო. მტრის დანარჩენი ბომბდამშენები იძულებული გახდნენ ბრძოლის ველი დაეტოვებინათ. უშიშარი საბჭოთა ასი მრავალი საჰაერო ბრძოლის მონაწილეა. ომის პერიოდში შ. ქირიამ მტრის 30 –ზე მეტი თვითმფრინავი ჩამოაგდო, აგრეთვე გაანადგურა ჰიტლერელთა დიდძალი ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა. უკანასკნელ ბრძოლებში იგი მეთაურობდა საავიაციო პოლკს, შემდეგში კი დივიზიას. მისი საბრძოლო დამსახურება აღინიშნა ორი ლენინის ორდენით, ხუთი წითელი დროშის ორდენით, სამი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მრავალი მედლით, ხოლო 1944 წლის 26 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის გმირობა მიენიჭა, მოგვიანებით მას ავიაციის გენერალ – მაიორის წოდება მიეკუთვნა[12].

გამანადგურებელთა რგოლმა ბორისოვის, მენიკოვისა და შიშკინის შემადგენლობით, რომელთაც ჭ. ბენდელიანი მეთაურობდა, პირველი საბრძოლო ნათლობა კიევისათვის თავდაცვითს ბრძოლებში მიიღო. შემდგომში მამაცობისა და საჰაერო საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, როგორც უკრაინის ტერიტორიაზე, ისე სტალინგრადთან, ჭ. ბენდელიანი არაერთხელ დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. 1943 წლის 24 აგვისტოს კურსკის რკალზე საჰაერო ბრძოლებში ჩადენილი გმირობისათვის გვარდიის მაიორ ჭ. ბენდელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. იგი პოლონეთის ცაშიც მუსრავდა ფაშისტურ სვავებს. 1944 წლის 20 ივლისს ქალაქ კოველის დასავლეთით გამანადგურებელთა ჯგუფმა მაიორ ჭ. ბენდელიანის მეთაურობით დიდი დამარცხება აგემა მოწინააღმდეგის ბომბდამშენთა არმადას. ამ ბრძოლაში დაიღუპა ჭ. ბენდელიანი. იგი დასაფლავებულია უკრაინაში, ვოლინსკის ოლქის ბიტენ

გოლოვნინის რაიონის დაბის პარკში, სადაც დადგმულია გმირის ძეგლი. ჭ. ბენდელიანის სახელი მინიჭებული აქვს თბილისის ერთ –ერთ ქუჩას და ჩოხატაურის სასოფლო – სამეურნეო ტექნიკუმს, სადაც იგი სწავლობდა.

1943 წლის სექტემბერში დივიზიის ნაწილები, მათ შორის მესანგრეთა ბატალიონი, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა გ. ბერუაშვილის მესანგრეთა ქვეგანაყოფი, პერეიასლავ – ხმელნიცკის სამხრეთით გავიდნენ დნეპრის მარცხენა ნაპირზე და იწყეს მდინარის გადალახვა. ერთ –ერთი მორიგი რეისის დროს გ. ბერუაშვილმა დიდი გმირობა ჩაიდინა. როდესაც ნაწილის უფროსმა გ. ბერუაშვილი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარადგინა, დაჯილდოების ფურცელში წერდა, რომ ბერუაშვილი მეთაურობდა ექვსი კაცისაგან შემდგარ მესანგრეთა ჯგუფს ამ ჯგუფმა შვიდი დღე – ღამის განმავლობაში სახელდახელოდ შეკრული ბორნით მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა 1500 მებრძოლი თავის იარაღ – საჭურველით და გადაიტანა 35 ნაღმსატყორცნი, 20 ქვემეხი, 3 საზენიტო ტყვიამფრქვევი და 900 ყუთი საბრძოლო მასალა, რის შედეგად ნაწილმა შეძლო პლაცდარმის ხელში ჩაგდება და შენარჩუნება. ამას გარდა, თავისი სიმამაცითა და თავგანწირვით იგი აღაფრთოვანებდა და მხნეობას მატებდა არა მარტო ქვეგანაყოფის მებრძოლებს, არამედ ნაწილის მთელ პირად შემადგენლობას და მდინარის გადალახვაში მონაწილე ქვეგანაყოფებს[13].

როგორც კიევის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში, ისე შემდგომ გ. ბერუაშვილი კიდევ უფრო გაბედულად და თავდადებით ასრულებდა საბრძოლო დავალებებს. იგი დაიღუპა ჩერკასკის ოლქის სოფელ ბოსიევკას რაიონში 1942 წლის 14 იანვარს. გ. ბერუაშვილის დაღუპვის დღეს ნაწილში ცნობა მოვიდა, რომ მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გვარდიულმა სატანკო ქვეგანაყოფმა, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა თ. ჯაფარიძე, ერთ –ერთმა პირველმა გადალახა ვისლა და დაიკავა პლაცდარმი. პლაცდარმისათვის ბრძოლებში თ. ჯაფარიძემ მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა 5 ტანკი. საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისა და გმირობის გამოჩენისათვის ქვეგანაყოფის მებრძოლთა უმრავლესობას გადაეცა მთავრობის ჯილოდები. 1944 წლის 23 სექტემბერს გვარდიის სერჟანტს თ. ჯაფარიძეს საბჭოთა გმირის წოდება მიენიჭა[14].

უკრაინისა და მოლდავეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა აგრეთვე ოცეულის მეთაურს გვარდიის სერჟანტს ს. ასლამაზიშვილს, ასეულის მეთაურს ლეიტენანტ გ. ბახტაძეს, ბატალიონის მეთაურს მაიორ გ. ბილანიშვილს, გვარდიული თვითმავალისატანკო პოლკის მეთაურს გვარდიის მაიორს ა. ბუკიას, ოცეულის მეთაურს გვარდიის სერჟანტ ს. გალუსტაშვილს, ბატარეის მეთაურს ლეიტენანტ ი. გვენცაძეს, რიგით მებრძოლს ვ. გვანცელაძეს, ბატალიონის მეთაურს გვარდიის მაიორს გ. გოცირიძეს, რიგით მზვერავს, “მოენის” ხელში ჩაგდების ოსტატს, გ. მაისურაძეს, ბატალიონის მეთაურს კაპიტან გ. რაზმაძეს, ოცეულის მეთაურს

გვარდიის უმცროს ლეიტენანტს კ. ტყაბლაძეს, ბატალიონის მეთაურს მაიორ გ. შენგელიას, საინჟინრო ბატალიონის მეთაურს კაპიტან ი. ციციშვილს და სხვებს.

უკრაინისა და მოლდავეთის განთვისუფლებისათვის გააფთრებულ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა მრავალი საბჭოთა მეომარი, მათ შორის ათასობით ქართველი რიგითი ჯარისკაცი და მეთაური. აქ გმირულად დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის გმირები გვარდიის ლეიტენანტი ვ. გუბელიძე, ლეიტენანტი ა.სორდია, უფროსი ლეიტენანტი ა. ტერელაძე, რიგითი ნ. ურუშაძე, უფროსი სერჟანტი ს. ჭიღლაძე, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ლ. ჩუბინიძე და უმცროსი ლეიტენანტი ვ. ჩხაიძე.

განსაკუთრებით ისახელეს თავი საბჭოთა ჯარებმა გენერალ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის სარდლობით. მაიკოპის ნავთობის რაიონის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლის შესახებ ა. ზავიალოვი და ტ. კალიადინი თავიანთ წიგნში “ბრძოლა კავკასიისათვის” წერენ: “შავი ზღვის ჯგუფის 46 –ე არმიის ჯარებმა მძაფრი შეტევით გაანადგურეს მტრის საფარი რაზმები და სწრაფად დაიკავეს ნავთობის რაიონის ცენტრი – ნევთეგორსკი... მაიკოპის ნავთობის რაიონის განთვისუფლებითა და მაიკოპის ჩრდილოეთით გასვლით შავი ზღვის ჯგუფის 46 –ე არმიის ჯარებმა გზა გაუხსნეს კრასნოდარის მიმართულებით შემტევ საბჭოთა ჯარებს[15].

კრასნოდარის შეტევითი ოპერაციის დროს, 1943 წლის 9 –დან 22 თებერვლამდე, 47-ე არმიამ გენერალ კ. ლესელიძის სარდლობით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბრძოლის შედეგებზე. 1943 წლის მარტის დამლევს გენერალ კ. ლესელიძეს მიანდეს მე –18 სადესანტო არმიის სარდლობა. იგი ითვალისწინებდა ნოვოროსიისკისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების ოპერაციის განხორციელების სირთულეს და გაძლიერებით ამზადებდა ჯარებს ამ ბრძოლისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სადესანტო დანიშნულების შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ “მცირე მიწაზე”.

ნოვოროსიიკ – ტამანის შეტევით ოპერაციაში მთავარ დარტყმას ახორციელებდა მე –18 სადესანტო არმია ფლოტთან ერთად. მძლავრი საარტილერიო და საავიაციო დარტყმის შემდეგ 10 სექტემბერს ნოვოროსიისკის ნავსადგურში შეიჭრა დესანტი, ამავე დროს შეტევაზე გადავიდა “მცირე მიწაზე” მყოფი არმიის ძალთა ნაწილი, ხოლო აღმოსავლეთიდან ქალაქის იერიში გააჩაღეს მე -18 არმიის ძირითადმა ძალებმა. ეს დარტყმა მოულოდნენლი იყო ჰიტლერელებისათვის. მე –18 არმიის ჯარები და ფლოტის მეზღვაურები შეუჩერებლად მიიწევდნენ წინ და შეძლეს ხელში ჩაეგდოთ გადამწყვეტი პოზიციები.

კავკასიისათვის ბრძოლების პერიოდში რთული და საპასუხისმგებლო ოპერაციების განსახორციელებლად ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობისა და მამაცობისათვის გენერალ – ლეიტენანტი კ. ლესელიძე სუვოროვისა და

კუტუზოვის I ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდა, ხოლო 1943 წლის 9 ოქტომბერს მას გენერალ – პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

მალე, ქერჩის სადესანტო ოპერაციის შემდეგ, მე –18 არმიის საველე სამმართველო საარმიო ნაწილებთან და შენაერთებთან ერთად, აგრეთვე არმიის შემადგენლობაში მყოფი მთელი რიგი დივიზიები შეიყვანეს უკრაინის 1 – ლი ფრონტის ჯარებში. კიევის რაიონში მისვლისთანავე არმია შეუდგა საბრძოლო დავალების შესრულებას. 1943 წლის 24 დეკემბერს მე –18 არმია ფრონტის სხვა არმიებთან ერთად მონაწილეობდა ჟიტომირ –ბერდიჩევის შეტევითი ოპერაციის განხორციელებაში. არმიამ გაათავისუფლა მარჯვენა ნაპირის უკრაინის ბევრი დასახლებული პუნქტი. მისმა შენაერთებმა განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ბრძოლებში ბრუსილოვის, რადამიშლის, კოროსტიშევის, ჟიტომირისა და ბერდიჩევის მტრისაგან განთვაისუფლებისათვის. ამ ბრძოლებში ბევრმა მეომარმა ისახელა თავი და დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები. დაჯილდოებულთა შორის იყო არმიის სარდალიც. 1944 წლის 10 იანვარს გენერალ – პოლკოვნიკი კ. ლესელიძე ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველ მილიონობით პატრიოტთა რიგებში ჩადგნენ აგრეთვე კ. ლესელიძის სამი ძმა. ჩრდილოეთში იბრძოდა საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე – კადრის ოფიცერი, არტილერისტი. ფინეთის ჯარების განადგურების პერიოდში ლესელიძე ნაღმმტყორცნელთა პოლკს მეთაურობდა. მან მსროლელ ნაწილებთან ერთად გადალახა მდინარე ვიდლიცა და 1944 წლის 28 ივნისს მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში მამაცურად დაიღუპა.

ფრონტზე მოხალისედ წავიდა ვალერიან ლესელიძე. 1941 წლის დამლევს მან მონაწილეობა მიიღო ქერჩ-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციაში, სადაც დაიჭრა პლაცდარმისათვის ბრძოლაში. მალე, გამოჯანმრთელების შემდეგ, უფროსი სერჟანტი და ნაღმმტყორცნელთა ჯგუფეულის მეთაური ვ. ლესელიძე კვლავ გმირულად იბრძოდა ყირიმის მიწაზე. 1942 წლის დამდეგს იგი დაიღუპა.

ოთხი ძმიდან შინ დაბრუნდა მხოლოდ უფროსი ძმა – მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული –პოდპოლკოვნიკი დ. ლესელიძე.

1944 წლის 21 თებერვალს, ორმოცდაერთი წლის ასაკში სამუდამოდ შეწყდა საბჭოთა სახელმწიფოს მგზნებარე პატრიოტის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, ნიჭიერი სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის გულისცემა. 1944 წლის 22 თებერვალს მისი გარდაცვალების გამო მე-18 არმიის სამხედრო საბჭო და ხელმძღვანელთა შემადგენლობა წერდა: “ჩვენ მძიმე დანაკლისი განვიცადეთ. გარდაიცვალა ჩვენი არმიის სარდალი, საბრძოლო ხელმძღვანელი, ამხანაგი და მეგობარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე... კონსტანტინე ნიკოლოზის ძის მხედრული ნიჭი, მახვილი გონება და ბოლშევიკური შორსმჭვრეტელობა ყოველთვის უზრუნველყოფდა ბრძოლის

მოგებას და მტერზე გამარჯვებას. მისგან დიდად დავალებული ვართ ბრძოლებში ნოვოროსიისკისა და ტამანისათვის, ჟიტომირის, ბერდიჩევისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინის სხვა რაიონების განსათავისუფლებად.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე იყო ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, სიცოცხლის ბოლომდე ლენინის საქმისათვის თავდადებული... თავისი ნიჭიერი დიდი ქართველი ხალხის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ჩვენთვის იგი ყოველთვის იყო კარგი, გულისხმიერი ამხანაგი, ყურადღებიანი, გონიერი მხედართმთავარი.

მისი ხსოვნა სამარადისოდ იცოცხლებს ჩვენს გულში... “[16]

მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, კ. ლესელიძის თანამებრძოლი, ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საქართველოს კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვაში წერდა: “...თქვენთან ერთად მძიმე დანაკლისი განვიცადეთ. უდროო სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ქართველი ხალხის შესანიშანვი წარმომადგენელი, ბრწყინვალე მხედარმთავარი, ჩვენი არმიის სარდალი. დიდი და სახელოვანი გზა განვლო ჩვენმა არმიამ მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ვერ მოესწრო ჩვენს საბოლოო გამარჯვებას წყეულ მტერზე...

კონსტანტინე ნიკოლოზის ძის ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენი არმიის მებრძოლთა გულში”[17].

ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობისა და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის გენერალ -პოლკოვნიკ ლესელიძეს 1971 წლის 13 მაისს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ლ. ბრეჟნევის დიდი ისტორიული მნიშვნელობის წიგნში “მცირე მიწა” მოცემულია გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის დასამახსოვრებელი სახე. ”ფრონტზე კაცი მალე იცნობა, - წერს ლ. ი ბრეჟნევი, - ხელად გამოჩნდება, ვინ რად ღირს. ლესელიძე ერთ -ერთი უნიჭიერესი მხედართმთავარი იყო, რომელიც საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა. მკაცრი და დაუნდობელი მტრის მიმართ, კეთილი და გულისხმიერი მეგობრისადმი, ნამუსის კაცი, სიტყვის კაცი, მახვილი გონების კაცი, ხალისიანი და მამაცი – ასეთი ჩამრჩა მეხსიერებაში ჩემი მებრძოლი მეგობარი და თანამოსაგრე კონსტანტინე ლესელიძე” [18].

---

[1] Архив МО СССР, ф. 242 гед, исторический формуляр, лл. 3-5
[2] **А.Я. Веденин**, Годы и моды. Воениздат, М., 1964,стр. 135.
[3] Архив МО СССР, ф. 276 сд.исторический формуляр.
[4] Архив МО СССР, ф. 276 сд. истоический формуляр.

[5] Архив МО СССР, ф. 414 сд. историчесий формуляр.
[6] **იქვე.**
[7] «Великая Отечественная война Советского Союза 1941 –1945 (краткая история)», М., 1970,стр. 243.
[8] Архив МО СССР, ф. 133 сд и 369 сд, исторический формуляр.
[9] Архив МО СССР, ф. 236, 2677, д.84, лл. 1-21.
[10] "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო" გვ. 83 –85.
[11] იქვე, გვ. 69 –71.
[12] "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო", გვ. 390 –393.
[13] "მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო" გვ. 63 –66.
[14] იქვე, გვ. 505 –507.
[15] **А.С.Заявьялов , Т. Е. Калядин**, Битва за Кавказ М., 1957, стр.148 –149.
[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13887, ფურც. 1-2
[17] იქვე, საქ. 13815, ფურც. 23.
[18] **ლ. ბრეჟნევი,**"მცირე მიწა".,თბ., 1978, გვ.64.

§ 4. ქართველი მებრძოლებისა და მხედართუფროსების საბრძო დამსახურება ომის უკანასკნელი ეტაპის ოპერაციებში

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხთა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების კეთილშობილურ მისიაში ათასობით ქართველი მებრძოლი და მეთაური მონაწილეობდა. მარტო პირველ გვარდიულ და მე –18 არმიებში, რომელთა ნაწილები და შენაერთები ერთ – ერთი პირველნი შევიდნენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, 1944 წლის 1 იანვრისათვის 2055 ქართველი მეომარი იბრძოდა. სახელდობრ პირველი გვარდიული არმიის შემადგენლობაში 1041 ქართველი იყო, მათ შორის 151 ოფიცერი, ხოლო მე-18 არმიაში – 1014, მათ შორის 102 ოფიცერი და გენერალი[1].

ბევრმა საჯარისო შენაერთმა ისახელა თავი გააფთრებულ ბრძოლებში, ამ სახელოვან შენაერთებს შორის არაერთი იყო ისეთი, რომლებიც საქართველოს ტერიტოიაზე შეიქმნა და დაკომპლექტდა, ხოლო თავისი გმირული საბრძოლო გზა კავკასიის ფრონტზე დაიწყო. ესენი იყვნენ: 242-ე სამთო მსროლელი, 276 –ე 351-ე მსროლელი და სხვა დივიზიები. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო ზოგიერთ მათგანზე თავის მოგონებებში წერს: "მოძმე ხალხის მიწაზე პირველნი შევიდნენ 242 –ე სამთო –მსროლელი დივიზიის მებრძოლები გენერალ ვ. ლისინოვის მეთაურობით...

მამაცობისა და გმირობის მაღალი ნიმუშები გვიჩვენეს 242-ე დივიზიის მე 900- სამთო –მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონის მებრძოლებმა (ბატალიონს მეთაურობდა კაპიტანი გ. შავლუხაშვილი). მათ განდევნეს ჰიტლერელები საზღვრისპირა დასაყრდენი პუნქტებიდან და 20 სექტემბერს, 12 საათზე, დივიზიის შენაერთებს შორის პირველნი შევიდნენ ჩეხოსლოვაკიის

ტერიტორიაზე... საზღვრის გადალახვისა და კარპატების მთავარ ქედზე წითელი დროშის აფრიალებისათვის პოლკი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. ფრონტის სამხედრო საბჭომ მადლობა გამოუცხადა პოლკის მთელ პირად შემადგენლობას”[2].

პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის მრავალი ხალხის წარმომადგენლებთან ერთად თავი გამოიჩინეს აგრეთვე ქართველმა მებრძოლებმა და მხედართუფროსებმა. პოლკოვნიკმა ი. ქანთარიამ, რომელიც მეთაურობდა 253–ე, ხოლო შემდეგ 197–ე მსროლელ დივიზიებს უკრაინის პირველი ფრონტის შემადგენლობაში, მონაწილეობა მიიღო სამხრეთ და სამხრეთ–დასავლეთ პოლონეთის მთელი რიგი დასახლებული პუნქტების განთავისუფლებაში. წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენების, ორი წითელი დროშის ორდენის, სუვოროვის II ხარისხის ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი გვარდიის პოლკოვნიკი ი. ქანთარია დაიღუპა 1945 წლის 23 თებერვალს. გმირის ნეშტი განისვენებს ლვოვში დიდების ბორცვზე[3].

სხვა შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით 117–ე წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ გენერალ–მაიორ ე. კობერიძის მეთაურობით, ქ. კოველის სამხრეთ–დასავლეთ რაიონში, ერთ–ერთმა პირველმა გადალახა დასავლეთი ბუგი, შემდეგ კი ვისლა და დაიკავა პლაცდარმი მის დაავლეთ ნაპირზე. დივიზიამ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა პოლონეთის პოზნანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს ქალაქი კი, თვით გერმანელი სამხედრო სპეციალისტების დასკვნით, მიუვალ ციხე–სიმაგრედ ითვლებოდა. მაგრამ საბჭოთა ჯარებმა სძლიეს ამ ქალაქის გარნიზონის გააფთრებული წინააღმდეგობა და იერიშით აიღეს იგი. 117–ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას “პოზნანის” საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო შენაერთის მრავალი მებრძოლის გმირობა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა, მათ შორის გენერალ–მაიორ ე. კობერიძის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მან აგრეთვე ორგზის დაიმსახურა პოლონეთის მთავრობის ჯილდო.

ვარშავისათვის ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა გვარდიულმა საარტილერიო პოლკმა პოდპოლკოვნიკ (ამჟამად არტილერიის გენერალ–მაიორი) ი. ჯორჯაძის მეთაურობით. ეს პოლკი მონაწილეობდა ბრძოლებში მოსკოვთან და სტალინგრადთან. სტალინგრადისათვის ბროლებში დიდი დამსახურებისათვის პოლკს “გვარდიულის” წოდება მიენიჭა, ნაწილის პირადი შემადგენლობის უმრავლესობას კი გადაეცა სსრ კავშირის ორდენები და მედლები, მათ შორის პოლკის მეთაური ი.ჯორჯაძე დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის I ხარისხის ორდენით. სამამულო ომის I ხარისხის ორდენით ი. ჯორჯაძე მეორედ დაჯილდოვდა პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში პოლკის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის. გვარდიულმა საარტილერიო პოლკმა ი. ჯორჯაძის მეთაურობით თავი გამოიჩინა აგრეთვე მტრის ჯარების განადგურებისათვის ბრძოლებში გერმანიის ტერიტორიაზე და ბერლინის აღებისათვის.

პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს დივიზიებმა, რომლებსაც პოლკოვნიკები ვ. ჯანჯღავა და ნ. კალაძე მეთაურობდნენ, აგრეთვე ე. ტატანაშვილის საავიაციო დივიზიამ. ეს შენაერთები არაერთხელ აღინიშნა უმაღლესი მთავრსარდლის ბრძანებებში, მათ მეთაურებს კი საბჭოთა და პოლონეთის მთავრობების ჯილდოები მიენიჭათ.

პოლონეთის ერთ–ერთი უდიდესი ქალაქისა და ნავსადგურის დანციგის (გდანსკი) განთავისუფლებისას 1945 წლის 30 მარტს განსაკუთრებით თავი გამოიჩინა კაპიტან გ. ლელაძის ბატალიონმა, რომელიც იბრძოდა ბელორუსიის მე–2 ფრონტის ჯარების შემადგენლობაში. ბატალიონი ერთ–ერთი პირველი შეიჭრა ქალაქში, გაანადგურა გარნიზონის ნაწილი, ხელთ იგდო ბევრი ტყვე და დიდძალი ნადავლი. გ. ლელაძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, აგრეთვე სსრ კავშირის სხვა ორდენებითა და მედლებით, ხოლო 1945 წლის 10 აპრილს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[4].

პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მრავალმა ქართველმა მეომარმა და მეთაურმა გამოიჩინა თავი, მათ შორის იყვნენ: ოფიცრები - ი. აბრამიშვილი, ა. ბუაძე, ა. ბარკალაია, ბ. ვასაძე, ჭ. გაგუა, შ. გოგორიშვილი, ს. ჯაბიევი, ი. ზაუტაშვილი, ა. კუპრაძე, გ. მოსულიშვილი, მ. ნოზაძე, გ. როყვა, ს. სარიშვილი, ი. ტაბაღუა, კ. ტუღუში, მ. უჩუმბეგაშვილი, გ. ხარაბაძე, ი. ჩარკვიანი, ა. შავიძე, ვ.შანიძე, ე. იაშკინი; ჯარისკაცები და სერჟანტები ა. აკოფაშვილი, ვ. ბარბაქაძე, გ. ბექარაული, გ. გოგოლაძე, გ. გალოგრე, გ. ჯიოევი, მ. დემეტრაშვილი, გ. იოსელიანი, ი. კევლიშვილი, ა. ლომაია, რ. მარუტიანი, მ. მიქაძე, დ. ნემსაძე, გ. სიმსივე და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის სასახელოდ იბრძოდნენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის წარმომადგენლები. პრველი გვარდიული არმიის შეტევის მთავარი მიმართულებით მოქმედებდა 330–ე გვარდიული პოლკი პოლკოვნიკ ე. ქანთარიას მეთაურობით. პოლკი იბრძოდა 129-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში. ერთ-ერთი პირველი შეიჭრა ქ. დრაგობიჩში და გაათავისუფლა იგი. ამისათვის პოლკი დააჯილდოეს ბოგდან ხმელნიცკის III ხარისხის ორდენით და მას “დრაგობიჩის” საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო ნაწილის მეთაური ე.ქანთარია ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოვდა. მალე ე. ქანთარია დაინიშნა პეჩენგის წითელდროშოვანი სამთო–მსროლელი მე–3 ცალკე ბრიგადის მეთაურად. ეს ბრიგადა მონაწილეობდა ბრძოლებში ქალაქების ოსტრავასა და პრაღის გასანთავისუფლებლად, რისთვისაც გვარდიის პოლკოვნიკი ე. ქანთარია დაჯილდოვდა კუტუზოვის II ხარისხის ორდენით[5].

რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინა ლენინის ორდენოსანმა, ორგზის წითელდროშოვანმა, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენოსანმა, დონის კაზაკთა ბარანოვიჩის ცხენოსანმა მე–9 გვარდიულმა დივიზიამ პოლკოვნიკ ვ. გაგუას მეთაურობით. მთავრობის ჯილდოები და

საპატიო წოდებები დამაჯერებლად მეტყველებენ ამ დივიზიის მებრძოლთა და მეთაურთა პირადი შემადგენლობის დიდ სამხედრო დამსახურებაზე. 1945 წლის აპრილში ბრატისლავის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს ვ. გაგუა დაიღუპა. იგი დასაფლავებულია ქალაქ ბრატისლავაში დიდების გორაზე. 1946 წლის 4 აპრილს სლოვაკიის დედაქალაქის განთავისუფლებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვ. გაგუას ბრატისლავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა[6].

კარპატებისათვის ბრძოლის დასაწყისში უკრაინის მე–4 ფრონტის ჯარებს შეუერთდა 24–ე საარტილერიო დივიზია პოლკოვნიკ გ. ჯინჭარაძის მეთაურობით. აქ დივიზიის საბრძოლო ამოცანა იყო უზრუნველეყო ფრონტის ჯარების შეტევა კარპატების გადალახვისა და იმიერკარპატების განთავისუფლებისათვის. დივიზიამ მონაწილეობა მიიღო გაცხარებულ ბრძოლებში ფაშისტი ოკუპანტების გასანადგურებლად და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან განსადევნად. განსაკუთრებით თავი ისახელა მან ბრძოლებში ქალაქების ოსტრავას, ოლომოუცისა და პრაღის განსათავისუფლებლად[7].

ტანკსაწინააღმდეგო ბატარეამ, რომელსაც მეთაურობდა გვარდიის კაპიტანი ბ. წულუკიძე, განსაკუთრებით ისახელა თავი დაძაბულ ბრძოლებში ქალაქისა და სამიმოსვლო კვანძის მუკაჩევოს განსათავისუფლებლად, აგრეთვე რკინიგზის სადგურ ჩოპის რაიონში. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ტანკგამანადგურებლებმა და მათმა მამაცმა მეთაურმა მასობრივი გმირობა გამოავლინეს. განსაკუთრებული გმირობა ჩაიდინეს მათ მტრის დიდი სატანკო დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში ოსტრავასათვის.

გვარდიის კაპიტანს ბ. წულუკიძეს, რომელიც განვლილ ბრძოლებში მრავალჯერ იყო დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[8].

დიდი სამამულო ომის მრავალი მძაფრი ოპერაციის მონაწილეა საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნანეიშვილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება კორსუნ–შევჩენკოვსკის ოპერაციაში, შემდეგ კი ლვოვ-სანდომირის მიმართულებით ბრძოლებში, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით, მიენიჭა ავიაციის გენერალ–ლეიტენანტის წოდება, შემდგომში ვ. ნანეიშვილის მე –8 მოიერიშე საავიაციო კორპუსი მონაწილეობდა ბრძოლებში კარპატების გადალახვისა და იმიერკარპატების, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის განსათავისუფლებლად. ვ. ნანეიშვილი იყო საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი[9].

პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობდნენ გვარდიის ტანკისტი – უფროსი სერჟანტი ა. დანელია და სერჟანტი შ. ტიბუა. ისინი ბრწყინვალედ ასრულებდნენ რთულ საბრძოლო დავალებებს, იჩენდნენ განსაკუთრებულ საზრიანობასა და სიმამაცეს როგორც დაზვერვის, ისე სატანკო საფარის შექმნის დროს.

ვარშავის ჩრდილო–დასავლეთით ვისლაზე პლაცდარმისა და ხიდის ხელში ჩაგდების დროს გვარდიის სერჟანტმა შ. ტიბუამ განსაკუთრებული გამბედაობა და საზრიანობა გამოიჩინა, მოახერხა შეენარჩუნებინა დაკავებული ხიდი შენაერთის მთავარი ძალების მოსვლამდე. მაგრამ 1945 წლის 8 თებერვალს მორიგი საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს ტანკი მტერმა მწყობრიდან გამოიყვანა. შ. ტიბუა დაიღუპა. 1945 წლის 24 მარტს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. გვარდიის უფროს სერჟანტს ა. დანელიას განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისა და პოლონეთისა და გერმანიის ტერიტორიაზე ბრძოლებში დიდი მამაცობისათვის 1945 წლის 10 აპრილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 1945 წლის 9 მაისს გვარდიის ზემდეგი ა. დანელია იბრძოდა პრაღის განმათავისუფლებელ მამაც საბჭოთა ტანკისტთა რიგებში[10].

იმ მრავალ საბჭოთა მეომართა შორის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ფაშისტური უღლისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში, იყვნენ საქართველოს შვილები – ოფიცრები: ვ. არობელიძე, გ. ასათიანი, ლ. ბაჯელიძე, კ. ბახია, მ. გერიხი, ნ. გუგუნავა, რ. დვალიშვილი, შ. იოსელიანი, გ. კობიძე, ბ.კუპრაძე, ა. ლევინი, ს. ლაბაძე, მ. მათიაშვილი, ე. ნაჭყებია, ა. ოდიშარია, ი. საგინაძე, შ. თედიაშვილი, ვ. ხელაძე, ნ. წიკლაური, მ. შუბითიძე; ჯარისკაცები და სერჟანტები: ნ. ალიევი, ნ. ახვლედიანი, ნ. ბასილაძე, ს. ბერიძე, კ. გორგაძე, ა. გოგოლაძე, შ. ირემაშვილი, ვ. კერესელიძე, ა. ლოლიაშვილი, ვ. მეტრეველი, შ. მიროტაძე, ი. ნიქაბაძე, მ. ოდიშარია, გ. ფრუიძე, ა. სანაია, ს. ხოჭოლავა, ა. ცხოვრებოვი, ს. წიკლაური და ბევრი სხვა.

69–ე გვარდიული მსროლელი დივიზია გენერალ–მაიორ კ. ჯახუას მეთაურობით მუსრს ავლებდა მტრის ჯარებს რუმინეთსა და უნგრეთში, იგი მონაწილეობდა ბრძოლებში ბალატონის ტბასთან და ბუდაპეშტის განსათავისუფლებლად. თავისი სახელოვანი საბრძოლო გზა მან დაასრულა ავსტრიის ტერიტორიაზე ვენისათვის ბრძოლებით. გენერალ–მაიორი კ. ჯახუა დაჯილდოებულია სსრ კავშირის მრავალი ორდენითა და მედლით, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ჯილდოებით[11].

ბრძოლებში რუმინეთისა და უნგრეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გვარდიულმა სატანკო პოლკმა მაიორ ა. ბუკიას მეთაურობით. გვარდიის მაიორი ა. ბუკია დააჯილდოეს სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, ხოლო 1945 წლის 24 მარტს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[12]. ა. პ. ბუკიას სატანკო პოლკი მონაწილეობდა ავსტრიის დედაქალაქ ვენისათვის ბრძოლებში, ხოლო ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ეს პოლკი გადაისროლეს შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურებასა და ჩინეთის მთელი რიგი რაიონების განთავისუფლებაში.

57–ე არმიის საარტილერიო პოლკი იბრძოდა რუმინეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის განმათავისუფლებელთა მხარდამხარ. ამ

პოლკმა გ. ალფაიძის მეთაურობით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბელგრადის ოპერაციებში. შემდეგ პოლკი გადაისროლეს უნგრეთში, სადაც მონაწლეობდა ბრძოლებში ბალატონის ტბის რაიონში. საბრძოლო დავალების ჩინებულად შესრულებისათვის პოლკს გადაეცა ბოგდან ხმელინცკის ორდენი, ხოლო მრავალი ორდენისა და მედლის კავალერს გ. ალფაიძეს 1945 წლის 28 აპრილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[13].

რუმინეთისა და უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოვლენილი თავდადებისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ გვარდიის სერჟანტს ს. ასლამაზაშვილს, ეფრეიტორ ი. კოკოსკერიას, სერჟანტ დ. მერკვილაძეს, გვარდიის უფროს ლეიტენანტ გ. პაპუაშვილს, ვ. გაბლიას და სხვებს.

იუგოსლავიისა და ავსტრიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საქრთველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან წასულმა მრავალმა მებრძოლმა ისახელა თავი.

ბერლინის ისტორიულ შეტევით ოპერაციაში, რომელიც განახორციელეს ბელორუსიის პირველმა და მეორე, უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა, მრავალი ათასი ქართველი მეომარი მონაწილეობდა. ამ გააფთრებულ ბრძოლებში ფაშისტი მხეცის მისსავე ბუნაგში გასანადგურებლად მრავალრიცხოვან სახელოვან მებრძოლთა რიგებში, რომლებსაც მთავრობის ჯილდოები მიენიჭათ, იყვნენ 91–ე მსროლელი კორპუსის მეთაურის მოადგიოე გენერალ–მაიორი ი. რაზმაძე, მსროლელი დივიზიების მეთაურები საბჭოთა კავშირის გმირები გენერალ–მაიორები ვ. ჯანჯღავა და ე. კობერიძე აგრეთვე პოლკოვნიკი ნ. კალაძე, 234–ე მოიერიშე საავიაციო დივიზიის მეთაური ავიაციის გენერალ–მაიორი ე. ტატანაშვილი, 67-ე გვარდიული მძიმე სატანკო ბრიგადის მეთაური გვარდიის პოლკოვნიკი ი. ბაჩაკაშვილი, 75–ე გვარდიული მსროლელი დივიზიის არტილერიის მეთაური პოლკოვნიკი ა. დალაქიშვილი, 47-ე არმიის სპეციალური დანიშნულების ჯარების უფროსი პოლკოვნიკი უ. თავძე, გვარდიული საარტილერიო პოლკის მეთაური გვარდიის პოლკოვნი ი. ჯორჯაძე, მსროლელი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ვ. კურკაცაშვილი, გვარდიული ცხენოსანი პოლკების მეთაურები პოდპოლკოვნიკები გ. გამზარდია და ი. ცუცქირიძე, გვარდიული თვითმავალი საარტილერიო პოლკის მეთაური გვარდიის მაიორი ა. ბარკალაია და სხვები.

ბერლინში მტრის დიდი დაჯგუფების განადგურებისა და გერმანიის დედაქალაქის აღებაში მონაწილე მრავალ გამოჩენილ საბჭოთა მეომართა შორის, რომლებმაც სსრ კავშირის ორდენები და მედლები დაიმსახურეს, არაერთი ქართველი მებრძოლი იყო. დიდი სამამულო ომის ამ დამამთავრებელ ეტაპზე საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ მრავალ ქართველ მეომარს: მსროლელი ასეულის მეთაურს კაპიტან ი. დემეტრაშვილს და უფროს ლეიტენანტ ე. ტუღუშს; საავიაციო ესკადრილიის მეთაურებს კაპიტან ო. ჩეჩელაშვილს და გვარდიის უფროს ლეიტენანტ შ. შურღაიას; სნაიპერს ზემდეგ ვ. კვაჭანტირაძეს, ცალკე მესანგრეთა ესკადრონის მეთაურ კ.

უკლებას; საარტილერიო პოლკის მეთაურის მოადგილეს მაიორ კ. წულუკიძეს და სხვებს.

1945 წლის 1 მაისს, დილით 150–ე მსროლელი დივიზიის 756–ე პოლკის მზვერავებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ გამარჯვების დროშა ააფრიალეს რაიხსტაგზე, რისთვისაც მათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

ფაშისტური გერმანიის განადგურებისა და უსიტყვო კაპიტულაციის შემდეგ სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, რომელიც ასრულებდა სამოკავშირო ვალდებულებებს, აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დაჩქარების მიზნით 1945 წლის აგვისტოში 23 დღეში გაანადგურეს იაპონიის კვანტუნის არმიის ძირითადი მთავრი ძალები და გაათავიუფლეს მანჯურია და კორეის მთელი რიგი რაიონები. ამის შედეგად 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ თავი დამარცხებულად ცნო და ხელი მოაწერა კაპიუტლაციის აქტს. ეს საპასუხისმგებლო და მძიმე შეტევითი ოპერაცია განახორციელეს შორეული აღმოსავლეთის პირველ და მეორე და იმიერბაიკალის ფრონტების ჯარებმა.

ამ ფრონტების საჯარისო გაერთიანებათა რიგებში საბჭოთა სახელმწიფოს მრავალი ეროვნების წარმომადგენელთა მხარდამხარ იბრძოდა საქართველოს სს რესპუბლიკიდან წასული ასობით მეომარი და მეთაური: გენერალ–მაიორები ვ. ზარელუა და პ. შიოშვილი, ავიაციის გენერალ-მაიორი ლ. გოლიაძე, კონტრ–ადმირალი ს. კაპანაძე, პოლკოვნიკები ა. ბაჯელიძე და გ. კეზევაძე, I რანგის კაპიტანი გ. სტურუა და სხვები. მთავრობის ჯილდოები დაიმისახურეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირებმა გვარდიის სერჟანტ ს. ასლამაზიშვილმა, გვარდიული სატანკო პოლკის მეთაურმა გვარდიის პოდპოლკოვნიკმა ა. ბუკიამ, სერჟანტ ს.კოზონოვმა და გვარდიის სერჟანტ ვ. ესებუამ.

---

[1] Архив МО СССР, ф. 236. оп.2577. д. 84. лл.1-21.

[2] « Они освобождали Закарпатье», Ужгород, 1968, стр. 27 –29.

[3] **Г. Н. Рокотов, Холм Славы, Львов, 1970, стр. 105 –106.**

[4] “ მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო”, გვ. 246 – 248.

[5] ქ. თბლისის ოქტომბრის რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივი, ე. ქანთარიას პირადი საქმე.

[6] Архив МО СССР, ф. 9, гпд,исторический формуляр, лл. 2-14.

[7] ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივი გ. ჯინჭარაძის პირადი საქმე.

[8] “მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო” გვ. 464-467.

[9] ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივი, ვ. ნანეიშვილის პირადი საქმე.

[10] “მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო” გვ. 151 –153 და 364 –366.

[11] ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივი, კ. ჯახუას პირადი საქმე.

[12] “მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო” გვ. 86 – 89.

[13] იქვე, გვ. 33 – 38.

§ 5. ქართველები პარტიზანულ ომში დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე

პარტიის მოწოდებით მტირის მიერ დროებით ოკუპირებულ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე გაჩაღდა პარტიზანული ომი გერმანელ ფაშისტთა დამპყრობთა წინააღმდეგ. უკრაინაში პარტიზანთა რიგებში იბრძოდნენ 220 ათასზე მეტი კაცი, ბელორუსიაში პარტიზანული არმიის რიგებში იყო 374 ათასი მებრძოლი და მეთაური.

პარტიზანულ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და კომკავშირლები. ისინი იყვნენ სახალხო შურისმგებელთა შეიარაღებული რაზმების ორგანიზატორები და მეთაურები, კომუნისტები და კომკავშირელები უჩვენებდნენ სამშობლოსათვის ბრძოლაში უსაზღვრო მამაცობის ნიმუშებს. ისინი მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ და მიუძღოდნენ საბჭოთა პატრიოტების მრავალათასიან მასებს.

პარტიზანულ შენაერთებში იბრძოდნენ მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები. სახალხო შურისმგებელთა შორის ათეულ ათასობით ქართველი და მოზარდი იყო. პარტიზანები აბანდებდნენ მოწინააღმდეგის დივიზიების მნიშვნელოვან რაოდენობას,ამასთან სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ჰიტლერელი გენერალი ფონ ბუტლარი წერს: “პარტიზანებთან ბრძოლა უაღრესად ძნელი საქმე იყო, რადგან მათი რაზმები კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას, მათ მხარს უჭერდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამის გამო გერმანელები იძულებული იყვნენ გამოეყოთ დიდძალი ჯარი ეგრეთ წოდებული “პასიური ომის” საწარმოებლად. მაგრამ გერმანელებმა ამ ღონისძიებებითაც ვერ შეძლეს რამდენადმე საგრძნობლად შეეზღუდათ პარტიზანთა მოქმედება”[1].

საბჭოთა ხალხს მუდამ ემახსოვრება პარტიზანული მოძრაობის გმირები – მათი წინამძღოლები: ს. კოვპაკი, ა. ფედოროვი, ს. რუდნევი, ვ. ბეგმა, კ. ზასლონოვი, პ. პონომარენკო, ა. მაბუროვი, მ. შმირევი, პ. კალინინი, მ. ნაუმოვი, პ. იგნატოვი, ლ. მელნიკი.

მრავალი ათასი პარტიზანი დაეცა გმირული სიკვდილით მტერთან სასტიკ ბრძოლებში. მაგრამ საბჭოთა პარტიზანებმა მტერს უფრო დიდი ზარალი მიაყენეს, ვიდრე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა.

რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა მხარდამხარ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ ქართველი პარტიზანებიც.

ა. კოვპაკის სახელგანთქმულ უკრაინელ პატიზანთა რიგებში ქართველი პარტიზანები სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის ნიმუშებს იძლეოდნენ. ამ დივიზიის პირველი პოლკის მეთაურს დ. ბაქრაძეს განსაკუთრებული სიმამაცისა და უკრაინის პარტიზანული მოძრაობის საქმეში დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გენერალ ა. კოვპაკის წარდგინებით ოპერატიულ – საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოები მიიღეს აგრეთვე მეტყვიამფრქვევე ი. რეხვიაშვილმა, მზვერავმა ი. ჟორჟოლიანმა და სხვებმა.

ა. ფედოროვის სახელგანთქმულ პარტიზანულ შენაერთში მედგრად იბრძოდნენ დ. მაღალაშვილი და ა. კულუმბეგოვი.

მეტად გულთბილად, დიდი პატივისცემით იგონებს უკრაინაში მოქმედი დიდი პარტიზანული შენაერთის მეთაური სსრ კავშირის გმირი ანტონ ოდუხა გ. ნარსიასა და სხვა ქართველ პარტიზანებს. ა. ოდუხა წერს, რომ მის შენაერთში საქართველოდან 74 მამაცი პარტიზანი იყო, მათ შორის უმრავლესობა – პარტიის წევრი და კომკავშირელი. განსაკუთრებული ქებით იხსენიებს იგი შენაერთის მთავარ ქირურგს ვ. ბერიძეს, სანიტარიული სამსახურის უფროსს გ. ნასყიდაშვილს, მედიცინის მუშაკებს მ. მესხს, შ. ხომასურიძეს, ბარბარე ნინიკელაშვილს და სხვებს. ა. ოდუხა აღნიშნავს, რომ გმირულად და მამაცურად იბრძოდნენ პარტიზანები საქართველოდან: დ. ჯავახიშვილი, კ. ჯანელიძე, შ. ედიშერაშვილი, დ ბარამიძე, ს. ხაჩიძე, ა. აპრიამოვი, ბ. ბეგიჯანოვი, გ. ადეიშვილი, გ. აბუთიძე და სხვები, რომლებმაც თავი ისახელეს ქალაქ იზიასლავის იერიშის დროს. ა. ოდუხი წერს: “ არასოდეს არ დავივიწყებთ საქართველოს სახელოვან შვილებს, რომლებმაც ფაშისტური ოკუპაციის მძიმე დღეებში ფასდაუდებელი ძმური დახმარება გაუწიეს უკრაინელებს”[2].

კეთილად იგონებენ უკრაინაში ქართველ პარტიზანთა ჯგუფს, რომელსაც თ. აგლაძე მეთაურობდა. ეს 25–კაციანი ჯგუფი იბრძოდა საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ნ. ა. პროკოპიუკის პარტიზანულ ბრიგადაში. თ. აგლაძის ჯგუფი ბრწყინვალედ ასრულებდა საბრძოლო დავალებებს, მუსრს ავლებდა ასობით ჰიტლერელს. ფაშისტთ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის ჯგუფის მეთაური და ბევრი მებრძოლი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა[3].

როგორც ცნობილია, უკრაინაში, ვინიცაში, დიდხანს იმყოფებოდა ჰიტლერის მთავარბანაკი. ბერლინთან უშუალო კავშირისათვის აქ მიწისქვეშა სატელეფონო ხაზი გაიყვანეს. ცენტრალური საბჭოთა პარტიზანული შტაბის ბრძანებით გადაწყდა ამ კაბელის მწყობრიდან გამოყვანა. ოპერაციის

შესრულება დაევალათ ვინიცის იატაკქვეშა ორგანიზაციას და ვინიცა – შავი ტყის რაიონში მოქმედ პარტიზანებს. ეს ამოცანა შესარულა საბჭოთა პატრიოტების ჯგუფმა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ა. დიდიშვილი და ვ. ოსიყმიშვილი.ამავე რაიონში მოქმედებდა იატაკქვეშელი ექიმი ს. ბელქანია, რომელმაც იხსნა ასობით პარტიზანის სიცოცხლე.

უკრაინისათვის ბრძოლებში გმირულად დაიღუპა პარტიზანული რაზმის მეთაური გ. ტალახაძე. მისი დაღუპვის გამო გაზეთ "პარტიზანსკაია პრავდა" სტატიაში "312 ჰიტლერელი მოსპო ტალახაძემ" წერდა: "ხიდთან ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ფაშისტემბა ახლო დისტანციიდან გახსნეს ცეცხლი, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასტეხა პარტიზანთა შეტევითი სულისკვეთება. მანქანებით მოვიდა მტრის მაშველი ჯარი. ბრძოლა კიდევ უფრო გაფიცხდა. შედრკენ ჰიტლერელები. მათკენ ჯიქურ, წარბშეუხრელად გაემართა სახალხო შურისმგებელი, საქართველოს ერთგული შვილი გ. ტალახაძე. მოდიოდა ავტომატმომარჯვებული გიორგი და ცხრილავდა მათ. ტყვიებს სეტყვასავით აყრიდნენ, მაგრამ იგი არ ერიდებოდა, უშიშრად მიდიოდა წინ და მუსრს ავლებდა მტერს.

ფაშისტი ქვეწარმავლები მაღლა სწევდნენ გასისხლიანებულ ხელებს, მაგრამ უცებ ერთ–ერთმა ტყვედ დანებებულმა გენერალმა ოფიცერმა მიბრჯით ესროლა გიორგის ... გრიგალივით მოიჭრნენ გიორგის მეგობრები და თავგანწირულად ეკვეთნენ მტერს. მოწინააღმდეგე განადგურებულ იქნა, პარტიზანებმა ხიდი ააფეთქეს"[4].

რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერი გ. ტალახაძე ამ ოპერაციაში გამოჩენილი გულადობისა და მამაცობისათვის სიკვდილის შემდეგ ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

უკრაინის მიწაზე პარტიზანულ რაზმებში გმირულად იბრძოდნენ: ნ. იაშვილი, ი. ყენია, გ. მეკოკიშვილი,გ. კიკვაძე, დ. ბარაბაძე, შ. მაისურაძე, ი. კილასონია, ა. ოთარიშვილი, ე. ვახტანგაშვილი, კ. სუხიშვილი, ი. კაპანაძე, მ. ქავთარაძე, ვ. ოდიშარია, ა. ჭუჭულაშვილი, ი. კეკელაშვილი,ა. შუბითიძე, ბ. გორდელაძე და სხვები.

უდიდესი ზარალის ფასად მტერმა შეძლო აეღო ყირიმი. მაგრამ საკ.კპ(ბ) ყირიმის არალეგალური საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით აქ გაჩაღდა პარტიზანული მოძრაობა, რომელიც დღითი დღე ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა.

თავდაპირველად დაქსაქსულად, ცალ –ცალკე მოქმედი ჯგუფებისაგან იქმნებოდა რაზმები და ბრიგადები, დივერსიულ – სადაზვერვო ჯგუფები, ყალიბდებოდა იატაკქვეშა გამოცხადების პუნქტები და ა.შ.

ყირიმის მთელი პარტიზანებისადმი სამხედრო – ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა პარტიზანული მოძრაობის ყირიმის შტაბის სარდლობა.

საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების სახელოვან შვილებთან ერთად ყირიმში მამაცურად იბრძოდა ასობით ქართველი პარტიზანი.

ყირიმში წმინდად ინახავენ მე–2 პარტიზანული რაზმის უშიშარი მეთაურის მაიორ პ. გვალიას ხსოვნას. 1943 წლის 16 დეკემბერს პარტიზანთა რაზმებმა ბახჩისარაი – სიმფეროპოლის რაიონში ჩაკეტეს გზატკეცილი და რკინიგზის ხაზი, თორმეტი საათით შეაჩერეს ყოველგვარი მოძრაობა, დაამსხვრიეს სამხედრო ტვირთით სავსე მატარებლები, თავს ესხმოდნენ რკინიგზის სადგურებს, აფეთქებდნენ ხიდებს და ა. შ. ამ ოპერაციებში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა პ. გვალიას რაზმი.

დიდი საბრძოლო ოპერაციები ჩატარდა გერმანელ ფაშისტთა დივიზიების წინააღმდეგ 1944 წლის თებერვალში. ამ ბრძოლებში მონაწილეობდნენ პ. გვალიას რაზმი და ბევრი სხვა ქართველი მებრძოლი და მეთაური. 1944 წლის 9 მარტს პ. გვალია მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. ბრძანებაში მისი ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ ნათქვამია: "იმის გამო, რომ მაიორი გვალია არის ორგანიზატორი რაზმისა, რომელმაც ათეულობით გაბედული საბრძოლო ოპერაცია ჩაატარა, რომ ამხ. პ. გვალია იყო ერთ –ერთი საუკეთესო მებრძოლი, გაბედული, მამაცი მეთაური **ვბრძანებ:**

მე –2 რაზმის მეთაურის მაიორ გვალიას ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიეკუთვნოს მე –2 პარტიზანულ რაზმს"[5].

მრავალი სასახელო საქმე ჩაუდენია სიმფეროპოლელ პარტიზანს ი. ჩხაიძეს. 1943 წლის დეკემბერში იგი სპეციალური დავალებით გაგზავნეს ერთ –ერთ პარტიზანულ შენაერთში, სადაც მონაწილეობდა სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჰიტლერელების წინააღმდეგ. ბრძოლაში დაიჭრა და სამკურნალოდ სარაბუზის ქვის სამტეხლოებში გაგზავნეს. აქ ი. ჩხაიძე დანიშნეს ქვის სამტეხლოების კომენდანტად, სადაც თავს აფარებდნენ იატაკქვეშელი პარტიზანები და გერმანიაში მონებად გარეკვას გადარჩენილი მოსახლეობა. ი. ჩხაიძე მტკიცედ იცავდა თავშესაფარს ჰიტლერელებისაგან, ვიდრე საბჭოთა ჯარები გაათავისუფლებდნენ სიმფეროპოლს.

მრავალი პასუხსაგები საბრძოლო დავალება შეასრულა ქართველებისაგან შემდგარმა № 11 პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ი. ჩხაიძე მეთაურობდა.

ფრონტელი მწერალი არკადი პერვენცევი თავის დოკუმენტურ მოთხრობაში "ღირსება ყრომობიდან" გვიამბობს გმირობაზე, რაც ქართველმა პარტიზანებმა ა. ქართველიშვილის მეთაურობით ჩაიდინეს ქ. სოლხატის აღებისას: " ქართველები კარგად იბრძოდნენ, მონაწილეობდნენ მრავალ ოპერაციაში, რომლებშიც საჭირო იყო სიმამაცე, რისკი და მხედრული გმირობა..."[6]. ქართული რაზმის ათობით მეომარი მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, მათ შორის ვ. ბუჩუკური, დ. მუმლაძე , დ. ონიანი და სხვები. საბჭოთა ადმიანების მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ყირიმის იატაკქვეშელი ზოია რუხაძე, რომელიც მხეცურად აწამეს გესტაპოელებმა 1944 წლის აპრილში. "1944 წლის 10 მარტს ზოია რუხაძე დააპატიმრა გესტაპომ. ზოიამ გაუძლო სასტიკ წამებას (მას დასთხარეს თვალები, თავზე დააძრეს

თმები, მოამტვრიეს თითები, მოაჭრეს ტუჩები და ა. შ.), არ გასცა არც ერთი ამხანაგი და გმირული სიკვდილით დაიღუპა”[7].

ზოია რუხაძის მებრძოლი მეგობრის, სიმფეროპოლის კომკავშირული იატაკქვეშა ორგნიზაციის წევრის ლიდატროფიმენკოს სტატიაში ნათქვამია: “ წითელმა არმიამ სწრაფი დარტყმით გაათავისუფლა ყირიმი. ფაშისტური დილეგებიდან გამოვიდნენ ჩვენი ამხანაგები. მათ გვიამბეს ზოიას შესახებ, გვიმაბეს მის თავგანწირვაზე, სიმტკიცეზე. გესტაპოს ერთ –ერთ კამერაში სტუდენტთა ქუჩაზე ჩვენ წავიკითხეთ წარწერა: “აქ იჯდა ზოია რუხაძე, მეგობრებო, ნუ დამივიწყებთ! 1944 წლის 30 მარტი”[8].

პარტიზანული მოძრაობის ყირიმის შტაბის მეთაური ვ. ბულატოვი ასე ახასიათებს პარტიზანების ერთ – ერთ მამაც მეთაურს ი. ტალახაძეს:

“ამხ. ტალახაძე პარტიზანულ რაზმებშია 1942 წლის იანვრიდან. რაზმში მოსვლის დღიდან თავი გამოიჩინა როგორც მტკიცე და გაბედულმა პარტიზანმა. მონაწილეობდა 7 დიდ პარტიზანულ ბრძოლაში. ყოველთვის წინა ხაზზე იყო, თავისი ვაჟკაცობითა და გმირობით მაგალითს აძლევდა ყველა პარტიზანს. აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში, რაც არაერთხელ აღუნიშნავს რაზმის მეთაურს. მის ანგარიშზეა 20 მოკლული ფაშისტი”.

ასობით ჰიტლერელი მოსპო № 7 პარტიზანულმა რაზმმა, რომლის კომისარი იყო პ. ჩაჩხიანი[9].

ყირიმის ტერიტორიაზე გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცნენ მე –20 პარტიზანული რაზმის კომისარი ა. თავაძე, მე –10 რაზმის პოლიტხელი ა. ხუნჯუა, მე –10 რაზმის პოლიტხელი ს. ფოფხაძე, სამხედრო ექიმი შ. ჯანელიძე; რაზმების განყოფილებათა მეთაურები: ნ. ონიანი, გ. ბოხუა; მებრძოლები: ვ. ბუჩუკური, დ. მუმლაძე, ვ.მუმლაძე, ხ. ჩაჩანიძე, მ. შელია, გ. იაშვილი და მრავალი სხვა ქართველი მებრძოლი და მეთაური.

საყოველთაო სახალხო მოძრაობად იქცა პარტიზანული ომი ბელორუსიაში.

პარტიზანული მოძრაობის რესპუბლიკური შტაბის მეთაურობით, ბელორუსიის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ათიათასობით მამაცი პარტიზანი გმირულად იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კვშირის მოძმე ხალხის წარმომადგენლებთან ერთად ბელორუსიაში მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილებიც.

ბელორუსი პარტიზანების საპატიო სიაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მინსკის მუზეუმში ინახება, შეტანილია კონსტრუქტორ – გამომგონებელი თ. შავგულიძე. იგი მონაწილეობდა მრავალ ბრძოლასა და სადივერსიო ოპერაციებში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ და გულადობასა და სიმამაცეს იჩენდა. თ. შავგულიძემ გამოიგონა სპეციალური მოწყობილობანი: სოლები, ზესადები (ორთქმავლის ლიანდაგიდან

გადასაგდებად), რომლებსაც მინსკის შენაერთის პარტიზანული რაზმები იყენებდნენ მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე დივერსიული აქტების ჩასატარებლად. თ. შავგულიძემ შექმნა ხელყუმბარის სამი ტიპი ორიგინალური კონსტრუქციისა და მოაწყო მათი წარმოება. მან გააკეთა ხელყუმბარის სატყორცნიც. პარტიზანთა სახელოსნოებში დაამზადეს მისი სისტემის ასზე მეტი ხელყუმბარის სატყორცნი და რამდენიმე ათასი ხელყუმბარა.

პარტიზანულმა ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობდა ი. შუბითიძე, ბელორუსიაში გაანადგურა ასობით ფაშისტი და მოსპო დიდძალი სამხედრო ტექნიკა. ი. შუბითიძის ბრიგადაში შედიოდა მის მიერ შექმნილი ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის რაზმი, რომელიც პოლონელი ანტიფაშისტი პატრიოტებისაგან შედგებოდა. ეს რაზმი, შემდგომში სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი პოლონეთის არმიის ნაწილების ერთ –ერთი საუკეთესო ქვეგანაყოფი გახდა. აი რას წერენ კოსტიუშკოს სახელობის რაზმის ხელმძღვანელები ვ. კლიმაშევსკი და თ. კოტი: “საბჭოთა მთავრობისადმი მადლობის გრძნობამ და სიყვარულმა დაგვაწერინა ეს სიტყვები ჩვენ, ბელორუსიის ყოფილ პოლონელ პარტიზანებს, რომლებიც განსაცდელის ჟამს თქვენთან ერთად ვებრძოდით საერთო მტერს, ჰიტლერელ დამპყრობლებს და მათ დამქაშებს. ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის ჩვენი პოლონელთა პარტიზანული რაზმი, რომელიც პინსკის პარტიზანების სახელგანთქმულ ბრიგადაში იყო გაერთიანებული, შექმნა მამაცმა ოფიცერმა ივანე გრიგოლის ძე შუბითიძემ”[10].

ბელორუსიის 208 –ე პარტიზანული პოლკის შემადგენლობაში გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაურის პოლკის პარტორგი დ. იოსელიანი. 208 –ე პოლკმა ჩაატარა მრავალი “სალიანდაგო” და სხვა ოპერაცია. იგი აფერხებდა მტრის ჯარების გადაყვანასა და სპობდა ათასობით ჰიტლერელ ოკუპანტს[11].

შეუბრალებლად მუსრს ავლებდა ჰიტლერელ ოკუპანტებს ბელორუსიის მწაზე ვ. თალაკვაძის ბრიგადა. ამ ბრიგადისრაზმები, რომლებშიც 3 ათასზე მეტი მებრძოლი და მეთაური იყო, მრავალჯერ ვაჟკაცურად დაესხა თავს მოწინააღმდეგის გარნიზონებს,აქტიური მონაწილეობა მიიღო “სალიანდაგო ომში”, მწყობრიდან გამოიყვანა რკინიგზები და ააფეთქა ხიდები[12].

1944 წლის ივნისში ვ. თალაკვაძის პარტიზანული ბრიგადა შეუერთდა საბჭოთა არმიის რეგულარულ ნაწილებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ბრიგადის მეთაური ვ. თალაკვაძე შეეთვისა ბელორუს ხალხს და ომის დამთავრებიშემდეგ ბელრუსიაში დარჩა სამუშაოდ.

დიდი ხანი არ არის შევიტყვე, რომ თურმე ქუთაისში ცხორვობს ჩემი მებრძოლი მეგობარი პინსკის პარტიზანთა ბრიგადის ერთ –ერთი ქვეგანაყოფის უშიშარი და გამბედავი მეთაური ნ. იაშვილი, რამაც უსაზღვროდ

გამახარა, -წერს პინსკის პარტიზანთა ბრიგადის ყოფილი მეთაური მ. გერასიმოვი. – ერთხელ, იგონებს იგი, -ჩვენს ბანაკს უცბად თავს დაესხა ჰიტლერელების დიდი ჯგუფი. გაიმართა ცხარე ბრძოლა. იმის გამო, რომ ბრიგადის ძირითადი ნაწილი ბანაკიდან შორს იყო, მტერს უმკლავდებოდა მებრძოლთა პატარა ჯგუფი ნ. იაშვილის მეთაურობით. კრიტიკულ მომენტში დაჭრილი ნ. იაშვილი წამოდგა და შესძახა: - სიკვდილი დამპყრობლებს, მომყევით, - და ბრძოლის შუაგულში დატრიალდა. პარტიზანებმა გაარღვიეს ალყა და ტყეს შეაფარეს თავი[13].

ბელორუსი პარტიზანები ხშირად იხსენებდნენ თავიანთ გაბედულ ძმადნაფიცს ი. გორგიშელს, რომელსაც არაერთხელ უხსნია მეგობრები სიკვდილისაგან. "ვანო გორგიშელი ჩვენი პარტიის ერთგული ჯარისკაცია, სამშობლოს შესანიშნავი პატრიოტი. ბელორუსიის მიწა – წყალზე მან საქმით დაამტკიცა, რომ გმირული საბრძოლო ტრადიციების მქონე ქართველი ხალხის ღირსეული შვილია. ვფიქრობ, რომ ღირს მასზე მთელი წიგნის დაწერა, -წერს "დუბოვის" სახელობის პარტიზანული ბრიგადის უფროსის მოადგილე ს. მარკევიჩი[14].

ბელორუსი პარტიზანების საერთო სიყვარულით სარგებლობს ვიტებსკის პარტიზანთა მამაცი მებრძოლი, მხატვარი ჭ. კუკულაძე. მას ახლაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბელორუს მეგობრებთან და მისი უკანასკნელი ბატალური ტილოები ამშვენებენ ქალაქ როსინის "დიდების მუზეუმს".

ბრესტის ოლქის რაიონებში მედგრად ებრძოდა მტერს პარტიზანული რაზმი "სამშობლოსათვის", რომელსაც მეთაურობდნენ რუსი პ. ბოროდკინი და ქართველი გ. ბოდოკია – რაზმის შტაბის უფროსი. 1943 წლის ოქტომბერში რაზმის ერთმა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დატვირთული ეშელონი. ამ გაბედული დივერსიის შედეგად მინსკ – ვარშავის რკინიგზაზე 18 საათით შეჩერდა ტრანსპორტის მოძრაობა. მრავალი სხვა გაბედული ოპერაცია ჩაუტარებია აღნიშნულ რაზმს, შეუფერხებია გერმანელთა ტრანსპორტის მოძრაობა მისთვის კრიტიკულ ჟამს.

ბრესტის რაიონში ფაშისტური გარნიზონის განადგურების საქმეში სახელი გაითქვა პარტიზანების ჯგუფმა ვ. ი. ლენინის სახელობის ბრესტის პარტიზანული რაზმიდან. ჯგუფს მეთაურობდა მამაცი პარტიზანი შ. ბაბუნაშვილი. პარტიზანულ ბრძოლებში ბელორუსიაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქართველმა პარტიზანებმა: ა. ბერილიძემ, ლ. გამცემლიძემ, გ. ჯამიაშვილმა, მ. ზაქრაძემ, შ. კობიაშვილმა, მ. ოთარაშვილმა, ს. პაპალაშვილმა, დ. თავაძემ, გ. შერვაშიძემ, ი. ჩხიკვაძემ და სხვებმა[15].

პარტიზანული ომის მტრის ზურგში, რომელიც ფართოდ გაჩაღდა დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე და რომელსაც ხელმძღვანელობდა და წარმართავდა კომუნისტური პარტია, დიდმნიშვნელოვანი სამხედრო – პოლიტიკური ფაქტორი იყო და დიდად დაეხმარა საბჭოთა არმიას ფაშიზმზე ისტორიულ გამარჯვებაში.

ამ საყოველთაო – სახალხო ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი პარტიზანებიც, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მიწა –წყლიდან ფაშისტ დამპყრობთა განდევნის საქმეში.

---

[1]«Вторая мировая война 1939 – 1945 гг. Сборник статей», перевод с немецкого. М., 1957, стр. 236.
[2] გაზ. “კომუნისტი”, 1963 წლის 13 აპრილი.
[3] გაზ. “კომუნისტი” 1945 წლის 8 აგვისტო.
[4] Газ. «Партизанская правда», Орган партизанских отрядов Житомирской области, 1 мая 1943 г.
[5] Крым в период Великой Отечественной войны 1941 –1945 гг. Сборник докуметов и материалов, Симферополь, 1973, стр. 327.
[6] **Аркадий Первенцев.** Честь с молоду. 1949, стр. 202.
[7] საქართველოს სსრ ოქტ. რევ. და სოც. მშენებ.ცენტ. სახ. არქივი, ფ. 2514, ს. 897, ფურც. 84.
[8] **იქვე,** ფურც. 12.
[9] იქვე, ფურც.84.
[10]ПА Белорусского филиала ИМЛ при ЦК КПССБ ф. 3500, оп. 4, д. 284, лист. 53 – 63.
[11] გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, 1966 წლის 9 მაისი.
[12] ПА Белорусского филиала ИМЛ при ЦК КПСС, оп. 15, д. 22, л. 159.
[13] გაზ. “კომუნისტი”, 1965 წლის 4 სექტემბერი.
[14] Материалы отдела новейшей истории Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили АН ГССР.
[15] გაზ. “კომუნისტი”, 1944 წლის 9 სექტემბერი; 1967 წლის 11 ნოემბერი.

§ 6. ქართველების მონაწილეობა წინააღმდეგობის მოძრაობაში

ევროპის ხალხთა ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობა ამ ქვეყნების ოკუპაციასთან ერთად დაიწყო, მაგრამ პირველ ეტაპზე (1940 – 1941 წწ.) მას არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებამ მოსკოვთან, სტალინგრადთან, კურსკთან, კავკასიაში, საბჭოთა კავშირ -გერმანიის ფრონტის სხვა უბნებზე და გერმანიის ჯარების დიდი რაოდენობით სულ უფრო გაძლიერებულმა გადაყვანამ დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვნად შეასუსტა საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამან ხელი შეუწყო გერმანელთა მიერ ოკუპირებული ევროპის ხალხების ბრძოლის გაძლიერებას ნაცისტ დამპყრობთა და მათ პროფაშისტ დამქაშთა წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მ. ტორეზი წერდა: ”ჰიტლერულმა აგრესიამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მძლავრი ბიძგი მისცა წინააღმდეგობის მოძრაობას, განსაკუთრებით შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაციას. ყველა პატრიოტმა გაიგო, რომ შეიქმნა ძალთა ახალი თანაფარდობა და რომ ახლა ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვება უზრუნველყოფილია”[1].

წინააღმდეგობის მოძრაობის ჰეგემონი იყო მუშათა კლასი, რომელსაც სათავეში ედგნენ კომუნისტური და მუშათა პარტიები. წინააღმდეგობის მოძრაობას ემხრობოდა მოსახლეობის ყველა დემოკრატიული ფენა, აგრეთვე ეროვნული ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ბურჟუაზია, დაშინებული კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენის ზრდით, რომლებიც იბრძოდნენ ერთიანი სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის შესაქმნელად, ცდილობდა წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობისაგან ჩამოეშორებინა კომუნისტები და ამ მოძრაობისათვის მიეცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათი.

მიუხედავად ბურჟუაზიის ცდებისა – დაუფლებოდა წინააღმდეგობის მოძრაობას, რათა მთლიანად მიესაკუთრებინა ხალხის მასების ბრძოლის ნაყოფი, ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობა კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით ფართოვდებოდა და კაპიტალიზმისათვის საშიშ ხასიათს იღებდა.

ანტიფაშისტური მოძრაობის ადგილობრივი ეროვნული ძალების მხარდამხარ ევროპულ ქვეყნებში ფაშიზმის წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდა 40 ათასამდე საბჭოთა მოქალაქე (სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან გამოქცეული მებრძოლები და ფაშისტების მიერ გერმანიაში სამუშაოდ იძულებით გაყვანილი საბჭოთა ადამიანები), პოლონეთში წინააღმდეგობის რაზმებში 18 ათასი საბჭოთა ადამიანი იყო, ჩეხოსლოვაკიაში – 3 ათასი, იუგოსლავიაში – 3 ათასი, იტალიაში – 5 ათასი, საფრანგეთში – 3 ათასამდე და ა. შ.[2].

1943 წელს ვარშავის აღმოსავლეთით მოქმედ პარტიზანულ რაზმში პოლონელ პარტიზანებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილები, მათ შორის ქართველები – უფროსი ლეიტენანტი ვ. გეჯაძე და უმცროსი ლეიტენანტი გ. გადაშვილი[3].

საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული საბჭოთა ოფიცერი ვ. მანჯავიძე – ”ვასია ქართველი”, როგორც მას მებრძოლი მეგობრები და ადგილობრივი პოლონელი მოსახლეობა უწოდებდნენ, მეთაურობდა პარტიზანულ რაზმს კოტოვსკის სახელობის ბრიგადაში.

1944 წლის თებერვალში, როცა ს. კოვპაკის პარტიზანული დივიზია პ. ვერშიგორას მეთაურობით გერმანელებს ბოროვეცის რაიონში ებრძოდა, ვ. მანჯავიძის რაზმი ამ სახელგანთქმული დივიზიის შემადგენლობაში შევიდა. ამ რეიდში ს. კოვპაკის დივიზიის ერთ-ერთ პოლკს მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე. კრაკოვის რაიონის პოლონეთის მუშათა პარტიზანულ რაზმში იბრძოდა ქართველი ა. ოდიკაძე, რომელსაც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა რკინიგზის ხიდების, მატარებლების, დატვირთული ავტომანქანების, სამარი მასალის საწყობებისა და სხვა სამხედრო ობიექტების აფეთქებაში.

აქტიურ იატაკქვეშა ანტიფაშისტურ მუშაობას ეწეოდა პოლონეთში საბოთა არმიის პოლიტხელი, ქალაქ-ციხესიმაგრე ბრესტის გმირული დაცვის მონაწილე ა. კალანდაძე.

ქართველმა სამხედრო ტყვეებმა: ხ. კილაძემ, შ. ბაბუნაშვილმა, ლ. გამცემლიძემ, კ. პატარაიამ, შ. გოგებაშვილმა, შ. კობიაშვილმა, გ. სვანიშვილმა და სხვებმა, საქართველოს მკვიდრ ოსებთან ერთად მოსპეს გერმანელთა დაცვა, გაიქცნენ ფაშისტთა ბანაკიდან და შეურეთდნენ პოლონელ პარტიზანებს, რომელთაც პოლაკ კირპიჩი მეთაურობდა. ამ რაზმში იბრძოდა კაპიტანი მ. გურაშვილი. სამხედრო ტყვე ერთ-ერთ ჯგუფს მეთაურობდა.

1942 წელს დაჭრილი სამხედრო ტყვე ექიმი მ. აბესაძე პოლონეთში გაგზავნეს. იგი მუშაობდა ქალაქ კონსკის გერმანელთა ჰოსპიტალში. მ. აბესაძემ თავის გარშემო შემოიკრიბა საიმედო საბჭოთა ადამიანები. მათ შორის ექიმები დ. ბუხრაშვილი, გ. ალშიბაია, ა. რუსიშვილი, გ. მაკარაშვილი და სხვები. მ. აბესაძის ჯგუფი გაქცევაში ეხმარებოდა დაჭრილ და ავადმყოფ საბჭოთა მეომრებს, რომელთაც მოელოდათ გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა.

მ. აბესაძე დაუკავშირდა პოლონელ მ. ბარანოვსკის და ე. მიასის ოჯახებს და მათი მეშვეობით კავშირი დაამყარა საბჭოთა პარტიზანების ჯგუფთან, მათ შორის ლიუდოვას არმიაში მებრძოლ ქართველებთანაც. პარტიზანებთან გზავნიდა იგი სამხედრო ტყვეებს. ერთხელ მ. აბესაძემ გერმანელთა ბანაკიდან მოაწყო 22 სამხედრო ტყვის გაქცევა. გაქცევის მოწყობაში მონაწილეობდნენ ა. სიდამონიძე, ლ. ნემსაძე, ი. მარუაშვილი, ს. ჭარბაძე და ს. ხუციშვილი. 1943 წლის 28 ნოემბერს მ. აბესაძე საბჭოთა ექიმებსა და ავადმყოფ მებრძოლებთან ერთად კონსკიდან გაიცქა ბარტიშ გლავაცკის სახელობის პოლონელთა რაზმში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოქცეული მრავალი საბჭოთა ადამიანი. შემდგომში მ. აბესაძე იბრძოდა ა. ვასილენკოს (”ალიოშას”) რაზმში და საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ნ. პროკოპიუკის ბრიგადაში.

ლიუბლინის რაიონში მოქმედ პარტიზანულ რაზმებში იბრძოდნენ ქართველი პარტიზანები შ. კოლბიაშვილი, ნ. იაშვილი და სხვები, რომლებმაც მამაცი მეომრების სახელი მოიხვეჭეს.

ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოცქეული საბჭოთა სამხედრო ტყვეების გარდა პოლონელ პარტიზანთა რიგებს უერთდებოდნენ საბჭოთა არმიის სარდლობის მიერ გერმანელთა ჯარების ზურგში ორგანიზებულად გადაყვანილი რაზმები.

ქალაქ ოსტროვეცის რაინში საბჭოთა და პოლონელ პარტიზანთა რიგებში მედგრად იბრძოდა ასობით ქართველი: ა. ყვავაძე, დ. მიქაძე, პ. ხუსკივაძე, ვ. გუჩუა, ვ. ძნელაძე, მ. გრიგოლაშვილი, დ. გეგენავა, გ. დევიძე, კ. ჯაფარაშვილი, მ. ქუტიძე და სხვები.

ჩეხოსლოვაკიაში მოქმედ სახელოვან საბჭოთა პარტიზანების რიგებში ჩეხების, სლოვაკების, რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, პოლონელების და სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად იბრძოდნენ ქართველი პარტიზანებიც: გ. ბელთაძე, ვ. ბერიძე, ს. ჯობაძე, ა. კახეთელიძე, თ. აღლაძე, ი. გაბარაშვილი, მ. დანელია, ტ. ნოზაძე, კ. ადუაშვილი და სხვები. ქართველ

პარტიზანთა ჯუფმა თავი ისახელა ლუჩივნის გარნიზონზე თავდასხმაში, ამავე ჯგუფმა მოსპო მტრის ეშელონები, ესესელთა დაცვის რაზმები, პოლიციელები, აგრეთვე მოღალატენი და გამცემლები, რომლებიც ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ[4].

ომის ძნელმა გზამ მიიყვანა ქართველი სამხედრო ტყვეები იუგოსლავიაშიც. იუგოსლავიაში აქტიურ პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდნენ: ს. ჯაფარიძე, ი. გვალია, გ. ირემაძე, ა. ნადირაძე, ა. ყურაშვილი, ი. რევიშვილი, დ. რაზმაძე, ს. გერგედავა და სხვები, რომლებიც იუგოსლავიის მთავრობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში თავი ისახელეს საბჭოთა მფრინავებმა ა. შორნიკოვმა და ა. მანაგაძემ, რომელთაც მიენიჭათ იუგოსლავიის სახალხო გმირის მაღალი წოდება.

წინააღმდეგობის მოძრაობა ფართოდ გაიშალა საფრანგეთში, იტალიასა და გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ევროპის სხვა ქვეყნებში.

საფრანგეთში ჰიტლერელი ოკუპანტებისა და ვიშის პროფაშისტური მმართველობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში გმირობა გამოიჩინეს საბჭოთა სამხედრო ტყვეებმა, მათ შორის ქართველებმა.

გერმანიიდან და მის მიერ ოკუპირებული ვქეყნებიდან საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საქმეთა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს რწმუნებულის ინტერვიუში საკდესის კორესპონდენტთან ნათქვამი იყო:

”გერმანელთა ტყვეობაში ჩავარდნილი ათასობით საბჭოთ ადამიანი გმირულად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ საფრანგეთის ტერიორიაზე მრავალი რუსი, ქართველი, სომეხი, ტაჯიკი, თათარი, უკრაინელი, ბელორუსი – ყოფილი წითელარმიელი და წითელი არმიის ოფიცერი, რომლებიც ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა და საფრანგეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს, ჯანყდებოდნენ ჰიტლერული სარდლობის წინააღმდეგ და იარაღით ხელში მთელ ჯგუფებად და ქვედანაყოფებად უერთდებოდნენ ფრანგ პატრიოტებს და აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანელებისაგან საფრანგეთისა და ბელგიის განთავისუფლებაში. სამშობლოს სამართლიანად შეუძლია იამაყოს ასეთი შვილებით”[5].

ქართველ პარტიზანთა პირველი ჯგუფები საფრანგეთში 1943 – 1944 წლებში შეიქმნა. ფრანგ ანტიფაშისტ მებრძოლებში განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭეს პარტიზანულმა ჯგუფებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ: ო. კობიაშვილი, ს. ვეშაპიძე, კ. იმნაიშვილი, ა. ნოზაძე, ა. ცხომარია, მ. გაგუა, ბ. სამხარაძე, ა. შიხაშვილი. 1943 წლის შემოდგომიდან საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის შენაერთებთან ერთად ისინი მონაწილეობდნენ სისხლიმღვრელ ბრძოლებში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ აჟენის, ბრივის, ტიულის, ბორდოს, ტულუზას და სამხრეთ საფრანგეთის სხვა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განთავისუფლებაში.

1943 წლის 7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის წლისთავის აღსანიშნავად ქართველმა პარტიზანებმა მწყობრიდან გამოიყვანეს სტრატეგიული

თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი რკინიგზის ხაზი ბორდოსა და აჟენს შორის, ააფეთქეს აგრეთვე ბენზინის ქარხანა ტულუზაში. შავ ტყეებში მოქმედი ქართველ პარტიზანთა რაზმები სისტემატურად თავს ესხმოდნენ კასტრის, მაზამეტისა და კარკასონის გერმანელთა გარნიზონებს, შლიდნენ მტრის კომუნიკაციებს და აფეთქებდნენ ოკუპანტთა სამხედრო საწყობებს.

1944 წლის 4 აგვისტოს ქართველ სამხედრო ტყვეთა ჯგუფი გაიქცა ქ. კარმოს მახლობლად არსებული ბანაკიდან, შეუერთდა ფრანგ პატრიოტებს და მათთან ერთად პარტიზანებს მიაშურა ჟუკევილის ტყეში. იქ შეიქმნა საბჭოთა პარტიზანული რაზმი (მეთაური ი. დინგაშვილი), რომელიც ფრანგი პარტიზანების შენაერთში შევიდა.

6 აგვისტოს გერმანელებმა ალყა შემოარტყეს ჟუკევილში მყოფ ქართველ პარტიზანთა რაზმს. მაგრამ პარტიზანებმა გაარღვიეს ალყა, თან წაიღეს მთელი საჭურველი და საბრძოლო მასალა და ახალ ადგილზე გადაინაცვლეს.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა რაზმის მეთაურმა ი. დინგაშვილმა, აგრეთვე ამ რაზმის მეტყვიამფრქვევეებმა ნ. ტაბაღუამ, ს. ხატიაშვილმა, ა. ხუჭუამ. ისინი განუწყვეტელ ჯვარედინ ცეცხლს უშენდნენ იერიშზე გადმოსულ გააფთრებულ ფაშისტებს, რითაც რაზმს უკან დახევის საშუალება მისცეს. დამსჯელებმა ხელთ იგდეს მძიმედ დაჭრილი ქართველი მეტყვიამფრქვევეები, ჩაყარეს სარდაფში, მოასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვეს. მამაცი მეომრების ეს ოთხეული სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს საფრანგეთის რესპუბლიკის მაღალი საბრძოლო ორდენებით – სამხედრო ჯვრითა და ვერცხლის ვარსკვლავით.

არალეგალური ფრონტული გაზეთი ჟუკევილის ტყეში ქართველი პარტიზანების გმირობის შესახებ წერდა: ”4 აგვისტოს 100 ქართველი გადმოვიდა ჩვენთან. თან მოიტანეს იარაღი, აღჭურვილობა, ტყვიამფრქვევები, თოფები, ხელყუმბარები და დიდძალი საომარი მასალა. გაქცევის წინ მათ ადგილზე დახვრიტეს სამი გერმანელი ოფიცერი და წამოიყვანეს 7 ტყვე... გერმანელები ამ ადამიანებს არასოდეს არ ენდობოდნენ, ვინაიდან სამხედრო ტყვეების გულში მუდამ ღვიოდა საბჭოთა პატრიოტიზმი...

ამის საუკეთესო დადასტურება იყო მათი მონაწილეობით ჩატარებული საბრძოლო ოპერაციები, უწინარეს ყოვლისა გერმანელთა მოულოდნელი იერიშის მოგერიება 6 აგვისტოს ჟუკევილში, სადაც მეტად რთულ სიტუაციაში განსაკუთრებული მამაცობა და საბრძოლო გაწვრთნილობა გამოიჩინეს”[6].

1944 წლის 15 აგვისტოს ქართველები ფრანგ და ესპანელ პარტიზანებთან ერთად თავს დაესხნენ ქალაქ კარმოს გერმანელთა გარნიზონს. კარნოსათვის ბრძოლა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. კრიტიკულ მომენტში ჯგუფი, რომელსაც ვ. სეხნიაშვილი ხელმძღვანელობდა, ზურგიდან თავს დაესხა გერმანელთა ყაზარმებს და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჰიტლერელები აიძულა იარაღი დაეყარათ. ქალაქის მოსახლეობა აღფრთოვანებით ხვდებოდა თავის განმათავისუფლებლებს. კარმოს აღების შემდეგ სამხრეთ საფრანგეთის ქართველ პარტიზანთა ცალკეული

ჯგუფებისაგან შეიქმნა ბატალიონი ო. იშხნელის მეთაურობით. 18 აგვისტოს ღამით საბჭოთა პარტიზანული ბატალიონი მოულოდნელად დაესხა თავს კარმოს გარეუბანში განლაგებულ გერმანელთა ნაწილებს. პირველმა საბჭოთა ბატალიონმა არა მარტო საბოლოოდ შეინარჩუნა ქალაქი კარმო, არამედ ბრძოლებით აიღო ტარნის დეპარტამენტის ცენტრი ქალაქი ალბი. მის განთავისუფლებაში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა პარტიზანებიც, რომლებიც თვით ქალაქის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ამ რაზმს ხელმძღვანელობდნენ ე. ზაუტაშვილი და სხვები. შემდგომში ამ რაზმებისაგან შეიქმნა საბჭოთა პარტიზანების მეორე ბატალიონი, რომელშიც შედიოდნენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები და სსრ კავშირის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ბატალიონი შეუპოვრად ებრძოდა გერმანელებს პირველ ქართულ ბატალიონთან ერთად.

საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გაზეთი ამ ბრძოლებს რომ ახასიათებდა, წერდა: "საბჭოთა პარტიზანები შესანიშნავად უმკლავდებიან მტერს. რაზასტენის გზაზე მოკლულ იქნა 40 გერმანელი. საბჭლთა ამხანაგები პირველნი შევიდნენ ალბიში. კასტრისა და ტულუზის გზისათვის ბრძოლებში ისინი ავანგარდში იმყოფებოდნენ. ქართველი და პოლონელი ამხანაგები იბრძვიან გაიაკში, რაზასტენსა და სხვა ადგილებში"[7].

1944 წლის შემოდგომაზე ტარნის, ავერნოს, ზემო გარონის და სხვა დეპარტამენტებში მოქმედი ცალკეული საბჭოთა პარტიზანული რაზმებისაგან შეიქმნა სამხრეთ საფრანგეთის პირველი საბჭოთა პოლკი. ამ პოლკს მეთაურობდა ო. იშხნელი, შტაბის უფროსი იყო ა. მახარაძე. პირველი საბჭოთა პოლკის მეთაურთა შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. სეხნიაშვილი, ა. კალანდაძე, ვ. კოზლოვი, ე. ზაუტაშვილი, გ. ხიჯაკაძე, ვ. გვენეტაძე, ო. კობიაშვილი, ა. ცხომარია, გ. პატარაია, ვ. ედიშერაშვილი და სხვები. პოლკს თანდათან უერთდებოდა ბევრი მეომარი და გერმანელთა მიერ ტყვეობაში ძალით გარეკილი საბჭოთა ადამიანები. პოლკში იყო 2 700-ზე მეტი კაცი. 200-ზე მეტი ქართველი პატრიოტი გაერთიანდა ქალაქ ნიმში განლაგებულ სხვა საბჭოთა პოლკში. ამ პოლკსაც, აგრეთვე პირველი საბჭოთა პოლკი ერქვა. ფრანგმა ხალხმა დიდად დააფასა ქართველი პარტიზანების ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ასობით ჩვენი თანამემამულე დაჯილდოვდა საფრანგეთის რესპუბლიკის სამხედრო ორდენებითა და მედლებით.

1944 წლის 1 ოქტომბერს ტულუზის ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროფკავშირის თავმჯდომარემ სამხრეთ საფრანგეთის უდიდესი სამრეწველო ცენტრის მშრომელთა სახელით სამხრეთ საფრანგეთის პირველი საბჭოთა პოლკის პირველ ქართულ ბატალიონს (ვ. სეხნიაშვილი) გადასცა წითელი დროშა. მეორე დღეს საბჭოთა პარტიზანებმა ტულუზის 20 ათასი მცხოვრების დასწრებით გვირგვინით შეამკეს "უცნობი ჯარისკაცის" საფლავი[8]. გაზეთმა " ლა ვუა დიუ მიდიმ" მოათავსა სტატია, რომელშიც აღწერა ტულუზის მოსახლეობის აღფრთოვანებული შეხვედრა საფრანგეთში

მოქმედ საბჭოთა ბატალიონთან. ეს სტატია შემოკლებით გაზეთმა "პრავდამ" გადმობეჭდა. სტატიაში ნათქვამია: "ბატალიონს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ბრძოლას საერთო მტრის განადგურებისათვის. რა დაგვავიწყებს იმას, მიმართა მან ბატალიონს, რომ თქვენ იბრძოდით პარტიზანულ რაზმებში ფრანგ ძმებთან ერთად. ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ გხედავთ საფრანგეთის შინაგანი ძალების ჯარისკაცთა ფორმაში. თქვენი ბრძოლა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების რიგებში უნდა იყოს ახალ საფრანგეთსა და მის ძვირფას და დიდ მეგობარს – საბჭოთა რუსეთს – შორის მტკიცე კავშირის პრელუდია...

ბატალიონის მებრძოლთა უზადო მხედრულმა გამართულობამ და მტკიცე ნაბიჯებმა აღაფრთოვანა ხალხი. მან გაარღვია დაცვის კორდონი, რომ გულში ჩაეკრა ეს ადამიანები, რომლებსაც უდიდესი ტანჯვის მიუხედავად არასოდეს დაუკარგავთ თავისი სამშობლოს რწმენა და რომლებიც ბოლომდე იბრძოდნენ ფაშიზმის მოსასპობად"[9].

ქართველი პარტიზანები მონაწილეობას იღებდნენ 1944 წლის 19 – 25 აგვისტოს პარიზელთა აჯანყებაში. აჯანყებას ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი – ჟაკ დიუკლო. პარიზიდან გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა განდევნისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გ. გეგელიამ, აგრეთვე: ვ. ჯიქიამ, ა. მირცხულავამ, ა. მორჩილაძემ, მედიცინის დამ მ. მჭედლიშვილმა და სხვებმა. საფრანგეთში გმირულად იბრძოდა ქართველ პარტიზანთა ბევრი სხვა რაზმი და ჯგუფი. ერთ-ერთ პარტიზანულ ჯგუფს მეთაურობდა გ. ტურაბელიძე[10]. მისი უახლოესი თანაშემწე გახდა მეტყვიამფრქვევე ნ. შალამბერიძე. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: ტურძელაძე, გვასალია, ხვადაგიანი, მაჩაიძე, მარღანია, ბლიაძე, ლეშკაშელი, ჟორჟოლიანი და სხვები. ყველა ისინი მრავალჯერ გააფთრებით შებმიან გერმანელ ოკუპანტებს და პეტენის მილიციის ნაწილებს, რომლებიც სამშობლოს ღალატისა და ჰიტლერელებთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ.

გ. ტურაბელიძის ჯგუფმა საბრძოლო ოპერაციები 1944 წლის 26 მაისს დაიწყო. შემდეგ მას ხშირად გზავნიდნენ ყველაზე სახიფათო უბნებზე. ჯგუფმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჟიუმიაკის, ექსიდეის, ბერჟენაკისა და საფრანგეთის სხვა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლებში. სარლისათვის ბრძოლებში, როცა იმ ბატალიონის შტაბს, რომლის შემადგენლობაში გ. ტურაბელიძის ჯგუფი შედიოდა, მტრის ალყაში მოხვედრის საფრთხე დაემუქრა, ქართველმა პარტიზანებმა ააფეთქეს შტაბისაკენ მიმავალი გზა, რითაც ბატალიონი დაღუპვას გადაარჩინეს. ჟიუმიაკის, ექსიდეის, ბერჟერაკისა და სხვა ქალაქებისათვის ბრძოლებში მონაწილე ყველა ქართველი დაჯილდოებულია "მებრძოლი საფრანგეთის"

ორდენებით. კერძოდ, ბრძანებაში ჯგუფის მეთაურის გ. ტურაბელიძის ჯილდოზე წარდგენის შესახებ ნათქვამი იყო, რომ გ. ტურაბელიძემ გერმანელებს წაართვა დიდძალი იარაღი და საჭურველი, შეუერთდა წინააღმდეგობის მოძრაობის ძალებს დორდონის ჩრდილოეთით და 1944 წლის მაის-აგვისტოში მონაწილეობა მიიღო მრავალ საბოტაჟსა და ბრძოლებში, კერძოდ ექსიდეეში – 26 მაისს, ჟიუმიაკსა და ბერჟერაკში. ბრძოლაში იგი ყოველთვის პირველი იყო, ყველა ვითარებაში სანიმუშო სიმამაცეს იჩენდა[11].

1944 წლის 22 აპრილს გერმანელთა ბანაკიდან საფრანგეთის ქალაქ პერიგეში 75 სამხედრო ტყვე გაიცქა. გაქცევა მოამზადეს გაბედულმა ანტიფაშისტმა იატაკქვეშელებმა: ა. ხეთაგურმა, ვ. გვენეტაძემ, ი. სიმონიამ, ა. თადუმაძემ, ძმებმა გ. და ლ. ბაირამაშვილებმა, გულმაგარაშვილმა და სხვებმა. ისინი შევიდნენ საფრანგეთის წინააღმდეგობის მე-12 სამხედრო პარტიზანულ ოლქში. ოლქის სარდლობამ საბჭოთა ადამიანებს მისცა ფორმის ტანსაცმელი, იარაღი და მათგან ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმი. ამ პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც სათავეში ედგნენ ა. ხეთაგური და ვ. გვენეტაძე, არაერთი გაბედული ბრძოლა გაუმართა ჰიტლერელ ოკუპანტებსა და პეტენის პოლიციას. განსაკუთრებით ვაჟკაცურად იბრძოდნენ რაზმის წევრები ქალაქ მონტინიაკის იერიშის დროს და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის დიდმნიშვნელოვანი ნავსადგურისა და ციხესიმაგრის ლა როშელის აღების ოპერაციაში.

იურას რაიონში მოქმედ ადგილობრივი პარტიზანების ბატალიონს – ”ადლერს” შეუერთდა საბჭოთა პარტიზანების ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიოდა აგრეთვე ქართული ქვედანაყოფი 20 კაცის შემადგენლობით.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ ქართველი პარტიზანები ერთხანს იქვე დარჩნენ და მუშაობდნენ საბჭოთა ადამიანების რეპატრიაციის საქმეებზე, ხოლო 1945 წლის ივნის-სექტემბერში ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ.

ფრანგი ხალხი არ ივიწყებს თავის მებრძოლ მეგობრებს – საბჭოთა ადამიანებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ნაცისტი მტარვალებისაგან საფრანგეთის განთავისუფლებას. მრავალთა გმირობა ძეგლებითაა უკვდავყოფილი. ერთ-ერთი ასეთი ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა 1966 წლის 8 მაისს ქალაქ პერიგეში 9 დაღუპული ქართველი გმირის: ი. აბრამიძის, ი. ალხანიშვილის, გ. ჯიქიას, ნ. მარგებაძის, ე. ებრალიძის, ი. ჩხენკელის, ა. პეტრიაშვილისა და ა. მირიანაშვილის საფლავზე[12].

ქართველი პარტიზანები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში. ამას მოწმობს წინააღმდეგობის მოძრაობის გამოჩენილი მეთაურების პიეტრო სეკიას და ჩინო მოსკატელის წიგნი ”მონტე-როზა მილანში ჩამოვიდა”[13], რომელშიც მოყვანილია ქართველი ხალხის შვილების გმირობის მრავალი ნათელი მაგალითი.

პიეტრო სეკია და ჩინო მოსკატელი წერენ: ”ვალდესოლის ცალკეულ რაიონებში გერმანელთა ჯარები შეცვალეს ყოფილი სამხედრო ტყვეების –

ქართველებისა და ჩეხოსლოვაკიელების რაზმებით. მათ გაუკეთეს მობილიზაცია და მეთაურებად გერმანელი ოფიცრები დაუყენეს. მაგრამ ბრძოლის ზონაში მისვლისთანავე ეს რაზმები თითქმის მთლიანად პარტიზანთა მხარეზე გადადიოდნენ[14]. იტალიის პარტიზანულ რაზმებს შეუერთდნენ გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოქცეული ქართველი სამხედრო ტყვეები.

ქართველ პარტიზანთა ბატალიონი (მეთაური კ. ლეჟავა, კომისარი შ. კვასხვაძე) მონაწილეობას იღებდა გრაველონის ბრძოლაში. ამ ბრძოლის მსვლელობას რომ აღწერენ, პ. სეკია და ჩ. მოსკატელი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ქართული პარტიზანული ბატალიონის მებრძოლთა გმირობაზე: ”გრაველონის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ამ ზონაში განლაგებული ”რედის” მე-2 დივიზიისა და დივიზია ”ფილიპო ბერტრამის” პარტიზანული რაზმები, ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი ქართულმა ბატალიონმა... მოკლულთა და დაჭრილთა სახით ყველაზე დიდი ზარალი მოუვიდათ ქართულ ბატალიონს და ბატალიონ ”სერვადეის”[15].

გრაველონის ბრძოლის შემდეგ, როცა პარტიზანული რაზმების გარშემორტყმის სარფთხე შეიქმნა, ცალკეულმა პარტიზანულმა ნაწილებმა, მათ შორის ქართულმა ბატალიონმაც, მიიღო ბრძანება იერიში მიეტანა პარტიზანების ზურგში მოქცეულ მტერზე. დაღლილობის მიუხედავად ეს ნაწილები ეკვეთნენ მტერს და ძლიერი დარტყმით უკუაგდეს საწყის პოზიციებზე[16].

პ. სეკია და ჩ. მოსკატელი თავიანთ წიგნში არაერთხელ აღნიშნავენ ქართველი პარტიზანების გმირობას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი აღწერენ დომოდოსოლის რაიონში მომხდარ ამბებს, პარტიზანული ბრძოლები კი წარმოებდა ქვეყნის სხვა პუნქტებსა და რაიონებში, სადაც მოქმედებდა ხუთი ქართული პარტიზანული რაზმი, რომლებშიც ასობით პარტიზანი იყო გაერთიანებული. მათს მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ მამაცი მეთაურები: ნ. კუბლაშვილი, ვ. ურუშაძე, ი. სიგუა, ვ. ლეკვეიშვილი, ა. ფარცხალაძე, ვ. გაბისონია, ნ. ესართია, გ. ჩხაიძე და სხვები.

ქართველმა პარტიზანებმა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის სარდლობის საერთო აღიარება დაიმსახურეს. ზოგიერთ ჯგუფს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, საბრძოლო დროშები გადაეცა. ერთ-ერთი ასეთი დროშა თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ქალაქ პარმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაიჭრა მრავალი პარტიზანი, რომლებიც იტალიელი ხალხის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლებში ბედმა იტალიის საკონცენტრაციო ბანაკში მიიყვანა ქართველი სამხედრო ტყვეები შ. მუნჯიშვილი და ნ. გიორგაძე. ამ მამაცმა და ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულმა ადამიანებმა არაფრად ჩააგდეს სასიკვდილო საფრთხე, თავი დააღწიეს ფაშისტების ტყვეობას და 1943 წლის ოქტომბერში შევიდნენ

გარიბალდელი პარტიზანების საბრძოლო რაზმში. ფაშისტ მოძალადეთა წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში უშიშრობისა და მამაცობისათვის ნ. გიორგაძე და შ. მუნჯიშვილი დაჯილდოვდნენ იტალიის საბრძოლო ორდენებით, რომლებიც მათ გადაეცათ იტალიაში ჩასვლისას – 1966 წელს[17].

1944 წლის 3 დეკემებრს ფაშისტმა დამსჯელებმა ალყაში მოაქციეს გარიბალდელთა "სერვადეის" ბრიგადის რაზმი "ლაგო მაჯორეს" ტბის რაიონში. გარიბალდელები თავგანწირულად უკმლავდებოდნენ ფაშისტებს, მაგრამ თვითონაც დიდი ზარალი მოუვიდათ. პარტიზანების მცირე ნაწილმა მოახერხა გამაგრებულიყო მახლობლად მდგარ ქოხში, რომელსაც მალე ფაშისტებმა საშინელი ცეცხლი დაუშინეს. პარტიზანების უმრავლესობა დაიღუპა, ან დაიჭრა; მძიმედ დაჭრილთა შორის იყო ბატალიონის მეთაური. ვაზნები ელეოდათ. გერმანელებმა წინადადება მისცეს, გაეცათ მეთაური, რის საფასურადაც დანარჩენებს სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვეს. მაშინ დაჭრილმა პარტიზანმა საბჭოთა არმიის ყოფილმა სერჟანტმა ფორე მოსულიშვილმა, რომელიც გარიბალდელებში უმაგალითო მამაცობით გამოირჩეოდა, დაასწრო მეთაურს, გააღო ქოხის კარი, წელში გასწორდა და ომახიანად შეჰყვირა: "მეთაური მე ვარ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს" გაუმარჯოს თავისუფალ იტალიას!" და შუბლში იკრა ტყვია. საკუთარი სიცოცხლის ფასად მან იხსნა მებრძოლი იტალიელი მეგობრები[18].

1970 წლის 28 თებერვალს იტალიის პრეზიდენტის დეკრეტით ფორე მოსულიშვილს მიენიჭა "იტალიის ეროვნული გმირის" მაღალი წოდება. 1971 წლის მარტში იტალიის ელჩმა სსრ კავშირში საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა და საქართველოდან ჩასული სტუმრების დასწრებით ფორე მოსულიშვილის ძმებს მოსკოვში გადასცა იტალიის ეროვნული გმირის ოქროს მედალი, - "მხედრული გმირობისათვის", რათა ეს დიდი ჯილდო გმირის დედისათვის ჩაებარებინათ. მეტად საგულისხმოა, რომ იტალიის ეროვნული გმირის წოდება მეორე მსოფლიო ომში მინიჭებული აქვს მხოლოდ ორ უცხოელს, საბჭოთა მეომრებს – თევდორე პოლეტაევს და ფორე მოსულიშვილს.

გერმანელი ოკუპანტებისა დ მუსოლინის სისხლიანი რეჟიმისაგან იტალიელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცა ან ჰიტლერელთა ჯალათების ხელით სიცოცხლეს გამოესალმა ათობით ქართველი პარტიზანი, რომელთა საფლავები იქცა მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის ხალხთა ერთობლივი ბრძოლის სიმბოლოდ.

მეორე მსოფლიო ომის დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა ქართული ბატალინის აჯანყება კუნძულ ტექსელზე.

ეს ბატალიონი ჰიტლერელებმა ჩამოაყალიბეს პოლონეთში, დაბა კრუშინოში, 1943 წლის გაზაფხულზე. მის შემადგენლობაში იყო 800 ქართველი სამხედრო ტყვე და 400 გერმანელი. საბჭოთა სამხედრო ტყვეები, რომლებიც აღსავსე იყვნენ შურისძიებით ფაშისტ დამპყრობლებზე მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, დაუკავშირდნენ პოლონელ

პარტიზანებს. ისინი გერმანელთა სამხედრო საწყობებიდან იტაცებდნენ საჭურველს, სამხედრო ტანსაცმელს და ყოველივე ამას პოლონელ პატრიოტებს აძლევდნენ. ჰიტლერელებმა აღმოაჩინეს, რომ ბატალიონში წარმოებდა იატაკქვეშა ანტიფაშისტური მუშაობა, და მხეცურად გაუსწორდნენ მის ხელმძღვანელს, ბატალიონი კი გადაიყვანეს საფრანგეთის პატარა ქალაქ ლეონში (საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის ახლოს). მაგრამ საბჭოთა სამხედრო ტყვეებმა აქაც დაამყარეს კავშირი საფრანგეთის ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებთან, ამიტომ მალე ისინი გადაისროლეს ჰოლანდიაში, ქალაქ ზანდფოორტში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე.

ზანდფოორტში ყოფნისას 1944 წლის დამდეგს ქართულმა ბატალიონმა ე. არტემიძისა და ნ. მიქიაშვილის საშუალებით კავშირი დაამყარა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ჰარლემის რაიონულ კომიტეტთან, აგრეთვე ჰოლანდიელი პატრიოტების სხვა ორგანიზაციებთან და აქტიური ბრძოლა გააჩაღა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. კონსპირაციულმა ჯგუფმა ბატალიონის უფროსად დანიშნა კაპიტანი შ. ლოლაძე, კომისრად – ს. გუჯაბიძე, ბატალიონის უფროსის მოადგილედ კი – ნ. გონგლაძე. ქალაქ ჰარლემის რაიონული პარტიული კომიტეტის მდივანი ანი ავერინკი, რომელიც შემდეგ ჰოლანდიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და პარლამენტის დეპუტატი გახდა, დაეხმარა ქართველ სამხედრო ტყვეებს ბატალიონში განემტკიცებინათ ანტიფაშისტური ორგანიზაცია, რომელმაც მთლიანად აიღო ხელში ბატალიონისადმი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, გააძლიერა ჰოლანდიელი პარტიზანების მომარაგება იარაღითა და ასაფეთქებელი მასალებით და ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ არალეგალური ბრძოლის შტაბად იქცა.

ასე, მაგალითად, ბატალიონის მებრძოლებმა განაღმეს ზღვის სანაპიროს უბანი, შეადგინეს სათანადო აქტები, სქემები და წინააღმდეგობის საბჭოს და ინგლისის სარდლობას გადაუგზავნეს. ბატალიონი უშვებდა არალეგალურ გაზეთ "ელვას", რომელსაც ბეჭდავდნენ ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის იატაკქვეშა სტამბაში სტეკლოგრაფზე.

ჰიტლერელები მიხვდნენ, რომ ბატალიონში ანტიფაშისტური მუშაობა ტარდებოდა, და 1944 წლის თებერვლის დამდეგს იგი კუნძულ ტექსელზე გადაიყვანეს. 1945 წლის მარტის დამლევს ჰიტლერელებმა დააპირეს ქართული ბატალიონის მებრძოლთა უმეტესობა ისევ კონტინენტზე, ჰოლანდიაში, გადაეყვანათ და გაეგზავნათ ფრონტზე ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ. შექმნილი მდგომარეობის გამო ბატალიონის არალეგალურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 1945 წლის 6 აპრილს ღამით აჯანყება დაეწყო. ზუსტად დათქმულ დროს ქართველები თავს დაესხნენ გერმანელთა გარნიზონს და ძირითადად ცივი იარაღით თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს იგი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს კუნძულის სიმაგრეები. სამხედრო დაბა ტექსელის ბატალიონის შტაბის შენობაზე და ქალაქ დენ

ბურხის რატუშაზე სსრ კავშირისა და ჰოლანდიის ალმები აფრიალდა. 6-დან 9 აპრილამდე კუნძულზე მხოლოდ კანტიკუნტად ხდებოდა შეტაკებები ცალკეულ გერმანელ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან. 9 აპრილს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. კონტინენტიდან, დენ ჰელდერიდან, გერმანელებმა გახსნეს ძლიერი საარტილერიო ცეცხლი, შემდეგ კი არტილერიის საფარქვეშ სცადეს საზღვაო დესანტის გადმოსხმა.

საჭირო იყო სასწრაფო თავდაცვით ღონისძიებათა განხორციელება. 9 აპრილს ღამით მოტორიანი ნავით ლონდონში გაიგზავნა დელეგაცია – ა. მაჩაიძე, ს. ქარქაშაძე, გ. რეხვიაშვილი, დ. გავაშელი. ბატალიონის ხელმძღვანელობამ ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას გააცნო კუნძულზე შექმნილი მდგომარეობა და სთხოვა დახმარება.

იმის გამო, რომ მტერს გამოჰყავდა ახალი ძალები, აჯანყებულთა რაოდენობა კი მცირდებოდა (მწყობრიდან გამოყვანილ იქნა 300 მებრძოლი), ინგლისელებმაც არ აღმოუჩინეს დახმარება, ბატალიონი იძულებული გახდა კუნძულის ტყეებისათვის შეეფარებინა თავი და პარტიზანულ ბრძოლაზე გადასულიყო. პარტიზანული ბრძოლის პირველსავე დღეებში მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ბატალიონის მეთაური შ. ლოლაძე და კომისარი ს. გუჯაბიძე. მეთაური შეცვალა ნ. გონგლაძემ, კომისარი – შ. ნოზაძემ. ბრძოლები ბერლინის აღების შემდეგაც გრძელდებოდა.

სამშობლოში წამოსვლის წინ ქართველებმა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური დახმარებით მოძებნეს ბრძოლაში დაღუპული 500-ზე მეტი ქართველ მეომართა გვამები. დამარხეს ისინი ძმათა სასაფლაოზე და დროებითი ძეგლი დაუდგეს. შემდგომში ჰოლანდიის საზოგადოების მიერ შეგროვილი თანხებით გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ აჯანყების დროს დაღუპული საბჭოთა პარტიზანების საფლავზე აღიმართა დიდებული ძეგლი, რომელიც 1953 წლის 2 მაისს გაიხსნა[19]. ტექსელის კუნძულზე აჯანყებულებს სისხლი ტყუილად არ დაუღვრიათ. საბჭოთა სამხედრო ტყვეებმა აჯანყების დროს დახოცეს 2500-ზე მეტი ჰიტლერელი და თავიანთი წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში. ჰოლანდიური გაზეთი 1945 წლის 16 აპრილს წერდა: ”ტექსელის ბრძოლებში წარმოიშვა ჰოლანდიელი და ქართველი ამხანაგების საბრძოლო მეგობრობა. ეს ერთობლივი ბრძოლა ჰოლანდიის ისტორიაში დარჩება ომის ერთ-ერთ ყველაზე გმირულ ეპიზოდად”[20].

ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ (1958 წლის 26 – 29 დეკემბერი) აღნიშნა ქართველ აჯანყებულთა ღირსეული წვლილი ანტიფაშისტური წინაამდეგობის მოძრაობაში მეორე მსოფლიო ომის წლებში და თავის დადგენილებაში ჩაწერა, რომ ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კუნძულ ტექსელზე ქართველი საბჭოთა სამხედრო ტყვეების აჯანყება[21].

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარტიზანულ ომსა და წინააღმდეგობის მოძრაობაში მთელი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს შვილებიც, რომლებმაც

თავიანთი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო რეაქციის ყველაზე აგრესიულ ძალებზე გამარჯვების საერთო საქმეში.

---

[1] **М. Торез,** Сын народа, М., 1950, стр. 148.
[2] იხ. **М. И. Семиряга,** Советские люди в Европейском Сопротивлении, Изд. «Наука», М., 1970, стр. 7.
[3] Газ. «Красная звезда», 15 ноября 1956 г.
[4] ცნობები აღებულია კრებულებიდან: «Как зараждалась вековая дружба» (Братислава, 1959); «Вы заваевали нам мир» (Прага, 1961), რომლებშიც გამოქვეყნებულია ზემოთ მოხსენიებული პარტიზანების მოგონებანი.
[5] «Правда», 11 ноября 1944 г.
[6] გაზ. "ლე სოლდატ სიტუაიენ", 1944 წლის 20 აგვისტო.
[7] გაზ. "ლა ვუა დიუ მიდი", 1944 წლის სექტემბერი.
[8] «Правда», 4 октября 1944 г.
[9] იქვე.
[10] Газ. «Молодежь Грузии», 24 марта 1960 г.
[11] Газ. «Молодежь Грузии», 24 марта 1960 г
[12] გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", 1966 წლის 22 ოქტომბერი.
[13] Пъетро Секкья, Чино Москатели. Монте-Роза спустилась в Милан. М., 1961.
[14] იქვე, გვ. 242.
[15] იქვე, გვ. 251.
[16] Пъетро Секкья, Чино Москатели. Монте-Роза спустилась в Милан. М., 1961, с. 249.
[17] გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", 1966 წლის 22 ნოემბრი.
[18] გაზ. "კომუნისტი", 1974 წლის 4 დეკემბერი.
[19] «Правда», 5 мая 1953 г.
[20] გაზ. "დე ვაარჰეიდ", 1945 წლის 2 ივნისი.
[21] XIX съезд Коммунистической партии Нидерландов, М., 1959, стр. 95.

§ 7. საქართველოს დახმარება ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებისადმი

საბჭოთა ხალხის ერთიანობა და შეკავშირება ნათლად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში.

საქართველოს მშრომელები, რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ ჩვენი ქვეყნის რაიონებს ეხმარებოდნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭო მიიღებდნენ 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილებას "გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ". ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებაში მთელი საბჭოთა კავშირის რაიონებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოები და კოლექტივები, ასევე

კულტურულ დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების დიდი უმეტესობა.

ფაშისტი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენაში საქართველო ძმურ დახმარებას უწევდა ძირითადად ჩრდილო კავკასიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს, ქალაქ სტალინგრადს და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს. მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა აღსადგენად საქართველოს რესპუბლიკიდან განთავისუფლებულ რაიონებში იგზავნებოდა დიდძალი სხვადასხვა საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობა, ელექტროდანადგარები, სათადარიგო ნაწილები, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა, სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიოაპარატურა, აგრეთვე საფოსტო ინვენტარი. ამის გარდა საქართველოდან იგზავნებოდა სურსათი, პირველი საჭიროების საგნები, ავეჯი, კულტურული და სამეურნეო ინვენტარი, აგრეთვე მედიკამენტები, საჩუქრები და სხვა. აღსადგენ საწარმოებში შრომობდა ათასობით ინჟინერ-ტექნიკოსი და მაღალკვალიფიციური მუშა საქართველოდან, რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმო შეფობდა განთავისუფლებული რაიონების შესაბამის ქარხნებს, ფაბრიკებსა და სატრანსპორტო ორგანიზაციებს.

1943 წლის მაის-აგვისტოში სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, ჩრდილო ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და როსტოვის ოლქის მოსახლეობისათვის საქართველოდან გაიგზავნა ათობით მილიონი მანეთის სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, ავეჯი, ინვენტარი და კვების პროდუქტები. მოგვიანებით ასეთი დახმარება უფრო ფართო მასშტაბით გაეწია სტალინგრადისა და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს. განთავისუფლებული რაიონების მშრომელები გულწრფელ მადლობას გამოთქვამდნენ ამ დახმარების გამო.

საკ. კპ(ბ) სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის მდივანი და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნისადმი მადლობის დეპეშაში წერდნენ: ”...ჩვენ შევიტყვეთ იმ განსაკუთრებული ყურადღების შესახებ, რაც თქვენ გამოიჩინეთ გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული ქალაქის – სტავროპოლის მშრომელებისადმი ძმური დახმარების საქმეში იმით, რომ გამოგვიგზავნეთ 3,5 მილიონი მანეთის უაღრესად საჭირო სამრეწველო საქონელი.

თქვენი ყურადღება და ძმური დახმარება გერმანელი ოკუპანტების მიერ დაზარალებული ჩვენი ქალაქების მოსახლეობისადმი ნათლად მოწმობს სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობასა და ურღვევ მეგობრობას დიდ განმათავისუფლებელ ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ”[1].

1943 წლის ივნისში საქართველოდან უკრაინის განთავისუფლებულ რაიონებში გაიგზავნა ერთ მილიონ მანეთზე მეტი ფართო მოხმარების საქონელი და 1500 დეკალიტრი ღვინო და არაყი[2].

დონბასში საქართველოდან მიიღეს დიდძალი საშახტო მოწყობილობა, ლენტური ტრანსპორტიორები, საყელავი მანქანები სათადარიგო ნაწილებით, ლითონსაჭრელი ჩარხები, ელექტროდანადგარები, ვაგონეტები, ვენტილატორები, მეშახტის ტანსაცმელი და ხელსაწყოები, მატარებლების, ვაგონებისა და ელექტროძრავების სათადარიგო ნაწილები, კავშირგაბმულობის აპარატურა და მოწყობილობა. მარტო 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელმა ქარხანამ დონბასის მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა 22 სხვადასხვა ჩარხი, რკინიგზელებმა კი – 80 ახლადშეკეთებული ორთქლმავალი, 5648 ერთეული სხვადასხვა საგზაო მექანიზმი და ხელსაწყო, 54 თოვლსაწმენდი, 5 თოვლის ამღები სპეციალური მატარებელი, 3 მოძრავი ელექტროსადგური, 1400 ცალი მატარებლის სათადარიგო ნაწილი, მნიშვნელოვანი რაოდენობით ცემენტი და ხე-ტყის მასალა ხიდების აღსადგენად და ა. შ.[3].

დონბასის მრეწველობის აღსადგენად, კერძოდ, ქალაქ ენაკიევოში დიდხანს მუშაობდა თიბილისელ ახალგაზრდათა რაზმი მაღალკვალიფიციური ინჟინრებისა და ტექნიკოსების ხელმძღვანელობით. ეს რაზმი 54 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის შემადგენლობით, რომელთაგან თოთხმეტს მიენიჭა ფრონტული ბრიგადის წოდება, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა საწარმოო გეგმებს, ყოველთვიურად არემონტებდა 4 ორთქმავალსა და 20 ვაგონს. ამ რაზმმა მაღალხარისხოვნად და ვადამდე აღადგინა საგლინავი დგანი, აგრეთვე სხვა სამრეწველო ობიექტები, მან არაერთხელ გაიმარჯვა დონბასის ახალგაზრდული ბრიგადების სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოსა და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავლი წითელი დროშა[4].

თუ როგორ ეხმარებოდა საქართველო გათავისუფლებულ დონბასს, ეს კარგად არის ნათქვამი უკრაინის კპ(ბ) სტალინოს საოლქო კომიტეტის მდივნის წერილში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნისადმი: ”წლების მანძილზე მტკიცდებოდა უკრაინისა და მზიური საქართველოს მშრომელთა განუყრელი ძმური მეგობრობა. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო დიდი სამამულო ომის ცეცხლში.

დონბასის მშრომელებმა განსაკუთრებით ღრმად იგრძნეს ეს მეგობრობა და დააფასეს ქართელი ხალხის მიერ გაწეული ძმური დახმარება გერმანელ დამპყრობთაგან დონბასის განთავისუფლების პირველ დღეებში.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც მთელი ჩვენი მძლავრი საბჭოთა მხარის ყველა ხალხი, ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს დონბასის ინდუსტრიის განვითარებაში”[5].

ოკუპაციისაგან დაზარალებული დასახლებული პუნქტებისა და მათი სახალხო მეურნეობის აღდგენის ფონდში რესპუბლიკის მშრომელებს შეჰქონდათ არასამუშაო დროსა და გამოსასვლელ დღეებში გამომუშავებული მნიშვნელოვანი ფულადი თანხები. მაგალითად, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მიერ 1943 წლის 19 და 26 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში გამომუშავებული პროდუქცია გათვალისწინებული იყო ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად. კერძოდ, საფეიქრო ფაბრიკების მიერ ამ დღეებში გამომუშავებული პროდუქცია და საქართველოს შახტებში ამოღებული ქვანახშირი დონბასში გაგზავნეს, ხოლო სტალინგრადის აღდგენისათვის 1943 წელს გადაირიცხა დაახლოებით 3,3 მლნ მანეთი[6].

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აღსადგენად დაახლოებით ორ თვეს მუშაობდა თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კვალიფიციურ მუშათა ბრიგადა. მან გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალება და გეგმის ზევით 12 ლითონსაჭრელი ჩარხი შეაკეთა[7].

ნიკოპოლის მანგანუმის საბადოების აღდგენაში ქმედით მონაწილეობას იღებდა "ჭიათურმარგანეცის" ტრესტის კოლექტივი[8]. თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა შეფობას უწევდა და ყოველნაირად ეხმარებოდა ხარკოვის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანას. თბილისის რკინიგზის დეპო შეფობდა ნიჟნედნეპროვსკის საორთქმავლო დეპოს, თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა მაიკოპის მ. ფრუნზეს სახელობის ქარხანას. ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის აღდგენაში მონაწილეობდნენ ზესტაფონელი კოლეგები[9].

უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს (დონეცკის) ოლქის სარეწაო კოოპერაციის საქმიანობის მოწესრიგებაში საქართველოს კოოპერატორებსაც უდევთ წილი – "სარეწაო კავშირმა" დონეცკში გაგზავნა ათობით დაზგა, მრგვალი ხერხები, ელექტრომოტორები, საკერავი მანქანები. ბევრი სამრეწველო ნედლეული სურსათი და სხვადასხვა საჩუქრები. ამავე დროს უკრაინელ და ქართველ კოოპერატორებს შორის განახლდა ომის დროს შეწყვეტილი სოციალისტური შეჯიბერება[10].

როსტოვის ოლქის მშრომელებმა მარტო 1943 წლის მეორე ნახევარში საქართველოდან მიიღეს რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულების მსუბუქი მრეწველობის საქონელი. მარტო 1943 წლის მეოთხე კვარტალში გაიგზავნა 300 ათასი მანეთის ტანსაცმელი, 500 ათასი მანეთის სამკერვალო საქონელი, 720 ათასი მანეთის წინდები, 710 ათასი მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი და ა. შ.[11].

დიდი დახმარება გაეწია მედიკამენტებითა და სურსათით გმირ ლენინგრადს. მარტო 1944 წლის პირველ ნახევარში ლენინის ქალაქს გაეგზავნა ასობით ვაგონი კვების პროდუქტები. 1944 წლის 1 თებერვლიდან 17 თებერვლამდე გმირმა ქალაქმა მიიღო 102 ვაგონი, ხოლო იმავე წლის აპრილ-

მაისში – 493 ვაგონი სურსათი. 1944 წლის მაისში ლენინგრადის ვიტამინების ქარხანას გაეგზავნა 50 ტონა გამხმარი ასკილი და სხვ.[12].

ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის მოგვარებისა და სრულყოფის მიზნით მუდმივ სამუშაოდ იგზავნებოდნენ არა მარტო ექიმები, არამედ მთელი სამედიცინო დაწესებულებებიც. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი განთავისუფლებული რაიონების საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში უკვე 1944 წლისათვის მუდმივ სამუშაოდ საქართველოდან გაიგზავნა ხუთასზე მეტი ექიმი, ხოლო ხარკოვის ოლქში – პოლიკლინიკის სრული მოწყობილობა მედიკამენტების მნივშნელოვანი მარაგითა და მედიცინის მუშაკთა მთელი შემადგენლობით[13].

განთავისუფლებულ რაიონებში საქართველო გზავნიდა ბევრ სპეციალისტს, აგრეთვე დიდძალ სამშენებლო მასალას. 1943 წლის მეორე ნახევარში მარტო დონის როსტოვში ხიდების აღსადგენად გაიგზავნა ათასობით კუბური მეტრი ხის მასალა. 1944 წლის მაის-ივნისში კასპის ცემენტის ქარხანამ უკრაინისა და ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონს მიაწოდა 114 ვაგონი ცემენტი. 1943 წლის შემოდგომაზე სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კურსდამთავრებულთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მუდმივსამუშაოდ გაიგზავნა 30 ტექნიკოსი. ამას გარდა, მშენებლობის სპეციალისტები გაიგზავნა სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან, აგრეთვე კურსებიდან, რომლებიც მოეწყო საზოგადოებრივ საწყისებზე საქართველოს მშენებელთა რესპუბიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან. ეს საზოგადოება სისტემატურ დახმარებას უწევდა ჩრდილო კავკასიისა და უკრაინის ქალაქების ბევრ სამშენებლო ორგანიზაციას[14].

მშენებელთა საქართველოს რესპუბლიკური საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოება არა მარტო კვალიფიციურ კონსულტაციებს უწევდა სამშენებლო ორგანიზაციებს, არამედ უფასოდ აძლევდა მათ საჭირო ტექნიკურ დოკუმენტაციას. ეს საზოგადოება წარმატებით მონაწილეობდა ბაქსანის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენითს მშენებლობაზე[15]. ბაქსანის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა დაევალა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე კოლექტივს "ხრამჰესმშენის" ტრესტს. მან ღირსეულად შეასრულა საპასუხისმგებლო დავალება, და ბაქსანის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი მწყობრში ჩადგა უკვე 1943 წლის 25 დეკემბერს. ამ კოლექტივის შემადგენლობაში წარმატებით მუშაობდნენ ჰიდრომშენებლები: გ. ცისკარელი, ვ. ვარაზიშვილი, ა. განგია, პ. მესხიშვილი, ა. მიქაბერიძე, ე. რუხაძე, მ. ებრალიძე და სხვები[16].

ნოვოროსიისკის მოსახლეობას გერმანელი ფაშისტების მიერ დანგრეული ქალაქის აღდგენაში დიდად დაეხმარნენ სპეციალური სამშენებლო ბრიგადები, რომლებიც სოხუმიდან გაიგზავნა თავიანთი სამშენებლო მასალით[17].

ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების სოფლის მეურნეობას საქართველომ გაუგზავნა სპეციალისტები, ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილებისა და სხვა მანქანების სათადარიგო ნაწილები, თესლი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგები, პირუტყვი, პირველი მოთხოვნილების საგნები, საოჯახო ნივთები, სხვადასხვა ინვენტარი და ა. შ. უკვე 1943 წელს საქართველოს საწარმოებმა დაამზადეს ტრაქტორებისა და კომაინების 97 დასახელების 295,6 ათასი ცალი სათადარიგო დეტალი. მათი დიდი ნაწილი განთავისუფლებულმა რაიონებმა მიიღეს. იმავე წლის ბოლოს მარტო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკისათვის თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში შეკეთდა 59 ავტომანქანა, ხოლო 1943 წლის აგვისტოში კრასნოდარის მხარეს გაიგზავნა 25 მოტორი კომბაინ-კომუნარისათვის, 71 ტრაქტორი, 36 ავტომანქანა და 200 ბუღა-მწარმოებელი[18].

1944 წელს უკრაინის სს რესპუბლიკასა და რსფსრ ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებული რაიონებისათვის საქართველოდან გაიგზავნა 26 ათას სულზე მეტი მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა[19].

განთავისუფლებული ოლქების სოფლის მეურნეობის მშრომელებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ საქართველოს ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების მშრომელები. საქართველოს სს რესპუბლიკის საგარეჯოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელები შეფობდნენ უკრაინის ხარკოვის ოლქის კრასნოგრადის რაიონის კოლმეურნეობებს. ამ შეფობის ინიციატორები იყვნენ სოფელ სართიჭალის ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები. ამ კოლმეურნეობაში ხარკოვის ოლქის განთავისუფლებამდე მუშაობდა სოფელ პეტროვკის კოლმეურნეობა ”სერპ ი მოლოტის” ევაკუირებული ბრიგადირი მ. პალაგუტა, რომელმაც თავდადებული და კეთილსინდისიერი შრომით სახელი გაითქვა ქართველ კოლმეურნეებს შორის[20].

საქართველოს გურჯაანის რაიონის სოფლის მშრომელები, რომლებიც ეჯიბრებოდნენ უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვოს რიაონის კოლმეურნეებს, არსებით დახმარებას უწევდნენ მათ. ისინი თავიანთ უკრაინელ კოლეგებს აწვდიდნენ დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგებს, პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, საყოფაცხოვრებო საგნებს, სურსათს, კულტსაქონელს, სასტამბო მოწყობილობასა და უკრაინულ შრიფტსაც კი[21].)

როგორც ცნობილია, ომამდე დიდი ხნით ადრე საქართველოს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა ეჯიბრებოდა ზაპოროჟიეს ოლქის (ამჟამად ხერსონის ოლქის) გენიჩესკის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. მაგრამ ომმა არათუ შეწყვიტა სოციალისტური შეჯიბრება, ფაშისტების მიერ გენიჩესკის რაიონის ოკუპაციის გამო, არამედ მძიმე პირობები შეუქმნა სოფელ შრომის კოლმეურნეობას, ვინაიდან არტელის ხუთასზე მეტი წევრი ფრონტზე წავიდა. სიძნელეების მიუხედავად, სოფ. შრომის მცხოვრები ძირითადად ქალები და

მოზარდები მუშაობდნენ როგორც თავისი და ფრონტზე წასული კოლმეურნეების, ისე თავიანთი უკრიანელი მეგობრების მაგივრადაც. ისინი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს და მნიშვნელოვნად გააფართოეს თავიანთი მეურნეობა. როგორც კი შეიტყვეს საბჭოთა არმიის მიერ გენიჩესკის რაიონის განთავისუფლების ამბავი, სოფელ შრომის კოლმეურნეებმა გამართეს მიტინგი, რომელზეც სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაეხმარებოდნენ უკრაინელ მეგობრებს. ”ძვირფასო გენიჩესკელო ძმებო და მეგობრებო! – წერდნენ მახარაძელი კოლმეურნეები, - ჩვენი ურთიერთობა დროებით შეწყვეტილი იყო, მაგრამ სულითა და გულით მუდამ თქვენთან ვიყავით. დაუღალავად ვმუშაობდით, რათა დავხმარებოდით ფრონტს, დავხმარებოდით წითელ არმიას, ყოველი ღონით ვცდილობდით მოგვეახლოვებინა თქვენი განთავისუფლების დღე. და ეს სანატრელი დღე დადგა. ჩვენ ვიცით, რომ თქვენი კოლმეურნეობა და სახლკარი მტერმა ნაცარტუტად აქცია. გადავწყვიტეთ, შეძლებისდაგვარად დაგეხმაროთ დანგრეული მეურნეობის აღდგენაში.

მალე გამოგიგზავნით 500 ფუთ მარცვლეულს, 4 ბუღა-მწარმოებელს, 2 ულაყს, 5 მუშა ცხენს, 6 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, 4 ღორს, 2000 სხვადასხვა საოჯახო ნივთს და ტანსაცმელს, 1200 ლიტრ ღვინოს, 400 ლიტრ არაყს, ვაგონ ციტრუსების ნაყოფსა და ხილს, 485 წიგნს და სხვა ნივთებს. ეს ბევრი არ არის, მაგრამ გიგზავნით სულითა და გულით. შემდეგ კიდევ გამოგიგზავნით. აქტიურად დაგეხმარებით თქვენი მეურნეობის აღდგენაში, ბედნიერი, მჩქეფარე ცხოვრების აღორძინებაში”[22].

ომის პერიოდში ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა ლენინური მეგობრობის მსგავსი მაგალითები არცთუ ისე იშვიათი იყო, რაც არა მარტო მნიშვნელოვნად ზრდიდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, არამედ უდიდეს გავლენასაც ახდენდა სსრ კავშირის მოსახლეობის საბჭოთა პატრიოიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდაზე.

თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა არმიის მეომრებზე სოფელ შრომის კოლმეურნეთა ამ მიმართვამ უკრაინელი მეგობრებისადმი, ჩანს უმცროსი სერჟანტის გ. ლინჩენკოს მიერ სოფელ შრომის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში. ეს წერილი გამოქვეყნდა ერთ-ერთ ფრონტულ გაზეთში. მასში ნათქვამია:

”ჩემს წერილს მაშინ ვწერ, როცა გმირული წითელი არმია ათავისუფლებს მშობლიური უკრაინის მიწა-წყალს. გაზეთში წავიკითხე თქვენი წერილი უკრაინელი კოლმეურნეებისადმი და გული სიამაყის გრძნობით ამევსო. ჩემთვის ისევე ძვირფასია მზიური საქართველო, როგორც მშობლიური უკრაინა. მე ისევე ვაფასებ საქართველოს დიდ პოეტს შოთა რუსთაველს, როგორც მშობლიურ უკრიანელ პოეტს ტარას შევჩენკოს. დიდი უბედურება დაატყდა ჩემს მშობლიურ უკრაინას. მრავალი უკრაინელი

მონებად გარეკეს ჰიტლერელმა ჯალათებმა, აწამეს და ამოჟლიტეს, მაგრამ უკრაინელი ხალხი ცოცხლობს და იბრძვის.

უკრაინის მიწა-წყლის გასათავისუფლებლად რუსის მხარდამხარ იბრძვის უკრიანელი, უკრიანელის მხარდამხარ – ქართველი და სხვა ხალხის შვილები. უკრაინა არასოდეს დაივიწყებს თქვენს სითბოსა და დახმარებას. ამას მე გწერთ როგორც უკრაინელი ხალხის შვილი”[23].

ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებულ რაიონებში სასწავლებლების, თეატრების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და საბავშვო დაწესებულებების აღსადგენად საქართველოდან იგზავნებოდა მრავალი სახელმძღვანელო, სპეციალური ინვენტარი, ათეულ ათასობით ეგზემპლარი პოლიტიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთების ათასობით კომპლექტი, ბევრი თეატრალური რეკვიზიტი, ბუტაფორია, კოსტიუმები, კინოაპარატურა და კინოსურათები.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელობის თეატრმა, რომელიც შეფობდა ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის თეატრს, გადასცა მას ბევრი სათეატრო ქონება, აგრეთვე დაეხმარა დაედგა ვ. დოლიძის ოპერა ”ქეთო და კოტე”. დიდი დახმარება გაეწია ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკის თეატრსაც, რომელსაც გადაეცა დეკორაციები და კოსტიუმები ოთხი სპექტაკლისათვის[24].

1943 წლის ივლის-აგვისტოში კრასნოდარის მხარეს ბიბლიოთეკების აღსადგენად გადაეცა: სხვადასხვა წიგნი – 50 ათას ეგზემპლარზე მეტი, 7 ათასი ჟურნალი და 600 გაზეთის კომპლექტი, ხოლო 1943 – 1944 წლებში საქართველომ სტავროპოლის მხარეში გაგზავნა ხმოვანი მოძრავი კინოს 18 სრული კომპლექტი[25].

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ დახმარებას, რასაც საქართველო უწევდა ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების მოძმე ხალხებს, კერძოდ უკრაინელ ხალხს, კარგად არის ნათქვამი გაზეთ ”რადიანსკა უკრაინას” 1944 წლის 15 მარტის მოწინავე სტატიაში: ”თბილისის ქარხნების მუშები, ქართველი რკინიგზელები, ”ტყვარჩელქვანახშირის” მეშახტეები მანქანებითა და მოწყობილობით ეხმარებიან დონბასის მეშახტეებს. მთელ საქართველოში იგრძნობა დიდი ძმური ზრუნვა გერმანელი არამზადებისაგან განთავისუფლებული ოლქების მშრომელებისადმი.

გმადლობთ, ამხანაგებო, გმადლობთ, ძმებო და მეგობრებო! ეუბნებიან საბჭოთა უკრაინის მშრომელები თითოეულ ქართველ მეგობარს”.

საბჭოთა ქვეყნის განთავისუფლებული რაიონების სახალხო მეურნეობასა და კულტურულ დაწესებულებათა სასწრაფოდ აღდგენაში გამოვლინდა კომუნისტური პარტიის მიერ ნაწრთობი საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა.

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13115, ფურც. 7.
[2] იქვე, საქ. 12972, ფურც. 137.
[3] იქვე, საქ. 13129, ფურც. 74 – 75.
[4] Газ. «Заря Востока», 1 января и 5 марта 1944 г.
[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1384, ფურც. 49.
[6] იქვე, საქ. 12968, ფურც. 273; აღწ. 3, საქ. 618, ფურც. 11.
[7] Газ. «Заря Востока», 18 сентября 1943 г.
[8] Газ. «Заря Востока», 30 января 1944 г.
[9] იქვე, 5 და 11 იანვარი.
[10] იქვე, 23 თებერვალი.
[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13120, ფურც. 19.
[12] იქვე, საქ. 13662, ფურც. 24 – 77; საქ. 12376, ფურც. 227; საქ. 12954, ფურც. 106.
[13] Газ. «Заря Востока», 21 ноября 1943 г.
[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13662, ფურც. 97.
[15] იქვე, საქ. 13302, ფურც. 98
[16] იქვე, საქ. 13302, ფურც. 98 Газ. «Заря Востока», 4 декабря 1943 г.
[17]Газ. «Заря Востока», 4 декабря 1942 г.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12859, ფურც. 204; საქ. 13662, ფურც. 9; საქ. 13120, ფურც. 141 – 149.
[19] იქვე, საქ. 13869, ფურც. 109; საქ. 13662, ფურც. 167; საქ. 13115, ფურც. 9.
[20] Газ. «Заря Востока», 5 декабря 1943 г.
[21] იქვე, 1944 წლის 15 აპრილი.
[22] Газ. «Заря Востока», 5 декабря 1943 г.
[23] Газ. «Заря Востока», 11 ноября 1943 г.
[24] Газ. «Заря Востока», 14 ноября 1943 г. и 9 апреля 1944 г.
[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ.14,აღწ. I, საქ.12983,ფურც.72 და საქ. 12981, ფურც. 60-62.

თავი მეოთხე

ზრუნვა კულტურისა და მეცნიერების განვითარებაზე და მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობაზე დიდი სამამულო ომის წლებში

§ 1. სასწავლო დაწესებულებანი ომის პერიოდში

საქართველოს საშუალო და უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, ომით გამოწვეული სიძნელეების გადალახვის შედეგად, შეძლეს ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურისათვის სპეციალისტების მომზადების დარგში მათ წინაშე დასმული საპასუხისმგებლო ამოცანების გადაწყვეტა.

ომის დაწყებისთანავე სასკოლო შენობათა ნაწილი გადაეცა სამხედრო უწყებებს ჰოსპიტლების, ყაზარმებისა და ჯარების შტაბებისათვის. ამან გამოიწვია სასწავლო დაწესებულებების ქსელის შემცირება რესპუბლიკაში.

იმისათვის, რომ სწავლებაში ჩაბმული ყოფილიყო მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი, რესპუბლიკის ბევრ სასწავლო დაწესებულებაში შემოღებულ იქნა ორ-სამცვლიანი მეცადინეობა. საშუალო და უმაღლესი სკოლის მუშაკთა ნაწილის არმიაში მობილიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა პედაგოგთა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა. ეს ხარვეზი შეივსო პენსიონერი მასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთა მოზიდვით სასწავლო დაწესებულებებში, აგრეთვე განათლების მუშაკთა სამეცნიერო-სასწავლო დატვირთვის მნიშვნელოვანი ზრდით.

საქართველოს დაწყებითმა და საშუალო სკოლებმა შეძლეს სწავლებაში ჩაებათ რესპუბლიკის სასკოლო ასაკის ბავშვები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონიდან ევაკუირებული ყველა ბავშვი. მათთვის შეიქმნა არაერთი სპეციალური საბავშვო სახლი; არსებულ საბავშვო დაწესებულებებში კი გაიზარდა ადგილების რაოდენობა ევაკუირებული ბავშვების მისაღებად. მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევდა პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებს ევაკუირებული ბავშვების მოწყობასა და აღზრდაში. ასე მაგალითად, 1942 წლის 13 ნოემბრისათვის პატრონაჟზე აყვანილ იქნა 2 340, ხოლო შვილად – 320 ბავშვი[1].

რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში მეცადინეობა სრული პროგრამით მიმდინარეობდა. ამასთან, საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 7 სექტემბრის დაგენილების შესაბამისად საშუალო სკოლის უფროს კლასებში შემოღებულ იქნა სავალდებულო სამხედრო სწავლება. ამ ღონისძიებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 17 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე უფროს კლასებში შემოღებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სწავლება. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს და არდადეგების პერიოდში მოსწავლეები და მასწავლებლები დიდ დახმარებას უწევდნენ სოფლის მშრომელებს, მრავალი მათგანი ტრაქტორისტად და კომბაინერად მუშაობდა. 1941 წელს საქართველოს საშუალო სასწავლო დაწესებულებებიდან სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმული იყო 87 ათასი კაცი, რომელთაც გამოიმუშავეს 1,5 მლნ შრომადღე, ხოლო 1942 წელს 100 ათასმა მოსწავლემ და 7 ათასმა მასწავლებელმა გამოიმუშავა 6 მლნ შრომადღე[2].

რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებების კომკავშირელები და პიონერები დიდ დახმარებას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მებრძოლებს და თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებს. მათ განსაკუთრებული აქტივობა გამოავლინეს თბილი ტანსაცმლისა და საჩუქრების შეგროვებაში არმიისა და ფლოტის ჯარისკაცებისა და მეთაურებისათვის. მოსწავლეებმა ათასობით ტონა ძვირფასი ლითონის ჯართი შეაგროვეს იმ ფაბრიკა-ქარხნებისათვის, რომლებიც ძირითადად

სამხედრო პროდუქციას აწარმოებდნენ. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მოსწავლეები სისტემატურად დადიოდნენ ევაკოჰოსპიტლებში და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლებს, მიჰქონდათ მათთვის საჩუქრები, უკითხავდნენ და უწერდნენ წერილებს, აწყობდნენ მხატვრული თვითმოქმედების წრეების კონცერტებს.

ფართოდ გაიშალა ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წინ დაწყებული თემურელთა მოძრაობა, რომელმაც რესპუბლიკის თითქმის ყველა სასკოლო კოლექტივი მოიცვა. კომკავშირულ-ახალგაზრდული და თემურელთა რაზმები, ბრიგადები და საგუშაგოები ყურადღებას და დახმარებას არ აკლებდნენ ფრონტელთა და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებს. ამას გარდა, უფროსკლასელები მონაწილეობდნენ საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებსა და ჯგუფებში; ისინი მუშაობდნენ აგრეთვე თავდაცვითი ზღუდეებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობაზე.

1943 წლიდან, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების სასარგებლოდ მომხდარი ძირეული გარდატეხის გამო, სახალხო განათლების საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოები, საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითებათა შესაბამისად, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობას. მიღებულ იქნა ენერგიული ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად.

ცნობილია, რომ ომის პირველ ხანებში ბევრი სასკოლო ასაკის ბავშვი სხვადასხვა, ძირითადად საპატიო, მიზეზის გამო სკოლის გარეთ დარჩა. თუ 1940 – 1941 სასწავლო წელს რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა 731,6 ათასი ბავშვი, 1942–1943 სასწავლო წელს მათი რიცხვი შემცირდა 530,2 ათასამდე. შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად რესპუბლიკაში მთელი რიგი ღონისძიებანი გახორციელდა[3].

იმისათვის, რომ მაქსიმალურად ჩაებათ სწავლებაში ბავშვები და მოზარდები, რომლებმაც ადრე დატოვეს სკოლა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საღამოს სკოლების ქსელი, რათა მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობას შესაძლებლობა ჰქონოდა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ განეგრძო სწავლა. ომის დაწყებამდე საქართველოში ითვლებოდა 260 საღამოს სკოლა, ხოლო 1944 წლისათვის მათი რაოდენობა 495-მდე გაიზარდა, შესაბამისად გადიდდა მოსწავლეთა რიცხვიც 26 ათასიდან 39 ათასამდე. ფრონტელთა და ომის ინვალიდთა შვილებს გაუდიდდათ მატერიალური დახმარება, ხოლო უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები მოწყობილ იქნენ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში, რომელთა ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა[4].

1943–1944 სასწავლო წლის დასაწყისიდან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ქვეყნის 77 მსხვილ ქალაქში, მათ შორის საქართველოს ქალაქებში, ხოლო 1944 წელს 69 დასახლებულ პუნქტშიც, შემოღებულ იქნა ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება[5]. ამას გარდა, 1944 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსული ენის შესწავლას, რისთვისაც გაიზარდა რუსული ენის სწავლებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა და შეირჩა შესაბამისი პედაგოგიური კადრები; გაიზარდა აგრეთვე მოთხოვნა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი, რის გამოც აშენდა სხვადასხვა სპორტული ნაგებობა და გაუმჯობესდა სკოლების მომარაგება ფიზკულტურული ინვენტარით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილებით შემოღებულ იქნა გამოცდები მეოთხე და მეშვიდე კლასებში და გამოცდები სიმწიფის ატესტატზე აბიტურიენტებისათვის. გამოსაშვები კლასების მოსწავლეები სამაგალითო ყოფაქცევისა და მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ჯილდოვდებოდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლებით. ყველა ეს ღონისძიება მიმართული იყო ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისაკენ[6].

1944 წელს ქართველმა პედაგოგებმა გადაამუშავეს ი. გოგებაშვილის ცნობილი სახელმძღვანელო "დედაენა", რომელიც ამიერიდან დაწყებითი სკოლების სტაბილური სახელმძღვანელო გახდა.

სასწავლო პროცესის სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით 1943 წლის ზაფხულიდან აღდგენილ იქნა პედაგოგიური კადრების გადამზადების კურსები[7].

დიდი მუშაობა გასწიეს კომკავშირელებმა და პიონერებმა ფულადი სახსრების შესაგროვებლად ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის სატანკო კოლონისა და "საქართველოს კომკავშირელის" სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებად. ეს თვითმფრინავები აიგო გ. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხანაში და 1944 წლის 14 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ავიაშენაერთს ერთ-ერთ აეროდრომზე[8].

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო უდიდეს ზრუნვას იჩენდნენ ახალგაზრდა თაობის აღზრდისამდი. ჯერ კიდევ ომის პერიოდში გაუმჯობესდა პედაგოგიური კადრების მატერიალური კეთილდღეობა. 1943 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით ხელფასი გაუდიდდათ სასწავლო დაწესებულებათა მასწავლებლებსა და სხვა მუშაკებს. ამას გარდა, ომის წლებშიც არ შეწყვეტილა სასწავლო დაწესებულებათა მშენებლობა. 1941 – 1945 წლებში რესპუბლიკაში აიგო 27 სასკოლო შენობა 7,4 ათასი მოსწავლისათვის[9].

1945 წელს, ომიანობის სხვა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გადიდდა ხარჯები სახალხო განათლებაზე, გაიზარდა განათლების მუშაკთა ხელფასის წლიური ფონდი და საშუალო-წლიური ხელფასი, გაფართოვდა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი, გადიდდა მასწავლებელთა რიცხვი და ამაღლდა მათი კვალიფიკაციის დონე, ბევრად გაუმჯობესდა სკოლების სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და სასწავლო ნივთებით მომარაგება. 1940 – 1941 სასწავლო წელს საქართველოში იყო 4 447 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მათ შორის 759 საშუალო, ხოლო 1944 – 1945 სასწავლო წელს 4 785 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მათ შორის 804 საშუალო სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი 29 791-დან გადიდდა 39 087-მდე. ხელფასის წლიური ფონდი 1945 წლისათვის გაიზარდა 91,9 მლნ მანეთით, ანუ 30,7 პროცენტით 1940 წელთან შედარებით, განათლების მუშაკთა საშუალო წლიური ხელფასი კი – 4 319 მანეთიდან 6 602 მანეთამდე. 1944 – 1945 სასწავლო წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა 642,7 ათასი, ანუ 112,5 ათასი მოსწავლით მეტი, ვიდრე 1942 – 1943 სასწავლო წელს, ხოლო 88,9 ათასი მოსწავლით ნაკლები, ვიდრე 1940-1941 სასწავლო წელს[10].

1945 წლისათვის გაფართოვდა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ქსელი. 1941 – 1942 სასწავლო წელს იყო 23 ასეთი სასწავლო დაწესებულება, რომელშიც სწავლობდა 4148, ხოლო 1944 – 1945 სასწავლო წელს ამ ტიპის 24 სასწავლო დაწესებულებაში ირიცხებოდა 5 579 მოსწავლე[11].

ომის დაწყებისთანავე, განსაკუთრებით კი 1942 წელს, საქართველოს უმაღლეს სკოლებში მნიშვნელოვნად შემცირდა სტუდენტთა კონტინგენტი და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა. მათი დიდი ნაწილი, რომელსაც გავლილი ჰქონდა სამხედრო მომზადება და ოფიცრის წოდებას ატარებდა, გაგზავნილი იყო მოქმედ არმიაში, ხოლო ნაწილი მივლინებული იყო სხვადასხვა სამხედრო სასწავლო დაწესებულებაში არმიისა და ფლოტის მეთაურთა შემადგენლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად. საქართველოს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში არსებული მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად, ომის უმძიმეს პერიოდშიც კი წარმოებდა სპეციალისტების მომზადება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და კულტურის სხადასხვა დარგისათვის.

სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიაში. რომელიც მიმართული იყო ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისაკენ. მეცადინეობიდან თავისუფალ დროს და არდადეგების პერიოდში ისინი შრომობდნენ სამრეწველო საწარმოებში, შახტებში, სამხედრო ობიექტების მშენებლობაზე, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე, ეხმარებოდნენ ევაკოჰოსპიტლებს, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დაწესებულებებს. ასე მაგალითად, 1941 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50 პროფესორ-მასწავლებელი და 508 სტუდენტი არდადეგების პერიოდში წარმატებით შრომობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო პოლიტექნიკური

ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სტუდენტებმა დიდი დახმარება გაუწიეს ტყვარჩელის მეშახტეებს. 1942 წელს ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი კურსის სტუდენტთა დიდი ჯგუფი ასრულებდა რიგ თანამდებობრივ მოვალეობას ამიერკავკასიის რკინიგზაზე, მათგან 350 კაცი მემანქანედ და მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა[12].

1943–1944 წლებში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გაუმჯობესდა სწავლების პროცესი და სტუდენტთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, აგრეთვე სხვადასხვა ფაკულტეტზე ახლადშექმნილი რუსული სექტორების მუშაობა, რის შედეგად წარმატებით გრძელდებოდა სპეციალისტების მომზადება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებისათვის. ამასთანავე სტუდენტები ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს. ინტენსიურად მიმდინარეობდა საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადებაც.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტთა სამეცნიერო წრეები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რათა ქმედითი დახმარება გაეწიათ სამრეწველო საწარმოთათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის თავდაცვითი პროდუქციის ათვისებასა და მისი გამოშვების გაფართოებაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობის გადიდებაში.

საქართველოს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი, კერძოდ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და სხვები, სასწავლო პროგრამის შემჭიდროების გზით ამცირებდნენ სპეციალისტების მომზადების ვადებს; ამით ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფდნენ ქვეყნის მოთხოვნილებას კვალიფიციურ კადრებზე. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებდნენ 3000-მდე სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტს, რომელთა დიდი ნაწილი იგზავნებოდა ან პირდაპირი დანიშნულებით სპეციალობის მიხედვით ან ოფიცერთა თანამდებობაზე არმიისა და ფლოტის რიგებში. მარტო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ყოველწლიურად აგზავნიდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ასობით ექიმსა და ფარმაცევტს.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ საბრძოლო ტექნიკის მშენებლობისათვის სახსრების შეგროვებაში. ეს ნებაყოფლობითი შესატანები შეადგენდნენ ათობით მილიონ მანეთს. მაგალითად, 1944 წელს თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა რესპუბლიკის სხვა სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად შეიტანა 1,4 მლნ მანეთი ესკადრილია "საქართველოს ფიზკულტურელის" საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად[13].

მიუხედავად იმისა, რომ ომის დამთავრების დროისათვის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი 21-დან 20-მდე შემცირდა,

სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა გადიდდა. 1940 – 1941 სასწავლო წელს საქართველოს 21 უმაღლეს სასწავლებელში 2,5 ათასი პროფესორ-მასწავლებელი და 28,5 ათასი სტუდენტი ითვლებოდა, 1945 – 1946 სასწავლო წელს კი 20 უმაღლეს სასწავლებელში იყო 2,8 ათასი პროფესორ-მასწავლებელი და 30,3 ათასი სტუდენტი. დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მომზადდა 14,1 ათასი სპეციალისტი, აქედან 3,2 ათასი ექიმი, 2,7 ათასი ინჟინერი, 1,3 ათასი აგრონომი, 5,4 ათასი განათლების მუშაკი. ამავე პერიოდში რესპუბლიკის საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 22,7 ათასი სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტი[14].

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12511, ფურც. 111 – 112; საქ. 12288, ფურც. 40.
[2] ჟურნ. "ბოლშევიკი", 1943, N9, გვ. 39.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 128.
[4] იქვე, აღწ. 2, საქ. 1054, ფურც. 101 - 104.
[5] "История СССР», т. 10, М., 1973, стр. 648 – 649.
[6] "История СССР», т. 10, М., 1973, стр. 649.
[7] გაზ. "კომუნისტი", 1954 წლის 27 დეკემბრი.
[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13806, ფურც. 472.
[9] "საბჭოთა საქართველოს 40 წელი", სტატ. კრებული, თბ., 1961, გვ. 200.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 122 - 130.
[11] იქვე, ფურც. 136 – 139.
[12] **ა. იოსელიანი,** საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941 – 1945), თბ., 1958, გვ. 303 – 304.
[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13656, ფურც. 234.

[14] იქვე, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 132 – 133; "საბჭოთა საქართველო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე", თბ., 1967, გვ. 229, 234.

§ 2. საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებები ომის წლებში

როგორც "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-7 ტომში აღინიშნა, 1941 წლის თებერვალში შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომლის მოღვაწეობის პირელი წლები დაემთხვა დიდი სამამულო ომის პერიოდს. ომის წლებში საქართველოს მეცნიერები ამუშავებდნენ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო რესპუბლიკის შინაგანი რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციასთან, ამასთან განაგრძობდნენ თეორიული ხასიათის კვლევით მუშაობას[1].

ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოს სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები არა მარტო უნდა დახმარებოდნენ სამრეწველო საწარმოებს სამხედრო პროდუქციის ახალ სახეობათა გამოშვების ათვისებაში, არამედ უნდა დაემუშავებინათ მრეწველობაში დასანერგი ახალი სახის ნაკეთობათა ტექნოლოგიური პროცესი ნედლეულისა და დროის მაქსიმალური ეკონომიის გათვალისწინებით. ამას გარდა, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებებში მუშავდებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა მოსავლიანობის ზრდა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება, პირუტყვის საკვებისა და სასუქების ახალი, რაციონალური სახეობების მიღება და დანერგვა, აგრეთვე ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების დაცვისა და განვითარების საკითხები.

საქართველოს ჰუმანიტარული სამეცნიეროდ დაწესებულებები ეხმარებოდნენ პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაში. მრავალი მათგანი მონაწილეობდა იმ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კამპანიებში, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისადმი დახმარების გაძლიერებისაკენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიიის პრეზიდიუმთან შეიქმნა თავდაცვითი მუშაობის ხელსშემწყობი სახელმწიფო მუდმივმოქმედი კომისია მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. კომისია ახორციელებდა არა მარტო მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტების, არამედ რესპუბლიკის სხვა უწყებათა სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციას, ადგენდა თავდაცვითი ხასიათის აუცილებელი და მნიშვნელოვანი სამუშაოების გეგმებს, აწესებდა მათი შესრულების თანმიმდევრობას. პრეზიდიუმთან შეიქმნა აგრეთვე საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო, რომლის თავმჯდომარე იყო აკადემიკოსი ა. თვალჭრელიძე[2].

სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ შესრულებული სამხედრო დავალებები მეტად მრავალმხრივი იყო როგორც თავისი დანიშნულების ხასიათისა, ისე მათი მნიშვნელობისა და შესრულების ვადების მიხედვით.

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბეტონისა და რკინაბეტონის ლაბორატორიაში მეცნიერთა კოლექტივმა შეასრულა მნიშვნელოვანი თავდაცვითი ხასიათის დავალება, - ცემენტისაგან დაამუშავა საავიაციო ბომბების წარმოების ტექნოლოგია, აგრეთვე ავიაბომბების ლითონის სტაბილიზატორების ცემენტის სტაბილიზატორებით შეცვლის საკითხები, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეტალის მწვავე ნაკლებობის პირობებში. ლაბორატორიის კოლექტივმა ამ ურთულესი თავდაცვითი მნიშვნელობის დავალების შესრულება შეძლო 1942 წლის დასაწყისში; მას წინ უძღოდა მეტად

შრომატევადი და ურთულესი ექსპერიმენტული გამოკვლევები. ცემენტის ავიაბომბებმა "ცაბ-40", რომლებიც ათიათასობით დამზადდა რესპუბლიკის ქარხნებში, სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშულება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის მეტალურგიული ლაბორატორიის კოლექტივი ამუშავებდა ტყიბულის ფიქალისაგან სილიკოალუმინის ელექტროთერმული გზით მიღების მეთოდს. ამ სამუშაოს უდიდესი ეკონომიკური და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ მეცნიერები ე. დავითაშვილი, ე. ჯაფარიძე, ფ. თავაძე, პ. ცისკარიშვილი და სხვები. გამოკვლევებს ხელმძღვანელობდა გ. მიქელაძე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სავსებით შესაძლებელია სილიკოალუმინის მიღება ტყიბულის ნახშირა ფიქალისაგან. 1942 წლის დასაწყისში შემუშავებულ იქნა ტექნიკური რეკომენდაციები მისი სამრეწველო წარმოებისათვის, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნედლეულის მისაღებად საჭირო იყო მცირე ხარჯების გაღება, რადგან ფიქალის დიდ რაოდენობას შეიცავდა ქვანახშირის მოპოვების დროს ამოღებული ფუჭი ქანები[3].

საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომლებმა ტყიბულის ნახშირა ფიქალებისაგან, გულმოდგინე შრომისა და ცდების შედეგად, მიიღეს გოგირდმჟავა თიხამიწა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ქაღალდისა და ცეცხლგამჩენი ხსნარების წარმოებაში. ამავე ლაბორატორიაში წარმატებით დამუშავდა ნათებადი ასაფეთქებელი ნივთიერებისა და ჯარის სასიგნალო რაკეტების წარმოების საკითხები. 1942 წელს ლაბორატორიამ ფრონტს მიაწოდა ათასობით სასიგნალო რაკეტა და დიდი რაოდენობით ნათებადი ასაფეთქებელი ნივთიერება[4].

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი ატარებდა ექსპერიმენტებს, რათა დაედგინათ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმოების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობა. ამ გამოკვლევებმა დადებითი შედეგი გამოიღეს, დადასტურდა ლითონური მანგანუმის მადნის წიდისაგან ცემენტის მიღების შესაძლებლობა.

ფართო კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ქიმიურ-ფარმაცევტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ადგილობრივი სამკურნალწამლო მცენარეებისაგან მედიკამენტებისა და პრეპარატების (სტრეპტოციდი, სულფიდინი, კოფეინი, ტანინი და სხვ.) დასამზადებლად[5]. მიკრობიოლოგებმა, ეპიდემიოლოგებმა და თბილისის "ბაქტერიოფაგის" მუშაკებმა წარმოებაში დანერგეს ახალი სამკურნალო პრეპარატები. ზოოლოგიის ინსტიტუტში დამზადდა დაზიანებული ქსოვილის შეხორცების დასაჩქარებელი სპეციალური კონსერვატები, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ სამედიცინო პრაქტიკაში[6].

ომის დაწყებისთანავე უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოები გაიშალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკად. ი. ბერიტაშვილის

ხელმძღვანელობით. ეს სამუშაოები მიმართული იყო კონტუზიისა და ნერვ-კუნთოვანი სისტემის დაზიანების მკურნალობის მეთოდების შესამუშავებლად. 1942 წლის დასაწყისში რესპუბლიკის რიგ ევაკოჰოსპიტლებში ორგანიზებულ იქნა ელექტროდიაგნოსტიკური კაბინეტები და კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები, სადაც მეცნიერები მკურნალ ექიმებთან ერთად დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა მკურნალობის ახალ მეთოდებს ნერგავდნენ[7].

რესპუბლიკის მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების – მცენარეთა დაცვის, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერ თანამშრომლები ამუშავებდნენ მრავალ აქტუალურ საკითხს და პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების, სათესი ფართობების რაციონალურად გამოყენების, აგროტექნიკური სამუშაოების სწორად ჩატარების, სამელიორაციო ღონისძიებების ორგანიზაციის, ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების დაცვა-განვითარების, მაღალმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო ახალი კულტურების გამოყვანისა და დანერგვის საქმეში.

მნიშვნელოვანი სასელექციო და ექსპერიმენტული სამუშაოები ტარდებოდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ლენინის სახელობის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ქსენია ბახტაძის ხელმძღვანელობით. აკად. ქ. ბახტაძემ შეძლო გამოეყვანა ყინვაგამძლე და მაღალმოსავლიანი ჩაის ახალი ჯიშები.

კარგ შედეგებს მიაღწიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებმა, რომლებიც მუშაობდნენ პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესების, ეპიზოოტის საწინააღმდეგო ეფექტური შრატების, ვაქცინებისა და ვეტერინარული პრეპარატების დამუშავების დარგში.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1942 წლის 16 ივნისის დადგენილების საფუძველზე მეცნიერი ქიმიკოსები დიდად დაეხმარნენ თბილისის ქიმიურ კომბინატს თხევადი ამიაკის წარმოების დანადგარის დაყენებაში, რომელსაც უნდა ემუშავა ამონიუმის სულფატისა და კირის გამოყენების ბაზაზე. მეცნიერმა ქიმიკოსებმა დიდად შეუწყეს ხელი თხევადი ამიაკის წარმოების მასობრივად დანერგვას თავდაცვით მრეწველობაში, უმთავრესად ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადების მიზნით[8].

1943 წლის მეორე ნახევრიდან, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე, რესპუბლიკის სპირტისა და გერანის სახდელ ქარხნებში მოეწყო პოტაშის წარმოება[9].

საქართველოს გეოლოგებმა 1943 – 1944 წლებში ინტენსიური ძიების შედეგად უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს, ვიდრე ომის პირველ ხანებში. ამ პერიოდში მათ მიერ დადგენილ იქნა სასარგებლო წიაღისეულის 100-ზე მეტი ახალი საბადო, მათგან: 27 ფერადი ლითონების საბადო (მათ შორის სპილენძისა და ოქროს საბადოები), 36 – იშვიათი ლითონების, 42 – სამთამადნო ნედლეულის, 2 – შავი ლითონებისა და ა. შ. მალე ბევრი ამ საბადოთგანი საექსპლოატაციოდ გადაეცა[10].

ენათმეცნიერების ინსტიტუტში აკად. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა ლოგოპედთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა კონტუზირებულთა მეტყველებისა და სმენის ფუნქციების მკურნალობისა და აღდგენის მეთოდების შესწავლაზე. ამას გარდა, ინსტიტუტის კოლექტივმა შექმნა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის დამხმარე სახელმძღვანელო. დიდი დახმარება გაუწიეს ევაკოჰოსპიტლებს მეომართა ფსიქიური დაავადების მკურნალობაში ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიისა და მორფოლოგიის ინსტიტუტების კოლექტივებმა აკადემიკოსების დ. უზნაძისა და ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით. ქართველმა ფსიქიატრებმა გამოაქვეყნეს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი ფსიქიური ტრავმების მკურნალობის საკითხებზე.

საქართველოს ისტორიკოსები აქტიურად თანამშრომლობდნენ რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებთან მოსახლეობის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. მათ გამოქვეყნეს სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები ორ სერიად: “ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ” და “წითელარმიელის ბიბლიოთეკა”. ამ ნაშრომებს მეცნიერული და დიდი პრაქტიკული, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ინსტიტუტის მუშაკთა გულმოდგინე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დიდი შემოქმედებითი წარმატებით დასრულდა. 1943 წელს გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო, რომლის ავტორებს ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს სტალინური პრემია მიენიჭათ.

ომის დასასრულისათვის რესპუბლიკაში გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქსელი, გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა, 1941 წელს საქართველოში იყო 78 სამეცნიერო დაწესებულება. მათგან 35 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ფილიალებისა და განყოფილებების ჩათვლით), ხოლო 1945 წლისათვის – 95 სამეცნიერო დაწესებულება, მათგან 46 – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამავე პერიოდში მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა 500 კაცამდე გაიზარდა[11]. საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებები დიდ დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას და სამხედრო უწყებას უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში.

[1] “Академия Наук Грузинской ССР к 50 летию Октября», Тб., 1968, стр. 6 – 7.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12299, ფურც. 4 – 5.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12820, ფურც. 282; საქ. 12658, ფურც. 5.
[4] იქვე, საქ. 12320, ფურც. 227 - 281; საქ. 13299, ფურც. 25.
[5] იქვე, საქ. 12260, ფურც. 73 – 74.
[6] Газ. «Заря Востока», 24 июля 1943 г.
[7] «История Грузии», т. III, стр. 246.
[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12299, ფურც. 284.
[9] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12967, ფურც. 193; საქ. 12968, ფურც. 227.
[10] იქვე, საქ. 14014, ფურც. 67.
[11] «Культурное строительство СССР». Стат. сб., М., 1956, стр. 244; «Народное хозяйство Грузинской ССР», стат. сб., Тб., 1957, стр. 206.

§ 3. ქართული ლიტერატურა

ხანმოკლე, მაგრამ მრისხანე მოვლენებით აღსავსე ომის ოთხწლიანმა ისტორიამ ცხადყო, რომ ქართველმა მწერლებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ხალხის, პარტიის, ლიტერატურის წინაშე.

ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების თავისებურებამ განსაზღვრა მისი მხატვრული აზროვნების სპეციფიკაც – თავის საფუძველში გმირული და რომანტიკული.

გმირული საწყისი ყოველი ლიტერატურის თემაც არის და მსოფლშეგრძნებაც. ქართულ პოეზიაში იგი მხოლოდ ომის თემა კი არ არის, არამედ ხატოვანი აზროვნების ესთეტიკური თვისებაა, რომელიც შუქს ჰფენს ლიტერატურის მთელ პრობლემატიკას. გმირული საწყისი დიდებისა და სამშობლოს სახით ვლინდება და ერთგვარ დამოუკიდებელ რეალურ არსებობას იძენს.

ამ ტრადიციის შექმნას ქართულ ლიტერატურაში საფუძვლად უდევს თვით ხალხის თავისებური მსოფლშეგრძნება, ღირსებისა და მორალის კოდექსი, გონებისა და გრძნობის ყაიდა. ყოველივე ამან განსაზღვრა ომის პერიოდის პოეზიის ზოგიერთი თავისებურება. სწორედ გმირულის ტრადიცია დადგა მთელი ომისდროინდელი მხატვრული შემოქმედების ცენტრში და თავისი შუქი მოჰფინა სინამდვილის პოეტური ასახვის ყველა ჟანრს.

ომის პირველივე დღეებში გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ი. აბაშიძისა და ბევრი სხვა პოეტის ლექსებში გაისმა მგზნებარე მოწოდება – პირნათლად მოეხადათ წმიდათაწმიდა ვალი სამშობლოს წინაშე. შორს სწვდებოდა გალაკტიონ ტაბიძის ვაჟკაცური ძახილი “ყველა საომრად გავიდეთ!” ამ ორსტროფიან ლექსში მოცემულია იმ ხანის ესთეტიკის თითქმის ყველა ძირითადი ნიშანი: დაწყებულ ძირეულ გარდაქმნათა მღელვარე შეგრძნებაც, ბრძოლისაკენ მოწოდებაც, მომავლის წინაშე ვალის მოხდის შეხსენებაც, გარდაუვალი გამარჯვების რწმენაც.

მაღალი მოწოდების პათოსითა და ვაჟკაცობით არის განმსჭვალული საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსი “ჰეი, არწივნო!”, რომელიც გვახსენებს პოეტური სიტყვის დანიშნულებასა და მოვალეობას მრისხანე ცეცხლოვან წლებში. პოეტის აზრით, ლექსი, რომელიც მუდამ შერწყმულია სამშობლოს ცხოვრებასთან, ახლა მით უმეტეს ხალხის განუყრელი თანამგზავრი უნდა იყოს დიად ბრძოლაში.

ხალხის პატრიოტული დარაზმულობის კეთილმყოფელი ზეგავლენით ჩამოყალიბდა ქართული პოეზიის ახალი ესთეტიკური იდეალი: ყველაფერი – სამშობლოს დასაცავად, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის! ეს იდეურ-მხატვრული პრინციპი შესანიშნავად გამოთქვა ა. აბაშელმა (“ჩემს კალამს”), ი. გრიშაშვილმა (“თბილისის პოეტი”), ა. მირცხულავამ და ბევრმა სხვამ.

დიდებისა და გამარჯვების მოტივთან ერთად ქართულ პოეზიაში მკვიდრდება სამშობლოსადმი თავდადების თემა. სამამულო ომის პერიოდის ლირიკაში ეს თემა მეტად მრავალფეროვნად არის დამუშავებული. ირაკლი აბაშიძემ ლექსში “კაპიტანი ბუხაიძე” (1942), რომელიც იმ დროის ქართული ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ნიმუშია, შეძლო გადმოეცა გმირის გრძნობები, ერთგვარად გაეცოცხლებინა მისი ვაჟკაცური სული.

ხალხის იდეალებისათვის, სამშობლოსათვის ვაჟკაცური სიკვდილის ჰეროიკას ეძღვნება აგრეთვე გ. ლეონიძის მგზნებარე ლირიკული ლექსი “მებრძოლის ანდერძი” (1942). დაღუპული მეომარი უკვდავებას პოვებს საყვარელი სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერებაში.

ქართულ პოეზიაში გმირობა უაღრესად მრავალფეროვნად აღიქმება. ეს თემა ზოგჯერ მარტივ, მაგრამ ზეიმურ ფორმაში ისხამს ხორცს. ასე მთავრდება გ. ტაბიძის ლექსი “უცნობ მეომართა სამარე უღელტეხილზე”.

“იცოდე, მგზავრო,
ჩვენი გულისთქმა:
ჩვენ აქ დავეცით
გულში იმ მზითა,
რომ მომხდურისთვის
არ დაგვითმია
მშობლიურ მიწის
არც ერთი ციდა”[1].

შორეული წარსულიდან ქართულ ლიტერატურასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, სახელისა და გამარჯვების თემასთან ერთად, ძალუმად, გულში ჩამწვდომად ჟღერს მშობლის მიერ შვილის მხედრული გმირობის დალოცვის თემა. ომის პირველსავე დღეებში პოეტებმა შექმნეს ლირიკული ნაწარმოებები, რომლებშიც ახლებურად გაიაზრეს ეს ტრადიციული თემა. ასეთია, მაგალითად, იოსებ გრიშაშვილის ლექსები “ჩვენს დებს და დედებს”, “ქართველი დედა”.

სიკვდილის, დიდებისა და უკვდავების სახეები წარმოგვიდგება სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავ ლექსში “სიზმარი”, სადაც არწივი (დიდების სიმბოლო) კურნავს მომაკვდავ ადამიანს. ამ ფილოსოფიურ ლექსს ეპიკური ხასიათი აქვს. მაგრამ მის წმინდა ლირიკულ ვარიანტს – ლექსს “დაჭრილი” – საფუძვლად უდევს ძველი ხალხური სიმღერებიდან მომდინარე გმირობის კონცეფცია.

გმირობის თემა ღრმად გააზრებულია ი. აბაშიძის ლექსში “სამშობლო იყოს ჩვენი დიდება” (1943). გმირობის “ასკეტიზმი” და ჩაუქრობელი სიცოცხლის მარადიულობა ომიანობის წლების პოეზიაში ერთიანობაში ვლინდება. ქართული ლირიკისათვის გმირობის თემა წამყვანი იყო ომის მთელ მანძილზე.

გ. ლეონიძის, გრ. აბაშიძის, ა. მაშაშვილის, კ. კალაძის, ი. გრიშაშვილის, ლ. ასათიანისა და სხვა ავტორების ნაწარმოებებში საქართველოს წარსული პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდებოდა თანამედროვეობას. მკითხველის თვალწინ ცოცხალ რიგებად მიდიოდნენ უთვალავი მტრისაგან საქართველოს დამცველი გმირები. სწორედ ეს არის უკვდავი “ისტორიის მებრძოლი სული”, ლამპარივით თაობიდან თაობას რომ გადაეცემა, საშიშროების ჟამს აღაფრთოვანებს სამშობლოს დასაცავად მშობლიური ხალხის, დაღუპული გმირების წინაშე ვალის მოსახდელად.

სამშობლოს თემა – მრავალფეროვანი ვარიაციებით – ორგანულ გამოხატულებას პოულობს ბრძოლისა და აღმშენებლობის კონკრეტულ გამოვლინებებში. იგი ასოციაციით უკავშირდება სიცოცხლისა და ხალხის მარადიულობას, სიყვარულსა და მშვენიერების უსასრულობას. ამ მხრივ დამახასიათებელია გ. ტაბიძის ლექსი “არაგვის ქარი”[2], რომელიც ამკვიდრებს არა მარტო სიცოცხლის მარადიულობას, არამედ სამშობლოს ამაყი სახის მარადიულობასა და ურყევობასაც. ომის დასაწყისში მეომრული გმირობა ქართული პოეზიის ყურადღების ცენტრში იდგა.

ომის წლებში ახალი ლირიზმი შეემატა საქართველოს ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტის გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებას. განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი ლექსი “არც ნიაღვრით, არც ნიავით”[3].

გ. აბაშიძის ლირიზმის მძლავრ სტიქიაში ჩნდება ახალი თემა: სილამაზის მარადიულობა, რომელიც ომის ჟამს გმირობასა და გამარჯვების უჭკნობ დიდებაში ვლინდება. ეს “მობრუნება” მრისხანე 1942 წელს ხდება.

კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავი ტრადიცია განავითარეს საბჭოთა პოეზიის წარმომადგენლებმა. სამამულო ომის წლებში პოეტური სიტყვა კიდევ უფრო დაუახლოვდა ერის ცხოვრებას, მისი სულიერი არსებობის ორგანული ნაწილი გახდა. ამას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ მრავალი ქართველი პოეტი იარაღით ხელში ებრძოდა მტერს. მათ წილად ხვდათ უჩვეულო სიძნელეებისა და გაჭირვების გადატანა, ბევრი მათგანი კი სამუდამოდ ბრძოლის ველზე დარჩა. ომის ქარცეცხლში გამოვლილი, ბრძოლაში ნაწრთობი ფრონტელი პოეტები თითქოს უფრო

მჭერმეტყველნი არიან, რადგან მათ უკან ომის ამბების უშუალო მონაწილე დგას.

რევაზ მარგიანის ლექსების ციკლი მებრძოლი პოეტის შინაგანი სამყაროს გამოხატვას ეძღვნება. მკითხველი ხედავს დათოვლილ სანგრებს, აზოვის მოელვარე ზღვასა და ცეცხლის ალში გახვეულ მის ნაპირებს, საარტილერიო და საჰაერო ბრძოლებს. რ. მარგიანის ომისდროინდელი ლექსები ჯარისკაცის პოეტური დღიურებია, რომლებიც ცოცხლად გამოხატავს მძიმე ფრონტული ცხოვრების რომანტიკას.

საბჭოთა მეომრის ოცნება ომის ძლევამოსილად დამთავრების, მშვიდობის შესახებ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ხალხს განაგრძოს შეწყვეტილი შრომა, შეჰხაროდეს სიცოცხლეს, ბედნიერ მომავალს, კარგად გამოხატა ფრონტელმა პოეტმა შალვა ამისულაშვილმა.

მირზა გელოვანის ფრონტული ლირიკა მხატვრისა და მეომრის აღსარებაა. მისი ლექსების ქვესათაურები: "ფრონტი", "სანგარში", "ბრძოლის წინ", "ბრძოლის შემდეგ" – მიგვანიშნებენ მათი შექმნის დროსა და ადგილს. ომში დაწერილი ლექსები თითქოს დენთის სუნით არიან გაჟღენთილი.

ბრძოლის ველზე დაცემული მ. გელოვანის ბედი გაიზიარეს ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა სევერიან ისიანმა და გიორგი ნაფეტვარიძემ. მათ გულწრფელად, უშუალოდ გამოხატეს თავიანთი თაობის აზრები და გრძნობები, მათ არც დრო ჰქონდათ და არც საშუალება ნანახი და განცდილი დასრულებულ მხატვრულ ყალიბში ჩამოესხათ.

კავკასიის დაცვის პერიოდში, როცა მტერი საქართველოს საზღვრებს მოადგა და ბრძოლები გააჩაღა უღელტეხილების ხელში ჩასაგდებად, ქართველი პოეტები მარტო სიტყვით კი არა, პირადი მაგალითითაც აღაფრთოვანებდნენ მშობლიური მიწა-წყლის დამცველებს.

კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა დაედო საფუძვლად ეროვნული პოეზიის მრავალ ლირიკულ და ეპიკურ ნაწარმოებს.

იმ დღეებში დაწერილ ნაწარმოებებს მხატვრული ჭედურობის სიმაგრე ახლავთ. მათში იგრძნობა ისტორიისა და დღევანდელობის განუყრელი კავშირიც, მთების ბუმბერაზობაც. მშობლიური კერის სითბოც, ისმის "იავნანას" ხმებიც და მამაპაპური იარაღის ჟღარუნიც.

ქართველი პოეტები შთაგონებით უმღეროდნენ არა მარტო კავკასიისა და თბილისის დამცველებს, არამედ მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, კურსკისა და სხვა ბრძოლების გმირებსაც. მათ მარტო თავისი ხალხის თავდადება როდი აღაფრთოვანებდა. ისინი ხოტბას ასხამდნენ მოძმეთა – სხვა ერების წარმომადგენელთა – მხედრულ გმირობასაც. საბჭოთა ადამიანების ერთიანობისა და ძმობის იდეით არის გამსჭვალული ხუტა ბერულავას ლექსი "ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ".

ომისდროინდე ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბალადამ. ამ ჟანრს ქართულ ლიტერატურაში მდიდარი ტრადიციები აქვს,

მეტადრე ხალხურ-პოეტურ შემოქმედებაში, სადაც ხშირად გვხვდება როგორც ისტორიულ-საგმირო, ისე საოჯახო-ყოფითი ხასიათის ბალადები.

დიდი სამამულო ომის დროს ყველაზე მეტად განვითარდა საგმირო ბალადა. ეს იმით აიხსნება, რომ პოეტებს სურდათ ეჩვენებინათ მეომრის შინაგანი სამყარო. საბჭოთა მებრძოლების თავდადება და სიმამაცე საამისოდ უხვ მასალას იძლეოდა. ასეთია, მაგალითად, კარლო კალაძის "ქართული ბალადა" (1942), "ბუქურაული" (1942)[4], რომლებსაც აერთიანებს კავკასიისათვის ბრძოლის თემა. "ქართულ ბალადაში" უცნობ ჯარისკაცს ბრძოლის ველიდან გამოჰყავს დაჭრილი მეომარი, თვითონ მას კი მტრის ტყვია განგმირავს. იგი წმინდად იცავდა ფრონტული მეგობრობის კანონს. მომავალი თაობის ბედზე ფიქრით არის გამსჭვალული ბალადა "ბუქურაული". შორეული მთის სოფლის მცხოვრები, უშიშარი გახა ბუქურაული იშვილებს სასიკვდილოდ დაჭრილი ქალის დაობლებულ ბავშვს და თავის ოჯახში მიჰყავს. ბალადის ფინალი აღვივებს ახალი თაობის ბედნიერი ცხოვრების რწმენას და ადიდებს საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის გრძნობას.

იოსებ ნონეშვილის ლექსს "სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე" მკითხველი პირველივე სტრიქონებით შეჰყავს საგმირო საქმეთა სამყაროში, აღაფრთოვანებს პარტიზანი ქალიშვილის სულიერი სიმტკიცითა და ზნეობრივი ძალით:

ტრამალები სდუმან შენი
საქმით განაკვირვები.
მოდიან და შენს საფლავთან
ქუდს იხრიან გმირები.

შენს ქალობას დალოცავენ
შენს მაჯას და იარაღს.
რა პატარამ გამოსცალე
უკვდავების ფიალა[5].

ომის წლებში ფართოდ გავრცელდა პოეტური ეპოსიც. გ. აბაშიძის "უძლეველ კავკასიონ"-ში (1943) აშკარად ჭარბობს რომანტიკულ-გმირული ტენდენციები. აქ ისევ დიდების ტრადიციული თემა ჟღერს. ომიანობის დროის საქართველოს გამოხატვის რეალიზმი რომანტიკული სიუჟეტის ჩარჩოშია მოქცეული. პოეტის ხმა თავისუფალი ეპიკური თხრობის სილაღეს იძენს. ამ თხრობაში ორგანულად არის შერწყმული ლირიკული მოტივები, ფილოსოფიური ნააზრევი, ისტორიული ექსკურსები და ა. შ. ავტორი აგვიწერს მიუვალი მთების მარადიულ სილამაზეს, დიდებულ პანორამას, შემდეგ მისი საუბრის თემაა ჯარისკაცის მხედრული გმირობა, სიკვდილის ტრაგედია, გვაცნობს იმ სოფლის ცხოვრებასაც, სადაც სამკურნალოდ ჩავიდა ქართველი მებრძოლი გიორგი, გვიხატავს მოხუცებისა და ქალების შრომას, უმღერის

მიწის მადლსა და ბარაქას, ხალხის სიმტკიცეს. ყოველივე ეს ბადებს გამარჯვებას.

გ. აბაშიძის მეორე პოემა "გიორგი მეექვსე" (1942) თემატურად შორეულ წარსულს მიეკუთვნება, მაგრამ იდეურ-მხატვრული მიმართულებითა და მაღალი პატრიოტული მიზანსწრაფულობით "უძლეველ კავკასიონს" ეხმიანება. ნაწარმოების თემად პოეტმა აირჩია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი – თემურ-ლენგის სისხლიანი შემოსევა და ხალხის თავდადებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ პოემაში რომანტიკულ-გმირული ტენდენციები უფრო გამოკვეთილად ჩანს. მაგრამ რომანტიკული აღმაფრენა ავტორს თანამედრვოეობას არ აშორებს. სახელოვან წინაპართა გმირული ბრძოლის თემა ახლობელი იყო საბჭოთა ხალხის პატრიოტული მისწრაფებისათვის, ისინი შთააგონებდნენ მეომრებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოეტმა მარჯვედ მონახა ორი ერთმანეთსდაშორებული ეპოქის შეხების წერტილი. პოემის დასასრულს იმართება დიალოგი შორეულ წინაპრებთან. ამით შთამომავლობას მოუწოდებენ წმინდად დაიცვან სამშობლოს ხელშეუხებლობა და ბედნიერება.

იდეათა ფართო წრეა გაშუქებული ს. ჩიქოვანის პოემაში "სიმღერა დავით გურამიშვილზე" (1944).

გურამიშვილის ბედი არათუ ტრაგიკული, ისტორიულად საგულისხმოც იყო და, რა თქმა უნდა, სიმონ ჩიქოვანმაც შემთხვევით როდი დაუდო იგი საფუძვლად თავის ნაწარმოებს. ავტორი მიჰყვება დიდი პოეტის ცხოვრების გზას და გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის ისტორიულ ბედუკუღმართობას, მეორე მხრივ, ახალი იმედების ჩასახვას, რაც რუსეთთან არის დაკავშირებული. ამასთან ეს სამყაროს ხილვის გაფართოებაა და არა დიპლომატიის ისტორიის დეტალი – გურამიშვილი ხომ რუსეთსა და უკრაინაში ცხოვრობდა უბრალო ხალხის წრეში, ომობდა პრუსიის, თურქეთის, შვეციის წინააღმდეგ. მშობლიური ქვეყნისაგან დაშორებით ჩასწვდა იგი ძმობის ახალ ჭეშმარიტებას. პოემას "სიმღერა დავით გურამიშვილზე" დიდი სამამულო ომის წლებში თანამედროვე ჟღერადობა ჰქონდა, ფაშისტური მონობის საფრთხე გვახსენებდა იმ ისტორიულ ტრაგედიას, რომლიდანაც გურამიშვილმა და საქართველომ იპოვეს გამოსავალი, ეროვნული ყოფიერების თავისუფლება დაიმკვიდრეს რუსეთის ხალხებთან კავშირში. ავტორმა ერთიანობის იდეა დეკლარაციულად კი არ გადმოსცა, არამედ ცხადყო დაქსაქსულობისა და მარტოობის ტრაგიზმი და დაამტკიცა ამ მდგომარეობიდან გამოსავლის აუცილებლობა. საბჭოთა პოეტი გურამიშვილს თვლის თავის დიდ წინამორბედად, სულიერ მამად, რომელმაც შეძლო ყველგან და ყოველთვის სამშობლოს ერთგული დარჩენილიყო.

სხვა ეპიკური ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ლადო ასათიანის პოემა "ბასიანის ბრძოლა". ქართული კლასიკური პოემის ტრადიციების მარჯვედ გამოყენების საფუძველზე აგებული ეს ნაწარმოები ემოციურად,

კოლორიტულად მოგვითხრობს საქართველოს ბრძოლაზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თამარის მეფობის ხანაში (XIII ს.).

სამამულო ომისდროინდელ ეპიკურ პოეზიაში მიმართვავდნენ ტრადიციულ ეროვნულ მოტივებს, ფორმებს, წეს-ჩვეულებებს. მხატვრული ტრადიციების გამოყენებით გამოირჩევა ალექსანდრე გომიაშვილის ლირიკული პოემა "დარიალი", რომელშიც ბევრი რამ არის ორიგინალური და ახალი. ავტორი განსაკუთრებული ემოციური ძალითა და რომანტიულობით მოგვითხრობს გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ კავკასიის გმირული დაცვის ამბავს.

ომის დასაწყისში გამოქვეყნებული ნაწარმოებების ავტორები ცდილობენ გაიაზრონ საბჭოთა ადამიანების გმირობა ფრონტზე და ზურგში. სიტყვის ერთ-ერთმა უდიდესმა ოსტატმა შალვა დადიანმა დაბეჭდა მოთხრობა "თამბაქო". მისი სიუჟეტი მარტივია. უბრალო მშრომელმა ქალმა დესიმ შეიფარა ევაკუირებული რუსი ქალი ლუდმილა. მათ შორის დამყარდა მტკიცე და გულწრფელი მეგობრობა, რომელიც დაეხმარა მათ მედგრად გადაეტანათ ომის დროის სიძნელეები. დესის ძმა, ისევე როგორც ლუდმილას ძმა, ფრონტზე იმყოფებოდა. იმ წერილების მიხედვით, რომლებსაც დედა და და ფრონტიდან იღებენ, ჩვენ ვეცნობით მეომართა საბრძოლო საქმეებს. ასე ერთვის ზურგის ცხოვრების ამბებს ფრონტული ეპიზოდები, რითაც ხაზგასმულია ფრონტისა და ზურგის განუყრელობა. მხატვრული თვალსაზრისით კიედვ უფრო მნიშვნელოვანია შ. დადიანის მეორე მოთხრობა "ამბები ფრონტიდან", სადაც მოცემულია საბჭოთა ადამიანების ბრძოლისა და შრომის კოლორიტული სურათები. აქ მთავარია ის, რომ ავტორმა შეძლო შინაგანად გაეხსნა თავისი გმირი, ფსიქოლოგიურად ღრმად დაეხასიათებინა იგი, თავი დაეღწია სქემატურობისა და ხელოვნური გამარტივებისათვის, რაც ახასიათებდა ომის წლების ბელეტრისტიკის ბევრ პერსონაჟს.

ქართველ მწერალთა უფროსი თაობის გამოჩენილი წარმომადგენლის ლეო ქიაჩელის მოთხრობა "მამა და შვილი" გვიამბობს საბჭოთა ადამიანების ორი თაობის შესახებ. ლ. ქიაჩელი ამ პერიოდში მუშაობდა ცნობილ რომანზე "მთის კაცი"(ცალკეული ფრაგმენტები გამოქვეყნდა ომის წლებში).

დიდი წარმატება ხვდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობას "როგორ მოკვდა მოხუცი მებადური", რომელშიც უბრალოდ და საოცარი დამაჯერებლობითაა მოთხრობილი მოხუცი კოლმეურნის გმირობა. ასეთი ნაწარმოებები თავიანთი სიმართლითა და ემოციური ზემოქმედების ძალით მკითხველებს უნერგავდნენ მტრისადმი სიძულვილს და კიდევ უფრო უძლიერებდნენ სამშობლოს სიყვარულს.

დიდი შემოქმედებითი შთაგონებით მუშაობდა იმ წლებში თვალსაჩინო ქართველი პროზაიკოსი რაჟდენ გვეტაძე. კრებული "მართალი ნოველები" უეჭველი წვლილია ომის წლების ლიტერატურაში.

"გმირობის მექანიზმით" დაინტერესებული მწერალი არკვევს თავისი გმირობის შეუპოვრობისა და იდეური მრწამსის მიზეზებს, ცდილობს თვალი

გაადევნოს საბჭოთა ადამიანის გმირული თვისებების ჩამოყალიბებას. პატარა მოთხრობებში, სადაც შეუძლებელია დაწვრილებით გვიჩვენოს გმირის ბავშვობა და სიჭაბუკე, ხშირად ჩნდება სრულიად დამოუკიდებელი გმირი – ბავშვი, რომელსაც ისე ღრმად უყვარს სამშობლო და იმდენად სძულს მისი დამპყრობნი, რომ შურისძიების წყურვილი ჩრდილავს ყველა სხვა გრძნობას, სიცოცხლის ბუნებრივ სურვილსაც კი. ამ სახის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნაწარმოები სამამულო ომის პერიოდის ქართულ ლიტერატურაში იყო დემნა შენგელაიას მოთხრობა "მეოთხე ძმა".

მწერალთა შემოქმედებით წარმატებას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ ბევრი მათგანი უშუალოდ იყო მოქმედ არმიაში, როგორც ბრძოლების მონაწილე, ან როგორც გაზეთების სამხედრო კორესპონდენტი (მაგალითად, დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ელ. ზედგენიძე, ან. ლომიძე და სხვ.). სწორედ ფრონტული შთაბეჭდილებანი დაედო საფუძვლად მათი ნაწარმოებების უმეტესობას.

პოპულარული კრიტიკოსისა და ნიჭიერი პროზაიკოსის გიორგი ნატროშვილის მოთხრობებისა და ნარკვევების წიგნში "დასავლეთის ფრონტზე" შევიდა ათამდე მოთხრობა, რომლებიც დაწერილია საომარ მოქმედებათა უშუალო შთაბეჭდილებით. ავტორის მახვილი და დაკვირვებული თვალი მშვენივრად ხედავს ადამიანების ხასიათებსა და მოვლენებს.

გ. ნატროშვილის მოთხრობების ღირსებაა სულ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანთა ღრმა ფსიქოლოგიური დახასიათება. ამით განსაკუთრებით გამოირჩევა ეს მოთხრობები განსახილველი პერიოდის ქართულ მხატვრულ პროზაში.

ქართველი ნიჭიერი ბელეტრისტის სერგო კლდიაშვილის ომის დღეებში გამოქვეყნებულ მოთხრობაში "ერთი ღამის ამბავი" ზუსტი ფსიქოლოგიური ანალიზი მარჯვედ ეხმარება სიუჟეტის სიმწვავეს.

ყოფილი მეზღვაურის ანდრო ლომიძის ომში მიღებული შთაბეჭდილებანი დაედო საფუძვლად მის მოთხრობებსა და ნოველებს, რომლებიც მკითხველს გრძნობათა გულწრფელობითა და აღწერის სიმართლით ხიბლავენ.

გამოჩენილმა ქართველმა პროზაიკოსმა მიხეილ მრევლიშვილმა მოთხრობაში "ოქროს ზარნიშიანი ხანჯალი" დაგვიხატა საბჭოთა სამშობლოს დამცველთა ყოველდღიური საგმირო საქმეები. თანამედროვე ამბების აღწერას ენაცვლება შორეულ წარსულში ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ეპიზოდები, რომლებიც ორიგინალურად არის ჩართული მებრძოლის ნაამბობში.

სამამულო ომის პერიოდში მრავალი პროზაიკოსი მიმართავს ისტორიულ და ისტორიულ-რევოლუციურ წარსულს, ცდილობს გაიაზროს სამშობლოს გზა, მისი ბედი. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კ. გამსახურდიას, ა.

ქუთათელის, მ. მრევლიშვილის, ა. გაწერელიას, გ. შატბერაშვილის, ი. ლისაშვილის, ბ. ჩხეიძის, ქეთევან ირემაძის ნაწარმოებები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია კონსტანტინე გამსახურდიას ოთხტომიანი რომანი "დავით აღმაშენებელი". ტეტრალოგიის პირველმა წიგნმა, რომელიც სამამულო ომის დღეებში გამოვიდა, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. იგი გადაგვიშლის ძველი საქართველოს ისტორიის ნათელ ფურცელს, როცა ქართველი ხალხი წარმატებით უყრიდა საფუძველს თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღორძინების დიად საქმეს.

კ. გამსახურდია წარმოგვიდგება ბატალური სცენების დიდებულ ოსტატად, რომელსაც უნარი შესწევს ფართოდ და ნათლად ასახოს სამხედრო-პოლიტიკური და სოციალური სინამდვილე. პირველი წიგნის სიუჟეტი მწვავე და დაძაბულია, რთული ჩანაფიქრი მწყობრ კომპოზიციურ კალაპოტშია მოქცეული.

ქართული ისტორიული რომანის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცნობილი ქართველი პროზაიკოსის აკაკი ბელიაშვილის წიგნს "ბესიკი" (1942 – 1947).

დიდი სამამულო ომის წლებში გამოვიდა აგრეთვე მესამე წიგნი გამოჩენილი პროზაიკოსის ალექსანდრე ქუთათელის ოთხტომიანი რომანისა "პირისპირ", რომელშიც უაღრესი სიზუსტითა და დამაჯერებლობით არის ნაჩვენები ქართველი ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი – ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ეს ნაწარმოები ერთადერთი ფართო ტილოა ქართულ პროზაში, რომელშიც რეალისტურად, გროტესკისა და შარჟის გარეშე მართლად და ღრმად არის გამოხატული ჩვენი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდი. გრანდიოზული ისტორიული მოვლენების მსვლელობაში ნაჩვენებია გმირების კონკრეტული სვე-ბედი. მესამე წიგნის თხრობის ცენტრშია რომანის მთავარი გმირი კორნელი მხეიძე, ავტორმა დამაჯერებლად და დიდი ოსტატობით გადმოსცა მისი სულიერი დრამა, მისი მსოფლმხედველობის ევოლუცია, თანდათანობით მიახლოება რევოლუციური მუშათა კლასის, ბოლშევიკების პოზიციებთან.

მაგრამ ქართული ისტორიული პროზის უეჭველ წარმატებებს არ შეესაბამებოდა თანამედროვეობის, სამამულო ომის შესახებ დაწერილი მოთხრობებისა და რომანების მხატვრული დონე. იმ დროის მრავალ პროზაულ ნაწარმოებს აჩნდა სიუჟეტის ნაძალადეობა, ხასიათების სქემატურობა, სიტუაციების არატიპიურობა, დეტალების არადამაჯერებლობა და მიმბაძველობა.

საკმაოდ დიდი, მაგრამ არატოლფასოვანი პროდუქცია შეიქმნა დრამატურგიის დარგში: უეჭველ წარმატებებთან ერთად ქართველმა დრამატურგებმა გამოაქვეყნეს ბევრი მხატვრულად სუსტი ნაწარმოები, რომლებიც ახლა სამართლიანად არის მივიწყებული.

იმ წლების პიესათა დიდი უმრავლესობა მიეძღვნა საბჭოთა ხალხის უმაგალითო ბრძოლას სამამულო ომში. ამ გარემოებამ განსაზღვრა მთელი რიგი ზოგადი ნიშნები, თუმცა მეტად ინდივიდუალური იყო თითოეული ავტორის შემოქმედება. ეს ზოგადი ნიშნებია უწინარეს ყოვლისა მაღალი ჰუმანისტური პათოსი და დაუოკებელი სწრაფვა ფაშისტი ბარბაროსების მოსასპობად, ანტიხალხური ძალების გარდაუვალი დამარცხების მტკიცე რწმენა. ამასთან არის დაკავშირებული კანონიერი სიამაყის გრძნობა, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობის ნათელი შეგნება. ამ პერიოდის ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ხალხის, მასის წარმოჩენა.

ამ წლების ქართული დრამატურგიის ქრონოლოგიურად პირველი ნაწარმოები იყო გიორგი მდივნის პიესა სათაურით "ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ".

დრო, რომელშიც იგი იწერებოდა, უაღრესად მძიმე იყო ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოსათვის. მაგრამ გ. მდივნის პიესა აღსავსეა ნათელი ოპტიმიზმითა და ხვალინდელი დღის, საბჭოთა ხალხის გარდაუვალი გამარჯვების მტკიცე რწმენით. ამ ღრმა რწმენას აქვს არა ზერელე-მოჩვენებითი, დეკლარაციული ხასიათი, არამედ მისი საფუძველია სოციალისტური წყობილების უძლეველობა, პიესის მოქმედი პერსონაჟების ბუნება, მამაც მეომართა უტეხი სულიერი ძალა. მაგრამ გ. მდივანი ვერ ასცდა ომის დაწყებითი პერიოდის ლიტერატურის მიერ გამომუშავებულ სქემებს, ამას კი მოჰყვა ილუსტრაციულობა, ცალკეული სიტუაციების ნაძალადეობა. ყოველივე ამან ნაწარმოებს ერთგვარად დაუკარგა უშუალობა და დამაჯერებლობა.

ეს ნაკლოვანებანი ძირითადად დაძლეულია გ. მდივნის მეორე პიესაში "მოსკოვის ცის ქვეშ". იგი დაიწერა 1942 წლის პირველ ნახევარში.

ავტორის მიერ შექმნილ სახეებში არ იგრძნობა ნაძალადეობა, ისინი არ წარმოთქვამენ სააგიტაციო სიტყვებს, რაც ამ თემაზე დაწერილ მრავალ პიესას მშრალი პუბლიცისტურობის დაღს ასვამს, ხოლო მოქმედ პირებს აშკარა რეზონიორებად აქცევს. "მოსკოვის ცის ქვეშ" მამაც გმირებს წარმოგვიდგენს პიროვნებებად, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ნიშნების ფართო გამით. მკითხველებსა და მაყურებლებს ამახსოვრდებათ პიესის გმირები.

ერთ-ერთი პირველი და უშუალო გამოხმაურება კავკასიის გმირული დამცველების შესახებ იყო ს. კლდიაშვილის დრამა "ირმის ხევი" (1944), რომლის მოქმედება ჩრდილოეთ ოსეთში მიმდინარეობს. პიესა გამოირჩევა კონფლიქტის დაძაბულობით. განმსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით, მასში ბევრი საინტერესოდ მოფიქრებულ სცენაა, ცოცხალი ხასიათებია. ს. კლდიაშვილის "ირმის ხევი" ქართული დრამატურგიის სამამულო ომის დროს დაწერილ და მისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაწარმოებთა რიგებში დგას.

ომის დასასრულს მწვავედ დადგა ომის ქარცეცხლში გამოვლილი და მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებული ფრონტელის პრობლემა. ამ თემას

მიეძღვნა რამდენიმე დრამატული ნაწარმოები, კერძოდ, გიორგი შატბერაშვილის “ფიქრის გორა”. მან ცხოველი გამოხმაურება პოვა მკითხველთა ფართო წრეში. ეს აიხსნება პიესაში გამოხატულ ადამიანთა ხასიათების ამაღელვებელ-ემოციური სიმძაფრით.

დიდი იდეურ-მხატვრული რეზონანსი ჰქონდა ისტორიულ თემაზე დაწერილ დრამატულ ნაწარმოებებს. ომის დროს გამოქვეყნდა ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის სანდრო შანშიაშვილის “კრწანისის გმირები”. ისტორიული ამბები აქ ქმნიან ფონს, რომელზეც მოქმედებენ მოგონილი გმირები. მათი აზრები, საქციელი პირდაპირ ეხმიანება თანამედროვეობას. გამარჯვების პათოსით გამსჭვალული ეს პატრიოტული ნაწარმოები სცენაზე დაიდგა სამამულო ომის მძიმე პერიოდში, კავკასიისათვის ბრძოლის დროს. ეს პიესა მაყურებლის შეგნებაში გამარჯვების რწმენას ამკვიდრებდა.

“კრწანისის გმირების” გარდა, ს. შანშიაშვილმა ამ წლებში დაწერა მეორე ცნობილი პიესაც - “იმერეთის ღამეები”, რომელიც ეხმაურება ისტორიულ თემაზე დაწერილ სხვა ნაწარმოებებს და განსაკუთრებით, ზემოაღნიშნულ “კრწანისის გმირებს”, მაგრამ უფრო დასრულებული, სრულყოფილი და კოლორიტულია.

სამამულო ომის პერიოდის ქართულ დრამატურგიასა და პროზაში თავი იჩინა მთელმა რიგმა ნაკლოვანებებმა, რომლებიც დროთა განმავლობაში, მართალია, თანდათან გაქრა, მაგრამ მაინც დააჩნია გარკვეული კვალი იმ წლების მთელ ლიტერატურულ პროდუქციას.

აშკარა ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიუხედავად, ქართულმა საბჭოთა დრამატურგიამ, ისევე როგორც პროზამ, ძირითადად წარმატებით შეასრულა ის უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დასახული იყო დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელის ჟამს. რაც შეეხება პოეზიას, იგი ამ პერიოდში გამდიდრდა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებით, რომლებიც მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

---

[1] **გალაკტიონ ტაბიძე,** ტ. 6, გვ. 68.
[2] **გალაკტიონ ტაბიძე.** თხზულებათა სრული კრებული, ტ. 5, 1967, გვ. 97.
[3] **გრ. აბაშიძე.** რჩეული, 1960, გვ. 78.
[4] **კარლო კალაძე.** ერთტომეული, 1954.
[5] **იოსებ ნონეშვილი.** ერთტომეული, 1968, გვ. 55.

§ 4. ქართული ხელოვნება ომის პერიოდში

დიდი სამამულო ომის პერიოდში ქართული ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელთა საქმიანობა მტერზე გამარჯვების ინტერესებს დაექვემდებარა.

საქართველოს თეატრების მუშაობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა უპირველეს ყოვლისა მათ რეპერტუარში გამოიხატა. მთავარი ყურადღება დაეთმო ანტიფაშისტურ, სამხედრო-პატრიოტულსა და ისტორიულ-საგმირო თემატიკას.

საქართველოს დრამატულმა თეატრებმა მთელი რიგი დადგმები განახორციელეს, მათ შორის: გ. მდივნის "ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", "მოსკოვის ცის ქვეშ" და "პარტიზანები", კ. სიმონოვის "მელოდე", ვ. კატაევის "ჯარისკაცი ბრუნდებოდა ფრონტიდან", გ. შატბერაშვილის "ფიქრის გორა", ს. კლდიაშვილის "ირმის ხევი", ვ. დარასელის "კიკვიძე", ა. რჟეშევსკის და ს. კაცის "ოლეკო დუნდიჩი", ს. შანშიაშვილის "გიორგი სააკაძე" და "კრწანსის გმირები", ლ. გოთუას "ერეკლე მეორე" და "უძლეველნი", ა. სამსონიას "ბაგრატიონი", ვ. სოლოვიოვის "დიდი ხელმწიფე", მ. ჯაფარიძის "ჟამთაბერის ასული" და სხვ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ახალი ქართული ოპერები – ი. გოკიელის "პატარა კახი", ა. ანდრიაშვილის "კაკო ყაჩაღი"; განხორციელდა ა. ბალანჩივაძის ბალეტის "მთების გულის" დადგმა.

ომის პირველ ხანებში რესპუბლიკის თეატრალური კოლექტივების რიცხვი რამდენადმე შემცირდა, 48 კოლექტივიდან ამ პერიოდში მოქმედებდა 39. ეს გამოწვეული იყო უმთავრესად იმით, რომ 500-მდე ახალგაზრდა მსახიობი და თეატრის მუშაკი ფრონტზე წავიდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს თეატრალური კოლექტივები წარმატებით ემსახურებოდნენ მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებას, მათს პოლიტიკურ და ესთეტიკურ აღზრდას.

ომის წლებში განხორციელებულ თეატრალურ დადგმებში მკაფიოდ აისახა საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი მასობრივი გმირობა ფრონტზე და ზურგში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წამყვანი ადგილი კვლავ შ. რუსთაველისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრების კოლექტივებს ეკავა. მათ შექმნეს მთელი გალერეა გმირებისა, რომლებიც განასახიერებდნენ მაღალიდეურ, სამშობლოსადმი უანგარო ერთგულებით განმსჭვალულ მეომრებსა და მშრომელებს.

წარმატებით სძლევდნენ საბჭოთა თეატრის ამოცანებს ასევე საქართელოს სხვა დრამატული თეატრების კოლექტივები: ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, ს. ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრი, ს.

შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი, კ. ხეთაგუროვის სახელობის ოსური თეატრი, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, გორისა და თელავის თეატრები.

პირველად საბჭოთა კავშირში შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე განხორციელდა ი. სელვინსკის პიესა "ბრუსილოვის" დადგმა, რომელიც მიძღვნილი იყო რუსეთის ძველი არმიის ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავრის, კავალერიის გენერლის ა. ა. ბრუსილოვისადმი. როგორც ცნობილია, ა. ა. ბრუსილოვი დაიბადა და ბავშვობა გაატარა საქართველოში. ერთ-ერთი ყველაზე პატრიოტული სპექტაკლი იყო ი. მოსაშვილის "სადგურის უფროსი". ეს ნაწარმოები, რომელშიც აისახა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინური მეგობრობის ურღვევი ძალა ომის წლებში, დიდხანს იდგმებოდა რესპუბლიკის თეატრების სცენაზე.

ქართულ ხელოვნებაში გარკვეული სიახლე შეიტანეს თბილისში ევაკუირებულმა ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ო. კნიპერ-ჩეხოვამ და სხვებმა.

ქართული ხელოვნების მუშაკები დიდ სამხედრო-საშეფო მუშაობას ეწეოდნენ. ომის დაწყებისთანავე საქართველო სახელმწიფო ფილარმონიასთან და ყველა თეატრთან ჩამოყალიბდა სამხატვრო ბრიგადები ჯარის ნაწილებისა და ჰოსპიტალების მომსახურებისათვის. ამ ბრიგადების შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა თეატრებისა და ხელოვნების კოლექტივების წარმომადგენლები – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, ქართლ-კახური სიმღერების გუნდი, ქართული ჯაზი. ომის პირველი ექვსი თვის განმავლობაში სამხატვრო ბრიგადებმა გამართეს 630 საშეფო კონცერტი ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში.

1942 წელს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მარტო სამმა საფრონტო ბრიგადამ მოაწყო ათას ორასი სამხედრო-საშეფო კონცერტი, 16 ფასიანი საესტრადო საღამო, რომლის მთელი შემოსავალი (300 ათასი მანეთი) გადაირიცხა თავდაცვის ფონდში[1].

საქართველოს ბევრი თეატრი გამსვლელ წარმოდგენებს მართავდა სამხედრო შენაერთებსა და ჰოსპიტლებში. სახელმწიფო ფილარმონია ყოველთვიურად აწყობდა 100-ზე მეტ კონცერტსა და საესტრადო წარმოდგენას[2].

1944 წელს განახლდა თეატრის შენობების აგება ქუთაისში, სოხუმში, ზესტაფონში, ზუგდიდში. ომის ბოლოსათვის გაიზარდა თეატრალური კოლექტივების რიცხვი. 1945 წელს საქართველოში 41 თეატრი იყო.

დიდი სამამულო ომის წლები კომპოზიტორთა ინტენსიური შემოქმედებითი ზრდით ხასიათდება. ამ პერიოდის ნაწარმოებები ადიდებენ ქართველი ხალხის გმირობას, მის სიყვარულს სამშობლოსადმი, ხალხთა მეგობრობასა და სწრაფვას მშვიდობისაკენ.

შეიქმნა მრავალი სოლო და საგუნდო სიმღერა, მარში და რომანსი. ამ ჟანრის ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს ი. ტუსკიას სიმღერა "კაპიტანი ბუხაიძე" (ი. აბაშიძის ტექსტზე), გ. კოკელაძის ამავე სახელწოდების სიმღერა

(იმავე ტექსტზე) და სიმღერა გმირულად დაღუპულ შალამბერიძეზე (რ. გვეტაძის ტექსტზე).

ომის წლებში შექმნილი ლირიკული რომანსების ავტორები არიან დ. არაყიშვილი, ა. მაჭავარიანი, რ. გაბიჩვაძე, ა. ჩიმაკაძე, ვ. ცაგარეიშვილი, ა. ბუკია, შ. თაქთაქიშვილი, ო. თაქთაქიშვილი და სხვ. ამ ჟანრისადმი ახალი მიდგომა იმაში გამოიხატა, რომ სატრფიალო ლირიკა ნაწილობრივ შეიზღუდა პატრიოტული და სამოქალაქო მოტივით, დაღუპულ გმირებზე სევდითა და ნათელი მომავლის რწმენით, რაც ამ პერიოდში შექმნილ რომანსებს დიდ პატრიოტულ ჟღერადობას აძლევდა. ომის წლებში შექმნილი რომანსებიდან გამოირჩევა ა. მაჭავარიანის "არ დაიდარდო დედაო" (გ. ლეონიძის ტექსტზე) და ო. ბარამიშვილის "სიმღერა ქარიშხალაზე" (მ. გორკის ტექსტზე).

შეიქმნა ვოკალურ-ინსტურმენტული ჟანრის რამდენიმე მსხვილი ნაწარმოები, მათ შორის: ნ. ნარიმანიძის "საბჭოთა არმიაში გაცილება", რომელიც შესრულდა მოსკოვში 1943 წელს; ნ. გუდიაშვილის კანტატა "კავკასიონი"(1944 წ.), რომელიც კავკასიის გმირულ დაცვას მიეძღვნა.

ომის თემა ნათლად აისახა ქართულ სიმფონიურ მუსიკაში. პირველი სიმფონიური ნაწარმოებები, რომლებიც მიეძღვნა კავკასიის გმირულ დაცვას, ეკუთვნის კომპოზიტორ შ. მშველიძეს. მისი სიმფონიები № 1 ("სამხედრო სიმფონია" – 1943 წ.) და № 2 ("გამარჯვების სიხარული" – 1944 წ.), განმსჭვალულია გმირული პათოსით, პატრიოტიზმის ნათელი სულით; ამ ნაწარმოებებში გამოხატულია საბჭოთა ადამიანის რწმენა მტერზე საბოლოო გამარჯვებისადმი.

1943 წელს შესრულდა დ. არაყიშვილის მეორე, ე. წ. "ლირიკული" სიმფონია, რომელშიც სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულია ჩაქსოვილი. ამავე წლებში დაიწერა ნ. გუდიაშვილის პირველი და კ. მეღვინეთუხუცესის მეხუთე სიმფონიები. 1944 წელი აღინიშნა ქართული სიმფონიური მუსიკის ბრწყინვალე გამარჯვებით. ამ წელს შესრულდა ქართული სიმფონიური მუსიკის შესანიშნავი ნაწარმოებები – ა. ბალანჩივაძის პივრელი სიმფონია, რომელმაც საუკეთესო აღიარება მოიპოვა და სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ეს სიმფონია გმირულ-ეპიკურ ჟანრს განეკუთვნება. ა. ბალანჩივაძემ საფუძველი ჩაუყარა ჭეშმარიტად ქართულ სიმფონიურ სტილს, რომელმაც მრავალმხრივი გამოხატულება პოვა ეროვნულ ინსტრუმენტულ მუსიკაში. მცირე ფორმის სიმფონიური ნაწარმოებებიდან გამოირჩევა ა. ბალანჩივაძის სიმფონიური სურათი "კრწანისის ბრძოლა" (1943 წ.), შ. თაქთაქიშვილის "საზეიმო უვერტიურა" (1944 წ.), რ. გაბიჩვაძის სიმფონიური პოემა "გამზრდელი" (1944 წ., ა. წერეთლის პოემის მიხედვით), აგრეთვე ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად (1944 წ.).

პირველად ქართულ მუსიკაში 1944 წელს ი. ტუსკიამ შექმნა ერთნაწილიანი სავიოლინო კონცერტი.

ომის წლებში შეიქმნა ი. გოკიელის ისტორიულ-გმირული ოპერა "პატარა კახი" (1943 წ., ა. წერეთლის პოემის მიხედვით) და ა. მაჭავარიანის

ორმოქმედებიანი ოპერა “დედა და შვილი” (1945 წ., ი. ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით). ამ ოპერებში ასახულია ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ომის წლებში ქართველი კომპოზიტორები ბევრს მუშაობდნენ მუსიკის შექმნაზე კინოფილმებისა და სპექტაკლებისათვის.

ქართული მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამხედრო-საშეფო მუშაობაში, დიდ დახმარებას უწევდნენ ჯარის ნაწილებს თვითმოქმედი მხატვრული წრეების ჩამოყალიბებაში, წითელი არმიის სახლებსა და ჯარის კლუბებთან მუსიკალური კოლექტივების შექმნაში. ისინი აწყობდნენ კონცერტებსა და სპექტაკლებს მოქმედ არმიაშიც. მარტო საოპერო თეატრის კოლექტივმა სხვადასხვა ფრონტზე 1 500-ზე მეტი კონცერტი გამართა.

ომის წლებში ფართოდ გაიშალა კლასიკური და საბჭოთა მუსიკის პროპაგანდა, საქართველოს ფილარმონიასთან შეიქმნა მუსიკალური ლექტორიუმი.

დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ტრადიციად იქცა “სიმფონიური ორშაბათები”, რომლებზეც სრულდებოდა საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები, იმართებოდა იმ ხანად თბილისში მცხოვრები ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორების საავტორო საღამოები (ს. პროკოფიევი, ნ. მიასკოვსკი და სხვ.). პირველად თბილისში შესრულდა დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია და ნ. მიასკოვსკის ახალი სიმფონია-ბალადა.

1941 – 1942 წლებში კონცერტებით გამოვიდნენ თბილისში ევაკუირებული საბჭოთა მუსიკოსები – დირიჟორები ა. გაუკი და ა. სტასევიჩი, მომღერალი ნ. დორლიაკი, პიანისტი ა. გოლდენვეიზერი, მსახიობი კ. ერდელი, მევიოლინე ბ. სიბორი და სხვ.

საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნების დეკადა, რომელიც 1944 წლის 17 – 29 დეკემბერს ჩატარდა თბილისში. მასში მონაწილეობდნენ საუკეთესო საშემსრულებლო ძალები და მხატვრული კოლექტივები (სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, საგუნდო კაპელები, სიმფონიური და ხალხურ საკრავთა ორკესტრები). დეკადაზე შესრულდა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა მიერ ომის წლებში შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებები. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ა. ბალანჩივაძის პირველმა სიმფონიამ, რომელიც პირველად შესრულდა დეკადაზე ო. დიმიტრიადის დირიჟორობით.

ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდა 1944 წლის მაისში მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების საღამოებზე[3]. 1945 წლის თებერვალ-მარტში მოსკოვსა და ლენინგრადში წარმატებით ჩატარდა ქართული მუსიკის კონცერტები.

გაფართოვდა და კიდევ უფრო განმტკიცდა მოძმე რესპუბლიკათა კომპოზიტორების შემოქმედებითი კავშირები, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხების მუსიკალური კულტურის შემდგომ განვითარებას.

ომის წლებში შეიცვალა ქართული სახვითი ხელოვნების თემატიკა. ომის პირველი დღეებიდანვე ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის ნაწარმოებებში ფართოდ აისახა სამშობლოს დამცველთა გმირობა და თავდადება, აგრეთვე ზურგის მშრომელთა შემოქმედებითი შრომა. 1941 – 1942 წლებში საქართველოს მხატვართა კავშირის წევრებმა შექმნეს 75-ზე მეტი მხატვრული პანო, 232 პორტრეტი, 128 პლაკატი, 154 სხვადასხვა კარიკატურა, 60 პოლიტიკური ლოზუნგი, 10 სატირის "ფანჯრები" და ა. შ[4].

1941 წელს მოეწყო ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის დარგში შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებების გამოფენა თემაზე: ქართველი ხალხის გმირული წარსული, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ფაშისტების მხეცობა და საბჭოთა ხალხის თავგანწირული ბრძოლა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ გამოფენებზე წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი მხატვრისა და მოქანდაკის ნამუშევარი. საუკეთესოდ იქნა აღიარებული ელენე ახვლედიანის "ცხრა ძმა ხერხეულიძე", თამარ აბაკელიას "თბილისის დაცვა XVII საუკუნეში", ს. მაისაშვილის "გ. სააკაძე ბრძოლის ველზე", შ. მაყაშვილის "სპარსელების განდევნა თბილისიდან". განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც დიდი სამამულო ომის თემას მეიძღვნა: თ. აბაკელიას ქანდაკება "შურს ვიძიებთ", ვ. თოფურიძის "პარტიზანი", ი. თოიძის პლაკატი "დედა-სამშობლო გვიხმობს!", რომელიც ომის პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც იგრძნობა განსაკუთრებული ემოციურობა და მოწოდების უდიდესი ძალა.

ქართველი მხატვრები ხშირად მიდიოდნენ ფრონტზე, რათა შეექმნათ ნამდვილად პატრიოტული ფერწერული ნაწარმოებები. მაგალითად, ფრონტის ხაზზე იყვნენ მხატვრები უ. ჯაფარიძე, კ. გრძელიშვილი, ვ. ჯაფარიძე, შ. მამალაძე, კ. ხუციშვილი და სხვები, რომელთა შემოქმედებაში შემდეგ აისახა ჯარისკაცებისა და ოფიცრების საბრძოლო ცხოვრება[5].

1942 წელს თბილისში დაიდგა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შ. რუსთაველის ძეგლი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი).

ბევრი ქართველი მხატვარი ომის პირველსავე დღეებში მობილიზებულ იქნა და იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს. მათ შორის იყვნენ: ა. გიგოლაშვილი, გ. ჯაფარიძე, ა. კოპალიანი, დ. თავაძე, რ. თავაძე, გ. ვარაზაშვილი და სხვ.

ქართველ მხატვართა მიერ 1943 – 1944 წლებში შექმნილ ნაწარმოებებში ასახულია ქართველი ხალხის გმირობა ფრონტზე და ზურგში. სახვითი ხელოვნების არაერთი ნაწარმოები მიეძღვნა სამამულო ომის თემას. ამ პერიოდის ნამუშევართა შორის უნდა აღინიშნოს: ი. ნიკოლაძის მიერ შექმნილი გენერლების კ. ლესელიძისა და პ. ჩანჩიბაძის სკულპტურული პორტრეტები, თ. აბაკელიას ქანდაკება "კავკასიის დაცვა" და "დაჭრილი

პარტიზანი”; მ. თოიძის “თბილისელი ქალები ამზადებენ საჩუქრებს ფრონტზე გასაგზავნად”, “წერილი ფრონტიდან” და ი. თოიძის ტილოები “ფაშისტების მხეცობა”, “დავიცავთ კავკასიას” და საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახოკიძის პორტრეტი; უ. ჯაფარიძის “დედის ფიქრები”; კ. სანაძის “გმირი ჭაბუკი”, კ. ხუციშვილის “სატანკო შეტევა”; ქართველ მხატვართა ჯგუფის პლაკატების სერია “ხიშტით და კალმით”; უ. ჯაფარიძის “დაჭრილის მოწოდება”, ლ. გუდიაშვილის “მოძალადენი”, “ფაშისტის სულგრძლელობა”, “აგრესორის ულტიმატუმი”; გ. გიორგაძის, ა. გიგოლაშვილის, ბ. რომანოვსკის ერთობლივი ნაწარმოებები “საბჭოთა კავალერისტები ანადგურებენ ფაშისტებს სტალინგრადის მისადგომებთან”; ა. ქუთათელაძისა და დ. ნადარეიშვილის “პარტიზანების მიერ გერმანელთა შტაბის განადგურება ჩრდილოეთ კავკასიაში” და სხვ.

მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიაღწიეს მხატვრებმა: ელენე ახვლედიანმა, ვ. ჯაფარიძემ, გ. ჯაშმა, ქეთევან მაღალაშვილმა, შ. მაყაშვილმა, შ. მამალაძემ, რ. მირზაშვილმა და სხვებმა. ნაყოფიერად მუშაობდნენ მხატვარი-დეკორატორები ს. ვირსალაძე, ი. გამრეკელი, ს. ქობულაძე, ვ. სიდამონ-ერისთავი და სხვები.

1945 წელს ქართველმა მხატვრებმა მთელი რიგი ნაწარმოებები შექმნეს, მათ შორის აღსანიშნავია: ა. ქუთათელაძის “გენერალი ლესელიძე მებრძოლებთან”; ქ. მაღალაშვილის “საბჭოთა არმიის მებრძოლი”; შ. მიქატაძის სკულპტურული კომპოზიცია “სამშობლო გვეძახის!”; ნ. კანდელაკის საბჭოთა კავშირის მარშლის თ. ტოლბუხინისა და საბჭოთა კავშირის გმირის დ. ბაქრაძის სკულპტურული პორტრეტები; ს. კაკაბაძის სოციალისტური შრომის გმირის ნ. გელაძის ბიუსტი; ტ. სიხარულიძის გენერალ გ. ყუფარაძის სკულპტურული პორტრეტი და რ. შეროზიას საბჭოთა კავშირის გმირის მ. ქანთარიას პორტრეტი[6].

ომის წლებში ქართულ კინოხელოვნებაში უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ისეთი ფილმების შექმნას, რომლებიც აღვივებდნენ საბჭოთა ხალხში მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებას და ჰიტლერელი დამპყრობლებისადმი სიძულვილის გრძნობას.

1942 წელს თბილისის კინოსტუდიის კოლექტივმა დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნა კინოსურათი “ხიდი” (რეჟ. გ. პიპინაშვილი). ამავე წელს ეკრანზე გამოვიდა ისტორიულ-გმირული ეპოპეის “გიორგი სააკაძე” (რეჟ. მ. ჭიაურელი) პირველი სერია. ეს ფილმი, რომელშიც აისახა XVII საუკუნის გამოჩენილი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, მოუწოდებდა საბჭოთა ხალხს თავგანწირული ბრძოლისაკენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

1943 – 1944 წლებში შეიქმნა ახალი მხატვრული კინოფილმები, რომელთა მთავარი თემა იყო დიდი სამამულო ომი, საქართველოს გმირული წარსული. 1943 წელს დამთავრდა მუშაობა “გიორგი სააკაძის” მეორე სერიაზე. ამ კინოეპოპეის დამდგმელ რეჟისორს მ. ჭიაურელს და მთავარი როლების

შემსრულებლებს ა. ხორავასა და ვ. ანჯაფარიძეს მიენიჭათ სახელმწიფო პრემია.

ამავე წლებში თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა ფილმი ”ის კვლავ დაბრუნდება” (რეჟისორები ნ. შენგელაია და დ. ანთაძე) და მუსიკალური კინოსურათი “ჯურღაის ფარი” (რეჟისორები ს. დოლიძე და რ. რონდელი-ცაგარეიშვილი). ამ ფილმებში მაღალმხატვრულ ფონზე აისახა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის იდეები, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი. დიდი წარმატება ხვდა სურათს “ჯურღაის ფარი”, რომლის შემქმნელ კოლექტივს შემდგომში სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1945 წელს თბილისის კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა კინოკომედია “ჭირვეული მეზობლები” (რეჟ. შ. მანაგაძე), რომელშიც მაღალმხატვრული გემოვნებით, კომედიური ფორმით ნაჩვენებია ქართველი ხალხის თავდადებული შემოქმედებითი შრომა ომის წლებში. ეს ფილმი დიდხანს წარმატებით მიდიოდა ჩვენს ეკრანებზე.

ომის პერიოდში გაფართოვდა საბჭოთა მებრძოლების საგმირო საქმეების ამსახველი დოკუმენტურ-ქრონიკალური კინოფილმების წარმოება. უკვე 1942 წელს ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა გადაიღეს მთელი რიგი საბრძოლო ეპიზოდები, რომლებშიც მონაწილეობდნენ 224-ე, 242-ე, 276-ე, 392-ე, 414-ე და სხვა დივიზიები ყირიმისა და კავკასიისათვის ბრძოლებში. ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა ფირზე აღბეჭდეს შავი ზღვის ფლოტის გემების მიერ ჩატარებული მთელი რიგი სადესანტო ოპერაციები[7]. შეიქმნა კინონარკვევი “ჩვენი ჯარების დარტყმა ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან”, რომელშიც ნაჩვენებია საბჭოთა მეომრების გმირობა ფაშისტური ურდოების განადგურების დროს კავკასიონის მთისწინეთში[8].

საქართველოში შექმნილ დოკუმენტურ-ქრონიკალურ ფილმებს შორის ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით. მათში ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი გმირობა, გამოჩენილი მხედართმთავრების მოღვაწეობა, ფრონტისა და ზურგის გმირები. ასეთ კინოსურათებს განეკუთვნებიან: “კავკასიონი” (რეჟისორები ლ. ვარლამოვი და შ. ჩაგუნავა), “გენერალი ლესელიძე” (რეჟ. კ. გრძელიშვილი), “პატრიოტი მეთევზეები”(რეჟისორი ვ. ვალიშვილი), “ფაშისტი მხეცების კვალდაკვალ” (რეჟ. შ. ჩაგუნავა), “ომი ზღვაზე” (რეჟ. შ. ხომერიკი), “ჩანჩიბაძის გვარდიული არმია უკანასკნელ ბრძოლებში” (რეჟ. გ. ასათიანი[9], “ჩვენი ჯარების დარტყმა ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან” (რეჟ. ი. კანდელაკი) და ო. დეკანოსიძის და ვლ. კილასონიძის დოკუმენტური ფილმები ყირიმის ბრძოლების შესახებ.

აღნიშნული პერიოდის დოკუმენტურ-ქრონიკალურმა სურათებმა არა მარტო გაამდიდრა საბჭოთა კინო - ხელოვნება, არამედ ისინი მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტებია დიდი სამამულო ომის შესახებ. აი, როგორ შეაფასა ერთ-ერთი ასეთი კინოსურათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როდესაც იგი მე-18 არმიის

პოლიტგანყოფილებას ხელმძღვანელობდა. ლ. ი. ბრეჟნევის წერილში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისადმი ნათქვმია: “მე-18 არმიაში თქვენს მიერ გამოგზავნილ დოკუმენტურ-ქრონიკალურ ფილმში “ჰიტლერელთა ავანტიურის დასასრული კავკასიაში”, რომელიც თბილისის კინოსტუდიის მიერ არის შექმნილი, ყველაზე უფრო სრულად არის გადმოცემული (ამ თემაზე არსებულ ფილმებს შორის) გერმანელთა ურდოების განადგურება ნოვოროსიისკთან და ტამანთან... ცალკეული კადრები, რომლებშიც ნაჩვენებია ბრძოლები ნოვოროსიისკის ქუჩებში, სატანკო შეტევები და ავიაციის მოქმედება, დიდი გამბედაობით და კარგად არის გადაღებული. კადრები, რომლებშიც ასახულია საბჭოთა ადამიანების დამწვარი გვამები, ნოვოროსიისკის, ანაპისა და ტამანის დანგრეული კვარტალები, იწვევენ მებრძოლებში ზიზღსა და მრისხანებას გერმანელი ოკუპანტებისადმი.

პოლიტიკური განყოფილება მადლობას უცხადებს ამ საჭირო დოკუმენტური ფილმის შემქმნელ კოლექტივს (რეჟ. კანდელაკი, ოპერატორები არზუმანოვი, ასათიანი).

გთხოვთ გადასცეთ ფილმის შემქმნელ კოლექტივს ჩვენი საუკეთესო სურვილები – მიაღწიონ ახალ შემოქმედებით წარმატებებს დოკუმენტური ფილმების შექმნაში, რომლებიც მოწმობენ ჩვენი სამშობლოს დიდებას, წითელი არმიის ძალასა და ძლიერებას.

თითოეული ასეთი ფილმი – ეს არის დიდი წვლილი ჩვენს ბრძოლაში, დაუძინებელ მტერზე საბოლოო გამარჯვების საქმეში”[10].

დიდი სამამულო ომის წლებში ღირსშესანიშნავი მხატვრული ფილმების შექმნისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 14 აპრილის ბრძანებულებით თბილისის კინოსტუდია დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

მიუხედავად უდიდესი სამხედრო ხარჯებისა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად ახერხებდნენ სახსრების გამონახვას საბჭოთა, და მათ შორის საქართველოს, ხელოვნების განვითარებისათვის. ომის პირველ წლებში შემცირდა ხარჯები ხელოვნების საჭიროებისათვის. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1941 წელს ამ ხაზით ასიგნებული იყო 34,6 მილიონი მანეთი, 1942 წელს – 19,0, 1943 წელს – 15, 7 მილიონი მანეთი, მაგრამ 1944 წელს უკვე გაღებულ იქნა 27,1, ხოლო 1945 წელს – 33,6 მილიონი მანეთი. ომის ბოლოსათვის გაიზარდა ხელოვნების მუშაკთა ხელფასის წლიური ფონდიც 1941 წლის 20,6 მილიონი მანეთიდან 21,4 მილიონ მანეთამდე 1944 წელს[11].

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12671, ფურც. 14.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12530ურც. 17.

[3] «Правда», 14 июля 1944 г.
[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11818, ფურც. 160 – 165.
[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ 13132, ფურც. 86.
[6] ჟურნ. "საბჭოთა ხელოვნება", 1961, N 5, გვ, 45.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11762, ფურც. 18.
[8] იქვე, საქ. 13117, ფურც. 285.
[9] ჟურნ. "საბჭოთა ხელოვნება", 1961, N 7. გვ. 13.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13806, ფურც. 32.
[11] იქვე, აღწ. 3, საქ. 618, ფურც. 4; აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 123.

§ 5. საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა ომის წლებში

მიუხედავად იმისა, რომ ომის წლებში რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობა დიდ სიძნელეებს განიცდიდა (მნიშვნელოვნად შეიკვეცა მისი ბაზა, არ იყო საჭირო მომარაგება, ადგილი ჰქონდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას), საქართველოს წიგნის გამომცემლობა და ბეჭდვითი სიტყვა უზურნველყოფდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებას ბეჭდურ პროდუქციაზე, აგრეთვე დიდ დახმარებას უწევდნენ ჯარის ნაწილებს.

უკვე 1942 წლის დასაწყისში რესპუბლიკაში ქართულ ენაზე გამოიცა 20 ათასი ცალი სხვადასხვა სამხედრო წესდება და სამხედრო მომზადების დამხმარე წიგნი. დიდი რაოდენობით გამოვიდა რუსულ-ქართული ლექსიკონი იმ მებრძოლთათვის, რომელნიც სუსტად ფლობდნენ რუსულ ენას. აღნიშნულ წელს საქართველოს გამომცემლობებმა ჯარის ნაწილებისათვის ქართულ ენაზე გამოსცეს 42 დასახელების სხვადასხვა წიგნი და ბროშურა 430 ათასი ეგზემპლარის საერთო ტირაჟით და 25 ათასი ეგზემპლარი რუსული ენის სასაუბრო. ამას გარდა, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისათვის რესპუბლიკური გაზეთებიდან გამოყოფილი იყო: 24 ათასი ეგზემპლარი "ზარია ვოსტოკა" და 6,4 ათასი ეგზემპლარი "კომუნისტი". სხვა ფრონტებს ეგზავნებოდათ 1,7 ათასი ცალი "ზარია ვოსტოკა" და 1,7 ათასი ცალი "კომუნისტი"[1].

საქართველოს პრესაში ქვეყნდებოდა საბჭოთა ადამიანების საბრძოლო და შრომითი გმირობის ამსახველი მასალები, რომელიც მოწოდებული იყო მკითხველები აღეზარდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საქართველოს პრესა უდიდეს დახმარებას უწევდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და სახკომსაბჭოს მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაციისა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს მითითებების განხორციელებაში.

გარდა მხატვრული ლიტერატურისა, რესპუბლიკაში გამოდიოდა პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურა, საბავშვო წიგნები და ბროშურები. ომის წლებში ბეჭდური პროდუქციის მოცულობა

რესპუბლიკაში შემცირდა, მხოლოდ 1945 წლიდან დაიწყო მისი ზრდა. წიგნებისა და პერიოდული ლიტერატურის გამოცემის დინამიკა ნაჩვენებია ცხრილში (იხ. ცხრილი 1)[2].

ცხრილი 1

	წ ლ ე ბ ი					
	1940	1941	1942	1943	1944	1945
წიგნების რაოდენობა (ბეჭდვითი ერთეული						
წიგნების საერთო ტირაჟი (ათასი ეგზემპლარი)	1630	-	968	622	423	482
სულ წიგნების ნაბეჭდი თაბა-ხის რაოდენობა (ათასი ეგზემპლარი)	5618,0	-	3243,0	1947,4	1611,7	2689,0
ჟურნალების საერთო ტირაჟი(ათასი ეგზემპლარი)	387650		300200	77320	94720	158570
გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი (ათასიეგზემპლარი)	16830	15386	7008	3680	5562	6980
	6680	6564	4258	3322	3729	4308

გარდა ამისა, ეროვნულ ნაწილებსა და შენაერთებში, აგრეთვე ზოგიერთ ჯარის შენაერთებში გაზეთები გამოდიოდა ქართულ ენაზე. გაზეთები, საბრძოლო ფურცლები, სამახსოვროები, მოწოდებები და ლოზუნგები ქართულ ენაზე გამოდიოდა 224-ე, 276-ე, 296-ე, 392-ე, 349-ე, 406-ე და 414-ე მსროლელ დივიზიებში, აგრეთვე ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის, ყირიმის, ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ფრონტების პოლიტსამმართველოებთან. ისინი უდიდეს მორალურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობით გავლენას ახდენდნენ ქართველ მებრძოლებზე.

საერთოდ, საქართველოს ბეჭდვითმა სიტყვამ ომის წლებში უდიდესი დახმარება გაუწია პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს რესპუბლიკის ძალებისა და საშუალებების მობილიზაციის საქმეში ფრონტის დასახმარებლად.

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 12365, ფურც. 124.

[2] იქვე, საქ. 647, ფურც. 139.

§ 6. რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებანი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისადმი. პარტიასა და მთავრობას იგი პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად მიაჩნდათ და ამიტომ ყოველგვარ ღონეს მიმართავდნენ, რათა მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინათ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. დიდი სამამულო ომის დასაწყისში, როცა საჭირო შეიქნა მთელი სახალხო მეურნეობის სასწრაფოდ გადაყვანა სამხედრო ყაიდაზე, საბჭოთა ხალხს მოუხდა უდიდესი სიძნელეებისა და გაჭირვების გადატანა. ამ მძიმე პირობებში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და სახკომსაბჭომ განახორციელეს მრავალი ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო მშრომელთა მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

სასაქონლო რესურსების მნიშვნელოვნად შემცირების გამო საბჭოთა კავშირში მოკლე დროის განმავლობაში – 1941 წლის ივლისიდან დეკემბრამდე განხორციელდა მოსახლეობის ნორმირებული მომარაგება სურსათისა და პირველი საჭიროების საგნებით. საბარათო სისტემის შემოღებამ ხელი შეუწყო ქალაქისა და ნაწილობრივ სოფლის მოსახლეობის უწყვეტ და ორგანიზებულ მომარაგებას საკვები პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით ადრე არსებული სახელმწიფო ფასების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო და სამრეწველო საქონლის გაცემის ნორმები მცირე იყო, მან ხელი შეუწყო მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ამას გარდა, მოსახლეობის უკეთ მომარაგების მიზნით მსხვილ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებთან, აგრეთვე მთელ რიგ სხვა დაწესებულებებთან შეიქმნა მუშათა მომარაგების განყოფილებები საკუთარი დამხმარე მეურნეობებითურთ. დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული პროდუქტების ნაწილი ეძლეოდათ აღნიშნული საწარმოების საბავშვო დაწესებულებებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, ხოლო მეორე ნაწილი ხმარდებოდა მოსახლეობის გეგმიურ მომარაგებას, რითაც სახელმწიფოს გარკვეული შეღავათი ეძლეოდა

ომის პერიოდში ფართოდ გაიშალა კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობა. მშრომელებს გამოეყოთ 0,15 ჰექტარამდე ფართობის ნაკვეთები კარტოფილის, ბოსტნეულისა და ზოგჯერ მარცვლეული კულტურების მოსაყვანად. ამასთან ერთად ქალაქის მოსახლეობის და, კერძოდ, თავდაცვითი

საწარმოების კოლექტივების, ფრონტელთა ოჯახების, ევაკოჰოსპიტლებისა და ომის ინვალიდების მომარაგების გაუმჯობესებაზე სისტემატურად ზრუნავდნენ კოლმეურნეობები, რომლებიც გამოყოფდნენ ქალაქების მოსახლეობის დასახმარებლად პროდუქტების გარკვეულ რაოდენობას.

უდიდესი ყურადღება ეთმობოდა საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესებას. ყველა მსხვილ სამრეწველო საწარმოში, სახელმწიფო, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში მუშაობდნენ სასადილოები და ბუფეტები. მათი მომარაგება წარმოებდა როგორც სახელმწიფოსაგან მიღებული ნორმირებული, ისე საკუთარ დამხმარე მეურნეობებში მოყვანილი პროდუქტებით.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მითითებათა საფუძველზე რესპუბლიკური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისადმი. დიდი მუშაობა ჩატარდა ომამდე არსებული სამედიცინო დაწესებულებების განმტკიცებისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ჯანმრთელობის ახალი კერების შესაქმნელად, გადიდდა მედიკამენტების გამოშვება. სისტემატურად ტარდებოდა ენერგიული და ქმედითი ღონისძიებანი სხვადასხვა ეპიდემიების აღსაკვეთად, რისთვისაც შეიქმნა სანიტარიულ-საკონტროლო პუნქტების ფართო ქსელი; სამრეწველო საწარმოებში ჩამოყალიბდა სამედიცინო-სანიტარიული ნაწილები. დიდი ყურადღება ექცეოდა ძველი აბანოების რეკონსტრუქციას, აგრეთვე ახალი აბანოებისა და სადეზინფექციო კამერების მოწყობას, მიუხედავად იმისა, რომ ომის დასაწყისში რამდენადმე შემცირდა რესპუბლიკის სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა, 1945 წლისათვის საქართველოს საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი 3,2 ათასით გაიზარდა. 1940 წელს საქართველოს სამედიცინო-სანიტარიულ დაწესებულებებში მუშაობდა 4,9 ათასი ექიმი და 9,4 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი, ომის ბოლოსათვის ექიმთა რაოდენობა 5,1 ათასს, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალი – 9,7 ათას კაცს შეადგენდა[1].

ომის პერიოდში ძალიან ბევრი გაკეთდა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე დედათა და ბავშვთა დაცვის ხაზით. მნიშვნელოვნად გადიდდა საბავშვო სამკურნალო დაწესებულებების რიცხვი, გაფართოვდა საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი, განახევრდა ბავშვების მოვლისა და კვების გადასახადი. განსაკუთრებით ეფექტური ღონისძიებები განხორციელდა ამ სფეროში მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება (1944 წლის 8 ივლისს) ”ორსული ქალებისათვის, მრავალშივლიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, ”გმირი დედის” საპატიო წოდების, ”სახელოვანი დედის” ორდენისა და ”დედობის მედლის”

დაწესების შესახებ". მნიშვნელოვნად გაუდიდდათ დახმარება მრავალშვილიან დედებს, გაუმჯობესდა ჩვილ ბავშვთა დედების სასურსათო მომარაგება.

საქართველოში 1940 წელს არსებობდა 281 სადღეღამისო საბავშვო ბაგა 9,6 ათასი ადგილით, 1945 წელს – 296. ომის წლებში 12 ერთეულით გაიზარდა ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების რიცხვი, ხოლო ბავშვთა პოლიკლინიკებისა და საავადმყოფოების რაოდენობა 10-ით გადიდდა[2].

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველგვარ ზომებს იღებდნენ იმისათვის, რომ უკეთ უზრუნველეყოთ ბავშვები კვების პროდუქტებით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, გარემოეცვათ ისინი საყოველთაო ყურადღებით, სიყვარულითა და ყოველდღიური მზრუნველობით. ამ მხრივ დიდი მუშაობა ტარდებოდა პიონერთა ბანაკებსა და ბავშვთა გამაჯანსაღებელ მოედნებზე. მარტო 1943 – 1945 წლებში ფრონტელთა და სამამულო ომის ინვალიდთა 144 ათასზე მეტი ბავშვი გაიგზავნა ბავშვთა სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პიონერთა ბანაკებსა და გამაჯანსაღებელ მოედნებზე[3].

ომის წლებში არ შეწყვეტილა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა; სხვადასხვა სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების მიერ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 207 ათასი კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა საბინაო ფართობის დიდ ნაკლებობას განიცდიდა.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებების საფუძველზე პირველ რიგში ხელფასი გაუდიდდა მედიცინის მუშაკებს, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მთელი რიგი წამყვანი დარგების მუშებსა და მოსამსახურეებს. ეს ღონისძიება მიმართული იყო არა მარტო მშრომელთა ცალკეული ჯგუფების მატერიალური უზრუნველყოფის ზრდისაკენ, არმედ მთელი მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისაკენ. 1940 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობაში ჩაბმული მუშა-მოსამსახურეების ხელფასის ფონდი შეადგენდა 1832,3 მილიონ მანეთს, 1945 წლისათვის იგი 2 242,5 მილიონ მანეთამდე გადიდდა. შესაბამისად გაიზარდა წლიური ხელფასის ფონდი რესპუბლიკის მრეწველობაში – 431 მილიონი მანეთიდან 649,7 მილიონ მანეთამდე[4]. რესპუბლიკისა და ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებს, აგრეთვე რესპუბლიკის მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობისა და კოოპერაციის საწარმოებს დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდათ, რათა გამოეძებნათ ნედლეული, თანხები და საშუალებები პირველი საჭიროების საგნების დასამზადებლად, რომ ამ გზით მინიმალურად მაინც უზრუნველეყოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი.

ომის პირველსავე თვეებში რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის სისტემაში დაიწყო სახელოსნოებისა და საამქროების შექმნა ფართო მოხმარების პროდუქციის სხვადასხვა სახეობის ასათვისებლად

და დასამზადებლად. ასეთი პროდუქციის წარმოება ნავარაუდევი იყო ადგილობრივი ნედლეულისა და თავდაცვითი პროდუქციის წარმოების ნარჩენებისა და ნახევარფაბრიკატების ბაზაზე. ამ საწარმოებმა დაიწყეს წარმოება პირველ რიგში ისეთი საგნებისა, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან შემოჰქონდათ, კერძოდ: ელექტრონათურები და ელექტრომოწყობილობის დეტალები, საგალანტერეო, საპარფიუმერიო საქონელი, ასანთი, ცხიმის შემცვლელისაგან დამზადებული ხელისა და სარეცხის საპონი, სხვადსხვა საოჯახო ნივთები. დიდი რაოდენობით მზადდებოდა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, წინდები, ჭურჭელი, საკანცელარიო ნივთები და მრავალი სხვა. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალისტების მოსამზადებლად მოეწყო კურსები, სადაც უმთავრესად ქალები და მოზარდები სწავლობდნენ.

1943 წელს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმა 129 პროცენტით შეასრულეს, ხოლო სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა გეგმით გათვალისწინებული 177,7 მილიონი მანეთი პროდუქციის ნაცვლად გამოუშვა 215,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, რომელშიც 70 პროცენტს სამოქალაქო ასორტიმენტის საქონელი შეადგენდა[5].

ამას გარდა, პირველი საჭიროების საქონელი და საოჯახო ნივთები, აგრეთვე ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟის ნაწარმი და საქმოლაქო ასორტიმენტის სხვა საგნები გარკვეული რაოდენობით მზადდებოდა რესპუბლიკის იმ ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომელნიც ძირითადად თავდაცვით პროდუქციას უშვებდნენ. 1944 წლის შუა ხანებიდან აღნიშნულ საწარმოებში მნიშვნელოვნად გადიდდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ფრონტელთა და დიდი სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებისადმი. როგორც ცნობილია, ომის დასაწყისშივე გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ დახმარებებს და სხვადასხვა შეღავათებს ომის ინვალიდებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი, მათ შრომით მოწყობას. სახელმწიფო შეღავათებისა და მატერიალური დახმარების გარდა, სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და სახელმწიფო დაწესებულებანი გამონახავდნენ დამატებით შესაძლებლობებს ომის ინვალიდთა და ფრონტელთა ოჯახების მორალური მხარდაჭერისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა მუშა და გლეხი ახალგაზრდობა და მოსწავლეები.

რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა განეხორციელებინათ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 22 იანვრის დადგენილება ”საბჭოთა ორგანოებისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სამხედრო

მოსამსახურეთა ოჯახების დასახმარებლად”. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ყოველდღიურ მზრუნველობას სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და იგი წითელ არმიაზე ჩვენი მზრუნველობის ნახევარს შეადგენსო.

ფრონტელთა და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებზე მზრუნველობა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო საქმედ იქცა. რესპუბლიკაში სისტემატურად ტარდებოდა ”დახმარების კვირეულები”, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ფაბრიკა-ქარხნებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან იქმნებოდა სპეციალური ბრიგადები ინვალიდებისა და ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად. ბევრ საწარმოში დაზოგილი მასალიდან არასამუშაო დროს კერვდნენ ტანსაცმელსა და ფეხსამელს ფრონტელთა ბავშვებისათვის. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები ეხმარებოდნენ სამხედრო მოსამსახურეთა და ომის ინვალიდთა ოჯახებს ბინების შეკეთებაში, ბოსტნებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში. კოლმეურნეები გამოყოფდნენ სპეციალურ მიწის ნაკვეთებს და ქმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფონდს სამშობლოს დამცველთა ოჯახების დასახმარებლად.

გარდა დაწესებული შეღავათებისა და სახელმწიფო დახმარებისა, სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიების გატარების დროს, სამშობლოს დამცველთა ოჯახები იღებდნენ მნიშვნელოვან თანხებს, სურსათ-სანოვაგეს, სამრეწველო საქონელს, სათბობს და ა. შ. მარტო 1943 წელს ”დახმარების კვირეულების” პერიოდში (1-დან 7 თებერვლამდე და 10-დან 17 ნოემბრამდე) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეგროვდა 15,5 მილიონი მანეთი, 4 ათასამდე ტონა მარცვლეული და სხვადასხვა კვების პროდუქტი, 11,3 ათასი ერთეული ტანსაცმელი, 6,8 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 627 სული საქონელი, 6,2 ათასი ფრინველი, 6 ათას დეკალიტრზე მეტი ღვინისა და არყის ნაწარმი, 65,3 ათასი ცალი კვერცხი, 1,4 ათასი ტონა საქონლის საკვები, 163,1 ათასი კუბმეტრი შეშა და მრავალი სხვა[6].

1943 წლის 19 დეკემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ შეამოწმა, როგორ სრულდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 22 იანვრის დადგენილება და აღნიშნა, რომ საქართველოში 1943 წლის 1 მარტიდან დეკემბრის ჩათვლით 188,8 ათასმა კაცმა მიიღო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. სამუშაოზე მოწყობილ იქნა ფრონტელთა ოჯახების 18 775 წევრი. ამ პერიოდში 2460 სამხედრო მოსამსახურის ოჯახმა მიიღო საცხოვრებელი ბინა, 10 332 ოჯახს გაუუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები, ხოლო 3 660 ოჯახმა მიიღო სხვადასხვა საშენი მასალა. ამას გარდა, ფრონტელთა ოჯახების მომსახურებისათვის გაიხსნა 16 სპეციალური მაღაზია, რომელშიც აღნიშულ პერიოდში რეალიზებულ იქნა 34 მილიონი მანეთის პირველი საჭიროების

საქონელი; 15 სასადილოზე მიმაგრებულ იქნა 7600 კაცი. მოეწყო აგრეთვე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემკეთებელი 25 სახელოსნო; ფრონტელთა 60 ათასმა ოჯახმა მიიღო საბოსტნე მიწის ნაკვეთები, რომელთა დამუშავებაში მათ დიდი დახმარება გაეწიათ[7].

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭო აღნიშნავდა იმასაც, რომ საქართველოში 1943 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით სამშობლოს დამცველთა ოჯახებზე გაიცა სახელმწიფო დახმარება 178,2 მილიონი მანეთის რაოდენობით და პენსია – 9,6 მილიონი მანეთი. მთლიანად, არასრული მონაცემებით, დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მიეცათ 707 მილიონამდე მანეთი სახელმწიფო დახმარება და 37 მილიონ მანეთზე მეტი პენსია.

ფრონტელთა ოჯახებისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ კოლმეურნეები. მარტო 1943 წელს ფრონტელთა ოჯახებს გამოეყოთ ინდივიდუალური საბოსტნე 7 ათას ჰექტარზე მეტი მიწა და გაეწიათ ყოველმხრივი დახმარება ამ ფართობების დამუშავებაში. ამავე წელს საქართველოს კოლმეურნეებმა შეაგროვეს და უსასყიდლოდ გადასცეს ფრონტელთა ოჯახებს 2 800 ტონაზე მეტი მარცვლეული, კარქი, ყველი, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, აგრეთვე ათასამდე სული საქონელი[8].

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს სოციალურ-კულტურლ ღონისძიებებზე დაიხარჯა ოთხ მილიარდ მანეთზე მეტი, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვაზე – 1,3 მილიარდ მანეთამდე, სოციალურ უზრუნველყოფაზე – დაახლოებით 400 მილიონი მანეთი[9].

ომის მთელ მანძილზე, მიუხედვად მეტად შეზღუდული მატერიალური რესურსებისა და დიდი სიძნელეებისა, მშრომელთა ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებაში, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მითითებათა საფუძველზე საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სახკომსაბჭო ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა გაეუმჯობესებინათ საქართველოს მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, განსაკუთრებული ყურადღებით იყვნენ გარემოცული სამშობლოს დამცველთა და დიდი სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახები.

ეს ღონისძიებები, რომლებიც სისტემატურად ტარდებოდა მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად, მნიშვნელოვნად განამტკიცებდნენ რესპუბლიკის მოსახლეობის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, აძლიერებდნენ ფრონტისა და ზურგის კავშირს, აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა მეომრებს მასობრივი გმირობისათვის.

* *

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში იმყოფებოდა დაახლოებით 700 ათასი წარგზავნილი საქართველოდან, ე. ი. რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის 19 პროცენტი, მათ შორის 23 ათასზე მეტი ოფიცერი, 16 ათასამდე ქალი, 60-ზე მეტი გენერალი და ადმირალი. ბრძოლის ველზე მამაცთა სიკვდილით დაეცა 300 ათასზე მეტი მებრძოლი. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებით საქართველოში 1939 წელს ცხოვრობდა 3540 ათასი კაცი, ხოლო 1946 წლის 1 იანვრისათვის – 3 232,7 ათასი კაცი, ე. ი. 307,3 ათასი კაცით ნაკლები, ვიდრე 1939 წელს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შეივსო ბუნებრივი ნამატით და მტრის მიერ დროებით ოკუპირებული რაიონებიდან ევაკუირებული მოსახლეობით, რომლის ნაწილი საქართველოში დამკვიდრდა, ომის წლებში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მოპოვებული საბრძოლო დამსახურებისა და სამხედრო გმირობისათვის 244 700 კაცი საქართველოდან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო 156 მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[10].

ზურგის ათასობით მშრომელმა, რომელთაც საქართველო საბჭოთა შეირაღებული ძალების ერთ-ერთ არსენალად აქციეს, მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა. მარტო მედლით "შრომითი მამაცობისათვის 1941 – 1945 წლების დიდ სამამულო ომში" დაჯილდოვდა 333 344 კაცი, ხოლო მედლით "კავკასიის დაცვისათვის" – 46 191 კაცი[11].

1941 – 1945 წლებში საქართველოს მრეწველობის მიერ გამოვშებული საერთო პროდუქცია შეადგენდა 6 614,4 მილიონ მანეთს[12]. ამ პერიოდში ამოღებულ იქნა 3,2 მილიონი ტონა ქვანახშირი, 3 მილიონ ტონაზე მეტი მანგანუმის მადანი და 250 ათას ტონაზე მეტი ნავთობი. გამოშვებულ იქნა 306 ათას ტონამდე ცემენტი, 780 ათას კუბურ მეტრამდე დახერხილი ხე-ტყე, მილიონობით მანეთის ფერადი ლითონები, 173,3 მილიონი მანეთის ქიმიური და სამთო-ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, 171,7 მილიონი მანეთის ფეროშენადნობები, 300 მილიონი მანეთის ნავთობპროდუქტები და სხვა მრავალი[13].

მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა, რომლებიც ძირითადად აწარმოებდნენ საბრძოლო აღჭურვილობას, საბრძოლო მასალას, მანქანათა სათადარიგო ნაწილებსა და არემონტებდნენ საბრძოლო ტექნიკას, გამოუშვეს 1738,0 მლნ მანეთის ღირებულების საერთო პროდუქცია. ამ საწარმოებმა საბჭოთა შეიარაღებულ

ძალებს გადასცეს 300 ათასზე მეტი პისტოლეტი – ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, სხვადასხვა სისტემის ცეცხლმტყორცნი, ათი ათასობით ცალი სხვადასხვა სათადარიგო ნაწილი ტანკების, საჯავშნო მანქანების, ავტომობილებისა და გემებისათვის. გ. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხანამ ააგო რამდენიმე ათასი თვითმფრინავი, ხოლო თბილისის ავტოშემკეთებელმა ქარხანამ ომის დაწყებიდან 1945 წლის 21 ნოემბრამდე შეაკეთა ასობით ტანკი, 10 572 ავტომობილი და 2 562 ძრავა, მათ შორის 7 169 ავტომანქანა და 2 121 ძრავა – არმიისათვის[14].

ომის წლებში საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა არმიისა და ფლოტის მოსამარაგებლად გადასცა მთელი გამოშვებული პროდუქციის 69,3 პროცენტი. სამხედრო უწყებას გადაეცა: 3,9 მილიონ მეტრამდე რუხი საფარაჯე მაუდი, 3 მილიონ მეტრზე მეტი დიაგონალის ქსოვილი სამხედრო ფორმის ტანსისამოსის შესაკერად, 900 ათას მეტრამდე სპეციალური ბამბის ქსოვილი საავიაციო მრეწველობისათვის, 720 ათასი მეტრი ლურჯი მაუდი, 400 ათას მეტრზე მეტი საპარაშუტე აბრეშუმის ტილო, 460 ტონაზე მეტი ჰიდროსკოპიული და ჩვეულებრივი ბამბა და მრავალი სხვა[15].

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა ომის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს მიაწოდეს საერთო პროდუქციის 60 პროცენტი (715,2 მილიონი მანეთის ღირებულებისა). მარტო 1943 წლის ბოლომდე არმიასა და ფლოტს გაეგზავნა: 1 143,4 ათასი მაუდის ფარაჯა, 1 419 ათასი ხალათი, 1 199,5 ათასი შარვალი, 366 ათასი ტანსათბურა, 427,3 ათასი დაბამბული შარვალი, 5 592, 8 ათასი წყვილი ჯარისკაცის დაბალყელიანი წაღები და ა. შ.[16].

ომის პერიოდში საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ჯარების მოსამარაგებლად გაგზავნა: რესპუბლიკაში გამოშვებული მაკარონის ნაწარმის მთელი პროდუქციის 51,1 პროცენტი, ჩაის – 22,0, არყის – 14,6, მცენარეული ზეთის – 13,4, სარეცხი საპნის – 24,1, თამბაქოს – 88,0 პროცენტი და ა. შ.[17].

ამის გარდა, ომის წლებში საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებმა არმიასა და ფლოტს მიაწოდეს საერთო პროდუქციის 56,3 პროცენტი, მათ შორის: რესპუბლიკაში წარმოებული ხორცის 78,1 პროცენტი, ძეხვის – 41,1, საკვები ცხიმების – 48,6, ყველი “ბრინზა”25,7, რძის პროდუქტების – 32 პროცენტზე მეტი და ა. შ. საქართველოს საკონსერვო ტრესტმა სამხედრო უწყებას ომის პერიოდში გადასცა რესპუბლიკაში გამოშვებული კონსერვების 23,2 პროცენტი, ხმელი ბოსტნეულის – 59,4, კონცენტრატების – 96,1 პროცენტი. არმიასა და ფლოტს გადაეცა აგრეთვე დიდი რაოდენობით შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, მარგარინი და ა. შ. მთლიანად საქართველოს კვების, ხორცისა და რძის მრეწველობამ ომის წლებში გამოუშვა 6,4 მილიარდი მანეთის პროდუქცია, მათ

შორის 2,6 მილიარდ მანეთზე მეტი, ე. ი. 41,5 პროცენტი გადაეცა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს[18].

ომის წლებში დიდი და დაძაბული მუშაობა გასწია რესპუბლიკის, ტრანსპორტმა. ყველაზე საპასუხისმგებლო და დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულა რკინიგზის ტრანსპორტმა, რომელსაც დიდი რაოდენობით გადაჰყავდა ჯარები, გადაჰქონდა შეიარაება და საომარი ტექნიკა, ასი ათასობით საბრძოლო მასალა და სხვა მატერიალური საშუალებები. მარტო ომის დაწყებიდან 1943 წლის ოქტომბრამდე ქართველმა რკინიგზელებმა შეადგინეს 8 სპეციალური მატარებელი, შეაკეთეს და მოდერნიზაცია გაუკეთეს 24 ჯავშნიან პლატფორმას, აღადგინეს დაბომბვის შემდეგ სამხედრო-სანიტარიული მატარებლების 56 სპეციალური ვაგონი და სხვ[19].

ომის პერიოდში რესპუბლიკის საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტი მნიშვნელოვანწილად გამოიყენებოდა თავდაცვით სამუშაოებზე; მათ ფრონტის ძნელად მისადგომ უბნებთან მიჰქონდათ სამხედრო ტვირთი, გადმოჰყავდათ იქიდან დაჭრილები, ავადმყოფები და აგრეთვე სამხედრო ქონება. ხშირად მიმართავდნენ ავტოტრანსპორტს რეზერვებისა და ჯარის ნაწილების გადასაჯგუფებლად და გამანადგურებელი ბატალიონების საბრძოლო ადგილებზე გადასაყვანად.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველო ძირითადად ასრულებდა სატრანსპორტო ავიაციის ფუნქციას, გადაჰყავდა სამხედრო შენაერთების პირადი შემადგენლობა, აგრეთვე იარაღი, საბრძოლო მასალა და სხვა მატერიალური საშუალებები ჯარებისათვის დიდი კავკასიონის უღელტეხილებსა და ფრონტის ძნელად მისასვლელ უბნებზე. სამოქალაქო ავიაციას ხშირად უხდებოდა მეკავშირე და სანიტარიული ავიაციის ფუნქციის შესრულებაც. ომის პერიოდში სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოს მფრინავებმა შეასრულეს 20 ათასამდე გაფრენა[20].

ომის წლებში საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებს – სოხუმს, ფოთსა და ბათუმს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდათ არა მარტო როგორც სადგომებს, შავი და აზოვის ზღვების აუზების გემებისა და ხომალდებისათვის. არამედ ევალებოდათ უზრუნველეყოთ ყოველივე აუცილებელით მოქმედი არმია და ფლოტი ყირიმის ნახევარკუნძულისათვის, განსაკუთრებით სევასტოპოლის გმირული თავდაცვისათვის, აგრეთვე კავკასიისათვის ბრძოლების პერიოდში.

საქართველოს კავშირგაბმულობის დაწესებულებები დიდ დახმარებას უწევდნენ კავშირგაბმულობის სამხედრო ორგანოებს და საველე საფოსტო დაწესებულებებს – უზრუნველეყოთ ნორმალური ურთიერთკავშირი ფრონტსა და ზურგს შორის.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გაადიდეს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის სათესი ფართობები, გაზარდეს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო

კულტურათა მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ისინი სისტემატურად ასრულებდნენ სახელმწიფო დამზადების გეგმებს და სამხედრო დავალებებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოსამარაგებლად სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტებით. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს სულ 115 მილიონ ფუთამდე სურსათ-სანოვაგე და ნედლეული[21].

დიდი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებმა მოსახლეობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღსაზრდელად, საბჭოთა ხალხის ყველა მატერიალური და სულიერი ძალების მობილიზაციისათვის ფაშისტ დამპყრობლებზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მისაღწევად. საქართველოს მეცნიერებმა დიდი შრომა გასწიეს მრეწველობის გადასაყვანად თავდაცვითი პროდუქციის წარმოებაზე. აგრეთვე ახალი სახეობის შემცვლელი სტრატეგიული ნედლეულის გამოძებნისა და ქვანახშირის მოპოვების მკვეთრად გადიდებისათვის.

რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს სამხედრო ნაწილების მომსახურებისათვის. ომის წლებში მარტო სამხედრო-საშეფო მუშაობის ხაზით საქართველოს თეატრებისა და ფილარმონიის კოლექტივებმა უშუალოდ ჯარის ნაწილებსა და ევაკოჰოსპიტლებში 26 ათასამდე კონცერტი და სპექტაკლი ჩაატარეს[22].

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა და სამკურნალო დაწესებულებებმა ყოველი ღონე იხმარეს მრავალი ათასი დაჭრილი და ავადმყოფი მეომრის ჯანმრთელობის აღსადგენად.

საქართველოს მშრომელთა პატრიოტიზმი მკვეთრად გამოვლინდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმლისა და სხვა საჭირო საგნების შეგროვებაში. ომის პერიოდში საქართველოში შეგროვდა 40 დასახელების ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და თეთრეული, სულ 1,7 მილიონი ცალი[23].

საქართველოდან სისტემატურად, ყოველ დღესასწაულზე, იგზავნებოდა ფრონტებზე საჩუქრები საბჭოთა მეომრებისათვის. ამით კიდევ უფრო მტკიცდებოდა კავშირი ფრონტსა და ზურგის მშრომელებს შორის, რაც ხელს უწყობდა როგორც სამხედრო მოსამსახურეთა, ისე სამოქალაქო მოსახლეობის პატრიოტიზმის გაღვივებას.

საქართველოს მშრომელები გამოეხმაურნენ კომუნისტური პარტიის მოწოდებას და აქტიურად ჩაებნენ პატრიოტულ მოძრაობაში თავდაცვის ფონდისათვის ფულისა და სხვა მატერიალური საშუალებების შესაგროვებლად. დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მშრომელებმა თავდაცვის ფონდში ნებაყოფლობით შეიტანეს სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, აგრეთვე ფულადი და ნივთების ლატარიის ბილეთების ღირებულების ჩათვლით სულ 3.3 მილიარდი მანეთი[24].

საქართველო შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა აგრეთვე ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს და დიდი წვლილი შეჰქონდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში.

ასეთია საქართველოს მშრომელთა წვლილი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაში დიდი სამამულო ომის წლებში.

---

[1] ”История Грузии, т. III, стр. 215.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11549, ფურც. 3 - 4.
[3] ”История Грузии, т. III, стр. 214.
[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 269, ფურც.123 - 124.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13805, ფურც. 377; გაზ. “კომუნისტი”, 1944 წლის 23 თებერვალი.

[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12767, ფურც. 77 – 78; საქ. 12804, ფურც. 90 – 91; საქ. 12921, ფურც. 93.
[7] იქვე, ფ. 14, საქ. 13807, ფურც. 7 - 8.
[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13478, ფურც. 3– 4.
[9] იქვე, აღწ. 3, საქ. 618, ფურც. 4.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13877, ფურც. 49; საქ. 13813, ფურც. 1 – 5% აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 14.
[11] ”История Грузии», т. III, стр. 216.
[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 269, ფურც. 21 – 25 (1926 – 1927 წლების უცვლელ ფასებში).
[13] იქვე, საქ. 269, ფურც. 22 – 27.
[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 269, ფურც. 22 - 25; აღწ. 2, საქ. 225, ფურც. 288 – 289.
[15] იქვე, საქ. 11803, ფურც. 42; საქ. 11795, ფურც. 23; საქ. 14093, ფურც. 1 - 4.
[16] იქვე, საქ. 11765, ფურც. 23; საქ. 14093, ფურც. 1 – 6; საქ. 14105, ფურც. 51 – 52.
[17] იქვე, საქ. 14093, ფურც. 6 - 8; საქ. 14105, ფურც. 50, 97.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 14093, ფურც. 6 - 10; საქ. 14105, ფურც. 50 – 101.
[19] იქვე, საქ. 13334, ფურც. 142, 182 – 189; საქ. 13355, ფურც. 5.
[20] ”История Грузии», т. III, стр. 184.
[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 13485, ფურც. 3; საქ. 13478, ფურც. 3 – 4.
[22] იქვე, საქ. 260, ფურც. 5 - 11.
[23] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 13181, ფურც. 1.
[24] იქვე, აღწ. 3, საქ. 618, ფურც. 5 - 11.

თავი მეხუთე

საქართველოს მრეწველობა და ტრანსპორტი ომის შემდგომ პერიოდში (1946 – 1952 წწ.)

§ 1. მრეწველობა და ტრანსპორტი მშვიდობიანი პერიოდის დამდეგს

სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება საბჭოთა კავშირმა საბჭოთა ხალხის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლის ფასად მოიპოვა. ჩვენმა ქვეყანამ ომში 20 მილიონი კაცი დაკარგა.

მტრის ოკუპაცია განიცადა ტერიტორიამ, სადაც ომამდე 88 მილიონი კაცი ცხოვრობდა და სადაც სსრ კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის თითქმის ერთი მესამედი მზადდებოდა; ამ ტერიტორიაზე იყო მთელი ნათესი ფართობის 47 პროცენტი, პირუტყვის მთელი სულადობის თითქმის ნახევარი და სსრ კავშირის რკინიგზების 55 პროცენტი. ოკუპაციის შედეგად ძლიერ დაზარალდა მძიმე ინდუსტრია. მწყობრიდან გამოვიდა სამხრეთის ქვანახშირისა და მეტალურგიის ბაზა. ამის გამო 1945 წელს მთლიანად საბჭოთა კავშირში ფოლადის გამოდნობამ შეადგინა 1940 წლის დონის ორი მესამედი, ნავთობის მოპოვებამ – 62 პროცენტი, ცემენტის წარმოებამ – დაახლოებით ერთი მესამედი[1], ხოლო მოხმარების საგნების წარმოებამ – 59 პროცენტი[2].

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოსახლეობას. მტრის ოკუპაციისაგან მიყენებული პირდაპირი მატერიალური ზარალი 1941 წლის სახელმწიფო ფასებით 679 მილიარდ მანეთს აღწევდა[3]. გარდა ოკუპაციით გამოწვეული დანაკარგებისა, სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირს დიდი ზარალი მოუვიდა პირდაპირი და დამატებითი სამხედრო ხარჯების სახით. აგრეთვე იმის გამო, რომ მოსახლეობამ და სოციალისტურმა საწარმოებმა ოკუპირებულ რაიონებში წარმოების შეწყვეტის შედეგად დაკარგეს შემოსავალი. ეს ზარალი 1890 მილიარდ მანეთს აღემატება[4]. მაშასადამე, საერთო მატერიალური ზარალი 2 569 მილიარდ მანეთს შეადგენდა. გარდა ამისა ომმა მნიშვნელოვნად შეანელა სსრ კავშირის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ტემპი და დაახლოებით 10 წლით შეაფერხა მრეწველობის განვითარება, რითაც აურაცხელი არაპირდაპირი ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველო რამდენიმე თვის მანძილზე ფრონტისპირა რაიონი იყო. მისი ტერიტორიის ნაწილი მცირე ხნით საომარ მოქმედებათა ასპარეზად იქცა. მტრის ავიაცია ბომბავდა საქართველოს ზღვისპირა ქალაქებს. ომის პერიოდში ჩვენი რესპუბლიკიდან ფრონტზე

წავიდა 700 ათასზე მეტი მეომარი. რომელთაგან თითქმის ნახევარი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაეცა. სამამულო ომის დროს საქართველოში სხვადასხვა მოძმე რესპუბლიკიდან ევაკუირებულ იქნა ათიათასობით კაცი. ამათგან რამდენიმე ათასი რეევაკუაციის შემდეგაც საქართველოში დარჩა. 1946 – 1948 წლებში რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში ათასობით კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი ჩამოვიდა ომის შემდგომი ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს საწარმოებში სამუშაოდ. მიუხედავად ამისა 1948 წელს 1940 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა 144,6 ათასი კაცით შემცირდა[5].

ომის წლებში დიდად დაზარალდა სახალხო მეურნეობა. მართალია, მრეწველობის ზოგიერთი დარგი (სამხედრო, საბაზისო და მათთან კოოპერირებული დარგები) ვითარდებოდა, მაგალითად, ფეროშენადნობთა წარმოებამ ერთიორად იმატა, მკვეთრად გაიზარდა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, გადიდდა ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ბამბეულის ქსოვილების, კონსერვებისა და ბევრი სხვა სახის პროდუქციის წარმოება[6], მაგრამ ისევე როგორც სოფლის მეურნეობა, მრეწველობაც ცალმხრივად ვითარდებოდა. მნიშვნელოვნად შემცირდა სამოქალაქო პროდუქციის წარმოება. ამის შედეგად 1945 წელს საქართველოს მთელი მრეწველობის მოცულობამ 1940 წლის მოცულობის 80 პროცენტი შეადგინა[7]. შემცირდა მსხვილი მრეწველობის პროდუქციის მოცულობაც. თუ 1940 წელს 1913 წელთან შედარებით მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება 26,9-ჯერ გადიდდა, 1945 წელს საქართველოს მძიმე მრეწველობა 21,7-ჯერ მეტ პროდუქციას ამზადებდა, ვიდრე 1913 წელს[8]. განსაკუთრებით დაზარალდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მრეწველობა. 1945 წელს აფხაზეთის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1940 წლის მოცულობის 69 პროცენტს შეადგენდა, აჭარისა კი 49 პროცენტს[9].

ომის წლებში არ ხდებოდა მრეწველობის საწარმოო აპარატის ნორმალური განახლება, ირღვეოდა სოციალისტური კვლავწარმოების პროცესი, რასაც უმთავრესად იწვევდა ის, რომ არ იყო მისი უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე განხორციელების საშუალება, არსებული სამრეწველო მოწყობილობა მოძველდა როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად.

ომმა ტრანსპორტსაც დააჩნია თავისი კვალი. თუმცა შავი ზღვის მაგისტრალის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით გადიდდა რკინიგზის სიგრძე, მაგრამ ტვირთზიდვამ და მგზავრთა გადაყვანამ მნიშვნელოვნად იკლო. შემცირდა რკინიგზის ორთქლმავლებისა და ვაგონების პარკი. გაუარესდა რკინიგზების სალიანდაგო მეურნეობა. შავი ზღვის სატრანსპორტო და თევზსაჭერი ფლოტი მტერმა თითქმის მთლიანად გაანადგურა. მტრის ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის თავდასხმების შედეგად ძალიან დაზარალდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს

სანავსადგურო მეურნეობაც. მკვეთრად შემცირდა საავტომობილო ტრანსპორტისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პარკებიც. იკლო საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანამ და ტვირთზიდვამ. ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო გზატკეცილები.

ომმა სახალხო მეურნეობას მოსწყვიტა უდიდესი შრომითი რესურსები, და თუმცა პარტია და მთავრობა გადამჭრელ ზომებს იღებდნენ მუშახელის ნაკლებობის შესავსებად, მრეწველობის მუშაკთა რაოდენობა მაინც შემცირდა. 1940 წლის სექტემბერში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო რიცხვი საქართველოს სახალხო მეურნეობაში 494 ათასს შეადგენდა, ხოლო 1945 წლის სექტემბერში – 431,4 ათასს[10]. 1940 წელს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში დასაქმებული იყო 79,9 ათასი, ხოლო 1945 წელს 78,3 ათასი მუშა[11], თუმცა სამრეწველო-საწარმოო პერსონალი მრეწველობაში 1940 წლის 102,5 ათასიდან 1945 წელს გადიდდა 112,4 ათასამდე[12]. მუშათა რაოდენობა უფრო მნიშვნელოვნად შემცირდა წვრილ მრეწველობაში. მიუხედავად საქართველოს მუშათა კლასის რაოდენობის შემცირებისა, მუშათა ხვედრითი წონა სამრეწველო-საწარმოო პერსონალსა და რესპუბლიკის მოსახლეობაში გადიდდა, რაც გამოწვეული იყო კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების ფრონტზე მასობრივად წასვლით. საქართველოს საკოლმეურნეო სოფელმა ფრონტს უფრო მეტი ადამიანები მისცა (როგორც შედარებით, ისე აბსოლუტურად), ვიდრე ქალაქმა (მრეწველობამ, ტრანსპორტმა, მშენებლობამ).

მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოთა მუშახელით უზრუნველსაყოფად ტარდებოდა მობილიზაცია ქალაქის იმ შრომისუნარიანი მოსახლეობისა, რომელიც არ მუშაობდა. ომის პირველი დღეებიდანვე საწარმოებს მიაშურეს ქალებმა, ახალგაზრდებმა და პენსიონერებმა, ხოლო შემდეგ მათ რიგებს სამამულო ომის ინვალიდების ნაწილიც შეემატა. მრეწველობის მუშაკთა შემადგენლობა განახლდა. მან სერიოზული ცვლილებები განიცადა სქესისა და ასაკის მიხედვით. საქართველოს მრეწველობაში გაიზარდა ქალის ხვედრითი წონა.

პირველი მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, როცა არმიაში მობილიზაციისაგან თავის არიდების მიზნით სამრეწველო საწარმოებს წვრილბურჟუაზიული, არაპროლეტარული ელემენტები ეტანებოდნენ, რაც აუარესებდა მუშათა კლასის სოციალურ შემადგენლობას, სამამულო ომის წლებში საწარმოებში მოსულმა ახალმა თაობამ (მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობა, საბჭოთა ინტელიგენციის შვილები) საქართველოს მუშათა კლასის სოციალური მდგომარეობა გააუმჯობესა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მუშათა კლასს შეუერთდნენ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკისა და უკრაინის რესპუბლიკიდან სამრეწველო საწარმოებთან ერთად ევაკუირებული კვალიფიციური მუშები.

1941 – 1943 წლებში საქართველოს მუშათა კლასის კვალიფიციური შემადგენლობა გაუარესდა. მართალია, 1944 – 1945 წლებში მუშათა საშუალო კვალიფიკაციის დონე ამაღლდა, მაგრამ ომამდელს მაინც ვერ მიაღწია.

ომმა შეცვალა მრეწველობის სტრუქტურა და მისი დარგების მიხედვით მუშათა განაწილება. გაიზარდა "ა" ჯგუფის საწარმოებში დასაქმებულ მუშათა ხვედრითი წონა. 1945 წელს 1940 წელთან შედარებით შავ მეტალურგიაში დასაქმებულ მუშათა ხვედრითი წონა (მადნის მოპოვების ჩაუთვლელად) საქართველოს მუშათა საერთო რაოდენობაში გაიზარდა 0,7 პროცენტით, ქვანახშირის საწარმოთა მუშებისა – 1,3, ხოლო მანქანათმშენებელი და მელითონე მუშებისა – 8,7 პროცენტით[13].

მრეწველობის საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკთა რიცხვიც შემცირდა.

მუშათა დაბალმა საშუალო კვალიფიკაციამ, საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობის შემცირებამ, ნაწილობრივ ამორტიზებულმა სამრეწველო მოწყობილობამ, ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს შემოზიდული ნედლეულით მომარაგების შეფერხებამ (ზოგჯერ შეწყვეტამაც), საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოთა ომამდელი კოოპერაციის (საწარმოო კავშირურთიერთობის) მოშლამ, აგრეთვე ომით გამოწვეულმა სხვა სიძნელეებმა დააქვეითეს შრომის ნაყოფიერება და აამაღლეს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. 1945 წელს 1940 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება საქართველოს მრეწველობაში (სამრეწველო საწარმოების მიხედვით) 17,9 პროცენტით შემცირდა[14].

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების შემცირების მიუხედავად, საქართველოს ცალკეულ თავდაცვით საწარმოებსა და მრეწველობის საბაზისო დარგებში მუშათა შრომის ნაყოფიერება განუწყვეტლივ იზრდებოდა. სხვა გარემოებებთან ერთად ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ საწარმოთა მაღალკვალიფიციური მუშების დიდ უმრავლესობას სახელმწიფო "ჯავშნიდა", ესე იგი არმიაში გაწვევისაგან ათავისუფლებდა. ამიტომ ამ საწარმოებში ძველი კადრის მუშების პროცენტი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სამოქალაქო მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

ასეთი იყო საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა მშვიდობიანი პერიოდის დასაწყისში.

---

[1] "Экономика СССР в послевоенный период (краткий экономический обзор)», М., 1962, стр. 18.

[2] «"История СССР. Эпоха социализма. Учебное пособие», 1957, стр. 652

[3] Сообщение Чрезвичайной Государственной комиссии по установлению и расследованию злодеяний немецко-фашистских захватчиков. О материальном ущербе, нонесенном немецко-фашистскими захватчиками государственным предприятиям и учреждениям, колхозам, общественным организациям и гражданам СССР, М., 1945, стр. 3.

[4] **Н. Вознесенский.** Военная экономика СССР в период отечественной войны, М., 1948, стр. 102.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 2.

[6] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», Тб., 1957, стр. 42, 47.

[7] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», Тб., 1959, стр. 38.

[8] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», Тб., 1959, стр. 37.

[9] «Народное хозяйство Абхазской АССР. Статистический сборник», Сухуми, 1957, стр. 13 и «Народное хозяйство Аджарской АССР. Статистический сборник», Батуми, 1958, стр. 16.
[10] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», 1959, стр. 256 - 257.
[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, ს. 466, ფურც.10. სხვა ცნობით (აგრეთვე საარქივოთი) 1940 წელს საქართველოს მრეწველობაში მუშაობდა 110571, 1941 წელს – 105 590, 1942 წელს – 95021, 1943 წელს – 96729, 1944 წელს – 97218 მუშა (ფ. 14, აღწ. 3, საქ. 647, ფურც. 30, 33).
[12] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», 1957, стр. 161.
[13] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», 1959, стр. 34 - 35.
[14] გამოთვლილია პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 11 მიხედვით.

§ 2. მრეწველობისა და ტრანსპორტის ამოცანები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მშვიდობიან ყაიდაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი გეგმები

ომის ძლევამოსილად დაგვირგვინების შემდეგ ჩვენი ქვეყანა იბრძოდა ესოდენ დიდი მსხვერპლის ფასად მოპოვებული გამარჯვების განსამტკიცებლად, საერთაშორისო თანამშრომლობისა და დემოკრატიული მშვიდობის უზრუნველსაყოფად. სსრ კავშირის ომის შემდგომი საერთაშორისო პოლიტიკის ხაზი კარგად არის გამოხატული მოწოდებაში, რომლითაც საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოთა ინტელიგენციას უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

”მაგრამ ომის მოგება, - ნათქვამია მიმართვაში, - კიდევ არ ნიშნავს მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას მომავალში. იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხს და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხებს შეეძლოთ ისარგებლონ მშვიდობისა და უშიშროების სიკეთით, საჭიროა განვამტკიცოთ ჩვენ მიერ მოპოვებული გამარჯვება. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში კიდევ მოიპოვებიან რეაქციული ძალები, რომლებიც ცდილობენ უთანხმოება და მტრობა ჩამოაგდონ ხალხთა შორის”[1].

გამარჯვების განსამტკიცებლად საჭირო იყო მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა, უმოკლეს ვადაში ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის დამთავრება, ეკონომიკის და კულტურის შემდგომი განვითარება, პირველ რიგში მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის დარგების და ტრანსპორტის სწრაფად აღდგენა.

სახალხო მეურნეობის სამხედრო რელსებიდან მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა დიდ ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით ეს პროცესი

კრიზისებისა და ძვრების გარეშე განახორციელა[2]. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში მეურნეობის მშვიდობიან რელსებზე გადასვლას გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ იმპერიალისტები, რომლებიც სამხედრო შეკვეთებით უზარმაზარ მოგებას იძენდნენ, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული დიდი ამოცანები ორგანიზებულად და გეგმაზომიერად წყდებოდა[3].

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საწარმოებში კვლავ შემოღებულ იქნა 8-საათიანი სამუშაო დღე და ყოველწლიური შვებულებები, გაუქმდა საზეგანაკვეთო სამუშაოები. 1946 წლის იანვრიდან გაუქმდა აგრეთვე მოსახლეობის სამხედრო გადასახადი. მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლისათვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესიის მიერ (1945 წლის 22-23 ივნისი) მიღებული კანონი ”მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკის დემობილიზაციის შესახებ”. 1945 წელს ჩატარდა პირველი და მეორე რიგის დემობილიზაცია, 1946 წელს – მესამე რიგისა, ხოლო 1947 – 1948 წლებში საბჭოთა შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულ იქნა ყველა უფროსი ასაკის მეომარი. სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი მშვიდობიანი გარდაქმნა დამთავრდა ფულის რეფორმით და სურსათისა და სამრეწველო საქონლის საბარათო სისტემის გაუქმებით (1947 წლის დეკემბერი)[4].

სამამულო ომის დამთავრებისთანავე შეიარაღების წარმოების შემცირებასთან დაკავშირებით მრწეველობამ დაიწყო სამოქალაქო პროდუქციის გამოშვება. მაგრამ პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ უფრო ადრეც განახორციელეს რამდენიმე ღონისძიება სამოქალაქო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად. სამამულო ომის დამამთავრებელ პერიოდში (1944 – 1945 წწ.) განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილ იქნა და ექსპლოატაციაში გადაეცა ასობით სამრეწველო საწარმო. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთი რაიონების, აგრეთვე განთავისუფლებული რაიონების მრავალი სამრეწველო საწარმოს გადაყვანა სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე[5].

1945 წლის აგვისტოში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შედგენა. ეს გეგმა განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ (1946 წლის 12 – 19 მარტი). მეოთხე (პირველი ომის შემდგომი) ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა დაზარალებული რაიონების აღდგენას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის მნიშვნელოვნად გადაჭარბებას (გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო წარმოების ომამდელი დონის მიღწევას 1948 წელს), მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას, კულტურულ და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ფართო მშენებლობის განხორციელებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანმა გეგმამ განსაზღვრა აგრეთვე თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი დავალებანი მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად. საქართველოსათვის გათვალისწინებული დავალებანი საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითაერბის 1946 – 1950 წლების მეოთხე ხუთწლიან გეგმას, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიამ (1946 წლის 5 – 8 აგვისტო) მიიღო.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა არა მარტო მძიმე მრეწველობის ძველი დარგების (მანგანუმის, ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკის და სხვ.) აღდგენა-განვითარებას, არამედ ახალი სამრეწველო დარგების (საავტომობილო და მეტალურგიული) შექმნასაც. 1946 – 1950 წლებში უნდა შესრულებულიყო 4 120 მილიონი მანეთის კაპიტალური სამუშაოები. 1950 წელს საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობა 1940 წლის დონესთან შედარებით 48,9 პროცენტით უნდა გაზრდილიყო.

საქართველოს მეოთხე ხუთწლედის უდიდესი სამრეწველო მშენებლობანი იყო ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი, ხრამის ჰიდროელექტროსადგური და ტრესტ ”ჭიათურმარგანეცის” ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა.

1946 – 1950 წლებში საექსპლოატაციოდ უნდა გადაცემულიყო ქვანახშირის ახალი შახტები 3,2 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრისა. გათვალისწინებული იყო 30 მილიონი ტონა მანგანუმის სამრეწველო მარაგის გამოვლინება, 190 ათას კილოვატზე მეტი საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების აგება და სხვ.

საქართველოს მძიმე მრეწველობის საწარმოებს 1950 წელს უნდა ეწარმოებინა 330 ათასი ტონა თუჯი, 185 ათასი ტონა ფოლადი, მოეპოვებინათ 110 ათასი ტონა ნავთობი, 2 040 ათასი ტონა მანგანუმის მადანი, გამოემუშავებინათ 1 300 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, დაემზადებინათ 115 ათასი ტონა ცემენტი, გამოეშვათ 15 ათასი სატვირთო ავტომანქანა და 1 700 ცალი ლითონსაჭრელი ჩარხი[6].

ამიერკავსკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მილების წარმოების მოწყობის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით გადიდდა ხუთწლედის დავალებანი თუჯის, ფოლადის, კოქსისა და სხვა ძირითადი სახის და მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციის წარმოების დარგში.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ყველა სახის ტრანსპორტის მნიშვნელოვან განვითარებას, ახალი რკინიგზებისა და გზატკეცილების, რკინიგზის სადგურებისა და ვაგზლების, ავტოსაგზაო სადგურების, საზღვაო

ნავსადგურების, აეროპორტებისა და აეროვაგზლების მშენებლობას, საქართველოს ტრანსპორტის საწარმოთა მუშაობაში წესრიგის დამყარებს.

საქართველოს სსრ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საწარმოო ძალების სწორი განლაგება, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს რაიონების სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება. კერძოდ, გეგმა ითალისწინებდა, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების ომის წლებში ძლიერ დაზარალებული მრეწველობის რაც შეიძლება სწრაფ აღდგენას.

ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში პროგრესული ცვლილებები უნდა მომხდარიყო (და მოხდა კიდეც) სამრეწველო საწარმოების სტრუქტურაში. ამან ხელი შეუწყო როგორც შიდარესპუბლიკურ სამრეწველო კოოპერაციას, ისე საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოების (ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი და სხვ.) კოოპერაციას მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებთან.

სკკპ XIX ყრილობამ (1952 წლის ოქრომბერი) დაამტკიცა სსრ კავშირის განვითარების 1951 – 1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები. მეხუთე ხუთწლიანმა გეგმამ განსაზღვრა საბჭოთა ხალხის ამოცანები, რომელთაც, როგორც ეს აღნიშნულია ყრილობის გადაწყვეტილებებში, უნდა მოემზადებინათ პირობები სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისა.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სახავდა მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართელოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებასა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ახალ აღმავლობას. გათალისწინებული იყო, რომ ხუთწლეულის მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებანი გადიდდებოდა 2,3-ჯერ, მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია – 74,2 პროცენტით, ქვანახშირის მოპოვება –2,2 -ჯერ, მანგანუმის მოპოვება –36 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება – 80 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა – 9,5-ჯერ, ნაგლინის წარმოება – 27-ჯერ. დასახული იყო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მრეწველობის მშვიდობიან ყაიდაზე გარდაქმნა ძირითადად 1946 წელს დამთავრდა. როგორც ცნობილია, სსრ კავშირში ამ პროცესს თან ახლდა წარმოების შემცირება (17 პროცენტით). საქართველოში კი ამ გარდაქმნას არ მოჰყოლია წარმოების შემცირება. უდავოა, ეს იმანაც განაპირობა, რომ 1946 წელს ჩვენს რესპუბლიკაში არ იყო გვალვა და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას აწარმოებდნენ, შეუფერხებლად მუშაობდნენ.

[1] გაზ. “კომუნისტი”, 1946 წლის 2 თებერვალი.
[2] **ა. ა. ჟდანოვი.** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 29-ე წლისთავი. მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე (გაზ. “კომუნისტი” N 224 1946 წლის 7 ნოემბერი).
[3] **П. И. Лященко.** История народного хозяйства СССР, т. III, М., 1956, стр. 562.
[4] **П. И. Лященко.** История народного хозяйства СССР, т. III, М., 1956, стр. 598 - 600.
[5] «Борьба КПСС, за восстановление и развитие народного хозяйства в послевоенный период (1945 – 1953 гг.), Сборник документов и материалов», М., 1961, стр. 143 – 144.
[6] “კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ”, თბ., 1946, გვ. 86 – 87.

§ 3. მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის სწრაფი აღდგენისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებანი

1946 წლის აპრილში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება “პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით”. ამ გადაწყვეტილებამ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ფართოდ გაეჩაღებინათ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა განემარტათ მშრომელთათვის ხუთწლიანი გეგმის ამოცანები და დაერაზმათ ისინი ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად[1].

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ გადაწყვეტილებით პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, გერმანელთა ოკუპაციისაგან დაზარალებული რაიონების სწრაფად აღდგენის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შსრულებისათვის[2].

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა მთელმა საბჭოთა ხალხმა თავის საბრძოლო პროგრამად მიიღო. აღმშენებლობითი შრომის პათოსმა მილიონები მოიცვა. საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი ნათლად გამოვლინდა მეოთხე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ მაკეევკას მეტალურგთა და მოსკოვის რამდენიმე ქარხნის მუშათა თაოსნობას მხარი დაუჭირეს დონბასელმა მეშახტეებმა და რკინიგზელებმა, ორეხოვოელმა ფეიქრებმა, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, ბაქოს,

თბილისის და საბჭოთა კავშირის სხვა ინდუსტრიული ცენტრების მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა მილიონთა სურვილი და 1946 წლის 18 მაისს მიიღო სპეციალური დადგენილება მეოთხე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 24 მაისის დადგენილებაში, რომელიც მიღებული იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების შესაბამისად, ნათქვამია, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ფართოდ გამოეხმაურნენ მრეწველობის მოწინავე საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეთა მიმართვას საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი მეოთხე ხუთწლედის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა მოუწოდა რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკებს გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება ომის შემდგომი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. თბილისელმა ჩარხმშენებლებმა ოთხი თვის გეგმა 120 პროცენტით შეასრულეს. ამასთან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 16,3 პროცენტით, ჩარხის თვითღირებულება შემცირდა 19,5 პროცენტით, ქარხანამ დაზოგა 22 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. დადგენილებაში ჩამოთვლილია საქართველოს ის სამრეწველო და სამშენებლო საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარებით შეასრულეს გეგმები. მაგალითად, ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა პირველი კვარტლის გეგმა 126 პროცენტით, ხოლო 1946 წლის აპრილის გეგმა 153 პროცენტით შეასრულეს[3].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა:

ყოველნაირად დაეჭირათ მხარი მოწინავე საწარმოთა თაოსნობისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ;

ფართოდ განემარტათ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობაა მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ახალი სახის პროდუქციის ათვისება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, აგრეთვე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულება;

უზრუნველეყოთ სოციალისტური შეჯიბრების გაშლა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აქტიურად ჩაებათ შეჯიბრებაში ყველა მუშა, კოლმეურნე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე[4].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანოებს დაავალა ფართოდ განემარტათ მშრომელთათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობები, მოეხდინათ ამ საყოველთაო სახალხო მოძრაობის მოწინავეთა მიღწევების პოპულარიზაცია.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მშრომელთა ინიციატივას და 1946 წლის 8 ივნისს მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად დაწესდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სამინისტროთა გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები. დაწესდა, აგრეთვე, რომ შეჯიბრების შედეგებს ყოველთვიურად შეაჯამებდნენ საკავშირო პროფსაბჭო და სამინისტროები პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების მონაწილეობით იმ დოკუმენტური მასალების საფუძველზე, რომლებსაც წარმოადგენდნენ საწარმოების, ტრესტების, კომბინატების ხელმძღვანელები პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად[5]. გარდამავალი წითელი დროშები შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისათვის უნდა გადაეცათ მუშა-მოსამსახურეთ საერთო კრებებზე[6].

ომის შემდგომ გრანდიოზულ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილი მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორები პარტიული ორგანოები იყვნენ. ამას მოწმობს აგრეთვე საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 11 აგვისტოს დადგენილება "სოციალისტური შეჯიბრების შესახებ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში". საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების განსახორციელებლად მიღებულ საქართველოს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 21 სექტემბრის დადგენილებაში აღნიშნულია ის წარმატებანი, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს ომის შემდგომი პირველი ხუთწლიანი გეგმისა და 1951 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამასთან გამოაშკარავებულია სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებანიც. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ახალმშენებლობის, ტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, კოლმეურნეობის და პროფკავშირთა რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ხელმძღვანელებმა სუსტად იმუშავეს

სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად და გასაძღოლად; ბევრმა საწარმომ და მშენებლობამ ვერ აღმოფხვრა ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პრატიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს დაავალა დაეძლიათ ნაკლოვანებანი შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, შეჯიბრებაში აქტიურად ჩაებათ მრეწელობისა და სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი, ფართოდ გაევრცელებინათ მოწინავე საწარმოთა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, ყოველნაირად დაეჭირათ მხარი სოციალისტური შეჯიბრების დროს წარმოშობილი მნიშვნელოვანი წამოწყებებისათვის. დადგენილება ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ "სოციალისტური შეჯიბრების მთავარი ამოცანა იყო, ბრძოლა ხარისხის ყოველნაირად გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულისა და მასალის დაზოგვისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეზერვების სწორად გამოყენებისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების და წარმოების კულტურის კიდევ უფრო ამაღლებისათვის"[7].

მრეწველობისა და მისი ცალკეული დარგების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი. მატერიალური წარმოების სფეროში ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატში დასაქმებულ სპეციალისტთა ჩასაბმელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად 1946 წლის 10 იანვარს მიიღო დადგენილება "საქართველოს სსრ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატების შემცირების შესახებ"[8]. ამ ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის რამდენიმე ათასი სპეციალისტი გადაყვანილ იქნა წარმოებაში.

1946 წლის 11 იანვარს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა შექმნილიყო საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატი[9]. ეს ხელს შეუწყობდა არა მატო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, არამედ სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის გაფართოებასაც.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყო იმან, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 26 მარტის განკარგულებით შეიქმნა "საქშახტმშენის" კომბინატი, რომელსაც დაექვემდებარა შემდეგი სამშენებლო ორგანიზაციები: "ტყიბულშახტმშენისა" და "ტყვარჩელშახტმშენის" ტრესტები, ახალციხის ახალი შახტების მშენებლობის სამმართველო, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ქუთაისის სამთო და საშახტე მოწყობილობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მშენებლობის სამმართველოები, "საქართველოს ქვანახშირის" თბილისის სამშენებლო კანტორა და სხვ.[10].

საქართველოს სსრ გემო-კვების მრეწველობის სამინისტროს შექმნა (1946 წლის აგვისტო)[11], საფეიქრო მრეწველობის სამინისტროსა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანება (1949 წლის იანვარი)[12], კვების მრეწველობის სამინისტროსა და გემო-კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანება (1949 წლის თებერვალი)[13], აგრეთვე რამდენიმე სამრეწველო სამინისტროსა და უწყების რეორგანიზაცია (ჯერ გამსხვილება, შემდეგ დაწვრილერთეულება), რაც 1953 წელს განხორციელდა, მიზნად ისახავდა მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა ამ ღონისძიებამ ვერ გაამართლა ვარაუდი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებისა და სამრეწველო წარმოების გაფართოების უზრუნველყოფის საქმეში.

სამრეწველო საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, საწარმოთა ხელმძღვანელების ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა პარტიის ბრძოლას პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის სწორი შეხამებისა და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციების ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში გამიჯვნისათვის.

სამამულო ომის პერიოდში მტრის გასანადგურებლად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციის მიზნით პარტიული ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ განეხორციელებინათ ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია და თვითონ ეკისრათ საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების ზოგიერთი ფუნქცია. მაგრამ პარტიული ორგანიზაციების ნაწილი ომის შემდეგაც განაგრძობდა პარტიულ და სამეურნეო ორგანოთა ფუნქციების აღრევას. ნაცვლად იმისა, რომ საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოებისათვის ეხელმძღვანელათ და მკაცრად გაეკონტროლებინათ მათი საქმიანობა, ისინი ზოგჯერ უგულისყუროდ ეკიდებოდნენ მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვან, პერსპექტიულ საკითხებს[14]. ერთი მხრივ, ეს ზღუდავდა შინაპარტიულ დემოკრატიას, ხოლო, მეორე მხრივ, ამცირებდა სამეურნეო ხელმძღვანელების (მათ შორის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოთა ხელმძღვანელების) ინიციატივასა და აქტივობას. ომის დამთავრების შემდეგ პარტიამ დიდი მუშაობა გასწია ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად: გაუმჯობესდა მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, განმტკიცდა ერთმმართველობა, გაიზარდა სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, წარმოების მართვაში ფართოდ ჩააბეს მუშათა მასები. მაგრამ ამ ნაკლის სრულად გამოსწორება ვერ მოხერხდა.

სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა "გეგმების შესრულების სახელმწიფო ანგარიშებში მიწერების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 16 ივლისის დადგენილების განხორციელებას. სახელმწიფო კონტროლის რევიზიებით

დადგინდა, რომ “მრეწველობის ბევრ საწარმოში დამკვიდრდა დანაშაულებრივი პრაქტიკა გეგმების შესრულების სახელმწიფო ანგარიშებში ფაქტიურად დაუმზადებელი პროდუქციის გამოშვებულად მიწერისა, ხოლო ტრანსპორტზე, სამშენებლო ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში – შეუსრულებელი სამუშაოების მიწერისა”[15]. ეს იმ მიზნითაც ხდებოდა, რომ “გამარჯვება მოეპოვებინათ ან უკვე დაკავებული ადგილი დაემკვიდრებინათ სოციალისტურ შეჯიბრებაში. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ “გეგმების შესრულების სახელმწიფო ანგარიშებში მიწერის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა სერიოზული ბოროტებაა და თუ ამ ბოროტებას გაზრდის საშუალებას მივცემთ, თუ მას ბოლოს არ მოვუღებთ, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითრების სახელმწიფო გეგმების შესრულებასაც შეიძლება საფრთხე შეექმნას”[16]. არაერთი ღონისძიება დაისახა მიწერების აღმოსაფხვრელად. დადგენილებით დაწესდა, რომ საწარმოები და პიროვნებები პრემიებს მიიღებდნენ მხოლოდ საბუღალტრო ანგარიშების საფუძველზე. დადგენილება ავალდებულებდა ოლქების, მხარეებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს სახალხო მეურნეობის საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში აღედგინათ ბოლშევიკური პრინციპულობა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებისადმი შეურიგებლობა[17].

1946 წლის მეორე ნახევარში დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს სამრეწველო საწარმოებში შრომის დანორმვასა და პრემიების მიცემაში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად[18].

1948 წელს განხორციელდა გადამწყვეტი ღონისძიებანი საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა მუშაობის გასაჯანსაღებლად. რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ დაადგინა ფაქტები, რომ ადგილობრივი მრწეველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები დანაგვიანებული იყო საქმოსნებით, სპეკულანტებითა დ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებით. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 13 მაისის დადგენილებამ “საქკოოპკავშირის” სისტემის არტელებში კერძო მესაკუთრეთა შეღწევის ფაქტების შემოწმების შედეგების შესახებ”[19] და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 მაისის დადგენილებამ “საქართველოს სსრ კოოპერაციასა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში კერძო მესაკუთრეთა შეღწევის შესახებ”[20] სერიოზული როლი შეასრულეს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

როგორც აღინიშნა, ომის დასასრულს საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მათ შორის მრეწველობაც, კადრებისა და უწინარეს ყოვლისა კვალიფიციური მუშათა კადრების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. მართალია, 1945 – 1948 წლებში სახალხო მეურნეობას დაუბრუნდნენ საბჭოთა

შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებული მეომრები, მაგალითად, 1947 წლის 14 აპრილისათვის საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს ათობით ათასი დემობილიზებული ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდა აღრიცხვაზე აყვანილი[21], მაგრამ მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშათა და იჟინერ-ტექნიკური კადრებით უზრუნველყოფა მაინც საქართველოს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩებოდა მთელი ომის შემდგომ პერიოდში. ეს ძირითადად გამოწვეული იყო სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სამუშაოთა გრანდიოზული მასშტაბებით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ არაერთი ღონისძიება განახორციელეს იმისათვის, რომ მრეწველობა, ტრანსპორტი და მშენებლობა უზრუნველეყოთ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კადრებით.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დემობილიზებულ მეომართა და სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის საკითხს. დემობილიზებულებმა სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე დაიკავეს ადგილები. ისინი როგორც ბრძოლის, ასევე შრომის ფრონტზე სასწაულებრივი ამტანობისა და ვაჟკაცობის მაგალითებს იძლეოდნენ. ბევრი დემობილიზეუბლი მეომარი სახალხო მეურნეობაში ომამდე შეძენილი პროფესიით მოვიდა, მაგრამ ბევრს მაინც მოუხდა პროფესიის ხელახლა შესწავლა, ზოგიერთს კი კვალფიკაციის გამოცვლა. ის დემობილიზებულები კი, რომლებსაც პროფესია არ ჰქონდათ, საწარმოო სწავლებას უმთავრესად სამრეწეველო საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე გადიოდნენ.

მრეწველობის მუშაკთა რიგები შეავსეს სამამულო ომის ინვალიდებმაც, რომელთა ნაწილმა საწარმოო სწავლება სამამულო ომის ინვალიდთა სასწავლო-საწარმოო კომბინატში გაიარა. 1946 წლის 15 იანვრისათვის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოებში აღრიცხვაზე იყო სამამულო ომის ათასობით ინვალიდი, ამათგან მუშაობდა ან პროფესიას ეუფლებოდა 37 811 კაცი[22]. საქართველოს პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები შემდგომ წლებშიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ სამამულო ომის ინვალიდთა მკურნალობის, შრომითი მოწყობისა და მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. მაგალითად, 1947 წელს ახალი პროფესია შეისწავლა სამამულო ომის 1500 ინვალიდმა, განკიურნა და ინვალიდობა მოეხსნა 3456 კაცს. 1947 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში სამუშაოზე მოწყობილი იყო სამამულო ომის ინვალიდთა 85 პროცენტი, ხოლო 1948 წლის 1 ივნისისათვის – 88,8 პროცენტი[23].

კვალიფიციური მუშების კადრებით მრეწველობის უზრუნველყოფის საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შრომითი რეზერვების (პრფესიულ-ტექნიკური განათლების) სისტემის სასწავლებლებმა. მარტო

მეოთხე ხუთწლედის მანძილზე (1946 – 1950 წწ.) საქართველოში ამ სისტემის სასწავლებლებმა მოამზადეს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ გაგზავნეს 36,8 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა, ამათგან სახელოსნო, რკინიგზისა და სამთო მრეწველობის სასწავლებლებში მომზადდა 10,3 ათასი კაცი, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების, სამშენებლო და სამთო მრეწველობის სკოლებში – 26,5 ათასი კაცი[24]. სახელოსნო სასწავლებლებში მომზადებულ კვალიფიციურ მუშათა უმრავლესობა ამიერკავკასიის მეტალურგიულ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებსა და საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში წავიდა სამუშაოდ.

მუშახელით მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით საბჭოთა მთავრობამ ომის შემდეგ აღადგინა კოლმეურნეობებთან და ცალკეულ პირებთან ხელშეკრულების დადების გზით მუშახელის ორგანიზებული შეგროვების პრაქტიკა, რის შედეგადაც ომის შემდგომ წლებში საქართველოს მრეწველობასა და მშენებლობას ათიათასობით მუშა შეემატა. მარტო 1950 წლის 11 თვის მანძილზე კომბინატ "საქქვანახშირის" საწარმოებში უმთავრესად ორგანიზებული წესით მოვიდა 8174 კაცი, საწარმოებში და მშენებლობაზე ორგანიზებულად მიღებული მუშების დასამაგრებლად საჭირო იყო, მათთვის პროფესიის შესწავლა, ნორმალური შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა. ამ წესით მიღებულ მუშებს ამზადებდნენ საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო სწავლების გზით. 1946 წელს მოამზადეს 16 963, ხოლო 1947 წელს – 20 859 მუშა და მასობრივი პროფესიის სხვა მუშაკი[25]. კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა ეს მუშაობა მეხუთე ხუთწლედში. 1951 – 1953 წლებში უმთავრესად მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოებმა მოამზადეს სხვადასხვა სპეციალობის 84,7 ათასი მუშა[26].

ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, მოწყობილობის მოდერნიზაცია, ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისება, მრეწველობასა და მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის დანერგვა დაბეჯითებით მოითხოვდა მუშათა, მასობრივი პროფესიების სხვა მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმის ძირეულ გაუმჯობესებას. 1946 წელს უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კვალიფიკაცია აიმაღლეს 70 613, ხოლო 1947 წელს 37 853 მუშამ, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა და მასობრივი პროფესიის სხვა მუშაკმა[27].

ომის შემდგომ პერიოდში 1946 წელი სარეკორდო წელია მუშათა რაოდენობის მხრივ, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებდნენ. ეს იმის შედეგი იყო, რომ საწარმოებს მასობრივად დაუბრუნდნენ არმიასა და ფლოტში დიდხანს ყოფნით დეკვალიფიცირებული მეომრები, რის გამოც საჭირო გახდა მათი გადამზადება. გარდა ამისა, 1946 წელს საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა ბევრი ახალი (სამამულო და სარეპარაციო) მოწყობილობა მიიღეს,

რომელთა ასათვისებლად საჭირო იყო გარკვეული რაოდენობის კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ხელახალი სწავლება. 1951 – 1953 წლებში უშუალოდ საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კვალიფიკაცია აიმაღლა 94,9 ათასმა მუშამ[28].

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, სამგორის სარწყავი სისტემის, გორის ბამბეულის კომბინატისა და თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფას.

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს რაიონებში, ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში სამუშაოდ (ქარხანა მაშინ მშენებლობის პროცესში იყო) მობილიზებული იყო გასაწვევი ასაკის 4 890 ჭაბუკი, რომელთაგან რსფს რესპუბლიკისა და უკრაინის სხვადასხვა მეტალურგიულ საწარმოებში სწავლებისათვის გაიგზავნა დაახლოებით 3 ათასი კაცი, დანარჩენები კი თავიანთ პროფესიას საქართველოს მეტალურგიულ, მექანიკურ და სხვა სამრეწველო საწარმოებში ეუფლებოდნენ[29]. ვიდრე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა შენდებოდა, ქართველი ჭაბუკები საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეტალურგთა ხელმძღვანელობით ხელოვნდებოდნენ თავიანთ რთულ საქმეში და საამქროთა საექსპლოატაციოდ გადაცემის კვალობაზე უბრუნდებოდნენ რუსთავს. ამიერკავკასიის მეტალრუგიული ქარხნის ყოფილი დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. გ. გომელაური 1961 წელს წერდა, რომ საქართველოს ბევრმა წარგზავნილმა მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ჯერ კიდევ მაშინ, როცა საწარმოო პრაქტიკას გადიოდა მაგნიტოგორსკის, მაკეევკის, ენაკიევოს, რუტჩენკოვოს, გორლოვკის, ჩასოვ-იარსკის, ტაგანროგის, დნეპროპეტროვსკის, ნიკოპოლის, დნეპროძერჟინსკის, პერვოურალსკის, მარიუპოლის და სტალინგრადის მეტალურგიულ ქარხნებში. “მაგალითად, ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში სწავლისა და მუშაობის დროს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მებრძმედის წოდება ორჯერ მოიპოვა, ამჟამად საბრძმედე საამქროს უფროსმა ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ვარდიშ გიორგის ძე კობერიძემ. დონეცკელ მეტალურგთა მოწაფის არჩილ ვასილის ძე ძამაშვილს, ამჟამად რუსთავის საბრძმედე ღუმელის ოსტატს, რუსთავის პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს, აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა”[30].

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. ახალგაზრდა მუშათა ნაწილმა, რომლებსაც ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამზადებდნენ, სწავლა მიატოვა. ეს მოხდა იმის გამო, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები უყურადღებოდ ეკიდებოდნენ მომავალ მეტალურგებს, მათ არც საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ კარგი, ვერც

სწორად იყენებდნენ მათ, არც პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა იდგა სათანადო დონეზე. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა გადამჭრელი ღონისძიებანი, რის შედეგადაც განთესილთა დიდი უმრავლესობა წარმოებას დაუბრუნდა[31].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 19 სექტემბრის განკარგულების განსახორციელებლად 1946 წლის შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოს რაიონებში შეარჩიეს 3 ათასი ჭაბუკი და გაგზავნეს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწვლობის სამინისტროს მოქმედ საწარმოებში საწარმოო სწავლებისათვის. რსფსრ საავტომობილო ქარხნებში ჭაბუკებთან ერთად გაიგზავნა 30 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომელთაც დაევალათ ახალგაზრდა მუშების (მომავალი ქართველი ავტომობილმშენებლების) საწარმოო სწავლებისადმი ხელმძღვანელობა და საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლება[32].

საქართველოს ომის შემდგომი უმნიშვნელოვანესი ახალმშენებლობებისათვის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კადრებს ამზადებდნენ საქართველოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები და ტექნიკუმები. ამიერკავკასიის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებს ინჟინერთა კადრებს აწვდიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. ტექნიკოს მეტალურგთა მოსამზადებლად თბილისში შეიქმნა მეტალურგიული ტექნიკუმი. ქუთაისის საავიაციო ტექნიკუმი გადაკეთდა საავტომობილო ტექნიკუმად. იგი კადრებით უზრუნველყოფდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანას. 1949 – 1950 სასწავლო წლიდან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოთხი ახალი სპეციალობა გაიხსნა[33]. მოგვიანებით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეტალურგიულ სპეციალობათა ბაზაზე შეიქმნა მეტალურგიის ფაკულტეტი. ამავე ინსტიტუტმა დაუსწრებელი სწავლების ფილიალები გახსნა რუსთავსა და ქუთაისში. რუსთავში შეიქმნა აგრეთვე თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილება. მეტალურგიული და საავტომობილო ქარხნების ბევრმა მუშაკმა წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება.

განხორციელდა სამგორის სარწყავი სისტემისა და თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფის ღონისძიებანი. იმის გამო, რომ სამგორის სარწყავ სისტემას აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიანი რაიონებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, პარტიამ და მთავრობამ მოიწონეს მთელი რესპუბლიკის მშრომელთა თაოსნობა და 1948 წლის მაისში სამგორი სახალხო მშენებლობად გამოცხადდა[34].

1949 წლის მაისში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა "საქართველოს სს რესპუბლიკაში 1949 - 1952 წლებში მებამბეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 14 აპრილის

დადგენილების შესასრულებლად მიიღეს დადგენილება “ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ”. მიწის ახალი ფართობების ათვისების დავალება ვერ შესრულდებოდა, ვიდრე ეს სარწყავი სისტემა მწყობრში არ ჩადგებოდა, ამიტომ აუცილებელი იყო მისი მშენებლობის ტემპის დაჩქარება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1949 წლის 15 მაისიდან 20 ივლისამდე მასობრივად ჩაებათ კოლმეურნეები ამ საქმეში და შეესრულებინათ 150 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები[35]. “სამგორწყალმშენის” სამმართველოს წინადადება მიეცა 1949 წლის მაის-ივლისში მშენებლობა უზრუნველეყო ათასი კაცით. კოლმეურნეობებს, რომლებსაც ეს საქმე ევალებოდათ, ორგანიზებული შეგროვების წესით გამოყოფილი მუშებისათვის შრომადღეები უნდა დაერიცხათ მშენებლობაზე ფაქტიურად შესრულებული ნორმის 50 პროცენტის ოდენობით, ხოლო “სამგორმშენის” სამმართველოს მიერ გაცემული ცნობების თანახმად, მშენებლობაზე გამომუშავებულ ხელფასს მთლიანად უხდიდნენ სამუშაო ადგილზე[36]. მაშასადამე, კოლმეურნეობები იბეგრებოდნენ სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის სასარგებლოდ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1950 – 1951 წლებში ხალხი მასობრივად გადიოდა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. 1951 წლის 25 აპრილის დადგენილება “სამგორმშენის” სამმართველოს წინადადებას აძლევდა ერთი წლის ვადით საქართველოს რაიონებში ორგანიზებულად შეეკრიბა 1 260 კაცი[37].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით თბილისში დაიწყო მეტროპოლიტენის მშენებლობა[38]. მუშახელით მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1952 წლის 26 თებერვალს დაადგინა (ეს დადგენილება მიღებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 15 თებერვლის განკარგულების შესაბამისად) ქ. თბილისის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაში ჩაებათ 1,5 ათასი კაცი[39]: საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1953 წლის 19 იანვარს რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების მითიებით თბილისის მეტროპოლიტენში სამუშაოდ გაიგზავნა ათასობით ჭაბუკი[40].

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშახელით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეფობას.

1945 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება “საქართველოს სს რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვების განვითარებისა და შახტების მშენებლობის შესახებ”. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს რაიონებს ურჩიეს ამ დადგენილების

განსახორციელებლად შეფობა გაეწიათ ქვნახშირის საწარმოებისათვის. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ საშეფო მუშაობაში მონოპოლია კომკავშირულ ორგანიზაციებს ეკუთვნოდათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ძალიან დაეხმარა საწარმოებს მუშახელის ნებაყოფლობით შეკრებაში. ეს ღონისძიება, როგორც წესი, კომკავშირის მეშვეობით ხორციელდებოდა. სწორედ კომკავშირელები და ახალგაზრდები შეადგენდნენ საწარმოებში მოსული მუშების უმრავლესობას.

საქართველოს კომკავშირი შეფობდა ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურებისა და ქვანახშირის შახტების მშენებლობას, ამიერკავკასიის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებს.

1947 წლის 24 აპრილს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ რესპუბლიკის კომკავშირს შეფობა გაეწია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისა და ქარხნისათვის. კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალა რესპუბლიკის ახალგაზრდობა დაერაზმათ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის. საქართველოს სამრეწველო საწარმოებში შეიქმნა ახალგაზრდული საშეფო ბრიგადები, რომლებიც აკონტროლებდნენ და უზრუნველყოფდნენ მშენებლობისა და ქარხნის შეკვეთების ხარისხიანად და ვადამდე შესრულებას. იმ საწარმოებში, სადაც საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებს ამზადებდნენ, საწარმოს დირექციასთან შეთანხმებით ახალგაზრდობა გეგმის გადამეტებით უშვებდა მშენებლობისა და ქარხნის ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებლებისათვის საჭირო ინვენტარს. რუსთავისკენ მიმავალი ტვირთისათვის "მწვანე გზის" უზრუნველსაყოფად რკინიგზის სადგურებში შეიქმნა კომკავშირული საკონტროლო პოსტები. მშენებლობის მოედანზე და ქარხანაში ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდა დროებითი აბანო-სამრეცხაოებისა და საშხაპეების მოწყობაში. ახალგაზრდულ საშეფო ბრიგადებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგებს ყოველკვარტალურად აჯამებდნენ და გამარჯვებულებს გარდამავალ წითელ დროშას გადასცემდნენ. რუსთავის რაიონის კომკავშირელები მონაწილეობდნენ ქარხნის ტერიტორიის გამწვანებაში, კლუბისა და საზაფხულო ესტრადის მშენებლობაში, მხარში ედგნენ მშენებლობისა და ქარხნის ახალგაზრდობას მხატვრული თვითმოქმედების მოწყობაში. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები რუსთავში გზავნიდნენ უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სკოლებისა და თეატრების მხატვრულ და საკონცერტო ბრიგადებს, მართავდნენ რუსთავის ახალგაზრდობის შეხვედრებს თბილისისა და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე ადამიანებთან, ეხმარებოდნენ მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც საწარმოო სწავლებას საქართველოს სხვა საწარმოებში გადიოდნენ; რუსთავის ბიბლიოთეკებისათვის აგროვებდნენ მხატვრულ და პოლიტიკურ

ლიტერატურას; მშენებლობისა და ქარხნის ახალგაზრდობას ეხმარებოდნენ სპორტული მოედნებისა და ნაგებობათა მოწყობაში, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მოგვარებაში.

1947 წლის მუშაობის შესახებ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისამდი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ნათქვამია: "საქართველოს კომკავშირი რესპუბლიკის სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს. კომკავშირი შეფობას უწევს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას და დიდ დახმარებას უწევს მას"[41].

საქართველოს ახალი სამრეწველო საწარმოების გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით და კვალიფიციური მუშებით უზრუნველსაყოფად საკავშირო სამინისტროები და უწყებები სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკიდან, უმთავრესად რსფს რესპუბლკიდან და უკრაინიდან, საქართველოში გზავნიდნენ გამოცდილ სპეციალისტებს. საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქსა და ახალგაზრდა ქალაქებიდან ყველაზე დიდ სამრეწველო ცენტრში – რუსთავში რამდენიმე ათეული ერის წარმომადგენელი დასახლდა. ამიტომაც რუსთავს ორმოცი ძმის ქალაქი უწოდეს.

ომის დამთავრებისა და არმიის დემობილიზაციის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა ნაკადი. 1947 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობამ საბჭოთა კავშირში ომამდელ დონეს მიაღწია[42], საქართველოში კი 1946 წელს გადაამეტა კიდეც. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სახალხო მეურნეობაში 1940 წლის სექტემბრისთვის შეადგენდა 494 ათასს, 1945 წელს – 431,4 ათასს, 1950 წელს – 623 ათასს, ხოლო 1953 წელს – 694,2 ათასს[43]. ეს ციფრები იმაზეც მეტყველებს, რომ ომის შემდგომ წლებში საქართველოს მოსახლეობა უფრო ფართოდ ჩაება სახალხო მეურნეობაში. ეს კი სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში მრეწველობის, განვითარების შედეგი იყო. ომის შემდგომ წლებში გაიზარდა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა რაოდენობაც. მაგრამ თუ სსრ კავშირის მთელ სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა შორის ქალთა რიცხვის მატებასთან ერთად იზრდებოდა მათი პროცენტული რაოდენობაც, ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა[44]. მართლია, მეხუთე ხუთწლედში (1951 – 1955 წწ.) საქართველოს მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა ხვედრითი წონა 38-დან 40 პროცენტამდე გაიზარდა[45], მაგრამ აქაც მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე დასაქმებულ ქალთა პროცენტი მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაში უფრო დაბალი იყო, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირში. მაშასადამე, საქართველოში ჯეროვნად არ იყენებდნენ შრომითი რესურსების შევსების ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, როგორიცაა ქალის შრომა.

ომის შემდგომ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის მუშაობა უნდა გარდაექმნათ და გაეუმჯობესებინათ მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს, პირველ რიგში პროფესიულ

კავშირებს, რომელთა მეშვეობითაც პარტია მილიონობით ადამიანს იზიდავს კომუნიზმის აქტიურ მშენებლობაში. 1948 წლის ნოემბერში პირველ საკავშირთაშორისო კონფერენციაზე ხელახლა შეიქმნა საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭო. ეს იყო რესპუბლიკის პროფესიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება. მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სწრაფ განვითარებასთან, აგრეთვე კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მეურნეობისა და ვაჭრობის საწარმოო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა საქართველოს პროფესიული კავშირების წევრთა რიცხვიც. 1946 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 295,1 ათასი, ხოლო 1953 წლის 1 იანვრისათვის – 549,4 ათასი პროფკავშირის წევრი[46].

1947 წელს განახლდა ადმინისტრაციასა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს შორის საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა, რამაც დიდად შეუწყო ხელი გეგმების გადაჭარბებით განაღდებისა და მრეწველობის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენისა და მისი შედგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფულის რეფორმას და საბარათო სისტემის გაუქმებას.

ომის შემდგომი ამოცანების შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვაში დადებითი როლი შეასრულეს საქართველოს კომპარტიის XIV და XV ყრილობებმა.

საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობამ (1949 წლის 25- 29 იანვარი) შეაჯამა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში და მეოთხე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე და კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ომის შემდგომი ამოცანების განსახორციელებლად სახალხო მეურნეობისა და კულტურის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობის გასაძლიერებლად.

საქართველოს კპ (ბ) XV ყრილობამ (1952 წლის 15- 18 სექტემერი) განიხილა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტები პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის 1951 – 1955 წლების განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და მოხსენებისა საკ. კპ (ბ) წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ყრილობამ აღნიშნა საქართველოს მშრომელთა წარმატებანი 1951 – 1952 წლების დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, ამასთან ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების მუშაობაში შეიმჩნეოდა.

აღსანიშნავია, რომ ომამდელი XIII ყრილობიდან (1940 წლის 15- 19 მარტი) XV ყრილობამდე განვლილ პერიოდში საქართველოს კომპარტია რიცხობრივად გაიზარდა. XIII ყრილობისათვის საქართველოს კპ (ბ) რიგებში ირიცხებოდა 91002 კომუნისტი, XIV ყრილობისათვის – 166 367, ხოლო XV ყრილობისათვის 173298 კომუნისტი[47]. ეს მოწმობდა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის, საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას.

საქართველოს სსრ მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკები თავდადებულად შრომობდნენ მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესასრულებლად.

---

[1] «Борьба КПСС за восстановление и развитие народного хозяйства в послевоенный период (1945 – 1953 гг.), стр. 208.
[2] იქვე, გვ. 209.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 63, ფურც. 31.
[4] იქვე, ფურც. 32.
[5] «Борьба КПСС, за восстановление и развитие народного хозяйства в послевоенный период (1945 – 1953 гг.), стр. 338.
[6] იქვე.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 141, ფურც. 148.
[8] იქვე, აღწ. 3, საქ. 431, ფურც. 8.
[9] იქვე, საქ. 371, ფურც. 36 – 41.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 373, ფურც. 163.
[11] იქვე, აღწ. 3, საქ. 109, ფურც. 6.
[12] იქვე, აღწ. 1949 წლისა, საქ. 160, ფურც. 1.
[13] იქვე, საქ. 1, ფურც. 10 – 11.
[14] "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", თბ., 1961, გვ. 782.
[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 377, ფურც. 37.
[16] იქვე, ფურც. 39.
[17] იქვე, ფურც. 41.
[18] იქვე, საქ. 440, ფურც. 45.
[19] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 51, ფურც. 56.
[20] იქვე, საქ. 57, ფურც.32.
[21] იქვე, საქ. 64, ფურც.293.
[22] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 171, ფურც. 4.
[23] იქვე, საქ. 69, ფურც. 108.
[24] «Советская Грузия за 40 лет. Статистический сборник», Тб., 1961, стр. 143.
[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 30.
[26] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР", 1957, стр. 166 მიხედვით.
[27] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 31.
[28] «Промышленность Грузии за 40 лет. 1921 – 1961 гг.», Тб., 1961, стр. 43.
[29] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 80, ფურც. 38; საქ. 33, ფურც. 243.
[30] «Промышленность Грузии за 40 лет», стр. 43.
[31] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 80, ფურც. 38; საქ. 33, ფურც. 243.
[32] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 28, ფურც. 32.
[33] იქვე, აღწ. 1949 წლისა, საქ. 1, ფურც. 35.

[34] Газ. «Заря Востока», 1 и 8 июня 1948 г.
[35] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1949 წლისა, საქ. 38, ფურც. 37.
[36] იქვე, საქ. 38, ფურც. 39.
[37] იქვე, აღწ. 22, საქ. 58, ფურც. 12.
[38] იქვე, საქ. 185, ფურც. 17.
[39] იქვე, აღწ. 23, საქ. 96, ფურც. 55.
[40] იქვე, აღწ. 27, საქ. 262, ფურც. 6.
[41] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 21.
[42] «Экономика СССР в послевоенный период (краткий экономический обзор)», М., 1962, стр. 373.
[43] «Народное хозяйство Грузинской ССР,Статистический сборник», М., 1957, стр. 27 (აღებულია ყოველი წლის სექტემბრის მონაცემები).
[44] «Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический сборник», М., 1957, стр. 164.
[45] იქვე.
[46] საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს მასალებიდან.
[47] Очерки истории Коммунистической партии Грузии, Тб., 1971, стр. 592, 665, 679 – 680.

§ 4. მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკთა რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. შრომითი აღმავლობა ომის შემდგომ პერიოდში

1920 წელს სტატიაში: "საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ" ვ. ი. ლენინი წერდა: "გამძლეობა, შეუპოვრობა, მზადყოფნა, გამბედაობა და იმის უნარი, რომ ასჯერ გავსინჯოთ, ასჯერ შევასწოროთ და რადაც უნდა დაჯდეს მიზანს მივაღწიოთ, - ამ თვისებებს პროლეტარიატი იმუშავებდა 10, 15, 20 წლის განმავლობაში ოქტომბრის რევოლუციამდე, ამ თვისებებს პროლეტარიატი იმუშავებდა ორი წლის განმავლობაში ამ რევოლუციის შემდეგ, როდესაც იტანდა არნახულ გაჭირვებას, შიმშილს, გაჩანაგებას, უბედურებას. პროლეტარიატის ეს თვისებები თავდებია იმისა, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს!"[1] ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ამ თვისებებმა უზრუნველყვეს მისი გამარჯვება პროლეტარული რევოლუციისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის გაჩაღებულ ხანგრძლივ ბრძოლებში. დიდმა სამამულო ომმა ცხადყო, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, მისმა ეროვნულმა რაზმებმა, მათ შორის საქართველოს მუშათა კლასმა, შეინარჩუნეს ეს თვისებები, რომლებიც მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილება გახდა.

ომის შემდგომ წლებში ეკონომიკისა და კულტურის ზრდასთან ერთად საქართველოს მუშათა კლასის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკთა შემადგენლობაში მოხდა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები.

საქართველომ მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ომამდელ დონეს მიაღწია მეხუთე ხუთწლედში (1954 წელს)[2]. ომის შემდეგ გაიზარდა ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების რაოდენობა. 1940 წლის

დამდეგისათვის საქართველოში იყო 28 ქალაქი და 24 ქალაქის ტიპის დასახლება, 1956 წლის დამდეგისათვის კი – 32 ქალაქი და ამდენივე დაბა[3]. მოხდა მოსახლეობის გადანაწილება ქალაქსა და სოფელს შორის. 1940 წლის დამდეგისათვის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 1073 ათას კაცს[4], ანუ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტს, 1954 წლის დამდეგისათვის კი ქალაქებში ცხოვრობდა 1 365,7 ათასი კაცი, ანუ მთელი საქართველოს მოსახლეობის 34 პროცენტზე მეტი[5]. ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა უმთავრესად მრეწველობისა და მშენებლობის მუშათა რიცხვის ზრდის ხარჯზე მოხდა. 1950 წელს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 1940 წელთან შედარებით შეადგინა: მრეწელობაში 161 პროცენტი, მშენებლობაში – 211, ხოლო 1955 წელს შესაბამისად – 198 და 207 პროცენტი[6]. გადიდდა მუშათა ხვედრითი წონა სამრეწველო-საწარმოო პერსონალში[7]. 1950 წელს მუშები შეადგენდნენ 77 პროცენტს (122 ათასს 159 ათასიდან), 1953 წელს კი 79 პროცენტს (148 ათასს 188 ათასიდან)[8].

სერიოზული ცვლილებები მოხდა მრეწველობაში დარგობრივი სტრუქტურისა და მუშათა დასაქმების თვალსაზრისით. გაიზარდა იმ მუშაკთა ხვედრითი წონა, რომლებიც დასაქმებული იყვნენ შავ მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, აგრეთვე იმ დარგებში, რომლებიც საწარმოო დანიშნულების პროდუქციას ამზადებენ. ამას მოწმობს 1-ლი ცხრილი[9].

ცხრილი 1

	1940 წ	1945 წ	1950 წ	1955 წ
სულ.....	100	100	100	100
შავი მეტალურგია	0,9	1,5	2,0	4,7
ქვანახშირის მრეწველობა	1, 9	3,2	4,22, 0	4,0
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	15,8	24,5	20,6	18,9

მე-2 ცხრილი ასახავს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალო წლიურ რაოდენობას მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში 1950 – 1955 წლების მანძილზე[10].

ცხრილი 2

	1950 წ.	1955 წ.

	კაცი	პროცენტობით ჯამის მიმართ	კაცი	პროცენტობით ჯამის მიმართ
მთელი მრეწველობა	158.694	100	201.721	100
შავი მეტალურგია	10,075	6,3	17.629	8,7
ქვანახშირის მრეწველობა	7,428	4,7	9.422	4,7
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	29,914	18,9	36,549	18,1
მათ შორის მანქანათმშენებლობა	14,022	8,8	19,635	9,7

აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ მთელ საბჭოთა კავშირში მრეწველობის ომის შემდგომი განვითარებისათვის, მაშასადამე მის ცალკეულ დარგებში მუშათა დასაქმების სტრუქტურისათვის, ყველაზე დამახასიათებელი იყო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების წილის ზრდა მასობრივი მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგების წილის შემცირების ხარჯზე[11], საქართველოს მრეწველობის განვითარებაში ეს ტენდენცია არ შემიჩნეოდა. ომის შემდგომ წლებში მძიმე მრეწეველობის დარგებთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებიც. მსუბუქ მრეწეველობას რესპუბლიკის მრეწველობის დარგებს შორის პირველი ადგილი ეკავა როგორც სამრეწველო მუშათა აბსოლუტური რაოდენობის, ისე ხვედრითი წონის მხრივაც. 1950 წელს მსუბუქ მრეწეველობაში მუშაობდა 31 558 კაცი, ანუ მთელი სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 19,9 პროცენტი, ხოლო 1955 წელს – 44693 კაცი, ანუ მრეწველობაში დასაქმებული პერსონალის 22,2 პროცენტი[12]. დიდ ხვედრით წონას ინარჩუნებდა კვების მრეწველობაც. მუშაკთა დასაქმების მხრივ კვების მრეწველობის წილი 1950 წლის 17,4 პროცენტიდან 1955 წელს 16,4 პროცენტამდე შემცირდა, მაგრამ კვების მრეწველობა დასაქმებული პერსონალის რაოდენობისა და ხვედრითი წონის მიხედვით მესამე ადგილზე რჩებოდა (მსუბუქი მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების შემდეგ). ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანას არ შეუსრულებია მთელი სიმძლავრის ათვისების მეოთხე და მეხუთე ხუთწლედების დავალებანი. 1950 წელს უნდა გამოეშვა ათასობით სატვირთო ავტომობილი. მაგრამ პირველი ავტომანქანები გამოუშვა 1951 წელს. 1953 წელს ქარხანამ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ათეული სატვირთო ავტომანქანა მისცა[13].

შეიცვალა მრეწველობისა და მუშათა კალსის გეოგრაფიული (ტერიტორიული) განლაგება. საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ახალი

სამრეწველო საწარმოები აშენდა, გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსულ მუშათა კადრების რაოდენობა, ამაღლდა ქართველების პროცენტი რესპუბლიკის სამრეწველო-საწარმოო პერსონალსა და მუშათა საერთო რაოდენობაში. 1948 წლის დამდეგისათვის, როგორც ეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან ჩანს, 1947 წელს კადრებთან მუშაობის შესახებ (ანგარიში წარედგინა საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს) სამრეწველო სამინისტროების, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის, "საქქვანახშირის", "ჭიათურმანგანუმის", "საქნავთის", "საქენერგოს" ტრესტებისა და "კონსერვტრესტის" 374 ძირითად საწარმოში მუშაობდა 81 241 მუშა, აქედან ქართველი იყო 49 პროცენტი, რუსი – 29,3, სომეხი – 10,9, უკრაინელი – 4,6, ოსი – 0,5, აფხაზი - 0,5, აზერბაიჯანელი – 0,4 და სხვა ერის წარმომადგენელი – 4,8 პროცენტი[14]. 1948 – 1953 წლების მანძილზე ორგანიზებული შეგროვების წესით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შეემატა ათიათასობით მუშახელი უმთავრესად სოფლის ახალგაზრდობა. გარდა ამისა, 1946 – 1955 წლებში შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლებიდან მრეწველობაში ტრანსპორტსა და მშენებლობაზე სამუშაოდ წავიდა 57,3 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. შრომითი რეზერვების სასწავლებლებში მომზადებული, აგრეთვე ორგანიზებული შეგროვების წესით მიღებული მუშების დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ. ამიტომ ქართველთა ხვედრითი წონა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეთა შორის 1946 – 1953 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ ქართველთა ხვედრითი წონა რესპუბლიკის მუშათა კლასში ნაკლები იყო, ვიდრე მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. 1939 წელს ქართველები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 61,4 პროცენტის, ხოლო 1959 წელს – 64,3 პროცენტს[15]. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსების ხვედრითი წონა საქართველოს მუშათა კლასში ერთისამად მეტი იყო, ვიდრე მათი ხვედრითი წონა რესპუბლიკის მოსახლეობაში[16]. ეს იმით აიხსნება, რომ რუსები უმთავრესად საქართველოს ქალაქებსა და მუშათა დაბებში ცხოვრობდნენ.

ომის შემდგომ წლებში თვისებრივი ცვლილებები მოხდა საქართველოს მუშათა კლასის შემადგენლობაში. პარტიის მუდმივი ზრუნვის შედეგად განუხრელად მაღლდებოდა საქართველოს მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე. გაიზარდა იმ მუშათა ხვედრითი წონა, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო სტაციონარული მომზადება ჰქონდათ. ამას ხელს უწყობდა ახალი შევსების მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო დონე, აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის სკოლების ქსელის გაფართოება. თუ 1945/46 სასწავლო წელს საქართველოში იყო მუშა ახალგაზრდობის 32 სკოლა, რომლებშიც 4 263 კაცი სწავლობდა, 1954/55 სასწავლო წელს ამ სკოლების რაოდენოაბ 83-მდე გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 17 561 კაცს უდრიდა[17]. რამდენიმე ათასი მუშა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იძენდა ცოდნას უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალური სკოლების დაუსწრებელ და

საღამოს განყოფილებებზე. 1952/53 სასწავლო წელს უმაღლესი სასწავლებლების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ირიცხებოდა 9,9 ათასი კაცი, საშუალო სპეციალური სკოლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე – 800 კაცი[18]. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო რაოდენობაში წლითიწლობით იზრდებოდა მუშათა წრიდან გამოსულთა ხვედრითი წონა.

ომის შემდგომ პერიოდში როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, ისე მრეწველობაში მკვეთრად იმატა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა რიცხვმა. 1941 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო ასეთი 67,1 ათასი სპეციალისტი, ხოლო 1954 წლის 1 აპრილისათვის – 124,7 ათასი[19]. უმნიშვნელოვანეს სამრეწველო საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანოთა აპარატიდან, აგრეთვე ზოგიერთი ძველი საწარმოდან სპეციალისტები გადაჰყავდათ იქ, სადაც ისინი უფრო საჭირო იყვნენ, კერძოდ, ასობით სპეციალისტი მიავლინეს ამიერკავკასიის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში, გორის ბამბეულის კომბინატში, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე და მეოთხე და მეხუთე ხუთწლედების სხვა დიდ ობიექტებზე.

საქართველოს მუშათა კლასის საერთო კულტურის ასამაღლებლად დიდ მუშაობას ეწეოდნენ რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, პირველ რიგში პროფესიული კავშირების კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, წითელი კუთხეები და ბიბლიოთეკები. მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ყველა დიდ საწარმოში მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა წრე იყო ჩამოყალიბებული. 1953 წელს საქართველოს პროფესიულ კავშირებს ჰქონდათ 1096 კლუბი, კულტურის სახლი. სასახლე და წითელი კუთხე, სადაც წაკითხულ იქნა 23 464 ლექცია და მოხსენება, რომლებსაც დაესწრო 1125 ათასი კაცი; მხატვრული თვითმოქმედების 518 წრეში 13,5 ათასი კაცი ირიცხებოდა; 122 პროფკავშირული კინოდანადგარი 1953 წლის განმავლობაში მოემსახურა 5 055,5 ათას კაცს; 491 პროფკავშირული ბიბლიოთეკა 66 ათასამდე მკითხველს ითვლიდა[20]. პროფესიულ კავშირთა კულტურულ-მასობრივ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ, პირველ რიგში წარმოების მოწინავენი. საქართველოს მუშათა კლასის კულტურულ და პოლიტიკურ აღზრდაში ფართოდ მონაწილეობდა რელსპუბლიკის პრესა, თეატრები, რადიო, აგრეთვე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადეობა.

საერთო კულტურული დონის ამაღლების საფუძველზე ამაღლდა მუშათა ტექნიკური ცოდნაც, შეიცვალა მათი შემადგენლობა. გადიდდა უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მუშათა ხვედრითი წონა. მარტო მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საწარმო-დაწესებულებებში საშუალოდ წელიწადში კვალიფიკაცია აიმაღლა 33,8 ათასმა მუშამ[21]. მრავალმა ათასმა

მუშამ კვალიფიკაცია დამოუკიდებლად აიმაღლა და წარმოების პროცესში ნოვატორთა შრომის მოწინავე მეთოდების გადმოღებით სრულყო თავისი ოსტატობა. 1953 წლის 5 მაისისათვის საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა 47,3 პროცენტს ჰქონდა სამი და მეტი წლის განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი, მაშინ როცა 1947 წლის 1 მარტისათვის ასეთი სტაჟი ჰქონდა 45 პროცენტს[22]. ხოლო სტაჟის ზრდის კვალობაზე, როგორც წესი, მომუშავეთა კვალიფიკაციაც მაღლდება.

ტექნიკური პროგრესი, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ცვლიან და ართულებენ შრომის ხასიათს, ცვლიან მუშის შრომითი ფუნქციების შინაარსს, მანქანებისა და მექანიზმების მბრძანებლად აქცევენ მას. მუშის შრომაში მატულობს გონებრივი საქმიანობის ელემენტები. ეს მუშისაგან მოითხოვს უფრო მეტ ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკურ ცოდნას. ზოგიერთი რთული მანქანისა და მექანიზმის სამართავად საჭიროა საინჟინრო-ტექნიკური ცოდნა. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება საქართველოს სამრეწველო-საწარმოო პერსონალში ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობის ზრდა 1950 წლის 14 ათასიდან 1953 წლის 18 ათასამდე[23]. მატერიალური წარმოების სფეროში, უწინარეს ყოვლისა მრეწველობაში, დასაქმებულ მუშაკთა შრომითს ფუნქციებში მომხდარი ცვლილებანი მოწმობენ ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოებას, მათ შორის არსებით განსხვავებათა თანდათანობით წაშლას. ეს კი კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის ერთ-ერთი პირობაა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მუშათა კლასის პროფესიულ შემადგენლობაშიც. გაქრა ზოგიერთი პროფესია და გაჩნდა ახალი პროფესიები. საქართველოს მრეწველობაში გაიზარდა მაღაროელთა, მეტალურგთა, ენერგეტიკოსთა, მანქანათმშენებელთა, ქიმიკოსთა, მშენებელთა, საავტომობილო და სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტის მუშათა ხვედრითი წონა.

შეიცვალა საქართველოს მუშათა კლასის ასაკობრივი შემადგენლობა. 1946 – 1953 წლებში მუშათა საშუალო ასაკი ომამდელზე დაბალი იყო. მაღაროელთა, მეტალურგთა, ჩამომსხმელთა, მელითონეთა, ქიმიკოსთა, ფეიქართა, მშენებელთა და მატერიალური წარმოების სხვა დარგების მუშათა ნახევარზე მეტი 29 წლამდე ასაკისანი იყვნენ.

ომის შემდგომი გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში ამაღლდა საქართველოს მუშათა იდეურობა, რაც შრომისადმი მათი კომუნისტური დამოკიდებულებით გამოიხატა. შეგნებული კოლექტივიზმი, თვითდისციპლინა, საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა და კომუნისტი ადამიანის სხვა შესანიშნავი თვისებები საქართველოს მუშათა დიდი უმრავლესობის დამახასიათებელი თვისება გახდა. ისინი პრაქტიკულად მონაწილეობდნენ მთელი საბჭოთა ხალხის არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ (პოლიტიკურ და კულტურულ) ცხოვრებაშიც.

1918 წელს ვ. ი. ლენინი წერდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და შემდგომი განვითარება მოხდება ”მოქალაქეთა სულ უფრო და

უფრო მეტი რაოდენობის, ხოლო შემდეგ უკლებლივ ყველა მოქალაქის სისტემატურად ჩაბმით სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში თავის ხვედრ სამუშაოთა უშუალოდ და ყოველდღიურად შესასრულებლად”[24]. როგორც ვ. ი. ლენინმა განჭვრიტა, სოციალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში გაფართოვდა მშრომელი ადამიანის, ისტორიის ჭეშმარიტი შემოქმედის, საქმიანობის სფერო. იმის შეგნება, რომ თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია, ამრავლებდა მუშათა კლასის ძალებს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა დაძლევისათვის ბრძოლაში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. აღდგენით პერიოდში (1921 – 1925 წწ.) საბჭოთა კავშირს, მათ შორის, საქართველოს, არა მარტო უნდა აღეზარდა მუშათა ახალი კადრები, არამედ უნდა ”შეეკეთებინა” ის ძველი კადრები, რომლებიც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით გამოწვეულმა დეკლასირებამ დააზარალა[25]. ეს კი ჩვენს ქვეყანას სერიოზულ სიძნელეებს უქმნიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის წინაშე აღარ იდგა ასეთი ამოცანა, რადგან ძველი მუშათა კადრები ომში კიდევ უფრო გამოიწვრთნენ. მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს მთელი მუშათა კლასისა და მშრომელთა დანარჩენი ფენების აღზრდის საქმეში. ომის შემდგომ პერიოდში ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადაში აღდგენა და ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობა უწინარეს ყოვლისა ძველი მუშათა კადრების დამსახურებაა.

მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკთა, უმთავრესად საქართველოს მუშათა კლასის, პოლიტიკური და შრომითი აქტივობა შემდგომ წლებში მკაფიოდ გამოვლინდა იმით, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ და შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სსრ კავშირის ეკონომიკის სწრაფ განვითარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის შემდეგ სოციალისტურ შეჯიბრებაში არნახული გაქანება პოვა კოლექტიურმა ფორმებმა.

1946 წლის დამდეგს სახელგანთქმული თბილისელი მჭედლების კ. ილურიძის (ი. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა), ვ. კორძაძის (26 კომისრის სახ. ქარხანა), პ. ლუგანსკისა (კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა) და სხვათა ინიციატივით ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მჭედლები, მექვაბეები, ჩამომსხმელები, მეყალიბეები, ხარატები, ზეინკლები და სხვა წამყვანი პროფესიის მუშები.

სოციალისტური შეჯიბრების მრავალი სხვადასხვაგვარი ფორმა წარმოიშვა მეოთხე და მეხუთე ხუთწლედების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. ბუნებრივია, რომ სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ამ ფორმებიდან ბევრი ვითარდებოდა, იხვეწებოდა, სახეს იცვლიდა, ახალ შინაარსს იძენდა, ზოგიერთი კი ახალ ფორმაში გადაიზრდებოდა.

1946 წელს ჩაისახა ნოვატორთა პატრიოტული მოძრაობა მუშაობის ჩქაროსნული მეთოდებისათვის. ამ მოძრაობის ინიციატორები იყვნენ ნოვატორი ხარატები პ. ბიკოვი (მოსკოვის შიგასახეხი ჩარხების ქარხანა) და გ. ბორტკევიჩი (ლენინგრადის სვერდლოვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქანხანა). მათ ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდის დანერგვის გზით მნიშვნელოვნად შეამცირეს დეტალების დამზადებისათვის საჭირო დრო. ამ მეთოდის დანერგვამ მთელი სსრ კავშირის მრეწველობაში ჩვენს ქვეყანას ასეულ მილიონობით მანეთი დაუზოგა წელიწადში. საქართველოში ამ წამოწყების პიონერები იყვნენ თბილისის საწარმოების ცნობილი ხარატები ი. ჭუმბურიძე (სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა), მ. აკოფოვი (26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა) და ა. აკოფჯანოვი (კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა). მალე მათ სხვებიც მიჰყვნენ და მთელი ომის შემდგომი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა მუშაობა ჩქარსონული მეთოდების დანერგვისათვის, რომელშიც სულ უფრო ფართოდ ებმებოდნენ არა მარტო მელითონეთა ახალ-ახალი რაზმები, წარმოების ნოვატორები, არამედ მრეწველობის სხვა დარეგების მუშებიც. 1949 წელს ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი ფართოდ გავრცელდა საქართველოს ლითონდამმუშავებელ საწარმოებსა და საამქროებში[26]. 1951 წელს პ. ბიკოვი (მაშინ უკვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი) მოსკოვის შიგასახეხი ჩარხების ქარხნის ტექნოლოგ ა. კალუგინთან და ქანხნის ინჟინერ თ. კომაროვთან ერთად თბილისს ეწვია. მოსკოველები მონაწილეობდნენ თბილისის ჩარხსაშენებელი, მანქანათსაშენებელი და ლითონდამმუშავებელი საწარმოების ნოვატორთა, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკთა თათბირში, რომელიც ლითონის ჩქაროსნული ჭრით დამუშავების გამოცდილების გაზიარებას მიეძღვნა. პ. ბიკოვმა წაიკითხა მოხსენება "ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდები", ა. კალუგინმა – "ახალი ტექნოლოგიის დანერგვის კომპლექსური)))))))))სტახანოვური ბრიგადების მუშაობა", თ. კომაროვმა - "ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სტახანოველების თანამეგობრობა". თათბირს ჩქაროსნული ჭრის თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს თბილისის საწარმოების ჩქაროსანმა ხარატებმა ი. ჭუმბურიძემ, მ. აკოფოვმა და მ. აკოფჯანოვმა. რამდენიმე საწარმოში პ. ბიკოვმა აჩვენა ჭრის ჩქაროსნული მეთოდები და იქვე, ჩარხებთან, ესაუბრა კოლეგებს[27]. 1951 წლის 25 ოქტომბრის გაზეთ "ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნდა სტატია "თბილისის ქარხნებში", სადაც პ. ბიკოვი, თ. კომაროვი და ა. კალუგინი წერდნენ: "ჩვენი ქარხნის მუშებს ვუამბოთ, რა საგულისხმო სიახლეები ვნახეთ თქვენი დედაქალაქის საწარმოებში".

1952 წლის დამდეგს საქართველოს ლითონდამმუშავებელ საწარმოებში გავრცელდა ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის მღარავის ე. სავიჩის თაოსნობა ლითონის დამუშავების ყველა ოპერაციაში ჩქაროსნული მეთოდის დანერგვის შესახებ[28], ხოლო საქართველოს მეფოლადეებმა მხარი დაუჭირეს

”ზაპოროჟსტალის” სახელოვანი მეფოლადის ს. იაკიმენკოს თაოსნობას – დაიწყეს ფოლადის გამოშვება ჩქაროსნული მეთოდით. ქართველმა მეტალურგებმა ვალდებულება იკისრეს ფოლადი მხოლოდ ჩქაროსნული მეთოდით გამოედნოთ[29].

1953 წლის გაზაფხულზე საქართველოს საწარმოებში ფართოდ გავრცელდა სრედნევოლჟსკის ჩარხსაშენებელი ქარხნის ნოვატორის ვ. კოლოსოვის ლითონის ჭრის მეთოდი (მან შექმნა ახალი კონსტრუქციის საჭრისი, რომელიც დიდი სიჩქარით იღებდა 3,4 მილიმეტრი სისქის ლითონს ნაცვლად 0,3 მილიმეტრისა ამ საჭრისის გამოყენებამდე[30]. საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების კოლექტივებმა წარმოებაში დანერგეს აგურის ჩქაროსნული გამოწვის მეთოდი, რომელიც ცნობილმა ნოვატორმა პ. დუვანოვმა დაამუშავა.

ამრიგად, ჩქაროსნული მეთოდებით მუშაობის მოძრაობა დამახასიათებელია მთელი ომის შემდგომი პერიოდისათვის.

1947 წელს სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გავრცელდა მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა ”პარიჟსკაია კომუნას” გამომჭრელის ვ. მატროსოვის წინადადება – ყოველ საამქროში დაემუშავებინათ და გამოეყენებინათ შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის გეგმა[31] და მოსკოვის ქარხანა ”კალიბრის” უფროსი ოსტატის ნ. როსიისკის წინადადება მუშაობის დროს სადღეღამისო გრაფიკის ზუსტად დაცვის შესახებ[32]. ნ. როსიისკის გამოცდილების გავრცელებისათვის ბრძოლა საქართველოს სამრეწველო საწარმოებში 1948 – 1949 წლებშიც გრძელდებოდა[33].

1947 წლის ნოემბერში ლენინგრადის სამრეწველო საწარმოების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა სსრ კავშირის მრეწველობის ყველა მუშაკს მიმართეს მოწოდებით – მეოთხე ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეესრულებინათ. ამ მოწოდებას საქართველოს მშრომელებმა კონკრეტული საწარმოო ვალდებულებებით უპასუხეს. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ნოვატორებმა წინადადება წამოაყენეს მოეწყოთ თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრება წლიური და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის[34]. ლენინგრადელი და თბილისელი ჩარხმშენებლების ამ მოწოდებათა საპასუხოდ საქართველოში 1947 წლის დამლევს და 1948 წლის დამდგეს სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა პროფესიების მიხედვით წლიური და ხუთწლიანი გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის[35].

1948 წელს საბჭოთა კავშირის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა, მათ შორის საქართველოს სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმაც, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის 35 საწარმოს კოლექტივის თაოსნობას, მოწყობილიყო სოციალისტური შეჯიბრება მომჭირნეობისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის საწარმოთა შინაგანი რესურსების მაქსიმალური და რენტაბელური გამოყენების გზით[36]. მრეწველობისა და მშენებლობის

მუშაკთა ამ წამოწყების დანერგვისათვის ბრძოლას პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. 1948 წლის 2 სექტემბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, მოსკოვის 35 სამრეწველო საწარმოს კოლექტივების მოწოდების შესახებ და პარტიულ ორგანოებს დაავალა ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე განეხილათ მოსკოვის მოწინავე საწარმოო კოლექტივების ეს წინადადებანი და უზრუნველეყოთ, რომ თითოეულ საწარმოს ეკისრა ზეგეგმითი მოგების მიღების კოლექტიური ვალდებულება[37].

1948 წელს საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოებმა ქვეყანას მისცეს 168 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება[38].

1949 წელს საქართველოს მუშათა კლასმა მხარი დაუჭირა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 103 საწარმოს თაოსნობას საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარების შესახებ. მუშები ფართოდ მონაწილეობდნენ ისეთ კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავებაში, რომელთა მიზანი იყო საწარმოო ციკლის შემცირება, მუშაობის ნაკადური მეთოდის ფართოდ დანერგვა, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, მატერიალური მომარაგების მოწესრიგება, ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელება და მზა ნაწარმის რეალიზაციის დაჩქარება[39]. "საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარების" შესახებ მოწოდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლოზუნგი გახდა ყველა საწარმოს ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემაში"[40].

1949 წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაჩაღდა მემანქანეთა სოციალისტური შეჯიბრება 500 კილომეტრზე მეტი სადღეღამისო გარბენისათვის. ამიერკავკასიის რკინიგზის ბევრი მემანქანე, მუშაობის მძიმე პიროების მიუხედავად, ხუთასოვანი გახდა.

თითქმის იმავე დროს, როცა გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დასაჩქარებლად, მოსკოვის კრასნო ხოლმის კამვოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწის ა. ჩუტკიხის თაოსნობით მთელ ჩვენს ქეყანაში, და მათ შორის საქართველოში, დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება "საუკეთესო ხარისხის ბრიგადის" წოდების მოსაპოვებლად[41]. შემდეგ სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა საუკეთესო ხარისხის საამქროსა და საწარმოს წოდებისათვის. თბილისის მაკარნის ფაბრიკას (950 წ.), გორის საკონსერვო ქარხანას (1951 წ.) და მრავალ საამქროსა და ბრიგადას მიენიჭა საუკეთესო ხარისხის საწარმოს, საამქროსა და ბრიგადის წოდება.

1949 წლის მაისში საქართველოს საფეიქრო საწარმოთა მუშაკებმა მხარი დაუჭირეს მოსკოვის ოლქის კუპავინის მაუდის ფაბრიკის ნოვატორებს – მრთველს ს. როჟნევას და მქსოველ ლ. კონონენკოს წამოწყებას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ ნედლეულის ყოველნაირად დაზოგვის, პროდუქციის საუკეთესო ხარისხის, წარმოებაში სისუფთავისა და

კულტურისათვის[42]. მ. როჟნევამ და ლ. კონონენკომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ნოვატორები ოსტატის თანაშემწე გ. ახალკაცი და მხრახნელი კ. ბარამიძე. თბილისელმა ფეიქრებმა გამოწვევა მიიღეს და სულ მალე წარმატებებსაც მიაღწიეს. 1949 წლის მარტო მაისში კ. ბარამიძემ დაზოგა 272 კილოგრამი ნედლეული, რაც შეადგენდა 260 კილოგრამ ნართს, ანუ 225 მეტრ მაუდის მზა ქსოვილს. 1949 წლის აგვისტოში ცნობილი მოსკოველი ნოვატორები თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას ეწვივნენ და თბილისელ კოლეგებს თავიანთი მუშაობის მეთოდები ფართოდ გააცნეს[43]. ნედლეულის დაზოგვისა და წარმოების მაღალი კულტურისათვის გაშლილ პატრიოტულ მოძრაობაში საქართველოს მრეწელობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ყველა საწარმოს კოლექტივი ჩაება.

1949 წლის ზაფხულში თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ტექნოლოგის გ. ქოქრაშვილის ინიციატივით დაიწყო მოძრაობა ჩარხებისა და მოწყობილობის საუკეთესო გამოყენებისათვის[44], ხოლო იმავე წლის ნოემბერში საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოს ძირთადი სახსრების მაქსიმალური გამოყენების, არსებული საწარმოო ფართობებიდან და მოწყობილობიდან პროდუქციის მიღების გადიდებისათვის. ამ შეჯიბრების ინიციატორი იყო მოსკოვის 88 საწარმოს კოლექტივი[45].

პარტიამ და მთავრობამ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ მოძრაობას, თვალს ადევნებდნენ, რომ არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენება მუდამ მთავარი საზრუნავი ყოფილიყო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოებისათვის, საწარმოთა ხელმძღვანელებისა და მრეწველობის ყველა მუშაკისათვის. 1952 წლის 14 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო საგანგებო დადგენილება ”საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების შესახებ”, რომელშიც ნათქვამია: ”მრეწველობის ბევრ დარგში შემცირებულია საწარმოთა სიმძლავრეები და სამინისტროები არ ავლენენ ამ საწრმოებში არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა რეზერვებს, რითაც ზღუდავენ წარმოების განვითარებას მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში.

ხშირად ბევრი სამინისტრო სიმძლავრეთა გაანგარიშებისას უგულებელყოფდა მოწყობილობისა და აგრეგატების მწარმოებლურობის დადგენილ ნორმებს და ფაქტიურად მიღწეულ მაჩვენებლებსაც საწარმოთა სიმძლავრეს განსაზღვრავდნენ წარმოების ”ვიწრო ადგილების” მიხედვით და საჭირო ზომებს არ იღებდნენ საწარმოებში დისპროპორციის სალიკვიდაციოდ. ნაწარმის შრომატევადობის ნორმების შედგენისას არ ითვალისწინებდნენ მოწინავე ტექნოლოგიასა და შრომის ორგანიზაციის უფრო სრულყოფილ მეთოდებს.

სამინისტროები არ ზრუნავენ, რომ მოქმედ საწარმოებში გამოავლინონ და მთლიანად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეები”[46].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ "საწარმოო სიმძლავრეთა რეზერვების გამოვლინება და სწორად გამოყენება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად" მიიჩნია და დასახა ღონისძიებანი არსებულ საწამროო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისათვის[47].

1950 წლის გაზაფხულზე საქართველოში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ელექტროენერგიის კომპლექსური ეკონომიისათვის. ეს შეჯიბრება დაიწყო მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის "პარიჟსკაია კომუნას" ბრიგადირის ლ. კორაბელნიკოვას და მოსკოვის ტყავის ნაწარმის ფაბრიკის უფროსი ოსტატის თ. კუზნეცოვის ინიციატივით. ლ. კორაბელნიკოვას ბრიგადა ეჯიბრებოდა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის ბრიგადას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნ. მესტვირიშვილი[48]. კომპლექსური ეკონომიისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ყველა საწარმოს მუშაკები. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებელთა კოლექტივის წინადადებით ყოველ საუკეთესოდ და ვადაზე აშენებულ შენობას აკრავდნენ დაფას. მასზე აღინიშნებოდა იმ მუშების, ბრიგადირებისა და სამუშაოთა მწარმოებლების გვარები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამ ობიექტის მშენებლობაზე[49].

1950 წლის ზაფხულში ცნობილმა ნოვატორმა ლ. კორაბელნიკოვამ, ა. ჩუტკიხმა და პ. ბიკოვმა წერილებით მიმართეს მრეწველობის მუშაკებს და მოუწოდეს უკეთ გამოეყენებინათ წარმოების რეზერვები და გადაჭრით გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი.

1950 წლის შემოდგომაზე საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი მოსკოვის ფაბრიკა "პროლეტარსკაია პობედას" ინჟინრის თ. კოვალიოვის გამოცდილებას მოწინავე ნოვატორთა მუშაობის მეთოდების განზოგადებისა და მასობრივად გავრცელების შესახებ[50].

1950 წელს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწეველობის საწარმოებში ფართოდ გავრცელდა თბილისის N 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსის ი. ნიკოლაშვილის გამოცდილება, რომ მანქანების საშუალო რემონტი შეესრულებინათ საამქროთა მექანიკოსებს, მექანიკური საამქროები კი მთლიანად გადასულიყვნენ კაპიტალურ რემონტზე[51]. ამ გამოცდილებისა და სხვა გაუმჯობესებათა დანერგვისათვის ი. ნიკოლაშვილს 1951 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1951 წელს ქუთაისელი ავტომობილმშენებლები მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის მიზანი იყო უფრო გამძლე და უკეთესი ხარისხის მანქანების შექმნა. ამ შეჯიბრების ინიციატორები იყვნენ ურალელი ავტომობილმშენებლები[52].

1951 წლის შემოდგომაზე საქართველოს სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა მხარი დაუჭირეს ლიუბლინის სამსხმელ-მექანიკური ქარხნის ხარატების ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას თაოსნობას ყოველი საწარმოო

ოპერაციის წარმრატებით შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ[53].

საქართველოში სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივების და საქართველოს სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა შრომითს ურთიერთობას[54].

1952 წლის დამდეგს საქართველოს მუშათა კლასმა მხარი დაუჭირა მოსკოველი ავტომშენებლების თაოსნობას და მოაწყო სოციალისტური შეჯიბრება ყველა ოპერაციის დროს ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის[55]. საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ინიციატივით კვლავ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, ხოლო აბრეშუმმაფსახვევ ფაბრიკებში – მრავალდაზგოსანთა მოძრაობა, რომლის წამომწყები იყო მახარაძის აბრეშუმმაფსახვევი და საგრეხი ფაბრიკის ნოვატორი ც. ღლონტი[56].

მრავალფეროვანი იყო ომის შემდგომი წლების საყოველთაო სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და ახალი წამოწყებანი.

საქართველო მუდამ ფართოდ უჭერდა მხარს მოსკოვის, ლენინგრადის, დონბასის, ურალისა და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე ნოვატორთა ყოველ პატრიოტულ თაოსნობას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საბჭოთა ხალხების ძმური კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებაში, მათ დაახლოებაში. ის, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას სოციალისტური შეჯიბრების მთავარი ფორმები ერთი და იგივე აქვს, რომ შეჯიბრებაში არ ყოფილა და არ არის არავითარი ეროვნული თავისებურება, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს განაცალკევებს და დაყოფს, დამაჯერებლად ცხადყოფს საბჭოთა ხალხების ფაქტიურ თანასწორობას, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ყველა ეროვნული რაზმის მაღალ კულტურულ-ტექნიკურ და პოლიტიკურ დონეს.

ომის შემდგომ პერიოდში მანამდე არნახული მასშტაბით გაიშალა მოკავშირე რესპუბლიკებისა და საქართველოს ცალკეულ საწარმოო კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრება. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნიკოპოლისა და ჭიათურის მაღაროელები; დონბასის, მოსკოვის ოლქის და საქართველოს მეშახტეები, დონეცკის, ტაგანროგის, სუმგაითის და ზესტაფონის მეტალურგები; ფარჰადისა და ხრამის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლები და ელექტროსადგურების კოლექტივები; მოსკოველი, ერევნელი და თბილისელი ჩარხმშენებლები; მოსკოველი, გორკელი, ურალელი და ქუთაისელი ავტომშენებლები; ოდესელი, ტუაფსელი და ბათუმელი ნავთობგადამმუშავებელ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები; მოსკოველი და ქართველი მეფეხსაცმელეები და დაბაღები; ლენინაკანის, კიროვაბადისა და ქუთაისის საწარმოო კოლექტივები;

ფერგანისა და წულუკიძის აბრეშუმძაფსახვევი ფაბრიკების მუშაკები; სომხეთისა და საქართველოს ქიმიური მრეწველობის მუშაკები; ბაქოელი და ბათუმელი მეზღვაური-ტრანსპორტელები, ვოლგა-დონისა და სამგორის, სამხრეთ უკრაინის არხისა და სამგორის, კახოვკის ჰიდროკვანძისა და კოლხიდის ჰიდრომშენებლები; დონბასისა და საქართველოს შახტმშენებლები, აგრეთვე ბევრი სხვა საწარმოო კოლექტივი.

შეჯიბრებაში ჩაბმული კოლექტივები მუშაობის გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებდნენ როგორც მიმოწერის, ისე დელეგაციების ურთიერთგაცვლის გზით. მშრომელთა დელეგაციების მიერ საწარმოთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მნიშვნელობა მარტო საწარმოო ეფექტით როდი ამოიწურება. იგი ხელს უწყობს ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მშრომელთა კიდევ უფრო დაახლოებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებს.

საქართველოს მუშათა კლასმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. 1946 – 1953 წლების მანძილზე სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი და გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა რამდენჯერმე მოიპოვეს მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა. ესენი იყვნენ: ხრამის ჰიდროელექტროსადგური, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურისა და ახალციხის შახტების მშენებლები; ამიერკავკასიის რკინიგზის, კასპის ცემენტის ქარხნის, "ჭიათურმანგანუმის" ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის, რიონის, ზემო ავჭალისა და აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურები, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატისა და თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, გორის საკონსერვო ქარხნის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, "ტყიბულქვანახშირის" და "ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტები, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისა და ბევრ სხვა საწარმოსა და მშენებლობის კოლექტივი.

1946 წლის 26 ივლისს ამიერკავკასიის რკინიგზას, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში 19-ჯერ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სამუდამოდ გადაეცა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა[57].

1946 წლის ნოემბერში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობ საამქროს მიენიჭა საბჭოთა კავშირის ფეროშენადნობთა საუკეთესო საამქროს წოდება[58]. 1947 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის მაგანუმის საუკეთესო მაღაროს წოდება მიენიჭა "ჭიათურმანგანუმის" ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს[59]. თბილისის მაკარონის ფაბრიკამ და გორის საკონსერვო ქარხანამ საუკეთესო ხარისხის საწარმოთა წოდება დაიმსახურეს.

1946 – 1953 წლებში საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის რამდენიმე ასეული მუშაკი სსრ კავშირის ორდენებითა და

მედლებით დააჯილდოვეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ქვანახშირის მრეწველობისა და ქვანახშირის შახტების მშენებლობის 150 მუშაკს, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკიდან იყვნენ "ტყვარჩელქვნახშირის" ტრესტის გვირაბგამყვანი მიხეილ ივანეს ძე ალიაბიევი, "ტყიბულქვანახშირის" ტრესტის გვირაბგამყვანი ალექსანდრე სიმონის ძე კასრაძე, და "ტყიბულშახტმშენის" ტრესტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი პოლიევქტ ნიკოლოზის ძე ჭელიშვილი[60].

1947 წლის ივნისში საექსპლოატაციოდ გადაცემის ოცი წლისთავთან დაკავშირებით ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით[61]. 1948 წლის აპრილში "ხრამჰესმშენის" ტრესტი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით[62]. ამ საწარმოთა ბევრ მუშაკს გადაეცა სსრ კავშირის ორდენები და მედლები.

სრულიად საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო ასპარეზი შეუქმნა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, ხელი შეუწყო მუშათა მასობრივ მონაწილეობას წარმოების რაციონალიზაციაში. რაციონალიზატორი და გამომგონებელი მუშები იბრძოდნენ ნაწარმის დამზადების შრომატევადობის შესამცირებლად, მოძველებული მოწყობილობის განახლებისა და მოდერნიზაციის, ნედლეულისა და მასალების კომპლექსურად გამოყენების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის დაჩქარების, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და საწამროო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისათვის. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გეგმების დამუშავებაში.

პერიოდულად ეწყობოდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა დარგობრივი თათბირები, შეკრებები და კონფერენციები, გამომგონებელთა და რაიცონალიზატორთა წინადადებების შეკრებისა და დანერგვის კონკურსები და ერთთვიურები. მცირედი გამონაკლისის გარდა ყოველწლიურად იზრდებოდა რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების, მათ მიერ წარმოებაში დანერგილი წინადადებებისა და ამის შედეგად დაზოგილი თანხის რაოდენობა. 1954 წელს წარმოებაში დაინერგა 5 171 რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, დაიზოგა 37 მლნ მანეთი[63].

ქართველ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ავანგარდში იდგნენ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროს უფროსი ი. ხაზარაძე, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი მ. აკოფოვი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მებრძმედე ვ. გელაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ა. ფანცულაია, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი პ. ზუბრიცკი, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ბრიგადირი პ. მუხიგულაშვილი,

თბილისის ი. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი ი. ჭუმბურიძე და სხვ.

მეოთხე ხუთწლედში მასობრივი მოძრაობა გაჩაღდა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა კავშირურთიერთობის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის. მოძრაობა დაიწყეს ლენინგრადის სამეცნიერო კოლექტივებმა, რომლებმაც 1949 წლის აპრილში წამოაყენეს წინადადება მეცნიერებსა და წარმოების მუშაკთა შორის დამყარებულიყო შემოქმედებითი თანამეგობრობა, რაც იმით გამოიხატა, რომ სამეცნიერო კოლექტივებმა იკისრეს სამრეწველო საწარმოთა შეფობა, მეცნიერები მონაწილეობდნენ საწარმოთა ტექნიკური საბჭოების მუშაობაში, ერთობლივად ამუშავებდნენ წარმოების პრობლემებს. სამრეწველო საწარმოთა ნოვატორები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირურთიერთობის განმტკიცების პატრიოტულ მოძრაობაში ფართოდ ჩაებნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები. როგორც საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი საქართელოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარდგენილი ანგარიშიდან ჩანს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ჩატარდა საგანგებო სამეცნიერო სესიები, რომლებიც მიეძღვნა წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვისა და წარმოებასთან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა კავშირურთიერთობის გაძლიერების საკითხებს. სესიებს ესწრებოდნენ წარმოების მუშაკები, ხოლო ზოგიერთი სესია უშუალოდ საწარმოში მოეწყო. მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების განყოფილებამ 24 – 25 ოქტომბერს ჩაატარა სამეცნიერო სესია, რომელსაც სამრეწველო საწარმოთა და სხვა ორგანიზაციათა 50-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო. მოხსენებებში გაშუქებული იყო მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივისა და "საქნავთისა" და "თბილჰიდროპროექტის" ტრესტების, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური სამმართველოების, აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაციების კოლექტივთა შემოქმედებითი თანამშრომლობის საკითხები. 1950 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების სამშენებლო საქმის ინსტიტუტმა ჩაატარა სესია მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამეგობრობის საკითხებზე. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ მშენებელთა საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს განყოფილების, თბილისის სამშენებლო, საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სესიამ მოისმინა არა მარტო სამშენებლო საქმის ინსტიტუტის თანამშრომელთა, არამედ თბილისის სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა მოხსენებები[64].

1951 წლის იანვარში ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებამ მოიწვია თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ მეცნიერი მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ნოვატორები, წარმოების მოწინავენი, პოლიტმუშაკები და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო საწარმოების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები. თათბირმა განიხილა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობის შემდგომი გაფრთოების საკითხები. ამ თათბირის მასალებში აღნიშნულია, რომ 1950 წელს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა და წარმოების მუშაკთა ძალებით შესრულდა სამეცნიერო-ტექნიკური და საკვლევი საკითხების ერთობლივი დამუშავების გეგმით გათვალისწინებული 18 სხვადასხვა თემა. დამუშავდა და დაინერგა ქვის წყობის ახალი მეთოდი, მსუბუქშემავსებლიანი მაღალი სიმტკიცის ბეტონის გამოყენება, ხიდური მალების მშენებლობა მსუბუქი რკინა-ბეტონისაგან, გამახურებელი ღუმელები მყარი სათბობის გამოყენებით, ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდები.

მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა რკინიგზის ვაგონების ბრუნვადობის დაჩქარების ღონისძიებათა დასამუშავებლად, შესწავლილ იქნა აგრეთვე გზისა და მისი საწარმოების მუშაობის ბევრი აქტუალური საკითხი.

1950 წელს ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ძალებით გზის სხვადასხვა ობიექტზე წაკითხულ იქნა 130 ლექცია, ჩატარდა 124 კონსულტაცია სხვადასხვა ტექნიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე, თბილისის რკინიგზის კვანძის სხვადასხვა საწარმოებსა და დაწესებულებებთან მოეწყო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სემინარები[65].

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობა ხელს უწყობდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა კავშირის განმტკიცებას.

მუშათა კლასის შრომითი აქტივობის ზრდის თვალსაჩინო მაჩვენებელია შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ამაღლება. პირველ ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე მიღებულ იქნა მთელი სამრეწველო პროდუქციის ნამეტის 51 პროცენტი, მეორე ხუთწლედში – 79, ომის წლებსა და მეოთხე ხუთწლედში – 69[66], ხოლო 1946 – 1953 წლებში – 70 პროცენტი[67]. საქართველოს მთელმა მრეწველობამ 1947 წელს გადააჭარბა შრომის ნაყოფიერების ომამდელ დონეს. აი სათანადო ციფრები (იხ. ცხრილი 3)[68]:

ცხრილი 3

წლები	პროცენტობით

	1940 წელთან შედარებით	წინა წელთან შედარებით
1945	82,1	-
1946	86,1	104,9
1947	106,4	123,5
1948	114,9	108,2

მომდევნო წლებში საქართველოს მრეწველობაში განუწყვეტლივ იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. 1950 წელს 1940 წელთან შედარებით მან 117 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1953 წელს – 133 პროცენტი[69]. მაგრამ მრეწველობის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს დარგში (უმთავრესად საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში) მრეწველობის ომამდელ დონეს მხოლოდ მეხუთე ხუთწლედში გადააჭარბეს. 1950 წელს საქართველოს შავ მეტალურგიაში, მანგანუმის, ნავთობგადამმუშავებელ, ხისდამმუშავებელ, მეღვინეობისა და მრეწველობის სხვა დარგებში შრომის ნაყოფიერება უფრო დაბალი იყო, ვიდრე 1940 წელს[70].
უნდა აღინიშნოს, რომ მთელ საბჭოთა კავშირში შრომის ნაყოფიერების ომამდელი დონე მრეწველობაში მიღწეულ და გადამეტებულ იქნა 1948 წელს[71], ე. ი. ერთი წლით გვიან, ვიდრე საქართველოს მრეწველობაში. მაგრამ 1953 წელს მუშათა შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის სახელმწიფო და კოოპერაციულ მრეწეველობაში (კოლმეურნეობათა მრეწველობის გამოკლებით) 1940 წელთან შედარებით 71 პროცენტით გაიზარდა[72], საქართველოს მრეწველობაში კი 33 პროცენტით[73]. მაშასადამე, საქართველოში სამრეწველო პროდუქციის გამომუშავება ერთ მუშაზე გაანგარიშებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე მთელ საბჭოთა კავშირში. ეს იმიტომ მოხდა, რომ რესპუბლიკა სისტემატურად ვერ ასრულებდა მრეწველობასა და მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების გეგმიურ დავალებებს.
ომის შემდგომ წლებში განუხრელად მცირდებოდა სამრეწველო პროდუქციისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება. მაგრამ საქართველო თვითღირებულების შემცირების გეგმურ დავალებებსაც ვერ ანაღდებდა.
მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებვლების მიხედვით გეგმების შეუსრულებლობა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საქართველოს მრეწველობაში დიდი იყო იმ ახალ საწარმოთა ხვედრითი წონა, რომლებიც საექსპლოატაციოდ ომის შემდგომ წლებში გადაეცა, მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად ათვისებული არ იყო მათი საპროექტო სიმძლავრე. მართალია, ეს სამრეწველო საწარმოები აღიჭურვა უახლესი ტექნიკით, რაც ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ახალ საწარმოებში ბევრი დაბალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა მუშაობდა. ეს უარყოფით გავლენას ახდენდა შრომის ნაყოფიერების საშუალო დონეზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საკავშირო სამინისტრო და უწყება ყოველთვის არ იჩენდა სათანადო

მზრუნველობას მათდამი დაქვემდებარებულ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისათვის.

---

[1] **ვ. ი . ლენინი,** თხზ., ტ. 30, გვ. 632 – 633.

[2] საქართველოს მოსახლეობა (1 იანვრისათვის) შეადგენდა 1941 წელს – 3680,6 ათას კაცს, 1953 წელს – 3606,4 ათასს, 1954 წელს – 3675,9 ათასს, 1955 წელს კი – 3927,7 ათას კაცს (საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან).

[3] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», М., 1957, стр. 15.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 2.

[5] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

[6] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г. Статистический ежегодник», Тб., 1963, стр. 400.

[7] სამრეწველო-საწარმოო პერსონალია მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები.

[8] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 57.

[9] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», Тб., 1957, стр. 33.

[10] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 58- 59.

[11] იხ. «Экономика СССР в послевоенный период», стр. 380 – 381.

[12] იქვე, გვ. 58 – 59.

[13] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр 76.

[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 48, ფურც. 161.

[15] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 12.

[16] გამოთვლილია სტატისტ. წელიწდეულის «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961, стр. 12; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 48, ფურც. 161) მონაცემების მიხედვით.

[17] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 195.

[18] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 481.

[19] იქვე, გვ. 404.

[20] Делегату Грузинской IV республиканской межсоюзной конференции профсоюзов. Материалы о работе профсоюзных организаций Грузии. 1954 – 1955 гг.», Тб., 1956, стр. 23 –25.

[21] «Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник, Тб., 1959, стр. 212.

[22] გამოთვლილია სტატისტ. კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР», 1959, გვ. 262 – 263 მიხედვით.

[23] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 57.

[24] **ვ. ი. ლენინი.** თხზ., ტ. 27, გვ. 171.

[25] იხ. **ვ. ი. ლენინი.** თხზ., ტ. 33, გვ. 8.

[26] Газ. «Заря Востока», 1 января 1950 г.

[27] Газ. «Заря Востока», 30 августа и 6 сентября 1951 г.

[28] იქვე, 1952 წლის 16 იანვარი.

[29] იქვე, 1952 წლის 29 იანვარი.

[30] იქვე, 1953 წლის 14 მაისი.

[31] იქვე, 1947 წლის 14, 20 თებერვალი.

[32] Газ. «Заря Востока», 14 и 20 февраля 1947 г.

[33] იქვე, 1949 წლის 26 ნოემბერი.

[34] იქვე, 1947 წლის 2 ნოემბერი და 2 დეკემბერი.

[35] იქვე, 1948 წლის 27 თებერვალი და 4 მარტი.

[36] იქვე, 1948 წლის 4 – 5 და 14 სექტემბერი.

[37] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1848 წლისა, საქ. 100, ფურც. 2.

[38] «XIV съезд Коммунистической партии (большевиков) Грузии. Стенографический отчет». Тб., 1949, стр. 340.
[39] Газ. «Заря Востока», 1 – 12 февраля 1949 г.
[40] **П. И. Лященко.** История народного хозяйства СССР, т. III, стр. 594.
[41] Газ. «Заря Востока», 17 и 19 февраля 1949 г.
[42] იქვე, 1949 წლის 19 მაისი და 19 ივნისი.
[43] Газ. «Заря Востока», 13 августа 1949 г.
[44] იქვე, 1949 წლის 2 აგვისტო.
[45] იქვე, 1949 წლის 6, 11 და 18 ნოემბერი.
[46] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 379, ფურც. 103.
[47] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 379, ფურც. 104 - 107.
[48] Газ. «Заря Востока», 2 апреля 1950 г.
[49] იქვე, 1950 წლის 14 აპრილი.
[50] იქვე, 1950 წლის 5 და 29 სექტემბერი.
[51] იქვე, 1950 წლის 29 დეკემბერი.
[52] Газ. «Заря Востока», 11 октября 1951 г.
[53] იქვე, 1951 წლის 25 ნოემბერი და 1 დეკემბერი.
[54] იქვე, 1951 წლის 12 და15 აპრილი.
[55] იქვე, 1952 წლის 11, 18 და 19 იანვარი და 3 თებერვალი.
[56] იქვე, 1952 წლის 9 თებერვალი.
[57] Газ. «Заря Востока», 27 июня 1946 г.
[58] იქვე, 1946 წლის 30 ნოემბერი.
[59] იქვე, 1947 წლის 1 ივნისი.
[60] იქვე, 1948 წლის 31 აგვისტო.
[61] იქვე, 1947 წლის 19 ივნისი.
[62] იქვე, 1948 წლის 29 აპრილი.
[63] "საქართველოს პროფკავშირთა IV რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენციის დელეგატს, საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მასალები. 1954 – 1955 წლები", გვ. 33.
[64] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 475, ფურც. 548 – 585.
[65] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 510, ფურც. 431.
[66] «Правда», 6 декабря 1961 г.
[67] «История народного хозяйства СССР в 1961 г.», стр. 618.
[68] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 11.
[69] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 63.
[70] «Народное хозяйство Грузинской ССР. в 1957 г.», стр. 41.
[71] «Вопросы труда в СССР», Статистический сборник, М., 1958, стр. 129.
[72] «Народное хозяйство СССР в 1958 г. Статистический ежегодник», М., 1959, стр. 152.
[73] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1958 г.», стр. 63.

§ 5. მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენისა და განვითარების შედეგები 1946 – 1952 წლებში

ომის შემდგომ ეკონომიკაზე, მის განვითარებაზე ნათლად მეტყველებს კაპიტალდაბანდებისა და კაპიტალური მშენებლობის მასშტაბები. საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის კაპიტალდაბანდებანი

876 მილიონი მანეთიდან მეოთხე ხუთწლედში 1 346 მილიონ მანეთამდე გაიზარდა მეხუთე ხუთწლედში (1955 წლის 1 ივლისისათვის არსებული სახარჯთაღრიცხვო ფასებით)[1]. ყოველწლიურად იზრდებოდა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალდაბანდება მრეწველობასა და ტრანსპორტზე. 1950 წელს კაპიტალდაბანდებამ მრეწველობაში 223 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს, ხოლო 1955 წელს – 242 პროცენტით[2]. თუ მეოთხე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებამ მრეწველობაში (345,1 მლნ მან.) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მთელი კაპიტალდაბანდების 49,9 პროცენტი შეადგინა, მეხუთე ხუთწლედში, აბსოლუტური ზრდის მიუხედავად (501,2 მლნ მან.), მისი ხვედრითი წონა კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობაში 46 პროცენტამდე შემცირდა[3]. ანალოგიური მდგომარეობა იყო ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. მეხუთე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით კაპიტალდაბანდება 72,4 მლნ მანეთიდან 104,1 მლნ მანეთამდე გაიზარდა, მისი ხვედრითი წონა კი საერთო კაპიტალდაბანდებაში 10,5 პროცენტიდან 9,5 პროცენტამდე შემცირდა[4]. ეს იმის შედეგი იყო, რომ მეხუთე ხუთწლედში, განსაკუთრებით 1954 – 1955 წლებში, მკვეთრად გაიზარდა (აბსოლუტურად და შეფარდებითაც) კაპიტალდაბანდება სოფლის მეურნეობასა და საბინაო მშენებლობაში.

ომის შემდგომ წლებში შენდებოდა მეტალურგიული, აზოტოვანი სასუქების და ცემენტის ქარხნები და თბოელექტროცენტრალი რუსთავში; საავტომობილო, მანქანათსაშენებელი (სამთო-საშახტო მოწყობილობის) და მინის ტარის ქარხნები ქუთაისში; ხრამის, სოხუმის, ჩითახევის, შაორის, ტყიბულისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურები; გორის ბამბეულის კომბინატი, ქვანახშირის ახალი შახტები ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში; გამამდიდრებელი ფაბრიკები ჭიათურაში, ტყიბულსა და ტყვარჩელში; ტყვია-თუთიის ქარხანა კვაისაში, ბათუმის გემთშემკეთებელი ქარხანა, ჭიათურა-ზესტაფონის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი, ფოთის მიწასაწოვების ქარხანა; ელმავალშემკეთებელი ქარნხანა, კერამიკის, ნართისა და ტრიკოტაჟის, ავეჯის, წისქვილის, შოკოლადისა და რძის კომბინატები, პლასტმასისა და კონიაკის ქარხნები, მეტროპოლიტენი და სხვა საწარმოები თბილისში; ახალი ჩაის ფაბრიკები და ღვინის ქარხნები საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ამავე პერიოდში დაიწყო სამგორის სარწყავი სისტემისა და ჰიდროელექტროსადგურების, აგრეთვე რამდენიმე სარწყავი არხის მშენებლობა, განახლდა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები. მრეწველობაში კაპიტალდაბანდების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდა არსებულ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციასა და გაფართოებას. საქართველოში გაშლილი სამრეწველო მშენებლობის მასშტაბებს მჭევრმეტყველურად მოწმობს ისიც, რომ მეხუთე ხუთწლედში აშენდა და მწყობრში ჩადგა 107 მსხვილი სახელმწიფო საწარმო[5].

კაპიტალური მშენებლობის ძირითადი სამუშაოები შეასრულეს მოიჯარადრე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა. 1955 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში იყო 22 მოიჯარადრე ტრესტი (17 საერთო-სამშენებლო და 5 სპეციალიზებული) 157 პირველადი ორგანიზაციით (95 საერთო-სამშენებლო და 62სპეციალიზებული)[6] და რამდენიმე ათეული მოიჯარადრე სარემონტო-სამშენებლო კანტორა. სამრეწველო ობიექტებზე მთელი სამშენებლო სამუშაოების თითქმის 80 პროცენტი შეასრულეს "ამიერკავკასიის მეტალურგმშენისა" და "ხრამჰესმშენის" ტრესტებმა, "საქშახტმშენის" კმობინატმა, სსრ კავშირის "მთავარნავთობგაზმშენის" მეთერთმეტე სამშენებლო სამმართველომ (იგი აშენებდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, ჭიათურის გამამდიდრებელ ფაბრიკას და სხვა ობიექტებს) და "სამგორწყალმშენის", "კოლხეთმშენის" და გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებმა.

საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სისტემატურად (მართალია, არასაკმაოდ) მუშაობდნენ კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1949 წლის სექტემბერში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი "საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ" და აღნიშნა, რომ ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში ფართოდ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ 1946 – 1949 წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების ასაშენებლად, რომ ამ მშენებლობებზე უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა დამხმარე საამქროები და რუსთავის თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი. აღნიშნულია მოპოვებული წარმატებანი ქვანახშირის შახტების, ჰიდროელექტროსადგურების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, კვების (ჩაის, ღვინის, ხორცისა და რძის) და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების, რკინიგზის ახალი ხაზებისა და შტოების (ბორჯომი-ვალე, ჭიათურა-ზესტაფონი, ტყვარჩელი-ოჩამჩირე, მირზაანი-კაჭრეთი), ახალი გზატკეცილების, ხიდებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა, სამელიორაციო (სარწყავი და ამოსაშრობი) სისტემების, აგრეთვე ბინების, საავადმყოფოების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობაში.

პლენუმმა აღნიშნა კაპიტალურ მშენებლობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანიც: ბევრ მშენებლობაზე, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სამშენებლო მასალის წარმოების გეგმების შეუსრულებლობა, დამზადებული სამშენებლო მასალის დაბალი ხარისხი, საბინაო მშენებლობის ჩამორჩენა, მუშახელის უკმარობა და შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, მუშახელის დენადობა არადამაკმაყოფილებელი საბინაო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობების გამო, სამშენებლო ორგანიზაციები არ იყენენ უზრუნველყოფილი მექანიზმებით და რაც ჰქონდათ, იმასაც არარაციონალურად იყენებდნენ; საქართველოს კპ (ბ) ზოგიერთი რაიონული და საქალაქო კომიტეტი,

მშენებლობათა პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ უზრუნველყოფდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას მშენებლობებზე, არ სწავლობდნენ მშენებლობის ჩამორჩენის მიზეზებს, არ იღებდნენ საჭირო ზომებს მათ აღმოსაფხვრელად[7].

1949 წლის ნოემბერში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება "რუსთავის მშენებლებს შორის პოლიტიკური აგიტაციის მდგომარეობის შესახებ"[8], იმავე წლის დეკემბერში ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი "ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შესახებ"[9], 1950 წლის თებერვალში – "ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ასამუშავებელ კომპლექსში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გაძლიერების ზომების შესახებ"[10]. მაისში – "ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის კომპლექსში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გაძლიერების ზომების შესახებ"[11], ივნისში - "ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბინაო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ"[12], 1951 წლის მაისში - "ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობის საკითხები"[13], 1952 წლის ოქტომბერში - "ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაობის შესახებ"[14]. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა არაერთხელ განიხილეს საკითხები ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტებისა და საერთოდ კაპიტალური მშენებლობის შესახებ.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მეშენებლობაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებანი გამოიხატა სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა და კაპიტალურ დაბანდებაში მოწყობილობის ხვედრითი წონის გადიდებით[15]. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრითი წონის შემცირება (მისი მნიშვნელოვანი აბსოლუტური ზრდის პირობებში)[16] სწორედ მოწყობილობის ხვედრითი წონის გადიდების, ე. ი. მანქანა-მექანიზმებით სამშენებლო ორგანიზაციების აღჭურვის მკვეთრად გაუმჯობესების შედეგია. მიუხედავად ამისა, კაპიტალური მშენებლობის გეგმები წლების მანძილზე არ სრულდებოდა. მაგრამ უმნიშვნელოვანესი ობიექტების სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების ჩავარდნას ფარავდა, ოფიციალური სტატისტიკის ენით რომ ვთქვათ, მთელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სახელმწიფო დაბანდებათა გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმების ძირითადი სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა.

1950 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სამრეწველო წარმოების დონეს საქართველოს სს რესპუბლიკამ მიაღწია 1949 წლის მეოთხე კვარტალში. 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა მანგანუმის მოპოვება (1,3-ჯერ), ქვანახშირის ამოღება (2,7-ჯერ), ელექტოენერგიის გამომუშავება (1,99-ჯერ), ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება (სამჯერ და მეტად), ცემენტის წარმოება (2,2-ჯერ) და სამშენებლო აგურის გამოშვება (1,6-ჯერ)[17].

მნიშვნელოვნად გაიზარდა მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია. 1950 წელს აბრეშუმის ქსოვილის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით 36 პროცენტით გადიდდა, თეთრეულის ტრიკოტაჟისა – 95, წინდების – 41, შალის ქსოვილის – 37 (თუმცა შალის ქსოვილების წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალება არ შესრულდა), პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაის – 80, კონსერვები – 57, ყურძნის ღვინის – 71, შამპანურის – 110, კონიაკის – 56 პროცენტით, ყველის – ერთიოთხად, ცხოველური ცხიმის – 3,3-ჯერ, რძის – 62 პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ საკონდიტრო ნაწარმისა და ხორცის ხუთწლიანი გეგმის დავალება მთლიანად ვერ შესრულდა, ამ სახეობის პროდუქციის წარმოებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა[18].

ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკისა და რამდენიმე სხვა საწარმოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შეუსრულებლობის შედეგი იყოს ის, რომ თუჯის, სატვირთო ავტომობილებისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალებები არ შესრულდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაფართოვდა ძირითადი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება მეხუთე ხუთწლედში. საქართველოს მრეწველობა გადაჭარბებით ასრულებდა პროდუქციის გამოშვების წლიურ გეგმებს. 1955 წელს მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1950 წლის დონეს 71 პროცენტით გადაამეტა[19], ხოლო 1940 წლის დონეს – 2,7-ჯერ[20].

მეხუთე ხუთწლედში ძირითადად დამთავრდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. 1951 წლის 18 აგვისტოს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული სატვირთო ავტომობილი. მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგნენ შაორის, ორთაჭალისა და სამგორის ჰიდროელექტროსადგურები, გორის ბამბეულის კომბინატი (პირველი რიგი), რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. აშენდა თბილისი-კიროვაბადის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. 1955 წელს საქართველოს ენერგოსისტემამ აზერბაიჯანის ენერგოსისტემიდან 235 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიიღო იმისათვის, რომ დაეფარა გარღვევა ელექტროენერგიის მოხმარებასა და ფაქტიურ გამომუშავებას შორის (1950 წელს ეს გარღვევა 320 მლნ კილოვატსაათს შეადგენდა)[21]. მე-4 ცხრილში მოცემულია სამრეწველო პროდუქციის წარმოების ძირითადი მაჩვენებლები[22]:

ცხრილ

ი 4

სამრეწველო პროდუქცია	ზომის ერთეული	1940 წელი	1945 წელი	1950 წელი	1953 წელი
1	2	3	4	5	6
ელექტროენერგიის წარმოება	მლნკვ.საათობით	741,7	740,0	1384,9	1864,7
ფოლადის წარმოება					
შავი ლითონის ნაგლინი	ათას ტონობით	0,2	0,4	77	485
ფოლადის მილების წარმოება	„	-	-	20	441
ქვანახშირის მოპოვება	„	-	-	-	46
ნავთობის მოპოვება	„	625	661	1.725	2.346
ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება	„	41	36	43	49
სატვირთო ავტომობილების წარმოება ..	ცალობით	803	411	2.481	2.897
დახერხილი მასალის წარმოება	„	-	-	-	4.375
ქაღალდის წარმოება	ათს კუბ მეტრ.	258	152	433	559
ცემენტის წარმოება	ათას ტონობით	1	6	17	26
სამშენებლო აგურის წარმოება	„	119	74	264	318
კრამიტის წარმოება	მლნ. ცალობით	91	38	142	212
	გადახურ. ფართ. ათ. კვ.				
აბრეშუმის ხამი ძაფის წარმოება	მეტრობით	1.207	323	995	1.002
ბამბის ქსოვილების წარმოება	ტონობით	312	189	313	369
შალის ქსოვილების წარმოება	მლნ. გრძ.მეტრ.	0,4	0,8	5,4	3,6
აბრეშუმის ქსოვილების წარმოება	„	1,9	1,5	2,6	3,5
ტრიკოტაჟის თეთრეულის წარმოება	„	5,3	4,2	7,2	13,3
ზედა ტრიკოტაჟის წარმოება	მლნ ცალობით	2,4	1,1	4,5	6,2
წინდების წარმოება	მლნ ცალობით	1,5	1,5	0,9	1,0
ტყავის ფეხსაცმლის წარმოება	მლნ წყვილი	2,8	1,3	4,0	4,4
ფხვნილი შაქრის წარმოება	„	8,7	2,6	7,2	7,2
ხორცის წარმოება	ათ. ტონობით	13,1	7,0	12,3	11,5
ერბო-კარაქის წარმოება	„	11,5	12,2	18,7	21,4
თევზჭერა	„	0,5	0,5	1,4	1,3
მცენარეული ცხიმის წარმოება	„	8,2	3,3	7,5	5,6
საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	„	4,6	4,5	3,9	4,7
კონსერვების წარმოება	„მლნ.პირ.ქილა	9,5	4,0	12,4	16,4
ყურძნის ღვინის წარმოება		29,1	29,7	45,8	61,7
შამპანურის წარმოება	მლნ.დეკალიტრ.	2,2	1,4	3,8	4,8
მინერალური წყლის წარმოება	მლნ. ბოთლობ.	1,7	1,3	3,5	3,9
პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაის წარმოება	მლნ.ნახ.ლიტრ.	24,4	3,8	31,4	43,5
პაპიროსისა და სიგარეტის წარმოება	ათას ტონობით	11,1	4,5	20,2	25,9
საპნის წარმოება ცხიმოვან სიმჟავეთა 40% შემცველობაზე გადაანგარიშებით ..	მლრდ ცალ.	4,7	1,4	7,0	10,7
	ათას ცალობით	4,4	3,8	7,1	8,1

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, შავი ლითონის გლინვა, ფოლადის მილებისა და სატვირთო ავტომობილების წარმოება ომის შემდგომ წლებში იქნა ათვისებული. ფაქტიურად სამრეწველო მოცულობის ფოლადის

წარმოებაც ამ პერიოდში დაიწყო; 34 სახეობის სამრეწველო პროდუქციიდან ოთხ სახეობაში (კრამიტის, ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლისა და თევზჭერის წარმოება) არ იყო მიღწეული ომამდელი დონე, ხოლო სამ სახეობაში (ნავთობის მოპოვება, აბრეშუმის ძაფისა და ზეთის წარმოება) უმნიშვნელოდ იქნა გადაჭარბებული ომამდელი დონე. საქართველოს მრეწველობის ომის შემდგომი განვითარების სრული დახასიათებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობამ ასობით ახალი სახეობა აითვისა, მათ შორის თბომავლები, მცურავი მიწასაწოვები, თვითმავალი მცურავი სატუმბავი სადგურები, კოშკურა ამწეები, ელექტროვიბრაციული მანქანები, უნივერსალური სახარატო და ხრახნსაჭრელი ჩარხები, ჩაის მეურნეობის სხვადასხვა მანქანა, მანქანები ჩაის, მეღვინეობისა და საფეიქრო მრეწველობისათვის, მინერალური სასუქები, სამშენებლო ქაშანური, მინის ტარა საკონსერვო მრეწველობისათვის, პლასტმასის ნაკეთობანი, ხელოვნური დაწვიმების მანქანები და მრავალი ახალი ტიპის, მარკისა და სახეობის სხვა სამრეწველო პროდუქცია.

ზოგიერთი სამრეწველო საწარმო გეგმებს ვერ ასრულებდა, არარიტმულად მუშაობდა და ეს ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას, ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას და აუარესებდა სამრეწველო საქონლის ხარისხს.

სოციალისტური კვლავწარმოების გაფართოებამ განაპირობა ყველა სახეობის ტრანსპორტის განვითარება. ცნობილია, რომ ტრანსპორტი მატერიალური წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგია. ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნვდნენ მთელი მეურნეობის სოციალისტური სისტემის ძირითადი ეკონომიკური პრობლემების შესაბამისად ტრანსპორტისა და მის ცალკეულ სახეობათა განვითარებისათვის.

საქართველოს ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა არაერთი ღონისძიება განახორციელეს იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ ომის შემდგომ დავალებათა შესრულება ტრანსპორტის განვითარების დარგში; თუმცა ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, ყოველთვის როდი სრულდებოდა დროულად და ხარისხიანად. ტრანსპორტის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ტრანსპორტის მუშაკთა, უმთავრესად ნოვატორთა, შრომითმა აქტივობამ, რომელთა შეწყობილი მუშაობა ენთუზიაზმს უღვივებდა ტრანსპორტის მუშაკთა მრავალრიცხოვან არმიას.

საქართველოს ტრანსპორტის განვითარებისა და მის მუშაკთა სახელოვან საქმეებზე მეტყველებს შემდეგი ციფრები. 1953 წელს 1940 წელთან შედარებით საქართველოს რკინიგზების საექსპლოატაციო სიგრძე 202 კილომეტრით გადიდდა (1 133-დან 1 335 კილომეტრამდე), ხოლო ელექტროფიცირებული გზის სიგრძე – 302 კილომეტრით (275-დან 577 კილომეტრამდე)[23], თითქმის ერთიორად გაიზარდა ტვირთბრუნვა[24]. მაგრამ

რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა 22,4 მილიონიდან 19,3 მილიონ კაცამდე[25], ე. ი. 3,1 მილიონი კაცით, ანუ 13,9 პროცენტით შემცირდა.

ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი. 3,1 ათასი კილომეტრით გადიდდა ავტოსაჭაპანო გზის სიგრძე (1940 წლის 13,6 ათასი კილომეტრიდან 16,7 ათას კილომეტრამდე 1953 წელს), ხოლო მყარსაფარიანი გზატკეცილების სიგრძე – 3,4 ათასი კილომეტრით (8,1 ათასი კმ-დან 11,5 ათას კილომეტრამდე)[26]. მნიშვნელოვნად გადიდდა ავტომობილების პარკი. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 5,7-ჯერ გაიზარდა, მგზავრთბრუნვა – 2,4-ჯერ[27]. თითქმის ერთიორად გაიზარდა მგზავრთა გადაყვანა საჰაერო ტრანსპორტით. გადიდდა საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის ხვედრითი წონა მგზავრთა გადაყვანასა და ტვირთბრუნვაში.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული საზღვაო და მილსადენი ტრანსპორტის აღდგენა-განვითარების საქმეში. ცნობილია, რომ ომის წლებში საქართველოს ტრანსპორტიდან ყველაზე მეტად დაზარალდა საზღვაო ტრანსპორტი. მტერმა თითქმის მთლიანად მოსპო შავი ზღვის სავაჭრო ფლოტი. მაგრამ საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებმა კვლავ მეორე ადგილი დაიკავეს რესპუბლიკის საერთო ტვირთბრუნვაში. გაძლიერდა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურის როლი საბჭოთა კავშირის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაში. ომის შემდგომ პერიოდში მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე ფართოდ ინერგებოდა ტექნიკური პროგრესი, აღდგენილი და ახალი საწარმოები აღიჭურვებოდა უახლესი ტექნიკით, იზრდებოდა მექანიზაციის დონე. მრეწველობაში უფრო ფართოდ იყენებდნენ საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და ქიმიზაციას. დაინერგა რამდენიმე ასეული ღონისძიება, რომელთა მნიშვნელობა მარტო მათი ეკონომიკური ეფექტიანობით არ განისაზღვრებოდა, თუმცა ეს თანხა ასობით მილიონი მანეთით გამოიხატება. ამ ღონისძიებათა წარმოებაში დანერგვამ შეამსუბუქა შრომის პირობები და მკვეთრად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1952 წლის 12 იანვრის დადგენილებით დაავალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 1 მარტისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტთან ერთად საკავშირო მთავრობისათვის წარედგინა მოწინავე ტექნიკის დანერგვისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტიც[28]. ამრიგად, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო საქართველოს სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის დანერგვასაც გეგმავდნენ. მაგრამ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ხარვეზებს.

”საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში” აღნიშნულია, რომ ბევრი ამოცანა ტექნიკური პროგრესის დარგში გადაუჭრელი იყო. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ნელა ინერგებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, მაღალი წარმადობის მანქანების დაპროექტებას საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. ზოგიერთ ქარხანასა და ფაბრიკაში მოწყობილობა მოძველდა, იყენებდნენ მცირე წარმადობის ტექნოლოგიას, უშვებდნენ მოძველებული კონსტრუქციის ჩარხებსა და მექანიზმებს. სატყეო და ქვანახშირის მრეწველობაში უახლეს მანქანებსა და მექანიზმებს არადამაკმაყოფილებლად იყენებდნენ. ბევრ საწარმოში ბატონობდა თვითდამშვიდება, უძრაობა და რუტინაც კი. ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელები ახალი ტექნიკის დაუფლებაში წარმატებებს რომ მიაღწევდნენ, უდარდელობას ეძლეოდნენ, აღარ იბრძოდნენ ტექნიკური პროგრესისათვის, არ ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ ახალი ტექნიკა უახლესით შეეცვალათ. ბოლოს და ბოლოს ეს იმას იწვევდა, რომ მრეწველობის ზოგიერთი დარგი ტექნიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის დონეს. ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ამოცანა პარტიისა და ხალხის კვლავ პირველი რიგის, საარსებო ამოცანა იყო[29].))))

აქ აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად შეეხებოდა საქართველოსაც. უფრო მეტი, ხშირად საქართველოს ხელმძღვანელი მუშაკები იცავდნენ და თანაც მეტად დაჟინებითაც, სახალხო მეურნეობის განვითარების ”ზომიერ” ტემპებს, მათ შორის ტექნიკური პროგრესის დანერგვის დაუძაბავ გეგმას. ალბათ ფიქრობდნენ, სჯობს მცირე დავალება გადაჭარბებით გავანაღდოთ, ვიდრე დიდი გეგმა ვერ შევასრულოთო.

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს მრეწველობაში პროგრესული სტრუქტურული ძვრები მოხდა, რაც მძიმე ინდუსტრიის დარგების უპირატესი განვითარებით გამოიხატა. მოვიყვანთ საქართველოს მთელი მრეწველობისა და მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ციფრებს პროცენტობით 1913 წელთან შედარებით (იხ. ცხრილი 5)[30].

ცხრილი 5

	1940 წ.	1945 წ.	1950 წ.	1951წ.	1952 წ.	1953 წ.
მთელი მრეწველობა	1 022	821	1 589	1 800	1 950	2 195
მსხვილი მრეწველობა ...	2 690	2 168	4 168	4 763	5 267	5 864

საინტერესოა 1950 – 1953 წლების საერთო პროდუქციის ზრდის ტემპები პროცენტობით წინა წელთან შედარებით (იხ. ცხრილი 6)[31]:

ცხრილი 6

წლები	მთელი მრეწველობა	მსხვილი მრეწველობა
1950	111	112
1951	113	114
1952	108	111
1953	113	111

სამწუხაროდ, ოფიციალურ სტატისტიკაში არ არის უფრო თვალსაჩინო ცნობები იმის შესახებ, თუ რა ცვლილებები მოხდა სამრეწველო პროდუქციის სტრუქტურაში, როგორია წარმოების საშუალებათა წარმოებისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ხვედრითი წონა რესპუბლიკის საერთო სამრეწველო პროდუქციაში. მაგრამ ეს ციფრებიც მოწმობენ მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას. გამონაკლისია 1953 წელი, როცა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1952 წელთან შედარებით შეადგინა 13 პროცენტი, ხოლო მსხვილი მრეწველობის პროდუქციას – 11 პროცენტი[32]. ასეთივე მდგომარეობა იყო მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარებაშიც.

1953 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობის კურსის აღებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მნიშვნელოვანი დადგენილებანი (”საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ”, ”ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ”, ”სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ” და სხვ.), რომლებშიც დაისახა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი გაფართოებისა და სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის კიდევ უფრო გაშლის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

დიდად გაიზარდა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრები. სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაში ფართოდ ჩაებნენ მანქანათსაშენებელი ქარხნები და მძიმე ინდუსტრიის სხვა საწარმოები. მაგალითად, ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას დაევალა დაეწყო საწოლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ნივთების წარმოება. მსუბუქ და კვების მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა გადიდებისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაში მძიმე მრეწველობის საწარმოთა ფართოდ ჩაბმის შედეგად საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვეგანაყოფს შორის დაირღვა თანაფარდობის წესი, რაც გამოიხატა იმით, რომ 1953 წელს მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპმა მიაღწია, ხოლო წლის მეორე ნახევარში გადააჭარბა წარმოების

საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპს, სოციალისტურ ეკონომიკას კი მისი განვითარების ყველა საფეხურზე სჭირდება წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა, როგორც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების გარდუვალი პირობა[33]. წარმოების საშუალებათა წარმოების დარგები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველია[34]. ამიტომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩანასახშივე აღკვეთა ზოგიერთი "თეორეტიკოსის" ანტილენინური შეხედულებანი, რომლებიც გვთავაზობდნენ მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებას მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების შენელების ხარჯზე, და დროულად მიიღო ზომები მძიმე ინდუსტრიისა და მსუბუქი მრეწველობის სწორი თანაფარდობის აღსადგენად. პარტიამ განაცხადა, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება იყო, არის და კვლავაც იქნება მისი გენერალური ხაზი, რომ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების აღმავლობის საყოველთაო სახალხო ამოცანის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის მძლავრი ზრდის საფუძველზე.

საზოგადოებრივი წარმოების ორი ქვეგანაყოფის სწორი თანაფარდობისათვის ბრძოლა არ ნიშნავს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების გარდუვალობას უკლებლივ ყველა ეკონომიკურ რაიონში, ოლქში, მხარესა და მოკავშირე რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირში შექმნილია ერთიანი ეკონომიკა, შრომის სოციალისტური დანაწილება მოკავშირე რესპუბლიკათა შორის. ამის შედეგად თითოეულმა მოკავშირე რესპუბლიკამ, თითოეულმა ეკონომიკურმა რაიონმა თავისი ძალ-ღონე და სახსრები უნდა მოახმაროს იმ დარგებს, რომელთა განვითარებისათვის მათ ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები, საწარმოო გამოცდილება და კადრები გააჩნიათ[35]. მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების სახალხო მეურნეობის, აგრეთვე მრეწველობის სპეციალიზაცია ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ძლიერების კიდევ უფრო ზრდას. პარტია ყოველთვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი ქვეყნის მთელი საწარმოო რესურსების რაციონალურ გამოყენებას, სამრეწველო წარმოების რაციონალურ განლაგებას.

უთუოდ აუცილებელი როდია, რომ ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში, ყოველ ეკონომიკურ რაიონში კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე უპირატესად ვითარდებოდეს მძიმე ინდუსტრია. სამაგიეროდ, ეს საჭიროა მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის. მაგრამ ცალკეულ წლებში შეიძლება გამონაკლისი იყოს.

ომის შემდგომ პერიოდში გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს ეკონომიკური კავშირურთიერთობა, გაიზარდა საქართველოს მრეწველობის როლი საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მეტადრე მსოფლიოს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა აღადგინეს და გააფართოეს კოოპერირება მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოებთან. მთელი ჩვენი ქვეყანა აშენებდა ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას, რომლის მოწყობილობა თითქმის მთლიანად საქართველოს ფარგლებს გარეთაა დამზადებული. ქარხანა ამუშავებს დაშქესანის (აზერბაიჯანის სსრ) რკინის მადანს. ცნობილია, თუ რა როლს ასრულებს რკინის მადანი მეტალურგიულ ქარხანაში.

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში იგზავნება ჭიათურის მანგანუმი, ზესტაფონის ფეროშენადნობები, თბილისური ლითონსაჭრელი ჩარხები, რადიოტექნიკური და ჰიდრომეტრული ხელსაწყოები, ქუთაისის ავტომობილები და სამთო მოწყობილობა, ფოთის მიწასაწოვები, ბათუმის თბომავლები, მინერალური წყლები, კონსერვები, ჩაი, ღვინო და კონიაკი. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადის რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო და თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნების პროდუქციის თითქმის 80 პროცენტი. თავის მხრივ საქართველოს მრავალი სხვადასხვა სამრეწველო საქონელი შემოაქვს მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

1953 წელს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ჭიათურის, ზესტაფონის, ფოთის, გორის, ბორჯომის სამრეწველო საწარმოთა დამღიანი პროდუქცია საზღვარგარეთის 30-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნებოდა.

მეოთხე ხუთწლედის დამლევს, როცა მრეწველობამ ომამდელ დონეს მნიშვნელოვნად გადააჭრაბა, საბჭოთა მთავრობამ მიიღო დადგენილება კუიბიშევში, ვოლგოგრადსა და კახოვკაში გიგანტური ჰიდროსადგურების, თურქმენეთში, სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ ყირიმში დიდი სარწყავი არხების, ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის შესახებ. საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს მთავრობის ეს გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ხალხმა სამართლიანად უწოდა კომუნიზმის დიადი მშენებლობანი. ქართველმა სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს მათს დაპროექტებასა და მშენებლობაში. 1951 წლის დამდეგიდან საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა უკვე მიიღეს შეკვეთები დიადი მშენებლობებისათვის. დაწესდა საზოგადოებრივი კონტროლი, რაც უზრუნველყოფდა შეკვეთების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები დიად მშენებლობებს აწვდიდნენ ლითონს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა – ლითონსაჭრელ ჩარხებს, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა – თვითმცლელ ავტომობილებს, სატვირთო ავტომობილების მოტორებსა და სათადარიგო ნაწილებს, ქუთაისის სამთო მოწყობილობის მანქანათსაშენებელი ქარხანა – ტურბოტუმბოებსა და არტეზიული ჭების სხვა მოწყობილობას, ფოთის ქარხნები – "ახალი კოლხეთის" მარკის მცურავ მიწასაწოვებს და სწრაფ სამდინარო კატარღებს, თბილისის ქარხანა "ჰიდრომეტხელსაწყო" – სხვადასხვა ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოს, ბათუმის ნავთობსახდელი ქარხანა –

სპეციალურ ზეთებს, თბილისის პლასტმასის ქარხანა – პლასტმაის ნაწარმს. ”ამიერკავკასიისმეტალურგმშენის” ტრესტის კოლექტივის თაოსნობითა და წინადადებით უკრაინაში აშენდა დიდი დიამეტრის რკინაბეტონის მილების დამამზადებელი ქარხანა. ”ტყვარჩელქვანახშირის” ტრესტის მექანიკურ სახელოსნოებში არემონტებდნენ კუიბიშევიდან გამოგზავნილ მოტორებს.

კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაპროექტებასა და მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, საპროექტო ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადეობათა კოლექტივები.

საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკები გვერდში ედგნენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს, ეხმარებოდნენ მათ სოფლის მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ აღმალობაში. ეს დახმარება იმით გამოიხატა, რომ მუშები კოლმეურნე გლეხობასთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, შეფობას უწევდნენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. საქართველოს მუშათა კლასის მხრივ მხვნელ-მთესველებისათვის გაწეული საშეფო დახმარება, მუშაობაში გეგმიანობისა და სისტემატურობის შეტანის მეოხებით, ომის შემდგომი წლების მანძილზე სულ უფრო ძლიერდებოდა.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობისათვის რესპუბლიკის მუშათა კლასის მხრივ გაწეული დახმარების ერთ-ერთი ფორმა იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორ თანამემამულეთა სოციალისტური შეჯიბრება. 1947 წლის გაზაფხულზე თბილისის ი. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორებმა ს. ზარიძემ და ი. ჭუმბურიძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს თავიანთი თანამემამულე კოლმეურნეები. ეს მოძრაობა დაიწყო ”ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ” საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილების პასუხად. წარმოების ნოვატორები, კოლმეურნეობებში მომუშავე თანამემამულე ნოვატორებს სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევდნენ და ვალდებულებას კისრულობდნენ, პრაქტიკული დახმარება გაეწიათ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანათა განხორციელებაში. თბილისის საორთქმავლო დეპოს ზეინკალმა ბ. ხმიადაშვილმა იკისრა 1947 წლის 7 ნოემბრისათვის წლიური გეგმა 300 პროცენტით შეესრულებინა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თავისი თანასოფლელები, გორის რაიონის სოფელ ტირძნისის კოლმეურნეობა ”კავკასიის” ბრიგადირი სამადაშვილი და კოლმეურნე მაზმიშვილი[36]. სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა სიამოვნებით მიიღეს გამოწვევა და აქტიურად ჩაებნენ საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში .

სწორედ ისევე, როგორც რუსეთის რევოლუციური პროლეტარული მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოს მოწინავე მუშები თავიანთ მოძმეებს – ღარიბ გლეხობას სოციალისტური ხელისუფლებისათვის საბრძოლველად რაზმავდნენ, ომის შემდგომ წლებშიც საქართველოს მრეწველობის ნოვატორები თანამემამულე კოლმეურნეებს სოციალისტური ეკონომიკის ახალი მძალავრი აღმავლობისათვის აქტიურ ბრძოლაში აბამდნენ.

---

[1] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 369.
[2] იქვე, გვ. 371.
[3] იქვე, გვ. 370, 371.
[4] იქვე.
[5] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 374.
[6] იქვე, გვ. 385.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 51, საქ. 4, ფურც. 1 – 8.
[8] იქვე, საქ. 118, ფურც. 57.
[9] იქვე, აღწ. 1949 წლისა, საქ. 126, ფურც. 3.
[10] იქვე, აღწ. 21, საქ. 37, ფურც. 2.
[11] იქვე, საქ. 82, ფურც. 45.
[12] იქვე, აღწ. 22, საქ. 166, ფურც. 16.
[13] იქვე, აღწ. 22, საქ. 66, ფურც. 24.
[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 294, ფურც. 52.
[15] «Экономика СССР в послевоенный период», стр. 26.
[16] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 372.
[17] საქართელოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის და სტატისტიკური სამმართველოს ცნობა «Об итогах выполнения четвертого (первого послевоенного) пятилетнего плана Грузинской ССР на 1946 – 1950 годы» (Газ. «Заря Востока», 4 июня 1951 г.).
[18] საქართელოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის და სტატისტიკური სამმართველოს ცნობა «Об итогах выполнения четвертого (первого послевоенного) пятилетнего плана Грузинской ССР на 1946 – 1950 годы», (Газ. «Заря Востока», 4 июня 1952 г.).
[19] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა «О развитии народного хозяйства и культуры Грузинской ССР за годы пятой пятилетки 1951 – 1955 годы» (Газ. «Заря Востока», 22 июня 1956 г.).
[20] «Промышленность Грузии за 40 лет», стр. 10.
[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 217, ფურც. 4.
[22] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულების მიხედვით: «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 66, 70 – 71, 76 – 78, 80, 83 – 84 და «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 471.
[23] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 335.
[24] იქვე, გვ. 356.
[25] იქვე, გვ. 335.
[26] იქვე, გვ. 357.
[27] «Советская Грузия за 40 лет, стр. 129.
[28] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 379, ფურც. 158.
[29] "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", გვ. 775.
[30] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 43.
[31] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г.», стр. 47.
[32] იქვე, გვ. 47.

[33]«Постановление июльского пленума ЦК КПСС 1955 г.», М., 1955, стр. 6.
[34] «Экономика СССР в послевоенный период», стр. 25.
[35] «Политическая экономика», М., 1963, стр. 647.
[36] გაზ “კომუნისტი”, 1947 წლის 15 აპრილი.

თავი მეექვსე

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ომის შემდგომ პერიოდში

(1945 – 1952 წწ.)

§ 1. სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დასასრულს. ომის შედეგები საქართველოს სოფლის მეურნეობაში

საქართველოს მრავალდარგოვანმა სოფლის მეურნეობამ ღირსეულად გაუძლო ომის მკაცრ განსაცდელს. ზურგში დარჩენილი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კაცი თუ ქალი – ყველა თავგამოდებით იბრძოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების გასაფართოებლად, ომიანობის წლების გეგმათა გადაჭარბებით შესასრულებლად. ომის პირველი დღეებიდანვე შრომისუნარიანი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ფრონტზე წავიდა, ომის საჭიროებისათვის გაიზგავნა მნიშვნელოვანი რაოდენობის ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები და ცხენები. სოფლის მეურნეობა არადამაკმაყოფილებლად მარაგდებოდა მანქანებით, ინვენტარით, ტრაქტორების, კომბიანებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებითა და დეტალებით, მინერალური სასუქებითა და ქიმიკატებით. მაგრამ მთელი სიძნელეების მიუხედავად, საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარების საქმეში.

ყველა კატეგორიის მეურნეობის მთელი ნათესი ფართობი 1940 წლის 895,7 ათასი ჰექტარიდან 945,3 ათს ჰექტარამდე გაიზარდა[1]. ნათესი ფართობი უმთავრესად იზრდებოდა მარცვლეულისა და პარკოსანი კულტურების, პირველ რიგში კი სამარცვლე სიმინდის ნათესების გაფართოების ხარჯზე. 1940 წელს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობი 784,4 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო 1945 წელს – 827,6 ათას ჰექტარს, სამარცვლე სიმინდის ნათესი კი ამ პერიოდში 355,3 ათასი ჰექტარიდან 435,9 ათას ჰექტარამდე გაიზარდა[2].

ნათესი ფართობი გაიზარდა ყველა კატეგორიის მეურნეობაში, გარდა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისა. ომის დასასრულს 1940 წელთან შედარებით ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში გადიდდა 10,2 ათასი ჰექტარით, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში – 12,3 ათასი ჰექტარით, კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობებში – 18,3 ათასი ჰექტარით, მუშა-მოსამსახურეთა პირად დამხმარე მეურნეობებში – 12,1 ათასი ჰექტარით, ხოლო ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებსა და სხვა ჯგუფის მოსახლეობის მეურნეობების ნათესი შემცირდა 3,3 ათასი ჰექტარით[3].

ომის პერიოდში გაიზარდა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა. 1945 წელს იგი შეადგენდა ჰექტარზე 8,3 ცენტნერს, ნაცვლად 1940 წლის 8,1 ცენტნერისა[4]. მარცვლეული და პარკოსანი კულტურების მთლიანი მოსავალი შესაბამისად გაიზარდა 90 ათასი ტონით[5]. ომიანობის პერიოდში ყოველწლიური საერთო მოსავალი აღემატებოდა ომამდელ დონეს. მაგრამ ამ მხრივ სარეკორდო იყო 1943 წელი, როცა საერთო მოსავლიანობამ 1940 წლის დონეს 207 ათასი ტონით გადააჭარბა[6].

1945 წელს საქართველომ დამზადებისა და შესყიდვის სახით სახელმწიფოს ჩააბარა 47 ათასი ტონა მარცვლეული ნაცვლად 1940 წლის 35 ათასი ტონისა[7]. მართალია, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ზოგიერთი პროდუქტის სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა შემცირდა, მაგრამ საქართველო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა დამზადებათა დაძაბულ გეგმებს. 1945 წლის მეოთხე კვარტალის დამზადებათა გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკას მეექვსედ გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა[8].

ომმა შეაჩერა საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი უაღრესად ინტენსიური და შრომატევადი დარგების გაფართოება, როგორიცაა მეჩაიეობა, მევენახეობა და მეციტრუსეობა. ომის პერიოდში, - სამართლიანად იყო აღნიშნული საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში, - საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მთავარი ამოცანა იყო მრავალწლიან ნარგავთა არსებული ფართობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწეული დონის შენარჩუნება, ჩაით, ციტრუსებით, ხორცით, ღვინო-კონიაკის ნაწარმით; მარცვლეულით, ზეთოვანი კულტურების თესლით და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით[9] წითელი არმიის, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგებით უზრუნველყოფა.

სამამულო ომის დასასრულს მრავალწლიანი კულტურებიდან ყველაზე ნაკლებ დაზიანდა ხეხილი. უფრო მეტიც, მისი ფართობი 1940 წლის 84,2 ათასი ჰექტარიდან 1945 წელს 88,2 ათას ჰექტარამდე გაიზარდა[10].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეძლეს თითქმის შეენარჩუნებიანთ ვენახების ომამდელი ფართობი. მაგალითად, 1945 წელს

საქართველოში (ყველა კატეგორიის მეურნეობაში) დაბლარი ვენახების ფართობი 59 209 ჰექტარს შეადგენდა ნაცვლად 1940 წლის 54 748 ჰექტარისა[11]. მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა მაღლარი ვენახების ფართობი და მკვეთრად გადიდდა ვაზის სიმეჩხრე[12]; მიუხედავად ამისა, 1945 წელს ყურძნის საერთო მოსავალმა (37,6 ა

თასი ტონა) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1940 წლის დონეს (36,6 ათასი ტონა) გადაამეტა[13]. კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობებში ყურძნის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის შემცირების შედეგად, - მთელი ვენახების თითქმის 59 პროცენტი კი კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში იყო, - 1945 წელს 1940 წელთან შედარებით ყურძნის დამზადება 7 ათასი ტონით შემცირდა[14].

1945 წელს მეხილეობისა და მევენახეობის განვითარების გეგმების შესრულებისათვის საქართველოს გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარადმავალი წითელი დროშა[15].

1945 წელს ჩაის პლანტაციებს ეკავა 51,5 ათასი ჰექტარი[16] ნაცვლად 1940 წლის 49,6 ათასი ჰექტარისა[17]. მაგრამ ომის წლებში ჩაის მეურნეობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა უმთავრესად იმის გამო, რომ არ იყო მინერალური სასუქები და საკმაო მუშახელი[18]. შემცირდა მოსალიანობა, მკვეთრად დაეცა ჩაის ფოთლის დამზადება. 1940 წელს მოიკრიფა 51 ათასი ტონა, ხოლო 1945 წელს – 20 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი[19].

ომიანობის წლებში ძლიერ დაზარალდა ციტრუსების ნარგავები. 1941 – 1942 წლების ზამთრის ყინვებმა მოსპო 11,9 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციები. ამ ძვირფასი კულტურის საერთო ფართობი ომის განმავლობაში 24,6 ათასი ჰექტარიდან[20] 18,1 ათას ჰექტარამდე[21] შემცირდა. ამის გამო მკვეთრად შემცირდა ციტრუსების სახელმწიფო დამზადების გეგმაც. 1940 წელს იგი შეადგენდა 23,3 ათას ტონას, 1945 წელს კი 17,9 ათას ტონას[22].

ომიანობის წლებში მოპოვებულ იქნა ერთგვარი წარმატება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, მაგრამ პირუტყვის საერთო სულადობამ მაინც იკლო. ეს ჩანს 1-ლი ცხრილიდან[23].

ცხრილი 1

(1 იანვრისათვის, ათას სულობით)

	ყველა კატეგორიის მეურნეობაში		კოლმეურნეობებში		საბჭოთა მეურნეობებში	
	1941 წ.	1946 წ.	1941 წ.	1946 წ.	1941 წ.	1946 წ.
მსხვილფე	1	1	56	63	2,	3,

ხა რქოსანი	607,0	495,6	9,0	8,0	4	6
პირუტყვი აქედან:						
ძროხა	575,0	515,1	70,0	98,0	0,8	0,9
..... ღორი	615,6	472,8	63,0	124,0	1,3	1,7
.....	2193,6	2051,6	1355,0	1917,0	49,1	43,0
თხა და ცხვარი	174,2	842,2	39,6	31,8	3,3	2,0
ცხენი						

შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 1945 წელს ერთი ძროხის საშუალო წველადობა 1940 წელთან შედარებით შემცირდა: კოლმეურნეობებში 399-დან 304 კილოგრამამდე[24], საბჭოთა მეურნეობებში 1 524-დან 898 კილოგრამამდე[25]. შემცირდა ერთი ცხვრის მატყლის საშუალო ნაპარსიც. მაგალითად, 1945 წელს საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში იგი შეადგენდა 2,4 კილოგრამს, 1940 წელს კი 2,8 კილოგრამს[26].

ომის დასასრულს მეცხოველეობის მდგომარეობაზე მეტყველებს მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მონაცემები. სახელმწიფოს ჩაბარდა პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი პირუტყვის წონით) 1940 წელს 21 ათასი ტონა, 1945 წელს – 21 ათასი ტონა, რძე – შესაბამისად – 24 ათასი ტონა და 22 ათასი ტონა, კვერცხი – 14 მლნ ცალი და 17 მლნ ცალი, მატყლი – 2,6 ათასი ტონა და 2,0 ათასი ტონა[27].

ომის წლებში გაფართოვდა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეფუტკრეობა. 1941 წლის 1 იანვრისათვის ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 27 ათასიდან 1946 წლის იანვრისათის 56,7 ათასამდე გაიზარდა[28].

თუმცა 1946 წელს 1 კოლოფ გრენიდან საშუალოდ 4,7 კილოგრამით მეტი აბრეშუმის პარკი გამოვიდა, ვიდრე 1940 წელს, 1946 წელს საქართველოს მეაბრეშუმეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 2 802 ტონა პარკი ნაცვლად 1940 წლის 3 587 ტონისა. ეს უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ შემცირდა აბრეშუმის თესლის რეალიზაცია (1940 წელს იგი შეადგენდა 99,7 ათას კოლოფს, 1946 წელს კი 68,9 ათას კოლოფს)[29].

ომის დროს გაიზარდა საქართველოს კომლეურნეობათა ეკონომიკური სიმძლავრე. კოლმეურნეობათა გამსხვილების, აგრეთვე სხვა ობიექტური მიზეზების გამო კოლმეურნეობათა რაოდენობა 4 256-დან 4 064-მდე შემცირდა. საკოლმეურნეო კომლთა რაოდენობამაც იკლო სასოფლო-სამეურნეო არტელებში. თუ 1940 წელს მათი რიცხვი 476,1 ათასს შეადგენდა 1945 წელს იგი 456,9 ათასამდე შემცირდა. სასოფლო-სამეურნეო არტელების

საკოლმეურნეო კომლთა შემცირების პროცესი საქართველოში 1953 წლამდე გრძელდებოდა[30].

საქართველოს კომლეურნეობებში გაიზარდა საზოგადოებრივი ნათესი ფართობები და საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვის სულადობა, კოლმეურნეობათა წარმოების ძირითადი საშუალებანი და განუყოფელი ფონდები. მე-2 ცხრილში მოცემულია საქართველოში საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების ძირთიადი მაჩვენებლები სამამულო ომის წლებში[31].

1945 წელს 100-დან 200-მდე შრომადღე გამოიმუშავა შრომისუნარიან კოლმეურნეთა 43,7 პროცენტმა, ხოლო 400 და მეტი – 16,3 პროცენტმა, მაშინ როცა 1940 წელს შესაბამისად გამოიმუშავეს შრომადღეები კოლმეურნეთა 33,7 და 11,9 პროცენტმა[32]. 1945 წელს 1940 წელთან შედარებით 3,3 პროცენტით შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებსაც შრომადღეთა სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ[33], თუმცა ეს მინიმუმი 80-დან 120-მდე გადიდდა.

1945 წელს შრომადღეებზე განაწილდა საერთო მოსავლის 57,3 და კოლმეურნეობათა მთელი ფულადი შემოსავლის 38,1 პროცენტი, მაშინ როცა 1940 წელს

ცხრილი 2

	ზომის ერთეული	1940 წ.	1945 წ.
მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალი	ათასი ტონობით	529,7 524	577,0 1113
ფულადი შემოსავლის საერთო თანხა	მლნ მანეთობით	124 2,0	275 3,0
ფულადი შემოსავალი ერთ კოლმეურნეობაში	ათას მანეთობით	1,9	1,9
კოლმეურნის შრომადღის ანაზღაურება ფულად	მანეთობით კილოგრამობით	48 130,6	183 133,6
კოლმეურნის შრომადღის ანაზღაურება მარცვლეულით	-	132 809,5	196 1589,2
იმ კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომელთა ფულადი შემოსავალი 1 მლნ მანეთია	მლნ შრომადღეობით	699	1830
შრომადღეების საერთო გამომუშავება	შრომადღეობით		
კოლმეურნის შრომადღეთა გამომუშავება	მლნ მანეთობით -		
წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება			
კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ღირებულება			

შესაბამისად განაწილდა 60 და 50,7 პროცენტი[34]. ეს გამოწვეული იყო სამხედრო გადასახადებისა და თავდაცვის სხვადასხვა ფონდში კოლმეურნეობათა ნებაყოფლობითი შენატანების გადიდებით.

ომის წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა 2 ახალი საბჭოთა მეურნეობა. 1945 წელს საქართველოში იყო 78 საბჭოთა მეურნეობა, რომლებშიც 1940 წელთან შედარებით ნაკლები რაოდენობის საწარმოო მუშები იყვნენ დასაქმებული. საბჭოთა მეურნეობებს ნაკლები ტრაქტორები, კომბიანები და სატვირთო ავტომობილები ჰქონდათ[35]. მიუხედავად ამისა 1945 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა ნათესი ფართობების რაოდენობა, ფრინველისა და პირუტყვის სულადობა, ცხვრისა და თხის გარდა. 1945 წელს საქართვლოს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ომამდელზე მეტი მარცვლეული, ხილი, ტუნგი, ხოლო ნაკლები ვიდრე 1940 წელს, ჩაის ფოთოლი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხორცი, რძე და მატყლი[36].

რამდენადმე შესუსტდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. 1945 წელს საქართველოში 60 მანქანა-ტრაქტორთა სადგური იყო, აქედან ორი ომის დროს შეიქმნა. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვნად შესუსტდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკური აღჭურვილობა, შემცირდა ტრაქტორებისა და კომბაინების რაოდენობა, ამასთან უმეტესობა ძალიან გაცვდა, იკლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ ჩატარებულ სამუშაოთა მოცულობამაც. საშუალო წლიურმა გამომუშავებამ 15-ძალიან ტრაქტორზე გაანგარიშებით (და პირობით ხვნაზე გადაყვანით) 1945 წელს შეადგინა 237 ჰექტარი, ანუ 1940 წელთან შედარებით შემცირდა 60 ჰექტარით, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება ერთი პირობით 15-ფუტიან კომბაინზე გაანგარიშებით – 201 ჰექტარიდან 184 ჰექტარამდე[37].

ომის წლებში სერიოზული ყურადღება ეთმობოდა სამელიორაციო სამუშაოებს. 1942 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა კეხვის სარწყავი სისტემის პირველი რიგი, რომელიც 3,9 ათას ჰექტარ ფართობს რწყავდა[38]. 1945 წელს სარწყავქსელიანი მიწების ფართობმა 238,3 ათასი ჰექტარი შეადგინა[39].

მოკლედ განვიხილოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ომით გამოწვეული ზოგიერთი სხვა შედეგიც.

ომის დასასრულს შემცირდა ტექნიკური კულტურების (9,1 ათასი ჰექტარით), კარტოფილის (2,4 ათასი ჰექტარით), ბოსტნეულის (2,9 ათასი ჰექტარით) და პირუტყვის საკვები კულტურების (19,9 ათასი ჰექტარით) ნათესი ფართობი[40]. სიმეჩხრის შედეგად ვენახებისა და ხეხილის ბაღების ზარალმა დაახლოებით 20 პროცენტი შეადგინა[41]. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაირღვა კულტურების მონაცვლეობა[42].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს კომლეურნეობათა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები, როგორც ეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში იყო აღნიშნული,

ომიდან პოლიტიკურად და ორგანიზაციულ-სამეურნეო მხრივ უფრო განმტკიცებული გამოვიდნენ[43]. ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობებში უხეშად ირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი მიწების ერთი ნაწილის განიავებას, საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-მიტაცებას, კოლმეურნეობათა შრომითი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას, შრომის აღრიცხვის, აგრეთვე ანგარიშსწორებისა და ანგარიშგების არადამაკმაყოფილებელ ორგანიზაციას, საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევას და ადმინისტრირებას[44]. მართალია, საქართველოს კპ (ბ) ხელმძღვანელმა ორგანოებმა (ცენტრალურ, საოლქო და რაიონულ კომიტეტებმა) არაერთხელ მიიღეს ზომები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა აღსაკვეთად, მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული ორგანო ამ მხრივ თვითონაც სერიოზულად სცოდავდა.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ომის წლებში ხშირად იცვლებოდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. მაგალითად, თელავის რაიონში, სადაც სულ 47 კოლმეურნეობა იყო, 1943 წელს 19 კოლმეურნეობაში შეიცვალა თავმჯდომარე, მათ შორის ხუთ კოლმეურნეობაში ორ-ორჯერ; 1944 წელს – 16 კოლმეურნეობაში, მათ შორის სამში – ორ-ორჯერ, 1945 წელს – 19 კოლმეურნეობაში, მათ შორის ორში - ორ-ორჯერ[45]. საქართველოს კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა 60 პროცენტი 1946 წლის სექტემბრისათვის ამ თანამდებობაზე მუშაობდა მხოლოდ ორ წლამდე[46]. ეს კი იმას მოწმობდა, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაში არსებითი ნაკლოვანებები იყო.

---

[1] “Советская Грузия за 40лет», стр. 84 – 85.
[2] “Советская Грузия за 40лет», стр. 84 – 85.
[3] გამოთვლილია კრებულის “Советская Грузия за 40лет» გვ. 86 – 87 მიხედვით.
[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 18.
[5] იქვე, აღწ. 4, საქ. 1, ფურც. 5.
[6] იქვე.
[7] «Советская Грузия за 40 лет»,стр. 84-85
[8]Газ. «Заря Востока», 23 февраля 1946
[9] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 1, ფურც. 5.
[10] «Советская Грузия за 40 лет», стр. 89
[11]“Народное хозяйство Грузинской ССР 1921-1961» Тб.,1961, стр..423.
[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 1, ფურც. 3 - 4.
[13] იქვე, აღწ. 1949 წლისა, საქ. 1, ფურც. 179.
[14] 1940 წელს დამზადებულ იქნა 35 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო 1945 წელს 28 ათასი ტონა (См. «Грузинская ССР за 40 лет», стр.79)
[15] Газ. «Заря Востока», 20 апреля 1946 г.
[16] «Народное хозяйство Грузинской ССР 1921 – 1961», стр. 423.

[17] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г. Статистический ежегодник», М., 1962, стр. 378.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 2, ფურც. 20.
[19] “ Грузинская ССР за 40 лет», стр. 79.
[20] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 170, ფურც. 25 - 26.
[21] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 82.
[22] «Грузинская ССР за 40 лет», стр. 79.
[23] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Грузинская ССР за 40 лет», стр. 73, 75, 95; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 647, ფურც. 71; აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 24 მიხედვით.
[24] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 24.
[25] «Грузинская ССР за 40 лет», стр. 80.
[26] იქვე.
[27] «Грузинская ССР за 40 лет», стр. 80.

[28] «Грузинская ССР», 1959, стр. 197.
[29] იქვე, გვ. 203.
[30] «Грузинская ССР за 40 лет», стр. 75.
[31] შედგენილია სტატისტიკური კრებულის «Грузинская ССР за 40 лет», стр. 75; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 255; აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 20; აღწ. 3, საქ. 2, ფურც. 7, 29, 431 მიხედვით.
[32] იქვე, ფ. 14, აღწ. 3, საქ. 2, ფურც. 28.
[33] იქვე.
[34] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 2, ფურც. 432.
[35] «Грузинская ССР за 40 лет», стр. 73.
[36] იქვე, გვ. 73 – 74.
[37] «Грузинская ССР за 40 лет», стр. 77.
[38] იქვე, გვ. 93.
[39] იქვე, გვ. 92.
[40] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Грузинская ССР за 40 лет», стр. 84 მიხედვით.
[41] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 2, ფურც. 29.
[42] იქვე, აღწ. 2, საქ. 7, ფურც. 3.
[43] იქვე, აღწ. 3, საქ. 1, ფურც. 5.
[44] იქვე, ფურც. 6; აღწ. 4, საქ. 1, ფურც. 6.
[45] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 2, ფურც. 21.
[46] იქვე.

§ 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი გეგმების დავალებანი

საქართველოს სსრ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის იყო, რომ უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა, განემტკიცებინა მისი წამყვანი დარგები – სუბტროპიკული მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა. ამასთან ყოველნაირად განევითარებინა მარცვლეული მეურნეობა და მეცხოველეობა[1]. ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებდა საკოლმეურნეო მეურნეობის კიდევ უფრო განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო

პროდუქციის, მიწათმოქმედებაში მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას[2].

1950 წელს საქართველოს უნდა ჰქონოდა 937 ათასი ჰექტარი ნათესი ფართობი, აქედან მარცვლეული კულტურებისა – 746 ათასი და ტექნიკური კულტურებისა – 48 ათასი ჰექტარი[3].

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სწორი თესლბრუნვის აღდგენა და შემოღება, მეთესლეობისა და სასელექციო მუშაობის გაუმჯობესება, მარცვლეული კულტურების მთლიანად ხარისხოვანი თესლით თესვაზე გადასვლა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვა[4].

დაგეგმილი იყო 1950 წელს 895,2 ათასი ტონა მარცვლეულის მთლიანი მოსავლის (ჰექტარზე საშუალოდ 12 ცენტნერამდე) აღება. შაქრის ჭარხლის 96 ათასი ტონის (ჰექტარზე 160 ცენტნერი) და თამბაქოს 13,6 ათასი ტონის (ჰექტარზე 8,5 ცენტნერი) მიღება[5]. ხუთწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად უნდა გადიდებულიყო სხვა ერთწლიანი მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მთლიანი მოსავალი და მოსავლიანობა.

მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების დარგში გეგმა ითვალისწინებდა არსებული პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას, ახალი პლანტაციების გაშენებასა და გამეჩხერებული პლანტაციების შევსებას[6]. მე-3 ცხრილში მოგვაქვს ციფრობრივი მონაცემები ზოგიერთი მრავლწლიანი ტექნიკური კულტურის ახალი ნარგავებისა და ფართობების შესახებ[7].

ცხრილი 3

(ათას ჰექტარობით)

	საერთო ფართობი 1950 წელს	აქედან 1946 – 1950 წლებში გაშენებული
ჩაი	57,5	6,0
.....	29,0	11,0
ციტრუსები	70,0	11,0
.....	91,3	15,1
ვენახი	16,7	4,4
.....	3,5	1,5
ხეხილის ბაღები		

..... ტუნგი ..... კეთილშობილი დაფნა		

1950 წელს უნდა მოეკრიფათ 70 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი[8], და 280 ათასი ტონა ყურძენი[9].

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა სახავდა მნიშვნელოვან სამელიორაციო სამუშაოებს, რის შედეგად სარწყავი ფართობი უნდა გადიდებულიყო 80 ათასი ჰექტარით, ხოლო ამოშრობილი ფართობი – 8,6 ათასი ჰექტარით[10].

ხუთწლეულში გათვალისწინებული იყო მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაფართოება საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით აღჭურვის გზით. დიდი ამოცანები იდგა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დარგში. 1950 წლის დამლევისათვის ცხენების საერთო სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში 120 ათასი, ანუ 43 პროცენტით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე 1945 წელს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა – 1744 ათასი, ანუ 17 პროცენტით მეტი, ცხვრისა და თხისა – 2900 ათასი, ანუ 41 პროცენტით მეტი, ღორისა 711 ათასი, ანუ 52 პროცენტით მეტი, ვიდრე 1945 წელს[11].

გეგმით დასახული იყო პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, საკვები ბაზის გაფართოება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხებს. გეგმა ითვალისწინებდა საზოგადოებრივი სიმდიდრის განუხრელ ზრდას, საკოლმეურნეო ქონების დაცვას, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევების აღმოფხვრას, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებით ანაზღაურების დანერგვას.

ხუთწლიანმა გეგმამ სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანებიც განსაზღვრა, იგი მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შემუშავებისა და დანერგვის, აგრეთვე ციტრუსოვანი კულტურების ახალი, უფრო მოსავლიანი ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანისა და პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშების მოშენების მიმართულებით. სამეცნიერო ორგანიზაციებს დაევალათ ხელი შეეწყოთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და

დანერგვისათვის, ღრმად შეესწავლათ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხები. უზრუნველეყოთ მეცნიერების შემდგომი განვითარება სუბტროპიკული და საერთო მეხილეობის, ჩაის, ტექნიკური მრავალწლიანი კულტურების, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის დარგში[12].

საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განსამტკიცებლად გეგმა მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის სამინისტროებს ავალებდა საქართველოს საშუალო სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო სასწალებლებში მოსწავლეთა კონტინგენტის გადიდებას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას რომ თავი გაერთვა მეოთხე ხუთწლიანი გეგმის დიდი ამოცანებისათვის, გათვალისწინებული იყო ხუთწლეულის მანძილზე მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურების, წყალთა მეურნეობისა და მეცხოველეობის სამინისტროების ხაზით (ე. ი. მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე) სოფლის მეურნეობაში 140 მილიონი მანეთის დაბანდება[13]. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობათა საკუთარი სახსრების ხარჯზე გაწეულმა კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ ხუთწლეულში გადაამეტა ცენტრალიზებულ კაპიტალურ სამუშაოებს.

საქართველოს სსრ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ამოცანა ის იყო, რომ უზრუნველგვეყო ხალხის, მათ შორის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება. დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემდგომი ელექტრიფიკაცია, ტელეფონიზაცია და რადიოფიკაცია; სოფლის სავაჭრო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმურ დავალებებში არსებითი ცვლილებანი შეიტანა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ ”ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ”, სსრ კავშირის მინისტრთა საბოჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 18 აპრილის დადგენილებამ ”კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების 1949 – 1951 წლების სამწლიანი გეგმის შესახებ”, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 25 აპრილის დადგენილებამ ”საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორბლის წარმოების გადიდების, ფრინველისა და პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ”და 1950 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებამ ”საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა

და მეღვინეობის შემდგომი აღმავლობისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები თავდადებით იბრძოდნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, რის შედეგადაც რესპუბლიკამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

საქართველოს სსრ განვითარების 1951 – 1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დავალებანი სოფლის მეურნეობის დარგში განსაზღვრეს 1949 – 1950 წლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულმა ზემოჩამოთვლილმა დადგენილებებმა, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 20 მარტის დადგენილებამ ”საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა ნარგავების აღდგენისა და შედმგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ”.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის მკვეთრ გადიდებას. 1955 წელს მარცვლეულის ნათესი უნდა გადიდებულიყო 945 ათასი ჰექტარის ნაცვლად 1950 წელს 627 ათასი ჰექტრისა[14]. საქართველოს წინაშე დაისახა ამოცანა რესპუბლიკის საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფის მიზნით 1957 წლისათვის მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი გაზრდილიყო 1 070 ათას ჰექტარამდე. გეგმის მიხედვით მარცვლეულის ფართობი ძირითადად უნდა გაზრდილიყო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ხორბლის ნათესების გაფართოების შედეგად. 1955 წლისათვის ხორბლის ნათესი ფართობი განისაზღვრა 620 ათასი ჰექტარით[15], ნაცვლად 1950 წლის 264,7 ათასი ჰექტარისა[16].

მეხუთე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო მოსავლიანობა. 1955 წელს მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა უნდა ყოფილიყო 21,5 ცენტნერი[17] (1949 – 1953 წლებში მარცვლეული კულტურების საშუალო წლიურმა მოსავლიანობამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში ჰექტარზე 9,2 ცენტნერი შეადგინა)[18]. ნავარაუდევი იყო 1955 წელს მარცვლეულის მთლიანი მოსავლის 2 220 ათას ტონამდე გადიდება[19] (1949 – 1953 წლებში მარცვლეულის საშუალო წლიური საერთო მოსავალი 760 ათას ტონას შეადგენდა)[20].

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 – 1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების განვითარებას. ჩაის პლანტაციების ფართობი 1950 წლის 48,6 ათასი ჰექტარიდან 1955 წელს 71,6 ათას ჰექტარამდე უნდა გადიდებულიყო[21]. მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელ წელს უნდა მოკრეფილიყო 145 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 73 პროცენტით გადააჭარბებდა 1950 წლის რაოდენობას[22].

ვენახების ფართობს 1955 წელს 60 ათასი ჰექტარი უნდა შეედგინა[23]. ზრდა, მართალია, უმნიშვნელოა, 1950 წელს საქართველოში ვენახი 58,2 ათას

ჰექარზე იყო გაშენებული, მაგრამ მეხუთე ხუთწლედში, ”საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი აღმავლობისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ” სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, მთავარი ყურადღება ეთმობოდა ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას. ნავარაუდევი იყო, რომ 1955 წელს კოლმეურნეობებში მისი საშუალო მოსავალი ჰექტარზე 65 ცენტნერამდე უნდა გაზრდილიყო, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში – 60 ცენტნერამდე[24]. 1955 წელს საქართველოს სახელმწიფოსათვის 100 ათასი ტონა ყურძენი უნდა ჩაებარებინა[25].

1949 –1950 წლების ზამთრის ყინვებმა დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს ციტრუსების მეურნეობას. დაიღუპა 20,7 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავი, ანუ მთელი ციტრუსების პლანტაციების სამ მეოთხედზე მეტი[26]. 1965 წლისათვის გათვალისწინებული იყო ციტრუსოვანთა პლანტაციების გადიდება 30 ათას ჰექტარამდე და 700 მლნ ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება[27].

მეხუთე ხუთწლიანმა გეგმამ დიდი ამოცანები დასახა მეცხოველეობის განვითარების დარგში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1472,9 ათასიდან[28] 1 565 ათასამდე[29] უნდა გაზრდილიყო, ცხვრისა – 26,3 პროცენტით, ღორისა – ერთიორად, ფრინველის რაოდენობა კი 2,5-ჯერ[30]. 1955 წელს ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა 1 100 კგ-მდე უნდა გადიდებულიყო, მაშინ როცა 1950 წელს 468 კგ იყო[31].

გათვალისწინებული იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელის გაფართოება, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის ფართო მექანიზაცია.

დასახული იყო დიდი წყალსამეურნეო სამუშაოები. ახალი სამელიორაციო (სარწყავი და ამოსაშრობი) სისტემების საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად 1957 წელს სარწყავქსელიანი მიწების ფართობი 1950 წელთან შედარებით 350 ათასი ჰექტარით იზრდებოდა[32]. მარტო კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა შედეგად სოფლის მეურნეობას ყოველწლიურად მოემატებოდა 12 – 15 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწა[33] ძირითადად ციტრუსების გასაშენებლად.

ასეთი დიდი ამოცანები იდგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე მეოთხე და მეხუთე ხუთწლედებში.

მაგრამ მეოთხე და მეხუთე ხუთწლიან გეგმებში დასახულ იქნა არა მარტო მიწათმოქმედებისა და მეცხოველოების ყველა დარგის განვითარების დავალებანი, არამედ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აღმავლობის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა სისტემაც.

[1] “კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ”, თბ., 1946, გვ. 6.
[2] იქვე, გვ. 20.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 21.
[5] “კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ”, თბ., 1946, გვ. 21.
[6] იქვე, გვ. 22.
[7] იქვე, გვ. 9 – 10, 22.
[8] იქვე, გვ. 22.
[9] იქვე, გვ. 21 – 22.
[10] იქვე, გვ. 23.
[11] “კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის გვ. 23.
[12] იქვე, გვ. 25 - 26.
[13] კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ”, გვ. 26.
[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 4, ფურც. 89 – 90; ფ. 17, აღწ. 32, საქ. 14, ფურც. 22.
[15] იქვე, ფ. 17, აღწ. 32, საქ. 14, ფურც. 22.
[16] «Советская Грузия за 40 лет», стр. 84 – 85.
[17] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 32, საქ. 14, ფურც. 22.
[18] «Советская Грузия за 40 лет», стр. 83.
[19] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 32, საქ. 14, ფურც. 23.
[20] «Советская Грузия за 40 лет», стр. 82.
[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 32, საქ. 14, ფურც. 23.
[22] იქვე, ფ. 14, აღწ. 1949 წლისა, საქ. 8, ფურც. 368.
[23] იქვე, აღწ. 23, საქ. 4, ფურც. 89 - 90.
[24] «Советская Грузия за 40 лет», стр. 89.
[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 4, ფურც. 89 - 90.
[26] იქვე, ფურც. 86.
[27] ჟურნ. “ბოლშევიკი”, N 10, 1952, გვ. 43 – 44.
[28] «Советская Грузия за 40 лет», стр. 95.
[29] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 32, საქ. 14, ფურც. 26.
[30] იქვე, ფურც. 27.
[31] იქვე, ფურც. 26.
[32] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Советская Грузия за 40 лет», стр. 92; ჟურნ. “ბოლშევიკი”, N 10, 1952, გვ. 55 მიხედვით.
[33] ჟურნ. “ბოლშევიკი”, N 10, 1952, გვ. 55.

§ 3. სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ეკონომიკური ღონისძიებანი

ომის შემდგომ პერიოდში ყოველწლიურად იზრდებოდა კაპიტალდაბანდებანი საქართველოს სოფლის მეურნეობაში როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე კოლმეურნეობათა საკუთარი სახსრების ხარჯზე.

ომის წლებში (1941 წლის 1 ივლისიდან 1946 წლის 1 იანვრამდე) ცენტრალურმა (სახელმწიფო ბიუჯეტის) კაპიტალდაბანდებებმა საქართველოს სოფლის მეურნეობაში (მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო დანიშნულების ობიექტებისათვის) 4 მილიონი შეადგინა (ფასების ახალი მასშტაბით), მეოთხე ხუთწლეულის მანძილზე (1946 – 1950 წწ.) – 53 მილიონი მანეთი, ხოლო მეხუთე ხუთწლედში (1951 – 1955 წწ.) – 123,8 მილიონი მანეთი[1]. იზრდებოდა როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით კაპიტალდაბანდებანი. სამამულო ომის წლებში სოფლის მეურნეობის კაპიტალდაბანდება შეადგენდა მთელი სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 2 პროცენტს, მეოთხე ხუთწლედში – 8, ხოლო მეხუთე ხუთწლედში – 11 პროცენტს[2].

იმის შესახებ, თუ რა თანაფარდობა იყო მთელ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებსა და კოლმეურნეობების (სასოფლო-სამეურნეო არტელების) კაპიტალდაბანდებებს შორის, რაოდენ დიდი იყო კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდებების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალის საერთო მოცულობაში, მეტყველებენ შემდეგი ციფრები. 1952– 1953 წლების მანძილზე სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში 51,7 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდებებმა – 57,2 მილიონი მანეთი[3].

პარტია და სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ზრდას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ომის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრეები. 1946 წელს რესპუბლიკის 60 მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ჰქონდა 1897 ტრაქტორი[4], აქედან მუხლუხა, ე. ი. უფრო თანამედროვე ტრაქტორი მხოლოდ 350 იყო. დაახლოებით 200 ტრაქტორი უმოქმედოდ იდგა, რადგან მათი შეკეთება თითქმის შეუძლებელი იყო. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 471 კომბაინიდან სამუშაოდ ვარგოდა, ისიც არასრული დატვირთვით, მხოლოდ 400[5]. ცუდ ტექნიკურ მდგომარეობაში იყო ტრაქტორის მისაბმელი ინვენტარი და მოსავლის ასაღები მანქანები.

1945 – 1953 წლების მანძილზე საქართველოში შეიქმნა 43 ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. 1953 წელს 103 მანქანა-ტრაქტორთა სადგურში 4 405 ტრაქტორი და 1 234 მარცვლეულის კომბაინი იყო[6]. სულ კი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში 1954 წლის დამდეგისათვის მუშაობდა 5 592 ტრაქტორი, 1 438 მარცვლეულის კომბაინი და 9 143 სატვირთო ავტომობილი[7]. გაიზარდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ძირითადი ფონდები, რომელთა რაოდენობა 1940 წელს 5 მილიონ მანეთს შეადგენდა (ფასების ახალი მასშტაბით), 1950 წ. – 15,8 მილიონს, ხოლო 1955 წ. – 37,1

მილიონ მანეთს[8]. მიღებული ზომების შედეგად სამანქანო ტექნიკის გამოყენება გაუმჯობესდა, რასაც მოწმობს მე-4 ცხრილი[9].

ცხრილი 4

	1940	1945	1950	1953
ჩატარდა სატრაქტორო სამუშაოები პირობითს ხვნაზე გადაყვანით (ათას ჰექტარობით)	836	509	1.350	2.257
ერთი 15-ძალიანი ტრაქტორის საშულაო წლიური გამომუშავება პირობითს ხვნაზე გადაყვანით (ჰექტარობით)..	297	237	332	325
მოსავალი აიღეს მარცვლეულის კომბაინებით (ათას ჰექტარობით)	100	87	120	328
ერთი პირობითი 15-ფუტიანი კომბაინის საშუალო წლიური გამომუშავება (ჰექტარობით).....	201	184	245	293

ომის შემდგომი წლების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაცია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების წარმოებაში. ჩაის, ციტრუსების, ყურძნისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების მოყვანის მეტად შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მიზნით 1949 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად დაარსდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ჩაისა და ციტრუსების მეურნეობისთვის მანქანების შესაქმნელად. 1949 – 1953 წლებში სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა ჩაის ბუჩქის საკრეჭი და საფუმიგაციო, აგრეთე ჩაის პლანტაციის საკულტივაციო და სხვა სახეობის მანქანები. სპეციალური საკონტსრუქტორო ბიუროს დიდი მიღწევა იყო ჩაის საკრეფი მანქანის საცდელი ნიმუშის შექმნა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამუდმებით ამოწმებდნენ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობას და საჭირო ზომებს იღებდნენ ახალი მანქანების წარმოებაში დასანერგად. ”ჩაის პლანტაციებში ახალი მანქანების დანერგვის ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 იანვრის დადგენილებაში ნათქვამია:

”საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაის პლანტაციებსა და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა პლანტაციებში სამუშაოთა, აგრეთვე მთიანეთის მიწათმოქმედების მექანიზაციის საკითხს და მეჩაიეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ავალებენ ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ ახალი მანქანების წარმრატებით დანერგვა და საწარმოო გამოცდა”[10]

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის დანერგვის ყოველწლიური გეგმები არ სრულდებოდა[11], 1945 – 1953 წლებში დიდი მუშაობა იყო გაწეული სოფლის, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ელექტრიფიკაციისათვის. სასოფლო ელექტროსადგურების სიმძლავრე 1940 წლის 4,8 ათასი კილოვატიდან 1953 წელს 36 ათას კილოვატამდე გაიზარდა, ხოლო მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია – 6,6 მილიონი კილოვატსაათიდან 90 მილიონ კილოვატსაათამდე. სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის მოხმარება 12,7 მილიონი კილოვატსაათიდან 72,1 მილიონ კილოვატსაათამდე გაიზარდა[12]. 1953 წლის დამლევისათვის ელექტრიფიცირებული იყო საქართველოს საბჭოთა მეურნეობების 93 და კოლმეურნეობების 77 პროცენტი. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საჭიროებას მცირე რაოდენობით ელექტროენერგია ხმარდებოდა.

ომის შემდგომ ფართოდ გაიშალა სამელიორაციო სამუშაოები. 1945 – 1953 წლების მშენებარე სამელიორაციო ნაგებობათაგან ყველაზე დიდი იყო ზემო სამგორის სარწყავი და კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობი სისტემები. საქართველოს სამელიორაციო ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საკითხებს სისტემატურად განიხილავდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომელმაც 1946 წლის 28 მარტს მიიღო დადგენილება ”ზემო სამგორის სარწყავი სისტემისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ”[13], 1946 წლის 6 ივლისს – ”საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლხეთის დაბლობის ამოშრობის ღონისძიებათა შესახებ”[14], 1946 წლის 9 ივლისს – ”საქართველოს სს რესპუბლიკაში ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ”[15] და ”აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სარწყავი სისტემების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაჩქარების შესახებ”[16], 1951 წლის 1 აგვისტოს – ”საქართველოს სს რესპუბლიკაში 150 ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად და გასაწყლიერებლად ზემო ალაზნის არხის მშენებლობის შესახებ”[17].

1951 წლის 4 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი. 1945 – 1953 წლებში მოხდა სკრა-ქარელის, კეხვის, სალთვისის, დოესი-გრაკალის, ალაზნისა და სხვა სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია და გაფართოება. სარწყავქსელიანი მიწის ფართობი 57,4 ათასი ჰექტარით გადიდდა[18]. ამოშრობილ იქნა 30 ათას ჰექარზე მეტი მიწა[19].

1950 წლიდან ”სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ” სსრ კავშრის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 17 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად დაიწყო სარწყავი ქსელის გადაკეთება. ნავარაუდევი იყო, რომ 1950 – 1952 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 200 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწა გადაეყვანათ რწყვის ახალ სისტემაზე, მუდმივი არხების ნაცვლად გამოეყენებინათ დროებითი სარწყავი არხები[20]. თუმცა ეს გეგმა მთლიანად არ განხორციელებულა, მაგრამ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და წყალთა მეურნეობის ორგანოებმა ასიათასობით კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს, რომ აღარაფერი ვთქვათ რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ საპროექტო-საძიებო და სხვა სამუშაოებზე.

1953 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში სარწყავქსელიანი მიწების ფართობი 296 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო საშრობქსელიანი მიწებისა 79 ათას ჰექტარს[21]. ისიც აღსანიშნავია, რომ სარწყავქსელიანი მიწის ფართობში შედის მხოლოდ საინჟინრო სისტემის სარწყავი ქსელით უზრუნველყოფილი მიწები, საქართველოში კი რამდენიმე ასეული პრიმიტიული სარწყავი არხი იყო. მაგალითად, 1948 წელს საქართველოს 600 სარწყავი არხიდან, მხოლოდ 10 იყო საინჟინრო სისტემისა[22].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დახმარებას უწევდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების 1949 – 1951 წლების სამწლიანი გეგმის განხორციელებაში. მაგალითად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იანვრის დადგენილება ”საქართველოს სსრ კომლეურნეობებში მოზარდეულის გამოზრდისა, მოზრდილი პირუტყვის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ”[23] საქართველოს კოლმეურნეობებს ურჩევდა დამატებითი საზღაური მიეცათ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში და საკვების დამზადებაზე მომუშავე იმ მოწინავე კოლმეურნეებისათვის, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებდნენ სულადობის მატებისა და პროდუქტიულობის ამაღლების დავალებებს.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ღონისძიება იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით საქართველოში ყოველწლიურად ხდებოდა კოლმეურნეობათა გადასახლება-დასახლება მცირემიწიანი მაღალმთიანი რაიონებიდან უხვმიწიან (უმთავრესად სუბტროპიკულ) რაიონებში, კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე და ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონაში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით 1947

წელს გათვალისწინებული იყო 1000 კომლის გადასახლება-დასახლება, აქედან 800 უნდა დასახლებულიყო აფხაზეთის ასსრ უხვმიწიან რაიონებში, ხოლო 200 – კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე[24], 1948 წელს – 500 კომლი, აქედან 300 აფხაზეთის ასსრ უხვმიწიან რაიონებში და 200 – კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე,[25], 1949 წელს – 2800 კომლი სუბტროპიკულ რაიონებში (აფხაზეთის და აჭარის ასსრ)[26], 1951 – 1952 წლებში – 3500 კომლი ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონაში[27].

საკავშირო მთავრობა მზრუნველობას არ აკლებდა გადასახლებულ კოლმეურნეებს. მაგალითად, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1946 წლის 24 თებერვლის განკარგულებით დაამტკიცა 1946 – 1947 წლების მანძილზე საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში (ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონები) ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა[28].

მცირემიწიანობა სერიოზულად აფერხებდა მეცხოველეობის განვითარებას საქართველოში. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გაითვალისწინა ეს გარემოება და 1945 წლის 24 მაისის დადგენილებით საქართველოს კოლმეურნეობებს გრძელვადიანი სარგებლობისათვის გადასცა გროზნის ოლქისა და დაღესტნის ასს ზამთრის საძოვრების ნაწილი[29].

საკავშირო მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის, პირველ რიგში მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში. მან 1953 წელს საქართველოს გამოუყო 181 ათასი ტონა მინერალური სასუქი, ნაცვლად 1940 წლის 53 ათასი ტონისა[30].

1945 – 1953 წლების მანძილზე განხორციელდა მრავალი სხვა ეკონომიკური ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფ აღდგენასა და შემდგომ განვითარებას.

---

[1] «Советская Грузия за 40 лет», стр.114 – 115.
[2] იქვე, გვ. 116 – 117.
[3] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Сельское хозяйство СССР», М., 1960 г. მიხედვით.
[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 170, ფურც. 59.
[5] იქვე.
[6] «Советская Грузия за 40 лет», стр. 77
[7] იქვე, გვ. 101.
[8] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 143.
[9] «Советская Грузия за 40 лет», стр. 77.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 27, საქ. 66, ფურც. 11
[11] იქვე, ფ. 14, აღწ. 1949 წლის, საქ. 49, ფურც. 8; აღწ. 21, საქ. 12, ფურც. 21 – 22; საქ. 91, ფურც. 36; ფ. 11, აღწ. 21, ს. 136, ფურც. 14; ფ. 14, აღწ. 22, საქ. 66, ფურც. 46; აღწ. 23, საქ. 135, ფურც.34.
[12] «Советская Грузия за 40 лет», стр. 100.
[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 9377, ფურც. 119 - 120.
[14] იქვე, საქ. 376, ფურც. 5 – 7.

[15] იქვე, საქ. 377, ფურც. 10 – 13.
[16] იქვე, ფურც. 17 – 18.
[17] იქვე, აღწ. 22, საქ. 340, ფურც. 71.
[18] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Советская Грузия за 40 лет», გვ. 92 მიხედვით.
[19] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 225, ფურც. 217.
[20] იქვე, საქ. 149, ფურც. 39.
[21] «Сельское хозяйство СССР», 1960, стр. 255 – 256.
[22] "XIV съезд КП (б) Грузии. Стенографический отчет», Тб., 1949, стр. 136.
[23] Газ. «Заря Востока», 10 января 1950 г.
[24] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 83, ფურც. 44.
[25] იქვე, აღწ. 1948 წლისა, საქ. 83, ფურც. 29.
[26] პარტიული არქივი (თბილისი0, საქ. 29, ფურც.244 –247, 279; საქ. 65, ფურც. 79
[27]იქვე, აღწ. 1949 წლისა, საქ. 78,> ფურც. 23; აღწ.23, საქ.78, ფურც,37; აღწ,23, საქ.160, ფურც.8.
[28] იქვე, აღწ,3, საქ.372,ფურც.132.
[29] იქვე, საქ.434, ფურც. 69-70.
[30] «Сельское хозяйство СССР», стр. 191.

§ 4. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებანი

1946 წლის 19 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება "კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ," რომელშიც აისახა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, მათი ქონების დატაცება-განიავებისაგან დაცვისათვის. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა შრომადღეების არასწორად ხარჯვის, საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწების დატაცების, საკოლმეურნეო ქონების მითვისების, კოლმეურნეობათა მართვის დემოკრატიული საფუძვლებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სხვა მოთხოვნების დარღვევის ფაქტებს.

საქართველოს კომლეურნეობათა მუშაობაში არსებული ანალოგიური დარღვევები და ნაკლოვანებანი ამხილა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა, რომელიც 1946 წლის 10 – 12 სექტემბერს მიმდინარეობდა. პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი "კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"[1].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის რეზოლუციაში აღინიშნა, რომ საქართველოს კოლმეურნეობებში შეინიშნებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევის მთელი რიგი ფაქტები როგორც მიწათსარგებლობის საკითხებში, ისე ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილების, კოლმეურნეობათა

შრომითი რესურსების გამოყენების, შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის, აგრეთვე ანგარიშწარმოებისა და ანგარიშსწორების საქმეში[2].

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება "კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ", პარტიამ, მათ შორის საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, დიდი მუშაობა გასწია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1946 წლის 23 სექტემბერს მიიღეს დადგენილება "კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შუქზე". დადგენილება საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს ავალებდა 1946 წლის 15 ნოემბრამდე შეემოწმებინათ და შეემცირებინათ კოლმეურნეობებში ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის შტატები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო შრომადღეების ხარჯი განესაზღვრათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად; დაედგინათ თითოეული კოლმეურნეობიდან უკანონოდ მითვისებული ქონების, პირუტყვისა და ფულადი სახსრების რაოდენობა და უზრუნველეყოთ მათი დაბრუნება; მოეხდინათ კოლმეურნეობათა მიმართ სხვადასხვა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და ცალკეულ პირთა დებიტორული დავალიანების ლიკვიდაცია; დაებრუნებინათ კომლეურნეობებისათვის ცალკეული კოლმეურნეების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ მითვისებული მიწები, აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ომის წლებში დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად დროებით გადაეცათ სამრეწველო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სამხედრო ნაწილებს[3].

ამ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით თითოეულ კოლმეურნეობაში შეიქმნა კომისიები, პარტიის რაიონული კომიტეტის, ან რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლის, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის შემადგენლობით. კომისიას უნდა შეემოწმებინა მიწათსარეგბლობის მდგომარეობა, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები, კოლმეურნეობებისათვის უკანონოდ ჩაბარებული პირუტყვის და ფულადი სახსრების რაოდენობა, აგრეთვე დებიტორული დავალიანება[4].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების ფართოდ გაცნობის მიზნით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანოებს დაავალა სასოფლო რაიონებში 5 ოქტომბრამდე ჩაეტარებინათ პარტიული აქტივის კრებები, ხოლო 10 ოქტომბრამდე – კოლმეურნეთა საერთო კრებები, ამასთან კოლმეურნეობებში მოეწყოთ ამ დადგენილების გაცნობა-განმარტება.

18 ოქტომბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო სასოფლო რაიკომების პირველი მდივნების თათბირი, რომელმაც მოისმინა ინფორმაციები ადგილებიდან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა აღმოსაფხვრელად წარმოებული მუშაობის შესახებ[5]. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის რაიკომებს მოსთხოვა უფრო ფართოდ ჩაებათ კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა გამოვლინება-ლიკვიდაციის საქმეში.

კომისიათა მუშაობის შედეგებს განიხილავდნენ კოლმეურნეთა საერთო კრებები და ამტკიცებდნენ რაიონული საბჭოების აღმასკომები[6].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, აგრეთვე ეროვნულ კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სისტემატურად ამოწმებდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას და იღებდნენ ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხთრელად, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ”1946 წელს გაწეული მუშაობის შესახებ” ნათქვამია, რომ 1946 წელს ”გამოვლინებულია 13 883 განიავებული და დატაცებული კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწა. აღრიცხულია 26 775 ჰექტარი მიწა, რომლებიც ორგანიზაციებსა და პირებს გამოუყვეს დროებითი სარგებლობისათვის. ამრიგად, კოლმეურნეობებს უნდა დაბრუნებოდა 40 658 ჰექტარი მიწა. 25 დეკემბრისათვის არსებული ცნობებით ამ ფართობიდან კოლმეურნეობებს დაუბრუნდა 40 565 ჰექტარი”[7].

1946 წელს გამოავლინეს და კოლმეურნეობებს გადასცეს უკანონოდ გაცემული და განიავებული პროდუქტები (1242,5 ტონა), პირუტყვი (122 14 სული), ფული (8,2 მლნ მანეთი) და კოლმეურნეობათა დებიტორული დავალიანება (33 მლნ მანეთი). კოლმეურნეობათა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატები შემცირდა 7956 ერთეულით, რის შედეგადაც ჩამოიწერა უკანონოდ დარიცხული 797 108 შრომადღე. ფულადი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები 427 კოლმეურნეობაში 621 369 მანეთით შემცირდა. გამოვლინდა ისეთი სამუშაოებისათვის შრომადღეების დარიცხვის ფაქტებიც, რომლებსაც საკოლმეურნეო წარმოებასთან საერთო არაფერი ჰქონდა (405 793 შრომადღე ჩამოიწერა)[8].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დასაჯეს საკოლმეურნეო ქონების დამტაცებელნი.

1946 – 1948 წლებში, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობაზე, (1949 წლის 25 – 29 იანვარი), კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 51 ათას ჰექტარზე მეტი მიწა, 2725 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 7 994 ცხვარი, 67 ათასი ფუთი მარცვლეული, 13 337 ათასი მანეთი ფულად. დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციის გზით კოლმეურნეობებმა მიიღეს

150 მილიონი მანეთი. ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის შტატების შემცირებისა და იმის ხარჯზე, რომ ხელფასი მოუხსნეს პირებს, რომლებსაც კოლმეურნეობებთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ (13 ათას კაცს)[9], კომლეურნეობებმა დაზოგეს მილიონობით შრომადღე და ათეულ მილიონობით მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა გამოვლინებასა და აღმოფხვრას ხელს უწყობდა 1949 წლის იანვარ-თებერვალში კოლმეურნეობებში გამართული საანგარიშო კრებები[10], სადაც განიხილავდნენ კოლმეურნეობათა 1948 წლის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის წლიურ ანგარიშებს[11].

მიუხედვად ამისა, საქართველოს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა მთლიანად აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხდა. 1952 წლის 8 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება ”კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ღონისძიებების თაობაზე” სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 26 თებერვლის დადგენილება[12], რომელიც მიღებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 8 თებერვლის დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს ავალებდა: განეხილათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 8 თებერვლის დადგენილება კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახურულ კრებებზე და დაესახათ მისი განხორციელების ღონისძიებანი; სისტემატურად შეემოწმებინათ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. ”მოესმინათ კოლმეურნეობათა გამგეობების ანგარიშები ამ საკითხზე და დაუყოვნებლივ მიეღოთ ამომწურავი ზომები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამოვლინებულ დარღვევათა სალიკვიდაციოდ და კოლმეურნეობებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, უზრუნველეყოთ ნაკლოვანებათა დრული აღმოფხვრა”[13].

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალებოდა სისტემატურად შეემოწმებინა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვა, მოეწესრიგებინა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია, აღრიცხვა და საკონტროლო-სარევიზიო სამუშაოები[14].

1952 წლის 26 მაისს კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი დოვლათის დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი განიხილა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

საქართველოს კპ (ბ) XV ყრილობაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში (1949 – 1952 წლები) კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 7 779 ჰექტარი

მიწა, აქედან 462 ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავებით, 36 587 ცენტნერი მარცვლეული, 1 661 ცენტნერი მეცხოველეობის პროდუქტები, 3 392 ცენტნერი სხვა პროდუქტები, 6 926 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 27 977 თხა და ცხვარი, 1926 ღორი, 478 ცხენი, 61 826 ფრთა ფრინველი და თითქმის 93 მილიონი მანეთი ფულად[15].

კოლმეურნეობათა ორგანიზაციული განმტკიცების ერთ-ერთი ღონისძიება იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს შექმნა. მის შემადგენლობაში შედიოდა 39 კაცი. საქართველოს სს რესპუბლიკიდან კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს წევრი იყო აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელგანთქმული კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჯგუბურია. კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ჰყავდა თავისი წამრომადგენელი, რომელიც დამოუკიდებული იყო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან[16]. 1946 წლის ოქტომბერში აღნიშნული საბჭო შეუდგა მუშაობას. მისი მოვალეობა იყო მკაცრი კონტროლი დაეწესებინა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვაზე, აღეკვეთა კოლმეურნეობის წესდების დარღვევის შემთხვევები, გადაეწყვიტა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმმა. პლენუმის დადგენილებაში ”ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ” მოცემულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, პირველ რიგში მარცვლეულის მეურნეობის, სწრაფი აღდგენისა და შემდგომი განვითარების პროგრამა.

საქართველოს მშრომელებში უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ. ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. სამრეწველო საწარმოთა მუშები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვისათვის, დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის. სამრეწველო საწარმოები შეფობდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, ამზადებდნენ მათთვის ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებსა და დეტალებს, მასალას, მოწყობილობას და იარაღს, სოფლად გზავნიდნენ კვალიფიციურ სპეციალისტთა ბრიგადებს[17].

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააცნეს მშრომელებს, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის მუშაკებს, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება ”ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებთაა შესახებ”. პლენუმის შედეგები განიხილეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური

კომიტეტის პლენუმმა (1947 წლის 20 –21 მაისს), საქართველოს კპ (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებმა, პარტიული აქტივის რაიონულმა და საქალაქო კრებებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებმა. ამრიგად, როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში "1947 წელს გაწეული მუშაობის შესახებ", საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის[18].

1947 წლის აპრილში გამოქვეყნდა საქართველოს კოლმეურნეების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა ვალდებულებანი 1947 წლის გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ[19].

1947 წლის ივლისში საქართვლეოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მეორე მდივნის თანამდებობის ნაცვლად შემოიღეს თანამდებობა მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში და მესამე მდივნის თანამდებობის ნაცვლად – მდივანი მრეწველობის დარგში[20]. ეს რეორგანიზაციაც მოწმობს იმ ყურადღებას, რასაც პარტია იჩენდა ომის შემდგომი ეკონომიკის აღმავლობისადმი.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს კომკავშირელებიც. 30 – 31 მაისს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი: "საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა "ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით[21]. სოფლად კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად პლენუმმა მიიჩნია მთელი ახალგაზრდობის მობილიზაცია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის. გათვალისწინებული იყო მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლიანობის გადიდება, მოსავლის უდანაკარგოდ აღება, პირუტყვის სულადობის ზრდა და მისი პროდუქტიულობის ამაღლება, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება[22]. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კომკავშირელებმა ღირსეულად შეასრულეს სოფლის ახალგაზრდობის ავანგარდის როლი. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებანი უწინარეს ყოვლისა კოლმეურნე ახალგაზრდობის დამსახურებაა.

კოლმეურნეობებში შრომადღეთა ხარჯვის მოსაწესრიგებლად, სწორი ორგანიზაციისა და ანაზღაურების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა

ენიჭებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის დადგენილებას "კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების მიღების შემდეგ კოლმეურნეთა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი შრომის ანაზღაურება დამოკიდებული იყო შრომის საბოლოო შედეგებზე. უხვი მოსავლის მიღებით კოლმეურნეთა დასაინტერესებლად დადგენილება კოლმეურნეობებს ურჩევდა შემოსავალი გაენაწილებინათ ბრიგადისა და რგოლის მიერ მოწეული მოსავლის მიხედვით. შრომადღეთა ხარჯვის მოწესრიგებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის დადგენილებამ "ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის შტატების შემცირებისა და მათი ხელფასის ასანაზღაურებლად შრომადღეთა ხარჯვის მოწესრიგების შესახებ". მაგრამ ამ დადგენილებით გატარებული შემცირების შემდეგაც კოლმეურნეობათა გემგეობისა და მომსახურების აპარატს ბევრი შრომადღე ერიცხებოდა.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო მათი გამსხვილება. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანები წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით მოცემულია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 30 მაისისა და 9 სექტემბრის დადგენილებებში "წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ", სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 17 ივლისის დადგენილებაში "წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ" და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აპრილის დახურულ წერილში "წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ"[23].

კოლმეურნეობათა გამსხვილების პროცესში განხორციელდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და ყოველმხრივ განვითარებულ, დიდშემოსავლიან მეურნეობებად მათი გარდაქმნის ღონისძიებანი. მნიშვნელოვნად შემცირდა კოლმეურნეობათა ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის შტატები, აგრეთვე მათი შენახვის ხარჯები, გაუმჯობესდა მუშაობა გამსხვილებულ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ მუშაკთა (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეები, საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელები, ფერმის გამგეები და სხვ.) კადრების შესარჩევად, ამაღლდა კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

თუ 1945 წლის დამლევს საქართველოში 4 065 კოლმეურნეობა იყო, 1953 წლის დამლევს რესპუბლიკაში 2 057 გამსხვილებული კოლმეურნეობა არსებობდა[24]. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს კოლმეურნეობების საკოლმეურნეო კომლთა რაოდენობა, საზოგადოებრივი ნათესების ფართობი,

საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვის, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, განუყოფელი ფონდები და საერთო ფულადი შემოსავალი. ეს მოწმობდა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცებას.

რა თქმა უნდა, კოლმეურნეობათა გამსხვილება, ისევე როგორც ყოველი დიდი საქმე, დაზღვეული არ იყო ცალკეული ხარვეზებისა და შეცდომებისაგან. საქართველოში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად, კოლმეურნეობათა გამსხვილებისას ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის შემცირების ფაქტებს. "კოლმეურნეობათა გამსხვილებისას საზოგადოებრივი პირუტყვის დაკვლის ფაქტების შესახებ" საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 31 ივლისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაავალა მიეღოთ საჭირო ზომები და კოლმეურნეობათა გაერთიანების დროს არ დაეშვათ საკოლმეურნეო ქონების დატაცება[25].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 29 აგვისტოს დადგენილებამ "საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და თავმჯდომარეთა და ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობის განმტკიცების სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ" გამოავლინა კოლმეურნეობათა გამსხვილების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. იყო საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის შემთხვევები. ზოგიერთ კოლმეურნეობაში კოლმეურნეობათა გამსხვილების საკითხს განიხილავდნენ არაუფლებამოსილ კრებებზე. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის დროს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა შემოწმებული გამოცდილი მუშაკების, მეტადრე ქალების დაწინაურებას. ბევრ კოლმეურნეობაში მოსაგვარებელი იყო გაერთიანებულ კოლმეურნეობათა ქონების აღრიცხვისა და მიღების საქმე, ხოლო ზოგან ადგილი ჰქონდა პირუტყვის, ქონებისა და ფულადი სახსრების განიავებას. საქართველოს კპ (ბ) ცალკეული რაიკომები კოლმეურნეობათა გამსხვილების საქმეში საკმაოდ აქტიურად არ იზიდავდნენ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს, ამიტომ ყველგან დამაკმაყოფილებლად როდი იყო მოწყობილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა – კოლმეურნეთათვის მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის განმარტება.[26]

ეს და სხვა ნაკლოვანებანი დამახასიათებელია არა მარტო 1950 წლისათვის, როცა კოლმეურნეობათა გამსხვილების სამუშაოები ის-ის იყო იწყებოდა, არამედ 1951 წლისთვისაც. ამიტომ საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია მიემართა პარტიული ორგანიზაციებისათვის წერილით "წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ"[27].

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის კადრების მომზადებისა და ხელმძღვანელი

საკოლმეურნეო კადრების შემადგენლობის განმტკიცებისათვის. კოლმეურნეობათა გამსხვილების გადაწყვეტილების მიღებისთანავე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ღონისძიებათა მთელი სისტემა დასახეს სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების განსამტკიცებლად. 1950 წლის 9 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება "პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობის შემდგომ განმტკიცებაში"[28]. ეს გასაგებიცაა. ყოველი საქმის წარმატებას კადრები წყვეტენ. გამსხვილებულ კოლმეურნეობებს, საწარმოო ბრიგადებს, საკოლმეურნეო ფერმებს ესაჭიროებოდათ არა მარტო კომუნიზმის საქმის ერთგული კადრები, არამედ საკოლმეურნეო წარმოების გამოცდილი ორგანიზატორებიც.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებლად 1947 წელს მოეწყო ორწლიანი სკოლა, აქვე გაიხსნა – კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადასამზადებელი 6- თვიანი კურსებიც.

1952 წლის ნოემბერში 2 057 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 406 კაცს, ანუ 19,7 პროცენტს, საშუალო განათლება – 895 კაცს, ანუ 43,3 პროცენტს[29]. გამსხვილებულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად დაწინაურების საქმეში არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე მეტყველებს ის, რომ საქართველოში მხოლოდ 22 ქალი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე[30]. 1952 წლის 9 თვის განმავლობაში შეიცვალა 263 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ანუ მათი საერთო რაოდენობის 12,3 პროცენტი[31]. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევისას საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ აქცევდა კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებისა და სხვა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის ლენინურ პრინციპს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში პოლიტნაწილში დირექტორის მოადგილის თანამდებობის დაწესების შესახებ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1947 წლის 25 მარტს გამოყოფილმა კომისიამ შეარჩია სათანადო კანდიდატურები უმთავრესად რაიკომების მდივნებისაგან[32].

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების სამჭედლო იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები.

მექანიზატორთა მომზადება-გადამზადება ხდებოდა როგორც მექანიზაციის სკოლებში და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან არსებულ სპეციალურ კურსებზე, ისე საქართველოს სსრ არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სისტემაში. მაგალითად, 1948 წელს

საქართველოს არმიის ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ წარმოებისაგან მოუწყვეტლად ტრაქტორისტის სპეციალობა შეასწავლა 756 კაცს[33].

სოფლის მეურნეობისათვის დიდი რაოდენობით მზადდებოდა მასობრივი კვალიფიკაციის კადრი. 1947 წელს საქართველოში მომზადებულ და გადამზადებულ იქნა მასობრივი კვალიფიკაციის მქონე 34 728 კაცი ნაცვლად 1946 წლის 20 586 კაცისა[34].

რამდენიმე ასეული არასპეციალობით მომუშავე ადამიანი გაიგზავნა სოფლის მეურნეობის, ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის, წყალთა მეურნეობის სამინისტროებში და მათს ადგილობრივ ორგანოებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის რაიონულ განყოფილებებში, კოლმეურნეობათა აგრონომიულ და ზოოტექნიკურ უბნებში[35].

1949 წელს (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის მიღებასთან დაკავშირებით) საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს მეცხოველეობის კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი[36].

მოგვყავს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში სპეციალისტთა დასაქმებისა და მომზადების ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემი (იხ. ცხრილი 5)[37]:

ცხრილი 5

(ათასობით)

	1941 წლის 1 იანვრისათვის	1950 წ.	1946 – 1950 წწ.	1951 – 1955 წწ.	1955 წლის 1 ივლისი-სათვის
უმაღლესი განათლების მქონე აგრონომების ზოოტექნიკოსების, ვეტექიმებისა და მეტყევეების რაოდენობა	3,0	-	-	-	7,4
საშუალო სპეციალური განათლების მქონე აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტმუშაკებისა და მეტყევეების რაოდენობა	2,1	-	-	-	5,4
უმაღლესი სასწავლებლებიდან აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტექიმების, მეტყევეების, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ინჟინრების გამოშვება ..	-	-	1,8	3,9	-
ტექნიკუმებიდან აგრონომების, ზოოტექნიკოსების,ვეტტექნიკოსების, ვეტფერშლების, სოფლისა და სატყეო მეურნეობების ტექნიკოსთა გამოშვება	-	2,8	7,4	4,9	-
სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების გამოშვება	-	1,9	-	2,1	-
	-	0,05	-	1,7	1
აქედან:				1,3	

ტრაქტორისტები					
კომბაინერები, მექანიკოს-კომბიანერები					

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობაში მოკალათებულ პარაზიტული, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ განხორციელებულმა ღონისძიებებმა.

1948 წლის ივნისიდან საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გაიმართა კოლმეურნეთა კრებები, რომლებზეც ამხილეს პარაზიტული ელემენტები და გამოუტანეს საზოგადოებრივი განაჩენი. არტელის ზოგიერთი წევრი გაფრთხილებულ იქნა აქტიური მონაწილეობა მიეღო საწარმოო მუშაობაში. ამ კამპანიის ჩატარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობა[38].

1948 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს სსრ 58 რაიონის 171 კოლმეურნეობის კრებამ 656 კოლმეურნეს გაფრთხილება მისცა[39].

ამ ღონისძიების გატარების დროს საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მითითებით იმის შესახებ, რომ ამოცანაა ბრძოლა გამოვუცხადოთ გამოუსწორებელ ანტისაკოლმეურნეო, პარაზიტულ ელემენტებს, მათი დასჯით გავაფრთხილოთ სხვა დაუდევარი კოლმეურნეები და მივაღწიოთ ყველაზე დიდ შედეგებს შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და ყველა კოლმეურნის საწარმოო აქტივობის ამაღლებაში.

ამ და ომის შემდგომ წლებში განხორციელებულმა სხვა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს საქართველოს კომლეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.

---

[1] Газ. «Заря Востока», 15 сентября 1946 г.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 1, ფურც. 6.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 120, ფურც. 17.
[4] იქვე, ფურც. 18.
[5] იქვე, საქ. 170, ფურც. 95.
[6] იქვე, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 257.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 257.
[8] იქვე, ფურც. 258; აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 58.

[9] «XIV съезд Коммунистической партии (большевиков) Грузии, Стенографический отчет», Тб., 1949, стр. 155.
[10] კოლმეურნეობებში საანგარიშო კრებები გაიმართა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 10 იანვრის დადგენილების შესაბამისად.
[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1949 წლისა, საქ. 1, ფურც. 57.
[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 96, ფურც. 35 - 38.
[13] იქვე, ფურც. 36.
[14] იქვე.
[15] იქვე, ფ. 17, აღწ. 52, საქ. 776, ფურც. 10.
[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 381, ფურც. 26.
[17] Газ. «Заря Востока», 21 марта 1947 г.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 9.
[19] Газ. «Заря Востока», 19 апреля 1947 г.
[20] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 97, ფურც. 2.
[21] იქვე, ფ. 96, აღწ. 9, საქ. 3.
[22] იქვე, ფურც. 6, 7.
[23] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 100, ფურც. 2; საქ. 158, ფურც. 2 – 5; საქ. 126, ფურც. 3.

[24] «Советская Грузия за 40 лет», стр. 75.
[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 126, ფურც. 31.
[26] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 139, ფურც. 63 - 67.
[27] იქვე, აღწ. 21, საქ. 126, ფურც. 5.
[28] იქვე, აღწ. 1948 წლისა, , საქ. 48, ფურც. 157.
[29] იქვე, აღწ. 23, საქ. 323, ფურც. 32.
[30] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 323, ფურც. 32.
[31] იქვე.
[32] იქვე, აღწ. 4, საქ. 51, ფურც. 20.
[33] იქვე, აღწ. 1948 წლისა, საქ. 128, ფურც. 4.
[34] იქვე, საქ. 18, ფურც. 13.
[35] იქვე, ფ. 14, აღწ. 21, საქ. 21, ფურც. 3.
[36] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1949 წლისა, საქ. 78, ფურც. 46.
[37] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულების «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 165; «Грузинская ССР», 1959, стр. 272 – 273, 320, 322, 323 მიხედვით.
[38] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ.1948 წლისა, საქ. 74, ფურც. 11; საქ. 115, ფურც. 163 – 166.
[39] იქვე, საქ. 115, ფურც. 163.

§ 5. პარტიის ღონისძიებანი სოფლად პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის. ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დასანერგავად

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო ისე, თუ არ გაძლიერდებოდა

პოლიტიკური მუშაობა სოფლად, თუ ფართოდ არ დაინერგებოდა მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

პარტიამ არაერთი ღონისძიება განახორციელა სასოფლო საბჭოების მუშაობის გასაძლიერებლად. 1946 – 1953 წლებში სამჯერ გაიმართა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, მათ შორის სასოფლო საბჭოების არჩევნები. 1948 წლის 11 იანვარს ჩატარდა მეორე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების, 1950 წლის 17 დეკემბერს – მესამე და 1953 წლის 22 თებერვალს მეოთხე მოწვევის არჩევნები. ყოველი არჩევნების დროს ახლდებოდა სასოფლო საბჭოების შემადგენლობა – საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეთა არჩევის გზით. სასოფლო საბჭოები აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლაში, რომლის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა აღმოფხვრა, მატერიალურ წარმოებაში მშრომელთა ფართო მოზიდვა, პარაზიტული ელემენტებისაგან კოლმეურნეობათა გაწმენდა, აგრეთვე პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობისა და აგროტექნიკური პროპაგანდის გაძლიერება.

ომის შემდგომ წლებში სასოფლო საბჭოების რაოდენობა შემცირდა. 1940 წლის დამდეგისათვის საქართველოში 1099 სასოფლო საბჭო იყო, ხოლო 1956 წელს – 942[1]. მართალია, ამ პერიოდში გაიზარდა ქალაქებისა და დაბების რაოდენობა, შემცირდა სოფლის მოსახლეობა, ზოგიერთი მთის სოფელი გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების გეგმის განხორციელების შედეგად, მაგრამ ძირითადად სასოფლო საბჭოების რაოდენობის შემცირება გამოწვეული იყო მათი გამსხვილებით. ამასთან დაკავშირებით გაუქმდა ზოგიერთი წვრილი სასოფლო საბჭო[2]. სასოფლო საბჭოების გამსხვილება ხელს უწყობდა მათი მუშაობის გაძლიერებას.

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში წარმატების მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობა იყო კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს კოლმეურნეობათა საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების ძირთიადი მიზეზი იყო კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. რესპუბლიკის 4 079 კოლმეურნეობიდან 1 446 კოლმეურნეობაში საერთოდ არ არსებობდა პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ხოლო 356 კოლმეურნეობაში არც კომკავშირული ორგანიზაცია იყო.

რაიონულმა კომიტეტებმა იხელმძღვანელეს პარტიის ზრდისა და საკ. კპ (ბ) რიგებში ახლადშესულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ საკ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 26 ივლისისა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებებით და არაერთი ღონისძიება განახორციელეს

კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიაში მოწინავე კოლმეურნეთა, აგრონომთა, მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტთა მიღებას. 1946 წლის მეორე ნახევარში საქართველოს კომპარტიის ახალმიღებულ წევრთა შემადგენლობაში კოლმეურნეთა პროცენტი 1946 წლის პირველ ნახევართან შედარებით 33,5-დან 36,4-მდე გაიზარდა. 1946 წელს შეიქმნა 460, ხოლო 1947 წელს – 314 ახალი პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია[3].

კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს სისტემატურად განიხილავდნენ საქართველოს კპ (ბ) რაიონული კომიტეტების პლენუმები და ცენტრალური, საოლქო და რაიონული კომიტეტების ბიუროთა სხდომები.

1950-1953 წლებში კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ სამაგიეროდ საგრძნობლად იკლო იმ კოლმეურნეობათა რიცხვმა, სადაც პარტიული ორგანიზაციები არ იყო. გაუმჯობესდა მათი მუშაობა, ამაღლდა მათი როლი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში, აგრეთვე საკოლმეურნეო სოფლის მთელ ცხოვრებაში. 1953 წლის დამლევს საქართველოს კპ (ბ) რიგებში სოციალური მდგომარეობის მიხედვით 48 791 გლეხი იყო, ხოლო საქმიანობის მიხედვით 42 440 კოლმეურნე[4]. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, კოლმეურნეთა გარდა, მრავალი ათასი კომუნისტი – მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, სამელიორაციო სისტემებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულების მუშაკი იყო ჩაბმული.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, აქტიურად იზიდავდნენ კომკავშირულ ორგანიზაციებს რესპუბლიკის სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1946 წელს საქართველოს ალკკ რიგებში შევიდა 11 ათასზე მეტი კოლმეურნე[5]. 1948 წლის დამდეგისათვის კომკავშირული ორგანიზაციები არსებობდა 3 931 კოლმეურნეობაში[6]. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კომკავშირელები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მთელი არმიის ავანგარდში იდგნენ. 1953 წელს სოფლის მეურნეობაში 72 ათასზე მეტი კომკავშირელი იყო დასაქმებული[7]. საქართველოს კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდნენ რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღმავლობის ომის შემდგომი გეგმების განხორციელებისათვის.

სოფლად პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ”სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის მიღებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო-პროპაგანდული მუშაობის შესახებ” (1946 წლის აპრილი) პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ძირეული გაუმჯობესება. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველომ და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ამას მოწმობდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის (1948 წლის 15 – 17 აპრილი) დღის წესრიგი: 1. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები 1948 წელს სოფლის მეურნეობის დარგში; 2. სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დაყენება და 3. ორგანიზაციული საკითხი[8].

ომის შემდგომ წლებში სოფლად გაფართოვდა კლუტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, გაუმჯობესდა მათი მუშაობის ხარისხიც. ეს ჩანს მე-6 ცხრილიდან[9].

ცხრილი 6

(წლის დამლევისათვის)

	1945	1950	1954
მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა	1 393	1 757	2 194
მათი წიგნადი ფონდი (ათას ცალობით)	789	2 316	4 884
	1 294	1 689	1 624
საკლუბო დაწესებულებათა რაოდენობა	151	329	564
კინოდანადგართა რაოდენობა	841	2 586	5 557
მაყურებელთა რაოდენობა კულტურის სამინისტროს კინოდანადგარებში წლის მანძილზე (ათასობით)			

სოფლის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით 1949 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება "კოლმეურნე"[10].

სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და სპორტულ საზოგადოებათა მუშაობის შედეგებმა თავი იჩინა სოფლის მშრომელთა პრაქტიკულ საქმიანობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

1946 წელს საქართველოში ტარდებოდა ცდები დატოტვილი ხორბლის მედეგი ჯიშების გამოსაყვანად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ჩვენი რესპუბლიკის ეს წამოწყება და 1946 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს სსრ ადიგენის რაიონში მოაწყო სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს სათესლე მარცვლეულის საცდელი საბჭოთა მეურნეობა. მართალია, ცდებს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეს მხარდაჭერა მოწმობს პარტიისა და სახელმწიფოს მუდმივ ზრუნვას ახლისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

1947 წლის 1 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულების შესაბამისად მიიღო დადგენილება "ფორთოხლისა და ლიმონის საუკეთესო ფორმების მასობრივ შერჩევაში აქტიური მონაწილეობისათვის ცდების მწარმოებელი კოლმეურნეების, მებაღე მუშებისა და აგრონომების მოზიდვის ღონისძიებათა შესახებ". დაწესდა პრემიები ძვირფასი ახალი ყინვაგამძლე, უხვმოსავლიანი, საადრეო და გემრიელი ჯიშების გამოყვანისათვის[11]. ციტრუსების ნარგავთა ახალი ჯიშების მასობრივი შერჩევის მოწყობის სამუშაოთა მეთოდური ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოხუმის ტენიან-სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სასელექციო სადგურს. დადგენილებით გათვალისწინებული იყო აგროლაბორატორიების მოწყობა 9 საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო ქოხ-ლაბორატორიებისა – 6 კოლმეურნეობაში. აგროლაბორატორიებს სათავეში უნდა ჩადგომოდნენ საბჭოთა მეურნეობების გამოცდილი აგრონომები, ქოხ-ლაბორატორიებს კი კვალიფიციური აგრონომები ან მოწინავე პრაქტიკოსები. გამოყვანილ ციტრუსოვანთა საუკეთესო ჯიშების ფართოდ ჩვენების, აგრეთე ჯიშების გამომყვანთა წახალისების მიზნით 1947 წლიდან გათვალისწინებული იყო რაიონული და რესპუბლიკური გამოფენების ყოველწლიურად მოწყობა, საუკეთესო სელექციონერთა დაჯილდოვება[12].

1947 წელს ციტრუსების მასობრივი სელექციის სამუშაოებში ჩაბმულ იქნა ცდების მწარმოებელი 140 კაცი. მოეწყო ზონალური საინსტრუქციო თათბირები და 4 სარაიონთაშორისო გამოფენა[13].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს საგანგებო დადგენილება ცდების მწარმოებელ

ბესტავაშვილის მიერ ატმისა და ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანის სამუშაოთა შესახებ (1947 წლის 3 ოქტომბერი). გორის რაიონის სოფელ წედისის კოლმეურნე ვასილ ბესტავაშვილი 1912 წლიდან მუშაობდა ატმისა და ვაზის ჯიშების გამოყვანა-გაუმჯობესებაზე. მან გამოიყვანა რამდენიმე ახალი ჯიში. დაისახა ღონისძიებანი ატმის ამ ახალი ჯიშების საკონსერვო ქარხნების ზონებში გასავრცლებლად. ვ. ბესტავაშვილის ნაკვეთი საცდელ ნაკვეთად გამოცხადდა. სახელოვან სელექციონერს მისცეს პრემია და დაენიშნა პერსონალური პენსია[14].

1948 წელს ჩატარდა მოწინავე მეჩაიეთა (იანვრში) და მევენახეთა (მარტში) რესპუბლიკური თათბირები, რომლებიც მოწინვეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის ნიშნით მიმდინარეობდა. თათბირებმა მოწოდებით მიმართეს ყველა მეჩაიეს და მევენახეს, მეჩაიეობის და მევენახეობის ახალი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ[15].

სოფლის მეურნეობაში მეცნიერული აღმოჩენებისა და მოწინავე გამოცდილების გეგმიური და სისტემატური დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებას ”სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის საქმის მოგვარების შესახებ”[16]. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა კვალიფიციური კადრებით დაეკომპლექტებინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველო და მისი ახლად შექმნილი ადგილობრივი ორგანოები[17]. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროებს დაევალათ შეემუშავებინათ წინადადებანი მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა, პირველ რიგში ტრაქტორისტთა და მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზატორთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმის გაუმჯობესების შესახებ[18].

გამოიყო კომისია, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების არსებული ქსელის რეორგანიზაციისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ითვალისწინებდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას და მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას. განვლილი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების შეჯამებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე გამოცდილებისა და მიღწევების პროპაგანდისათვის უნდა მოწყობილიყო რაიონული და რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. კინემატოგრაფიის სამინისტროს დაევალა სპეციალური სასწავლო-საწარმოო კინოფილმების შექმნა[19].

”სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის საქმის მოგვარების შესახებ” სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 19 ივნისის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1951 წლის 1 მარტს მიიღეს დადგენილება ”საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლების მოწყობის შესახებ”, რომელიც კოლმეურნეობებს ურჩევდა 1951 – 1953 წლებში შეექმნათ სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლები – ცდების მწარმოებელ კოლმეურნეთა სამუშაო კერა, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ცენტრი. აქვე მოეწყობოდა კოლმეურნეთა მასობრივი აგროზოოტექნიკური სწავლება[20].

ამ დადგენილებებს სათანადო შედეგებიც მოჰყვა. 1950 წელს კოლმეურნეობებში ჩატარდა 2 ათასზე მეტი ლექცია-საუბარი, უჩვენეს 700-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ფილმი, გაიმართა 700-ზე მეტი რადიოსაუბარი, მოეწყო სოფლის მეურნეობის მოწინავეთა 300-მდე გამოსვლა საკუთარი მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, 27 რაიონში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, გამოიცა 50 სტატია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესახებ, აგრეთვე 180 წიგნი და ბროშურა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. კოლმეურნეობებთან გაიხსნა 1600-მდე სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსები წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლებისათვის. 1950 წელს აქ (პირველ კურსზე) 40 ათასზე მეტი კოლმეურნე ეუფლებოდა პროფესიას. მასობრივ პროფესიათა მოკლევადიან კურსებზე დაახლოებით 11,5 ათასი კოლმეურნე ირიცხებოდა, 3 ათასამდე აგრონომი და ზოოტექნიკოსი კურსებზე ან სემინარებზე იმაღლებდა კვალიფიკაციას. 1951 წელს დაიწყო 300 სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლის მშენებლობა[21].

სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის წლიურ გეგმებს ამტკიცებდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. შემდეგ ამ გეგმებით გათალისწინებულ ღონისძიებებს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები აცნობდნენ კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და შეჰქონდათ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საწარმოო-ფინანსურ გეგმებში. მეცნიერების მიღწევებისა და მოწინვე გამოცდილების დანერგვის ღონისძიებათა შესრულება გათალისწინებული იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობების ხელშეკრულებებით[22].

ასეთია მოკლედ ის ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია ახორციელებდა ომის შემდგომ წლებში სოფლად პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

[1] იხ. «Грузинская Грузия за 40 лет», стр. 11; «Народное хозяйство СССР в 1961 году», 1962, стр. 33.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 556, ფურც. 66.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 33, ფურც. 231; აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 17.
[4] იქვე, აღწ. 48, საქ. 105, ფურც. 23.
[5] იქვე, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 333.
[6] «Сорок лет Советской Грузии», стр. 473.
[7] «Сорок лет Советской Грузии», стр. 473.
[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 75.
[9] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 202 – 204 მიხედვით.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1949 წლისა, საქ. 93, ფურც. 65 - 66.
[11] იქვე, აღწ. 4, საქ. 476, ფურც. 21.
[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 476, ფურც. 23.
[13] იქვე, აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 14.
[14] იქვე, აღწ. 4, საქ. 127, ფურც. 36 - 37.
[15] Газ. «Заря Востока», 29 января и 20 марта 1948 г.
[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 126, ფურც. 2.
[17] იქვე.
[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 126, ფურც. 2.
[19] იქვე, გვ. 3.
[20] იქვე, აღწ. 22, საქ. 33, ფურც. 37.
[21] პარტიული აპქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ.38,ფურც.40.
[22] იქვე,აღწ. 27, საქ.73, ფურც.53.

§ 6. ქართველ კოლმეურნეთა მონაწილეობა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. კოლმეურნე გლეხობის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებანი

ომის შემდგომი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შედგენისას პარტია და სახელმწიფო ითვალისწინებდნენ, რომ ამ პროგრამის დიადი მიზნები აღაფრთოვანებდა მთელ საბჭოთა ხალხს, კიდევ უფრო აამაღლებდა მათს შემოქმედებით აქტივობას და მტკიცედ დარაზმავდა ჩვენი დიდი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის სწრაფი აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმმა უწინარეს ყოვლისა გამოხატულება პოვა მეოთხე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

1946 წლის 24 მაისს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა რესპუბლიკური კომისია სოფლის მეურნეობაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად[1].

31 მაისს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვა საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი სუბტროპიკული კულტურების განვითარების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. სუბტროპიკული რაიონების პარტიის რაიკომების მდივნებს წინადადება მიეცათ მიმართვა ფართოდ განეხილათ რაიონულ თათბირებზე, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და უზრუნველეყოთ როგორც დავალებათა გადაჭარბებით შესრულება, ისე სუბტროპიკული კულტურების შემდგომი განვითარების კონკრეტულ ვალდებულებათა მიღება[2]. აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვა გამოქვეყნდა ივნისის დამდეგს[3]. მას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა.

საქართველოში მარცვლეული მეურნეობის განვითარების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორებად გამოვიდნენ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეები. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები, ფერმები, რგოლები. მოწინავე მეცხოველეების მ. პლიევას, ა. ლენსვერიძისა და სხვათა მოწოდებით მეცხოველეობის ფერმებსა და ბრიგადებს შორისაც გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტური შეჯიბრება მეოთხე ხუთწლედის გეგმის დავალებათა შესასრულებლად კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მობილიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო.

“ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ” საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილების პასუხად საქართელოს კოლმეურნეებმა იკისრეს 1947 წლის გეგმების ვადამდე შესრულების კონკრეტული ვალდებულებანი[4]. მომდევნო წლებში მსგავსი ვალდებულებების აღება ტრადიციად იქცა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურნენ ალტაის მხარის მხვნელ-მთესველთა მოწოდებას ებრძოლათ მარცვლეულის უხვი მოსავლისათვის[5]. მეოთხე ხუთწლედში რესპუბლიკაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მეჩაიეობის, მეხილეობისა და მევენახეობის ახალი აღმავლობისათვის. საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტრაქტორებისა და კომბიანების პარკის მაღალი მწარმოებლურობისათვის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობის საათობრივი გრაფიკის

შემოღებისათვის. 1950 წელს საქართველოს ტრაქტორისტები და კომბაინერები ჩაებნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო ხარისხის სატრაქტორო ბრიგადისა და კომბაინერის სახელწოდებისათვის.

რესპუბლიკის სოფლებში სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1948 წლის იანვარ-მარტში ჩატარებულ მეჩაიეთა[6] და მევენახეთა[7] რესპუბლიკურ თათბირებს, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მოწინავე კოლმეურნეები, სპეციალისტები, მერგოლურები, ბრიგადირები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეები, საქართველოს კპ (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნები. ამ თათბირებმა მიიღეს მიმართვები საქართელოს ყველა მეჩაიესა და მევენახისადმი ჩაის მეურნეობისა და მევენახეობის აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაძლიერების შესახებ.

1949 წელს ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის აღმავლობისათვის. მან ცხადყო, თუ რა ერთსულოვნად მოიწონეს სოფლის მშრომელებმა "კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949– 1951 წწ.)".

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად დააწესეს საგანგებო ზომები. 1947 წლის 29 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება "ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ"[8]. ბრძანებულებით განისაზღვრა სათანადო მაჩვენებლები სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად და ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად. შემდეგში წახალისების ზომები სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზეც გავრცელდა. სოციალისტური შრომის გმირის წოდებას ანიჭებდნენ და ორდენებითა და მედლებით აჯილდოებდნენ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, რომლებმაც მიიღეს ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, როგორიცაა კარტოფილი[9], საბოჭკოე სელისა და კანაფის ბოჭკო და თესლი[10], ბრინჯი, მზესუმზირა, სამყურა, იონჯა და ტიმოთელა[11], ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და ციტრუსოვანთა ნაყოფი[12], ყურძენი[13], აბრეშუმის ჭიის პარკი[14], წიწიბურა, ფეტვი, ღომი, ზეთოვანი სელი, მდოგვი, აბუსალათინი, სოია, მიწის თხილი, თამბაქო, წეკო, ქოქ-საღიზი, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესლი[15] და სხვა

კულტურები, აგრეთვე მიაღწიეს მეცხოველეობის მაღალ პროდუქტიულობას[16]. ამასთან ყოველწლიურად დიდდებოდა მაჩვენებლები, რომელთა მოპოვებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკებს სოციალისტური შრომის გმირის წოდებას ანიჭებდნენ და ორდენებითა და მედლებით აჯილდოებდნენ.

1949 წლის 3 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება "ნამგალი და ურoს" მეორე ოქროს მედლით დაეჯილდოებინათ სოფლის მეურნეობის ის მოწინავენი, რომლებიც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების მომდევნო სამი წლის მანძილზე კვლავ მოიპოვებდნენ მაღალ მაჩვენებლებს. "ნამგალი და ურoს" მეორე მედლით დაჯილდოებულ სოციალისტური შრომის გმირებს სამშობლოში უდგამდნენ ბრინჯაოს ბიუსტს.

დაჯილდოებათა ამ სისტემის მთავარი იდეა იყო სოფლის მეურნეობის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის საერთო აღმავლობა. მან დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები თავდადებით იბრძოდნენ ომის შემდგომი გეგმების ყველა დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის და სერიოზულ წარმატებებს აღწევდნენ მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდებაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

1946 წელს მაღალი მოსავლის მოწევისათვის საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდ ჯგუფს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება[17]. საქართველოში სოფლის მეურნეობის მუშაკებიდან ეს მაღალი წოდება პირველებმა მიიღეს წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ი. ქავთარაძემ, ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ს. კობაიძემ, კასპის რაიონის სოფელ მნათობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ს. მარიდაშვილმა და თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობის "კომუნიზმის გზით" ბრიგადირმა ი. მელიქიშვილმა[18].

სიმინდის სარეკორდო მოსავალი მოიწიეს კოლმეურნეებმა ჩ. ქვაჩახიამ, დ. რიგვავამ და ტ. აბუხბაიამ, რომლებიც მათზე გაპიროვნებული ნაკვეთებიდან ჰექტარზე 100 – 200 ცენტნერ სიმნიდს იღებდნენ. ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალს კრეფდნენ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა "ინგურის" მერგოლური ქ. სარსანია და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მერგოლური დ. ტაკიძე. 1945 წელს ჩ. ქვაჩახიას და ქ. სარსანიას სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ. შემდგომში სოფლის მეურნეობის ყველა ეს მოწინავე ნოვატორი სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

1946 – 1951 წლებში სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში დამსახურებისათვის ორდენებით დაჯილდოვდა 4 797 კაცი, მედლებით – 5 795. ამავე პერიოდში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა

სოფლის მეურნეობის 1 111 მოწინავეს, აქედან 356 კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალს[19]. მეთამბაქოეთა ბრიგადის ხელმძღვანელი პროკოფი ნიკოლოზის ძე სვანიძე, მეჩაიეთა ბრიგადის ხელმძღვანელი თამარ ანდრიას ასული ყუფუნია და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანთიმოზ მიხეილის ძე როგავა დაჯილდებულ იქნენ "ნამგალი და ურoს" მეორე ოქროს მედლით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საუკეთესოდ მოწყობისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბერებაში არაერთხელ გაუმარჯვია. 1949 წლის მოსავლის აღების მომზადების სამუშაოების წარმატებით განხორციელებისათვის საქართველოს გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა[20]. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით საქართველომ რამდენჯერმე დაიკავა პირველი ადგილი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში[21]. სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალგზის გამოსულან გამარჯვებულნი საქართველოს საბჭოთა მეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

1951 წელს საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. 27 – 28 თებერვალს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც ამ დარგის მუშაკებს მიმართა მოწოდებით გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის[22]. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1951 წლის 1 მარტს მოიწონა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მიმართვა კოლმეურნე გლეხობისადმი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებისამდი. ამასთან პარტიის რაიონულ კომიტეტებს დაავალა "უზრუნველეყოთ კოლმეურნეების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საერთო კრებებზე ამ მიმართვის განხილვა და თითოეულ კოლმეურნეობას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურს და საბჭოთა მეურნეობას დაეკისრა კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ ამაღლებას როგორც მთლიანად კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ისე ბრიგადებში, რგოლებსა და ფერმებში"[23].

1951 წლის მაისში სომხეთის კოლმეურნეებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს საქართველოს კოლმეურნეები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს მიეღოთ სომხეთის მეცხოველეთა გამოწვევა, გაეცნოთ სომეხ და ქართველ

მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების პირობები კოლმეურნეებისა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის, უზრუნველეყოთ, რომ ქართველ კოლმეურნეებს ეკისრათ დამატებითი ვალდებულებანი, 1951 წელს მიეღწიათ მეცხოველეობის განვითარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის[24].

სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი ბიძგი მისცა "მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების შესახებ" საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 11 აგვისტოს დადგენილების[25] განსახორციელებლად გატარებულმა ღონისძიებებმა. გამოვლინებულ და აღმოფხვრილ იქნა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი და დაისახა სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლის კონკრეტული ზომები.

ომის შემდგომ წლებში გაიშალა რსფსრ, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტნისა და საქართველოს ცალკეული რაიონების კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქართველ კოლმეურნეთა ფართო მონაწილეობა და წარმატებანი მოწმობდა მათი შემოქმედებითი და პოლიტიკური აქტივობის ზრდას.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა, მათ შორის კოლმეურნე გლეხობის, შემადგენლობაში მოხდა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებანი, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი მოვიყვანთ მთლიანად სოფლის მეურნეობის და კერძოდ, საკოლმეურნეო წარმოების განვითარების ზოგიერთ მაჩვენებელს.

1945 – 1953 წლებში კოლმეურნეობები განმტკიცდა. გაიზარდა მათი ფულადი შემოსავლის საერთო თანხა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარება-გაყიდვის შედეგად.

ცხრილ
ი 7.

(მილიონ მანეთობით, ფასების ახალი მასშტაბით)[26]

	1940	1950	1953
კოლმეურნეობების (სასოფლო-სამეურნეო არტელების) ფულადი შემოსავლის საერთო თანხა	52,4	147,7	165,0
აქედან: .მიწათმოქმედების პროდუქტთა ჩაბარება-გაყიდვის შედეგად	29,8	112,4	125,8
მეცხოველეობის პროდუქტთა ჩაბარება-გაყიდვის შედეგად	6,7	22,9	29,3

გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ანარიცხები განუყოფელი ფონდების შესავსებად. 1940 წელს ისინი შეადგენდნენ 69,9 მილიონ მანეთს, 1950 წელს – 267,4 მილიონს, ხოლო 1953 წელს – 328,4 მილიონ მანეთს[27].

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში მნიშვნელოვნად გადაამეტა ომამდელ დონეს. მაგრამ 1950 – 1953 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის საერთო პროდუქციის ზრდა რამდენადმე ჩამორჩებოდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის საერთო ზრდას ყველა კატეგორიის მეურნეობაში[28].

ყველა კატეგორიის მეურნეობაში გაიზარდა აგრეთვე მარცვლეულის (1940 წლის 35 ათასი ტონიდან 117 ათას ტონამდე 1953 წელს), შაქრის ჭარხლის (71ათასი ტონიდან 133 ათას ტონამდე), პირუტყვისა და ფრინველის (21ათასი ტონიდან 33 ათას ტონამდე ცოცხალი წონით), რძისა და რძის ნაწარმისა (24ათასი ტონიდან 61 ათას ტონამდე რძეზე გადაანგარიშებით) და კვერცხის (14 მილიონი ცალიდან 15 მილიონ ცალამდე) სახელმწიფო დაზადება და შესყიდვა[29].

ცხრილი 8

(პროცენტობით 1950 წელთან შედარებით)

	1953
ყველა კატეგორიის მეურნეობის საერთო პროდუქცია	112
ყველა კატეგორიის მეურნეობის მიწათმოქმედების პროდუქცია	111
ყველა კატეგორიის მეურნეობის მეცხოველეობის პროდუქცია	118
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია	108
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათმოქმედების პროდუქცია	112
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის პროდუქცია.....	98

ომის შემდგომ წლებში გადიდდა მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი. 1949 – 1953 წლებში ყველა კატეგორიის მეურნეობებში საშუალოდ წელიწადში მიიღეს 760 ათასი ტონა მარცვლეული, ხოლო 1953 წელს – 786 ათასი ტონა[30]. ამ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის მოსავალი, სიმინდისა კი შემცირდა[31].

გადიდდა ხილ-კენკროვანი ნარგავების ფართობი (1953 წელს იგი 100 ათას ჰექტარს აღწევდა), გაიზარდა ხილისა და კენკრის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი (1953 წელს მოიწიეს 207 ათასი ტონა საერთო მოსავალი, ჰექტარზე 35 ცენტნერი)[32].

1953 წელს ვენახები ყველა კატეგორიის მეურნეობაში 62 ათასი ჰექტარი იყო. თუმცა 1953 წელს 1950 წელთან შედარებით მსხმოიარე ვენახების ფართობი ერთი ათასი ჰექტარით შემცირდა, ყურძენი 1950 წლის 158 ათასი ტონის ნაცვლად 228 ათასი ტონა მოკრიფეს. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ

მოსავლიანობა 1950 წლის 33,1 ცენტნერიდან 1953 წელს 48,4 ცენტნერამდე გაიზარდა[33].

1953 წელს საქართველომ დაამზადა და სახელმწიფოს მიჰყიდა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 107 ათასი ტონა, ნაცვლად 1945 წლის 20 ათასი ტონისა, ციტრუსები – 18,4 ათასი ტონა, ნაცვლად 1945 წლის 17,9 ათასი ტონისა და 1950 წლის 2,4 ათასი ტონისა, თამბაქო – 13 ათასი ტონა ნაცვლად 1945 წლის 10 ათასი ტონისა[34]. სსრ კავშირში დამზადებული ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის 95 პროცენტზე მეტს საქართთველო იძლეოდა. საქართველო ყურძნის ღვინის, ხილის, ეთერზეთოვანი კულტურების, თამბაქოს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის ერთ-ერთი მთავარი დამამზადებელია.

ომის შემდგომ წლებში, მრეწველობის სწრაფი განვითარების მიუხედავად, გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური ნამატი მრეწველობისაზე მაღალი იყო.

დაჩქარდა რაიონებისა და კოლმეურნეობების სპეციალიზაციის პროცესი. მაგალითად, გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის რაიონები გადაიქცნენ მევენახეობის რაიონებად; მახარაძის, ქობულეთის, ბათუმის რაიონები – სუბტროპიკული კულტურების რაიონებად; წითელწყაროსა და აბაშის რაიონებში წამყვანი გახდა მარცვლეული კულტურები, გორის რაიონში კი მეხილეობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1945 – 1952 წლებში რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შემცირდა სოფლის მოსახლეობის, ხოლო სოფლის მოსახლეობაში კოლმეურნეთა ხვედრითი წონა.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს კოლმეურნე გლეხობა თავისი სოციალური მდგომრაოებით სულ უფრო უახლოვდებოდა მუშათა კლასს. შრომადღის ანაზღაურებაში იზრდებოდა ფულადი, ხოლო მცირდებოდა ნატურალური ნაწილი (შეფარდებით).

კოლმეურნეობათა განმტკიცებას მოწმობს კოლმეურნეთა ბიუჯეტში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის განუხრელი ზრდა და კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის შემცირება.

სერიოზული ცვლილებები მოხდა საქართველოს კოლმეურნე გლეხობის ყოფაცხოვრებასა და კულტურაში. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ელექტრიფიკაცია, რადიოფიკაცია, ტელეფონიზაცია და წყალმომარაგება ხელს უწყობდა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დაახლოებას.

ყოველწლიურად იზრდებოდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონლის, მათ შორის ისეთი ნამდვილად “ქალაქური” საქონლის მოხმარება,

როგორიცაა მსუბუქი ავტომობილები, ტელევიზორები, მაცივრები და თხევადი გაზი.

ამაღლდა კოლმეურნე გლეხობის კულტურულ-ტექნიკური დონე. შეიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროფესიული შემადგენლობა. 1952 წელს აქ გაცილებით მეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი და სხვადასხვა პროფესიის გამოცდილი კვალიფიციური მუშაკი შრომობდა. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს კოლმეურნე გლეხობა კიდევ უფრო დაუახლოვდა მუშათა კლასს კულტურის მხრივაც.

კოლმეურნე გლეხობის შემადგენლობაში მომხდარმა თვისებრივმა ცვლილებებმა გაადვილეს საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, კოლმეურნეობათა გადაქცევა მაღალშემოსავლიან მეურნეობებად, ხელი შეუწყვეს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ზრდას.

---

[1] იქვე, აღწ. 3, საქ. 63, ფურც. 5.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 66, ფურც. 5.
[3] Газ. «Заря Востока», 8 июня 1946 г.
[4] იქვე, 1948 წლის 18 აპრილი.
[5] იქვე, 1947 წლის 22 მარტი.
[6] Газ. «Заря Востока», 29 января 1948 г.
[7] იქვე, 1948 წლის 20 მარტი.
[8] იქვე, 1947 წლის 1 აპრილი.
[9] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულება.
[10] 1947 წლის 18 სექტემბრის ბრძანებულება.
[11] 1948 წლის 24 აპრილის ბრძანებულება.
[12] 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულება.
[13] 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულება.
[14] 1959 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულება.
[15] 1950 წლის 27 აპრილის ბრძანებულება.
[16] 1947 წლის 27 სექტემბრის და 1950 წლის 20 აპრილის ბრძანებულებები.
[17]Газ. «Заря Востока», 21 марта 1947 г.
[18] ი. ქავთარაძემ, ს. კობაიძემ და ი. მელიქიშვილმა – ხორბლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, ს. მარიდაშვილმა – შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.
[19] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილების მასალებიდან.
[20] Газ. «Заря Востока», 6 августа 1950 г.
[21] იქვე, 1946 წლის 17 ნოემბერი.
[22] Газ. «Заря Востока», 28 февраля, 1-3марта 1954 г.
[23] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 38, ფურც. 3.

[24] Газ. «Заря Востока», 26 мая 1951 г.
[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 5, ფურც. 46 - 50.
[26] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის, «Сельское хозяйство СССР», стр. 66 – 69 მიხედვით.
[27] «Сельское хозяйство СССР», стр. 72 – 73.
[28] ციფრები ამოღებულია სტატისტიკური კრებულიდან «Сельское хозяйство СССР», стр. 80 – 82.
[29] «Сельское хозяйство СССР», стр. 94 – 95.

[30] იქვე, გვ. 210.
[31] იქვე, გვ. 215, 218.
[32] იქვე, გვ. 251, 254.
[33] იქვე, გვ. 255 – 256.
[34] «Советская Грузия за 40 лет», стр. 79.

§ 7. თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნა და ლიკვიდაცია. საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ბირთვის განახლება.

1951 წლის 5 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებით მიიღო ბრძანებულება საქართველოში თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნის შესახებ. თბილისის ოლქში შევიდა ქალაქები თბილისი (რესპუბლიკის დედაქალაქი და ოლქის ცენტრი), გორი, რუსთავი და აღმოსავლეთ საქართველოს 29 რაიონი, ქუთაისის ოლქში – ქალაქები ქუთაისი (ოლქის ცენტრი), ფოთი, ჭიათურა და დასავლეთ საქართველოს 28 რაიონი[1].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ვარაუდობდნენ, რომ ამ ღონისძიების განხორციელებით განმტკიცდებოდა რესპუბლიკის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობა, უფრო კონკრეტული და ოპერატიული გახდებოდა იგი. დაუახლოვდებოდა ადგილებს, გაძლიერდებოდა ცენტრების კავშირი რაიონებთან. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ საქართველოში საოლქო ორგანიზაციები ზედმეტი რგოლი იყო, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს აშორებდა ადგილლობრივ ორგანიზაციებს. ამასთან დაკავშირებთი 1953 წლის 23 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება თბილისისა და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაციის შესახებ[2].

მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საქართველოში სამჯერ შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა: 1952 წლის აპრილში, 1953 წლის აპრილში და 1953 წლის სექტემბერში.

1952 წლის აპრილში შეიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და ბიუროს შემადგენლობა. საკ. კპ (ბ) ცენტრალური

კომიტეტის რეკომენდაციით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ა. მგელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ზ. ჩხუბიანიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ზ. კეცხოველი.

ერთი წლის შემდეგ კვლავ განახლდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა: საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ა. მირცხულავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ვ. ცხოვრებაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ბაქრაძე.

1953 წლის სექტემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია კვლავ შეეცვალა საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ბირთვის შემადგენლობა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ვ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მ. ჩუბინიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გ. ჯავახიშვილი.

სერიოზული ცვლილებები მოხდა საქართველოს სსრ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების შემადგენლობაშიც.

1951 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა შეაკოწიწეს ეგრეთ წოდებული "მეგრელთა საქმე". მეგრელ ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფს წაუყენეს ადგილობრივი (მეგრული) ნაციონალიზმის მძიმე ბრალდება.

1953 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ამხილა ეს პროვოკაცია, მოახდინა ამ საქმის გამო რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაცია და პარტიულ და სასამართლო პასუხისგებაში მისცა ამ საქმის ფაბრიკაციის მონაწილენი. საქართველოს ხემლძღვანელი ორგანოების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეული იყო ხელმძღვანელი კადრების არასწორი შერჩევით, აგრეთვე იმით, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა აქტივი იჩენდა ინდიფერენტულობას და სისტემატურად ვერ აკონტროლებდა ხელმძღვანელ მუშაკთა საქმიანობას.

---

[1] Газ. «Заря Востока», 10 ноября 1951 г.
[2] იქვე, 1953 წლის 1 მაისი.

თავი მეშვიდე

საქართველო საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის

ბრძოლის პერიოდში (1952 – 1958 წწ.)

§ 1. მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარება

1952 – 1958 წლებში საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, გაჩაღდა ბრძოლა სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის, ანუ განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის. ამ პერიოდს ახასიათებდა სოციალისტური მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო მაღალი ტემპი, მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის გაძლიერება. ამ წლებში, ისევე როგორც სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე, გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი მიმდინარეობდა წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის პირობებში, რაც სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი მძიმე მრეწველობის უპირატესი ტემპით განვითარების, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის სწრაფი ტემპებით განვითარების გაშლილი პროგრამა შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმმა, რომელმაც მიიღო დადგენილება ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა (1955 წლის 29 ივლისი) დასახა რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოებას, მოწინავე ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ბაზაზე შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, მრეწველობის მართვის სრულყოფას, მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

პლენუმმა მრეწველობის დარგში რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ბაზაზე არსებულ მოწყობილობათა მოდერნიზაცია და წარმოების ტექნოლოგიის მუდმივი სრულყოფა. პლენუმმა დაავალა სამინისტროების, უწყებების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, საპროექტო ორგანიზაციებისა და სპეციალური საკონოსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელ ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების, ტექნოლოგიის ახალი თანამედროვე მეთოდების, მნიშვნელოვანი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული

წინადადებების დანერგვისათვის. პლენუმმა კონკრეტული ამოცანები დაუსახა აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ქვანახშირის კომბინატის, ენერგეტიკული სისტემის, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებს[1].

კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების მოწინავეთა საქალაქო კრების მიმართვას თბილისისა და საქართველოს სსრ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირესულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ. ამ მიმართვას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მშრომელებმა. გაძლიერდა ბრძოლა მრეწველობისა და ტრანსპორტის აღმავლობისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI (1954 წ. 16 – 18 თებერვალი) ყრილობამ განიხილა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა. ყრილობამ აღნიშნა, რომ 1954 წლის დამდეგს საქართველოში უკვე არსებობდა 1200-ზე მეტი სარმეწველო საწარმო და რომ განუწყვეტლივ იზრდებოდა ამ საწარმოთა საერთო პროდუქციის მოცულობა[2].

ყრილობამ ამასთან გაამახვილა ყურადღება მეტალურგიული ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და დასახა ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად[3].

ყრილობამ გაითვალისწინა ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნილება და მიიღო გადაწყვეტილება მოქმედი ელექტროსადგურების სიმძლავრის გადიდებისა და მშენებლობის პროცესში მყოფი ელექტროსადგურების საწარმოო ექსპლოატაციაში გადაცემის დაჩქარებისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ მშრომელებმა ყოველმხრივ გააძლიერეს ბრძოლა მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის, რის შედეგადაც რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1953 წლის გეგმა შესრულდა 101 პროცენტით, 1954 წლისა – 102 პროცენტით, 1955 წლისა – 105 პროცენტით. ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) საშუალო სადღეღამისო დატვირთვის 1953 წლის გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, 1954 წლისა – 101 პროცენტით, 1955 წლისა – 104 პროცენტით, ხოლო გადმოტვირთვის 1953 წლის გეგმა – 106 პროცენტით. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ ტვირთზიდვის 1953 წლის

გეგმა შეასრულა 110 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა გადიდდა 9-ჯერ და მეტად 1952 წელთან შედარებით[4].

მთლიანად მეხუთე ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად საქართველოში მნიშვნელოვნად ამაღლდა მეოთხე ხუთწლედში მიღწეული დონე. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 71 პროცენტით. პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი 1951 – 1955 წლებში შეადგენდა 11,3 პროცენტს.

მეხუთე ხუთწლედში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მძიმე მრეწველობა, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველთა საფუძველი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტალურგიული, ენერგეტიკული, სათბობის, მანქანათსაშენებელი, ქიმიური, სატყეო, საშენ მასალათა, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ 1951 – 1955 წლებში დაახლოებით 1,7-ჯერ გადააჭარბა მეოთხე ხუთწლედის კაპიტალდაბანდებას. კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი მოხმარდა მრეწველობასა და ტრანსპორტს. მეხუთე წუთწლედში აშენდა 100-ზე მეტი ახალი მსხვილი საწარმო. ძირითადად დამთავრდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. მეხუთე ხუთწლედში ამუშავდა კოქსქიმიური საამქრო, სააგლომერაციო ფაბრიკა, მეორე ბრძმედი, 4 მარტენის ღუმელი, მილნამზადის, მილსაგლინავი და სხვა საამქროები, დამთავრდა ფურცელსაგლინავი საამქროს მშენებლობა, ამუშავდა აგრეთვე ახალი საამქროები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

1955 წელს 1950 წელთან შედარებით სასასქონლო მანგანუმის მადნის ამოღება გადიდდა 61 პროცენტით, ფეროშენადნობთა წარმოება – 26 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა 7,4- ჯერ. მეხუთე ხუთწლედში დაიწყო და ფართოდ გაიშალა კოქსის, თუჯისა და ნაგლინის წარმოება; ამაღლდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე მძიმე შრომის საწარმოებში. გადიდდა ფერადი ლითონების კონცენტრატების გამოშვება. 1950 წელთან შედარებით 1955 წელს ტყვიის კონცენტრატის წარმოება გაიზარდა 2,7-ჯერ.

მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელ წელს გამომუშავებულ იქნა 60 პროცენტით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მეოთხე ხუთწლედის ბოლოს. ამუშავდა შაორისა და სხვა ელექტროსადგურები; გაყვანილ იქნა ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც აერთებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებს, რის შედეგადაც მარტო 1955 წელს საქართველომ დამატებით მიიღო 230 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია[5].

მეხუთე ხუთწლედში დამთავრდა აგრეგატების მართვის ავტომატიზაცია რაიონულ ელექტროსადგურებში; დაიწყო ლაჯანურის, ხრამის N 2, გუმათის N 1 და ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურების

მშენებლობა; აგრეთვე შენდებოდა გუმათის N 2 და ბჟუჟის ჰიდროელექტროსაგურები, რომლებიც მწყობრში ჩადგნენ 1956 წელს.

ქვანახშირის მოპოვება 1950 წელთან შედარებით 1955 წელს გადიდდა 57 პროცენტით. მეხუთე ხუთწლედში ამუშავდა 3 ახალი შახტი და ტყიბულის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა; 47 პროცენტით გადიდდა გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების წარმოება, აქედან ბენზინისა – 12 პროცენტით და დიზელის სათბობისა – 6,6-ჯერ; საცხები ზეთების გამომუშავება გაიზარდა 23 პროცენტი, ათვისებულ იქნა აგრეთვე ახალი მარკის ნავთობპროდუქტების წარმოება. მეხუთე ხუთწლედში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 86 პროცენტით, ლითონსაჭრელი ჩარხებისა – 57 პროცენტით[6].

საქართველოს მანქანათმშენებლობამ და ჩარხმშენებლობამ წარმატებით აითვისა სატვირთო ავტომობილების სერიული და ახალი მარკების სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება, მოაგვარა ექსკავატორების, სამსხმელო, ამწმენდი მანქანებისა და მთელი რიგი სხვა მანქანა-მექანიზმების გამოშვება სახალხო მეურნეობისათვის.

მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საქართველოში სწაფი ტემპით ვითარდებოდა ქიმიური მრეწველობა. 1955 წელს ნაწილობრივ ამუშავდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ლითოფონის წარმოება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 73 პროცენტით, ხოლო პლასტმასის წარმოება – 4-ჯერ. გადიდდა სამშენებლო ხის მასალის, ფანერის ქაღალდისა და ავეჯის წარმოება. ამუშავდა თბილისის ავეჯის კომბინატი[7].

მეხუთე ხუთწლედში საქართველოში ფართოდ განვითარდა სამშენებლო ინდუტსრია, მნიშვნელოვნად გადიდდა საშენ მასალათა წარმოება, ამუშავდა მეტეხის მშრალი წნეხვის ქარხანა, ცემენტის წარმოება გაიზარდა 47 პროცენტით, აგურისა – 60 პროცენტით, მარმარილოს წარმოება – 3,2-ჯერ. ამ პერიოდში ამუშავდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის გიგანტის გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგი, გაფართოვდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, მაუდ-კამვოლის კომბინატი და სხვა საწარმოები. საფეიქრო საწარმოებში მნიშვნელოვნად გადიდდა ახალი, დიდი წარმადობის მოწყობილობის პარკი. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ბამბის ქსოვილების წარმოება გადიდდა თითქმის 5-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილებისა – 2,4-ჯერ, აბრეშუმის "კაპრონის" წინდებისა – ერთიორად და მეტად. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ საქართველოს კვების მრეწველობამ. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა წარმოება: შაქრის ფხვნილისა – 18 პროცენტით, პირველადი დამუშავების ჩაისა – 46, ყურძნის ღვინისა – 77, შამპანურისა – 46, კონიაკისა – 3,4-ჯერ, მაკარონისა – 73 პროცენტით, კონსერვებისა – 51, ხორცისა – 56, ყველისა – 88, მცენარეული ზეთისა – 50, მინერალური წყლებისა – 93 პროცენტით. 1951 – 1955 წლებში

საქართველოს სსრ რაიონებში ნედლეულის ბაზებთან ახლოს აშენდა ჩაის პირველადი გადამუშავების 17 ფაბრიკა, 18 ღვინის ქარხანა, თბილისში ამუშავდა კონიაკის ქარხანა 200 ათასი დეკალიტრის სიმძლავრით წელიწადში. აქვე ამუშავდა რძის კომბინატი და სხვა საწარმოები[8].

ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მეხუთე ხუთწლედში მიმდინარეობდა პურისა და რძის ქარხნების, ხორცკომბინატების, ლუდის ქარხნების, მაცივრებისა და კვების მრეწველობის სხვა საწარმოთა მშენებლობა.

ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 85 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის წარმოება. შრომის ნაყოფიერება საქართველოს მრეწველობაში მეხუთე ხუთწლედში გადიდდა 29 პროცენტით და მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება[9].

მეხუთე ხუთწლედში რკინიგზის ტვირთბრუნვა საქართველოში გადიდდა თითქმის 70 პროცენტით, ელექტრიფიცირებული ლიანდაგის სიგრძე – 300 კილომეტრით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენება, საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტი ხუთ წელიწადში ისე განვითარედა, რომ მისმა ტვირთბურუნვამ მიაღწია რესპუბლიკის ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის 17 პროცენტს. მეხუთე ხუთწლედში ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა 6-ჯერ და მეტად გადიდდა, ხოლო მაგარსაფარიანი საავტომობილო გზების სიგრძე 500 კილომეტრით გაიზარდა.

1952 – 1958 წლებში გრძელდებოდა კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარება. ტელეფონის აპარატების საერთო რაოდენობა მეხუთე ხუთწლედში გადიდდა ქალაქებში 25 პროცენტით, სოფლად – 1,5-ჯერ. 1955 წლის ბოლოსათვის ტელეფონიზირებული იყო თითქმის ყველა სასოფლო საბჭო, მტს-ების 98 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობების – 83 პროცენტი და კოლმეურნეობათა – 63 პროცენტი, რადიომიმღები წერტების რიცხვი გადიდდა საერთოდ ერთიორად, ხოლო სოფლად – 3-ჯერ და მეტად[10].

კაპიტალური დაბანდებანი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში მეხუთე ხუთწლედში მეოთხესთან შედარებით გაიზარდა 1,5-ჯერ და მეტად.

მეხუთე ხუთწლედში მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპების მიხედვით საქართველოს, რუსეთის სფსრ-ის თანაბრად, მე-3 ადგილი ეკავა, ხოლო მრეწველობის საერთო პროდუქცია 1955 წელს 1913 წელთან შედარებით გაიზარდა: რუსეთში 27-ჯერ უკრაინაში – 16-ჯერ, ბელორუსიაში – 19-ჯერ, უზბეკეთში – 14-ჯერ, ყაზახეთში – 33-ჯერ, საქართველოში – 27-ჯერ, აზერბაიჯანში – 12-ჯერ, ყირგიზეთში – 38-ჯერ, ტაჯიკეთში – 24-ჯერ, სომხეთში – 41-ჯერ, თურქმენეთში – 17-ჯერ[11].

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოხდა საქართველოს მრეწველობაში. დაიწყო თუჯის წარმოება. 1954 წელს გამოდნობილ იქნა 11 ათასი ტონა, 1955 წელს – 436 ათასი ტონა, ხოლო ფოლადის გამოდნობა საქართველოში თუ 1950 წელს შეადგენდა 77 ათას

ტონას, 1955 წლისათვის გადიდდა 582 ათას ტონამდე. 1955 წელს თუჯისა და ფოლადის გამოდნობის დარგში საქართველომ მე-3 ადგილი დაიკავა სსრ კავშირში რუსეთისა და უკრაინის შემდე; ხოლო ქვანახშირის ამოღების დარგში მე-4 ადგილი რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის შემდეგ; ცემენტის წარმოების დარგში – მე-6 ადგილი[12].

მინერალური სასუქების წარმოება საქართველოში მხოლოდ მეხუთე ხუთწლედში დაიწყო. 1954 წელს იგი შეადგენდა 0,2 ათას ტონას, ხოლო 1955 წელს – 30 ათას ტონას[13].

საქართველოს სსრ მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში მეხუთე ხუთწლედის მანძილზე კიდევ უფრო მეტი წარმატებები იქნებოდა მიღწეული, რომ ზოგიერთ საწარმოში ადგილი არ ჰქონოდა საწამროო გეგმების შეუსრულებლობას და ჩამორჩენას ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში.

საქართველოს კპ XVII ყრილობამ (1956 წლის იანვარი), რომელმაც შეაჯამა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შედეგები, მიუთითა მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ქვანახშირის მრეწველობის განვითარება და ელექტროსადგურების მშენებლობა ჩამორჩებოდა სათბობსა და ელექტროენერგიაზე სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებებს. მრეწველობა საკმაოდ ვერ აკმაყოფილებდა მშენებლობის მოთხოვნილებას ცემენტზე, ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებზე, საკედლე და სახურავ მასალებზე. მანაგნუმის მადნის საწარმოებში სრული დატვირთვით ვერ იყო გამოყენებული ელექტრომავლები, სატვირთავი მანქანები, სკრეპერები და სხვა მექანიზმები.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ და კვაისის შახტსამმართველოს გამამდიდრებელმა ფაბრიკამ 1955 წლის გეგმები მთლიანად ვერ შეასრულეს.

მეხუთე ხუთწლედში საჭირო ტემპით ვერ ხორციელდებოდა ახალი ტიპის დიდი წარმადობის ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოების ათვისება, აგრეთვე სამასალე მერქნის დამზადების ოპერაციების მექანიზაცია; სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების სამრეწველო წარმოება ჩამორჩებოდა მშენებლობის მოთხოვნიელებებს.

მეხუთე ხუთწლედში რამდენადმე გაუმჯობესდა მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმის ხარისხი, მაგრამ კვლავ აწარმოებდნენ ისეთი ასორტიმენტის საქონელს, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. არადამაკმაყოფილებელი იყო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. იმ ნაკლოვანებათა შედეგად, რომელიც იყო ახალი ტექნიკის დანერგვასა და წარმოების ორგანიზაციაში, მეხუთე ხუთწლედში არ შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

სამშენებლო ინდუსტრიის მნიშვნელოვან წინსვლასთან ერთად ზოგიერთმა სამინისტრომ და სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა კაპიტალური მშენებლობის გეგმები.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგებს ემყარებოდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1956 – 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა, რომლის დირექტივები დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრული იყო სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა 65 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოების გადიდება 70 პროცენტით, მოხმარების საგნების წარმოებისა – 60 პროცენტით. მრეწველობის დარგში პირველი რიგის ამოცანებად დაისახა შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთობის, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება, ელექტროსადგურების მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა, მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით ტექნიკურად სრულქმნილი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, ავტომატიკის საშუალებებისა და ხელსაწყოების წარმოების სწრაფი ზრდა[14].

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საწარმოო პროცესების ფართო მექანიზაციას, ცალკეული აგრეგატებისა და ოპერაციების ავტომატიზაციიდან საამქროების, ტექნოლოგიური პროცესებისა და სავსებით ავტომატიზებული საწარმოების შექმნაზე გადასვლას.

ტრანსორტის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა რკინიგზის, წყლის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება. რკინიგზების ფართო ელექტრიფიკაცია და ყველა სახეობის ტრანსპორტის აღჭურვა თანამედროვე, ყველაზე პროგრესული ლოკომოტივებითა და სხვა სახეობის მოძრავი შემადგნელობით, ორთქლმავლების თანამედროვე მძლავრი ელექტრომავლებითა და თბომავლებით შეცვლა. 1960 წლისათვის 1955 წელთან შედარებით სსრ კავშირში რკინიგზების ტვირთბრუნვის გადიდება განისაზღვრა 42 პრცოენტით, ხოლო ახალი რკინიგზების მშენებლობის ზრდა 2-ჯერ და მეტად, ვიდრე ეს იყო მეხუთე ხუთწლედში. ტვირთბრუნვის გადიდება სამდინარო ტრანსპორტის დარგში გათვალისწინებული იყო დაახლოებით 80 პროცენტით, საზღვაო ტრანსპორტისა 2,1-ჯერ, საავტომობილო ტრანსორტისა – ერთიორად. მილსადენი ტრანსპორტის დარგში 1955 წელთან შედარებით მეექვსე ხუთწლედში ზრდა დაწესდა 6-ჯერ, საჰაერო ტრანსპორტის დარგში ტვირთბრუნვის გადიდება – 2-ჯერ, მგზავრების გადაყვანის ზრდა – 3,8-ჯერ; ხოლო სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საბინაო მშენებლობის, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისა და სხვა შენობათა მშენებლობის განვითარების დარგში დადგენილ დავალებათა შესრულების

მიზნით 1956 – 1960 წლებისათვის განსაზღვრული იყო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის გადიდება 67 პროცენტით[15].

მეექვსე ხუთწლედში დასახული იყო შრომის ნაყოფიერების გადიდება: მრეწველობაში – 50 პროცენტით, მშენებლობაში – 52, რკინიგზის ტრანსპორტზე – 34, საზღვაო ტრანსპოროტზე – 40, სამდინარო ტრანსპორტზე – 35 პროცენტით[16].

დიდ ამოცანებს სახავდა მეექვსე ხუთწლიანი გეგმა მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე. საქართველოში მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა გათალისწინებული იყო 1,6-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდება დაახლოებით 1,8-ჯერ, თუჯის გამოდნობისა – 1,6-ჯერ, ნაგლინის წარმოებისა და მანგანუმის მადნის ამოღებისა – 1,5-ჯერ, ქვანახშირის მოპოვებისა – 1,4-ჯერ, აზოტოვანი სასუქების წარმოებისა – 8-ჯერ, ცემენტისა – 3,1-ჯერ, ბამბის ქსოვილებისა – 2,8-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა – 1,4-ჯერ, ყურძნის ღვინისა – 1,8-ჯერ, ჩაის წარმოებისა – 1,3-ჯერ. მეექვსე ხუთწლედში მწყობრში უნდა ჩამდგარიყო ლაჯანურის, ხრამის N 2, ტყიბულის, გუმათის ჰიდროელექტროსადგურები და დაწყებულიყო მდ. თერგსა და რიონზე ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. განსაზღვრული იყო აგრეთვე გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგის ამუშავება და გაზსადენის მშენებლობის დაწყება თბილისისა და რუსთავის გაზით უზრუნველსაყოფად[17].

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, აქტიურად ჩაებნენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამის შესახებ ვრცლად ნათქვამია ამ თავის სპეციალურ პარაგრაფში, რომელიც მიძღვნილია მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის საკითხებისადმი. საქართველოს მშრომელთა ამ ბრძოლის შედეგებზე 1956 – 1958 წლებში მეტყველებენ მონაცემები (იხ. ცხრილი 1).

მეექვსე ხუთწლედის პირველი სამი წლისათვის დამახასიათებელი იყო სამრეწველო საწარმოების მიერ ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისება და მათი მასობრივი წარმოების დანერგვა. მწყობრში ჩადგა 53 მსხვილი სამრეწველო საწარმო, მათ შორის რუსთავის ცემენტის ქარხანა, ჭიათურის გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგი და ახალი ითხვისის მანგანუმის მადნის მაღარო. შემდგომ გაფართოვდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელშიც მწყობრში ჩადგა ფურცელსაგლინავი საამქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის ბევრი ახალი საწარმო, ამუშავდა ელექროლიზური საამქრო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმები აფხაზეთის ასსრ სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 1956 წელს 104 პროცენტით, 1957 წელს – 106, 1958 წელს – 103 პროცენტით; აჭარის ასსრ საწარმოებმა 1956 წელს – 103 პროცენტით, 1957 წელს – 106, 1958 წელს – 105 პროცენტით; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებმა 1956 წელს – 98 პროცენტით, 1957 წელს – 112, 1958 წელს – 100 პროცენტით[18].

1956 წელს მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა გუმათის N 2, ბჟუჟისა და ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურები, ამუშავდა თბილისის ელექტროცენტრალის მაღალი წნევის მეხუთე ქვაბი და ტურბინა-გენერატორი.

1956 წელს მწყობრში ჩადგა თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა; ექსპლოატაციაში შევიდა ახალციხის ქვანახშირის მღაროთსამმართველოს შახტი N 3; გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკა, თიანეთის ღვინის ქარხანა, ქუთაისის და სოხუმის პურის ქარხნები და სხვა სამრეწველო საწარმოები.

ცხრილ

ი 1

საქართველოს მრეწველობისა და მისი ცალკეული დარგების ზრდის ტემპები 1955 წელთან მიმართებაში[19]

	1956	1957	1958
მთელი სამრეწველო წარმოება	108	115	128
.....	117	118	122
შავი მეტალურგიის მთლიანი პროდუქცია	118	138	168
.....	120	122	119
ფოლადის გამოდნობა	134	147	166
.....	117	120	140
შავი ლითონების ნაგლინის დამზადება	116	120	139
.....	130	138	163
ფოლადის მილების წარმოება	100,3	110	126
.....	111	130	148
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	158	171	188
.....	109	119	129
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	103	108	123
.....	106	138	154
ქიმიური და რეზინ-აზბესტის მრეწველობა			
.....			
ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობა			
საშენი მასალების მრეწველობა			
.....			
მინისა და ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობა			
.....			
მსუბუქი მრეწველობა			
.....			
კვების მრეწველობა			
.....			
მრეწველობის სხვა დარგები			
.....			

1957 წელს საქართველოს მანაქანთსაშენებელმა საწარმოებმა აითვისეს მთელი რიგი ისეთი სახეობების პროდუქცია, როგორიც არის ახალი მოდელის ჩარხები, ახალ სახეობათა მანქანები ჩაის მრეწველობისათვის და სხვ. თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ბაზაზე შეიქმნა ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა, რომელმაც 1957 წელს აითვისა და გამოუშვა პირველი მძლავრი მაგისტრალური ელმავალი. თბილისში 1957 წელს მწყობრში ჩადგა აგრეთვე ქარხანა "ელექტროავტომატი", ქარხანა "ელექტროგამშვები" და სხვა საწარმოები.

1958 წლის მეორე ნახევარში შეიქმნა საქართველოს მრეწველობის ახალი დარგების ხელსაწყოთმშენებლობისა და ელექტროტექნიკური დარგების მთელი რიგი საწარმოები, რომლებმაც პირველად გამოუშვეს ელექტროვიბრაციული მანქანა ფხვიერი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, ახალი ტიპის ელექტროკარები. დაიწყო რვაღერძიანი მაგისტრალური ელმავლების სერიული წარმოება თბილისში. ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ აითვისა 5 და 8-ტონიანი სატვირთო ავტომანქანების წარმოება; თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა შეუდგა ახალი მოდელის უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭერი ჩარხის სერიულ გამოშვებას; ქუთაისის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ აითვისა სიღრმული არტეზიული ტუმბოს გამოშვება; რუსთავის მექანიკური ქარხანა ამზადებდა კოშკურა ხუთტონიან ამწეებს; ქარხანა "ელექტროძრავამ" მოაწყო უნივერსალური მანქანების გამოშვება ჩაის მეურნეობისათვის; მეღვინეობის მრეწველობამ დაიწყო ახალი მარკის ღვინოების "ახმეტის", "ახაშენის" გამოშვება; მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში დაინერგა ახალი სახეობის ქსოვილები, ახალი მოდელის შეკერილი ნაწარმი და ა. შ.

1956 – 1958 წლებში დამთავრდა სოხუმ-სოჭის რკინიგზის ელექტრიფიკაცია და ზესტაფონ-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ელექტრიფიცირებული რკინიგზის ხაზის მშენებლობა. ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ყველა ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის სახელმწიფო გეგმები შეასრულა: 1956 წელს – 100,5 პროცენტით, 1957 წელს – 103, 1958 წელს – 103 პროცენტით; გაიზარდა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა[20].

მეექვსე ხუთწლედში საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციებმა ფართო მასშტაბით იწყეს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების განხორციელება; გადიდდა მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება; თბილისსა და რუსთავში უკვე ხორციელდებოდა საცხოვრებელი სახლების საცდელი მშენებლობა დიდი ბლოკებით.

საქართველოს მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება 1958 წლისათვის ხასიათდებოდა შემდეგი მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი 2)[21]:

ცხრილი 2

	1940 წ.	1950 წ.	1955 წ.	1958 წ.
თუჯი – ათასი ტონა	-	-	436	671
ფოლადი - ათასი ტონა.....	0,2	77	582	977
ნაგლინი - ათასი ტონა	-	20	578	688
ნახშირი - ათასი ტონა	625	1725	2712	3014
ელექტროენერგია – მლნ კილოვატსაათი	742	1385	2010	2963
მინერალური სასუქები - ათასი ტონა	-	-	30	230
ლითონსაჭრელი ჩარხები – ცალი	803	2481	3942	2692
მაგისტრალური ელმავლები – ცალი	-	-	-	14
სატვირთო ავტომობილები – ცალი	-	-	4595	6151
ცემენტი – ათასი ტონა	119	264	388	1070
სამშენებლო აგური და კრამიტი – მლნ ცალი	110	158	277	352
ქაღალდი – ათასი ტონა	10	17	26	30

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში მძიმე მრეწველობის ყველა დარგი განუხრელი აღმავლობის გზით მიდიოდა და 1958 წლისათვის მიაღწია ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს წინა წლებთან შედარებით.

ასევე ითქმის მსუბუქი მრეწველობის ძირითადი დარგების ზრდა-განვითარების შესახებაც[22].

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსი (მილიონ კილოვატსაათებში) შეადგენდა (იხ. ცხრილი 3)[23]:

ცხრილი 3

წლები	ელექტროენერგიის წარმოება	რესპუბლიკის გარედან მიღებული	რესპუბლიკიდან გაცემული
1953	1864,7	-	-
1954	1938,5	1,3	-
1955	2010,4	235,0	-
1956	2414,9	354,4	1,7
1957	2573,8	450,6	6,5
1958	2963,0	451,6	6,7

ცხრილიდან ჩანს, რომ რესპუბლიკის ელექტრობალანსი განუხრელად იზრდებოდა. 1954 წლიდან დაიწყო ელექტროენერგიის მიღება რესპუბლიკის გარედან (განსაკუთრებით აზერბაიჯანიდან). მიუხედავად გეგმურ დავალებათა შესრულებისა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მაგალითად, 1958 წელს 1950 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 49 პროცენტით[24].

1959 წლისათვის გადიდდა საქართველოს მრეწველობის ზოგიერთი დარგის ხვედრითი წონა სსრ კავშირის მეურნეობაში.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე თუჯის წარმოება განვითარებული იყო მხოლოდ რუსეთის ფედერაციულ და უკრაინის რესპუბლიკებში, ომის შემდგომ პერიოდში კი თუჯის წარმოება შეიქმნა საქართველოშიც. 1958 წელს რესპუბლიკამ გამოადნო 670 700 ტონა თუჯი. ასევე ითქმის ფოლადის წარმოებაზეც, რომელიც 1958 წელს შეადგენდა თითქმის ერთ მილიონ ტონას. შავი მეტალურგიის ნაგლინის წარმოების მხრივ 1958 წელს საქართველო პირველ და მეორე ადგილს უთმობდა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას[25]. ქვანახშირის მოპოვების დარგში საქართველოს ეკავა მე-6 ადგილი, ხოლო საკოქსე ქვანახშირის წარმოების მხრივ – მე-4 ადგილი, ელექტროენერგიის გამომუშავებაში – მე-6 ადგილი, მინერალური სასუქების წარმოებაში – მე-7 ადგილი, ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოებაში – მე-5 ადგილი, ცემენტის წარმოებაში – მე-4 ადგილი, შალეული ქსოვილების წარმოებაში – მე-5, აბრეშუმის ქსოვილების წარმოებაში – მე-4 ადგილი[26].

განსაკუთრებით დიდი იყო საქართველოს ხვედრითი წონა ჩაის, ციტრუსების, ყურძნის ღვინის, ხილისა და ეთეროვანი ზეთების წარმოებაში. მაგალითად, 1958 წელს საქართველოს ნატურალური ჩაის წარმოება შეადგენდა სსრ კავშირის ჩაის პირველადი გადამუშავების 95 პროცენტს.

მეექვსე ხუთწლედში რამდენადმე შეიცვალა მრეწველობის სტრუქტურა. არსებული თავისუფალი ან ნაკლებად გამოყენებული საწარმოო შენობების ბაზაზე დაიწყო რიგი სპეციალიზებული ელექტროტექნიკური ხელსაწყოთსაშენებელი საწარმოების მოწყობა. მათ რიცხვს ეკუთვნის: თბილისში – ელექტროშემდუღებელი, ელექტროძრავების, საზომი ხელსაწყოების, მიკროძრავების, ელექტროსაიზოლაციო მასალებისა და სხვა ქარხნები; ქუთაისში – ელექტროტექნიკური მოწყობილობის ქარხანა, სამთომანქანათსაშენებელი ქარხნის ”მაღაროელის” ბაზაზე; ბათუმში – ელექტრომოწყობილობის, ელექტროვენტილატორებისა და ელექტრომტვერსასრუტი ქარხნები; სოხუმში – კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ქარხანა; სამხრეთ ოსეთში – ელექტროტექნიკური პროფილის საწარმოები, გორში – ავტომატიზაციისა და საწარმოო პროცესების საკონტროლო საზომი ხელსაწყოების ქარხნები; ფოთში – ელექტროაპარატურის ქარხანა; ზესტაფონში – საკაბელო ნაწარმის ქარხანა და სხვ.

საქართველოში შემდგომი განვითარება პოვა ჩაის, მევენახეობის, მეღვინეობისა და მეხილეობის მანქანა-მოწყობილობათა წარმოებამ.

მეექვსე ხუთწლედში სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს საწარმოთა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის სხვა ეკონომიკურ რაიონებთან, მაგრამ შემცირდა შორეული არარაციონალური გადაზიდვებიც. მაგალითად, წინათ თუჯის სხმული თბილისიდან იგზავნებოდა ლენინგრადსა და შორეულ აღმოსავლეთში, ამავე დროს თბილისის საწარმოები ასეთივე სხმულებს იღებდნენ სსრ კავშირის შორეული სამრეწველო ცენტრებიდან.

როგორც სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე, 1952 – 1958 წლებშიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების მოთხოვნების შესაბამისად წყდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთთანამშრომლობის, შრომის დანაწილებისა და საერთო-საამიერკავკასიო მნიშვნელობის ეკონომიკური პრობლემები. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აშენებამდე თუჯი, ფოლადი და ნაგლინი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შემოჰქონდათ კავშირის სხვადასხვა შორეული მეტალურგიული ცენტრებიდან, რაც იწვევდა მილიონობით ზედმეტ სატრანსპორტო ხარჯებს. რუსთავისა და სუმგაითის (აზერბაიჯანი) მეტალურგიული ქარხნების ამუშავების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა მეტალურგიული პროდუქციის შემოზიდვა ამიერკავკასიაში.

1958 წლისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობის პროდუქცია, მათ შორის მეტალურგიული ქარხნების ნაწარმი, იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და მსოფლიოს 54 ქვეყანაში. ზესტაფონის და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ გამოშვებული ფეროშენადნობები, მილები, ნაგლინი იგზავნებოდა ბულგარეთში, რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ჩინეთში, პოლონეთში, ალბანეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე ინდოეთში, ავღანეთში, ირანში, არგენტინაში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ავსტრალიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, შვეციასა და სხვა ქვეყნებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნას, რაც განხორციელდა 1954 – 1958 წლებში. საქართველოსა და სომხეთში ჭარბობენ ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ზაფხულსა და შემოდგომაზე წყალნაკლებობის დროს, ვერ მუშაობენ მთელი სიმძლავრით. წყალუხვობის დროს კი საქართველოსა და სომხეთის ენერგოსისტემები ელექტროენერგიით ამარაგებენ მოძმე აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობას, რითაც იზოგება ნავთობი და ბუნებრივი გაზი. ამ პერიოდში ელექტროენერგიის დეფიციტს ფარავს აზერბაიჯანის ენერგოსისტემა, რომლის ელექტროსადგურები ძირითადად ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე მუშაობენ.

1957 წელს საქართველოს ენერგოსისტემა გაერთიანდა აგრეთვე კრასნოდარის ენერგოსისტემასთან. ყოველივე ამან დიდად გაზარდა

საქართველოს, მთელი გაერთიანებული ელექტროსისტემის სიმძლავრე და ეკონომიურობა.

საერთო-საამიერკავკასიო პრობლემაა საქართველოში სატვირთო ავტომობილების წარმოების გაფართოება. "საავტომობილო მრეწველობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 17 აპრილის დადგენილების თანახმად, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ დაიწყო 4 – 5 ტონის ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილებისა და 7 – 8-ტონიან სატვირთო მისაბმელების წარმოება. ადრე ქარხანა უშვებდა მხოლოდ თვითმცლელ ავტომობილებს, მოტორებს და ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკურ თანამშრომლობაში კიდევ უფრო გაიზარდა შავი მეტალურგიის, ნავთობის, ქვანახშირის, ელექტროენერგიის, გაზის, ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო პრობლემების საერთო ძალ-ღონით გადაჭრის აუცილებლობა.

1952– 1958 წლებში გაძლიერდა საქართველოს კავშირურთიერთობანი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებთან. რუსეთის ფედერაციიდან საქართველო იღებდა სხვადასხვა ტიპის ელმავლებს, ავტობუსებს, ტროლეიბუსებს, ტრაქტორებს, კომბაინებს, სამრეწველო მანქანებსა და მოწყობილობას, მინერალურ სასუქებს, ქიმიური მრეწველობისა და რეზინის ნაწარმს, ქსოვილებსა და საგალანტერიო საქონელს, ხორბლეულს, შაქარს, ხე-ტყის მასალებს, მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა პროდუქციას.

თავის მხრივ, საქართველო მოძმე რესპუბლიკებს, სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს აწვდიდა მანგანუმს, ფეროშენადნობებს, თუჯს, ფოლადსა და ნაგლინს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სამაგისტრალო ელმავლებს, ბარიტს, გუმბრინს, ქვანახშირს, ავტომობილებს, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანებსა და მოწყობილობას, აბრეშუმის, შალისა და ბამბეულის ქსოვილებს, ფეხსაცმელს, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მრავალნაირ ნაწარმსა და სამთო მიენრალურ ნედლეულს, აგრეთვე ჩაის, ღვინოს, ციტრუსებს, კონსერვებს, ხილულს, ტუნგსა და ეთეროვან ზეთებს, თამბაქოს, მინერალურ წყალსა და მრავალ სხვა სახის პროდუქციას.

საქართველო მდიდარია ძვირფასი სამშენებლო მასალებით. ქართული მარმარილოთი მოპირკეთებულია მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის მრავალი სადგური, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ახალი შენობა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის სხვა უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი. ბოლნისის ოქროსფერი ტუფით არის მოპირკეთებული კრემლის თეატრისა და ყრილობათა სასახლის შენობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით შესრულებულიყო სახელმწიფო გეგმები. საქართველოს ზოგიერთმა სამინისტრომ და აუწყებამ მთლიანად ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა პროდუქციის 1956 წლის გეგმა ნატურალური გამოხატულებით. სასურსათო საქონლის, საფეიქრო, სატყეო და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა ვერ შეასრულეს მცენარეული ზეთის, ლუდის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, ფანერის წარმოების, სამასალე მერქნის გამოზიდვის, ცეცხლგამძლე ნაკეთობათა და თაბაშირის, აგურის კრამიტის, მაგარი ტყავეულის, ბამბის ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, ავეჯისა და სხვა ნაკეთობათა წარმოების გეგმები.

1956 – 1958 წლებში მთლიანად ვერ შეასრულეს საწარმოო გეგმები რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ, კასპის ცემენტის ქარხანამ, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზამ, საავტომობილო ტრანსპორტმა და სხვა საწარმოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა.

1958 წელს სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს 74 საწარმომ, ანუ ამ საბჭოს სისტემის საწარმოთა 16 პროცენტმა[27].

მიუხედავად სერიოზული ნაკლისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში მეექვსე ხუთწლედის პირველ სამწლეულში, მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 1953 წელთან შედარებით 43 პროცენტით. ეს მიღწეულ იქნა რესპუბლიკის მუშათა კლასისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგად.

მეექვსე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში (1956 – 1958 წწ.) მნიშვნელოვნად განვითარდა ყველა სახის ტრანსპორტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინიგზის ელექტრიფიკაცია. თუ 1955 წელს ელექტრიფიცირებული იყო საქართველოს რკინიგზის 730 კმ, 1958 წელს ელექტრიფიცირებული რკინიგზის სიგრძე შეადგენდა 914 კმ-ს, ანუ რკინიგზის 80 პროცენტზე მეტს.

რკინიგზა კვლავინდებურად წამყვან როლს ასრულებდა ტვირთბრუნვასა და მგზავრთა გადაყვანაში.

ცხრილი 4

ტვირთის გაგზავნა დ ამიღება რკინიგზის ტრანსპორტზე (ათას ტონობით)[28].

წლები	გაგზავნა	მიღება
1955 1956 1957 1958	13233 15437 16671 17848	18054 20180 22556 23873

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, მიღებული ტვირთის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოდან გაგზავნილი ტვირთის რაოდენობას. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის ნავთობის, მადნეულის, პურეულისა და მანქანა-დანადგარების შემოზიდვით.

1952 – 1958 წლებში როგორც მთელ სსრ კავშირში, ისე საქართველოში ფართოდ განვითარდა საავტომობილო ტრანსპორტი. გაიხსნა ახალი საქალაქთაშორისო საავტომობილო მარშრუტები როგორც რესპუბლიკის შიგნით, ასევე სარესპუბლიკათაშორისო. 1952 წელთან შედარებით 1958 წელს საავტომობილო გზების სიგრძე საქართველოში გაიზარდა 9 000 კილომეტრით. ტვირთბრუნვა 1952 წელს შეადგენდა 343 მილიონ ტონა კილომეტრს, 1958 წელს კი 910 მლნ ტონა კილომეტრს, ე. ი. გაიზარდა 2,6-ჯერ და მეტად. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა თუ 1952 წელს იყო 6,9 მლნ ტონა კილომეტრი, 1952 წელს გაიზარდა 116, ხოლო 1958 წელს – 174 მლნ ტონა კილომეტრამდე[29].

მკვეთრად გადიდდა საერთო სარგებლობის სატვირთო და მსუბუქი ტაქსომოტორის პარკი, გაიზარდა მათი ხვედრითი წონა ტვირთბრუნვასა და მგზავრთა გადაყვანაში. 1958 წელს 1950 წელთან შედარებით შემცირდა ტვირთების გადატანისა და მგზავრების გადაყვანის თვითღირებულება. თუ 1950 წელს ავტოტრანსპორტით ერთი ტონა ტვირთის გადატანა ერთ კილომეტრზე ღირდა 7,1 კაპიკი, 1958 წელს იგი შემცირდა 5,5 კაპიკამდე. ხოლო ერთი მგზავრის ერთ კილომეტრზე გადაყვანის თვითღირებულება შემცირდა 1,1 კაპიკიდან 0,8 კაპიკამდე[30].

მნივშვნელოვნად განვითარდა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი. 1958 წელს 1950 წელთან შედარებით თვითმფრინავით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 6,5-ჯერ[31].

---

[1] გაზ. “კომუნისტი”, 1955 წლის 31 ივლისი.
[2] იქვე, 1954 წლის 18 თებერვალი.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 32, საქ. 5, ფურც. 1 – 2.

[4] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობები სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 – 1955 წლების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ (გაზ. “კომუნისტი”, 1954 წლის 7 თებერვალი; 1955 წლის 30 იანვარი; 1956 წლის 25 იანვარი).
[5] გაზ. “კომუნისტი”, 1956 წლის 20 იანვარი.
[6] იქვე, 22 ივნისი.
[7] გაზ. “კომუნისტი”, 1956 წლის 22 ივნისი.
[8] საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სტატისტიკური სამმართველოს ცნობა მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების შესახებ (გაზ. “კომუნისტი”, 1956 წლის 22 ივნისი).
[9] საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სტატისტიკური სამმართველოს ცნობა მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების შესახებ (გაზ. “კომუნისტი”, 1956 წლის 22 ივნისი).
[10] გაზ. “კომუნისტი”, 1956 წლის 22 ივნისი
[11] «Народное хозяйство СССР. Статистический сборник», М., 1956, стр. 51.
[12]« Народное хозяйство СССР. Статистический сборник», стр. 64, 68-69, 80.
[13] იქვე. გვ. 82, 92.
[14] “საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1956 – 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ”, 1956, გვ. 6.
[15] “სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 – 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ”, გვ. 52 – 61.
[16] იქვე. გვ. 64.
[17] იქვე. გვ. 88 -89.
[18] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.
[19] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 25 იანვარი).
[20] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 25 იანვარი).
[21] “ 40 лет. Советской Грузии», стр. 52..
[22] იქვე, გვ. 52.
[23] იქვე, გვ. 63.
[24] «40 лет Советской Грузии», стр.55.
[25] «Народное хозяйство СССР в 1959 году» стр. 166 – 168.
[26] იქვე, გვ. 181 – 242.
[27] გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 25 იანვარი.
[28] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр.356.
[29] იქვე, გვ. 357.
[30] იქვე, გვ. 359 - 361.
[31] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр.362.

§ 2. ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის

1952 – 1958 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი

განახორციელეს სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მიუთითა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, რის შედეგადაც მრეწველობის განვითარებისა და ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტემპებს მნიშვნელოვნად ჩამორჩა სოფლის მეურნეობა. შეუსაბამობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდის ტემპებს შორის გადაიქცა სერიოზულ დაბრკოლებად ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების გზაზე.

მრეწველობის განვითარებასთან შედარებით სოფლის მეურნეობის სერიოზული ჩამორჩენის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოება მთლიანად ვერ აკმაყოფლებდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე, ხოლო მსუბუქ და კვების მრეწველობას – ნედლეულით და არ შეესაბამებოდა სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკით აღჭურვილობას, აგრეთვე იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებსაც საკოლმეურნეო წყობილება და საბჭოთა მეურნეობანი შეიცავენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. დადგენილებაში ნათქვამია: “ცნობს რა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დარგებში მდგომარეობას არადამაკმაყოფილებლად, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ და გადაუდებლად მიაჩნია მთელ რიგ დიდ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების ამაღლება მოწინავეთა დონემდე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მთელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა”[1].

პლენუმის დადგენილებაში წამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისა და დამზადების, მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის განმტკიცების, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს მშრომელების წინაშე მდგომი ამოცანების განხილვას მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეის 1953 წლის ოქტომბრის პლენუმი, რომელმაც აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის მიერ სოფლის მეურნეობაში გამოვლინებული დიდი

ნაკლოვანებანი მთლიანად შეეხებოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობასაც. 1953 წლისათვის 1945 წელთან შედარებით საქართველოს კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შემცირდა 185,7 ათასი სულით. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ჩაის, ციტრუსების, ხეხილის ბაღების, ვენახების, ხორბლის, სიმინდისა და სხვა კულტურების განვითარებას, მოწინავეთა მიღწევების წარმოებაში ფართოდ დანერგვას.

საქართვლო განსაკუთრებით ჩამორჩებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დარგში. მარცვლეული კულტურების ფართობების ხვნა მექანიზებული იყო 67,7 პროცენტით, თესვა – 46,6, სათოხნი კულტურების კულტივაცია – 11, მოსავლის აღება – 55,7 პროცენტით.

ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში უხეშად ირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება და შრომის დისციპლინა, ნიავდებოდა საზოგადოებრივი ქონება. ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სოფლის მეურნეობის მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის დონე არ შეესაბამებოდა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ახალ მოთხოვნებს.

პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

მრავალწლიანი კულტურების განვითარების დარგში დაიგეგმა 1954 – 1955 წლებისათვის განსაზოგადოებელ სექტორში ჩაის პლანტაციების (10 000 ჰექტარით), ვენახის (7 450 ჰექტარით), ხეხილის ბაღების (7 000 ჰექტარით), ციტრუსოვანი ნარგავების (5 000 ჰექტარით) ფართობის მნიშვნელოვანი გადიდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არსებული ხეხილის ბაღების, ვენახების, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების წესრიგში მოყვანას, მინერალური და ორგანული სასუქების რაციონალურ გამოყენებას, ჩაის ფოთლის, ყურძნისა და ხილის დამზადებისა და გადამუშავების შემდგომ გაუმჯობესებას; შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაციას.

მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად უნდა გაუმჯობესებულიყო ხორბლის, სიმინდის, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სოიას აგროტექნიკური წესების დაცვა და ამ კულტურათა დამუშავების მექანიზაცია. თამბაქოს ნარგავების ფართობს 1954 წლისათვის უნდა შეედგინა 13 ათასი, ხოლო 1955 წლისათვის – 15 ათასი ჰექტარი.

კოლმეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების მიზნით განისაზღვრა კარტოფილის ფართობის აყვანა 1954 წელს 22 ათას და 1955 წელს 25 ათას ჰექტარამდე, ხოლო ბოსტნეულის კულტურებისა შესაბამისად – 12 ათას და 13 ათას ჰექტარამდე. დაწესდა საშუალო მოსავლიანობის ზრდის მტკიცე გეგმები. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაევალათ მატერიალური დაინტერესების მიზნით ფართოდ განემარტათ კოლმეურნეებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი – “1953 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმისა და ამ პროდუქტების დასამზადებელი ფასების გადიდების შესახებ” და “კარტოფილისა და ბოსტნეულის საკოლმეურნეო ვაჭრობის გაჩაღების შესახებ”. მეცხოველეობის განვითარების დარგში გათვალისწინებული იყო პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, სადგომი ბინების აშენება, ჯიშების გაუმჯობესება, პროდუქტიულობის, განსაკუთრებით რძის წარმოების მკვეთრი გადიდება, კოლმეურნეობებთან მეფრინველეობის ფერმების შექმნა. პლენუმმა დაავალა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ფართოდ განემარტათ სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი მიწის საერთო ფართობის მიხედვით განსაზღვრისა და მეცხოველეობის პროდუქტებზე დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის გაძლიერების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროს დაევალათ მტს-ების საჭირო კადრებით, მანქანებით, იარაღებით, ინვენტარითა და დამხმარე მეურნეობებით უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაევალათ უზრუნველეყოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილებების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვა, მასობრივი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის, სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოცემა, აგრონომიული და ზოოტექნიკური საპროპაგანდო ლიტერატურისა და კინოფილმების გამოშვება; სოფლის მეურნეობის მუშაკებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, საცდელ სადგურებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და ინსტიტუტებს, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ გაეძლიერებინათ სამეცნიერო დაწესებულებათა როლი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის მისაღწევად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობას სერიოზული ზიანი მიაყენა რესპუბლიკის საკუთარი ხორბლეულით უზრუნველყოფის კურსმა.

ხორბლეულის ნათესი ფართობების გადიდების შედეგად შეიზღუდა მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების განვითარება. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაზე. აუცილებელი იყო 1953 – 1958 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ამ მცდარი გეგმის გამოსწორება.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხს აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოს კპ XVI ყრილობამ (1954 წ. თებერვალი), საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის აპრილის პლენუმმა, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის შედეგები, და საქართველოს კპ XVII ყრილობამ (1956 წ. იანვარი).

საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხეხილისა და ციტრუსების ნაყოფის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის მაღალი მოსავალი. გაიზარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1953 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე 1952 წელს. გადიდდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები. ამასთან ყრილობამ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვა სოფლის მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებების გადაჭრით აღმოფხვრა. ყრილობამ დაადგინა: 1960 წლისათვის თამბაქოს წარმოების გაზრდა 21 ათას ტონამდე, ვენახების ფართობის აყვანა 72 ათას ჰექტრამდე, ხეხილის ბაღებისა – 121 ათას ჰექტრამდე და ა. შ.[2]

საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა 1953 – 1955 წლებში განახორციელეს ზოგიერთი ღონისძიება. სოფლის მეურნეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად; მტს-ებიდან კოლმეურნეობებში გადავიდა 1 600-ზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გადაწყდა სოფლად სამუშაოდ გაგზავნილიყო 30-ათასი კომუნისტი, რომელთაც ჰქონდათ პარტიული, საბჭოთა, სამურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზატორული მუშაობის სათანადო გამოცდილება. საქართველოს პარტიულ, საბჭოთა და მეცნიერ მუშაკთა აქტივიდან 30-ათასიანელთა ანგარიშში რესპუბლიკის ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში თავმჯდომარეებად გაიგზავნა 300 კაცი. 1955 წლის ოქტომბრისათვის საქართველოში 2 119 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან 1 0 32 უმაღლესი და საშუალო განათლებით იყო, მათ შორის სპეციალური სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი განათლება ჰქონდა 572 კაცს, რაც შეადგენდა საეთრო რაოდენობის 27 პროცენტს[3].

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილების საფუძველზე საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მიღებულ იქნა გადამჭრელი ზომები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვაში ბიუროკრატიული დამახინჯებების ლიკვიდაციისათვის.

ამრიგად, საქართველოში დაისახა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მაგრამ ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მათი განხორციელება, ამიტომაც ამ დადგენილებებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი არ მოჰყოლია.

სკკპ XX ყრილობის დირექტივებით სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დაისახა საწარმოო ძალების განლაგების შემდგომი გაუმჯობესების, ეკონომიკური რაიონების მეურნეობის სწორი სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების, მოკავშირე რესპუბლიკების ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანები.

ამ დირექტივებით გათვალისწინებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ამოცანები: ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გადიდება 165 ათას ტონამდე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხეხილის ბაღების გაშენება 17 ათას ჰექტარზე, ვენახებისა – 15 ათას და ციტრუსოვანთა ნარგავებისა – 6 ათას ჰექტარზე. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით დაიგეგმა მარცვლეულის წარმოების გადიდება დაახლოებით 1,3-ჯერ, ხორცისა – 1,7-ჯერ, რძისა – 2-ჯერ, მატყლისა – 1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა – 1,3-ჯერ. მეექვსე ხუთწლედი ითვალისწინებდა საქართველოში სარწყავი არხების მშენებლობას 40 ათას ჰექტარზე და ამოსაშრობი ქსელის მშენებლობას 10 ათას ჰექტარზე, დაიგეგმა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრება[4].

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო კოლმეურნეებზე ავანსების გავრცელება, რაც საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილებით ”კოლმეურნეობის ყოველთვიური ავანსირებისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ”. ასევე ითქმის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაზე ”სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ”, რომელსაც მოჰყვა საკოლმეურნეო წყობილების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განმტკიცება.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1957 წლის 22 იანვრის დადგენილებით მოიწონა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების წინადადება არარენტაბელური კოლმეურნეობების ბაზაზე ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნისა და არსებულთა გაფართოების შესახებ. იმ ანგარიშით, რომ 1957 – 1960 წლებში საბჭოთა მეურნობებისათვის გადაცემულ

ფართობებზე გაშენებულიყო ათას ჰექტარობით ვენახები, ხეხილის ბაღები, მოწყობილიყო მესაქონლეობა-მერძევეობის მაღალპროდუქტიული ფერმები, უნდა მოწყობილიყო: სამტრესტის ხაზით – ახმეტის, ლილოს, ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები, საქართველოს შამპანკომბინატის ხაზით – ხურვალეთის, ოკამის, საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები[5]. გათვალისწინებული იყო მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობათა გამსხვილება-გაფართოება.

ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი რაოდენობა. 1953 წელს საქართველოში იყო ყველა ტიპისა და უწყების 98 საბჭოთა მეურნეობა, 1958 წელს კი 117. ამასთან სოფლის მოსახლეობის ზრდასა და ძნელადსამართავ კოლმეურნეობათა დაწვრილერთეულების შედეგად კომლეურნეობების საერთო რაოდენობა კი არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა კიდეც. თუ 1953 წელს საქართველოში იყო 2 057 კოლმეურნეობა, 1958 წელს მათმა რიცხვა 2 258-ს მიაღწია[6].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის თებერვლის პლენუმმა უარყო ზოგიერთი ჩვენი ეკონომისტის წინადადება ყველა სუსტი კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის შესახებ, როგორც სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ობიექტური პროცესისადმი შეუსაბამო მოსაზრება.

მიუხედავად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანებისა, 1953 – 1958 წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელების შედეგად საქართველოში გადიდდა ისეთი ძვირფასი კულტურის ნარგავების ფართობი, როგორიც არის ვენახი. ვენახების ფართობი საქართველოში გაიზარდა 62 200 ჰექტარიდან 74 900 ჰექარამდე. გადიდდა აგრეთვე სარწყავი მიწების ფართობი. 1953 წელს იგი შეადგენდა 295 700 ჰექტარს, 1958 წელს – 319 600 ჰექტარს. ამოშრობილი მიწების ფართობი 20 ათას ჰექტარმადე გაიზარდა[7].

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა, რაც მეხუთე ხუთწლედში შეადგენდა 1 მილიარდ 348 მილიონ მანეთს, ხოლო 1956 – 1958 წლებში – 964 მილიონ მანეთს.

თუ როგორ იზრდებოდა სახელმწიფო და საკოლმეურნეო კაპიტალდაბანდებანი სოფლის მეურნეობაში საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე, ამას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები (შესადარ ფასებში მანეთობით) (იხ. ცხრილი 5)[8]:

ცხრილი 5

წლები	100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე	100 ჰექტარ სათეს ფართობზე

1953	1.719	5.000
1955	2.143	6.000
1956	2.036	5.700
1957	2.148	5.800
1958	2.704	7.300

კიდევ უფრო მკვეთრად გაიზარდა კაპიტალდაბანდებანი საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს კპ XVIII ყრილობამ (1958 წ. იანვარი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, მათი ეკონომიკის აღმავლობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და შრომის დისციპლინის დარღვევის აღმოფხვრის, ტექნიკური კულტურების განვითარების საკითხებს. ყრილობამ მოითხოვა ჩაისა და თამბაქოს პლანტაციების, ციტრუსოვანი ნარგავების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლის ძირეული გაუმჯობესება და მათი მოსავლიანობის გადიდება.

ყრილობამ პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია 1958 წლისათვის ერთ საფურაჟე ძროხაზე 1 500 კილოგრამი რძის მიღება და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მაქსიმალური გადიდება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე.

1958 წლისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დონის ამაღლებამ, კოლმეურნეობების ეკონომიკის გაძლიერებამ, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკური კავშირის ახალ საფეხურზე აყვანის აუცილებლობის მოთხოვნილებამ განაპირობა მანქანა-ტარქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, მათი ტექნიკის კოლმეურნეობებისადმი მიყიდვა და მექანიზატორთა კადრების კოლმეურნეობებში გადასვლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის თებერვლის პლენუმმა მიიღო დადგენილება "საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ". ამ დადგენილების საფუძველზე შედგენილი თეზისები გამოქვეყნდა პრესაში საყოველთაო სახალხო განხილვის მიზნით. საქართველოში თეზისების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 40 ათასზე მეტმა მშრომელმა, რომლებმაც ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს ადგილობრივი თავისებური პირობების გათვალისწინების საფუძველზე.

მტს-ების რეორგანიზაციისა და მეტად მნიშვნელოვანი მანქანების კოლმეურნეობების ხელში გადასვლით ძირეულად შეიცვალა კოლმეურნეობებისადმი საწარმოო-ტექნიკური მომსახურება. დამყარდა

ეკონომიკური კავშირურთიერთობის ახალი ფორმები სახელმწიფოსა და კომლეურნეობებს შორის. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამაზდების წესებიცა და პირობებიც შეიცვალა ახალი ვითარების შესაბამისად.

გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არსებული დამზადების მრავალსაფეხურიანი ფორმები და შეიქმნა სახელმწიფო დამზადებათა ერთიანი სისტემა, რომელიც გულისხმობდა ქვეყნის სხვადასხვა ზონებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას, კოლმეურნეთა ინიციატივისა და შრომითი აღმავლობის შემდგომ განვითარებას, მიწისა და ტექნიკის უკეთ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და თვითღირებულების შემცირებას.

მტს-ების რეორგანიზაციამ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წესებისა და პირობების შეცვლამ ხელი შეუწყო კოლმეურეობების შემოსავლიანობის, საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების გადიდებასა და განმტკიცებას, განუყუფელი ფონდების ზრდას, რაც კოლმეურნეობებს შესაძლებლობას აძლევს კიდევ უფრო გააფართოონ საკოლმეურნეობათშორისო ავტობაზების, სკოლების, კლუბებისა და საავადმყოფოების მშენებლობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის ივლისის პლენუმმა განიხილა საკითხი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ეკონომიკურად დასაბუთებულ ფასებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებით, გამოიწვევდა სახელმწიფო-საცალო ფასების შემცირებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას[9].

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1958 წლის 28 ნოემბერს მიიღო დადგენილებები ქარსაცავი და მინდორსაცავი ტყეების ზოლების შექმნისა და ბუნების დაცვის შესახებ, რომლებსაც დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოში ნიადაგის ეროზიისა და გამოფიტვისაგან დაცვის, სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურების განვითარების, უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის დასვენებისა და ჯანმრთელობის პირობების გასაუმჯობესებლად.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი მუდამ იყო სახალხო მეურნეობისა და კერძოდ სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დანერგვა. ამ

ამოცანას ემსახურებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 24 დეკემბრის კანონი სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელსაც საქართველოში მოჰყვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება, რაც მიმართული იყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისაკენ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 იანვრის დადგენილებაში "საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობის გაუმჯობესების შესახებ" ნათქვამია, რომ უნდა გაძლიერდეს დამუშავება ისეთი პრობლემებისა, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების გადაწყვეტისათვის. დადგენილება მოითხოვდა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდების, ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური მეთოდების, ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებას და მათს განხორციელებას[10].

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხშირად იხილავდნენ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების საკითხებს და იღებედნენ დადგენილებებს სოფლის მეურნეობის კვალიფიცუირი კადრებითა და თანამედროვე ტექნიკით უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს დადგენილებები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მეტწილად ქაღალდზე რჩებოდა და ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ისეთი წამყვანი კულტურების განვითარებას, როგორიც არის ვენახი, ციტრუსები, ხეხილი, მარცვლეული, თამბაქო და აგრეთვე მეცხოველეობა[11].

სსრ კავშირის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში საქართველოდან ათასობით კომკავშირელი და ახალგაზრდა გაიგზავნა. მარტო 1958 წელს საქართველოდან ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის აღებაში მონაწილეობდა 7 000 ახალგაზრდა. თუ როგორ დიდი იყო ყამირ და ნასვენ მიწებზე საქართვველოს წარგზავნილთა აქტივობა, ამას მეტყველებს ის ფაქტი, რომ ათასობით ჩვენი ახალგაზრდა დაბრუნდა მთავრობის ჯილდოებითა და ადგილობრივი ორგანოების სიგელებით, ფასიანი საჩუქრებითა და მედლებით[12]. მაგრამ ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა რესპუბლკის შიგნით ყამირის ათვისებას, ახალგაზრდობის შრომით დასაქმებას უშუალოდ მატერიალური დოვლათის წარმოებაში. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობის შესუსტების შედეგი იყო ისიც, რომ 1953 – 1958 წლებში შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოება. საქართველოს მიწათმოქმედების პროდუქცია

გადიდდა 28 პროცენტით, მეცხოველეობისა – 31 პროცენტით[13], რაც ჩამორჩებოდა გეგმურ დავალებებს[14].

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 1955 წელს 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 15,7 პროცენტით, ხოლო სიმინდისა – 25 პრცენტით. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა, მიუხედავად ნათესი ფართობის შემცირებისა, 1955 წელს შეადგინა 49 მილიონი ფუთი, ანუ თითქმის 1 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1954 წელს. ამიტომ კოლმეურნეობებს შესაძლებლობა მიეცათ 1955 წელს სახელმწიფოსათვის გეგმის ზევით მიეყიდათ 1 161 ათასი ფუთი მარცვლეული, მაგრამ ეს მიღწევა სრულიადაც არ იყო საკმარისი. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა საქართველოში კვლავ დაბალ დონეზე რჩებოდა. იგი 1955 წელს საშუალოდ 1 ჰექტარზე შეადგენდა: ყველა სახის მარცვლეულისა – 11 ცენტნერს, მათ შორის სიმინდისა – 13,5 ცენტნერს[15].

ასეთი დაბალი მოსავლიანობის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაში არასაკმაოდ იყენებდნენ არსებულ შესაძლებლობებს მოსავლიანობის გადიდებისათვის. იმ კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა, რომლებმაც თავის დროზე, ხარისხიანად, აგროტექნიკური წესების დაცვით ჩაატარეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და დროულად აიღეს მოსავალი, მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს. ხოლო ვინც ყოველივე ეს არ დაიცვა, თავი ვერ დააღწია დაბალ მოსავლიანობას. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობამ 1955 წელს საშუალოდ 1 ჰექტარზე მოიყვანა 21,2 ცენტნერი ხორბალი, ხოლო იმავე რაიონის თითქმის იგივე პირობებში მყოფმა XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ – 10,7 ცენტნერი. გორის რაიონის სოფელ თორთიზის კოლმეურნეობამ 1955 წელს საშუალოდ 1 ჰექტარზე მიიღო 40 ცენტნერი სიმინდი, ხოლო სოფელ ბერბუკის კოლმეურნეობამ, რომელსაც იგივე ნიადაგი და კლიმატური პირობები აქვს, - 8 ცენტნერი სიმინდი[16].

საქართველო განთქმულია მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნედლეულით. 1955 წელს თამბაქოს პლანტაციების ფართობი შეადგენდა 14,4 ჰექტარს, ნაცვლად 11 ათასი ჰექტარისა 1953 წელს. 1955 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 16 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული, 1954 წელს კი მხოლოდ – 14,1 ათასი ტონა. შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი საქართველოში 1955 წელს შეადგენდა 5 ათას ჰექტარს, საშუალოდ 1 ჰექტარზე მოსავლიანობა – 273 ცენტნერს, ხოლო 1954 წელს – 220 ცენტნერს. სახელმწიფოს 1955 წელს ჩაბარდა 1 365 ათასი, ხოლო 1954 წელს – მხოლოდ 1 100 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი. კარტოფილის ნათესების ფართობი კოლმეურნეობებში 1953 წლის 18 ათასი ჰექტარიდან 1955 წელს გადიდდა 23,5 ათას ჰექტარამდე. 1954 წელს საშუალოდ 1 ჰექტარზე კოლმეურნეობებმა მიიღეს 44 ცენტნერი, ხოლო 1955 წელს – 47 ცენტნერი კარტოფილი. სულ 1955 წელს კარტოფილის ნათესი ფართობი მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით უდრიდა 39,9 ათას ჰექტარს. მაგრამ კარტოფილის წარმოება მაინც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მზარდ

მოთხოვნილებას. ბოსტნეული კულტურების ფართობი კოლმეურნეობებში 1955 წელს იყო 12,1 ათასი ჰექტარი ნაცვლად 10,3 ათასისა 1953 წელს. საერთოდ ბოსტნეული კულტურების ფართობმა 1955 წელს მიაღწია19,3 ათას ჰექტარს. მაგრამ მოსავლიანობა კვლავ დაბალი იყო და ჰექტარზე საშუალოდ არ აღემატებოდა 45 ცენტნერს[17].

მნიშვნელოვნად გაიზარდა საკვები კულტურების ნათესი ფართობი. 1955 წელს იგი ავიდა 116,8 ათას ჰექტარამდე ნაცვლად 67,1 ათასისა 1953 წელს, ე. ი. გადიდდა 2-ჯერ და მეტად. ამის გარდა, 1955 წელს ცხოველთა საკვებად გამოყენებული იყო 35,6 ათასი ჰექტარი სიმინდის ნათესები. საკვები ბაზის გაფართოებამ კოლმეურნეობებს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინათ ცხოველთა ჯიშები. 1955 წელს სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკებიდან საქართველომ შემოიყვანა 17 ათასი ჯიშიანი ძროხა და უშობელი. 1955 წელს რძის საერთო წველადობა კოლმეურნეობებში გაიზარდა 42,4 ათასი ტონით და შეადგინა 127,2 ათასი ტონა ნაცვლად 84,8 ათასი ტონისა 1954 წელს. ერთ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ წველადობა 1955 წელს იყო 786 კგ ნაცვლად 483 კგ-სა 1953 წელს. ამრიგად, საშუალო წველადობა 1955 წელს გადიდდა 269 კგ-ით, ანუ 52 პროცენტით. ამის მიუხედავად, კოლმეურნეობებში რძის წარმოება 1955 წელს რჩებოდა დაბალ დონეზე. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე იგი შეადგენდა მხოლოდ 45,5 ცენტნერ რძეს. გაიზარდა ცხვრის სულადობა კოლმეურნეობებში და 1955 წელს შეადგინა 1 314,3 ათასი. ჩამორჩებოდა მეღორეობა და მეფრინველეობა[18].

1952 – 1958 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრაქტორების რაოდენობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების კოეფიციენტი. მხოლოდ 1954 – 1955 წლებში საქართველოს მტს-ებმა მიიღეს 591 ტრაქტორი, 200 კომბაინი, აგრეთვე დიდი ოდენობით ავტომანქანა და სასოფლო-სამეურნეო იარაღი. მტს-ესბის მშენებლობებზე კაპიტალდაბანდება შეადგენდა 50 მილიონ მანეთზე მეტს. 1955 წელს დამთავრდა და მწყობრში ჩადგა 12 სარემონტო სახელოსნო, 19 ნავთობბაზა და სხვ. 1955 წელს საქართველოში მტს-ები ითვლიდნენ 8 000 მუდმივ მუშას, უშუალოდ წარმოებაში დასაქმებულ 7 725 აგრონომს, ვეტექიმს, ზოოტექნიკოსს.

სატრაქტორო სამუშაოთა საერთო მოცულობა 1955 წელს შეადგენდა 2 722,1 ჰექტარს, რაც მხოლოდ 193 ათასი ჰექტარით აღემატებოდა 1953 წელს შესრულებულ სამუშაოს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციაც დაბალ დონეზე იყო. იგი სხვადასხვა სახის მიხედვით შეადგენდა მხოლოდ 60 – 68 პროცენტს[19]. ძალიან ნელა მაღლდებოდა სამუშაოთა მექანიზაციის დონე მრავალწლიანი ნარგავების, ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის მეურნეობებში. მექანიზაციას შედარებით უკეთ იყენებდნენ მარცვლეულის რაიონებში. 1953 – 1958 წლებში როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში შეიცვალა ნათესი ფართობების სტრუქტურა. საქართველოში რამდენადმე შემცირდა მარცვლეული კულტურების ნათესების ფართობი და სამაგიეროდ გაიზარდა ჩაის, ვენახის, ტექნიკური

კულტურების, კარტოფილის, ბაღჩეულ-ბოსტნეულისა და საკვები კულტურების ფართობები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით ნათესი ფართობების ცვლილებანი მოცემულია მე-6 ცხრილში (ათას ჰექტარობით)[20]:

ცხრილი 6

	1952 წ.	1958 წ.
სულ ნათესი ფართობები	913,9	914,9
მათ შორის:	853,7	618,9
მარცვლეული კულტურები	36,8	43,3
	5,1	5,3
ტექნიკური კულტურები	18,2	21,5
	11,1	13,9
შაქრის ჭარხალი	23,8	24,1
	15,2	20,8
მზესუმზირა	70,0	166,6
თამბაქო		
კარტოფილი		
ბოსტნეული		
საკვები კულტურები		

როგორც ცხრილიდან ჩანს, შემცირდა მარცვლეული კულტურების ნათესები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კულტურის (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო და სხვ.) მთლიანი მოსავალი 1958 წელს აღემატებოდა 1953 წლის დონეს[21].

ამ პერიოდში მეტი ყურადღება ექცეოდა მრავალწლიანი კლტურების განვითარებას. 1945 – 1952 წლებში საშუალოდ წელიწადში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავალი შეადგენდა 43,4 ათას ტონას, 1953 – 1958 წლებში მისმა საშუაულო წლიურმა მოსავალმა გადააჭარბა 111,6 ათას ტონას, ხოლო 1958 წელს მიღებულ იქნა ჩაის სარეკორდო მოსავალი – 132,9 ათასი ტონა. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა გადიდდა 2 621 კილოგრამიდან 2 928 კილოგრამამდე[22].

მიუხედვად 1949 – 1950 და 1953 – 1954 წლების ძლიერი ყინვებისა, რომლებმაც დიდად დააზიანეს ციტრუსების მეურნეობა, 1955 – 1958 წლებში

მნიშვნელოვნად გაიზარდა ციტრუსოვანი კულტურების წილი საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. 1952 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 9 400, ხოლო 1958 წელს 31 000 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. თუ 1945 – 1952 წლებში საშუალო წლიური სახელმწიფო დამზადება შეადგენდა 11 000 ტონას, 1953 – 1958 წლებში მან გადააჭარბა 17 000 ტონას. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ტუნგის მოსავლიანობა. თუ 1950 – 1952 წლებში ტუნგის ნაყოფის საშუალო წლიური სახელმწიფო დამზადება შეადგენდა 9 010 ტონას, 1953 – 1958 წლებში იგი გაიზარდა 11 000 ტონამდე, გადიდდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის დაფნის ფოთლის მიყიდვა[23]. ცვლილებები ვენახის ფართობისა და ყურძნის სახელმწიფო დამზადებაში ნაჩვენებია მე-7 ცხრილში[24].

თუ 1945 – 1952 წლებში ყურძნის საშუალო წლიური სახელმწიფო დამზადება რესპუბლიკაში შეადგენდა 53,6 ათას ტონას, 1953 – 1958 წლებში იგი გადიდდა 111,1 ათას ტონამდე, ხოლო ყურძნის მთლიანი პროდუქცია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში აღწევდა: 1953 წელს, - 228 ათას, 1958 წელს – 306 ათას ტონას[25].

1953 – 1958 წლებში განვითარდა მეხილეობის მეურნეობა. 1953 წელს ხეხილის ბაღების ფართობი უდრიდა 98 ათას ჰექტარს, ხოლო 1958 წელს – 114 ათას ჰექტარს. გაიზარდა აგრეთვე მოსავლიანობა. ხილის მოსავალმა შეადგინა: 1953 წელს 107 ათასი; 1958 წელს 284 ათასი ტონა[26].

ცხრილი 7

წლები	ფართობი – ათასი ჰექტარი	დამზადება – ათასი ტონა
1953	62,2	82,6
1954	67,8	110,6
1955	68,0	112,5
1956	69,4	100,4
1957	71,9	110,3
1958	74,9	152,7

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა აგრეთვე თამბაქოს, ჭარხლისა და სხვა კულტურების განვითარებაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა 1953 – 1958 წლებში ნაჩენებია მე-8 ცხრილში[27].

ცხრილი 8

კულტურების დასახელება	წ ლ ე ბ ი					
	1953	1954	1955	1956	1957	1958
მარცვლეული	122,1	118, 6	111,6	78,9	89,1	37,8
.....	133,3	107,8	136,8	123,0	84,6	129,1
შაქრის ჭარხალი	7,2	5,9	6,6	5,8	7,6	5,4
.....	12,7	14,1	14,6	14,5	17,9	17,2
მზესუმზირა	11,6	14,7	11,2	6,6	9,7	13,6
.....	23,0	24,3	30,1	32,3	31,5	34,8
თამბაქო	37,0	40,8	28,7	47,1	64,7	82,2
.....	82,6	110,6	112,5	100,4	100,3	152,7
კარტოფილი	18,3	4,8	18,5	8,4	24,0	31,7
.....	107,2	107,4	117,4	206,4	108,4	132,9
ბოსტნეული	11,2	17,4	16,4	3,5	2,3	14,3
.....	0,4	0,3	0,3	0,4	0,9	0,7
ხილეული	3,7	3,8	7,9	5,3	6,3	9,0
.....						
ყურძენი						
.....						
ციტრუსები						
.....						
ჩაის ფოთოლი						
.....						

ტუნგის	ნაყოფი						
დაფნის	ფოთოლი						
ეთერზეთოვანები							

ამრიგად, გაიზარდა თითქმის ყველა კულტურის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა, გარდა მარცვლეული კულტურებისა. მარცვლეული კულტურების დამზადების შემცირება აიხსნება არა მარტო იმით, რომ მათი ნათესი ფართობი 1952 წელთან შედარებით 1958 წელს შემცირდა (234 ათასი ჰექტარით), არამედ იმითაც, რომ ამ კულტურების პროდუქციის დამზადებისაგან სახელმწიფომ გაანთავისუფლა მთელი რიგი რაიონები, რომლებშიც მარცვლეულ კულტურებზე უფრო ძვირფასი და რენტაბელური კულტურების მეურნეობა განვითარდა.

გაიზარდა მინერალური სასუქების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. თუ ადრე საქართველოს მინერალური სასუქები შემოჰქონდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, 1955 წლიდან, როცა მწყობრში ჩადგა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, საქართველო არა თუ იმკაყოფილებს თავის მოთხოვნილებას, არამედ მზარდი რაოდენობით აწვდის მინერალურ სასუქს ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებსაც.

1953 – 1958 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება. ამ პერიოდში ხორცის დამზადება გაიზარდა 12 030 ტონით, ანუ 42 პროცენტით, რძისა – 44 070 ტონით, ანუ 72 პროცენტით. აგრეთვე გადიდდა მატყლისა და კვერცხის დამზადება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გახდნენ ხორცით, რძითა და მატყლით სახელმწიფოს მომარაგების მთავარი წყარო[28].

ამაღლდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების როლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებაში. რესპუბლიკის მთელი ნათესი ფართობიდან 1958 წელს კოლმეურნეობებს ეკუთვნოდათ 704 500 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს – 45 700 ჰექტარი, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირად დამხმარე მეურნეობებს – 127 000 ჰექტარი[29].

გადიდდა შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში. 1958 წელს იგი 42 პროცენტით აღემატებოდა 1950 წლის მაჩვენებელს[30].

საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას ადასტურებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 9)[31].

ცხრილი 9

	წლები					
	1953	1954	1955	1956	1957	1958
კოლმეურნეობებისრაოდენობა.....	2.057	2.061	2.122	2.253	2.307	2.258
კოლმ. განუყ. ფონდები (მლნ მან.)....	328,4	341,6	360,9	37,2	377,4	449,7
კოლმ. ფულადი შემოსავალი (მლნ მან.)	165,0	184,8	198,7	192,5	208,8	249,3

სოფლის მეურნეობის განვითარებაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც საწარმოო მიმართულების მხედვით ასე იყო განაწილებული (იხ. ცხრილი 10)[32]:

ცხრილი 10

	წ ლ ე ბ ი					
	1953	1954	1955	1956	1957	1958

საბჭოთა მეურნეობების საერთო რაოდენობა.....	98	95	101	102	119	117
მათ შორის:						
მეჩაიეობის	13	22	22	22	21	21
მეხილეობის, მეხილეობა მებოსტნეობის	6	5	5	4	7	7
მევენახეობის, მეხილეობა-მევენა-ხეობის	21	21	22	22	29	29
მებოსტნეობის, მებოსტნეობა-მერძევეობის	-	-	5	4	3	4
სუბტროპიკული კულტურების ...	20	18	18	18	18	18
მერძევეობის, მეხორცეობა-მერძე-ვეობის.....	4	5	6	8	11	14
მეფრინველეობის	2	2	2	3	3	4

როგორც ცხრილიდან ჩანს, საბჭოთა მეურნეობების საერთო რაოდენობა 1953 – 1958 წლებში გადიდდა მევენახეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის, მებოსტნეობა-მერძევეობის, მეხორცეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნის გზით.

საბჭოთა მეურნეობების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად უმჯობესდებოდა მათი განვითარების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 11)[33].

ცხ

რილი 11

	წ ლ ე ბ ი					
	1953	1954	1955	1956	1957	1958
მუშათა საშუალო წლიური რიცხვი (ათასი კაცი)	25,8	25,1	25,4	25,2	29,9	36.8
ტრაქტორთა რიცხვი (15-ძალიანზე გადაყვანით)	716	676	716	898	1.224	1.224
კომბაინების რიცხვი	43	30	31	29	49	105
.....	1.027	985	1.026	996	1.126	1.210
სატვირთო ავტომობილების რიცხვი	6,9	10,7	14,2	15,0	26,6	39,1
.....	5,5	5,4	5,4	7,3	14,5	20,6
სათესი ფართობი (ათასი ჰექტარი)	2,3	1,8	1,8	3,9	7,2	11,9
.....	38,1	15,0	15,0	34,6	56,1	43,2
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	63,1	58,4	58,4	139,7	202,1	304,4
.....						
ღორი						
ცხვარი და თხა						
ფრინველი						

ამრიგად, საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა მუშათა რაოდენობა, ტექნიკა და ნათესი ფართობები, აღმავლობის გზას დაადგა მეცხოველეობა და მეფინველეობა.

გაიზარდა საბჭოთა მეურნეობის როლი სასოფლო-სამეურნეო პოდუქტების დამზადებაში[34]:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 31 მარტის კანონის საფუძველზე საქართელოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უდიდესი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებასა და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმკიცებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელში მტს-ები წარმოადგენდნენ იმ დიდ პოლიტიკურ და მაორგანიზებელ ძალას, რომლის დახმარებით გლეხები გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში და დარწმუნდნენ მსხვილი მექანიზებული სოციალისტური მეურნეობის უპირატესობაში. მტს-ების მეშვეობით ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური პროგრესი, აღიზარდნენ

მექანიზატორები, ტრაქტორისტები, კომბაინერები და სხვა სპეციალობის მუშათა კვალიფიციური კადრები.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლამ, რომელიც გაჩაღდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, დასაბამი მისცა ახალ ეტაპს საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში. ასეთ ვითარებაში მტს-ების საშუალებით კოლმეურნეობების საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ფორმა აღარ შეესაბამებოდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების ამოცანებს. უფრო მეტიც, ეს ფორმა აშკარად აფერხებდა კოლმეურნეთა ინიციატივას ახალი ტექნიკისა და საწარმოო რეზერვების რაციონალურად გამოყენების საქმეში. როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა

ცხრილი 12

	წ ლ ე ბ ი					
	1953	1954	1955	1956	1957	1958
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	23,4	23,5	24,6	23,1	22,5	28,3
.....	4,3	4,2	4,8	2,4	0,7	2,7
ტუნგი	10,4	5,7	8,7	3,4	15,2	11,3
.....	13,1	17,7	13,0	12,0	10,3	14,1
ხილი	2,0	3,1	4,2	5,1	8,0	11,2
.....	0,7	1,2	0,9	1,0	1,6	2,8
ყურძენი	2,7	3,3	4,0	4,9	7,3	6,7
რძე და რძის პროდუქტები	61,2	55,0	61,7	121,1	152,3	147,5
.....						
ხორცი (ცოცხალ წონაზე გადაყვანით)						
.....						
კვერცხი (მილიონ ცალობით).....						
.....						
მატყლი (ტონობით)						
.....						

და მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ, სულ უფრო ვლინდებოდა უარყოფითი შედეგები იმისა, რომ ერთსა და იგივე მიწაზე მეურნეობას ეწეოდა არა ერთი, არამედ ორი სოციალისტური საწარმო: კოლმეურნეობა და მტს. ეს იწვევდა გაუპიროვნებას წარმოების ორგანიზაციასა და ტექნიკის გამოყენებაში,

ამცირებდა როგორც კოლმეურნეობების, ისე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პასუხიმგებლობას მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში და იწვევდა არასაჭირო ხარჯებს. ყოველივე ამან განაპირობა მტს-ების რეოგანიზაცია სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კოლმეურნეობებისადმი მიყიდვის აუცილებლობა.

ამ ღონისძიებას საქართველოში, ისევე როგორც მთელ სსრ კავშირში, მოჰყვა კოლმეურნეობის მხრივ ტექნიკისათვის ზრუნვის გაძლიერება, კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდების ზრდა, მაღალი კვალიფიციური კადრებით (მექანიზატორები, აგრონომები, ზოოვეტექიმები, ზოოტექნიკოსები და სხვები) მათი გაძლიერება.

საქართველოში მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ ტექნიკის უმეტესი ნაწილი, სახელდობრ: ტრაქტორების 94 პროცენტი, კომბაინების 80, სატრაქტორო გუთნების 96 პროცენტი კოლმეურნეობებს გადაეცა. შეიქმნა 61 სარემონტო-ტექნიკური სადგური და 2 რაიონთაშორისი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. 1958 წელს სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 10 199 ტრაქტორი და 1 700 კომბაინი, ნაცვლად 8 500 ტრაქტორისა და 1 300 კომბაინისა 1953 წელს[35]. გაიზარდა სოფლის მეურნეობის ენერგომომარაგება, გაფართოვდა სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაცია[36].

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ელექტრიფიკაცია შემდეგ სურათს იძლეოდა (იხ. ცხრილი 13)[37]:

ცხრილი 13

	წ ლ ე ბ ი			
	1953	1956	1957	1958

ელექტრიფიცირებული მეურნეობების	საბჭოთა რაოდენობა	75	84	102	107
ელექტრიფიცირებული მეურნეობების	საბჭოთა პროცენტი	77	82	88	92
ელექტრიფიცირებული კოლმეურნეობების რაოდენობა		718	869	982	1 078
ელექტრიფიცირებული კოლმეურნეობების პროცენტი		35	39	43	48

როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობების ელექტრიფიკაცია სწრაფად წავიდა წინ, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საბჭოთა მეურნეობების ელექტრიფიკაციის დონეს.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ზრდა ასახულია შემდეგ მონაცემებში (იხ. ცხრილი 14)[38]:

ცხრილი 14

წლის დასაწყისი-სათვის	ტრაქტორების რაოდენობა (ცალი)	მათი სიმძლავ-რე – ათასი ცხ. ძალა	ტრაქტორები 15 ძალ. გადაყვანით	კომბაინების რაოდენობა (ცალი)	სატვირთო ავტომობილების რაოდენობა – ცალი
1954	5.592	127.9	8.528	1.331	9.913
1958	6.144	151,5	10.103	1.691	10.364

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას გვიჩვენებს აგრეთვე სოფლად საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის ზრდა 4 074-დან 1953წელს 5 200 – მდე 1958 წელს. სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ფიზიკური მოცულობა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) 1958წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 225 პროცენტით[39].

თუ როგორ გაიზარდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყიდვა რესპუბლიკის ისეთი დიდი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე, როგორიც არის თბილისი, ქუთაისი და ბათუმი, ამას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 15)[40]:

ცხრილი

	წ ლ ე ბ ი					
	1953	1954	1955	1956	1957	1958
მარცვლეული (ათასი ტონა)	6,5	7,9	13,8	13,5	14,8	16,7
კარტოფილი (ათასი ტონა)	24,4	33,8	42,5	43,8	44,4	49,4
ბოსტნეული და ბაღჩეული (ათასი ტონა)	59,2	77,0	93,3	100,9	105,5	108,4
ხილეული ათასი ტონა)	32,8	47,8	45,4	51,1	54,1	56,1
ზეთი (ათასი ლიტრი).....	446	487	793	604	481	536
ხორცი და ლორი (ათასი ტონა)	5,1	5,6	6,8	6,4	6,2	6,7
რძე (ათასი ლიტრი)	572	496	795	708	646	694
ყველი (ათასი ტონა)	1,9	2,2	2,4	2,6	2,6	3,5
კვერცხი (მლნ ცალი)	6,7	10,1	11,0	11,0	10,9	11,4

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში ადგილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს, საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შემოქმედებითი შრომის შედეგად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებაში.

[1] "სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", თბ., 1953, გვ. 11 – 12.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 32, საქ. 5, ფურც. 8 – 9.
[3] იქვე, საქ. 416; ფურც. 18.
[4] "სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 – 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ", თბ., 1956, გვ. 89.
[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 47, საქ. 23, ფურც. 5 – 6.
[6] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 91.

[7] იქვე, გვ. 94, 224, 228.
[8] იქვე, გვ. 377.
[9] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 54, საქ. 19, ფურც. 9.
[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 26, ფურც. 35.
[11] იქვე, აღწ. 32, საქ. 26, 67, 148, 152, 158, 161, 170,176, 182 – 183, 231, 247.
[12] იქვე, აღწ. 54, საქ. 76, ფურც. 125.
[13] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 92.
[14] "სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწ. IV, გვ. 259.
[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 416, ფურც. 23.
[16] იქვე, ფურც. 24.
[17] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 416, ფურც. 25 - 26.
[18] იქვე, ფურც. 18 - 28.
[19] იქვე, ფურც. 29.
[20] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 190 - 191.
[21] იქვე.
[22] იქვე, გვ. 218 – 219.
[23] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 214 – 215, 220 - 223.
[24] იქვე, გვ. 194, 200 – 201.
[25] იქვე, გვ. 214 – 215, 200 – 223.
[26] იქვე, გვ. 190 – 191.
[27] იქვე, გვ. 200 – 201.
[28] გაზ. "კომუნისტი", 1959 წლის 8 იანვარი.
[29] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 102 - 103.
[30] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 333.
[31] იქვე, გვ. 224 – 255.
[32] იქვე, გვ. 334 – 335.
[33] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 340 - 341.
[34] იქვე, გვ. 342 – 343.
[35] "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1921 – 1961", გვ. 543.
[36] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 318.
[37] იქვე.
[38] იქვე, გვ. 319.
[39] იქვე, გვ. 451.
[40] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 451.

§ 3. მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა

სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპის დამახასიათებელია მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განუხრელი ზრდა. 1952 – 1958 წლები მთელი საბჭოთა კავშირისა და მისი ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის – საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდი. ამ პერიოდის ხასიათმა და სახალხო მეურნეობის განვითარების პროგრამამ, რომელიც კონკრეტულად გათვალისწინებული იყო მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელი სამი წლისა და მეექვსე ხუთწლედის პირველი სამი წლის ამოცანებით,

განსაზღვრა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი აღმავლობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ XX ყრილობა (1956 წ. თებერვალი), რომლის გადაწყვეტილებებმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო საბჭოთა საზოგადოების განვითარებაზე, არამედ მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაზე. ყრილობამ განიხილა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიში და მიიღო დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი (1956 – 1960 წწ.) გეგმის შესახებ. ყრილობამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ თანამედროვე ეპოქის მთავარი ნიშანია სოციალიზმის გადაქცევა მსოფლიო სისტემად, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის.

ყრილობამ მოუწოდა საბჭოთა მშრომელებს ყოველმხრივ განევითარებინათ პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. გამოევლინებინათ შემოქმედებითი ინიციატივა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აემაღლებინათ თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონე და უზრუნველეყოთ სახალხო მეურნეობისა დ კულტურის შემდგომი აღმავლობა, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

იმის მიუხედავად, რომ 1953 – 1958 წლებში დაშვებული იყო სუბიექტივისტური და ვოლუნტარისტული ხასიათის შეცდომები ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობაში, მშრომელთა ზოგიერთი პოლიტიკური და სამეურნეო ორგანიზაცია გახდა გაუმართლებელი ექსპერიმენტების ობიექტი, - ხალხის მასების პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა არ შეჩერებულა, რაც სოციალისტური წყობილების სიდიადის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ხელმძღანელი და წარმმართველი ძალაა. მისი რიგების ზრდა მუშათა კლასის, სოფლის მეურნეობის მშრომელთა და მოსამსახურეთა პოლიტიკური აქტივობის, მათი მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის ამაღლების ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია. თუ როგორ იზრდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საქართველოს მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების ხარჯზე, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 16)[1]:

ცხრილი 16

წლები 1 იანვრისათვის	სკკპ წევრთა რაოდენობა	სკკპ წევრობის კანდ.	სულ	მუშები	კოლმეურნეები

		რაოდენობა			
1953	160.18	12.80	172.98	23.51	44.414
1954	4	5	9	6	42.440
1955	166.30	9.457	175.75	25.39	42.686
1956	2	9.139	9	3	45.339
1957	170.59	8.647	179.73	26.18	47.579
1958	8	6.975	7	5	48.979
1959	176.57	7.529	185.22	28.11	51.071
	7	8.751	4	0	
	184.46		191.43	30.36	
	4		9	8	
	189.25		196.78	31.96	
	7		6	1	
	194.41		203.16	34.76	
	5		6	5	

საქართველოში კომუნისტთა რიცხვი 1953 წლის 1 იანვრის მდგომარეობასთან შედარებით 1959 წლის 1 იანვრისათვის გადიდდა 30 177 კაცით, ე. ი. 16,8 პროცენტით, ხოლო მუშებისა და კოლმეურნეების საერთო ხვედრითმა წონამ მიაღწია კომუნისტების 42 პროცენტს, 1953 წლის 1 იანვრისათვის კი იგი შეადგენდა მხოლოდ 39 პროცენტს.

მნიშვნელოვანად ამაღლდა კომუნისტების საერთო განათლების დონე. თუ 1953 წელს უმაღლესი, უმაღლესდამთავრებული და საშუალო განათლებით იყო 86 459 კომუნისტი (49 პროცენტი), 1959 წლის 1 იანვრისათვის მათი რიცხვი ავიდა 110 248-მდე (54,2 პროცენტი). გაიზარდა აგრეთვე უმაღლეს და საშუალოდამთავრებულთა პროცენტი უპარტიოთა შორის, რაც საქართველოს მშრომელთა საერთო განათლების დონისა და პოლიტიკური აქტივობის ზრდის ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელია.

საქართველოს კომპარტია, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, თავისი შემადგენლობით ყოველთვის ინტერნაციონალური იყო და არის. 1953 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კომპარტიის ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი – 149 255 (73,4%), სომეხი – 19 767 (9,7%), რუსი, უკრაინელი და ბელორუსი – 16 177 (10%) , ოსი – 6 998 (3,4%), აზერბაიჯანელი – 3 403 (1,6%), აფხაზი – 2 583 (1,2%)[2].

მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მასების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ბრძოლა პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. 1953 – 1958 წლებში ჩატარდა საქართველოს კომპარტიის სამი ყრილობა: 1954 წლის 16 – 18 თებერვალს XVI ყრილობა, 1956 წლის 18 –21 იანვარს – XVII ყრილობა, 1958 წლის 27 – 29 იანვარს XVIII ყრილობა. ამ ყრილობებმა და მათ წინ გამართულმა საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კონფერენციებმა, აგრეთვე პირველადი პარტიული

ორგანიზაციების კრებებმა შეაჯამეს საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების, კომკავშირის, პროფკავშირების, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა და დასახეს ღონისძიებანი რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის აღმავლობის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების, სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი გაშლის უზრუნველსაყოფად. ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა მშრომელთა მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში.

კომუნისტური პარტიის უახლოეს და ერთგულ თანაშემწეს, მშრომელთა ერთ-ერთ მასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი. საქართველოს კომკავშირი 1953 – 1958 წლებში თავის რიგებში (საშუალო წლიური მაჩვენებლის მიხედვით) ითვლიდა 351 500-ზე მეტ ახალგაზრდას[3]. საქართველოს ლენინურმა კომკავშირმა ამ პერიოდში ჩაატარა სამი ყრლობა: 1954 წლის იანვარში XX, 1955 წლის დეკემბერში XXI, 1958 წლის იანვარში XXII ყრილობა. ამ ყრილობებმა შეაჯამეს განვლილი მუშაობა და დასახეს შინაკომკავშირული მუშაობის გაუმჯობესების, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის გაძლიერების ამოცანები. საქართველოს კომკავშირმა მრავალი ასეული ათასი ახალგაზრდა მშენებელი აღზარდა და დიდი წვლილი შეიტანა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებაში.

მუშა-მოსამსახურეთა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლასა და სამეურნეო-კულტურული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდ როლს ასრულებენ პროფესიული კავშირები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროფკავშირების როლის ამაღლების საკითხს კომუნიზმის მშენებლობაში და დასახა პროგრამა პროფკავშირების, როგორც უაღრესად მასობრივი ორგანიზაციების მუშაობის გასაძლიერებლად. 1958 წლის მაისში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა IX ყრილობა, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი პროფკავშირების მუშაობის კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით.

პროფესიულ კავშირებში მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანების მასობრიობა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩენებელია. პროფესიული კავშირების წევრთა რაოდენობა შეადგენდა (1 იანვრის მიხედვით): 1953 წელს – 557 453, 1954 წელს – 606 109, 1955 წელს – 635

114, 1956 წელს – 658 402, 1957 წელს – 679 809, 1958 წელს – 737 574, 1959 წელს- 781 550 კაცს[4].

1958 წლის დამლევს 823 ათასი მუშა-მოსამსახურიდან პროფკავშირებში გაერთიანებული იყო 781 550, რაც შეადგენს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის თითქმის 95 პროცენტს[5].

მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა, მთელი მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის გამოვლინების, სახელმწიფოს მმართველობაში მათი მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული და მასობრივი ფორმაა მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. საბჭოების საქმიანობაში მშრომელთა აქტივობა ყველაზე ნათლად ვლინდება მათი საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობით. 1953 – 1958 წლებში არჩეულ იქნა ხელისუფლების როგორც უმაღლესი, ისე ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც ჩატარდა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში.

1954 წლის 14 მარტს მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის არჩევნები, რომლებშიც საქართველოს მშრომელებიდან მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა[6]. ასევე წარმატებით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის არჩევნები 1958 წლის 16 მარტს. არჩევნებში საქართველოდან ამომრჩეველთა კვლავ 99,99 პროცენტი მონაწილეობდა, საერთო-საკავშირო მაჩვენებლი კი 99,97 პროცენტი იყო[7].

საქათველოდან 1954 წლის 14 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად უშუალოდ წარმოებიდან არჩეულ იქნენ: გრიგოლ არძინბა (აფხაზეთის ასსრ სოფ. დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი), სულეიმან ბაჟუნაიშვილი (ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), მაგდანა ბურჯანაძე (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა), ალექსანდრე გაგიევი (სამხრეთ ოსეთი სოფ. ზნაურის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), სერგი იგითიანი (ახალქალაქის რაიონის სოფ. კარწახის მ. ი. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), რუსუდან კახაძე (ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი), ივანე მეტრეველი (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე), ზაბეტ ჟიბა (ტყვარჩელის მეშახტე-ბრიგადირი), გაბრიელ სუხინი (თბილისის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატი), მარიამ ტეხოვა (სამხრეთ ოსეთის მოწინავე აგრონომი), შალვა ფურცხვანიძე (ტყიბულის მეშახტე), მარიამ ჯოხაძე (გორის პურის კომბინატის საწარმოო-ტექნიკური ხელმძღვანელი).

წარმოების მუშები და კოლმეურნეები კიდევ უფრო მეტი ოდენობით იყო წარმოდგენილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის შემადგენლობაში (1958 წლის 16 მარტი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის შემადგენლობაში მატერიალური წარმოების სფეროდან არჩეული იყო 11 დეპუტატი, ხოლო მეხუთეში – 24.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევა მშრომელთა მატერიალური და მორალური სტიმულების ერთიმეორესთან შეხამების საუკეთესო ფორმაა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლის შესაბამისად იზრდება მატერიალური დოვლათისა და კულტურულ ფასეულობათა უშუალო მწარმოებელთა რაოდენობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.

1955 წლის 27 თებერვალს საქართველოს სსრ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების მეოთხე მოწვევის არჩევნებში, რომლებშიც მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტზე მეტი, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,97 პროცენტმა. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული 360 დეპუტატიდან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან იყო 132 კაცი, ე. ი. ნახევარზე მეტი. ასევე გაიზარდა უშუალოდ მატერიალური წარმოების პროცესში დასაქმებულ მშრომელთა ოდენობა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების შემადგენლობაში[8].

ბუნებრივია, დეპუტატების საერთო რიცხვში კიდევ უფრო გაიზარდა სამრეწველო საწარმოების მუშათა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა წილი ხელისუფლების ადგილობრივი (საქართველოს სსრ რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო და სამხრეთ ოსეთის საოლქო) საბჭოების შემადგენლობაში მეოთხე (1953 წ. 22 თებერვალი), მეხუთე (1956 წ. 27 თებერვალი), მეექვსე (1957 წ. 17 მარტი) მოწვევის არჩევნების დროს.

მშრომელთა მაღალი შეგნებულობის, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის მაჩვენებელია ისიც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა საერთო რიცხვიდან ერთმესამედზე მეტი ყოველთვის იყო ქალი.

მშრომელთა ფართო მასები მონაწილეობდნენ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში, ანუ სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში. მუდმივ კომისიებში მომუშავე აქტივის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საბჭოებში არჩულ დეპუტატთა რიცხვს.

1953 წლის სექტემბერში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მძლავრი პოლიტიკური აღმალვობის ვითარებაში გაიმართა ხალხმრავალი კრებები, აგრეთვე საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელიც მიეძღვნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიისა და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. კრებებისა და პლენუმების მონაწილენი გამოვიდნენ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ. საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოიწონეს აგრეთე ევროპის სოციალისტური ქვეყნების ვარშავის თათბირის 1955 წლის მაისის გადაწყვეტილება კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე ალბანეთს,

ბულგარეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, რუმინეთს, საბჭოთა კავშირს, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილება ამ სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალთა გაერთიანებული სარდლობის შექმნის თაობაზე.

1955 წლის აპრილ-მაისში ჩატარდა კამპანია ატომური ომის მზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოსაწერად. საქართველოს მშრომელებმა ამ ღონისძიების, ისევე როგორც ყველა პოლიტიკური კამპანიის დროს, მტკიცედ გამოხატეს თავიანთი ურყევი ნებისყოფა თავდადებით იბრძოლონ მშვიდობის, დემოკრატიისა და კომუნიზმისათვის.

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა წარმმართველ როლს ასრულებს და უშუალო ზემოქმედებას ახდენს მათ შრომითს აღმავლობასა და შემოქმედებითს ინიციატივაზე. ყოველ პოლიტიკურ მოვლენას ჩვენს ქვეყანაში, რევოლუციურ დღესასწაულებს, პარტიის ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს, საბჭოების არჩევნებსა და სხვა მნიშვნელოვან კამპანიებს საბჭოთა მშრომელები, ტრადიციულად ხვდებიან, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღებითა და თვალსაჩინო წარმატებებით სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში.

1953 – 1958 წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა როგორც მთელი სსრ კავშირის, ისე საქართველოს მშრომელთა შრომითი აქტივობა, რამაც თავის გამოხატულება პოვა სოციალისტური შეჯიბრების, წარმოების ნოვატორთა რიგების გაფართოებაში და 1958 წლის დამლევს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის წარმოშობაში.

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების პირობებში სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას მოჰყვა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა. 1959 წლის 15 იანვრის აღწერით რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა 4 044 ათას კაცს, ანუ 504 ათასი კაცით მეტს 1939 წელთან შედარებით. ამავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 1 066 200-დან 1 712 900 კაცამდე, ე. ი. 646 700 კაცით, სოფლის მოსახლეობა კი შემცირდა 2 473 800-დან 2 331 100 კაცამდე[9], ე. ი. 142 700 კაცით.

საქართველოში ქალაქის მოსახლეობის ასეთი მკვეთრი ზრდა და სოფლის მოსახლეობის ერთგვარი შემცირება მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარებისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის ზრდის შედეგია. საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენდა: 1953 წელს 694 ათასს, ხოლო 1958 წელს 823 ათას კაცს[10].

მუშათა კლასის ძველი კადრებისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა ახალგაზრდა სპეციალისტებით შევსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლებსა და სასწავლებლებს. 1951 – 1958 წლებში საქართველოს მშრომელთა რიგებს შეემატა 37,5 ათასი

ახალგაზრდა, რომელთაც დაამთავრეს ტექნიკური სასწავლებლები, რკინიგზის, სამშენებლო, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, საფაბრიკო-საქარხნო და სამთო-სამრეწველო სკოლები[11].

საქართველოს მშრომელთა თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმასაც, რომ ამ პერიოდში სახალხო მეურნეობას შეემატა 5 698 ინჟინერი, 6 739 აგრონომი, მეტყევე, სოფლისა და სატყეო მეურნეობის ინჟინერი, 1 489 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, 2 125 ეკონომისტი და იურისტი, 13 393 ტექნიკოსი, 13 370 აგროტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი, სოფლისა და ტყის მეურნეობის ტექნიკოსი, ვეტტექნიკოსი და ვეტფერშალი, 4 898 სტატისტიკოსი, მგეგმავი და სხვ.[12].

1958 წელს საქართველოს მარტო მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენდა 235 ათასს, მშენებლობაზე – 73 ათასს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 91 ათას კაცს, ხოლო სოფლის მეურნეობაში – 62 ათასს, სავაჭრო ქსელსა და მატერიალურ –ტექნიკურ მომარაგებაში – 52 ათას კაცს[13].

1953 – 1958 წლებში განუხრელად იზრდებოდა წარმოებაში ახლადმოსულ მუშათა რაოდენობა. ეს შედეგია საქართველოს პარტიული და საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სისტემატური ზრუნვისა მუშათა კადრების მომზადების, მათი ორგანიზებული შეგროვებისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მარტო 1953 წლის 1 იანვრიდან 15 სექტემბრამდე საქართველოს საწარმოებსა და მშენებლობებზე სამუშაოდ გაიგზავნა 5 164 კაცი. ამას გარდა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საწარმოებსა და მშენებლობებზე გაგზავნეს 5,2 ათასი კაცი[14]. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით 1954 წელს მარტო ენერგომშენებლობის ობიექტებზე სამუშაოდ გაიგზავნა 5 ათასი კაცი[15], ხოლო საქართველოს კომკავშირმა მარტო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე გაგზავნა 4 ათასზე მეტი ახალგაზრდა[16].

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მუშათა კადრების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ზრდას.

საგრძნობლად ამაღლდა საქართველოს მუშათა კლასის ტექნიკური და კულტურული დონე. საქართველოში 1958 წელს მხოლოდ სამრეწველო მუშათა რაოდენობა შეადგენდა 188 ათას კაცს, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი – 23 ათასს, ხოლო მოსამსახურეთა – 12 ათასს. თუ 1950 წელს მთელი სამრეწველო-საწარმოო პერსონალიდან მუშები აღწევდნენ 77 პროცენტს, ხოლო მოსამსახურეები – 6 პროცენტს, 1958 წელს მუშათა პროცენტი გაიზარდა 80-მდე, მოსამსახურეთა პროცენტი კი შემცირდა 5 პროცენტამდე[17].

სოციალისტურ შრომაში ქალთა პროცენტის ზრდა მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. 1958 წელს ქალები შეადგენდნენ საქართველოს მრეწველობის მთელი საწარმოო პერსონალის 37,2 პროცენტს, მათ შორის მრეწველობის დარგების მიეხდვით: შავ მეტალურგიაში (მადნის დამუშავების გარდა) – 24,4, ქვანახშირის მრეწველობაში – 29,3, ნავთობის მოპოვებაში – 20, ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობაში – 36,9, ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელში – 24,7, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში – 25,5, სამშენებლო მასალების მრეწველობაში – 25,5, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობაში - 66,6, ტყავისა და ფეხსაცმლის მრეწველობაში – 41,7, კვების მრეწველობაში – 41,7 პროცენტს[18].

მრეწველობასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია სოფლის მეურნეობაში ქალთა ჩაბმის პროცენტი, რაც საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო წყობილების, საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შედეგია.

საქართველოს მუშათა კლასის რაოდენობრივ ზრდასა და მისი შემადგენლობის თვისებრივ გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის ახალი კვალიფიციური სპეციალსტებით შევსებასა და თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი აღმავლობისათვის.

1953 წელს საქართველოს ლითონდასამუშავებელ საწარმოებში ფართოდ გავრცელდა ლითონის ჭრის, სისქის იმავდროული გადიდებითა და მაღალი სიჩქარით დამუშავების, ახალი მეთოდი, რომელიც წამოაყენა შუა ვოლგის ჩარხსაშენებელი ქარხნის ნოვატორმა ვ. კოლესოვმა. საქართველოს საწარმოებში მოკლე ხანში აღიზარდა ჩქაროსანთა მთელი თაობა, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილი გახდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატები ი. ჭუმბურიძე, და გ. მუხიგულაშვილი, მჭედელი კ. ილურიძე, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი პ. ზუბრიცკი, მ. ი. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ხარატი ნ. როდომანჩენკო და თბილისის ბევრი სხვა საწარმოს ნოვატორები. ჩქაროსანთა მოძრაობის ეფექტურობაზე მეტყველებს ის, რომ თუ 1945 წელს ლითონის ჭრის საშუალო სიჩქარე წუთში არ აღემატებოდა 60 - 80 მეტრს, მეხუთე ხუთწლედის ბოლოს ნოვატორ ჩქაროსანთა დიდმა რიცხვმა მიაღწია 300 – 400 მეტრს. მაგალითად, 1955 წელს საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ლითონის ჭრის სიჩქარე წუთში იყო 320 მეტრი[19].

მეტალურგიულ მრეწველობაში შრომის ჩქაროსნული მეთოდი გამოიხატა ლითონის სწრაფი გამოდნობით. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 1955 წელს ჩქაროსნული მეთოდით გამოდნობილი ლითონის წილმა შეადგინა 60 პროცენტი. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა მეფოლადეებმა გ. ბერიკაშვილმა, ვ. გიგიბერიამ, ზ. კვახაძემ, შ. კუხალეიშვილმა, ი. მეტრეველმა, მ. სპანდერაშვილმა, ი. სამცოვმა, ა.

ფანცულაიამ, მ. შაპოვალოვმა, შ. შუბითიძემ და სხვებმა. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად დიდ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ნოვატორებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ შრომის ჩქაროსნული მეთოდის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო სკოლების მუშაობაში. ზესტაფონელი ს. ფერაძის მიერ შემუშავებული სადნობი ღუმელის რეჟიმი დაინერგა სსრ კავშირის მეტალურგიულ საწარმოებში. ამ პერიოდში დაისვა საკითხი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების შესახებ. ამ ამოცანის განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს საქართველოს ბევრი საწარმოს ნოვატორებმა და მოწინავე მუშებმა. განსაკუთრებით გადიდდა ქვანახშირის მოპოვება. მარტო მეხუთე ხუთწლედში ამოღებულ იქნა იმდენი ქვანახშირი, რამდენიც მთელი ომის წინა წლების განმავლობაში. მხოლოდ მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელ 1955 წელს ამოღებული ქვანახშირი შეადგენდა 2 717 ათას ტ, ხოლო 1958 წელს საქართველოში ქვანახშირის ამოღებამ გადააჭარბა 3 მილიონ ტონას, ე.ი. 1913 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 43 -ჯერ[20]. ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის შახტებში უახლესი ტექნიკის ფართოდ დანერგვის, მძიმე შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, მუშათა შრომითი აქტივობის შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. 1959 წლისათვის იგი 2- ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მშრომელთა ავანგარდში იდგნენ ტყიბულის მოწინავე მუშები. მარტო ერთმა წარმოების ნოვატორმა ს. გვენეტაძემ ხუთ წელიწადში მოანგრია 73 294 ტონა ქვანახშირი, ე.ი. 294 ტონით მეტი, ვიდრე მთლიანად ტყიბულში ანგრევდნენ ქვანახშირს 1913 წელს[21]. ახალგაზრდა მეშახტემ რ. მუშკუდიანმა, უკრაინელ მეშახტე ი. შჩერბაჩენკოსთან სოციალისტურ შეჯიბრებაში შეისწავლა ქვანახშირის ნგრევის ჩქაროსნული მეთოდი და 1958 წელს 40 პროცენტით გაადიდა ქვანახშირის ამოღება.

მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებებისათვის სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის ბრძანებით ქართველ მოწინავე მეშახტეთა ჯგუფს საპატიო მეშახტის წოდება მიენიჭა[22]

შრომითს აქტივობასა და წარმატებებზე კიდევ უფრო მკაფიოდ მეტყველებს ის, რომ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ნამსახურებისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1953 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ლენინის ორდენით დააჯილდოვა 7 მეშახტე, შრომის წითელი დროშის ორდენით – 17 , მედლით ”შრომითი მამაცობისათვის” – 26, მედლით ”შრომითი წარჩინებისათვის” – 53 კაცი[23].

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა სკკპ XX ყრილობისათვის წარმატებით შეხვედრის მიზნით იკისრა ვალდებულება მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული

საწარმოო დავალება 1955 წლის 15 ნოემბრამდე გაენაღდებინა, ნამდვილად კი ვალდებულება 9 ნოემბრისათვის შეასრულა და შეუდგა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით ქვანახშირის ამოღებას. XX ყრილობის გახსნამდე მან ქვეყანას გეგმის ზევით მისცა ათასობით ტონა ქვანახშირი და კოლექტივმა მოიპოვა გარდამავალი წითელი დროშა.

1958 წლის დასაწყისში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშები ფართოდ გამოეხმაურნენ დონბასის "კრასნოდონუგოლის" ტრესტის სახელმოხვეჭილი ბრიგადირის ნ. მამაის თაოსნობას თითოეული მუშის მიერ ყოველდღიური საწარმოო ნორმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ და გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ამ პატრიოტულ წამოწყებასთან დაკავშირებით. ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის ბრიგადირები ი. ორჯონიკიძე, ლ. გოჩელაშვილი და მ. ლანჩავა ნ. მამაის წერდნენ, რომ ისინი აღფრთოვანებით ხვდებიან, იწონებენ უკრაინელი ნოვატორის ინიციატივას და მოუწოდებენ საქართველოს ყველა მეშახტეს მიბაძონ ამ მაგალითს, ყოველ ცვლაში სამშობლოს მისცენ ზეგეგმითი ქვანახშირი[19]. ამ თაოსნობას თავიდანვე ენერგიულად დაუჭირეს მხარი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ნოვატორებმა, რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ ყოველდღიურ ნორმებს.

სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ტყვარჩელის ქვანახშირის შახტის მნგრეველები ძმები გივი, იონა და ვლადიმერ ჩიხლაძეები, რომლებიც გეგმით გათვალისწინებული 11 ტონის ნაცვლად ცვლაში იღებდნენ 14 – 15 ტონა ქვანახშირს. მნგრეველ-ამწმენდთა ბრიგადამ გ. ჩიხლაძის ხელმძღვანელობით მიაღწია იმას, რომ ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 250 ტონის ნაცვლად იღებდა 450 – 500 ტონა ქვანახშირს[20].

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სამთო გამონამუშევრების გამყვანმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე), რომელშიც 19 კაცი მუშაობდა, სახელი გაითქვა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ნ. ბახტაძემ თავის ბრიგადის წევრებს თავიდანვე ჩაუნერგა შრომისადმი თავდადების სულისკვეთება, იმის შეგნება, რომ ქვანახშირის ამოღების გადიდების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამუშაო ადგილის საუკეთესოდ, პირველ რიგში სამუშაო ადგილის წინასწარი მომზადება. ნ. ბახტაძის ბრიგადამ ისე ააწყო თავისი მუშაობა, რომ ყოველთვუირად 120 – 130 გრძივი მეტრით წინსვლას მიაღწია, გეგმით გათვალისწინებული 50 გრძივი მეტრის ნაცვლად. ეს გამოცდილება გაიზიარეს ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის მუშებმა და დღე-ღამეში წინანდელი 1,3 მეტრის ნაცვლად მიაღწიეს 3 გრძივ მეტრ წინსვლას[21].

"ჭიათურმარგანეცის" ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 1953 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 3-ჯერ მოიპოვა პირველობა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მაღაროს კოლექტივმა 1953 წლის გეგმა შეასრულა ერთი

თვით ადრე და იწყო მანგანუმის მოცემა 1954 წლის ანგარიშში, ამასთან დაზოგა 2 მილიონი მანეთი[22].

მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელებს. უკრაინელი და ქართველი მაღაროელები ერთმანეთს ეხმარებიან მანგანუმის მოპოვების მოწინავე მეთოდების ურთიერთგაზიარებით. ნიკოპოლელმა ჭიათურელებს გამოუგზავნეს მაგნიტური სეპარატორები, მადნის გასამდიდრებელი მანქანები, რომელთა გამოყენებით ჭიათურაში მნიშვნელოვნად გადიდდა პირველი ხარისხის მანგანუმის კონცენტრატის გამომუშავება. ”ნიკოპოლმარგანეცის” ტრესტის ინჟინრებმა ჭიათურელ მაღაროელებს გადასცეს ნახაზები ახალი სანგრევ-სატვირთო მანქანისა, რითაც ხორციელდება მადნის ამოღების, გამოტანისა და დატვირთვის შრომატევადი პროცესების სრული მექანიზაცია. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და თვითღირებულების შემცირებას. ასევე ჭიათურელმა მაღაროელებმა უკრაინელებს გაუზიარეს მადნის დამუშავებისა და მონგრევის თავიანთი მოწინავე მეთოდები. მაგალითად, ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს მბურღავ თოდაძის მეთოდის ფართოდ გამოყენებით ნიკოპოლის მოწინავე მუშებმა 1,5-ჯერ გაადიდეს შრომის ნაყოფიერება[23].

სკკპ XX ყრილობის ღირსეულად შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ერთ-ერთი ინიციატორი იყო საქართველოში ჭიათურის მანგანუმის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. 1956 წლის ივნისში იმავე მაღაროს კომკავშირის ორგანიზაცია გამოვიდა მეექვსე ხუთწლედის 4 წელიწადში შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორად. ამ მაღაროს კოლექტივმა მანგანუმის მრეწველობაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებების შედეგად 1956 წელს მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიიღო 250 ათასი მანეთის პრემია.

მანგანუმის მრეწველობის ვეტერანი ტრიფონ ფოფხაძე საუკეთესოდ ფლობდა მნგრეველის, მბურღავის, ამწმენდისა და მანგანუმის მოპოვების ყველა ძირითად პროფესიას. ის 30 წელზე მეტია მაღროებში მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში, როგორც გაზეთი “კომუნისტი” წერდა, მის მიერ მონგრეული მანგანუმი დატვირთავდა ისეთ სარკინიგზო ეშელონს, რომელიც ჭიათურიდან სამტრედიამდე გაწვდებოდა. მან მარტო 1956 – 1957 წლებში გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 4 530 ტონა მანგანუმი.

შავი მეტალურგიის განვითარებაში თვალსაჩინო წარმატებების მიღწევისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით ჭიათურის მანგანუმის მნგრეველს ტ. ფოფხაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მრავალი წლის ტრადიცია აქვს ზესტაფონელ, ზაპოროჟიელ და ალავერდელ მეტალურგთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რამაც მნიშვნელოვანი

როლი შეასრულა მეხუთე და მეექვსე ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებაში. ზესტაფონის მეტალურგების საუკეთესო წარმომადგენლები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ფერაძე, ინჟინერი შ. თედოზაშვილი, ელექტროლიზური მანგანუმის საამქროს უფროსი გ. სიორიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ფახკაძე და სხვები თავიანთი მაღალნაყოფიერი შრომითა და ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდით ფართოდ გახდნენ ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით შავი მეტალურგიის განვითარებაში თვალსაჩინო წარმატებების მიღწევისათვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს ცვლის უფროსს ბაგრატ სერგოს ძე მელქაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

რუსთავის მეტალურგები ჯერ კიდევ 1952 წელს ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავიანთ მასწავლებელ ტაგანროგელ მეტალურგებთან. ამ შეჯიბრებაში მოწაფეები – რუსთაველი მეტალურუგები არაერთხელ გამოვიდნენ გამარვჯებულნი. მაგალითად სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეამოწმა რუსთაველ და ტაგანროგელ მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და 1954 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით გამარვჯებულად ცნო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი[24].

სკკპ XX ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ ინიციატორად საქართველოში გამოვიდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მდნობელი გ. ბერიკაშვილი, რომელმაც მეხუთე ხუთწლედით გათვალისწინებული დავალება ოთხ წელიწადში შეასრულად და ერთი წლით ადრე დაიწყო მუშაობა მეექვსე ხუთწლედის ანგარიშში. ამავე ქარხნის ჩქაროსნული დნობის ოსტატის ა. ფანცულაიას ბრიგადამ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულების აღსანიშნავ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და 1956 წელს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 2 000 ტონა ფოლადი. მემარტენეებმა გეგმის ზევით გამოადნეს 2 321 ტონა ფოლადი. მარტო ჩქაროსანმა მეფოლადემ შ. შუბითიძემ 1957 წლის დასაწყისიდან 7 ნოემბრამდე განახორციელა 116 ჩქაროსნული დნობა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა ათას ტონაზე მეტი ფოლადი[25].

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეორე ბრძმედის ოსტატის კ. პარასტაშვილის ბრიგადამ 1956 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით გაიმარჯვა მებრძმედეთა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში და მოიპოვა საბჭოთა კავშირის საბრძმედე წარმოების საუკეთესო ოსტატის სახელი. ამ ჯილდოს საპასუხოდ ბრიგადამ 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმის გადამეტებით გამოადნო 2 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვ. კობერიძემ, რომელმაც განვლო სახელოვანი შრომითი გზა მექურიდან

საამქროს უფროს ოსტატამდე და 1958 წლის ივლისამდე ქვეყანას გეგმის ზევით მისცა 16 ათასი ტონა თუჯი[26]. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით შავი მეტალურგიის განვითარებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის ვ. კობერიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა სამხერთ-ოსეთის (კვაისის) თუთიის საბადოს კოლექტივმა. შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მბურღავები ა. ხუგაევი, ი. ბიტიევი, ი. ბაბალოვი; მებიგეები თ. ზასიევი, ზ. ზასიევი; მეელმავლეები ჩ. გოგოევი და ჯ. ხაბალოვი[27].

საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი შაორის, ორთაჭალისა და ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგურებისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის – თბილისი-მინგეჩაურის მშენებლებმა.

მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთე ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის, საქენერგომშენის კოლექტივებმა და საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ზოგიერთმა სამშენებლო ორგანიზაციამ. მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის 1958 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მშენებელთა ჯგუფი, ხოლო ნესტორ გიორგაძეს (საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი) და ირაკლი ობოლაძეს (სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ხრამჰესი-2 სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი) მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება[28].

სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებაში თავისი წვლილი შეიტანა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული ურალის საავტომობილო ქარხანასთან. მეგობრობამ დიდად შეუწყო ხელი ქუთაისელ ავტომშენებელთა შრომითი აქტივობის შემდგომ ზრდას. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშამ რ. დოლიძემ ჯერ კიდევ 1953 წლის აგვისტოში შეასრულა მუხეთე ხუთწლედი და დაიწყო მუშაობა მეექვსე ხუთწლედის ანგარიშში. ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატმა კომკავშირელმა ა. აგაპოვმა აითვისა ნოვატორ ვ. კოლოსოვის მეთოდი და თავისი დამზადებული საჭრისით ყოველდღიური დავალება 400 – 500 პროცენტით შეასრულა. იგი 1954 წლის იანვარში 1962 წლის, ხოლო 1956 წლის აპრილში 1971 წლის ანგარიშში უშვებდა პროდუქციას. მეფოლადე ზ. აბზიანიძე, მეღუმელე გ. ხვადაგიანი, მეყალიბე ო. კილაძე, ზეინკალი დ. კეთილაძე 1958 წლის ოქტომბერში 1959 – 1960 – 1961 წლების ანგარიშში მუშაობდნენ[29].

”რთული ყალიბების ოსტატის” სახელი დაიმსახურა N 1 სამსხმელო საამქროს მეყალიბემ გ. ბურჭულაძემ, რომელიც 1958 წელს 1965 წლის

ანგარიშში მუშაობდა. მან ბევრი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა აღუზარდა ქარხანას[30].

ახალი შრომითი აღმავლობით მუშაობდნენ საქართველოს სხვა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებიც.

თვალსაჩინო შრომით წარმატებებს მიაღწია სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მქონე თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. ნოვატორული შრომით სახელი გაითქვა ჩქაროსანმა ხარატმა ი. ჭუმბურიძემ, ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატმა ალ. მარგველაშვილმა და სამჭედლო საამქროს ოსტატმა ვლ. გამხუაშვილმა.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივის შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას. 1951 – 1955 წლებში ამ ქარხანაში კვალიფიკაცია აიმაღლა და სტახანოვური სკოლა დაამთავრა 500-ზე მეტმა კაცმა. მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას და უახლესი ტექნიკის დანერგვას მოჰყვა შრომის ნაყოფიერების ზრდა. მთლიანად ქარხანამ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელსა და რვა თვეში შეასრულა, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 50 პროცენტით, ჩარხის თვითღირებულება შეამცირა 36 პროცენტით და სახელმწიფოს მისცა 40 მილიონ მანეთზე მეტი მოგება[31]. ასევე თავდადებით შრომობდა ამ საწარმოს კოლექტივი მეექვსე ხუთწლედში.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა შრომითი აღმავლობის ავანგარდში იდგა კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი, რომელიც წლების განმავლობაში ინარჩუნებდა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას.

ენგურის ქაღალდის კომბინატის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება კალინინგრადის ოლქის ქაღალდის კომბინატ ”სოვეტსკის” მრავალრიცხოვან კოლექტივთან. შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია საამქრომ, რომელმაც 1957 წელს მიიღო რუსეთის სფსრ ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს დიპლომი მაღალხარისხოვანი ნაწარმისათვის.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მოწინავე საწარმოებმა. ქუთაისის აბრეშუმკომბინატის კოლექტივმა 1955 წლის მეორე კვარტალში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის მოიპოვა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშები. კომბინატი აქტიურად ჩაება სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სამტრედიის აბრეშუმძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ერევნის 8 მარტის სახელობის აბრეშუმძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივს ეჯიბრებოდა, 1955 წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და სახელმწფოს მისცა მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივმა 1958 წლის 10 თვეში სახელმწიფოს მისცა 14 ათასამდე სხვადასხვა სახის ზეგეგმითი ქსოვილი. განსაკუთრებით ისახელა თავი ქსენია მესხიშვილმა, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 130 – 140 პროცენტით ასრულებდა[32].

1953 წელს ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვა თბილისის "მთავარფეხსაცმლის" ფაბრიკის კოლექტივმა. ფართოდ გაშალა მუშაობა აგრეთვე თბილისის მეორე ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივამაც[33].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში თბილისის ფეხსაცმლის N 2 ფაბრიკის კოლექტივმა მოსკოველ და ერევნელ მეფეხსაცმელეებთან გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1957 წლის 28 აგვისტოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1 600 წყვილი ფეხსაცმელი და სახელმწიფოს მისცა 360 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება. ფაბრიკამ კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ოქტომბრის რევოლუციის 41 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1958 წელს მან გეგმის ზევით ქვეყანას მისცა 30 ათასი წყვილი ფეხსაცმელი და დაზოგილი ნედლეულით – 15ათასი წყვილი. სულ 1958 წლის ბოლოსათვის ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1,6 მილიონი მანეთის პროდუქცია[34].

1953 – 1958 წლებში კარგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა აგრეთვე ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ბათუმის ავეჯის ფაბრიკისა და ლანჩხუთის რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშაობა.

მნიშვნელოვანი შრომითი აღმავლობა იყო საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოებში. თბილისის სამტრესტის სამარკო ღვინოების ქარხნის კოლექტივმა ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად გადაჭარბებით შეასრულა 1957 წლის გეგმა[35]. თბილისის შამპანური ღვინის ქარხნის კოლექტივმა 1953 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვა 340 ათასი ბოთლი შამპანური ღვინო და მიიღო 5,5 მილიონი მანეთის ეკონომია. თბილისის მაკარონის ფაბრიკის კოლექტივმა 1953 წლის წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულება წარმატებით გაანაღდა 4 ნოემბრისათვის, გადაჭარბებთი შეასრულა 11 თვის გეგმა, დაზოგა 50 ტონა ფქვილი, 165,5 ტონა საწვავი, 152 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ ქვეყანას მისცა 2,2 მილიონ ქილაზე მეტი კონსერვი. ზუგდიდის საკონსერვო ქარხანამ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაიმსახურა საქართველოს კონსერვტრესტის გარდამავალი წითელი დროშა[36]. ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა რამდენჯერმე მოიპოვა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

შრომითი აღმავლობის მაგალითი აჩვენეს საქართველოს ტრანსპორტის მუშაკებმა, პირველ რიგში რკინიგზელებმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ 1958 წლის მესამე კვარტალში სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშა[37]. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა, რომელმაც თავი ისახელა სკკპ XX I ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს საქართველოს რკინიგზელთა თავდადებული შემოქმედებითი შრომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის ორდენით დააჯილდოვა 85 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით – 107 და მედლით ”შრომითი მამაცობისათვის” – 56 კაცი, ხოლო რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში ყველაზე თვალსაჩინო წარმატებისათვის ელმავლის მემანქანეთა ბრიგადირს გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბოგვერაძესა და ნოვატორ მჭედელ კონსტანტინე მიხეილის ძე ილურიძეს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი.

საქართველოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. 1953 წლის დამდეგს ბათუმში გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა აჭარისა და აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის. 1953 წლის მაისში ზუგდიდელმა მეჩაიეებმა მოუწოდეს საქართველოს მეჩაიეებს, აქტიურად ჩაბმულიყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გაეუმჯობესებინათ პლანტაციების მოვლა, გაეზარდათ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა და აემაღლებინათ პროდუქციის ხარისხი[38]. ზუგდიდელთა მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის რაიონების მეჩაიეები.

საქართველოს მეჩაიეებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით გაანაღდეს. 1953 წელს მახარაძის რაიონის სოფელ სილაურის კოლმეურნეობის შ. დარჩიას ბრიგადამ 117 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც მიიღო 1 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი[39]. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას ბრიგადამ, რომელშიც 16 სოციალისტური შრომის გმირია, 1953 წელს 12 ჰექტარი პლანტაციიდან მიიღო 87 ტონამდე მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 15 ტონით აღემატებოდა 1952 წლის მოსავალს. ბრიგადის ფულადმა შემოსავალმა 1 275 ათას მანეთს გადააჭარბა.

სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად მნიშვნელოვანდ გაიზარდა ჩაის მოსავლიანობა. თუ 1946 წელს საშუალოდ თითოეული ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მიღებული იყო 605 კგ ჩაის ფოთოლი, 1953 წელს ჰექტარზე ჩაის საშუალო მოსავლმა 2 600 კგ-ს გადააჭარბა[40].

ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა გული ჯინჭარაძემ მასზე გაპიროვნებული ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაციაში მოკრიფა 9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმიური 5,8 ტონისა. მეხუთე ხუთწლედის 1955 დამამთავრებელ წელს ჩაის ფოთლის მოსავალი 1 ჰექტარზე შეადგენდა 2 720 კგ-ს, ნაცვლად 2 591 კგ-ისა 1954 წელს[41]. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ცხაკაიას რაინის ზანის ა. ჟდანოვის სახელობის კოლმეურნემ ტატიანა ტყებუჩავამ 1956 წლის 20 აგვისტოსათვის 3 500 კგ-ის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწფიოს ჩააბარა 8 744 კგ მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო წლის დამლევს სულ 11 000 კგ.

1953 – 1958 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა ახალ, მძლავრ შრომითს აღმავლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 572 312 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 1958 წელს 1953 წელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა 25 ათასი ტონით მეტი ჩაი, ერთ ჰექტარზე საშუალოდ ჩაის მოსავალმა მიაღწია 2 953 კგ-ს, მათ შორის აჭარაში 4 315 კგ-ს, მახარაძის რაიონში – 3 806 კგ-ს[42].

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით ჩაის მოყვანის პირველი ზონის რაიონებიდან (აჭარა, აფხაზეთი, მახარაძე, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, გეგეჭკორი, ცხაკაია, ხობი) პირველი ადგილი და რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა მახარაძის რაიონს, მეორე ადგილი – ქობულეთისა და ოჩამჩირის რაიონებს, ხოლო მეორე ზონის რაიონებიდან (ტყიბული, ქუთაისი, წყალტუბო, წულუკიძე, სამტრედია, აბაშა, ზესტაფონი, თერჯოლა, ვანი, ჭიათურა) პირველი ადგილი და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა ტყიბულის რაიონს, მეორე ადგილი – წყალტუბოს რაიონს. ამ დადგენილებაში აღინიშნა აგრეთვე ზუგდიდის, ქუთაისის, წალენჯიხის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების კარგი მუშაობა[43].

1953 წელს საქართველოში წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ყურძნის მოსავლიანობა. ბევრმა ჩვენმა მევენახე-ნოვატორმა მაღალი შრომითი მაჩვენებლებით სახელი გაითქვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც. გურჯაანის რაიონის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1950 – 1952 წლებში საშუალოდ ჰექტარზე 30 – 40 ც ყურძენს კრეფდნენ, ხოლო 1953 წელს საშუალოდ 140 ც ყურძენი მიიღეს. ყურძნის მაღალი მოსავალი მიიღეს ქედის რაიონის (აჭარის

ასსრ) სოფელ ახოს კოლმეურნეობის მევენახეთა რგოლმა სოციალისტური შრომის გმირის ა. ნაკაშიძის ხელმძღვანელობით, ხაშურის რაიონის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხაჩიძემ და სხვა მოწინავე მევენახეებმა.

1954 წელს მოწინავე მევენახეებმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაში. გურჯაანის რაიონის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ვ. ჭიკაძის ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფა 200 ც ყურძენი, ამავე ბრიგადის წევრების სოციალისტური შრომის გმირის ი. ყვირილაშვილისა და მევენახე ნოვატორი გ. ოდიშელიძის რგოლებმა კი თითოეული ჰექტარიდან 240 ც. ყურძნის მაღალი მოსავლიანობისათვის გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მ. ი. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე ოსტატს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო 40-ზე მეტი კოლმეურნე დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით[44]. ამ წელს ყურძნის მოსავლიანობა 1 ჰექტარზე კოლმეურნეობებში შეადგენდა საშუალოდ 50,4 ც, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში – 75 ც.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და მევენახეთა შემოქმედებითი შრომის განვითარების შედეგად ყურძნის მოსავლიანობა უფრო მეტად გაიზარდა და 1958 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 68 ათასი ტონით მეტი ყურძენი, ვიდრე 1953 წელს[45].

ასევე ითქმის საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა წამყვანი დარგების მოწინავე ადამიანებზე. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფელ ბენსინის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1952 წელთან შედარებით 1953 წელს 2,5-ჯერ მეტი შაქრის ჭარხალი მიიღეს. ამავე რაიონის სოფელ ლეთეთის კოლმეურნეობამ 44 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 310 ც-ის ნაცვლად მოიყვანა 440 ც შაქრის ჭარხალი, ნოვატორმა ნატო ზასოხაშვილმა ჰექტარზე მიიღო 680 ც, ნ. ფილიშვილმა – 700 ც შაქრის ჭარხალი[46]. მეჭარხლეთა ენერგიული შრომის შედეგად 1958 წელს ჭარხლის მოსავლიანობა 1953 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მაღალი შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნეს 1953 წელი საქართველოს მეთამბაქოეებმა. აფხაზეთის მოწინავე კოლმეურნე ქალებმა ლ. ჭანჭურიძემ (გულრიფშის რაიონი), ა. კოპალიანმა, დ. ლომიძემ (სოხუმის რაიონი) და სხვებმა თამბაქოს მოყვანის თავიანთი გეგმები 150 – 200 პროცენტით შეასრულეს[47], ხოლო სოციალისტური შრომის გმირის რ. ბერიძის ბრიგადამ 10 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 16 ც თამბაქო მოიყვანა[48]. 1954 – 1957 წლებში მეთამბაქოებმა დაამზადეს და სახელმწიფოს ჩააბარეს თამბაქო 11 230 ტონით მეტი, ვიდრე 1950 – 1953 წლებში[49].

თავთავიანი კულტურების მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის სოციალისტური შეჯიბრება მოეწყო ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მუშაკების ინიციატივით. ლაგოდეხელთა ინიციატივას გამოეხმაურნენ საქართველოს პურეულის რაიონების მშრომელები. ამ

შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ყვარელის რაიონის სოფელ ენისელის მტს-ის კომბაინერმა მ. კევლიშვილმა, ახმეტის მექანიზატორებმა ს. რამაზაშვილმა და მ. ლაზარიაშვილმა, ვ. ონოფრენკომ და სხვებმა, რომლებმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პურის მოსავლის აღების გეგმები. ამ მოწინავე მხვნელ-მთესველებს არ ჩამორჩნენ საქართველოს მარცვლეულის სხვა რაიონების აგრონომები. მაგალითად, ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ვ. ჟუჟუნაშვილის ბრიგადამ 1953 წელს წინა წელთან შედარებით საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე 5 ც-ით მეტი ხორბალი მოიყვანა[50].

მარცვლეულის რაიონების სოციალისტური შრომის გმირები, მოწინავე მექანიზატორები, თითოეული მშრომელი გადაჭარბებით ასრულებდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და თვალსაჩინო მიღწევებით აღნიშნეს 1955 წელი. რესპუბლიკის კომლეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ წელს გეგმის გადაჭარბებით ჩააბარეს სახელმწიფოს 1161 ათასი ფუთი ხორბალი[51]. ცხაკაიას რაიონის მტს-ის მოწინავე მექანიზატორმა პ. მაშავამ 1956 წლის გაზაფხულზე 470 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 1 208 ჰექტარი მიწა, დაზოგა ტონაზე მეტი საწვავი და გამრდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. მექანიზატორთა შრომითმა აქტივობამ უზრუნველყო 1958 წელს მარცვლეულის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულება.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს აგრეთვე მესიმინდეებმა. გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 40, 60, 70 ც სიმინდი. ყვარლის რაიონის ვ. კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ მოიყვანა 64 ც მარცვლეული, გურჯაანის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობამ – 67 ცენტნერი, ხოლო ამ კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირმა მირიანაშვილმა – 77,8 ცენტნერი[52]. განსაკუთრებით აღსანიშნავია გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების მესიმინდეთა ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის ძ. რიგვავას შრომითი წარმატებები. მასზე გაპიროვნებულ ერთ ჰექტარზე მან მიიღო სიმინდის სარეკორდო მოსავალი – ორას ცენტნერზე მეტი[53]. დაბა ბოლნისის კოლმეურნეობამ 1956 წელს 209 ჰექტარი სარწყავი ფართობის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 600 ფუთი სიმინდი[54]. სიმინდის მოსავლიანობის ზრდაში დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრეთე სხვა რაინების მესიმინდეებმა. 1958 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა სიმინდის ნათესების წილი რესპუბლიკის ნათესთა საერთო ფართობში. ამ პერიოდში საქართველოს რაიონებმა ყველგან გაამახვილეს ყურადღება კარტოფილის კულტურისადმი. ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისა და აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვის შედეგად, მიიღეს კარტოფილის მაღალი მოსავალი. 1953 წელს განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დაბა ვალეს ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ვ. მანველაძე, ი. დავიდოვი, ი. კოპაძე, პ.

ხითარიშვილი და სხვ. თითოეულ ჰექტარზე კოლმეურნეობამ მიიღო 279 ც კარტოფილი (ნაცვლად 135 ც გეგმით), ხოლო ამავე კოლმეურნეობის ი. ჩიტაშვილის ბრიგადამ – 300 ცენტნერი[55].

შრომითი აქტივობის მაგალითი აჩვენეს მეაბრეშუმე ქალებმა. ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეთა რგოლმა (ხელმძღვანელი დურგლიშვილი) სახელმწიფოსადმი აბრეშუმის პარკის ჩაბარების 1953 წლის გეგმა 222 პროცენტით შეასრულა. ლანჩხუთის რაიონის ახალსოფლის ფ. ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის რგოლმა სოციალისტური შრომის გმირის ლოლა კომახიძის ხელმძღვანელობით გეგმით გათვალისწინებული 194 კგ-ის ნაცვლად მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 370 კგ მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ვ. ი . ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მებარეშუმე ნინო ბარაბაძემ, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის ფ. ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეთა ბრიგადირმა ა. გელაშვილმა და საქართველოს სხვა რაიონების მეაბრეშუმეებმა[56]. 1954 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის გ. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეთა რგოლის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ოსანა აივაზაშვილმა 27,8 გრამი თესლიდან მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 172 კგ აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 კგ-სა[57].

ბათუმის რაიონის მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის მუშა-ქალები ს. დოლიძე და პ. კაციუკი 1954 წელს ციტრუსების კრეფის ყოველდღიურ ნორმას 160 – 200 პროცენტით ასრულებდნენ[58]. სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ძლიერი ყინვებით დაზიანებული ციტრუსოვანი კულტურების აღსადგენად. ამ კულტურათა ფართობების გადიდების, ნარგავების მოვლის გაუმჯობესებისა და აგროწესების დაცვის შედეგად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1955 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს 330 მილიონი ციტრუსოვანი ნაყოფი, ანუ 88,4 მილიონით მეტი წინა წელთან შედარებით[59]. 1958 წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებამ უკვე 24 ათას ტონას მიაღწია[60].

1955 წელს ხეხილის ბაღების ფართობი საქართველოში შეადგენდა 108,8 ათას ჰექტარს, მათ შორის კოლმეურნეობებისა – 32,3 ათას, საბჭოთა მეურნეობებისა – 3,4 ათას, ხოლო კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა – 65,8 ათას ჰექტარს. სახელმწიფო გეგმები 1953 – 1955 წლებში შესრულდა გადაჭარბებით[61]. 1954 – 1957 წლებში დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 80600 ტონით მეტი ხილი, ვიდრე წინა სამ წელიწადში[62]. სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეებმა 1957 – 1958 წლებში 1 ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფეს 66,5 ც მაღალხარისხოვანი ხილი, ნაცვლად 35 – 40 ც-სა წინა წლებში[63]. მეექვსე ხუთწლედის პირველ სამ წელს მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების მოსავლიანობა[64].

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ყურადღება დაუთმეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის ძირეულ გაუმჯობესებას. ამის შედეგად მიღწეულ იქნა ზოგიერთი წარმატება ჯიშების გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ზრდაში. 1954 – 1958 წლებში ძროხის წველადობა გადიდდა 2-ჯერ და მეტად. 1957 წელს 1 საფურაჟე ძროხაზე წველადობა გაიზარდა 1000 კგ-მდე, ნაცვლად 825 კგ-სა 1955 წელს. ამ დარგში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწიეს ბათუმის, ბოგდანოვკის, ქობულეთის, წალკის, წითელწყაროსა და გარეუბნის რაიონების კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ძროხის წველადობა საშუალოდ გაადიდეს 1300 – 2100 კგ-მდე[65]. 1958 წელს საშუალოდ 1 საფურაჟე ძროხა იწველიდა 1 150 კგ რძეს, ნაცვლად 468 კილოგრამისა 1953 წელს. ამავე პერიოდში პირუტყვის სულადობა გაიზარდა 119 ათასი სულით, მათ შორის ძროხისა – 102 ათასი[66].

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში უკეთესი მაჩვენებლებისათვის 1958 წელს წითელწყაროსა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიპოვეს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები. აღინიშნა აგრეთვე დმანისისა და მახარაძის რაიონების მაღალი მაჩვენებლები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში[67].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა ენერგიული შრომის შედეგად 1958 წელს 1953 წელთან შედარებით სახელმწიფოს დიდი რაოდენობით ჩაბარდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ხორცის წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გადიდდა 23-დან 31 ც-მდე, რძისა – 104-დან 155 ც-მდე. გაიზარდა დამზადება ხორცისა – 1,3-ჯერ, რძისა – 1,7-ჯერ, კვერცხისა – 3,6-ჯერ, მატყლისა – 1,1-ჯერ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი. 1957 წელს იგი შეადგენდა 2 087 500 მანეთს, ე. ი. 26,6 პროცენტით მეტს, ვიდრე 1953 წელს. კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდები გაიზარდა 4 მილიარდი მანეთით[68].

საქართველოს მშრომელთა მიღწევები მარტო ზემოაღნიშუნლით როდი ამოიწურებოდა. რესპუბლიკის მშრომელები, განსაკუთრებით კომკავშირელები და ახალგაზრდები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში შრომითი მონაწილეობის მიღების შესახებ.

1956 წლის 16 ივლისს საქართველოდან სპეციალური კომკავშირული ეშელონით ყამირი მიწების რაიონებში გაიგზავნა 2 ათასი ახალგაზრდა ენთუზიასტი. დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებმაც არაერთი ჯილდო დაიმსახურეს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა კი 1956 წელს მოსავლის აღებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

1957 წელს ყამირ მიწებზე საქართველოდან გაიგზავნა 6 ათასი ახალგაზრდა. მოსავლის აღების დაწყებამდე მათ 2 თვის განმავლობაში დაამზადეს 32 ათასი ტონა თივა, 551 221 ტონა სილოსი, ააშენეს და კაპიტალურად შეაკეთეს 70 500 კვ მეტრი სადგომი პირუტყვისათვის, გაიყვანეს 224 კმ საერთო სიგრძის ელექტრო და რადიო ხაზები, დიდი რაოდენობით დაამზადეს ხე-ტყისა და სხვა სამშენებლო მასალები, შეასრულეს სხვა სამუშაოები[69].

1958 წელს ყამირზე მოსავლის აღებაში მონაწილეობისათვის საქართველოდან გაემგზავრა 7 ათასი ახალგაზრდა მუშა, კოლმეურნე, სტუდენტი, სპეციალისტი და მოსამსახურე. უამინდობის მიუხედავად, მათ გამოიჩინეს დიდი შრომითი ენთუზიაზმი და ხელი შეუწყვეს მოსავლის წარმატებით აღებას. 49 920 ჰექტარიდან აიღეს ხორბალი, კოლმეურნეობებში გამოიმუშავეს 450 ათასამდე შრომადღე, გაწმინდეს 5,5 მლნ ც ხორბალი, ჩადეს 302 ათასი ტონა სილოსი, მოთიბეს და დაზვინეს 66 ათას ტონამდე თივა, ააგეს და კაპიტალურად შეაკეთეს მარცვლეულის 324 საწყობი, 122 კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობა, შეაკეთეს ასეულობით ტრაქტორი, კომბაინი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მეცხოველეობის ფერმები და შესარულეს ბევრი სხვა სამუშაო[70].

სსრ კავშირის მშრომელებმა, პირველ რიგში მუშა ახალგაზრდობამ, შვიდწლედის დასაწყისში გამოამჟღავნეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაღალი შეგნებულობა. წარმოიშვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი უმაღლესი ფორმა – შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდების მოპოვებისათვის. 1958 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის დამხარისხებელი დეპოს კომკავშირელთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურა მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის საქართველოს მშრომელები. რუსთავის მეტალურგები, მეცემენტეები, მანქანათმშენებლები, ქიმიკოსები და სხვები აქტიურად ჩაებნენ მოძრაობაში და ახალი ვალდებულებები იკისრეს კომუნისტური შრომის ბრიგადების საპატიო სახელწოდების მოპოვებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1958 წლის ნოემბერში განიხილა საკითხი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მებრძოლი ბრიგადების მოძრაობის შესახებ და დასახა პრაქტიკული ღონისძიებები ამ მოძრაობისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიმართულებით. სკკპ XXI ყრილობისადმი ღირსეულად შესახვედრად და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად საქართველოში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის პირველი ბრიგადები წარმოიშვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის N 2 ბრძმედზე (ბრიგადირი ა. ძამაშვილი), ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტში (ბრიგადირი შ. კუბლაშვილი), რუსთავის ცემენტის ქარხნის საფქვავ საამქროში (ბრიგადირი რ. ჭიჭინაძე), თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ამწყობ საამქროში (ბრიგადირი გ. ჩადუნელი), თბილისის "ელექტროვავტომატის" ამწყობ საამქროში (ბრიგადირი ზ. რუსია).

საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ განუმარტეს მშრომელთა ფართო მასებს კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის ბრძოლის ფართოდ გავრცელების მნიშვნელობა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისა და კომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ფორმირების საქმეში[71].

შ.კუბლაშვილის ბრიგადამ (ტყიბული) საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება. მას არ ჩამორჩა კომუნისტური შრომის ბრიგადა (ხელმძღვანელი ა. ბაკურაძე), რომელმაც ცვლაში ბრიგადის თითოეულ წევრზე ნორმის გადამეტებით 10 ტონა ქვანახშირი ამოიღო[72].

ტყიბულის ქვანახშირის შახტებში კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა მოძრაობის ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებდა ერთდროულად მუშათა კულტურულ-ტექნიკური და ზოგადი განათლების დონის ამაღლებას, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა მეშახტეთა მოთხოვნას და ქუთაისიდან ტყიბულში გადაიტანა ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც მუშათა კადრიდან ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს წარმოებიდან მოუწყვეტლივ.

ჭიათურის მაღაროელებმა ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მებრძოლი ბრიგადების მოძრაობას. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჭიათურის მ. კალინინის სახელობის მაღაროს მეორე უბნის ცვლის კოლექტივმა (ხელმძღვანელი ო. ლორია). მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ნიკოპოლის მანგანუმის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს N 20 შახტის ო. იშჩენკოს ცვლის კოლექტივი და იკისრა ვალდებულება, რომ ცვლის წევრები ყოველდღე გეგმის გადამეტებით ამოიღებენ 1,5 ტონა პირველხარისხოვანი მანგანუმის მადანს, სკკპ XXI ყრილობის გახსნის დღისათვის (1959 წ. 27 იანვარი) გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემენ რამდენიმე ასეულ ტონა მაღალხარისხოვან მანგანუმის მადანს, შრომის ნაყოფიერებას გაადიდებენ 40 პროცენტით, შეამცირებენ მოპოვებული ტონა მანგანუმის მადნის თვითღირებულებას 3 მანეთით, ყოველ ათას ტონა მადანზე დაზოგავენ 2 კუბმეტრ სამაგრ მასალას, ცვლის თითოეული წევრი დაეუფლებოდა 2 – 3 პრფესიას და სისტემატურად აიმაღლებდა ტექნიკური და საერთო ცოდნის დონეს[73].

ო. ლორიას ცვლის კოლექტივი თავიდანვე ენერგიულად შეუდგა აღებულ ვალდებულებათა შესრულებას. 1958 წლის დეკემბრის გეგმა ვადამდე გაანაღდა და მადნის ამოღება დაიწყო შვიდწლედის ანგარიშში.

ზესტაფონის მეტალურგები დაუყოვნებლივ ჩაებნენ სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტეს 20 დღით ადრე შეესრულებინათ 1958 წლის გეგმა, იმუშაონ სანიმუშოდ და მოიპოვონ

კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვა ქარხნის ოთხმა კომკავშირულმა ცვლამ და თხუთმეტმა კომკავშირულმა ბრიგადამ. მათ გადაჭარბებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებანი: დაზოგეს 2,8 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1 457 ტონა ნედლეული, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 825 ტონა ძვირფასი ლითონი და ქარხნის ტერიტორიაზე დარგეს 1 568 ძირი მცენარე[74].

რუსთავის მეტალურგები ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ ახალ მოძრაობას და 1958 წლის ნოემბერში შექმნეს კომუნისტური შრომის 9 ბრიგადა და 2 ცვლა, რომლებმაც შრომაში, სწავლასა და ყოფა-ცხოვრებაში დევიზად გაიხადეს კომუნისტური პრინციპი ”ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის”. ცნობილმა მეფოლადემ ა. ფანცულაიამ დაივალა სკკპ XXI ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოადნოს 100 ტონა ფოლადი და ყოველწლიურად დაზოგოს 20 ტონა საწვავი[75].

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის N 2 ბრძმედის ბრიგადამ (ოსტატი ა. ძამაშვილი) თავი გამოაცხადა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელ ბრიგადად და სკკპ XXI ყრილობის, აგრეთვე საქართველოს კპ სკკპ XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრა ვალდებულებანი: ყოველ ცვლაში ნორმის გადამეტებით გამოუშვას 30 ტონა, და 2 თვის განმავლობაში გამოადნოს 650 ტონა თუჯი. გააუმჯობესოს ბრძმედის მარგი მოცულობის კოეფიციენტი 5 პროცენტით; მიაღწიოს ტონა თუჯის თვითღირებულების შემცირებას 5 მან. 70 კაპიკით, რაც XXI ყრილობისათვის შეადგენდა 90 ათასი მანეთის ეკონომიას; გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით, კოქსის ხარჯვა ტონა თუჯზე შეამციროს 890 კილოგრამამდე; ბრიგადის ყველა წევრმა, ვისაც საშუალო განათლება არა აქვს, შეიძინოს იგი 1 – 2 წლის განმავლობაში, ხოლო ბრძმედის ოსტატმა ა. ძამაშვილმა და უფროსმა მეგაზემ რ. კაფიანმა – დაამთავრონ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის ფილიალი. ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა აღებული ვალდებულებანი და 1958 წელს გეგმის ზევით გამოადნო 750 ტონა თუჯი[76].

ასევე მაღალ მაჩვენებელს იძლეოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ბრიგადა (ხელმძღვანელი ვ. მერაბიშვილი), რომელმაც კომუნისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სუმგაითის მილსაგლინავი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადა[77].

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში ფართოდ გაიშალა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა, რამაც ხელი შეუწყო წლიური გეგმის წარმატებით შესრულებას.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის ბრძოლაში და იკისრა გაზრდილი ვლდებულებანი

ქარხნის ახალი შრომითი წარმატების მისაღწევად. ამ ვალდებულებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ყველაზე მეტად დაწინაურდა გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელიც რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის, ახალი პროფესიების ათვისების, წარმოების კულტურის ამაღლებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგად ცვლაში ყოველდღიურ დავალებას ასრულებდა 400 – 500 პროცენტით[78].

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის ბრძოლის გაჩაღებასთან დაკავშირებით შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს ქართველმა მეცნიერებმა და სტუდენტებმა. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა 1958 წლის დეკემბერში ჩამოაყალიბა "მეცნიერის საგუშაგო" თბილისის ქარხანა "ელექტროავტომატის" კომუნისტური შრომის ბრიგადასთან, რომელსაც ამავე ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი ზაურ რუსია ხელმძღვანელობდა. ბრიგადის წევრებმა გაზრდილი ვალდებულებები აიღეს და წერილით მიმართეს საქართველოს მეცნიერებს, განთლების, ლიტერატურისა და კულტურის მუშაკებს. მიმართვაში ნათქვამი იყო: "კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა მკაფიოდ მოწმობს იმას, რომ იწყება ლენინის გენიალური განჭვრეტის განხორციელების – კომუნისტური შრომის ზეიმის დრო. და ასეთ დროს განუზომლად მაღლდება ჩვენი – საბჭოთა მეცნიერების, სტუდენტი ახალგაზრდობის, კულტურის ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე. ჩვენი წმინდა ვალია ვიდგეთ ჩვენი ეპოქის დიად მოძრაობათა ავანგარდში, არ შემოვიფარგლოთ სტუდენტთა აუდიტორიით, ვიწრო კაბინეტებით და ლაბორატორიული საქმიანობით, მჭიდროდ დავუკავშირდეთ მასებს, მხარში ამოვუდგეთ მათ, დავეხმაროთ კეთილშობილურ ბრძოლაში გამარჯვებათა მოსაპოვებლად"[79].

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ამასთან დაკავშირებთი დაივალეს: ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ზ. რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და შრომის ორგანიზაციის სანიმუშოდ მოწყობის გზით; ბრიგადის მეშვეობით დაეხმარონ ქარხნის კოლექტივს ახალი პროდუქციის – საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროაგრეგატების ათვისებასა და გამოშვებაში; ბრიგადაში წამოჭრილი თითოეული რაცინალიზატორული წინადადება და გამოგონება გულდასმით განიხილონ ბრიგადასთან ერთად, დააზუსტონ რაციონალიზაციის მეცნიერული და ტექნიკური მხარეები, ეკონომიკური ეფექტიანობა; დაეხმარონ ბრიგადას პროფესიულ დაოსტატებაში, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის ამაღლებაში.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა "მეცნიერის საგუშაგო" შექმნა აგრეთვე თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში. ინსტიტუტის მექანიკა-

მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარმომადგენლები გაეცვნენ კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის მებრძოლი გ. ნოზაძის, ზ. გველუკაშვილის, მ. ცირიულნიკის ბრიგადებისა და უბნების მუშაობას. ინსტიტუტისა და ქარხნის წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა და მუშებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შეხედულებანი "მეცნიერის საგუშაგოს" ამოცანებზე. მეცნიერებმა იკისრეს ვალდებულება – ყოველ მხრივ დაეხმარონ ქარხნის კოლექტივს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებაში, შრომის ორგანიზაციის საუკეთესოდ დაყენებაში, ექსპერიმენტული ნიმუშებისა და ცალკეული კვანძების გამოცდაში; სამარჯვების, საჭრელი იარაღებისა და ტექნოლოგიური პროცესების დოკუმენტაციის სამუშაო ნახაზების კომპლექტის შექმნაში, უნივერსალური ჩარხის "163-ის" 300-მდე დეტალის დამუშავებაში, უმაღლესი ტექნიკური განათლების მიღებაში და ა. შ.

ასეთივე კავშირი დაამყარეს წარმოებასთან საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, აგრეთვე თბილისის თეატრებმა და სხვა კულტურულმა დაწესებულებებმა. აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა მშრომელთა შრომითი და შემოქმედებითი აქტივობა.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ფართოდ გავრცელებისათვის ბრძოლაში აღიზარდნენ გამომგონებელთა და წარმოების რაციონალიზატორთა, შრომის ორგანიზაციის ახალი მოწინავე ფორმების ინიციატორთა, ტექნიკური პროგრესის ნოვატორთა ახალი შესანიშნავი კადრები. 1958 წლისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში მოღვაწეობდა 8 400 გამომგონებელი და რაციონალიზატორი, რომლებმაც წარმოებაში შეიტანეს 15 400 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან წარმოებაში დაინერგა 9 000, რამაც ქვეყანას ყოველწლიურად მისცა 61 მლნ მანეთის ეკონომია[80].

საქართველოში ისე განვითარდა რაიცონალიზატორობა და გამომგონებლობა, რომ 1958 წელს შეიქმნა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რესპუბლიკური საზოგადოება თავის პირველადი ორგანიზაციებით საწარმოებში[81].

გამომგონებლობასა და რაციონალიზატორობაში მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მასობრივად მონაწილეობა განაპირობა მასების კულტურულ-ტექნიკური დონის მნიშვნელოვანმა ამაღლებამ.

შრომის ნაყოფიერების გადიდების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ნედლეულის დაზოგვისა და მძიმე შრომის შემსუბუქების მიზნით საქართველოში მარტო 1954 – 1957 წლებში დანერგილმა 25 500-ზე მეტმა რაციონალიზატორულმა წინადადებამ და გამოგონებამ სახელმწიფოს მისცა 120 მლნ მანეთის ეკონომია[82]. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის პროცესში რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა განსაკუთრებით სწრაფად

ვითარდებოდა მანქანათმშენებლობის, მეტალურგიისა და მანგანუმის მრეწველობაში.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის რაციონალიზატორებმა მარტო 1953 წელს შეიტანეს და დანერგეს 200-ზე მეტი წინადადება, რამაც 1,3 მლნ მანეთზე მეტი ეკონომია მისცა სახელმწიფოს. ცნობილმა ჭიათურელმა რაციონალიზატორმა, რამდენიმე რაციონალური წინადადების ავტორმა შ. ბუხნიკაშვილმა გამოიგონა სანგრევიდან ბიგების გამოსატაცებელი ჯალამბარი, რომლითაც გამოტანილი ბიგები ახალ სანგრევში გამოიყენება. ამ გამოგონებამ მარტო ჭიათურის მრეწველობას მისცა წლიურად 900 ათასი მანეთის ეკონომია. ეს დანადგარი ახლა ფართოდ გამოიყენება სსრ კავშირის სამთო მრეწველობაში. ჭიათურის მაღაროების მბურღავმა კ. ნადირაძემ შეიმუშავა შპურების ღრმა ბურღვის საკუთარი მეთოდი, რომელიც ერთიორად ადიდებს მადნის მონგრევას. ეს მეთოდი ფართოდ გავრცელდა მთელ სამთამადნო მრეწველობაში[83].

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 1956 წლის 5 თვის განმავლობაში დაინერგა 100-ზე მეტი წინადადება, რამაც 795 ათასი მანეთის ეკონომია მისცა ქვეყანას. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის რაციონალიზატორებმა 1956 წელს დანერგეს 260 წინადადება და დაზოგეს 786 ათასი მანეთი[84]. 1958 წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების დანერგვამ სახელმწიფოს მისცა 7 მილიონი მანეთის ეკონომია, ანუ 3-ჯერ მეტი, ვიდრე 1954 წელს[85].

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტის ვ. ჩაგუნავას, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორის ნ. ჭიპაშვილის, კოქსის გაზის წარმოების უფროსის მოადგილის ბ. კრუგლოვისა და გოგირდსაწმენდი საამქროს უფროსის ს. გაბრიჩიძის წინადადებით საბჭოთა კავშირის ქიმიურ მრეწველობაში პირველად რუსთავში განხორციელდა კოქსის გაზის გაწმენდა პიროქსიდული მანგანუმის მადნის საშუალებით. ამ სიახლემ ქარხანას ყოველწლიურად 2 მლნ მანეთის ეკონომია მისცა[86].

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ცნობილ ინჟინერ-რაციონალიზატორ ხ. სიორიძის წინადადების დანერგვით მიიღო 290 ათასი მანეთის ეკონომია. ამავე ქარხნის სოციალისტური შრომის გმირი ბ. მელქაძე თავისი წინადადების დანერგვით წარმოებას ყოველწლიურად 31 488 მანეთის ეკონომიას აძლევდა[87].

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში 150-ზე მეტმა რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა 1954 წელს შეიტანა 400-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან დაინერგა 150 და წელიწადში 710 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო ქვეყანამ. ქარხნის ნოვატორმა ინჟინერმა ს. თათრიშვილმა 25 რაციონალური წინადადება შეიმუშავა და დანერგა, რაც ყოველწლიურად 150 ათას მანეთს ზოგავდა. 1957 წელს ქარხანაში ყოველი მესამე-მეოთხე მუშაკი იყო რაციონალიზატორული წინადადების ავტორი,

რომელთაგან ზოგიერთს 40 – 50 წინადადება ჰქონდა. ხარატმა ა. აგაჯანოვმა წამოაყენა 120 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვით ქვეყანამ მიიღო 2 მილიონი მანეთი. მის წინადადებათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინერგა სსრ კავშირის ბევრ საწარმოში[88].

ქუთაისის გ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახელოვანი ნოვატორი ი. ხაზარაძე 60-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მან თავისი შემოქმედებითი შრომით 10 წლით გაუსწრო დროს, 1957 წელს უკვე 1967 წლის ანგარიშში მუშაობდა და 100 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა სამშობლოს[89].

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ცნობილი ბრიგადირის, რამდენიმე რაციონალური წინადადების ავტორის ა. გურგენიძის მიერ 1958 წელს მარტო ერთი წინადადების დანერგვით ყოველწლიურად 100 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მიიღო ქვეყანამ[90].

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა მ. აკოფოვმა თავისი რამდენიმე წინადადებითა და გამოგონებით 1953 – 1958 წლებში მნიშვნელოვნად გაამდიდრა მანქანათმშენებლობის წარმოება. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის აღმოცენებულ მოძრაობაში იგი ერთი პირველთაგანი ჩაება და მაშინვე დაიწყო ახალ ტექნიკურ გამოგონებაზე შემოქმედებითი მუშაობა.

ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ი. კუხალეიშვილმა და ამავე კომბინატის განყოფილების უფროსმა ნ. ნადარაიამ წარმოებაში დანერგეს რაციონალიზატორული წინადადება, რომლის შედეგად ქაღალდსაკეთებელმა მანქანამ 2-ჯერ გაადიდა სპეციალური ქაღალდის გამოშვება და ყოველწლიურად 194 ათასი მანეთის ეკონომია მისცა სახელმწიფოს. მათივე წინადადების დანერგვით მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველი ხარისხის ქაღალდის გამოშვება, რაც წლიურად 200 ათას მანეთზე მეტ ზეგეგმიურ დაგროვებას იძლევა. ამავე კომბინატის ტექნიკოსმა ეთერ ცქიტიშვილმა შეიმუშავა და დანერგა რვეულების შეფუთვის ახალი მეთოდი, რომელიც წელიწადში 358 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა[91].

თბილისის ფეხსაცმლის N 1 ფაბრიკის რაციონალიზატორებმა 1956 – 1957 წლებში დანერგეს 62 წინადადება და წარმოებას დაუზოგეს 650 ათასი მანეთი[92].

შემოქმედებითად შრომობდნენ გორის საფეიქრო კომბინატის რაციონალიზატორები ტ. ორჯონიკიძე და გ. კოპინაშვილი, რომლებმაც გააუმჯობესეს სართავი მანქანების ლილვები და წელიწადში 54 ათას მანეთზე მეტი დაზოგეს[93].

ნაყოფიერად იღვწოდნენ რკინიგზის რაციონალიზატორებიც. თბილისის საელმავლო დეპოს რაციონალიზატორთა წინადადების დანერგვით დღე-ღამეში 150 კილომეტრით გადიდდა ელმავლების გარბენა[94].

დიდ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე ავტოტრანსპორტის რაციონალიზატორებმა[95].

საქართველოს რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა თავიანთი შემოქმედებითი შრომის აქტივობით მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. 1954 წელს ამის შედეგად მიღებული ეკონომია შეადგენდა 37 მილიონ, 1958 წელს – 61 მილიონ მანეთს[96].

ამრიგად, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმა 1953 – 1958 წლებში მნიშვნელოვნად გააძლიერეს შრომითი აქტივობა. უმთავრესად საქართველოს მოწინავე მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები 1953 – 1958 წლებში გადაჭარბებით იქნა შესრულებული, თუმცა ზოგიერთ წლებში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოება არათანაბარზომიერად იზრდებოდა[97]. ეს და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ნაკლი გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ 1953 – 1958 წლებში იგრძნობოდა მეურნეობის ხელმძღვანელობისადმი სუბიექტივისტური მიდგომის შედეგები. საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში არ იყო დაძლეული ის ნაკლოვანებანი, რომელთა მეოხებით თანაბარი მდგომარეობის პირობებშიც საწარმოები პროდუქციის წარმოების სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდნენ. მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობით მიღებული მდიდარი საწამროო გამოცდილების, აგრეთვე რეზერვების მაქსიმალურად გავრცელებისა და ეფექტურად გამოყენების პირობებში პროდუქციის წარმოების ტემპი მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, ვიდრე ეს იყო 1953 – 1958 წლებში.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 74, ფურც. 39 – 40; საქ. 105, ფურც. 46 – 47; საქ. 130, ფურც. 30 – 31; საქ. 147, ფურც. 10 – 11; საქ. 153, ფურც. 15 – 16; საქ. 159, ფურც. 17 – 18; საქ. 65, ფურც. 28.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 48, საქ. 165, ფურც. 27.

[3]პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96, აღწ. 16, საქ. 651, ფურც. 5, 13 – 14; საქ. 284, ფურც. 13,23; საქ. 434, ფურც. 11; საქ. 474, ფურც. 1.

[4] საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 1, საქ. 330, ფურც. 1.

[5] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 396.

[6] გაზ. “კომუნისტი”, 1954 წლის 18 მარტი.

[7] იქვე, 1958 წლის 19 მარტი.

[8] გაზ. “კომუნისტი”, 1955 წლის 3 მარტი.

[9] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 11, 361.

[10] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 396.

[11] იქვე, გვ. 415.

[12] იქვე, გვ. 485.

[13] «40 лет Советской Грузии», стр. 134.
[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 27, საქ. 202, ფურც. 41 – 42.
[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 32, საქ. 99, ფურც. 31.
[16] გაზ. “კომუნისტი”, 1955 წლის 29 დეკემბერი.
[17] «40 лет Советской Грузии», стр. 60.
[18] იქვე, გვ. 62.
19 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 40, საქ. 390, ფურც. 21 –52 –53.
20 «40 лет Советской Грузии», стр. 52 - 56.
21 გაზ. “კომუნისტი”, 1953 წლის 25 იანვარი.
22 იქვე, 1953 წლის 18 და 30 აგვისტო.
23 იქვე, 1953 წლის 5 სექტემბერი.
[19] Газ. «Заря Востока», 28 января и 1 февраля 1958 г.
[20] გაზ. “კომუნისტი”, 1958 წლის 12 ოქტომბერი და 18 დეკემბერი.
[21] იქვე, 1958 წლის 2 ნოემბერი.
[22] იქვე, 195 წლის 11 და 15 ნოემბერი, 25 დეკემბერი.
[23] გაზ. “კომუნისტი”, 1954 წლის 18 თებერვალი და 24 ნოემბერი.
[24] გაზ. “კომუნისტი”, 1954 წლის 17 ივნისი.
[25] იქვე, 1956 წლის 31 ივლისი, 1967 წლის 20 მარტი და 19 ოქტომბერი.
[26] გაზ. “კომუნისტი”, 1958 წლის 17, 20 ივლისი.
[27] იქვე, 5 ოქტომბერი.
[28] იქვე, 14 აგვისტო.
[29] გაზ. “კომუნისტი”, 1953 წლის 18 აგვისტო, 1958 წლის 27 აპრილი და 11 სექტემბერი.
[30] იქვე, 1958 წლის 31 ოქტომბერი.
[31] იქვე, 1954 წლის 22 ივნისი, 1955 წლის 2, 29 მარტი და 22 სექტემბერი.
[32] გაზ. “კომუნისტი”, 1958 წლის 25 ნოემბერი.
[33] იქვე, 1953 წლის 11 ნოემბერი.
[34] იქვე, 1958 წლის 3 სექტემბერი.
[35] გაზ. “კომუნისტი”, 1957 წლის 26 ოქტომბერი.
[36] იქვე, 1953 წლის 4 ნოემბერი.
[37] იქვე, 18 ნოემბერი.
[38] გაზ. “კომუნისტი”, 1953 წლის 22 მაისი.
[39] იქვე, 1953 წლის 17 ივლისი, 23 სექტემბერი, 11 ნოემბერი, 1954 წლის 23 თებერვალი, 29 აპრილი.
[40] იქვე, 1953 წლის 6 ნოემბერი.
[41] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 416, ფურც. 20.
[42] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 280, ფურც. 32 - 34.
[43] იქვე, აღწ. 54, საქ. 280, ფურც. 19.
[44] გაზ. “კომუნისტი”, 1954 წლის 27 ოქტომბერი, 1955 წლის 25 ოქტომბერი.
[45] იქვე, 1959 წლის 9 იანვარი.
[46] იქვე, 1954 წლის 27 ოქტომბერი და 27 დეკემბერი; 1953 წლის 16 დეკემბერი.
[47] “საბჭოთა აფხაზეთი”, 1954 წლის 30 დეკემბერი.
[48] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 54, საქ. 280, ფურც. 20.
[49] გაზ. “კომუნისტი”, 1953 წლის 16 და 24 ივნისი, 4 აგვისტო.
[50] გაზ. “კომუნისტი”, 1953 წლის 11 ნოემბერი.
[51] იქვე, 1956 წლის 1 იანვარი.
[52] “საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 – 1961”, გვ. 533.
[53] გაზ. “კომუნისტი”, 1954 წლის 4 მარტი.
[54] იქვე, 1956 წლის 9 და 30 აგვისტო, 14 სექტემბერი; 1957 წლის 1 იანვარი.
[55] გაზ. “კომუნისტი”, 1953 წლის 30 დეკემბერი.

[56] [56] იქვე, 1953 წლის 6 ნოემბერი, 13, 30 დეკემბერი; 1954 წლის 6 ივნისი.
[57] იქვე, 1955 წლის 30 ივლისი.
[58] იქვე, 1954 წლის 27 ოქტომბერი.
[59] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 416, ფურც. 20.
[60] იქვე, აღწ. 54, საქ. 280, ფურც. 20.
[61] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 416, ფურც. 22
[62] იქვე, აღწ. 54, საქ. 280, ფურც. 20.
[63] იქვე, ფურც. 21.
[64] იქვე, გვ. 20.
[65] გაზ. "კომუნისტი", 1957წლის 29 ნოემბერი.
[66] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 54, საქ. 280, ფურც. 22.
[67] იქვე, ფურც. 20 - 22.
[68] გაზ. "კომუნისტი", 1959 წლის 9 იანვარი.
[69] **ბ. კუხიანიძე,** საქართველოს ახალგაზრდობა ყამირზე მოსავლის აღებისათვის ბრძოლაში, თბ., 1959, გვ. 8 – 15.
[70] იქვე, გვ. 26.
[71] გაზ. "კომუნისტი", 1958 წლის 28 ნოემბერი.
[72] იქვე, 13 დეკემბერი.
[73] გაზ. "კომუნისტი", 1958 წლის 3 დეკემბერი.
[74] იქვე, 10 დეკემბერი.
[75] გაზ. "კომუნისტი", 1958 წლის 22 ნოემბერი.
[76] იქვე, 26, 27 ნოემბერი; 1959 წლის 2 იანვარი.
[77] იქვე, 13 დეკემბერი.
[78] გაზ. "კომუნისტი", 1958 წლის 30 ნოემბერი.
[79] იქვე, 12 დეკემბერი.
[80] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 36.
[81] საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 2, საქ. 689, ფურც. 26.
[82] გაზ. "კომუნისტი", 1956 წლის 27 აპრილი, 1958 წლის 27 მაისი.
[83] იქვე, 1953 წლის 14 ოქტომბერი; 1954 წლის 20 თებერვალი, 1956 წლის 27 ივლისი.
[84] იქვე, 1957 წლის 18 მაისი.
[85] საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 2, საქ. 695, ფურც. 33.
[86] გაზ. "კომუნისტი", 1956 წლის 23 ივნისი.
[87] გაზ. "კომუნისტი", 1958 წლის 11 სექტემბერი.
[88] იქვე.
[89] იქვე, 22 აგვისტო.
[90] იქვე, 27 ივლისი.
[91] გაზ. "კომუნისტი", 1953 წლის 12 სექტემბერი.
[92] იქვე, 1957 წლის 2 ოქტომბერი.
[93] იქვე, 1953 წლის 18 დეკემბერი.
[94] იქვე, 1958 წლის 3 აგვისტო.
[95] იქვე, 1956 წლის 26 ივნისი.
[96] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 54, საქ. 176, ფურც. 27; საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 2, საქ. 547, ფურც. 104, 164.
[97] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობები სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 – 1958 წლების სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ (გაზ. "კომუნისტი", 1959 წლის 25 იანვარი).

თავი მერვე

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა (1946 – 1958 წწ.)

§ 1. ომის შედეგების გავლენა მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობაზე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაერთი ღონისძიების მიუხედავად, ომმა ძლიერ შეზღუდა საბჭოთა ხალხის მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, გააუარესა მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

როგორც აღინიშნა, 1945 წელს 1940 წელთან შედარებით საქართველოს მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 20 პროცენტით შემცირდა[1], საგრძნობლად იკლო მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობამ[2], დაეცა მათი შრომის ნაყოფიერება[3]. ყოველივე ამის შედეგად შემცირდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება, ეროვნული შემოსავალი, აგრეთვე მისი იმ ნაწილის აბსოლუტური და შეფარდებითი მოცულობა, რომელიც მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობას ხმარდებოდა.

დიდი სამამულო ომის წლებში გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა ნომინალური ხელფასი და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი. მაგრამ ფულის ემისიამ (ფულის იმაზე მეტი რაოდენობით გამოშვებამ, რაც სასაქონლო მიმოქცევას სჭირდება), სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გამოშვებამ, სახალხო მოხმარების საქონლის ერთგვარმა გაძვირებამ, სასურსათო საქონელზე კომერციული (გადიდებული) ფასების დაწესებამ, საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების აწევამ, აგრეთვე გერმანელ დამპყრობთა მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებში ყალბი საბჭოთა ფულის გამოშვებამ დასცა მანეთის მყიდველობითუნარიანობა[4], რამაც გამოიწვია მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლეხობის შემოსავლის შემცირება. ამას ადასტურებს საქართველოს შემნახველ სალაროებში მოსახლეობის ფულადი ანაბრების შესახებ არსებული ცნობებიც. 1945 წელს ანაბრების რაოდენობა 62,9 ათასი იყო 1940 წლის 284,3 ათასის ნაცვლად. მაგრამ ანაბრების საერთო თანხა უმნიშვნელოდ შემცირდა (500 ათასი მანეთით ფულის ახლანდელი მასშტაბით)[5].

სამამულო ომის წლებში მრეწველობის გარდაქმნამ სამხედრო ყაიდაზე განაპირობა მრეწველობის ცალმხრივი განვითარება, მასობრივი მოხმარების საგანთა წარმოების შემცირება. 1945 წელს ჩვენმა რესპუბლიკამ მსუბუქი და კვების მრეწველობის 20 უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციიდან (ნატურალური გამოხატულებით) 1940 წლის დონეს მხოლოდ 4 სახეობაში გადაამეტა (ჩითის ქსოვილების, ხორცის, კარაქისა და კონსერვების წარმოება), დანარჩენ სახეობათა წარმოება კი შემცირდა[6]. ამასთან მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის დიდი ნაწილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების საჭიროებას ხმარდებოდა.

ომის წლებში საქართველო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის გეგმებს, მაგრამ 1945 წელს მემცენარეობის 15 სახეობის პროდუქციიდან დამზადება-შესყიდვის მხრივ მხოლოდ 4 სახეობაში (მარცვლეული კულტურები, შაქრის ჭარხალი, ტუნგი და სოია) გადაამეტა 1940 წლის დონეს, ხოლო მეცხოველეობის 8 სახეობის პროდუქციიდან – 4 სახეობაში (პირუტყვი და ფრინველი, რძე და რძის ნაწარმი, კვერცხი და ტყავის ნედლეული)[7]. ამ პროდუქტების დიდი ნაწილი ასევე არმიისა და ფლოტის საჭიროებას ხმარდებოდა, რის გამოც მკვეთრად გაუარესდა სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობდნენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ცნობილია, რომ ყოველი ხანგრძლივი ომის თანამგზავრია სხვადასხვა ეპიდემია, რომლებიც ხშირად უფრო მეტ მსხვერპლს იწირავენ, ვიდრე ბრძოლის ველი. სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა, მათ შორის საქართველომაც, ვერ აიცდინა ინფექციური დაავადებანი, მაგრამ გადამწყვეტ ღონისძიებათა მეოხებით მათ ფართო ხასიათი არ მიუღიათ.

ომის წლებში საავადმყოფოების რაოდენობა საქართველოში სულ უმნიშვნელოდ 7 ერთეულით შემცირდა. მაგრამ საწოლების რაოდენობა გადიდდა 3186-ით[8]. გაიზარდა სამედიცინო კადრების (ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის)[9] და იმ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი, რომლებიც რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდნენ[10]. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასა და ფიზიკურ კულტურაზე გაწეული ხარჯები 1940 წლის 18,4 მილიონი მანეთიდან 1945 წელს 28,8 მილიონ მანეთამდე გაიზარდა[11]. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაფართოვდა ამბულატორიებისა და პოლიკლინიკების ქსელი. რამდენიმე ასეული ათასი კაცის ფრონტზე წასვლასა და საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით შესამჩნევად გადიდდა ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა 10 ათას მოსახლეზე.

შეიქმნა ახალი სამკურნალო პრეპარატები, და მაინც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში დიდი სიძნელეები და ნაკლოვანებანი იყო. საავადმყოფოებში არ კმაროდა მედიკამენტები და მასალა, თეთრეული, რბილი

და მაგარი ინვენტარი, საპონი, საწვავი. ზოგჯერ ფერხდებოდა საავადმყოფოთა სურსათით მომარაგებაც.

სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებების მუშაობას ართულებდა არა მარტო ინფექციური დაავადებები (ტიფი, კუჭ-ნაწლავის დაავადებანი და სხვ.), არამედ სამამულო ომის ინვალიდთა სამედიცინო მომსახურებაც.

ომმა მაქსიმალურად შეამცირა არა მარტო საბინაო მშენებლობა, არამედ არსებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისა და მოსახლეობის კომუნალური საჭიროებებისათვის გამიზნული სახელმწიფო ხარჯები. 1941 წლის ივლისიდან 1946 წლის იანვრამდე, ესე იგი ოთხ წელიწადნახევარში, საქართველოში სახელმწიფო საწარმოო-დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 207 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ნაცვლად მესამე ხუთწლედის სამ წელიწადნახევრის მანძილზე (1938 წ. – 1941 წლის პირველი ნახევარი) აშენებული 496 ათასი კვადრატული მეტრისა[12].

საკმარისი არ იყო საწვავი, რის გამო ფერხდებოდა კომუნალური, წყალსადენის, აბანოების, სამრეცხაოებისა და საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა, ზოგჯერ მოსახლეობა ელექტროენერგიის ნაკლებობასაც განიცდიდა. მართალია, ომის დროს ერთგვარი მუშაობა მიმდინარეობდა ქალაქებისა და მუშათა დასახლების კეთილმოსაწყობად, მაგრამ საამისოდ გამოყოფილი სახსრები მეტად მცირე იყო.

1945 წელს საქართველოს კომუნალური და საბინაო მეურნეობისათვის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ასიგნებული იყო 8 მილიონი მანეთი (ფულის ახლანდელი მასშტაბით) ნაცვლად 1940 წლის 11 მილიონი მანეთისა[13].

ასეთი იყო ომის შედეგები საქართველოს მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობაზე.

---

[1] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 36.

[2] მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1940 წლის 454 ათასიდან 1945 წელს 431 ათასამდე შემცირდა (იქვე, გვ. 27). კიდევ უფრო მეტად შემცირდა კოლმეურნეთა რაოდენობა.

[3] 1945 წელს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 17,9 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს (გამოთვლილია პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 11 მიხედვით).

[4] **Н. Вознесенский.** Военная экономика СССР в период Отечественной вой ны. М., 1948, стр. 138.

[5] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, სტატისტ. წელიწდეული, თბილისი, 1962, გვ. 36 – 37.

[6] Народное хозяйство Грузинской ССР, სტატისტ. კრ., 1957, გვ. 43.

[7] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, სტატისტ. წელიწდეული, გვ. 200, 293.

[8] 1940 წელს საქართველოში იყო 314 საავადმყოფო (ჰოსპიტლებს გარდა), ხოლო 1945 წელს – 307. საწოლების რაოდენობა შესაბამისად იყო 13272 და 16458 (იხ. «Народное хозяйство Грузинской ССР, სტატისტ. კრ., 1957, გვ. 213.

[9] ექიმების რაოდენობა 4736-დან 5025-მდე გაიზარდა, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალისა 9 432-დან 9 651-მდე (იხ. Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, სტატისტ. კრ., წელიწდეული, გვ. 505.

[10] 1940 წლის 33,4 ათასიდან 35,9 ათასამდე 1945 წელს (იხ. «Народное хозяйство Грузинской ССР, სტატისტ. კრ., 1957, გვ. 161).

[11] Народное хозяйство Грузинской ССР, в 1961 году, სტატისტ. წელიწდეული, გვ. 34 – 35.

[12] Народное хозяйство Грузинской ССР, სტატისტ. კრ., 1957, გვ. 150.

[13] Народное хозяйство Грузинской ССР, სტატისტ. კრ., 1957, გვ. 183.

§ 2. მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავლის ზრდა

ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის უმაღლესი მიზანია საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება. ამას მოწმობს ომის შემდგომი ორი ხუთწლედის სოციალისტური დაგროვების განაწილებაც. სსრ კავშირის მრეწველობის აღდგენა-განვითარებას მოხმარდა (1955 წლის 1 ივლისის ფასებით) 861 მილიარდი მანეთი, სოფლის მეურნეობას – 321 მილიარდი მანეთი, ხოლო სახალხო განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, სამედიცინო მომსახურებასა და საპენსიო უზრუნველყოფას – ერთი ტრილიონ 184 მილიარდი მანეთი[1].

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1940 წელს სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე დაიხარჯა (ფულის ახლანდელი მასშტაბით) 32,3 მილიონი მანეთი, ანუ მთელი გასავლის 25,9 პროცენტი, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე – 79,4 მილიონი მანეთი, ანუ მთელი გასავლის 63,7 პროცენტი. 1953 წელს სახალხო მეურნეობისათვის გათვალისწინებული იყო 74,3 მილიონი მანეთი, ანუ ბიუჯეტის მთელი გასავლის 28,0 პროცენტი, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის – 109,2 მილიონი მანეთი, ანუ რესპუბლიკის ბიუჯეტის მთელი გასავლის – 63,7 პროცენტი[2].

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწფიოს ზრუნვას ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობისათვის მოწმობს ფულის რეფორმა და საბარათო სისტემის გაუქმება (1947 წლის დეკემბერი), მასობრივი მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირება (1948 – 1952 წლებში). განუწყვეტლივ იზრდებოდა მშრომელთა რეალური შემოსავალი, მატულობდა სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები, სისტემატურად უმჯობესდებოდა მოსახლეობის სავაჭრო, კომუნალური და სამედიცინო

მომსახურება, მკვეთრად გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და ამაღლდა მისი ხარისხი.

ომის შემდგომ წლებში საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საერთო აღმავლობამ უზრუნველყო ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოანი ზრდა. 1953 წელს სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი, რომლის სამი მეოთხედი მოსახლეობის პირად მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება, 1940 წელთან შედარებით 224 პროცენტით გადიდდა[3].

მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოსამატებლად. 1946 წლის 6 მარტს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება მეცნიერ მუშაკთა ხელფასის განაკვეთის გადიდებისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მქონე მეცნიერი მუშაკებისათვის 1946 წლის 1 აპრილიდან დაწესდა გადიდებული თანამდებობრივი ხელფასი. ეს დადგენილება ითვალისწინებდა მეცნიერთა სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების ნორმების გადიდებას, მათთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, მსუბუქი ავტომანქანების მიყიდვას[4].

1946 წლის 16 სექტემბრიდან გაძვირდა კვების პროდუქტების საულუფო ფასები. საბჭოთა სახელმწიფომ ამ ღონისძიებას მიმართა ქვეყნის რიგ ოლქებში 1946 წელს გვალვიანობისა და მოუსავლიანობის გამო. იმ მუშა-მოსამსახურეებს, პენსიონერებსა და სტიპენდიანტებს, რომელთა განაკვეთი თვეში 900 მანეთს არ აღემატებოდა, დანაკარგის ასანაზღაურებლად სახელმწიფომ დაუნიშნა ყოველთვიური დანამატი 60 მანეთიდან 110 მანეთამდე. ამ თანხამ წელიწადში დაახლოებით 48 მილიარდი მანეთი შეადგინა.

1947 წლის 10 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო სამი დადგენილება: 1) ”მუშახელით ქვანახშირის მრეწველობის უზრუნველყოფის შესახებ”[5]; 2) ”ქვანახშირის მრეწველობისა და ქვანახშირის შახტების მშენებლობის მიწისქვეშა მუშების, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის უპირატესობისა და შეღავათების შესახებ”[6] და 3) ”ქვანახშირის მრეწველობისა და შახტების მშენებლობის ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და მათი ტანსაცმლის ფორმისა და განმასხვავებელი ნიშნების შესახებ”[7].

დადგენილებამ ქვანახშირის მრეწველობისა და ქვანახშირის შახტების მშენებლობის მიწისქვეშა მუშების, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის უპირატესობისა და შეღავათების შესახებ ღონისძიებათა მთელი სისტემა დასახა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წასახალისებლად. გადიდდა შრომისუნარის დროებით დაკარგვის შემთხვევაში დახმარებისა და საპენსიო უზრუნველყოფის ოდენობა, იმ ზღვრული ხელფასის ოდენობა,

რომლისგანაც იანგარიშებოდა ინვალიდობის პენსია და პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო. 50 წლის ასაკის მიწისქვეშა მუშებს, სამთო ოსტატებს, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებსაც პერსონალური წოდება და შახტების მშენებლობაში მუშაობის 20 წლის სტაჟი მაინც ჰქონდათ, ენიშნებოდათ პენსია იმ განაკვეთის (სატარიფო განაკვეთის) 50 პროცენტის ოდენობით, რომელსაც მოხუცებულობის პენსიის განსაზღვრის მომენტში იღებდნენ. პენსიონერები, რომლებიც განაგრძობდნენ მუშაობას ქვანახშირის მრეწველობასა და შახტების მშენებლობაზე, მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიას ინარჩუნებდნენ, ხელფასის ოდენობის მიუხედავად. ქვანახშირის მრეწველობისა და შახტების მშენებლობის მუშაკებს ყოველწლიურად ეძლეოდათ ერთდროული ანაზღაურება ნამსახურობისათვის წლიური სატარიფო განაკვეთის 10-დან 30 პროცენტამდე. დაწესდა ”საპატიო მეშახტის” წოდება, ”საპატიო მეშახტის” წოდება ენიჭებოდა მუშებს, ბრიგადირებსა და სამთო ოსტატებს, რომლებმაც სულ ცოტა 10 წელი იმუშავეს მიწისქვეშა სამუშაოებზე ქვანახშირის მრეწველობაში და შახტების მშენებლობაზე. ქვანახშირის მრეწველობისა და შახტების მშენებლობის მუშაკთათვის სხვა შეღავათებიც დაწესდა[8].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებით ხელფასი და პენსია გაუდიდდათ დაწყებითი, შვიდწლიანი (საქართველოში - რვაწლიანი) და საშუალო სკოლის მასწავლებლებს[9].

გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფა. 1953 წელს მათ დახმარებისა და პენსიის სახით მიიღეს 147 მილიონი მანეთი[10].

1948 – 1955 წლებში საცალო ფასების დაკლების შედეგად სსრ კავშირის მოსახლეობამ დაახლოებით 450 მილიარდი მანეთი მოიგო.

1955 წელს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ომამდელ დონესთან შედარებით 75 პროცენტით გაიზარდა, აქედან მრეწველობის მუშაკთა ხელფასი – 90 პროცენტით[11], დაახლოებით ასევე გადიდდა გლეხობის ფულადი და ნატურალური შემოსავალი.

მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი, რომლებიც მეტყველებენ საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე. ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი საქართველოს მთელ მრეწველობაში 1946 წელს 1940 წლის დონესთან შედარებით 2215 მანეთით მეტი იყო, ხოლო 1947 წელს – 3531 მანეთით მეტი[12]. მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში მუშათა ხელფასი უფრო მეტად იზრდებოდა, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში. მაგალითად, მანგანუმის მრეწველობაში ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი 1946 წელს 1940 წელთან შედარებით 3 766 მანეთით გაიზარდა, 1947 წელს – 6401 მანეთით, შავ მეტალურგიაში – შესაბამისად 4 451 მანეთითი და 5143 მანეთით, სათბობ მომპოვებელ მრეწველობაში (უმთავრესად ქვანახშირის მრეწველობაში) 2 677 მანეთით და 4 893 მანეთით, საფეიქრო მრეწველობაში – 3003 და 4 651

მანეთით, ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობაში – 2 789 და 4 115 მანეთით[13]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მანეთის მყიდველობითი უნარი 1947 წელს გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1948 წელს საქართველოს მრეწველობის მუშათა რეალურმა შემოსავალმა ომამდელ დონეს მიაღწია და გადააჭარბა კიდეც. 1948 წელს მრეწველობის ნოვატორები თვეში იღებდნენ 3 – 5 ათას მანეთს. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის საწარმოთა კვალიფიციური მუშები 3 – 4 ათას მანეთს[14], ხოლო ბევრი ნოვატორი – 8 ათას მანეთზე მეტსაც[15]. ასეთივე მაღალი ხელფასი ჰქონდათ ჭიათურის მანგანუმის მაღაროებისა და შავი მეტალურგიის საწარმოების მუშებს. საშუალო წლიური ხელფასის მიხედვით 1947 წელს პირველ ადგილზე იყო სათბობმომპოვებელი მრეწველობა, მეორე ადგილი ეკავა მანგანუმის მრეწველობას[16].

1948 წელს კოლმეურნე ი. გუჯაბიძის ოჯახმა (მახარაძის რაიონის სოფ. ნატანები) 1 700 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო 7 427 კილოგრამი მარცვლეული და 51 ათასი მანეთი ფულად. ი. გუჯაბიძის ოჯახის შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთიდან 7 730 მანეთს შეადგენდა[17].

ამავე კოლმეურნეობის წევრის ლუდმილა ხურციძის ოჯახმა 1 638 შრომადღე გამოიმუშავა და 7 311 კილოგრამი მარცვლეული და 59 588 მანეთი მიიღო. მისი საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი 12 200 მანეთს შეადგენდა[18].

კოლმეურნე ა. ჩუხრუკიძის ოჯახმა (გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა ”გამარჯვება”) 1953 წელს 1 100 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო 8 250 კილოგრამი მარცვლეული, 1 100 კილოგრამი ბოსტნეული, 250 კილოგრამი შაქარი და 16,5 ათასი მანეთი ფულად[19].

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეების გ. ჯინჭარაძისა და ა. შაქარიშვილის ოჯახებმა 1953 წელს შრომადღეებზე მარტო ფულად დაახლოებით 43 ათასი მანეთი მიიღეს[20].

აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა 1953 წელს შრომადღეზე 26 – 30 მანეთი გასცეს[21].

განუხრელად მატულობდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ის დახმარება-შეღავათები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საწარმოთა სახსრების ხარჯზე იღებდა. 1940 წელს ეს თანხა შეადგენდა 42 მილაირდ მანეთს, 1950 წელს – 122 მილიარდ მანეთს, 1953 წელს – 135 მილიარდ მანეთს[22], ხოლო მეხუთე ხუთწლედში – 689 მილიარდ მანეთს.

საქართველოს სსრ საბიუჯეტო ხარჯები მარტო მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის 1940 წლის 6,7 მილიონი მანეთიდან (ფულის ახლანდელი მასშტაბით) 1953 წელს 17,1 მილიონ მანეთამდე, ანუ ბიუჯეტის საერთო ხარჯების 5,4 პროცენტიდან 6,4 პროცენტამდე გაიზარდა[23].

ომის შემდგომ წლებში გადიდდა ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი მაჩვენებელია შემნახველ სალაროებში მოსახლეობის ანაბრების ზრდა. 1953 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში 1940 წელთან შედარებით გადიდდა შემნახველი სალაროების (17 ერთეულით) და მეანაბრეთა რაოდენობა (128,8 ათასით), ანაბრების თანხა (52,5 მილიონი მანეთით ფულის ახლანდელი მასშტაბით) და ანაბრების საშუალო ოდენობა (112,7 მანეთით)[24].

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა დაღუპულ მეომართა და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახების შრომითს მოწყობას და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფას. 1946 წლის იანვარში საქართველოს სს რესპუბლიკაში აღრიცხული იყო სამხედრო მოსამსახურეთა და დაღუპულ მეომართა 417 848 ბავშვი[25].

დაღუპულ მეომართა და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებს პირველ რიგში უზრუნველყოფდნენ ბინებით, მათ უფასოდ ეძლეოდათ სამრეწველო საქონელი, სურსათი, სათბობი, სამშენებლო მასალა, პირუტყვის საკვები; ბავშვების უმრავლესობა განთავისუფლებული იყო სწავლის გადასახადისაგან (ზოგიერთ საშუალო სკოლის მოსწავლეს სტიპენდიასაც კი უნიშნავდნენ) და საბავშვო ბაგებსა და ბაღებში დაწესებული გადასახადისაგან, დანარჩენებს კი ეძლეოდათ შეღავათები;

ომით დაზარალებული მთელი რიგი ოჯახები განთავისუფლებული იყო ბინის ქირის, სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების, კომუნალური მომსახურების საზღაურისა და სხვა გადასახადებისაგან.

ბავშვებს უფასოდ გზავნიდნენ საბავშვო სანატორიუმებში. დასასვენებელ სახლებსა და საზაფხულო გამაჯანსაღებელ ბანაკებში და მოედნებზე.

სამამულო ომში დაღუპული მებრძოლების ბავშვებს პატრონობდნენ, შვილად იყვანდნენ, აწყობდნენ საბავშვო სახლებში, სამუშაოზე, სპეციალობის დასაუფლებლად გზავნიდნენ სახელოსნო და სხვა სპეციალურ სასწავლებელში.

დაღუპულ მეომართა და ომის ინვალიდთა ოჯახებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები ეხმარებოდნენ საბინაო მშენებლობაში (აძლევდნენ სახელმწიფო კრედიტს სახლის მშენებლობისათვის და ერთდროულ ფულად დახმარებას ბინების შესაკეთებლად), საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში; მათ მნიშვნელოვან დახმარებს უწევდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროები.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები პერიოდულად ისმენდნენ ცალკეული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების

ხელმძღანელთა ანგარიშებს სამამულო ომში დაღუპულთა და ომის ინვალიდთა ოჯახების დასახმარებლად და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული მუშაობის შესახებ და სახავდნენ მისი გაძლიერების ღონისძიებებს.

1952 –1958 წლებში გაიზარდა მშრომელთა რეალური შემოსავალი, რაც განაპირობა სახალხო მოხმარების საგნებზე ფასების შემცირებამ და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სრულიად საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს 1958 წლის 1 აპრილის, 27 მაიისა და 3 ნოემბრის დადგენილებით 7 და 6-საათიან სამუშაო დღეზე გადავიდნენ მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშა-მოსამსახურენი ხელფასის ოდენობის შენარჩუნებით[26].

კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1956 წლის 6 მარტს მიიღეს სპეციალური დადგენილება კოლმეურნეებისათვის ყოველთვიური ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობაში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ. დაწესდა, რომ საერთო კრების დადგენილებით წლის განმავლობაში კოლმეურნობებს შეუძლიათ მისცენ თავიანთ წევრებს თვეში ავანსად შრომადღეების ფულადი შემოსავლის არანაკლებ 25 პროცენტისა და იმ ფულადი სახსრების 50 პროცენტი, რომელსაც იღებენ ავანსის სახით კონტრაქტაციიდან, გაყიდვიდან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებიდან.

ომის შემდგომ პერიოდში სსრ კავშირში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი მოსახლეობის გადასახადების შემცირების მიზნით. 1953 წელს შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, შემდეგში – საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა რაოდენობაც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 ივნისის დადგენილებით მთელ ქვეყანაში საყოველთაო საშუალო და უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად 1956 წლის 1 სექტემბრიდან გაუქმდა გადასახადი ”სწავლის ფული”, რომელიც არსებობდა საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში[27]. ამ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადები. ამასთან 1958 წლიდან შეწყდა სახელმწიფო სესხის გავრცელება მოსახლეობაში, გაუქმდა კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1956 წლის 14 ივნისის კანონს სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომელმაც მოაწესრიგა მოხუცებულ და შრომისუნარდაკარგულ მუშა-მოსამსახურეთა, თადარიგში გადაყვანილ, ინვალიდ სამხედრო პირთა და მარჩენალის დაღუპულ ოჯახთა

სახელმწიფო უზრუნველყოფის ფრიად საყურადღებო საქმე[28]. საქართველოში 1953 წელს პენსიას იღებდა 263 087 კაცი, 1958 წელს – 308 800.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო შეუნელებლად ზრუნავდნენ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე. 1952 წელს სახელმწიფო დახმარებას იღებდა 32 928, 1958 წელს – 73 ათასი მრავალშვილიანი დედა[29].

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 1956 წლის 8 სექტემბერს მიიღეს დადგენილება მცირეხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის მომატების შესახებ. ამ დადგენილებით გადიდდა დაბალხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და დაუბეგრავი შემოსავლის ოდენობა.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის ერთ-ერთი მაჩვნებელია აგრეთვე შემნახველი სალაროების მეანაბრეთა რიცხვისა და საანაბრო თანხის ზრდა. საქართველოში თუ 1950 წელს 224 500 მეანაბრე იყო, 1958 წელს მეანაბრეთა რაოდენობა ავიდა 682 ათასამდე. ანაბართა საერთო თანხა კი შეადგენდა 1950 წელს 27,8 მლნ მან., ხოლო 1958 წელს 157,2 მლნ მანეთს, ე. ი. 5.8-ჯერ მეტს, ვიდრე 1950 წელს.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რესპუბლიკას სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობის ომის შემდგომი გეგმების ყველა დავალება რომ შეესრულებინა, რომ უფრო ეფექტიანად ყოფილიყო გამოყენებული ყველა რეზერვი და ადგილი არ ჰქონოდა ნეგატიურ მოვლენებს საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე იმითაც გამოიხატა, რომ ომის შემდგომ წლებში გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო, კომუნალურ-საბინაო და სამედიცინო მომსახურება.

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 აპრილის დადგენილებიდან «О государственных займах, размещенных по подписке среди трудящихся Советского Союза», «Правда», 20 апреля 1957 г.

[2] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 34 - 35.

[3] Народное хозяйство СССР, М., 1956, стр. 36.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 373, ფურც. 1 – 9.

[5] იქვე, აღწ. 4, საქ. 408, ფურც. 50 – 56.

[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 408, ფურც. 77 – 78.

[7] იქვე, ფურც. 80 – 81, უკ. მხარე.

[8] იქვე, 77 – 78.

[9] იქვე, აღწ. 1948 წლისა, საქ. 29, ფურც. 17.

[10] საქართველოს პროფსაბჭოს მასალიდან.
[11] Народное хозяйство СССР, 1956, стр. 37.
[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 9, საქ. 22, ფურც. 578.
[13] იქვე, ფურც. 276 – 277.
[14] საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) XIV ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 148.
[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 9, საქ. 22, ფურც. 276 – 277.
[16] იქვე, ფ. 17, აღწ. 49, შეს. ერთ. 529, ფურც. 132, უკ. მხარე.
[17] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 49, შეს. ერთ. 529, ფურც. 132, უკ. მხარე.
[18] იქვე.
[19] იქვე, აღწ.54, საქ. 220, ფურც. 40.
[20] იქვე, ფურც. 268.
[21] იქვე.
[22] Народное хозяйство СССР, სტატისტ. კრ., 1956, გვ. 38.
[23] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, სტატისტ. წელიწდეული, გვ. 34 – 35.
[24] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, გვ. 184 მიხედვით.
[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 171, ფურც. 6.
[26] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა (1921 – 1961 წწ.), გვ. 574.
[27] «Правда», 10 и 15 июня 1956 г.
[28] «Правда»,15 января 1956 г.
[29] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 526.

§ 3. საბჭოთა ვაჭრობის განვითარება და სახალხო მოხმარების ზრდა

მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდებას შედეგად მოჰყვა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაფართოება, სახალხო მოხმარების ზრდა.

ვაჭრობას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალისტურ ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტერესებს. თუ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარებაზე დამოკიდებულია ვაჭრობის ზრდა, თავის მხრივ, ვაჭრობის განვითარებაზე დამოკიდებულია მატერიალური წარმოების დარგების შემდგომი აღმავლობა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ვაჭრობა ქალაქისა და სოფლის ეკონომიკური კავშირის ფორმაა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, სოციალისტური წარმოებისა და სახალხო მოხმარების დამაკავშირებელი რგოლია. საქონლის შენახვის, საბოლოო დამუშავების, გადაზიდვისა და შეფუთვის ოპერაციებში დასაქმებული ვაჭრობის მუშაკები უშუალოდ მონაწილეობდნენ მატერიალური დოვლათის შექმნაში, რადგან ეს ოპერაციები აგვირგვინებენ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების პროცესს მიმოქცევის სფეროში.

ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ არაერთი ღონისძიება განახორციელეს, რათა განევითარებინათ

ყველა ფორმის საბჭოთა საცალო ვაჭრობა (სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო) და საზოგადოებრივი კვება.

1946 – 1947 წლებში საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის დადგენილების განსახორციელებლად კოოპერაციული ვაჭრობის გაშლისა და კოოპერაციული საწარმოების მიერ სურსათისა და მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებები არსებული და ახალი სავაჭრო (მაღაზიები, სავაჭრო წერტები, სასადილოები, ბუფეტები, შემსყიდველი პუნქტები) და კოოპერაციული საწარმოების გაფართოებისათვის[1]. 1947 წელს საქართველოს კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გახსნეს 750 სავაჭრო წერტი, აქედან 223 მაღაზია და 254 საზოგადოებრივი კვების საწარმო, მოაწყვეს სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის 83 ახალი არტელი[2].

სახალხო-სამეურნეო გეგმის მიხედვით 1947 წელს რესპუბლიკის საქონელბრუნვას უნდა შეედგინა 5 650 მილიონი მანეთი, სინამდვილეში კი მან მიაღწია 6074,7 მილიონ მანეთს, ე. ი. საქონელბრუნვის გეგმა 107,5 პროცენტით შესრულდა, აქედან საცალო ვაჭრობისა – 105 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი კვებისა – 118,2 პროცენტით[3]. 1947 წელს გაიხსნა საცალო ვაჭრობის 976 და საზოგადოებრივი კვების 212 საწარმო[4]. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 3 დეკემბრისა და 1947 წლის 26 მაისის დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და ზოგიერთ რაიონულ ცენტრში მოეწყო სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისო მაღაზიები[5].

1948 წელს აღდგენილ და გადაჭარბებულ იქნა სავაჭრო ქსელის ომამდელი დონე. წლის დამლევისათვის საქართველოში იყო 11 500 მაღაზია, ფარდული, რესტორანი, სასადილო და სასაუზმე, ე. ი. 1 748 ერთეულით მეტი, ვიდრე 1940 წელს.[6]

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სავაჭრო-კოოპერაციული ორგანიზაციების კადრებით განსამტკიცებლად. 1947 წელს სავაჭრო სისტემიდან მოხსნეს და გაათავისუფლეს დაახლოებით 4 ათასი კაცი. ამ დაუდევარ მუშაკთა ნაცვლად სავაჭრო ქსელში გაიგზავნა 4 025 კაცი, მათ შორის დაახლოებით 900 კომუნისტი, რომელთაგან 98 ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებიდან მოვიდა[7].

1947 წელს საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს უბარათო ვაჭრობაზე გადასასვლელად. შეკეთდა სავაჭრო დაწესებულებათა შენობები, მოწესრიგდა საქონლის აღრიცხვა, ძირეულ სავაჭრო ორგანიზაციებს დროულად დაეგზავნა ახალი საპრეისკურანტო ფასები, ასევე დროულად ჩატარდა საქონლის გადაფასება[8].

1948 წლის დამდეგს პარტიული კომიტეტების პლენუმებმა განიხილეს საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. 1950 წლის აპრილსა და მაისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებმა დასახეს საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაფართოებისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობას სისტემატურად ამოწმებდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, კონკრეტულ ზომებს იღებდნენ გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მოვიყვანთ ზოგიერთ ციფრობრივ მონაცემს ომის შემდგომ პერიოდში ვაჭრობის განვითარების შესახებ.

გაფართოვდა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი. 1953 წელს საქართველოში იყო საცალო ვაჭრობის 8 230 ობიექტი (ნაცვლად 1940 წლის
7.642-სა და 1945 წლის 4 824 ობიექტისა) და 2 333 საზოგადოებრივი კვების დაწესებულება (ნაცვლად 1940 წლის 1 812-სა და 1945 წლის 1 364 ობიექტისა)[9].

გაიზარდა ვაჭრობის მუშაკთა რაოდენობა. 1955 წელს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოებში 63 ათასი მუშა-მოსამსახურე მუშაობდა ნაცვლად 1940 წლის 55 ათასისა[10].

გადიდდა საცალო საქონელბრუნვა. 1953 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით, ფულის ახალი მასშტაბით 724,7 მილიონი მანეთი შეადგინა (ნაცვლად 1940 წლის 332,5 მილიონი მანეთისა და 1945 წლის 281,3 მილიონი მანეთისა)[11]. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობა 1953 წელს 1940 წელთან შედარებით 55 პროცენტით გადიდდა[12]. საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის დაახლოებით 71 პროცენტი სახელმწიფო ვაჭრობის წილად მოდიოდა, ხოლო 29 პროცენტი – კოოპერაციული ვაჭრობის წილად[13].

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება იმით გამოიხატა, რომ საცალო საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე 1940 წლის 93 მანეთიდან 1950 წელს 186 მანეთამდე გაიზარდა[14].

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურაში, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით, რამდენადმე შემცირდა სასურსათო საქონლის წილი და შესაბამისად გაიზარდა არასასურსათო საქონლის პროცენტი[15].

1953 წელს საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში საზოგადოებრივი კვების წილი 14 პროცენტს შეადგენდა, ე. ი. 1940 წელთან შედარებით 4 პროცენტით გაიზარდა[16]. საზოგადოებრივი კვების უპირატესმა განვითარებამ მრავალი ათასი ქალი გაათავისუფლა საოჯახო მეურნეობისაგან და ხელი

შეუწყო მათ ჩაბმას რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. მართალია, 1953 წელს საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში სასოფლო ვაჭრობის წილი (22 პროცენტი) ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს (29 პროცენტი). სოფელ ადგილებში შემცირდა საცალო ვაჭრობის დაწესებულებათა რაოდენობაც, მაგრამ ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში გაიზარდა ქალაქისა და შემცირდა (აბსოლუტურად და შეფარდებით) სოფლის მოსახლეობის რაოდენობა. 1939 წლის აღწერის მიხედვით 15 იანვრისათვის საქართველოში ცხოვრობდა 3 540 ათასი კაცი, ამათგან ქალაქად – 1 066,2 ათასი (30 პროცენტი) და სოფლად – 2 473,8 ათასი (70 პროცენტი), 1959 წლის 15 იანვრის აღწერის მიხედვით კი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა 4 044,0 ათას კაცს უდრიდა, აქედან ქალაქის მოსახლეობა იყო 1 712,9 ათასი (42 პროცენტი) და სოფლისა – 2 331,1 ათასი კაცი (58 პროცენტი)[17]. 1939 – 1959 წლებში სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წონა 12 პროცენტით შემცირდა, ხოლო სასოფლო ვაჭრობისა (იგი 1959 წელსაც 22 პროცენტი იყო) – 7 პროცენტით. მაშასადამე, საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე სოფლად უფრო გაიზარდა, ვიდრე ქალაქად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სოფლის მოსახლეობა საქონლის ნაწილს (უმთავრესად არასასურსათო საქონელს) ქალაქში ყიდულობდა.

ომის შემდგომ პერიოდში როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციულ ვაჭრობაში გაიზარდა (1940 წელთან შედარებით) ისეთი საქონლის გაყიდვა, როგორიცაა ძეხვეული, ერბო-კარაქი, ზეთი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ქსოვილები (ჩითი, შალი და აბრეშუმი), ტრიკოტაჟის ნაწარმი, წინდა, ტყავის ფეხსაცმელი, საოჯახო საპონი და სხვ. აგრეთვე ავეჯი, რადიომიმღებები, საათები. ფოტოაპარატები, საკერავი მანქანები. სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები, მაცივრები, ველოსიპედები, მოტოციკლეტები, მსუბუქი ავტომობილები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონელი[18]. საქონლის ასორტიმენტი უკვე აღარ იყოფა ”ქალაქისა” და ”სოფლის” საქონლად, რაც იმას მოწმობს, რომ ქალაქისა და სოფლის სამომხმარებლო მოთხოვნილებათა შორის ზღვარი იშლება[19].

როგორც გამოკითხვამ ცხადყო, 1953 წელს სამრეწველო მუშათა ოჯახის წევრები 1940 წელთან შედარებით უფრო მეტს ხმარობდნენ კარტოფილს (5 პროცენტით), ბოსტნეულს და ბაღჩეულს (69 პროცენტით), ახალ ხილს და კენკრას (131 პროცენტით), რძესა და რძის ნაწარმს (169 პროცენტით), ხორცსა და ცხიმს (88 პროცენტით), თევზსა და თევზის ნაწარმს (20 პროცენტით), კვერცხს (145 პროცენტით), ზეთს (7 პროცენტით), შაქარს (143 პროცენტით) და საკონდიტრო ნაწარმს (94 პროცენტით); მეტს იძენდნენ ჩითის ქსოვილს (93 პროცენტით), შალეულს (179 პროცენტით), აბრეშუმის ქსოვილს (97 პროცენტით) და ტყავის ფეხსაცმელს (30 პროცენტით)[20]. მნიშვნელოვნად

გაიზარდა კვების პროდუქტების მოხმარება და სამრეწველო საქონლის შეძენა კოლმეურნის ოჯახის ერთ წევრზე.

ომის შემდეგ შემცირდა საკოლმეურნეო ბაზრებზე მოსახლეობის ნავაჭრის წილი. მაგრამ საკოლმეურნეო ბაზარი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებაში (1954 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებდა 155 საკოლმეურნეო ბაზარი)[21]. 1950 – 1953 წლების მანძილზე თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრებში მემცენარეობის ძირითადი პროდუქტების (მარცვლეულის, ფქვილის, პარკოსნების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის) და კვერცხის გაყიდვა გაიზარდა, მაგრამ რამდენადმე შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაცია. სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში საქონელბრუნვის გაფართოებასა და საცალო ფასების დაკლებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებშიც დაეცა ფასები.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში არსებითი ნაკლოვანებებიც იყო. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, რესპუბლიკამ ვერ შეასრულა 1949 წლის საქონელბრუნვის გეგმა; სავაჭრო ქსელში საქონელი ნაწილდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილების სათანადოდ გაუთვალისწინებლად, რაც აფერხებდა საქონლის მოძრაობას, იგი ჩაწოლილი იყო როგორც მაღაზიებში, ისე გასაღების ბაზებსა და სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში; საზოგადოებრივი კვების მუშაკები არასაკმარისად იბრძოდნენ საკვების ასორტიმენტის გასაფართოებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად, ნაკლებად ზრუნავდნენ კვების საკითხის მეცნიერულ-ჰიგიენურ საფუძველზე მოგვარებისა და მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის. იყო შემთხვევები, როცა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში არღვევდნენ ფასებს, ატყუებდნენ ანგარიშში, ზომა-წონაში, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და დატაცების შემთხვევებს. ამ და სხვა ნაკლოვანებებს უმთავრესად იმიტომ ჰქონდა ადგილი, რომ პარტიული ორგანოები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ სავაჭრო-კოოპერაციული სისტემის კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკის, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.

როგორც სოციალისტური მშენებლობის წინა ეტაპებზე, ასევე 1952 – 1958 წლებში საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა უკავშირდებოდა საქონელბრუნვის გადიდებას სახელმწიფო, კოოპერაციულ და საკოლმეურნეო ვაჭრობის ხაზით. საქართველოში თუ როგორ იზრდებოდა

საცალო საქონელბრუნვა 1952 – 1958 წლებში, ამას გვიჩვნებს პირველი ცხრილი (მლნ მანეთი)[22]:

ცხრილი 1

წლები	საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა	სახელმწიფო ვაჭრობა	კოოპერაციული ვაჭრობა	საზოგადოებრივი კვება	საქალაქო ვაჭრობა	სასოფლო ვაჭრობა
1952	664,8	468,7	196,1	93,0	513,9	150,1
1953	724,7	514,5	210,2	99,7	566,7	158,0
1954	797,5	549,5	248,0	108,2	622,1	175,4
1955	822,7	563,4	259,3	120,0	638,9	183,8
1956	884,9	612,2	272,3	124,0	661,4	223,5
1957	997,7	690,6	307,1	133,8	774,6	223,1
1958	1077,7	743,3	334,4	140,7	808,2	269,5

1958 წელს 1952 წელთან შედარებით საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა გაიზარდა 1,6-ჯერ, სახელმწიფო ვაჭრობა – 1,5-ჯერ, ხოლო კოოპერაციული ვაჭრობა თითქმის – 1.8-ჯერ. ქალაქში ვაჭრობა გადიდდა 1,5-ჯერ, ხოლო სოფლად – 1,7-ჯერ, საზოგადოებრივი კვება კი 1,5-ჯერ.

1952 – 1958 წლებში სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) შეიცვალა შეფარდება სასურსათო საქონელსა და არასასურსათო საქონელს შორის (სასურსათო საქონლის ხვედრითი წონა 1958 წელს გადიდდა 50,5 პროცენტამდე, ხოლო არასასურსათო საქონლისა შემცირდა 49,5 პროცენტამდე)[23].

მაგრამ საქონელბრუნვის ასეთი ზრდის მიუხედავად, საქართველოში სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარება ჩამორჩებოდა სსრ კავშირის საერთო და მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მაჩვენებლებს.

მოძმე რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოში ვაჭრობის ჩამორჩენა ძირითადად აიხსნება იმით, რომ სავაჭრო ქსელი უმთავრესად თავმოყრილი იყო ქალაქებში, სამრეწველო და რაიონულ ცენტრებში, ხოლო მაღალმთიან რაიონებში ამ საქმეს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და მოსახლეობის კულტურული დონის ზრდაზე მეტყველების ის, რომ გაიზარდა მოთხოვნილება ქალაქად და სოფლად ისეთ საქონელზე, როგორიც არის რადიომიმღები და რადიოლა, ტელევიზორი, ავტომანქანა, ველოსიპედი, მოტოციკლი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი და სხვ. თუ როგორ იზრდებოდა ამ საქონლის მიწოდება მომხმარებლისადმი 1955 – 1958 წლებში, ამას გვიჩვენებს მე-2 ცხრილი (ათასი ცალი)[24]:

ცხრილი 2

	1955 წ.	1956 წ.	1957 წ.	1958 წ.
საკერავი მანქანა	19,3	21,8	26,4	27,4
	59,0	61,0	62,0	67,2
რადიომიმღები და	-	5,8	8,2	12,7
რადიოლა.....	9,5	12,0	6,0	10,4
ტელევიზორი	0,9	1,1	1,4	2,0
	8,3	14,0	16,0	15,7
ველოსიპედი და მოტოროლერი	1,7	4,2	4,7	7,3
მოტოციკლი და მოტოროლერი				
მაცივარი				
სარეცხი მანქანა				

მაგრამ 1955 წელთან შედარებით 1958 წელს შემცირდა ზოგიერთი სახის საქონლის მიწოდება მოსახლეობისადმი. სავაჭრო ქსელში გაიზარდა ისეთი უმნიშვნელოვანესი საქონლის ხვედრითი წონა, როგორიც არის ხორცი, ძეხვეული, კარაქი, შაქარი, ფქვილი, ბურღული, მაკარონის ნაწარმი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი და სხვ. მაგრამ 1958 წელს 1953 წელთან შედარებით შემცირდა თევზისა და ზოგიერთი სხვა საქონლის მიწოდება მომხმარებლისადმი[25].

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ის, რომ 10 000 მოსახლეზე საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საერთო რიცხვი 1955 წელს იყო 29, ხოლო 1958 წელს – 33. 1958 წელს საქართველოში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გაიყიდა 266 მანეთის საქონელი, ნაცვლად 93 მანეთისა 1940 წელს და 186 მანეთისა 1950 წელს. ეს ნიშნავს, რომ 1958 წელს 1940 წელთან

შედარებით საშუალოდ ერთმა მცხოვრებმა 120 პროცენტით მეტი საქონელი შეიძინა[26].

ეს მშრომელთა მყიდველობითი უნარის ზრდის, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების უდავო მაჩვენებელია.

სავაჭრო მომსახურების ერთგვარი წარმატების მიუხედავად, საზოგადოებრივი კვება 1952 – 1958 წლებში კვლავ დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი მცირე იყო. დიეტური სასადილები სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. ნაკლები ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მათ მომარაგებას საჭირო პროდუქტებით და მათი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. მცირე იყო სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების რაოდენობა. 1959 წლისათვის საქართველოს ქალაქების საშუალო და შვიდწლიან სკოლებში იყო მხოლოდ 24 სასადილო და 415 ბუფეტი, ხოლო სოფლის 1 830 შვიდწლიან და საშუალო სკოლაში – 142 ბუფეტი[27].

1952 – 1958 წლებში ცუდად იყო აგრეთვე დაყენებული საზოგადოებრივი კვებით მგზავრთა უზრუნველყოფა. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ ვერ უზრუნველყო წვრილად დაფასოებული რძის, მაწვნის, ყველის, ჯემისა და სხვა პროდუქტების საკმაო რაოდენობით გამოშვება, რაც აძნელებდა მომხმარებელთა მომარაგებას. საზოგადოებრივი კვების ბევრი საწარმო საკმაოდ არ იყო აღჭურვილი მაცივრებით, ტექნოლოგიური მოწყობილობით, პროდუქტების შესანახი სათავსებით და ჭურჭლითაც კი.

1953 – 1958 წლებში სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობასთან ერთად გაიზარდა საკოლმეურნეო ვაჭრობა, რაც ჩანს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრებზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის მაგალითზე (ათასი ტონა) (იხ. ცხრილი 3)[28].

ცხრილი 3

	1953 წ.	1954წ.	1955 წ.	1956 წ.	1957 წ.	1958 წ.
მარცვლეული	6,5	7,9	13,1	14,5	16,8	17
ფქვილი	4,3	3,8	4,8	5,7	4,9	5,5
კარტოფილი.....	24,4	5,0	43,3	44,4	49,4	
.....	59,2	30,2	1,5			
ბოსტნეული და ბაღჩეული.....	3,8		10	10	10	
.....	3,9		9	10,9	8,4	
ხილი	1,2	7,0	3,3	46,9	48,9	51,2
.....	572					
ხორცი და ცხიმი	1,9					

.....	6,7	3,5	0,8	4,4	4,3	4,8
ფრინველი		4,	5,	2,0	1,9	1,9
.....		2	1	70	64	69
რძე (ათასი ლიტრი)		1,	1,	7	6	4
.....		4	7	2,6	2,6	3,5
ყველი		4	7	11,	10,	11,
.....		96	95	0	8	4
კვერცხი (მლნ ცალი)		2,	2,			
.....		2	4			
		1	1			
		0,1	0,0			

მაგრამ საკოლმეურნეო ვაჭრობასაც ახასიათებდა არსებითი ნაკლოვანებანი. იგი არ იყო ჯეროვნად ორგანიზებული და ტრანსპორტით უზრუნველყოფილი. საკოლმეურნეო ბაზრებზე გადახურული ფარდულების ნაკლებობა და კეთილმოუწყობლობა ხელს უშლიდა ნორმალურ ვაჭრობას. საკოლმეურნეო ბაზრებზე საქართველოში ფასები მაღალი იყო, საბჭოთა რუსეთის საკოლმეურნეო ბაზრებთან შედარებით.

1952 – 1958 წლებში საქართველოში ინერგებოდა სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმები (მყიდველთა თვითმომსახურება, ვაჭრობა დაფასოებული საქონლით, სავაჭრო ავტომატების შემოღება და სხვ.). 1959 წლის 1 იანვრისათვის პროგრესული ფორმებით ვაჭრობდა 141 მაღაზია და განყოფილება, რაც მთელი საცალო სავაჭრო ქსელის 6,5 პროცენტს შეადგენდა. ვაჭრობის პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვა ხელს უწყობდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას.

1952 – 1958 წლებში ჩვენს ქვეყანას შედარებით მეტი შესაძლებლობა მიეცა გაედიდებინა კაპიტალური დაბანდებანი მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1953 წლის 12 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 ოქტომბრის გადაწყეტილების შესაბამისად მიიღეს დადგენილება ”ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ”[29]. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1953 წელს 1940 წელთან შედარებით საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ფართო მომხარების სამრეწველო საქონლის წარმოება, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. ამიტომ დაისახა ღონისძიებანი ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებისა და, განსაკუთრებით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ფართო მომხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო, ხე-ტყის, ქაღალდის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები

უშვებდნენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხისა და არასაკმაო ასორტიმენტის პროდუქციას.

აღნიშნული დადგენილების შემდეგ საქართველოში 1955 წელთან შედარებით გაიზარდა მოხმარების საგნების წარმოება 1956 წელს – 4, 1957 წელს – 12, 1958 წელს – 19 პროცენტით[30]. მიუხედავად ამისა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში დაძლეული ვერ იქნა წუნი და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. მაგალითად, 1958 წლის ოქტომბრისათვის გორის ბამბეულის კომბინატის საწყობში დაგროვდა 12 მილიონ მანეთზე მეტად ღირებული დაბალი ხარისხის საქონელი[31].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1953 წლის 29 დეკემბერს მიიღეს დადგენილება ”სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ”. 1953 წლისათვის საქართველოში სასურსათო საქონლის წარმოება გაიზარდა 1950 წელთან შედარებით 35 პროცენტით, გაფართოვდა ასორტიმენტი, მაგრამ კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები კვლავ უშვებდნენ ისეთ პროდუქციას, რომელიც ხარისხის მიხედვით ვერ აკმაყოფილებდა საბჭოთა მომხმარებელს. დადგენილებით განისაზღვრა ხორცის, ძეხვისა და სხვა სახის ხორცპროდუქტების წარმოების, რძის, კარაქის, ყველის, მცენარეული ზეთის, ჩაის, ღვინის, პურის, საკონდიტრო ნაწარმის, ლუდის, ხილეულის, მინერალური წყლებისა და სხვა სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა[32].

ამ ღონისძიების განხორციელებას მოჰყვა საქართველოში კვების მრეწველობის პროდუქტთა წარმოების ზრდა, რაც ჩანს ცხრილიდან (ათასი ტონა) (იხ. ცხრილი 4)[33]:

ცხრილ

ი 4

წლები	შაქრის ფხვნილი	ხორცი	ცხოველის ცხიმი	თევზჭერა	მცენარეული ზეთი	საკონდიტ- რო ნაწარ- მი	კონსერვი მილიონი პირ. ქილა
19 53	1 1,5	2 1,4	1 ,3	5 ,8	4,7 5,2	16 ,4	6 1,7
19 54	1 8,0	2 3,6	1 ,2	5 ,0	5,0 4,9	16 ,0	7 7,2
19 55	1 4,5	2 9,3	1 ,5	3 ,2	5,9 5,5	17 ,0	7 1,2
19 56	1 9,5	2 4,3	1 ,5	5 ,3		18 ,9	8 7,1
19	1	3	1	5		17	9

57 19 58	2,0 2 2,3	0,0 2 7,0	,8 1 ,7	,9 5 ,4		,5 17 ,33	4,1 9 6,9

გაიზარდა აგრეთვე ჩაის, ყურძნის ღვინის, შამპანურის, მინერალური წყლების წარმოება (ათასი ტონა) (იხ. ცხრილი 5)[34].

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1956 წლის 10 თებერვალს მიიღო დადგენილება რძის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და რძით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების შესახებ. დადგენილებამ განსაზღვრა 1955 წელთან შედარებით 1956 და 1957 წლების განმავლობაში სსრ კავშირის ქალაქებში რძისა და რძის პროდუქტების მოხმარების ერთიორად გადიდება. 1956 წელს ძირითადად სახელმწიფო ვაჭრობას უნდა დაეკმაყოფილებინა ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება რძისა და რძის პროდუქტებზე[35]. საქართველოს ქალაქებში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, გაიხსნა ახალი სპეციალიზებული რძისა და რძის პროდუქტების მაღაზიები და პავილიონები.

ცხრილი 5

წლები	ბაიხაო ჩაი პირველადი დამუშავების	ღვინო მლნ დეკალიტრი	შამპანური მლნ ბოთლი	მინერალური წყლები მლნ ნახევარი ბოთლი
1953	25,9	4,8	3,9	43,5
1954	26,2	5,7	4,5	49,2
1955	28,7	5,4	5,1	60,3
1956	26,0	5,5	5,4	73,5
1957	26,7	5,6	6,1	81,9
1958	32,5	6,3	6,3	86,1

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის გამოიხატა საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაში.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 175, ფურც. 81.
[2] იქვე, საქ. 20, ფურც. 53.
[3] იქვე, აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 61.
[4] იქვე, ფურც. 61.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 474, ფურც. 142.
[6] იქვე, ფ. 17, აღწ. 49, შეს. ერთ. 527, ფურც. 22.
[7] ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 48, ფურც. 163.
[8] იქვე, საქ. 12, ფურც. 64.
[9] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г., стр. 441.
[10] იქვე, გვ. 398 – 399.
[11] იქვე, გვ. 419.
[12] იქვე, გვ. 423.
[13] გამოთვლილია სტატისტიკური წელიწდეულის «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», სტატისტ. კრ., 1961, გვ. 419 მიხედვით.
[14] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, стр. 424.
[15] საერთო საქონელბრუნვაში სასურსათო საქონლის წილი 1940 წელს შეადგენდა 55,9 პროცენტს, 1950 წელს – 50,5 პროცენტს, ხოლო 1954 წელს – 47,8 პროცენტს (იხ. Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, გვ. 430).
[16] Советская Грузия за 40 лет, 1961, стр. 188 – 189.
[17] Советская Грузия за 40 лет, 1961, стр. 191; Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, стр. 11.
[18] იხ. Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, стр. 426 - 427. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ მეხუთე ხუთწლედში (1951 – 1955 წლები)", გაზ. "კომუნისტი", N 144, 1956 წლის 22 ივნისი).
[19] Советская Грузия за 40 лет, стр. 191.
[20] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, стр. 454 - 455.
[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 54, შეს. ერთ. 220,, ფურც. 66.
[22] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, стр. 419.
[23] იქვე, გვ. 425.
[24] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 425.
[25] იქვე, გვ. 425, 430 – 431.
[26] იქვე, გვ. 424, 434 – 435, 449.
[27] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 435 - 449.
[28] იქვე, გვ. 450- 451.
[29] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 27, საქ. 249, ფურც. 66 – 95.
[30] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, стат. сб. Тб., 1963, стр. 52.
[31] ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", 1960, N 6, გვ. 33.
[32] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 27, საქ. 259, ფურც. 24 – 51.
[33] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, стр. 83.
[34] იქვე, გვ. 84.
[35] «Правда», 10 февраля 1956 г.

§ 4. მოსახლეობის საბინაო პირობებისა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება

მეოთხე ხუთწლედში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ქვეყნის ბიუჯეტის სახსრების დიდ ნაწილს ახმარდნენ მრეწველობისა და

ტრანსპორტის, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის, სწრაფად აღდგენა-განვითარებას.

მართალია, ომმა საქალაქო მეურნეობა მრეწველობასა, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაზე ნაკლებად არ დააზარალა, მაგრამ პარტია და სახელმწიფო არ ივიწყებდნენ ვ. ი. ლენინის მითითებას, თუ არა მძიმე მრეწეველობა, ჩვენი ქვეყანა დაიღუპება არა მარტო როგორც სოციალისტური სახელმწიფო, არამედ როგორც დამოუკიდებელი ცივილიზებული სახელმწიფო, - და დაუცხრომლად ზრუნავდნენ საერთოდ მრეწველობისა და მეტადრე მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებით განვითარებისათვის.

მეხუთე ხუთწლედში, როცა მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში მოპოვებულმა გადამწყვეტმა წარმატებებმა შექმნეს ხალხის კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობის პირობები, გადიდდა საბინაო და კომუნალური მეურნეობის კაპიტალური დაბანდებანი არა მარტო იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც ომმა უდიდესი ზარალი მიაყენა, არამედ დანარჩენ რესპუბლიკებშიც.

საქართველოს სსრ ბიუჯეტით კომუნალურ და საბინაო მეურნეობას 1940 წელს მოხმარდა 110 მილიონი მანეთი, 1948 წელს – 80 მილიონი, 1950 წელს – 192 მილიონი და 1954 წელს 176 მილიონი მანეთი[1].

საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობის დარგში მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა როგორც აბსოლუტურად (68,4 მილიონი მანეთით ფულის ახალი მასშტაბით)[2], ისე შეფარდებითაც (1,9 პროცენტით)[3].

საბინაო მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის მიუხედავად, 1946 – 1953 წლების მანძილზე საქართველოს ქალაქებსა და დაბებში სახელმწიფო და კოოპერატიულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე ქალაქის მოსახლეობამ თავისი სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა 2 930 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ამავე პერიოდში სოფლად კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს 58,2 ათასი სახლი[4].

მნიშვნელოვანი საბინაო მშენებლობა გაიშალა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, გორში, თელავში, ჭიათურაში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ფოთში, მახარაძეში, ზუგდიდსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. ტრამალზე, უცხოელ მომხდურთაგან იავარქმნილი ძველი ქალაქის რუსთავის ადგილას, აშენდა მეტალურგთა ახალი, სოციალისტური ქალაქი. დღეს რუსთავი საქართველოს ქიმიური მრეწველობის ცენტრიც გახდა.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ზრდა უმთავრესად მუშათა კლასის ხარჯზე ხდებოდა. ამიტომ ბინებით პირველ რიგში მუშების უზრუნველსაყოფად 1946 - 1952 წლებში სახელმწიფო საბინაო მშენებლობა უმთავრესად უწყებების ხაზით ხორციელდებოდა. ბიუჯეტის სახსრების 80 – 90 პროცენტი ეძლეოდა სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც მათ მიერ ან

მათთვის აშენებულ სახლებში თავიანთ მუშებს ასახლებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საბინაო ფონდის ზრდა რამდენადმე ჩამორჩებოდა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას.

ახალი სახლების მშენებლობასთან ერათდ დიდი ყურადღება ექცეოდა ძველი საცხოვრებელი სახლების შეკეთებას.

ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენისა და განვითარების საფუძველზე შესაძლებელი გახდა საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლა. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში უდიდესი ზარალი განიცადა საბინაო ფონდმა. ამავე დროს ახალი ქალაქებისა და სოფლების მშენებლობამ, სახალხო მეურნეობის შემდგომმა განვითარებამ გარდუვალი აუცილებლობით დააყენა საბინაო მშენებლობის გაფართოების ამოცანა. სწორედ ამ კანონზომიერებიდან გამოდიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებას რომ იღებდნენ საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლის შესახებ, რომლის საფუძველზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის ნოემბრის პლენუმმა დასახა რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის ფართოდ განვითარების ღონისძიებანი.

საქართველოს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში 1921 – 1957 წლებში საერთოდ საცხოვრებელი ფონდი გაიზარდა 2,3-ჯერ, მაშინ როცა სამრეწველო პროდუქციის წარმოება გადიდდა 30-ჯერ. რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა განიცდიდა დიდ ნაკლებობას საცხოვრებელი ბინების, აბანოების, სამრეცხაოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების მხრივ. ამიტომ 1956 – 1960 წლებისათვის სახელმწიფო საბინაო მშენებლობა განისაზღვრა 2 მლნ 100 ათასი კვ მეტრი ფართობის ოდენობით, აქედან 1957 წლისათვის გათვალისწინებული იყო 312 ათასი კვ მეტრი ფართობის, ხოლო 1958 წლისათვის – 400 ათასი კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობის აშენება. მოსახლეობის სახსრების ხარჯზე სახელმწიფო კრედიტის დახმარებით უნდა აშენებულიყო 1957 წელს 200 000 კვ მეტრი, ხოლო 1958 წელს – 320 000 კვ მეტრი ფართობის ბინები და ა. შ.[5].

საქართველოს სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოების, ორგანიზაციებისა და ქალაქის მოსახლეობის მიერ (კოლმეურნეობათა ჩაუთვლელად) მარტო მეხუთე ხუთწლედში (1950 – 1955) და 1956 – 1958 წლებში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 4 098 ათასი კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

რესპუბლიკაში 1 000 მოსახლეზე აშენდა 1953 წელს 5, 1958 წელს – 5,5, 1957 წელს – 6,4, 1958 წელს – 8,5 საცხოვრებელი ბინა[6]. ომის შემდგომ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა მოსახლეობისათვის კრედიტის მიცემას ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ამ მიზნით საქართველოს სოფლის მოსახლეობამ 1953 – 1958 წლებში მიიღო სულ 39,9 მლნ მანეთი, ქალაქის მოსახლეობამ – 33,4 მლნ მანეთი.

კაპიტალური მშენებლობის, მათ შორის საბინაო მშენებლობის, გაფართოებასთან დაკავშირებით გაიზარდა საშენ მასალათა წარმოება.

1952 – 1958 წლებში საქართველოს მრეწველობის აღმავლობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო საწარმოთა პერსონალის საშუალო წლიური რიცხვი, რომელიც 1952 წელს უდრიდა 179 000, ხოლო 1958 წელს – 235 000 კაცს. მათ შორის მუშათა რიცხვი შეადგენდა 1952 წელს 139 000, ხოლო 1958 წელს – 188 000 კაცს. მთელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობის შედეგად კი მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი სარეწაო კოოპერაციის არტელების წევრთა ჩათვლით შეადგენდა 1952 წელს 690 000, 1958 წელს – 840 000 კაცს[7].

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში გაიზარდა ქალაქების რაოდენობა და მათი მოსახლეობა. 1956 წელს საქართველოში ითვლებოდა 32 ქალაქი და 32 ქალაქის ტიპის დასახლება, მაშინ როცა 1939 წელს რესპუბლიკაში იყო მხოლოდ 27 ქალაქი და 24 ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობაც. თუ 1939 წელს ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიონს შეადგენდა, 1959 წლის 15 იანვრისათვის იგი 1 799 300 კაცს უდრიდა[8].

ქალაქების მოსახლეობის ზრდის სურათს იძლევა მე-6 ცხრილი[9].

ცხრილი 6

ქალაქის დასახელება	მოსახლეობა ათასობით	
	1939 წ. 17 იანვრისათვის	1959 წლის 15 იანვრისათვის
თბილისი	519,2	694,7
.....	78,1	128,2
ქუთაისი	70,0	82,3
.....	44,3	64,7
ბათუმი	-	62,4
.....	25,5	42,1
სოხუმი	19,6	35,1
.....	8,4	28,4
რუსთავი	13,8	21,6
.....	13,9	21,5
ფოთი		
გორი		
ტყვარჩელი		
ცხინვალი		
ჭიათურა		

საქართველოს ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვანწილად იზრდებოდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, რაც გავლენას ახდენდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე. ამიტომ ქალაქის მოსახლეობის ზრდის პირობებში შემცირდა სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა. სოფლის მოსახლეობა 1959 წლის იანვრისათვის შემცირდა 1939 წლის რაოდენობასთან შედარებით 175 ათასით და შეადგინა 2331,1 ათასი კაცი. ამის შედეგად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ურთიერთშეფარდება. ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა 1959 წლის იანვარში შეადგენდა 42 პროცენტს ნაცვლად 30 პროცენტისა 1939 წ., ხოლო სოფლის მოსახლეობისა შემცირდა 70 პროცენტიდან 58 პროცენტამდე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქების კომუნალური მეურნეობა. იმ ქალაქთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ კომუნალური წყალსადენები, 1959 წლისათვის გაიზარდა 3 -ჯერ 1928 წელთან შედარებით[10]. 1955 – 1957 წლებში თბილისში, ბათუმში, გორში, ახალციხეში, აბაშაში, ამბროლაურში, გარდაბანში, დმანისში, დუშეთში, ვანში, თერჯოლაში, ლენტეხში, ხობში, მაიაკოვსკში, სამტრედიაში, თეთრიწყაროში, ქუთაისში, სიღნაღსა და სოხუმში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 19 წყალსადენი.

1952 – 1958 წლებში საქართველოს ქალაქებში გაფართოვდა საკანალიზაციო ქსელი. ამ დროისათვის ელექტრიფიცირებული იყო მთელი განსაზოგადოებული საბინაო ფონდის 96,7 პროცენტი, მნიშვნელოვნად გადიდდა ცენტრალური გათბობის მქონე საბინაო ფართობი. გაიზარდა ხარჯები აგრეთვე ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობაზე, გამწვანებასა და კომუნალური მეურნეობის სხვა ღონისძიებებზე. მარტო 1953 – 1957 წლებში საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ასფალტით დაიფარა 3 მლნ კვ მეტრი ქუჩები, მოედნები და ტროტუარები[11].

1952 – 1958 წლებში წინა წლებთან შედარებით უფრო ფართო მასშტაბით წარმოებდა საქართველოს ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სხვა დასახლებული ადგილების კეთილმოწყობა. ყველაზე მეტად ეს ითქმის თბილისზე, რომელიც დამშვენდა არქიტექტურულად გაფორმებული ნაგებობებით, ახალი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლებით, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების შენობებით, ახალი ხიდებით, ბაღებითა და პარკებით.

1957 წლისათვის თბილისს გამწვანების მხრივ უკვე ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა სსრ კავშირში. უფრო კეთილმოწყობილი გახდა აგრეთვე საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი ქუთაისი. ქალაქში აშენდა მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმო, გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ჯანმრთელობის კერების ქსელი.

1952 – 1958 წლებში მნიშვნელოვანი კეთილმოწყობის ღონისძიებანი განხორციელდა ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, გორში, ფოთში, ჭიათურაში, ტყვარჩელში, ტყიბულსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

სწრაფად იზრდებოდა ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი.

ამ მიღწევებთან ერთად საქართველოში მშენებლობასა და კომუნალურ მეურნეობას 1952 – 1958 წლებსა და მის შემდგომ პერიოდშიც ახასაითებდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობაში ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ მათი ათვისება არასრული იყო. საბინაო მშენებლობის გეგმა 1950 – 1955 წლებში კაპიტალური დაბანდებისა და საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის დარგში არ შესრულებულა, რის გამო მოსახლეობას 260 ათასზე მეტი კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობი დააკლდა.

იმისდა მიუხედავად, რომ 1952 – 1958 წლებში მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა ახალი წყალსადენების მშენებლობისა და არსებული წაყლსადენების გაფართოებისათვის, საქართველოს ქალაქები, რაიონული ცენტრები და სოფლები წყალმომარაგების მხრივ კვლავ მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ.

1958 წელს კვლავ მწვავედ იგრძნობოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების ნაკლებობა. მეტად საგრძნობი იყო აგრეთვე სასტუმროების ნაკლებობა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში.

ჭიანურდებოდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც იწვევდა დიდი მატერიალური სახსრების ხანგრძლივი დროით დაბანდებას დაუმთავრებელ მშენებლობებზე და აყოვნებდა მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

საკმაო ყურადღება არ ექცეოდა მშენებლობაში რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებას, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების მშენებელთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას, რაც აფერხებდა კაპიტალურ, მათ შორის საბინაო მშენებლობასაც.

ომის შემდგომ წლებში გაუმჯობესდა საცხოვრებელი ფონდის კეთილმოწყობა. დიდი მუშაობა ჩატარდა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართობის ელექტროგანათებით, წყალსადენით, კანალიზაციით, ცენტრალური გათბობით, აბაზანით (შხაპით) უზრუნველსაყოფად.

მკვეთრად გაიზარდა წყალსადენებისა და კანალიზაციის საერთო სიმძლავრე (ახალი წყალსადენებისა და კანალიზაციის საექსპლოატაციოდ გადაცემის და არსებულის რეკონსტრუქციის ხარჯზე), წყალსადენისა და კანალიზაციის (ფეკალიური და სანიაღვრო) ქსელის სიგრძე, გადიდდა კომუნალური აბანოების რიცხვი, მექანიზებული სამრეცხაოების მოცულობა, გაფართოვდა საპარიკმახეროების ქსელი, გაუმჯობესდა სასტუმროების მუშაობა, მეტი ყურადღება მიექცა ქუჩებისა და მოედნების გამწვანება-

დასუფთავებას. დაიწყო თბილისის თბომომარაგების სამუშაოები. რესპუბლიკის დიდ ქალაქებში ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა მოაწყვეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები სხვადასხვა სპეციალური საამქროებით.

ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით მეხუთე ხუთწლედში, ფართოდ გაიშალა ქალაქების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. რესპუბლიკის დედაქალაქში ძირითადად დამთავრდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობა, აშენდა ახალი ხიდები (დიდუბესა და ორთაჭალაში) და გადაკეთდა ძველი, მოხდა ცენტრალური მოედნების (ლენინის, მარჯანიშვილის, საბჭოთა კავშირის გმირთა მოედნების), პროსპექტების. მთავარი ქუჩებისა და მაგისტრალების (საბჭოს ქუჩა, საქართველოს სამხედრო გზის, ჩელუსკინელების, მელიქიშილის, ჭავჭავაძის, ფალიაშვილის ქუჩების) რეკონსტრუქცია, გაშენდა სპორტული ნაგებობანი, პარკები და სკვერები.

ომის შემდგომ წლებში საექსპლოატაციოდ გადაცემულ საზოგადოებრივ ნაგებობათაგან აღსანიშნავია საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი, თბილისის რკინიგზის სადგურისა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რეკონსტრუირებული შენობები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერებათა აკადემიის ახალი შენობები საბურთალოზე, პარკი, სტადიონი ვაკეში და ხიდი დიდუბეში.

თბილისში ყოველწლიურად მრავალ ათას ხეს და ბუჩქს რგავდნენ. 1953 წლის ბოლოსათვის მწვანე ნარგავების ფართობი 3 ათას ჰექტარს აღემატებოდა[12].

ფართოდ განვითარდა ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. 1949 წელს ქუთაისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტროლეიბუსის ხაზი, საქართველოს ბევრ ქალაქში გაიხსნა ავტობუსების მიმოსვლა.

1945 – 1953 წლების მანძილზე თბილისის ტრამვაის ცალმხრივი საექსპლოატაციო გზის სიგრძე და საინვენტარო ვაგონების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა (სიგრძე – 2,3 კილომეტრით, ვაგონების რაოდენობა – 34 ერთეულით), მაგრამ ტრამვაის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებით შესამჩნევად გადიდდა ვაგონების განარბენი (თითქმის 5,5-ჯერ) და მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა (3.1-ჯერ)[13].

ამავე პრიოდში ტროლეიბუსის ცალმხრივი ხაზის სიგრძე თითქმის ერთიორად გადიდდა, სამგზავრო ტროლეიბუსების საინვენტარო რაოდენობა მხოლოდ 12 ერთეულით გაიზარდა, მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა კი 4,9-ჯერ[14]. ტროლეიბუსმა თანდათან განდევნა ტრამვაი ქალაქის ცენტრიდან. დღითი დღე მატულობდა ტროლეიბუსით გადაყვანილ მგზავრთა არა მარტო აბსოლუტური რაოდენობა, არამედ ტროლეიბუსის ხვედრითი წონაც ქალაქის მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანის საერთო ბალანსში; ასევე იზრდებოდა ავტობუსებისა და ტაქსომოტორების წილიც.

მაგრამ თბილისის საქალაქო ტრანსპორტი მაინც ვერ უზრუნველყოფდა მგზავრთა ნორმალურ გადაყვანას. ამიტომ 1952 წლიდან თბილისში დაიწყო მეტროპოლიტენის მშენებლობა, რაც 1953 წელს დროებით შეჩერდა, რამდენიმე წლის შემდეგ კი სამშენებლო სამუშაოები განახლდა[15].

ამ პერიოდში გაუმჯობესდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სატრანსპორტო მომსახურება. გადიდდა საერთო მოხმარების ავტოტრანსპორტის პარკი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. გაიხსნა ავტობუსებისა და ტროლეიბუსების, აგრეთვე ქალაქთაშორის მიმოსვლის ახალი მარშრუტები. ჭიათურაში, ტყიბულსა და ტყვარჩელში გაიხსნა სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები. მნიშვნელოვნად გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორიტით მგზავრთა გადაყვანა და საავტომობილო ტრანსპორტის ხვედრითი წონა ტვირთბრუნვაში საერთოდ და განსაკუთრებთი მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურებაში. 1952 წელს მგზავრბრუნვა შეადგენდა 222 მლნ მგზავრ-კილომეტრს, ხოლო 1958 წელს – 270 მლნ მგზავრ-კილომეტრს.

1952 – 1958 წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა საჰაერო ტრანსპორტი. თვითმფრინავებით მგზავრების გადაყვანა 1958 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 6,5-ჯერ[16].

ომის შემდგომ პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარდა სოფლების (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სოფლის საბჭოების) წყალმომარაგების, ელექტრიფიკაციის, რადიოფიკაციისა და ტელეფონიზაციისათვის.

1947 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ”სოფლების წყალმომარაგების საქმის გაუმჯობესების შესახებ”. აღინიშნა, რომ სოფლების წყალმომარაგებას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად. რაიონული და სასოფლო საბჭოების, აგრეთვე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს დაევალათ საჭირო ზომები მიეღოთ არსებული წყალსადენების აღდგენა-გაფართოებისა და ახალი წყალსადენების ასაშენებლად; მოწყოთ სოციალისტური შეჯიბრება რაიონულ და სოფლის საბჭოებსა და კოლმეურნეობებს შორის წყალსაღებ ნაგებობათა, სარწყულებისა და საერთოდ წყალსადენის საუკეთესოდ გამართვის, გაფორმებისა და მოვლა-პატრონობისათვის[17].

ამ დადგენილებით საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალა შეექმნა წყალსაღებ ნაგებობათა და სარწყულებელთა ტიპიური პროექტები, სოფლის საბჭოებისა და კოლმეურნეობებისათვის წყალსადენების მშენებლობისათვის გამოეყოთ მასალა, შეესწავლათ კერამიკული და ბამბუკის მილების წარმოებისა და სოფლის წყალსადენებში მათი გამოყენების საკითხი[18].

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა მიეთითებინა მშრომელთა დეპუტატების რაინული საბჭოების

აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებისათვის, რომ მათ სოფლის წყალსადენებზე დაეწესებინათ ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ზედამხედველობა, პერიოდულად მოეხდინათ სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელი იყო წყლის გაბინძურება[19]. დაისახა სოფლის წყალმომარაგების გაუმჯობესების სხვა ღონისძიებანიც.

სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხებს (სპეციალურად ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით) სისტემატურად განიხილავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური, საოლქო და რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები.

ეს დადგენილებები მთლიანად ვერ სრულდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ომის შემდგომ პერიოდში გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის წყალმომარაგების საქმეში.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში იყო სოფლის ელექტრიფიკაციის საკითხებიც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად ამტკიცებდნენ სოფლის ელექტრიფიკაციის გეგმებს და თვალს ადევნებდნენ მათს შესრულებას, იღებდნენ ზომებს სპეციალური ტრესტების "საქსოფლელექტროს" და "საქსოფლენერგოს" განსამტკიცებლად. სასოფლო ელექტროსადგურების (უმთავრესად ჰიდროელექტროსადგურების) მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთ-ერთ წევრს, და მაინც სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გეგმები წლიდან წლამდე ვერ სრულდებოდა. მაგალითად, 1948 – 1949 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა სოფლის 59 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე დაახლოებით 3 ათასი კილოვატი იყო, მაშინ როცა გეგმა ითვალისწინებდა 10,5 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის 111 ჰიდროელექტროსადგურის გადაცემას[20]. 1950 წელს გეგმით საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 8 ათასი კილოვატი სიმძლავრის 38 სასოფლო ჰიდროელექტროსადგური, ფაქტიურად კი ამუშავდა 27 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 6,3 ათასი კილოვატი იყო, რის შედეგადაც მანქანა-ტარქტორთა სადგურების ელექტრიფიკაციის წლიური გეგმა 79 პროცენტით შესრულდა, ხოლო კოლმეურნეობათა ელექტრიფიკაციისა – 51,4 პროცენტით[21]. 1951 წელს უნდა დამთავრებულიყო 24 ჰიდრელექტროსადგურის მშენებლობა, მაგრამ მწყობრში ჩადგა მხოლოდ 11[22].

ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა დ მანქანა-ტრაქტორთა სადგური ჩართულ იქნა "საქენერგოს" ქსელში, მაგრამ სოფლის ელექტრიფიკაციის გეგმის შესასრულებლად საჭირო ელექტროენერგიის დეფიციტის მთლიანად დაფარვა ვერ მოხერხდა. როგორც აღინიშნა,

რესპუბლიკა ელექტროენერგიის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, ელექტროენერგიის მოხმარებასა და ფაქტიურ გამომუშავებას შორის გაჩნდა გარღვევა.

რადიოფიკაცია, მეტადრე სოფლების რადიოფიკაცია, აშკარად ჩამორჩებოდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. 1949 წლის დამდეგისათვის ჩვენი რესპუბლიკის 4 983 სოფლიდან ქსელით რადიოფიცირებული იყო 275, ანუ 5,5 პროცენტი, 77 საბჭოთა მეურნეობიდან – 22, ანუ 28,6 პროცენტი, 63 მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან – 30, ანუ 47,6 პროცენტი[23]. რადიოფიკაციაში არსებული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს ზოგიერთი რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა წინადადება წამოაყენეს 2 – 3 წლის მანძილზე დასახლებული პუნქტების მთლიანი რადიოფიკაციის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირეს ამ მოსაზრებას და 1949 წლის 6 ივლისს მიიღეს დადგენილება ”საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რადიოფიკაციის ღონისძიებათა შესახებ”. ამ დადგენილებით მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა რესპუბიკის სოფლების მთლიანი რადიოფიკაციის 1949 – 1952 წლების გეგმა[24]. 1949 წლის 24 ნოემბერს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რადიოფიკაციის სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი (არსებითად ეს იყო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 ივლისის დადგენილების შესრულების შემოწმება), აღნიშნა რადიოსატრანსლაციო ხაზის მშენებლობაში არსებული ხარვეზები და დასახა 1950 წლის გეგმის უცილობელი შესრულების ღონისძიებანი[25]. 1949 წლის დამლევს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთობლივ დადგენილებაში ”საქართველოს სსრ რადიოფიკაციის გაუმჯობესების ღონიძიებათა შესახებ” აღნიშნეს მოსახლეობის უკმაყოფილება რადიომაუწყებლობის ცუდი მუშაობის გამო, რამაც რადიოცენტრების მასობრივი გამორთვა და განთესვა გამოიწვია (11 თვის განმავლობაში რადიოწერტების განთესვა აბონენტთა ზრდას აღემატებოდა)[26].

1949 – 1952 წლებში და მეხუთე ხუთწლედის ბოლოსაც კი ვერ მოხერხდა სოფლების მთლიანი რადიოფიკაციის გეგმის შესრულება. მაგალითად, 1952 წლის დეკემბრისათვის რესპუბლიკის 2 068 კოლმეურნეობიდან ქსელით რადიოფიცირებული იყო 766, ხოლო რადიომიმღებებით – 564[27], და მაინც 1940 წელთან შედარებით 1955 წელს რადიომიმღებ დანადგართა რაოდენობა სოფლად 13,5–ჯერ გაიზარდა, ხოლო სატრანსლაციო რადიოწერტებისა – 14,1-ჯერ[28].

მეოთხე ხუთწლედში საქართველოს ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა არაერთი ღონისძიება განახორციელეს სოფლების ტელეფონიზაციისათვის. 1950 წლის აგვისტოში, როცა ტელეფონიზირებული იყო რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მხოლოდ 22 პროცენტი, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს "1950 – 1951 წლების განმავლობაში განხორციელებულიყო საქართველოს ყველა კოლმეურნეობის ტელეფონიზაცია, ამასთან კოლმეურნეობები დაკავშირებოდნენ რაიონულ ცენტრებს და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობას"[29]. ამ ამოცანის გადაწყვეტის პროცესში (თუმცა იგი არ შესრულებულა) გაიზარდა სოფლების სატელეფონო სადგურთა რაოდენობა, მათი საერთო სიმძლავრე და საქალაქო სატელეფონო სადგურებთან მიერთებული ტელეფონების რიცხვი.

შემდგომ წლებში მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის საფოსტო და სატელეგრაფო მომსახურება. გაიხსნა კავშირგაბმულობის ახალი დაწესებულებები. 1958 წელს საქართველოში ითვლებოდა 916 კავშირგაბმულობის საწარმო[30].

გაფართოვდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში სატელეფონო კავშირი, გაიზარდა რადიომიმღებთა და სატრანსლაციო წერტების რაოდენობა. სატელეფონო სადგურებთან შეერთებული ტელეფონების რიცხოვნობა 1950 წელთან შედარებით 1958 წელს გადიდდა 13 ათასით, სოფლებში კი ქალაქებთან შეერთებული ტელეფონების რაოდენობა 3 100-ით. 1950 წელს ტელეფონიზირებული იყო სოფლის საბჭოების 98,6 პროცენტი, ხოლო 1958 წელს – 99,8 პროცენტი. საბჭოთა მეურნეობების ტელეფონით უზრუნველყოფა გაიზარდა 95 პროცენტიდან 97 პროცენტამდე შესაბამის წლებში. თუ 1955 წლამდე კოლმეურნეობათა მხოლოდ 50 პროცენტი იყო ტელეფონით უზრუნველყოფილი, 1958 წელს ტელეფონიზირებული იყო კოლმეურნეობათა 76,7 პროცენტი[31].

მოსახლეობის კულტურულ მომსახურებასა და მის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში დიდმნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა ტელეგადაცემათა დაწყება საქართველოში. თბილისის ტელეცენტრმა მუშაობა დაიწყო 1956 წლის 30 დეკემბერს[32].

მოსახლეობის საბინაო პირობებისა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების საქმეში სხვა ნაკლოვანებანიც შეინიშნებოდა, მაგრამ, ცხადია, ომის შემდგომ აღდგენით პერიოდში საქართველოს მიერ მოპოვებულ დიდ წარმატებათა ფონზე ეს ნაკლოვანებანი უმნიშვნელოა.

---

[1] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1959, стр. 304 - 305.

[2] მეოთხე ხუთწლედში ეს თანხა შეადგენდა 82,4 მილიონ მანეთს, მეხუთე ხუთწლედში 0 150,8 მილიონ მანეთს (იხ. «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 370).

[3] საბინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა წილი კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში მეოთხე ხუთწლედში შეადგენდა 11,9 პროცენტს, მეხუთე ხუთწლედში 13,8 პროცენტს («Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 371.

[4] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР» 1957, стр. 150 – 151 მიხედვით.

1946 – 1953 წლების მანძილზე სახელმწფიო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ააშენეს 2151 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ხოლო ქალაქის მოსახლეობამ თავის სახსრებით და სახელმწიფო კრედიტით – 779 ათასი კვადრატული მეტრი.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 47, საქ. 12, ფურც. 9 – 10.

[6] გაზ. "კომუნისტი", 1959 წლის 25 იანვარი.

[7] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 57, 396.

[8] იქვე, გვ. 11, 13.

[9] იქვე, გვ. 12.

[10] "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 – 1961 წწ.", გვ. 578.

[11] იქვე, გვ. 579.

[12] საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის 25-ე კონფერენციის მასალებიდან.

[13] გამოთვლილია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებით.

[14] გამოთვლილია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებით.

[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 43, საქ. 375, ფურც. 93; აღწ. 23, საქ. 380, ფურც. 85; საქ. 487, ფურც. 92 – 94.

[16] «Правда», 14 сентября 1964 г.

[17] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 477, ფურც. 115.

[18] იქვე, ფურც. 116.

[19] იქვე.

[20] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 12, საქ. 136, ფურც. 14

[21] იქვე, აღწ. 22, საქ. 66, ფურც. 46.

[22] იქვე, აღწ. 23, საქ. 135, ფურც. 34..

[23] იქვე, აღწ. 1949 წლისა, საქ. 60, ფურც. 33.

[24] იქვე.

[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1949 წლის, საქ. 121, ფურც. 18, 19.

[26] იგვე, საქ. 132, ფურც. 13 – 14.

[27] იქვე, აღწ. 23, საქ. 338, ფურც. 169.

[28] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 365 მიხედვით.

[29] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 136, ფურც. 12 მიხედვით.

[30] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 357.

[31] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 364 - 365.

32 გაზ. "კომუნისტი", 1956 წლის 30 დეკემბერი.

§ 5. ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუწყვეტლივ ადიდებდნენ ასიგნებებს ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური

კულტურისათვის. 1945 წელს საქართველოს სსრ ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურისათვის გათვალისწინებული თანხა ფულის ახალი მასშტაბით 28,8 მლნ მანეთს შეადგენდა (ნაცვლად 18,4 მლნ მანეთისა), 1953 წელს მან მიაღწია 45,4 მლნ მანეთს[1].

გაფართოვდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. 1945 წელს საქართველოში 307 საავადმყოფო იყო, 1953 წელს კი – 581. საწოლების რაოდენობა შესაბამისად გაიზარდა 16,5 ათასიდან 22,2 ათასამდე[2]. მარტო 1951 – 1953 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საავადმყოფოები და პოლიკლინიკები 818 საწოლით[3].

საავადმყოფოებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასთან ერთად გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა რაოდენობაც. 1945 – 1953 წლების მანძილზე ექიმების რიცხვი 5 025-დან 10 519 კაცამდე, ანუ 2,1-ჯერ გაიზარდა, საშუალო სამედიცინო პერსონალისა – 9 651-დან 19 665-მდე, ანუ ერთიორად და მეტად[4], მათგან ნახევარზე მეტი ქალი იყო[5].

ომის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო გაფართოვდა დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების დაწესებულებათა ქსელი. 1940 წელთან შედარებით 1953 წელს ორსულ და მშობიარე ქალთა საწოლების რაოდენობა 1,6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა – 1,4-ჯერ. გამრავლდა მუდმივი საბავშვო ბაგები, ბაგა-ბაღები (46 ერთეულით) და მათში ადგილების რაოდენობა (3,4 ათასით), აგრეთვე სეზონური საბავშვო ბაგები (272 ერთეულით), საბავშვო, დედათა და ბავშვთა სახლები (9 ერთეულით) და მათში საწოლების რაოდენობა (515 საწოლით)[6].

რესპუბლიკის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. მაგალითად, 1946 წლის 11 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულების შესაბამისად გამოაქვეყნა ვრცელი დადგენილება ”მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების შესახებ”[7]. იმავე წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილებები ”მოსახლეობის სტომატოლოგიური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ”[8]. ”მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ”[9], ”კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ”[10] და სხვ.

პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებთან საავადმყოფოთა კონტაქტის გაძლიერების, ე. ი. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 1947 წლის დამლევს დაიწყეს საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანება. ამ ღონისძიების განხორციელებამ ხელი შეუწყო ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ავადმყოფთა დაუგვიანებელ ჰოსპიტალიზაციას[11].

სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით აიკრძალა სამედიცინო მუშაკთა ზედმეტი შეთავსებები. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს არასრული ცნობებით 1947 წლის თებერვლისათვის 6 292 საშტატო თანამდებობაზე 5 081 ექიმი მუშაობდა. თბილისში 389 ექიმს 739 თანამდებობა ეკავა, ხოლო 37 პროფესორს – 138 საშტატო თანამდებობა[12]. რესპუბლიკაში კი აღრიცხული იყო 353 უმუშევარი ექიმი და სტომატოლოგი, ამათგან 58 – საბჭოთა შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებული. 1947 წლის 7 თებერვალს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სამედიცინო მუშაკების ზედმეტი შეთავსებების ლიკვიდაციის შედეგად განთავისუფლებულ თანამდებობებზე დემობილიზებული და უმუშევარი ექიმების მოწყობის შესახებ[13].

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამრეწველო საწარმოთა მუშების სამედიცინო მომსახურებას, მეტადრე საწარმოო და საყოფაცხოვრებო ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ საქმეში ჩაბმულ იქნენ სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სპეციალიზებული და საერთო სამკურნალო დაწესებულებანი. ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა აღჭურვილობა და მოწყობილობა, რომლებიც სამრეწველო საწარმოებს ემსახურებოდნენ[14].

ყოველწლიურად იზრდებოდა შრომის პირობების დაცვისა და გაჯანსაღების ხარჯები. 1953 წელს საქართველოს პროფკავშირებმა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის 22 მილიონი მანეთი გაიღეს[15]. ომის შემდგომ წლებში მუშა-მოსამსახურეებმა ათობით მილიონი მანეთის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები მიიღეს. უდიდესი ყურადღება ექცეოდა ქალთა შრომისა და ყოფის შემსუბუქებას.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის მოძღვრების შესწავლისა და სამკურნალო დაწესებულებათა პრაქტიკულ საქმიანობაში მისი დანერგვისათვის.

გაუმჯობესდა მოსახლეობის მედიკამენტური მომსახურება. გაიხსნა ახალი აფთიაქები და სააფთიაქო პუნქტები.

მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისა, საქართველომ ვერ მიაღწია შობადობისა და მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ომამდელ დონეს[16].

1952 – 1958 წლებში გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება, გაფართოვდა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი, გაიზარდა სამედიცინო კადრების რაოდენობა.

საავადმყოფოებისა და ამბულატორია-პოლიკლინიკების რაოდენობის ზრდა ასახულია შემდეგ ცხრილში (იხ. ცხრილი 7)[17]:

წლები	საავადმყოფოთა რაოდენობა	საწოლთა რაოდენობა	საწოლთა რაო-დენობა 10000 მოსახლეზე	ამბულატორია-პოლიკლინიკების რაოდენობა	საფერშლო ამბულატორიული დახმარების პუნქტების რაოდენობა
1952	560	21.156	58,9	1.121	755
1953	581	22.215	61,0	1.157	753
1954	604	23.221	62,8	1.109	774
1955	610	23.924	61,7	1.341	798
1956	630	24.864	63,4	1.368	812
1957	641	26.261	66,1	1.351	846
1958	647	27.684	68,5	1.347	920

ამრიგად, 1958 წელს საქართველოში საავადმყოფოთა რაოდენობა 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 87 ერთეულით, ხოლო ამბულატორია-პოლიკლინიკების რაოდენობა – 226 ერთეულით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ქალთა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება. ორსულ ქალთა და ახალ დაბადებულთა საწოლების რიცხოვნობა სისტემატურად იზრდებოდა და 1958 წელს მან მიაღწია 3 558-ს, ნაცვლად 2 780-სა 1952 წელს. ამ პერიოდში ქალთა და ბავშვთა კონსულტაციის რაოდენობა გადიდდა 260-დან 288-მდე, ხოლო მუდმივი საბავშვო ბაგებისა და ბაგა-ბაღებისა – 345-დან 410-მდე. 1958 წელს მხოლოდ ბავშვებს ემსახურებოდა 27 სანატორიუმი 2 200 საწოლით[18].

მიუხედავად ამისა, 10 ათას მოსახლეზე საავადმყოფო საწოლთა ოდენობის მხრივ საქართველო ჩამორჩებოდა სსრ კავშირისა და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მაჩვენებლებს. ექიმთა რაოდენობის მხრივ კი საქართველოს პირველი ადგილი ეკავა სსრ კავშირში[19]. 1958 წელს საქართველოში იყო 31,6 ათასი ექიმი, ანუ 2 254-ით მეტი, ვიდრე 1953 წელს[20].

მაგრამ საქართველოში მოსახლეობის საექიმო მომსახურების მხრივ 1952 – 1958 წლებში სერიოზული ნაკლოვანებებიც იყო, განსაკუთრებით მთიან რაიონებში ექიმების სიმცირის გამო. ამასან, ზოგიერთ რაიონში ექიმების რაოდენობა შემცირდა კიდეც. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ექიმი თავს არიდებდა რაიონში მუშაობას. ამას თან სდევდა თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ექიმებით გადატვირთვა. ამ პერიოდში სრულიად არ გაზრდილა საავადმყოფო და სხვა სამკურნალო დაწესებულებების რაოდენობა ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, დუშეთის, ყაზბეგის, კასპის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, წალკის, წითელწყაროს რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო მესტიასა და საჩხერეში ამ დაწესებულებათა რიცხოვნობა შემცირდა[21].

ასეთ და სხვა ნაკლოვანებებს ადგილი ჰქონდა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ განუხრელად იზრდებოდა ხარჯები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე. 1958 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 155 მანეთსა და 35 კაპ.[22].

სამკურნალო მომსახურების, დედათა და ბავშვთა, მოხუცთა და ინვალიდთა პირობების გაუმჯობესებამ განაპირობა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცება, შობადობის გადიდება, სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის ზრდა. ამის მიუხედავად, საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი მაინც ვერ გაუტოლდა საერთო-საკავშირო მაჩვენებელს[23].

დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოს კურორტების აღდგენა-განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის, გაიზარდა სანატორიუმებისა და მათში საწოლების რაოდენობა. 1953 წელს საქართველოს კურორტებზე მოქმედებდა 98 სადღეღამისო სანატორიუმი ნაცვლად 71-სა 1939 წელს. საწოლების რაოდენობა ამ პერიოდში 8,4 ათასიდან 11,7 ათასამდე გაიზარდა[24], მაგრამ დასასვენებელი სახლების 60-დან 32-მდე შემცირდა, ხოლო საწოლების რაოდენობა შესაბამისად 5,8 ათასიდან 3,3 ათასამდე[25]. კურორტები ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, გაგრა და სხვ. საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ასი ათასობით მშრომელს ემსახურებოდა. სამკურნალო მინერალური წყლების ახალი რესურსები აღმოჩნდა ავადხარაში, ნაბეღლავში, თბილისში, ცაიშსა და სხვა რაიონებში.

გაუმჯობესდა მშრომელთა საკურორტო-სამკურნალო მომსახურება. საქართველოს კურორტებზე აიგო ახალი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და პანსიონატები, ტურისტული ბაზები, სამკურნალო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებები.

1958 წელს საქართველოს კურორტების 85 სანატორიუმში, 35 დასასვენებელ სახლსა და 20 პანსიონატში, რომელთა უმრავლესობა მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, ისვენებდა და მკურნალობდა ასეულ ათასობით მშრომელი.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები ითვალისწინებდნენ, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის ბრძოლაში გადამწყვეტია არა სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო კადრების რიცხობრივი ზრდა, არამედ მათი მუშაობის ხარისხი, და ამიტომ მათ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს სამკურნალო დაწესებულებათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად: აღჭურვეს ისინი უახლესი მოწყობილობით, უზრუნველყვეს პრეპარატებით, გააფართოეს სანიტარულ – საგანმანათლებლო პროპაგანდა მოსახლეობაში, განამტკიცეს სამკურნალო დაწესებულებათა კავშირურთიერთობა სამედიცინო სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტებთან და ა.შ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შედეგად ომის შემდგომ პერიოდში შემცირდა საერთო და ბავშვთა ავადობა – სიკვდილიანობა.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდა ხალხის კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია. სკკპ ერთ – ერთი საპროგრამო ამოცანა კომუნისტური შეგნებულობის აღზრდის დარგში ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებაა. ეს გულისხმობს **"აღზარდოს ახალი ადამიანი, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა"**[26]. პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭიროა ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდეს ადამიანთა ცხოვრებაში.

ომმა მკვეთრად შეამცირა ფიზკულტურული კოლექტივებისა და საერთოდ ფიზკულტურელთა რაოდენობა. იმასთან დაკავშირებით, რომ " სპორტის ასაკის" თითქმის ყველა მამაკაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში იყო გაწვეული, სპორტის "მამაკაცური სახეობის" (ჭიდაობა, კრივი, ფეხბურთი, შტანგა, ნაწილობრივ საცხენოსნო სპორტი, ალპინიზმი და სხვ.) სხვადასხვა სექციის მუშაობა მნიშვნელოვნად შესუსტდა. ფიზკულტურულ – სპორტული ორგანიზაციების მუშაობის სიმძიმის ცენტრმა საშუალო სკოლაში გადაინაცვლა, მაგრამ აქაც სპორტული მუშაობა სპეციალიზებული იყო და მთლიანად ექვემდებარებოდა მოსწავლეთა სამხედრო მომზადების ინტერესებს.

ომის შემდეგ ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზეც გაამახვილეს ყურადღება.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფიზიკური აღზრდის ძირეული გაუმჯობესებისა და სპორტის მასობრიობისათვის ბრძოლის პროგრამა მოცემულია საკ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველომ სერიოზული წარმატებები მოიპოვა ამ დადგენილებაში გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებით ფიზიკური კულტურისა

და სპორტის აღმავლობის საქმეში. თუ 1946 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში 2 202 ფიზკულტურული კოლექტივი იყო, რომლებიც 66 ათასამდე კაცს აერთიანებდა, 1954 წლის 1 იანვრისათვის 5 494 ფიზკულტურულ კოლექტივში, მოსწავლეთა ჩაუთვლელად, 340 ათასზე მეტი კაცი ირიცხებოდა[27].

1946 – 1952 წლებში განმტკიცდა სპორტული მატერიალური ბაზა. აშენდა და მოეწყო ფეხბურთის ახალი სტადიონები და მინდვრები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები, სპორტული დარბაზები, საწყლოსნო სადგურები, საცურაო აუზები, მძლეოსნობის მოედნები და სხვა სპორტული ნაგებობანი.

თითქმის 2,5 – ჯერ გაიზარდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასწავლებელთა, ინსტრუქტორთა და მწვრთნელთა რაოდენობა. მათი დიდი ნაწილი მოამზადა ფიზიკური კულტურის საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტმა და თბილისის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმმა.

საქართველოს ფიზკულტურულ – სპორტული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ისიც, რომ საგრძნობლად გაიზარდა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატთა და სპორტის ოსტატთა რაოდენობა. საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ სპორტის დამსახურებულ ოსტატებს გ. ეგნატაშვილს, გ. რცხილაძეს, გ. ბაბილოძეს, ა. ჯორჯაძეს და მზია ჯუღელს (ტანვარჯიში); ა. ჟორდანიას. ბ. პაიჭაძეს, გ. ჯეჯელავას, ა. ღოღობერიძეს და ვ. პანიუკოვს (ფეხბურთი); გ. ავალიშვილს, ო. ქორქიას და ნ. ჯორჯიკიას (კალათბურთი); ნინო დუმბაძეს, ელენე გოკიელს, ნადეჟდა დვალიშვილს – ხნიკინას, ლ. სანაძეს და რ. შავლაყაძეს (მძლეოსნობა); მ. თიკანაძეს, ვ. კუხიანიძეს, კ. კობერიძეს, ა. მეკოკიშვილს, ვ. ბალავაძეს, შ. ჩიხლაძეს, გ. კარტოზიას და დ. ციმაკურიძეს (ჭიდაობა); ლ. ღუდუშაურს, შ. გორგასლიძეს, ა. ნოვოსარდოვს და გ. ხანუკაშვილს (კრივი); მ. ჟღენტს, ვ.სვეტილკოს და რ. ჩიმიშკიანს (შტანგა); ალექსანდრა ჯაფარიძეს (ალპინიზმი) და სხვ.

საქართველოს სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციულ სპარტაკიადებზე და სრულიად საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, იცავდნენ და ბრწყინვალებას მატებდნენ საბჭოთა სპორტის სახელს. საქართველოს შვიდმა სპორტსმენმა: ვ. ბალავაძემ, მზია ჯუღელმა, ნინო დუმბაძემ, გ. კარტოზიამ, ა. მეკოკიშვილმა, დ. ციმაკურიძემ და რ. ჩიმიშკიანმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს სპორტსმენებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, ალპინიზმი, წყალბურთი და სხვ.

თბილსის ფეხბურთელთა გუნდმა "დინამომ" რამდენჯერმე დაიკავა საპრიზო ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობისა და თასის გათამაშებაში. თბილისის "დინამოს" კალათბურთელთა გუნდმა კი 1950 და 1953 წლებში სსრ

კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ხოლო 1949, 1950 და 1951 წლებში – სსრ კავშირის თასი.

ქართველმა ალპინისტებმა საერთაშორისო კლასის რამდენიმე ასვლა განახორციელეს კავკასიონის ქედის მწვერვალებზე. 1948 წელს მოეწყო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ყველაზე მასობრივი ასვლა: 502 ქართველმა ალპინისტმა დალაშქრა ყაზბეგი. 1950 წელს განხორციელდა კავკასიონის ძნელადმისადგომი მწვერვალების შხელდა –უშბას პირველი ტრავერსი.

ჩვენს რესპუბლიკას წყალბურთელთა ძლიერი გუნდი ჰყავდა. წყალბურთის ოსტატები ა. მშვენიერაძე, ნ. გვახარია და სხვები საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ და ბევრ საერთაშორისო შეხვედრაში დაუცავთ საბჭოთა სპორტის ღირსება.

საქართველოს გუნდები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, აგრეთვე "სამბოში" სსრ კავშირის საპრიზო ადგილების მუდმივი პრეტენდენტები და არერთგზის ჩემპიონები იყვნენ.

ომის შემდეგ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. საქართველოს ჭაბუკ სპორტსმენთა გუნდებმა (ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, მოჭიდავეთა, მოფარიკავეთა, მოჭადრაკეთა და სხვ.) საკავშირო შეჯიბრებებში არაერთხელ დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის კეთილშობილური საქმისათვის დაუცხრომლად ზრუნავდნენ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ბაქრაძე, გ. მერკვილაძე და კ. თაყაიშვილი, ბავშვთა სპორტული სკოლების დირექტორები დ. ფავლენიშვილი (თბილისი), კ. ხუციშივლი (გორი) და ა. ჩაჩავა (სოხუმი), ბავშვთა სპორტული გუნდების მწვრთნელები ნ. აკოფოვი, გ. ბასიაშვილი, თ. გეგელაშვილი, ა. ფედოროვი, ო. დიდებულიძე, ლ. იოაკიმიდი, პ. იორდანიშვილი, რ. ჩაჩავა და სხვები.

ომის შემდგომ წლებში კიდევ უფრო განვითარდა სპორტის სახალხო ეროვნული სახეობანი – ქართული ჭიდაობა, ლელო, ისინდი, ყაბახი, ცხენბურთი და სხვ.

1950 წელს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს რამდენიმე დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე: "ზამთრის სპორტის სახეობათა შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ"[26], "სოფლის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება "კოლმეურნეს" საკითხები"[27], საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სასროლო სპორტის მდგომარეობის შესახებ"[28], "ქართველ ალპინისტთა მიერ ჩატარებული შხელდა-უშბას მწვერვალების ტრავერსის შესახებ"[29] და სხვ. 1951 წელს კი მიღებულ იქნა დადგენილება "სპორტის სხვადასხვა სახეობაში მწვრთნელთა კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ"[30], "საქართველოს სს რესპუბლიკაში ჭადრაკის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ"[31] და ა. შ.

ამ და სხვა საკითხების განხილვამ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, აგრეთვე სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად გაჩაღებულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. 1952 წელს XV ოლიმპიურ თამაშებზე ჰელსინკში საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ 4 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საქართველოს ფეხბურთელები, კალათბურთელები და მოჭიდავეები შინ და გარეთ წარმატებით ასპარეზობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებთან.

1958 წელს საქართველოში იყო ფიზკულტურის 5 900 კოლექტივი, რომლებიც აერთიანებდნენ 436 200 კაცს. ფიზკულტურელთა საერთო რიცხვიდან სპორტის ოსტატის წოდება ჰქონდა 632 კაცს, ხოლო სპორტული თანრიგის მქონე ფიზკულტურელთა რაოდენობა უდრიდა 719 400 კაცს. 1958 წელს საქართველოში იყო 70 სტადიონი, 899 ფეხბურთის მინდორი, 3027 ფრენბურთის, 1416 კალათბურთისა და 123 ჩოგბურთის მოედანი[32].

საქართველოს მოწინავე სპორტსმენებმა სახელი გაითქვეს არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, 1953 წლის აგვისტოში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა ახალგაზრდობის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი. ასპარეზობაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა. საბჭოთა კავშირის ხუთმა მოჭიდავემ ოქროს მედალი დამისახურა. მათ შორის ვ. ბალავაძემ, ვ. გოგიაძემ, ა. მეკოკიშვილმა.

1952 – 1958 წლებში ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეების ნაკრებ გუნდში საქართველოდან შედიოდნენ ვ. ბალავაძე, ს. გაბარაევი, ვ. გოგიაძე, ო. კანდელაკი, გ. კარტოზია, ვ. მაისურაძე, ა. მეკოკიშვილი, გ. სხირტლაძე და მ. ცალქალამანიძე. გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა მოჭიდავეებმა 1954 წლის გაზაფხულზე ტოკიოში გამართულ შეჯიბრებაში, სადაც ვ. ბალავაძე და ა. მეკოკიშვილი მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა, ტანმოვარჯიშეებმა, მოკრივეებმა, წყალბურთელებმა და სხვებმა.

1956 წ. მელბურნის XVI ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე 10 ქართველი სპორტსმენიდან 8 ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი გახდა. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშენებელი ახალი, ყოველმხრივ ჯანსაღი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

---

[1] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 34 - 35.
[2] იქვე, გვ. 511.
[3] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1957 году», стр. 152.
[4] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1957 году», стр. 505.

[5] იქვე, გვ. 403.
[6] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 522 - 523.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 437, ფურც. 76.
[8] [8] იქვე, ფურც. 30.
[9] იქვე, ფურც. 215; საქ. 440, ფურც. 19.
[10] იქვე, საქ. 435, ფურც. 180.
[11] იქვე, აღწ. 23, საქ. 819, ფურც. 5.
[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 38, ფურც. 115.
[13] იქვე.
[14] იქვე, აღწ. 23, საქ. 819, ფურც. 6.
[15] საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს მასალებიდან.
[16] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 16.
[17] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 511.
[18] იქვე, გვ. 522 – 524.
[19] «Народное хозяйство СССР 1960 году», стр. 823.
[20] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 507.
[21] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 514 – 515, 517.
[22] "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 – 1961 წწ.", გვ. 581 – 582.
[23] «Народное хозяйство СССР в 1960 году», М., стр. 60.
[24] იქვე, გვ. 520.
[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 819, ფურც. 16.
[27] ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ყველა ციფრობრივი ცნობა ამოღებულია საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის რესპუბლიკის საბჭოს პრეზიდიუმის მასალებიდან
[26] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 97, ფურც. 37.
[27] იქვე, საქ. 136, ფურც. 30.
[28] იქვე, საქ. 139, ფურც. 8.
[29] იქვე, ფურც. 103.
[30] იქვე, აღწ. 22, საქ. 25, ფურც. 103.
[31] იქვე, საქ. 42, ფურც. 53.
[32] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 525.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

საქართველოს კულტურისა და მეცნიერების განვითარება ომის შემდგომ პერიოდში (1946 – 1958 წწ.)

§ 1. კულტურისა და მეცნიერების დაწესებულებანი ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდის დამდეგს

ომის შედეგებმა თავი იჩინა როგორც ეკონომიკაში, ისე კულტურულ მშენებლობაში. ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს კულტურისა და მეცნიერების მთელი რიგი დარგების განვითარება.

1940 წელთან შედარებით 1945 წელს განათლებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა არა მარტო შეფარდებით (43,5 – 44,3 პროცენტამდე), არამედ აბსოლუტურადაც (54,3 მილიონი მანეთიდან 62,6 მილიონ მანეთამდე ფულის ახალი მასშტაბით)[1]. მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა კულტურის ძირითადი დარგების ომამდელი დონის შენარჩუნებისათვის.

1945 სასწავლო წელს ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა 4 931 იყო, ე. ი. 1940 სასწავლო წელთან შედარებით 148 ერთეულით გაიზარდა[2]. მაგრამ ეს მოხდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, აგრეთვე მოზრდილთა სკოლების რაოდენობის გადიდების ხარჯზე 272-დან 1940 წელს 817-მდე 1945 წელს, ე. ი. 545 ერთეულით[3]. სამაგიეროდ შემცირდა დაწყებითი (2 411-დან 2 168-მდე), შვიდწლიანი, რვაწლიანი (1 283-დან 1 186-მდე) და საშუალო (759-დან 756-მდე) სკოლების რიცხვი[4]. თუმცა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, აგრეთვე მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა (11,2 ათასით), ყველა სახის სკოლების მოსაწვლეთა საერთო რაოდენობამ 1945 წელს 627,8 ათასი შეადგინა ნაცვლად 766,5 ათასისა 1940 წელს, ე. ი. 138,7 ათასით შემცირდა[5]. შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით (22 ათასით), შვიდწლიან, რვაწლიან (55,1 ათასით) და საშუალო (70,7 ათასით) სკოლებში[6]. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობის შემცირება გამოიწვია სასკოლო ასაკის ბავშვთა კონტინგენტის შემცირებამ, საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა ერთი ნაწილის სამხედრო სამსახურში გაწვევამ, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან ბავშვების განთესვამ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამამულო ომის მიწურულს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უფრო მეტი მასწავლებელი მუშაობდა, ვიდრე ომის წინ[7].

1940 წელთან შედარებით 1945 წელს შემცირდა უმაღლესი სასწავლებლებისა (21-დან 20-მდე) და საშუალო სპეციალური სასწავლებლების (192-დან 126-მდე) რაოდენობა[8]. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობა (დაუსწრებელი სწავლების ჩათვლით) გაიზარდა (28,5 ათასიდან 30,3 ათასამდე), ხოლო საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი შემცირდა (26,1 ათასიდან 25,8 ათასამდე)[9].

ომის წლებში მასობრივ ბიბლიოთეკათა გარდა იკლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობამ. დაიხურა 60 კლუბი, 5 მუზეუმი, ერთი თეატრი, 71 კინოდანადგარი და გაიხსნა 6 ახალი მასობრივი ბიბლიოთეკა[10].

ძლიერ დაზარალდა წიგნის ბეჭდვის საქმე. შემცირდა გამოცემული წიგნების (157 ბეჭდვითი ერთეულით), ჟურნალებისა და სხვა გამოცემების (51 ერთეულით), გაზეთების (25 დასახელების) რაოდენობა[11]. შესაბამისად მკვეთრად შემცირდა ბეჭდვითი პროდუქციის ტირაჟი. ერთი ერთეულით შემცირდა სამეცნიერო დაწესებულებათა საერთო რაოდენობა, სამაგიეროდ სამეცნიერო და საცდელი სადგურების შემცირების ხარჯზე ექვსი ერთეულით

გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მათი ფილიალებისა და განყოფილებების რიცხვი[12].

ცნობილია, რომ ყოველგვარი რიცხობრივი შემცირება როდი იწვევს მუშაობის გაუარესებას, ზოგჯერ, პირიქით, დადებით შედეგსაც იძლევა. მაგრამ სამამულო ომის წლებში კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის შემცირებას ვერ მივიჩნევთ ისეთ აქციად, რომელიც ხელს უწყობდა ამ დაწესებულებათა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ომის უარყოფითმა შედეგებმა თავი იჩინეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ომის დროს პარტიული ორგანოები და ორგანიზაციები ზოგჯერ უშვებდნენ პარტიული და სამეურნეო ორგანოების მოვალეობის აღრევას. ხელმძღვანელობისა და კონტროლის ნაცვლად ისინი ითვისებდნენ საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების ფუნქციებს. საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, წარმოიშვა ერთგვარი შეუსაბამობა მის რიცხობრივ ზრდასა და კომუნისტთა პოლიტიკური მომზადების დონეს შორის. 1945 წლის დამლევს საქართველოს კპ წევრთა და კანდიდატთა უმრავლესობას შეადგენდნენ პარტიაში ომის დროს მიღებული კომუნისტები, ხოლო 1949 წლის იანვრისათვის, როგორც ეს საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობაზე აღინიშნა, საქართველოს კომპარტიის საერთო რაოდენობის 70 პროცენტი ახალგაზრდა კომუნისტები იყვნენ[13], რომლებიც პარტიის რიგებში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ორგანიზაციებმა ან ზურგის ტერიტორიულმა პარტიულმა ორგანოებმა მიიღეს და არ ჰქონდათ სათანადო იდეურ-თეორიული მომზადება.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ასრულებდნენ რა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებას იმის შესახებ, რომ ყურადღება გაემახვილებინათ არა პარტიის რიგების ზრდაზე, არამედ ახალგაზრდა კომუნისტთა პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე, 1948 წელს პარტიაში მიიღეს მხოლოდ 1 555 კანდიდატი, მაშინ როცა 1947 წელს კანდიდატებად მიღებული იყო 11 959 კაცი[14].

ორი მსოფლიო ომის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბევრად უფრო ადვილია ომის შედეგების ლიკვიდაცია ეკონომიკაში, ვიდრე მათი აღმოფხვრა ადამიანთა შეგნებასა და ყოფაში, რადგან ომით მიყენებული ჭრილობები არ შუშდება იმ თაობათა მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომელთაც თავის მხრებზე გადაიტანეს ომის უბედურებათა ძირითადი სიმძიმე.

სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანელთა ოკუპაციაში აღმოჩნდა, რამდენიმე მილიონი საბჭოთა მოქალაქე (სამხედრო ტყვეები და სამოქალაქო მოსახლეობა) საკონცენტრაციო ბანაკებში იყო გამომწყვდეული. ჰიტლერელები და მათი დამქაშები – ბურჟუაზიული ნაციონალისტები ამ ადამიანთა შორის ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდნენ. უკუქცეულ გერმანელ ფაშისტთა არმიასდადევნებულ მილიონობით საბჭოთა მეომარს მოუხდა ყოფნა ევროპის

ბევრ კაპიტალისტურ ქეყანაში, სადაც რეაქცია ცდილობდა, გავლენა მოეხდინა მათზე, თავს მოეხვია ბურჟუაზიული შეხედულებანი. "სხვადასხვა არხებით საზღვარგარეთიდან მოდიოდა მავნე იდეოლოგიური ზემოქმედება. საბჭოთა ადამიანებმა ზიზღით უარყვეს რეაქციული ბურჟუაზიული შეხედულებანი, რომლებსაც მათ თავს ახვევდნენ, მაგრამ მოქალაქეთა ნაწილმა იდეოლოგიური მერყეობა გამოიჩინა"[15].

ომიანობის დროს შესამჩნევად გამოცოცხლდა რელიგიური ცრურწმენები და ნაციონალისტური გადმონაშთები. ეს ნაწილობრივ იდეოლოგიური მუშაობის, პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის შესუსტების შედეგი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ომიანობის წლებში რესპუბლიკური, სახმარეო და საოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანოები უფრო მეტად იყვნენ საკავშირო ხელმძღვანელ ორგანოთა "დირექტივების მომხმარებლები", ვიდრე მშვიდობიანობის დროს, რაც სავსებით კანონზომიერია. ომი მოითხოვს ხელმძღვანელობის უაღრეს ცენტრალიზაციას. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ადგილობრივი ხელმძღვანელი, პარტიული და საბჭოთა ორგანოები კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ ზემოდან დაშვებული "დირექტივების მოხმარებით". თუმცა დირექტივების დროზე და ხარისხიანად შესრულება უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა და ყველასაგან დიდ თვითმოქმედებას მოითხოვს. მაგრამ შემოქმედება შესაძლებელია "დირექტივის ფარგლებშიც", ე. ი. ყოველგვარი სერიოზული დავალების ფარგლებშიც, ხოლო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დირექტივები სამამულო ომის პერიოდში ხომ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის მხოლოდ მნიშვნელოვანი და დიდმნიშვნელოვანი დავალებები იყო.

მართალია, საკავშირო ხელმძღვანელი ორგანოების მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკური პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს, ირღვეოდა კადრების შერჩევის ლენინური პრინციპი, შუსუსტდა კრიტიკა, ადგილი ჰქონდა ბიუროკრატიზმს. მოგვიანებით, ომის ამ მავნე შედეგებმა უფრო რელიეფურად იჩინეს თავი.

მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის გაიგივება მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ ბირთვთან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის ომის წლები რიცხობრივი და თვისებრივი ზრდის პერიოდია. მისი მუშაობა მიზნად ისახავდა ფრონტისადმი მზარდი დახმარების უზრუნველყოფას. სწორედ ამან აქცია საქართველოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ არსენალად.

საქართველოს მშრომელების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, წარმატებათა წყარო იყო სამშობლოსადმი სიყვარული, კომუნიზმის

საქმისადმი ერთგულება, ის, რომ მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა.

ომის მავნე შედეგებს უნდა მიეწეროს ზოგიერთ იმ ნაწარმოებთა ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც ქართველმა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა შექმნეს სამამულო ომის წლებში. უიდეობის, აპოლიტიკურობის, დასავლეთის თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედის მოხრის ელემენტები, აგრეთვე სხვა ნაკლოვანებანი, რომლებზეც ლაპარაკია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ჟურნალების "ზვეზდასა" და "ლენინგრადის" შესახებ (1946 წლის 14 აგვისტო), "დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (1946 წლის 26 აგვისტო) და ვ. მურადელის ოპერა "დიადი მეგობრობის შესახებ" (1948 წლის 20 თებერვალი) ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებსაც გააჩნდა.

სოციალისტური კულტურა, რომელმაც ყველაფერი შეისისხლხორცა, რაც კი მსოფლიო კულტურას ძვირფასი, ნამდვილად მშვენიერი, ჭეშმარიტად ხალხური და მოწინავე შეუქმნია, კაცობრიობის პროგრესული კულტურის საგნაძურის მემკვიდრეა. იგი ახალი, უმაღლესი ტიპის, ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალური კულტურაა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძალა მასების შეგნებასა და შემოქმედებით აქტივობაშია, რომ რაც უფრო მაღალია ხალხის შეგნებულობა, მით ურფო სწრაფია კომუნიზმის მშენებლობის ტემპი. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობდნენ ამ მითითებებით და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საბჭოთა ხალხის კულტურული დონისა და კომუნისტური შეგნებულობის ამაღლების საქმეს. საბჭოთა კულტურა, რომელიც თვისებრივად განსხვავებულია ძველი კულტურისაგან, ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

სოციალისტური კულტურის შექმნის სიძნელე მარტო ის როდი იყო, რომ უნდა შეგვერჩია და შეგვესისხლხორცებინა ყოველივე პროგრესული (ხალხური, დემოკრატიული და პროლეტარული), რაც კი კაცობრიობას შეუქმნია, საქმეს ისიც ართულებდა, რომ შინაარსით ინტერნაციონალური და ფორმით ეროვნული სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბება-განმტკიცების რთული პროცესი მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ ბრძოლას კულტურის სფეროში ბევრად უფრო დაძაბული და ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დრომოჭმული მავნე რეაქციული გადმონაშთები კულტურის სფეროში უფრო გამძლენი არიან.

ომის შემდგომი წლების მანძილზე პარტია და სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურის ზრდისათვის. წლითიწლობით იზრდებოდა სახელმწიფო ასიგნებანი სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და

ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა ადამიანების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ამავე დროს დაუცხრომლად იბრძოდა ბურუაზიული იდეოლოგიის სხვადასხვა გამოვლინების წინააღმდეგ, ბურჟუაზიული კულტურის წინაშე მონურად ქედის მოხრის წინაამდეგ, სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიის შერიგების, კომპრომისისა და იდეოლოგიური "მშვიდობიანი თანაარსებობის" ყოველგვარი ქადაგების წინააღმდეგ. პარტია დაუნდობლად ებრძოდა ნაციონალისტურ, კოსმოპოლიტურ და ნიჰილისტურ რეციდივებს, წარსულის იდეალიზაციისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურის დაკნინების ყოველგვარ ცდებს.

---

[1] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 34 - 35.
[2] იქვე, გვ. 459.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 462.
[5] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 460.
[6] იქვე, გვ. 462.
[7] იქვე.
[8] იქვე, გვ. 459.
[9] იქვე, გვ. 460 - 461.
[10] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 204; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. მიხედვით.
[11] იქვე, გვ. 498 – 499.
[12] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 486.
[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 49, საქ. 527, ფურც. 28.
[14] იქვე.
[15] "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", თბ., 1972, გვ. 814.

§ 2. საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების იდეოლოგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაძლიერება ომის შემდგომ პერიოდში

იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების საჭიროება ნაკარნახევი იყო იმით, რომ საბჭოთა ხალხის წინაშე ომის შემდეგ დაისახა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების გრანდიოზული ამოცანები. სამეურნეო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებანი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მშრომელთა იდეურ-კულტურულ დონეზე. როგორც ომის წარმოების, ისე სამეურნეო მუშაობის მეთოდებს განსაზღვრავს ადამიანთა შემადგენლობა, მშრომელთა იდეურ-კულტურული დონე. თუ ომში სხვა

თანაბარი პირობების დროს იმარჯვებს ის სახელმწიფო, რომლის არმია მტრის არმიას მეომართა იდეური წრთობით სჯობნის, მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაში ის ქვეყანა წინაურდება, რომელიც მშრომელთა მაღალი იდეურობით ხასიათდება.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ თეორია მატერიალურ ძალად იქცევა, როცა მასებს დაეუფლება. ეს დებულება სწორია ყოველი თეორიის მიმართ. თვით რეაქციული იდეაც კი, თუ იგი მასებს დაეუფლება, შეიძლება მატერიალურ ძალად იქცეს. ისტორიაში ყოფილა ამის მაგალითები. ანტიხალხური იდეა მარცხდება ჭეშმარიტად ხალხური იდეის წინააღმდეგ ბრძოლაში. რეაქციული თეორიების გავლენისაგან მასების სტიქიური გათავისუფლება ხანგრძლივი და მტანჯველი პროცესია. მშრომელთა ინტერესების დამცველი პარტიის ვალია იხსნას ხალხი ამ პროცესისაგან, ამხილოს რეაქციული იდეები, მოწინავე იდეებით შეაიარაღოს მასები და დარაზმოს ისინი გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი მუდამ აფრთხილებდნენ პროლეტარული საქმისათვის მებრძოლთ, რომ დაუშვებელია იდეოლოგიური მუშაობის შესუსტება, რომ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ იდეოლოგიებს შორის ბრძოლაში წარმატების ხვედრი ერთია: ერთი იდეოლოგიის მარცხი მეორის წარმატებაა და პირიქით. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებმა კომუნისტებს უანდერძეს დაუცხრომლად იბრძოლონ იდეური პრინციპების სიწმინდისათვის. ვ. ი. ლენინი ამბობდა: "მარქსიზმის პრინციპების სიწმინდე უფრო ძვირფასია კომუნისტებისათვის, ვიდრე პარტიის რიგების ერთიანობაო".

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ იდეოლოგიურ მუშაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების წმინდად დაცვას მოწმობს იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გასაუმჯობესებლად განხორციელებული ღონისძიებანი. ამ მხრივ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმაც დიდი მუშაობა გასწიეს. მაგალითად, ჟურნალების "ზვეზდასა" და "ლენინგრადის" შესახებ" საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1946 წლის 27 აგვისტოს ჩაატარა თათბირი, ჟურნალ "მნათობის" სარედაქციო კოლეგიისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის წევრების მონაწილეობით. თათბირმა საჭიროდ ცნო ჟურნალის მუშაობის გარდაქმნა. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების საფუძველზე, ნაწილობრივ შეიცვალა ჟურნალ "მნათობისა" და გაზეთ "ლიტერატურა და ხელოვნების" სარედაქციო კოლეგიები[1].

1946 წლის ოქტომბერში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში ჩატარდა საუკეთესო პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგებისა და სცენარისტების თათბირი. თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი იმ ამოცანათა

განსახორციელებლად, რომლებიც ჟურნალების "ზვეზდასა" და "ლენინგრადის" შესახებ", "დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", კინოფილმ "დიადი ცხოვრების" შესახებ" საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან გამომდინარეობდნენ. გათვალისწინებული იყო თანამედროვე თემატიკაზე მომუშავე მწერლების მივლინება მსხვილ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და ახალმშენებლობებზე[2].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარის საიკთხი და უიდეო, მხატვრულად სუსტი პიესები მოხსნა რეპერტუარიდან. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების უკეთ შესწავლის მიზნით თანამედროვე თემაზე პიესებისა და სცენარების შესაქმნელად მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, ახალმშენებლობებსა და კოლმეურნეობებში მიევლინებინა 20 დრამატურგი[3].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის მუშაობის ანგარიშში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის აქტივიზაციას ხელი შეუწყეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე და ახალგაზრდა კომუნისტებსა და მშრომელ მასებში აღმზრდელობითი და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერების შესახებ.

დიდი მუშაობა ჩატარდა ვ. მურადელის ოპერა "დიადი მეგობრობის" შესახებ" საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების[4] განსახორციელებლად. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დადგენილების შესაბამისად ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაავლა გადაესინჯა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და საქართველოს ფილარმონიის რეპერტუარები, აგრეთვე დაისახა ღონისძიებანი დრამატული თეატრების სპექტაკლების მუსიკალური გაფორმების ხარისხის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია გადაესინჯათ თბლისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიისა და რესპუბლიკის მუსიკალური სასწავლებლების სასწავლო პროგრამები[5].

ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეცნიერული დისკუსიები ფილოსოფიაში (1947 წ.), ბიოლოგიაში (1948 წ.), ფიზიოლოგიაში (1950 წ.), ენათმეცნიერებასა (1950 წ.) და პოლიტიკურ ეკონომიკაში (1951 წ.). მათ დადებითი როლი შეასრულეს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს მეცნიერები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ დისკუსიებში. რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამეცნიერო დაწესებულებებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ დაეძლიათ დისკუსიების დროს გამოვლინებული იდეოლოგიური ნაკლოვანებანი, ამ

დისკუსიების შედეგების განხილვისას კიდევ უფრო გაეძლიერებინათ მეცნიერული მუშაობა, განემტკიცებინათ მეცნიერების კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

ომის შემდგომ პერიოდში პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იდეოლოგიური არმიის ძირითადი ბირთვის – ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული კადრების მომზადებისა და გადამზადების საკითხს.

ხელმძღვანელი კადრების მომზადება-გადამზადების საჭიროება იმით იყო გამოწვეული, რომ ომის შემდეგ ხელმძღვანელ სამუშაოზე ასი-ათასობით ახალი ადამიანი დააწინაურეს. მაგალითად, 1946 წელს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ნომენკლატურის თანამდებობებზე დაამტკიცეს 14 830 კაცი[6], მათი უმრავლესობა პირველად იყო დანიშნული ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1947 წელს პარტიულ ორგანოთა ნომენკლატურის თანამდებობებზე დაამტკიცეს 11 135 კაცი[7].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 2 აგვისტოს დადგენილებაში ”ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მომზადებისა და გადამზადების შესახებ” დასახული იყო ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური მომზადების გაძლიერების ღონისძიებანი, რაც 3 – 4 წელიწადში უნდა განხორციელებულიყო. ამ ამოცანასთან დაკავშირებით ჩატარდა პარტიული სკოლებისა და კურსების რეორგანიზაცია. საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა სამწლიანი უმაღლესი პარტიული სკოლა ერთწლიანი კურსებით (ნაცვლად ორწლიანისა) და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (ასპირანტურა) დისერტანტთა ერთწლიანი კურსებით. სამხარეო და საოლქო კომიტეტებთან და ეროვნულ კომუნისტურ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული ერთწლიანი პარტიული სკოლები, მათ შორის საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ერთწლიანი პარტიული სკოლაც, ორწლიან პარტიულ სკოლებად გადაკეთდა (მოგვიანებით სწავლების ვადა კიდევ ერთი წლით გადიდდა). ამ პარტიულ სკოლებთან ხელმძღვანელი კადრების გადასამზადებლად შეიქმნა სხვადასხვაგვარი კურსები. 1946 წლის ოქტომბერში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლაში 155 კაცი სწავლობდა, ხოლო ამ სკოლის ექვსთვიან კურსებზე – 61 კაცი[8]. 1947 წელს კი აღნიშნულ ორწლიან პარტიულ სკოლაში ჩაირიცხა 150, ხოლო ამ სკოლის ექვსთვიან კურსებზე – 100 მსმენელი. გარდა ამისა, საქართველოს 72 ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი სწავლობდა საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელ განყოფილებაზე, ხოლო 25 – საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სტაციონარებში და კურსებზე[9].

1946 წელს საქართველოს კპ (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, სადაც სწავლის ხანგრძლივობა ორი წელი იყო. საღამოს უნივერსიტეტს ჰქონდა ისტორიის, ფილოსოფიის (რუსულ და ქართულ ენებზე) და პოლიტიკური ეკონომიის (ქართულ ენაზე) ფაკულტეტები. 1947 წელს ამ უნივერსიტეტში სწავლობდა 380 კაცი[10]. 1947 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი მოეწყო საქართველოს კპ (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან, ხოლო 1949 წელს – საქართველოს კპ (ბ) აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებთან[11]. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში უმთავრესად ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომოკავშირული მუშაკები სწავლობდნენ.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესებას ხელს უწყობდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 10 მაისის დადგენილება "საქართველოს პარტორგანიზაციაში კადრებთან მუშაობის შესახებ". ამ დადგენილების მიღებამდე საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბრიგადამ გულმოდგინედ შეამოწმა საქართველოს კომპარტიაში კადრებთან მუშაობის საქმე. შემდეგ საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში ძირითადად 1945 – 1946 წლებში კადრებთან მუშაობის შესახებ[12].

1947 წლის ზაფხულში კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებმა. იმსჯელეს ამ პლენუმების შედეგებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებმა. ფართო ღონისძიებანი დასახეს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის გასაუმჯობესებლად. "საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში კადრებთან მუშაობის შესახებ" საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბმაისად 1947 წელს გადიდდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლისა და მისი კურსების მსმენელთა კონტინგენტი. ამ კურსებზე სწავლების ვადა 6-დან 9 თვემდე გაიზარდა. საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში (სტაციონარსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე) და ამ სკოლის ერთწლიან კურსებზე ლიმიტი გაუდიდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას[13].

ომის შემდგომი ხუთწლედების გრანდიოზულ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის გაძლიერება მოითხოვდა კომუნისტთა პარტიული განათლების ძირეულ გაუმჯობესებას.

საქართველოს საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მსხვილ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში შეიქმნა

მუდმივმოქმედი სემინარები, საღამოს პარტიული სკოლები, სწავლების ექვსთვიანი კურსით[14]. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობდნენ პარტიის ისტორიისა და ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელი წრეები (დაბალი, საშუალო და უმაღლესი ტიპის), აგრეთვე პოლიტსკოლები და მიმდინარე პოლიტიკის წრეები. მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციებისათვის იქმნებოდა გაერთიანებული (ჯგუფური) წრეები და პოლიტსკოლები.

მრავალი ათასი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო დამოუკიდებლად სწავლობდა პარტიის ისტორიას და თეორიას. მაგალითად, 1946 წელს პარტიის ისტორიასა და თეორიას ეუფლებოდა 50 ათასზე მეტი, ხოლო 1947 წელს 70 ათასზე მეტი კომუნისტი[15].

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ პროპაგანდისტთა შორის მუშაობას, მათთვის ეწყობოდა მოკლევადიანი კურსები, სემინარები და მეთოდური თათბირები, აგრეთვე თათბირები, სადაც პროპაგანდისტები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას. 1950 წლის 15 ივნისს გაიხსნა სემინარების ხელმძღვანელ პროპაგანდისტთა ერთთვიანი კურსები (250 კაცი), 1 ივლისს სოფლისა და პრტიული განათლების ქსელის პოლიტსკოლებისა და წრეების პროპაგანდისტთა ერთთვიანი კურსები (350 კაცი), 15 ივნისიდან მეცადინეობა დაიწყო საქართველოს კპ (ბ) 10 ქალაქკომთან შექმნილ ქალაქის პროპაგანდისტთა სამთვიან კურსებზე, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობდა 848 კაცი. იმ პროპაგანდისტებისათვის, რომლებიც კურსებს გარეთ დარჩნენ, ჩატარდა ლექციებისა და მოხსენებების ციკლი პარტიის ისტორიაში, ფილოსოფიაში, პოლიტეკონომიაში, იდეოლოგიური, სამეურნეო და კულტურული მუშაობის საკითხებზე მიღებულ პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა გასაცნობად[16].

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. 1947 წლის 16 – 25 სექტემბერს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისში მოაწყო ლექტორების რესპუბლიკათაშორისო სემინარი[17].

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტთა თვისებრივ შემადგენლობაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: 1950/51 სასწავლო წელს 12 020 პროპაგანდისტი და კონსულტანტიდან 11 246 კაცი უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით იყო, 303 კაცს ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი და წოდება, ხოლო პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა 70 პროცენტს – პროპაგანდისტული მუშაობის სამ წელზე მეტი სტაჟი[18]. ამავე სასწავლო წელს საქართველოს პარტიული განათლების სისტემაში პირველად შეიქმნა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეები[19].

პარტიული განათლების სისტემაში ჩაბმულ იქნენ კომკავშირელები და უპარტიოები. 1950/51 სასწავლო წელს სხვადასხვა ფორმის პარტიული

განათლების ქსელში მონაწილეობდა 11 ათასზე მეტი კომკავშირელი და დაახლოებით 30 ათასი უპარტიო[20], ხოლო 1952/53 სასწავლო წელს – 23,7 ათასზე მეტი კომკავშირელი და დაახლოებით 23,9 ათასი უპარტიო[21].

თუ 1946 – 1949 წლებში პარტიული განათლების სისტემაში უმთავრესად პარტიის თეორიისა და ისტორიის საკითხებს სწავლობდნენ, 1950 – 1953 წლებში მოხდა ძირეული შემობრუნება კონკრეტული ეკონომიკის საკითხებისაკენ[22].

ომის შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა 1940 წელს 1958-დან, 1953 წელს 2 453-მდე გადიდდა. მათი წიგნადი ფონდი შესაბამისად გაიზარდა 1 746 ათასიდან 7 574 ათას ცალამდე. თუ 1940 წელს საქართველოში 1 483 სხვადასხვა საკლუბო დაწესებულება იყო (კულტურის სასახლეები, კულტურის სახლები, კლუბები, ქოხ-სამკითხველოები), 1953 წელს მათმა რიცხვმა 1 788-ს მიაღწია. 1945 – 1953 წლებში გაიხსნა 19 ახალი მუზეუმი[23]. მათ შორის ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი სოფ. წინანდალში (1946 წ. დეკემბერი), დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. ზემო სიმონეთში (1949 წ. ოქტომბერი), ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. ჩირგვეთში (1950 წ. იანვარი), სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (1950 წ. დეკემბერი), ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში (1951 წ. მაისი), ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი სოფ. დიდ ჯიხაიშში (1951 წ. ივლისი) და საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი თბილისში (1952 წ. დეკემბერი).

მასობრივ ბიბლიოთეკათა და საკლუბო დაწესებულებათა "გეოგრაფია" მათ "სოციალურ შემადგენლობაზე" მეტყველებს. საქართველოში 1953 წელს არსებული 2 453 მასობრივი ბიბლიოთეკიდან და 1 788 საკლუბო დაწესებულებიდან სოფლად იყო 2 0 71 ბიბლიოთეკა და 1 589 საკლუბო დაწესებულება[24]. მასობრივ ბიბლიოთეკათა რაოდენობა 1953 – 1958 წლებში გადიდდა 2 586-დან 1952 წელს 3 029-მდე 1958 წელს, საკლუბო დაწესებულებათა რიცხვი – 1854-დან 1 928-მდე, ხოლო მუზეუმებისა 51-დან 57-მდე შესაბამის წლებში[25]. მასობრივი ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებათა ქსელი განსაკუთრებით გაფართოვდა სოფლად. სოფლის ბიბლიოთეკათა წიგნადი ფონდი გაიზარდა 3,5 მილიონი ეგზემპლარით. რაიონის, სოფლის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კულტურის სასახლეები, სახლები და საკლუბო დაწესებულებანი გადაიქცნენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მოსახლეობის მომსახურებისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარების კერებად.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლაში სერიოზული როლი შეასრულეა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის აპრილის დადგენილებამ "სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 – 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მიღებასთან დაკავშირებით პარტიული

ორგანიზაციების სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ". ამ დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დასახეს და განახორციელეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები. 1946 წლის აგვისტოში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საოლქო კომიტეტების მდივნები პროპაგანდის დარგში, პარტიის ქალაქკომებისა და რაიკომების პროპაგანდის განყოფილებათა გამგეები, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორები. თათბირმა განიხილა პარტიული აქტივის თეორიული სწავლების საკითხები და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმის განმარტებისა და პოპულარიზაციის დარგში[26]. 1948 წლის 15 –17 აპრილს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი "სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ".

მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამმართველომ (1946 წ.) და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ (1947 წ.).

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას (დღევანდელი საზოგადოება "ცოდნა") განყოფილებები ჰქონდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველა რაიონსა და ქალაქში.

საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ მშრომელთა შორის: ეცნობოდნენ და განუმარტავდნენ მათ მითითებებს, რომლებიც დასახული იყო სკკპ XIX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში; აქტიურად მონაწილეობდნენ მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიების მომზადება-ჩატარებაში. აგრეთვე ღირსშესანიშნავ და რევოლუციურ თარიღებთან დაკავშირებული ზეიმების, მსოფლიო ცივილიზაციისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა იუბილეების აღნიშვნასა და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის მოწყობაში.

საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა მნიშვნელოვანწილად უწყობდა ხელს მშრომელთა კულტურული დონისა და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, მათს დარაზმვას ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

მოსახლეობაში პოლიტიკურ აგიტაციას ეწეოდა აგიტატორთა მრავალათასიანი არმია. 1947/48 სასწავლო წელს საქართველოს კპ (ბ) პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობდა 3 ათასი აგიტკოლექტივი, რომლებშიც 60 ათასზე მეტი აგიტატორი იყო გაერთიანებული[27].

მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს პრესამ და რადიომ.

1945 წლის 15 ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები ოთხგვერდიანი გახდა. პარტიული ორგანიზაციები იბრძოდნენ გაზეთების იდეურ-პოლიტიკური დონისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. სისტემატურად განიხილავდნენ პრესის საკითხებს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები. იწვევდნენ პრესის მუშაკთა რესპუბლიკურ და საოლქო თათბირებს. 1948 წლის 26 – 27 ოქტომბერს გაიმართა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა პრესის მუშაობის საკითხები "საოლქო გაზეთების "მოლოტის" (დონის როსტოვი), "ვოლჟსკაია კომუნას" (ქ. კუიბიშევი) და "კურსკაია პრავდას"გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და იდეოლოგიური საკითხების ირგვლივ მიღებულ სხვა დადგენილებათა შუქზე ყურადღება გაამახვილა თათბირმა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბრძოლა მეოთხე ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზებისა და საშუალებების, აგრეთვე მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა და მოწინავე საწარმოო კოლექტივთა გამოცდილების პროპაგანდა[28].

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გამოცემას.

ომის შემდგომ წლებში ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება განუწყვეტლივ იზრდებოდა. საქართველოს სსრ წიგნის გამომცემლობამ ომამდელ დონეს ტირაჟის მიხედვით გადააჭარბა მეოთხე ხუთწლედში, ხოლო გამოცემული წიგნების რაოდენობის მიხედვით – მეხუთე ხუთწლედში (1954 წელს)[29]. 1953 წელს საქართველოში გამოვიდა 1522 დასახელების წიგნი, მაშინ როცა 1940 წელს გამოვიდა 1639, ხოლო 1945 წელს – 482. წიგნების საერთო ტირაჟი 1953 წელს შეადგენდა 9 036 ათას ცალს ნაცვლად 5 618 ათასი ცალისა 1940 წელს და 2 689 ათასი ცალისა 1945 წელს[30].

მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლიტიკური ლიტერატურის ხვედრითი წონა. ქართულ ენაზე გამოვიდა კ. მარქსისა და ფ.ენგელსის რჩეული ნაწერების ორტომეული, კ. მარქსის "კაპიტალის" პირველი ტომი (მეორე გამოცემა), კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული წერილები, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიმოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, ფ. ენგელსის "ანტი-დიურინგი", "ბუნების დიალექტიკა" და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ბევრი სხვა ნაწარმოები.

1948 – 1953 წლებში ქართულად ითარგმნა და გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის 35 ტომი. ქართულად გამოვიდა სამი ტომი კრებულისა "სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", მრავალი დასახელების სხვა პოლიტიკური ლიტერატურა.

საგრძნობლად გადიდდა თარგმანის წილი საქართველოს მხატვრული წიგნის პროდუქციაში. ქართველმა მკითხველმა მიიღო რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების, აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის კლასიკოსების, მოწინავე საბჭოთა და მსოფლიო პროგრესული მწერლების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების თარგმანი.

განახლდა ომიანობის დროს დახურული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. ჩვენს პრესას შეემატა ახალი ბეჭდვითი ორგანოებიც. 1953 წელს საქართველოში იყო 62 დასახელების ჟურნალი და 102 დასახელების გაზეთი, მაშინ როცა 1945 წელს გამოდიოდა 26 ჟურნალი და 95 გაზეთი, და მაინც რესპუბლიკამ ჟურნალ-გაზეთების რაოდენობის, აგრეთვე გაზეთების ერთჯერადი ტირაჟისა და ჟურნალების ნაბეჭდი თაბახების მიხედვით ომამდელ დონეს ვერ მიაღწია[31].

ომის შემდგომ წლებში განახლდა ჟურნალების "მეცნიერება და ტექნიკა" (1949 წ.)[32], "დროშა" (1951 წ.), "საბჭოთა ხელოვნება" (1954), "საბჭოთა ქალი" (1957) გამოცემა, ხოლო 1957 წლიდან დაიწყო გამოსვლა ჟურნალებმა "ლიტერატურნაია გრუზია", "ცისკარი", "საბჭოთა სამართალი", "საბჭოთა მედიცინა" და სხვ. 1949 წლიდან გამოდის გაზ. "ლელო", აგრეთვე 1953 წლიდან თბილისისა და ქუთაისის საოლქო გაზეთები. 1953 – 1958 წლებში დაარსდა 56 ახალი ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა[33]. 1958 წლის 15 იანვრიდან გამოდის გაზ. "თბილისი", "ვეჩერნი ტბილისი". 1957 წ. შეიქმნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

საქართველოში წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გამოდიოდა უმთავრესად ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. ამასთან, ქართულ ენაზე გამოცემული ბეჭდვითი პროდუქცია რესპუბლიკის მთელი ბეჭდვითი პროდუქციის დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენდა. 1953 – 1958 წლებში გამოიცა თითქმის 11 ათასი სახელწოდების წიგნი საქართველოში, 61 მილიონამდე ეგზემპლარის საერთო ტირაჟით[34]: გაუმჯობესდა წიგნის გამოცემის ხარისხი. დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები. რუსულად გამოსული პოლიტიკური, მხატვრული და სპეციალური ლიტერატურა, სომხური, აზერბაიჯანული და ოსური ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, აგრეთვე ცენტრალური (საკავშირო) და ადგილობრივი (ქართული და მოკავშირე რესპუბლიკების) ხელმოწერითი გამოცემები. საქართველოს წიგნის პროდუქციის ნაწილი იგზავნებოდა მოკავშირე რესპუბლიკებში, სახალხო დემოკრატიის ქეყნებსა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებში.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკები აქტიურად იბრძოდნენ გმირი საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი, თემატიკის მხრივ მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი წიგნების გამოშვების გადიდებისათვის.

რადიო, რომელსაც ვ. ი. ლენინმა უქაღალდო და უმანძილო გაზეთი უწოდა[35], არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც გახდა.

საქართველოში რამდენიმე ენაზე წარმოებს რადიოგადაცემები. რესპუბლიკის რადიომაუწყებლობაში სერიოზული ადგილი უკავია ტრანსლაციას მოსკოვიდან. საქართველოს რადიო მუდამ უცვლიდა პროგრამებს აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ესტონეთისა და სხვა რადიოსადგურებს. მაგარამ რესპუბლიკის მშრომელები უმთავრესად მოსკოვის მეშვეობით ისმენდნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების რადიოგადაცემებს.

საქართველოს მრავალფეროვანი სახის, ფორმისა და შინაარსის რადიოგადაცემები ფართო პროპაგანდას უწევდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, საბჭოთა პატრიოტიზმს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მშვიდობიან პოლიტიკას, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებს, მრეწველობის, სოფლის მეუორნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობისა და კულტურის მოწინავე კოლექტივებს, ცალკეული ნოვატორებისა და მოწინავეების გამოცდილებას.

საქართველოს რადიო სისტემატურად აუწყებდა მშრომელებს საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის უმნიშვნელოვანეს ამბებს. საქართველოს რესპუბლიკურ და ადგილობრივ რადიოგადაცემებში, რადიოგაზეთებსა და რადიოჟურნალებში ასახულია საქართველოს მშრომელების მონაწილეობა და მათ მიერ მოპოვებული წარმატებანი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რადიო ავლენდა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და სახავდა მათი დაძლევის კონკრეტულ გზებს.

საქართველოს რადიო გადაცემებს აწყობდა მოსახლეობის ყველა ფენისათვის, ბავშვებისათვის, ახალგაზრდობისა და მოზრდილთათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკთათვის, მოუწოდებდა რადიომსმენელებს აქტიურად ებრძოლათ იმ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის გზაზე საბჭოთა ხალხის წინაშე იყო დასახული.

საბჭოთა ადამიანისთვის საუკეთესო თვისებების შთანერგვას ემსახურებოდა აგრეთვე საქართველოს რადიოს მუსიკალური, დრამატული და ლიტერატურული გადაცემები.

1957 წლიდან მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში აქტიურად ჩაება საქართველოს ტელევიზია.

ომის შემდგომ წლებში გაფართოვდა და განმტკიცდა საქართველოს კულტურული კავშირურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკებთან, რაშიც მკაფიოდ გამოიხატა საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა. საქართველომ კულტურული კავშირურთიერთობა დაამყარა საზღვარგარეთის ქვეყნებთანაც, პირველ რიგში სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით (1946 წლის 25 თებერვალი) სომხეთის სსრ მთავრობამ საბჭოთა საქართველოს საჩუქრად გადასცა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის "ვეფხის ტყაოსნის" ხელნაწერი[36].

საქართველოს მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს საბჭოთა კავშირის სახელოვანი დედაქალაქის მოსკოვის 800 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა 1947 წლის 6 სექტემბრის საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს. მისალმებაში აღნიშნული იყო:

"თბილისისა და მთელი საქართველოს მშრომელები ღრმა პატრიოტული გრძნობით აღნიშნავენ დღეს მოსკოვის 800 წლისთავს – დიდი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის თარიღს. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, ქართველი ხალხი სიამაყითა და სიხარულით წარმოთქვამს საყვარელ სახელს – მოსკოვი...

მოსკოვი ყოველთვის იყო ჩვენი ხალხების უჭკნობი მეგობრობის სიმბოლო...

დიდი რუსი ხალხის ეროვნული სიამაყე – მოსკოვი სსრ კავშირის ყველა ხალხის ეროვნული სიამაყეა. მოსკოვი – მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საყვარელი დედაქალაქი – ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხთა ერთიანობასა და ძმობას ასახიერებს...

თბილისის მშრომელები, მთელი ქართველი ხალხი ამაყობენ თავიანთი ურღვევი ისტორიული კავშირით მოსკოვთან, დიდ რუს ხალხთან, რომლის ძმური დახმარებით საქართველომ მოიპოვა თავისუფლება და ბედნიერება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ოჯახში.

ქართველ ხალხს არაერთგზის გაუგზავნია თავისი შვილები მტერთა ხელყოფისაგან მოსკოვის დასაცავად. ასე იყო 1812 წელს, ასე იყო 1941 წლის მრისხანე დღეებშიც...

თბილისის ბევრი საწარმო ეჯიბრება მოსკოვის საწარმოებს, გადმოაქვს მათი მდიდარი გამოცდილება, მათი მაღალი ინდუსტრიული კულტურა. სოციალისტურ მოსკოვთან ურღვევი შემოქმედებითი კავშირით ეწევიან თავიანთ ნაყოფიერ მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები"[37].

ჩვენი სამშობლოს ხალხთა კულტურული კავშირურთიერთობისა და ლენინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში ფართოდ იყენებდნენ საბჭოთა ხალხების კულტურის მოღვაწეთა, სხვადასხვა ეროვნების გამოჩენილ რევოლუციონერთა იუბილეებს.

მაგალითად, საქართველოსა და უკრაინაში თითოეული საიუბილეო თარიღი, დაკავშირებული, ერთი მხრივ, უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, მის ნათელ ხსოვნასთან (მან ხომ სიცოცხლის უკანასკნელი წლები საქართველოში გაატარა და დაბა სურამში გარდაიცვალა) და, მეორე მხრივ, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, მის ნათელ ხსოვნასთან (რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები უკრაინაში გაატარა და ქალაქ მირგოროდში გარდაიცვალა), აღინიშნება არა მარტო როგორც უკრაინული და ქართული ლიტერატურის დღესასწაული, არამედ როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის ზეიმი.

1951 წლის 25 თებერვალს შესრულდა ლესია უკრაინკას დაბადების 80 წელი. ეს თარიღი კი, როგორც ცნობილია, საქართველოს მშრომელთა სადღესასწაულო დღეა. 1951 წლის 7 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ერთობლივი დადგენილება მიიღეს "უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ"[38]. ამ დადგენილების შესაბამისად 1951 წლის 28 თებერვალს სურამში გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი, ხოლო 1 მარტს – ხაშურის რაიონის მშრომელთა მიტინგი. პლენუმიც და მიტინგიც ლ. უკრაინკას დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა. უკრაინელი ხალხის სასიქადულო შვილის სახელი დაერქვა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. სურამში, იმ სახლში, სადაც პოეტი ქალი ცხოვრობდა და გარდაიცვალა, მოეწყო ლ. უკრიანკას სახლ-მუზეუმი.

1952 წლის 3 აგვისტოს გაიხსნა ლ. უკრაინკას ძეგლი. იმავე დღეს მირგოროდში დ. გურამიშვილის საფლავთან გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტის დაბადების 160 წლისთავს. მიტინგში მონაწილეობდნენ პოლტავის ოლქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები[39]. ლ. უკრაინკა და დ. გურამიშვილი, ისევე როგორც საბჭოთა ხალხის ბევრი სხვა შორეული და ახლოებლი წინაპარი, სიკვდილის შემდეგაც ხალხთა ურღვევი მეგობრობის სიმბოლოებად რჩებიან.

ხალხთა დაახლოებასა და დამეგობრებას ხელს უწყობდა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ერთობლივი სამეცნიერო სესიები, თეატრალური, მუსიკალური და სხვა შემოქმედებითი კოლექტივების ურთიერთგაცვლა, ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეულები, დეკადები და კულტურული კავშირურთიერთობის სხვა ფორმები.

უცხოეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტურული კავშირურთიერთობის დამყარებისა და გაფართოების საქმეში სასარგებლო მუშაობა გასწია საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ, რომელიც 1946 წლის დამლევს ჩამოყალიბდა[40].

საქართველოს კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას სერიოზული ხარვეზებიც ჰქონდა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის ნოემბრის პლენუმმა განიხილა საკითხი "პარტიული აქტივის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ" და აღნიშნა რესპუბლიკის პარტიული აქტივის თეორიულ სწავლებაში არსებული შემდეგი ნაკლოვანებანი:

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არ იყო აღმოფხვრილი არაორგანიზებულობა, თვით დინება და უკონტროლობა პარტიული აქტივის სწავლებაში.

ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი სარგებლობდა იმით, რომ პარტიული ორგანიზაცია სუსტად აკონტროლებდა მას, და უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებელი იყო პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა.

ცალკეული პარტიული ორგანოები ცუდად ხელმძღვანელობდნენ საღამოს პარტიული სკოლების მუშაობას: დაბალი იყო სასწავლო დისციპლინის დონე, მსმენელები ხშირად აცდენდნენ მეცადინეობას, ვერ ითვისებდნენ სასწავლო მასალას.

მაგალითად, პარტიის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებთან არსებული საღამოს უნივერსიტეტებიდან რამდენიმე მსმენელი გარიცხეს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

ბევრი კონსულტანტი არ მუშაობდა მიმაგრებულ კომუნისტებთან, პარტიული ორგანიზაციები კი სუსტად ხელმძღვანელობდნენ კონსულტანტებს, არ აკონტროლებდნენ და არ წარმართავდნენ მათს მუშაობას. პარტიული ორგანოების ლექტორთა ჯგუფები ჯეროვან დახმარებას არ უწევდნენ დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებს.

პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტის ბიბლიოთეკა სათანადოდ ვერ უწყობდა ხელს პარტიულ აქტივს თეორიულ სწავლებაში.

რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები არადამაკმაყოფილებლად აშუქებდნენ აქტივის პარტიული სწავლების საკითხებს, არასაკმარისად აქვეყნებდნენ თეორიულ სტატიებს, კონსულტაციებსა და საუბრებს[41].

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაობაში არსებული ხარვეზების მიუხედავად, საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა ომის შემდგომ წლებში ხელს უწყობდა რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტივობის ზრდას.

საქართველოს მშრომელების პოლიტიკური აქტივობის ზრდის მკაფიო მაჩვენებელი იყო მათი მონაწილეობა მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელები ფართოდ ეხმაურებოდნენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებებს. 1949 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნეს მშვიდობის საერთაშორისო დღე. თბილისში გაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი მშრომელთა საერთო საქალაქო საზეიმო კრება.

1950 წლის ივნისში მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირში შეეგროვებინათ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდების ხელმოწერები. ამ კამპანიის ჩატარებისათვის საბჭოთა კომიტეტის დასახმარებლად საქართველოში შეიქმნა რესპუბლიკური (საქართველოს, აფხაზეთის, აჭარის), საოლქო (სახრეთ ოსეთის), საქალაქო და რაიონული კომისიები. სტოკჰოლმის მოწოდების ხელმოწერათა შეგროვების კამპანია, რომელიც დედამიწის ყველა კუთხეში ჩატარდა, ახალი ომის გამჩაღებელთა მრისხანე გაფრთხილება იყო. საქართველოში ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებას ხელი მოაწერა 2 275 ათასზე მეტმა კაცმა.

საქართველოს მშრომელებმა ამ მოწოდებაზე ხელმოწერით გამოხატეს თავიანთი ერთსულოვანი გადაწყვეტილება ებრძოლათ საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. მათ მოიწონეს მოწოდება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, მხარი დაუჭირეს მას და ცხადყვეს თავიანთი მზადყოფნა დაეცვათ მშვიდობის საქმე არა მარტო ამ მოწოდების ტექსტზე ხელმოწერით, არამედ შრომითი ვახტითაც, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

1950 წლის ოქტომბრის დამლევს საქართველოს საწარმოებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში განიხილეს მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის შედეგები. ეს კონფერენცია 1950 წლის 16 – 18 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში. რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა ხალხმრავალმა მიტინგებმა და კრებებმა ერთსულოვნად მოიწონეს კონფერენციის გადაწყვეტილებანი და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა.

1950 წლიდან საქართველოში ყოველწლიურად აღნიშნავენ 1 ივნისს – ბავშვთა საერთაშორისო დღეს, რომელიც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გადაწყვეტილებით დაწესდა. ეს ღირსშესანიშნავი დღე მუდამ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის ბრძოლის დროშით ტარდება.

საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ 1951 წლის 12 მარტს მიღებულ მშვიდობის დაცვის კანონს და სავსებით მოიწონეს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა.

1951 წლის აგვისტოში მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირში ჩატარებულიყო ხელმოწერა მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხუთ დიდ სახელმწიფოს – სსრ კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. საქართველოს მშრომელები მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას.

ხელმოწერათა შეგროვების კამპანია დაემთხვა საქართველოს მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის მოწვევისათვის მზადებას. 1951 წლის 30 აგვისტოს საქართველოს მშრომელების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და საზოგადოებების წარმომადგენლების თათბირმა კონფერენციის მოსაწვევად აირჩია საქართველოს საინიციატივო კომიტეტი. სექტემბრის დამდეგს საინიციატივო კომიტეტები შეიქმნა აფხაზეთისა და აჭარის მშვიდობის მომხრეთა კონფერენციების მოსაწვევად.

1951 წლის 18 – 19 სექტემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენცია[42]. ამ კონფერენციის რეზოლუცია მოუწოდებდა მშრომელებს მხარი დაეჭირათ მიმართვისათვის ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის იმ რეზოლუციისათვის, რომ სსრ კავშირში ჩატარებულიყო ამ მიმართვის ხელმოწერათა შეგროვების კამპანია. კონფერენციამ მშვიდობის მომხრეთა მესამე სრულიად საკავშირო კონფერენციაზე წარსაგზავნად აირჩია მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი 41 კაცის შემადგენლობით და საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაცია, რომელშიც შედიოდა 35 კაცი.

სსრ კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვის ხელმოწერათა შეგროვების კამპანია საქართველოში ჩატარდა ლოზუნგებით: ”დავიცვათ მშვიდობის დიადი საქმე!”, ”შრომითი წარმატებებით განვამტკიცოთ მშვიდობის საქმე!”. საქართველოს მშრომელები შრომით ვახტზე დადგნენ. რესპუბლიკაში მიმართვას ხელი მოაწერა 2 მილიონზე მეტმა კაცმა.

საქართველოში ფართოდ გამოეხმაურნენ მშვიდობის მომხრეთვა მესამე სრულიად საკავშირო კონფერენციის (1951 წლის ნოემბერი) მიმართვას მშვიდობის მოძრაობის ყველა მონაწილისადმი. რესპუბლიკის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგნეციამ ვალდებულება იკისრეს თავდადებით ეშრომათ, ყოველი ღონისძიებით განემტკიცებინათ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება.

საქართველოს წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშვიდობის მეოთხე სრულიად საკავშირო კონფერენციის მუშაობაში (1952 წლის დეკემბერი). კონფერენციამ განიხილა მოხსენება "საბჭოთა ხალხი მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლაში", დაამტკიცა მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესზე წარსაგზავნი საბჭოთა დელეგაციის განაწესი და აირჩია მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში საქართველოდან აირჩიეს გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ა. ხორავა და მ. ჭიაურელი. მშვიდობის მომხრეთა მეოთხე სრულიად საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებს საქართველოს მშრომელები საყოველთაო მოწონებით შეხვდნენ.

რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ ეხმაურებოდნენ საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარ ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას. მაგალითად, იტალიელ კომუნისტთა ბელად პ. ტოლიატიზე რეაქციონერების ავაზაკური თავდასხმის გამო 1948 წლის ივლისში საქართველოს წარმოება-დაწესებულებებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა.

ამერიკელ აგრესორთა საშინელი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს, საპროტესტო მიტინგებზე რესპუბლიკის მშრომელები სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ ომის გამჩაღებლებს და ფიცს დებდნენ, რომ კიდევ უფრო უკეთ იმუშავებდნენ სსრ კავშირის – მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ურყევი ბურჯის – ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 679, ფურც. 268.
[2] იქვე, ფურც. 269.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 239.
[4] გაზ. "კომუნისტი", 1948 წლის 13 თებერვალი.
[5] **იქვე,** 16 მარტი.
[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 241.
[7] იქვე, აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 9 - 10.
[8] იქვე, ფ. 14, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 245.
[9] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 16 – 17; აღწ. 4, საქ. 668, ფურც. 25.
[10] იქვე, საქ. 668, ფურც. 25.
[11] იქვე, აღწ. 4, საქ. 668, ფურც. 25; აღწ. 1949 წლისა, საქ. 20, ფურც. 3 – 4.
[12] იქვე, აღწ. 4, საქ. 64, ფურც. 272 – 297.
[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 18, ფურც. 9 - 17.
[14] იქვე, აღწ. 4, საქ. 668, ფურც. 23.
[15] იქვე, საქ. 657, ფურც. 148 –149.
[16] იქვე, აღწ. 21, საქ. 214, ფურც. 97 - 98.
[17] Газ. «Заря Востока», 21 сентября 1947 г.

[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 332, ფურც. 283.
[19] პარტიული განათლების ქსელში 1950/51 სასწავლო წლის შედეგების შესახებ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან.
[20] იქვე.
[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 27, საქ. 301, ფურც. 19.
[22] პარტიული განათლების ქსელში 1950/51 სასწავლო წლის შედეგების შესახებ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან, იქვე, აღწ. 23, საქ. 48, ფურც. 3.
[23] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 487.
[24] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 487.
[25] იქვე, გვ. 487.
[26] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 33, ფურც. 239.
[27] "საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", თბ., 1971, გვ. 818.
[28] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 24, ფურც. 39 - 40.
[29] «Культурное строительство СССР», 1956, стр. 318 – 319.
[30] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 498.
[31] 1940 წელს გამოდიოდა 120 გაზეთი, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 716 ათასი ცალი იყო, ხოლო 1953 წელს გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი 689 ათას ცალს შეადგენდა. 1940 წელთან შედარებით ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების ტირაჟი 1953 წელს გაიზარდა 194 ათასით, ხოლო ნაბეჭდი თაბახების რაოდენობა შემცირდა 800 ათასით («Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 499.
[32] «Грузия в датах, хроника важнейших политических, экономических и культурных событий», Тб., 1961, стр. 37.
[33] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 499.
[34] გაანგარიშებულია სტატ. კრებ. «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 498 მიხედვით.
[35] **ვ. ი. ლენინი,** თხზულებანი, ტ. 35, გვ. 464.
[36] ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.
[37] გაზ. "კომუნისტი", 1947 წლის 7 სექტემბერი.
[38] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 25, ფურც. 106.
[39] გაზ. "კომუნისტი", 1952 წლის 5 აგვისტო.
[40] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ.3, საქ. 31, ფურც. 2.
[41] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 23, საქ. 48, ფურც. 3 - 4.

[42] გაზ. "კომუნისტი", 1951 წლის 20 სექტემბერი.

§ 3. სახალხო განათლება. სპეციალისტთა მომზადება

ხალხის კულტურულ განვითარებაში მთავარ როლს ასრულებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. აქ ეყრება საფუძველი კომუნიზმის მშენებელთა საერთო კაულტურას და კომუნისტურ შეგნებულობას. აი როგორ განსაზღვრავს სკკპ პროგრამა საშუალო განათლების მნიშვნელობას: "საშუალო განათლება უნდა უზრუნველყოფდეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას, კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპების შეთვისებას, შრომითს და პოლიტექნიკურ მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გაზრდილი დონის შესაბამისად, საზოგადოების

მოთხოვნილებათა, მოსწავლეთა უნარისა და სურვილის გათვალისწინებით, აგრეთვე ჯანსაღი მოზარდი თაობის ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას”[1].

საქართველო მთლიანი წიგნიერების ქვეყანაა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადებით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქართველოს სს რესპუბლიკის საშუალო სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა გაედიდებინათ ერთი წლით. ეს წინადადება დასაბუთებული იყო იმით, რომ ქართულ სკოლაში, ისევე, როგორც სხვა ეროვნულ სკოლებში, დაახლოებით 3 ათასი საათი დათმობილი ჰქონდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას. საათების ეს რაოდენობა გამოძებნილი იყო სასწავლო საათების საერთო რაოდენობის გადიდების გზით, აგრეთვე სხვა საგნების ხარჯზე. თერთმეტწლიანი სწავლების შემოღების მთავარი მიზანი იყო საქართველოს სსრ არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადება და 1946 წლის 28 მარტს სწავლების ვადად სრულ საშუალო სკოლაში დააწესა 11 წელი, არასრულ საშუალო სკოლაში კი 8 წელი[2]. 1946 წლის 7 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება ”საქართველოს სს რესპუბლიკის საშუალო სკოლაში სწავლების ვადის ერთი წლით გადიდების შესახებ”[3]. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა 1946/47 სასწავლო წლიდან სათანადო ცვლილებანი შეეტანა რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში[4]. ამ ღონისძიებამ დადებითი როლი შეასრულა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლების საქმეში.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სისტემატურად განიხილავდნენ სკოლის მუშაობის საკითხებს.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა უკეთ მომზადების მიზნით 1947 წლიდან თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შემოღებულ იქნა ყველა დისციპლინის რუსულ ენაზე სწავლება. 1947/48 სასწავლო წელს ინსტიტუტის სტაციონარულ განყოფილებაზე მიღებული 506 სტუდენტიდან 300 რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა[5].

პარტიული და საბჭოთა ორგანოები ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მოემზადებინათ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის, მოემარაგებინათ ისინი სახელმძვანელოებით, თვალსაჩინოების ხელსაწყოებით, რვეულებითა და სასკოლო ინვენტარით, უზრუნველეყოთ სათბობით, წყლით, ელექტროენერგიით; გაეუმჯობესებინათ სასკოლო ბიბლიოთეკების, კაბინეტებისა და წრეების მუშაობა; აემაღლებინათ მასწავლებელთა და უფროს პიონერხელმძღვანელთა კვალიფიკაცია. სკოლების ბუფეტებისა და

სამედიცინო პუნქტების მუშაობის საკითხიც არაერთხელ ყოფილა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მსჯელობის საგანი.

მთავარი ყურადღება მაინც საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას ეთმობოდა. საქართველოში დიდი მუშაობა ჩატარდა დიდი ქალაქების საშუალო სკოლისა[6] და სასოფლო რაიონების არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო სწავლების განხორციელების, აგრეთვე საშუალო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესასრულებლად.

თუ სკკპ XIX ყრილობამდე მოსწავლეთა გათვითცნობიერება ტექნიკურ საკითხებში, მათი პოლიტექნიკური სწავლება უმთავრესად ბავშვთა სკოლის გარეშე დაწესებულებებში წარმოებდა, პარტიის XIX ყრილობის შემდეგ, განსაკუთრებით 1953 წლიდან, ამ მუშაობის ცენტრმა საშუალო სკოლაში გადაინაცვლა.

საქარათველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი დასახული იყო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 20 ივლისის დადგენილებაში. ამ დადგენილებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა:

ახალი სასწავლო წლიდან რესპუბლიკის დიდი სკოლების სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების სრული აღჭურვა ყველა საჭირო ხელსაწყოთი, აპარატურით და სხვა მოწყობილობით; ორიგინალური და თარგმნილი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თემატიკისა და საგამომცემლო გეგმის შემუშავება და ლიტერატურის, აგრეთვე ტექნიკური წრეებისათვის თვალსაჩინოების ხელსაწყოების, პლაკატებისა და კონსტრუქციათა აღწერილობების გამოშვების უზრუნველყოფა 1951 წელს; პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დახმარებით პროგრამებისა და მეთოდურ მითითებათა გამოცემა სკოლებსა და სკოლის გარეშე ბავშვთა დაწესებულებებში ტექნიკური წრეების მოწყობის საკითხებზე; ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ახალი დებულების შემუშავება; ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური და რაიონული სადგურების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება; ტექნიკურ სადგურებში წამყვანი დარგების მიხედვით და ადგილობრივი პირობების შესაბამისად წრეების მოწყობა[7].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაავალა უფრო ქმედითად დახმარებოდნენ სასოფლო რაიონების სკოლებსა და ბავშვთა სკოლის გარეშე დაწესებულებებს.

სხვა მრავალი ღონიძიებაც დაისახა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის გასაუმჯობესებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ საქართველოს სკოლებში გაუმჯობესდა აგროზოოტექნიკური მინიმუმის სწავლება.

ომის შემდგომ პერიოდში განუხრელად იზრდებოდა ასიგნებანი განათლების დარგში და 1945 წელს შეადგინა 62,6 მილიონი მანეთი (ფულის ახალი მასშტაბით), 1950 წელს – 104 მილიონი მანეთი, ხოლო 1953 წელს – 106,7 მილიონი მანეთი[8]. სულ უფრო ფართოვდებოდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. 1944 – 1946 წლებში სკოლებს დაუბრუნდა დროებით თავდაცვის საჭიროებისთვის დაკავებული შენობები. 1946 – 1952 წლების მანძილზე საქართველოში სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ააშენეს 77 ახალი სასკოლო შენობა, ხოლო კოლმეურნეობებმა მარტო მეოთხე ხუთწლედში 276 სასკოლო შენობა[9].

1952/53 სასწავლო წელს ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა 1940/41 სასწავლო წელთან შედარებით 184 ერთეულით შემცირდა, 1945/46 სასწავლო წელთან შედარებით - 332, ხოლო 1950/51 წელთან შედარებით – 201 ერთეულით[10]. ეს გამოიწვია სკოლების გამსხვილებამ.

1952/53 სასწავლო წელს საქართველოს ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 695,3 ათასი მოსწავლე ირიცხებოდა, მაშინ როცა 1940/41 სასწავლო წელს მათი რაოდენობა 766,5 ათასი იყო, 1945/46 სასწავლო წელს – 627,8 ათასი, ხოლო 1950/51 სასწავლო წელს 737,9 ათასი[11]. 1945/46 სასწავლო წელს ომამდელ დონესთან შედარებით მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უმთავრესად გამოიწვია წვევამდელთა ასაკის მოსწავლეების ფრონტზე წასვლამ, 1952/53 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება იმით აიხსნება, რომ 1949/50 სასწავლო წლიდან სკოლებში ომიანობის დროს დაბადებული ბავშვები მოდიოდნენ, ომის წლებში კი შობადობა მნიშვნელოვნად შემცირებული იყო.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლება წარმოებდა 6 ენაზე: ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და აფხაზურ ენებზე. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 60 პროცენტზე მეტი ქართულად სწავლობდა.

1945/46 სასწავლო წელს რესპუბლიკაში 817 მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლა იყო, სადაც სწავლობდა 34,7 ათასი კაცი[12]. მომდევნო წლებში ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების, აგრეთვე ამ სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა. 1952/53 სასწავლო წელს 357 მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლებში 19,7 ათასი კაცი სწავლობდა[13]. მაგრამ მომდევნო წლებში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა თანდათან იმატა.

ომის შემდგომ წლებში მკვეთრად გაიზარდა უფროსი კლასის მოსწავლეთა რაოდენობა. 1952/53 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 8 – 11 კლასებში ერთიორად მეტი მოსწავლე იყო, ვიდრე 1945/46

სასწავლო წელს[14]. რვა კლასდამთავრებულთა 80 პროცენტზე მეტი სწავლას განაგრძობდა საშუალო სკოლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. ყოველწლიურად მატულობდა საშუალო განათლების მქონე პირთა რაოდენობა. საქართველოს მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა მაღალკულტურულ შევსებას იღებდა.

მნიშვნელოვნად ამაღლდა მასწავლებელთა მომზადების დონე. 1952/53 სასწავლო წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა 60 პროცენტზე მეტს უმაღლესი განათლება ჰქონდა, დაახლოებით 15 ათასი მასწავლებელი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, 900 მასწავლებელს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

საქართველოს საუკეთესო მასწავლებელთაგან საუკეთესონი არჩეული იყვნენ ადგილობრივი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სს რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის მაღალი პატივი წილად ხვდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლის მასწავლებელს ოლღა მაქსიმეს ასულ გულიევას, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის ხულოს პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორს ეთერ ბარათალის ასულ აბულაძეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის ტამიშის დაწყებითი სკოლის გამგეს მარიამ ვლადიმერის ასულ გადლიას, ჭიათურის საშუალო სკოლის დირექტორს თამარ რაჟდენის ასულ მოდებაძეს და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს, დამსახურებულ მასწავლებელს მარიამ ივლიანეს ასულ ბურჭულაძეს.

შემთხვევითი როდია, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საქართველოს სახალხო განათლების მუშაკები მხოლოდ ქალებმა წარმოადგინეს. 1945/54 წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ორ მესამედს ქალები შეადგენდნენ.

გაფართოვდა ბავშვთა სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელი. 1952 წელს საქართველოში იყო 37 პიონერთა სასახლე და სახლი, 27 ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგური, 59 სპორტული სკოლა, 2 მოზარდ მაყურებელთა თეატრი, 2 თოჯინების თეატრი და მთელი რიგი სხვა სკოლის გარეშე დაწესებულებანი, რომლებიც აქტიურად ემსახურებოდნენ ბავშვთა აღზრდის დიდ საქმეს[15].

წარმატებებთან ერთად სახალხო განათლებას სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომებიც ჰქონდა. მაგალითად, 1944 – 1945 წლებში აფხაზური და ოსური სკოლების დაწყებით კლასებში მშობლიურ ენებზე მეცადინეობის ნაცვლად ქართულ ენაზე სწავლება შემოიღეს. როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე (1954 წლის 14 – 18 თებერვალი) აღინიშნა, 1953 წლიდან გატარდა აფხაზური სკოლების

რეორგანიზაცია, აფხაზეთის, ასევე სამხრეთ-ოსეთის დაწყებით სკოლებში აღდგენილ იქნა მშობლიურ ენაზე სწავლება[16].

1953 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი "საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ". ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სწავლებაში ბავშვებისა და მოზარდების მოზიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა წლების მანძილზე არ სრულდებოდა. მაგალითად, 1950/51 სასწავლო წელს გეგმა შესრულდა 96,6 პროცენტით, ხოლო 1952/53 სასწავლო წელს – 93,9 პროცენტით.

ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში მოზიდვის გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო აფხაზური და ოსური სკოლების რეორგანიზაცია.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებენ უმაღლესი სასწავლებლები. უმაღლესი განათლების მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოში.

1953 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა საერთო რაოდენობის მიხედვით საქართველო მესამე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირში რსფს რესპუბლიკისა და უკრაინის შემდეგ. 1954 წლის 1 აპრილისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში 71,2 ათასი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობდა ნაცვლად 33,9 ათასისა 1941 წლის 1 იანვრისათვის[17]. საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირთა რაოდენობა ამ პერიოდში 33,2 ათასიდან 53,5 ათასამდე გაიზარდა[18]. მაშასადამე, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების რიცხვი ომამდელ დონესთან შედარებით თითქმის გაორკეცდა.

1945/46 სასწავლო წელს საქართველოში 20 უმაღლესი და 126 საშუალო სპეციალური სასწავლებელი იყო, სადაც ცოდნას ეუფლებოდა 30,3 ათასი სტუდენტი და 25,6 ათასი მოსწავლე[19]. 1946 – 1953 წლების მანძილზე გაიხსნა ორი უმაღლესი სასწავლებელი (თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი). ამავე პერიოდში დაიხურა ორი უმაღლესი სასწავლებელი თბილისის სტომატოლოგიური და თბილისის ფარმაცევტული ინსტიტუტები, რომლებიც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს შეუერთდნენ.

საქართველოს უდიდესი უმაღლესი სასწავლებლები იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლების გამსხვილებასთან დაკავშირებით მათი რიცხვი 105-მდე შემცირდა[20]. ამათგან

ყველაზე დიდი იყო თბილისის მეტალურგიული და საავიაციო ტექნიკუმები და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი, ქუთაისის საავტომობილო ტექნიკუმი, გორის, ბაკურციხის, სოხუმის, დიდი ჯიხაიშის, წინამძღვრიანთკარის, გორა-ბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები.

1952/53 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღელს სასწავლებლებში ირიცხებოდა 35,3 ათასი სტუდენტი (დაუსწრებელთა ჩათვლით), ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე 1940/41 და 1945/46 სასწავლო წლებში, ხოლო ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში – 25,2 ათასი მოსწავლე, ანუ ნაკლები, ვიდრე 1940/41 და 1945/46 სასწავლო წლებში[21].

საქართველოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ისევე როგორც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სწავლება რამდენიმე ენაზე მიმდინარეობდა.

ახალგაზრდობის ნაწილი, რომელმაც საშუალო განათლება საქართველოში მიიღო, ყოველწლიურად იგზავნებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე საქართველოს ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებოდნენ ცოდნას მოკავშირე რესპუბლიკებიდან და სახალხო დემოკრატიული ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

1946 – 1955 წლების მანძილზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მომზადდა 52 238 სპეციალისტი, ხოლო ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში – 58 241 სპეციალისტი[22].

საქართველოს სს რესპუბლიკაში მომზადებული კადრების საერთო რაოდენობაში განუწყვეტლივ იზრდებოდა ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტთა ხვედრითი წონა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქუთაისში, ჭიათურაში, რუსთავსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში გაიხსნა ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა ინსტიტუტების, აგრეთე თბილისის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ტექნიკუმების დაუსწრებელ განყოფილებათა სასწავლო-საკონსტულტაციო პუნქტები. 1950/51 სასწავლო წელს ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მარტო რუსთავის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის კონტინგენტი შეადგენდა 150 კაცს[23]. თბილისსა და რუსთავში არსებობდა მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა კულტურული ცენტრების ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებათა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებიც.

ომის შემდგომ პერიოდში იმატა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების რაოდენობამ, გაუმჯობესდა მათი ხარისხობრივი შემადგენლობა. 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდა 2 919 პროფესორი, მეცნიერების დოქტორი, დოცენტი, მეცნიერების კანდიდატი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი და სხვა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაკი[24].

უმაღლესმა სასწავლებლებმა თავიანთი ასპირანტურების მეშვეობით რამდენიმე ასეული სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაკი მოამზადეს. მარტო 1950 – 1953 წლების მანძილზე 281 კაცმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში[25].

უმაღლესი განათლების მქონე კადრების მომზადება ძირითადად რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის საჭიროებათა გათვალისწინებით იგეგმებოდა, ხდებოდა ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლისა და ფაკულტეტის კონტინგენტის გადანაწილება და გაძლიერება რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნების, გორის ბამბეულის კომბინატისა და მსხვილი საწარმოების მშენებლობასთან დაკავშირებით გაფართოვდა მეტალურგების, მექანიკოსების, ტექნოლოგების, ქიმიკოსების, ფეიქრებისა და სხვა სპეციალობის კადრების მომზადება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1949 წლის 2 თებერვალს განიხილა საკითხი "ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების მომზადების ღონისძიებათა შესახებ" და მიზანშეწონილად მიიჩნია 1949/1950 სასწავლო წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოთხი ახალი სპეციალობის – თუჯისა და ფოლადის მეტალურგია, პიროგენული პროცესების ტექნოლოგია, ლითონების გლინვა და ლითონების ჩამოსხმა – გახსნა[26].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით 1951/52 სასწავლო წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადიდდა არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის სპეციალობით მისაღები კონტინგენტი[27].

ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა არაერთი ღონისძიება განახორციელეს სტუდენტთა კონტინგენტის გასაუმჯობესებლად და უმაღლეს და საშულაო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლების დონის ასამაღლებლად.

არც კულტურის მუშაკთა მომზადების საკითხები იყო მივიწყებული. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ "მუსიკალური და ვოკალური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 ივლისის დადგენილების განსახორციელებლად 1948 წლის 17 სექტემბერს მიიღეს ანალოგიური დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაევალა:

1949 წლის 1 იანვრამდე გამოსაცემად მოემზადებინა სასწავლო პროგრამები კონსერვატორიისათვის შემდეგ დისციპლინებში: ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, მუსიკის ისტორია და ქართული ხალხური მუსიკის ჰარმონია; ხოლო მუსიკალური სასაწვლებლებისათვის – ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება და ქართული მუსიკის

ისტორია; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში შეექმნა მუდმივმოქმედი სემინარები ქ. თბილისისა და რაიონების მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად როგორც სპეციალობაში, ისე მუსიკის თეორიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საგნებში; 1948/49 სასწავლო წელს გაეხსნა საგუნდო განყოფილება ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ათწლედში, გამოევლინებინა ახალი ვოკალური ძალები უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და სკოლების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებში, რითაც ხელი უნდა შეეწყო მათი მუსიკალური სწავლებისათვის; 1948/49 სასწავლო წლიდან შემოეღო მუსიკალურ სასწავლებლებში ქართული მუსიკის ისტორიის კურსი[28].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილებით განათლების სამინისტროს დაავალეს გაეუმჯობესებინა სიმღერის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, 1948/49 სასწავლო წლიდან საქართველოს სსრ ყველა სამასწავლებლო ინსტიტუტსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში შემოეღო საგუნდო და სოლო სიმღერის ფაკულტატური კურსი[29].

საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან გამოეყო სახსრები 400 საშუალო სკოლის, მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების მუსიკალური ინსტრუმენტებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად[30].

ამ დადგენილებამ სხვა ღონისძიებანიც დასახა მუსიკალური და ვოკალური კადრების მომზადების გასაუმჯობესებლად.

1948 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი "სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში ბიოლოგიურ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების შესახებ". ამ საკითხის განხილვა რეკომენდებული იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 სექტემბერის დადგენილებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბიოლოგიურ მეცნიერებათა სწავლება სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ბიოლოგიურ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ვერ აშუქებდნენ ტიმირიაზევისა და მიჩურინის მოძღვრების არსს. ბიოლოგიის სწავლება მოწყვეტილი იყო პრაქტიკას. პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში ბიოლოგიის კათედრების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ბოლომდე არ იყო გარდაქმნილი მიჩურინული ბიოლოგიური მეცნიერების შემოქმედებითი დამუშავების მიმართულებით.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უზრუნველეყო ბიოლოგიური მეცნიერების სწავლება მიჩურინის მოძღვრების საფუძველზე, სკოლებში შემოეღო ბოტანიკის, ზოოლოგიის, ანატომიისა და ადამიანის ფიზიოლოგიის, დარვინიზმის საფუძვლების ახალი სასწავლო პროგრამები, მოემზადებინა და

1949/1950 სასწავლო წლისათვის გამოეშვა ბიოლოგიის ახალი სახელმძღვანელოები და სასწავლო-თვალსაჩინოების ხელსაწყოები, მასწავლებელთათვის მოეწყო ლექციების ციკლი ბუნებისმეტყველების ზოგად საკითხებსა და მიჩურინული ბიოლოგიის საფუძვლებზე, ხოლო ბუნებისმეტყველების მასწავლებელთათვის – სემინარ-პრაქტიკუმები და ერთთვიანი კურსები, განემტკიცებინათ პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების ბიოლოგიის კათედრები, გარდაექმნათ ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები მიჩურინული ბიოლოგიის პრობლემათა დამუშავების მიმართულებით[31].

მართალია, ამ და სხვა ღონისძიებების მთლიანად განხორციელება ვერ მოხერხდა, მაგრამ 1949/50 სასწავლო წლიდან ბიოლოგიური მეცნიერების სწავლება საქართველოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში. 1951 წლის 6 აგვისტოს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მიიღო დადგენილება "უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"[32]. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ დადგენილების შესასრულებლად ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდათ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის სწავლების საქმეში. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 31 აგვისტოს დადგენილებაში აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კადრების შერჩევას, მომზადებასა და გადამზადებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებისაგან, მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის კათედრათა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვა: საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რათა სტუდენტები საფუძვლიანად დაუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას; საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში დოგმატიზმისა და მედავითნეობის აღმოფხვრა; მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის სწავლების მჭიდროდ დაკავშირება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან; თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული თეორიების მხილება, დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხების გადმოცემისას თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემების ფართოდ გამოყენება, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლექტორების, პირველ რიგში ახალგაზრდა პედაგოგების იდეურ-პოლიტიკური დონისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება[33].

დადგენილება ითვალისწინებდა სხვა ღონისძიებების განხორციელებასაც, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების, სტუდენტთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის უკეთ ათვისების მიზნით.

ომის შემდგომ პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო მატერიალური ბაზა. ახალ შენობებში გადავიდნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური, თბილისის სამედიცინო, ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური, საქართველოს ზოოვეტერინარული და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, აგრეთვე თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმი, ქუთაისის სამთო ტექნიკუმი და სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. ამან შესაძლებელი გახადა გაეფართოებინათ არსებული და შეექმნათ ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, სამეცნიერო-ექსპერიმენტული ლაბორატორიები.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მათმა მჭიდრო კავშირურთიერთობამ. სსრ კავშირის უმაღლესი სკოლების მუშაკთა თანამეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდა სტუდენტებისა და ასპირანტების ერთობლივი სასწავლო-თეორიული და სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, სამეცნიერო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ასპირანტთა მომზადება და ურთიერთდახმარების მრავალი სხვა ფორმა.

საქართველოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მომზადებული კადრები მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

მიუხედავად სახალხო განათლების განვითარების დარგში მოპოვებული წარმატებებისა, ომის შემდგომი წლების მანძილზე რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდა საკმარისად არ იყო დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების ეტაპზე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ განახორციელეს რიგი ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათი საქმიანობის ცხოვრებასთან მიახლოებისათვის კომუნისტური მშენებლობის პერსპექტიული ამოცანების შესატყვისად.

1953 – 1958 წლებში შემცირდა საერთო რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (4 599-დან 1952/53 სასწავლო წელს – 4 558-მდე 1958/59 სასწ. წელს), აგრეთვე საშუალო სპეციალური სკოლებისა (118-დან 92-მდე) და უმაღლესი სასწავლებლების (20-დან 19-მდე). შემცირდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა (695,3 ათასიდან

659,3 ათასამდე), მაგრამ გაიზარდა საშუალო სპეციალური სკოლების მოსწავლეთა (25,1 ათასიდან 26,8 ათასამდე) და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა (35,3 ათასიდან 48,2 ათასამდე) რაოდენობა[34].

სახალხო განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს.

ამ ტიპის სკოლებისათვის შეიქმნა სპეციალური სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის დეკემბრის პლენუმმა განიხილა საკითხი "რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"[35].

პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა პარტიული, საბჭოთა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობა წარემართა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ხარისხის ყოველმხრივ ასამაღლებლად, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად[36]. 1956 წლის 3 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სკოლა-ინტერნატების შექმნის შესახებ. 1958/59 სასწავლო წელს საქართველოში იყო 12 სკოლა-ინტერნატი 2 500 მოსწავლით[37].

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასწავლო პროცესის სრულყოფას, სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოებასა და მასწავლებელთა კადრების პროფესიულ, თეორიულ და პოლიტიკურ მომზადებას. 1958 წლის 24 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ.

სახალხო განათლების ხელმძღვანელობის საქმეში დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, პრფოკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები თავიანთ სესიებზე სისტემატურად იხილავდნენ საკითხებს სახალხო განათლების მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ, სახავდნენ და ახორციელებდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს სკოლების, სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სისტემატურად ისმენდნენ სოფლის საბჭოების მუშაობის ანგარიშებს სახალხო განათლების დარგში, იხილავდნენ სასწავლო წლის შედეგებს, სახავდნენ და ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გასაუმჯობესებლად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამცვლიანი და ორცვლიანი სწავლების შეკვეცის მიზნით აიგო ახალი სასკოლო შენობები და

განხორციელდა არსებული სკოლების რეკონსტრუქცია-გაფართოება. მეხუთე ხუთწლედის პერიოდში 1951 – 1955 წლებში აშენდა 141, ხოლო მეექვსე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში 1956 – 1958 წლებში 143 ახალი სასკოლო შენობა. ამ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს წარმოება-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და ტრანსპორტისა და მშენებლობის ორგანიზაციებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კოლმეურნეობათა წვლილი ახალ სასკოლო მშენებლობაში. 1951 – 1958 წლებში აგებულ 284 სასკოლო შენობიდან კოლმეურნეობებმა ააშენეს 154 სკოლა, ანუ ახალი სკოლების ნახევარზე მეტი[38].

სკკპ XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაძლიერდა ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პოლიტექნიზაციის საკითხებისადმი. სკოლებთან ჩამოყალიბდა ახალი ლაბორატორიები, კაბინეტები, სახელოსნოები, სასწავლო ნაკვეთები. გაფართოვდა სამრეწველო საწარმოთა კავშირი სკოლებთან, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს და ავითარებდნენ სკოლისადმი და სახალხო განათლების ორგანოებისადმი დახმარების ისეთ ფორმებს, როგორიცაა მშობელთა კომიტეტები, საყოველთაო სავალდებულო სწავლების საზოგადოებრივი პოსტები, მუშა და გლეხი ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დამხმარე კომისიები და სხვ.

გაფართოვდა სკოლისგარეშე დაწესებულებათა (პიონერთა სასახლე და სახლი, საბავშვო თეატრი, სპორტული სკოლა, ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკი, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები და სხვ.) ქსელი. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საქმეში. 1953 – 1958 წლებში დაარსდა 78 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი. საბავშვო ბაღები და ბაგები შეიქმნა კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენთა კონტინგენტში გაიზარდა ქალთა ხვედრითი წონა, აგრეთვე აფხაზი და ოსი ახალგაზრდობის რაოდენობა. 1951 – 1958 წლებში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 51,2 ათასი სპეციალისტი[39]. მათ შორის განათლების დარგის 26,1 ათასი მუშაკი, 7,2 ათასი მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინერი, 6,7 ათასი სოფლის და სატყეო მეურნეობის სპეციალისტი, 5,9 ათასი ხელოვნების დარგის მუშაკი, 2,9 ათასი ექიმი[40]. ამ პერიოდში შემცირდა უმაღლესი კვალიფიკაციის სამედიცინო კადრების მომზადება. ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ რესპუბლიკაში ზოგიერთი სპეციალობის სამედიცინო კადრების მომზადება აღემატებოდა ამ კადრების საჭიროებას. ამასთან რიგი დარგების (ნეიროქირურგიის, ონკოლოგიის, კარდიოლოგიისა და სხვ.) სპეციალობათა შესასწავლად ახალგაზრდობა იგზავნებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ოდესისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სამედიცინო ინსტიტუტებში.

1951 – 1958 წლებში საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა მოამზადეს 54,7 ათასი სპეციალისტი, მათგან ყველაზე დიდი რაოდენობით სოფლის მეურნეობის საშუალო კვალიფიკაციის კადრები (13,4 ათასი), მრეწველობისა და მშენებლობის ტექნიკური კადრები (11,3 ათასი), მასწავლებლები (10,7 ათასი) და მედიცინის მუშაკები (10,4 ათასი). მოსახლეობის 1959 წლის 11 იანვრის აღწერის მონაცემებით საქართველოში ყოველ 1 000 მოსახლეზე დამთავრებული უმაღლესი განათლება ჰქონდა 38 კაცს, საშუალო და არასრული საშუალო განათლება – 315 კაცს[41]. აღსანიშნავია, რომ განათლების დონის მხრივ ქალაქი მნიშვნელოვნად უსწრებდა სოფელს. თუ 1 000 მოსახლეზე ქალაქად დამთავრებული უმაღლესი განათლება ჰქონდა 62 კაცს, სოფლად მხოლოდ 14-ს. უმაღლესი განათლების მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნას სასწავლო პროცესის ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირების მიზნით, ტექნიკური და საშუალო სკოლების წარმოებასთან მიახლოებას.

კომუნისტურმა პარტიამ ყურადღება გაამახვილა სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისადმი, დასახა ღონისძიებანი საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ამაღლდა კომკავშირული ორგანიზაციების როლი სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. გაიზარდა სტუდენტთა საზოგადოებრივი აქტივობა, რაც გამოიხატა მათი ფართო მონაწილეობით სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებებში, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, მეხუთე და მეექვსე ხუთწლედების ახალმშენებლობებში. 1954 წლიდან მოყოლებული ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში ყოველწლიურად მიემგზავრებოდნენ სტუდენტური რაზმები. მაგალითად, 1958 წელს ყამირ მიწებზე მოწეული მოსავლის ასაღებად მხოლოდ თბილისიდან გაიგზავნა 3,3 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი, მათ შორის 2,1 ათასი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტი. 3,1 ათასი თბილისელი ახალგაზრდა, რომელთა უმრავლესობას სტუდენტები შეადგენდნენ, დაჯილდოებულ იქნენ ყაზახეთისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების, კუსტანაის ოლქისა და თბილისის საქალაქო და ყაზახეთის რაიონული კომიტეტების სიგელებით, ხოლო მოწინავეთა შორის მოწინავენი – მედლით “ყამირი მიწების ათვისებისათვის”.

[1] “საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა”, თბ., 1971, გვ. 180.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 273, ფურც. 123.
[3] იქვე, საქ. 55, ფურც. 5 - 6.
[4] იქვე, საქ. 3, ფურც. 263.
[5] იქვე, აღწ. 1948 წლისა, საქ. 48, ფურც. 166.
[6] საყოველთაო საშუალო სწავლება განხორციელდა 1953 – 1954 სასწავლო წელს თბილისში და საქართველოს სსრ 11 ქალაქში.
[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 121, ფურც. 73 - 74.
[8] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 34 - 35.
[9] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 152.
[10] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 459 მიხედვით.
[11] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 460 - 461.
[12] იქვე, გვ. 459 – 461.
[13] იქვე.
[14] 1945 – 1946 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 8 –11 კლასებში (გარდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლებისა) 60,2 ათასი მოსწავლე იყო, ხოლო 1954/1953 სასწავლო წელს – 126,5 ათასი მოსწავლე («Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 464 – 465).
[15] «Народное хозяйство Грузинской ССР», 1957, стр. 197.
[16] გაზ. “კომუნისტი”, 1954 წლის 18 თებერვალი.
[17] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 404.
[18] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 404.
[19] იქვე, გვ. 460 – 461.
[20] იქვე.
[21] იქვე.
[22] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 484 - 485.
[23] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 21, საქ. 173, ფურც. 4.
[24] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 486.
[25] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 487 მიხედვით.
[26] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1949 წლისა, საქ. 1, ფურც. 35.
[27] იქვე, აღწ. 22, საქ. 77, ფურც. 6.
[28] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 106, ფურც. 49 - 50.
[29] იქვე, ფურც. 50 – 51.
[30] იქვე, ფურც. 51.
[31] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 124, ფურც. 33 - 34.
[32] იქვე, აღწ. 22, საქ. 132, ფურც. 51.
[33] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, ფურც. 52.
[34] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 459 - 461.
[35] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 12, ფურც. 222.
[36] იქვე.
[37]«Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 467.
[38] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 382.
[39] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 484 - 485.
[40] იქვე.
[41] იქვე, გვ. 459.

§ 4. ქართული მეცნიერება სოციალიზმის სრული და საბოლოო

გამარჯვების პერიოდში (1946 – 1958 წწ.)

ა. ქართული მეცნიერების განვითარება ომის შემდგომ პერიოდში (1946 – 1952 წწ.)

ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ საბჭოთა მეცნიერებას ამოცანად დაუსახეს მუდამ ყოფილიყო მსოფლიო მეცნიერების ავანგარდში.

საბჭოთა მეცნიერების არაერთ დიდ აღმოჩენათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ატომური ენერგიის წარმოების მეთოდების დაუფლება. საბჭოთა მეცნიერებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამოართვეს ატომური ბომბის მონოპოლია, რითაც ბოლო მოუღეს ამერიკელ იმპერიალისტთა ატომურ შანტაჟს, ამოხსნეს წყალბადის ბომბის წარმოების საიდუმლოება, ატომური ენერგია ჩააყენეს მშვიდობის სამსახურში. ატომური ენერგიის დაუფლება, როგორც ამას აღნიშნავდა სკკპ XX ყრილობაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი ნ. ნესმეიანოვი, იყო არა რაღაც ცალკეული აღმოჩენა ან საიდუმლოების გაშიფვრა, არამედ ბუნებისმეტყველების წამყვანი დარგის, მეცნიერების მთელი ფრონტის უდიდესი, კარგად ორგანიზებული სწრაფი წინსვლა[1].

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწფოების ბრწყინვალე წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებულ იქნა მეცნიერების წარმოებასთან დაახლოების, საზოგადოების ყველა მშრომელი ფენის თანამშრომლობის განმტკიცების შედეგად. ვ. ი. ლენინი ამბობდა, “მეცნიერების, პროლეტარიატისა და ტექნიკის წარმომადგენლების კავშირის წინაშე ვერავითარი ბნელი ძალა ვერ გაძლებსო”[2].

საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებისადმი პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვაზე ნათლად მეტყველებს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაც. 1940 წელს საქართველოში 74 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება იყო, ხოლო 1953 წელს – 130[3]. მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობა ამავე წლებში 3 513 კაციდან 5 260 კაცამდე გაიზარდა[4]. 1953 წელს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა 352-ს, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატისა – 2 050 კაცს[5]. მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობიდან – 5 260 კაციდან 2 172 სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობდა, ხოლო 2 919 – უმაღლეს სასწავლებლებში[6].

საგულისხმოა, რომ ომის შემდგომ პერიოდში მეცნიერ მუშაკთა რაოდენობის ზრდის ტემპის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები წინ უსწრებდნენ უმაღლეს სასწავლებლებს. თუ 1953 წელს

1940 წელთან შედარებით მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში 786 კაცით გაიზარდა, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში 790 კაცით[7], 1947 – 1953 წლების მანძილზე მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში 632 კაცით გადიდდა, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში – 340 კაცით[8]. ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისთვისაც.

საქართველოში სამეცნიერო მუშაობის ცენტრს წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 1941 წლის დამდეგს დაარსდა. აკადემიის სამეცნიერო მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები და საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი.

1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ორი განყოფილება ჰქონდა: საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება და მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება, რომლებშიც 353 მეცნიერი მუშაკი მუშაობდა, მათ შორის 44 მეცნიერების დოქტორი და 111 მეცნიერების კანდიდატი[9]. 1952 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 5 განყოფილება იყო: საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა, ტექნიკურ მეცნიერებათა და ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილებები.

აკადემიაში თავდაპირველად 16 ნამდვილი წევრი შედიოდა. 1941 – 1952 წლების მანძილზე აკადმეიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები ჩატარდა 3-ჯერ (1944 წლის თებერვალში, 1946 წლის დეკემბერში და 1950 წლის დეკემბერში), რის შედეგადაც აკადემიკოსთა რიცხვი გადიდდა 37-მდე, ხოლო წევრ-კორესპონდენტების – 25-მდე.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაზე პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვას საქართველოს მეცნიერები თავდადებული შრომით პასუხობდნენ. 1953 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა კოლექტივები მუშაობდნენ 191 პრობლემაზე, რომლებიც მოიცავდა 662 თემას[10].

ქართველი მეცნიერები ამუშავებდნენ რესპუბლიკის როგორც სპეციფიკურ, ისე ზოგად პრობლემებს. საქართველოს მათემატიკური, ფიზიოლოგიური, გეოლოგიური, ენათმეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობისა და ფსიქოლოგიური სკოლები, რომლებსაც სათავეში ედგნენ აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. ჯანელიძე, ა. ჩიქობავა, გ. ჩუბინაშვილი და დ. უზნაძე, აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

ომის შემდგომ წლებში სწრაფად ვითარდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ქართველი ენათმეცნიერები და ფილოლოგები აკადემიკოსები გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, გ. წერეთელი, ა. ჩიქობავა, ა. შინიძე, წევრ-კორესპონდენტები ი. აბულაძე, კ. დონდუა და ქ. ლომთათიძე, სწავლობდნენ

ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიისა და სტრუქტურის დიდმნიშვნელოვან საკითხებს, აგრეთვე წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ენების საკითხებს.

ქართველმა ენათმეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ენათმეცნიერების საკითხებზე გამართულ საკავშირო მეცნიერულ დისკუსიაში (1950 წ.). დისკუსია დაიწყო გაზეთ "პრავდაში" საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ჩიქობავას სტატიით "საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე"[11]. "პრავდამ" გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ახვლედიანის სადისკუსიო სტატიაც[12].

ქართველ ენათმეცნიერთა ომის შემდგომი ნაშრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ისეთი კაპიტალური გამოკვლევები, როგორიცაა ა. ჩიქობავას "ერგატიული კონსტრუქციის პრობლემები იბერიულ–კავკასიურ ენებში", გ. ახვლედიანის "ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები", ა.შანიძის "ქართული გრამატიკის საფუძვლები".

1946 – 1952 წლების მანძილზე მომზადდა და გამოიცა ორთოგრაფიული, დიალექტოლოგიური, რუსულ–ქართული, ქართულ-რუსული და რამდენიმე დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

ლიტერატურის ისტორიკოსებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა აკადემიკოსების კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, გ. წერეთლის, ა. შანიძის, წევრ-კორესპონდენტების ი. აბულაძის, ა. ბარამიძის, კ. დონდუას და ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის, შ. რუსთაველის უკვდავი მემკვიდრეობის შესასწავლად, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, აგრეთვე უცხო ენებზე გამოსაცემად, კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ცალკეული დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოებების ქართული თარგმანების გამოსაქვეყნებლად, გამოსაცემად მოამზადეს ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა თხზულებების კრებულები, შეისწავლეს ქართული ფოლკლორი, ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკის, მსოფლიო ლიტერატურის, სსრ კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან ქართველი ხალხის ლიტერატურული კავშირურთიერთობის საკითხები.

შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივმა სხვა ლიტერატურათმცოდნეებთან ერთად დასაბეჭდად მოამზადა "ქართული ლიტერატურის ისტორიის" ექვსტომეული, რუსულად გამოსცა იაკობ ცურტაველის "წამებაჲ წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ" (V ს.), იოანე საბანისძის "აბო ტფილელის მარტვილობა" (VII ს.), "ვისრამიანი" (XII ს.)[13], სულხან–საბა ორბელიანის "სიბრძნე–სიცრუისა" (XVII --XVIII სს.), დავით გურამიშვილის "დავითიანი" (XVIIIს) და ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლები.

1946–1952 წლების მანძილზე მომზადდა და ნაწილობრივად გამოიცა ი. ჭავჭავძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ქართული ლიტერატურის სხვა კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულები, თანამედროვე საბჭოთა მწერლების წიგნები, ქართული ფოლკლორის კრებულები, ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემების მეცნიერული გამოკვლევები.

გაფართოვდა კვლევითი მუშაობა რუსული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე უცხო (უმთავრესად ევროპული) ენებისა და ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათვის.

საქართველოს ისტორიკოსები, არქეოლოგები და ეთნოგრაფები, რომლებსაც სათავეში ედგნენ ცნობილი მეცნიერები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ჯანაშია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ნ. ბერძენიშვილი, ე. თაყაიშვილი და ბ. კუფტინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი გ. ხაჭაპურიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი გ. ჩიტაია, მუშაობდნენ საქართველოს სამოქალაქო ისტორიის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლაზე.

1946 წლის 21 თებერვალს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს საკითხი, მოიწონა ი. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას წიგნი "საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე)", ნაწ. I და მიიღო იგი როგორც სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის[14].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა წინადადებანი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის შედგენის შესახებ. 1946 წლის 3 აგვისტოს კომისიის წინადადებათა განხილვის საფუძველზე საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს დაავალა "საქართველოს ისტორიის მეორე ნაწილის (XIX საუკუნის დამდეგიდან დიდ სამამულო ომამდე) შედგენა, მაგრამ "საქართველოს ისტორიის" მეორე ნაწილის დაწერას ხელი შეუშალა აკადემიკოს ს. ჯანაშიას გარდაცვალებამ, აგრეთვე სხვა გარემოებებმა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1949 წლის მაისში დაამტკიცა ავტორთა ახალი შემადგენლობა და დანიშნა "საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოს მეორე ნაწილზე მუშაობის ახალი ვადები. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივი შეუდგა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოების მომზადებას უმაღლესი სკოლისათვის.

ომის შემდგომ წლებში ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა და ეთნოგრაფებმა მრავალი მეცნიერული შრომა შექმნეს ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის ქართველი ხალხის წარმოშობა (ბ. კუფტინი, გ. ნიორაძე, გ.

ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე და სხვ.), საქართველოს ძველი ისტორია (ს. ჯანაშია, გ.წერეთელი, გ. მელიქიშვილი და სხვ.), ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოს ისტორია (ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, ვ. დონდუა და სხვ.), კაპიტალიზმის ეპოქის საქართველოს ისტორია (გ. ხაჭაპურიძე, ა. კიკვიძე და სხვ.), სოციალიზმის ეპოქის საქართველოს იტსორია (გ. ხაჭაპურიძე, ნ. მახარაძე, ა. სურგულაძე და სხვ.), საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია (ლ. გორგილაძე, ი. მელქაძე, ი. მირცხულავა, ზ.გეგეშიძე და სხვ.), საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მსოფლიოს ისტორია (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. წერეთელი. ი. ცინცაძე და სხვ.) უცხოეთის ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის ისტორია (ს. ჯიქია, ს. ყაუხჩიშვილი, ი. აბულაძე, ლ. მელიქსეთ–ბეგი და სხვ.).

ქართველი ხელოვნებათმცოდნეები მუშაობდნენ საქართველოს ძველი და საბჭოური ხელოვნების ისტორიის პრობლემებზე. აკადემიკოსებმა გ. ჩუბინაშვილმა, შ. ამირანაშვილმა და სხვა ხელოვნებათმცოდნეებმა შექმნეს დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივის მუშაობის ძირითად შედეგებს ასახავდნენ ინსტიტუტის შრომები "ქართული ხელოვნება", აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფიები "ჯვარის ტიპის ძეგლები", "დავით–გარეჯის მღვიმე-მონასტრები", ვ. ბერიძის მონოგრაფია "საქართველოს არქიტექტურა" და სხვა მეცნიერული ნაშრომები. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხელოვნებათმცოდნეებთან ერთად მოამზადეს მთელი რიგი შრომები ქართული ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოან პრობლემებზე.

ფილოსოფიის დარგში მომუშავე მეცნიერები სწავლობდნენ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ლოგიკის, ესთეტიკის, ეთიკის და ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის ძირითად პრობლემებს. ფილოსოფიურ სამეცნიერო–კვლევით მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ძველი პლეადის წარმომადგენლები აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, პროფესორები კ. ბაქრაძე, ს. დანელია და საბჭოთა ფილოსოფიური სკოლის აღზრდილი მეცნიერები ლ. გოკიელი, გ. ჯიბლაძე, ს. წერეთელი და სხვ.

1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ფილოსოფიის ინსტიტუტი, რომელმაც ხელი შეუწყო ფილოსოფიური მეცნიერების სწრაფ განვითარებას საქართველოში.

ომის შემდგომ წლებში გამოქვეყნდა შ. ნუცუბიძის "რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი", ლ. გოკიელის "ლოგიკის აქსიომატიზაციის პრობლემისათვის", "მრავლობის თეორიის პარადოქსები", "ლოგიკისა და მათემატიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის" და მათემატიკური ლოგიკის სხვა გამოკვლევები, კ. ბაქრაძის ლოგიკის

სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის, გ.ჯიბლაძის "ხელოვნება და სინამდვილე", ს. წერეთლის "ლოგიკურის მარქსისტულ–ლენინური გაგებისათვის" და ბევრი სხვა ნაშრომი ფილოსოფიის, ლოგიკის, ესთეტიკისა და ეთიკის სხვადასხვა პრობლემაზე.

ფილოსოფიის დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი შეასრულა გ. ალექსანდროვის წიგნის "დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორიის" გამო გამართულმა დისკუსიამ (1947 წ.) და ჟურნალ "ვოპროსი ფილოსოფიის" მიერ ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის ურითერთდამოკიდებულების საკითხებზე 1951 წელს გამართულმა დისკუსიამ. 1951 წლის დისკუსია დაიწყო პროფესორ კ. ბაქრაძის სტატიით. ჟურნალ "ვოპროსი ფილოსოფიაში" გამოქვეყნდა ქართველი ფილოსოფოსების ს. წერეთლისა და სხვების სტატიები. რამდენიმე სადისკუსიო სტატია დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკდემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომებში.

ქართველმა ფსიქოლოგებმა აკდემიკოსებმა დ. უზნაძემ და ა. ბოჭორიშვილმა, წევრ–კორესპონდენტმა რ. ნათაძემ, ა. ფრანგიშვილმა და ფსიქოლოგთა კოლექტივმა მრავალი ძვირფასი გამოკვლევა შექმნეს ზოგად, გენეტიკურ, პათოლოგიურ და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. დიდი მუშაობა შეასრულა საქართველოში ფსიქოლოგიური აზრის განვითარების ისტორიის შესასწავლად, საშუალო და უმაღლესი სკოლისათვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სახელმძღვანელოთა შესაქმნელად. მსოფლიო მეცნიერებაში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წვლილია "გამოკვლევის ექსპერიმენტული მეთოდი – განწყობის თეორია", რომელიც ცნობილი გახდა "უზნაძის ეფექტის" სახელწოდებით[15]. ომის შემდგომი წლების მანძილზე გამოვიდა ისეთი კაპიტალური შრომები, როგორიცაა დ. უზნაძის "ბავშვის ფსიქოლოგია" და "განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები", რ. ნათაძის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის.

ქართველი ფსიქოლოგები აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ფსიქოლოგიის კათედრების მუშაკთა ლენინგრადის თათბირის (1947 წ.) და ფსიქოლოგთა მოსკოვის საკავშირო თათირების (1952–1953წწ.) მუშაობაში.

ომის შემდგომ პერიოდში გაფართოვდა სამეცნიერო–კვლვითი მუშაობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტეტისა და სხვა უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების პედაგოგიკის კათედრებზე. პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის საკითხებს მიეძღვნა პროფესორების დ. ლორთქიფანიძის, უ.ობოლაძის, გ. თავზიშვილისა და სხვათა მეცნიერული გამოკვლევები.

ეკონომიკის პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ეკონომიკისა და გეოგრაფიის ინსტიტუტები (ეკონომიკური გეოგრაფიის

განყოფილება), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მწარმოებლურ ძალთა შესწავლის საბჭო, თბილისის სახელმიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეკონომიკური განყოფილებანი[11].

ეკონომისტები მუშაობდნენ პოლიტიკური ეკონომიკისა და დარგობრივი ეკონომიკის, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის პრობლემათა შესწავლაზე.

ქართველი ეკონომისტების მიერ ომის შემდგომ წლებში გამოცემული მეცნიერული გამოკვლევებიდან აღსანიშნავია ისეთი შრომები, როგორიცაა პ. გუგუშვილის "ირიგაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში", "საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX საუკუნეებში", ს. ბერაძის "გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება კოლმეურნეობაში", "საქართველოს სსრ მარგანეცის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები", ნ. ქოიავას "საერთაშორისო ვალუტის ფონდი", "კრედიტები საქართველოში XVIII საუკუნეში".

სამართლებრივ მეცნიერებათა პრობლემების კვლევის სამუშაო ძირითადად თავმოყრილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სამართლის 4 კათედრაზე) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის სექტორში.

ქართველი იურისტები მეცნიერულად ამუშავებდნენ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო, შრომის და საკოლმეურნეო სამართლის და საერთაშორისო სამართლის საკვანძო საკითხებს.

ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ეკონომიკის საკითხების კვლევაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლექტივები.

საქართველო მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია საბჭოთა კავშირში.

ომის შემდგომ წლებში ქართველმა მათემატიკოსებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მექანიკის, განსაკუთრებით კი დრეკადობის თეორიის დარგში. სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა შრომები: აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის "სინგულარული ინტეგრალური განტოლებები", აკადემიკოს ი. ვეკუას "ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები" და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს შ. მიქელაძის შრომები მათემატიკური ანალიზის მიახლოებითი მეთოდების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვ. კუპრაძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ნ. ვეკუას და გ. ჭოღოშვილის, პროფესორ ა. ხარაძის მეცნიერულ ნაშრომებში გაშუქებულია

თანამედროვე უმაღლესი მათემატიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ქართველ მათემატიკოსთა გამოკვლევები დრეკადობის თეორიასა და მათემატიკურ ფიზიკაში ფართოდაა ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ.

ქართველ მათემატიკოსთა ამ და ბევრ სხვა მეცნიერულ გამოკვლევას თეორიულის გარდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ტექნიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრისათვის.

ომის შემდგომ პერიოდში ფიზიკურ მეცნიერებათა სწრაფმა ზრდამ განაპირობა საქართველოს ექსპერიმენტული ფიზიკის დიდი სამეცნიერო ცენტრის – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის შექმნა. იგი დაარსდა 1950 წლის დამლევს ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის ორ დამოუკიდებელ სამეცნიერო ინსტიტუტებად გაყოფის შედეგად[12]. ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-ტექნიკური ფაკულტეტი[13] (რომელსაც ხელმძღვანელობდა საქარველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. მამასახლისოვი), აგრეთვე საქართველოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკოსები მუშაობდნენ ლითონთა ფიზიკის, დიელექტრიკების, კოსმოსური სხივების, გამოყენებითი ატომური და თეორიული ფიზიკის პრობლემებზე.

კოსმოსურ სხივებს სწავლობდნენ როგორც თბილისში, ისე 1951 წელს დაარსებულ მაღალმთიან იალბუზის ორ სამეცნიერო-კვლევით სადგურში.

ქართველმა ფიზიკოსებმა შექმნეს სრულყოფილი აპარატურა ბირთვულ რეაქციათა გამოკვლევისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების მეთოდების ათვისებას. საქართველოს სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ დაწესებულებებში ატომურ ენერგიას იყენებდნენ მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის დროს[14].

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული საქართველოს წიაღის, სასარგებლო წიაღისეულისა და მინერაული წყლების კომპლექსურ შესწავლაში.

გეოლოგები, გეოქიმიკოსები, პალეონტოლოგები, მინერალოგები, გეოფიზიკოსები, ჰიდროგეოლოგები, ქიმიკოსები, ჰიდროქიმიკოსები, გეოგრაფები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვა დარგების მეცნიერები დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის თეორიულ და ექსპერიმენტულ მუშაობას ეწეოდნენ.

ომის შემდგომ წლებში ძირითადად დამთავრდა საქართველოს გეოლოგიური და სტრატიგრაფიული რუკების შედგენა. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის, პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის, გეოფიზიკის ინსტიტუტის, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის, მინერალური ნედლეულის

საკავშირო ინსტიტუტის კავკასიის ფილიალის, უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრების, საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს, ტრესტების – "კავკაზუგლეგეოლოგიას", "კავმეტალპრომრაზვედკას", "საქართველოს ოქროს", "საქართველოს ბარიტის", აგრეთვე ზოგიერთი სხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის კოლექტივები.

ქართველ მეცნიერთა ა. ჯანელიძის, რ. ძოწენიძის, ს. დურმიშიძის, პ. გამყრელიძის, რ. აგლაძის, დ. დავითაშვილის, ი. კაჭარავას, ა. თვალჭრელიძის, ვ. ასათიანის, პ. ქომეთიანის, გ. ციციშვილის, ლ. გაბუნიას, რ. ნიკოლაძის, ი. გვერდწითელის და სხვათა გამოკვლევები მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების სასიცოცხლო საკითხებთან. ლ. დავითაშვილის მონოგრაფიამ "ევოლუციური პალეონტოლოგიის ისტორია დარვინიდან დღემდე" და გ. ძოწენიძის მონოგრაფიამ "საქართველოს დომიოცენური ეფუზიური ვულკანიზმი" სახელმწიფო პრემიები მიიღეს.

ომის შემდგომ პერიოდში გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არაორგანულ ქიმიაში, ორგანულ ქიმიაში, ფიზიკურ ქიმიაში, ბიოქიმიაში, გეოქიმიასა და აგროქიმიაში.

გეოფიზიკოსებმა (ბ. ბალავაძემ, მ. ნოდიამ და სხვ.), რომლებიც იკვლევდნენ მიწისქვეშა და მიწისზედა გეოლოგიურ და ფიზიკურ მოვლენებსა და პროცესებს, სერიოზული წარმატებები მოიპოვეს საქართველოს ტერიტორიის მაგნიომეტრულ, სეისმომეტრულ და გრავიმეტრულ შესწავლაში. სასარგებლო წიაღისეულის ძიებაში სულ უფრო ფართოდ იწყეს ელექტრომეტრული მეთოდების გამოყენება.

ქართველმა გეოგრაფებმა აკადემიკოს ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიური, კლიმატოლოგიური და ჰიდროლოგიური შესწავლისათვის.

ნიადაგის, მცენარეულობისა და ცხოველების გეოგრაფიის სამენიერო-კვლევით მუშაობაში გარდა გეოგრაფებისა (გ. გეხტმანი, ლ. მარუაშვილი და სხვ.) მონაწილეობდნენ ნიადაგმცოდნეები (მ. საბაშვილი და სხვ.), ბოტანიკოსები (ნ. კეცხოველი და სხვ.), მეტყევეები (ზ. გულისაშვილი და სხვ.), გეოლოგები, გეოქიმიკოსები, ზოოლოგები, ეკონომისტები და მეცნიერების სხვა დარგების სპეციალისტები.

გაფართოვდა მუშაობა გეოგრაფიის ზოგადთეორიულ პრობლემებზე, აგრეთვე რუსი, ქართველი და უცხოელი გეოგრაფების მემკვიდრეობის შესასწავლად.

ქართველმა გეოგრაფებმა შეიმუშავეს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ახალი მეთოდები. სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული კარტოგრაფიაში.

გეოლოგიური, ქიმიური და გეოგრაფიული მეცნიერებების განვითარებაში თავიანთი წვლილი მიუძღვით საქართველოს გეოლოგიურ

საზოგადოებას, დ. მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო ქიმიკოსთა საზოგადოების საქართველოს განყოფილებას და საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას.

ქართველი ასტრონომები მუშაობდნენ ასტროფიზიკის, ვარსკვლავთა ასტრონომიის, მზის ფიზიკისა და თეორიული ასტრონომიის დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე.

საბჭოთა ასტრონომიული მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია (ზღვის დონიდან 1 700 მეტრის სიმაღლეზე), რომელსაც დაარსების დღიდან (1937 წ.) სათავეში უდგას გამოჩენილი საბჭოთა ასტრონომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე.

ქართველმა ასტრონომმა მ. ვაშაკიძემ წამოაყენა შუქის ვარსკვლავთშორისი შთანთქმის ზეგავლენის გათვალისწინებით ვარსკვლავთა სივრცობრივი სიმკვრივის განსაზღვრის ახალი მეთოდი. რ. ბართაიას ეკუთვნის მნიშვნელოვანი აღმოჩენა ცვალებადი ვარსკვლავების შესწავლაში. მან სპექტრულად გამოიკვლია ახალი ვარსკვლავი, რომელიც აღმოაჩინა 1948 წელს გველის თანავარსკვლავედში.

ქართველმა ასტრონომებმა სსრ კავშირში პირველებმა დანერგეს ვარსკვლავიერი მანძილის ელექტროფოტომეტრული და ელექტროკალორიმეტრული გაზომვა.

ქართველმა ასტრონომებმა გამოიკვლიეს მზის ფიზიკისა და თეორიული ასტრონომიის პრობლემები[15].

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებმა ომის შემდგომი წლების მანძილზე შექმნეს მრავალი ძვირფასი მეცნიერული შრომა და უმაღლესი სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელო.

ომის შემდგომ პერიოდში სწრაფად ვითარდებოდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება.

სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა გაითვალისწინეს საქართველოს მრავალმხრივი და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ინტერესები და მუშაობა გაშალეს ნიადაგმცოდნეობასა და აგროქიმიაში, მცენარეთა დაცვასა, მემინდვრეობასა, მეცხოველეობასა და მეტყევეობაში.

გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ქსელი. 1952 წელს მარტო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 12 სამეცნიერო ინსტიტუტი იყო. კვლევით მუშაობას ეწეოდნენ უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და მთელ რიგ საუწყებო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა კოლექტივები.

ომის შემდგომი წლების მანძილზე მრავალი ნაშრომი შეიქმნა მემინდვრეობასა და მემცენარეობაში (ლ. დეკაპრელევიჩი, ნ. კეცხოველი, ი. ლომოური, შ. ჭანიშვილი და სხვ.), ნიადაგმცოდნეობასა და აგროქიმიაში (დ.

გედევანიშვილი, მ. დარასელია, მ. საბაშვილი, დ. სოსნოვსკი და სხვ.), მცენარეთა დაცვაში (დ. ჯაფარიძე, ლ. ყანჩაველი და სხვ.), მეხილეობასა და სუბტროპიკულ კულტურებში (ქ. ბახტაძე, ტ. კვარაცხელია, ნ. ხომიზურაშვილი და სხვ.), მევენახეობასა და მეღვინეობაში (ს. დურმიშიძე, მ. რამიშვილი და სხვ.), მეტყევეობაში (ვ. გულისაშვილი და სხვ.), სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტრიფიკაციაში (ვ. მახალდიანი, გ. შხვაცაბაია და სხვ.).

დიდად გაფართოვდა მუშაობა სელექციასა და მეთესლეობაში. აგრონომები და ზოოტექნიკოსები მეცნიერულად იკვლევდნენ ერთწლიანი კულტურების, ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის ამაღლების, საქონლის ჯიშების გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საკითხებს. მათ გამოიყვანეს უხვმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ახალი მაღალპროდუქტიული პირუტყვის ჯიშები.

აგრონომებს მხარში ედგნენ ბოტანიკოსები, რომლებმაც საქართველოს კულტურული ფლორა გაამდიდრეს როგორც ახალი ველური სასარგებლო მცენარეთა გამოვლინების, ისე უცხოური ფლორის ზოგიერთი სახეობის აკლიმატიზაციის გზით.

სოფლის მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების, ქართველ სპეციალისტთა მეცნიერულ შრომებს საერთო საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ქსენია ერმილეს ასულ ბახტაძეს მეცნიერული გამოკვლევებისათვის ჩაის ბიოლოგიაში, სელექციასა და მეთესლეობაში და ჩაის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მიხეილ კონსტანტინეს ძე დარასელიას მეცნიერული შრომისათვის "საქართველოს წითელმიწა და ეწერიანი ნიადაგი და მისი გამოყენება სუბტროპიკული კლუტურებისათვის", სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს არჩილ გიორგის ძე ნატროშვილს ახალი ჯიშის ცხვრის მიღებისათვის და მიხეილ სიმონის ძე დალაქიშვილს დასავლეთ საქართველოს დაბლობის ზონაში ხორბლის მოყვანის შესახებ მეცნიერული შრომებისათვის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების მუშაკებმა შექმნეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმძღვანელოები სხვადასხვა დისციპლინაში და აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრონომიული ცოდნის პროპაგანდაში.

ომის შემდგომ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტექნიკურ მეცნიერებებს. 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

განყოფილების დაწვრილერთეულების გზით შეიქმნა ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება.

1948 წლის 29 ივნისს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოყო კომისია საქართველოს სს რესპუბლიკაში ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესამუშავებლად.

1948 წლის 17 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი "საქართველოს სს რესპუბლიკაში ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური ცოდნის გავრცელების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ"[16]. დაამტკიცა გეგმა, რომლის მიხედვით მოსკოვის, ლენინგრადისა და სსრ კავშირის სამრეწველო და სამეცნიერო ცენტრების უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტურაში საქართველოდან უნდა გაეგზავნათ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი: 1948 წელს - 10 კაცი, 1949 წელს – 20 და 1950 წელს – 30 კაცი.

წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდა მოწინავე ინჟინერთა, უმცროს მეცნიერ მუშაკთა, აგრეთე დეფიციტური სპეციალობის ასპირანტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ნავარაუდევი იყო მათი გაგზავნა საბჭოთა კავშირის სამრეწველო საწარმოებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ხანგრძლივი საწარმოო პრაქტიკისა და სტაჟირების გასავლელად.

დადგენილება ავალებდა საქართველოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებს ძირეულად გაეუმჯობესებინათ ასპირანტთა შერჩევა და მათი სადისერტაციო სამუშაოების თემატიკა, უზრუნველეყოთ აქტუალური, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პრობლემებთან მჭიდროდ დაკავშირებული, თემების დამუშავება.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა სსრ კავშირის ცენტრალური ქალაქების უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში იმ ახალგაზრდების გაგზავნის გეგმა, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები: 1948–49 სასწავლო წლისათვის 120 კაცი, 1949–50 სასწავლო წლისათვის 200 კაცი და 1950–51 სასწავლო წლისათვის 300 კაცი[17].

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ დააკმაყოფილა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და დაავალა მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების დირექტორებს საერთო საცხოვრებლებით უზრუნველეყოთ ამ სასწავლებლებში ჩარიცხული ქართველი სტუდენტები და რომ 120 კაცი უკვე ჩარიცხული და მოწყობილი იყო მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში[18].

დაისახა ს. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სპეციალური ტექნიკური დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებანი, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ახალი, კარგად აღჭურვილი ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სახელოსნოების შექმნა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე სტუდენტთა ექსკურსიების მოწყობა სსრ კავშირის მოწინავე საწარმოებისა და ახალმშენებლობების დასათვალიერებლად.

ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს 1948 წელს ჩაეტარებინა ქიმიკოსების, მეტალურგების, ენერგეტიკოსების, მშენებლებისა და სხვათა რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების წარმომადგენელთა თათბირი ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის ძირეულად გაუმჯობესების საკითხზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა ფართოდ დაენერგა სკოლებში რადიომოყვარულთა, ავიამოდელისტთა, კონსტრუქტორთა წრეები, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა დისციპლინების წრეები; ყოველწლიურად ჩაეტარებინა ნორჩ ტექნიკოსთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა და მათემატიკოსთა ოლიმპიადები; გაეხსნა 7 რაიონულ ცენტრში ნორჩ ტექნიკოსთა ახალი სადგურები; გაეუმჯობესებინა ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარება[19].

მეცნიერების, განათლების, მრეწველობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკთათვის ამ დადგენილების ფართოდ გაცნობის მიზნით 1948 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება "საქართველოს სს რესპუბლიკაში ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური ცოდნის გავრცელების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ", საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1948 წლის 17 სექტემბრის დადგენილების განხილვის მოწყობის თაობაზე"[20].

ამ ღონისძიებათა განხორციელებას დადებითი შედეგი მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ მოსკოვსა, ლენინგრადსა, კიევსა და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრებში ომის შემდგომი წლების მანძილზე მომზადებულმა ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოში ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებაში.

კვლევით მუშაობას ტექნიკურ მეცნიერებაში ეწეოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი, სამშენებლო საქმის ინსტიტუტი და ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო განყოფილების ქიმიის ინსტიტუტი, თბილისის ნაგებობათა და

ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სრულიად საკავშირო მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილება, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-ტექნიკური ფაკულტეტი.

ომის შემდგომ წლებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობამ, ერენგეტიკული მშენებლობის არნახულმა გაქანებამ საქართველოს ენერგეტიკოსებს დაუსახა ამოცანა – გაეფართოებინათ საერთო ენერგეტიკის პრობლემათა მეცნიერული დამუშავება, შეესწავლათ რესპუბლიკის ჰიდრორესურსები და შეემუშავებინათ მათი კომპლექსური გამოყენების თეორიული საფუძვლები და კონკრეტული საქმეები. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პ. შენგელიამ, მ. მოსტკოვმა, ა. მუსხელიშვილმა და სხვებმა.

ქართველი ენერგეტიკოსები ამუშავებდნენ საკითხებს ელექტროტექნიკაში, თბოტექნიკაში, სოფლის მეურნეობის ენერგეტიკაში (რ. დვალი, ლ. აბელიშვილი და სხვ.).

გრანდიოზული მასშტაბის კაპიტალურმა მშენებლობამ სამშენებლო მექანიკასა და სეისმომედეგობის დარგში მომუშავე მეცნიერებს დიდი ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის 1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სამშენებლო საქმის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი კ. ზავრიევი. ქართველმა მეცნიერებმა დაამუშავეს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის დინამიკური თეორიის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. ისინი მუშაობდნენ ახალი სამშენებლო მასალის ძიებასა და ახალი საინჟინრო კონსტრუქციების შექმნაზე. საქართველოს მეცნიერებს – აკადემიკოს კ. ზავრიევს და მის მოწაფეებს ეკუთნით სეისმომედეგობის თეორიის დამუშავების, მსუბუქი რკინაბეტონის ანტისეისმური რკინაბეტონის სარტყლების მშენებლობაში დანერგვის პრიორიტეტი. ი. ღოღობერიძე, შ. მიქელაძე, გ. მუხაძე და ო. ონიაშვილი კვლევით მუშაობას ეწეოდნენ საინჟინრო ნაგებობათა თეორიის, კონსტრუირებისა და გაანგარიშების დარგში.

ომის შემდეგ სწრაფად ვითარდებოდა სამთამადნო მრეწველობა და მეტალურგია. ამასთან დაკავშირებით 1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა მეტალურგიისა და სამთო საქმის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის, აგრეთვე სხვა უწყებათა სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საპროექტო ორგანიზაციების თანამშრომლების აკადემიკოსების ტ. წულუკიძის, ა.

ძიძიგურის, ფ. თავაძის, კ. ბარამიძის, ვ. გომელაურისა და სხვების ნაშრომები მიეძღვნა წიაღისეულის საბადოთა ექსპლოატაციისა და გამდიდრების მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. ქართველმა მეცნიერებმა დაამუშავეს სილიციუმიანი ალუმინის შენადნობთა, მეტალურგიული მანგანუმის მიღების, აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საკითხები.

აკადემიკოსებმა რ. აგლაძემ და ა. თვალჭრელიძემ, პროფესორმა ნ. ლანდიამ და სხვებმა ბევრი ძვირფასი მეცნიერული გამოკვლევა შექმნეს ქიმიური წარმოების ტექნოლოგიასა და ადგილობრივი მინერალური ნედლეულის ქიმიური ათვისების დარგში.

ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებულ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებმა (ნ. გვარამაძე, მ. დანდუროვი, მ. კობახიძე, შ. ლოგუა და სხვები) არაერთი სპეციალური შრომა შექმნეს რკინიგზებისა და გზატკეცილების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის საკითხებზე.

ომის შემდგომი წლების მანძილზე საქართველოს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებიდან 30-ზე მეტმა მიიღო სახელმწიფო პრემიები სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძიების (კ. ვართანიანი, ე. გაბუნია, ა. კალანდაძე, გ. კერესელიძე, ა. მარგალიტაძე, ი. ნაზაროვი, ტ. ჩიტაია, ზ. ჩხიკვიშვილი), დიდი დიამეტრის რკინაბეტონის ძაბულ-არმირებული მილების დამზადების ახალი მეთოდის დამუშავებისა და დანერგვის (ნ. გიორგაძე, ნ. ლობოცკი, გ. ჩუბინაშვლი, ვ. შევჩენკო), მანგანუმის შენადნობთა გამოდნობის ახალი ტექნოლოგიის დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვის (ი. კეკელიძე, ი. ლორთქიფანიძე, ვ. მელაძე, დ. ჭიქაშუა, გ. შათირიშვილი), აგურის დამრეცი გარსის "დარბაზის" დამუშავებისა და მშენებლობაში დანერგვისათვის (ი. ღოღობერიძე). მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ერთმა ჯგუფმა (ა. გინდინი, გ. ჯიღაური, გ. მაევსკი, ნ. მაკარევიჩი, ა. მიქაბერიძე, მ. მოსტკოვი, ო. ობოლაძე, ნ. პოღოსიანი, ს. რუტკოვსკი, გ. წულეისკირი, ვ. ჭანკოტაძე, ს. შანშიევი, მ. ებრალიძე, ვ. ერისთავი) სახელმწიფო პრემია მიიღო ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მონაწილეობისათვის.

ომის შემდგომ წლებში მაღალ დონეზე ავიდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგში.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების კათედრები და კლინიკები, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სხვა უწყებების სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულება, აგრეთვე სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოებანი.

ომის შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობა, იმატა იქ მომუშავე სპეციალისტთა რიცხვმა,

მკვეთრად გაუმჯობესდა თეორიულ და პრაქტიკულ მედიცინაში დასაქმებული კადრების შემადგენლობა.

გაფართოვდა სამეცნიერო კვლევა მორფოლოგიასა და ჰისტოლოგიაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ნათიშვილის, პროფესორების ნ. ჯავახიშვილის[21], ა. ზურაბაშვილის[22], დ. იოსელიანისა და სხვათა ნორმალური მორფოლოგიისა და ჰისტოლოგიის სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და მეცნიერული გამოკვლევები საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების ძვირფასი შენაძენია.

პათოლოგიური მორფოლოგიის ძირითად პრობლემებს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ჟღენტის, პროფესორების ი. ტატიშვილის[23], ა. ურუშაძისა და სხვათა მეცნიერული შრომები.

თეორიული მედიცინის დიდმნიშვნელოვანი საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბიოქიმიკოსები, პათოფიზიოლოგები, მიკრობიოლოგები და ეპიდემიოლოგები, ფარმაკოქიმიკოსები და ფარმაკოლოგები, ჰიგიენისტები.

ტროპიკოლოგებმა (ს. კანდელაკი, გ. მარუაშვილი და სხვ.) შექმნეს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი კომპლექსური მეთოდები. მათ გამოიმუშავეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში გავრცელებული მალარიის სხვადასხვა ფორმის პროფილაქტიკური ღონისძიებანი, დიაგნოსტიკა და მკურნალობის მეთოდი.

კურორტოლოგები იკვლევდნენ რესპუბლიკის კურორტების სამკურნალო თვისებებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მინერალური წყლების შესწავლასა და სამკურნალოდ გამოყენებას (საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინებულია 1 500-მდე მინერალური წყალი)[24].

თერაპევტებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ნ. ყიფშიძემ, მ. წინამძღვრიშვილმა და სხვებმა დაამუშავეს და დანერგეს ჰიპერტონიის მკურნალობის ახალი მეთოდები.

თერაპევტები, ქირურგები და სხვა სპეციალისტები სწავლობდნენ და სრულყოფდნენ კუჭ-ნაწლავის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კ. ერისთავი, პროფესორები დ. მამამთავრიშვილი, გ. მუხაძე, ე. ფიფია და სხვ.), ფილტვებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის მეთოდებს (პროფესორები ნ. ანთელავა, მ. ჩაჩავა და სხვ.).

კუჭ-ნაწლავის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის დროს ფართოდ იყენებდნენ ბაქტერიოფაგს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებმა იგი საბჭოთა კავშირში პირველებმა გამოიყენეს ქირურგიაში. ფართოდ დაინერგა სისხლის გადასხმის მეთოდი. საქართველოს მეცნიერები მონაწილეობდნენ კვლევით მუშაობაში სისხლის ხელოვნური შემცვლელების შესაქმნელად.

ფილტვების, გულისა და სისხლძარღვთა სისტემის ქირურგიაში ინერგებოდა სპეციალური ჰიპოთერმული აპარატები და ხელოვნური

(სინთეზური) ძარღვები. ქირურგ მ. ახალაიას სისხლძარღვთა ამომკერავი აპარატის შექმნაში მონაწილეობისათვის 1951 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

წარმატებით მუშაობდნენ უროლოგები (სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ა. წულუკიძე და სხვ.), პედიატრები (პროფ. ვ. თოხაძე, მ. უგრეხელიძე და სხვ.), გინეკოლოგები (ბ. ღოღობერიძე და სხვ.), ნევროპათოლოგები (პროფ. პ. ქავთარაძე, პ. სარაჯიშვილი და სხვ.), ფსიქიატრები (პროფ. ა. ზურაბაშვილი და სხვ.), ვენეროლოგები (პროფ. პ. ბუაჩიძე და სხვ.), ოტოლარინგოლოგები (პროფ. ს. ხეჩინაშვილი და სხვ.), ოკულისტები (პროფ. ი. სიხარულიძე, ნ. ხრამელაშვილი და სხვ.), სტომატოლოგები (პროფ. ა. მენაბდე, ა. ურუშაძე და სხვ.), ორთოპედები და ტრავმატოლოგები. ნევროპათოლოგიურ დაავადებათა მკურნალობაში სულ უფრო ფართოდ ინერგებოდა ნეიროქირურგიული მეთოდები.

საქართველოს მეცნიერებმა შეიმუშავეს სამთამადნო მრეწველობის მუშათა შორის გავრცელებულ სპეციფიკურ დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებანი.

ომის შემდგომ წლებში გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლისათვის, დამუშავდა მედიცინის, ისტორიისა და ქართული ხალხური მედიცინის ცალკეული საკითხები.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა პრობლემებს სწავლობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის, ზოოლოგიის ინსტიტუტები და ბიოლოგიურ და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების პალეობიოლოგიის სექტორი, ბოტანიკის, მცენარეთა დაცვისა და მეტყევეობის ინსტიტუტები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების, თბილისის, ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემისა და სხვა უწყებათა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სამედიცინო, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული ინსტიტუტების და სხვა უმაღლესი სასწავლებლების კათედრები და ლაბორატორიები, აგრეთვე საქართველოს სამეცნიერო-ბიოლოგიური საზოგადოებანი.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს ფიზიოლოგები (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი ვ. ვორონინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. გედევანიშვილი, პროფესორები ა. ბაკურაძე, ს. ნარიკაშვილი და სხვ.) იკვლევდნენ ცენტრალური ნერვული სისტემის, პერიფერიული ნერვების, კუნთების, სისხლის მიმოქცევის, ადამიანის ორგანიზმში აირცვლის, საკვების მომნელებელი ჯირკვლებისა და თირკმლების მოქმედებაზე მინერალური

წყლებისა და ჰორმონების ზეგავლენისა და სპორტული ფიზიოლოგიის საკითხებს.

ადამიანის ფიზიოლოგიის ზოგიერთი საკითხის მეცნიერულ დამუშავებაში მონაწილეობდნენ ბიოქიმიკოსები.

ზოოლოგები (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ფ. ზაიცევი, პროფესორი ა. ა. სადოვსკი და სხვ.) მუშაობდნენ სასარგებლო და მავნე ცხოველების ახალ სახეობათა გამოვლინებაზე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი კონსულტაციას უწევდა საქართველოსა და მოკავშირე რესპუბლიკების თევზის მეურნეობის, ეპიდემიოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებს.

ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერთა კავშირურთიერთობა და მეცნიერული თანამშრომლობა საქმიან კონტაქტებში გადაიზარდა.

საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებანი ახორციელებდნენ თავიანთი მუშაობის კოორდინაციას (მართალია არასაკმარისად) მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნისა და სსრ კავშირის სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობასთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს დიდ დახმარებას უწევდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ყოველწლიურად იხილავდა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების თემატურ გეგმებს და ადგენდა რეკომენდაციებს ამ გეგმების გამო.

1953 წლის თებერვალში საკოორდინაციო საბჭოს XII სესიამ განიხილა და მოიწონა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1953 წლის სამუშაო გეგმა, ამასთან მან განსაზღვრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო პრობლემები. 1953 წლის 27 თებერვალს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გაფართოებულმა სხდომამ დასახა საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას დაევალა მასში შემავალი ინსტიტუტების მუშაობაში დაენერგა კრიტიკა და თვითკრიტიკა, ულმობელი ბრძოლა ეწარმოებინა ანტიმარქსისტული იდეოლოგიის ყოველნაირი გამოვლინების, კერძოდ ნაციონალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ; სამეცნიერო დაწესებულებათა თემატურ გეგმებში გაეთვალისწინებინა თემები, რომლებშიც მოცემული იქნებოდა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური იდეოლოგიის, პანთურქიზმის, პანირანიზმისა და პანისლამიზმის საფუძვლიანი კრიტიკა; ფართოდ გაეშუქებინა რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთების პროგრესული მნიშვნელობის საკითხები; უფრო ფართოდ ეჩვენებინა რუსეთის დემოკრატიული აზროვნებისა და რუსული კლასიკური ლიტერატურის კეთილისმყოფელი ზეგავლენა ქართული კულტურის

განვითარებაზე; გაეძლიერებინა ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის, კერძოდ ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის იდეის მეცნიერული დასაბუთება და მეცნიერული პროპაგანდა; გაეუმჯობესებინა ქართველ მეცნიერთა შრომებისა და ცალკეული პირველწყაროების რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის საქმე; აემაღლებინა მეცნიერული შრომების ხარისხი; უზრუნველეყო მჭიდრო კავშირურთიერთობა და კონტაქტი საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებების სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებთან; მიეღწია საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების თემატური გეგმებისა და ანგარიშების რეცენზირებაში და მოეწყო მათი ბეჭდვითი პროდუქციის განხილვა საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტებში.

ამ დადგენილებამ განსაზღვრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკდემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თითოეული ინსტიტუტის კონკრეტული ამოცანებიც[25].

საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, უწინარეს ყოვლისა მოსკოვის, ლენინგრადის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერები. თავის მხრივ, ქართველი მეცნიერები ჩაებნენ მოკავშირე რესპუბლიკების ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულების მუშაობაში. საქართველოს მეცნიერთა კონტაქტებმა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნისა და სხვა სამეცნიერო ცენტრების კოლექტივებთან დიდი როლი შეასრულა საქართველოს სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებაში.

ომის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა წარმოების მუშაკებთან საქართველოს მეცნიერთა შემოქმედებითი კავშირურთიერთობა, რაც ხელს უწყობდა როგორც სახალხო მეურნეობის პრაქტიკულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას, ისე თეორიული მეცნიერების განვითარებას. საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებები ფართოდ გამოეხმაურნენ ლენინგრადელთა პატრიოტულ თაოსნობას (1949 წ.) მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირის შემდგომი გაძლიერების შესახებ.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი დიდ ყურადღებას აქცევდნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის შეხამებას სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად ამოცანებთან, მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვას წარმოებაში, აგრეთვე მეცნიერული კადრების მომზადება–განაწილების გაუმჯობესებას[26].

1950 წლის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიამ მოახდინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლების ხელახალი ატესტაცია. მან ცხადყო, რომ აკადემიის სისტემის

დაწესებულებებში მაღალკვალიფიციურ კადრებთან ერთად ცოტა როდი იყო მეცნიერებისათვის შეუფერებელი და უპერსპექტივო თანამშრომელი[27]. ამ ატესტაციის შედეგად განხორციელდა მეცნიერული კადრების გადანაწილება და ზოგიერთის სხვა სამუშაოზე გადაყვანაც.

1951 წელს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების მუშაობის გაჯანსაღების მიზნით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა საკითხი სამეცნიერო–პედაგოგიური კადრების შეთვისების შესახებ და დასახა უკანონო შეთავსებების ლიკვიდაციის ღონისძიებანი[28].

ომის შემდგომ წლებში საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მოხდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ პარიზიდან ჩვენს რესპუბლიკას დაუბრუნდა ყოფილი მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს გაზიდული სამუზეუმო განძეულობა, რომელიც შესანახად გადაეცა საქართველოს მუზეუმებს[29].

1946 წელს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენა საბერძნეთიდან, ეგვიპტიდან და სირიიდან ძველი ხელნაწერებისა და ქართული კულტურის სხვა ძეგლების საქართველოში დაბრუნების საკითხი[30]. (შუა საუკუნეებში ამ ქვეყნების ახლანდელ ტერიტორიაზე არსებობდა ქართული მონასტრები და ახალშენები), მაგრამ ამ საქმის მოგვარება ვერ მოხერხდა.

1947 წელს მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსის პროექტების ესკიზების დახურული კონკურსი. კონკურსში გამარჯვებულ არქიტექტორს გ. ლეჟავას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პრემია მიენიჭა[31].

1947 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსის (13 კორპუსი) მშენებლობისათვის გამოყო მიწის ნაკვეთი თბილისში საბურთალოს პლატოზე[32].

1950 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში 15-ტომიანი ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენის საკითხი დააყენა. ლექსიკონის შედგენისა და ბეჭდვის სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 1950–1956 წლებში[33]. ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი დიდ როლს შეასრულებდა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ იმხანად მისი გამოცემის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

საქართველოს მეცნიერები არჩეული არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად, ბევრი მეცნიერი მუშაკი კი არჩეული იყო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონმიური ოლქის საოლქო საბჭოსა და სქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად.

საქართველოს რამდენიმე ათასი მეცნიერი მუშაკი და უმაღლესი სკოლის პედაგოგი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნ. მუსხელიშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

საბჭოთა კავშირის მეცნიერთა სახელოვანი არმიის ქართულმა რაზმმა, რომელმაც ომის შემდგომი წლების მანძილზე ერთგვარი "მეცნიერული მარაგნამეტი" შექმნა, ახალი შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებაში სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის მომდევნო პერიოდში.

ბ. ქართული მეცნიერება 1953–1958 წლებში

სოციალიზმის მშენებლობის ახალ ეტაპზე ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა.

მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ XX ყრილობას, რომელმაც შეიმუშავა საბჭოთა მეცნიერების სწრაფი განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების სამოქმედო პროგრამა.

1953–1958 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიური ბიუჯეტი. 1952 წელს იგი შედაგენდა 51,4 მილიონ მანეთს[34], ხოლო 1958 წელს – 93,3 მილიონ მანეთს[35].

გაფართოვდა სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი და გაიზარდა ამ დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა. 1953 წელს საქართველოში არსებულ 130 სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობდა 5 260 მეცნიერი თანამშრომელი[36], 1958 წელს კი – 145 სამეცნიერო დაწესებულება აერთიანებდა 7 439 თანამშრომელს[37]. ცვლილებანი მოხდა მეცნიერ თანამშრომელთა თვისებრივ შემადგენლობაშიც. 1953 წელს მეცნიერებათა დოქტორი იყო 352, 1958 წელს – 403, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატების რაოდენობა 2 050-დან გაიზარდა 2 933-მდე[38].

აღნიშნულ პერიოდში მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობის ზრდის ტემპის მხრივ სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა მნიშვნელოვანდ გაუსწრეს უმაღლეს სასწავლებლებს. 1953 წელს სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობდა 2 172 მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში – 2 919 კაცი. 1958 წელს უმაღლეს სასწავლებლებში იყო 3 198 მეცნიერი თანამშრომელი, სამეცნიერო დაწესებულებებში კი უკვე 4 085 კაცი, ანუ 857 თანამშრომლით მეტი. ამრიგად, 1958 წელს მეცნიერ თანამშრომელთა

რაოდენობა 1953 წელთან შედარებით უმაღლეს სასწავლებლებში გაიზარდა 279 კაცით, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებებში – 1913 კაცით[39].

საქართველოში მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები და საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებმა.

1953–1958 წლებში სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა ასეულობით ახალგაზრდა მეცნიერი მოამზადეს ასპირანტურის გზით, მათ შორის ნაწილი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

1956 წლიდან საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რამდენადმე შეიცვალა მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურა. დაარსდა რამდენიმე ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის. 1957 წელს საქართველოს აკადემიას გადაეცა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სრულიად საკავშირო ქვანახშირის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. ამ ფილიალის, აგრეთვე ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამთო განყოფილების ბაზაზე შეიქმნა სამთო საქმის ინსტიტუტი. ლითონისა და სამთო საქმის ყოფილ ინსტიტუტს მიეცა მეტალურგიული პროფილი და იგი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა[40]. დაარსდა კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აკადემიასთან არსებული პალეობიოლოგიის სექტორი გარდაიქმნა ინსტიტუტად[41].

საქართველოში ახლად დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში გადავიდა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი[42]. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან მოეწყო რუსთველოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილებები. ეკონომიკის ინსტიტუტში შეიქმნა პოლიტიკური ეკონომიკისა და სამართლის განყოფილება[43]. გეოლოგიის ინსტიტუტში დაარსდა ჰიდროლოგიისა და საინჟინრო განყოფილება. თუ 1953 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტთა არჩევნების შედეგად აკადემიაში გაერთიანებული იყო 37 ნამდვილი წევრი და 25 წევრ-კორესპონდენტი, 1958 წლისათვის აკადემიის შემადგენლობაში შედიოდა ერთი საპატიო წევრი, 43 აკადემიკოსი და 30 წევრ-კორესპონდენტი, აქედან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იყო 3, ხოლო წევრ-კორესპონდენტი – 4[44].

აკადემიაში 1953 წელს მუშაობდა სულ 1 365 მეცნიერი თანამშრომელი[45], 1958 წელს მათი საერთო რაოდენობა გაიზარდა 1 717 კაცამდე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დაწესებულებანი 1958 წელს ამუშავებდნენ 198 პრობლემის 975 მსხვილ მეცნიერულ თემას[46].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, აჯამებდა რა ქართული მეცნიერების მიღწევებს ყველა დარგში, 1958 წლის დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნავდა: ”თავისი არსებობის შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში აკადემიამ შეძლო გაეჩაღებინა დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომლის შედეგები სულ უფრო მეტად უწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას და ამავე დროს თვალსაჩინო წვლილია საბჭოთა მეცნიერების საგანძურში. პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობის შედეგად საბჭოთა საქართველოში სულ უფრო წარმატებით ვითარდება თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგი”[47].

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოკლედ განვიხილოთ ქართული მეცნიერების მიღწევები 1953–1958 წლებში. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა 1953–1958 წლებში მოამზადა დიდი ეროვნული ძეგლი – ”ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის” სამი ტომი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების IV და Vტომები[48].

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივმა დიდი სამუშაოები შეასრულა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების და საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების საბჭოთა ხალხების, აგრეთვე უცხოურ ენებზე გამოსაქვეყნებლად. ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი რუსეთ-საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებს[49].

ქართველი ისტორიკოსები წარმატებით მუშაობდნენ საქართველოს სამოქალაქო ისტორიისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ისტორიკოსთა ჯგუფს აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ”საქართველოს ისტორიის” მეორე ნაწილის დაწერა, აგრეთვე უმაღლესი სკოლებისათვის საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოთა შექმნა.

ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გარდაიქმნა ისტორიის ინსტიტუტის მუშაობა, ამაღლდა ნაშრომების მეცნიერული და იდეური დონე[50]. 1958 წელს გამოიცა აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით ”საქართველოს ისტორიის” ახალი სასკოლო სახელმძღვანელო. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან 1958 წლამდე[51].

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 6 იანვრის დადგენილებით სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს დაევალა საქართველოს კომპარტიის ისტორიის დაწერა. 1957 წელს გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების პირველი ნაწილი ქართულ და რუსულ ენებზე[52].

დიდი მუშაობა წარმოებდა ქართველი ხალხის წარმოშობის, ძველი ისტორიის, ფეოდალიზმის, კაპიტალიზმის, სოციალიზმის ეპოქის საქართველოს ისტორიის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის, სსრ კავშირის ხალხთა და მსოფლიო ისტორიის, უცხოეთის ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის ისტორიის საკითხების შესასწავლად. ამ წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია გ. მელიქიშვილის მონოგრაფიები "ნაირი-ურარტუ" და "ურარტუს ლურსმული წარწერები" (1953, 1954 წწ.), ამ ნაშრომებისათვის გ. მელიქიშვილს 1957 წელს ლენინური პრემია მიენიჭა; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ხაჭაპურიძის მონოგრაფია "1905–1907 წლების რევოლუცია საქართველოში" (1955 წ.), ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, ა. კალანდაძისა და გ. ლომთათიძის კოლექტიური შრომა "მცხეთა, ნაწ. I, არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლები" (1955 წ.)[53].

თვალსაჩინო წარმატებებით ხასიათდება ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლა. 1953–1958 წლებში ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა დაამუშავეს საქართველოს ძველი და საბჭოური დროის ხელოვნების პრობლემები. აკადემიკოსმა გ. ჩუბინიშვილმა გამოსცა ნაშრომი "ქართული ოქრომჭედლობა". აკად. შ. ამირანაშვილმა – "ქართული ხელოვნების განვითარების ისტორია". ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა თბილისის უნივერსიტეტთან, ხელოვნების მუზეუმთან და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად გამოსაცემად მოამზადა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

ეკონომიკის ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭოსა და უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკურ კათედრებზე 1953–1958 წლებში გრძელდებოდა მუშაობა პოლიტიკური ეკონომიის, დარგობრივი ეკონომიკის, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა ეკონომიკის ინსტიტუტის თემატიკა. უფრო მეტი ადგილი დაეთმო საქართველოს ეკონომიკის საკითხებს[54], თუმცა ადგილი ჰქონდა სახალხო მეურნეობის ისტრიით გატაცებას, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებს[55].

ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული სამართლის სექტორი სწავლობდა სამართლებრივი მეცნიერების პრობლემებს, საქართველოს

სახელმწიფოს სამართლის ისტორიის საკითხებს, ამუშავებდა ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიას.

ფილოსოფიის ინსტიტუტი 1953–1958 წლებში სწავლობდა შემეცნების თეორიის, ისტორიული მატერიალიზმის, ლოგიკის, ესთეტიკის, ეთიკისა და ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის ძირითად პრობლემებს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერებებს. გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო ნაშრომი[56]. მათ შორის შ. ნუცუბიძის "ქართული ფილოსოფიის ისტორიის" მეორე ტომი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი მუშაობდა ფსიქოლოგიის ზოგად პრობლემებზე. ინსტიტუტში შეიქმნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები აზროვნებისა და მეტყველების, სწავლების ზოგადი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის, ფსიქოპათოლოგიის საკითხებზე[57]. გამოქვეყნდა ა. ბოჭორიშვილის "ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები" (პირველი ტომი) და სხვ.

სახალხო განათლების სამინისტროს პედაგოგიკის ინსტიტუტში შეიქმნა პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევა.

1953–1958 წლებში ნაყოფიერად მუშაობდნენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი სასწავლებლები.

აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იკვლევდა აფხაზური ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის საკითხებს, ენათმეცნიერები და ლიტერატორები ომის შემდგომ წლებში იკვლევდნენ აფხაზური ენის დიალექტებს, გრამატიკულ წყობას, ლექსიკას, აფხაზური ენის ურთიერთდამოკიდებულებას ქართველურ და ადიღურ ენებთან. ინსტიტუტი ამუშავებდა რუსულ-აფხაზურ და აფხაზურ-ქართულ ლექსიკონებს.

ნაყოფიერად მუშაობდნენ აფხაზეთის ისტორიკოსები, რომლებმაც ომის შემდგომ პერიოდში გამოაქვეყნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომები აფხაზეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებზე. მათგან აღსანიშნავია გ. ძიძარიას მონოგრაფია "აფხაზეთის სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობანი XIX საუკუნეში (საგლეხო რეფორმამდე)".

1958 წელს დაარსდა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შეუდგა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის შეგროვებას, გამოქვეყნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევაც[58].

სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამუშავებდა ოსური ენის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ეკონომიკის საკითხებს.

სამხრეთ ოსეთის ინსტიტუტმა დიდი სამუშაოები განახორციელა რევოლუციურ მოძრაობაში ოლქის მშრომელთა მონაწილეობის შესასწავლად. გამოქვეყნდა დოკუმენტების კრებული "1905–1907 წლების რევოლუციური

მოძრაობა სამხრეთ ოსეთში” და ნაშრომი ”სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის”.

1953–1958 წლებში სწრაფად ვითარდებოდა საქართველოში ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. გაფართოვდა მათემატიკური მეთოდების გამოყენება მექანიკაში, თეორიულ ფიზიკასა და მეცნიერების სხვა დარგებში.

ქართული მათემატიკური სკოლის მიერ ამ პერიოდში შექმნილი შრომები განეკუთვნებიან დრეკადობის თეორიასა და მათემატიკური ფიზიკის მრავალ დარგს. შრომათა ნაწილს აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ტექნიკაში[59].

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა უდიდეს თეორიულ სამუშაოებთან ერთად პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინა საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, ზესტაფონის ფეროშენადნობების, თბილისის პლასტმასისა და სხვა ქარხნებს. გამოიცა ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფია ”დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი საკითხი”. გამოქვეყნდა ნაშრომი ”მათემატიკის ისტორია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში”.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდა ქართველმა ფიზიკოსებმა უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაში. აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტი, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, საქართველოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლების ექსპერიმენტული ლაბორატორიები წარმატებით ამუშავებდნენ ლითონის ფიზიკის, ატომგულის ფიზიკის, დაბალი ტემპერატურების ფიზიკის, დიელექტრიკების, კოსმოსური სხივების, გამოყენებითი და თეორიული ფიზიკის აქტუალურ პრობლემებს.

1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი და დაიწყო ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორის მშენებლობა.

ქართველმა ფიზიკოსებმა შეისწავლეს თანამედროვე ფიზიკის მრავალი აქტუალური საკითხი, კერძოდ დედამიწის ქერქში კოსმოსური სხივებით გამოწვეული ბირთვული რეაქციები, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამრეწველო წარმოებასთან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში საბჭოთა კავშირში პირველად დაამუშავეს ხისტი კომპონენტის ბირთვული აქტივობის რიგი საკითხი. აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით შემუშავდა შემთხვევით გამოცდათა ახალი მეთოდი, რომელიც მოიწონა კოსმოსური სხივების მკვლევართა საკავშირო ყრილობამ[60].

ფიზიკოსთა წარმატებებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1954 წლის მაისში მოწვეულმა თათბირმა, რომელმაც განიხილა საკითხები რადიაქტიური

იზოტოპებისა და გამოსხივებათა სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულებებში პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა უშუალო მონაწილეობით ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში პირველად საბჭოთა კავშირში შესწავლილ იქნა ჰიპერონების ხელოვნური გენერაცია ურთიერთმოქმედების აქტში. ეს და სხვა შედეგები მოხსენდა ატომური ენერგიის მშვიდობიანი დანიშნულებისათვის გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილ მეორე საერთაშორისო კონფერენციას შვეიცარიაში[61].

საბჭოთა კავშირში თერმობირთვულ რეაქციათა შესასწავლად შეიქმნა ორიგინალური დანადგარი, რომელიც გამოიყენებოდა აგრეთვე სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში[62], რომლის თანამშრომლები თავიანთი მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენციებზე ჟენევაში (შვეიცარია), უპსალში (შვეცია) და ზალცბურგში (ავსტრია)[63].

გეოლოგიის ინსტიტუტმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. გაფართოვდა საქართველოს წიაღის, სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალური წყლების კომპლექსური შესწავლა. ინტენსიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა სახელოვანი ქართული გეოლოგიური სკოლა ცნობილი მეცნიერის ა. ჯანელიძის მეთაურობით. შესწავლილია მეზოზური და კაინოზოური ფაუნები, მაგმური ქანების შესწავლით გაირკვა ვულკანიზმის განვითარების კანონზომიერებანი, ფართოდ გაიშალა დანალექი ქანების ლითოლოგიური შესწავლა, ქართველ გეოლოგთა მიერ ჩატარებულმა დიდმა თეორიულმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა სასარგებლო ნამარხთა – ქვანახშირის, პოლიმეტალების, ბარიტის, ადსორბენტი თიხებისა და სხვათა წარმოშობისა და განლაგების დადგენა. გეოლოგთა კვლევა-ძიების შედეგები ფართოდ გამოიყენებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში[64].

ინსტიტუტმა შეისწავლა ტყვიისა და თუთიის მადნეულთა გავრცელების არე, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოთა ფართობები, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტთან ერთად დიდი სამუშაოები განახორციელა სომხეთის ქვედაცარცული ნალექების სტრუქტურული საკითხების შესასწავლად[65].

1958 წელს გეოლოგიის ინსტიტუტმა შეისწავლა ბარიტისა და ჰეგმატიტების საბადოთა მინერალოგიური და ნივთიერი შემადგენლობა, ბორჯომის მინერალური წყლების საბადოები; გეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად დიდი სამუშაოები განახორციელა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რკინამადნიანი უბნების კომპლექსური შესწავლის საქმეში, რომლის შედეგად ბოლნისის რაიონში წითელსოფლის მახლობლად გამოავლინა სპილენძ-კოლჩედანური მადნების საკმაოდ პერსპექტიული საბადო[66].

ქართველმა გეოფიზიკოსებმა დიდ შედეგებს მიაღწიეს უმნიშვნელოვანეს პრობლემათა დამუშავებაში. შეისწავლეს საქართველოს მეტეოროლოგიური და კლიმატოლოგიური, საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სეისმური მოვლენები. გაუმჯობესდა სასარგებლო ნამარხთა ძიების გეოფიზიკური მეთოდები. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ალაზნის ველისა და ცივგომბორის ქედის პირობებში სეტყვიანობის მოვლენათა შესწავლასა და მასთან ბრძოლის მეთოდების შემუშავებაში, რასაც ქართველი გეოფიზიკოსები ასრულებდნენ იალბუზის საკავშირო სამეცნიერო ექსპედიციასთან ერთად. გეოფიზიკის ინსტიტუტის მუშაობა დაკავშირებული იყო სახალხო მეურნეობის პრაქტიკასთან, კერძოდ სამგორის სარწყავი სისტემის ნაგებობათა, მათ შორის სიონის წყალსაცავის მშენებლობასთან[67]. 1958 წელს გეოფიზიკური მეთოდებითაა შესწავლილი მადნეულის (ბოლნისის რ.) საბადოები[68].

სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კურსთან დაკავშირებით თვალსაჩინო თეორიულ და პრაქტიკულ წარმატებებს მიაღწია მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტმა. ქიმიკოსები მუშაობდნენ თეორიული ქიმიის ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიცაა ნივთიერების აღნაგობა, ადსორბციული და კატალიზური მოვლენები, კოლოიდური სისტემები, იშვიათი ელემენტები, კომპლექსური ნაერთები, ორგანული სინთეზი, მაღალმოლეკულური ნაერთები და სხვ.

ახლად შექმნილი გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი ამუშავებდა საქართველოს მანგანუმის, ნავთის, ფეროშენადნობების, ქიმიის, პლასტმასებისა და სხვა სამრეწველო წარმოების საკითხებს. ინსტიტუტმა პრაქტიკაში დანერგა ნავთობის ბურღილების წყლიდან იოდის მიღების მეთოდი და იოდის ამოწბობის დანადგარი-დეთექტოსკოპი "ნორიოლი"[69]. პლასტმასის ქარხანაში ახალი პლასტმასების წარმოების ტექნოლოგია, ლუმინოფორის მისაღები დანადგარი. ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევდა სოფლის მეურნეობას. იკვლევდა მოსავლიანობის გასადიდებლად მეტალურგიული წიდების გამოყენების საკითხს[70].

გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში მუშავდებოდა მეტალური მანგანუმის ტექნოლოგია. შეიქმნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქიმიური წარმოების ტექნოლოგიისა და ადგილობრივი მინერალური ნედლეულის ათვისების დარგში.

ქიმიის ინსტიტუტმა 1958 წელს დაამუშავა სახალხო მეურნეობისათვის მრავალი საინტერესო პრობლემა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ინსტიტუტის მეცნიერების პ. გოგორიშვილისა დ ჰ. კუპერმანის მიერ შემუშავებული მეთოდი საქართველოს სულფიდური მადნებიდან ფერადი ლითონების ამოწბობის ავტოკლავური მეთოდი[71], რომელიც გამოყენებულია მადნეულის (ბოლნისის რ.) სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა შეისწავლა მთიანი რაიონების გეოგრაფიული თავისებურებანი, რესპუბლიკის

გეომორფოლოგიური დარაიონება და შეადგინა ეკონოიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, შეისწავლა მთის მდინარეთა ჩამონადენის კანოზომიერებანი, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ჰიდროენერგორესურსების განსაზღვრისათვის.

ქართველი გეოგრაფები, ცნობილი მეცნიერის ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ნაყოფიერად მუშაობდნენ სოფლის მეურნეობის დარგებისა და ცალკეულ კულტურათა განლაგებისა და სპეციალიზაციის საკითხებზე, საქართველოს კომპლექსურ-გეოგრაფიული შესწავლისა და გეოგრაფიული მეცნიერების ზოგად პრობლემებზე[72].

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ამუშავებდა ასტროფიზიკის, ვარსკვლავთა ასტრონომიის, მზის ფიზიკისა და თეორიული ასტრონომიის პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია კოსმოსის ათვისებასთან. ახალი მეთოდების გამოყენებით წარმოებდა მთვარის ზედაპირის ფიზიკური თვისებებისა და გალაქტიკაში სინათლის შთანთქმის საკითხების შესწავლა[73]. ობსერვატორიის თანამშრომლებმა შეისწავლეს ასეულობით ვარსკვლავის აბსოლუტური სიდიდის განსაზღვრის ახალი მონაცემები, 1954 წლის 30 ივნისს შეასრულეს მზის გვირგვინის გამოსახულების რადიომეტრიული განსაზღვრა. ობსერვატორიის მიერ შენიშნულ იქნა ახალი კანონზომიერებანი ბინდის ნათებისა და ღამის ცის ნათების მახასიათებლებში და სხვა. წარმატებით განახორციელეს ოპტიკური დაკვირვებანი პირველად საბჭოთა კავშირის მიერ 1957 წ. დედამიწის ირგვლივ გაშვებულ ხელოვნურ თანამგზავრზე[74]. პირველად საბჭოთა კავშირში მათ დანერგეს ასტროფიზიკურ დაკვირვებათა ახალი მეთოდები, მათ შორის ფოტოელექტრული მეთოდი[75].

აბასთუმანში 1958 წელს მექანიკური ტელესკოპით პირველად საბჭოთა კავშირში განხორციელდა მკრთალი არასტაციონარული ვარსკვლავების დაკვირვება და გამოკვლევა, აღმოჩენილ იქნა 300-მდე ასეთი ვარსკვლავი[76].

ინტენსიურად ვითარდებოდა საქართველოს მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება, რომელმაც შეისწავლა ბევრი აქტუალური პრობლემა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის. შემუშავდა ნიადაგის ეროზიის წინაამდეგ ბრძოლის ახალი მეთოდები, სხვადასხვა სასუქის გამოყენების, ვაზის მოსავლიანობის გადიდების, ყურძნის ხარისხის ამაღლებისა და ღვინის ტექნოლოგიის გაუმჯობესების ღონისძიებანი. დიდი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ჩატარდა სამრეწველო მეხილეობის განვითარებისათვის. ფართო კვლევა-ძიება წარმოებდა მარცვლეული, ტექნიკური და საბოსტნე-საბაღჩე კულტურების მოსავლიანობის გადიდების მიმართულებით.

გაღრმავდა მეცნიერების კავშირი სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, პრაქტიკული დახმარება და შეფობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, სამეცნიერო დაწესებულებათა საშუალებით წარმოებდა

სოფლის მეურნეობისათვის ათასობით სპეციალისტის გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. დიდ დახმარებას უწევდნენ სოფელს ნამყენების, ჩითილებისა და თესლის ახალი ნიმუშების გადაცემით[77].

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტმა დიდი მეცნიერული და ორგანიზაციული დახმარება აღმოუჩინა სოფლის მეურნეობას მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაში, ღვინისა და კონიაკის ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში, აგრეთვე წარმოების მექანიზაციის გაფართოებაში. ინსტიტუტში შეიქმნა ვაზის ქვეშ ღრმად სასუქის შემტანი მანქანა[78].

მემინდვრეობის ინსტიტუტში მუშავდებოდა მოსავლიანობის გადიდების, სასუქების რაციონალურად გამოყენების, წელიწადში ორი მოსავლის მიღების, აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და ურწყავი, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს, მათ შორის კოლხეთის დაბლობისათვის ყველაზე რაციონალური აგროტექნიკური მეთოდები. გარდაბნის რაიონში გამოიცადა სხვადასხვა ჯიშის ხორბალი – "ნოვოუკრაინკა", "კრასნოდარკა", "კახი", "ფერუგინტუმი"[79]. გამოყვანილ იქნა მარცვლეულის ახალი, უხვმოსავლიანი და გამძლე ჯიშები.

ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ახალი აგროტექნიკა, ამ კულტურათა მაღალმოსავლიანი და ყინვაგამძლე ჯიშები.

ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ცხვრის მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანის საქმეში, მიიღეს დიდმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ჭია და ახალი ჯიშის უხვფოთლიანი თუთა.

მეცნიერებათა აკადემიის თბილისის, ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღები, მეხილეობის საცდელი სადგურები სოფლის მეურნეობაში ნერგავდნენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას, მონაწილეობდნენ კადრების მომზადებაში[80].

ბოტანიკის ინსტიტუტმა აკად. ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა საქართველოს ფლორას შესასწავლად, მემცენარეობის რესურსების გაფართოების დარგში, საძოვრების გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დიდ ყურადღებას უთმობდა ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომ აღმავლობას და სამრეწველო წარმოებასთან მის უფრო მჭიდროდ დაკავშირებას. ფართო შემოქმედებითი მუშაობა გაშალა მეტალურგიის ინსტიტუტმა. ქართველმა მეტალურგებმა წარმატებით გადაწყვიტეს უწინ უვარგისად ცნობილი ჭიათურის მანგანუმის ღარიბი კარბონატული მადნების მეტალურგიაში გამოყენების პრობლემა. ინსტიტუტში დამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერ-მკვლევართა თანამშრომლობით ფეროშენადნობთა ახალი ტექნოლოგია და მეთოდიკა[81]. ინსტიტუტმა წარმოებაში დანერგა სუფთა მეტალური ქრომის მიღების წესი, "ზაპოროჟსტალის" მეტალურგიულმა ქარხანამ მოიწონა და მიიღო ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული არმირებული ბოყვები მარტენის

ფოლადის ჩამოსასხმელად. ჭიათურის კარბონატული მადნებიდან მიღებულ იქნა სუფთა მანგანუმი და მინერალური სასუქი[82]. მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა გ. მიქელაძის ხელმძღვანელობით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის დააპროექტა დახურული ტიპის საცდელი ღუმელი გამავალი გაზების დაჭერისა და გამოყენების მიზნით[83].

ტექნიკური მეცნიერების ინსტიტუტების თემატიკა უფრო მიუახლოვდა მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებებს. განსაკუთრებით გაცხოველდა კვლევა-ძიება ელექტრონიკისა და ავტომატიკის დარგებში. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში, რომელიც 1956 წელს შეიქმნა, მუშავდებოდა ავტომატური მართვისა და რეგულირების ახალი სისტემების კვლევა და შექმნა, თანამედროვე მთვლელი მანქანების გამოყენება ლოგიკური ტიპის ზოგიერთი ამოცანის გადასაწყვეტად და სხვ. მიღწეულ იქნა საყურადღებო შედეგები, კერძოდ ლითონსაჭრელი ჩარხის პროგრამული მართვის სისტემების, ელექტრონული მანქანების საშუალებით რუსულიდან ქართულად ავტომატური თარგმნისა და სხვა საკითხების შესწავლაში[84]. ინსტიტუტში შეიქმნა ორი მაკეტი მეტყველებითი სიგნალების დასაკოდირებლად[85].

სამთო საქმის ინსტიტუტმა შეიმუშავა ჭიათურის მანგანუმის მადნის საბადოთა საშუალო ფენებში მადნის მოპოვების რაციონალური მეთოდი, სამთო სამუშაოთა მექანიზაციისა და ვენტილაციის ახალი ღონისძიებები[86].

თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს ქართველმა მეცნიერებმა მანქანათმშენებლობის თეორიის, ლითონმცოდნეობისა და ლითონთა ჭრის თეორიის დარგში. მიღწეული შედეგების ნაწილი დაინერგა წარმოებაში.

გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტმა შეიმუშავა კალიუმის პერმანგანატის მიღების ახალი ტექნოლოგია, რომლის საფუძველზე რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში აშენდა კალიუმ პერმანგანატის სპეციალური საამქრო[87]; შეიქმნა მანგანუმის ღარიბი მადნებიდან მიკროსასუქებისა და მანგანუმის კონცენტრატების მიღების ახალი ტექნოლოგია.

ენერგეტიკის ინსტიტუტის კოლექტივმა კომპლექსურად შეისწავლა საქართველოს ენერგეტიკული რესურსები, დაამუშავა ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების რაციონალური ხერხები და მდინარეთა ენერგიის ეფექტური გამოყენების საკითხები. ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გაშალა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის გენერალური სქემის შესადგენად[88].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტი 1953 – 1958 წლებში ამუშავებდა სამშენებლო საქმის მექანიზაციის და ადგილობრივი საშენი მასალების რაიცონალურად გამოყენების საკითხებს. აკად. კ. ზავრიევის ხელმძღვანელობით დიდი სამუშაოები ჩატარდა ნაგებობათა სეისმომედეგობის, რესპუბლიკის სეისმური მიკროდარაიონების პრობლემების შესასწავლად, ბევრი მიღწეული შედეგი ფართოდ დაინერგა როგორც საქართველოში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

საქართველოს მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკურ და ორგანიზაციულ გაუმჯობესებაში, სარკინიგზო ხიდებისა და გვირაბების მშენებლობაში, რკინიგზების ელექტრფიკაციის საქმეში.

1953 – 1958 წლებში დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მეცნიერებმა ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განვითარებაში. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ფიზიოლოგია მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ი. ბერიტაშვილის მეთაურობით. ფიზიოლოგები სწავლობდნენ ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემისა და კუნთოვანი სისტემის ფიზიოლოგიას, ჰისტოლოგიას, პათოფიზიოლოგიასა და ბიოქიმიას[89]. დიდად განვითარდა საქართველოში პალეობიოლოგიური მეცნიერება. ნაყოფიერი მეცნიერული სამუშაოები ჩატარდა ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების შესასწავლად და ამ განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად. დამუშავდა პალეობიოლოგიის საფუძვლები.

ქართველმა ზოოლოგებმა დიდი სამუშაოები განახორციელეს საქართველოს ცხოველთა მდიდარი სამყაროს შესასწავლად, პარაზიტ-მავნებლებისაგან სოფლის მეურნეობის დასაცავად.

განვითარდა მედიცინის მეცნიერებანი. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მეცნიერებმა ექსპერიმენტული მორფოლოგიის დარგში. ინტენსიური მუშაობა წარმოებდა ექსპერიმენტულ ქირურგიასა და ჰემატოლოგიაში. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ქართველმა კარდიოლოგებმა ჰიპერტონიული დაავადების, ათეროსკლეროზისა და მიოკარდიუმის პათოლოგიის პრობლემათა კომპლექსურ შესწავლაში[90]. გაფართოვდა მეცნიერული კვლევა-ძიება ოფთალმოლოგიაში, ყელის, ყურის, ცხვირის დაავადებათა მკურნალობის, რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მიმართულებით. დიდი შედეგებია მოპოვებული ნევროლოგიასა და ფსიქიატრიაში. საყურადღებო შედეგები მოიპოვეს თერაპევტებმა და მიკრობიოლოგებმა. ფართო ღონისძიებები ჩატარდა ტუბერკულოზის დაავადების მკვეთრი შემცირებისათვის, კურორტოლოგიისა და ფარმაციის საკითხების შესასწავლად. მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობის ანტროპოლოგიური შესწავლა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, სადაც ბევრი საინტერესო თემა დამუშავდა, ეწყობოდა ექსპედიციები, მდიდრდებოდა გამოფენები ახალი მასალებით.

საქართველოს საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად ამუშავებდა ჭიათურისა და საჩხერის ქვიშების გამოყენების, იორ-ალაზნისა და მთათუშეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური ათვისების, საქართველოს ტორფის სამრეწველო გამოყენების, შაორის ქვანახშირის ფართობის ათვისების, მიწისქვეშა წყლების გამოყენების საკითხებს.

1953 – 1958 წლებში გაიზარდა სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვა. მარტო 1958 წელს დაინერგა 73 დამთავრებული სამუშაო, რომელთა შედეგად მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი ეფექტი[91].

დიდი სამუშაოები განახორციელა აკადემიასთან არსებულმა იზოტოპებისა და გამოსხივების კომისიამ. იზოტოპებისა და გამოსხივების გამოყენებით საქართველოში 1958 წელს რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება მუშაობდა.

ამ პერიოდში გაფართოვდა საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აზერბაიჯანისა დ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიებთან ერთად ეწყობოდა კონფერენციები, სესიები დ სიმპოზიუმები მეცნიერების ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა კავშირურთიერთობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან. გაფართოვდა საზღვარგარეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან კავშირი, მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში, კონფერენციებსა დ სიმპოზიუმებში. გაფართოვდა ქართველ მეცნიერთა ნაშრომების გამოქვეყნება საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერები არჩეულ იქნენ სოციალისტური და სხვა ქვეყნების აკადემიებსა და სამეცნიერო საზოგადოებებში.

საქართველოში ჩამოდიოდნენ საზღვარგარეთელი, მათ შორის სოციალისტური ქვეყნების მეცნიერები. 1954 წლის ოქტომბერში საქართველოს მეცნიერებათ აკადემიას ეწვია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელიც გაეცნო აკადემიის ინსტიტუტების მუშაობას. აკადემიის საერთო კრებაზე აკად. აკ. შანიძე გამოვიდა მოხსენებით ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესახებ. ბულგარეთის მეცნიერებათ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ნაჯაფოვმა სიგელი გადასცა ნ. მუსხელიშვილს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიაში მისი არჩევის გამო[92].

ამრიგად, ქართულმა მეცნიერებამ 1953 – 1958 წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწია და თავისი წვლილი შეიტანა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

---

[1] “Правда», 19 февраля 1956 г.
[2] **ვ. ი. ლენინი,** თხზულებანი, ტ. 30, გვ. 484.
[3] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр. 486.
[4] «Народное хозяйство СССР», стат. сборник, М., 1956, стр. 234.
[5] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», стр.486.
[6] იქვე.

[7] გამოთვლილია პარტიული არქივის (ფ. 14, აღწ. 46, საქ. 466, ფურც. 37) და სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», (стр. 486) მიხედვით.
[8] გამოთვლილია სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году» (стр. 486) მიხედვით.
[9] «Академия наук Грузинской ССР», Тб., 1962, стр. 9.
[10] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ფ. 1, საქ. 3011, ფურც. 128.
[11] ამოსაკრებია რუსული ტექსტი (წიგნის გვ. 536. სქოლიო1).
[12] ამოსაკრებია რუსული ტექსტი (წიგნის გვ. 536. სქოლიო 2).
[13] "ვისრამიანი" ქართული ვერსია ფ. გურგანის სპარსული პოემისა "ვის ო რამინ"
[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 31, ფურც. 2.
[15] «Академия наук Грузинской ССР», стр. 31 – 32.
[11] **ნ. დგებუაძე** და **გ. ჭანუყვაძე,** ეკონომიური მეცნიერებანი. საიუბილეო კრებული "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის", თბ., 1957, გვ. 297–298.
[12] **В. Д. Паркадзе.** Роль русских физиков в развитии физики в Грузии за последние два века (1757–1957). Автореферат докторской диссертации, Тбилисский Государственный университет, 1964, стр. 17.
[13] 1948 წელს გაიხსნა.
[14] **Н. И. Мусхелишвили.** На пути большой науки, газ. «Известия» 14 апреля 1956 г.
[15] **ე. ხარაძე,** ასტრონომია, საიუბილეო კრებული "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის", გვ. 475–282.
[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 106, ფურც. 44–48.
[17] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 106, ფურც. 45.
[18] იქვე.
[19] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1948 წლისა, საქ. 106, ფურც. 47-48.
[20] იქვე, საქ. 117, ფურც. 6.
[21] ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
[22] ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
[23] ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
[24] **ნ. მუსხელიშვილი,** მეცნიერება საბჭოთა საქართველოში, 1963, გვ. 50.
[25] პარტიული არქივი (თბილისი),ფ. 14, აღწ. 27, საქ. 882, ფურც. 27–23.
[26] პარტიული არქივი (თბილისი),ფ. 14, აღწ. 46, საქ. 43, ფურც. 29; აღწ. 21, საქ. 475, ფურც. 548–585; საქ. 510, ფურც. 231.
[27] იქვე, აღწ. 21, საქ. 82, ფურც. 58-59; საქ. 253, ფურც. 116.
[28] იქვე, აღწ, 22, საქ. 132, ფურც. 55-56.
[29] იქვე, აღწ. 3, საქ. 590, ფურც. 8–28; საქ. 620, ფურც. 1–92; აღწ. 4, საქ. 27, ფურც. 11, **შ. ამირანაშვილი,** საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968.
[30] იქვე, აღწ. 3, საქ. 170, ფურც. 80.
[31] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 4, საქ. 477, ფურც. 123.
[32] იქვე, საქ. 478, ფურც. 194; აღწ. 23, საქ. 736, ფურც. 28.
[33] იქვე, აღწ. 21, საქ. 474, ფურც. 281–282.
[34] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 1312, ფურც. 58.
[35] იქვე, საქ. 1905, ფურც. 80.
[36] «Народное хозяйство Грузинской ССР». Стат. Сб., М., 1956, стр. 234.
[37] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году». Стат. ежегодник. Тб., 1963, стр. 486.
[38] იქვე.
[39] იქვე.
[40] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. I, საქ. 1751, ფურც. 2.

[41] იქვე, ფურც. 3.
[42] იქვე.
[43] იქვე, ფურც. 4.
[44] იქვე, აღწ. I, საქ. 1905, ფურც. 75.
[45] იქვე, საქ. 1751, ფურც. 61.
[46] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. I, საქ. 1905, ფურც. 7.
[47] **ნ. მუსხელიშვილი,** ქართული საბჭოთა მეცნიერების აყვავება, ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N2, 1958, გვ. 32.
[48] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. I, საქ. 1313, ფურც. 1.
[49] იქვე.
[50] იქვე, საქ. 1492, ფურც. 6.
[51] საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VIII–X კლასებისათვის, თბ., 1958. ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პრ. რატიანი.
[52] საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1957. ავტორები: ლ. ებანოიძე, კ. ივანიძე, ი. კაჭარავა, ა. კიკვიძე, ნ. მახარაძე, გ. ჟვანია, გ. სიხარულიძე, ნ. ჩახვაშვილი, ს ჩხარტიშვილი, ნ. ხაჭაპურიძე.
[53] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. I, აღწ. I, საქ. 1313, ფურც. 1.
[54] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. I, აღწ. I, საქ. 1492, ფურც. 6.
[55] იქვე, ფურც. 5.
[56] **ა. გონაშვილი, მ. ჭელიძე,** ფილოსოფიური მეცნიერების განვითარება. საიუბილეო კრებული "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისათვის", გვ. 207–208.
[57] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. I, აღწ. 1, საქ. 1407, ფურც. 2, საქ. 1492, ფურც. 13.
[58] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. I, აღწ. I, საქ. 1905, ფურც. 13.
[59] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 36; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. I, აღწ. I, საქ. 1312, ფურც. 19.

[60] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 36; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 1492, ფურც. 21.
[61] იქვე, საქ. 1905, ფურც. 14.
[62] **В. С. Емельянов,** Атом и мир. Атомиздат, М., 1967, стр. 130.
[63] იქვე, გვ. 128.
[64] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 38; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ.1, საქ. 1312, ფურც. 19.
[65] იქვე, საქ. 1492, ფურც. 22.
[66] იქვე, საქ. 1905, ფურც. 18.
[67] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 38; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ.1, საქ, 1312, ფურც. 19; საქ. 1492, ფურც. 22.
[68] საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტ. არქივი, ფ. 1, საქ. 1905, ფურც. 17.
[69] იქვე, აღწ. 1, საქ. 1312, ფურც. 17.
[70] იქვე, საქ. 1492, ფურც. 22; საქ. 1483, ფურც. 1.
[71] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 38; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 1905, ფურც. 16.
[72] იქვე, აღწ. 1, საქ. 1492, ფურც. 22; საქ. 1905, ფურც. 18.
[73] იქვე, საქ. 1312, ფურც. 21.
[74] იქვე, საქ. 1492, ფურც. 23.

[75] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", 1958, N 2, გვ. 39. საქართველოს სსპ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფ. 1, აღწ. 1.
[76] იქვე, საქ. 1905, ფურც. 16;
[77] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958; გვ. 38; საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1. საქ. 1492, ფურც. 22; საქ. 1315, ფურც. 18.
[78] იქვე, საქ. 1316, ფურც. 6.
[79] იქვე, საქ. 1317; ფურც. 26.
[80] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 30; საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 1415, ფურც. 9, 14.
[81] იქვე, საქ. 1312, ფურც. 20.
[82] იქვე, აღწ. 1, საქ. 1492; ფურც. 38.
[83] იქვე, საქ. 1751, ფურც. 23.
[84] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 30; საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 1751, ფურც. 22 - 23.
[85] იქვე, საქ. 1905, ფურც. 20.
[86] იქვე, ფურც. 21.
[87] იქვე, საქ. 1492, ფურც. 20.
[88] იქვე, საქ. 1317, ფურც. 24 – 25, საქ. 1492, ფურც. 39.
[89] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958; გვ. 30; საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 1314, ფურც. 1.
[90] იქვე, ფურც. 2.
[91] იქვე, საქ. 2405, ფურც. 29 – 32.
[92] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", N 2, 1958, გვ. 30; საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 1492, ფურც. 70.

§ 5. ომის შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურა

ახალი ამოცანები დაისახა დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. კომუნისტური პარტია ამ პერიოდშიც განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა ლიტერატურის დიდ მოვალეობასა და დანიშნულებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ომის შემდგომ წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების გამო მიღებულ ცნობილ დადგენილებებში გარკვევით იყო მითითებული იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე, რომელიც საბჭოთა ლიტერატურას ეკისრება მასების კომუნისტურად აღზრდისათვის, მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული ამოცანების შესრულებაში.

ქართული საბჭოთა მწერლები თავიანთ შემოქმედებაში ხელმძღვანელობდნენ ხალხის ინტერესებით, პარტიის იმ მითითებით, რომ "საბჭოთა მწერლების ვალია შექმნან მართალი ხელოვნება, რომელიც ღრმად გამოავლინებს საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს, თავიანთი გმირების სახეებით განახორციელონ მათი შრომითი მოღვაწეობის, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება განუყოფელ ერთიანობაში. ჩვენი ლიტერატურა მოწოდებულია არა მარტო

ასახავდეს ახალს, არამედ ყოველი ღონისძიებითაც ეხმარებოდეს მის გამარჯვებას”[1].

მთელი ომის შემდგომი პერიოდი ქართულ ლიტერატურაში ხასიათდება როგორც უფროსი თაობის მწერალთა აქტიური მოღვაწეობით, ასევე შესანიშნავი ახალი შემოქმედებითი ძალების მოსვლით; თემატური თუ ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და ახალი მხატვრული გამომსახველობითი ფორმების ძიებით; მიზანსწრაფული ბრძოლით როგორც ლიტერატურის იდეურობისათვის, ასევე ყალბი ლიტერატურული სქემების გადაჭრით უკუგდებისათვის; ცხოვრების რთული პროცესების, რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ღრმა მხატვრული წვდომა-ათვისებით; ბრძოლა ლიტერატურის იდეური სიწმინდისა და თემატური მრავალფეროვნებისათვის; ეგრეთ წოდებული ”უკონტროლობის” ყბადაღებული თეორიის დაძლევა; ანტიმხატვრული ტენდენციების გადაჭრით უკუგდება; ლიტერატურის შემდგომი გამსჭვალვა პარტიულობისა და ჰუმანურობის სულისკვეთებით; ბრძოლა სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დასაცავად – ყოველივე ეს საბჭოთა ლიტერატურის ომის შემდგომი განვითარების ერთი მთლიანი რთული პროცესია.

სწორედ ეს პრობლემები მოექცა საქართველოს მწერალთა ყრილობების ყურადღების ცენტრში. მწერალთა III ყრილობამ (1946 წ. სექტემბერი), რომელმაც მოისმინა მწერალთა კავშირის გამგეობის ანგარიში და სპეციალური მოხსენება ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზებზე, მთავარი ყურადღება დაუთმო დიდი სამამულო ომის გრანდიოზული გამოცდილების მხატვრული ათვისებისა და სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენის ამოცანების განხორციელების საქმეში მწერლობის აქტიური მონაწილეობის საკითხებს, ლიტერატურის იდეური სიწმინდის პრობლემებს.

ცამეტი წლის შემდეგ შემდგარმა მწერალთა IV ყრილობამ (1954 წ. ივნის-ივლისი) შეაჯამა ქართული მწერლობის ომის შემდგომი განვითარების პირველი შედეგები. ამ ყრილობაზე მოსმენილ იქნა სპეციალური მოხსენებები პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, კრიტიკის, საბავშვო ლიტერატურისა და თარგმანების შესახებ. ყრილობამ აღნიშნა ზოგიერთი ჟანრის (დრამატურგიის, საბავშვო ლიტერატურის) თვალსაჩინო ჩამორჩენა და დასახა ღონისძიებანი მთელი ლიტერატურული პროცესის შემდგომი, ახალი აღმავლობისათვის.

მწერალთა V ყრილობას (1959 წ. იანვარი) უკვე შეეძლო აღენიშნა, რომ ქართულ ლიტერატურაში, რომელიც წარმატებით ავითარებდა როგორც ომამდელი პერიოდის, ასევე მთელი რევოლუციამდელი კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავ ტრადიციებს, თვალსაჩინო აღმავლობა განიცადა თითქმის ყველა ჟანრმა თუ ჟანრის სახემ. ახალ სიმაღლეს მიაღწია ეპოსმა, ლირიკამ, დრამამ; განსაკუთრებით განვითარდა ქართული რომანი, ნოველა, ლირიკის ჟანრობრივი სახეები, პოეტური ეპოსი; დაიწერა ახალი პიესები როგორც თანამედროვეობის მეტად აქტუალურ პრობლემებზე, ასევე ისტორიულ თემებზეც.

აღნიშნული პერიოდის მხატვრული **პროზისათვის** დამახასიათებელი იყო თემატური მრავალფეროვნება და იდეურ-აქტუალური გამიზნულობა, შეუნელებელი ინტერესი საერთო-საკაცობრიო თუ კონკრეტული ეროვნული პრობლემებისადმი, ბრძოლა ცხოვრების გაუბრალოებული მხატვრული აღქმის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში 50-იან წლებში მომხდარმა ცვლილებებმა ქართულ პროზაშიც პოვა თავისი გამოხატულება როგორც მხატვრული ასახვის, ასევე ჟანრულ-სახობრივი განვითარების მხრივ. პროზისათვის დამახასიათებელი გახდა ბევრი ახალი თემის, მასალის ათვისება ან უკვე ნაცნობი პრობლემების ახლებური, ეპოქის შესაბამისი აღქმა.

ქართული პროზა გამდიდრდა დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოებით. ისინი ეძღვნება სამამულო ომში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა სიმამაცეს, მთელი ერის მიერ გადატანილ უმძიმეს განსაცდელს, კავკასიის გმირულ დაცვას, ზურგის ადამიანთა სწორუპოვარ თავდადებულ შრომას, ობლად თუ ქვრივად შთენილთა სულიერ ტრაგედიას და მაღალ მორალურ თვისებებს. ასეთ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია ლ. ქიაჩელის რომანი "მთის კაცი".

ქართული მწერლობის ყურადღებისგარეშე არ დარჩენილა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი თემა, ხოლო მთელ რიგ მხატვართვა შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საზღვარგარეთის თანამედროვე ცხოვრების ბევრმა აქტუალურმა საკითხმაც.

ამგვარად, აღნიშნული პერიოდის პროზისათვის დამახასიათებელია შეუნელებელი ინტერესი სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნულ-ინტერნაციონალური, ეთიკურ-მორალური, ჰუმანურ-საკაცობრიო პრობლემებისადმი, რომლებიც აღქმულია სოციალისტური რეალიზმის მეთოდით.

50-იანი წლების დასაწყისში დაიწერა კ. გამსახურდიას რომანი "ვაზის ყვავილობა", რომელშიც ავტორი ახალ ისტორიულ ვითარებაში კვლავ მიუბრუნდა "მთვარის მოტაცების" უმთავრეს პრობლემებს – ახლისა და ძველის ურთიერთობის, ახალი ადამიანების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების, ქართველი ინტელიგენციის ბედის პრობლემებს. ამ შემთხვევაშიაც რომანისტმა გამოიყენა მრავალპლანიანი თხრობის ქარგა. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის – ვახტანგ კორინთელის სახით კ. გამსახურდიამ ცხადყო ქართველი ინტელიგენციის – თავისი ხალხის ღირსეულ შვილთა – თავდადება ერის კეთილდღეობისათვის, მისი დიდებული მომავლისათვის.

თანამედროვეობის ბევრი საინტერესო და მეტად მწვავე პრობლემა დასვა კ. ლორთქიფანიძემ ახალ რომანში "ნატვრისთვალი". რომანის გმირები რთული ცხოვრების პირმშონი არიან. ამ ცხოვრების ასახვაში რომანისტმა დაიკავა პოზიცია პირუთვნელი, პრინციპული რეალისტი მხატვრისა, რომელიც, უარყოფითს რომ გაბედულად ხდის საბურველს, ამავე დროს

ნათლად ხედავს განვითარების ჯანსაღ ტენდენციას. რომანი წარმოადგენს ქართული სოფლის ადამიანთა რთული სულიერი სამყაროს, მორალური სიწმინდის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, სინამდვილისადმი მათი დამოკიდებულების, ხელმძღვანელთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის, ომის მიერ გამოწვეული ტრაგედიის გამომხატველ ფართო ტილოს. ნადიბაიძეების, უგრეხელიძეების, ყანჩაშვილებისა და სხვათა ტიპიური ბედის, სხვადასხვა თაობათა, თუ სხვადასხვაგვარი სულიერი მომართულობის ადამიანთა მხატვრული ისტორიის შუქზე რომანისტმა ნათელყო ახალი შრომის ჰეროიკაც და იმ კონფლიქტთა სიმძაფრე და ნამდვილი არსიც, რომელთაც ადგილი ჰქონდა და აქვს ჩვენს ცხოვრებაში. განსაკუთრებით რომანის მეორე ნაწილში თვალსაჩინო ადგილს იჭერს ხელმძღვანელისა და მასების ურთიერთობის პრობლემა.

ომის დამთავრების შემდეგ მალე გამოქვეყნდა მიხ. მრევლიშვილის მოთხრობა "ხარატაანთ კერა", რომლის სიუჟეტის ცენტრში მოქცეულია ომით გამოვწეული ტრაგედიის შედეგად წამოჭრილი მძაფრი ფსიქოლოგიური კონფლიქტი. რ. ჯაფარიძის რომან "ჯარისკაცის ქვრივში" ასახულია ომის მძიმე შედეგები, გახსნილია ქართველი დედის მორალურ-ზნეობრივი სისპეტაკე და აქტიური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცხადია, ეს არ არის რომანი მხოლოდ ჯარისკაცის ქვრივზე. მასში საზოგადოებრივი ყოფის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც არის დასმული, ბევრი სხვა ჩინებულად გამოკვეთილი ხასიათიც არის დახატული. მაგრამ მთავარი ფოკუსი ამ რომანისა მაინც ქართველი დედის – ხათუნა მინდელის – ბედი, მისი უმძიმესი ხვედრი, დიდი სულიერი ტკივილები და მოვალეობის შეცნობის ღრმა განცდებია.

ომის შემდგომ ქართულ პროზაში ბევრი სხვა თემატური სიახლეც შეინიშნებოდა. ჩვენი ქვეყნის გადასვლამ მშვიდობიანი ცხოვრებისა და მშენებლობის ვითარებაზე, ახალმა ამოცანებმა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში, ომით მოყენებულ ჭრილობათა მასშტაბების შეცნობამ და შეფასებამ უკვე მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, იდეოლოგიური ბრძოლის ახალმა გამწვავებამ, ახალი მსოფლიო ომის საშიშროებამ და ბევრმა სხვა მოვლენამ ახალი საზრუნავი შეუქმნა ადამიანს. პროზის ბევრი ნაწარმოების გმირი გახდა ფრონტიდან დაბრუნებული ადამიანი, ახალი ტიპის პარტიული თუ სამეურნეო მუშაკი – მასების ჭეშმარიტი ხელმძღვანელი, ახალი შრომის მოთავე – ნოვატორი და ა. შ. მწერალთა ყურადღების ცენტრში ბუნებრივად მოექცა როგორც ეპოქის გმირის, დადებითის განხატოვნების, ასევე უარყოფითის, ნეგატიურის დაუნდობელი მხილების აუცილებლობა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ერთიცა და მეორეც მახინჯ ან პრიმიტიულ ფორმას იღებდა უარყოფითის ტენდენციური, გაზვიადებული წარმოსახვის ან მწვავე კონფლიქტების აშკარა მიჩქმალვის გამო.

ქართველ პროზაიკოსთა ნაწარმოებები: ს. კლდიაშვილის "დაბრუნება", რ. ჯაფარიძის "ხევის პატარძალი", ო. ჩხეიძის "ჯებირი", ი. ლისაშვილის "ერთგულება", გ. შატბერაშვილის "მამალხინეს ბიჭი", ო. იოსელიანის "ჯარისკაცის დაბრუნება", თ. გოგოლაძის "გარიყულას განთიადი", ა. სულაკაურის, ბ. ჩხეიძის, ა. ლომიძის, ე. მაისურაძის, გ. ჩიქოვანის, ო. ჩიჯავაძის, ე. ზედგენიძისა და სხვ. მოთხრობები, გამოხატავენ ახლის ძიების პათოსს, ფრონტიდან დაბრუნებული ადამიანების ახალ დიდ საზრუნავს, ბრძოლას მუშაობის მოძველებული მეთოდების, ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, ომის შემდგომ სიძნელეთა დაძლევის პროცესს, ადამიანთა მწვავე სულიერ განცდებს.

ომის შემდგომი სოფლის პარტიული წინამძღოლის მეტად საინტერესო სახე შექმნა ო. ჩხეიძემ თავის ერთ-ერთ პირველ რომანში "ჯებირი". მისი გმირი ირაკლი შუბითიძე მოქცეულია საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ სიძნელეებთან უკომპრომისო ბრძოლის შუაგულში. მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია მისცა მასისა და ხელმძღვანელის საკითხს თ. დონჟაშვილმა რომანში – "ალაზანზე". რომანის ძირითადი პათოსი მიმართულია ჩვენს საზოგადოებაში მომხდარი ახალი ძვრების კანონზომიერებათა გახსნისაკენ; ნაჩვენებია თუ რას უქადის მასებისაგან მოწყვეტა ხელმძღვანელს. რაიკომის მდივანი გედეონ ვარამაძე ფაქტიურად ახალი ტიპი იყო ჩვენს ლიტერატურაში. მისი ცხოვრებისა და მუშაობის მთელი ისტორიით ნაჩვენებია ტრაგედია ოდესღაც უნარიანი ხელმძღვანელისა, რომელიც თანდათან დგება ყალბი განდიდების, გადაგვარების გზაზე.

კვლავ ნაყოფიერად განაგრძობდა მუშაობას პროზაში ს. კლდიაშვილი. მან შექმნა რამდენიმე შესანიშნავი ნოველა, რომანი "მყუდრო სავანე" და "ფერფლი" (მეორე წიგნი). ამ უკანასკნელში იგი კვლავ მიუბრუნდა ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოს მის მიერ დაწყებულ ქართველი გლეხკაცის მხატვრულ ისტორიას და რომანის მორიგი წიგნი ოცდაათიანი წლების მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს მიუძღვნა. ნოველათა შორის აღსანიშნავია "ჭინკა ბიჭები", მასში გაცხადებულია ხალხის უკვდავება, თაობიდან თაობაში გადასული სიცოცხლის მუდმივობა. საერთოდ, ომის შემდგომ ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინოდ ვითარდება ნოველის ჟანრობრივი სახე. ამას ადასტურებს კ. გამსახურდიას, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას, ა. ბელიაშვილის, ა. გაწერელიას, გ. რჩეულიშვილის, ნ. დუმბაძის, ო. ჩხეიძის, ა. სულაკაურის, ო. იოსელიანის, გ. ჩიქოვანის. ლ. ავალიანისა და სხვათა ნოველები.

ჩვენი დროის ქართული სოფლის ადამიანებზე დაიწერა ბევრი საინტერესო მოთხრობა, ნოველა თუ ნარკვევი. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დ. შენგელაიას მოთხრობა "განძი" – ადამიანის სულში კერძომესაკუთრული და საზოგადოებრივი ინტერესების მძაფრი ბრძოლის ამსახველი ნაწარმოები. გ. შატბერაშვილის "მკვდრის მზე" ასახავს გლეხკაცის რთულ ხასიათს და სიმბოლურად მიგვანიშნებს ადამიანის მუდმივ სწრაფვას დაუმორჩილებლის

დაძლევისაკენ. სოფლელი კაცის კოლორიტული სახე მოგვცა გ. ნატროშვილმა მოთხრობებში: "ისევ გაზაფხული იყო იორზე", "მინდვრის ბიჭი". საკმაოდ ვრცელ მოთხრობაში "მშვენიერ გაზაფხულზე" ბ. ჩხეიძემ შექმნა შრომის ადამიანთა ყოფის მიმზიდველი მრავალფეროვანი სურათი. ქართულ სოფელს მიუძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები – მოთხრობები და ნოველები აგრეთვე ა. ბელიაშვილმა, ი. მოსაშვილმა, ა. ჩაჩიბაიამ, ე. მაისურაძემ და სხვ. მრავალ თემათა შორის ლიტერატურაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა აგრეთვე ხალხთა მეგობრობამ. მას მიეძღვნა თ. გოგოლაძის, ე. ზედგინიძის, მ. ორაგველიძის და სხვ. ნაწარმოებები.

ქართული პროზის განვითარების ერთ-ერთ საყურადღებო ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ ინტერესი ქალაქისა და პირველ რიგში წარმოების ადამიანებისადმი, მათი როლისა და ადგილისადმი საზოგადოებრივ ყოფაში. ამ თემაზეა დაწერილი ა. ბელიაშვილის "ვეფხია ხალიბაური", ლ. ავალიანის "ახალი ჰორიზონტი", ო. ჩხეიძის, პ. ლორიასა და სხვ. რომანები და მოთხრობები.

ახალი პრობლემები, ახალი მხატვრული ხილვა მოიტანა ლიტერატურაში ქართველ პროზაიკოსთა ახალმა პლეადამ. უპირველესად უნდა დავასახელოთ გ. რჩეულიშვილი, ნ. დუმბაძე, ო. იოსელიანი, ა. სულაკაური, თ. ჭილაძე, რ. ინანიშვილი, ე. ყიფიანი, გ. გეგეშიძე, გ. ფანჯიკიძე, ლ. მრელაშვილი, რ. ჭეიშვილი, ნ. წულეისკირი. ა. გეწაძე, მ. ელიოზიშვილი, ჭ. ამირეჯიბი, რ. ბეჟანიშვილი, მ. ხერგიანი და სხვ. მათ ახალი სოციალური თუ ყოფითი თემებით გაამდიდრეს თანამედროვე ლიტერატურა და ბევრი სიახლე შესძინეს მას სინამდვილის მხატვრული ათვისების თვალსაზრისით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი წარმატება, რაც ომის შემდგომ პერიოდში წილად ხვდა ქართულ ისტორიულ რომანს, საერთოდ ჩვენი შორეული თუ მახლობელი წარსული ცხოვრების ასახვას ქართულ პროზაში.

საქართველოს ისტორიის რთული პერიოდის გამოხატვას მიუძღვნა გ. აბაშიძემ ისტორიული რომანი "ლაშარელა". რომანისტი ნათელყოფს დავითისა და თამარისდროინდელი ძლიერი საქართველოს თანდათანობითი დაცემის და მის ისტორიაში ძნელი ხანის დადგომის პროცესს. ამას იგი ხსნის არა მხოლოდ თათარ-მოღნოლთა ურდოების შემოსევით, არამედ ფეოდალური ყოფისათვის ნიშანდობლივი პარტიკულარიზმის, კუთხური შეზღუდულობის ტენდენციათა გამძაფრებით. რომანისტმა შექმნა ლაშა გიორგის, ლუხუმის, ლილეს, შალვა ახალციხელის, ვაჩეს, ჩალხიას მეტად შთამბეჭდავი პორტრეტები. გ. აბაშიძის ისტორიული რომანისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ისტორიაში ხალხის როლისა და ადგილის ჩვენება. ა. ქუთათელის "პირისპირ", რომელზე მუშაობასაც მწერალი შეუდგა 20-იანი წლების დასასრულიდან და დაამთავრა დიდი სამამულო ომის შემდეგ, ორიგინალურად გააზრებული ფართო პლანის რომანია. იგი წარმოსახავს საქართველოს ცხოვრებას 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. რომანისტმა გვიჩვენა ქართველი

მენშევიკების ბატონობის განწირულება და მასების ახალი რევოლუციური აღმავლობა. ნაწარმოების მთავარი პრობლემაა ძველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის გახრწნისა და ამ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა პროლეტარული რევოულციის მხარეზე გადასვლის რთული პროცესის გახსნა. რომანში ნაჩვენებია ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ინტერნაციონალური ხასიათიც. XVIII საუკუნის ქართულმა სინამდვილემ თავისი გამოხატვა პოვა ა. ბელიაშვილის ცნობილ ისტორიულ რომანებში "თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" და "ოქროს ჩარდახი". რომანისტმა შეძლო ღრმა წვდომით დაეხატა ერეკლესდროინდელი საქართველო მისი რთული საშინაო თუ საგარეო მდგომარეობით, დაუცხრომელი თავდაცვითი ომებით, მწვავე პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემებით, მომავალი ბედის ძიებით. თვალსაჩინო მხატვრულ-სოციალურ ტილოს წარმოადგენს შ. დადიანის "გვირგვილიანების ოჯახი". მასში აღქმულია საქართველოში რევოლუციური იდეების შემოჭრის, მათი გავრცელებისა და მატერიალურ ძალად ქცევის, ძველ გაბატონებულ ეკონომიკურ ურთიერთობათა და იდეების კრახის, რღვევა-დაშლის პროცესი. კახეთის ისტორიის საინტერესო მონაკვეთი დაგვიხატა ლ. გოთუამ თავის ვრცელ ეპოპეაში "გმირთა ვარამი". მან შეძლო წარმოეჩინა XVI – XVII საუკუნეების კახეთის რთული სოციალურ-პოლიტიკური თუ სამეურნეო მდგომარეობა, წინა პლანზე გამოეყვანა ხალხთა მასები, ეჩვენებინა სამშობლოს ერთგულ ადამიანთა თავგანწირვა. ქართული ისტორიული რომანისტიკის მდიდარ ფონდს შეემატა აგრეთვე დ. კასრაძის, ფ. დგებუაძე-ფულარიას და სხვ. ისტორიულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებები. ქართული ისტორიული რომანის წარმატებებთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ისტორიული რომანის ავტორი თავის დროზე სამართლიანად იყო გაკრიტიკებული იმის გამო, რომ ცალკეულ ნაწარმოებებში ნაკლები ადგილი ეთმობოდა ხალხის მასებს, სოციალური ყოფისა და ბრძოლის ასახვას.

უნდა აღინიშნოს თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთი ახალი მოვლენაც. ქართულ პროზაში მკვიდრდება ახალი ჟანრობრივი სახე – ე. წ. ბიოგრაფიული რომანები თუ ფართო პლანის ბიოგრაფიული ნარკვევები (ლ. ასათიანის "ცხოვრება აკაკი წერეთლისა", ა. გაწერელიას "შამილი", ვ. ჭელიძის "ივანე მაჩაბელი", ე. მაღრაძის "გრიგოლ ორბელიანი", მ. კეკელიძის "ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი", მ. კვესელავას "ასერგასის დღე" და სხვ.)

თანამედროვე ქართული ლიტერატურის წარმატებების ფართო რეზონანსზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჩვენი მწერლების ბევრი ქმნილება დიდი ხანია გასცდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიოს ხალხთა ბევრ ენაზეა გამოცემული. გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას, ს. ჩიქოვანის, ს. კლდიაშვილის, ნ. დუმბაძის, ო. იოსელიანისა და სხვათა მხატვრულმა ნაწარმოებებმა მკითხველთა დაინტერესება გამოიწვიეს საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში,

გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ჩინეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის წარმატებები თვალსაჩინოა. ჩვენი ლიტერატურის შემოქმედებითი ზრდისა და აღმავლობის გზა "სოციალისტური თანამედროვეობის ცოცხალ სინამდვილესთან უფრო და უფრო მეტი ორგანულობით დაკავშირებისაკენ მიემართებოდა. ამ მიმართულების განვითარებას გეზს აძლევდა ჩვენი ლიტერატურის და, კერძოდ, მხატვრული პროზის, როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სოციალისტური ბუნებისაგან გამომდინარე ამოცანები და მოთხოვნები, ისე ჩვენი ნაციონალური კულტურისა და, კერძოდ, ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები"[2].

ასევე მრავალფეროვანი და რთული იყო ქართული საბჭოთა **პოეზიის** განვითარების გზა ომის შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში. ეს პერიოდი ხასიათდება პოეზიის როგორც თემატურ-პრობლემური გამრავალფეროვნებით, ასევე ახალი ძიებებით პოეტიკის სფეროში.

ქართული პოეზიის განვითარებას ამ პერიოდშიც განაპირობებს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები. ქართულ ლირიკაში თუ პოეტურ ეპოსში ჯერ კიდევ ძლიერია ომის გამოძახილი, ომით მოყენებულ ჭრილობათა სიმწვავის თუ ძლევამოსილი გამარჯვების სიხარულის გნაცდა, რომელსაც შემდგომ თანდათანობით ენაცვლება მშვიდობიანი აღმშენებლობის, შრომითი გმირობის პათეტიკა, ადამიანთა რთული ფსიქიკის ფართო წვდომის ახალი ტენდენციები. ორმოცდაათიან წლებში ქართულ ლიტერატურაში მოდის პოეტთა ახალი თაობა. წინა თაობების წარმომადგენლებთან ერთად იგი ამდიდრებს ქართულ ლირიკას, პოეტურ ეპოსს ახალი პოეტური თემებითა და სახეებით, ხერხებითა და საშუალებებით.

ამ პერიოდში იქმნება გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ა. აბაშელის, ი. აბაშიძის, ა. მირცხულავას, გ. აბაშიძის, გ. ქუჩიშვილის, კ. კალაძის, ა. გომიაშვილის, რ. მარგიანის, გ. შატბერაშვილის, ანა კალანდაძის, ა. შენგელიას, ი. ნონეშვილის, მ. ლებანიძის, ხ. ბერულავას, მ. მაჭავარიანის, ო. ჭელიძის, შ. ნიშნიანიძის, გ. კაჭახიძის, ა. სულაკაურის, ჯ. ჩარკვიანის, თ. ჯანგულაშვილის, შ. ამისულაშვილის, ო. ჭილაძის, ო. მამფორიას, ტ. ჭანტურიას, მ. ქვლივიძის, ი. თარბას, ფ. ხალვაშის, მ. ფოცხიშვილის, გ. გეგეჭკორისა და სხვ. ლირიკული ნიმუშები.

გ. ტაბიძის ამდროინდელ ლირიკაშიც ვლინდება სწრაფვა თანამედროვე სინამდვილის მოვლენათა მაღალპოეტური ხილვსაკენ. ახალი ციკლით "ზღვა ახმაურდა" იგი კვლავ უბრუნდება ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში წამოწყებულ თემატიკურ რკალს ("ოქრო აჭარის ლაჟვარდში"), ავითარებს მას ახალი პოეტური სახეებითა და თემებით. ამ პერიოდში იქმნება მისი ახალი შედევრი "ქებათაქება ნიკორწმინდას" და ბევრი ლირიკული ლექსი,

რომლებშიც ეროვნული სინამდვილის მოვლენები აღქმულია ახალი სულიერი განცდით.

მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი გამსჭვალავს ამ დროს შექმნილ ისეთ ცნობილ ლირიკულ ციკლებს, როგორიცაა ი. აბაშიძის "სიმღერა მკის დროს" და "აქ დავსახლდები", გ. ლეონიძის "კომუნიზმის ხარაჩოები", ი. გრიშაშვილის "ჩემი ქვეყანა", გ. აბაშიძის "ლენინი სამგორში" და "სამხრეთ საზღვარზე", კ. კალაძის "კლდეთა ფურცლები", ა. შენგელიას "ფოლადის ქალაქის ქრონიკები", რ. მარგიანის "მშვიდობა თქვენდა", ი. ნონეშვილის "ყაზახეთის ველებზე" და სხვა ქართველ პოეტთა მთელ რიგ ლირიკულ რკალებსა თუ ცალკეულ ლექსებს. მათი პათოსი გამოხატავს რუსთავის გიგანტის თუ ხრამჰესისა და სამგორის მშენებლის, ქართველი მეშახტისა თუ კოლმეურნის შრომითს სიმამაცეს, მდიდარ სულიერ ცხოვრებას, ჯარისკაცის ფარაჯაგახდილ და მშვიდობიან შრომასმოწყურებული ადამიანის ზღვარდაუდებ შემოქმედებითს შემართებას.

ომის შემდგომმა ქართულმა პოეზიამ უმთავრეს ამოცანად დაისახა დიად გარდაქმნათა აქტიური მონაწილე ყოფილიყო. პოეტის ამ მაღალ მოწოდებას შთაგონებული სტრიქონები უძღვნეს გ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. აბაშიძემ, ი. გრიშაშვილმა.

ქართული ლირიკის ამდროინდელ ნოვაციებზე მეტყველებს აგრეთვე ხალხთა მეგობრობის თემის ახლებური გააზრება. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინო მოვლენა იყო ს. ჩიქოვანისა და გ. ლეონიძის ლირიკული ციკლები, მიძღვნილი პოლონელი და უნგრელი ხალხების ახალი, თავისუფალი ცხოვრებისადმი. ინტერნაციონალური სულისკვეთებით დაწერილ ამ ციკლებში გამოჩნდა შთაგონებული სახე თანამედროვეობის ახალი გმირისა, ვინც საბჭოთა ხალხის დახმარებით ქმნის ახალ სამყაროს და ამ ისტორიულ შემოქმედებითს პროცესში თვით განიცდის დიად გარდაქმნათა საინტერესო პროცესების გავლენას. ამ პერიოდის ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ხალხთა მეგობრობის თემას. ქართველი პოეტების ბევრ საუკეთესო ლირიკულ სტრიქონებში აღქმულია საბჭოთა ხალხების მეგობრობა როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალისტური ყოფის აუცილებელი კანონზომიერი მოვლენა; საბჭოთა ხალხების უდიდესი მონაპოვარი და მათი ძლიერების წყარო.

ომის შემდგომი ქართული პოეზიის ნიშანდობლივი თვისებაა მისი გამსჭვალვა თანამედროვეობის სულისკვეთებით. მისი მთავარი საზრუნავია დღევანდელი დღე თავისი რთული პრობლემებით. მისი მთავარი გმირია თანამედროვეობის ადამიანი. ამ მხრივ საყურადღებო ის არის, რომ თვით წმინდა ისტორიულ თემებზე შექმნილ ლირიკულ ნიმუშებშიც კი დასმულია თანამედროვე ცხოვრების აქტუალური საკითხები. რასაკვირველია, 50-იანი წლების ლირიკამ თანამედროვეობის მხატვრული ათვისების თვალსაზრისით ბევრი თვალსაჩინო ცვლილება მოიტანა. ეს იყო მისი თვისებრივი განახლების პროცესი, შტამპებისა და გაუბრალოებული ხედვის ტენდენციების უკუგდება,

ახალი პოეტური სიღრმეების წვდომა, ვერსიფიკატორული ნოვაციები. ყოველივე ამან "ჰუმანიზმის ახალი დონე, ინტელექტის ახალი დაძაბვა, გრძნობათა მეტი სიმდიდრე, პოეტურ ფორმათა მზარდი მრავალფეროვნება მოუტანა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, ხალხის სულიერ ცხოვრებას საერთოდ"[3].

ახალი განვითარება პოვა ქართულმა პოეტურმა ეპოსმა. ტრადიციული პოეტური ეპოსის პარალელურად ქართულ პოეზიაში უფრო თვალსაჩინო გახდა ლირიკული პოემის დამკვიდრების პროცესი, რომელსაც ჯერ კიდევ 20-იან წლებში გალაკტიონ ტაბიძემ მისცა დასაბამი.

როგორც ლირიკაში, პოეტურ ეპოსშიც მთავარ გამოხატვით საგნად იქცა თანამედროვეობა, ომის შემდგომი პერიოდის ცხოვრება მისი დიდი პრობლემებით, ადამიანთა რთული საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობით, შინ დაბრუნებული ჯარისკაცის ახალი ბედით თუ მძაფრი ფსიქოლოგიური კონფლიქტებით. თვით დიდი სამამულო ომის მოტივი, რომელიც კარგა ხნის მანძილზე გამოჰყვა საერთოდ საბჭოთა პოემას, როგორც ერთ-ერთი ძირითადი თემა. ამ პერიოდის ქართულ პოეტურ ეპოსში ვლინდება როგორც არა მარტო ხალხის მეომრული სულის სიდიადის, უკვდავების პათოსი, არამედ ამასთანავე მშვიდობისაკენ მოწოდებაც და თანამედროვე მშვიდობიანი ცხოვრების გმირის აპოლოგიაც. ქართული პოემის ორბიტაში ექცევა საქართველოს ისტორიული წარსულიც.

ქართული პოეტური ეპოსის საგნამურს ამ პერიოდში ემატება გ. ტაბიძის "მშვიდობის წიგნი", გ. ლეონიძის "სამგორი", ა. მირცხულავას "რუსთავი", გ. აბაშიძის "ზარზმის ზმანება", კ. კალაძის "მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა", ი. ნონეშვილის "ამბავი ერთი ქალიშვილისა", ხ. ბერულავას "რუსული გული", ო. ჭელიძის "რაჭველები", ა. სულაკაურის "ჩვენი ნაცნობი გოგონას დედა", შ. ამისულაშვლის "გაფანტული ბურუსი", მ. მაჭავარიანის "საბა", ო. მამფორიას "ლაჯანური", ლ. სულაბერიძის "ოცნება" და სხვ.

პანეგირიკის ტენდენციების უკუგდებამ ახალი სიმაღლე შემატა 50-იანი წლების ქართულ პოეზიას. მაგრამ ამასთანავე შესამჩნევი გახდა მოქალაქეობრივი მოტივებისადმი ერთგვარი გულგრილობის, ვიწროინტიმური თემატიკით დაინტერესების, უცხოური მოდური მიდრეკილებებით გატაცების გამოვლინებანიც ცალკეულ შემოქმედთა პრაქტიკაში. ამასთან, ეს ტენდენცია არ ქცეულა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო მოვლენად; ქართული საბჭოთა პოეზია ამ ეტაპზეც ერთგული დარჩა ხალხის მსახურის თავისი როლისა და ტრადიციებისა.

ახალი წარმატებები მოიპოვა ქართულმა საბჭოთა **დრამატურგიამ.** იგი თანდათან აღწევდა თავს ომის შემდგომ პერიოდში ერთხანს გამეფებულ ე. წ. "უკონფლიქტობის" თეორიის მავნე გავლენას; მისთვისაც ნიშნეული გახდა ცხოვრების მოვლენებში ჩაღრმავების, მძაფრი კონფლიქტების ასახვის ტენდენცია.

დრამატურგია კვლავ ვითარდებოდა იდეური და მხატვრული დონის შემდგომი აღმავლობის ნიშნით, თუმცა მან თავიდან ვერ აიცილა სერიოზული ნაკლოვანებანი ამ მხრივაც; მთელ რიგ პიესებში დაირღვა სინამდვილის ობიექტური წარმოსახვის, პერსპექტივის ხილვის პრინციპები, რაც ხშირად გამხდარა დრამატურგიის განვითარებისადმი მიძღვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმების მსჯელობის საგანი.

მეტად ნაყოფიერად განაგრძობდა მუშაობას გამოჩენილი ქართველი დრამატურგი პ. კაკაბაძე. მან დაწერა "მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი", "კახაბერის ხმალი", "ცხოვრების ჯარა". თავის ისტორიულ პიესებში პ. კაკაბაძე მიმართავს ქართველი ერის ცხოვრების ისტორიის ძნელსა და თავისებურ ეპოქებს. "კახაბერის ხმალში" მან ისტორიული მასალის ფონზე შექმნა გამცემლობის, გადაგვარების, ფლიდობის, ერის ინტერესებისადმი დაპირისპირების მამხილებელი მძაფრი კომიკურ-გროტესკული პასაჟები და ნათელყო თუ როგორ ამოტივტივდებიან ხოლმე ზედაპირზე ყოველი ჯურის ნაძირალები ერის ძნელბედობის ხანაში. "მეფე ვახტანგ გორგასალში" დრამატურგი განახატოვნებს ისტორიულ გმირთა თავდადებას ქართველი ხალხისათვის ფრიად ძნელ ვითარებაში. "ცხოვრების ჯარას" მთელი შინაგანი პათოსი ექვემდებარება თანამედროვე ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების, გადაგვარებულ ადამიანთა დაუნდობელი მხილების ამოცანას.

ომის თემამ, ომისა თუ ომის შემდგომი პერიოდის ცხოვრების რთულმა პრობლემებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა დრამატურგიაშიც. ამის მაგალითია: ს. კლდიაშვილის "ირმის ხევი", ი. მოსაშვილის "სადგურის უფროსი", მ მრევლიშვილის "ხარატაანთ კერა", ვ. გაბესკირიას "გურიის მთები დაუთოვია", მ. ჯაფარიძის "ჩვენებურები", გ. შატბერაშვილის "ფიქრის გორა", "რკინის პერანგი" და სხვ. პატრიოტული თემის თავისებურ გააზრებას შეიცავს ი. მოსაშვილის "ჩაძირული ქვები". ამ და სხვა დრამატურგთა პიესებში მრავალი კუთხითა და ორიგინალურად არის გააზრებული პატრიოტიზმისა და მოვალეობის, ომისდროინდელი ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის თუ მატერიალური და სულიერი ყოფის, ომისა და მშვიდობის პრობლემები. მათში ადამიანთა პატრიოტული გრძნობები და ჰეროიკული პათოსი ეჯაჭვება დიდ შინაგან ტკივილებსა და ღრმა ინდივიდუალურ სულიერ განცდებს. ომის თემაზე შექმნილი პიესებისათვის დამახასიათებელია საერთო ნიშანი: პატრიოტიზმის, თავდადების, სიმამაცის უდიდეს პათოსს რომ ამკვიდრებენ, ისინი ამავე დროს თავისი შინაგანი არსით გამოხატავენ უდიდეს პროტესტს უსამართლო ომების წინააღმდეგ.

თანამედროვეობის მწვავე საკითხები, ახალი სინამდვილე აწმყოსა და პერსპექტივაში, ეპოქის ახალი ადამიანი, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ხალხი და ხელმძღვანელი, ერი და მისი განვითარება, ახალი ფსიქიკის დამკვიდრება, ხალხთა მეგობრობა და ბევრი სხვა აქტუალური თემა თუ პრობლემა – ასეთია თანამედრვოეობაზე შექმნილი ახალი პიესების თემატური რკალი.

ეს პრობლემები თუ თემები მეტ-ნაკლები სიძლიერით გამოიხატა მ. მრევლიშვილის (”ზვავი”), ს. კლდიაშვილის (”დაბრუნება”), ი. მოსაშვილის (”მისი ვარსკვლავი”), ვ. გაბისკირიას (”უფსკრულთან”, ”ახალი წლის ღამეს”), ი. ვაკელის (”რვალი”, ”საქმიანი კაცი”), კ. კალაძის ”სანაპიროზე”, ”ერთი ღამის კომედია”), მ. ბარათაშვილის (”მარინე”, ”ჩემი ყვავილეთი”), კ. ბუაჩიძის (”ეზოში ავი ძაღლია”), გ. აბაშიძის (”მოგზაურობა სამ დროში”), ვ. კანდელაკის (”ქართლის ჩირაღდნები”), გ. ქელბაქიანის (”სოფლის მასწავლებელი”), ვ. პატარაიას (”უჩა უჩარდია”), ო. ჩიჯავაძის (”თხუნელა”), მ. ელიოზიშვილის (”ბებერი მეზურნეები”), რ. თაბუკაშვილის (”რაიკომის მდივანი”), გ. ბერძენიშვილის, გ. ხუხაშვილის, რ. ებრალიძის, ო. მამფორიას, ა. სამსონიას, დ. თაქთაქიშვილის, ა. აღლაძის, ა. ადამიას, მ. აბულაძისა და სხვ. პიესებში.

ბევრი ეს დრამა თუ კომედია ყურადღებას იქცევს ჩვენი ეპოქის ადამიანთა ფსიქოლოგიის ღრმა წვდომით, ძველისა და ახლის მძაფრი დაპირისპირებით, დიდი იდეური გამიზნულობით, ეთიკურ-მორალური თუ სოციალურ-პოლიტიკური და ზოგიერთ შემთხვევაში ფილოსოფიური პრობლემების იმგვარი დასმით, როდესაც ძლიერი დამამკვიდრებელი ძალა ენიჭება არა მარტო დადებითის შინაგანი ხასიათის გახსნას, არამედ კრიტიკულ პათოსსაც.

ქართულ დრამატურგიაში თანამედროვე ცხოვრების აქტუალური პრობლემატიკის გვერდით, როგორც ყოველთვის, ომის შემდგომ პერიოდშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ისტორიულ თემატიკას. იგი მოიცავს შორეულ წარსულს, ასევე შედარებით გვიანდელი ეპოქების ეროვნული ცხოვრების მოვლენებსა და ფაქტებს. ბევრი პიესა მიეძღვნა ქართველი ხალხის სახელოვან შვილებს, მათს დიდ მისიას და ღვაწლს ერის ისტორიაში. პ. კაკაბაძის ისტორიული დრამების გარდა, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ასეთ პიესათა რიცხვს განეკუთვნება ს. შანშიაშვილის ”იმერეთის ღამეები”, გ. აბაშიძის ”მუმლი მუხასა” თუ ი. მოსაშვილის ”გზა მომავლისა”, მ. მრევლიშვილის ”ნიკოლოზ ბარათაშვილი”, და ”მგზნებარე მეოცნებე” თუ ვ. კანდელაკის ”მაია წყნეთელი”, ნ. ნახუცრიშვილის ”ფიროსმანი”, ვ. დარასელის ”კიკვიძე” თუ ა. აფხაიძის ”არაგველები”.

არაერთი მხატვრული ნაწარმოები შექმნეს აფხაზმა და ოსმა, საქართველოში მომუშავე რუსმა და სომეხმა მწერლებმა: აფხაზეთის სახალხო პოეტმა დ. გულიამ, გ. გულიამ, ბ. შინკუბამ, ი. თარბამ, მ. ლაკერბაიმ, ი. პაპასკირიმ, ა. ლასურიამ, ოსმა მწერლებმა რ. ასაევმა, გაზეფმა (თ. გაგლოევი) , ი. კავკაზაგმა, ი. პლიევმა და სხვებმა; რუსმა მწერლებმა ა. კუზმიჩევმა, ე. ფეიგინმა, გ. კრეიტანმა; სომეხმა მწერლებმა: ს. ავჩიანმა, ა. ასლანიანმა, გ. კარამიანმა, ს. მანველიანმა და სხვებმა.

ქართველი მწერლები მუშაობდნენ მხატვრულ თარგმანზე. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობდა თითქმის ყველა მწერალი. ომის შემდგომ წლებში ქართულ ენაზე ითარგმნა მსოფლიოს კლასიკური

მწერლობის, რუსული და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები.

ომის შემდგომ პერიოდში მაღალმხატვრული ნაწარმოებისათვის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ გ. აბაშიძეს, ი. გრიშაშვილს, გ. გულიას, გ. ლეონიძეს, ი. მოსაშვილს, ს. ჩიქოვანსა და ს. შანშიაშვილს.

ასეთია ომის შემდგომ თხუთმეტ წელიწადში ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიერ განვლილი გზა. მისი მიღწევები სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემოქმედებითი გამოყენების, ხალხურობისა და პარტიულობის ლენინური პრინციპების მტკიცედ დაცვის შედეგია. ომის შემდგომ პერიოდშიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთელი ქმედითი ძალა ექვემდებარებოდა და გამოხატავდა ხალხის ინტერესებს. იგი ჭეშმარიტად არის ლიტერატურა ხალხის შესახებ და ხალხისათვის.

---

[1] "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას" (გაზ. "კომუნისტი", 1954 წლის 14 დეკემბერი).

[2] **ბ. ჟღენტი,** ოქტომბერი და ქართული მწერლობა (ჟურნ. "მნათობი" N 11, 1967, გვ. 141).

[3] **გ. მარგველაშვილი,** ქართული პოეზიის სიახლენი (ჟურნ. "მნათობი", N 9, 1967, გვ. 134).

§ 6. ქართული თეატრი ომის შემდგომ პერიოდში

ომის შემდგომი წლები ქართული თეატრის ცხოვრებაში ახალი შემოქმედებითი აღმავლობით აღინიშნება. ჰიტლერელთა ურდოებზე გამარჯვება, მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის გაფართოება, სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება ახალ ამოცანებს აყენებდა საქართველოს თეატრების წინაშე. თავის ისტორიულ გადაწყვეტილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე კომუნისტურმა პარტიამ ნათელი ფორმულირება მისცა ამ ამოცანებს. პარტია მოუწოდებდა თეატრებს შეექმნათ მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი, მკაფიო სპექტაკლები, რომლებშიც გახსნილი იქნებოდა საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებები.

ომის შემდგომ წლებში შესამჩნევად გამოცოცხლდა თეატრების საქმიანობა.

ომი დამთავრებული იყო, მაგრამ, ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი საბჭოთა ადამიანის სახე ჯერ კიდევ ელოდა ლიტერატურულ და სცენურ ხორცშესხმას. საჭირო იყო მწვავე, მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლები, რომლებშიც მთელი სიღრმით აისახებოდა საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებები. ამ ამოცანის გადაწყვეტაში თეატრები თავის საპატიო მოვალეობას ხედავდნენ. ომის თემა აგრძელებდა თავის ცხოვრებას ქართულ საბჭოთა სცენაზე ისეთ სპექტაკლებში როგორიცაა ბ. ჩირკოვის

”გამარჯვებულნი” (1946) და ი. მოსაშვილის ”სადგურის უფროსი” (1947) რუსთაველის სახელობის თეატრში, ლ. გოთუას ”უძლეველნი” (1945) მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ამ სპექტაკლებში დაიბადნენ შესანიშნავი, ღრმად რეალისტური გმირების სახეები.

ომის შემდგომ წლებში შეიქმნა პიესები და სპექტაკლები, რომლებშიც თანამედროვე ადამიანის ცხოვრებამ დაიკავა ცენტრალური ადგილი. გამოჩნდა ი. მოსაშვილის ახალი პიესები ”ჩაძირული ქვები” და ”მისი ვარსკვლავი”. ამ პიესებმა წარმატება მოუტანეს ორივე წამყვან ქართულ თეატრს. სპექტაკლებს ”ჩაძირული ქვები” (რეჟისორი აკ. ვასაძე, რუსთაველის სახელობის თეატრი, 1949) და ”მისი ვარსკვლავი” (რეჟისორი არ. ჩხარტიშვილი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, 1951) მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

ომის შემდგომ წლებში მოვიდა დრამატურგიაში მ. მრევლიშვილი. მისმა პირველმა პიესამ ”ხარატაანთ კერა” მარჯანიშვილის სახელობის თეატრს (1949) ნამდვილი გამარჯვება მოუტანა. ძველსა და ახალს შორის ბრძოლის თემა დაედო საფუძვლად მ. მრევლიშვილის მეორე პიესას ”ზვავი”. 50-იან წლებში დაწერილი ეს პიესა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე განახორციელა რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა (1956). მისი პრობლემატიკა მძაფრ, შეურიგებელ, დაუნდობელ ბრძოლას გულისხმობდა. სიტუაციების დრამატიზმი ტრაგიკულ დასასრულს არ გამორიცხავდა. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირის – თინიბეგის სახეს.

მძაფრი დრამატული სიტუაციებისადმი ლტოლვამ განაპირობა თეატრებისა და დრამატურგების ინტერესი ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიური დრამისადმი. ალბათ, ამაშიაც იყო გარკვეული კანონზომიერება. ომის წლების ძნელბედობამ, ზოგჯერ ოჯახების ნგრევამ დრამატურგებში ოჯახის, მორალისა და ყოფის თემაზე პიესების შექმნის სწრაფვა წარმოშვა. თეატრები კი ამ პიესებით მარტო აღმზრდელობით მიზანს როდი ისახავდნენ. უბრალო, რიგითი ადამიანების ცხოვრების ასახვისას თეატრები დიდი გულწრფელობით და ღრმაადამიანურობით ხატავდნენ გმირთა სულიერ განცდებს, წვდებოდნენ მათ სანუკვარ ფიქრებსა და აზრებს, დიდი სიფაქიზით მიჰქონდათ მაყურებლამდე სხვისი ტკივილები და სიხარული. განსაკუთრებული სიფაქიზით აისახა ყველაფერი ეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. აქ შეიქმნა წარმოდგენები ს. კლდიაშვილის ”დაბრუნება” (1952 წ.), გ. შატბერაშვილის ”ძველი სახლი” (1949), ვ. გაბესკირიას ”გაზაფხულის დილა” (1952), ”უფსკრულთან” და მრავალი სხვა.

ღრმა, სულში ჩამწვდომი ფსიქოლოგიზმით, სახეების ფაქიზი და აზრიანი დახასიათებით, სიტუაციების ბუნებრიობითა და კონფლიქტების დაძაბულობით გამოირჩეოდა მიხ. ჯაფარიძის პიესა ”ჩვენებურები”, რომელიც დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში (1956).

პ. კაკაკბაძისეული დრამატურგიის ტრადიციები კვებავს ქართველ დრამატურგთა შემოქმედებით ძიებებს. განხორციელდა არაერთი კომედია თანამედროვე თემაზე. მათგან აღსანიშნავია გ. ქელბაქიანის "ახალგაზრდა მასწავლებელი", კ. ბუაჩიძის "ამბავი ერთი სიყვარულისა", მ. ბარათაშვილის ლირიკული კომედია "ჭრიჭინა", რომელმაც ჩვენი ქვეყნის არაერთი თეატრი დაამშვენა.

ლირიკულის, გულჩამწვდომისა და კომედიურ-სატირულის მშვენივრად შერწყმის ნიმუშია მ. ბარათაშვილის მეორე კომედია "ჩემი ყვავილეთი".

მიუხედავად თემის ძიების არაერთგზის დაჟინებული და ენერგიული ცდებისა მებრძოლი, შემტევი სულისკვეთებით გამსჭვალული, ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებების შექმნის სურვილისა, დრამატურგები და თეატრი ყოველთვის როდი აღწევდნენ სასურველ შედეგებს. 1953 წლის დეკემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა დრამატული თეატრების მუშაობის საკითხი და მიიღო დადგენილება, რომელშიც ასახული იყო რესპუბლიკის თეატრებისა და დრამატურგიის ნაკლოვანებანი. "ზოგიერთი პიესების სიუჟეტები, გამოგონილი სიტუაციები, - ნათქვამი იყო დადგენილებაში, - დრამატული მოქმედების მიზანდასახულობის უქონლობა, ყალბი კონფლიქტები და მხატვრული სახეები, გამომსახველობას მოკლებული სიტყვიერი მასალა თეატრებს საშუალებას არ აძლევს შექმნან მაღალხარისხოვანი წარმოდგენები".

პარტიაში ლენინური ნორმების აღდგენისაკენ მიმართულ სკკპ XX ყრილობის ისტორიულ დადგენილებებს თეატრალური ხელოვნების პრაქტიკასთან უშუალო კავშირი ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით ცოცხალი შემოქმედებითი პროცესისათვის დამღუპველი მანკიერი "უკონფლიქტობის" თეორიის წინააღმდეგ ბრძოლამ დრამატურგიისა და თეატრის სარბიელზე საგანგებო ადგილი დაიკავა. იგი, შეიძლება ითქვას, ამ თეორიიდან გამომდინარე სინამდვილის შელამაზების, მწვავე საკითხების შერბილების შესახებ დრამატურგიის მებრძოლი, შემტევი სულისკვეთების მოდუნების ტენდენციები შენიღბული ფორმით (ისევე, როგორც "დისტანციის თეორია") უპირსიპირდებოდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, მხატვრების ყურადღება გადაჰქონდა მთავარიდან მეორეხარისხოვანზე, ცოცხალი პროცესებიდან იგი სქოლასტიკის სფეროში გადაჰყავდა, ზოგჯერ კი ისტორიის შორეთებისაკენ უბიძგებდა. ერთიც და მეორეც ხელს უშლიდა დრამატურგიაში დიდი მხატვრული ტილოების შექმნას.

კომუნისტურმა პარტიამ, ისევე როგორც წინა წლებში, მწერალ-დრამატურგებისა და თეატრების ყურადღება ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირი განმტკიცებისაკენ, ოსტატობის დონის ამაღლებისაკენ, მომწიფებული, სრულფასოვანი, იდეურ-მხატვრულ ნაწარმოებების შექმნისაკენ წარმართა.

ქართული საბჭოთა დრამატურგია და მასთან ერთად თეატრი, ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებისა და უკონფლიქტობის თეორიის დაძლევის ნიშნით ვითარდებოდა. დრამატურგებმა ყურადღება გაამახვილეს თანამედრვე გმირის სახის შექმნაზე, მათ მთელი თავიანთი მოღვაწეობა ამ მიმართულებით წარმართეს. ისინი უარს ამბობდნენ თანამედროვე გმირის იდეალიზაციაზე, უფრო ღრმად წვდებოდნენ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს. თანამედროვეობის პრობლემების გააზრებისა და დადებითი გმირის სახის შექმნის რთული და ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანის გადაჭრის დროს თეატრები შემოქმედებით გამარჯვებასთან ერთად, სამწუხაროდ, შეცდომებსაც უშვებდნენ და ამიტომ გამარჯვებას ზოგჯერ მარცხიც მოსდევდა ხოლმე. ამის მიზეზი იყო დრამატურგიული მასალის იდეური არასრულყოფა, დაბალი მხატვრული დონე, მხატვრული განზოგადებების ხერხების სიღარიბე, საერთო ჯამში კი ცხოვრების არასაკმარისი ცოდნა.

ქართული თეატრის სცენაზე ომის შემდგომ წლებში, ისევე როგორც წინა პერიოდში, იდგმებოდა მოძმე რესპუბლიკების დრამატურგთა პიესები: ნ. პოგოდინის ”თოფიანი კაცი” (1947), ი. პოპოვის ”ოჯახი” (1950), ვს. ვიშნევსკის ”დაუვიწყარი 1919” (1950) და ”ოპტიმისტური ტრაგედია” (1958), ვ. მინკოს ”გვარის დაუსახელებლად” (1954), ვ. როზოვის ”გზა მშვიდობისა” (1955), ა. კორნეიჩუკის ”ესკადრის დაღუპვა” და ბევრი სხვა.

ომის შემდგომ წლებში ქართულ თეატრს ყურადღება არ შეუნელებია რევოლუციური წარსულის თემატიკისადმი.

ქართული თეატრის რეალისტური საფუძვლების განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემოქმედებითი კოლექტივების მისწრაფებამ აეთვისებინათ ქართული კლასიკური დრამატურგიის მდიდარი მემკვიდრეობა. ომის შემდგომ თეატრების სცენაზე დაიდგა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა ინსცენირებები: ა. ყაზბეგის „მოძღვარი“ (1948), ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ (1946), „ოთარაანთ ქვრივი“ (1952), „გლახის ნაამბობი“ (1955), ვაჟა-ფშაველას დრამა „მოკვეთილი“ (1956) და სხვ.

დიდი ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ქართულმა თეატრმა რუსულ კლასიკაზე. ჩვენს სცენაზე იდგმებოდა მ. ლერმონტოვის, ა. პუშკინის, ნ. გოგოლის, ა. ოსტროვსკის ქმნილებანი.

ქართული თეატრისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე დადგმული ნ. გოგოლის „რევიზორი“ (1951, რეჟისორი ალ. თაყაიშვილი).

დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრისათვის სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მ. გორკის პიესებზე მუშაობას. ჩვენს სცენაზე წარმატებით დაიდგა მისი „მტრები“ (1951), „ვასა ჟელეზნოვა“ (1954), „ფსკერზე“ (1957) და სხვ.

ქართულ საბჭოთა თეატრს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი უცხოურ დრამატურგიასთან. შექსპირის შემოქმედება ყოველთვის ახლობელი იყო ქართული თეატრისათვის. მისი ქმნილებანი ყოველთვის ის სასინჯი ქვა იყო,

რომელზეც გამოიცდებოდა ხოლმე ქართველი რეჟისორების, მსახიობებისა და მხატვრების მისწრაფება მკაფიო თეატრალურობისაკენ, ღრმა გრძნობებისა და ვნებების გამოხატვისაკენ. ქართულ სცენაზე განხორციელდა „რომეო და ჯულიეტა“ (1949), „ანტონიოსი და კლეოპატრა“, „რიჩარდ III“ (1957) და უ. შექსპირის სხვა ნაწარმოებებიც.

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა არ. ჩხარტიშვილის მიერ ბათუმის თეატრის სცენაზე დადგმულმა წარმოდგენამ „ოიდიპოს მეფე“ (ოიდიპოსი – ი. კობალაძე).

სიხარულისა და ჭეშმარიტი თეატრალური დღესასწაულის რამდენი წუთი განაცდევინა ჩვენს მაყურებელს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე დადგმულმა ისეთმა სპექტაკლებმა, როგორიცაა ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“ (1948), ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“ (1954), ბ. შოუს „პიგმალიონი“ (1955), „კეისარი და კლეოპატრა“ (1956), ა. კასონას პიესა „ხეები ზეზეულად კვდებიან“ (1957) და სხვ. დიდ შემოქმედებით გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს დადგმა სოფოკლეს ტრაგედიისა „ოიდიპოს მეფე“ რუსთაველის სახელობის თეატრში (1956, რეჟისორი დ. ალექსიძე), ევრიპიდეს „მედეას“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (1959, რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი).

შ. რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის ომის შემდგომი წლების წარმატებანი დაკავშირებულია რეჟისორების: დ. ალექსიძის, მ. თუმანიშვილის, აკ. დვალიშვილის, მსახიობების: ა. ხორავას, ა. ვასაძის, თ. ჭავჭავაძის, გ. დავითაშვილის, გ. საღარაძის, ე. აფხაიძის, ნ. ლაფაჩის, თ. თარხნიშვილის და სხვათა სახელებთან. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ქართული თეატრალური ხელოვნების ცნობილი ოსტატები, რეჟისორები: ვ. ყუშიტაშვილი და ვ. ტაბლიაშვილი, მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, ა. ჟორჟოლიანი, ა. კვანტალიანი, გ. შავგულიძე, ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი და სხვ.

ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის და ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრების კოლექტივებმა. ოპერისა და ბალეტის თეატრმა დადგა ა. ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი“, პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „შჩელკუნჩიკი“, კ. დანკევიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“, გ. კილაძის ბალეტი „სინათლე“, შ. მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა“, დ. თორაძის ბალეტები „გორდა“ და „მშვიდობისათვის“, ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდ შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის, ჭიათურისა და გორის თეატრებმა. ს. ჭანბას, დ. გულიას, მ. ლაკერბაის პიესების ეროვნული, რუსული და უცხოური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები მუდამ ამშვენებდა სოხუმის თეატრის აფხაზური და ქართული დასის სცენას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ორივე დასმა ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივები აღზარდა. მაყურებლისათვის კარგადაა ცნობილი რ. აგრბას, მ. ზუხბას, ლ. კასლანძიას, შ. ფაჩალიას, ა. არგუნკონოშოკის, ი. კოკოსკერიას, ე. შაკერბაიას, მ. კოვეს (აფხაზური დასი), მ. ჩუბინიძის, ვ. ნინიძის, თ. ბოლქვაძის, ნ. ყიფიანის, ვ. ნეფარიძის, ლ. ფილფანის, გ. სანაძის, შ. გაბელაიას, გ. ხურცილავას (ქართული დასი) სახელები. მრავალი საინტერესო წარმოდგენა განახორციელეს სოხუმის თეატრის სცენაზე რეჟისორებმა: ს. ჭელიძემ, გ. გაბუნიამ, გ. ვასაძემ, ი. კაკულიამ, ა. ქუთათელაძემ, მ. კუჭუხიძემ (ქართული დასი) ხოლო აფხაზურ დასში ა. აგრბამ და ნ. ეშბამ. აფხაზური დასი შეივსო შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა ძალებით.

ცხინვალის თეატრშიც, სადაც აგრეთვე ორი დასი მუშაობს – ქართული და ოსური – აღიზარდნენ მსახიობები ი. ცხვარიაშვილი, ი. შერაზადიშვილი, რ. პლიევა, რ. ვაშაკიძე, ნ. გაგლოევა, გ. კოკოევი, დ. ძამიევი და სხვ.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა ომის შემდგომ წლებში განახორციელა მრავალი საინტერესო დადგმა როგორც თანამედროვე, ასევე ქართული, რუსული და უცხოური დრამატურგიიდან. ამ თეატრებთან დაკავშირებულია რეჟისორების დ. ანთაძის და ო. ალექსიშვილის, მსახიობების შ. პირველის, ა. მაისურაძის, მ. გელაშვილის, ვ. მეგრელიშვილის, ი. ხვიჩიასა და სხვათა სახელები.

აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის თეატრში ამ წლებში ნაყოფიერად მუშაობდნენ რეჟისორი ს. ცომაია, მსახიობები გრ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე და სხვ.

დიდი წარმატებები ჰქონდა გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრს, სადაც მოღვაწეობდნენ რეჟისორი ლ. იოსელიანი, მსახიობები შ. ხერხეულიძე, ქ. ბოჭორიშვილი, ი. ოსაძე, ნ. ზალდასტანიშვილი და სხვ.

ნიჭიერ შემოქმედთა პლეადა მუშაობდა სხვა თეატრებშიც. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: თ. ბერბუთაშვილი, ვ. ჩელტისპირელი, პ. ახვლედიანი, ალ. კუპატაძე (თელავის თეატრი) ა. დობორჯგინიძე, ვ. კუცია (ფოთის თეატრი) ვ. დოლიძე, თ. ანდღულაძე (მახარაძის თეატრი), ა. როგავა, გ. წერეთელი (ზუგდიდის თეატრი).

ისევე, როგორც წინა წლებში, რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრს.

გრიბოედოვის სახელობის თეატრთან არის დაკავშირებული ა. თაყაიშვილის, დ. ანთაძის, მ. ოლშანიცკაიას, გ. ლორთქიფანიძის, ა. სურმავასა და სხვათა სახელები. ომის შემდგომ წლებში ამ თეატრის სცენაზე გამოიკვეთა მსახიობების პ. ლუსპეკაევის, ნ. ბურმისტროვას, თ. ბელოუსოვას, ა. გომიაშვილის, მ. პიასეცკის, ი. რუსინოვის, ი. ზლობინის აქტიორული სახეები.

თბილისისა და საქართველოს რაიონების სომხურ მოსახლეობას გააცნო როგორც სომხური, ასევე მრავალი ქართული და რუსული დრამატურგიული ნაწარმოები თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური თეატრის დასმა.

ქართული თეატრის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა თეატრალურმა კრიტიკამ ს. ამაღლობელის, შ. აფხაიძის, ბ. ჟღენტის, ა. ფაღავას, დ. ჯანელიძის, გ. ჯიბლაძის, დ. ბენაშვილის, გ. ბუხნიკაშვილის, ს. გერსამიას, ა. ბურთიკაშვილის, ე. ქარელიშვილის, ო. ეგაძის და ახალგაზრდების, ნ. შალუტაშვილის, ნ. ურუშაძის, ე. გუგუშვილის, ე. თოფურიძის, ე. შაფათავას, ნ. შვანგირაძის, ვ. კიკნაძის, ნ. გურაბანიძის, შ. სალუქვაძის, ა. შალუტაშვილის, ე. გალუსტოვას, ნ. ღვინეფაძის, ვ. ქართველიშვილის სახით.

ქართულ თეატრში წარმატებათა სიხარული ახალი თაობის მოსვლასთან იყო დაკავშირებული. უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში 1939 წელს თბილისში დაარსებულმა შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურმა ინსტიტუტმა – თეატრალური კადრების სამჭედლომ. მან აღზარდა არაერთი ნიჭიერი მსახიობი, რეჟისორი, თეატრმცოდნე. ომის შემდგომ წლებში გაიზარდნენ მსახიობები: მ. ჩახავა, ს. ყანჩელი, მ. ჯაფარიძე, მ. თბილიელი, ელ. ყიფშიძე, თ. თეთრაძე, ე. ვაჩნაძე, ე. მანჯგალაძე, მ. და გ. გეგეჭკორები, რ. ჩხიკვაძე, კ. მახარაძე, ტ. საყვარელიძე, ი. ტრიპოლსკი, ვ. ნინუა, ბ. კობახიძე, ო. მეღვინეთუხუცესი, ი. უჩანეიშვილი, ზ. კვერენჩხილაძე და სხვ. რეჟისორები: მ. თუმანიშვილი, ლ. იოსელიანი, აკ. დვალიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ი. კაკულია, კ. სურმავა, გ. ჟორდანია, რ. მირცხულავა, შ. გაწერელია, თ. აბაშიძე, მ. კუჭუხიძე და სხვ.

ცალკეული კარგი დადგმები აღინიშნა სახელმწფიო პრემიებით: ოპერა „ამბავი ტარიელისა“, ბალეტები „სინათლე“ და „გორდა“. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, პიესები „დიდი ხელმწიფე“ და „ჩაძირული ქვები“ შ. რუსთაველის სახელობის თეატრში, პიესა „მისი ვარსკვლავი“ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ბალეტ „ოტელოს“ დამდგმელს და მთავარი როლის შემსრულებელს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვ. ჭაბუკიანს მიენიჭა ლენინური პრემია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს საქართველოს თეატრალური კოლექტივების თავდადებული შრომა. ქართული სცენის მოწინავე მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ბევრს სსრ კავშირის სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის და დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა; ზოგიერთი მსახიობი და შემოქმედებითი თეატრალური მუშაკი ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. ქართულ თეატრალურ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი არჩეულ იქნა სსრ კავშირის, საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების და საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებად.

§ 7. კინოხელოვნება

სამამულო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კინემატოგრაფია მთელი თავისი შემოქმედებითი ძალებით ჩაება ომის შემდგომი პერიოდის ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დაიწყო საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების ომის შემდგომი პერიოდის პირელი ხანა. ეს ის წლებია, როცა ჩვენი კინოხელოვნება ჯერ კიდევ განიცდის ომის პერიოდის მძიმე მდგომარეობით გამოწვეულ შეფერხებებს. მცირეა ფილმების რაოდენობა, არის იდეური და მხატვრული ჩავარდნების შემთხვევები, როცა ზოგიერთი გამოჩენილი კინოოსტატიც კი დაშორდა ცხოვრებას, დაადგა ყოფის ზერელე ასახვის გზას, რამაც გამოიწვია მათ მიერ შექმნილ კინონაწარმოებთა იდეური და მხატვრული დაბალი დონე.

მიაქცია რა სერიოზული ყურადღება საქართველოს კინემატოგრაფიის დარგში შექმნილ მდგომარეობას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1952 წლის 12 ივლისს მიიღეს დადგენილება თბილისის კინოსტუდიის მუშაობის შესახებ; ამ დადგენილებაში დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი საქართველოს კინემატოგრაფიის სისტემაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მისი შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

1952 წლის 17 ნოემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებში მხატვრული ფილმების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ[1].

ამ მნიშვნელოვან დადგენილებათა რეალიზაციისათვის გაშლილმა მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკებმა მომდევნო წლებში მრავალ დოკუმენტურ და მეცნიერულ-პოპულარულ კინოსურათებთან ერთად გამოუშვეს 10-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

ორმოცდაათიანი წლების პირველი ნახევრიდან დაიწყო ქართული კინემატოგრაფიის ახალი აღმავლობა. ქართველ კინემატოგრაფისტთა რიგებს შეემატა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც თან მოიტანა განუსაზღვრელი მისწრაფება ახლისაკენ, ძველი ფორმების წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლის წყურვილი.

ძველი და ახალი თაობის ამ მძლავრმა თანაშემოქმედებამ განაპირობა ქართული კინემატოგრაფიის მოწინავე ადგილი საბჭოთა კინემატოგრაფიაში.

შესამჩნევია მკვეთრი შემობრუნება თანამედროვე თემატიკისაკენ. ამ პიერიოდში შეიქმნა ახალი მხატვრული ფილმები: „ჭრიჭინა“ (1954), „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (1954), „ჩრდილი გზაზე“ (1956), „ჩვენი ეზო“ (1956), „საბუდარელი ჭაბუკი“ (1957), „აბეზარა“ (1956), „სხვისი შვილები“ (1958).

ეს ფილმები ეხებიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის მუშაკთა თავდადებული შრომის, ახალგაზრდობის აღზრდის, საბჭოთა ადამიანის შეგნების, პატრიოტიზმის, სოციალისტური მორალისა და თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. გარდა იდეური სიღრმისა და მათში წამოჭრილი პრობლემების სწორი გადაჭრისა, ეს ფილმები დაჯილდოებულია თვალსაჩინო მხატვრული ღირსებებით, რაც მათ საბჭოთა საუკეთესო კინოფილმებს შორის აყენებს.

საზოგადოებრივად გამოსადეგი შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, ამაღლებს მის სულიერ სამყაროს, მოაქვს მისთვის ბედნიერება და სიხარული – ასეთია იდეა ფილმისა „ჭრიჭინა“ (სცენარი მ. ბარათაშვილისა და ლ. ხოტივარის, რეჟისორი ს. დოლიძე).

საბჭოთა პრესამ მაღალი შეფასება მისცა „ჭრიჭინას“. ასეთივე გამოხმაურება პოვა მან საერთაშორისო ეკრანზედაც. ჭრიჭინას როლის შესრულებით დიდი პოპულარობა მოიპოვა მსახიობმა ლეილა აბაშიძემ.

ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (სცენარი ა. ბელიაშვილის, ე. ბოლოშინცოვისა და ნ. სანიშვილის, რეჟისორი ნ. სანიშვილი) ასახავს საბჭოთა ახალგაზრდობის თავდადებულ შრომას, ხალხთა მეგობრობის დიად ძალას. ამ ფილმის წარმატება საბჭოთა და უცხოეთის ეკრანებზე მოწმობდა ფილმის შემქმნელი კოლექტივის მაღალ იდეურ დონეს და მხატვრულ ოსტატობას.

ფილმი „ჩვენი ეზო“ (სცენარი გ. მდივანისა, რეჟისორი რ. ჩხეიძე) ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე მოსკოვში დაჯილდოებულ იქნა პირველი პრემიით, ოქროს მედლით. ფილმის ღირსებაა ნამდვილი ცხოვრების ჩვენება, აზრის სიღრმე, შემოქმედებითი ფანტაზიის სიუხვე. ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა დამწყებ მსახიობთა გ. შენგელაიას, ს. ჭიაურელის და გ. აბაშიძის შემოქმედება.

ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“ (სცენარი გ. მდივნისა, რეჟისორი შ. მანაგაძე) მიძღვნილია მოწინავე ქართველი ახალგაზრდებისადმი, რომელთა მიზანია დაეუფლონ მაღალ საწარმოო ტექნიკას და პატიოსანი შრომით ემსახურონ ხალხის კეთილდღეობის საქმეს. ხასიათების გამოძერწვით, ეროვნული კოლორიტით, ყოფითი მომენტების ზომიერი და მხატვრული გადმოცემით, სურათი მაღალიდეურ-მხატვრულ ნაწარმოებად გვევლინება. აქტიორული შესრულების მხრივ მაღალ დონეზე დგანან ი. კახიანი, ბ. მირიანაშვილი, გ. ტყაბლაძე, სესილია თაყაიშვილი, ი. ხვიჩია. ფილმმა დაიმსახურა მესამე პრემია პირველ საკავშირო კინოფესტივალზე 1957 წელს.

ფილმი „ჩრდილი გზაზე“ (სცენარი კ. ლორთქიფანიძისა და ე. ფეიგინისა, რეჟისორი დ. რონდელი) გადმოსცემს ადამიანის ღრმა გრძნობებსა და განცდებს. ერთი ქალიშვილის პატარა თავგადასავალი აყვანილია დიდ ფსიქოლოგიურ დრამამდე. ეს ფილმი გულთბილი სიმღერაა ადამიანის დიდ ბუნებაზე, მის სულიერ სიფაქიზეზე. ფილმში აქტიორული ოსტატობის მხრივ ყურადღებას იპყრობენ ლია ელიავა, ე. მაღალაშვილი, ზ. ლაფერაძე და სხვ.

ოჯახის სიწმინდის საკითხს, რომელიც პირველ რიგში მომავალი თაობის აღზრდას გულისხმობს, მიეძღვნა ფილმი „სხვისი შვილები“ (სცენარი რ. ჯაფარიძისა და თ. აბულაძის, რეჟისორი თ. აბულაძე), იგი ამ პერიოდის ქართულ ფილმებს შორის ერთ-ერთი მეტად საინტერესო კინემატოგრაფიული ნაწარმოებია. ამ ფილმს საერთაშორისო ფესტივალებზე ოთხჯერ მიენიჭა საპატიო დიპლომი.

ფილმის სხვა შემოქმედებით კომპონენტებთან ერთად მისი მხატვრული და აზრობრივი მაღალხარისხოვნება განაირობა მსახიობთა – ო. კობერიძის და ციცინო ციციშვილის კარგმა შესრულებამ.

ქართული კინოფილმების თემატური გეგმიდან წლების მანძილზე თითქმის მთლიანად გამოითიშა სათავგადასავლო ჟანრის კინონაწარმოებნი. ამ ხარვეზის გამოსწორების თვალსაჩინო მაგალითი იყო ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება“ (სცენარი ვ. ალექსეევისა და ნ. როჟკოვის, რეჟისორი კ. პიპინაშვილი, 1955). ფილმი ასახავს სოციალისტური სამშობლოს მამაცი დამცველების ცხოვრებას, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ აყვავდეს და გაიფურჩქნოს საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი ცხოვრობდეს ძმურად და მშვიდობიანად. 1957 წელს ვენეციაში მოწყობილ საერთაშორისო ფესტივალზე ფილმმა „ორი ოკეანის საიდუმლოება“ საპატიო ადგილი დაიკავა და დაჯილდოებულ იქნა დიპლომით.

ქართული კინოხელოვნების განვითარების ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს კლასიკური მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციის ახლებური გადაწყვეტა, მისი მაღალი მხატვრული დონე. ამ მხრივ პირველი თვალსაჩინო მიღწევა იყო ფილმი „მაგდანას ლურჯა“ (ე. გაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, სცენარი კ. გოგოძისა, რეჟისორი თ. აბულაძე და რ. ჩხეიძე, 1955). ლიტერატურულ პირველ წყაროსთან აქტიურმა შემოქმედებითმა მიდგომამ, სრულიად ახლებურმა რეჟისორულმა ხერხებმა და მხატვრულმა ძიებებმა, განაპირობეს ფილმის იდეურ-მხატვრული მაღალხარისხოვნება, მისი ეროვნული ფორმა და კოლორიტი.

1956 წლის მაისში საფრანგეთში, ქალაქ კანში ჩატარებულ საერთაშორისო კინოფესტივალზე „მაგდანას ლურჯამ“ დიდი ინტერესი გამოიწვია. „მოკლემეტრაჟიანმა საბჭოთა ფილმმა „მაგდანას ლურჯამ“ აღმოჩენა მოახდინა კინემატოგრაფიაში“, - წერდა გაზეთი „იუმანიტე“. ფილმი დაჯილდოებულ იქნა პრემიით. ასეთივე წარმატება ხვდა მას ინგლისში, ქალაქ ვინბურგში მოწყობილ კინოფესტივალზე (1956), სადაც საპატიო ჯილდო მიიღო. წარმატებას ბევრად შეუწყო ხელი მსახიობების – დუდუხანა წეროძის, ა. ომიაძის, ა. კვანტალიანის, აგრეთვე მაგდანას შვილების როლების შემსრულებლების მიხო ბორაშვილისა და ნანი ჩიქვინიძის თამაშმა.

ქართველი ხალხის დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებს მიეძღვნა ფილმი „ოთარაანთ ქვრივი“ ილია

ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით (სცენარი ა. ბელიაშვილისა და მ. ჭიაურელისა, რეჟისორი მ. ჭიაურელი, 1957).

ვერიკო ანჯაფარიძის მიერ განსახიერებული ოთარაანთ ქვრივი ერთ-ერთი უბრწყინვალესი სახეთაგანია მსახიობის მიერ შექმნილ სახეებს შორის. ფილმი 1958 წელს ვენეციის საერთაშორისო ტრადიციულ კინოფესტივალზე დაჯილდოებულ იქნა საპატიო დიპლომით.

კლასიკური ლიტერატურის ორიგინალური კინოინტერპრეტაციით, მისი იდეური ყურადღების უფრო მეტი გაღრმავებითა და თანამედროვე ცხოვრებისადმი სათანადო გამოხმაურებით ამ პერიოდის სხვა ეკრანიზებულ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა პატრიოტიზმით აღსავსე ფილმი „ბაში-აჩუკი“ (სცენარი ვ. კარსანიძისა და ლ. ესაკიასი, რეჟისორი ლ. ესაკია, 1957). ამ ფილმში დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ო. კობერიძემ, ლია ელიავამ, დ. აბაშიძემ, მედეა ჩახავამ და სხვებმა.

ომის შემდგომ წლებში ქართველმა კინომუშაკებმა შექმნეს არაერთი ნახატი თოჯინური, დოკუმენტური, მეცნიერულ-პოპულარული, სასწავლო-ტექნიკური და დუბლირებული ფილმი. 1957 წ. ნახატი ფილმი „ხელმარჯვე ოსტატი“ (რეჟისორი ვ. ბახტაძე) მოსკოვის საკავშირო კინოფესტივალზე დაჯილდოებულ იქნა პრემიით. ნახატი და თოჯინური ფილმების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ქართველ მწერლებს.

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 27, საქ. 63, ფურც. 5.

§ 8 . ქართული სამუსიკო ხელოვნება

დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდი ქართული მუსიკის ახალი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი აღმავლობით ხასიათდება. საგრძნობლად გაღრმავდა მისი იდეურ-თემატური მიმართულება. გამდიდრდა ნაწარმოებთა შინაარსობრივი მხარე. ომის წლებით გამოწვეულმა არნახულმა პატრიოტულმა აღმაფრენამ, საბჭოთა ხალხების გმირულმა სულისკვეთებამ დიდი ხნით განსაზღვრა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებითი მიზანდასახულობა, იდეური შინაარსის წამყვანი ხაზი. ეს იყო უმთავრესად სამშობლოს თემა, გამახვილებული ინტერესი ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და გმირული წარსულისადმი. შესამჩნევად გაფართოვდა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებით ძიებათა არე. დიდი ხნის მომწიფებული პრობლემის - ეროვნული სიმფონიზმის ჩამოყალიბების – ჯეროვნად გადაჭრამ ქართული მუსიკა მაღალ პროფესიულ დონეზე აიყვანა. ამიერიდან, თანამედროვეობის თემა, შედარებით დასრულებული სახით, მძლავრი ნაკადით სწორედ ქართულ სიმფონიურ მუსიკაში შეიჭრა.

დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა ქართველ კომოპოზიტორთა ჯგუფი, რომელთა შემოქმედება შემდგომში სხვადასხვა ჟანრში გამოვლინდა. ყოველ მათგანს ინდივიდუალურ ძიებათა მკვეთრი სხვაობა ახასიათებდა, მაგრამ პირველი ნაწარმოებებიდან მოყოლებული მათ შემოქმედებაში მრავალი საერთო თვისება შეიმჩნეოდა. ქართველ კომპოზიტორთა უფროსი თაობის მხარდამხარ მათ მოუხდათ ეროვნული სამუსიკო კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ხელისშეწყობა, ქართული კლასიკური მუსიკის ტრადიციების გაღრმავება-გაფართოება. საგრძნობ გამოხმაურებას პოულობდა ქართულ მუსიკაში ზოგადსაკავშირო სამუსიკო ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის ისტორიული დადგენილების (ვ. მურადელის ოპერა "დიადი მეგობრების" გამო) შესაბამისად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა იმავე წლის 13 მარტს განიხილა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუშაობის საკითხი და დასახა საბჭოთა სინამდვილის რეალისტური ასახვის, ხალხურობის, მუსიკალური ენის ეროვნულობის პრინციპებზე ქართული მუსიკის შემდგომი განვითარების ამოცანები. ამ მიმართულებით ქართული მუსიკის პირველ მიღწევათა მნიშვნელოვანი შეჯამება იყო თბილისში 1949 წლის ოქტომბერში ჩატარებული ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადა. ამ პერიოდის მთელი ქართული მუსიკის განვითარების ბრწყინვალე დაგვირგვინებად კი იქცა ქართული სამუსიკო კულტურის საგულისხმო წარმატებების აღიარება, რაც 1958 წელს ქ. მოსკოვში ჩატარებული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოიპოვა.

ომის შემდგომი პერიოდის პირველი წლებიდანვე საგრძნობლად გააქტიურდა ქართველ კომპოზიტორთა მუშაობა მუსიკალური თეატრის სფეროში. ქართული საბჭოთა ოპერის განვითარების ახალ მნიშვნელოვან საფეხურად აღიარებულ იქნა შ. მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა", რომლის პრემიერა (1946 წლის 26 თებერვალს) საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავს მიეძღვნა. ამ ოპერის მუსიკალური ენა აშკარად გამოხატული ეროვნულობითა და სტილისტური მთლიანობით გამოირჩეოდა. შ. მშველიძესა და სპექტაკლის მონაწილეთა ჯგუფს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

40-იანი წლების ქართული საბჭოთა ოპერის საყურადღებო მოვლენა იყო არჩილ კერესელიძის გმირულ-პატრიოტული ოპერა „ბაში-აჩუკი", აგებული ა. წერეთლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. კომოპოზიტორმა ორჯერ გადაამუშავა ეს ოპერა, პირველად – 1956–57 სეზონში („ბერუჩას" სახელწოდებით), ხოლო მეორედ – 1960 წელს.

ქართულ მუსიკალურ თეატრს გარკვეული წარმატება მოუტანა ა. ბუკიას საბავშვო ოპერამ „დაუპატიჟებელი სტუმრები" (1950). კომოპოზიტორმა ჭარბად გამოიყენა ხალხური სასიმღერო საწყისები,

განსაკუთრებით პიონერთა სცენებში, სადაც ფართოდ არის შეჭრილი ქართული საბავშვო სიმღერებისათვის დამახასიათებელი მელოდიურობა

1958 წელს დაიდგა დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“, რომლის სიუჟეტურ ხაზს საფუძვლად დაედო დიდი რუსი პოეტისა და დიპლომატის ა. გრიბოედოვის ცხოვრებისეული ეპიზოდები და, ამასთან დაკავშირებით, რუს და ქართველ ხალხთა შორის მეგობრობის იდეა.

ამავე წლებში დაიდგა ა. ანდრიაშვილის „ლაშქარა“, შ. აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩა“, ა. შავერზაშვილის „მარინე“, ა. ბუკიას „არსენა“.

ამ პერიოდში ქარულ საოპერო ჟანრში გამოვლინდა კომპოზიტორთა პროფესიული დონის ზრდა, შემოქმედებითი კავშირი ეროვნული კლასიკური მუსიკის ტრადიციებთან, მისწრაფება თანამედროვეობის მნიშვნელოვან მოვლენათა მხატვრულად ასახვისადმი, მზარდი ინტერესი ეროვნული ლიტერატურის მაღალიდეური სიუჟეტებისადმი.

1945–1958 წლები ეროვნული მუსიკალური თეატრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – ბალეტის – ინტენსიური განვითარებით აღინიშნა. ამის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია გ. კილაძის ბალეტი „სინათლე“ (1947). ნაწარმოებს იდეურ საფუძვლად დაედო სინათლისა და სიკეთის გამარჯვება წყვდიადსა და ბოროტებაზე. ამ იდეის მრავალმხრივი განსახიერებისათვის „სინათლეში“ ორგანულ მთლიანობაშია მოცემული ფანტასტიკური და საყოფაცხოვრებო-რეალისტური, გმირული და ლირიკული საწყისები. მისი ძირითადი ღირსება იყო ეროვნული ცეკვებისათვის დამახასიათებელი ილეთების კლასიკურ საბალეტო ტრადიციებთან შერწყმის ახლებური გადაწყვეტა. ვ. ჭაბუკიანის ამ დადგმამ ქართული საბჭოთა ბალეტი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ბალეტის ავტორთა და შემსრულებელთა ჯგუფი (გ. კილაძე, ვ. ჭაბუკიანი, ზ. კიკალეიშვილი, ვ. წიგნაძე) დაჯილდოებულ იქნა სახელმწიფო პრემიით.

ქართული ქორეოგრაფიული სკოლის მიღწევათა უდავო აღიარებად იქცა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასის გასტროლები მოსკოვში. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ჩატარებული ეს გასტროლები ქართული ბალეტის საკავშირო ასპარეზზე პირველ გამარჯვებას ნიშნავდა. მან ცხადყო ეროვნული საბალეტო ხელოვნების დიდი შემოქმედებითი პოტენცია, რომელიც შემდგომ წლებში უფრო ფართოდ გამოვლინდა.

ქართული საბალეტო ხელოვნების თვითმყოფი თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა აგრეთვე დ. თორაძის „გორდაში“ (1949). ლიბრეტოს (ავტორებია ვ. ჭაბუკიანი და ო. ეგაძე) სიუჟეტურ მასალას წარმოადგენდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ და ქართული ხალხური ლეგენდები.

„გორდას“ ავტორთა მიმართვამ საქართველოს გმირული წარსულისადმი, დამპყრობელთა წინააღმდეგ ხალხის თავდადებული ბრძოლისადმი, განსაკუთრებით ააჟღერა ბალეტის მუსიკაში გმირულ-პატრიოტული თემა. 1951 წელს „გორდას“ დამდგმელებსა და შემსრულებელთა

წამყვან ჯგუფს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიის საგულისხმო აღიარებად იქცა „გორდას“ ჩვენება პარიზის (1966) და ქ. სეგედის (უნგრეთი, 1967) საერთაშორისო ფესტივალებზე.

1953 წელს თბილისის თეატრის სცენაზე დაიდგა დ. თორაძის მეორე ბალეტი „მშვიდობისათვის“. ნაწარმოების წამყვან თემად იქცა ერთი მხრივ – საბჭოთა ხალხის თავგანწირული ბრძოლა დიდი სამამულო ომის წლებში, ხოლო მეორე მხრივ – ომის შედმგომი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოძრაობა – პროგრესული კაცობრიობის ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის. დ. თორაძის ეს ბალეტი იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში, პირველად ქართულ მუსიკალურ თეატრში, განსახიერდა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური ზოგადსაკაცობრიო პრობლემა.

ქართული ბალეტის განვითარება, ა. ბალანჩივაძის „მთების გულიდან“ მოყოლებული, არსებითად გმირულ-რომანტიკული გზით წარიმართა. ქართულ საბჭოთა ბალეტებს აერთიანებდა ერთი იდეურ-თემატიკური საფუძველი, სახელდობრ, სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადება, სიკეთისა და სიმართლის გამარჯვება ბოროტებასა და ბნელეთზე. ეროვნული ბალეტის შემდგომი წინსვლა შესაძლებელი გახდა ამ პერიოდის ქართულ სიმფონიზმში მომხდარი რადიკალური ცვლილებების შედეგად, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ სახეთა ფსიქოლოგიური შინაარსის გაღრმავებისა და დრამატურგიული საფუძვლის წამყვანი მნიშვნელობის ზრდით. ამ მხრივ, ქართული საბალეტო ხელოვნების ახალ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელი“ (1957). ამ ბალეტის მუსიკა კომპოზიტორის საუკეთესო თვისებების გარკვეულ შეჯამებად, მის მხატვრულ შემოქმედებით მონაპოვართა სინთეზად იქცა. ა. მაჭავარიანმა „ოტელოში“ შემოქმედებითად განავითარა საბჭოთა საბალეტო კლასიკის მუსიკალურ-დრამატურგიული პრინციპები. „ოტელოს“ დადგმა ქართული ქორეოგრაფიის ტრიუმფად იქცა.

1958 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მეორე დეკადაზე მაჭავარიანის „ოტელომ“ არნახული წარმატება და ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. ამ ნაწარმოების მუსიკამ გააფართოვა ეროვნული საბალეტო ხელოვნების გმირულ-რომანტიკული ჩარჩოები, გაამდიდრა არსებული ტრადიციები მძლავრი ფსიქოლოგიური საწყისით, განაპირობა საგრძნობი ცვლილებები ქართული საბალეტო მუსიკის დრამატურგიაში, უმთავრესად მისი სიმფონიზაციის გზით, რაც განსაკუთრებით შემდგომ წლებში გამოვლინდა.

აღნიშნულ პერიოდში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ინსტრუმენტული მუსიკა. არსებითად, ამ პერიოდისათვის დადგინდა ეროვნული სიმფონიზმის დამახასიათებელი თვისებები და ძირითადი ჟანრები, ინტენსიურად იხვეწებოდა თანამედროვე ეროვნული მუსიკის გამომსახველი საშუალებანი, ღრმავდებოდა ინსტრუმენტულ ნაწარმოებთა

იდეურ-თემატური შინაარსი. ქართული სიმფონიური მუსიკა და ვოკალურ-სიმფონიური ჟანრები მთელი თავისი სიმდიდრითა და მრავალრიცხოვნებით სწორედ ომის შემდგომ პერიოდში განვითარდა. მასში აისახა მძლავრი პატრიოტული სულისკვეთება, განვლილი ბრძოლის მძვინვარე წლები (ა. მაჭავარიანის სიმოფნია N 1 და მისივე სიმფონიური პოემა „გმირის სიკვდილზე“), ახალი ცხოვრების მშენებელი პიროვნების ჩამოყალიბება (ო. თაქთაქიშვილის ორი სიმფონია, მისივე საფორტეპიანო კონცერტი), საბჭოთა ადამიანების შრომითი პათოსი (შ. მშველიძის სიმფონია N 3), ჩვენი ერის გმირული წარსულის ასახვა (რ. ლაღიძის სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, ა. ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული“), საბჭოთა ბავშვების მხიარული, ბედნიერი სამყარო (ა. ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტი N 3). ახლებური ძალით აჟღერდა სამშობლოს თემა (ა. მაჭავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“), ახალ მხატვრულ ხარისხში გამოვლინდა ქართული სასიმღერო სიმდიდრის თავისებურებანი.

1946 წ. შესრულდა დიმიტრი არაყიშვილის მესამე სიმფონია „სამშობლო და გამარჯვება“, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი.

ა. მაჭავარიანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი თვისებები – მჩქეფარე ტემპერამენტი, ღრმა ემოციურობით გამთბარი ლირიზმი, მუსიკალური ნაკადის დრამატულად დაძაბული გავითარება, დახვეწილი გემოვნება და თანდაყოლილი არტისტიზმი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მის სავიოლინო კონცერტში, რომელიც დღემდე ინარჩუნებს საპატიო ადგილს საბჭოთა ინსტრუმენტული მუსიკის ამ ჟანრში. 1951 წელს სახელმწიფო პრემიით აღნიშნული ეს ნაწარმოები მრავალ წამყვან საბჭოთა და უცხოელი მევიოლინეების რეპერტუარში შევიდა.

1949 წელს შესრულდა ოთარ თაქთაქიშვილის პირველი (ახალგაზრდული) სიმფონია. ამ კომპოზიტორის სახელი ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 1946 წელს, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შექმნაზე ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსში მან თავისი ჰიმნით გამარჯვება მოიპოვა. ამ სიმფონიით იწყება ო. თაქთაქიშვილის შემოქმედების პირველი პერიოდი, რომელიც სწორედ სიმფონიური და, საზოგადოდ, ინსტრუმენტული მუსიკისადმი განსაკუთრებული ინტერესით ხასიათდება. კომპოზიტორის ამ და სხვა ნაწარმოებებში მკვეთრად გამოვლინდა მთელი შემდგომი შემოქმედებითი გზით განმტკიცებული მთავარი ნიშან-თვისებები – განსაკუთრებული ინტერესი თანამედროვე მოქალაქეობრივი თემისადმი, მჭიდრო კავშირი ქართულ ხალხურ სასიმღერო ტრადიციებთან. 1951 წელს პირველ სიმფონიაში, ხოლო 1952 წელს საფორტეპიანო კონცერტში ო. თაქთაქიშვილს სახელმწიფო პრემიები მიენიჭა.

50-იანი წლების დასაწყისი ქართულ მუსიკაში ეპიკური სიმფონიზმის ორი მნიშვნელოვანი ნიმუშით აღინიშნა. 1950 წელს შესრულდა შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „მინდია“, ხოლო 1952 წელს მისივე მესამე სიმფონია „სამგორი“, აგებული წარსულისა და აწმყოს მხატვრულ სახეთა

დაპირისპირებაზე. ნაწარმოებში, რომელიც საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას, ახალი ცხოვრების გამარჯვებას მიეძღვნა, განსაკუთრებით გამოვლინდა ეროვნული ეპოსის წიაღში შობილი მშველიძისეული პოეტიკა.

სიმფონიური მუსიკის სხვა ჟანრებს შორის ამ წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საგრძნობი გატაცება სიმფონიური პოემით – პროგრამული სიმფონიზმის ამ მნიშვნელოვანი ჟანრით. ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, შინაარსობრივად მდიდარი ეროვნული ლიტერატურისადმი იყო მიმართული. შ. მშველიძის „მინდიასა“ და ო. თაქთაქიშვილის „მწირის“ (1956) გარდა ამ პერიოდში შექმნილ სიმფონიურ პოემებს შორის აღსანიშნავია ოლღა ბარამიშვილის „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (1946), ვაჟა-ფშაველას ცნობილი მოთხრობის მიხედვით, რ. ლაღიძის „სამშობლოსათვის“ (1949), ბ. კვერნაძის „განთიადი“ (1953) და სხვ. აღსანიშნავია ამავე წლებში შექმნილი შ. მშველიძის ორი სიუიტა. „ინდური“ (1956 წ.) და „ბირმანაული“ (1958), რომლებშიაც კომპოზიტორმა ოსტატურად გამოიყენა ამ აღმოსავლური ქვეყნების მუსიკალური ფოლკლორის ზოგიერთი ტიპიური თვისებები. მცირე ფორმის პროგრამულ სიმფონიურ ნაწარმოებებს შორის მკვეთრად გამოირჩევა რ. ლაღიძის სიმფონიური სურათი „საჭიდაო“ (1952).

ინტენსიურ განვითარებას განიცდიდა ქართული ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრიც. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ა. ბალანჩივაძის მეორე საფორტეპიანო კონცერტმა (1946), რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ამავე წლებში შეიქმნა ნ. გუდიაშვილის საფორტეპიანო კონცერტები (1946, 1948), მისივე კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1955) და სამმაგი კონცერტი ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად (1955). ა. შავერზაშვილის ორი საფორტეპიანო კონცერტი (1946, 1949). ინტენსიობით აღინიშნა ამ ჟანრში ახალგაზრდა თაობის ქართველ კომპოზიტორთა (ბ. კვერნაძე, ო. გორდელი, ს. ნასიძე, გ. ციციშვილი, ფ. ღლონტი და სხვ.) შემოქმედებითი ძიებანი. განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა ა. ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტმა (1953), რომელშიც ქართული მუსიკის დიდოსტატმა შთამბეჭდავად ასახა ბავშვთა პოეტური სამყარო.

კანტატა-ორატორული ჟანრების განვითარება ქართულ მუსიკაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული ტრადიციების, უმთავრესად ხალხური საგუნდო მრავალხმიანობისა და კლასიკური მუსიკის ზოგიერთი მაღალი ნიმუშების შემოქმედებით ათვისებასთან. ეროვნული მუსიკის ამ სფეროში განსახიერება პოვა არაერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა თემამ, მასშტაბურმა შემოქმედებითმა ჩანაფიქრმა. ქართული ორატორიის პირველი მნიშვნელოვანი ნიმუშია სამამულო ომის წლებში კავკასიის გმირული დაცვით შთაგონებული ორატორია „კავკასიონი“ (1949) შ. მშველიძისა. გმირულ-მონუმენტური ნაწარმოების ლიტერატურულ საფუძვლად კომპოზიტორმა

გამოიყენა გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“ და გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ა. მირცხულავასა და ვ. ჟურულის ცალკეული ლექსები.

ორატორია ასახავს საბჭოთა ხალხის მტერთან თავგანწირულ ბრძოლას, გმირთა დაღუპვით გამოწვეულ გლოვა-გოდებასა და ბოლოს–გამარჯვების ზეიმს.

ქართული ორატორიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ა. მაჭავარიანის „ჩემი სამშობლოს დღე“ ორი სოლისტის (სოპრანო და ბანი), ბავშვთა და შერეული გუნდებისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1954). ნაწარმოებში ასახულია ერთი დღე სამშობლოს ცხოვრებიდან. ლოგიკური თანამიმდევრობით გატარებულია კონტრასტული, კოლორიტულობით გამორჩეული ეპიზოდები, როგორიცაა: პიონერთა საზეიმო სვლა, საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებული შრომა, იუმორისტულ-საყოფაცხოვრებო სცენა და ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მოგონება.

საგრძნობი წარმატება ხვდა წილად ა. ჩიმაკაძის კანტატას „ქართლის გული“ (1952) (გ. ლეონიძის მიხედვით, ტექსტის ავტორია მ. აბულაძე). ამ ნაწარმოებში გადმოცემულია საქართველოს წარსულისა და აწმყოს დამახასიათებელი სურათები. მისი ძირითადი თემაა საბჭოთა პატრიოტიზმი, ქართველი ხალხის სწორუპოვარი წარმატებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

პატრიოტულმა თემამ მრავალმხრივი გამოსახულება პოვა ამ წლებში შექმნილ სხვა კანტატებშიაც, რომელთა შორის აღსანიშნავია ო. თევდორაძის „საკოლმეურნეო კანტატა“ (1949), ა. შავერზაშვილის „ჰიმნი სამშობლოს“ (1951), ო. თაქთაქიშვილის „დიდება პარტიას“ (1953), ბ. კვერნაძის და ს. ნასიძის „1905 წელი“ (1955) და სხვ.

ამ პერიოდში შექმნილი სიმფონიების, სიმფონიური პოემების, ინსტრუმენტული კონცერტებისა და კანტატა-ორატორიების საგრძნობი განვითარება ეროვნული სიმფონიზმის წარმოქმნისა და მისი განმტკიცების შედეგი იყო.

ქართული სიმფონიზმი ვითარდებოდა როგორც ერთიანი მიმართულება, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანდობლივი თვისება იყო ღრმა ეროვნული საწყისი, ხალხური სამუსიკო საუნჯის მრავალმხრივი შემოქმედებითი გამოყენება, ეროვნული მუსიკალური ფორმებისა და ჟანრების ფართო განზოგადება, მსოფლიო სიმფონიზმის ტრადიციების ათვისება.

1946 – 1958 წლები აღინიშნა ეროვნული კამერული მუსიკის განსაკუთრებული აღმავლობით, ჩაისახა და განვითარდა ქართული ხელოვნების ამ დარგის მრავალი, ადრე ნაკლებად დამკვიდრებული ან სრულიად არარსებული სახეობანი. ქართული საბჭოთა მუსიკის ამ სფეროში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ს. ცინცაძეს, რომლის ნაყოფიერი შემოქმედება სწორედ კამერულ ინსტრუმენტულ, კერძოდ საკვარტეტო ჟანრში გაიშალა.

ს. ცინცაძემ შექმნა ხალხური საყოფაცხოვრებო სცენების იერით აღბეჭდილი ნაწარმოებები: „საჭიდაო“, “მწყემსური“,”საცეკვაო“; კაზმული

ჩანაწერები: „სახუმარო“, ”ინდი-მინდი“, ”გაფრინდი შავო მერცხალო“, ”ლალე“ და სხვ. მისი საკვარტეტო სიუიტები და მინიატურები 1949, 1950 და 1955 წლებში სამ კრებულად გამოიცა. 1949 წელს შექმნილ მეორე კვარტეტსა და ამავე წელს გამოცემული სამი საკვარტეტო მინიატურისათვის ს. ცინცაძეს, მაშინ ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტს, სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ამ წლებში საგრძნობლად გაიზარდა მუსიკალურ პედაგოგიური დანიშნულების მქონე ნაწარმოებების რიცხვი. ნორჩ მუსიკოსთა არაერთი თაობა აღიზარდა ისეთ, მხატვრული თვისებების მქონე ნაწარმოებებზე, როგორიცაა: შ. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო მინიატურების კრებულები „ბავშვთა სამყარო“ და „ბუნების სურათები“ (1954), ა. მაჭავარიანის „საბავშვო საფორტეპიანო პიესები“ (1955), თამარ შავერზაშვილის „ალბომი ჭაბუკებისათვის“ (1956), ქ. თუმანიშვილის საბავშვო სიუიტა ფორტეპიანოსათვის „პიონერული ბანაკის ჩანახატები“ (1955), ვ. ცაგარეიშვილის „14 საბავშვო პიესა“ (1955) და სხვ.

ომის შემდგომ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ქართული რომანსებისადმი. მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ა. მაჭავარიანის რომანსები „ცისა ფერს“ (1949) და „მზეთამზის სახეო“ (1956). რ. გაბიჩვაძის „შევიშრობ ცრემლსა“ (1948), ა. ჩიმაკაძის „ნინო ჭავჭავაძეს“ (1952), „იავნანა“ (1953) და „შენი დალალნი“ (1954), რ. ლაღიძის „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“ (1956).

ქართული საბჭოთა რომანსისა და ლირიკული სიმღერის ჟანრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული კომპოზიტორ ს. მირიანაშვილს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა რ. გაბიჩვაძის „სიმღერა რუსთავზე“ (1948), ო. თაქთაქიშვილის „კომკავშირული მარში“ (1949), შ. მილორავას „სიმღერა თბილისზე“ (1956), რ. ლაღიძის „სიმღერა სამშობლოზე“ (1954) და „გვიხმობს სამშობლო“ (1956).

ქართული მუსიკალური ხელოვნების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები პირველად შესრულდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკის ფესტივალზე „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“, რომელიც ჩატარდა თბილისში 1958 წლის მაისში.

50-იან წლებში იწყება პოპულარული მუსიკის ერთ-ერთი განშტოების, სახელდობრ – საესტრადო სიმღერის ინტენსიური განვითარება. აღსანიშნავია აგრეთვე ა. მაჭავარიანის, ა. კერესელიძის, რ. ლაღიძის, დ. თორაძის, ს. ცინცაძის სასიმღერო მუსიკის ნიმუშები, შექმნილი ქართული კინოფილმებისათვის. ქართული მუსიკალური კომედიის სფეროში ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული ა. კერესელიძეს, რომელსაც ეკუთვნის ოპერეტები „თბილისის ცის ქვეშ“ (1949) და „სამი საცოლე“ (1951), ნ. გუდიაშვილის „შეხვედრა“ (1950) და „სალხინობელი“ (1954); შ. აზმაიფარაშვილის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ (1952), რ. ლაღიძეს ოპერეტა – ზღაპარი „კომბლე“ (1958). ამ წლებში იწყებს თავის შემოქმედებით გზას გ. ცაბაძე, რომელსაც დიდი

წარმატება ხვდა სწორედ მუსიკალური კომედიის ჟანრში - „სიმღერა სიყვარულზე (1950), „ჩვენი ნაცნობები“ (1953), და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შ. მილორავას ღვაწლი ქართული საბჭოთა მუსიკალური კომედიის განვითარებაში. იგი ავტორია მრავალრიცხოვანი ოპერეტებისა და მუსიკალური კომედიების, რომელთა შორის აღსანიშნავია „ერთხელ გაზაფხულზე“ (1951), „სასიძოები“ (1952), „საყვარელი დისშვილი“ (1955), განსაკუთრებით კი „სიმღერა თბილისზე“ (1958).

ომის შემდგომი პერიოდი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ამ წლებში განვითარდა მუსიკის თითქმის ყველა ჟანრი. ქართველმა კომპოზიტორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მუსიკალური კულტურის საგანძურში.

§ 9. ქართული სახვითი ხელოვნება

ომის შემდგომი წლების ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების პროცესი თანაბრად და უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა, რაც სხვადასხვა ხასიათის სიძნელეებით იყო გამოწვეული. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მშენებლობის პერიოდის ამოცანებმა განსაზღვრეს თანამედროვე ცხოვრების ყოველმხრივი ასახვის ახალი პრობლემები. ხელოვნების განვითარებისათვის შემაფერხებელი ფაქტორი იყო მეტის–მეტი გატაცება ოფიციალური, პარადული მხატვრობით, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა სახვით ხელოვნებაში ომის შემდგომ წლებში. დიდ თემატიკურ სურათებში მხატვრები ხშირად ვერ სცილდებოდნენ სიუჟეტის ქრონიკული აღწერის საზღვრებს, თავს ვერ აღწევდნენ კომპოზიციისა და კოლორიტის ერთფეროვნებას. ეს, რასაკვირველია, გარკვეულ ფარგლებში თვით დიდი თემატიკური ტილოების შექმნის ამოცანის სირთულითაც იყო გამოწვეული. განსაზღვრული პერიოდის მანძილზე ქართულ ხელოვნებაში ვხვდებით მოვლენების გამარტივებული, ნატურალისტური ასახვის ტენდენციას.

ამ სიძნელეთა მიუხედავად, შეუნელებლად ვითარდებოდა რეალისტური ხელოვნების ჯანსაღი ტრადიციები. სწორედ ამ წინამძღვრებმა შექმნეს საფუძველი იმ გარდატეხისათვის საბჭოთა ქართულ სახვით ხელოვნებაში, რომელიც 50–იანი წლების ნახევრიდან გამოვლინდა და განსაზღვრა მისი განვითარების შემდგომ წლებში.

საერთოდ, საბჭოთა, და კერძოდ, საქართველოს სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების პროგრამას განსაზღვრავდა თანამედროვეობასთან უფრო მჭიდროდ დაახლოების ტენდენცია, რამაც თემატიკის გაფართოებაში, სიუჟეტების განსაზღვრულ შერჩევაში პოვა გამოხატულება. ახალი ეტაპი ქართულ სახვით ხელოვნებაში აღინიშნება ბრძოლის თემის ზერელე, გარეგნული გადაწყვეტის, შესრულების ესკიზურობის წინააღმდეგ, მაღალი

ოსტატობის დაუფლებისათვის. დამახასიათებელია სახოვანი გამომხატველობის, მხატვრული ენის თვითმყოფადობის ინტენსიური ძიება, ინტერესის გაძლიერება ფორმის კოლორიტის, განათებისა და სხვა მხატვრულ პრობლემებისადმი.

ამ წლებში აღსანიშნავია ახალგაზრდა კადრების ინტენსიური ზრდა. სახვითი ხელოვნების ყველა დარგში უფროსი და საშუალო თაობის მხატვართა გვერდით ახალგაზრდა ოსტატთა ახალი პლეადა დგება.

მნიშვნელოვანი როლი სახვითი ხელოვნების წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში შეასრულეს საქართველოს მხატვართა კავშირის ღონისძიებებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1952 წელს თბილისში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში საქართველოს სახვითი ხელოვნების მუდმივი ექსპოზიციის შექმნა.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხატვართა კონფერენციები (1953, 1954, 1955) მიზნად ისახავდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებას. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მხატვართა ყრილობებმა (III ყრილობა – 1955წ., IV ყრილობა – 1958წ.), რომელთა მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები. ყრილობებზე აღნიშნული იყო, როგორც ქართული სახვითი ხელოვნების აღმავლობა, ასევე ნაკლოვანებანი.

სისტემატურად ტარდებოდა საიუბილეო (1946, 1949, 1951), რესპუბლიკური (1953, 1955), ტრადიციული საშემოდგომო და საგაზაფხულო, მხატვართა პერსონალური გამოფენები და სხვ., რომლებიც მკაფიო მაჩვენებელი იყო იმ პროცესებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში თემატიკის გათართოების, მხატვრულ ამოცანათა გადაწყვეტის, ხელოვნების ახალი დარგების განვითარების მიმართულებით.

ქართული სახვითი ხელოვნების მიღწევები ფართოდ იყო დემონსტრირებული იმ ღირშესანიშნავი თარიღების დროს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, როგორიც იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში 1958 წელს და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის დაარსების 1500 წლის საიუბილეო თარიღი 1958 წელს.

ომის შემდგომ წლებში საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდთან დაკავშირებული ახალი თემატიკა აისახა ფერწერის სხვადასხვა ჟანრში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ მხატვართა სისტემატურ გასვლას მშენებლობებზე, ინდუსტრიულ ობიექტებზე, ქარხნებსა და კოლმეურნეობებში. საქართველოს ახალ მშენებლობებს სპეციალური გამოფენაც კი მიეძღვნა (1952), სადაც თემატიკის აქტუალობით და მხატვრული გამომსახველობით ყურადღებას იპყრობდნენ ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, შ. მაყაშვილის, ა. ჟღენტის, უ. ჯაფარიძისა და სხვათა ნამუშევრები. თანამედროვეობის თემა ასახეს თავის

სურათებში ა. ქუთათელაძემ (“მოსავლის აღება”), გ. ჯაშმა (“დღესასწაული კოლმეურნეობაში”), კ. სანაძემ (“სამგორის განთიადი”) და სხვ.

ომის თემატიკას ამ პერიოდშიც განსაზღვრული ადგილი ეჭირა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში (ს. ნადარეიშვილი – “სადღეგრძელო”. მ. თოიძე – “გმარჯვების სიმღერა”, კ. გძელიშვილი - “მშობლიური კერის დაცვა”).

ქართული ფერწერის განვითარებაში ერთ–ერთი წამყვანი ადგილი პეიზაჟურ მხატვრობას ეკავა. ამ ჟანრში კვლავაც ახალგაზრდული შემართებით განაგრძობდა მუშაობას უხუცესი ქართველი მხატვარი ა. ციმაკურიძე. ხალისიანი განწყობით ასახავდა იგი მშობლიური კუთხის – ბორჯომის ხეობის ბუნებას (“მზიანი დღე” – 1949, “ქვიშხეთი” – 1952), გადმოსცემდა განათების ცხოველხატულ თამაშს მწვანე მდელოებსა და ხეების ფოთლებში.

ადამიანის შრომითი ბუნების გარდაქმნის თემამ მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა ქართველ პეიზაჟისტთა ნამუშევრებში. მათ შორისაა ე. ახვლედიანის სამგორის მშენებლობის სერია, “ორთაჭალჰესის მშენებლობა”, “ ბულაჩაური”, და სხვ. შრომის გრანდიოზული პროცესის ასახვის ამოცანამ განსაზღვრა გამომსახველობის ახალი ფორმების ძიება დ. კაკაბაძის შემოქმედებაში. მის პეიზაჟებში სპეციფიკურ დეკორატიულ–სიბრტყობრივ მანერას შესრულების სივრცობრივ–ილუზიონისტური ხერხები ენაცვლება, ფუნჯის მონასმები მსუბუქი და გამჭვირვალე ხდება – “ფოთი – ელევატორი”, “სვანეთი”, “ყაზბეგი” (1949), “რუსთავი - ფოლადის პირველი გამოდნობა” (1951). მონუმენტურობა, რომანტიკული პათოსი ახასიათებს ამ ნაწარმოებებს.

საქართველოს ბუნების ასახვა ქართულ პეიზაჟურ მხატვრობაში მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგრამ მთლიანად მის ხასიათს განსაზღვრავს გამოხატული ადგილების რეალისტური ასახვის ტენდენცია. პოეტური განწყობილებითაა გამსჭვალული შ. მამალაძის, მ. ხვიტიას. გ. ჩირინაშვილის ტილოები. დახვეწილი ოსტატობით დაწერილ თბილისის ხედებს, კახეთის პეიზაჟებს ქმნის პ. ბლიოტკინი, ქალაქებისა და ისტორიული ძეგლების ხედებს რ. ჯავრიშვილი, ვ. ჯაფარიძე. კაშკაშა, ჟღერადი ფერადოვნება ხვდება თვალს ლ. ძაძამიძის პეიზაჟებში.

ქართველ მხატვართა დეკორატიულმა ძიებებმა ამ წლებში განსაკუთრებით ნატურ–მორტის ჟანრში იჩინა თავი, რასაც მოწმობს ნ. თამამშევას, ე. ახვლედიანის, მ. თარიშვილის, დ. გაბაშვილის ნატურ–მორტები.

წინა პერიოდთან შედარებით უფრო მრავალმხრივი გახდა პორტრეტული მხატვრობა. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა, მეცნიერთა, მშრომელთა პორტრეტების მთელი გალერეა შექმნეს ქ. მაღალაშვილმა, ა. ბაჟ-ბეუქ–მელიქოვმა, უ. ჯაფარიძემ, კ. სანაძემ, ვ. შუხაევმა, გ. ჯაშმა და სხვ. განსხვავებული შემოქმედებითი ტემპერამენტის მიუხედავად, მათ აერთიანებს მისწრაფება განზოგადოებული პორტრეტული სახეების შექმნისაკენ. მოდელის ფსიქოლოგიური დახასიათება პორტრეტებში ფერწერულ ამოცანებთანაა შერწყმული. გაცილებით დიდი ადგილი ეთმობა ახლა კომპოზიციურ პორტრეტს (კ. სანაძე, ა.ბანძელაძე და სხვ.). მხატვრების

ყურადღებას იქცევს ქართველი ხალხის ყოველდღიური ცხოვრება. მაგ. ქართველ გლეხთა კოლორიტული პორტრეტული ტიპების სერია შექმნა კ. სანაძემ.

ქართველ ქალთა ტიპების, საქართველოს წარსულის ასახვა იზიდავს მხატვრებს ე. ბაღდავაძესა და ნ. იანქოშვილს.

ამ პერიოდშიც, ისევე როგორც უწინ, თემატიკის დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება ლ. გუდიაშვილის შემოქმედება – ყოფითი სცენები, კომპოზიციები საქართველოს ისტორიული წარსულიდან, პორტრეტები. ამ ნაწარმოებებში, რომლებიც შესრულებულია მხატვრისათვის დამახასიათებელი ხაზისა და ფერის დეკორატიულობის გრძნობით და დიდი ფერწერული ოსტატობით, მკაფიოდაა გამოვლენილი მხატვრის ინდივიდუალობა.

დიდი ინტერესი აღინიშნება ყოფითი ჟანრისადმი (მხატვრები ნ. მეტონიძე, კ. ხუციშვილი და სხვ.). განსაკუთრებით გამოიყოფა ეს ჟანრი უ. ჯაფარიძის შემოქმედებაში. მისი რაჭის სოფლისადმი მიძღვნილი მცირე ზომის კომპოზიციები (“ბაზრის კუთხე” – 1948, “ფრინველების გამყიდველი” და სხვ.) ლირიკული, პოეტური განწყობილებით გამოირჩევა.

ისტორიულ–რევოლუციურ თემატიკას ამ წლებში ისეთი დიდი ადგილი აღარ უჭირავს ქართველ მხატვართა შემოქმედებაში, როგორც წინა პერიოდში. ამ დარგში მოღვაწეობას აგრძელებენ მ. თოიძე, ი. ვეფხვაძე, ა. ქუთათელაძე, უ. ჯაფარიძე; მომდევნო თაობიდან მუშაობაში ჩაება ა. ვეფხვაძე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მონუმენტურ–დეკორატიული მხატვრობის პრობლემა, რომელმაც ფართო განვითარება მომდევნო ხანაში პოვა. ომის შემდგომ წლებში ამ პრობლემაზე მუშაობას იწყებს რ. სტურუა. მის მიერ შესრულებულ მოხატულობათა (ქ. ჭიათურის თეატრის პლაფონი – “გამარჯვების დღის ზეიმი საქართველოში” – 1946; სოფ. შრომის კულტურის სახლის მოხატულობა – 1955) სადღესასწაულო ხასიათი, ცოცხალი, ჟღერადი კოლორიტი შეესატყვისება ინტერიერის დანიშნულებას, რომლებსაც ისინი ამკობენ.

ამრიგად, ომის შემდგომი ათწლეულის მანძილზე ქართული ფერწერის განვითარებაში აღსანიშნავია ახალი, თანამედროვე ცხოვრების პირობებთან დაკავშირებული თემების ასახვის ტენდენცია. და, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად იქმნებოდა ტილოები, რომლებშიაც თემის ზერელე, წმინდა ილუსტრაციული გადმოცემებისა და არასაკმარისი პროფესიული ოსტატობის შედეგად ირღვევა ფორმისა და შინაარსის სინთეზი, აუცილებელი ნაწარმოების საერთო მხატვრული გამომსახველობისათვის, ამ პერიოდის ფერწერა მთლიანად ახალი მიღწევებისაკენ მიემართებოდა.

1953 წელს ყურადღება მიიპყრეს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მხატვართა სადიპლომო ნამუშევრებმა. ეს ნაწარმოებები, რომლებიც ფერწერის სხვადასხვა ჟანრს მოიცავდა, საინტერესო იყო რთული სიუჟეტური ჩანაფიქრის ამოცანის დაძლევისა და ფერწერული

ოსტატობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია დ. ხახუტაშვილის ნამუშევარი – “უხუცესი ქართველი მხატვრების ჯგუფური პორტრეტი” გ. თოთიბაძის – “სამგორის ახალ მიწაზე”, კ. მახარაძის – “სუვოროვის გადასვლა ალპებზე”.

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ – ოსეთის ავტონომიურ ოლქში ომის შემდგომ წლებში უფროსი თაობის მხატვართა – ი. ცომაიას, ა. რაზმაძის, ბ. გოგიბერიძის (აფხაზეთი), თ. ჭანტურიას, დ. იმნაიშვილის, გ. მეგრელიძის (აჭარა) გვერდით შემოქმედებით მოღვაწეობაში ინტენსიურად ჩაება მხატვართა ახალი პლეადა.

საერთოდ 50–იანი წლებიდან გაიზარდა ფერმწერთა კადრები, რომელთა ნაწარმოებებში აღინიშნება ძიებანი ფორმის, კოლორიტის, სურათის დეკორატიულობის ამოცანების ახლებურად გადაწყვეტის მიმართულებით. საფუძველი ეყრება იმ ტენდენციებს, რომელთა ორგანული განვითარების შედეგია ქართული ფერწერის მიღწევები მომდევნო ათწლეულებში.

ომის შემდგომ წლებში აღსანიშნავია გრაფიკის სხვადასხვა დარგის ინტენსიური განვითარება. წამყვანი ადგილი კვლავაც წიგნის გრაფიკას ეჭირა. წიგნის ილუსტრირების ეროვნული ტრადიციების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ქართველ მხატვართა სისტემატურმა მუშაობამ მსოფლიო ლიტერატურის შედევრების, პირველ რიგში კი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების დასურათებაზე.

წიგნის დასურათების დარგში საყურადღებოა ი. შარლემანის ილუსტრაციები ა. ანტონოვსკაიას რომანისათვის “გიორგი სააკაძე” (1950). დახვეწილი გრაფიკული ოსტატობით შესრულებულ ამ ილუსტრაციებში იგრძნობა ქვეყნის ისტორიისა და წიგნში ასახული ყოფის ღრმა ცოდნა.

რომანტიკული პათოსი, საერთო კომპოზიციისა და ფიგურათა მონუმენტურობა, ფორმათა ხაზგასმული სკულპტურულობაა დამახასიათებელი თ. აბაკელიას ილუსტრაციებისათვის ვაჟა-ფშაველას პოემებზე (1947). მათში მკაფიოდაა გამოვლენილი საინტერესო ინდივიდუალობა ამ მრავალმხრივი შემოქმედისა, რომელიც ქანდაკებასთან ერთად გრაფიკის დარგშიც მუშაობდა.

ს. ქობულაძის ილუსტრაციები უ.შექსპირის ტრაგედიისათვის “მეფე ლირი” (1946) ერთ–ერთი საუკეთესოა საბჭოთა ხელოვნებაში. გმირთა მონუმენტურ, ამაღლებულ–ჰეროიკულ სახეებში მეტყველადაა ხორცშესხმული შექსპირისეული ძლიერი ხასიათები, ტრაგედიის ღრმა დრამატიზმი. ამასთან ერთად ს. ქობულაძემ შექმნა ილუსტრაციები ქართული ხალხური ზღაპრებისათვის (1954), რომლებიც წმინდა ეროვნული, ხალხური იუმორითაა აღბეჭდილი.

ქართველ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრები შემოქმედების ფართო დიაპაზონს გვიჩვენებენ. გმირულ–პათეტიკური ილუსტრაციების გვერდით იქმნება ილუსტრაციები, რომლებშიც თხრობითი ინტონაციაა წამოწეული, მხატვრებს აინტერესებთ დამაჯერებლად ასახონ ლიტერატურულ ნაწარმოებში გადმოცემული მოქმედება, მოქმედ პირთა ურთიერთობა,

აღბეჭდონ მათი ფსიქოლოგია (ი. თოიძე – “ქართული პოეზიის ანთოლოლგია” – 1948; უ. ჯაფარიძე – ი. ჭავჭავძის პოემა “კაკო ყაჩაღი” – 1952; გ. გულისაშვილი. ვ. ტოროტაძე, რ. სტურუა – ვაჟა-ფშაველას პოემები; გ. ჩირინაშვილი – ო. თუმანიანი “გიქორ” – 1953, ნ. ლომოური – “ალი”; თ. ყუბანეიშვილი – ი. ჭავჭავაძე, “ოთარაანთ ქვრივი”). ეს ამოცანა ცალკეულ შემთხვევაში თავისებურადაა გადაწყვეტილი, რასაც განსაზღვრავს მხატვრის შემოქმედებითი ინდივიდუალობა და, აგრეთვე, დასასურათებელი ნაწარმოების ხასიათი.

განსხვავებულ მხატვრულ მიდგომას ამჟღავნებს მხატვარი ა. ბანძელაძე, როდესაც ხალხური ნაწარმოების “არსენას ლექსის” დასურათებისას (1958) განზოგადებულ–დეკორატიულ ფორმებს მიმართავს.

გარკვეული წინსვლა აღინიშნება საბავშვო წიგნის გაფორმების სფეროში. ნაყოფიერ მუშაობას ამ დარგში აგრძელებდა მხატვარი ი. გაბაშვილი. მის მიერ შექმნილი ლაკონიური, ძლიერ სახოვანი და ფერადოვანი ილუსტრაციები თავისი ხასიათით შეესატყვისება საბავშვო წიგნის დასურათების სპეციფიკას (“ჩხიკვთა ქორწილის”, ვაჟა-ფშაველას ”შვლის ნუკრის ნაამბობის” ილუსტრაციები – 1948). საბავშვო წიგნებს ასურათებენ თ. აბაკელია, ვ. ბელეცკაია. შ. ცხადაძე, ა. ბანძელაძე, თ. მირზაშვილი, თ. სამსონაძე და სხვ.). საბავშვო წიგნის გრაფიკაში ჩანს საერთო ტენდენცია ლიტერატურული მასალის გადაყვანისა ადვილად წასაკითხ და აღსაქმელ სახეებში, თუმცა ილუსტრაციების მხატვრული დონე ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის.

აღსანიშნავია საინტერესო მუშაობა წიგნის მთლიანი მხატვრული გაფორმების, ორნამენტაციის, მხატვრული შრიფტის ეროვნული ხასიათის ძიების მიმართულებით (ლ. გრიგოლია, დ. ქუთათელაძე. ვ. ქუთათელაძე, დ.გაბაშვილი).

ომის შემდგომ წლებში უფრო მეტი ყურადღება მიექცა გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკური სახის განვითარებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ვ. ლემონჟავას, ვ. კეშელავას, დ. ქუთათელაძის თანამედროვე საქართველოს ამსახველი ავტოლითოგრაფიები, ვ. ქუთათელაძის, ნ. ჩერნიშკოვის, ვ. ბელეცკაიას ლინოგრავიურები და გრავიურები ხეზე (ძველი და ახალი თბილისის ხედები, პეიზაჟები), ა. ნაცვლიშვილის ოფორტები ინდუსტრიულ თემაზე.

ომის შემდგომ წლებში მიღწევებია მოპოვებული ქართული პლაკატის განვითარებაში. დამახასიათებელია ხელოვნების ამ ქმედითი დარგისათვის სპეციფიკური ლაკონიური და მეტყველი მხატვრული ენის ძიება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს მაღალმხატვრულმა და ორიგინალურმა პლაკატებმა, რომლებიც 1958 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის შექმნეს ქართველმა მხატვრებმა. ლ. გრიგოლიამ, ი. გორდელაძემ, დ. დუნდუამ, ი. დივნოგორცევამ და სხვ.

საგაზეთო და საჟურნალო სატირული გრაფიკის დარგში უფროსი თაობის მხატვართა ა. ნაცვლიშვილის (დონი), ა. კანდელაკის, ი. კასპარიანის (გურო) გვერდით მოღვაწეობენ გ. ფირცხალავა, ნ. მალაზონია, ჯ. ლოლუა და სხვ. აღსანიშნავია მათი მუშაობა სატირულ ჟურნალ "ნიანგში". მახვილი, მკვეთრი რეაქციით ცხოვრების მოვლენებზე ყურადღებას იპყრობენ გ. ფირცხალავას კარიკატურული და სატირული სერიები.

ომის შემდგომ წლებში თეატრალურ–დეკორაციული ხელოვნების დარგში წარმატებით მუშაობდნენ ცნობილი მხატვრები: ე. ახვლედიანი, ს. ვირსალაძე, დ. თავაძე, დ. კაკაბაძე, ფ. ლაპიაშვილი, ი. სუმბათაშვილი და სხვ. მათ შემოქმედებასთან არის დაკავშირებული ის გარდატეხა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თეატრალური გაფორმების სფეროში. დაძლეულ იქნა 40–იანი წლების თეატრალურ–დეკორაციული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნატურალიზმის ელემენტები და ფერწერული ტენდენციები, რის გამოც თეატრალური მხატვრობა სადაზგო მხატვრობას უახლოვდებოდა.

მხატვართა ძველ თაობას შეემატა ახალი ძალები, რომელთა ნამუშევრებში იგრძნობა უშუალო კავშირი ცნობილი ქართველი თეატრალური მხატვრების პ. ოცხელის, ი. გამრეკელისა და სხვათა შემოქმედებით პრინციპებთან.

ზოგიერთი მხატვრისათვის ამ ტრადიციებისაკენ მიბრუნება 40–იან წლებში შეწვეტილ ძიებათა ორგანული გაგრძელება იყო. ამ მხატვართა რიცხვს ეკუთვნის დ. თავაძე, რომელმაც 50–იან წლებში შესრულებულ ნაწარმოებებში განავითარა თავისი შემოქმედების ადრინდელი ხანისათვის დამახასიათებელი სტილი. "ესპანელი მღვდელის" (1954) და სხვა სპექტაკლების გაფორმებაში მკაფიოდ გამომჟღავნდა მხატვრის უნარი დეკორაციების საშუალებით ხაზი გაუსვას მოქმედებას, მის ხასიათს, ნახატით შექმნას მეტყველი ფონი თეატრალური მოქმედების განვითარებისათვის.

50–იანი წლების პერიოდშია შექმნილი ბალეტ "ოტელოს" გაფორმება (ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში) მხატვარ ს. ვირსალაძის მიერ. ს. ვირსალაძეს თეატრალური დეკორატიულობის პრობლემა მონუმენტურობამდე აჰყავს. ბალეტის სპეციფიკას ემორჩილება მეტყველი, ლაკონიური, მაგრამ ყოველთვის ეპოქის სტილის გამომხატველი ელემენტები, ერთიან სანახაობრივ ანსამბლს ქმნიან მხატვრის მიერ დიდი გემოვნებით და მაღალმხატვრული უბრალოებით შესრულებული კოსტიუმები.

ქართველი თეატრალური მხატვრები (ე. ახვლედიანი, ს. ვირსალაძე, ი. სუმბათაშვილი და სხვ.) წარმატებით მოღვაწეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების თეატრებში, მხატვრულად აფორმებდნენ არა მარტო ქართველ და სხვა საბჭოთა ავტორთა, არამედ მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებებს ამ თეატრების სცენებზე.

ომის შემდგომ წლებში დაუღალავად მუშაობდნენ ქართველი მოქანდაკეები, რომელთა ყურადღების ცენტრში რჩებოდა ომის თემა. აღსანიშნავია შ. მიქატაძის მონუმენტური, პატრიოტული პათოსით გამსჭვალული სკულპტურული ჯგუფი "სამშობლო გეძახის" (1946), თ. აბაკელიას ბარელიეფი "კავკასიის დაცვა", ვ. თოფურიძის სკულპტურა "გამარჯვება" – ძლიერ დინამიკური და ექსპრესიული ქალის ფიგურის სახით (1948).

თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ომის შემდგომ წლებში ფართოდ გაშლილ მშენებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მონუმენტური სკულპტურის პრობლემამ. ამ პერიოდში საქართველოში დაიდგა ბევრი ძეგლი რევოლუციის მოღვაწეთა, სახალხო გმირების, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა ხსოვნის უკვდავსაყოფად: სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის ფიგურა (ე. მაჩაბელი, 1949) საქართველოს უძველესი დედაქალაქის – მცხეთის მისასვლელთან, უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას ბიუსტი (თ. აბაკელია 1952) სურამში, ვ. მაიაკოვსკის ძეგლი (გ.კორძახია, 1953) მოსკოვში პოეტის მუზეუმის შენობის წინ, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის ძეგლი (თ. ღვინიაშვილი, 1950) თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეზოში.

1956 წელს თბილისის ცენტრში – ვ.ი ლენინის სახელობის მოედანზე – დაიდგა ვ. ი. ლენინის ძეგლი, შესრულებული ვ. თოფურიძის მიერ. ქანდაკებაში ბელადის დიდი ნებისყოფის ხასიათია გადმოცემული.

წამყვანი ადგილი ქართულ ქანდაკებაში კვლავ პორტრეტულ ჟანრს ეკავა. თანამედროვე ქართული ქანდაკების ფუძემდებელმა ი. ნიკოლაძემ ამ წლებში შექმნა მეტყველი მხატვრული ხასიათისა და მაღალი პროფესიული ოსტატობის ნაწარმოებები. მათ შორისაა ივ ჯავახიშვილის (1946), სახელგანთქმული მათემატიკოსის ე. მუსხელიშვილის (1950) პორტრეტები.

ი. ნიკოლაძის ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია ვ. ი. ლენინის პორტრეტი გაზეთ "ისკრის" შექმნის პერიოდში (1947). მოქანდაკე ენერგიული, მაგრამ ამასთანავე შორსმჭვრეტელი, მშვიდი სახის გამოხატულებაში ახლებურად უდგება ვ. ი. ლენინის სახის გახსნას. ვ. ი. ლენინის ეს პორტრეტი ერთ–ერთი საუკეთესოა საბჭოთა ქანდაკებაში.

1948 წელს ი. ნიკოლაძემ დაასრულა XII ს–ის ქართველი პოეტის ჩახრუხაძის პორტრეტი მარმარილოში. ღრმა სულიერი ცხოვრებითაა აღბეჭდილი პოეტისა და მოაზროვნის შთაგონებული სახე, რომლის ემოციურ ზემოქმედებას აძლიერებს შესრულების ცხოველხატული მანერა, რის შედეგადაც მიღწეულია შუქ–ჩრდილის ცოცხალი თამაში ქანდაკების ზედაპირზე. ჩახრუხაძის პორტრეტი ქართული ქანდაკების ერთ–ერთი შედევრია.

მკვეთრად გამოკვეთილ პორტრეტულ სახეებს ქმნის ამ წლებში მოქანდაკე ნ. კანდელაკი. ესენია საბჭოთა კავშირის მარშლის ტოლბუხინის

(1950), საბჭოთა კავშირის გმირის დ. ბაქრაძის (1947), აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის (1952), კინომსახიობ ნ. ვაჩნაძის (1953) პორტრეტები და სხვ. ნ. კანდელაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიგურულ კომპოზიციას (ფიზკულტურელი ქალის ფიგურა, 1955). მის ნაწარმოებებს ახასიათებს მონუმენტურობა, სკულპტურული ფორმების მკაფიო პლასტიკური ძერწვა.

სკულპტურული პორტრეტის დარგში ნაყოფიერად განარძობენ მუშაობას მოქანდაკეები კ. მერაბიშვილი (გ. სააკაძის – 1946, სომხეთის სახალხო მხატვრის მ. სარიანის – 1952 – ბიუსტები), ს. კაკაბაძე (პოეტ გ. ტაბიძის – 1947, აკადემიკოს – ი. ბერიტაშვილის – 1958 – პორტრეტები).

ქართული პორტრეტული ქანდაკების ტრადიციები მრავალმხრივად განავითარეს მომდევნო თაობათა მოქანდაკეებმა, რომელთა შემოქმედებაც ომის შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა. მათ შორისაა ი. ოქროპირიძე, თ. ასათიანი, თ. ღვინიაშვილი, ბ. ავალიშვილი, ა. გორგაძე, გ. და ი. ოჩიაურები და სხვა. პორტრეტის განვითარებისათვის დამახასიათებელია ყურადღების გამახვილება ფსიქოლოგიურ დახასიათებაზე და ტიპიურობის ძიება. საინტერესო კომპოზიციური გადაწყვეტით ყურადღებას იქცევს ი. ოქროპირიძის მოქანდაკე ი. ნიკოლაძის პორტრეტი (1952), მახვილი პორტრეტული დახასიათებაა მოცემული თ. ასათიანის მიერ მსახიობების ს. ჟორჟოლიანის (1952) და ს. ბაღაშვილის (1955) პორტრეტებში; რომანტიკული განწყობილებითაა აღბეჭდილი გ. კორძახიას მიერ შექმნილი ნ. ბარათაშვილის პორტრეტი (1957). ბ. ავალიშვილმა ქართველ მოქანდაკეთაგან ერთ–ერთმა პირველმა აირჩია მასალად ხე, რომლის სპეციფიკაც მას მხატვრულად აქვს გააზრებული თავის პორტრეტებში (გ. ტაბიძის – 1953, ვაჟა - ფშაველას – 1957 – პორტრეტები).

თანაედროვეობის თემატიკა აისახა ქართველ მოქანდაკეთა შემოქმედებაში. ამ თემაზეა შესრულებული რთული რელიეფური კომპოზიციები, როგორიცაა თ. ასათიანის “შრომაში გამარჯვებულნი”, ა. გორგაძის “პირველად წარმოებაში” და ა. შ.

50–იანი წლების შუახანიდან მოყოლებული გამოფენებზე, კონკურსებში სისტემატურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მოქანდაკეები, რომელთა შემოქმედებაშიაც მკაფიოდ აისახა ახლის ძიების პროცესი, რამაც განსაზღვრა ქართული ქანდაკების შემდგომი განვითარება.

დიდი გამოხმაურება პოვა ქართველ მოქანადკეთა შორის თბილისის 1500 წლისთავის იუბილემ (1958წ.). ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის უძველეს უბანში, კომკავშირის ხეივანში აღიმართა ალეგორიული ფიგურა “ქართლის დედა”, რომლის ავტორია ე. ამაშუკელი. (1958 – ხე, 1963 – ალუმინი). ქალის მონუმენტური გამოსახულება მახვილითა და თასით ხელში საქართველოს დედაქალაქის განსახიერებად შეიგრძნობა. მისი განზოგადოებული სილუეტი მხატვრული დომინანტის როლს ასრულებს ქალაქის ამ ნაწილის ანსამბლში.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო კონკურსი თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტზე, სადაც ფართოდ გამოვლინდა ქართველ მოქანდაკეთა ახალი თაობის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. კონკურსში პირველი პრემია მიენიჭა ე. ამაშუკელს, მეორე – მ. ბერძენიშვილს. პროექტში მოქანდაკეები ისახავდნენ მონუმენტის არქიტექტურულ ანსამბლთან დაკავშირების ამოცანას.

არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზის ძიების საინტერესო მაგალითია ობელისკები, რომლებიც დაიდგა 1958 წელს, თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის მისადგომებთან: ერთი – მცხეთის გზაზე (მოქანდაკე – ე. ამაშუკელი, არქიტექტორი – თ. კანდელაკი) მეორე – რუსთავის გზაზე (მოქანდაკე – ე. ამაშუკელი, არქიტექტორი – ა.ბაქრაძე). თბილისში დაიდგა 300 არაგველის ძეგლი (ავტორი – არქიტექტორი ა. ბაქრაძე). მათ ზედაპირზე ამოჭრილ ან ბრტყელი რელიეფით შესრულებულ გამოსახულებისათვის, რომელთა თემას საქართველოს ისტორიული წარსული, ძველი ქართული ყოფა წარმოადგენს, კომპოზიციური გადაწყვეტის დეკორატიულობა და სტილიზებული ნახატის გამომხატველობაა დამახასიათებელი.

მოქანდაკეთა შემოქმედებაში აღსანიშნავია ინტერესთა მრავალმხრივობა. აშკარაა მისწრაფება სხვადასხვა მასალის გამოყენებისა და კონკრეტულ შემთხვევაში მასალისათვის სპეციფიკური გამომსახველობის ხერხების ძიება. პორტრეტული ქანდაკების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დეკორატიული დანიშნულების რელიეფებსა და მონუმენტურ სკულპტურას. ფართოვდება ნაწარმოებთა თემატიკა, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა ქართულ ეროვნულ, ხალხურ მოტივებს, იზრდება ინტერესი ალეგორიული ხასიათის გამოსახულებებისადმი.

ე. ამაშუკელის შემოქმედება ქანდაკების მრავალფეროვან დარგებს მოიცავს: მონუმენტური ქანდაკება, ხეზე კვეთილი რელიეფები ეროვნული, ხალხური მოტივების თემებზე (“ლელო”, “ჭიდაობა”, “ალავერდი”, “შემოდგომა” – 1956), მცირე ზომის დეკორატიული რელიეფები – მედალიონები თბილისის 1500 წლისთავისათვის, “გავუფრთხილდეთ კულტურის ძეგლებს” და სხვა. საყურადღებოა გ. ოჩიაურის ექსპრესიით აღსავსე ალეგორიული ფიგურა “აჯანყება” (1952), პლასტიკურად გამომხატველი სკულპტურული პორტრეტები (მხატვარი – ზ. ნიჟარაძე, “მელიტა” – 1952), მცირე ზომის რელიეფები ხეზე ქართული ხალხური სიმღერების მოტივებზე, კომპოზიციები – “შემოდგომა კახეთში”, “ზამთარი” (1953 –1959), სადაც ფიგურების, პლასტიკური მასების რიტმული განლაგებით დეკორატიულობაა მიღწეული. ფაქიზი პლასტიკური დამუშავებით გამოირჩევა მოქანდაკე ე. კაკაბაძის მიერ მარმარილოსაგან გამოკვეთილი პორტრეტები (მსახიობი მ. ჯაფარიძე – 1953, ბიჭი – 1955). ი. ოჩიაურის პორტრეტებში კონკრეტული დახასიათება ჩვეულებრივ განზოგადოებამდეა აყვანილი (სტუდენტი ქალი – 1953, პოეტი ა. კალანდაძე – 1955).

ჟანრების მრავალფეროვნება, მეტყველი, ძლიერ გამომსახველი ნაწარმოებები, რომლებიც დიდი მხატვრული სიმართლის ძლიერებით არიან აღბეჭდილი, საბჭოთა ქართული ქანდაკების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე მიუთითებდნენ.

50-იანი წლებიდან იწყება ქართული საბჭოთა ჭედური ხელოვნების განვითარება. პირველთაგანი, რომელმაც ჭედურ ხელოვნებაში დაიწყო მუშაობა, მოქანდაკე ი. ოჩიაური იყო. მისი პირველი ნამუშევარი ამ დარგში – მისი მასწავლებლის ი. ნიკოლაძის ჭედური პორტრეტი – ექსპონირებული იყო 1953 წლის გამოფენაზე. ჭედური ხელოვნების დარგში მუშაობენ გ. გაბაშვილი, კ. გურული, დ. ყიფშიძე.

პირველ ნახევარში ფართო განვითარება პოვეს გამოყენებითი, მცირე ხელოვნების საგნებმა, მათ შორის სამკაულებმა – სამაჯურებმა, ბეჭდებმა, გულსაკიდებმა და სხვ. მათ შესრულებაში აღსანიშანვია ეროვნული ფორმებისა და ორნამენტული მოტივების გამოყენება, მათი შემოქმედებითი გადამუშავება თანამედროვე ხელოვნების მოთხოვნილებათა შესაბამისად. მაგრამ ჭედური ხელოვნების ოსტატთა ძირითად ამოცანას სიუჟეტური რელიეფური კომპოზიციების შექმნა წარმოადგენდა.

კერამიკის დარგში ომის შემდგომ წლებში მუშაობდნენ ნ. გომელაური, გ. ქართველიშვილი, ს. სულხანიშვილი, ი. გაჩეჩილაძე და სხვ. მათ სახელთანაა დაკავშირებული დეკორატიული დანიშნულების ლარნაკები, რომელთა გაფორმებაშიც ჩანს ორნამენტული მოტივებით მდიდრული შემკობის ტენდენცია. საინტერესო კვლევა ძველი ქართული კერამიკის შესწავლისა და მისი თანამედროვე კერამიკაში გამოყენების საქმეში ჩაატარეს დ. ციციშვილმა და ზ. მაისურაძემ. საყურადღებოა ზ. მაისურაძის მიერ შესრულებული ფერადოვანი დეკორატიული კერამიკული ფილები ქართული ზღაპრების პერსონაჟებით, ხალხური ნიღბებით "ბერიკაობის" თემაზე.

50 –იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ახალი ეტაპი ქართული კერამიკის განვითარებაში.

§ 10. ქართული ხუროთმოძღვრება

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაჩერა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ნორმალური განვითარება. ამის მიუხედავად, საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი მუშაობა არ შეწყვეტილა.

ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლების საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები ითვალისწინებდნენ ქალაქად და სოფლად კაპიტალური მშენებლობის ფართოდ გაჩაღებას, ქალაქების შემდგომ კეთილმოწყობას, კულტურულ–საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებას, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალ ნაგებობათა მშენებლობას.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმო რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების მშენებლობას.

რესპუბლიკის დედაქალაქის – თბილისის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული რეკონსტრუქციის სამუშაოებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო 1947 წლიდან. დაიწყო სანაპიროს მეორე რიგის მშენებლობა მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მოხდა რუსთაველის, მარჯანიშვილის, სადგურის მოედნების რეკონსტრუქცია. გაფართოვდა მნიშვნელოვანი მაგისტრალები: ბარათაშვილის, მელიქიშვილის, ჩელუსკინელთა ქუჩები, აშენდა ახალი ხიდები მდინარე მტკვარზე.

ომის შემდგომი წლების პირველ ეტაპზე თბილისში აიგო არაერთი ახალი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის აღსანიშნავია მარჯანიშვილის მოედნის საცხოვრებელი სახლების კომპლექსი და 123 – ბინიანი საცხოვრებელი სახლი კამოს ქ. № 4 (არქიტექტორი მ. მელია), საცხოვრებელი სახლები: ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე № 3 (არქიტეტორი ა. მიმინოშვილი), პლეხანოვის პროსპექტზე № 59 (არქიტექტორი ი. ჩხენკელი), 200–ბინიანი საცხოვრებელი სახლი კამოს ქ. № 2 (არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, გ. მელქაძე,დ. ხარაშვილი) და ა.შ.

ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების გზების გამოვლინებისა და დახასიათებისათვის საგულისხმოა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის არქიტექტურა (არქიტექტორები ვ. კოკორინი და გ. ლეჟავა, არქიტექტორ ვ. ნასარიძის მონაწილეობით).

ომის შემდგომი წლების საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებაში, ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილებაში “დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ”.

ანალოგიური ნაკლოვანებანი ახასიათებდა საქართველოს მთელი რიგი ქალაქების, მათ შორის თბილისის, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა დაპროექტებასა და მშენებლობას. მაგალითად, ზედმეტობა იყო დაშვებული ყოფილ საქნახშირის კომბინატის მშენებლობაზე (1946 – 1953 წლები) არქიტექტორები მ. ჩხიკვაძე და კ. ჩხეიძე) თბილისის ვაგზლის შენობის რეკონსტრუქციის დროს (არქიტექტორი გ. ტერ–მიქელოვი), მელიქიშვილის ქუჩაზე სასტუმრო “საქართველოს” (არქიტექტორები ნ. ფირცხალაიშვილი და გ. თავდგირიძე), მეცნიერ მუშაკთა საცხოვრებელი სახლის (არქიტექტორები ი. ჩხენკელი და ქ. სოკოლოვა) და სხვა ნაგებობათა დაპროექტებასა და მშენებლობაზე.

ზედმეტობის გამომწვევი ერთ–ერთი მთავრი მიზეზი იყო ის, რომ საცხოვრებელ, სამოქალაქო და სამრეწველო შენობათა დიდი ნაწილი უმთავრესად შენდებოდა ინდივიდუალური პროექტით.

ტიპური საცხოვრებელი სექციის პროექტზე მოწყობილმა კონკურსებმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის არქიტექტორები, წამყვანი

საპროექტო ორგანიზაციები, გამოავლინეს საცხოვრებელი სახლების არაერთი საინტერესო გადაწყვეტა. ამოცანა ის იყო, რომ ტიპიური პროექტების დანერგვითა და სრულყოფით გამოძებნილიყო საცხოვრებელი სექციის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტა და შექმნილიყო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის მტკიცე ბაზა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებამ "სსრ კაშირში მშენებლობის განვითარების შესახებ" დასახეს კონკრეტული გზები ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემის – საბინაო პრობლემის გადასაჭრელად. ამ დადგენილების შემდეგ განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის, საბინაო მშენებლობის გაფართოებისათვის.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა იგი თბილისში – საბურთალოზე, დიღომსა და ნავთლუღში – კომპლექსური განაშენიანების რაიონებში. აქ ფართო სამუშაოები წარმოებდა ტიპიური პროექტებით საცხოვრებელი მასივების მშენებლობისათვის. აიგო უმაღლესი სასწავლებლების ახალი კორპუსები: პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (1954, არქიტექტორი მ. შავიაშვილი), რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კომპლექსისა (1956, არქიტექტორი მ. ნეპრინცევი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსისა (არქიტექტორი გ. ლეჟავა), აშენდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი შენობა (1956, არქიტექტორი ი. კასრაძე), რეკონსტრუირებულ იქნა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის შენობა (1954, არქიტექტორი ს. რევიშვილი) და ა. შ.

1957 წელს თბილისი დამშვენდა ახალი, კეთილმოწყობილი ვარაზის ქუჩით. წინათ აქ არსებული ხევი, რომელიც ანტისანიტარიის ნამდვილი ბუდე იყო, ერთ–ერთ ულამაზეს მაგისტრალად გადაიქცა. დიდი სამუშაოები ჩატარდა ოქტომბრის ქუჩის გაფართოება–რეკონსტრუქციისათვის. დედაქალაქის მწვანე სამოსმა 3122 ჰექტარს მიაღწია. ვაკეში აშენდა ახალი პარკი (100 ჰექტარი), სადაც მოეწყო ახალი სტადიონი (1946–1951 წწ. არქიტექტორი კ. დგებუაძე, დენდროლოგი ნ. ციციშვილი) დედაქალაქის მშრომელთა დასვენების ერთ–ერთ მნიშვნელოვან კერად გადაიქცა "თბილისის ზღვის" მიდამოები უზარმაზარი ტყე–პარკით. სამგორის წყალსაცავის შექმნა და მისი გამოყენება ქალაქისათვის გათვალისწინებული იყო თბილისის რეკონსტრუქციის 1934 წლის გენერალური გეგმით. მისი მშენებლობა განხორციელდა ფაქტიურად თითქმის 20 წლის შემდეგ – 1952 წელს."თბილისის ზღვის" გარშემო კეთილმოსაწყობი ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენდა 850 ჰექტარს.

საბინაო მშენებლობაზე 50–იანი წლების ბოლოს დაიწყო კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვა. საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, მინსკი) გამოცდილებამ ცხადყო მშენებლობის

ინდუსტრიული მეთოდების უდავო უპირატესობანი. პროგრესული კონსტრუქციების გამოყენების გამოცდილება, მსხვილბლოკიანი და მსხვილპანელიანი სახლების აგების პრაქტიკა, მექანიზაცია სულ უფრო ფართოდ ინერგებოდა რესპუბლიკის მშენებლობებზე და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში.

საბინაო მშენებლობა ხორციელდებოდა ინდუსტრიული მეთოდებით, მსხვილი ბლოკებით, პანელებით, სივრცობრივი ბლოკ–ოთახებით, სახლმშენებელი კომბინატები აშენდა თბილისში, რუსთავში, ბიჭვინთაში, ბათუმში.

1956 წელს დაიწყო საბურთალოს საცხოვრებელი მასივის განაშენიანება დეტალური პროექტის საფუძველზე (არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, ი. ყავლაშვილი, ა. ბაქრაძე, დ. გრძელიძე) 300 ჰექტარ თავისუფალ ტერიტორიაზე 45 ათასი მცხოვრებისათვის.

თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში 50–იან წლებში დაიდგა არაერთი ძეგლი. 1956 წლის 22 აპრილს თბილისის ცენტრში გაიხსნა ვ.ი. ლენინის მონუმენტური ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე, არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, გ. მელქაძე, გ. ხეჩუმოვი, კ. ჩხეიძე). აღსანიშნავია "ქართლის დედა" (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, 1958), რომელიც თბილისის სიმბოლოდ იქცა; თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლის ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტექტორები გ. კანდელაკი, დ. მორბედაძე); ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ძეგლი (მოქანდაკეები ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე, არქიტექტორი გ. მელქაძე, 1958); 300 არაგველის ობელისკი (არქიტექტორი ა. ბაქრაძე, 1961); ა. გრიბოედოვის ძეგლი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი, არქიტექტოი გ. მელქაძე, 1961); დავით გურამიშვილისა (1965) და ზ. ფალიაშვილის ძეგლები (1971) მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი); ვაჟა-ფშაველას ძეგლი (მოქანდაკე გ. ოჩიაური, 1973); ნიკო ფიროსმანიშვილის (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, 1975); უცნობი ჯარისკაცის საფლავი (მოქანდაკე გ. ოჩიაური, მხატვარი ზ. წერეთელი, არქიტექტორი ვ. მესხიშვილი, 1975) და ა.შ.

სრულიად იცვალა სახე საქართველოს მეორე ინდუსტრიულმა ცენტრმა ქუთაისმა (დაგეგმარების გენერალური პროექტის ავტორი ა. ნიკოლაიშვილი, თანაავტორი შ. გოგოლაშვილი, 1947). დიდი სამუშაოები განხორციელდა ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციისათვის. ცენტრალურ მოედანზე აიგო საცხოვრებელი სახლი (არქიტექტორები ი. კახიანი, მ. შავიშვილი, 1954), თეატრის შენობა (არქიტექტორები შ. თავაძე, მ. შავიშვილი 1955), ადმინისტრაციული სახლი (არქიტექტორი მ. შავიშვილი, 1947) და ა. შ. ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანასთან გაშენდა ახალი დასახლება (არქიტექტორები მ. შავიშვილი, გ. ჩიგოგიძე).

განსაკუთრებით დიდი სამუშაოები განხორციელდა ქ. გორში საფეიქრო კომბინატის დასახლების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის (დაგეგმარების პროექტების ავტორები არქიტექტორები: ბ ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე, მ. გაჩეჩილაძის მონაწილეობით). აქ გაშენდა ბევრი ახალი ნაგებობა,

მათ შორის: სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი (არქიტექტორი მ. შავიშვილი 1956), სასტუმრო (არქიტექტორები ა. ქურდიანი, ქ. სოკოლოვა 1947 – 1955) და ა. შ.

აფხაზეთის ასსრ დედაქალაქი სოხუმი შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ ულამაზეს ადგილად გადაიქცა. აქ აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი, რკინიგზის სადგურის ახალი შენობა (არქიტექტორები ლ. და ლ. მუშკუდიანები 1951), რეკონსტრუირებულ იქნა თეატრის შენობა (არქიტექტორები მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძის მონაწილეობით. 1952), სოხუმის მშვენება გახდა მთის ტყე–პარკი (არქიტექტორები ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვლი, ლ. მუშკუდიანი, ს. ცინცაბაძე, გ. თელია 1951 – 1952 წ) და. ა.შ.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა აჭარის ასს რესპუბლიკამ დედაქალაქის – ბათუმის კთილმოწყობისათვის. აქ აიგო დრამატული თეატრი (აქიტექტორი ა. ტერლიცკი, 1953), რევოლუციის მუზეუმი (არქიტექტორი კ. ჯავახიშვილი 1955) და ა. შ.

50–იანი წლების დამლევს დამთავრდა მუშაობა ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ცხინვალისა და სხვა ქალაქების გენერალური გეგმების შესადგენად.

§ 11. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა ქ. მოსკოვში 1958 წელს

საქართველოს კულტურული ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც გაიხსნა მოსკოვში 1958 წლის 21 მარტს. ეს იყო საბჭოთა ხანაში ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურის მიღწევების მეორე დიდი დემონსტრაცია 1937 წელს ჩატარებული ქართული ხელოვნების პირველი დეკადის შემდგომ, დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების შეჯამება. გაზეთი “პრავდა” დეკადის გახსნის წინ წერდა, რომ ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში პირველად მოეწყო ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ეს იყო დიდი დღესასწაული ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ რა მცირედ გვეჩვენება მაშინდელი წარმატებანი ხელოვნების ახლანდელ დონესთან შედარებით. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ამ დეკადას “პრავდა” აფასებდა როგორც “მთელი ჩვენი მრავალეროვანი კულტურის დიდ დღესასწაულს”[1]

მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წინ, 1957 წელს თბილისში ჩატარდა აჭარის ასსრ (იანვარი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (მარტი) და აფხაზეთის ასსრ (ნოემბერი) ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა და კინემატოგრაფიის შემოქმედებითმა კავშირებმა, ათზე მეტმა შემოქმედებითმა კოლექტივმა, მათ შორის ახალგაზრდა ქართული ცირკის კოლექტივმა, რომლის პირველი წარმოდგენა დეკადის წინა დღეებში გაიმართა თბილისში.

დეკადისათვის მზადების დღეებში შეიქმნა ახალი შემოქმედებითი კოლექტივები. დაიწერა მაღალმხატვრული ნაწარმოებები. პროზას შეემატა თანამედროვეობის ამსახველი რამდენიმე მნიშვნელოვანი რომანი. სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა ლიტერატორთა ახალგაზრდა თაობა. დიდი მუშაობა ჩატარა ქართულ ენაზე მსოფლიო და რუსული კლასიკური მწერლობის, ასევე თანამედროვე რუსი მწერლებისა და მომმე საბჭოთა ხალხების მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნის დარგში. რუსულ ენაზე ითარგმნა ქართული მწერლობის ნიმუშები, კერძოდ, გამოიცა "ქართული პოეზიის ანთოლოგია", "ქართული საბჭოთა დრამატურგია", "ახალგაზრდა პოეტების ნაწარმოებთა კრებული", საყმაწვილო ლიტერატურის, კლასიკური და თანამედროვე პროზის, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ახალი ნაწარმოებები.

დეკადის ლიტერატურული ნაწილი გაიხსნა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, ხოლო ლიტერატურული საღამოები გაიმართა ქ. ზაგორსკის კულტურის სახლში, გორბუნოვის სახელობის კულტურის სახლში, ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში და სხვაგან. მოეწყო შემოქმედებითი დისკუსიები, რომელშიც 120-ზე მეტმა მწერალმა მიიღო მონაწილეობა. დისკუსიებზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ქართულმა პოეტურმა კულტურამ, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი, პოეტურ სახეთა სიუხვე, ეროვნული კოლორიტულობა, ფორმის მრავალფეროვნება[2]. ამასთანავე აღინიშნა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ცალკეული ხარვეზები, რომელთა დაძლევის ამოცანა დაისვა მთელ საბჭოთა მწერლობასთან ერთად ქართული ლიტერატურის წინაშე.

ფართო და მრავალმხრივი ჟანრებით იყო წარმოდგენილი ქართული მუსიკალური კულტურა დეკადაზე. დამსახურებული წარმატება ხვდა წილად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმებს. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია უ. შექსპირის ტრაგედიის სიუჟეტზე შექმნილმა ბალეტმა "ოტელომ", რომლის წარმატება ჯერ კიდევ დეკადამდე გახდა საყოველთაოდ ცნობილი. საბალეტო სპექტაკლი "ოტელო", რომლის მუსიკა ეკუთვნის ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორს ა. მაჭავარიანს, დადგმა – გამოჩენილ ქართველ ბალეტმეისტერს ვ. ჭაბუკიანს, ხოლო მხატვრობა – საბჭოთა დეკორაციული ხელოვნების ცნობილ წარმომადგენელს ს. ვირსალაძეს, საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ნამდვილ დღესასწაულად იქცა. დეკადის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო

არტისტს ვ. ჭაბუკიანს ბალეტ “ოტელოს” დადგმისა და მთავარი როლის შესრულებისათვის მიენიჭა ლენინური პრემია. ეროვნული ხასიათით, სანაქებოდ დადგმული მასობრივი და ბატალური სცენებით ყურადღება მიიპყრო დ. თორაძის ბალეტმა “გორდამ”, რომლის დადგმა განახორციელა ვ. ჭაბუკიანმა. მოსკოველი მაყურებელი კვლავ მოხიბლა ქართულმა საბჭოთა კლასიკურმა ოპერამ “დაისმა”. დეკადაზე ნაჩვენები იყო თორაძის ოპერა “ჩრდილოეთის პატარძალი” და პ. ჩაიკოვსკის – “ორლეანელი ქალწული”.

თუ ქართული ხელოვნების პირველ დეკადაზე მუსიკალური კულტურა წარსდგა მხოლოდ ოპერითა და ხალხური მუსიკით, მეორე დეკადაზე იგი წარმოდგენილი იყო საბალეტო, სიმფონიური, ვოკალური, კინო და დრამატული სპექტაკლების სამუსიკო ნაწარმოებებით.

დიდი მოწონება დაიმსახურა ქართულმა საშემსრულებლო ხელოვნებამ. ახალი ნაწარმოებები მაღალი პროფესიული ოსტატობით შეასრულეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა, რომელსაც დეკადის შემდეგ ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის მიენიჭა “საქართველოს დამსახურებული ანსამბლის” საპატიო წოდება. დეკადაში მონაწილეობა მიიღო მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ნინო რაიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლმა 14 კონცერტი გამართა დეკადის დღეებში.

მრავალფეროვანი რეპერტუარით იყო წარმოდგენილი დეკადაზე ქართული დრამატული თეატრალური ხელოვნება. ტრიუმფალური წარმატება ხვდა წილად კლასიკური ტრაგედიის - სოფოკლეს “ოიდიპოს მეფის” რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმას, რომელიც მიჩნეულ იქნა არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა თეატრალური კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენად. იგი წარმოადგენდა ქართული პროფესიული თეატრალური შემოქმედების მაღალი დონის დემონსტრაციას. დედაქალაქის მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს ამავე თეატრის სპექტაკლებმა – დ. ფლეტჩერის “ესპანელმა მღვდელმა” და ვს. ვიშნევსკის “ოპტიმისტურმა ტრაგედიამ”, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმებმა უ. შექსპირის “რიჩარდ III”, ვაჟა-ფშაველას “მოკვეთილმა”, კ. კორნეიჩუკის “ესკადრის დაღუპვამ” და მ. ბარათაშვილის “მარინემ”. ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრმა მოსკოველ მაყურებელს უჩვენა ვ. დარასელის “კიკვიძე”, ა. ყაზბეგის “ხევისბერი გოჩა” და სხვ. სპექტაკლები. მოსკოვის თეატრალური საზოგადოების ინიციატივით დეკადის დღეებში მოეწყო სცენის ცნობილი ოსტატების – ვერიკო ანჯაფარიძის, ვასო გოძიაშვილისა და თამარ ჭავჭავძის შემოქმედებითი საღამოები.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ქართულმა კინემატოგრაფიამ. მოსკოვის 63 კინოთეატრში მიმდინარეობდა ქართული ფილმების ფესტივალი, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 17 მხატვრული, ხუთი ნახატი ფილმი და შვიდი კინონარკვევი. მაყურებელმა ინტერესით მიიღო "ქართული ფილმის" მხატვრული ფილმები – "საბუდარელი ჭაბუკი", "ოთარაანთ ქვრივი" და "მე ვიტყვი სიმართლეს", ასევე რამდენიმე მულტიპლიკაციური და დოკუმენტური ფილმი. მოსკოვის კინოსახლში დეკადის დღეებში მოწყობილ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქართულ კინემატოგრაფიაში უფროსი თაობის გამოცდილ ოსტატებს მხარში ამოუდგა რეჟისორების, ოპერატორებისა და მსახიობების ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წინ ქ. მოსკოვში1958 წლის 27 თებერვალს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა. ეს გამოფენა განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ იგი იყო მოსკოვში ქართველი მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო მხატვრის 200–ზე მეტი მხატვრული ტილო. 14 მარტს მოეწყო ლ. გუდიაშვილის შემოქმედებითი საღამო. დედაქალაქის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული სახვითი ხელოვნების - ფერწერის, ქანდაკების, დეკორაციული ფერწერის, კერამიკისა და გამოყენებითი ხელოვნების სხვა ნაწარმოებების სადეკადო გამოფენამ, რომელიც მოეწყო სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში. ქართული ფერწერა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უ. ჯაფარიძის ეტიუდების სერიით, ქ. მაღალაშვილის პორტრეტული, რ. სტურუას, ნ. მეტონიძის, დ ხახუტაშვილისა და გ. თოთიბაძის ფერწერული ტილოებით, ს. ქობულაძის, ვ. ჩირინაშვილის, ა. ბანძელაძის, ახალგაზრდა მხატვარ-გრაფიკოსის დ. ნოდიასა და სხვათა ნამუშევრებით. საყოველთაო აღიარება პოვეს გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის ი. ნიკოლაძის ნაწარმოებებმა – XII საუკუნის მოაზროვნე "ჩახრუხაძე" და "ლენინი ისკრის პერიოდში", ვ. თოფურიძის, ს. კაკაბაძის, გ. კორძახიასა და ე. ამაშუკელის სკულპტურულმა ნამუშევრებმა, ი. თოიძის და ი. ოჩიაურის ფიგურულმა კომპოზიციებმა.

დეკადაზე მონაწილეობდნენ ქართველი არქიტექტორები, რომელთაც დიდი მუშაობა ჩაატარეს ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობის საქმეში, მათ შორის ახალი სოციალისტური ქალაქის რუსთავის დაგეგმარება–განაშენიანების, თბილისის ახალი საცხოვრებელი რაიონების არქიტექტურული გაფორმების, ქუთაისის ცენტრის რეკონსტრუქციის, ქუთაისსა და გორში მუშათა დაბების დაგეგმარების, ცხინვალის საცხოვრებლი სახლების დაპროექტების, ცალკეული კვარტალების განაშენიანების ახალი გენერალური გეგმის შემუშავებაში.

ამასთან ერთად ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის საგამოფენო დაბაზში მოეწყო ქართული წიგნის, დაზგური გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა; ქართველმა პლაკატისტებმა ერთ–ერთი მოწინავე ადგილი დაიკავეს საბჭოთა პლაკატის მხატვრობაში.

ფრიად საინტერესო ექსპოზიცია წარმოადგინეს აღმოსავლეთის კულტურის მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე - "რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის სათავეები". დეკადის დღეებში მწერალთა კონფერენციებსა და მსახიობთა შემოქმედებით ანგარიშებთან ერთად მოეწყო დეკადის მონაწილეთა შეხვედრები დედაქალაქის მშრომელებთან უშუალოდ საწარმო–დაწესებულებებში.

ეროვნულ ლიტერატურათა და ხელოვნების დეკადების ჩატარება ხელს უწყობს ეროვნულ კულტურათა დაახლოებას, მათ ურთიერთგამდიდრებას, საბჭოთა ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამ როგორც სოციალისტური კულტურისა და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დღესასწაულმა ნათელყო კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების კეთილმყოფელი შედეგები, ქართველი ხალხის წვლილი საბჭოთა ხალხების სულიერ ფასეულობათა საერთო საგანძურში.

---

[1] "Правда», 21 марта 1958 г.

[2] იხ. ჟურნ. "საბჭოთა ხელოვნება" 1958, № 5, გვ. 4 – 5

§ 12. თბილისის 1500 წლის იუბილე

1958 წლის ოქტომბერში ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის დაარსების 1500 წლის იუბილე, რომელიც დიდ ეროვნულ, საყოველთაო–სახალხო დღესასწაულად იქცა.

რესპუბლიკის მშრომელებმა დედაქალაქის იუბილეს დიდი შრომითი აღმავლობით უპასუხეს. 1958 წლის დასაწყისიდან დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. 18 ოქტომბერს გაიხსნა თბილსის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი სამრეწველო გამოფენა.

თბილისს მრავალი საჩუქარი უძღვნეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა, იუბილეს დღეებში დედაქალაქს შეემატა არაერთი კეთილმოწყობილი ქუჩა და მოედანი, გაზონი და სკვერი. ჭიათურელ სპეციალისტთა დახმარებით აგებულ იქნა საჰაერო საბაგირო გზა, რომელმაც დედაქალაქის ცენტრი – რუსთაველის სახელობის მოედანი დააკავშირა

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკთან. ბათუმელმა გემთმშენებლებმა თბილისისათვის ააგეს სამდინარო ტრამვაი, ხოლო მახარაძელმა და ჩაქველმა კოლმეურნეებმა დედაქალაქს საჩუქრად გამოუგზავნეს რამდენიმე ათეული ვაგონი დეკორაციული ხე და მწვანე ნარგავი, რომელთაც დაამშვენეს თბილისის პარკები და მოედნები.

საიუბილეო თარიღი თბილისის მშრომელებს მიულოცეს მოსკოვის, ლენინგრადისა და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების – ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის დედაქალაქების გაზეთების რედაქციებმა.

მრავალსაუკუნოვანი დედაქალაქის იუბილეს ლიტერატურის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით შეეგება ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია. დაიბეჭდა გამოჩენილ ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები. იუბილეს მიეძღვნა კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის "სიმღერა თბილისზე", რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა. 18 – 25 ოქტომბერს ჩატარდა კინოსტუდია "ქართული ფილმის" კინოსურათების ფესტივალი. რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნა კინოთეატრი "რუსთაველი". თბილისის იუბილეს მიეძღვნა სამნაწილიანი მხატვრული დოკუმენტური ფილმი "უძველესი ქალაქის გაზაფხული".

თბილისის 1500 წლის იუბილე მაღალმხატვრული ნაწარმოებებით აღნიშნეს ფუნჯისა და საჭრეთლის უფროსი და ახალგაზრდა თაობის ქართველმა ოსტატებმა. იუბილეს დღეებში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ფერწერისა და გრაფიკის გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები. საიუბილეო ექსპოზიციის ძირითადი თემა იყო "ძველი თბილისი". ამიტომ გამოფენაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი გამოჩენილი ქართველი მხატვრების ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, მ. თოიძის ფერწერული ტილოები და პორტრეტული ნამუშევრები. ექსპონირებული იყო აგრეთვე ნიკო ფიროსმანიშვილის ორი საუკეთესო ტილო "ქეიფი ვაზის ტალავერში" და "ნატურმორტი", ლ. გუდიაშვილის, მ. თოიძის, დ. კაკაბაძის, ს. მაისაშვილის გრაფიკული ნამუშევრები და სხვ. ეს გამოფენა თავისი მრავალფეროვნებით კარგად გამოხატავდა თბილისის კოლორიტულ სახეს.

თბილისის იუბილეს დღეებში მეტეხის კლდეზე საძირკველი ჩაეყარა თბილისის დამაარსებლის – ვახტანგ გორგასალის ძეგლს. ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ძეგლის საკონკურსო პროექტებმა. კონკურსში გამარჯვებულ მოქანდაკე ე. ამაშუკელის პროექტით დაიდგა ვახტანგ გორგასალის ძეგლი თბილისში, საფუძველი ჩაეყარა დამპყრობლებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ 300 არაგველის უკვდავსაყოფ ობელისკს.

საიუბილეო დღეებში – 19 ოქტომბერს – რუსთაველის პროსპექტზე დაიდგა დიდი ქართველი მწერლების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი. საქართველოს დედაქალაქის საიუბილეო დღესასწაული შედგა 18

ოქტომბერს: “დინამოს” სტადიონზე გაიმართა საქალაქო მიტინგი, ხოლო “ქარიშხალას” სტადიონზე – სახალხო ზეიმი, რომელსაც დაესწრნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციები, მრავალრიცხოვანი სტუმრები. ამ დღესასწაულის მონაწილე ლატვიელმა კინოდოკუმენტალისტებმა თბილისის საიუბილეო ზეიმი ფირზე აღბეჭდეს და ამ ფილმს “საქართველოს სადღეგრძელო“ უწოდეს.

თბილისის 1500 წლის იუბილემ თვალნათლივ ცხადყო, რომ ძველმა თბილისმა ძირფესვიანად იცვალა სახე საბჭოთა ხანაში. ოდითგანვე საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრი იქცა ინდუსტრიულ ქალაქად, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელოვან კერად, თვითმყოფადი ქართული ეროვნული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ–ერთ აღიარებულ ცენტრად.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება შვიდწლედში (1959–1965 წწ.)

§ 1. მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ, რომელმაც დაამტკიცა შვიდწლიანი გეგმის დირექტივები, აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა ისტორიული განვითარების ახალ ხანაში, რაც იმით გამოიხატა, რომ სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში სრული და საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. “წავიდა ის დრო, როცა საბჭოთა კავშირი ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო იყო, რომელიც მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფებოდა. ახლა არის ორი მსოფლიო საზოგადოებრივი სისტემა: დრომოჭმული კაპიტალიზმი და მზარდი სასიცოცხლო ძალებით აღსავსე სოციალიზმი, რომლის მხარეზეა ყველა ქვეყნის მშრომელთა სიმპათია. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალები, რომლებსაც შეეძლოთ აღადგინონ კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში, დაძლიონ სოციალისტური ბანაკი”[1].

ყრილობამ დასახა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამა, განსაზღვრა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი პოლიტიკის, ეკონომიკის, იდეოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდებას დაახლოებით 80 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდას 85–88 პროცენტით, ხოლო მოხმარების

საგნების წარმოების ზრდას 62–65 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა შვიდწლედში ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო ტექნიკური პროგრესის დიდი პროგრამის განხორციელება. სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, უწინარეს ყოვლისა, მისი წამყვანი დარგის – მძიმე ინდუსტრიის განუხრელი აღმავლობა მიმდინარეობდა უახლოესი საბჭოთა ტექნიკის დანერგვის საფუძველზე, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების შექმნით. ცნობილია, რომ მძიმე ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარება შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველია."შრომის ნაყოფიერების გადიდება, - მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, - უწინარეს ყოვლისა მოითხოვს მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას: სათბობის, ლითონის წარმოების, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარებას"[2].

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის დანერგვის საფუძველზე საქართველოს მრეწველობაში იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. მაგრამ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის ცუდი მუშაობის შედეგად შვიდწლედის პერიოდში დაბალი იყო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, იგი საერთო–საკავშირო მაჩვენებლებს ჩამორჩებოდა 25–35 პროცენტით, რაც, ბუნებრივია, იწვევდა რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის შემცირებას.

სკკპ XVIII ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი ბრეჟნევი ამბობდა: "ამ უკანასკნელ წლებში თავი იჩინა ისეთმა უარყოფითმა მოვლენებმა, როგორიც არის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შენელება, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის შემცირება... ეკონომიკური ზრდის ტემპებზე გავლენა მოახდინა მართვისა და დაგეგმვის ნაკლოვანებებმა, მეურნეობის გაძღოლის სამეურნეო ანგარიშის მეთოდების შეუფასებლობამ, მატერიალური და მორალური სტიმულების არასრულად გამოყენებამ. წარმოების მართვის, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ფორმები და მეთოდები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მოქმედებდა, არ შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების უფრო მაღალ დონეს და უკვე აფერხებდა მათ განვითარებას"[3].

ამხანაგ ლ. ი ბრეჟნევის მიერ აქ აღნიშნული ნაკლოვანებები მთლიანად შეეხებოდა საქართველოსაც.

საქართველოს მრეწველობის მუშაკები: მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები – თავდადებით იბრძოდნენ ტექნიკური პროგრესისათვის. რესპუბლიკის მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში ავტომატიზებულ იქნა აგრეგატთა ცალკეული კვანძები, მანქანათსაშენებელ საწარმოებსა და სამთო მრეწველობაში დაინერგა ახალი, მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები, განხორციელდა ზოგიერთი პროცესის მექანიზაცია საშენ მასალათა მრეწველობაში, შეიქმნა ნაკადური მექანიზებული

ხაზები კვების, მსუბუქი, რძისა და ხორცის მრეწველობაში. დიდი სამუშაოები შესრულდა რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზაციისათვის.

მექანიზაციას აქვს განვითარების სამი საფეხური: ნაწილობრივი მექანიზაცია – ხელით შრომის მანქანებით შეცვლის პირველი საფეხური; კომპლექსური მექანიზაცია - მანქანური წარმოების მეორე საფეხური და ავტომატიზაცია – მანქანური წარმოების უმაღლესი საფეხური, როცა საწარმოო პროცესს ასრულებს მანქანა - ავტომატი მუშის მეთვალყურეობით.

საქართველოს მრეწველობის საწარმოებში 1965 წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის ნაკადური, მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზები დაიდგა 296 საწარმოში. სულ 1959 წლის 1 იანვრიდან 1965 წლის ივნისის ბოლომდე, რესპუბლიკის საწარმოებში დაიდგა 680 ნაკადური, მექანიზებულ–ნაკადური და ავტომატიზებული ხაზი[4].

საქართველოს საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაინერგა საწარმოო პროცესების მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის მრავალი ახალი წინადადება. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყეს ციცხვში თხევადი ფოლადის წონის გამოთვლითი მოწყობილობის გამოყენება, აითვისეს ფურცლოვანი ნაგლინის წარმოების ტექნოლოგია. "ჭიათურმარგანეცის" ტრესტის ოთხ საწარმოში და კვაისის საბადოებში განხორციელდა მადნის მიწისქვეშა სამთო მასის აღება მექანიზებული წესით. ქუთაისის საავტომობილო და თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხნებში დაინერგა უმაღლესი სიზუსტის ფოლადის ფასონური პროფილის გამოყენების პრაქტიკა; რესპუბლიკის 14 მანქანათსაშენებელ საწარმოში გაფართოვდა პლასტიკური მასებისაგან მანქანების ნაწილებისა და ხელსაწყოების დამზადება, გადიდდა კონვეიერებზე ჩამოსხმის ფორმების მოცულობა, შედუღების წესით კონსტრუქციების წარმოება, 18 მანქანათსაშენებელ საწარმოში დაინერგა ბუნებრივი ალმასების გამოყენება. ამის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ ერთ წელიწადზე გაანგარიშებით შეადგინა 1,6 მლნ მანეთი. თბილისის საავეჯო გაერთიანება "განთიადისა" და ავეჯის სხვა საწარმოებში ავტომატიზებულ იქნა ხის გაშრობა მაღალი ტემპერატურის საშუალებით[5].

რუსთავის ცემენტის ქარხანაში განხორციელდა ავტოცემენტსაზიდში ცემენტის დატვირთვის ავტომატიზაცია. ქარხნის კოლექტივმა წარმატებით აითვისა ახალი მარკების ცემენტის წარმოება. გორის ბამბეულის კომბინატში განახორციელეს კიდევ 4 უბნის კომპლექსური მექანიზაცია, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა მუშების შრომა და აამაღლა წარმოების კულტურა[6].

რესპუბლიკის მთელ რიგ დიდ სამრეწველო საწარმოებში ჩატარდა სამუშაოები კომპლექსურ–ავტომატიზებული უბნებისა და საამქროების შესაქმნელად.

ტექნიკური პროგრესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საწარმოო პროცესების, პირველ რიგში მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია.

შვიდწლედში გატარდა ღონისძიებანი მშენებლობაში საწარმოო პროცესების სრულყოფის, ახალი ტექნიკის დანერგვის, დამხმარე პროცესების მექანიზაციის, დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაციის, შიდასაქარხნო–სატრანსპორტო ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. გაუმჯობესდა სამშენებლო ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვა, გაიზარდა სამშენებლო მანქანების პარკი. 1965 წელს რესპუბლიკის მშენებლობებზე მთლიანად შესრულდა 63,2 მლნ კუბ. მეტრის სამუშაო, მათ შორის მექანიზებული წესით – 60,1 მლნ კუბ.მ. აქედან კომპლექსური მექანიზებული წესით 58 მლნ კუბ.მ, ე.ი. მექანიზებული სამუშაოს ხვედრითი წონა შეადგენდა 95,1 პროცენტს, ხოლო კომპლექსურ-მექანიზებული სამუშაოსი – 91,6 პროცენტს[7]. 1965 წელს ქვა–ღორღის მოპოვება–დამუშავება მექანიზებული იყო 60,5 პროცენტით, ქვის, სილის, ხრეშის, ღორღისა და წიდის დატვირთვა-გადმოტვირთვა – 92,2 პროცენტით, ხის, ლითონის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამზადება – 89,3 პროცენტით[8].

აღსანიშნავია, რომ არსებულ სამშენებლო ტექნიკას ყოველთვის როდი იყენებდნენ მაქსმიალურად, ზოგიერთი სამუშაოს მექანიზაციის გეგმა სიტემატურად არ სრულდებოდა, რის გამოც დიდი იყო ხელით შრომის ხვედრითი წონა სამშენებლო სამუშაოებზე.

მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე ტექნიკური პროგრესის სამუშაოების დაჩქარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ რიგ საწარმოებში ლაბორატორიების შექმნას, რომლებშიც უნდა დამუშავებულიყო ტექნიკური პროგრესის ცალკეული საკითხები. მაგალითად, ჭიათურის მანგანუმის მადნის გამდიდრების პროცესის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის, აგრეთვე მადნის გამდიდრების შესაძლებლობათა გამოვლინების მიზნით დიდ მუშაობას ეწეოდა ტრესტ “ჭიათურმარგანეცის” მაღაროთა ცენტრალური ლაბორატორია. სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით ლაბორატორიაში დამუშავდა მანგანუმის კარბონატული და მსუბუქპორებიანი მადნების გამოდნობა, აგრეთვე გამამდიდრებელი ფაბრიკის ნარჩენების გადამუშავება პირველხარისხოვანი მაგნგანუმის კონცენტრატის მისაღებად[9].

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში დიდი სმაუშაოები ჩატარდა უნივერსალური სახარატო ჩარხის 160 –ის ნაკადური წარმოების ტექნოლოგიის და ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. 1961 წელს ქარხანაში 17 ნაკადური ხაზი მუშაობდა. სახარატო ჩარხების წარმოების ხაზები დიდი რაოდენობით აღიჭურვა სპეციალური და სპეციალიზებული ჩარხებით, რამაც შრომის ნაყოფიერება 5-6 ჯერ გაზარდა. პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა.

თბილისის ელმავალსაშენებლი ქარხნის კოლექტივმა დიდ წარატებებს მიაღწია წარმოების ტექნიკური პროგრესის სრულყოფის საქმეში. მარტო 1959 წლის ივნისიდან 1960 წლის ნოემბრამდე ქარხანაში დაამონტაჟეს და აამუშავეს 11 ავტომატური და ნახევრად ავტომატური ჩარხი და აგრეგატი, დანერგეს წევის ძრავის ჩონჩხის მექანიკური დამუშავების ნაკადური ხაზი. მწყობრში ჩადგა დანადგარი ავტომატური შედუღებისათვის, რამაც ამ უბანზე 6–ჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის ნაყოფიერად მუშაობდა თბილისის სახეხი ჩარხების საშენებელი ქარხნის კოლექტივი. ქარხანაში შექმნეს ტვიფრები და სამარჯვები, დაამონტაჟეს დიდი წარმადობის რამდენიმე სპეციალური დანადგარი, რამაც მკვეთრად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად შეამცირა ჩარხების თვითღირებულება.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის მიზნით 1959 წელს შეიქმნა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საამქრო, რომელმაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა დასანერგავად. საკმარისია აღინიშნოს მარტენის ღუმელის სრული მოდერნიზაცია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ქუთაისის გ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში შეიქმნა ახალი, უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის ხუთტონიანი ავტომობილი – საწევარი. წარმოებაში ავტომატური ჩარხების დანერგვისა და სხვა ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით ქარხანამ ერთი წლის განმავლობაში მილიონი მანეთი დაზოგა. რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში შეიქმნა საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მეცნიერ მუშაკები. შვიდწლედში სოციალისტური წარმოების ზრდა და სრულყოფა ხორციელდებოდა მეცნიერებისა და წარმოების კავშირის საფუძველზე. მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების შემოქმედებითმა თანამეგობრობამ ხელი შეუწყო ტექნიკური პრორესის დანერგვას, მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებას, მუშათა კლასის კულტურულ–ტექნიკური დონის ზრდას.

შვიდწლედის პერიოდში საქართველოს მშრომელთა ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის გამოიხატა სამრეწველო პროდუქციის ბევრი ახალი სახეობის ათვისებით.

შვიდწლედში საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამოცდილებაც ადასტურებს, რომ კომუნისტური მშენებლობის პერიოდში მრეწველობის თანმიმდევრული აღმავლობის საწინდარია წარმოების ტექნიკური პროგრესი, მშრომელთა ფართო მასების კულტურულ–ტექნიკური დონის ზრდა და შრომის ორგანიზაციის სისტემატური სრულყოფა.

ეს მიღწევები საქართველოში გაცილებით მეტი იქნებოდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა ლენინური სტილის უხეში დარღვევის ფაქტებს, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის თვითდინებაზე მიშვებას.

შვიდწლედში ერთგვარი ცვლილებები მოხდა საქართველოს მრეწველობის საკუთრების ფორმებში. შეიცვალა თანაფარდობა სახელმწიფო და კოოპერაციულ მრეწველობას შორის, რასაც მოწმობს პირველი ცხრილი.

ცხრილ
ი 1.

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის განაწილება
საკუთრების ფორმების მიხედვით
(პროცენტობით)[10]

	1958 წ.	1965 წ.
მთელი მრეწველობა	100	100
მათ შორის:		
სახელმწიფო მრეწველობა	92	94,7
კოოპერაციული მრეწველობა	8	5,3

საქართველოში შვიდწლედის მანძილზე საზოგადოებრივი წარმოების გადიდებასთან ერთად გაიზარდა მუშამოსამსახურეთა რაოდენობა. საგულისხმოა, რომ ეს ზრდა მიმდინარეობდა ყოველწლიურად, სახალხო მეურნეობაში უახლესი ტექნიკისა და მოწყობილობის დანერგვასთან ერთად. ასე, მაგალითად[11] (იხ. ცხრილი 2)

როგორც ამ ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, მუშა–მოსამსხურეთა რაოდენობა შვიდწლედში გაიზარდა 383 ათასი კაცით, საშუალოდ ყოველწლიური მატება შეადგენდა 54, 7 ათას კაცს, ანუ 7 პროცენტს.

ცხრილ
ი 2.

წლები	მუშა–მოსამსახურეთა რაოდენობა (ათასობით)	საშუალო წლიური ზრდის ტემპები 1958 წ. შედარ. (პროცენტობით)
1959	863	105
1960	940	114
1961	1.008	122
1962	1.044	127
1963	1.098	133,3
1964	1.148	140
1965	1.206	147

შვიდწლედში განუხრელად იზრდებოდა სამრეწველო–საწარმოო პერსონალი, განსაკუთრებით კი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხვი.

სამრეწველო–საწარმოო პერსონალის რაოდენობა შეადგენდა: 1958 წელს 235 ათს კაცს, 1959 წელს - 245 ათასს, 1960 წელს – 272 ათასს, 1961 წელს – 283 ათასს, 1962 წელს – 290 ათასს, 1963 წელს – 305 ათასს, 1964 წელს – 316 ათასს, ხოლო 1965 წელს - 330 ათას კაცს აქედან მუშათა რაოდენობა იყო: 1958 წელს 188 ათასი კაცი, ხოლო 1965 - წელს – 267 ათასი კაცი, ანუ სამრეწველო–საწარმოო პერსონალის 81 პროცენტი. ინჟინერ–ტექნიკოსთა რაოდენობა უდრიდა: 1958 წელს – 23 ათას კაცს, ხოლო 1965 წელს – 34 ათას, კაცს, ანუ 10 პროცენტს. მოსამსახურეთა რაოდენობა 1958 წელს შეადგენდა 12 ათას კაცს, ხოლო 1965 წელს – 18 ათასს, ანუ 5 პროცენტს[12].

საინტერესო სურათს იძლევა მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში სამრეწველო პერსონალის ზრდა (იხ. ცხრილი 3)[12]

ცხრილი 3

	1958 წ.	1965 წ.
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება . .	43.543	69.621
მათ შორის:		
მანქანათმშენებლობა . .	28.971	51.580
მსუბუქი მრეწველობა . .	55.123	79.800
კვების მრეწველობა . .	39.908	51.380

შვიდწლედში რესპუბლიკის მრეწველობის სხვადასხვა დარგში მოხდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მუშა–მოსამსახურეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა მშენებლობაზე, საბჭოთა მეურნეობებში, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის, მეცნიერების, საზოგადოებრივი კვებისა და სხვა დარგებში. მაგალითად, მშენებლობაზე მუშა–მოსამსახურეთა რაოდენობა გაიზარდა 1958 წლის 73 ათასი კაციდან 107 ათას კაცამდე 1965 წელს, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა დამხმარე სასოფლო–სამეურნეო საწარმოებში – 47,6 ათასიდან 127 ათასამდე, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში - 72 ათასიდან 96 ათასამდე, ხოლო ვაჭრობაში – 52 ათასიდან 98 ათასამდე და ა. შ.[14].

სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა ახალი ტექნიკის ბაზაზე მოითხოვს კვალიფიციური შრომის ხვედრითი წონის გადიდებას. შვიდწლედის პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა სამრეწველო–საწარმოო პერსონალის კულტურულ–ტექნიკური დონე. ამაში დიდი როლი შეასრულეს პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა და უშუალოდ საწარომოებთან არსებულმა ტექნიკური მინიმუმის წრეებმა, მუშა–მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა წრეებმა და კურსებმა, ნოვატორთა სკოლებმა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას 1958 – 1964 წლებში პროფესიულ–ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა მოუმზადეს 33,4 ათასი კვალიფიციური მუშა. უშუალოდ საწარმოებში სწავლების სხვადასხვა ფორმით კვალიფიკაცია აიმაღლა და ახალ სპეციალობას დაეუფლა 226,7 ათასი მუშა და მოსამსახურე[15].

კვალიფიციური კადრებით საქართველოს მრეწველობის უზრუნველყოფაში არსებითი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს და საშუალო–სპეციალურ სასწავლებლებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს უმაღლეს და საშუალო–სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების დასაქმებას საქართველოს სახალხო მეურნეობაში (ათასობით)[16]

ცხრილი 4

წლები	მთლიანად უმაღლეს და საშუალო-სპეც. განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობა	მათ შორის	
		უმაღლესი განათლებით	საშუალო სპეციალური განათლებით
1959	179,7	100,2	79,5
1960	191,2	106,7	84,5
1961	201,7	112,6	89,1
1962	212,1	117,8	94,3
1963	220,0	122,9	97,1
1964	233,94	129,9	103,5
1965	248,4	138,0	110,4

უმაღლესი და საშუალო – სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობა სამრეწველო საწარმოებში გაიზარდა 21,8 ათასიდან 1959 წელს 33,8 ათასამდე 1966 წ. მშენებლობაზე – 4,7 ათასიდან 9 ათასამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე სასოფლო – სამეურნეო საწარმოებში 2,8 ათასიდან 6,3 ათასამდე.

დამოწმებული ციფრებიდან ჩანს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობაში სპეციალისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგრამ საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება ჩამორჩებოდა უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადებას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები კი განიცდიდნენ საშუალო განათლების სპეციალისტების ნაკლებობას.

შვიდწლედის მანძილზე საქართველოში ფართოდ გაიშალა მძიმე ინდუსტრიის ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 240–ზე მეტი სამრეწველო საწარმო და საამქრო[17]. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: გაზსადენი ორჯონიკიძე–თბილისი, ლაჯანურის, ხრამი–2 და სხვა ჰიდროელექტროსადგურები, მანგანუმისა და ქვანახშირის ახალი მაღაროები, გამამდიდრებელი ფაბრიკები, რუსთავის კაპროლაქტამისა და სინთეზური ბოჭკოების ქარხანა, 20–ზე მეტი ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი საწარმო, სამშენებლო მასალების ქარხნები, მსხვილპანელიანი სახლების სამშენებლო კომბინატები, გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი და კვების მრეწველობის მთელი რიგი ობიექტები. მწყობრში შევიდა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი უბანი (6,3 კმ) და სხვ.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შვიდწლედში გადიდდა თითქმის 65 პროცენტით, თუმცა მისი ზრდა საკონტროლო ციფრებით განსაზღვრული იყო 75 პროცენტით. მიუხედავად ამისა, შვიდწლიანი დავალება გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობის მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში. გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, მაგისტრალური ელექტრომავლები, ცემენტის, მსუბუქი სახურავის, წინდებისა და ტრიკოტაჟის ნაკეთობანი, პირველადი დამუშავების ჩაი და სხვ.

მე-5 ცხრილი უჩვენებს საქართველოს მრეწველობაში შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების შესრულებას მრეწველობის ძირთად სახეობათა მიხედვით[18].

შვიდწლედში ჩქარი ტემპით ვითარდებოდა შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ჩარხმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა.

ცხრილი 5

	გეგმა	ფაქტიური შესრ. ნატურით	გეგმის შესრ.პროცენტობით
თუჯი (ათასი ტონობით).....	725	819	113,0
ფოლადი.....	1.210	1.363	112,6
ნაგლინი.....	885	994,8	112,4
ფოლადის მილები.....	385	409,8	105,0
კოქსი.....	727	664,7	91,9
მანგანუმის მადანი.....	3.600	2.871,6	79,8
მაგისტრალური ელექტრომავლები (ცალობით).....	150	186	124,0
სინთეტიკური ამიაკი (ათასი ტონა).....	145	141,2	974
მინერალური სასუქები (ათასი ტონა).....	484	435,3	88,1
ქვანახშირი.....	3.800	2.620	68,4
ელექტროენერგია (მლნ მანეთობით).....	6.670	6.078	91,1
სატვირთო ავტომობილები (ათასი ცალობით).....	15	10,0	66,7
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (მლნ მანეთობით).....	3,74	4	107,0
ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით).....	6.500	4.660	71,7
ცემენტი (ათას ტონობით).....	1.220	1.345	112,7
ბამბეულის ქსოვილები (მლნ მეტრი)	85,6	69,2	69,2
შალის ქსოვილები	6,6	3,4	51,5
აბრეშუმის ქსოვილები (მლნ მეტრი)	23,4	20,6	88,0
წინდების ნაწარმი (მლნ წყვ.).....	120	12,58	104,8
ფეხსაცმელი ტყავის (მლნ წყვ.).....	15,5	10,99	87,9
ყურძნის ღვინო (მლნ დეკალიტრი).....	13,6	8,39	61,7
ჩაი ნატურალური (ათასი ტონა).....	22,5	24,1	107,1

შავი მეტალურგიის პროდუქციის ზრდა 1958 – 1965 წლებში ასეთ სურათს იძლევა[19];

ცხრილი 6

წლები	თუჯი	ფოლადი	ნაგლინი	ფოლადის მილები
1958	671	977	668	269
1965	819	1.364	995	414

მიუხედავად ამისა, საქართველო ერთ სულ მოსახლეზე თუჯისა და ფოლადის გამოდნობის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთო საკავშირო დონეს.

საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობაში ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს ელექტროტექნიკურ წარმოებას (28,9%), საავტომობილო მრეწველობას (16,5%), ჩარხმშენებლობასა და საინსტრუმენტო მრეწველობას (8,7%), საერთო დანიშნულების მანქანათმშენებლობას (4,8%), მძიმე მანქანათმშენებლობას (2,1%), ხელსაწყოთმშენებლობას (1,8%)[20]. ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება 1958 წლის 2 692 ერთეულიდან გაიზარდა 4 660 ერთეულამდე 1965 წელს, ე. ი. 1,7ჯერ[21]; ავტომობილების წარმოება კი გადიდდა 1,6-ჯერ[22].

ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთსაშენებელ მრეწველობაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ბაზაზე შეიქმნა ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა. მაგისტრალური ელმავლების წარმოება შვიდწლედის მანძილზე დაახლოებით 13, 3-ჯერ გადიდდა[23]. ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ობიექტი გახდა.

რესპუბლიკის ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ შვიდწლედში პროდუქციის ისეთი ახალი სახეები აითვისა, როგორიცაა ცვლადი დენის სამგზავრო ელმავლები, ძალოვანი ტრანსფორმატორები, ავტომატიზებული ელექტრომომყვანები, სამედიცინო ხელსაწყოები, ხელსაწყოები ნახევარგამტარებიდან, სხვადასხვა ტიპის ელექტროძრავები, დაბალვოლტიანი ელექტროაპარატურა, ოპტიკურ-ტექნიკური მოწყობილობა, ელექტროშემდუღებელი აპარატები და მრავალი სხვა. ამ რთულ ნაკეთობათა წარმატებით ათვისება საქართველოს მუშათა კლასისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების კულტურულ–ტექნიკური დონის ზრდისა და სიმწიფის თვალსაჩინო დადასტურებაა. ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული ტემპებით განვითარება მიმართული იყო სოფლის მეურნეობისა და წარმოების სხვა დარგების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგში უახლესი აღმოჩენები იწვევენ საზოგადოებრივი საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარებას. აქედან გამომდინარე, შვიდწლედის მანძილზე განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საქართველოს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის საუკეთესო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 და 1965 წლების პლენუმების დადგენილებები, რომლებიც ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარების პრობლემების განხილვას მიეძღვნა.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის არსებული საწარმოების გაფართოებასა და ახალი საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, საკონტროლო ციფრებით

გათვლისწინებულ დავალებათა მთლიანად შეუსრულებლობის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვნად გადიდდა. საკმარისია ითქვას, რომ ქიმიური სასუქების წარმოება 1958 წელთან შედარებით 1,9–ჯერ გაიზარდა[24]. განსაკუთრებით გადიდდა აზოტოვანი სასუქების წარმოება. მწყობრში შევიდა ამიაკის, ამიაკის გვარჯილის, აზოტმჟავას ახალი სიმძლავრეები. დამთავრდა კარპოლაქტამის რთული კომპლექსის მშენებლობა, რომლის ბაზაზე რუსთავში შეიქმნა კარპოლაქტამის წარმოება კაპრონის ნართის მისაღებად, მოეწყო ხარისხოვანი პლასტმასის წარმოება, რომელიც წარმატებით ცვლის მინას, ლითონებს, ხის ძვირფას ჯიშებს ელექტროტექნიკურ, მანქანათსაშენებელ და ავეჯის მრეწველობაში. ამუშავდა აგრეთვე სინთეზური ბოჭკოების ქარხანა, რომელსაც 1965 წელს უნდა გამოეშვა 4,25 ათასი ტონა პროდუქცია[25].

საქართველოს მრეწველობაში აღნიშნული დარგების უპირატესი ზრდის შედეგად გადიდდა მათი წილი მრეწველობის საერთო პროდუქციაში. მაგალითად, ქიმიურმა მრეწველობამ სამრეწველო საწარმოების საერთო პროდუქციაში 1965 წელს მიაღწია 2,5 პროცენტს ნაცვლად 1958 წლის 1,3 პროცენტისა, მანქანათმშენებლობამ და ლითონდამუშავებამ შესაბამისად – 14,9 პროცენტს ნაცვლად 7 პროცენტისა[26].

განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარებას. მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდა 740 კილოვატსაათიდან 1958 წელს 1345,3 კილოვატსაათამდე 1965 წელს[27]. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე მუშის შრომის ელექტროშეიარაღება.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა ჩვენს ქვეყანას შვიდწლედის მანძილზე მისცეს მილიონობით ტონა ქვანახშირი. ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის მაღაროებში დაინერგა თანამედროვე სრულყოფილი მანქანები და მექანიზმები, ამრიდი საბურღი ჩაქუჩები, მთის ქანებისა და ქვანახშირის დასატვირთი მანქანები, საფხეკი ტრანსფორმატორები, მძლავრი ელექტრომავლები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველომ ვერ შეასრულა ქვანახშირის მოპოვების შვიდწლედის გეგმიური დავალება (3 800 ათასი ტონა 1965 წლისათვის). ქვანახშირის მოპოვება შემცირდა. მაგალითად, 1959 წელს ამოიღეს 2 936 ათასი ტონა, 1960 წელს – 2 850, 1961 წელს – 2 672, 1962 წელს – 2 758, 1963 წელს – 2 763, 1964 წელს – 2 601, ხოლო 1965 წელს – 2621 ათასი ტონა[28]. ამის მთავრი მიზეზი ის იყო, რომ არ შესრულდა ახალი შახტების აშენების გეგმა.

შვიდწლედში მკვეთრად გადიდდა სამშენებლო მასალების წარმოება. გაფართოვდა მაღალი მარკის ცემენტისა და ხარისხიანი შიფერის წარმოება. მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვით გაიზარდა მსხვილი ბეტონური, სილიკატური ბლოკების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ცალკეული დეტალების დამზადება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ცემენტის გამოშვება 1 070 ათასი ტონიდან გადიდდა 1 375 ათას ტონამდე. გაიზარდა აგურის წარმოებაც[29]. საქართველოს საშენი

მასალების მრეწველობის წარმატება განაპირობა კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების შეწყობილმა მუშაობამ.

შვიდწლედის დასაწყისში (1960) საქართველოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ბევრი საწარმო – ტრიკოტაჟის, სამკერვალო და ფეხსაცმლის – ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის სისტემიდან გადავიდა სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში. 1961 – 1962 წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა გამსხვილებისა და ცენტრალიზაციის მიზნით. რეორგანიზაციის შედეგად მთელი რიგი შედარებით წვრილი საწარმოები გაერთიანდა და შეიქმნა მსხვილი საწარმოები[30].

საწარმოების კონცენტრაციამ გააუმჯობესა სპეციალიზაცია, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შემაცირა პროდუქციის თვითღირებულება და ბევრად აამაღლა პროდუქციის ხარისხი.

საფეიქრო მრეწველობის არსებულ საწარმოთა გაფართოებასა და რეკონსტრუქციასთან ერთად აშენდა კამვოლური ქსოვილების, აბრეშუმსაქსოვი და ტრიკოტაჟის ახალი ფაბრიკები. 1962წელს თბილისის სართავ–სატრიკოტაჟო კომბინატთან მწყობრში შევიდა ტრიკოტაჟის ფაბრიკა[31]. 1962 წელს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობას შეემატა თბილისის ჟაკარდის ფაბრიკა, თბილისის კამვოლური სართავ–საქსოვი ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

საქართველოს სამკერვალო მრეწველობის პროდუქცია ხასიათდებოდა მრავლფეროვნებით. მაგალითად, 1960 წელს მან გამოუშვა 120 სახეობის ნაწარმი.

მსუბუქი მრეწველობის არსებული საწარმოების ტექნიკური გაუმჯობესება–გაფართოება, ახალი სამრეწველო ობიექტების აშენებისა და მწყობრში ჩადგომის შედეგად შვიდწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი პროდუქცია, გაუმჯობესდა ხარისხი. ბამბეულისა და აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების გადიდების მხრივ რესპუბლიკამ დიდი მიღწევები მოიპოვა, მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩა ნედლეულის უქონლობის გამო შალეულის მრეწველობა.

ტყავის ფეხსაცმლის წარმოება შვიდწლედში გაიზარდა 1,1 მილიონი წყვილით და მიაღწია 10,1 მილიონ წყვილს[32]. მაგრამ რესპუბლიკის ტყავის ქარხნების საწარმოო სიმძლავრენი ვერ აკმაყოფილებდნენ ფეხსაცმლის მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ გადაუდებელი ამოცანა იყო არსებული ტყავის ქარხნების საწარმოო სიმლავრეთა გაფართოება, ხელოვნური ტყავის ქარხნებისა და ტყავის მრეწველობის საწარმოთა სრულყოფა თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე.

საქართველოს კვების მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კვების პროდუქტებითა და მრეწველობის ეთეროვანი ზეთებით უზრუნველყოფაში. იგი იძლეოდა საბჭოთა კავშირში წარმოებული ბაიხაო ჩაის 97 პროცენტს, აგურა ჩაის 100, ღვინის დაახლოებით

13, შამპანურის 20 პროცენტზე მეტს, მინერალური წყლების 23, ტუნგის ზეთის 100 პროცენტს, ეთერზეთების 80 პროცენტზე მეტს და .შ. [33]

შვიწლედში კვების მრეწველობას შეემატა ბევრი მძლავრი საწარმო. მათ შორის აღსანიშნავია ჩაის ფაბრიკები: მახარაძის, ქობულეთის, ოჩამჩირის და სხვ[34]; ღვინის ქარხნები: სიღნაღის, ცაგერის, მუკუზნის, ახმეტის, ბოლნისის, წითელწყაროს და სხვ[35]; საკონსერვო ქარხნები: ლაგოდეხის, განთიადის, გორის № 2, თეთრიწყაროს, მაიაკოვსკის, სოხუმისა და სხვ[36]. აშენდა აგრეთვე და საექსპლოატაციოდ გადაეცა პურის ქარხნები, მაცივრები, პროდუქტსაცავები.

კვების მრეწველობაში ახალი ობიექტების მშენებლობისა და არსებულ საწარმოებში ტექნიკური სიახლის დანერგვის შედეგად შვიდწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა კვების პროდუქტების წარმოება და მათი მიწოდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობისათვის.

რესპუბლიკაში კვების მრეწველობის პროდუქციის სწრაფი ტემპებით ზრდას მოწმობს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 7)[37].

საქართველოს კვების მრეწველობაში, ისევე როგორც ინდუსტრიის სხვა დარგებში, ფართოდ ინერგებოდა უახლესი ავტომატური მანქანები, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციამ და მექანიზაციამ, ნაკადური ხაზების ფართოდ დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

კვების მრეწველობაში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო სპეციალიზაციას, რამაც დიდად შეუწყო ხელი პროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას. საქართველოს ჩაის ფაბრიკები სპეციალიზებული იყო მწვანე და შავი ბაიხაო, დაპრესილი აგურის ჩაის გამოშვებაზე. 60 ფაბრიკიდან, სადაც წარმოებდა ჩაის მწვანე ფოთლის პირველადი გადამუშავება, 44 მუშაობდა შავი ბაიხაო ჩაის დამუშავებაზე[38]

(ათას ტონობით) **ცხრილი 7**

	1958 წ.	1965 წ.
	22,3	60,2
შაქრის		30,2
ფხვნილი.....	27,0	
ხორცი.....		7,9
კარაქი, ცხიმები და მცენარეული	7,2	14,2
ზეთი.....	9,9	27,1
ყველი ცხიმიანი.....	17,3	
საკონდიტრო ნაწარმი.....		158,9
კონსერვი (მლნ პირობითი	96,8	
ქილა).....		8,5
ყურძნის ღვინო (მლნ	6,3	
დეკალიტრი).....		125,8
მინერალური წყლები (მლნ	86,1	
ნახევარლიტრ).....		

პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი.....	32,5	45,8

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საწარმოთა სწორ განლაგებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რამაც ხელი შეუწყო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალიტსური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკის აღმავლობას.

აფხაზეთის მრეწველობის პროდუქცია 1965 წელს 1958 წელთან შედარებით გაიზარდა 31 პროცენტით, აჭარის – 33, სამხრეთ ოსეთის – 39 პროცენტით[39].

საწარმოო დანიშნულების იმ პრდუქციის შემადგენლობაში, რომელსაც საქართველოს მრეწველობა შვიდწლედში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკას, მხარეს, ოლქსა და სოციალისტურ სისტემაში შემავალ ქვეყნებს აწვდიდა, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჭიათურის მაღალხარისხოვანი მანგანუმის მადანს და ფეროშენადნობებს. საქართველოს შავი მეტალურგია სპეციალიზებულ იქნა ძირითადად მთლიანჭიმული უნაკერო ფოლადის მილების დამზადებაზე. ამ პროდუქციით ის ამარაგებდა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობას, უმთავრესად სამხრეთის რაიონების საწარმოებს.

შვიდწლედში გაიზარდა რაოდენობა და გაფართოვდა იმ პროდუქციის ნომენკლატურა, რომელსაც საქართველოს მრეწველობა აწვდიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასვხა რაიონს, მათ შორის იყო სატვირთო, თვითსაცლელი, ცემენტსაზიდი, ბამბის საზიდი მანქანები, სახარატო ჩარხები, საფეიქრო და მეღვინეობისათვის საჭირო მოწყობილობა, რადიოტელეგრაფის აპარატურა, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები და სხვ. საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზოგადოებრივი შრომის რაციონალური დანაწილების საფუძველზე განმტკიცდა მყარი რესპუბლიკათაშორისო ეკონომიკური კავშირი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი ზრდისათვის.

საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს აწვდის შავი ლითონების ნაგლინს, მანგანუმის მადანს, ფეროშენადნობს, ფოლადის მილებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სატვირთო ავტომობილებს, აზოტის სასუქებს, ასკანიტს, ცემენტს, აბრეშუმის ნედლეულს და ქსოვილს, ფეხსაცმელს, ტყავის ნედლეულს, ქაღალდს, ღვინის მასალას, შამპანურს, ჩაის, ჩაის ნედლეულს, თამბაქოს, მინერალურ წყლებს, ხილ–ბოსტნეულის კონსერვებს და სხვ[40].

თავის მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკები საქართველოში გზავნიან შავი ლითონების ნაგლინს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სხვადასხვა მარკისა და დანიშნულების მანქანებს, სასოფლო–სამეურნეო მანქანებს, თუჯის სხმულებს, კოქსირებულ კონცენტრატს, ნავთობის ნედლეულს, ბუნებრივ გაზს,

საბურავებს, ელექტროენერგიას, ელექტროტექნიკურ აპარატურას, მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა სახეობის ნაწარმს[41].

საქართველოს ინდუსტრიული ძლიერების ზრდის საუკეთესო დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მას თავისი მრეწველობის მაღალხარისხოვანი პროდუქცია გაჰქონდა მსოფლიოს 65 ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მთლიანად არ შესრულებულა. მაგალითად, ქიმიური და შავი ლითონების ზოგიერთი საწარმოს მშენებლობისა თუ რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია არ იყო სათანადოდ დამუშავებული. ამიტომ საჭირო გახდა მათი დაზუსტება და გადაკეთება. ამან კი, ბუნებრივია, ჩაშალა აღნიშნულ საწარმოთა მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები. ზოგჯერ ახალი საწარმოების დაპროექტებას და უახლესი სამამულო და იმპორტული ტექნიკით აღჭურვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. გეგმის შესრულებაზე სერიოზული გავლენა იქონია წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ღონისძიებათა შეუსრულებლობამ, ზოგიერთ საწარმოში შრომის ორგანიზაციის საკითხების მოუგვარებლობამ, მუშახელის დენადობამ. მთელ რიგ საწარმოებში ახალგაზრდა მუშათა დენადობა ძირითადად გამოწვეული იყო საბინაო პირობების მოუგვარებლობით, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების უკმარობით[42].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შვიდწლიან გეგმაში ყველა საკითხი არ იყო დაკონკრეტებული, არ იყო გათვალისწინებული არსებული რეალური შესაძლებლობანი, რამაც გამოიწვია გეგმის შესრულების ტემპების შენელება პარტიამ და მავრობამ ამ მდგომარეობას დროულად მიაქციეს ყურადღება და საჭირო კორექტივები შეიტანეს საკონტროლ ციფრებში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 26 დეკემბერს მიიღეს სპეციალური დადგენილება[43]. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილებები საბართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში კორექტივების შეტანის შესახებ. სამწუხაროდ ეს კორექტივები შვიდწლიან გეგმაში ითვალისწინებდნენ გეგმიურ დავალებათა შემცირებას[44], რათა შემდეგ გადაჭარბებით შეესრულებინათ ისინი დაამით დაეფარათ ნეგატიური მოვლენები ხელმძღვანელი პარტიუოი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

როგორც ცნობილია, 1957 წელს ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭო, რამაც კარდინალურად შეცვალა საწარმოთა დაქვემდებარების ფორმები, რესპუბლიკის მინიტსრთა საბჭოს დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქციაში სახალხო მეურნეობის საბჭოს ხვედრითი წონა 75 – 81 პროცენტამდე.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების საშუალებით მრეწველობის მართვის ორგაიზაციას ჰქონდა ზოგიერთი დადებითი მხარე

(მთელ რიგ შემთხვევაში მოხდა მონათესავე საწარმოების მიზანშეწონილი გაერთიანება, შეიქმნა მთელი რიგი ახალი ქარხნები, რომლებიც ემსახურებოდნენ რესპუბლიკის მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოებს), მან მაინც ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. სახალხო მეურნეობის საბჭოების მრავალდარგოვანი სამმართველოები კვალიფიციურ ხელმძღვანელობას ვერ უწევდნენ მრეწველობის ზოგიერთი დარგის საერთო–საკავშირო მნიშვნელობას და მათი განვითარების პერსპექტივებს მხოლოდ ეკონომიკური რაიონების ჩარჩოებში განიხილავდნენ. როგორც ლ. ბრეჟნევი აღნიშნავდა სკკპ XXIII ყრილობაზე, მრეწველობის მართვის ტერიტორიულმა სისტემამ გამოიწვია ტექნიკური პოლიტიკის ერთიანობის დარღვევა, სამეცნიერო–კვლევითი ორგანიზაციების მოწყვეტა წარმოებისაგან. ეს კი აფერხებდა ახალი ტექნიკის დანერგვას და მრეწველობის განვითარებას საერთოდ[45]. თუ 1950–1957 წლებში სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ტემპი უდრიდა 10 პროცენტს, 1958 – 1965 წლებში იგი შემცირდა 7,4 პროცენტამდე, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა იკლო 5,6-დან 4,3-პროცენტამდე[46]. ამის ერთ–ერთი მიზეზი იყო მრეწველობის მართვის ტერიტორიული პრინციპის უვარგისობა.

კიდევ უფრო შენელდა მრეწველობის განვითარების ტემპი საქართველოში.

პარტიამ და მთავრობამ ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა შორის აღსანიშნავია სახალხო მეურნეობის საბჭოების გამსხვილება (1962 წ.), სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მრეწველობის დარგობრივი კომიტეტების შექმნა და სხვ. მაგრამ ეს როდი იყო საკმარისი, ვინაიდან არ არსებობდა ისეთი ორგანო, რომელიც კომპლექსურად განიხილავდა და გადაწყვეტდა მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარების საკითხებს. ამის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად მრეწველობის და მშენებლობის მართვა აგებულ იქნა დარგობრივ რინციპებზე. გაუქმდა სახალხო მეურნეობის საბჭოები დ აღდგენილ იქნა სამრეწველო (დარგობრივი) საკავშირო, საკავშირო–რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ (1965 წ. ოქტომბერი) განიხილა მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების საკითხები და დააკანონა მრეწველობის მართვის ახალი სისტემა.

მრეწველობის მართვის დარგობრივი სისტემა უზრუნველყოფდა ერთიან ტექნიკურ და ეკონომიკურ ხელმძღვანელობას, მუშებისა და სპეციალისტების რაციონალურ გამოყენებას, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების სწრაფად და ეფექტიანად დანერგვას. ყოველივე ამან

შექმნა პირობა მომდევნო პერიოდში მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის საჭირო იყო ტრანსპორტის დაჩქარებული განვითარება, სატრანსპორტო–საგზაო მშენებლობის გაფართოება, მისი შემდგომი ტექნიკური აღჭურვა, ტრანსპორტის სიჩქარის მნიშვნელოვნად გადიდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ამჯერადაც დიდ ყურადღებას აქცევდა ტრანსპორტს, როგორც "მრეწველობისა და მიწათმოქმედების კავშირის საფუძველს"[47].

ტრანსპორტის რეკონსტრუქციას, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საქართველოშიც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნული იყო: "იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპს, საჭიროა განვითარდეს ტრანსპორტის ყველა სახე. შვიწლედში უნდა მოეწყოს ძირითადად ტექნიკური რეკონსტრუქცია, განსაკუთრებით რკინიგზაზე უნდა შეიცვალოს ორთქმავლები თანამედროვე ლოკომოტივებით-ელმავლებით და თბომავლებით"[48].

რკინიგზის ტრანსპორტზე ახალი ტექნიკის დანერგვის ნელი ტემპი და ცალკეული უბნების ელექტრიფიკაცია საკმარისი არ იყო ტრანსპორტის მუშაობის საერთო აღმავლობისათვის.

გზაზე არსებული შერეული წევის ძალის შედეგად ხაშურში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ცხაკაიაში, ოჩამჩირესა და სხვა საკვანძო სადგურებში ხშირად იქმნებოდა გაუვალი ადგილები, რაც ზრდიდა ლოკომოტივებისა და ვაგონების მოცდენას. საჭირო იყო რკინიგზის მთლიანი ელექტრიფიკაცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1955 წლის ივლისში დამტკიცებული რკინიგზის ელექტრიფიკაციის 15–წლიანი გეგმა ითვალისწინებდა საორთქმავლო მეურნეობის ლიკვიდაციასა და ტრანსპორტის სწრაფი ტემპით რეკონსტრუქციას. ამ გეგმის თანახმად საქართველოში 1967 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო რკინიგზის სრული ელექტრიფიკაცია. ელექტროქსელის სწრაფმა განვითარებამ და საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნამ უზრუნველყო დასახული ამოცანის განხორციელების პირობები.

1959 – 1965 წლებში საქართველოში ელექტრიფიცირებულ იქნა რკინიგზის გორი–ცხინვალის, ნავთლუღი-ლილოს, დარკვეთი-საჩხერის, სოღანლუღი-სადახლოს, ნავთლუღი–გურჯაანის და სხვა უბნები, რამაც რკინიგზის ელექტრიფიცირებული ხაზის სიგრძე 166 კილომეტრით გაზარდა[49]. 1965 წლის ბოლოს ელექტრიფიცირებული იყო საქართველოს რკინიგზების 83 პროცენტი[50].

გზის ელექტრიფიკაციის შედეგად გაიზარდა ლოკომოტივთა სიჩქარე და საექსპლოატაციო მანძილი. ხაშური–სამტრედიის, სამტრედია-ოჩამჩირის

უბნები ელმავლებისათვის ერთ საექსპლოატაციო უბნად გარდაიქმნა. ლიკვიდირებულ იქნა ზესტაფონის საელმავლო და ოჩამჩირის საორთქმავლო დეპო, სადგურებთან არსებული წყალსაქაჩები, ნახშირისა და შეშის საწყობები, მაზუთის საცავები და საორთქლმავლო მეურნეობასთან დაკავშირებული სხვა ნაგებობანი.

1959 – 1965 წლებში საქართველოს რკინიგზის მაგისტრალის ზრდასთან ერთად ხორციელდებოდა სატრანსპორტო მეურნეობის მექანიზაცია, ტრანსპორტზე ახალი ტექნიკის დანერგვა. მთლიანად ელექტრიფიცირებული იქნა საისრო მეურნეობა და ნიშანსვეტები, სატვირთო სადგურებში დატვირთვა–გადმოტვირთვის ოპერაციები ძირითადად მექანიზებული გახდა. მოხდა სამტრედია–ადლერის უბნის დისპეტჩერული ცენტრალიზაცია. ამაღლდა რკინიგზის სადგურების მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის დონე, მატარებლების მიღება–გაშვება გადავიდა სამარშრუტო–საკონტროლო მოწყობილობათა სისტემაზე. ნავთლუღისა და ქუთაისის (ბროწეულა) სადგურებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ტიპის ლიანდაგები, რის შედეგადაც დაჩქარდა მატარებლების მოძრაობა.

ახალი ტექნიკით აღიჭურვა გზის სავაგონო მეურნეობა. სავაგონო პარკიდან 1962 წელს საბოლოოდ განიდევნა ორღერძიანი მოკლებაზიანი, ხელისმუხრუჭიანი ვაგონები და მათი ადგილი დაიკავა მუხრუჭებითა და ავტომატური გადამბმელებით აღჭურვილმა ვაგონებმა, რომელთა ტვირთამწეობა სამჯერ მეტია ორღერძიან ვაგონებთან შედარებით.

გაუმჯობესდა სალიანდაგო მეურნეობა. საქართველოს რკინიგზაზე, განსაკუთრებით მთავარ მაგისტრალზე, ძველი რელსები შეიცვალა ახალი, მძიმე რელსებით, გაუმჯობესდა ლიანდაგის საფუძველი, რამაც შესაძლებელი გახადა ახალი ტიპის ლოკომოტივებისა და მძიმეწონიანი მატარებლის უსაფრთხო მოძრაობა.

რკინიგზის მეურნეობის რეკონსტრუქციამ, ექსპლოატაციაში თბილისური რვაღერძიანი ელმავლების შესვლამ გაზარდეს მატარებლის საუბნო სიჩქარე.

სალოკომოტივო–საექსპლოატაციო უბნის ზრდასთან დაკავშირებით შეიცვალა სალოკომოტივო ბრიგადების შრომის ორგანიზაციის ფორმაც. ლოკომოტივზე ბრიგადის მიმაგრების ნაცვლად დაწესდა ცვლების სისტემა, რამაც გაადიდა ლოკომოტივის ექსპლოატაციის ეფექტიანობა.

რკინიგზაზე ახალი ტექნიკისა და მოწინავე მეთოდების დანერგვამ ხელი შეუწყო სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის შემცირებას, ტექნიკური და კომერციული სიჩქარის ზრდას, ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას. ადგილობრივი მიმოსვლის ხაზებზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ელექტროსექციები. ამან რამდენჯერმე გაზარდა რკინიგზის გამტარუნარიანობა და დააჩქარა მატერებლების მიმოსვლა. სამგზავრო მატარებლები შეივსო ახალი ტიპის ვაგონებით, გაუმჯობესდა მგზავრთა კულტურული მომსახურება.

ტვირთზიდვის ზრდას, მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას ჩვეულებრივ პირობებში უნდა გამოეწვია მუშა–მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა, მაგრამ იმის გამო, რომ რკინიგზელებმა სრულყოფილად აითვისეს ახალი ტექნიკა, მნიშვნელოვნად განავითარეს შემოქმედებითი ინიციატივა, გაოიყენეს ახალი მეთოდები, 1965 წელს 1958 წელთან შედარებით მუშა–მოსამსახურეთა რიცხვი რკინიგზის ტრანსპორტზე რამდენადმე შემცირდა. საბოლოოდ განიდევნა მთელი რიგი პროფესიები: მეისრე, ცეცხლფარეში, გადამბმელი და სხვ.

ტრანსპორტისათვის კადრების მომზადებაში ფართოდ დაინერგა სწავლების ისეთი ფორმა, როგორიცაა დაუსწრებელი და საღამოს სწავლება ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სახალხო განათლების უნივერსიტეტებსა და ლექტორიუმებში.

კადრების მომზადებამ, მათი ტექნიკური ცოდნის გაღრმავებამ ხელი შეუწყო რამდენიმე პროფესიის დაუფლებასა და შეთვისებას.

შვიდწლედში ფართოდ დაინერგა ჩქაროსნული და მძიმეწონიანი მატარებლების ტარების პრაქტიკა. რკინიგზის ელექტრიფიკაციის, ავტომატიზაციისა და სადისპეტჩერო ცენტრალიზაციის, კადრების კულტურულ–ტექნიკური დონის ამაღლების შედეგად მგზავრთა გადაყვანა 1965 წლისავთის 20,2 მლნ კაცით, ხოლო ტვირთზიდვა 60,5 მლნ ტონით გაიზარდა[51].

საქართველოს რკინიგზელები ფართოდ ჩაებნენ მოძრაობაში კომუნისტური შრომისათვის. 1965 წელს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდებისათვის იბრძოდა რკინიგზის საწარმოებში მომუშავეთა 80 პროცენტი, მათ შორის დაახლოებით 30 ათასმა კაცმა მოიპოვა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება[52].

შვიდწლედში რკინიგზაზე ფართოდ დაინერგა ტვირთის გადაზიდვა კონტეინერებით. კონტეინერით ტვირთზიდვის ზრდას სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად ხელი შეუწყო საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამ.

კონტეინერული ტვირთზიდვის დანერგვამ შეამცირა დახურული საწყობებისა და მახარისხებელი მოედნების საჭიროება, შესაფუთი მასალისა და გასაგზავნი ყუთების მოთხოვნილება. ამ სიახლემ შექმნა აგრეთვე სატვირთო ოპერაციების სრული მექანიზაციის პირობები, ყოველივე ამან კი დააჩქარა მატერიალური ფასეულობის ბრუნვა და სახელმწიფოს მისცა დიდი ეკონომიკური ეფექტი.

ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ამოცანები ტრანსპორტის სხვა სახეობებთან ერთად მოითხოვდა ავტოტრანსპორტმ ინტენსიურ განვითარებას, მისი მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს გზატკეცილების განვითარებისა და სიხშირის მიხედვით სსრ კავშირის რესპუბლიკებს შორის 1958 წელს მეორე ადგილი ეკავა (ესტონეთის შემდეგ), მაგრამ რესპუბლიკის საგზაო მეურნეობის არსებული

მდგომარეობა და მისი განვითარების ტემპი ვერ აკმაყოფილებდნენ სახალხო მეურნეობის ზრდის მოთხოვნილებებს. შესაკეთებელი იყო საერთო სახელმწიფოებრივი რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების ნაწილი და ადგილობრივი გზების უმეტესობა[53]. ვიწრო, პატარარადიუსიანი მოსახვევები, მკვეთრი დაღმართები აფერხებდა სიჩქარის განვითარებას და უსაფრთხო მოძრაობას. საქართველოში საგზაო მშენებლობის შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა არა ახალი გზების გაყვანას, არამედ არსებული გზების გაფართოებას.კეთილმოწყობასა და გაუმჯობესებას.

გზები, დაფინანსებისა და მმართველობის წესის მიხედვით, სსრ კავშირში არსებული კლასიფიკაციის შესაბამისად ექვს ჯგუფად იყოფა (საკავშირო, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, სასოფლო და შიგამეურნეობრივი მნიშვნელობის). აქედან პირველი ორი გზა, ე.ი. ის მაგისტრალები, რომლებიც ემსახურება საერთაშორისო მნიშვნელობის მიმოსვლას, შორეულ გადაზიდვებს, რესპუბლიკათა შორის კავშირს, აერთიანებს საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის ადმინისტრაციულ–პოლიტიკურ–სამრეწველო ცენტრებს და კურორტებს, მიეკუთვნება სახელმწიფო "სტრატეგიული" გზების ქსელს და მათი მოვლა–პატრონობის ხარჯები, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტშია გათვალისწინებული, დანარჩენი გზების მოვლა კი ადგილობრივ ბიუჯეტზე და მოსახლეობის შრომით მონაწილეობაზეა დამოკიდებული. მაგრამ კლასიფიკაციის ფორმები ვითარების შესაბამისად იცვლება. საკავშირო–რესპუბლიკური გზების ქსელი ხშირად იზრდება ადგილობრივი გზების ხარჯზე და პირიქით.

ადგილობრივი გზების ფართო ქსელი, რომელიც ფაქტიურად საკავშირო და რესპუბლიკური გზების განშტოებაა, საქართველოში 1965 წლის ბოლოს შეადგენდა გზების საერთო სიგრძის 74,8 პროცენტს. ამ გზების მშენებლობა, კეთილმოწყობა სამშენებლო მასალის ნაკლებობის, ბიუჯეტიდან მცირე თანხის გამოყოფისა და მოსახლეობის სუსტი მონაწილეობის გამო, ჩამორჩებოდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს. განსაკუთრებით მცირე იყო რესპუბლიკაში საფარიანი გზების რაოდენობა.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 ივნისის ბრძანებულებამ "საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო. სამშენებლო და სხვა საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების წესის შესახებ"[54] ძირეული გარდატეხა გამოიწვია საგზაო მშენებლობისა და მისი მოვლა–პატრონობის საქმეში.

ამ ბრძანებულების შესაბამისად ადგილობრივ საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში მონაწილეობა დაევალა ყველა კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, ქალაქისა და სოფლის სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო, საწარმოო და სამეურნეო ორგანიზაციას. მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და

შეკეთებისათვის გეგმის შედგენისას გაეთვალისწინებინათ ცალკეული მეურნეობისა და წარმოება–დაწესებულების მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში.

საგზაო მშენებლობაში გეგმით გათვალიწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად კოლმეურნეობებში იქმნებოდა მუდმივმოქმედი საგზაო ბრიგადები. ხოლო საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოო–სამეურნეო ორგანიზაციებში – მუდმივმოქმედი რაზმები. ამათსან ერთად სამეურნეო ორგანიზაციები თავიანთ ხარჯზე გამოჰყოფდნენ სათანადო რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებას, საწვავს, საცხებს და სამუშაო იარაღს.

1959 – 1965 წლებში რესპუბლიკაში მასობრივი ხასიათი მიიღო ხიდების მშენებლობამ და შეკეთებამ. ახალ ხიდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რკინა–ბეტონის ხიდები მდ. ყვირილაზე სოფ. სვირში, მდ. სუფსაზე სოფ. ძიმითში, ლითონის კონსტრუქციების ხიდები მდ. რიონზე ამბროლაურის რაიონში, მდ. ენგურზე ზუგდიდის რაიონში, მდ. ოქუმზე გალის რაიონში. სულ 1959 – 1965 წლებში საქართველოში აშენდა 1972 მეტრი სიგრძის 39 სატიტულო ხიდი და კაპიტალურად შეკეთდა 1968 მეტრი სიგრძის 352 ხიდი, რამაც დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივი მიმოსვლის გაუმჯობესებას.

რესპუბლიკაში, ზოგიერთ რაიონში საგზაო მშენებლობისადმი არასაკმაო ყურადღების მიუხედავად, მნიშვნელოვნად გაიზარდა გზების საერთო ქსელი. 2,0 ათასი კილომეტრით გადიდდა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე, ხოლო მაგარსაფარიანი გზების სიგრძე – 1,5 ათასი კილომეტრით და 1965 წლის ბოლოსათვის 14,7 ათას კმ–ს მიაღწია[55]. საგზაო მშენებლობის გაშლამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის გაუმჯობესებას, მაგრამ მისი მუშაობის სრულყოფას სხვა მიზეზებთან ერთად ხელს უშლიდა წვრილი დაქსაქსული ავტოკოლონების არსებობა და მათდამი ხელმძღვანელობის უწყებრივი სისტემა. ამიტომ 1959 – 1960 წლების მანძილზე რესპუბლიკაში დიდი მუშაობა ჩატარდა ავტომეურნეობების გამსხვილებისა და საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროში მათი თავმოყრისათვის.

საქართველოს ავტოტრანსპორტის სამინისტროსთან შეიქმნა ავტოტრანსპორტის საექსპლოატაციო კანტორები, რომელთა ნაწილი ემსახურებოდა მხოლოდ სატვირთო ოპერაციებს, დიდი ნაწილი კი აწარმოებდა როგორც ტვირთზიდვას, ასევე მგზავრთა გადაყვანას. ავტოტრანსპორტის კანტორებს შეემატა კიდევ ახალი საექსპლოატაციო ერთეულები და ამით ძირითადად დამთავრდა ავტომეურნეობის გამსხვილება უწყებათა ხარჯზე.

ავტოტრანსპორტის საექსპლოატაციო კანტორების რიცხვის ზრდამ და ექსპლოატაციის გაუმჯობესებამ მოითხოვა ხელმძღვანელობის გარდაქმნა. ამ მიზნით 1961 წელს დაიწყო საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სისტემაში საექსპლოატაციო კანტორების გამსხვილება და საექსპლოატაციო უბნების

გარდაქმნა ტერიტორიულ–საწარმოო ტრესტებად. ასეთი ტრესტები შეიქმნა დასავლეთ საქართველოში სამი (ბათუმში, ქუთაისსა და სოხუმში), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ოთხი (ოთხივე თბილისში).

მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით 1959 წლიდან დაიწყო საქალაქო ავტოტრანსპორტის სამგზავრო სადგურების ტერიტორიული გაერთიანება რკინიგზის სადგურებთან. ავტოსადგურები გაიხსნა ნავთლუღის, ცხინვალის, კვეზანის, ტყიბულის, გაგრის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის რკინიგზის სადგურებთან. საგზაო მშენებლობის გაუმჯობესებამ და ავტომობილების რიცხვის ზრდამ შესაძლებელი გახადა 1959–1965 წწ. საქართველოში დამატებით გახსნილიყო ახალი საქალაქთაშორისო მიმოსვლის ხაზები.

შვიწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა საავტომობილო ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც, გაუმჯობესდა სამარშრუტო ტაქსების რეგულარული მოძრაობა.

ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის გაუმჯობესებაში საგზაო მშენებლობასა და ავტომეურნეობის სრულყოფასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოძრაობის მოწესრიგებისათვის ჩატარებულმა ღონისძიებებმა. კერძოდ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 იანვრის დადგენილებამ “სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში (გზებზე და ქუჩებში) მოძრაობის ერთიანი წესის შემოღების შესახებ”. ქალაქის ტერიტორიაზე საყვირის აკრძალვამ და მოძრაობის წესის ძირითად მაჩვენებლად ნიშანსვეტების გამოცხადებამ დიდად შეუწყო ხელი ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესებასა და უსაფრთხოებას.

შვიდწლედის პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა საზღვაო ტრანსპორტი. გაიზარდა ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურებში. ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში საექსპორტო ტვირთის მოცულობა განსაკუთრებით გადიდდა რუსთავისა და სუმგაითის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების პროდუქციის ხარჯზე. გაუმჯობესდა ტვირთის გადამუშავების მექანიზაცია. მაგალითად, ფოთის ნავსადგურში 1965 წლის ბოლოს თითქმის მთლიანად მექანიზებული იყო დატვირთვა–გადმოტვირთვის სამუშაოები. მექანიზაციის დონის მიხედვით ფოთის ნავსადგურმა შავი ზღვის აუზის ნავსადგურებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

შვიდწლედის პერიოდში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოს ნავსადგურებისათვისაც დამახასიათებელი იყო ტვირთზიდვის სპეციალიზაცია. ბათუმის ნავსადგური კვლავაც დარჩა ნავთობპროდუქტების ექსპორტის ძირითად ბაზად, ხოლო ფოთის ნავსადგურს მანგანუმის ექსპორტთან ერთად დაემატა მსხვილი ქარხნების პროდუქციის ექსპორტი.

1959 – 1965 წლებში საქართველოში შემდგომ განვითარდა საჰაერო ტრანსპორტი. გაიხსნა ახალი საავიაციო ხაზები, რომლებმაც რესპუბლიკის ქალაქები დაუკავშირეს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეს.

გაიხსნა ადგილობრივი საჰაერო მიმოსვლის ახალი ხაზები, დაარსდა აეროპორტები ონში, შოვში, ახმეტაში, ტყვარჩელში, ფოთში, ზუგდიდში, გუდაუთასა და საქართველოს სხვა რაიონებში. 1965 წლიდან ვერტმფრენები ემსახურებოდნენ მგზავრთა გადაყვანას ისეთ მაღალმთიან რაიონებში, როგორიცაა სოხუმი-ტყვარჩელი, თელავი-ომალო, ქუთაისი–ონი, ქუთაისი-ლენტეხი და სხვ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მგზავრთა გადაყვანა როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის გარეთაც. მაგალითად, 1965 წელს თბილისის აეროპორტიდან ყოველდღიურად 112 რეისი ეწყობოდა. 1965 წელს 1958 წელთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 6,5 მლნ კაცით.

საქართველოს ავიაცია, მგზავრთა მომსახურებისა და ტვირთზიდვის გარდა, სოფლის მეურნეობასაც ეხმარებოდა – სასუქები შეჰქონდა ნათესებსა და პლანტაციებში (311 ათას ჰექტარზე), მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმჯობესდა კავშირგამულობის დაწესებულებათა მუშაობა. ორჯერ და მეტად გაფართოვდა საქალაქთაშორისო კავშირი. 49 ათასი ნორმით, ანუ ორჯერ. გაიზარდა სატელეფონო სადგურების სიმძლავრე. ახლა ჭარბობს ტელეფონ-ავტომატთა რიცხვი; 1965 წლის ბოლოსათვის მთელი ქსელის ტელეფონების 80 პროცენტი ავტომატური იყო, ნაცვლად 52 პროცენტისა 1958 წელს

შვიდწლედის პერიოდში აშენდა ახალი სატელეფონო ავტომატური სადგურები თბილისში, რუსთავში, ბათუმში, სოხუმში, გორში, ქუთაისში, სამტრედიაში, ცხაკაიაში, მახარაძეში, ფოთში, წყალტუბოსა და გურჯაანში.

1965 წლის დამლევისათვის რესპუბლიკაში სატელეფონო მეურნეობის განვითარების მიუხედავად, იგი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. გაფართოვდა რადიოქსელი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ტელევიზიით მომსახურების ზონა.

1965 წლის დამლევს რესპუბლიკაში ტელევიზიით სარგებლობდა მოსახლეობის 55 პროცენტი. 1965 წლიდან საქართველოს მოსახლეობას საშუალება მიეცა ტელევიზიით ენახა და მოესმინა გადაცემები მოსკოვიდან და უცხოეთიდან. თბილისისა და სოხუმის ტელესადგურებთან შვიდწლედის ბოლოს დაიწყო მეორე სატელევიზიო პროგრამის გადაცემა.

გაფართოვდა მოსახლეობის საფოსტო მომსახურება, რომლის დიდი ნაწილი (67 პროცენტი) ავიაფოსტაზე მოდიოდა.

1958 – 1965 წლებში აიგო 19 ფოსტა-ტელეგრაფისა და 224 კიოსკის შენობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში კავშირგაბმულობის განვითარების ტემპი მაინც ჩამორჩებოდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

[1] “სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები”, თბ., 1959, გვ. 190.
[2] **ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. 27. გვ. 303.
[3] **ლ.ი. ბრეჟნევი,** ლენინური კურსით, ტ. I, თბ., 1971,გვ. 331, 332.
[4] «Научно-исследовательские работы и внедрение науки и техники в народное хозяйство Грузинской ССР в 1965 году», Стат. сб., Тб., 1966, стр. 17.
[5] **იქვე.**
[6] «Научно-исследовательские работы и внедрение науки и техники в народное хозяйство Грузинской ССР в 1965 году», Стат. сб., Тб., 1966, стр. 17.
[7] საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მიმდინარე არქივის მასალები.
[8] იქვე.
[9] ჟურნ. “ საქართველოს კომუნისტი”,1959წელი, № 10, გვ. 37.
[10] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 году», стат. ежегодник, Тб., 1965, стр. 23; «Промышленность Грузинской ССР», стат. сб., 1966, стр. 29.
[11] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 году», стат. ежегодник», Тб., 1965, стр. 281; საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მიმდინარე არქივი; Грузинская ССР в 1965 году, стат. сб., Тб., 1966, стр. 86.
[12] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году», статистический ежегодник, Тб., 1963, стр. 57; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1962 году», стат. ежегодник, Тб., 1963, стр. 57;
«Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 году», стат. ежегодник, Тб., 1966, стр. 44, 45; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стат. ежегодник, Тб., 1974, стр. 72; Текущий архив ЦСУ, отдел промышленности.
[14] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стат. ежегодник, Тб., 1974, стр. 72.
[15] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1974 году», стат. ежегодник, Тб., 1966, стр. 290, 291.
[16] იქვე; «Грузинская ССР в цифрах в 1972 году», крат. стат. сб. Тб., 1973, стр. 100 – 101.
[17] ჟურნ. “საქართველოს კომუნისტი”, 1966წ. № 3, გვ. 6
[18] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.
[19] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.
[20] **И. Микеладзе**. Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, М., 1964, стр. 127.
[21] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან
[22] იქვე.
[23] საქართველოს სსრ სახელმწიფო–საგეგმო კომიტეტის მიმდინარე არქივის მასალებიდან.
[24] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.
[25] საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან . «Грузинская ССР в 1965 году», стат. ежегодник, Тб., 1966, стр. 30.
[26] იქვე,
[27] **ვ. მელქაძე,** საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარება შვიდწლედში (1959 – 1965)
[28] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964г.», стат. ежегодник, Тб., 1966, стр. 55; Грузинская ССР в цифрах в 1972 году». Тб., 1973, стр. 33.
[29] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.
[30] **И. Микеладзе**. Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, М., стр. 154, 155.
[31] საქართველოს სსრ სახელმწიფო–საგეგმო კომიტეტის მასალებიდან.
[32] **იქვე.**
[33] “ საქართველოს სსრ, მოკლე ისტორიულ–ეკონომიური ნარკვევი”, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 90.
[34] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან
[35] იქვე.
[36] იქვე.
[37] «Грузинская ССР в 1965 г.», Тб., 1966, стр. 39.

[38] **И. Микеладзе**. Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, 1964, стр. 157.
[39] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.
[40] საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიმდინარე არქივის მასალები, შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების შესრულების შედეგები.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] «Правда», 27 декабря 1960 г.
[44] გაზ."კომუნისტი", 1972 წლის 4 ნოემბერი.
[45] სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1966, გვ. 47;
[46] **ა. ნ კოსიგინი,** მოხსენება სკკპ ცკ 1965 წელს სექტემბრის პლენუმზე "მრეწველობის მართვის გაუმჯობესება, დაგეგმვის სრულყოფა და სამრეწველო საწარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერება" გაზ. "კომუნისტი" 1965 წლის 28 სექტემბერი.
[47] **ვ.ი. ლენინი,** თხზ., ტ. 27, გვ. 369.
[48] "სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის რეზოლუციები", თბ., 1956, გვ. 18.
[49] "საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის რეზოლუცია", 1966, გვ. 15.
[50] **ალ. აბულაძე,** ელექტრული წევის განვითარება და ტექნიკური პროგრესის ზოგიერთი საკითხი რკინიგზის ტრანსპორტზე, თბ., 1963, გვ. 21.
[51] ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს არქივი.
[52] **ს. შანიძე, ა. კუჭუხიძე,** რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკის საკითხები, თბ., 1958, გვ.21.
[53] გაზ."კომუნისტი", 1958 წლის 30 ნოემბერი.
[54] გაზ."კომუნისტი" ,1959 წლის 17 ივნისი.
[55] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 г.», Тб., 1977, стр.118.

§ 2. სოფლის მეურნეობა

სსრ კავშირის მეურნეობის განვითარების 1959 – 1965 წლების საკონტროლო ციფრები ახალ ამოცანებს უსახავდა სოციალისტურ სოფლის მეურნეობას."მომავალ შვიდწლედში ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ სასოფლო–სამეურნეო წარმოების ისეთ ზრდას, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება კვების უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე, მკვეთრად გავადიდოთ სასოფლო–სამეურნეო ნედლეულის რესურსები, რათა უხვად უზრუნველყოთ მოსახლეობა ფართო ასორტიმენტის, მაღალი ხარისხის კვების პროდუქტებით და დავაკმაყოფილოთ სახელმწიფოს ყველა სხვა მოთხოვნილება პროდუქტებზე[1].

სოფლის მეურნეობის აღმავლობის მთავარი პირობაა მისი მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია. მანქანა–ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შედეგად შვიდწლედში საქართველოს კოლმეურნეობებმა მანქანა–ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის განხორციელების შედეგად შვიდწლედის პერიოდში, საქართველოს კოლმეურნეობებმა მანქანა–ტრაქტორთა სადგურებისაგან შეიძინეს ყველა ტრაქტორის 80 პროცენტი, კომბაინის – 80, ტრაქტორის გუთნის – 91 პროცენტი. ამის გარდა შეიძინეს 15 მილიონი მანეთის ახალი ტექნიკა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 მარტის დადგენილებით “ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ”, ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებს, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის დადგენილებით “კოლმეურნეობისადმი ფინანსური დახმარების აღმოჩენის შესახებ” ყველა კოლმეურნეობას ჩამოეწერა დავალიანება, რაც ჰქონდათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სარემონტო–ტექნიკური სადგურებისაგან შეძენილი ტექნიკის, შენობებისა და მოწყობილობების თანხების გადაუხდელობის გამო[2].

1965 წლის დამლევს საქართველოს სოფლის მეურნეობაში იყო 12,9 ათასი ტრაქტორი, ანუ 15–ცხენისძალიანზე გადაყვანით 22,3 ათასი ტრაქტორი, ნაცვლად 6,1 ათასისა და 10,1 ათასი ტრაქორისა 1958 წელს შესაბამისად[3]. ამის შედეგად ყოველ 1000 ჰექტარ სახნავზე 1958 წელს მოდიოდა 6,4 ტრაქტორი, 1965 წელს კი 15,6 ტრაქტორი.

გაიზარდა სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრეები და შეიცვალა მათი სტრუქტურა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრე 1958 წელს 1379 ათას ცხენის ძალას შეადგენდა, 1965 წელს კი – 2 095 ათას ცხენის ძალას, ე. ი. ზრდა შეადგენდა 52 პროცენტს. მნიშვნელოვნად გადიდდა მექანიკური სიმძლავრეები. მათი ხვედრითი წონა საერთო ენერგეტიკულ სიმძლავრეებში 1965 წელს შეადგენდა 96,8 პროცენტს ნაცვლად 93,1 პროცენტისა 1958 წელს, ხოლო მუშა პირუტყვის ხვედრითი წონა 6,9–დან 3,2 პროცენტამდე შემცირდა[4]. ეს უკვე მოასწავებდა თვისებრივ ცვლილებებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობას თავისი სტრუქტურით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში. აქ ძირითადია მრავალწლიანი ნარგავები – ჩაი, ვენახი, ხეხილი და ციტრუსები. ამ შრომატევადი კულტურების დამუშავების მექანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მექანიზაციის დონის მიხედვით ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შემდგომი განვითარების დაჩქარებას ისახავდა მიზნად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 ივნისის დადგენილება “საქართველოს მექანიზაციის მდგომარეობისა და მისი დონის ამაღლების ზომების შესახებ[5].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს 1962-1965 წლებისათვის ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დამუშავების მექანიზაციის დონის ამაღლების დავალებანი სამუშაოთა სახეობისა და რესპუბლიკის ცალკეული რაიონების მიხედვით. წინა პლანზე იქნა წამოწეული ჩაის პლანტაციების, ვენახების დამუშავების,

აგრეთვე სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო მანქანების შექმნის ამოცანა. ქართველმა მეცნიერებმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. შეიქმნა მსოფლიოში პირველი ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა "საქართველო". 1967 წელს ამ მანქანის ავტორებმა შ. კერესელიძემ, თ. ჭეიშვილმა. დ. ნასარიძემ, გ. ოგანეზოვმა, გ. ედიბერიძემ, ს. დარჯანიამ ლენინური პრემია დაიმსახურეს. სპეციალურმა სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა აგრეთვე მთელი რიგი მანქანები, რომლებიც გამოიყენება ჩაის პლანტაციების გასხვლის, სასუქების შეტანის, ფუმიგაციისა და სხვა სამუშაოებისათვის[6].

მევენახეებმა მიიღეს აგრეგატი, რომელიც ჭრის და ახარისხებს სამყნობ მასალას, ახვევს ნამყნობს. ასეთი აგრეგატი პირველად მსოფლიოში შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1961 წლის თებერვალში მოაწყო რესპუბლიკის მოწინავე მექანიზატორთა თათბირი მარცვლეულის, კერძოდ სიმინდის წარმოების გადიდებისა და კომპლექსური მექანიზაციის განვითარების საკითხებზე. თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა მექანიზატორისა და სპეციალისტებისადმი. საქართველოში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ვორონეჟელ მექანიზატორს ნიკოლოზ მანუკოვსკის, რომელმაც საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს მოუწოდა შრომატევად სამუშაოთა ცალკეული პროცესების მექანიზაციიდან გადასულიყვნენ კომპლექსურ მექანიზაციაზე.

1965 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონეს გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: სიმინდის რიგთაშორის დამუშავება მექანიზებული იყო 48 პროცენტით, შაქრის ჭარხლის – 27, ბოსტნეულის – 27, მარცვლეულის აღება – 82, მარცვლეულის გაწმენდა – 75, სასილოსე კულტურების აღება – 57 პროცენტით და ა.შ.[7]. მაგრამ მექანიზაციის დანერგვის მხრივ კვლავ განსაკუთრებით ჩამორჩებოდნენ მეცხოველეობა და საქართველოს მთიანი რაიონების კოლმეურნეობები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ყოველთვის პირველი რიგის ამოცანად იდგა სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრისა და 1961 წლის იანვრის პლენუმები მიეძღვნა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს. 1962 წლის მარტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეაჯამა 1953 წლის სექტემბრის შემდგომ გაწეული მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში და დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარების ღონისძიებები. ამ პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, სასოფლო–სამეურნეო წარმოების მართვის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები. ამასთან საჭირო გახდა პარტიული ორგანოების ორგანიზაციული გარდაქმნა, რაც განხორციელდა სკკპ

ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებით. ამ პლენუმის დადგენილების "სსრკ ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ" საფუძველზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურო, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან – საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტი.

ამ ღონისძიების შედეგად პარტიული ორგანოების აგების ტერიტორიული პრინციპი შეიცვალა საწარმოო პრინციპით. მაგრამ ეს ღონისძიებანი არ შეესაბამებოდა სოფლად საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დონეს, არ იძლეოდა შესაბამის ეფექტს, ამიტომაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა დაგმო ვოლუნტარიზმი და სუბიექტივიზმი, გააუქმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის საწარმოო პრინციპი და აღადგინა სასოფლო რაიონების პარტიული კომიტეტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა დადგენილებაში "სსრ კაშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" გაანალიზა სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა, გამოარკვია იმ უარყოფით მოვლენათა მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სასოფლო–სამეურნეო წარმოების განვითარებას და დასახა ქმედითი ღონისძიებანი სასოფლო–სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციას, კოლმეურნეობათა სარგებლობაში გადაცემული მიწების ინტენსიურ დამუშავებას, სასოფლო–სამეურნეო წარმოებაში სწორი სპეციალიზაციის გატარებასა და რენტაბელურად მუშაობას ხელს უშლიდა წვრილ კოლმეურნეობათა არსებობა, რაც აგრეთვე გავლენას ახდენდა კოლმეურნეთა მატერიალურ–კულტურულ მდგომარეობაზე. ამან დღის წესრიგში ხელახლა დააყენა კოლმეურნეობათა გამსხვილების საკითხი.

როგორც ცნობილია, კოლმეურნეობათა გამსხვილების პროცესი საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში 1959 წლიდან დაიწყო. ამის შედეგად კოლმეურნეობათა რაოდენობა სისტემატურად მცირდეობოდა მათი საწარმოო შესაძლებლობის ზრდასთან ერთად. ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა შვიდწლედში, როცა წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან ერთად მიმდინარეობდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ნაწილის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნა.

კოლმეურნეობათა რაოდენობის დინამიკა საქართველოში 1959 – 1965 წლებში შემდეგ სურათს იძლევა: 1959 წელს საქართველოში იყო 2 063 კოლმეურნეობა, 1960 წელს – 1 842, 1961 წელს – 1 628, 1962 წელს – 1 505, 1963 წელს – 1 412, 1964 წელს – 1404 და 1965 წელს –1 431, ე. ი. 1965 წელს კოლმნეურნეობათა რაოდენობა 1958 წელთან შედარებით 36,5 პროცენტით შემცირდა. ამასთან საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე კომლთა რაოდენობა

გაიზარდა 1958 წლის 217–დან 332–მდე, ანუ 53 პროცენტით, თუმცა ამ პერიოდში სხვადასხვა ობიექტური მიზეზით, ძირითადად ურბანიზაციის პროცესის გაღრმავების გამო, საკოლმეურნეო კომლთა აბსოლუტური რაოდენობა შემცირდა 489,2 ათასიდან 462,1 ათასამდე, ანუ 5,6 პროცენტით[8]. მართალია, კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე სავარგულის ფართობი 1 008 ჰექტარიდან 1 410 ჰექტარამდე, ანუ 39, 9 პროცენტით გადიდდა, მათ შორის სახნავისა 338 ჰექტარიდან 337 ჰექტარამდე, ანუ 11,5 პროცენტით, საზოგადოებრივი ნათესისა 313 ჰექტარიდან 356, ანუ 13,7 პროცენტით, მაგრამ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ნათესების საერთო ფართობი შემცირდა 28,1 პროცენტით, რაც ძირითადად მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის ფართობების ხარჯზე მოხდა.

თუ კოლმეურნეობათა ამ მაჩვენებლებს ერთ კომლზე გავიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ საზოგადოებრივი ნათესი ერთ კომლზე 1958 წელს საშუალოდ შეადგენდა 1,44 ჰექტარს, 1965 წელს – 1,1 ჰექტარს, ანუ შემცირდა 23,6 პროცენტით[9].

მნიშვნელოვნად იკლო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობამ, განსაკუთრებით 1961 წელს, როდესაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 71,4 ათასით შემცირდა. 1965 წლისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შეადგენდა 532,6 ათასს, ანუ 13,1 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე 1958 წელს[10].

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის მდგომარეობის ერთ–ერთი ძირითადი მაჩვენებელია მათი განუყოფელი ფონდები და მთლიანი შემოსავალი. საქართველოს კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ღირებულება 1958 წლის ბოლოს 449,7 მლნ მანეთს შეადგენდა, 1965 წლის ბოლოს კი 755 მლნ მანეთს, ე. ი. ზრდა უდრიდა 67,9 პროცენტს[11]. ხოლო კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი (შესაბამის ფასებში) 1958 წლის 301 მლნ მანეთიდან 1965 წელს შემცირდა 290 მლნ მანეთამდე, ანუ 3,7 პროცენტით[12].

ამრიგად, კოლმეურნეობათა მთელირიგი ეკონომიკური მაჩვენებლები გაუმჯობესდა, მთლიანი შემოსავალი კი შემცირდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ რესპუბლიკაში მოწინავე კოლმეურნეობებთან ერთად ჯერ კიდევ ბევრი იყო ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობა, რომლებიც ეფექტიანად ვერ იყენებდნენ მიწის ფართობს, წარმოების საშუალებებს (განსაკუთრებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან შეძენილ ტექნიკას) და ვერ უზრუნველყოფდნენ შრომის სწორ ორგანიზაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბევჯერ განიხილეს ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობათა საკითხი, დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები. ზოგან მოხდა წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილება, სუსტ კოლმეურნეობათა

ბაზაზე მოეწყო ახალი საბჭოთა მეურნეობები, ხოლო ზოგი საბჭოთა მეურნეობა გამსხვილდა ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების შეერთების შედეგად, მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის მასალებიდან ჩანს, ამ ღონისძიებებს კოლმეურნეობათა მუშაობის რადიკალური გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

ამრიგად, 1959 – 1965 წლებში საქართველოს, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, კოლმეურნეობათა განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინეს ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებმა, ხშირმა რეორგანიზაციამ, სოფლის მეურნეობისადმი პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობაში მანკიერი მეთოდების დანერგვამ.

შვიწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა. მარტო 1960 – 1961 წლებში საქართველოში შეიქმნა 28 ახალი და გამსხვილდა 48 საბჭოთა მეურნეობა[13]. 1958 წლის ბოლოს საქართველოში 117 საბჭოთა მეურნეობა იყო, 1965 წლისათვის კი 160, მათ შორის 30 მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, 22 ჩაის, 21 ციტრუსების, 42 მერძევეობისა და მეხორცეობა– მერძევეობის, 14 მებოსტნეობისა და მებოსტნეობა–მერძევეობის, 10 მეფრინველეობის, 8 მეხილეობის და მეხილეობა–მებოსტნეობისა და სხვ. საბჭოთა მეურნეობების სათესი ფართობი ამავე პეიოდში 39,1 ათასი ჰექტარიდან გადიდდა 150,5 ათას ჰექტარამდე, ანუ 3,8–ჯერ. 2,8–ჯერ გაიზარდა საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა რაოდენობა. განმტკიცდა საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. ტრაქტორების რიცხვი გადიდდა 5,1–ჯერ, მარცვლელულის კომბაინებისა – 3,6–ჯერ, სატვირთო ავტომობილებისა – 1,7-ჯერ[14], საბჭოთა მეურნეობებს შეექმნათ შრომითი და საწარმოო რესურსების სწორად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და საერთოდ რენტაბელური მუშაობის პირობები.

1959 – 1965 წლების მანძილზე საბჭოთა მეურნეობების მთლიანმა პროდუქციამ საქართველოში შეადგინა 138 მლნ მანეთი ნაცვლად 63 მლნ მანეთისა 1958 წელს, ანუ გაიზარდა 119 პროცენტით. ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1958 წლის 8,7–დან გაიზარდა 16,6 პროცენტამდე 1965 წელს[15]. გადიდდა საბჭოთა მეურნეობების მიერ რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. 1958 წელს საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 5036 ათასი მანეთი მოგება, ხოლო 1965 წელს 9 287 ათასი მანეთი, ე.ი. მოგების მოცულობა 84,4 პროცენტით გაიზარდა[16].

ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების გარდქმნამ საბჭოთა მეურნეობებად გამოიწვია 1960-1965 წლებში მარცვლეულზე და მეცხოველეობის პროდუქტებზე შრომითი დანახარჯების გადიდება, ანუ პრდუქციის თვითღირებულების ზრდა.

მიუხედავად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა, შვიდწლედის მანძილზე

განმტკიცდა საქართველოს სოფლის მეურნოების სოციალისტური სექტორი, გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, გაუმჯობესდა სასოფლო–სამეურნეო პროდუქციით ქალაქების მომარაგება, ამაღლდა ამ მეურნეობის რენტაბელობის დონე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ–სამეურნეო განვითარების საკითხებს. "პარტიული, საბჭოთა და სასოფლო–სამეურნეო ორგანოები, - აღნიშნულია პლენუმის დადგენილებაში, - მოწოდებულნი არიან "მიაღწიონ საკოლმეურნეო წყობილების დემოკრატიული საფუძვლების გადაჭრით განმტკიცებას, არტელის საქმეთა მართვის პრინციპების ზუსტად დაცვას, საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში კოლმეურნეთა ფართო მონაწილეობას, განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების შემდგომი განმტკიცებისა და დაცვისათვის, მიწათსარგებლობაში წესრიგის დამყარებისათვის, მიწის განიავების ფაქტების აღკვეთისათვის"[17]. პლენუმის მიერ აღებული პოლიტიკური და პრაქტიკული კურსი მობრუნების პუნქტი გახდა სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაში. ამ დადგენილების განხორციელებამ უზრუნველყო წარმატებანი, რაც მოიპოვა საქართველომ სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მისი მისყიდვის 1965 წლის გეგმების შესრულებაში. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა შესრულდა 102,7 პროცენტით, ხორცისა – 105,8, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა – 100,6, ყურძნისა – 106,4, კურკოვანი ხილისა – 110,3, თესლოვანი ხილისა – 128,2, დაფნის ფოთლისა – 128,5, ციტრუსებისა – 158,5 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე კვერცხის, მატყლის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები[18].

შვიდწლედის მანძილეზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა საქართველოში იზრდებოდა, თუმცა ცალკეულ წლებში ადგილი ჰქონდა მის შემცირებას, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1958 წელს 722 მლნ მანეთს შეადგენდა, შემდგომ 1959 – 1960 და 1963 წლებში, იგი არ აღემატებოდა 700 მლნ მანეთს (1958 წლის შესაბამის ფასებში), 1964 – 1965 წლებში კი გადიდდა. 1965 წელს მთლიანი პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 830 მლნ მანეთი, რაც 1958 წლის შესაბამის მაჩვენებელს 14,9 პროცენტით აღემატებოდა. პროდუქციის საშუალო წლიური მატება შვიდწლედში შეადგენდა 2,16 პროცენტს.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პრდუქციის სტრუქტურა მისი წარმოების სოციალური სექტორების მიხედვით 1956 წელს ასეთი იყო: საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებზე მოდიოდა მთლიანი პროდუქციის 8,7 პროცენტი, კოლმეურნეობებზე – 41,7, ხოლო კოლმეურნეების, მუშა–მოსამსახურეებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფებზე –

49,6 პროცენტი, ე. ი. 1958 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ნახევარს აწარმოებდა სოციალისტური სექტორი, ხოლო ნახევარს კოლმეურნე გლეხობის, მუშა–მოსამსახურეებისა და სხვა ჯგუფების პირადი მეურნეობები. ამრიგად, პირად მეურნეობათა ხვედრითი წონა მეტად მნიშვნელოვანი იყო.

როგორც ცნობილია, სკკპ ცეტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილება "სასოფლო–სამეურნეო არტელის წესდებისა და კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ საკოლმეურნეო წარმოების ორგნიზაციისა და არტელის საქმეთა მართვის საქმეში" დღის წესრიგში აყენებდა სასოფლო–სამეურნეო არტელის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების გამო კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში გადაცემული საკარმიდამო ნაკვეთებისა და მათ საკუთრებაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის შემცირებას. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სოფელში დაიწყო კოლმეურნეთა პიარადი საკარმიდამო ნაკვეთების ფართობისა და კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის რაოდენობის შემცირება. ამ ღონისძიებამ მეტად არასასურველი შედეგი გამოიღო, ვინაიდან საკოლმეურნეო კომლის პირადი მეურნეობიდან ჩამოჭრილ ნაკვეთზე ძირითადად მრავალწლიანი ნარგავები იყო გაშენებული, ხოლო კოლმეურნეობას არ ჰქონდა შესაძლებლობა სათანადოდ გაძღოლოდა მეურნეობას პირადი საკარმიდამო ნაკვეთებიდან ჩამოჭრილი მიწის ამ მცირე ნაკვეთებზე. პირუტყვის ძირითადი ნაწილი იკვლებოდა. ამით მცირდებოდა კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობა, რომელიც არა მარტო ქალაქების ხორცით მომარაგების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ბაზა იყო, არამედ ზოგ შემთხვევაში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის შენარჩუნების წყაროც. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ თუ 1958 წელს კოლმეურნეობათა, მუშა–მოსამსახურეთა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების მიერ წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულება 358 მლნ მანეთს უდრიდა, 1959 წელს იგი შემცირდა 316 მლნ მანეთამდე, 1960 წელს – 315 მლნ მანეთამდე, ხოლო 1963 წელს – 310 მლნ მანეთამდე[19]. ამის შედეგად მისი ხვედრითი წონა 1958 წლის 49,6 პროცენტიდან შემცირდა 1959 წელს 45,7 პროცენტამდე, 1960 წელს 45,9 ხოლო 1963 წელს – 45,8 პროცენტამდე[20]. პირად მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის შემცირებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებასა და საერთოდ საკოლმეურნეო წარმოებაზეც. შემცირდა კოლმეურნეობათა მიერ წარმოებული მთლიანი პროდუქცია 1963 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა აწარმოეს ყველაზე ნაკლები ოდენობის პროდუქცია შვიდწლედის მანძილზე – მისი ღირებულება შეადგენდა 256 მლნ მანეთს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებების განხორციელების შედეგად ეს მდგომარეობა გამოსწორდა, უარყოფილ იქნა საკარმიდამო ნაკვეთებისა და პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის შემცირების პრაქტიკა. ამის შედეგად კოლმეურნეთა, მუშა–მოსამსახურეთა და მოსახლეობის სხვა

ჯგუფების მიერ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული მთლიანი პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1965 წელს 402 მლნ მანეთი შეადგინა. ეს, 12,3 პროცენტით აღემატებოდა 1958 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო ყველაზე უფრო დაბალი დონის – 1963 წლის მაჩვენებელს – 29,7 პროცენტით[21].

შვიდწლედის დამამათავრებელ, 1965 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურამ სოციალური სექტორების მიხედვით ასეთი სახე მიიღო: საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებზე მოდიოდა მთლიანი პროდუქციის 16,6 პროცენტი, კოლმეურნეობებზე – 35,0, ხოლო კოლმეურნეების, მუშა–მოსამსახურეებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების პირად მეურნეობაზე – 48,4 პროცენტი.

შვიდწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა კოლმეურნეობების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში. სამაგიეროდ გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა, ისე რომ, სოციალისტური საწარმოების წილი მთლიან პროდუქციაში 1958 წლის 50,4–დან 1965 წელს 51,6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო კოლმეურნეთა, მუშა–მოსამსახურეთა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების პირად მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა 49,6–დან 48,4 პროცენტამდე შემცირდა[22]. ეს მაჩვენებლები ადასტურებენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და შემდგომმა პლენუმებმა დასახეს სოფლის მეურნეობის განვითარების სწორი გზა, დაძლიეს სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის მავნე გავლენა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაში მისი ძირითადი დარგების და ქვედარგების ხვედრითი წონა სხვადასხვაგვარი იყო. 1958 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურა სოფლის მეურნეობის ორი ძირითადი დარგის მიხედვით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა: მიწათმოქმედების პრდუქციაზე მოდიოდა მთლიანი პროდუქციის 69,6 პროცენტი, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციაზე – 30,4 პროცენტი, ე. ი. მიწათმოქმედების პროდუქცია 2,3-ჯერ სჭარბობდა მეცხოველეობის პროდუქციას. მიწათმოქმედების პროდუქციის ღირებულება 503 მლნ მანეთს შეადგენდა, მეცხოველეობისა კი 219 მლნ მანეთს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით უნდა მომხდარიყო სტრუქტურული ცვლილებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში მეცხოველეობის მიხედვით ხვედრითი წონა გადიდების მიმართულებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის ზრდა გათვალიწსინებული იყო 1,5–2-ჯერ, მოსავლისა – 1,4–ჯერ, ხოლო ხორცის წარმოების გადიდება – 1,8–ჯერ, რძისა – 2,3 ჯერ[23].

შვიდწლიანი გეგმის შესრულება მრეწველობის ხაზით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა, მაგრამ სოფლის მეურნეობა ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, როგორც საკავშირო მასშტაბით, ასევე საქართველოშიც. მართალია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე

სათანადო გავლენა მოახდინეს არახელსაყრელმა ბუნებრივ–კლიმატურმა პირობებმა, მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც სოფლის მეურნეობისადმი არასწორი ხელმძღვანელობა იყო. საქართველოში სავარგულების შედარებითი ნაკლებობის გამო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა, მთლიანი მოსავლის დასახულ ოდენობამდე აყვანა უნდა განხორციელებულიყო მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვის საფუძველზე, ეკონომიკური და ბუნებრივი ზონების გათვალისწინებით, სასოფლო–სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და განლაგების გაუმჯობესების, აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1965 წელს 1958 წელთან შედარებით მხოლოდ 15 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის მიწათმოქმედების პროდუქცია 17,1 პროცენტით, მეცხოველეობისა კი სულ 10 პროცენტით. ამის შედეგად მიწათმოქმედების პროდუქციის ხვედრითმა წონამ 71,0 პროცენტი შეადგინა, მეცხოველეობის პროდუქციის ხვედრითი წონა კი 29,0 პროცენტამდე შემცირდა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1958 წლის შესაბამის ფასებში 830 მლნ მანეთს შეადგენდა, აქედან მიწათმოქმედების პროდუქციის ღირებულება 589 მლნ მანეთს, მეცხოველეობისა კი 241 მლნ მანეთს უდრიდა[24].

ვერ შესრულდა შვიდწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და ქვედარგებში. 1965 წელს 1958 წელთან შედარებით ხილის მოსავალი 1,4–ჯერ უნდა გაზრდილიყო, ნაცვლად ამისა შემცირდა 38,8 პროცენტით[25], ამის შედეგად მისი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 13,1–დან 7,5 პროცენტამდე დაეცა; ყურძნის მთლიანი მოსავალი გაიზარდა 26,3 პროცენტით, რამაც მისი ხვედრითი წონა 16,3–დან 18,0 პროცენტამდე გაზარდა. ჩაის მწვანე ფოთლის ხვედრითმა წონამ 16,5–დან 20,0 პროცენტამდე იმატა. ასევე გაიზარდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ხვედრითი წონა 3,5 პროცენტიდან 4,5 პროცენტამდე. დანარჩენი კულტურების ხვედრითმა წონამ იკლო, სახელდობრ, მარცვლეულისამ – 6,1 პროცენტიდან 4,6–მდე, თამბაქოსამ – 2,8–დან 2,4–მდე, ციტრუსებისამ – 3,4–დან 2,9 პროცენტამდე[26].

შემცირდა მეცხოველეობის ცალკეული ქვედარგების ხვედრითი წონა, სახელდობრ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა – 12,3-დან 11,0 პროცენტამდე, მეცხვარეობისა – 4,4–დან 4,2 პროცენტამდე. გაიზარდა მხოლოდ მეღორეობის ხვედრითი წონა 5,1-დან 6,5–მდე და მეფრინველეობისა 5,1–დან 5,3 პროცენტამდე[27].

ამრიგად, შვიწლედის მანძილზე სტრუქტურული ცვლილებანი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში იმით გამოიხატა, რომ გაიზარდა მიწათმოქმედების პროდუქციის ხვედრითი წონა და შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის ხვედრითი წონა, რითაც მკვეთრად გამოიკვეთა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, როგორც ჩაის ძირითადი და ყურძნის ერთ–ერთი ძირითადი მწარმოებლისა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სასოფლო–სამეურნეო დარგებისა და კულტურების ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდებას, მათ რაციონალურ შეთანწყობას, მეურნეობის გაძღოლის ისეთი, მეცნიერულად დასაბუთებული, სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფდა მიწის ყველაზე ეფექტიან გამოყენებას და დარგების ეკონომიკურად ხელსაყრელ შეხამებას.

საბჭოთა კავშირის საშუალო მონაცემებთან და სხვა რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოსათვის დამახასიათებელია მცირემიწიანობა. აქ ერთ სულ მოსახლეზე 4–ჯერ ნაკლები სასაოფლო–სამეურნეო სავარგულები და დაახლოებით 6–ჯერ ნაკლები სახნავი მოდის, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში. დაბალია აგრეთვე რესპუბლიკის მთლიან მიწის ფონდში სასოფლო–სამეურნეო სავარგულებისა და სახნავის ხვედრითი წონა. ის შეადგენდა 41,4 და 11,4 პროცენტს, მაშინ როდესაც მიწით უზრუნველყოფილ რესპუბლიკაში – უკრაინაში ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდნენ 70,5 და 67 პროცენტს[28]. 1965 წელს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე 0,18 ჰა სახნავი მიწა მოდიოდა, სსრ კავშირში კი 0,92 ჰა[29].

საქართველოს მიწის ფონდების სტრუქტურა მეურნეობათა ცალკეული კატეგორიების მიხედვით მოტანილია ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს სავარგულ მიწებში დიდი იყო ნაკლებ ინტენსიური სავარგულების – სათიბ–საძოვრების ხვედრითი წონა. ყველა კატეგორიის მეურნეობებში სათიბები შეადგენდნენ 56,3 პროცენტს, კოლმეურნეობებში – 61,8 და სახელმწიფო მეურნეობებში – 53,9 პროცენტს.

სახნავსა და მრავალწლიან ნარგავებს ეკავა შესაბამისად – 40,4, 34,7 და 42,3 პროცენტი. საქათრველოს სავარგულებში მაღალი იყო მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა, მათზე მოდიოდა სავარგულების საერთო ფართობის 9,5 პროცენტი, კოლმეურნეობებში – 6,8 და სახელმწიფო მეურნეობებში – 11,2 პროცენტი, მაშინ როცა სსრ კავშირის სავარგულებში მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა 0,9 პროცენტს არ აღემატებოდა.

სასოფლო – სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების ასეთი ნაკლებობის მიუხედავად, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შვიდწლედის მანძილზე ადგილი ჰქონდა დამუშავებული მიწების ფართობის შემცირების ტედენციას[30].

მე–9 ცხრილის მონაცემები ასახავენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მაღალ ინტენსივობას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959–1965 წწ. საკონტროლო ციფრებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სავარგული მიწების გამოყენების გაუმჯობესების საკითხებს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობა იძლევა მიწის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას. სოციალისტური სოფლის მეურნეობის

სპეციალიზაციის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩაის, ციტრუსების, კეთილშობილი დაფნის, ბამბუკის, ტუნგის ნაყოფისა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებაში. ეს სასოფლო–სამეურნეო კულტურები განსაზღვრავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას. ამ პროდუქტების საერთო საკავშირო წარმოებაში საქართველოს ხვედრითი წონა მერყეობს – 80–100 პროცენტამდე. დასახელებულ კულტურათა გარდა, საქართველოში სამრეწველო მასშტაბით ვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, ეთერზეთოვანი კულტურები, მეთამბაქოეობა და სხვა ძვირფასი სასოფლო–სამეურნეო კულტურები, რომელთა წარმოებაში საქართველოს ხვედრითი წონა საკავშირო წარმოების საერთო მოცულობაში შეადგენდა 15–20 პროცენტს[31].

ცხრილი 9

საქართველოს სსრ სავარგულების მიწების სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით 1965 წლის 1 იანვრისათვის[32]

	ყველა კატეგორიის მეურნეობებში		მათ შორის			
			კოლმეურნეობებში		სახელმწიფო მეურნეობებში	
	ფართობი (ათას) ჰექტარობით	%-ობით	ფართობი (ათას) ჰექტარობით	%-ობით	ფართობი (ათას) ჰექტარობით	%-ობით
1	2	3	4	5	6	7
სახნავი.....	837,2	30,9	552,3	27,9	176,5	31,1
მრავალწლიანი ნარგავები	258,8	9,5	134,1	6,8	63,7	11,2
მათ შორის	61,1	2,2	42,6	2,2	16,9	3,0
ჩაი	7,7	0,4	4,4	0,2	3,1	0,5

.....	95,5	3,6	37,9	1,2	21,3	3,8
ციტრუსები	74,8	2,2	37,1	1,9	18,7	3,3
ვენახი	6,4	0,2	4,8	0,2	1,5	0,3
.....	4,8	0,2	2,1	0,1	1,2	0,2
ხეხილი	6,5	0,2	5,4	0,3	0,9	0,1
ტუნგი						
.....	1.096,0	40,4	686,4	34,7	240,2	42,3
დაფნა	90,3	3,3	69,8	3,5	21,2	3,8
.....	1.394,1	51,3	1.119,9	56,6	274,2	48,2
სხვა მრავალწლიანი	136,1	5,0	103,8	5,2	32,2	5,7
სულ დამუშავებული მიწები	2.716,5	100,0	1.979,0	100,0	567,9	100,0
ნასვენი						
საძოვარი						
სათიბი						
სულ სახმარი მიწები						

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია გულისხმობს სასოფლო–სამეურნეო წარმოების ისეთ მიმართულებას, რომელიც ამა თუ იმ რაიონის ბუნებრივ-კლიმატურ და ეკონომიკურ პირობებთან შეფარდებით ითვალისწინებს წამყვანი დარგის ან კულტურის უპირატეს განვითარებას. ეს არ მოასწავებს ამა თუ იმ რაიონის ან საწარმოს ცალმხრივ განვითარებას, პირიქით, სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია გულისხმობს ძირითადი, წამყვანი დარგებისა და კულტურების პარალელურად ამა თუ იმ რაიონის ბუნებრივ–ეკონომიკურ პირობებთან შეფარდებით, დამხმარე დარგებსა და კულტურების ყოველმხრივ დანერგვა–განვითარებას.

საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მელიორაციისა და ირიგაციის სამუშაოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სავარგული მიწების ფართობის ზრდას და მოსავლიანობის გადიდებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სარწყავი მიწათმოქმედების ყოველი ღონისძიებით განვითარებას, რაც სასოფლო–სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ–ერთი მთავარი პირობაა. შვიდწლედში ფართოდ გაიშალა ახალ სარწყავ სისტემათა მშენებლობა. 1959 წელს დამთავრდა ტაშისკარის სარწყავი ქსელის მშენებლობა, 1963 წელს ამუშავდა ზემოსამგორის სარწყავი სისტემა, რომელმაც უზრუნველყო 40 ათასი ჰექტარი ფართობის მორწყვა.

1961 წელს დაიწყო ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა[33], 1964 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა სიონის წყალსაცავი, მწყობრში ჩადგა თელეთის მექანიკური მორწყვის სისტემა. 1965 წლის ბოლოსათვის სარწყავქსელიანი მიწების ფართობი საქართველოში 355 ათას ჰექტარს შეადგენდა[34].

საირიგაციო სისტემის განვითარებამ გამოიწვია სარწყავ მიწებზე მოსავლიანობის გადიდება – სიმინდისა 60–100 ცენტნერამდე, ყურძნისა – 80–100 ცენტნერამდე. თუმცა საქართველოში მარცვლეულის კულტურას თითქმის არასდროს არ ეკავა წამყვანი ადგილი, მისი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო. მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი საქართველოში სავარგულების 60 პროცენტს აღემატებოდა და 750 ათასიდან 800 ათას ჰექტარამდე მერყეობდა.

50–იანი წლების პირველ ნახევარში შენელდა ყურადღება მარცვლეული კულტურების განვითარებისადმი, ხოლო მომდევნო წლებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების ძირითად საშუალებად მიჩნეულ იქნა სიმინდის კულტურა. ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს მოწინავე მესიმინდეთა თათბირი 1961 წლის თებერვალში, სოფლის მეურნეობის რაიონების ზონალური თათბირი 1963 წელს.

შვიწლდეში გაიზარდა მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა ნათესი ფართობი (იგი 1965 წელს 500,8 ათას ჰექტარს შეადგენდა), რის შედეგადაც იკლო მარცვლეულის, მათ შორის სიმინდის მოსავალმაც. 1965 წელს სიმინდის საერთო მოსავალი შეადგენდა 392,3 ათას ტონას, რაც 9,1 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 1958 წელს. საქართველოს მთელი რიგი რაიონების (ყვარლის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, აბაშის, ლანჩხუთის, ხობისა და სხვა) მოწინავე კოლმეურნეობები იღებდნენ სიმინდის მაღალ, სარეკორდო მოსავალს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი სიმინდის საერთო მოსავლიანობის გადიდებისათვის. საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მუშაობის ძირითადი "სიმძიმე" გადაჰქონდათ მოწინავე მესიმინდეების რეკორდების პროპაგანდაზე, მაგრამ საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებდნენ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, ამან გააუფასურა სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის მთელი სისტემა.

50–იანი წლების მეორე ნახევრიდან ყურადღება გაძლიერდა მრავალწლიანი კულტურებისადმი, მათ შორის საზოგადოებრივი მევენახეობისადმი. შვიდწლედის პერიოდში საქართველოში ვენახების საერთო ფართობი უნდა გაზრდილიყო 120 ათას ჰექტარამდე. მაგრამ ახალი ვენახების გაშენების გეგმა ვერ შესრულდა. 1965 წლის ბოლოს ვენახების საერთო ფართობმა შეადგინა 106,3 ათასი ჰექტარი[35], ახალი ვენახების ძირთადი ნაწილი გაშენდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რამაც საზოგადოებრივი მევენახეობის ხვედრითი წონა 60,2 პროცენტამდე გაზარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ვერ შეასრულა ყურძნის მოსავლისა და მოსავლიანობის გადიდების შვიდწლიანი გეგმა, რაც ჩანს ცხრილიდან (იხ. ცხრილი 10)[36].

ვენახებს საგრძნობლად აზიანებდა სეტყვა. ამიტომ შვიდწლედის პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტული დანადგარი "ალაზანი", რომელიც უზრუნველყოფდა რაკეტის

ჭურვებით სეტყვის ღრუბლების დაშლას და ამ სტიქიური მოვლენის თავიდან აცილებას. მაგრამ შვიდწლედის განმავლობაში ეს დანადგარები საკმაო რაოდენობით არ გამოუშვიათ[37].

ცხრილ
ი 10

	მოსავალი (ათ. ტონა)			მოსავლიანობა (ცენტ-ში)			ხვ. წონა მოსავლის მიხ. % %-ობით	
	1958	1965	% %-ობით	1958	1965	% %-ობით	1958	1965
კოლმეურნეობები	88	95	108,0	47,0	41,4	88,1	28,7	24,7
საბჭოთა მეურნეობები	14	52	371,4	46,1	46,7	101,3	4,6	13,5
ინდივიდუალური საკარმიდამო ნაკვეთები	204	238	116,7	68,3	59,2	86,7	66,7	61,0
სულ	306	385	125,8	59,3	52,0	87,7	100	100

ყურძნის მოსავლიანობის მიხედვით საქართველოს ამ პერიოდში სსრ კავშირში მეოთხე ადგილი ეკავა, ხოლო ხარისხოვანი სამარკო, სუფრისა და სადესერტო ღვინოების წარმოების მხრივ ბადალი არ ჰყავდა.

ვაზის ჯიშების სიმდიდრით ჩვენმა რესპუბლიკამ, ქართველმა მევენახეებმა და მეღვინეებმა შორს გაითქვეს სახელი, ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ 1962 წელს საქართველოში გაიმართა მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესი, ხოლო 1965 წლის სექტმებერში თბილისში მოეწყო ღვინოების, შამპანურისა და კონიაკის მსოფლიო დეგუსტაცია. ამ კონკურსზე ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა ერთ–ერთი საპატიო ადგილი დაიკავეს, ბევრი ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

შვიდწლიანი გეგმა ითვლისწინებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჩაის კულტურას, რომლის პრდუქციას უნდა დაეკმაყოფილებინა მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება.

ამ ამოცანის შესასრულებლად შვიწლედის მანძილზე დასახული იყო 18 ათას ჰექტარამდე ჩაის პლანტაციის გაშენება, ხოლო ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება 1965 წელს 170 ათას ტონამდე უნდა გაზრდილიყო.

მაგრამ 1959 – 1965 წლებში გაშენდა 12 743 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, რის შედეგად ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1965 წელს 62,6 ათას ჰექტარამდე გაიზარდა.

საქართველოს მეჩაიეებმა 1962 წელს მიაღწიეს შვიდწლიანი გეგმით გათვლიწინებულ დონეს – მოკრიფეს 170,3 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ძირითადად ჩაის მოსავლიანობის გადიდების ხარჯზე. საჰექტარო მოსავლიანობა 1958 წლის 29,3 ცენტნერიდან 1965 წელს 34,5 ცენტნერამდე გაიზარდა[38].

1965 წელს საქართველოში მოიკრიფა 186,1 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, მაგრამ ჩვენმა მეჩაიეებმა ვერ შეასრულეს აღებული ვალდებულება – შვიდწლედის ბოლოს სამშობლოსათვის მიეცათ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. სულ 1959 – 1965 წლების მანძილზე მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 1178, 3 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც საგეგმო დავალებაზე 131 ათასი ტონით მეტი იყო[39].

ცხრილი 11

ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი[40]

	მოსავალი (ათასი ტონობით)			ხვედრითი წონა % %-ობით	
	1958 წ.	1965 წ.	%	1958 წ.	1965 წ.
კოლმეურნეობები	98,2	132,0	134,4	73,9	70,9
საბჭოთა მეურნეობები	11,9	18,4	154,6	8,9	9,9
კოლმეურნეები	22,8	35,7	156,6	17,2	19,2
სულ	132,9	186,1	140,0	100	100

ჩაის მწვანე ფოთლის წარმოების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ტყიბულის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

ამ საქმის რეკორდსმენები არიან ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, სოციალისტური შრომის გმირები დარეჯან ტაკიძე, ტატიანა ჩხაიძე, ტატიანა ტყებუჩავა, ტატიანა ცინცაძე, მკრეფავები გული

ავიძბა, მართა სტოიაკინა და სხვები. საქართველოს მეჩაიეები იღებენ ჩაის მწვანე ფოთლის ყველაზე მაღალ მოსავალს მთელ მსოფლიოში.

შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკაში მოეწყო შვიდი სპეციალიზებული ჩაის საბჭოთა მეურნეობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა მეჩაიეობის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა.

რესპუბლიკის მეჩაიეები ოსტატურად ფლობდნენ ჩაის კულტურის აგროტექნიკას, რასაც ნათლად მოწმობს ჩაის მოსავლიანობის განუხრელი ზრდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება. საქართველოს სს რესპუბლიკა გახდა ნაყოფიერი მეცნიერული აზროვნების ცენტრი მეჩაიეობისა და სუბტროპიკული კულტურების სფეროში. მახარაძის რაიონში – ანასეულში დაარსებული ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო–სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი დარგობრივი პრობლემების გადაწყვეტისა და მათი წარმოებაში დანერგვის დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1959 –1965 წლების მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა 42 205 ჰექტარი ახალი ბაღები, ხილ- კენკროვანთა ბაღების საეთო ფართობმა 1965 წლის ბოლოს საქართველოში 129,5 ათსი ჰექტარი შეადგინა, მაშინ როდესაც შვიდწლიანი გეგმა ითვალიწინებდა ბაღების გადიდებას 140 ათას ჰექტარამდე[41]. შეიცვალა ბაღების კუთვნილების სტრუქტურა სოციალური ჯგუფების მიხედვით. 1965 წელს კოლმეურნეობებზე მოდიოდა ბაღების საეთო ფართობის 35,8 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობებზე – 16,3, ხოლო მოსახლეობის კუთვნილი ბაღების ხვედრითი წონა შემცირდა 47,9 პროცენტით, ნაცვლად 66,4 პროცენტისა 1958 წელს[42]. რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ხილის დამზადების შვიდწლიანი გეგმა. ძირითადად ამ მიზეზით მეხილეობის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1958 წლის 13,1–დან 1965 წელს 7,5 პროცენტამდე შემცირდა.

სოციალური ჯგუფების მიხედვით ციტრუსოვანთა ნარგავები ასე ნაწილდებოდა: კოლმეურნეობებში 4,6 ათასი ჰექტარი, ანუ 46,9 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობებში 3,0 ათასი ჰექტარი, ანუ 30,7 პროცენტი, მოსახლეობაში 2,2 ათასი ჰექტარი, ანუ 22,4 პროცენტი.

შვიდწლიანი გეგმით ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი 13 ათას ჰექტარამდე უნდა გაზრდილიყო. 1960 – 1965 წლის მანძილზე საქართველოში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ციტრუსების პლანტაციები 3 220 ჰექტარზე გააშენეს, მაგრამ ახალგაზრდა ნარგავების არასწორი მოვლის, აგრეთვე 1964 წლის ყინვების გამო მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. ამის შედეგად 1965 წლის ბოლოს ციტრუსოვანთა ნარგავების საერთო ფართობმა მხოლოდ 10,3 ათას ჰექტარს მიაღწია[43].

ციტრუსოვანთა ნარგავების მატება მხოლოდ 0,5 ათას ჰექტარს შეადგენდა და ისიც საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე. კოლმეურნეობებში

ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი 0,3 ათასი ჰექტარით შემცირდა, მოსახლეობაში კი 0,3 ათასი ჰექტარით გადიდდა.

მსხმოიარე ნარგავების ხვედრითი წონის გაზრდის მიუხედავად მოსავალმა და მოსავლიანობამ 1958 წელთან შედარებით იკლო. 1965 წელს ციტრუსების საერთო მოსავალი 33,8 ათას ტონას უდრიდა, მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე კი 53,8 ცენტნერს[44].

ციტრუსოვანთა მოსავლის შემცირების შედეგად 1958 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ციტრუსოვანთა მეურენობიდან მიღებული შემოსავლი 25 მლნ მანეთს, ანუ საერთო შემოსავლის 3,5 პროცენტს შეადგენდა, 1965 წელს კი 24 მლნ მანეთს. ანუ 2,9 პროცენტს[45].

შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შეუსრულებლობს მიუხედავად, გადიდდა საქართველოს ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში.

1965 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაამზადეს 17,7 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული, ნაცვლად 20 ათასი ტონისა შვიდწლიანი გეგმით. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მკვეთრად ამაღლდა (0,1–დან 23,2 პროცენტამდე) საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა მეთამბაქოეობაში[46].

საქართველოს სოფლის მეურნეობამ 1965 წელს მრეწველობას მიაწოდა 3 ათასი ტონა დაფნის ფოთოლი, 3,3 ათასი ტონა ტუნგის ნაყოფი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, ეთერზეთოვანი კულტურები - გერანი, ყაზანლიყის ვარდი და ბაზილიკი. ამ პერიოდში შეიქმნა მებოსტნეობის 14 საბჭოთა მეურნეობა, მათ შორის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები რესპუბლიკის ქალაქების საგარეუბნო ზონებში. ბოსტნეულის საერთო მოსავალი 1965 წელს შეადგენდა 261,3 ათას ტონას ნაცვლად 1958 წლის 179,6 ათასი ტონისა, ანუ გაიზარდა 53, 2 პროცენტით[47].

შვიდწლედის მანძილზე განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკამ ერთგვარი წარმატებანი მოიპოვა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში, კოლმეურნეობებში არსებული პირუტყვის სულადობისა და მისი ხვედრითი წონის შემცირების პირობებში, რაც გამოწვეული იყო კოლმეურნეობათა ნაწილის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნით.

შვიდწლედის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გადიდდა, თუმცა შვიდწლიანი გეგმის დავალება არ შესრულებულა.

ხორცის საერთო პროდუქციაში 50–52 პროცენტს შეადგენდა მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი, 22 – ღორის ხორცი,16–18 – ცხვრის ხორცი, ხოლო 2,4–3,5 პროცენტს ფრინველის ხორცი[48]. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქონლის ხორცის წარმოებას. ამ მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1962 წელს გარდაბნის რაიონში, სამგორის მეცხოველეობის

საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა 6 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვის სასუქი პუნქტი. შვიდწლედში დაბალი იყო წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე. ეს გამოიწვია ბერწიანობის მაღალმა პროცენტმა და მეცხოველეობის საკვები ბაზის სიმცირემ.

მიუხედავად შვიდწლედის პერიოდში განხორციელებული რეორგანიზაციებისა, რომლებიც მეტწილად სოფლის მეურნეობას შეეხო და მისი წინსვლა მნიშვნელოვნად შეაფერხა, საქართველოს სოფლის მშრომელებმა შეძლეს ნაწილობრივ მაინც შეესუსტებინათ სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გავლენა სოფლის მეურნეობის რიგი დარგების განვითარებაში და ერთგვარი წარმატებისათვის მიეღწიათ.

---

[1] "სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები", თბ., 1959, გვ. 250.
[2] Решения Партии и Правительства по хозяйственным вопросам (1917 – 1967), т. 5, М., 1968, стр. 456, 610.
[3] Народное хозяйство СССР в 1965 году, М., 1966, стр. 396 - 397.
[4] «Сельское хозяйство Грузинской ССР, стат. сборник, часть I, Тб., 1967, стр. 388 – 389.
[5] " საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული", 1962, № 1, გვ. 35.
[6] **გრ. ქარჩავა.** საქართველოს ჩაის მეურნეობის მეცნიერულ–ტექნიკური ბაზის განვითარება, თბ., 1967, გვ. 110 – 120.
[7] «Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции. Тб., 1967, стр. 131.
[8] «Сельское хозяйство Грузинской ССР, часть I, 1967, стр. 418 – 421.
[9] Сельское хозяйство Грузинской ССР, часть I, 1967, стр. 418 – 421.
[10] იქვე.
[11] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 году». Стат. ежегодник, Тб., 1965, стр. 207.
[12] "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას", თბ., 1966, გვ. 20.
[13] "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში XXI ყრილობას", გვ. 32.
[14] «Сельское хозяйство Грузинской ССР», стат. сборник, 1967 часть I, стр. 437.
[15] იქვე, გვ.21.
[16] იქვე, გვ. 440.
[17] "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 1965 წლის 24 – 26 მარტი", სტენოგრაფიული ანგარიში. თბ.,1966, გვ. 299 – 300.
[18] გაზ. "კომუნისტი", 1966 წლის 30 ივლისი.
[19] «Сельское хозяйство Грузинской ССР», стат. сборник, часть I, стр. 21.
[20] იქვე.
[21] იქვე.
[22] იქვე.
[23] «Сельское хозяйство Грузинской ССР», стат. сборник, часть I, стр. 18 - 19.
[24] «Сельское хозяйство Грузинской ССР», стат. сборник, часть I, стр. 18 - 19.
[25] იქვე, გვ. 24 – 25.
[26] იქვე, გვ. 16 – 19.
[27] იქვე.
[28] «Народное хозяйство СССР в 1967 г», стат. ежегодник, М., 1968, стр. 343.
[29] Газ. «Заря Востока» от 4 июля 1975 г.

[30] **ნ. იაშვილი.** "საქართველოს სსრ მიწის ფონდები", თბ., 1961, გვ. 273.
[31] **ი. მიქელაძე,** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექური განვითარება მიმდინარე შვიდწლედში, თბ., 1959, გვ. 48.
[32] მონაცემე ბი მიწის ფონდის შესახებ აღებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. მრავალწლიან ნარგავებში არ შედის გაფანტულად გაშენებული ნარგავები.
[33] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი" 1964 წლის №3, გვ. 6.
[34] "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას" თბ., 1964, გვ. 37. «Советская Грузия к-50-летию Великой Октябрьской социалистической революции», ТБ., 1967, ст. 120.
[35] «Сельское хозяйство Грузинской ССР», стат. сб., часть I, стр. 225, 242.
[36] **იქვე, გვ. 277.**
[37] ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა სეტყვის საწინააღმდეგო მუდმივმოქმედი რაკეტული დანადგარების შექმნისა და ეფექტური გამოყენებისათვის 1969 წელს დაიმსახურა სახელმწიფო პრემია.
[38] Народное хозяйство СССР в 1965 г., стр. 350, 352. Сельское хозяйство Грузинской ССР, стр. 233 – 237, 242, 360.
[39] Народное хозяйство СССР в 1965 г., стр. 350, 352.
[40] «Сельское хозяйство Грузинской ССР», часть I, стр. 233 – 237. 242, 360.
[41] «Сельское хозяйство Грузинской ССР», часть I, стр. 217 – 219.
[42] იქვე.
[43] იქვე, გვ. 228 –231, 243, 354, 359.
[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] «Сельское хозяйство Грузинской ССР», стат. сборник, стр. 228 –231, 243, 354 – 359.
[47] იქვე.
[48] ჟურნ. "საქართველოს კოლმეურნე", № 4, 1959, გვ. 18.

§ 3. მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა შვიდწლედში

სოციალისტური მშენებლობის ყოველ ახალ ეტაპზე სულ უფრო ფართოვდებოდა მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. "საბოლოო ანგარიშით ჩვენმა რევოლუციამ, - წერდა ვ. ი. ლენინი, - იმიტომ მოიტოვა შორს ყველა დანარჩენი რევოლუცია, რომ მან საბჭოთა ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის აამოძრავა იმ ადამიანთა ათეული მილიონები, რომლებიც წინათ დაინტერესებული არ იყვნენ ამ მშენებლობით"[1]. მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა კიდევ უფრო ამაღლდა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, რომლის დაწყებითი ეტაპი შვიდწლედზე მოდის.

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა სოციალისტური მშენებლობის ყოველ ეტაპზე განუყოფელი იყო მათი შრომითი აქტივობისაგან. პოლიტიკური აქტივობა გამოიხატება მუშათა კლასის პრაქტიკული საქმიანობით, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებით.

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება. მისი ისტორიული შემოქმედება ხორციელდება პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და მასობრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

შვიდწლედის პერიოდში მშრომელთა ზოგიერთი საზხოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაცია ექსპერიმენტების ობიექტი გახდა, რამაც, რასაკვირველია, უარყოფითი გავლენა მოახდინა მშრომელთა პოლიტიკურ აქტივობაზე, თუმცა ვერ შეაჩერა მასების საერთო პოლიტიკური აქტივობის კანონზომიერი ზრდა.

შვიდწლედში მშრომელთა პოლიტიკურმა აქტივობამ წარმოშვა სოციალისტური შრომის ახალი ფორმები, კერძოდ, მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

1958 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 – 1965 წლების საკონტროლო ციფრები და პარტიის XXI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენების თეზისები. ამ დოკუმენტების განხილვის გამო საქართველოში გაიმართა 10 ათასზე მეტი ღია პარტიული კრება, 7 ათასამდე მიტინგი, რომელთა მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მილიონ ორასი ათასზე მეტმა კაცმა[2]. რესპუბლიკის მშრომელებმა შეიტანეს 7 ათასზე მეტი დასაბუთებული წინადადება.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობამ 1959 წლის იანვარში დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ყრილობის გადაწყვეტილებები მშრომელთა ახალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის საფუძველი გახდა.

საქართველოს მშრომელებისა და პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი. იგი მთელმა ხალხმა აღნიშნა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. რესპუბლიკაში მოეწყო ხალხმრავალი კრებები, მიტინგები, სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მშრომელთა ფართო მასებს აცნობდნენ საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის გმირულ ფურცლებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის იუბილე გადაიქცა არა მარტო რესპუბლიკის მშრომელთა, არამედ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების დღესასწაულად. საქართველოში ამ თარიღთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ მოძმე ხალხების წარმომადგენლები. ეს იყო ძმობისა და მეგობრობის ნათელი დემონსტრაცია.

ხალხის მასების პოლიტიკური აქტივობა ნათლად გამოვლინდა აგრეთვე პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების პერიოდში 1961 წლის

ზაფხულსა და შემოდგომაზე, როდესაც გამოქვეყნდა პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტები საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარტიამ თავისი პროგრამა მთელი ხალხის სამსჯავროზე გამოიტანა. პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 9 მილიონზე მეტმა კომუნისტმა, ე. ი. ფაქტიურად მთელმა პარტიამ. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, დაწესებულებებში მოეწყო 500 ათასზე მეტი კრება, რომლებსაც დაესწრო 82 მილიონამდე კაცი. პროგრამისა და წესდების პროექტების გარშემო განხილვაში მონაწილეობა მიიღო 4,6 მლნ კაცმა, ასეული ათასობით წერილი, წინადადება და შენიშვნა მიიღეს გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებმა[3].

ამ საერთო სახალხო განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მშრომელებიც. მათ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გულდასმით განიხილეს პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები. ამ მიზნით საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო ხალხმრავალი კრებები, თეორიული კონფერენციები. კითხვა-პასუხის საღამოები. პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვა ჩატარდა რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში. მათში მონაწილეობდა 200 ათასზე მეტი კომუნისტი. საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების კოლექტივებისა და პარტიული კრებების მონაწილეთა საერთო რაოდენობამ ერთ მილიონ კაცს გადააჭარბა[4]. განხილვის პერიოდში პროგრამისა და წესდების პროექტების გარშემო წინადადებები, შენიშვნები და დამატებები შეიტანა 80 ათასმა კომუნისტმა და უპარტიომ[5].

რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკურ და შრომით აქტივობას, ისე როგორც წინათ, შვიდწლედის პერიოდშიც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტური პარტია.

1962 – 1963 წლებში პარტიული ორგანოების აგების ლენინური პრინციპების დარღვევამ, მათი საწარმოო პრინციპის საფუძველზე გარდაქმნამ უარყოფითი გავლენა მოახდინა პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე, პარტიისა და ხალხის მასების კავშირზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა (1964 წ.) ბოლო მოუღო ამ დარღვევებს და აღადგინა პარტიული ორგანიზაციების აგების ლენინური პრინციპები.

მასების პოლიტიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს პარტიული ყრილობები და მათი გადაწყვეტილებების პროპაგანდა. 1959 – 1965 წლებში საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მოიწვია ოთხი ყრილობა: 1959 წლის 12 – 13 იანვარს შედგა რიგგარეშე XIX ყრილობა, 1960 წლის 25 – 26 იანვარს - XX ყრილობა, 1961 წლის 27 – 29 სექტემბერს – რიგგარეშე XXI ყრილობა და 1964 წლის 29 – 30 იანვარს - XXII ყრილობა.

ყრილობების დღის წესრიგში იდგა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, მშრომელთა მასების შრომითი აქტივობის და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, პარტიულ-ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები. პარტიული ყრილობების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში.

მშრომელ მასებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია მისი რიგების ზრდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მოწინავე ინტელიგენციის ხარჯზე. 1958 წელს საქართველოს კომპარტიის რიგებში ითვლებოდა 196 ათასი პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი, 1965 წლისათვის 248,3 ათასი[6]. შვიდწლედის პერიოდში პარტიაში ახლადმიღებულთა 70 პროცენტზე მეტს მუშები და კოლმეურნეები შეადგენდნენ[7].

საქართველოს კომპარტიის მიერ მასების პოლიტიკური აქტივობის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის (1964 წ.) მიერ პარტიული ორგანიზაციების საწარმოო-ტერიტორიულ პრინციპებზე აგების აღდგენის შემდეგ. ამასთან ერთად გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა სამეურნეო მშენებლობისადმი.

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდაში დიდ როლს ასრულებდნენ პროფესიული კავშირები – მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები. პროფკავშირების როგორც კომუნიზმის სკოლის, მართვის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პერიოდში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება პროფკავშირების როლის ამაღლებისადმი სამეურნეო მშენებლობასა და წარმოების მართვაში, მშრომელთა უფლებების დაცვის საქმეში.

შვიდწლედის პერიოდში მოწვეულ იქნა საქართველოს პროფესიული კავშირების ოთხი ყრილობა. 1960 წლის მარტში შედგა საქართველოს პროფკავშირების X ყრილობა, 1962 წლის თებერვალში - XI ყრილობა, 1963 წლის ოქტომბერში - XII ყრილობა, ხოლო 1965 წლის ოქტომბერში - XIII ყრილობა[8].

შვიდწლედის პერიოდში გაიზარდა პროფკავშირთა რიგები. 1965 წელს საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებული იყო 1 165,5 ათასი მუშა და მოსამსახურე, ანუ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 97,3 პროცენტი[9].

შვიდწლედში საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო კომკავშირი. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია 1966 წლის დამდეგისათვის თავის რიგებში ითვლიდა 408 ათას წევრს. 1959 – 1965 წლებში ჩატარდა საქართველოს კომკავშირის სამი ყრილობა. 1960 წლის იანვარში შედგა საქართველოს კომკავშირის XXIII, 1962 წლის იანვარში XXIV ყრილობა და 1964 წლის იანვარში – XXV ყრილობა. ამ ყრილობებმა ცხადყვეს საქართველოს ახალგაზრდობის დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისა და ხელმძღვანელობის საქმეში ხელს უწყობდა მათ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების ფართოდ დანერგვა. პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისები მრავალგვარი ფორმით გამოვლინდა. პარტიულ ორგანოებში (საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში) შეიქმნა შტატგარეშე განყოფილებები, ხოლო პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან – სხვადასხვა კომისია და საბჭო. მაგალითად, ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შემოწმების, საწარმოთა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ხელისშემწყობი, შრომის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის, წარმოების კულტურის ამაღლების, რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობის განვითარების, სოციალისტური შეჯიბრებისა და, კერძოდ, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარების ხელშემწყობი პარტიული კომისიები და საბჭოები. აგრეთვე კომისიები ახალგაზრდობასა და ქალთა შორის სამუშაოდ. ეს განყოფილებები, კომიტეტები და საბჭოები ეყრდნობოდნენ ფართო პარტიულ აქტივს.

ასევე ფართოდ ინერგებოდა საზოგადოებრივი საწყისები პროფკავშირულ მუშაობაშიც. 1965 წლის ბოლოსათვის საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების წევრთა 98 პროცენტი[10]. პროფკავშირის ყოველი მეოთხე წევრი პროფკავშირული აქტივისტი იყო. საქართველოს სსრ პროფსაბჭოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი იყო ერთი განყოფილება, 4 საბჭო, 100 კომისია, რომლებშიც 3 ათასზე მეტი აქტივისტი მონაწილეობდა. დარგობრივ პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი იყო 63 განყოფილება, 7 საბჭო, 40 კომისია, მუშაობდა ათასამდე შტატგარეშე ინსტრუქტორი, ინსპექტორი და კონტროლიორი[11].

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფორმას სახალხო დეპუტატების საბჭოები წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, საბჭოების თავისებურება ის არის, რომ მათში შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციები. მაგრამ თანდათანობით ისინი იღებენ საზოგადოებრივ

ორგანიზაციების ფორმას. სახალხო დეპუტატების საბჭოები საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოს საფუძველია, მართვის ყოვლისმომცველი სკოლაა, რომელიც უნდა გახდეს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ თვითმმართველობად გადაზრდის საფუძველი.

1963 – 1964 წლებში სახალხო დეპუტატების საბჭოებიც გახდნენ უსაფუძვლო ექსპერიმენტების ობიექტი. დაირღვა საბჭოების ტერიტორიული ნიშნით აგების ძირითადი პრინციპი, რითაც საბჭოებს შეექმნათ რეალური საფრთხე–ჩამოშორებოდნენ თავიანთ მთავარ საქმიანობას – სახელმწიფოებრივი მართვის განხორციელებას და მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას დასჯერებოდნენ. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელების შედეგად დაძლეულ იქნა ეს დამახინჯებანი და საბჭოებმა კვლავ დაიკავეს შესაფერი ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში, დარჩნენ მშრომელი მასების სახელმწიფოებრივ და სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში ჩაბმის ძირითად ფორმად.

საბჭოების საქმიანობაში მშრომელთა აქტიურობა ყველაზე ნათლად ვლინდება საარჩევნო კამპანიებში. შვიდწლედის პერიოდში მრავალჯერ მოეწყო როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, ასევე საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. 1962 წლის მარტში ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 1959 წლის მარტში და 1963 წლის მარტში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო 1959 წლის მარტში, 1961 წლის მარტში, 1963 წლის მარტში და 1965 წლის მარტში რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების არჩევნები.

ყველა არჩევნები ჩატარდა მშრომელთა უაღრესად ფართო და მასობრივ-პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. მშრომელთა დიდ პოლიტკურ აქტივობას მოწმობს ის გარემოება, რომ როგორც სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში, ისე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში საშუალოდ მონაწილეობდა ყველა ამომრჩევლის 99,5 - 99,9 პროცენტი. მაგალითად, 1962 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 2 643 ათასზე მეტი ამომრჩეველი, ე. ი. ყველა ამომრჩევლის 99,99 პროცენტი, 1963 წელს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,95 პროცენტმა – 2 644 ათასზე მეტმა კაცმა[12].

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში არჩეულ დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ წარმოების სფეროში იყო დასაქმებული. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საქართველოდან 1962 წელს აირჩიეს 66 დეპუტატი, მათ შორის მუშები და კოლმეურნეები შეადგენდნენ 29 კაცს[13]. 1959 წელს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა 44,2 პროცენტი უშუალოდ წარმოების სფეროში იყო დასაქმებული, 1963 წელს კი – 47 პროცენტი[14]. 1959 წელს რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში სულ არჩეულ იქნა 40 427 დეპუტატი, მათგან მუშები და კოლმეურნეები

შეადგენდნენ 63,2 პროცენტს[15]. 1963 წლის მარტში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად არჩეულ იქნა 45 012 კაცი, მათ შორის 26 955 მუშა და კოლმეურნე, ანუ 59,9 პროცენტი[16]. 1965 წელს არჩეული ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების 60,8 პროცენტი მუშები და გლეხები იყვნენ[17].

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების შემადგენლობის დაახლოებით 45 პროცენტს შეადგენდნენ პარტიის წევრები და კანდიდატები[18].

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში ბევრი ქალი იყო.

გარდა დეპუტატებისა, საბჭოების მუშაობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მონაწილეობდა ასეულათასობით მშრომელი-აქტივისტი, პირველ რიგში საბჭოებთან არსებული მუდმივი კომისიების საშუალებით. მუდმივი კომისიების საქმიანობაში ყველაზე ნათლად ვლინდებოდა საბჭოების ორმაგი ბუნება: სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხასიათი. მუდმივ კომისიებს აქვთ როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე საზოგადოებრივი ორგანოების ნიშნები. საქართველოს ადგილობრივ საბჭოებში 1965 წლის ბოლოსათვის არსებობდა 6 126 დარგობრივი კომისია, რომლებშიც გაერთიანებული იყო 41 935 დეპუტატი და მრავალათასიანი აქტივი[19].

მუდმივ კომისიებში მშრომელთა ფართო მონაწილეობით იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის. მუდმივი კომისიები წყვეტდნენ სახელმწიფოებრივი მმართველობისა და კულტურული მშენებლობის საკითხებს, მშრომელებში ეწეოდნენ მასობრივ-ორგანიზატორულ მუშაობას, განამტკიცებდნენ კავშირს მშრომელთა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა ქუჩის, სახლის, უბნის კომიტეტები, პენსიონერთა და ქალთა საბჭოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საბჭოები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას. 1965 წლის ბოლოს რესპუბლიკაში მოქმედებდა 2 414 ამხანაგური სასამართლო, რომელშიც ჩაბმული იყო 13 ათასზე მეტი კაცი[20].

საბჭოებში, მათ კომისიებში, მშრომელთა თვითმოქმედ ორგანიზაციებში მუშაობით მშრომელთა ფართო აქტივი იძენდა სახელმწიფოებრივი მართვისა და საზოგადოებრივი მუშაობის ჩვევებს, მონაწილეობდა საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მასების პოლიტიკური აქტივობა მჭიდრო კავშირშია მათ შრომითს აქტივობასთან. ყოველ პოლიტიკურ მოვლენას ჩვენს ქვეყანაში თან ახლავს შრომითი აქტივობის ამაღლება. პარტიული ყრილობების, საბჭოებში არჩევნების შესახვედრად გაჩაღებული მუშაობა, რევოლუციური დღესასწაულების ჩატარება, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებია, მიმდინარეობდა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის პირობებში.

ჩვენს ქვეყანაში 50-იანი წლების ბოლოსათვის სოციალიზმმა გაიმარჯვა არა მარტო მთლიანად, არამედ საბოლოოდაც. დაიწყო სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა. ეს პროცესი დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. კომუნიზმის მშენებლობა მოიცავს მატერიალური წარმოების სფეროს, სოციალურ ურთიერთობებს და საზოგადოებრივ შეგნებას. ამიტომ შეუძლებელია მისი ხელოვნურად დაჩქარება. განვითარებული სოციალიზმის პირობებშიც რჩება სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებანი შრომის ხასიათში. ყოველი მშრომელის მატერიალური კეთილდღეობა დამოკიდებულია მის მიერ საზოგადოების სასარგებლოდ გაწეული შრომის რაოდენობასა და ხარისხზე.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა (1959 – 1965 წწ.) კომუნიზმის მშენებლობის პირველი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური პროგრამა იყო.

შვიდწლიან გეგმაში ნათელი გამოხატულება პოვა პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1,7 მილიარდი მანეთის დაბანდება, სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა 75 პროცენტით.

შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის პროცესში წარმოიშვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის. იგი არსებითად გახდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი, უმაღლესი და ძირითადი ფორმა. მაგრამ თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისი წარმოშობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც შრომისადმი დამოკიდებულებაში მომხდარი ძირეული გარდატეხის შედეგი. იგი მხოლოდ მიზნად ისახავს მიაღწიოს მომავალში სწორედ ასეთ შედეგს.

ეს მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება შეჯიბრების ადრინდელი ფორმებისაგან. მას აქვს ისეთი ნიშნები, რაც, მაგლაითად, სტახანოვურ მოძრაობას არ გააჩნდა. მისი წარმოშობა მომზადებული იყო სოციალისტური შეჯიბრების ადრინდელი ფორმების განვითარებით, სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებით.

კომუნისტური მშენებლობის პროცესში წყდება სამი ძირითადი ამოცანა: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტურ წარმოებით ურთიერთობათა ჩამოყალიბება და ახალი ადამიანის აღზრდა. ბუნებრივია, რომ ამ ამოცანებს გამოხატულება უნდა ეპოვათ სოციალისტურ შეჯიბრებაშიც. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა ერთმანეთთან აკავშირებს შრომას, სწავლასა და ყოფა-ცხოვრებას. ამით აქტიურ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე, აჩქარებს ძირეულ განსხვავებათა ლიკვიდაციას ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. სოციალისტური შეჯიბრების ამ უმაღლესი ფორმის მონაწილეთა დევიზია: ”**ვისწავლოთ კომუნისტურად შრომა და ცხოვრება!**”.

პირველი კომუნისტური შრომის კოლექტივები, კომუნისტური შრომის ბრიგადების ფორმით, გაჩნდა 1958 წლის ნოემბერში სკკპ XXI რიგგარეშე

ყრილობის შესახვედრად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პროცესში. კომუნისტური შრომის პირველი ბრიგადა შეიქმნა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მოსკოვის დამხარისხებელ სადგურში, იქ, სადაც საფუძველი ჩაეყარა პირველ კომუნისტურ შაბათობებს.

მოსკოველთა ამ ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის, რუსთავის, ჭიათურისა და ტყიბულის საწარმოების შრომითმა კოლექტივებმა, ამ საწარმოებში შეიქმნა პირველად საქართველოში კომუნისტური შრომის ბრიგადები. პირველ ხანებში ასეთი კოლექტივები თვითონ აცხადებდნენ თავიანთ თავს კომუნისტური შრომის კოლექტივებად. ეს წესი, როგორც არასწორი, უმალვე იქნა უარყოფილი. საპატიო წოდებების მინიჭება საზოგადოებრიობისა და სათანადო ორგანოების მსჯელობის საგნად იქცა. პირველად ასეთი წოდებების მინიჭება კომკავშირულმა ორგანოებმა დაიწყეს.

1958 წლის 27 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოწინავე სამრეწველო კოლექტივების ინიციატივა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის შესახებ და დასახა ამ მოძრაობის გაშლისა და მისდამი პარტიული ხელმძღვანელობის ამოცანები.

სამრეწველო საწარმოებიდან პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადები შეიქმნა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროში, თბილისის ქარხანა "ელექტროავტომატში", რუსთავის ცემენტის ქარხნის საფქვავ საამქროში, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მეორე საექსპლოატაციო უბანში, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ამ საწარმოთა გამოჩენილი ნოვატორები[21]: ა. ძამაშვილი, გ. ჩადუნელი, ზ. რუსია, რ. ჭიჭინაძე, შ. კუბლაშვილი. მათ საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 28 ნოემბერს მიანიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდებები[22]. 8 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სოფლად შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარების შესახებ[23]. მოწინავეებს შორის, რომელთაც მიენიჭათ კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება, იყვნენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ა. მიმინოშვილის, თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა "მოწინავეს" გ. მჭედლიშვილის, გურჯაანის რაიონის სოფ. შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გ. მარჩელაშვილის, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ა. გედენიძის ბრიგადები.

1959 წლის პირველ ნახევარში კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებები მიენიჭათ ასობით ბრიგადას, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ გამოჩენლი ნოვატორები. მათ შორის იყვნენ ვ. პაპინაშვილი და შ. დევსურაშვილი (თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა), მემანქანე გ. ბოგვერაძე (თბილისის საელმავლო დეპო), ა. მარგველაშვილი, პ. ფლოროვი, ვ. ევდოკიმოვი, შ. ზაალიშვილი (თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი

ქანხანა), ვ. სვიატეცი. ი. აბუაშვილი, ვ. გუჯაბიძე (კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა), ვ. გეგეშიძე, დ. ალიბეგაშვილი, გ. ქურციკიძე (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა), ა. კაპანაძე (ქუთაისის საავტომობილო ქარხანა), რუსთაველი მეტალურგები: ა. ფანცულაია, მ. სპანდერაშვილი, გ. ბერეკაშვილი, მეშახტეები: ა. ბაკურაძე, გ. ჭიქაბერიძე, ი. ორჯონიკიძე, თ. ნესტერენკო (ტყიბული), გ. გერგაია, კ. ლეიბა, ზ. ზუხბა (ტყვარჩელი), ჭიათურელი მაღაროელები რ. ცუხიშვილი, შ. ასანიძე და მრავალი სხვა.

1959 წლის დამდეგიდან თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდა ხარატის რ. სიხარულიძის ინიციატივით დაიწყო შეჯიბრება კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებისათვის. 1959 წლის დამდეგს 4 500 მუშა იბრძოდა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებისათვის, ხოლო შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში მონაწილეობდა 1 500-ზე მეტი კოლექტივი, რომლებშიც 17 ათასზე მეტი კაცი იყო დასაქმებული.

1959 წლის გაზაფხულზე ახალი შეჯიბრების შემადგენელი ნაწილი გახდა აგრეთვე გაგანოვური მოძრაობა. მან სახელწოდება მიიღო კალინინის ოლქის ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის მრთველთა ბრიგადის ხელმძღვანელის ვ. გაგანოვასაგან. ვ. გაგანოვა მოწინავე ბრიგადიდან ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა, რომ იგი დაეწინაურებინა, მიუხედავად იმისა, რომ გაუარესდა მისი პირადი მატერიალური მდგომარეობა. ეს იყო შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამოვლინება.

ვ. გაგანოვას მიმდევრები საქართველოშიც გამოუჩნდნენ. პირველი გაგანოველები იყვნენ გორელი ფეიქრები მ. გეგელაშვილი და დ. ხაჩიძე, ცნობილი მეშახტე შ. კუბლაშვილი, რუსთაველი მეფოლადეები შ. შუბითიძე (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), შ. კუხალეიშვილი, დ. ძაგანია[24], საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. რაჭველიშვილი (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა), გ. მარდალეიშვილი (ქუთაისის საავტომობილო ქარხანა) და სხვები.

გაგანოვური მოძრაობა სოფლადაც გავრცელდა. ურთიერთდახმარება და ამ გზით საერთო წარმატების მოპოვება ყოველთვის იყო სოციალისტური შეჯიბრების შინაარსი, მაგრამ გაგანოველებმა ამ დახმარების კონკრეტული ფორმა გამონახეს: დასახმარებლად უშუალოდ ჩამორჩენილ კოლექტივებში გადასვლა. ცალკეულ ასეთ შემთხვევებს წინათაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ ვ. გაგანოვამ და მისმა მიმდევრებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ურთიერთდახმარების გარეშე არ არსებობს შეჯიბრებაც.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა დევიზი თავიდანვე გახდა ბრძოლა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაუფლების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების, საწარმოო კვალიფიკაციისა და კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლების, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსის განხორციელებისათვის.

ამ საფუძველზე მუშავდებოდა კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდებისათვის მებრძოლთა ვალდებულებებიც.

კომუნისტური შრომის პირველი კოლექტივები გახდნენ შრომით თაოსნობათა ინიციატორებიც. ა. ძამაშვილის ბრიგადა პირველი იყო რესპუბლიკაში, რომელმაც მხარი დაუჭირა დონბასელი მეშახტის ნ. მამაის ინიციატივას ყოველ ცვლაში დამატებითი პროდუქციის გამოშვების შესახებ[25]. გ. ჩადუნელის ბრიგადა შეჯიბრებაში ჩაება მოსკოვის მახარისხებელი დეპოს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადასთან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის[26]. ტყიბულელი მეშახტეები ეჯიბრებოდნენ დონბასელ მეშახტეებს, ჭიათურელი მაღაროელები – ნიკოპოლის კომუნისტური შრომის კოლექტივებს, რუსთაველი მეტალურგები – სუმგაითის მეტალურგებს, გორელი ფეიქრები – ხერსონელ ფეიქრებს და ა. შ.

თანდათანობით მრავლდებოდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიგები. 1960 წლის აპრილში მოწვეული იყო რესპუბლიკის კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელთა თათბირი. ამ დროს საქართველოში 3 ათასამდე კომუნისტური შრომის ბრიგადა იყო, რომლებშიც მუშაობდა 35 ათასი კაცი[27]. თითქმის ყველა სასოფლო რაიონში შექმნილი იყო კომუნისტური შრომის კოლექტივები.

1960 წლის 27 – 30 ივნისს მოსკოვში ჩატარდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა პირველი საკავშირო თათბირი. იგი დიდი მოვლენა იყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თათბირში საქართველოდან მონაწილეობდნენ ა. ძამაშვილი, გ. გეგელაშვილი, შ. კუბლაშვილი, ზ. რუსია, გაგანოველი ა. ბელონოჟკინა და სხვა ნოვატორები.

თათბირმა განიხილა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარების ამოცანები და შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმის გავრცელების პირველი წლების გამოცდილების შედეგები, განაზოგადა ეს გამოცდილება და დასახა მისი შემდგომი განვითარების გზები. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის თათბირის მონაწილეები დააჯილდოვეს ორდენებითა და მედლებით. ჯილდოები ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებმაც მიიღეს, ორ მათგანს: ა. ძამაშვილს და შ. კუბლაშვილს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

საკავშირო თათბირის შემდეგ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა. თუ აქამდე შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ცალკეული მუშაკები და მცირე კოლექტივები ბრიგადების სახით, ახლა მოძრაობაში ჩაებნენ ცვლები. უბნები, საამქროები და საწარმოებიც კი. მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური

დამოკიდებულებისათვის უფრო სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობაში და ტრანსპორტზე, განსაკუთრებით მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და საფეიქრო მრეწველობაში.

1963 წლის 25 – 27 აპრილს მოსკოვში შედგა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა მეორე თათბირი, რომელმაც ცხადყო ამ მოძრაობის მასობრივი ხასიათი. თუმცა შრომითი შეჯიბრების ადრინდელი ფორმები კვლავ გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ.

1959 წლიდან 1965 წლამდე შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა რაოდენობა საქართველოში გადიდდა 34,3 ათასიდან 246,7 ათასამდე. 1965 წელს 12 ათასამდე ბრიგადას, ცვლას, უბანს, საამქროსა და განყოფილებას მინიჭებული ჰქონდა კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდება. რესპუბლიკაში ამ დროს იყო 76 კომუნისტური შრომის საწარმო.

1963 წლისათვის სოფლად კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდებისათვის იბრძოდა 713 ბრიგადა. 150-ზე მეტ კოლექტივს მინიჭებული ჰქონდა ეს წოდება. 1 500-ზე მეტი ნოვატორი ატარებდა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებას.

მრეწველობის ზოგიერთ დარგში შვიდწლედის ბოლო წლებში ამ მოძრაობაში ჩაბმული იყო დასაქმებულ მუშაკთა უმრავლესობა. ასეთი დარგები იყო: მანქანათსაშენებელი, მეტალურგიული და საფეიქრო მრეწველობა.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ შეჯიბრების ორგანიზაციას, სწავლობდნენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საკითხებს, იწვევდნენ მოწინავეთა შეკრებებს, აჯამებდნენ შედეგებს, მიუხედავად ამისა, შეჯიბრების ხელმძღვანელობაში ადგილი ჰქონდა ფორმალიზმს. იყო შემთხვევები, როდესაც წოდებებს ანიჭებდნენ შეჯიბრების მონაწილეთა დაუსწრებლადაც. ამ და სხვა ნაკლოვანებათა დაძლევის ერთ-ერთი ცდა იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის 12 მაისის დადგენილება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ[28].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ყურადღება მიექცა განსაკუთრებით შეჯიბრების საჯაროობის, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების, შეჯიბრების მონაწილეთა განათლებისა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანებს. დამტკიცდა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს რეკომენდაციები კომუნისტური შრომის დამკვრელისა და კოლექტივის წოდების მინიჭების წესის შესახებ[29]. ამ დადგენილებით დაწესდა, რომ კომუნისტური შრომის საწარმოს წოდების მინიჭება ხდებოდა მას შემდეგ, რაც მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ბრიგადების, ცვლების, საამქროებისა და განყოფილებების არანაკლებ სამი მეოთხედისა მოიპოვებდა

კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელის წოდებას. ამასთან ერთად კომუნისტური შრომის დამკვრელები და კოლექტივები მოვალენი იყვნენ პერიოდულად ჩაებარებინათ ანგარიში საკუთარი კოლექტივებისათვის თავიანთი მუშაობის შესახებ. დაწესდა აგრეთვე კომუნისტური შრომის დამკვრელის ან კოლექტივისათვის წოდებების ჩამორთმევა იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს და არ იცავდნენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალურ კოდექსს.

ამ ღონისძიებებმა მართლაც გააუმჯობესეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა, მაგრამ დასახული ღონისძიებები მთლიანად არ განხორციელებულა და ამიტომაც მერვე ხუთწლედშიც შეჯიბრების ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა ადრინდელ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას.

შვიდწლედში გრძელდებოდა შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინების ადრინდელი ფორმების განვითარება. ფართოვდებოდა ინდივიდუალური შეჯიბრება, შეჯიბრება ბრიგადებს, ცვლებსა და საამქროებს შორის, საწარმოთაშორისო და რესპუბლიკათაშორისო შეჯიბრებები და სხვა.

როგორც წინათ, შვიდწლედშიც სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი ამოცანა იყო შრომის ნაყოფიერების ამაღლება. მაგრამ ეს ამოცანა კიდევ უფრო აქტუალური გახდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პერიოდში. “კომუნიზმი, - წერდა ვ. ი. ლენინი, - არის შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა”[30]. კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში ასეთი მუშების უახლოესი წინამორბედები არიან წარმოების ნოვატორები, კომუნისტური შრომის დამკვრელები, რომლებიც მეცნიერებთან და ინჟინერ-ტექნიკოსებთან ერთად გამოდიან ტექნიკური პროგრესის მთავარ ინიციატორებად.

რესპუბლიკის საწარმოებში შვიდწლედის პერიოდში წარმოიშვა ნოვატორთა მრავალი შრომითი პატრიოტული თაოსნობა, რომლებიც ხელს უწყობდნენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და გეგმიურ დავალებათა შესრულებას.

1959 წლიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი შინაარსი გახდა ბრძოლა შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ზოგიერთმა შრომითმა კოლექტივმა მისი განხორციელება გადაწყვიტა 5–6 წლის განმავლობაში. ამის ძირითადი საშუალება იყო ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ახალი ტექნიკის ბაზაზე რეკონსტრუქციისათვის შეჯიბრების ინიციატორები იყვნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი და რუსთავის

აზოტოვანი სასუქების ქარხნების, ქარხანა “ელექტროავტომატისა” და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

ქუთაისელი ავტომშენებლების თაოსნობით დაიწყო საქართველოში შვიდწლედის სახელობის ფონდის შექმნა, რაც უნდა განხორციელებულიყო წარმოების ძირითად და დამხმარე საშუალებათა ეკონომიის გზით. ავტომშენებლების თაოსნობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. მას გამოეხმაურა რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმო. გაზეთმა “პრავდამ” იგი შეაფასა როგორც “უდიდესი მნიშვნელობის საქმე”[31]. ამ თაოსნობის შედეგი იყო ის, რომ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში საქართველოს მუშათა კლასმა ათეულ მილიონობით მანეთი შეიტანა.

საქართველოს მუშათა კლასში ფართო მხარდაჭერა პოვა მოსკოვის ქარხანა “კაუჩუკის” რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების ინიციატივამ “შვიდწლედის სახელობის ნოვატორულ წინადადებათა ფონდის” შექმნის თაობაზე.

შვიდწლედის დამდეგიდანვე ნოვატორთა თაოსნობით დაიწყო აგრეთვე შეჯიბრება მოწყობილობის მწარმოებლობის 1965 წლის დონის ვადამდე მიღწევისათვის. მისი ინიციატორი იყო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, ცნობილი ივანოვოელი მქსოველის ი. ვეჩეროვას მიმდევარი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ე. სოლომონია, რომელსაც შემდგომში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. მან ეს ამოცანა განახორციელა 1959 წელსვე, ხოლო 1963 წელს უკვე 1,4-ჯერ გადააჭარბა 1965 წლის დონეს. გარდა ამისა, მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 80 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ე. სოლომონიას თაოსნობის ასობით მიმდევარმა შვიდწლედის მეორე და მესამე წელს გაიმეორა მისი მიღწევა.

ახალი ტექნიკის დანერგვისა და ძველი მოწყობილობის გამოყენების შესანიშნავი მაგალითი იყო ის წარმატება, რაც მოიპოვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კოლექტივმა. სპეციალისტების ჯგუფმა ს. შარაძენიძის, პ. წერეთლის, ი. ჟორდანიას, დ. შალიგინის, ნ. ანდრიუხინის, გ. გევორქიანისა და ს. მალიშევის შემადგენლობით, მუშებთან და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობით 1961 წელს განახორციელეს დგან “400”-ის სრული ავტომატიზაცია. ასეთი სახის ავტომატიზაცია იმ დროს პირველად განხორციელდა ევროპის მასშტაბით. დგანი “400”-ის სრული ავტომატიზაციისაგან მიღებულმა ეკონომიამ 2,5 მილიონი მანეთი შეადგინა.

მრავალი თაოსნობა წამოიწყეს ამიერკავკასიის რკინიგზის ნოვატორებმაც. მათი ინიციატივით მარტო 1960 – 1961 წლებში მძიმეწონიანი მატარებლების ტარების მეთოდების დანერგვით გეგმის ზევით გადაზიდულ იქნა 17 მილიონი ტონა ტვირთი. 1963 წლიდან განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯირება მოძრავი შემადგენლობის უფრო რენტაბელურად გამოყენებისათვის, ვაგონების ბრუნვადობის დროის

შემცირებისათვის. ეს გამოცდილება დაინერგა სსრ კავშირის ყველა რკინიგზაზე[32].

ტექნიკური პროგრესისა და არსებული ტექნიკის გამოყენების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ. ფართოდ გავრცელდა დონბასელი მეშახტეების ნ. მამაის და ა. კოლჩიკის, კრივოი როგის შახტების "გიგანტისა" და "ბოლშევიკის" გამოცდილება ყოველ ცვლაში ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების საქმეში. 1962 წელს ამ მეთოდით უკვე მუშაობდა რესპუბლიკის ასობით მეშახტე.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სპეციალისტებმა მთავარი ინჟინრის ვ. გოცირიძის ხელმძღვანელობით მოწინავე მუშებთან თანამეგობრობით დაამუშავეს ქვანახშირის ამოღების ახალი – დამუშავებული სივრცის ჰიდრავლიკური ვსების – მეთოდი.

1962 წლიდან რესპუბლიკის შახტებში გავრცელდა ყარაგანდელი მეშახტეების თაოსნობა კომპლექსური სადღეღამისო ბრიგადების ჩამოყალიბების შესახებ. საქართველოში მისი ინიციატორები იყვნენ ტყიბულელი მეშახტეები ვ. ტყაბლაძე და ს. კობალაძე, ტყვარჩელელი მეშახტე ი. კოსტენკო[33]. ქართველმა მეშახტეებმა მხარი დაუჭირეს აგრეთვე ლუგანსკელი მეშახტეების ინიციატივას დავალებათა ერთი საათით ადრე შესრულებისა და ამ საათის ჩამორჩენილთა დასახმრებლად გამოყენების თაობაზე. ამ შეჯიბრებას "ლუგანსკის საათი" ეწოდა.

1961 წლის თებერვალში თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვი საამქროს ოსტატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. ჩიქოვანის ბრიგადა გამოვიდა ინიციატივით დაეწყოთ შეჯიბრება მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. თვით ბრიგადამ იკისრა ვალდებულება გამოეშვა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია. ეს ინიციატივა მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა. გამოცდილების გაზიარებისათვის საქართველოში ჩამოვიდნენ ლენინგრადელ ფეიქართა წარმომადგელები. ა. ჩიქოვანის ბრიგადა შეეჯიბრა ლენინგრადის ფაბრიკის "წითელი მქსოველის" ერთ-ერთ მოწინავე ბრიგადას. 1963 წლის დამლევისათვის რესპუბლიკის საფეიქრო და მსუბუქი მრეწელობის საწარმოებში ა. ჩიქოვანს უკვე 2 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავდა[34].

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის პროცესში პირველად შვიდწლედის ბოლო წლებში გაჩნდა ხარისხის გარკვეული ეტალონი. 1965 წლის დამდეგს ლენინგრადისა და მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით დაიწყო ნოვატორთა მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით 3–4 წლის განმავლობაში მიეღწიათ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მსოფლიოს საუკეთესო

სტანდარტების დონისათვის[35]. ეს თაოსნობა მოიწონეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

ამის საპასუხოდ რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა და ცალკეულმა ნოვატორებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ამ თაოსნობის ფართოდ გავრცელების შესახებ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით შემოიღეს წარმოების კულტურის, ტექნიკის დანერგვისა და ხარისხის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერებები.

ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. მაგრამ ბევრი ნაკისრი ვალდებულება, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. პროდუქციის ხარისხის ამაღლება რჩებოდა შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. ყურადღების ცენტრში იდგა აგრეთვე მრეწველობაში ეფექტიანი მომჭირნეობის განხორციელება. ამის შესანიშნავი მაგალითი იყო 1960 წელს ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალ-მეავტომატეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ინიციატივა. ამ ბრიგადამ, რომელსაც სათავეში ედგა კომუნისტი ვ. პაპინაშვილი, ვალდებულება იკისრა მომჭირნეობის გზით დაეზოგა ბრიგადის წლიური ხელფასის ოდენობის თანხა. ეს ინიციატივა მოიწონა და მას მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ვ. პაპინაშვილის ბრიგადამ ვალდებულება ნოემბრისათვის შეასრულა[36]. ამ ინიციატივას მიბაძეს რუსთაველმა მეტალურგებმა, ქუთაისელმა ავტომშენებლებმა, ტყიბულელმა მეშახტეებმა, რესპუბლიკის სხვა მრავალი საწარმოს კოლექტივმა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს საბოყვე ეზოს კომუნისტური შრომის კოლექტივმა, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ს. სიხარულიძე მეთაურობდა, 1960 წელს დაზოგა წლიური ხელფასის ოდენობაზე მეტი თანხა[37]. 1962 წელს სიხარულიძემ მიიღო საავტორო მოწმობა მარტენის ცეცხლგამძლე ამონაგის წიდით შეცვლის მეთოდის დამუშავებისათვის, რაც პირველად განხორციელდა მსოფლიოში[38].

მომჭირნეობისათვის მასობრივი მოძრაობა ფართოდ გავრცელდა მრეწველობის სხვა დარგებშიც, მაგალითად, მსუბუქი და საფეიქრო მრწეველობის საწარმოებში. 1962 წლის მარტში მაუდ-კამვოლის კომბინატის “საბჭოთა საქართველოს” საქსოვი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადირმა ლ. ჯანანაშვილმა წამოიწყო შეჯიბრება ქსოვის დროს ნარჩენების ერთიორად და უფრო მეტად შემცირებისა და მის ხარჯზე დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის. მას ბევრმა სხვა ბრიგადამ დაუჭირა მხარი. 17 ბრიგადამ, რომლებმაც ამ მეთოდით დაიწყეს მუშაობა, 1962 წლის ბოლომდე სახელმწიფოს 65 ათას მანეთზე მეტი დაუზოგეს[39]. ლ. ჯანანაშვილის თაოსნობა მთელ რესპუბლიკაში გავრცელდა.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ეკონომიასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში დადებით როლს ასრულებდა შეჯიბრება პროფესიების მიხედვით. სოციალისტური შეჯიბრების ეს ადრინდელი ფორმა, შვიდწლედში ახალ საფუძველზე იქნა აღდგენილი. 1962 წელს კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატის, კომუნისტური შრომის დამკვრელის რ. წინწალაშვილის თაოსნობით დედაქალაქის საწარმოებში დაიწყო შეჯიბრება თავის პროფესიაში საუკეთესო ოსტატის წოდებისათვის. მას მხარი დაუჭირა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა. ამ ინიციატივას გამოეხმაურნენ რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოთა კოლექტივებიც. შვიდწლედის ბოლოს პროფესიების მიხედვით გაშლილ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ათასობით ნოვატორი და მრავალი შრომითი კოლექტივი. შეჯიბრებაში გამარჯვებულთ ენიჭებოდათ საუკეთესო ხარატის, მქსოველის, ზეინკლის, ოსტატის, საუკეთესო ბრიგადის, უბნისა და სხვა წოდებები. ამასთან ერთად გაფართოვდა შეჯიბრება მონათესავე საწარმოებს შორის როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე რესპუბლიკის გარეთ. მომმე რესპუბლიკების საწარმოთა შეჯიბრება ხელს უწყობდა არა მარტო ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას, არამედ მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა შეჯიბრების საჯაროობისა და შედეგების შეჯამების საქმეს. ბევრი ნაკლოვანების, ფორმალიზმისა და შეჯიბრების ორგანიზაციისადმი ზერელე დამოკიდებულების მრავალი შემთხვევის მიუხედავად, გარკვეული დადებითი შედეგები ამ მხრივაც იქნა მიღწეული. შეჯიბრების შედეგების შეჯამებას ხშირად ახდენდნენ კოლექტივების საერთო კრებებზე, ეწყობოდა რადიო და ტელეგადაცემები, გამოფენები, შეჯიბრების შედეგები ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე, მოწინავეები შეჰქონდათ საპატიო დაფაზე და საპატიო წიგნებში, ეწყობოდა შემოქმედებითი ექსკურსიები მონათესავე საწარმოებში, მომმე რესპუბლიკებში იგზავნებოდა სპეციალური დელეგაციები, იმართებოდა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, აწყობდნენ შრომითი დიდებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა საღამოებს, ახალგაზრდა მუშების შეხვედრებს ნოვატორ-ვეტერანებთან და ა. შ. ზოგიერთ საწარმოში გამოდიოდა ფურცელი "ელვა", სადაც ათავსებდნენ ცნობებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წარმატებების შესახებ. ცალკე ფურცლები ეძღვნებოდა შეჯიბრების ნაკლოვანებათა გამოვლინებას, წუნისმკეთებლებისა და უდისციპლინოთა საზოგადოებრივ გაკიცხვას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად იყენებდნენ მატერიალური და მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმას, რაც ხელს უწყობდა შეჯიბრების ეფექტიანობას.

შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა, მათი ინიციატივით გაიშალა შეჯიბრება შვიდწლედის დავლებათა 5–6 წელში შესრულებისათვის. ქართველმა მეჩაიეებმა ვალდებულება აიღეს ჩაის ფოთლის მოსავლის დაგეგმილი

დონისათვის (170 ათასი ტონა) მიეღწიათ 1963 წელს. მათ ეს დიდი ვალდებულება 1962 წელს გაანაღდეს, ქვეყანას მისცეს თითქმის 1180 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ე. ი. 130 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

შვიდწლედის წლებში მეჩაიეთა ეს წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა სოციალისტური შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების სწორად წარმართვამ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვეტერანი მეჩაიეების გამოცდილების დანერგვას. შვიდწლედში გავრცელდა სოციალისტური შრომის გმირების ტ. ტყებუჩავას, თ. ყუფუნიას, ტ. ჩხაიძის, ქ. სარსანიას, ქ. ქარდავას, გ. ავიძბას, მ. ჯინჭარაძისა და სხვა მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება.

სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მხვნელ-მთესველები, მექანიზატორები და ტრაქტორისტები, მეცხოველეები, მევენახეები და მებაღეები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. თაოსნობის წამომწყებნი იყვნენ გურჯაანის, მახარაძის, ზუგდიდის, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების სოფლის მშრომელები. მნიშვნელოვან შრომით წარმატებებს მიაღწიეს ნოვატორმა მექანიზატორებმა, მოწინავე მემინდვრეებმა, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების მოყვანის ოსტატებმა. მაგრამ მათი მიღწევები ჯერ კიდევ ვერ იქცა მშრომელთა საყოველთაო კუთვნილებად.

შვიდწლედის პერიოდში გატარდა ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დასანერგად. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მექანიზატორებმა. 1960 წლიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვის ინიციატორები იყვნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მექანიზატორები უკრაინელი ა. გიტალოვი და ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ნ. მანუკოვსკი, რომელთა თაოსნობას საქართველოს სოფლის ბევრი მექანიზატორი გამოეხმაურა. მათი პირველი მიმდევრები იყვნენ რესპუბლიკის ცნობილი ადამიანები: სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ი. ბაიდოშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გ. თინაშვილი, საგარეჯოს რაიონის სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი მ. გიბიშვილი, ყვარლის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ზ. არჩევანიშვილი და სხვები. მალე მათ მაგალითს მიბაძეს საგარეჯოს, თელავის, მცხეთის, ყვარლის რაიონის მოწინავე მექანიზატორების ახალმა რაზმებმა. მათ შორის იყვნენ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის მექანიზატორები პ. მუჟიჩენკო, ს. გოგოლაშვილი, ა. ბენაშვილი, დაბა ქარელის კოლმეურნეობის მექანიზატორი

გ. სიხაშვილი, სიღნაღის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი გ. დოლიძე და სხვები.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისათვის მებრძოლი ნოვატორი მექანიზატორები შრომის კარგი ორგანიზაციით მნიშვნელოვნად ამაღლებდნენ მექანიზაციის დონეს და ამით შრომის ნაყოფიერებასაც. მაგრამ მოწინაე მექანიზატორთა თვალსაჩინო მიღწევები ცალკეულ რეკორდებად რჩებოდა და არსებით გავლენას ვერ ახდენდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაზე.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკაში ცნობილმა მესიმინდეებმა. ყვარლის რაიონის სოფ. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი მ. გურაბანიძე ჰექტარზე იწევდა 60-80 ცენტნერ სიმინდს. რესპუბლიკაში ცნობილი იყო ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის კოლმეურნეობის წევრი კ. სანდუხაძე. მისმა რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, პირადად მან კი გაპიროვნებულ ნაკვეთზე – 120 ცენტნერზე მეტი. იგი შეჯიბრებაში ჩაება კრასნოდარის მხარის მოწინავე მესიმინდეებთან. შეიქმნა კ. სანდუხაძის გამოცდილების შემსწავლელი სკოლა. მრავალი მიმდევარი ჰყავდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადას, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჩოქოლი ქვაჩახია. იგი ორი ათეული წლის მანძილზე თითოეულ ჰექტარზე 120–150 ცენტნერ სიმინდს იღებდა. ას და მეტ ცენტნერ სიმინდს იღებდნენ ჰექტარზე შეშელეთის კოლმეურნეობის ნოვატორი ტ. ახუხბაია და მისი ბრიგადის წევრები. მიუხედავად ამისა, სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე საქართველოში კი არ მატულობდა, არამედ კლებულობდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო მოწინავე გამოცდილების სუსტი პროპაგანდა და დანერგვა.

შვიდწლედში თავი ისახელა მრავალმა მოწინავე მეცხოველემ. ბევრმა მათგანმა ვადაზე ადრე მიაღწია შვიდწლედის ბოლოსათვის დასახულ დონეს. 1959 წელს მოწინავე მეცხოველეების ინიციატივით დაიწყო შეჯიბრება წველადობის ამაღლებისა და მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობის გადიდებისათვის, კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებისათვის. 3–4 ათას ლიტრ რძეს იღებდნენ თითოეული ძროხიდან დაბა ბოლნისის კოლმეურნეობის ფერმის მწველავი ქალები ვ. აკოფაშვილი, ე. გავაშელი, ნ. ჭოხონელიძე და სხვები, სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ლენინის ორდენოსანი მწველავი ქალი ს. დელიბაშვილი, გაგრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ე. ლეშჩენკო, მცხეთის რაიონის წილკნის კოლმეურნეობის მწველავები დ. და მ. ქიტუაშვილები. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს სართიჭალელმა მწველავმა მ. კვაჭანტირაძემ და სიღნაღის რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა მ. ჩიტაურმა და სხვებმა. იმავე კოლმეურნეობაში შრომობდა დ. სეფიაშვილი, რომელმაც მარტო 1963 წელს

ათასზე მეტი ღორი გამოზარდა და სახელმწიფოს დიდძალი ხორცი ჩააბარა გეგმის ზევით. მას მიმდევრები ჰყავდა სხვა რაიონებშიც.

რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის უფროსი მწყემსის გ. ჩალაბაშვილისა და ფერმის გამგის გ. მჭედლიშვილის ინიციატივა – ორ წელიწადში სამი დოლის მიღების შესახებ. მათ სხვა მეცხვარეებმაც მიბაძეს. მეფრინველეებს შორის ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა სამგორის სანაშენე მეფრინველეობის მეფრინველემ ქეთო კორკოტაშვილმა.

ამ წარმატებების მიუხედავად, მეცხოველეობა და მეფრინველეობა ჩამორჩა შვიდწლედის დავალებების შესრულებაში.

გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვეს შვიდწლედში რესპუბლიკის მევენახეებმა. შვიდწლედის ბოლოს მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 244 ათასი ტონა ყურძენი 230 ათასი ტონის ნაცვლად. მევენახეთა შორის მთელ რესპუბლიკაში სახელი გაითქვეს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის "ლენინის ანდერძის" მევენახეებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა მ. მექვევრიშვილმა და ე. მეზვრიშვილმა, რომლებიც ყურძნის სარეკორდო მოსავალს იღებდნენ.

ქართველი მევენახეების დიდი წარმატების ერთ-ერთი დამადასტურებელი იყო ის, რომ 1965 წლის სექტემბერში თბილისში გამართულ ყურძნის ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსში ქართულმა ღვინომ და კონიაკმა მიიღო 34 ოქროს, 29 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

მრავალი ნოვატორი მებაღე წარმატებით შრომობდა მეხილეობის რაიონებში. ბევრმა მათგანმა ხილის მოყვანის რეკორდი დაამყარა. ასეთები იყვნენ, მაგალითად, გორის რაიონის სოფ. ქვეშის კოლმეურნეობა "წითელი ქართლის" მებაღე მ. რჩეულიშვილი, ცხინვალის რაიონის სოფ. ქსუისის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადა გ. საგკაევის მეთაურობით და სხვები.

სოფლის ნოვატორთა საქმიანობის შედეგად საგრძნობლად გადიდდდა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქციის წარმოება. მაგრამ წარმატებანი მაინც არასაკმარისი იყო. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებს, ვოლუნტარიზმსა და სუბიექტივიზმს. დაბალი იყო მარცვლეულის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამას ისიც განაპირობებდა, რომ სათანადო დონეზე არ იდგა შრომის დისციპლინა როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში.

1962 წლის აგვისტოსა და სექტემბერში პრესაში გამოქვეყნდა უკრაინელი კოლმეურნე ქალის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. ზაგლადასა და ლენინგრადელი მღარავი მუშის, რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის დ. ლეონოვის წერილები. ისინი მოუწოდებდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს გაფრთხილებოდნენ მშრომელის

ღირსებას, ემუშავათ თავიანთი სინდისის კარნახით, მთელი მონდომებით, შეუპოვრად და შემოქმედებითად. პატიოსანი მშრომელის ვალად ამ ნოვატორებს მიაჩნდათ ზრუნვა მათზეც, ვინც მათ გვერდით მუშაობს, ბრძოლა უქნარების, ზარმაცების, წამგლეჯების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამის თაობაზე სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო. პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ განემარტათ მშრომელებისათვის ნ. ზაგლადას თაოსნობის მნიშვნელობა.

ქართველ კოლმეურნეთა შორის ნ. ზაგლადას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. სოფლის ნოვატორთა ამ მოძრაობამ გარკვეული წვლილი შეიტანა შრომის დისციპლინის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში. მაგრამ ძირეული გარდატეხა მაინც არ მომხდარა.

შვიდწლედის ბოლო წლებიდან სერიოზული ღონისძიებები დაისახა სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეესრულებინათ პროფესიულ კავშირებს, რომლებიც მოწოდებული იყვნენ სათავეში ჩასდგომოდნენ სოფლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. სოფლის მეურნეობის წამყავანი დარგების ფართოდ განვითარებისა და მისდამი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების აუცილებლობამ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შედეგად სოფლად მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტთა თავმოყრამ გადაუდებელ საკითხად დასახეს სოფლად პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნა. 1964 წლის სექტემბერში რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია. პროფკავშირული ორგანიზაციების უშუალო საქმიანობად იქცა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, მასების აღზრდა შრომისადმი ახლებური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

პროფესიული კავშირები წარმართავდნენ სოფლად საწარმოო თათბირების მუშაობასაც, რომლებიც წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის ერთ-ერთი ფორმა იყო. 1965 წელს სოფლის მეურნეობაში იყო 190-მდე საწარმოო თათბირი. მათში 7 ათასზე მეტი ნოვატორი მონაწილეობდა. პროფკავშირები ხელმძღვანელობდნენ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების საქმესაც. ასეთი ხელშეკრულებები სამეურნეო-პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვან დოკუმენტებს წარმოადგენენ.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის დაძლევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს. განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ამ მიმართულებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ. პლენუმმა შეიმუშავა სოფლის მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები.

მიუხედავად სოფლის მეურნეობის განვითარებაში სერიოზული ნაკლოვანებებისა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება ძირითადად აღმავალი გზით მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანი წარმატებები

მოიპოვეს მრეწველობამ და სოფლის მეურნეობის ცალკეულმა დარგებმა. ამ საქმეში დადებითი როლი შეასრულა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა შეჯიბრებამ მოძმე რესპუბლიკების შმრომელებთან.

მუშათა კლასის შრომის შედეგი იყო ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ შვიდწლედის დავალებები ვადამდე შეასრულა. წარმოების მოცულობა გადიდდა 60 პროცენტით. მრეწველობის განვითარების დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მრეწველობის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლას. ამიერიდან კიდევ უფრო ამაღლდა მშრომელთა შრომითი და შემოქმედებითი აქტივობის როლი მრეწველობის განვითარებაში.

შვიდწლედის პერიოდში მიღწეული წარმატებებისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საქართველოს რესპუბლიკა დაჯილდოვდა ლენინის მეორე ორდენით. სამი დიდი საწარმოს კოლექტივი: ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, თბილისის მეტროპოლიტენისა და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კოლექტივები დაჯილდოვდნენ ლენინის ორდენებით.

საქართველოს მშრომელთა მასობრივი შრომითი მამაცობის დამადასტურებელი იყო ის გარემოებაც, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის 11 500-ზე მეტი მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე, მეცნიერი და კულტურის მუშაკი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით. 70 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. სოციალისტური შრომის გმირთა ამ ახალ რაზმში იყვნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ნოვატორები.

შვიდწლედის პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, განსაკუთრებით წარმოების სფეროში. იგი გამოვლინდა უმთავრესად შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. განმტკიცდა მეცნიერებისა და წარმოების კავშირი.

წარმოებისა და მეცნიერების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირი გულისხმობდა როგორც ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებას, ისე მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ერთობლივ შემოქმედებით შრომას ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის. ტექნიკური პროგრესის წარმატებისათვის აუცილებელია მეცნიერების მიღწევებს დაეუფლონ წარმოების მუშაკები. საწარმოებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს მეცნიერების მრავალი ახალი დარგის მუშაკებმა. მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიის და ელექტრომეტალურგიის ინსტიტუტის და თბილისის ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სახალხო მეურნეობის საბჭოს

მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა.

ქართველმა ქიმიკოსებმა წარმოების მუშაკებთან ერთად მიიღეს და დანერგეს ახალი პოლიმერები, გააუმჯობესეს ტექნოლოგიური პროცესები[40]. დიდმნიშვნელოვანი იყო მათი გამოკვლევები ჭიათურის მანგანუმის მადნების კომპლექსური გამოყენებისა და გამდიდრების დარგში.

თბილისის ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მეორე საამქროს ღუმელებისათვის შექმნეს ელექტრომათემატიკური მანქანები[41].

მეცნიერები, თავის მხრივ, მუშაობაში იყენებდნენ წარმოების ნოვატორთა მიერ შექმნილ ხელსაწყოებს. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ნოვატორმა ა. დადუნაშვილმა შექმნა დაზგის გასამართი შაბლონი, რომელსაც დადებითი შეფასება მისცა მოსკოვის საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. იგი დაინერგა მოსკოვის ფაბრიკა "კრასნაია როზაში"[42].

ქართველმა მეცნიერებმა ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის, დიმიტროვის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროებში მადნის დატვირთვის მექანიზაციის მიზნით შექმნეს ელექტროსატვირთი მანქანები. მათ აგრეთვე მანგანუმის ტრესტისა და კრივოიროგის ინსტიტუტის "გიპრორუდმაშის" თანამშრომლებთან ერთად ჭიათურისათვის შექმნეს მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანები[43].

გეოლოგებმა დაამუშავეს პროგნოზები საქართველოში სპილენძის ალმადანის ფარული საბადოების აღმოსაჩენად. მათემატიკოსების დახმარებით მოხერხდა მოეხდინათ ელექტრონული მანქანით მსოფლიოში ყველაზე მაღალი ენგურჰესის კაშხალის გაანგარიშებანი. სეისმოლოგებმა შეიმუშავეს ანტისეისმური კონსტრუქციები, რომლებიც უძლებენ 8-ბალიან მიწისძვრას. გეოფიზიკის ინსტიტუტი ალაზნის ველზე 180 ათას ჰექტარ ფართობზე იყენებდა ღრუბელზე ხელოვნური ზემოქმედების მეთოდებს[44].

შემოქმედებითი კავშირი მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებს შორის გაფართოვდა არა მარტო რესპუბლიკის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც. ფაქტიურად პირველად ამ პერიოდში განხორციელდა სისტემატური შემოქმედებითი კავშირი მოძმე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან[45]. ამას საგრძნობლად შეუწყო ხელი 1965 წლის დამდეგს ლენინგრადის მოწინავე სამრეწველო კოლექტივებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა ინიციატივით გაშლილმა შეჯიბრებამ პროდუქციის მსოფლიო სტანდარტების მიღწევისათვის. ამ შეჯიბრების მონაწილეთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო თბილისის ელექტროტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც პირველად საბჭოთა კავშირში გააკეთა ელექტრომავლებზე და სხვა ენერგეტიკულ დანადგარებზე დასაყენებელი, ე. წ. ინდუქციური ამძრავი გამთიშველებისა და ამომრთველებისათვის[46]. თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივმა

საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ინსტრუმენტული ინსტიტუტის დახმარებით გადაწყვიტა მრავალწახნაგა სალი ფირფიტების მექანიკური სახარატო საჭრისების მედეგობის გაზრდის ამოცანა[47].

ქუთაისის ავტოქარხნის კონსტრუქტორებმა ქართველ მეცნიერებთან და მოსკოვის საავტომობილო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად გააუმჯობესეს ავტომანქანის კონსტრუქცია[48].

მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი "ავტომატმრეწვი". იგი ეხმარებოდა როგორც საქართველოს, ისე მოძმე რესპუბლიკების მთელ რიგ საწარმოებს. მაგალითად, 1964 წელს ინსტიტუტმა დანერგა მთელი რიგი გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში, გროზნოს ქიმიურ კომბინატში, მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში, აზერბაიჯანის მილსაგლინავ ქარხანაში და ა.შ.

რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი თანამშრომლობდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, საბადოების დამუშავებისა და აფეთქებათა ფიზიკის ინსტიტუტთან, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილებასთან. ინსტიტუტის მეშვეობით განხორციელდა მთელი რიგი პროცესების ავტომატიზაცია აგლომერაციულ ფაბრიკებსა და შავი მეტალურგიის ქარხნებში. მისი რეკომენდაციები დაინერგა რუსთავის, ენაკიევოს, დნეპროპეტროვსკისა და დნეპროძერჟინსკის ქარხნებში[49].

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა "რიონის" კოლექტივმა ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ხელშეკრულება დადო საკავშირო სატყეო სამეცნიერო ინსტიტუტთან. ამ ინსტიტუტში სწავლობდნენ "რიონის" გამოყენების საკითხებს სატყეო მეურნეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. ქარხნის კოლექტივი თანამშრომლობდა ურალის მხარის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ურივერსალური მართვადი მუხლუხა ტრაქტორის შესაქმნელად. ასევე შემოქმედებითად თანამშრომლობდნენ ქარხნის კოლექტივთან სოხუმის სუბტროპიკული და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, ლენინგრადის საწვავ-საცხები მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი[50] და სხვ. 1963 წელს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო ელექტროქიმიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან თანამშრომლობის შედეგად ქარხანაში საფუძველი ჩაეყარა ელექტრობურღების სერიულ გამოშვებას[51].

მეცნიერების ბევრი უახლესი მიღწევა დაინერგა შვიდწლედში რესპუბლიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს საწარმოებში, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნები, გაუმჯობესდა მეტალურგიული ციკლის რიგი პროცესები.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობა წარმოების პროცესში მრავალ სხვადასხვა ფორმაში პოულობდა გამოხატულებას. ასეთი თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა იყო მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებისაგან შემდგარი კომპლექსური ბრიგადები და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები. კომპლექსური ბრიგადების შემადგენლობაში შედიოდნენ წარმოების ნოვატორები, ტექნიკოსები, მექანიკოსები. ისინი ამუშავებდნენ საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებს. მეცნიერთა და წარმოების ნოვატორთა საწარმოო-ტექნიკურ კონფერენციებზე განიხილავდნენ საწარმოთა ეკონომიკის ამაღლების, წარმოების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების საკითხებს. საწარმოებში დაინერგა ინჟინერ-ტექნიკოსთა და მეცნიერთა შეფობა მუშებზე[52].

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის მიერ შექმნილ ბრიგადებში შედიოდნენ მოწინავე მეცნიერები. ნოვატორები და კონსტრუქტორები. ასეთი ბრიგადები გამოცდილების გაზიარების მიზნით ეცნობოდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოს[53].

მნიშვნელოვნად ამაღლდა მეცნიერების როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც. შვიდწლედის პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი სიმდიდრეების ეფექტიანი გამოყენების, მეცხოველეობისა და მემინდვრეობის განვითარების, მცენარეთა და ცხოველთა გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანის საქმეში. მათი ხელმძღვანელობით დაინერგა პროგრესული აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხერხები და მეთოდები, ნოვატორთა გამოცდილება.

ქართველი მეცნიერების დიდი მიღწევა იყო ჩაის კულტურის კომპლექსური მექანიზაციის მანქანათა სისტემის, ნიადაგის გამაფხვიერებელი, ფუმიგაციის, სასხლავი და ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების შექმნა.

ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობის კომპლექსურ მექანიზაციას, ახალი მანქანებისა და პრეპარატების დანერგვას მეცხოველეობაში, მეხილეობაში, მევენახეობაში და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. მაგალითად, დამუშავდა ღონისძიებები ვენახის მეჩხერიანობის წინააღმდეგ, ვაზის გადაწვენის, ვენახებისა და ბაღების ავადმყოფობებთან ბრძოლის ახალი წესები, შეიქმნა მრავალი სახის ანტიბიოტიკები, ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის გაუმჯობესების მიზნით 1965 წლის მარტში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება[54], რომელშიც დასახული იყო არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტული გზები.

მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის საუკეთესო გამოვლინებაა რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა. ამ საქმეში ფართოდ ინერგებოდა

კოლექტიურობა. შვიდწლედის დასასრულს შემოსულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ოთხი მეხუთედი შემოქმედებით კოლექტივებს ეკუთვნოდა. ეს მოწმობდა იმას, რომ რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა მშრომელთა დიდ შემოქმედებით ძალად გადაიქცა. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ჯერ კიდევ 1956 წელს ახალ საფუძველზე აღადგინეს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტი, ხოლო 1958 წელს ჩამოყალიბდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო და რესპუბლიკური საზოგადოებები. 1959 წლის 24 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება მეცნიერული აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების მიღებისა და ანაზღაურების წესის შესახებ. დებულებამ განსაზღვრა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებები და მოვალეობანი. 1960 წლის 20 მაისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ახალი გადაწყვეტილება სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ღონისძიებათა შესახებ. 1962 წლის 14 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირში გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის განვითარების შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ განიხილა საკითხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 – 1962 წლებში მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და დასახა სათანადო ღონისძიებები. მათი განხორციელებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო, რომელიც შეიქმნა 1958 წელს. შვიდწლედის დასასრულისათვის რესპუბლიკის 780 საწარმოში შექმნილი იყო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომელთა რიგებში ამ დროს ითვლებოდა 50 ათასზე მეტი წევრი, ხოლო რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რაოდენობა 1959 წლის 11 ათასიდან გაიზარდა 18 ათასამდე. სულ შვიდწლედის პერიოდში რაციონალიზატორობასა და გამომგონებლობაში მონაწილეობა მიიღო 100 ათასზე მეტმა მუშამ და ინჟინერ-ტექნიკოსმა.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად გადიდდა როგორც შეტანილ, ისე დანერგილ წინადადებათა რაოდენობა. სულ შვიდწლედის პერიოდში შეტანილ იქნა 193 ათასი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, წარმოებაში დაინერგა დაახლოებით 102 ათასი.

რესპუბლიკის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის სახელობის 50-მილიონიანი რაციონალიზატორული ფონდის შესაქმნელად. ეს ვალდებულება ორჯერ და

მეტად იქნა გადაჭარბებული. შვიდწლედის ფონდში მათ შეიტანეს 104,7 მილიონი მანეთი. ამ ამოცანის განხორციელებაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, "ჭიათურმარგანეცის" ტრესტის, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქანხნის, აფხაზეთისა და აჭარის მოწინავე საწარმოების, ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა.

შედარებით ნელა ვითარდებოდა გამომგონებლობა და რაციონალიზატორობა სოფლის მეურნეობაში. მოუგვარებელი იყო შემოტანილ წინადადებათა ზუსტი აღრიცხვა. 1965 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, რესპუბლიკურ გაერთიანება "საქსოფლტექნიკის" სისტემის საწარმოებსა და მეურნეობებში შემოვიდა 265 წინადადება, დასანერგად მიღებულ იქნა 200, რომელთაგან დაინერგა 161 წინადადება, ეკონომიამ შეადგინა 1,5 მლნ მანეთი[55].

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, მოსამსახურეთა და წარმოების მეთაურთა შემოქმედებითი აქტივობა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის დარგში სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა. ერთ-ერთი ასეთი ფორმა იყო რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადები. ასეთი ბრიგადების შექმნა მასების კოლექტიური შემოქმედების უმაღლესი ფორმა იყო. პირველი კომპლექსური ბრიგადის შექმნის ინიციატორად 1960 წლის ივნისში გამოვიდა ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამმართველი ი. ხაზარაძე[56]. მის მაგალითს მიბაძეს რესპუბლიკის სხვა საწარმოებშიც. ამ ბრიგადებმა შეჯიბრება გააჩაღეს კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდების მოპოვებისათვის.

შვიდწლედის ბოლოს რესპუბლიკის საწარმოებში ითვლებოდა 168 შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადა, რომლებშიც 800 მეტი კაცი იყო გაერთიანებული. გარდა ამისა, მოქმედებდა რაციონალიზატორთა 284 კაბინეტი და კუთხე. რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადების უმეტესობამ მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. ბრიგადები მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისათვის, არსებულ მოწყობილობათა რაციონალური გამოყენებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

1959 წლიდან რესპუბლიკის საწარმოებში და მშენებლობებზე სისტემატურად წარმოებდა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორთა შეჯიბრება "გამომგონებელთა და რაციონალიზაციის დარგში საუკეთესო საწარმოს", "საუკეთესო რაციონალიზატორის", "საუკეთესო გამომგონებლის" წოდების მოსაპოვებლად, რამაც დადებითი როლი შეასრულა მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებაში.

1960 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა "დამსახურებული რაციონალიზატორის" და "დამსახურებული გამომგონებლის" საპატიო წოდება. შვიდწლედის პერიოდში ასეთი წოდებები დაიმსახურა 139 კაცმა, მათ შორის 31 კაცმა მიიღო დამსახურებული გამომგონებლის წოდება. 1100-ზე მეტ მეცნიერს, ინჟინერ-ტექნიკოსს მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული ინჟინრის წოდებები.

შვიდწლედის პერიოდში მრავალმა რაციონალიზატორმა, გამომგონებელმა და შემოქმედებითმა კოლექტივმა გამოიჩინა თავი. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის 13 კომპლექსურ-შემოქმედებით ბრიგადაზე მოდიოდა მთელი კოლექტივის მიერ მიღებული ეკონომიის 30 პროცენტი. პირადად ი. ხაზარაძემ 15 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მისცა 300 ათასი მანეთის ეკონომია. რესპუბლიკის დამსახურებულმა გამომგონებელმა ე. სოლომკომ (თბილისის N 2 თამბაქოს ფაბრიკა) 1965 წლის ბოლოსათვის თავის შემოქმედებით ბრიგადასთან ერთად შეიტანა და დანერგა წარმოებაში 67 წინადადება, მათ შორის 3 გამოგონება. მიღებულმა ეკონომიამ გადააჭარბა 158 ათას მანეთს.

რესპუბლიკის დამსახურებულმა გამომგონებელმა შ. ახვლედიანმა შექმნა ბალახის წვრილად დასაჭრელი დაზგა. გამომგონებლებმა ნ. კოსტავამ და შ. ჩუბინიძემ შექმნეს ჩაის ბუჩქების ნახევრად მძიმედ სასხლავი აპარატი, რომელიც მოდიფიცირებულ ტრაქტორზე იყო დამონტაჟებული. 100 ცალი ასეთი აპარატის გამოყენება წლიურად იძლევა 652 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას. 1965 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო ნორიოს მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ვ. ჟორჟოლიანის მიერ დამუშავებული ფრინველის საკვებურის პროექტმა. ასეთივე წარმატებები ჰქონდა ბევრ სხვა გამომგონებელს და რაციონალიზატორს.

დიდი ყურადღება ექცეოდა გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვაში მიღწეული წარმატებების არღიცხვას, მათ განზოგადებას და გავრცელებას. 1963 წელს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების გორკის საოლქო საბჭოს ინიციატივით საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში დაიწყო საპატენტო ბიუროების შექმნა საზოგადოებრივ საწყისებზე. 1964 წელს რესპუბლიკაში იყო 27 საპატენტო ბიურო და 270 საკონსულტაციო პუნქტი.

საპატენტო ბიუროები აწარმოებდნენ გამოგონებათა გამოვლინებას, აღრიცხვას და ექსპერტიზას, ეხმარებოდნენ ნოვატორებს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებაში, მონაწილეობდნენ გამოგონებათა საწარმოო სარგებლიანობის დადგენაში, ყურადღებას აქცევდნენ გამოგონების მიღების მსვლელობას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდნენ გამომგონებლებს ახალი დამატებითი მასალების შეგროვებაში, იცავდნენ ავტორთა უფლებებს. საპატენტო ბიუროები ნოვატორებს სისტემატურ კონსულტაციებს უწევდნენ.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში გამოგონებისა და წინადადებების აღრიცხვის და საავტორო უფლების გარკვევის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიხსნა სპეციალური სექტორი. იგი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დარგში ქმნიდა გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ფონდს, ხელს უწყობდა გამოგონებათა და წინადადებათა გაფორმებას, საავტორო მოწმობების გაცემას, იცავდა ავტორების ინტერესებს და აწყობდა დამთავრებული მეცნიერული ნაშრომების რეგისტრაციას.

მუშათა შემოქმედებითი აქტივობის განვითარების ერთ-ერთი ფორმა შვიდწლედის პერიოდში იყო ახალი ტექნიკის დანერგვის საზოგადოებრივი დათვალიერებები, კონკურსები, რომლებიც სისტემატურად ეწყობოდა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობით.

მუშათა ტექნიკური შემოქმედების განვითარებაში კიდევ უფრო ამაღლდა ინჟინერ-ტექნიკოსთა როლი. მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო. ინჟინერ-ტექნიკოსები სისტემატურად ეხმარებოდნენ მუშებს შემოქმედებით ძიებაში და ამით საკუთარ კვალიფიკაციასაც იმაღლებდნენ. წარმოების ნოვატორებისადმი ინჟინერ-ტექნიკოსთა დახმარების, მათი შემოქმედებითი კავშირის, მუშათა კლასის მოწინავე ნაწილის ტექნიკურ პროგრესში ჩაბმის მნიშვნელოვან ფორმებად გადაიქცნენ საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები, ეკონომიკური ანალიზისა და ტექნიკური ინფორმაციის ბიუროები, ტექნიკური პროგრესის უნივერსიტეტები და ინსტიტუტები.

საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროების შექმნის ინიციატორებად 1960 წელს გამოვიდნენ სვერდლოვსკის ოლქის მოწინავე საწარმოთა ინჟინრები და კონსტრუქტორები. მათ მხარი აუბეს საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა და სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, რომლებმაც აღნიშნულ ბიუროებში გააერთიანეს ყველაზე მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსები. კონსტრუქტორები და წარმოების ნოვატორები.

საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები მოკლე დროში გადაიქცნენ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის მნიშვნელოვან ორგანოდ. ისინი ხელს უწყობდნენ ინჟინერ-ტექნიკოსთა და ნოვატორთა კვალიფიკაციის ამაღლებას და საკონსტრუქტორო კადრების რეზერვის მომზადებას. მთელ თავიანთ საქმიანობას ეს ბიუროები აგებდნენ საზოგადოებრივ საწყისებზე და მეტად დიდი სარგებლობა მოჰქონდათ სახალხო მეურნეობისათვის. მაგალითად, ბაკურიანის ელექტრიფიცირებული რკინიგზის მშენებლობის მთელი საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია საზოგადოებრივ საწყისებზე

შეადგინეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებმა.

შვიდწლედის ბოლო წლებში რესპუბლიკის საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუშაობდა 235 საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიურო. მათში ჩაბმული იყო 2 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი, ინჟინერ-ტექნიკოსი და წარმოების ნოვატორი.

მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საწარმო-დაწესებულებებში აგრეთვე ეკონომიკური ანალიზის ბიუროები და ჯგუფები, ტექნოლოგიური ბიუროები, რომლებშიც საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროების ჩათვლით 1966 წლის დამდეგისათვის მუშაობდა 10 ათასზე მეტი ნოვატორი, ინჟინერ-ტექნიკოსი, ეკონომისტი.

რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებში 1961 წლიდან დაიწყო ნოვატორთა საბჭოების შექმნა. მათ შემადგენლობაში წარმოების ნოვატორებთან ერთად შედიოდნენ მოწინავე სპეციალისტები. ნოვატორთა საბჭოების მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. მათი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ წარმოების ხელმძღვანელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებების შერჩევასა და დანერგვაში. შვიდწლედის ბოლოს ნოვატორთა საბჭოები მოქმედებდნენ რესპუბლიკის 85 საწარმოში.

მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებაში, მათი საწარმოო-ტექნიკური დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები. რესპუბლიკაში შვიდწლედის ბოლოს მოქმედებდა 16 დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ 70 ათასამდე ინჟინერ-ტექნიკოსს, მეცნიერ მუშაკსა და წარმოების ნოვატორს. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ტექნიკურ პროგრესში, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებაში. მარტო 1962 – 1965 წლების განმავლობაში სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების მიერ დამუშავებული რეკომენდაციებისა და წინადადებების დანერგვის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ მიიღო 30 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

მშრომელთა შრომითი და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებაზე. სოციალისტური მშენებლობა შეუძლებელია მის გარეშე. "პროლეტარიატის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლის შემდეგ, - წერდა ვ. ი. ლენინი, - ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის შემდეგ... მაგალითის ძალა პირველად ღებულობს შესაძლებლობას თავისი მასობრივი მოქმედების მოსახდენად"[57].

მოწინავე გამოცდილების გავრცელების მრავალგვარი ფორმა არსებობდა სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე. იგი უფრო გამდიდრდა ომის შემდგომ პერიოდში.

შვიდწლედის პერიოდში არა მარტო გაფართოვდა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, არამედ გაჩნდა მისი გავრცელების სხვადასხვა ფორმაც. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ნოვატორთა სკოლები, მოწინავე გამოცდილების საქარხნო, ქარხანათშორისო და რესპუბლიკური და რესპუბლიკათშორისო სკოლები, საკონსულტაციო პუნქტები მოწინავე საწარმოებში, სხვადასხვა სახის სემინარები და თათბირები, კომუნისტური შრომის სკოლები, ტექნიკური ცოდნის უნივერსიტეტები. საქართველოს სსრ პროფსაბჭოსთან შეიქმნა მოწინავე გამოცდილების მუდმივმოქმედი სკოლა. მას ჰქონდა სექციები მრეწველობის წამყვანი დარგების მიხედვით: ლითონდამუშავების, შედუღების, ღარვის, სამშენებლო საქმის, ლითონის თერმიული დამუშავებისა და სხვ[58]. მოწინავე გამოცდილების გავრცელების კარგი სკოლა იყო აგრეთვე სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, ჩვენი ქვეყნის მოწინავე და მონათესავე საწარმოებში კომპლექსური ბრიგადების მივლინებები ნოვატორთა გამოცდილების გასაცნობად.

1965 წელს საქართველოში მუშაობდა 15 ქარხანათაშორისო რესპუბლიკური სკოლა. მათ მუშაობაში მონაწილეობდნენ არა მარტო რესპუბლიკის ნოვატორები, არამედ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან მოწვეული ნოვატორებიც[59]. მაგალითად, ლითონის ღარვის პროგრესული მეთოდების შემსწავლელ რესპუბლიკურ სკოლაში, რომელიც შექმნა 1963 წელს საქართველოს პროფსაბჭომ თბილისის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტთან ერთად[60], რესპუბლიკის საწარმოთა მღარავებს ასწავლიდნენ ცნობილი ლენინგრადელი მღარავის დ. ლეონოვის შრომის მოწინავე მეთოდებს. დ. ლეონოვი ორჯერ იყო მოწვეული საქართველოში. რესპუბლიკის ნოვატორებს მან ფართოდ გაუზიარა თავისი გამოცდილება. ამ დიდი დამსახურებისათვის იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა[61].

მოწინავე გამოცდილების სკოლების მეშვეობით რესპუბლიკის საწარმოებში ბევრი სხვა ნოვატორის გამოცდილებაც დაინერგა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ივანოველი ფეიქრის მ. კულაკოვას მეთოდი მთელი პროდუქციის პირველი ხარისხით გამოშვების შესახებ[62]. თბილისელმა ელმავალმშენებლებმა გადმოიღეს ნოვოჩერკასკელ ელმავალმშენებელთა მიერ დანერგილი წარმოების განუწყვეტელი დაგეგმარების მეთოდი[63]. მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის ნაყოფიერად მუშაობდნენ შახტთაშორისო საკავშირო სკოლები. ასეთი სკოლები მოეწყო დონეცკსა და ყარაგანდაში. მათ მუშაობაში მონაწილეობდნენ ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეებიც.

შრომის მოწინავე გამოცდილების მრეწველობაში დანერგვისათვის დიდი როლი შეასრულეს სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა. მათი ინიციატივით 1962 – 1964 წლებში რესპუბლიკაში მოეწყო 220-ზე მეტი სკოლა და სემინარი, რომელთა მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 150 ათასამდე კაცმა[64].

მოწინავე გამოცდილების გავრცელების ზოგიერთი ახალი ფორმა გაჩნდა სოფლის მეურნეობაშიც. 1961 წლიდან წითელწყაროს, მახარაძის,

გორის, ზუგდიდის, ყვარელის, საგარეჯოს რაიონების პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა მოწინავე გამოცდილების სკოლები. ეს ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ სკოლებს ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ნოვატორები: მათ შორის იყვნენ ცნობილი მეჩაიეები: ტ. ჩხაიძე და ლ. მაღულარია (მახარაძის რაიონი), თ. ყუფუნია (ზუგდიდის რაიონი), ე. ზაქარიაძე (ქობულეთის რაიონი), მესიმინდეები კ. სანდუხაძე (ზუგდიდის რაიონი), მ. გურაბანიძე (ყვარელის რაიონი), მევენახეები: გ. მექვევრიშვილი (გურჯაანის რაიონი), მ. ლომიძე (ყვარელის რაიონი), შ. ეცადაშვილი (გორის რაიონი), მექანიზატორები გ. ცერცვაძე (გორის რაიონი), გ. დოლიძე (წითელწყაროს რაიონი), გ. სიხაშვილი და ი. ბაიდოშვილი (სიღნაღის რაიონი), მეჭარხლე ს. მარიდაშვილი (კასპის რაიონი), 1963 წელს ორასამდე ასეთი სკოლა იყო შექმნილი. სკოლების ორგანიზაციაში და მათ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები. 1965 წლის მაისში ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილ მეჩაიეთა სკოლაში ლექციებს კითხულობდა აკად. ქს. ბახტაძე.

ზოგიერთ რაიონში მუშაობდნენ აგრეთვე კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა სკოლები, სადაც სწავლობდნენ მეურნეობის გაძღოლის მეთოდებს.

სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების გავრცელების მიზნით, რესპუბლიკაში და მის გარეთ, ეწყობოდა ექსკურსიები, შეხვედრები მეზობელ კოლმეურნეობათა ნოვატორებთან, გამოფენები. მოწინავე გამოცდილებას სოფლად აშუქებდნენ რაიონული და საკოლმეურნეო გაზეთები, რესპუბლიკური გაზეთი "სოფლის ცხოვრება".

1963 წლიდან რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო შრომის საქარხნო კულტურის დანერგვა. იმის მიუხედავად, რომ კოლმეურნეობებში შრომის საქარხნო კულტურა მეტისმეტად ნელა ინერგებოდა შვიდწლედის პერიოდში, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო იმის ჩანასახი, თუ რა გზით უნდა გადაქცეულიყო სასოფლო-სამეურნეო შრომა სამრეწველო შრომის ნაირსახეობად. შრომის საქარხნო კულტურის შემოღება კოლმეურნეობებში ამაღლებს შრომის დისციპლინას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, გარკვეულად უწყობს ხელს ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა ლიკვიდაციას.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამოვლინების, ნოვატორთა გამოცდილების გავრცელების და მათი პროპაგანდის ერთ-ერთ ახალ ფორმას, რომელიც წარმოიშვა შვიდწლედის პერიოდში, წარმოადგენდა კომუნისტური შრომის სკოლები. თუ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების სხვა ფორმები უმთავრესად ემსახურება მხოლოდ შრომის პროგრესული მეთოდების შესწავლას, კომუნისტური შრომის სკოლებში საწარმოო სწავლება და ახალი ადამიანის აღზრდა ერთმანეთთან მჭიდრო

კავშირშია. ეს სკოლები მასობრივ-პოლიტიკური და საწარმოო პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე რაციონალური ფორმა იყო.

1963/64 სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიული განათლების ქსელში არსებობდა 300-მდე კომუნისტური შრომის სკოლა. განსაკუთრებით ფართო გავრცელება პოვა მან აფხაზეთში. კარგად მუშაობდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის სკოლები[65].

მშრომელთა შრომითი და შემოქმედებითი აქტივობის ზრდა უშუალოდ არის დაკავშირებული მათ წარმოების მართვაში მონაწილეობასთან. ყველაზე გავრცელებული ფორმა მრეწველობასა და ტრანსპორტზე იყო საწარმოო თათბირები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით (1958 წლის ივნისი) მუდმივმოქმედ ორგანოებად გადაკეთდა. მათ შემადგენლობაში აირჩევდნენ წარმოების ნოვატორებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, პარტიული და პაროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ისინი განიხილავდნენ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მოწინავე გამოცდილების გაზიარების, ახალი ტექნიკის დანერგვის, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სხვა მრავალ საკითხს. მათ გადაწყვეტილებებს სათათბირო ხასიათი ჰქონდა. მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები შექმნილი იყო როგორც საწარმოთა მასშტაბით, ისე საამქროებში, არასამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებშიც.

საქარხნო და საფაბრიკო მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების რიცხვი შვიდწლედის პერიოდში გაიზარდა 1 630-დან 1 867-მდე, მონაწილეთა რაოდენობა კი 50 993 კაციდან 73 953 კაცამდე, შესაბამისად გადიდდა მათში მუშათა რაოდენობა – 35 ათასიდან 50 ათასამდე. სულ შვიდწლედის პერიოდში საქარხნო და საამქრო მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირების მუშაობაში მონაწილეობდა 465 ათასი კაცი, მათ შორის მუშები შეადგენდნენ 322 ათას კაცს, ე. ი. საერთო მონაწილეთა თითქმის 70 პროცენტს.

მრეწველობის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლამ, რაც ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის დადგენილების საფუძველზე და რომელიც დაადასტურა სკკპ XXIII ყრილობამ, შექმნა უფრო ხელსაყრელი პირობები მშრომელთა წარმოების მართვაში ფართოდ ჩასაბმელად.

გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მშრომელთა საწარმოო აქტივობის ამაღლების საქმეში. მთელი რიგი დამახინჯებების მიუხედავად, საკოლმეურნეო დემოკრატიის განვითარება აღმავალი გზით მიემართებოდა. გაიზარდა კოლმეურნეთა საერთო კრებების როლი და მნიშვნელობა. ეს კრებები გადაიქცა საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლეს კანონმდებელ ორგანოებად.

ამრიგად, შვიდწლედის პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. გაჩნდა ამ აქტივობის

ზოგიერთი ახალი ფორმაც, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

---

[1] **ვ. ი . ლენინი,** თხზ., ტ. 31, გვ. 612.
[2] გაზ. "კომუნისტი", 1959 წლის 13 იანვარი.
[3] "სკკპ XXII ყრილობის მასალები", თბ., 1962, გვ. 259.
[4] საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. საანგარიშო მოხსენება. გაზ. "კომუნისტი", 1961 წლის 28 სექტემბერი.
[5] იქვე.
[6] "საქართველოს კომუნისტური პარტია ციფრებში", 1976 წ., გვ. 9.
[7] იქვე, გვ. 11.
[8] გაზ. "კომუნისტი", 1960 წლის 24 – 25 მარტი; 1962 წლის 24, 27 თებერვალი; 1963 წლის 8, 11, 12 ოქტომბერი; 1965 წლის 13 ოქტომბერი.
[9] ცნობები შეჯამებულია ავტორის მიერ საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მონაცემების საფუძველზე.
[10] გაზ. "კომუნისტი", 1965 წლის 13 ოქტომბერი.
[11] საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მონაცემები.
[12] გაზ. "კომუნისტი", 1962 წლის 8 მარტი, 1963 წლის 21 მარტი.
[13] იქვე, 1962 წლის 21 მარტი.
[14] იქვე, 1959 წლის 20 მარტი, 1963 წლის 22 მარტი.
[15] იქვე, 1959 წლის 20 მარტი.
[16] იქვე, 1963 წლის 22 მარტი.
[17] იქვე, 1965 წლის 26 მარტი.
[18] იქვე, 1959 წლის 20 მარტი.
[19] ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი", 1966 წ. N 4, გვ. 62.
[20] გაზ. "კომუნისტი", 1965 წლის 13 ოქტომბერი.
[21] გაზ. "კომუნისტი", 1958 წლის 28 ნოემბერი.
[22] გაზ. " ახალგაზრდა კომუნისტი", 1958 წლის 29 ნოემბერი.
[23] გაზ. "კომუნისტი" 1958 წლის 9 დეკემბერი.
[24] გაზ. "ლენინელი", 1959 წლის 19 დეკემბერი; გაზ. "სოციალისტური რუსთავი", 1959 წლის 26 ივლისი.
[25] გაზ. "კომუნისტი", 1958 წლის 26, 27 ნოემბერი.
[26] იქვე, 30 ნოემბერი.
[27] იქვე, 1960 წლის 16 აპრილი.
[28] Газ. «Заря Востока», 30 мая 1964 года.
[29] დადგენილება პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს პრეზიდიუმის (1964 წლის 3 მაისი), თბ., 1964, გვ. 9 – 12.
[30] **ვ. ი. ლენინი,** თხზ., ტ. 29, გვ. 499.
[31] «Правда», 3 апреля 1959 г.
[32] გაზ. "კომუნისტი", 1965 წლის 1 აგვისტო.
[33] Газ. «Заря Востока», 12 января 1963 г.
[34] საქართველოს პროფსაბჭოს მიმდინარე არქივი. საანგარიშო მოხსენება პროფკავშირების XII ყრილობაზე.
[35] გაზ. "კომუნისტი", 1965 წლის 6 იანვარი.
[36] გაზ. "კომუნისტი", 1960 წლის 10 ნოემბერი.
[37] გაზ. "მეტალურგი", 1961 წლის 26 მაისი.
[38] გაზ. "კომუნისტი", 1963 წლის 21 მაისი.

[39] Газ. «Заря Востока», 10 февраля 1963 г.
[40] Газ. «Заря Востока», 16 ноября 1963 г.
[41] გაზ. “კომუნისტი”, 1964 წლის 13 მაისი.
[42] გაზ. “ქუთაისი”, 1963 წლის 29 იანვარი.
[43] გაზ. “კომუნისტი”, 1964 წლის 13 მაისი.
[44] იქვე, 1964 წლის 9 ივლისი.
[45] გაზ. “კომუნისტი”, 1964 წლის 6, 7 იანვარი.
[46] იქვე, 1965 წლის 6, 7 იანვარი.
[47] იქვე, 26 იანვარი.
[48] გაზ. “ქუთაისი”, 1963 წლის 1 აპრილი.
[49] Газ. «Заря Востока», 13 января 1965 г.
[50] გაზ. “ქუთაისი”, 1964 წლის 29 მარტი.
[51] იქვე, 1963 წლის 2 მარტი.
[52] გაზ. “კომუნისტი”, 1965 წლის 5 მარტი.
[53] Газ. «Заря Востока», 15 декабря 1961 г.
[54] გაზ. “კომუნისტი”, 1965 წლის 5 მარტი.
[55] ჟურნ. “საქართველოს ეკონომისტი”, 1965 წ. N 4, გვ. 22.
[56] შემდეგ მას მიანიჭეს რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება.
[57] **ვ. ი . ლენინი,** თხზ., ტ. 27, გვ. 307.
[58] საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მიმდინარე არქივი, საანგარიშო მოხსენება საქართველოს პროფკავშირების XIII ყრილობა (1965 წ. 8 – 9 ოქტომბერი).
[59] იქვე.
[60] გაზ. “კომუნისტი”, 1963 წლის 9, 17 ივლისი, 2 ოქტომბერი.
[61] Газ. «Заря Востока», 963 წლის 2 ოქტომბერი.
[62] პროფსაბჭოს მიმდინარე არქივი.
[63] იქვე.
[64] Газ. «Заря Востока», 20 октября 1963 г.
[65] Газ. «Заря Востока», 27 марта 1964 г., გაზ., ”კომუნისტი”, 1963 წლის 18 ივლისი.

§ 4. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა შვიდწლედში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ (1959 წლის იანვარ-თებერვალი), რომელმაც შეაჯამა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე მოპოვებულ მიღწევათა შედეგები, აღნიშნა, რომ სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების საფუძველზე საბჭოთა ქვეყანა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში უდიდეს გარდაქმნათა შედეგად, შევიდა განვითარების ახალ, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში. სამრეწველო მოცულობის მიხედვით ამ დროისათვის საბჭოთა კავშირმა პირველი ადგილი დაიკავა ევროპაში და მეორე ადგილი მსოფლიოში. 1913 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 36-ჯერ გაიზარდა. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდასთან ერთად გაფართოვდა მოხმარების საგნების წარმოება – იგი 1940 წელთან შედარებით 2,7-ჯერ გაიზარდა[1].

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა კი იმ დარგების განვითარებას, რომლებისთვისაც არსებობდა ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები, რათა უფრო ეფექტიანად ყოფილიყო გამოყენებული თითოეული რესპუბლიკის რესურსები მთელი კავშირის საერთო ინტერესებთან შეხამებით. ყრილობამ დასახა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გზა. "სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომმა ტექნიკურმა პროგრესმა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომმა ზრდამ, - ნათქვამია ყრილობის გადაწყვეტილებებში, - უნდა უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება"[2]. დაახლოებით 40 პროცენტით უნდა გაზრდილიყო მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი და კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო პენსიების მინიმალური ოდენობის გადიდება, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საბინაო და კომუნალური მშენებლობის ფართოდ გაშლა, სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირება და სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

"უკვე ახლა, - ნათქვამია სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციაში, - საბჭოთა საზოგადოებაში მატერიალური და კულტურული სიკეთის სულ უფრო მზარდი წილი უფასოდ ნაწილდება პენსიების, მოსწავლეთა სტიპენდიების, მრავალშვილიანი დედების დახმარების, სკოლებისა და საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, ბაგების, ინტერნეტების, აგრეთვე კლუბების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სხვა დაწესებულებათა მშენებლობისა და შენახვისათვის საჭირო სახსრების სახით. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდის ეს წილი სულ უფრო გადიდდება, რაც განაწილების კომუნისტურ პრინციპზე თანდათანობით გადასვლის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარია"[3].

ა) რაოდენობრივი ცვლილებანი მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობაში.

რეალური ხელფასის ზრდა

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის წლებში მოისპო უმუშევრობა და, ამგვარად, გადაიჭრა მოსახლეობის დასაქმების უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემა. სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხობრივი ზრდა როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ნათელი დადასტურება იყო.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობრივი ცვლილება ასახულია მე-12 ცხრილში[4].

ცხრილი 12

წლები	მუშა-მოსამსა-ხურეთა საერთო რაოდენობა (ათასობით)
1959	863
1960	940
1961	1.008
1962	1065,0
1963	1.090,0
1964	1.140,0
1965	1.202,0

1965 წელს სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1959 წელთან შედარებით გაიზარდა 339 ათასით, რაც უფრო მეტი იყო, ვიდრე მოსახლეობის ზრდის საერთო მაჩვენებელი. იცვლებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მოსახლეობის დასაქმების ურთიერთშეფარდება. მრეწველობასა და მშენებლობაზე დასაქმებული მოსახელობის ხვედრითი წონა შეადგენდა 1958 წელს 21 პროცენტს, 1963 წელს – 24, 1964 და 1965 წლებში – 25 პროცენტს[5]. სოფლის მეურნეობაში (სატყეო მეურნეობისა და პირადი დამხმარე მეურნეობის ჩათვლით) 1958 წელს ჩაბმული იყო მოსახლეობის 51 პროცენტი, 1963 წელს – 45, 1964 და 1965 წლებში – 43 პროცენტი; ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშაობდა 1958 წელს მოსახლეობის 5 პროცენტი, ხოლო 1963 – 1965 წლებში – 6 პროცენტი; ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, დამზადებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში ჩაბმული მოსახლეობის ხვედრითი წონა შვიდწლედში შეადგენდა 5 პროცენტს; სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში დასაქმებული იყო 1958 წელს მოსახლეობის 12 პროცენტი, 1963 წელს – 14, 1964 და 1965 წლებში – 15 პროცენტი[6], ხოლო სახელმწიფო მმართველობის, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებებში (2%) და სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგებში (საბინაო-კომუნალური და სხვ.) ჩაბმული მოსახლეობის ხვედრითი წონა (4%) სტაბილური იყო შვიდწლედის მთელი პერიოდისათვის.

ამრიგად, საქართველოს სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა მთლიანად სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა შორის გაიზარდა მრეწველობაში, ტრანსპორტზე და ზოგიერთ სხვა დარგში, ხოლო სოფლის მეურნეობაში 8 პროცენტით შემცირდა.

უნდა აღინიშნოს ქალთა ხვედრითი წონის ზრდა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შორის. 1960 წელს მათი რიცხვი შეადგენდა 374 ათასს, ანუ მუშა-მოსამსახურეთა 40 პროცენტს, 1965 წელს კი 503 ათასს, ანუ 42 პროცენტს[7]. განსაკუთრებით გაიზარდა ქალთა რაოდენობა საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში (14-დან 49%-მდე), რამდენადმე შემცირდა მათი ხვედრითი წონა მშენებლობაზე (12-დან 11%-მდე). 2 პროცენტით გადიდდა ქალთა ხვედრითი

წონა მუშა-მოსამსახურეთა შორის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო მმართველობის, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ესოდენ მნიშვნელოვანი ზრდა თავის ასახვას პოულობს ქალაქების მოსახლეობის გადიდებაში. ქალაქების მოსახლეობა მთლიანად საბჭოთა კავშირში 1959 წლის იანვრისათვის შეადგენდა 100 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის 48 პროცენტს, ხოლო 1964 წლის ივლისისათვის – 119,8 მლნ, ანუ 53 პროცენტს[8].

საქართველოს მოსახლეობა 1959 წლის იანვრისათვის ოდნავ აღემატებოდა 4 მლნ კაცს, მათ შორის ქალაქში ცხოვრობდა 1 713 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 42,4 პროცენტი[9], ხოლო 1965 წელს საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 4,5 მლნ-მდე, მათ შორის ქალაქების მოსახლეობა უდრიდა 2,1 მლნ., ანუ 47 პროცენტს[10]. მიუხედავად ამისა, ხვედრითი წონის მიხედვით საქართველოს ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში ჩამორჩებოდა საერთო-საკავშირო მაჩვენებელს[11]. ავტონომიურ რაიონებში კი ასეთი სურათი გვაქვს: აფხაზეთის ასსრ 1959 წლის იანვარში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა პროცენტულად შეადგენდა 37-ს, 1965 წელს კი 40-ს, აჭარის ასსრ შესაბამისად – 45,2 და 47 პროცენტს, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – 24,5-ს და 30,3 პროცენტს[12].

მოსახლეობის საერთო ზრდის პირობებში რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რაოდენობის კლებას, რაც აიხსნებოდა სოფლის მოსახლეობის რამდენადმე შემცირებით. მთლიანად კი სოფლის მოსახლეობის რაოდენობა შვიდწლედში 65 ათასით გაიზარდა[13]. საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მონაცემების მოტანა. ბუნებრივმა მატებამ ათას სულ მოსახლეზე შეადგინა 1960 წელს 18,2 პროცენტი, ხოლო 1965 წელს – 14,1 პროცენტი.

ქალაქის მოსახლეობის მატების მონაცემები შესაბამისად ასეთია: 15,7 და 12,2 პროცენტი[14]. ქალაქების მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი ჩამორჩებოდა მთლიანად მოსახლეობის ბუნებრივ მატებას. საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ზრდის დინამიკა უფრო თვალსაჩინოა თბილისის მაგალითზე. თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ათას სულ მოსახლეზე უდრიდა 1960 წელს 12,3 პროცენტს, ხოლო 1965 წელს – 9,9 პროცენტს[15]. სამაგიეროდ გაიზარდა თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდის კოეფიციენტი: 1960 წელს იგი შეადგენდა 9,2 ათასს, ხოლო 1965 წელს – 9,5 ათას კაცს[16].

საქართველოში ქალაქების რაოდენობა შვიდწლედის პერიოდში გაიზარდა 33-დან 44-მდე, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებისა – 37-დან 54-მდე.

1959 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოს მეოთხე ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირში მოსახლეობის

სიმჭიდროვით, მეექვსე ადგილი – მოსახლეობის რაოდენობით; მეცხრე ადგილი – მოსახლეობის ზრდის ტემპისა და ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონის მიხედვით.

ქალაქების მოსახლეობის ზრდა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც უკავშირდება სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გაფართოებას. მოვიყვანთ ზოგიერთ მონაცემს: შვიდწლედის პერიოდში უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციიდან ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 1964 წელს თუჯი კგ-ობით 182 ნაცვლად 1958 წლის 168-ისა; ფოლადი 300-მდე ნაცვლად 244-ისა; ცემენტი 267 ნაცვლად 90-ისა, ელექტროენერგია 1 210 კვტს ნაცვლად 739-ისა[17].

ცხოვრების დონე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის მთავარია მშრომელთა ხელფასის ზრდა და მოხმარების ფონდების გაფართოება, რაც თავის მხრივ უშუალოდაა დაკავშირებული მატერიალური წარმოების ტემპზე, შრომის ნაყოფიერების დონეზე.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობაა მშრომელთა რეალური შემოსავლის ზრდა.

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების XII ყრილობამ (1959 წლის მარტი) ყურადღება გაამახვილა ხელფასის მოწესრიგების საკითხზე, აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური დაინტერესების პრინციპს.

ვ. ი. ლენინი 1921 წელს სტატიაში ”ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის” წერდა, რომ კომუნიზმი უნდა ვაშენოთ ”არა უშალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით”...[18]

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა სტიმულირების ფორმებით: სანარდო ანაზღაურება, ფულადი პრემიები, ორდენებით დაჯილდოება და ა. შ. ამ ფორმებში კარგად იყო შეხამებული მატერიალური და მორალური სტიმულები. პარტიამ არაერთი ღონისძიება დასახა განსახილველ პერიოდში მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის.

სკკპ XXI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის დეკემბრის პლენუმმა აღნიშნეს კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის აუცილებლობა. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში შემოღებულ იქნა კოლმეურნეთათვის ავანსები და ყოველთვიური გარანტირებული ხელფასი. შრომის ანაზღაურების ეს ფორმა ხელს უწყობდა კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას, მათი შრომითი აქტივობის განვითარებას, შინასამეურნეო ანგარიშიანობის განხორციელებას, აღრიცხვა-ანგარიშსწორების გამარტივებას. ფულად ანაზღაურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით კოლმეურნეთათვის დაწესდა შვებულება, აგრეთვე დამატებითი ანაზღაურება, მოგების ფონდებიდან ზეგეგმით პროდუქციაზე. მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპის სათანადოდ გამოყენება სოფლის მეურნეობის აღმავლობის ერთ-ერთ

მნიშვნელოვან პირობად იქცა. მაგრამ, როგორც სსრ კავშირში მთლიანად, ასევე საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთ ნაწილში შრომის ანაზღაურების სისტემა ჯერ კიდევ სრულყოფილი არ იყო, მატერიალური დაინტერესების პრინციპები ზოგან სუსტად ხორციელდებოდა.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე მიღებული კანონის შესაბამისად 1959 წელს ქვანახშირის მრეწველობისა და შავი მეტალურგიის მუშა-მოსამსახურეთა შემდეგ, რესპუბლიკაში შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნენ ფერადი მეტალურგიის, ქიმიური, ცემენტის მრეწველობის, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა და კონსტრუქციების საწარმოები, ასევე მანქანათსაშენებელი და ლითონდამმუშავებელი, ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშა-მოსამსახურენი. არსებითად გადიდდა უპირატესად მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. 1960 წელს კი დამთავრდა მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე ხელფასის შენარჩუნებით.

სამუშაო დღის შემოკლების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო კვირის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა 39,4 საათს[19].

1960 წლის 7 მაისის კანონის საფუძველზე იმავე წლის ოქტომბრიდან საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლდნენ ის მუშა-მოსამსახურეები, რომელთა თვიური ხელფასი 60 მანეთს არ აღემატებოდა, ხოლო 61–70-მანეთიან ხელფასხე გადასახადი საშუალოდ 40 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ღონისძიების შედეგად 1960 – 1961 წლებში რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს საშუალოდ წლიურად 6 მლნ მანეთზე მეტი დამატებითი შემოსავალი.

1961 წლის იანვრიდან გატარდა საბჭოთა ფულის რეფორმა. 10:1 თანაფარდობით იქნა გაანგარიშებული ყველა საქონლის საბითუმო, საანგარიშსწორებო, საცალო და შესყიდვის ფასები, აგრეთვე მოსახლეობის შემოსავალი და დანაზოგი.

1961 წელს დიდი მუშაობა ჩატარდა, რათა დამთავრებულიყო საქართველოს მრეწველობის, მშენებლობის, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა, საგზაო მეურნეობის, საქალაქო ელექტროტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

1962 წლის დამდეგს შრომის ანაზღაურების ახალი პირობებით მუშაობდა ნახევარ მილიონამდე მუშა-მოსამსახურე[20]. ამავე წელს განაღდებულ იქნა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის 1957 წლის გამოშვება. მშრომელებს დაუბრუნდათ 150 მლნ მანეთი[21].

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს IV სესიამ (1964 წლის 13 – 15 ივლისი), რომელმაც განიხილა საკითხი ”ხალხის კეთილდღეობის

გაუმჯობესების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების ღონისძიებათა შესახებ”, 1964 წლის 15 ივლისს მიიღო კანონი ”კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ”[22]. მოხუცებულობის გამო პენსიის მიღების უფლება ეძლეოდათ კოლმეურნეებს – მამაკაცებს 65 წლის ასაკში სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟით, ხოლო ქალებს 60 წლის ასაკში არა ნაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟით.

ამ კანონით გათვალისწინებული პენსიებისა და დახმარების გასაცემად შეიქმნა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდი კოლმეურნეობათა შემოსავლიდან გადარიცხვებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურ ასიგნებათა ხარჯზე. 1965 წლის დამდეგიდან განხორციელდა კოლმეურნეთა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიით. საბჭოთა კავშირში მთლიანად 1959 წლის დამდეგს პენსიონერთა რიცხვი შეადგენდა 10 მლნ კაცს, 1965 წელს კი მათი რაოდენობა 26 მილიონამდე გადიდდა[23]. საქართველოში პენსიას იღებდა 1960 წლის დამდეგს 358 ათასი კაცი, ხოლო 1965 წელს – 403 ათასი კაცი[24].

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის შემოღება კოლმეურნე გლეხობის შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ახალ დიდმნიშვნელოვან სტიმულად იქცა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1961 წლის 25 ივნისის დადგენილების შესაბამისად საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშათა ხელფასი საშუალოდ 20–25 პროცენტით გადიდდა, დაწესდა პრემირების ახალი სისტემა, რაც ითვალისწინებდა მუშათა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას არა მარტო პროდუქციის საერთო წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არამედ მათზე დანახარჯების შემცირებისათვის.

1959 – 1964 წლებში თითქოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელთაც გამოიწვიეს სოფლის მეურნეობის დაქვეითება და ამის შედეგად სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუარესება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის ცნობილმა პლენუმებმა ბოლო მოუღეს გაუმართლებელ ექსპერიმენტებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში და დასახეს სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების პრაქტიკული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილება ”სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ” ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებულ შეცდომათა დაძლევის გზაზე. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის

ამაღლების ინტერესები მოითხოვდნენ განსაკუთრებულ ზრუნვას სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედგომი განვითარებისათვის. პლენუმზე აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა სოფლის მეურნეობის მუშაკების მატერიალური და მორალური სტიმულირების საკითხის გადაწყვეტა[25].

მრეწველობის მუშაკთა, როგორც მუშების, ისე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების საკითხთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1965 წლის 29 სექტემბერს თავის დადგენილებაში "მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ" აღნიშნა, რომ საჭიროა გავაძლიეროთ სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირება, გავადიდოთ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება საწარმოთა მუშაობის შედეგების გაუმჯობესებით[26].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოიცავდნენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ახლებურად მუშაობის ყველა მხარეს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურების სფეროს სხვა დარგების მუშაკთა ხელფასის მომატების შესახებ[27].

ამ კანონის თანახმად ხელფასის მომატება უნდა განხორციელებულიყო 1964 – 1965 წლებში. განათლების მუშაკთა ხელფასი იზრდებოდა საშუალოდ 25 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის დარგისა – 23, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა – 18, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებისა – 15 პროცენტით[28].

აღნიშნული კანონის განხორციელების შედეგად 1964 წელს საბჭოთა კავშირში ხელფასი გაუდიდდა 9 მილიონზე მეტ მუშაკს, მათ შორის საქართველოში მომსახურების სფეროს 600 ათას მუშაკს[29].

ამრიგად, შვიდწლედის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მინიმუმი და მთლიანად მათი რეალური შემოსავალი.

ბ) საბინაო მშენებლობა. კომუნალური მომსახურება.

შვიდწლიანმა გეგმამ დასახა საბინაო და კომუნალური მშენებლობის ფართო პროგრამა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილება ”სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ” ითვალისწინებდა საბინაო მშენებლობის შემდგომ გაფართოებას მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც.

სსრ კავშირს პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში როგორც საცხოვრებელი ბინების მშენებლობის მასშტაბის, ისე მშენებლობის ტემპის მიხედვითაც.

თბილისის XXIX საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ (1960 წლის იანვარი) და თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ (1960 წლის თებერვალი) განიხილეს კაპიტალური მშენებლობის საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ 1959 წელს თბილისში აშენდა 221 ათასი კვ მ საცხოვრებელი ფართობი, ანუ 5 ათასი კვ მეტრით მეტი, ვიდრე მშენებლებმა იკისრეს როგორც ვალდებულება ქ. რიგის მშრომელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში[30], ცალკეულმა სამეშენებლო ორაგნიზაციებმა ვერ შეასრულეს საბინაო მშენებლობის 1959 წლის გეგმა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით სამშენებლო ორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგად საექსპლოატაციოდ გადაეცა 91,2 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 98,9 ათასი კვ მეტრისა[31]. საბინაო მშენებლობის ნაკლი იყო არარიტმულობა, რაცი წვევდა სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების ზრდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1960 წლის მარტში განიხილეს საკითხი ქ. თბილისში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სათანადო უწყებები ვერ იცავდნენ რიგითობის პრინციპს ბინების განაწილებისას, რაც მშრომელთა უკმაყოფილებას იწვევდა, მოსახლეობის ნაწილი ცხოვრობდა ავარიულ ბინებსა და სარდაფებში. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის მტკიცე წესის დადგენა.

შვიდწლედის მეორე წელს საბინაო მშენებლობა კიედვ უფრო გაფართოვდა, განსაკუთრებით ქალაქების დაუსახლებელ ნაკვეთებზე – მასივებში, სადაც აღიმართა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ინდუსტრიალიზაცია და ფართო მექანიზაცია ხელს უწყობდა მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირებას.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ (1961 წლის 17 – 31 ოქტომბერი). საბინაო მშენებლობის ფართო მასშტაბების მიუხედავად, საბინაო პრობლემა კვლავ მწვავედ იდგა. ამიტომ პარტია და მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავდნენ ამ საქმეში ტემპის დასაჩქარებლად, მათ შორის სოფლად.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა საბინაო მშენებლობაში არსებული ხარვეზების დასაძლევად. 1961 წელს რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა სახელმწიფო, აგრეთვე მოსახლეობის სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით აგებული ერთ მილიონზე მეტი კვ მ საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები[32]. ამასთან სახელმწიფოს ხარჯზე აშენებული საცხოვრებელი ფართობი 6 პროცენტით აღემატებოდა 1960 წლის დონეს, თუმცა რესპუბლიკამ ვერ შეასრულა საბინაო მშენებლობის 1961 წლის გეგმა.

1962 წლიდან საქართველოში, ისევე როგორც მთელ სსრ კავშირში, საბინაო მშენებლობის გაფართოებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მოწყობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობიდან თანდათანობით გადასვლას მრავალბინიანი კეთილმოწყობილი კოოპერატიული სახლების მშენებლობაზე.

კოოპერაციულ სამშენებლო ამხანაგობებს სახელმწიფო უზრუნველყოფდა კრედიტებით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 60 პროცენტის ოდენობით. სახელმწიფო სესხი უნდა დაფარულიყო 10–15 წლის განმავლობაში. მშენებლობა ხორციელდებოდა სახელმწიფო ორგანიზაციების ტიპობრივი პროექტების შესაბამისად.

1962 წელს ახალი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები მოეწყო თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, გორში, ჭიათურასა და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში. საბინაო სამშენებლო კოოპერატივებმა კრედიტის სახით სახელმწიფოსაგან მიიღეს 4,7 მლნ მან.[33].

1962 წელს ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 1,1 მლნ კვ მ საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, აქედან სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრებით აშენდა 0,6 მლნ კვ მ, სოფელ ადგილებში კი მრავალი ასეული საცხოვრებელი სახლი[34]. რესპუბლიკამ ვერც 1962 წელს შეასრულა საბინაო მშენებლობის გეგმა. 1963 წელს აშენდა 1,2 მლნ კვ მ საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. აქედან სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრებით – 0,8 მლნ კვ მ, ანუ 15 პროცენტით მეტი[35], ვიდრე 1962 წელს, თუმცა გეგმიური დავალებანი ვერც ამ წელს შესრულდა. 1964 წელს სახელმწიფოს, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა ერთ მილიონზე მეტი კვ მ საცხოვრებელი ფართობი, აქედან სახელმწიფო მშენებლობის ხაზით – 0,7 მლნ კვ მ, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის ხაზით – ასი ათასზე მეტი კვ მ. გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს 5,2 ათასი საცხოვრებელი სახლი[36]. მარტო თბილისში სახელმწიფო, კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, ქალაქის მოსახლეობამ ააშენეს 342,7 ათასი კვ მ საცხოვრებელი ფართობი, აფხაზეთის ასს რესპუბლკაში – 58,4 ათასი კვ მ,

აჭარის ასს რესპუბლიკაში – 55,2 ათასი კვ მ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – 12,1 ათასი კვ მ საცხოვრებელი ფართობი[37].

1965 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 1,1 მლნ კვ მ საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. აქედან სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენდა 680 ათასი კვ მ, საბინაო-კოოპერაციის ხაზით – 95 ათასი კვ მ. გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს 7 ათასი საცხოვრებელი სახლი. 1965 წელს ახალმოსახლეობა იზეიმა და საბინაო პირობები გაიუმჯობესა 138 ათასმა კაცმა[38].

სულ შვიდწლედის მანძილზე საქართველოში სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ საექსპლოატაციოდ გადასცეს 11,2 მლნ კვ მ საცხოვრებელი ფართობი[39], მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა სახსრებით (სახელმწიფო კრედიტის დახმარებით) აშენდა თითქმის 3 მლნ კვ მ ფართობი, ხოლო კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგნეციის მიერ – 3,9 მლნ კვ მ ფართობი[40].

საბინაო მშენებლობის გაფართოების საქმეში დიდი როლი ეკისრებოდათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. საქართველოს პროფკავშირების XII ყრილობამ (1963 წლის ოქტომბერი) ყურადღება გაამახვილა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, მათ შორის საბინაო მშენებლობის მდგომარეობისადმი. მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოსთან შექმნილი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხელშეწყობის საზოგადოებრივი საბჭო.

რესპუბლიკის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იყო 1958 წელს დაწყებული ყარადაღ-თბილისის გაზსადენის მშენებლობა, რომელიც 1959 წლის ნოემბრისათვის დამთავრდა. გაზის მიღებასთან დაკავშირებით უკვე 1959 წლის ბოლოს ფართოდ გაიშალა საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის სამუშაოები თბილისსა და რუსთავში. 1960 წლის 11 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ”ქალაქების თბილისისა და რუსთავის გაზიფიკაციის ღონისძიებათა შესახებ”, რომელშიც აღინიშნა მუშაობის ამ უბანზე არსებული ხარვეზები, კერძოდ, ჩამორჩენა დაბალი წნევის გაზსადენების მშენებლობაში, საცხოვრებელი ბინების გაზიფიკაციაში და სხვა.

სამრეწველო, კომუნალურ საწარმოთა და საცხოვრებელი ბინების ბუნებრივ გაზზე გადაყვანის სამუშაოებთან ერთად 1960 წელს გრძელდებოდა ქალაქებისა და დაბების გაზიფიკაცია თხევადი გაზით. მარტო თბილისში გაზიფიცირებულ იქნა 2,7 ათასი ბინა[41].

1961 წლისათვის გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი ფონდის მნიშვნელოვან გაფართოებასთან ერთად გაზიფიკაციის გადიდება თითქმის 2-ჯერ.

ბუნებრივი გაზით რესპუბლიკის შეუფერხებელი მომარაგების მიზნით 1961 წლის ბოლოს დაიწყო ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობა, რომლის მეშვეობით საქართველომ მიიღო ბუნებრივი გაზი რუსეთის ფედერაციიდან (კრასნოდარის მხარე). ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი, რომლის მშენებლობა დაიწყო 1962 წლის პირველი კვარტალის ბოლოს, საექსპლოატაციოდ გადაეცა შედარებით მოკლე დროში – 1963 წლის ოქტომბრისათვის. 221 კმ სიგრძის გაზსადენი უნიკალური ნაგებობა იყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პრაქტიკაში. ბუნებრივ გაზზე გადასვლამ ხელი შეუწყო ბინების გაზიფიკაციის შემდგომ გაფართოებას. 1965 წელს გაზიფიცირებული ბინების რაოდენობამ მიაღწია 208 ათასს, ნაცვლად 23 ათასისა 1960 წელს[42], მათ შორის თბილისში შვიდწლედის ბოლოს გაზიფიცირებული იყო 99 ათასი კვ მ ფართობი ნაცვლად 14 ათასი კვ მეტრისა 1960 წელს[43].

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს აშენდა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის 6 სადგური, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

გ) მოსახლეობის სავაჭრო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება

საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, ტექნიკური პროგრესის, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობები მუდამ მოითხოვენ მომსახურების სფეროს სრულყოფას. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა და ხარისხი მნიშვნელოვანი ელემენტია ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებათა სისტემაში.

საქონელბრუნვა და ვაჭრობა დაკავშირებულია სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოებასთან, მის ასორტიმენტსა და ხარსიხთან, მისი მოცულობის ზრდა უკავშირდება და ასახავს კიდეც მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონესაც.

სკკპ XXI ყრილობის მითითებათა განსახორციელებლად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 20 თებერვალს მიიღეს დადგენილება ”საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ”[44]. დადგენილებაში აღინიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი როგორც ქალაქად, ისე სოფლად, გაიზარდა ამ საწარმოთა აღჭურვა სამაცივრო, ტექნოლოგიური და სავაჭრო მოწყობილობით, გაუმჯობესდა მოსახლეობის მომსახურება. მაგრამ საზოგადოებრივი კვების დონე ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს და ვერ უზრუნველყოფდა უფრო მასობრივი,

მოსახლეობისათვის მოსახერხებელი და ხელსაყრელი გაეხადა საზოგადოებრივი კვება. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში, მუშათა დაბებში და სოფლად საკმარისი რაოდენობით არ იყო სასადილოები და სასაუზმეები. უაღრესად შეზღუდული იყო ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის წარმოება.

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 24 აპრილს მიიღეს დადგენილება რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების თაობაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ავტომატ-სასაუზმეებისა და კაფეების ქსელის გაფართოებას[45]. ამავე საკითხის განხილვას მიეძღვნა რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული აქტივის კრებები, რომლებმაც დასახეს საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პრაქტიკული ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების XII ყრილობამ პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა გაეუმჯობესებინათ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა. ეს საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის აპრილის პლენუმმაც. იმ დროისათვის საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რაოდენობა რესპუბლიკაში 3 ათასს აღემატებოდა[46], მათ შორის აჭარაში იყო საზოგადოებრივი კვების 262 საწარმო, ხოლო აფხაზეთში 286 საზოგადოებრივი კვებისა და 312 საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო.

მაგრამ, ეს საწარმოები უთანაბროდ იყო განლაგებული არა მარტო რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს შორის, არამედ თვით ქალაქების შიგნითაც.

პლენუმმა საჭიროდ ცნო საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოება. უკვე 1959 წლისათვის დასახული იყო ნახევარფაბრიკატების 29 საწარმოს გახსნა. საერთოდ კი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელს 1959 – 1965 წლებში 1400 საწარმო (64 ათასი ადგილით) უნდა შემატებოდა, მათ შორის სოფლად 600 საწარმო (ძირითადად საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებთან). ამასთან რესპუბლიკის ქალაქებში ფართოვდებოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების, სამკერვალო, ავეჯის ფაბრიკებისა და სახელოსნოების ქსელი.

პლენუმზე დაისვა სასათბურე მეურნეობის ორგანიზაციისათვის ცაიშის, ხობისა და თბილისის ცხელი წყაროების გამოყენების საკითხი.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით სოფლად საქონელბრუნვის ზრდა 68 პროცენტით, რაც რამდენადმე აღემატებოდა საქონელბრუნვის ზრდას ქალაქად[47].

1959 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ რესპუბლიკაში სამომხმარებლო

კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობის ჩათვლით შეადგინა 5,3 მლრდ მანეთი და 1958 წლის პირველ ნახევართან შედარებით 4 პროცენტით გადიდდა[48].

ყოველწლიურად იზრდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილებზე, ტრიკოტაჟის ნაწამრზე, ტყავფეხსაცმელზე, ავეჯზე და სხვა საქონელზე. მოსახლეობის მიერ აღნიშნული საქონლის შეძენის გადიდების მიუხედავად მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე ვერ კმაყოფილდებოდა.

ბევრი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების დონე, - ნათქვამი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხის განხილვის გამო, - ჩამორჩება მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებებს. მეტად მცირე რაოდენობით გამოდის პლასტიკური მასებისა და სხვა სინთეზური მასალებისაგან დამზადებული საქონელი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებს და უწყებებს დაევალათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის ასორტიმენტის გასაფართოებლად საჭირო ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება. ამასთან გათვალისწინებული იყო აღნიშნული საქონლის სამამულო და საზღვარგარეთული უახლესი ნიმუშების ათვისება და მათი სერიული წარმოება.

დიდი ყურადღება მიექცა ვაჭრობაში ახალი, პროგრესული ფორმების დანერგვას. 1959 წლის ოქტომბრიდან ქალაქებში მოეწყო მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა ნისიად გადახდის განაწილებით. სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით 1959 წელს რესპუბლიკაში მოეწყო თვითმომსახურების 44 სასურსათო მაღაზია, ნახევარფაბრიკატებით მოვაჭრე 23 მაღაზია, ღია გამოფენითა და ნიმუშებით მოვაჭრე სამრეწველო საქონლის 206 მაღაზია, მათ შორის სოფლად 68[49], ხოლო ნისიად გაყიდული საქონლის ღირებულებამ ამ პერიოდში შეადგინა 12 მლნ მანეთზე მეტი[50].

მაგრამ, როგორც საქართველოს კპ XX ყრილობაზე (1960 წლის იანვარი) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვის ზრდის დონე რესპუბლიკაში უფრო დაბალი იყო, ვიდრე საქონელბრუნვის ზრდის საშუალო ტემპები და დონე მთლიანად საბჭოთა კავშირში. მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოები ვერ ითვალისწინებდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებას საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხზე. ასეთი მდგომარეობა კი მოითხოვდა ვაჭრობის მნივშნელოვან გაფართოებას და მისი ყოველი რგოლის მუშაობის გაუმჯობესებას, სავაჭრო ქსელის გაფართოებას უმთავრესად მაღალმთიან რაიონებში, რასაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, მით უმეტეს, რომ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა საქონელბრუნვის გეგმის

შესრულების მხრივაც. თუ 1958 წელს საცალო საქონელბრუნვის გეგმა სახელმწიფო და კოოპერაციულმა ვაჭრობამ 3,3 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა, 1959 წელს გეგმა 2,4 პროცენტის დანაკლისით შესრულდა[51].

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 აგვისტოს დადგენილებაში საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ აღნიშნულია, რომ საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების ამოცანა მოითხოვს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ამისათვის აუცილებელი იყო ვაჭრობის საგრძნობი გაუმჯობესება[52].

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ამ დადგენილების მნიშვნელობას ხაზი გაუსვა საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკთა აქტივის კრებამ (1960 წლის აგვისტო) თავის მიმართვაში რესპუბლიკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკისადმი - ”ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა”[53].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, რომელსაც საფუძვლად დაედო ზემოხსენებული დადგენილება[54], ყურადღება გამახვილებულია სავაჭრო ქსელის გაფართოების საკითხზე. თუ საბჭოთა კავშირში საშუალოდ ერთი სავაჭრო საწარმო მოდიოდა 392 კაცზე ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული ერთი საწარმოსი – 200-250 კაცზე, უარესი მდგომარეობა იყო საქართველოში, პირველ რიგში თბილისში, სადაც ერთი საცალო ვაჭრობის საწარმო მოდიოდა 422 კაცზე[55]. ამას თან ერთვოდა სავაჭრო მომსახურების დაბალი კულტურა. შვიდწლედის შემდგომი წლებისათვის დასახული იყო არა მარტო ახალი მაღაზიებისა და საწყობების მშენებლობა, არამედ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მსხვილ ქალაქებში სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, მაღაზიების, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კომპლექსით.

1960 წლის 6 ნოემბერს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ კვლავ განიხილეს საკითხი საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესების თაობაზე და მოუწოდეს საქალაქო და რაიონულ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ ყურადღება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი. მაგრამ ამ პერიოდში ვერ მოხერხდა საზოგადოებრივი კვების გაფართოების დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. რესპუბლიკის ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციაში სუსტად ინერგებოდა მომსახურების ახალი ფორმები – სადილების გაცემა, ნახევარფაბრიკატების, კულინარული ნაწარმის გაყიდვა. საზოგადოებრივი კვების ობიექტებს აკლდა სასადილო და სამზარეულო ინვენტარი.

მნიშვნელოანი ღონისძიებანი განხორციელდა მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფი განვითარებისათვის, რომელთა ხვედრითი წონა საქართველოს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში თითქმის 58 პროცენტს შეადგენდა. კვების მრეწველობის პროდუქციის დიდი ნაწილი (ჩაი, კონსერვი, ღვინო, თევზი) იგზავნებოდა როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, ასევე საზღვარგარეთ.

რესპუბლიკის მრეწველობამ აითვისა და მოაწყო სახალხო მოხმარების მთელი რიგი ახალი სახეობის ნაწარმის მასობრივი წარმოება (სარეცხი მანქანები, მცირეგაბარიტიანი ავეჯი, კლავიშებიანი ინსტრუმენტები და სხვ.)

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა მიღებულ იქნა მოქმედ საწარმოთა გაფრთოებისა და რეკონსტრუქციის, არსებულ მოწყობილობათა უკეთ გამოყენებისა და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის საფუძველზე.

1960 წელს შენდებოდა მსხვილი სამრეწველო ობიექტები – გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი, თბილისში კამვოლური, ტრიკოტაჟის, აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკები, ღვინის N 3 ქარხანა, პარფიუმერიის ფაბრიკა, ზესტაფონის N 2 ღვინის ქარხანა, სურამის მინის ქარხანა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სხვა საწარმოები. გაიზარდა სპეციალიზებული მაღაზიების რაოდენობა. 1960 წლის ნოემბერში სახელმწიფო ვაჭრობა ითვლიდა 1287 სპეციალიზებულ სამრეწველო და სასურსათო მაღაზიას, რომელთა შორის 332 სავაჭრო დაწესებულება გადაყვანილ იქნა ვაჭრობის ახალ ფორმებზე. სამომხმარებლო კოოპერაციის 698 სპეციალიზებული საწარმოდან ვაჭრობის ახალი მეთოდით მუშაობდა 389 მაღაზია[56].

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებას ხელს უწყობდა კაპიტალდაბანდებათა განუხრელი ზრდა.

მაგრამ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში მოპოვებული მიღწევები დამაკმაყოფილებელი არ იყო, თუ მათ განვიხილავდით საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხისადმი მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდის თვალსაზრისით. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის, სამკერვალო, ფეხსაცმლის მთელი რიგი ფაბრიკები თავიანთი პროდუქციით ვერ აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებას და გემოვნებას. ნელი ტემპით ხორციელდებოდა ამ საწარმოებში ახალ სახეობათა საქონლის ათვისება.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების დონე, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ხარისხი და კულტურა, საცალო ვაჭრობის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიუხედავად, ჩამორჩებოდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ასეთ პირობებში ახლებურად და უფრო გადაჭრით დგებოდა, ერთი მხრივ, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და, მეორე მხრივ, ვაჭრობას შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. სავაჭრო ორგანიზაციები სათანადოდ ვერ სწავლობდნენ მოსახლეობის

მოთხოვნილებებს ამა თუ იმ სახეობის საქონელზე და ამის შესაბამისად ზეგავლენას ვერ ახდენდნენ ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის 1960 წლის დეკემბრის პლენუმმა განიხილა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საკითხი[57]. როგორც პლენუმმა აღნიშნა, მიუხედავად მიღწევებისა, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება ჩამორჩებოდა მოთხოვნილებას, განსაკუთრებით ახალ საცხოვრებელ მასივებში (ბინების, ავეჯის, საოჯახო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების შეკეთებისა და სხვ.), მოწესრიგებული არ იყო წყლით მომარაგება, შესაცვლელი იყო არსებული საკანალიზაციო ქსელი, არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა სატელეფონო ქსელი.

1960 წლის 1 მარტიდან შემცირდა რძისა და რძის პროდუქტების, აბრეშუმის ქსოვილის, შეკერილი ნაწარმის, სპორტული და რადიოსაქონლის და სახალხო მოხმარების ზოგიერთი სხვა საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები, ხოლო 1 აპრილიდან საშუალოდ 14 პროცენტით შემცირდა მედიკამენტების სახელმწიფო საცალო ფასები, მათ შორის ზოგიერთი პრეპარატისა 46,5 და 57 პროცენტით[58].

1960 წლის განმავლობაში ნისიად გაყიდული საქონლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 3,5 მლნ მან.[59]. გაფართოვდა სავაჭრო დაწესებულებათა ქსელი. მარტო თბილისში 1960 წელს გაიხსნა 80-ზე მეტი კეთილმოწყობილი სავაჭრო საწარმო. რამდენადმე გაუმჯობესდა სავაჭრო ობიექტების დისლოკაცია. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ მოსახლეობას მიეყიდა მეტი ელექტრომტვერსასრუტები, სარეცხი და საკერავი მანქანები, ტელევიზორები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე (1961 წლის სექტემბერი) აღინიშნა საქონელბრუნვის ტემპის შენელება, რაც აიხსნებოდა სერიოზული ნაკლოვანებებით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და ვაჭრობის ორგანიზაციაში.

ყრილობამ პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ვაჭრობის სამინისტროს მოსთხოვა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ მშრომელთა სავაჭრო მომსახურება, გაეფართოებინათ სავაჭრო ქსელი, მუდმივი ყურადღება გამოეჩინათ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი.

სოფლად სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი დასახა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებამ, რომელიც 1961 წლის 25 იანვარს ჩატარდა[60].

შვიდწლედის მესამე წელს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა წინა წლის მონაცემებს 1,6 პროცენტით აღემატებოდა, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა 1960 წლის დონეზე დარჩა. სულ შვიდწლედის

სამი წლის განმავლობაში საქონლის გაყიდვა რესპუბლიკაში გადიდდა 2 პროცენტით. თბილისში 1961 წელს გაიხსნა 77 ახალი სავაჭრო ობიექტი, მათ შორის უნივერსალური მაღაზია "ბავშვთა სამყარო" და საზოგადოებრივი კვების 38 საწარმო, თანდათან ინერგებოდა უგამყიდველო და ნისიად ვაჭრობის პრაქტიკა[61]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქონელბრუნვის ერთგვარი გაფართოების მიუხედავად, მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე კვლავინდებურად ვერ კმაყოფილდებოდა, ზოგ შემთხვევაში საქონლის დაბალი ხარისხის გამო, რაც გავლენას ახდენდა საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზეც. რესპუბლიკამ ვერ შეასრულა 1961 წლის საერთო საქონელბრუნვისა და 1962 წლის საცალო საქონელბრუნვის გეგმები. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1962 წელს წინა წელთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭროების საწარმოებში საქონელბრუნვა გაიზარდა 6,6 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა – 6,2 პროცენტით[62].

აღნიშნულ საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 4 ნოემბერს მიიღეს ერთობლივი დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ჯავის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონების 436 დასახლებულ პუნქტს მომსახურებას უწევდა 42 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. 37 სასოფლო საბჭოდან 26 სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არც ერთი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო არ არსებობდა.

სამხრეთ ოსეთში ცოტა იყო ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ელექტროხელსაწყოებისა და სხვა შემკეთებელი სახელოსნოები, დაბალი იყო მომსახურების კულტურა. არ სრულდებოდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმა. ოლქში არსებულ 125 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტიდან 73-ში მუშაობდა მხოლოდ თითო კაცი, რაც გამორიცხავდა ნამდვილ კონტროლს ამ ობიექტების საქმიანობისადმი. სამხრეთ ოსეთში საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შორის მთავარი იყო საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების გამსხვილება, მომსახურების თვითღირებულების შემცირება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ბრიგადების მივლინება, საოჯახო საგნების გასაქირავებელი პუნქტების მოწყობა და სხვ.

ქიმიური ინდუსტრიის განვითარება ხელს უწყობდა სახალხო მოხმარების ფართო ასორტიმენტის საქონლის წარმოებას ხელოვნური ბოჭკოების, ტყავის შემცვლელების, პლასტიკური მასებისა და სხვა მასალების წარმოების გადიდების გზით. გაიზარდა საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოთა ქსელი. 1963 წელს 5 პროცენტით გაიზარდა სახელმწიფო და კოოპერაციული

ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, თუმცა ვაჭრობის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა[63].

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე (1964 წლის იანვარი) აღინიშნა, რომ 1963 წელს მოსახლეობას მიეყიდა თითქმის 23 მლნ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე 1962 წელს. 1964 წლის იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 17 ათასამდე საწარმო. 1960 – 1963 წლებში ქალაქებსა და სოფლებში მწყობრში ჩადგა 1 750-ზე მეტი ახალი სავაჭრო საწარმო, მათ შორის კეთილმოწყობილი და უახლესი სავაჭრო ტექნიკით აღჭურვილი ბევრი მაღაზია, პავილიონი, კაფე და სასადილო. გაფართოვდა სავაჭრო მომსახურება სოფლად. 1963 წელს სამომხმარებლო კოოპერაციის ხვედრითმა წონამ რესპუბლიკის საერთო საქონელბრუნვაში 30 პროცენტი შეადგინა[64].

ყრილობამ პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსა და "ცეკავშირის" გამგეობას დაავალა უზრუნველეყოთ ვაჭრობის შემდგომი ზრდა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესება[65]. მაგრამ რესპუბლიკაში მოსახლეობის მომსახურების მოცულობა საშუალოდ ერთ სულზე ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა სსრ კავშირის საშუალო მაჩვენებელს. ვაჭრობის დარგში ჩამორჩენის მიზეზთა შორის მთავარი იყო თვით ვაჭრობის ცუდი ორგანიზაცია და მრეწველობის მიერ სავაჭრო ქსელისათვის საქონლის მიწოდების გეგმის შეუსრულებლობა როგორც რაოდენობის, ისე ასორტიმენტის მხრივ.

ნაკლოვანებანი იყო მუშათა მომარაგების დარგში. მუშათა მომარაგების სამმართველოს სისტემაში ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი საქონლის ნისიად გაყიდვის პრაქტიკა, მაღაზიები და სასადილოები მუშაობდნენ მხოლოდ დღის საათებში, ერთ ცვლად, განლაგებული იყვნენ უთანაბროდ.

1964 წელს საცალო საქონელბრუნვის გეგმა რესპუბლიკაში მთლიანად ვერ შესრულდა, თუმცა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1964 წელს 1963 წელთან შედარებით გაიზარდა 2,6 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა – 3,3 პროცენტით, გაიზარდა აგრეთვე სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა[66].

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ფასების დაკლება საცალო ვაჭრობის ცალკეულ საქონელზე. 1965 წლის 25 აპრილის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით სახელმწიფო საცალო ფასები შემცირდა შალისა და ბამბანარევი შალის ქსოვილებზე – 8 პროცენტით, ხელოვნური და ნატურალური აბრეშუმის ქსოვილებზე – 15, სელის ქსოვილებსა და ველვეტ-კორდის ბამბის ქსოვილებზე – 20, კაპრონის წინდებზე – 28, ქაშაყსა და კაკაოს ფხვნილზე – 45 პროცენტით.

ამასთანავე გაუქმდა სოფლად გასაყიდი საქონლის (ტყავის, რეზინის, სელის ქსოვილები, ბეწვეულის ნაწარმი და სხვ.) საცალო ფასების ფასნამატი.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1965 წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო. ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო, შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან – საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები.

რადგანაც სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა ქალაქის მოსახლეობის მომსახურებას (თუ ქალაქად ერთ სულ მოსახლეზე საყოფაცხოვრებო მომსახურების ღირებულება 11მან. და 96კაპ. შეადგენდა, სოფლის მოსახლეობაზე გაანგარიშებული 1მან და 96კაპიკს არ აღემატებოდა), სოფლად მომსახურების ობიეტები ძირითადად განლაგებული იყო რაიონულ ცენტრებში, მათ უმრავლესობას არ გააჩნდა მოსახლეობისაგან დაკვეთების მიმღები პუნქტები და ა. შ., ამიტომ სოფლის მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისა და ერთ სისტემაში თავმოყრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს დაავალა სოფლის მოსახლეობის მომსახურებაც. ამრიგად, მას დაექვემდებარა საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ობიექტი სოფლად, რომელიც აქამდე სამომხმარებლო კოოპერაციის გემგებლობაში ითვლებოდა.

1965 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების 6 787 საწარმო ითვლებოდა, რომლებშიც 30 ათასზე მეტი მუშაკი იყო დასაქმებული. აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი რიგი მსხვილი საწარმოები ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში, ტყიბულსა და ტყვარჩელში, პირველ რიგში მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან და ახალი საცხოვრებელი მასივების ტერიტორიაზე. ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და ღებვის ფაბრიკები აშენდა თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში. გაიხსნა აბანო-სამრეცხაოები, ავტოპროფილაქტორიუმები და სხვ. დაარსდა მომსახურების ბიუროები. 1965 წლის ივლისისათვის რესპუბლიკაში 17 ასეთი ბიურო მუშაობდა, ნაცვლად ერთისა 1963 წელს.

რესპუბლიკის კურორტებზე მოეწყო მთელი რიგი საყოფაცხოვრებო ობიექტები, მაგალითად, სოხუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური პავილიონი ”თანამგზავრი”, გაგრაში გაიხსნა კომპლექსური მომსახურების 3 პავილიონი. გაფართოვდა ასევე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი ბათუმში, წყალტუბოსა და სხვა საკურორტო ადგილებში.

განსახილველ პერიოდში რესპუბლიკაში არ არსებობდა საცხოვრებელი ბინების შეკეთების არც ერთი სპეციალური ორგანიზაცია, გარდა თბილისის აღმასკომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიამ (1965 წლის 19 – 20 ივნისი) აღნიშნა მოსახლეობის მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებანი, რომელთა გამო როგორც სამრეწველო, ისე არასამრეწველო ხასიათის მომსახურების მოცულობის მხრივ საქართველო საგრძნობლად ჩამორჩებოდა საერთო-საკავშირო მაჩვენებელს.

უმაღლესი საბჭოს სესიამ მოიწონა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დამკვიდრებული ეკონომიკურად ძლიერი კოლმეურნეობების ინიციატივითა და სახსრებით საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის პრაქტიკა და დასახა ღონისძიებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დასაჩქარებლად. განსაკუთრებით რესპუბლიკის იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც დაბალი იყო მოსახლეობის მომსახურების დონე.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგად სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო საქონელბრუნვის მოცულობა რესპუბლიკაში 1965 წელს წინა წელთან შედარებით გადიდდა 8,7 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა კი 4,1 პროცენტით. ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვა[67].

შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის მიერ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების შეძენა, რასაც ხელი შეუწყო ზოგიერთი საგნის წარმოების ათვისებამ საქართველოს მრეწველობის მიერ. მაგალითად, ამ პერიოდში ბათუმის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ დაიწყო სარეცხი მანქანების წარმოება. 1965 წელს გამოშვებულ იქნა 5 101 ც. პიანინო და როიალი, ნაცვლად 2 018-ისა 1958 წელს და 231 მლნ მანეთის ღირებულების ავეჯი, ნაცვლად 1958 წელს გამოშვებულ 14 მლნ მანეთის ღირებულებისა. მაგრამ კვლავ რჩებოდა ადგილობრივი სამრეწველო რეზერვების, ნედლეულისა და ნარჩენების გამოყენების საფუძველზე სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების შემდგომი გადიდების ამოცანა.

შვიდწლედის მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა როგორც სამრეწველო, ისე არასამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურება. 1964 წელს საქართველოში იყო 4 061 ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის, ავეჯის, ქიმიური წმენდისა და ღებვის, აგრეთვე მოსახლეობის სამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა სახელოსნო, საამქრო და ატელიე. 1959 წელს კი მათი რაოდენობა შეადგენდა 2 265-ს[68], მათ შორის 1 772 ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას.

გაიზარდა მოსახლეობის არასამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებაც. ამ პროფილის საწარმოთა (საოჯახო საგნების გამქირავებელი პუნქტები და სხვ.) რაოდენობა 1964 წელს შეადგენდა 2 727-ს, მათგან სოფლად იყო 1 299 საწარმო-სახელოსნო[69].

1959 – 1965 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა სავაჭრო დაწესებულებანი 4 399 ადგილით და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებანი 2 800 ადგილით. მაგრამ სავაჭრო მომსახურების ხარისხი ვერ აკმაყოფილებდა მომსახურების ამ სფეროსადმი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

დ) ჯანმრთელობის დაცვა. ფიზიკური კულტურა და სპორტი

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით როგორც სსრ კავშირში მთლიანად, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებში გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მატერიალური ბაზის შემდგომი ზრდა, საავადმყოფოებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, ბავშვთა ბაგებსა და ბაღებში ადგილების რაოდენობის გადიდება, სამედიცინო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოება, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი.

საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საკითხებზე იმსჯელა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის კრებამ, რომელიც 1959 წლის მაისში ჩატარდა[70].

შვიდწლედის პირველსავე წელს დიდი სახსრები მოხმარდა კურორტ ბიჭვინთაში ჯანმრთელობის დაცვის კერების კომპლექსის მშენებლობას. 1959 წლის პირველ ნახევარში საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 1958 წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით, სანატორიუმებში – 4, დასასვენებელ სახლებში – 3 პროცენტით[71].

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1960 წლის მაისში[72]. ამ დროისათვის რესპუბლიკაში მუშაობდა 13,8 ათასზე მეტი ექიმი და 30,7 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი[73]. მაგრამ პლენუმზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი მასობრივ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობაში. სამედიცინო მომსახურების დონე, განსაკუთრებით რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში, ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას, დისპანსერიზაცია მოიცავდა მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს. ზოგიერთ

რაიონში (სიღნაღის, წალკის, მცხეთის, დუშეთის, საჩხერისა და სხვ.) ლიკვიდირებული არ იყო ცალკეული ინფექციური დაავადებანი. პლენუმმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭირო იყო სოფლად მომუშავე ექიმების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 27 თებერვალს მიიღეს დადგენილება, რომელშიც დასახეს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. როგორც ამ დადგენილებაშია აღნიშნული, მთელ რიგ შემთხვევებში არ სრულდებოდა საავადმყოფოების მშენებლობის გეგმები. ამის გამო საავადმყოფო საწოლებით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე საშუალოდ კავშირში. თბილისისა და ბათუმის ექიმების პატრიოტულმა ინიციატივამ რესპუბლიკის მაღალმთიან და შორეულ რაიონებში სამუშაოდ წასვლის თაობაზე ჯეროვანი გავრცელება ვერ პოვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით კურორტები გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების პროფესიულ კავშირებს, რაც მიზნად ისახავდა მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებას. საქართველოს პროფესიული კავშირების XI ყრილობაზე (1962 წლის თებერვალი) აღინიშნა, რომ პროფკავშირებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა შედეგად გადიდდა სამკურნალო დაწესებულებათა გამტარუნარიანობა.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს, მოწინავე კოლმეურნეობათა თაოსნობას საკოლმეურნეობათაშორისო 35–37-საწოლიანი საავადმყოფოების მშენებლობის შესახებ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კაპვშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს ეს ინიციატივა და კოლმეურნეობებს ურჩიეს ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი სახსრები პირველ რიგში მოეხმარებინათ სასოფლო, რაონული და საკოლმეურნეობათაშორისო საავადმყოფოებისა და აფთიაქების მშენებლობისათვის.

1962 წლის იანვარში ჩატარდა რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებების მუშაკთა აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის მომსახურებისათვის საჭირო სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნამ ხელი შეუწყო მოსახლეობის სხვადასხვა ინფექციური დაავადების მკვეთრ შემცირებას. კარგი შედეგები იქნა მოპოვებული რესპუბლიკაში ბავშვთა, განსაკუთრებით კი ჩვილ ბავშვთა მკურნალობის დარგში. გადიდდა საწოლების რაოდენობა ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებებში, ბაგებში, გაიზარდა ექიმ-პედიატრთა რაოდენობა, ამაღლდა მათი კვალიფიკაცია. თუმცა როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და

მინისტრთა საბჭოს მიერ 1961 წლის მაისში "ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურებისა და კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, შეიმჩნეოდა ნაკლოვანებანი ჩვილ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, კერძოდ, იგრძნობოდა ბავშვთა საავადმყოფოებში საწოლების ნაკლებობა, რის გამოც არ ხორციელდებოდა ავადმყოფ ბავშვთა სრული ჰოსპიტალიზაცია.

სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობაში საკუთარი ინიციატივით ჩაება გორის, თელავის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, მახარაძის და რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მრავალი კოლმეურნეობა. ამის შედეგად რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო 1600 საავადმყოფო საწოლი, გაუმჯობესდა სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვილობა. გაფართოვდა საწოლების ფონდი სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ობიექტები – 300-საწოლიანი პანსიონატი "საქართველო" გაგრაში, ასეთივე მოცულობის სანატორიუმი "იმერეთი" და 112-კაბინიანი სააბაზანო შენობა წყალტუბოში და სხვ. მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ (1961 წლის სექტემბერი) ზემოაღნიშნულ შედეგებთან ერთად მიუთითა, რომ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები ყოველთვის ვერ ითვისებდნენ სამკურნალო დაწესებულებათა კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს, რის გამოც ვერ სრულდებოდა საექსპლოატაციოდ საწოლების გადაცემის დაწესებული დავალებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის სესიამ (1962 წლის ივნისში)[74] განიხილა რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია ყველა პირობა მოსახლეობის ნორმალური სამკურნალო და პროფილაქტიკური მომსახურების უზრუნველსაყოფად. ასეთმა პირობებმა განსაზღვრა საქართველოში მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა (პოლიომიელიტი, ბრუცელოზი, მწვავე დიზენტერია და სხვ.) გავრცელების სფეროს საგრძნობი შემცირება. ამ დაავადებათ საშუალო მაჩვენებელი საქართველოში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე საშუალო საკავშირო. ამასთანავე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციფიკურობის გამო ქალთა შრომის დიდი ხვედრითი წონა აუცილებელს ხდიდა ყურადღების გაძლიერებას სოფლის მეურნეობაში მომუშავე ქალთათვის შრომისა და ჰიგიენის ნორმალური პირობების შესაქმნელად, ბავშვთა სეზონური ბაგა-ბაღების, დროებითი დასასვენებელი მოედნებისა და სასაუზმეების მოსაწყობად.

სესიამ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაავალა მეტი ყურადღება მიექციათ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სანიტარული კეთილმოწყობისათვის და მიეღოთ ზომები სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის კულტურის ასამაღლებლად,

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით მოეხდინათ აფთიაქებისა და სააფთიაქო მაღაზიების ქსელის რაციონალური დისლოკაცია[75].

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე (1964 წლის იანვარი) აღინიშნა, რომ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას ახორციელებდა 14 ათასზე მეტი ექიმი და 33 ათასზე მეტი საშუალო სამედიცინო პერსონალი. ეს იმას ნიშნავდა, რომ რესპუბლიკაში ერთი ექიმი მოდიოდა ყოველ 308 კაცზე. ამიტომ ყრილობამ შეუწყნარებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში იგრძნობოდა მედიცინის მუშაკთა ნაკლებობა.

1965 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჯანმრთელობის დაცვისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა. შვიდწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგა ახალი საავადმყოფოები და პოლიკლინიკები 5 794 საწოლით და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებანი 14 742 ადგილით. 1964 წელს საწოლების რაოდენობა სანატორიუმებში გაიზარდა 13,5 ათასიდან 15,5 ათასამდე, ხოლო დასასვენებელ სახლებში 5,7 ათასიდან 9,7 ათასამდე[76]. რესპუბლიკაში ყოველ 10 000 მოსახლეზე 1958 წელს მოდიოდა 31,6 ექიმი, 1964 წ. – 34,2, 1966 წლის 1 იანვრისათვის – 34,6, საშუალო სამედიცინო პერსონალი – 68,7, 81,5 შესაბამისად, საავადმყოფო საწოლი 1958 წ. – 68,5 და 1965 წელს – 84,0[77]. ექიმთა რაოდენობა შეადგენდა 1958 წ. – 13 070, ხოლო 1965 წლის ბოლოს 15 758 კაცს[78]; აფხაზეთში ექიმთა რიცხვი გაიზარდა 1 107-მდე 1966 წლისათვის, საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა 2 936-დან 3 248-მდე. საავადმყოფო საწოლების რიცხვი 2 620-დან 3 840-მდე[79]; აჭარაში საავადმყოფო საწოლების რაოდენობა გაიზარდა 1960-დან 1958 წელს 2 605-მდე 1966 წლის ბოლოს[80], ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 830-დან 920-მდე, საშუალო სამედიცინო პერსონალისა – 643-დან 788-მდე, ხოლო ექიმებისა – 173-მდე[81].

გაფართოვდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურების ქსელი რესპუბლიკაში.

პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბრძოლას ტრავმატიზმთან და პროფესიულ დაავადებებთან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1960 წლის აპრილში განიხილა სამრეწველო საწარმოებში ტრავმატიზმთან და პროფესიულ დაავადებებთან ბრძოლის მდგომარეობა. მართალია, შრომის უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის ღონისძიებებზე წლითიწლობით მილიონობით მანეთი იხარჯებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საწარმოო ტრავმატიზმის საშუალო მაჩვენებელი რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მაღალი იყო[82]. ზოგიერთ საწარმოში ყურადღება არ ექცეოდა სავენტილაციო მოწყობილობათა დადგმას, პირადი ჰიგიენის ოთახების მოწყობას და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ უზრუნველყო შობადობის

დონის შენარჩუნება და სიკვდილიანობის შემცირება. საბჭოთა კავშირში ხომ სიკვდილიანობის დონე ყველაზე დაბალია მსოფლიოში. მაგრამ შეიმჩნეოდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების რამდენადმე შემცირება შვიდწლედის უკანასკნელ წლებში.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მაჩვენებელია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. რესპუბლიკაში სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. შვიდწლედის პერიოდში რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო ახალი საცურაო აუზები, საფეხბურთო, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები. გარდა ამისა 1964 წელს რესპუბლიკაში ითვლებოდა 495 კომპლექსური სპორტული მოედანი, 588 სპორტული ტანვარჯიშის დარბაზი და სხვა სპორტული ნაგებობანი[83].

ფიზკულტურის კოლექტივების რაოდენობა რესპუბლიკაში 1965 წელს გადიდდა 6,5 ათასამდე, ხოლო სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა რიცხვი – 959-დან 1960 წელს, 2 186-მდე – 1965 წელს[84].

საქართველოს წარგზავნილთ არაერთხელ დაუცავთ რესპუბლიკის სპორტული ღირსება როგორც სსრ კავშირის, ასევე საზღვარგარეთის სპორტსმენებთან შეჯიბრებაში. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. თბილისის "დინამოს" კალათბურთელებმა 1962 წელს მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის თასი, ხოლო თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი 1964 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. თბილისელმა სტუდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა 1962 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჭადრაკში ქალთა შორის, ხოლო 1965 წელს კვლავ შეინარჩუნა ეს ტიტული. არაერთი გამარჯვება მოიპოვეს საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველმა მოჭიდავეებმა: გ. საღარაძემ, ზ. ბერიაშვილმა და სხვ. თბილისელი სპორტსმენი ომარ ფხაკაძე 1965 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი ველოსპორტში.

ე) სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებანი

შვიდწლედის პერიოდში საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში მთლიანად, განხორციელდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა და მასში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა და საზოგადოებრივი ფონდების ზრდა.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება იყო სოციალური უზრუნველყოფა. სახელმწიფო პენსიების ახალი კანონის მიღების შემდეგ პენსიების ოდენობა 2,3-ჯერ გაიზარდა. 1960

წელს საქართველოში მნიშვნელოვნად გადიდდა პენსიონერთა რიცხვი და პენსიების საერთო თანხა. ამასთან მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სახით და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებებზე. თუმცა ამ სფეროშიც ადგილი ჰქონდა ხარვეზებს, რომელიც მდგომარეობდა პენსიების დანიშვნის გაჭიანურებაში ან არასწორ დანიშვნაში, ინვალიდთა შრომით მოწყობაში და სხვ. ამრიგად. შვიდწლედის მეორე წელს რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო წინა წელზე მეტი პენსიები, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო და შეღავათიანი საგზურები და სხვა.

საქართველოს ეროვნული შემოსავალი 1958 წლის 2 124,0 მლნ მანეთიდან 1965 წელს გადიდდა 2 858,9 მლნ მანეთამდე.

სკკპ ახალმა პროგრამამ, რომელიც მიიღო სკკპ XXII ყრილობამ (1961 წ. 17 – 31 ოქტომბერი) დააყენა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა – საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონის უზრუნველყოფა[85].

ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი საბჭოთა კავშირში ხმარდებოდა მშრომელთა პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ისეთ საკითხებს, რომლებიც განსაზღვრავენ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას (მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება, ხელფასის მინიმალური დონის ამაღლება, შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, ხელფასის მომატება ინტელიგნეციის ნაწილისათვის – მასწავლებლებისა და ექიმებისათვის, საშუალო ხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა განაკვეთებისა და სარგოს გადიდება და ა. შ.), დიდი ღონისძიებანი განხორციელდა საპენსიო უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. 1960 წელს გაცემულმა თანხებმა და შეღავათებმა, რაც მოსახლეობამ მიიღო საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე, შეადგინა 426,9 მლნ მან[86].

მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით შვიდწლედის პირველი ოთხი წლის განმავლობაში გაიზარდა 18 პროცენტით.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1962 წლის 1 ივნისიდან გადიდდა კოლმეურნეობებისაგან სახელმწიფოს მიერ შესყიდული პირუტყვისა და ფრინველის შესასყიდი ფასები, კოლმეურნეთა წლიური რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გაიზარდა 5 პროცენტით. შესასყიდი ფასების გადიდებასთან ერთად გადიდდა ხორცის პროდუქტებისა და ერბო-კარაქის სახელმწიფო საცალო ფასები.

საქართველოს ეროვნულ შემოსავალში სახალხო მეურნეობის სხადასხვა დარგს ერთნაირი ხვედრითი წონა როდი ჰქონდა. წამყვანი როლი ეკუთვნოდა მრეწველობას (1958 წ. იგი იძლეოდა 890,1 მლნ მანეთს, 1965 წელს კი 1204,9 მლნ მანეთს). თუ 1958 წელს იგი შეადგენდა 41,9 პროცენტს, 1965 წელს გაიზარდა 56,6 პროცენტამდე[87]. ეროვნული შემოსავლის მოცულობა სახალხო

მეურნეობის სხვა დარგების მიხედვით შეადგენდა: მშენებლობაზე 1958 წ. – 157,8 მლნ მანეთს, ხოლო 1965 წელს – 295 მლნ მან., სოფლის მეურნეობაში – 786,6 მლნ და 941,8 მლნ მანეთს, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში – 32,5 მლნ მან. და 82,8 მლნ მანეთს, ვაჭრობაში, დამზადებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში – 257,0 მლნ მან. და 334,4 მლნ მანეთს.

განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილების მხრივ 1964 წელს. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით, მათ განკარგულებაში გადაცემულ იქნა დიდი მატერიალური და ფინანსური რესურსები, რამაც მკაფიო გამოხატულება პოვა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ზრდაში. 1964 წელს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები შეადგენდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტს, მაშინ როცა მათ წილად 1953 წელს მოდიოდა დაახლოებით 21 პროცენტი. მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებით ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯვის დაახლოებით 70 პროცენტის დაფინანსება[88].

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკებს ნება დაერთოთ საწარმოო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების 3 პროცენტამდე მოეხმარებინათ საბინაო და კომუნალური ობიექტების მშენებლობისათვის. ამ თანხების გამოყენების შედეგად კაპიტალდაბანდებანი საბინაო მშენებლობაზე 1964 წელთან შედარებით შვიდწლედის უკანასკნელ წელს 20 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო.

გარდა ამისა, ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტში არ შედიოდა კაპიტალურ დაბანდებათა საგრძნობი ნაწილი, რაც უშუალოდ საკავშირო ბიუჯეტის ხაზით ხორციელდებოდა. იგივე ითქმის იმ ხარჯების შესახებაც, რომლებიც ხმარდებოდა მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთელი რიგი საკავშირო დაქვემდებარების წარმოება-ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსებას.

სახელმწიფო გეგმებში ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზებისა და საშუალებების განსაზღვრისას პარტია და მთავრობა ხელმძღვანელობდნენ იმ პრინციპით, რომ, როცა სულ უფრო იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების როლი, სოციალიზმის პირობებში ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ძირითად წყაროს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდა და ანაზღაურება შრომის მიხედვით.

საბჭოთა ადამიანის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება აისახება ოჯახის ბიუჯეტის ზრდის, მისი სტრუქტურის ცვლილებებში.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლის სტრუქტურა, შემოსავლის წყაროების მიხედვით (მოსახლეობის სოციალურ ჯგუფებს შორის ფულის ბრუნვის გარეშე) 1964 წელს შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა: ხელფასი შეადგენდა 66,8 პროცენტს, კოლმეურნეობებიდან მიღებული ფულადი

შემოსავალი – 7,2 პროცენტს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე მიყიდვიდან მიღებული ფულადი შემოსავალი – 10,2 პროცენტს, პენსიები, დახმარებები და სტიპენდიები – 10,5 პროცენტს, სხვა დანარჩენი ფულადი შემოსავალი – 5,3 პროცენტს.

მოსახლეობის ერთ სულზე ფულადი შემოსავლის მოცულობის მხრივ საქართველო ჩამორჩებოდა კავშირის საშუალო მაჩვენებელს, ასევე ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკასაც.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ მიღებულმა სხვადასხვა დახმარებამ და შეღავათმა შეადგინა 1959 წელს 407,8 მლნ მან, 1960 წელს – 426,3 მლნ, 1961 წელს – 456,3 მლნ, 1964 წელს – 549,6 მლნ. მან, ხოლო 1965 წელს – 645,0 მლნ მან. ნაცვლად 396,7 მლნ მანეთისა 1958 წელს[89]. საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე ხორციელდებოდა უფასო სწავლება, სამედიცინო მოსახურება და სხვ. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან სახალხო განათლების ხარჯებმა (მეცნიერების, ბეჭდვითი სიტყვის, ხელოვნების, სწავლის ფასის გარდა) შეადგინეს 1960 წელს – 140,8 მლნ მან, 1965 წელს კი 228,6 მლნ მან; ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზკულტურის დარგში გაღებული სახსრები უდრიდა 87,9 მლნ მან. და 118,5 მლნ მან; სოციალური დაზღვევაზე – 142,2 მლნ მან. და 215,3 მლნ მან. მათ შორის პენსიებზე – 114,6 და 171,5 მლნ მან; სახელმწიფო ხარჯებმა საცხოვრებელი ფონდის შესანახად შეადგინეს 13,8 მლნ მან. და 19,2 მლნ მან. შვებულებათა ანაზღაურებაზე დაიხარჯა 38,9 და 57,9 მლნ მან. და სხვა[90]. ოფიციალური სტატისტიკის მოწმობით შეღავათები და სხვადასხვა სახის მოსაცემელი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა 1961 წლის 102 მანეთიდან 142 მანეთამდე 1965 წელს[91].

1964 წლის 1 ოქტომბრიდან შემოღებულ იქნა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მექანიზატორებისა და სპეციალისტების სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა, ხოლო 1965 წლის 1 იანვრიდან საპენსიო უზრუნველყოფა მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში კოლმეურნეობის ყველა წევრისათვის.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მარტო 1964 წელს სტიპენდიას იღებდა 30 ათასი სტუდენტი, 10 ათასი სტუდენტი სარგებლობდა უფასო საერთო საცხოვრებლით, 313 ათასი მშრომელი და მათი ბავშვები ისვენებდნენ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, პიონერულ ბანაკებში, 85 ათასი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედა იღებდა სახელმწიფო დახმარებას[92].

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული კანონები შვიდწლედის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგების, ხელფასის გადასახადების ნაწილობრივი გაუქმების, შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანის, აგრეთვე სხვა ღონისძიებები

მიმართული იყო საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა რესპუბლიკის მშრომელთა შრომითი დანაზოგის მოცულობა შემნახველ სალაროებში. 1960 წელს მოსახლეობის დანაზოგები შეადგენდა 214,7 მლნ მანეთს, 1965 წელს კი 355,1 მლნ მანეთს[93], ე. ი. შვიდწლედის განმავლობაში რესპუბლიკის შემნახველი სალაროების ანაბართა საერთო თანხა გადიდდა 140,4 მლნ მანეთით. ანაბართა საშუალო მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 1960 წელს 51,1 მან., ხოლო 1965 წ. – 78,1 მან[94]. მოსახლეობის შრომითი დანაზოგების მნიშვნელოვანი ზრდა მეტყველებდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ფართოვდებოდა შემნახველი სალაროების ქსელი, განსაკუთრებით გაფართოვდა იგი სოფლად, სადაც 1965 წელს მუშაობდა 731 შემნახველი სალარო[95]. ამავე მიზანს ემსახურებოდა რესპუბლიკის ქალაქში სახელმწიფო ბანკის საშემოსავლო სალაროების გაერთიანება შემნახველ სალაროებთან. თუ ადრე რესპუბლიკის ქალაქში 56 საშემოსავლო სალარო იღებდა მოსახლეობისაგან კომუნალურ გადასახდელებს, 1963 წლის 1 აგვისტოდან ამ ოპერაციებს აწარმოებდა 114 საშემოსავლო სალარო.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დიდი წარმატებებისა რესპუბლიკის მოსახელობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ყველა სფეროში, შვიდწლედის პერიოდში სრულად ვერ განხორციელდა საზოგადოებრივი ფონდების გაფართოების საფუძველზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების დასახული პროგრამა, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში. რესპუბლიკამ ვერ შეასრულა საბინაო მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების გეგმიური დავალებანი.

შვიდწლედის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განუხრელად ვითარდებოდა მატერიალური წარმოება, რომელიც თვით მწარმოებელთა შრომისა და ცხოვრების პირობების ასევე განუხრელ გაუმჯობესებას გულისხმობდა. მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის ნათელი დადასტურება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომელშიც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების აღმავლობასთან ერთად და მასთან დაკავშირებით დაისახა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების რეალური გზები.

---

[1] სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის რეზოლუცია "საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 – 1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ", თბ., 1959, გვ. 48,49.

[2] სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის რეზოლუცია “საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 – 1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ”, გვ. 52.
[3] იქვე, გვ. 68.
[4] Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г., стр. 396; Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 г., стр. 171.
[5] «Советская Грузия к 50-летию Великой Октябрской социалистической революции», Тб., 1967, стр. 195.
[6] იქვე.
[7] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 202.
[8] **И. Ю. Писарев.** Население и труд в СССР, М., 1966, стр. 72.
[9] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 13.
[10] იქვე, გვ. 13.
[11] «Страна Советов за 50 лет», стр. 15.
[12] იქვე, გვ. 17.
[13] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 13.
[14] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 19.
[15] «Тбилиси к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции», Тб., 1967. стр. 17.
[16] იქვე, გვ. 18.
[17] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 г.», стр. 24.
[18] **ვ. ი. ლენინი,** თხზ., ტ. 33, გვ. 46.
[19] ჟურნ. “საქართველოს ეკონომისტი”, 1960 წ., N 6, გვ. 4.
[20] გაზ. “კომუნისტი”, 1962 წლის 25 იანვარი.
[21] იქვე, 1 სექტემბერი.
[22] იხ. «Заседания Верховного Совета СССР шестого созыва (четвертая сессия)», стен. отчет, М., 1964, стр. 399 – 404.
[23] «Страна Советов за 50 лет», сб., стат. материалов, стр. 267.
[24] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 274.
[25] იხ. “სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1965 წლის 25 მარტს”, თბ., 1965, გვ. 40.
[26] «Постановления Пленума ЦК КПСС принятое 29 сентября 1965 года», М., 1965, стр. 9.
[27] «Заседания Верховного Совета СССР шестого созыва (четвертая сессия)», Стен. отчет, М., 1964, стр. 405.
[28] იქვე, გვ. 406.
[29] იქვე, გაზ. “კომუნისტი”, 1964 წლის 10, 28 დეკემბერი; 1965 წლის 3 იანვარი, 2 თებერვალი.
[30] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 37, ს. 334, ფურც.33.
[31] იქვე.
[32] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა. გაზ. ”კომუნისტი”, 1962 წლის 25 იანვარი.
[33] გაზ. ”კომუნისტი”, 1962 წლის 17 აგვისტო.
[34] გაზ. ”კომუნისტი”, 1963 წლის 24 თებერვალი.
[35] იქვე, 1964 წლის 28 იანვარი.
[36] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 г.», Тб., 1965, стр. 249.
[37] იქვე, გვ. 251.
[38] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები, გაზ. ”კომუნისტი”, 1966 წლის 4 თებერვალი.
[39] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 296.
[40] იქვე, გვ. 298.
[41] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 292.
[42] იქვე.

[43] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 292.
[44] გაზ. ”კომუნისტი”, 1959 წლის 1 მარტი.
[45] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 57, ს. 601, ფურ. 5; გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 9 ივნისი.
[46] იქვე, აღწ. 56, ს. 18, ფურ. 117 გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 24 აპრილი.
[47] გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 15 მაისი.
[48] Газ. «Заря Востока», 25 июля 1959 г.
[49] გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 19 დეკემბერი.
[50] იქვე, 1960 წლის 24 იანვარი.
[51] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XX ყრილობას”, თბ., 1960, გვ. 46.
[52] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 57, ს. 218, გაზ. “კომუნისტი”, 1960 წლის 10 აგვისტო.
[53] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 57, ს. 218, ფურც. 1.
[54] იქვე, აღ. 56, ს. 25, ფურც. 48.
[55] იქვე, აღ. 57, ს. 25, ფურც. 41.
[56] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 56, ს. 25, ფურც. 21.
[57] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღ. 37, ს. 259, ფურც. 4.
[58] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში XXI ყრილობას”, თბ., 1961, გვ. 40.
[59] იქვე.
[60] გაზ. “კომუნისტი”, 1961წლის 29 იანვარი.
[61] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა, გაზ. “კომუნისტი”, 1962 წლის 10 მარტი.
[62] გაზ. “კომუნისტი”, 1962 წლის 24 ივლისი, 1963 წლის 29 იანვარი.
[63] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, გაზ. “კომუნისტი”, 1964 წლის 24 იანვარი.
[64] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას”, თბ., 1964, გვ. 40.
[65] იქვე, გვ. 95.
[66] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1964 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. გაზ. “კომუნისტი”, 1965 წლის 2 თებერვალი.
[67] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. გაზ. “კომუნისტი”, 1966 წლის 4 თებერვალი.
[68] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 г.», Статистический ежегодник, стр. 401.
[69] იქვე, გვ. 403.
[70] გაზ. “კომუნისტი”, 1959 წლის 16 მაისი.
[71] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან, იხ. გაზ. «Заря Востока», 1959 წლის 25 ივლისი.
[72] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 57, ს. 21 ფურც. 2.
[73] «Советская Грузия к 50-летию...», გვ. 263.
[74] გაზ. “კომუნისტი”, 1962 წლის 23 ივნისი.
[75] გაზ. “კომუნისტი”, 1962 წლის 23 ივნისი.
[76] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 г.», Стат. ежегодник, Тб., 1965, стр. 394.
[77] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 309.
[78] «Советская Грузия к 50-летию»..., стр. 308.
[79] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 309; «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 г.», стр.387.
[80] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 308.

[81] იქვე.
[82] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 57, ს. 21 ფურც. 10.
[83] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 г.», стр. 391.
[84] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», Тб., 1974, стр. 282.
[85] "სკკპ XXII ყრილობის მასალები", თბ., 1962, გვ. 212.
[86] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 259.
[87] იქვე, ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", 1962 წ., N 11, გვ. 16. 1965 წლის პროცენტული მონაცემები ნაანგარიშევია ჩვენ მიერ.
[88] სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალები, გაზ. "კომუნისტი", 1963 წლის 18 დეკემბერი.
[89] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1964 г.», стр. 424; «Советская Грузия к 50-летию...», стр. 261.
[90] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 261.
[91] იქვე.
[92] «Советская Грузия к 50-летию...», стр. 424.
[93] იქვე, გვ. 291.
[94] იქვე.
[95] **იქვე.**

თავი მეთერთმეტე საქართველო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ახალ ეტაპზე (1966 – 1970 წწ.)

სკკპ XXIII ყრილობამ (1966 წლის 29 მარტი-აპრილი) შეაჯამა შვიდწლედის შედეგები და მიიღო დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე 1966 – 1970 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მერვე ხუთწლედის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენდა ის, რომ გათვალისწინებული იყო წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპების არსებითი დაახლოება. ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში დადგა მეურნეობის მართვის ინტენსიური მეთოდების დაუფლება. ჩვენი ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი უმთავრესად გაიზრდებოდა არსებული საწარმოო სიმძლავრეების უკეთ და რაციონალურად გამოყენების საფუძველზე. მძლავრმა საწარმოო ძალებმა შექმნეს ხელსაყრელი პირობები საზოგადოებრივი წარმოების იმ დარგების განსავითარებლად, რომლებიც უშუალოდ ემსახურებოდნენ მშრომელთა მატერიალურ, კულტურულ და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა მძიმე მრეწველობის როლის შემცირებას. პარტიის გენერალური ხაზის შესაბამისად კვლავ უპირატესი ტემპით ვითარდებოდა წარმოების საშუალებანი (ჯგუფი "ა"). ამასთან ერთად მძიმე მრეწველობაში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით ახალი ხუთწლედი ითვალისწინებდა გაცილებით მეტი რესურსების გამოყენებას მოხმარების საგნების მწარმოებელ დარგებში.

სკკპ XXIII ყრილობამ მერვე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემებს შორის უმნიშვნელოვანესად მიიჩნია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპებს შორის შექმნილი დისპროპორციის დაძლევა.

ხუთწლედში დასახული იყო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მელიორაციისა და ქიმიზაციის დონის ამაღლება.

§ 1. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განმტკიცება.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ხელისუფლების საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები მკაფიოდ გამოხატავენ საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს დემოკრატიულ ხასიათს. საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს.

”საბჭოები მოწოდებული არიან, - ნათქვამია სკკპ XXIII ყრილობის რეზოლუციაში, - გაადიდონ აღმასრულებელი ორგანოების, დეპუტატთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, გააქტიურონ სესიების მუშაობა, შეიტანონ მათს განსახილველად უფრო მეტი საკითხები”[1].

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გაფართოვდა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებანი, განმტკიცდა მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზა, საბჭოების მუშაობა უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახდა. დეპუტატები და აღმასრულებელი კომიტეტები ადრინდელთან შედარებით რეგულარულად აბარებდნენ ანგარიშებს საბჭოების სესიებს, ხვდებოდნენ ამომრჩევლებს. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების 98,9 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებს, ხოლო 89 პროცენტმა – უშუალოდ მოსახლეობას[2]. საბჭოების მუშაობას უფრო ფართოდ აშუქებდა რესპუბლიკის პრესა, რადიო, ტელევიზია.

მერვე ხუთწლედში, - ნათქვამია სკკპ XXIV ყრილობის დოკუმენტებში, - ”გაძლიერდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების კონტროლი სამინისტროებისა და უწყებების მუშაობისადმი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითად უბნებზე საქმის მდგომარეობისადმი”[3].

ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობაში გაიზარდა მუშებისა და კოლმეურნეების ხვედრითი წონა. თუ 1967 წელს საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს 399 დეპუტატიდან მუშათა და კოლმეურნეთა წილი შეადგენდა 47,1 პროცენტს, უპარტიო დეპუტატებისა – 28,6, ხოლო ქალებისა – 31,3 პროცენტს, ოთხი წლის შემდეგ რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატს შორის ეს მაჩვენებელი შესაბამისად აღწევდა 50,3, 34,0 და 35,3 პროცენტს[4]. ადგილობრივ საბჭოებში მუშათა და კოლმეურნეთა წარმომადგენლობა 1967 – 1971 წლებში 61,4-დან 65,3 პროცენტამდე გადიდდა, უპარტიო დეპუტატებისა – 52,4-დან 55,1 პროცენტამდე, ქალთა პროცენტი – 43,5-დან 46,3-მდე გაიზარდა[5].

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში არჩეულთა შორის მრავლად იყვნენ სახელგანთქმული მანქანათმშენებლები, მეტალურგები და მაღაროელები, ფეიქრები, მშენებლები და ტრანსპორტის მუშაკები, საკოლმეურნეო მინდვრისა და მეცხოველეობის ფერმების მოწინავენი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სისტემაში ყველაზე მრავალრიცხოვანი და მასობრივი რგოლია სასოფლო და სადაბო საბჭოები. 1968 წლის დამლევს რესპუბლიკაში იყო 918 სასოფლო და 50 სადაბო საბჭო. 1967 წლის 19 მარტს რესპუბლიკის მშრომელთა ადგილობრივ საბჭოებში არჩეული 48 218 დეპუტატიდან სასოფლო და სადაბო საბჭოებში მოდიოდა 75,8 პროცენტი[6]. 1971 წელს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა რაოდენობა 671-ით გადიდდა, ხელისუფლების ორგანოებში აირჩიეს 48 888 დეპუტატი. აქედან 36 795 სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატი იყო. დეპუტატთა რაოდენობრივი ზრდა სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. იგი ხელს უწყობს, ჯერ ერთი, ხელისუფლების ორგანოების დაახლოებას მშრომელთა ფართო მასებთან და, მეორეც, მშრომელი მასების უშუალო მონაწილეობას სახელმწიფო მართვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მუდამ დიდ მზრუნველობას იჩენდნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილება ”მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ”. დადგენილებაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნულია მათი მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახულია გამოსწორების გზები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას საქართველოს მშრომელებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი, რესპუბლიკაში გაიშალა მუშაობა სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

1967 წლის 12 აპრილს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილა საკითხი ”საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების

ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით". სესიაზე აღინიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოების, მათ შორის სასოფლო და სადაბო საბჭოების, შესაძლებლობანი პოლიტიკური, სამურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში ჯერ კიდევ არ იყო სრულად გამოყენებული, მთელი რიგი სასოფლო და სადაბო საბჭოები სათანადო გავლენას ვერ ახდენდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა საქმიანობაზე, სუსტად ხელმძღვანელობდნენ მასებს სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში. აღმასკომებზე იშვიათად განიხილავდნენ მშრომელთა საჭირბოროტო საკითხებს, დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების ნაწილი სათანადოდ არ იყო მობილიზებული საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად[7].

სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 8 აპრილს გამოსცა ბრძანებულება "მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ". გამოქვეყნდა სანიმუშო დებულება "მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ"[8].

საბჭოების შესახებ ახალი, შედარებით სრულყოფილი, საკანონმდებლო აქტის მიღება საჭირო გახდა იმის გამოც, რომ განხორციელდა ზოგიერთი ცვლილება მმართველობის ორგანოების სტრუქტურაში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამოცანები, რომლებსაც პარტია უსახავდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამასთან თვით სასოფლო საბჭოების უფლებათა განმსაზღვრელი დებულება, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1957 წლის 21 ნოემბერს, შეიცავდა ზოგიერთ მომენტს, რაც უკვე აღარ შეესაბამებოდა სახელმწიფო მშენებლობის გაზრდილ ამოცანებს[9]. საჭირო გახდა ახალი, დროის შესატყვისი, დოკუმენტის შექმნა საბჭოების უფლება-მოვალეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიამ 1968 წლის 25 დეკემბერს დაამტკიცა "კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ"[10]. ეს კანონი შემუშავებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე, რომელშიც მოწონებულია სასოფლო და სადაბო საბჭოების სანიმუშო დებულება. ახალი კანონის მიღებამ შექმნა კეთილსასურველი პირობები მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების როლის ასამაღლებლად რესპუბლიკის სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში. დეპუტატთა საბჭოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მათ ტერიტორიაზე კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში წყვეტდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს, უფრო ფართოდ მონაწილეობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა

მეურნეობებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა წლიური და პერსპექტიული გეგმების შედგენაში, კონტროლს უწევდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ეხმარებოდნენ მათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. გაფართოვდა აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებები საბიუჯეტო-საფინანსო საქმიანობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, შრომითი და სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

"კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ" ითვალისწინებდა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა თავისებურებებს. მაგალითად. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სასოფლო და სადაბო საბჭოებს, გარდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობისა, მუშაობაში უნდა გამოეყენებინათ ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, კანონები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ და, შესაბამისად, სხვა საკანონმდებლო აქტები. საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, სადაც სჭარბობს ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული მცირე დასახლებანი, წელიწადში საბჭოების ექვსი სესიის მოწვევა პრაქტიკულად დიდ სიძნეელებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ კანონით ამ რაიონების საბჭოებს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეეძლოთ წელიწადში მოეწვიათ მხოლოდ ოთხი სესია[11]. სესია კი, როგორც ცნობილია, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის ძირითადი ფორმაა.

რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობებში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება და დამატება. მაგალითად, "სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის ახალი კანონმდებლობის საფუძვლების" (1968 წლის 27 ივლისი) გამოქვეყნებით დაკონკრეტდა და განვითარდა 1930 წლიდან საქართველოში მოქმედი საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა მუდმივი კომისიების საქმიანობა. მუდმივი კომისიები დეპუტატთა საბჭოების დარგობრივი ხასიათის დამხმარე, საბჭოების მუშაობის განსაზღვრული უბნის მომცველი ორგანოებია. მათი მეშვეობით საბჭოები კონტროლს უწევენ თავიანთი და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების განხორციელებას.

მერვე ხუთწლედში გადიდდა დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიების რაოდენობა. 1967 წლის აპრილში საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ადრე მოქმედი 10 მუდმივი კომისიის ნაცვლად შეიქმნა 13, ხოლო უფრო გვიან, 1968 წლის 25 დეკემბერს, აირჩიეს კიდევ ერთი, ახალგაზრდობის საქმეთა, მუდმივი კომისია. მათი მეშვეობით

დეპუტატები და მშრომელთა ფართო აქტივი მუდმივად მონაწილეობენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

კომუნისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის საჭიროა საბჭოთა საზოგადოების მართვის სისტემის სრულყოფა. ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების მზარდი მასშტაბები, საერთაშორისო ვითარების სირთულე და სხვა ფაქტორები სახელმწიფო აპარატს გადიდებულ მოთხოვნებს უყენებდნენ. სკკპ XXIV ყრილობა აღნიშნავდა: ”ბრძოლა კომუნიზმის აშენებისათვის განუყრელად დაკავშირებულია სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებასთან, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასთან. საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემის სრულყოფასთან”[12].

სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ სახალხო კონტროლის ორგანოებს. მათი მეშვეობით მშრომელი მასები მონაწილეობენ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის საქმიანობის მოწესრიგებაში, წარმოებისა და სახელმწიფოს მართვაში. უკვე 60-იანი წლების დამდეგს რესპუბლიკაში მოქმედებდა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ფართო ქსელი, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით პარტიულ-სახელმწიფო კომიტეტი სახალხო კონტროლის ორგანოდ გარდაიქმნა. 1968 წლის 19 დეკემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს ”დებულება სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ”. დებულების მიხედვით კონტროლის ორგანოების ძირითადი ამოცანებია: სისტემატური კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებათა შესრულების მიმდინარეობას, ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის რეზერვების გამოვლინებასა და რაციონალურად გამოყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შრომითი, მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების ყაირათიანად ხარჯვასა და წარმოებაში პროგრესული მეთოდების დანერგვას; აქტიურად იბრძოლონ სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად, დარღვევების, კუთხურობისა და საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლენის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ; სახელმწიფო აპარატის სრულყოფის, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის.

მერვე ხუთწლედში გაიზარდა სახალხო კონტროლიორთა რაოდენობა. 1970 წლისათვის რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, კოლეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ითვლებოდა 10 ათასამდე ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 200 ათასზე მეტი სახალხო კონტროლიორი. სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მარტო 1970 წელს მოაწყვეს 1500-მდე შემოწმება და რეიდი. წარმატებით მუშაობდნენ აგრეთვე დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი,

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი და თბილისის სხვა საწარმო-დაწესებულებათა სახალხო კონტროლის ჯგუფები.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აუცილებელი პირობაა საბჭოთა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდა. მერვე ხუთწლედში, მთელი რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, ერთგვარად გაუმჯობესდა რესპუბლიკის მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოების საქმიანობა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობა.

სოციალისტური მართლმსაჯულების დემოკრატიული საწყისების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ყველა მოსამართლის არჩევითობა. საბჭოთა კანონმდებლობით მოსამართლეს ირჩევენ ხუთ წელიწადში ერთხელ, მოსამართლედ შეიძლება აირჩიონ ყოველი საბჭოთა მოქალაქე 25 წლიდან, რომელსაც აქვს სათანადო თეორიული ცოდნა და მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება. მართლმსაჯულების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა ასეულობით სახალხო მსაჯული–მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე, მოსწავლე, პენსიონერი.

სოციალისტური კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა აგრეთვე ამხანაგური სასამართლოები. სოციალისტური მშენებლობის წლებში ისინი სასწავლო-აღმზრდელობით ორგანიზაციებად გარდაიქმნენ და ხელს უწყობდნენ საწარმოო დისციპლინის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების განმტკიცებას. მერვე ხუთწლედში ამხანაგური სასამართლოები, როგორც საზოგადოებრივი წარმოების დაცვის ხელშემწყობი ორგანოები, სოციალისტური კანონიერების დამრღვევთა მიმართ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების მძლავრი საშუალება გახდა. ხუთწლედის წინ (1965 წლის ივნისისათვის) რესპუბლიკაში მოქმედებდა 2 414 ამხანაგური სასამართლო. რომელთა მუშაობაში მონაწილეობდა 13 ათასამდე კაცი[13]. 1967 წლისათვის ამხანაგური სასამართლოების რაოდენობა გადიდდა 3 516-მდე, წევრთა რიცხვი – 18 ათასამდე.

მერვე ხუთწლედში ამხანაგური სასამართლოების მოქმედების სფერო რამდენადმე გაფართოვდა. მათ იკისრეს ზოგიერთი ფუნქცია, რომელთაც ადრე სასამართლო ორგანოები ასრულებდნენ. ამხანაგური სასამართლოების უფლებათა გაფართოება და მათი როლის ამაღლება ხელს უწყობდა წარსულის მავნე გადმონაშთებისა და სოციალიზმის სხვა ანტიპოდების წინააღმდეგ ბრძოლას, ადამიანთა აღზრდას დარწმუნებისა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების გზით.

საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში დიდ როლს ასრულებდნენ მილიციის ორგანოები. 1966 წლის ივლისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მთელ ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის

დაცვის სამინისტროები. 1968 წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საბჭოთა მილიციის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი და მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შინაგან საქმეთა სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში სამუშაოდ გაგზავნეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

სახელმწიფო აპარატის მართვის სრულყოფასა და სოციალისტური წესების განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები. მერვე ხუთწლედის დასასრულს საქართველოს 3 500-მდე ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულში გაერთიანებული იყო 100 ათასზე მეტი მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე.

საქართველოს სახალხო კონტროლის ორგანოების, ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმეულებისა და სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მაგალითით ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფო ორგანოების ცალკეული ფუნქციების მათთვის გადაცემა კიდევ უფრო აფართოებს და განამტკიცებს საბჭოთა საზოგადოების პროლიტიკურ საფუძველს, უზრუნველყოფს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას.

სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ საზოგადოების მართვაში, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში მშრომელი მასების მონაწილეობა ხორციელდება არა მარტო სახელმწიფო ორგანოების, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი და თვითმოქმედი ორგანიზაციების ფართო ქსელის მეშვეობით. ამ ორგანიზაციების როლის შემდგომი ამაღლება სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გზაა. სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს კომუნისტურ თვითმმართველობაზე გადასვლა. ამ ორგანიზაციების მეშვეობით პარტია აფართოებს და განამტკიცებს კავშირს მასებთან, აბამს მათ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, განსაკუთრებული ადგილი ეკავა პროფესიულ კავშირებს, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში, სოციალისტური შეჯიბრების, მასობრივი ტექნიკური შემოქმედების განვითარებაში, ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

რესპუბლიკის პროფსაბჭოს, პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების ყურადღების ცენტრში იდგა საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა წარმოების მართვასა და სრულყოფაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, შრომისა და ხელფასის ორგანიზაციაში. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი რეგულარულად ისმენდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, სამინისტროების,

უწყებების, პროფკავშირული ორგანიზაციების მოხსენებებს შრომისა და წარმოების საკითხებზე, განიხილავდა სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების პროექტებს.

საქართველოს პროფკავშირებმა დიდი მუშაობა გასწიეს ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ამის გამო დაგეგმვის სამუშაოთა კოორდინაციისათვის პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა საუწყებათაშორისო რესპუბლიკური კომისია, ხოლო ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის სამინისტროებში, უწყებებსა და საწარმოებში – სპეციალური კომისიები.

ეკონომიკურმა რეფორმამ მოითხოვა სამრეწველო საწარმოების მართვის ფორმების გაუმჯობესება, მეურნეობის მართვაში დემოკრატიული საწყისების გაძლიერება. მერვე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდა პროფკავშირების ხელმძღვანელობით მოქმედი საწარმოო თათბირების რაოდენობა, ამაღლდა მათი როლი რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ხუთწლედის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში 1 868 მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი აერთიანებდა 73,8 ათას წევრს, 1970 წელს საერთო-საქარხნო და საამქროთა თათბირების რაოდენობა 2 250-მდე გაიზარდა, ხოლო წევრთა შემადგენლობა 87,5 ათასამდე. ხუთწლედის დამლევს რესპუბლიკის მარტო საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობების საწარმოებში მოქმედ 326 საწარმოო თათბირში ჩაბმული იყო 18,8 ათასი მუშა და მოსამსახურე[14]. პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეს თათბირები რესპუბლიკის ბევრი საწარმოს ხელმძღვანელთა საიმედო დასაყრდენი და მრჩეველი გახდა.

1966 წლის მარტში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება ”საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულებების დადების შესახებ”. ამ დადგენილებით ამაღლდა კოლექტიური ხელშეკრულებების როლი წარმოების მართვასა და სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციაში. პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესრულებისადმი კონტროლს. უკვე 1966 წელს რესპუბლიკის საწარმოებში გაფორმდა 1 822 კოლექტიური ხელშეკრულება, რომელთა განხილვაში 400 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, წამოყენებულ იქნა 13 ათასზე მეტი წინადადება წარმოების სრულყოფისა და მუშა-მოსამსახურეთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად[15]. საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილებებმა შეიმუშავეს მეთოდური რეკომენდაციები ხელშეკრულების დადებასა და შესრულებაში საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად[16].

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე. რესპუბლიკის ბევრი საწარმოს პროფკავშირული კომიტეტი ფართოდ მონაწილეობდა შრომის მეცნიერული

ორგანიზაციის უახლოესი და პერსპექტიული გეგმების შემუშავება-განხორციელებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის პროფორგანიზაციის მუშაობა. ამ საწარმოში შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სპეციალური საქარხნო ლაბორატორია, ქარხნის 10 საამქროში აქტიურად მუშაობდნენ კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადები, რომლებშიც გაერთიანებული იყო ასზე მეტი ინჟინერი, ეკონომისტი, წარმოების ნოვატორი.

ელმავალმშენებელთა შრომითს კოლექტივში იშვა ახალი თაოსნობა: საწარმოს ერთ-ერთმა წამყვანმა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ჩადუნელი, იკისრა ვალდებულება მიეღო სამუშაო ადგილის პასპორტი, ე. ი. სამუშაო ადგილი მოეწყო შრომის მეცნიერულ საფუძველზე. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა და ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება სამუშაო ადგილის პასპორტის მოსაპოვებლად. 1967 წლის ნოემბრისათვის ასეთი პასპორტი უკვე მიღებული ჰქონდა 50 ბრიგადასა და მუშაკს[17]. თბილისელ ელმავალმშენებელთა ეს ინიციატივა 1968 წლიდან გავრცელდა ჩვენი ქვეყნის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში[18].

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები ზრუნავდნენ წარმოების მაღალი კულტურის დანერგვისათვის. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის საამქროებსა და უბნებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება წარმოების მაღალი კულტურისათვის; ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ, ქუთაისის ელექტროტექნიკურ, ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათსაშენებელ და რესპუბლიკის სხვა ქარხნებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ წარმოების კულტურის საზოგადოებრივი კომისიები და საბჭოები. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ხელმძღვანელობით მოეწყო სამრეწველო საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრება წარმოების მაღალი კულტურისათვის. ეს მოძრაობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაშიც გავრცელდა[19].

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწეოდნენ სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის. საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა 1968 წლის 31 ოქტომბერს განიხილა საკითხი ”რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ”. პროფკავშირის საბჭოები და კომიტეტები ენერგიულად მონაწილეობდნენ ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების განხილვა-განხორციელებაში, საწარმოებსა და სამეურნეო ორგანოებში ქმნიდნენ ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობ კომისიებს, სახალხო უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებს. საქჰიდროენერგომშენის სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა გააჩაღეს შეჯიბრება დევიზით –

”მივიღოთ ტექნიკისაგან ყველაფერი, რისი მოცემაც შეუძლია”[20], აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა რესპუბლიკის რაიონების მექანიზატორებს მიმართეს მოწოდებით ”ფართო გზა წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას”[21].

გაფართოვდა რესპუბლიკის პროფკავშირების საქმიანობა მუშა-მოსამსახურეთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მერვე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში უსაფრთხოების ტექნიკის ახალ საშუალებათა დანერგვასა და შრომის პირობების გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებს 45 მლნ მანეთზე მეტი მოხმარდა[22]. საწარმოო ტრავმატიზმი რესპუბლიკის საწარმოო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში 1970 წელს 1967 წელთან შედარებით 49 პროცენტით შემცირდა[23].

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოებისა და კომიტეტების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი: ”საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშებისა და მოსამსახურეთა ხუთდღიან სამუშაო და ორ დასვენების დღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ” (1967 წლის 7 მარტი), ”საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ” (27 სექტემბერი), ”სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენების მუშაობის ორგანიზაციის შესახებ” (1968 წლის 9 აპრილი) და სხვ.

პროფესიული კავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალი ადამიანის ფორმირებისათვის სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივ ბრძოლაში. რესპუბლიკის პროფკავშირების მთელ იდეურ-აღმზრდელობით საქმიანობას საფუძვლად ედო სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ. 1970 წლის ივნისისათვის რესპუბლიკაში იყო 184 პროფკავშირული კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, 2 950 წითელი კუთხე, 269 ბიბლიოთეკა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც იმართებოდა საოქტომბრო და ლენინური კითხვები, ლექციები, თეორიული კონფერენციები, ეწყობოდა მშრომელთა შეხვედრები რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებთან.

მშრომელთა კულტურული აღზრდის განუყოფელი ნაწილია მხატვრული თვითმოქმედება. 1970 წლის ივნისისათვის რესპუბლიკის პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობდა მხატვრული თვითმოქმედების 4 ათასი წრე, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ 90 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე, მათი ოჯახის წევრები და მოსწავლე ახალგაზრდობა. დიდი წარმატებით ჩატარდა პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური

დათვალიერება, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა. მასში 25 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. ინტენსიურად მუშაობდნენ აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტები, მათ შორის 62 პროფკავშირული უნივერსიტეტი, სადაც 1970 წელს გაერთიანებული იყო 7 800 მუშა, მოსამსახურე, ახალგაზრდა, დიასახლისი და პენსიონერი[24].

პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მშრომელთა აღზრდას ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საბჭოთა რესპუბლიკების ქალაქებსა (თბილისი-რიგა, ჭიათურა-ნიკოპოლი, რუსთავი-სუმგაითი, ქუთაისი-კიროვაკანი-ლენინაკანი და სხვ.), რაიონებსა (მახარაძე-გენიჩესკი და სხვ.) და საწარმო-დაწესებულებებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მკაფიო მაგალითია ათასზე მეტი უზბეკი ბავშვის საგაზაფხულო დასვენება საქართველოს პიონერთა ბანაკებში. სოციალისტური პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დიადი იდეების პროპაგანდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკისათვის. ”საბჭოთა საქართველო გადაიქცა ხალხთა მეგობრობის რესპუბლიკის კლასიკურ მაგალითად. რესპუბლიკის უკანასკნელი 20 წლის მანძილზე კი, რომელსაც ხშირად სამართლიანად ვაკრიტიკებთ პარტიული პოზიციებიდან, მეტად ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი ცხოვრების მრავალ დარგში, განსაკუთრებით სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების სფეროში”[25].

ამრიგად, მერვე ხუთწლედში კიდევ უფრო ამაღლდა პროფკავშირების როლი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. პროფკავშირთა რიგებში გაერთიანდა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ეს ჩანს 1-ლი ცხრილიდან.

ცხრილი 1

საქართველოს პროფკავშირების შემადგენლობა მერვე ხუთწლედში[26]

	პირველადი პროფორგანიზაციების რაოდენობა	პროფკავშირების წევრთა რაოდენობა	%-ობით მომუშავეთა საერთო რაოდენობაში
1965 წლის დეკემბრისათვის	13.407	1.213.736	97,2
1971 წლის 1 იანვრისათვის	15.600	1.392.867	95,5

პროფკავშირულ მუშაობაში განვითარდა საზოგადოებრივი საწყისები, გაიზარდა პროფკავშირის წევრთა აქტივობა.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომოკავშირული ორგანიზაციები. ახალგაზრდობას თავის მჩქეფარე ენერგიითა და შემოქმედებითი შემართებით თვალსაჩინო წვლილი შეაქვს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა, - ნათქვამია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებაში, - ახალ თაობებს უნდა გადასცენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის პრობლემების გადაწყვეტის მდიდარი გამოცდილება, შემდგომ უნდა გააძლიერონ "კომკავშირის მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში"[27].

მერვე ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის რიგები. 1970 წელს საქართველოს 8 292 პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო 476,7 ათასი წევრი, მათ შორის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში მუშაობდა 200 ათასზე მეტი კომკავშირელი[28].

გაუმჯობესდა კომკავშირული კადრების თვისებრივი შემადგენლობა. მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივანთა შორის პარტიული ბირთვი 13,9-დან 32,3 პროცენტამდე გადიდდა, ყოველ მესამე მდივანს ჰქონდა უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში კიდევ უფრო ამაღლდა კომკავშირის როგორც პარტიის რეზერვისა და კომუნისტური აღზრდის სკოლის როლი. სკკპ XXIII ყრილობამ პარტიის წესდებაში შეიტანა ცვლილება – ამიერიდან ახალგაზრდობას 23 წლამდე ჩათვლით პარტიაში შესვლა შეეძლო მხოლოდ კომკავშირის მეშვეობით[29]. ეს იყო კომკავშირის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის აღიარება.

მარქსისტულ-ლენინურ იდეებზე ახალგაზრდობის აღზრდა განსაკუთრებით გაძლიერდა და მრავალფეროვანი გახდა დიდი ლენინის იუბილესათვის მზადების პერიოდში. რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ჩატარდა ლენინური გაკვეთილები და კითხვები, ხოლო 1970 წლის 10 მაისს რესპუბლიკის ყველა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში – საკავშირო კომკავშირული კრება ერთიანი დღის წესრიგით: "ლენინურად ვიმუშაოთ, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ".

რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები ფართოდ გამოეხმაურნენ ლენინგრადელ კომკავშირელთა ინიციატივას ლენინური ჩათვლების ჩატარების შესახებ. პირველი საკავშირო ლენინური ჩათვლა, რომელიც ბელადის 100 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიება

გახდა. მან ხელი შეუწყო ახალგაზრდების მიერ ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლას, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

მერვე ხუთწლედის პირველსავე წელს მთელ ჩვენს ქვეყანაში გავრცელდა მოძრაობა "ხუთწლედს – ახალგაზრდათა ოსტატობა და ძიება", რომელშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის კომკავშირელი ახალგაზრდობა. საქართველოს ალკკ XXVII ყრილობაზე (1968 წლის 27 – 28 თებერვალი) აღინიშნა, რომ ამ მოძრაობის მონაწილე 12 ათასამდე ახალგაზრდა გამომგონებლისა და რაციონალიზატორის წინადადებებით სამშობლომ მიიღო 17 მლნ მანეთის ეკონომია[30], ხოლო ხუთწლედში ამ მოძრაობაში მონაწილეობდა 207 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. წარმოებაში დაინერგა მათ მიერ წამოყენებული 34 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, ეკონომიკური ეფექტი შეადგენდა 50 მლნ მანეთს[31].

საქართველოს ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე. სტუდენტთა ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ცნება – "მესამე სემესტრი". ნებაყოფლობითი სტუდენტური რაზმები ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს სამშენებლო რაზმებმა შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის რაიონებში საკავშირო კომკავშირულ მეშენებლობაზე. 1966 – 1971 წლებში დაახლოებით 1500-მდე ახალგაზრდამ კომკავშირული საგზურით მიაშურა ქ. ტოლიატის ავტოსამშენებლო, ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნების, აზბესტის კომობინატის (სვერდლოვსკის ოლქი), მოსკოვის სასტუმრო "როსიასა" და ჩვენი ქვეყნის სხვა ობიექტების მშენებლობას. მერვე ხუთწლედში ყაზახეთში გაემგზავრა რესპუბლიკის სტუდენტთა სამშენებლო რაზმების 3100-მდე წევრი. ამას გარდა, თვით რესპუბლიკაში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებასა და ახალ მშენებლობაზე დასაქმებული იყო 7 250 სტუდენტი[32].

საქართველოს სტუდენტთა სამშენებლო რაზმების წევრებმა თავდადებული შრომით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაითქვეს სახელი. ისინი ხშირად იმარჯვებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იმსახურებდნენ გარდამავალ წითელ დროშას. ასობით სტუდენტი დაჯილდოვდა მედლით "ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის". ბევრმა მათგანმა დაიმსახურა ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

რესპუბლიკის კომკავშირლებმა და ახალგაზრდებმა სათანადო წვლილი შეიტანეს საკავშირო ღონისძიებების – "კომკავშირული პროჟექტორის" რეიდებში. "კომკავშირული პროჟექტორის" რაზმები აერთიანებდნენ კომკავშირული კონტროლის ყველა ფორმას. "პროჟექტორის" მთავარი მიზანი იყო ნაკლოვანებათა არა მარტო გამოვლინება, არამედ უწინარეს ყოვლისა მათი თავიდან აცილება და გამოსწორება. "კომკავშირული პროჟექტორის" შტაბები და საგუშაგოები ამხილებდნენ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, ავლენდნენ

და იყენებდნენ საწარმოთა რეზერვებს. 1965 – 1971 წლებში ”კომკავშირული პროჟექტორის” შტაბებისა და საგუშაგოების რაოდენობა რესპუბლიკაში 15,4 ათასიდან გაიზარდა 18,9 ათასამდე, ხოლო წევრთა რიცხვი – 58,4 ათასიდან 76,1 ათასამდე[33].

”კომკავშირული პროჟექტორის” საკავშირო რეიდების პერიოდში რესპუბლიკის კომკავშირლებმა და ახალგაზრდებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს. მაგალითად, საკავშირო რეიდის – რესურსების მომჭირნეობით ხარჯვისა და ყაირათიანობის განმტკიცების – პერიოდში რესპუბლიკის ”პროჟექტორისტთა” ძალებით დაიზოგა 9,4 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1,2 ათასი ტონა შავი და ფერადი ლითონი; რეიდში – ახალგაზრდობის მიერ გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების დანერგვისათვის – მონაწილეობდა რესპუბლიკის 20 ათასამდე ახალგაზრდა, წარმოებაში დაინერგა 3,4 ათასი წინადადება და გამოგონება, რომელთა პირობითი წლიური ეკონომია შეადგენდა 4,3 მლნ მანეთს; მორიგი საკავშირო რეიდი, რომლის მიზანი იყო სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის ფართო დანერგვა, რესპუბლიკის კომკავშირლებისა და ახალგაზრდობისათვის უხვმოსავლიანი აღმოჩნდა. ”პროჟექტორისტთა” ძალებით ამოქმედდა 67 ნაკადური, მექანიზებული და ავტომატური ხაზები, მოდერნიზებულ იქნა 418 ჩარხი, აგრეგატი და მოწყობილობა, დაინერგა 4 ათასამდე რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება. მათი ეკონომიკური ეფექტი შეადგენდა 6,5 მლნ მანეთს[34].

მერვე ხუთწლედში გაფართოვდა დამრიგებლობა. იგი განსაკუთრებით ფართოდ გამოვლინდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. საწარმოს 815 ახალგაზრდა მუშა მიემაგრა 380 სპეციალისტ დამრიგებელს. შრომის ვეტერანები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ახალბედათა აღზრდას. წარმოების მოწინავენი და ნოვატორები – ცნობილი მღარავი ვ. დვალი, ზეინკალი ნ. კოსტენკო, ხარატები გ. სუხინი, ა. გელაშვილი და სხვები სიყვარულით ასწავლიდნენ ახალგაზრდა მუშებს თავიანთ პროფესიას, გადასცემდნენ მდიდარ საწარმოო გამოცდილებას, ზრუნავდნენ მათი საგანმანათლებლო და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

დამრიგებელთა ინსტიტუტის გაფართოებას და ახალგაზრდა მუშების პროფესიულ დაოსტატებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა საწარმოებშიც. ახალგაზრდა მუშათა სულ უფრო ფართო მასები მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერება-კონკურსებში. 1969 – 1970 წლებში ახალგაზრდობის ტექნიკური დაოსტატების რესპუბლიკურ და საკავშირო კონკურსში მონაწილეობდა 60 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, 40 წამყვანი პროფესიის მიხედვით ჩატარებულ მუშათა პროფესიული დაოსტატების ასობით კონკურსში მონაწილეობა მიიღო 50 ათასამდე ახალგაზრდა მუშამ, აქედან 263-ს მიენიჭა ”რესპუბლიკის საუკეთესო ახალგაზრდა მუშის” წოდება, გადაეცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომები და მედლები.

1968 წლის ოქტომბერში საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ლენინური კომკავშირის იუბილე. სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დიდი წვლილისათვის, ლენინის ანდერძით მოზარდი თაობის აღზრდაში წარმატებებისათვის კომკავშირი დაჯილდოვდა საბჭოთა მთავრობის მეექვსე ორდენით – ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ბევრმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ. მათ შორის იყო რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 25 ოქტომბრის ბრაძენებულებით დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1970 – 1971 წლებში სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ნიშნით "კომკავშირში აქტიური მუშაობისათვის" დააჯილდოვა ჩვენი რესპუბლიკის 167 ახალგაზრდა, საპატიო სიგელით – 1 272 კაცი და 100 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, ნიშნით "ოქროს თავთავი" – 20 კაცი, საპატიო ალმით – 200 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, ნიშნით "სპორტული გმირობა" დაჯილდოვდნენ ცნობილი სპორტსმენები ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ა. მეტრეველი, რ. რურუა და ვ. სანეევი; საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში შეტანილ იქნა 20 კაცი და 106 კომკავშირული ორგანიზაცია; რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა 4 689 კაცი და 127 კომკავშირული ორგანიზაცია.

მერვე ხუთწლედში გაუმჯობესდა საზოგადოება "ცოდნას" საქმიანობა. იგი რესპუბლიკის იდეური და კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. 1968 წლის დამდეგს საზოგადოების 26 490 წევრიდან 106 სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების წევრი და წევრ-კორესპონდენტი იყო. 645 – მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 2 514 – მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი, 2 665 – უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, ხოლო 8 878 – სკოლის მასწავლებელი. საზოგადოების ლექტორები ყოველწლიურად კითხულობდნენ 250 ათასზე მეტ ლექციას[35].

საზოგადოება "ცოდნას" ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდა განსაკუთრებით გაფართოვდა და უფრო ღრმაშინაარსიანი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში. იუბილესათვის მზადებისას ჩატარდა ათასობით ლექციის ციკლი, ლენინური და საოქტომბრო კითხვები, თემატური საღამოები. თეორიული კონფერენციები, შეხვედრები რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებთან.

გაიზარდა პოლიტიკური და მეცნიერული ინფორმაციისა და მასობრივი განათლების კერების – სახალხო უნივერსიტეტების როლი მშრომელთა იდეურ და კულტურულ ცხოვრებაში. თუ 1967 წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 223

სახალხო უნივერსიტეტი 25 ათასზე მეტი მსმენელით, 1971 წელს 400-მდე სახალხო უნივერსიტეტში ირიცხებოდა 50 760 მსმენელი[36].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადება გახდა რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი აღმავლობის საფუძველი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1967 წლის 4 იანვარს მიიღო დადგენილება "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ", ხოლო იმავე წლის 25 ივნისს გამოაქვეყნა თეზისები "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი". ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში გაანალიზებულია ლენინური იდეების ზემოქმედებით ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, შეჯამებულია მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი განვითარების უმთავრესი შედეგები, ასახულია საბჭოთა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის სახელოვან გამარჯვებათა ისტორიული გზა.

1967 წლის 20 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ". სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ფართო ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად.

ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა მოწინავეების რესპუბლიკური შეკრება, სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი და სხვა ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოეწყო რესპუბლიკის წარმატებათა ჩვენება მეცნიერებისა და სახალხო განათლების დარგში. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ახალი ექსპოზიცია, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სესიები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა, საქართველოს კომპარტის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯუგფმა, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა და საზოგადოება "ცოდნამ" მოაწყეს თემატური ლექციები, საღამოები და სხვა ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის რევოლუციური წარსულის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საკითხებზე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში გაიმართა "საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კვირეული", რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის წარმოების ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. გამოფენის პავილიონების ექსპონატებმა ჩვენი ქვეყნის მშრომელებსა და უცხოელ სტუმრებს გააცნეს რესპუბლიკის მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მოსკოვში გაიმართა "ქართული პოეზიისა და მუსიკის" საღამოები, მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ რესპუბლიკის პროფესიული და თვითმოქმედი მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივები.

დიდი ოქტომბრის იუბილემ კვლავ ცხადყო საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობა. მან ხელი შეუწყო რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასებში სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების, სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების განმტკიცებას.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში შეეგებნენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულს. 1968 წლის 10 აგვისტოს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება "ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ". ამ დოკუმენტის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანები და დასახა მათი განხორციელების გზები და საშუალებანი. მომდევნო წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის "თეზისები ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის".

ამ დიადი თარიღის ღირსეული აღნიშვნა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მუშაობის მთავარი შინაარსი გახდა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, შრომითმა კოლექტივებმა აიღეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი. კერძოდ, სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა იკისრეს ხუთწლიანი გეგმა შეესრულებინათ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა – ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის[37]. დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება გახდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგნეციის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ფართო პროპაგანდის მძლავრი სტიმული.

1970 წლის 11 აპრილს მოეწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო საიუბილეო შაბათობა. მასში აქტიური

მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომითმა კოლექტივებმა, რომლებმაც სახელმწიფო ფონდში შეიტანეს მილიონობით მანეთი.

დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულების გაგრძელება იყო საქართველოს მშრომელთა მზადება ახალი ღირსშესანიშნავი თარიღის – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის.

საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა ფართოდ გამოვლინდა მათს დამოკიდებულებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე ლენინური საგარეო პოლიტიკისამდი. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მათ დაგმეს ისრაელის აგრესიული მოქმედება არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ. რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეილებას ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებთი საბჭოთა კავშირის პოლიტიკას[38], 1968 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებას საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლისა[39] და 1968 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებას სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ვარშავის შეხვედრის შედეგების შესახებ. როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ივლისის პლენუმმა იმსჯელა ჩეხოსლოვაკიაში კონტრრევოლუციური დივერსიის თაობაზე.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებამ, რომელიც 1968 წლის 19 ივლისს გაიმართა, განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ივლისის პლენუმის შედეგები, მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების უანგარო დახმარება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლკისადმი სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად და განსამტკიცებლად.

საქართველოსა და მთელი საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირი (1969 წლსი ივნისი), მის მიერ მიღებული დოკუმენტები და სკკპ დელეგაციის მეთაურის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება "კომუნისტთა შეკავშირების განმტკიცებისათვის, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ახალი აღმავლობისათვის"

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებას კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები. მათი განწყობილება, შრომითი და პოლიტიკური აქტივობა მკაფიოდ გამოხატა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ,

რომელიც 1969 წლის 30 ივნისს გაიმართა. კრების მონაწილეებმა ფართოდ აღნიშნეს მოსკოვის საერთაშორისო თათბირის დიდი იდეურ-პოლიტიკური და დამრაზმველი მნიშვნელობა, ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შესაკავშირებლად.

ამრიგად, მერვე ხუთწლედში, რესპუბლიკის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავად შემდგომ ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა სოციალისტური დემოკრატია, იზრდებოდა მშრომელთა ფართო ფენების პოლიტიკური აქტივობა, იქმნებოდა სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის შემდგომი ზრდის ხელსაყრელი პირობები. ამ ორგანიზაციების მეოხებით მშრომელი მასები მონაწილეობდნენ წარმოებისა და შრომის დაცვის საკითხების, საზოგადოებრივი, ყოფითი და ეთიკური პრობლემების გადაწყვეტაში, ხელს უწყობდნენ საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო ლენინური პოლიტიკის განხორციელებას.

---

[1] "სკკპ XXIII ყრილობის მასალები", გვ. 240.
[2] გაზ. "კომუნისტი", 1967 წლის 13 აპრილი.
[3] "სკკპ XXIV ყრილობის მასალები", გვ. 98.
[4] გაზ. "კომუნისტი", 1967 წლის 22 მარტი; 1971 წლის 17 ივნისი.
[5] იქვე, 19 ივნისი.
[6] "Итоги выборов и состав депутатов местных советов депутатов трудящихся 1971 г». Статистический сборник, М., 1971, стр. 28, 150. 170.
[7] გაზ. "კომუნისტი", 1967 წლის 13 აპრილი.
[8] **იქვე**, 1968 წლის 11 აპრილი.
[9] იქვე, 26 დეკემბერი.
[10] **იქვე**, 28 დეკემბერი.
[11] გაზ. "კომუნისტი", 1968 წლის 26 დეკემბერი.
[12] "სკკპ XXIV ყრილობის მასალები", გვ. 254 – 255.
[13] გაზ. "კომუნისტი", 1967 წლის 13 ოქტომბერი.
[14] საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიმდინარე არქივის მასალებიდან.
[15] გაზ. "კომუნისტი", 1966 წლის 27 აპრილი.
[16] საქართველოს პროფსაბჭოს არქივი, ფ. 2, საქ. 2315, ფურც. 14 – 18.
[17] გაზ. "კომუნისტი", 1967 წლის 5 დეკემბერი.
[18] **ს. ჩხარტიშვილი,** სტახანოვური მოძრაობიდან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობამდე, თბ., 1975, გვ. 108.
[19] "პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ბიულეტენი", 1970, N 8 – 9, გვ. 40 – 41.

[20] გაზ. "კომუნისტი", 1968 წლის 15 ივნისი.
[21] **იქვე,** 1970 წლის 20 თებერვალი.

[22] გაზ. “კომუნისტი”, 1971 წლის 3 მარტი.
[23] საქართველოს პროფსაბჭოს მიმდინარე არქივი. ”პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საანგარიშო მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობას”, გვ. 33.
[24] საქართველოს პროფსაბჭოს მიმდინარე არქივი. ”მასალები მოხსენებისა პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ 1967 – 1970 წლებში”, გვ. 35.
[25] **ე. ა. შევარდნაძე,** პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია (ჟურნ. ”საქართველოს კომუნისტი”, 1974, N 5, გვ. 21 – 22).
[26] ცხრილი შედგენილია პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მიმდინარე არქივის საფუძველზე.
[27] “სკკპ XXIII ყრილობის მასალები”, გვ. 240 – 241.
[28] «Комсомол Грузии в цифрах и фактах», Тб., 1971, стр. 37, 48.
[29] “სკკპ XXIII ყრილობის მასალები”, გვ. 252.
[30] გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, 1968 წლის 28 თებერვალი.
[31] «Комсомол Грузии в цифрах и фактах», стр. 48.
[32] **იქვე,** გვ. 55, 60.
[33] «Комсомол Грузии в цифрах и фактах», стр. 58.
[34] **იქვე.**
[35] გაზ. “კომუნისტი”, 1968 წლის 22 მაისი.
[36] საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიმდინარე არქივის მასალებიდან.
[37] გაზ. “კომუნისტი”, 1969წლის 17 ივნისი.
[38] იქვე, 1967 წლის 22 ივნისი.
[39] გაზ. “კომუნისტი”, 1968 წლის 12 აპრილ.

§ 2. ბრძოლა მერვე ხუთწლედის განხორციელებისათვის

ა) მრეწველობის ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებანი

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების აღმავლობაში. მაგრამ ამასთან ერთად საქართველოს ეკონომიკის განვითარებას ახასიათებდა სერიოზული ნაკლოვანებანი, ჭიანურდებოდა ახალ სიმძლავრეთა ათვისება-ამოქმედების ვადები, ნელი ტემპით მიმდინარეობდა მეცნიერების მიღწევათა დანერგვა წარმოებაში, შეინიშნებოდა სამეურნეო ანგარიშის შეუფასებლობა, მატერიალური და მორალური სტიმულების არასრული გამოყენება, სუბიექტივისტური მიდგომა მთელ რიგ ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრისადმი. მეტ-ნაკლებად ასეთივე მდგომარეობა იყო საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა გამოავლინა მრეწველობის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები და შეიმუშავა მრეწველობისა და მთელი ეკონომიკისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის ახალი ფორმები. საწარმოებში მეურნეობის გაძღოლის

მეთოდების სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი: ეკონომიკის სახელმწიფოებრივი დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლება, საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაფართოება, საწარმოო კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების მატერიალური დაინტერესების გაძლიერება. პლენუმის გადაწყვეტილებით დაისახა მრეწველობის ტექნიკური დონის ამაღლების, მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მთელი ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები[1].

აღნიშნული პლენუმისა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა შექმნეს სამრეწველო საწარმოთა მუშაობის თვისებრივად ახალი პირობები – შედარებით მძლავრად ამოქმედდა ეკონომიკური სტიმულები, გაიზარდა თითოეული შრომითი კოლექტივის მატერიალური დაინტერესება წარმოების ეფექტიანობის ზრდით, წინა პლანზე წამოიწიეს სამრეწველო საწარმოთა რენტაბელობის საკითხებმა, სათანადო ყურადღება დაეთმო არა მარტო გეგმის შესრულებას, არამედ იმის გათვალისწინებასაც, თუ რა მოგებას იძლეოდა ეს შესრულება. სამრეწველო წარმოების შემდგომი გაუმჯობესება მჭიდროდ დაუკავშირდა ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებასა და სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის ოქტომბრის პლენუმმა განიხილა "მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი". ამავე საკითხებზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობამ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სათანადო სისრულით არ ხორციელდებოდა, საწარმოთა დიდი ნაწილი კვლავ ვერ ასრულებდა სახელმწიფო გეგმას.

მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დარგობრივ პრინციპზე გადასვლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზრდებოდა სამეურნეო მუშაკების როლი, შრომითი კოლექტივებისა და კომუნისტების პასუხისმგებლობა მთელი ეკონომიკის განვითარებაში. პარტიულ ორგანიზაციებს უფრო მეტად უნდა გაეძლიერებინათ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მეტი სიფხიზლით მოჰკიდებოდნენ წარმოების მეთაურთა კადრების შერჩევა-განაწილებას, დროულად განეხილათ მრეწველობის მუშაკთა წახალისებისა და მათი შემოქმედებითი აქტივობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები. პარტიული ორგანიზაციები უნდა დახმარებოდნენ სამეურნეო ხელმძღვანელებს ნაკლოვანებათა გამოვლინება-აღმოფხვრაში, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა

ჩაეყენებინათ წარმოების ახალი რეზერვების გამოვლინება-ამოქმედების სამსახურში.

საქართველოს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შრომითი კოლექტივების ბრძოლა შედარებით ფართო მასშტაბით გაიშალა მერვე ხუთწლედის უკანასკნელ წლებში. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მეტი ყურადღება ეთმობოდა შრომის ნაყოფიერების ზრდას, საამქროებში სამეურნეო ანგარიშის სრულყოფას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას.

რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციისა და მოგების საერთო რაოდენობაში გადიდდა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადაყვანილ საწარმოთა ხვედრითი წონა. თუ 1967 წლის აპრილისათვის მართვის ახალ მეთოდზე გადაყვანილმა რვა საწარმომ გამოიმუშავა მთელი სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ სამი პროცენტი[2], 1970 წელს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდით უკვე მუშაობდა 800 საწარმო, რომლებმაც გამოიმუშავეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 83 პროცენტი და მიიღეს რესპუბლიკის სამრეწველო მოგების 86 პროცენტი[3].

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად საქართველოში შედარებით მაღალი ტემპით ვითარდებოდა ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა, მსუბუქი მრეწველობა.

ქიმიური მრეწველობის განვითარება და მისი მიღწევების გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სსრ კავშირში და მათ შორის საქართველოში შექმნილია მრეწველობის ამ დარგის განვითარების ხელსაყრელი პირობები: ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგი, ქიმიური მრეწველობის სათანადო მოწყობილობით უზრუნველყოფა და სხვ. ქიმიური მრეწველობის განვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნავთობის, შავი და ფერადი მეტალურგიისა და სახალხო მეურნეობის მრავალი სხვა დარგის ტექნოლოგიის სრულყოფა, ნედლეულისა და პროდუქციის ახალ სახეობათა შექმნა, მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა.

თუ ომამდე და ომის შემდგომ პირველ წლებში ქიმიურ მრეწველობაში გადამწყვეტი იყო მინერალური ნედლეულის მოპოვება და გადამუშავება, 60-იან წლებში, განსაკუთრებით მერვე ხუთწლედში, რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის სახის განმსაზღვრელი გახდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი პროდუქცია, როგორიცაა აზოტოვანი სასუქები. სინთეზური ფისები, სინთეზური ბოჭკოები და სხვ. კვლავ დიდი მოთხოვნილება იყო სამკურნალო

პრეპარატებზე, კოფეინის, ლითოფონისა და საქართველოს ქიმიური მრეწველობის სხვა პროდუქციაზე.

საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის შემდგომი განვითარების ამოცანები გადაჭრით მოითხოვდა ენერგეტიკული ბაზის გაფართოებას. მართალია, 1965 წლისათვის რესპუბლიკის ელექტროენერგიის გამომუშავება უკვე აღწევდა 6 მლრდ კვტს, მაგრამ რესპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობა ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ზრდის ტემპებს. ენერგოსისტემის გაფართოების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ენგურჰესის მშენებლობის დაჩქარება, აგრეთვე ვარციხისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების პირველი რიგის ამოქმედება.

რესპუბლიკის ენერგეტიკულ ბალანსში დიდი ადგილი უჭირავს ქვანახშირს. ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის საბადოების მუშაკთა წინაშე იდგა ახალი შახტების მშენებლობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და მათი ახალი ტექნიკური აღჭურვის ამოცანები. მაგრამ მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა შემცირების გამო ეს სამუშაოები შეფერხდა, რის გამოც ნახშირის ამოღებამ 1965 – 1970 წლებში 2,6 მლნ ტონიდან იკლო 2,3 მლნ ტონამდე[4]. ამის გამო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შემცირდა კოქსის გამოსაწვავად ადგილობრივი ნახშირის მოხმარება. 1970 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 53,1 პროცენტს, დანარჩენ ნაწილს კი ქარხანა დონეცკიდან იღებდა[5].

ხუთწლედში გაფართოვდა საძიებო-სადაზვერვო და ბურღვის სამუშაოების მოცულობა ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოსაპოვებლად.

საქართველო მეტად მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით, რომელზედაც მოდის რესპუბლიკის რეალური ენერგეტიკული რესურსების 80,8 პროცენტი[6]. მერვე ხუთწლედში ახალი ძალით გაჩაღდა უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის – ენგურჰესის მშენებლობა. მშენებელთა მრავალათასიან კოლექტივს გაჰყავდა გვირაბები, საბაგირო გზები, შენდებოდა საცხოვრებელი სახლები, კეთილმოწყობილი ხდებოდა მუშათა დაბები. ენგურჰესის მშენებლობის გრანდიოზულ მასშტაბზე ნათლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ მშენებელთა კოლექტივს მარტო დიდი ოქტომბრის საიუბილეო 1967 წელს უნდა შეესრულებინა 36,4 მლნ მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები[7].

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის ენერგომშენებლობაში მოხდა გარკვეული ძვრები. 1970 წლისათვის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე 930 ათას კილოვატამდე გაიზარდა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარებაში. თუ ზაჰესის პირველი რიგის ამუშავებიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ენერგეტიკულ ბაზაში უპირატესი ადგილი ჰიდროელექტროსადგურებს ეჭირათ, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ ეს როლი

თბოელექტროსადგურებს დაეკისრა, რომელთა წილი ელექტროენერგიის გამომუშავებაში მერვე ხუთწლედის დამლევს 70,5 პროცენტამდე გადიდდა[8]. 1970 წელს რესპუბლიკის ელექტროსადგურების სიმძლავრე გაიზარდა 2,1 მლნ კილოვატამდე, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია თითქმის 9 მლრდ კვტსთ-მდე. ამას გარდა, სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან საქართველომ მიიღო 368,1 მლნ კვტსთ, ხოლო თვითონ გასცა 417,2 მლნ კვტსთ[9].

გაუმჯობესდა რესპუბლიკის ენერგეტიკული ბალანსი, გადიდდა ელექტროქსელის სიგრძე და სატრანსფორმატორო ქვესადგურების სიმძლავრე, აშენდა ამიერკავკასიაში პირველი 500 კილოვატის ელექტროგადამცემი ხაზი თბილისსა და ზესტაფონს შორის, რესპუბლიკაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ელექტროენერგეტიკის ბაზის განმტკიცებისათვის. წარმატებების მიუხედავად, ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპი საქართველოში საგრძნობლად დაბალი იყო საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით. მაგალითად, 1970 წელს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებელი ერთ მცხოვრებზე შეადგენდა საშუალო საკავშირო დონის მხოლოდ 63,7 პროცენტს, შრომის ელექტროაღჭურვილობა მრეწველობის ერთ მუშაზე – 77,5, კოლმეურნეობის ერთ წევრზე – 45, ელექტროენერგიის მოხმარება მომსახურების სფეროში ქალაქის ერთ მცხოვრებზე – 59,8, ხოლო სოფლად – 59,5 პროცენტს[10].

მერვე ხუთწლედში განვითარდა შავი მეტალურგია, გაფართოვდა მანგანუმის მადნის მოპოვება, შავი ლითონის, ნაგლინის და ფოლადის მილების წარმოება. 1968 წელს რესპუბლიკის შავი მეტალურგიის საწარმოთა მთლიან პროდუქციაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხვედრითი წონა შეადგენდა 53,1 პროცენტს, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რაოდენობის მხრივ – 49,8 პროცენტს; ჭიათურის მანგანუმის ტრესტისა – შესაბამისად 17,6 და 30,8 პროცენტს; რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე მოდიოდა რესპუბლიკის მთელი შავი მეტალურგიის საწარმოთა ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების 57,4 პროცენტი[11].

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო საწარმოა. ამ ქარხნის ამუშავების შედეგად საქართველო რუსეთის სფსრ, უკრაინისა და ყაზახეთის შემდეგ გახდა მეოთხე მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც თუჯის გამოდნობა-დამუშავების საფუძველზე დიდი მასშტაბით აწარმოებს ფოლადს, ნაგლინსა და ფოლადის მილებს. მეტალურგიული ქარხანა პირველ წლებში უზრუნველყოფდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახალხო მეურნეობას ნავთობის მილებითა და მზა ნაგლინით. მაგრამ 60-იანი წლების მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში მრეწველობის სწრაფი განვითარების გამო მოთხოვნილება მზა ნაგლინზე მკვეთრად გადიდდა. ამავე დროს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტი მთლიანად ვერ გამოიყენებოდა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობაში. 1970 წელს, მაგალითად, საქართველოსა და მთელი

ამიერკავკასიისათვის გამოიყო ადგილობრივი წარმოების შავი ლითონის ნაგლინის ორი მესამედი.

მერვე ხუთწლედში დაისვა რუსთავის ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების საკითხი. შემუშავდა სათანადო პროექტიც, რომლის განხორციელება დიდი ნაბიჯი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის გზაზე. მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ერთგვარი "ანტიინდუსტრიული განწყობილების" გამო მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქციის დამტკიცებული პროექტი არ განხორციელდა[12].

1959 წელს დაიწყო ფერადი ლითონების ერთ-ერთი დიდი საბადოს – მადნეულის კომბინატის მშენებლობა. ეს საბადო უხვად შეიცავს სპილენძს, ტყვიას, ბარიტსა და თუთიას. საწარმოს მშენებლობის დროს გამოირკვა, რომ საბადოს მარაგი ბევრად სჭარბობდა გათვალისწინებულს. ამის გამო 1967 წლის აგვისტოში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის ახალი პროექტი, რომლითაც საწარმოს სიმძლავრე გადიდდა.

მერვე ხუთწლედში განვითარდა საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთი მაღალეფექტიანი დარგი – მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. მრავალფეროვანი გახდა ელექტროტექნიკური, საინსტრუმენტო, საავტომობილო მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ჩარხმშენებლობისა და კვების მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტი. შეიქმნა მთის მიწათმოქმედებისათვის საჭირო ტრაქტორები, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობანი, ავტომატიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების რეგულირების ხელსაწყოები, ათვისებულ იქნა გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა წარმოება. რესპუბლიკის მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ინტენსიური ზრდა ხორციელდებოდა როგორც ადრე შექმნილი ქვედარგების (ჩარხმშენებლობის, კვების მოწყობილობათა წარმოებისა და სხვათა) გაფართოების, ისე ახალი პროგრესული დარგების ჩამოყალიბება-განვითარების საფუძველზე.

სამშენებლო მასალების მრეწველობა დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. მერვე ხუთწლედში საგრძნობლად გადიდდა საშენ მასალათა საწარმოების სიმძლავრეები, გაფართოვდა გამოშვებულ ნაკეთობათა და მასალების ასორტიმენტი, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროგრესული სამშენებლო მასალის, მაგალითად, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნული წარმოების განვითარებას.

1965 – 1970 წლებში რესპუბლიკის საშენ მასალათა პროდუქციის მოცულობა 50 პროცენტით გადიდდა. მერვე ხუთწლედში მრეწველობის ამ დარგის ძირითადი საწარმოო ფონდები 66,9 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება – 25,4 პროცენტით, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება[13]. განსაკუთრებით გადიდდა არამადნეული საშენი მასალების, ბეტონისა და სილიკატური მსხვილი ბლოკების, ასაწყობი რკინა-

ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ცემენტისა და სხვა სახეობის მასალათა დამზადება, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის წარმოება.

მერვე ხუთწლედში ფართოდ განვითარდა მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი დარგი – საფეიქრო მრეწველობა, რომლის ძირითადი პროდუქციის (ქსოვილების, ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმის, ტრიკოტაჟის ნაკეთობათა და სხვ.) მოცულობა 1,7-ჯერ გაიზარდა, საშუალო წლიური მატების ტემპი აღწევდა 13 პროცენტს და მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინა ხუთწლედის მაჩვენებელს. 1970 წელს მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სამრეწველო პროდუქციის საერთო რაოდენობაში 19 პროცენტს აღწევდა.

საქართველოს კვების მრეწველობის დარგთა უმრავლესობა ადგილობრივ სანედლეულო ბაზას ემყარება და მათი პროდუქციის რაოდენობის ზრდაც უმთავრესად ნედლეულის რესურსების გაფართოების შესაბამისად ხორციელდება. რესპუბლიკაში ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია ჩაის, ღვინის, თამბაქოს, კონსერვებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის სანედლეულო ბაზის განსამტკიცებლად. ამ გარემოებებმა განსაზღვრეს რესპუბლიკის კვების მრეწველობის როლი და ადგილი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, განაპირობეს საკავშირო მნიშვნელობის მრავალდარგოვანი კვების ინდუსტრიის შექმნა. მერვე ხუთწლედში მაღალმწარმოებლური ტექნიკისა და წარმოების რაციონალური ფორმების დანერგვა რესპუბლიკის კვების მრეწველობაში მიმდინარეობდა წარმოების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ამაღლების პირობებში, რაც ხელს უწყობდა წარმოების რენტაბელობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მატერიალური წანამძღვრების შექმნას წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის.

ხუთწლედის დასასრულს ახალ სამეურნეო სისტემაზე გადაყვანილი საწარმოების ხვედრითი წონა კვების მრეწველობის საერთო პროდუქციაში შეადგენდა 96 პროცენტს. 1965 – 1970 წლებში საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა 873 მლნ მანეთიდან გადიდდა 1346,8 მლნ მანეთამდე, ანუ 154,3 პროცენტით, ხოლო ერთი მომუშავის საშუალო წლიური გამომუშავება 37,4 პროცენტით[14]. ხუთწლედის დასასრულს კვების მრეწველობის ხვედრითი წონა აღწევდა რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის საერთო რაოდენობის 39,9 პროცენტს.

გაფართოვდა კაპიტალური მშენებლობა, რომლის მასშტაბზე მეტყველებს კაპიტალდაბანდებათა და სამოქმედოდ გადაცემული ძირითადი ფონდების ღირებულების თანაფარდობა. ომის შემდგომ წლებში ეს ფონდები თითქმის თანაბარი ტემპებით იზრდებოდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდებასთან ერთად. მერვე ხუთწლედში რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 4,9 მლრდ მანეთს შეადგენდა, მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების

(კოლმეურნეობათა ჩაუთვლელად) კაპიტალდაბანდებანი აღწევდა 4,3 მლრდ მანეთს, აქედან მოქმედი ძირითადი ფონდების ღირებულება – 3,7 მლრდ მანეთს[15]. განსხვავება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების ზრდის ტემპებსა და საექსპლოატაციოდ გადაცემული ძირითადი ფონდების ღირებულების მაჩვენებლებს შორის გამოწვეული იყო. მშენებლობის ვადების დარღვევით, რაც ზრდიდა დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებას და ამცირებდა კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკურ ეფექტიანობას.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის ერთ მესამედზე მეტი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობას მოხმარდა. მერვე ხუთწლედში მწყობრში ჩადგა 57 ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო, აშენდა ბევრი მცირე სიმძლავრის საწარმო. რეკონსტრუირებულ იქნა და გაფართოვდა მრავალი მოქმედი საწარმო, მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობის მთავარი დარგების საწარმოო სიმძლავრეები და ძირითადი საწარმოო ფონდები. მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავად, 1965 – 1970 წლებში საქართველოს ძირითადი საწარმოო ფონდების ხვედრითი წონა რესპუბლიკის ყველა ძირითადი ფონდების საერთო მოცულობაში გაიზარდა 54-დან 58,4 პროცენტამდე, სოფლის მეურნეობაში კი ეს მაჩვენებელი უცვლელი დარჩა (17,1 პროცენტი)[16].

სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით, სოციალისტური მრეწველობის დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობის გადიდების პარალელურად მიმდინარეობს მუშათა კლასის რაოდენობის ზრდის პროცესი. 1965 – 1970 წლებში საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა ხვედრითი წონა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო ოდენობაში 25-დან 27 პროცენტამდე გადიდდა, ხოლო სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში (პირადი დამხმარე მეურნეობის ჩათვლით) ეს მაჩვენებელი 43-დან 38 პროცენტამდე შემცირდა[17]. მრეწველობაში მშრომელთა კონტინგენტის გადიდებისა და სოფლის მეურნეობაში მისი შემცირების ტენდენცია მოწმობს სამრეწველო წარმოებისა და მუშათა კლასის ხვედრითი წონის ზრდას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, მრეწველობის გადამწყვეტ მნიშვნელობას ენკონომიკის განვითარებაში.

60-იანი წლების პირველ ნახევარში, აგრეთვე მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელს საგრძნობლად შენელდა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიური ტემპი, იგი არ აღემატებოდა 4 პროცენტს, რის გამო გაიზარდა განსხვავება რესპუბლიკისა და მთლიანად სსრ კავშირის ინდუსტრიული განვითარების დონეთა შორის. მართალია, ყოველ რესპუბლიკას აქვს მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების სპეციფიკური, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მიღწეულ ინდუსტრიულ დონეს, მაგრამ მრეწველობის განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის

საერთო-საკავშირო ტემპებთან შედარებით საქართველოს მაჩვენებლების მკვეთრი ჩამორჩენა ეკონომიკური და ობიექტური პირობებიდან არ გამომდინარეობდა. ეს გამოწვეული იყო მრეწველობასა და საერთოდ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებით[18]. ამ პერიოდში პარტიული ცხოვრებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპებისაგან გადახვევამ შეაფერხა მრეწველობის მთელი რიგი დარგების განვითარება.

ბ) ახალი ეტაპი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

სოფლის მეურნეობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული მრეწველობის ბევრი დარგის განვითარება, ეროვნული სიმდიდრის ზრდა, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლება. 1965 წლის მარტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი "სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", სათავე დაუდო ახალ კურსს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ამბობდა: სოფლის მეურნეობის აღმავლობის "საყოფელთაო-სახალხო ამოცანა რომ გადავჭრათ, სოფლის მეურნეობას უნდა შევუქმნათ მტკიცე ეკონომიკური საფუძველი. ვ. ი. ლენინს ეს საკითხი მიაჩნდა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად, რადგან იგი ეხება საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველს – მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობას"[19].

საქართველოს სოფლის მეურნეობას თავისი სპეციფიკური ხასიათის გამო განსაკუთრებული ადგილი უკავია სსრ კავშირში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში დიდია ჩაის, ვენახის, ციტრუსების, ხილის, აბრეშუმის, თამბაქოს პროდუქციის წილი. სწორედ ამ დარგების პროდუქციის მოცულობა განსაზღვრავს რესპუბლიკის ადგილს შრომის საკავშირო დანაწილებაში.

რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ინტერესები მოითხოვდა განსაკუთრებულ ზრუნვას სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის. მაგრამ 60-იანი წლების დამდეგს საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, შენელდა სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი. ნელა იზრდებოდა წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა ეკონომიკის განვითარებაში, მოსახლეობის მატერიალურ უზრუნველყოფაში.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი იყო სოციალისტური წარმოების განვითარების ეკონომიკური კანონების, მშრომელთა მატერიალური დაინტერესების პრინციპების, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამების დარღვევა, რასაც იწვევდა

სუბიექტივიზმის გამოვლინება სოფლის მეურნეობის დაგეგმვასა და დაფინანსებაში, ფასების პოლიტიკაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ორგანიზაციაში, სასოფლო-სამეურნეო კადრებისა და სპეციალისტების გამოყენებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ბრძოლა გააჩაღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმისა და სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ ამოცანათა გადასაწყვეტად. მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება დიდად იყო დამოკიდებული მიწების მელიორაციის ფართო პროგრამის განხორციელებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ”მარცვლეული და სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ”[20]. ამ დადგენილებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის, წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტებს, გაერთიანება ”საქსოფლტექნიკას”, პარტიის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, აღმასკომებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაევალათ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა გაეჩაღებინათ მელიორაციის ფართო პროგრამის განსახორციელებლად, თითოეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ნაყოფიერად გამოყენებისათვის, დაჭაობებისა და ეროზიისაგან მიწების დაცვისათვის და ადგილობრივ პირობებთან შესაბამისად დაენერგათ მიწათმოქმედების ეფექტიანი სისტემები. ამ დადგენილებით 1966 – 1975 წლებში გათვალისწინებული იყო სარწყავი მიწების ფართობის გადიდება 160 – 180 ათასი ჰექტარით და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისება[21].

ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგად 1970 წლისათვის ყველა კატეგორიის მეურნეობაში დამშრალი მიწების ფართობმა შეადგინა 139 ათასი ჰექტარი, მორწყული მიწებისამ კი – 347 ათასი ჰექტარი[22]. დაიწყო კოლხეთის, ენგურ-ხუმუშკურის, ზემო ალაზნისა და სხვა მსხვილი სარწყავი სისტემების მშენებლობა. განსაკუთრებით დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობისა იყო კოლხეთის დაბლობისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემების მშენებლობა. მერვე ხუთწლედში კოლხეთის დაბლობზე უმთავრესად მიმდინარეობდა ადრე ამოშრობილი ფართობის რეკონსტრუქცია, უმჯობესდებოდა დასაშრობ სისტემათა ექსპლოატაცია და ჰიდრომელიორაციული და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ხარისხი.

მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა მეცხოველეობის განვითარებისათვის. მერვე ხუთწლედის ბოლოს, მსხვილი რქოსანი

პირუტყვისა და ცხვრის სულადობის შემცირების მიუხედავად, მეცხოველეობის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 30 პროცენტს აღწევდა. პირუტყვის სულადობის შემცირება ნაწილობრივ იმანაც გამოიწვია, რომ შეიკვეცა საქართველოს ფარგლებს გარეთ რესპუბლიკის სარგებლობაში დროებით გამოყოფილი ზამთრის საძოვრები, რესპუბლიკის ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაიზარდა პირუტყვის სულადობის სიმჭიდროვე. შეუსაბამობამ პირუტყვის სულადობასა და საკვებ ბაზას შორის შეამცირა პირუტყვის პროდუქტიულობა, გაადიდა პროდუქციის თვითღირებულება, განაპირობა საქართველოს სოფლის მეპურნეობის ამ ტრადიციული დარგის არასაკმაო ეფექტიანობა.

მეცხოველეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 მარტის დადგენილებას "მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ". ამ დადგენილებით საქართველოში, ისევე როგორც სხვა ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებში, გადიდდა შესასყიდი სახელმწიფო ფასები მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და ღორის ხორცზე, რძის პროდუქტებზე, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად[23].

რესპუბლიკის ტერიტორიის მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის გამო სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონებს ახასიათებდა პროდუქციის წარმოების განსხვავებული სტრუქტურა და მიმართულებანი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაში მომხდარი ცვლილებანი უმთავრესად მისი გაღრმავების ხარჯზე წარმოებდა, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაშიც უპირატესად წამყვანი დარგები ვითარდებოდა. მაგრამ მერვე ხუთწლედის დასასრულს რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სპეციალიზაციამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო, რაც იწვევდა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო დარგებისა და კულტურების დაქსაქსვას, აფერხებდა მექანიზაციის დანერგვას, წარმოების მართვას, ამცირებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობას.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინერგებოდა ტექნიკური პროგრესი, იზრდებოდა წარმოების ინტენსიფიკაციის დონე. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით რესპუბლიკაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ოდენობა დიდად ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირის შესადარის მაჩვენებელს, და ეს მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მატერიალური წარმოების სფეროს მუშაკთა საერთო რაოდენობაში საშუალო საკავშირო დონეს ბევრად სჭარბობდა. აქედან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება.

60-იან წლებში გარკვეული ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტრიფიკაციას. 1970 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურაში მექანიკური ძრავების ხვედრითი წონა შეადგენდა 98 პროცენტს[24]. ყოველ 100 ჰექტარ ნათესზე საშუალოდ მოდიოდა 340 ცხენის ძალის ენერგეტიკული სიმძლავრენი, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. მაგრამ მეტად დაბალი იყო შრომის ენერგოაღჭურვილობის დონე მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების რაიონებში. ამ კულტურებს კი განმსაზღვრელი ადგილი ეკავათ საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

მერვე ხუთწლედში გაუმჯობესდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება. მაგრამ რესპუბლიკის, განსაკუთრებით მთიანი სასოფლო-სამეურნეო რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ახასიათებდათ მცირემიწიანობა და მეურნეობის მრავალდარგიანობა, რაც ართულებდა ტრაქტორების გამოყენების შესაძლებლობას და ადიდებდა სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებას. ამასთან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციისა და კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის შემდეგ ეს ტექნიკა დაიქსაქსა და ბევრ კოლმეურნეობაში, სადაც არ არსებობდა სათანადო სარემონტო ბაზა და არ ჰყავდათ მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები, დადებითი შედეგები ვერ გამოიღო. ამიტომ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო "საქსოფლტექნიკის" სისტემაში სატრაქტორო რაზმებისა და სადგურების შექმნა. მათ მერვე ხუთწლედში შეასრულეს სოფლის მეურნეობის სატრაქტორო სამუშაოთა საერთო მოცულობის ერთ მესამედზე მეტი.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქიმიზაცია. 1965 – 1970 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდება პირობით ერთეულებში გაანგარიშებით გაიზარდა 365 ათასი ტონიდან 563 ათას ტონამდე[25]. მინერალური სასუქების გამოყენებით საქართველოს სოფლის მეურნეობამ მარტო 1970 წელს დამატებით მიიღო 165 მლნ მანეთზე მეტი პროდუქცია.

მერვე ხუთწლედში გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობისათვის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების მომზადება. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობა 15,6 ათასიდან გადიდდა 19,1 ათასამდე, მათ შორის სოფლის მეურნეობის სპეციალისტების – აგრონომების, ზოოტექნიკოსებისა და ვეტმუშაკების რიცხვი – 11 ათასიდან 12,7 ათასამდე. 1970 წლის აპრილისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება ჰქონდათ რესპუბლიკის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა 76 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა – 97 პროცენტს[26].

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების განხორციელება სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების წინაშე აყენებდა

ცოდნის დონის სისტემატური ამაღლების, მათი მასობრივი გადამზადების აუცილებლობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის დადგენილების – "კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ"[27] – შესაბამისად 1966 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებში შეიქმნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი 3 – 6-თვიანი ფაკულტეტები, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ოქტომბრის განკარგულებით ანალოგიური ფაკულტეტები გაიხსნა 1970 წელს საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში. კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები ცოდნის დონეს იმაღლებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის, ქიმიზაციის, მელიორაციის, მექანიზაციის, წარმოების ორგანიზაციისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მასშტაბები დღის წესრიგში აყენებდა მექანიზატორთა კადრების მოსამზადებელი ქსელის გაფართოებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა მასობრივი კვალიფიკაციის ამაღლებას. მარტო 1970 წელს მომზადდა 4,1 ათასი მექანიზატორი და მათი საერთო რაოდენობა 25 ათასამდე გადიდდა, მათ შორის კოლმეურნეობებში მუშაობდა 15,4 ათასი ტრაქტორისტი, მემანქანე, კომბაინერი და მძღოლი[28].

წარმატებები უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებდა ხელმძღვანელი სამეურნეო-პარტიული ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომები, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე. მერვე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით საქართველოს სოფლის საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის ნაყოფიერება მხოლოდ 20 პროცენტით გაიზარდა, საბჭოთა კავშირში კი ეს მაჩვენებელი 30 პროცენტს აღწევდა. მშრომელთა ფართო მასების შრომითი აქტივობის მიუხედავად, კვლავ გრძელდებოდა საშუალო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში განვითარების ტემპების ჩამორჩენის ტენდენცია.

მერვე ხუთწლედში სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო "კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების" მიღება. ომის შემდგომ წლებში, განსაკუთრებით განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, კოლმეურნეობათა წინაშე დადგა ახალი პრობლემები. 30-იან წლებში მიღებული საკოლმეურნეო წესდების ბევრი დებულება-მოთხოვნა უკვე აღარ შეესაბამებოდა სოფლად საწარმოო ძალების განვითარების დონეს, საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათს. ამიტომ სკკპ

ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავდა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების პროექტი, რომელიც განსახილველად გამოქვეყნდა 1969 წლის პირველ ნახევარში.

ახალი წესდების პროექტმა საქართველოს მშრომელი მასების უდიდესი ინტერესი გამოიწვია. რესპუბლიკის კოლმეურნეობების, კოლმეურნეობათა წარმომადგენლების რაიონულ კრებებზე და კოლმეურნეობათა საოლქო კონფერენციებზე ერთსულოვნად მოიწონეს წესდების პროექტის ძირითადი დებულებანი. 1969 წლის მარტში, სექტემბერსა და ოქტომბერში პროექტის განხილვაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 740 ათასი კოლმეურნე[29].

რესპუბლიკაში წესდების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები შეაჯამა საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობამ, რომელიც ჩატარდა 1969 წლის 30 – 31 ოქტომბერს. ყრილობას ესწრებოდა 817 დელეგატი. იგი შესავალი სიტყვებით გახსნეს საკოლმეურნეო შრომის ვეტერანებმა, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა მ. ორაგველიძემ და დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატმა, გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის პენსიონერმა სოფიო ბაზანდარაშვილმა. ყრილობამ მოიწონა საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი, წამოაყენა ზოგიერთი წინადადება საზოგადოებრივი საკუთრებისა და საკოლმეურნეო წარმოების რენტაბელობის განსამტკიცებლად[30]. ყრილობამ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობაზე წარგზავნა 142 დელეგატი.

საბჭოთა კავშირის კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობამ 1969 წლის 27 ნოემბერს მიიღო ”კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება”, რომელიც 28 ნოემბერს დაამტკიცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. ახალი წესდება სავსებით შეესაბამებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ახალი ეტაპის მოთხოვნებს, სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე იგი უზრუნველყოფდა კოლმეურნეთა მიერ წარმოების მართვას, ქმნიდა საშუალებას კოლმეურნეთა პირადი ინტერესების საზოგადოებრივ, საერთო-სახალხო ინტერესებთან სწორად შეხამების საშუალებას[31].

ახალი სანიმუშო წესდება ითვალისწინებდა წარმოების განვითარებისა და მეურნეობის რენტაბელობის ასამაღლებლად მატერიალური დაინტერესებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპების ფართოდ გამოყენებას. წესდება განამტკიცებდა საკოლმეურნეო საკუთრებას, ქმნიდა სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივ წანამძღვრებს მიწისა და საკოლმეურნეო ქონების სწორად გამოყენებისათვის. წესდების შესაბამისად არსებითად გაფართოვდა კოლმეურნეობის საწარმოო-სამეურნეო ინიციატივა. წესდებაში ნათქვამია: ”კოლმეურნეობა თავის მეურნეობას უძღვება კოლმეურნეთა საერთო კრებების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით და

იყენებს წარმოების ორგანიზაციის ყველაზე პროგრესულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ფორმებსა და მეთოდებს... კოლმეურნეობების საწარმო-საფინანსო საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის, მორალური და მატერიალური სტიმულების ფართოდ გამოყენების საფუძველზე"[32].

სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ წესდებაში ასახულია კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში მომხდარი ცვლილებანი. "შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობაში, - ნათქვამია წესდებაში, - წარმოებს თითოეული კოლმეურნის მიერ საზოგადოებრივ მეურნეობაში გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, პრინციპით: "კარგი შრომისათვის, უკეთესი შედეგებისათვის – უფრო მაღალი ანაზღაურება"[33].

წესდებაში გათვალისწინებულია კოლმეურნეების უფლებებისა და სოციალური უზრუნველყოფის რეალური გარანტიები, განსაზღვრულია ქალაქისა და სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების გეგმები, სოფლად კომუნისტური ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობები.

კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობამ სოფლის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის კოლექტიური გადაწყვეტის მიზნით აირჩია კოლმეურნეთა საკავშირო საბჭო, რომლის შემადგენლობაში საქართველოდან შევიდა ოთხი კაცი.

"კოლმეურნეობის წინანდელი სანიმუშო წესდება, - აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი კოლმეურნეთა ყრილობაზე, - შთააგონებდა და წარმართავდა კოლმეურნეობების საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ქმნადობისა და განვითარების წლებში. ახალი სანიმუშო წესდება გახდება კოლმეურნე გლეხობის ცხოვრებისა დ შრომის კანონი სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში"[34].

ახალმა საკოლმეურნეო წესდებამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

გ) მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა

მერვე ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითი აქტივობა გამოვლინდა სოციალისტურ შეჯიბრებაში, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობასა და მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცებაში.

რესპუბლიკის მრეწველობაში დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის შედეგად გაფართოვდა სოციალისტური შეჯიბრება, დაინერგა მონათესავე კოლექტივებს შორის მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების მეთოდები, შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მატერიალური წახალისების ახალი ფორმები.

სკკპ XXIII ყრილობის მოწოდებას – შრომითი წარმატებებით აღენიშნათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი – გამოეხმაურნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი საწარმოების მუშა-მოსამსახურენი. საქართველოში საოქტომბრო შეჯიბრების გაშლის ინიციატორებად ჭიათურის მანგანუმის წარმოების მუშაკები და სიღნაღის რაიონის მშრომელები გამოვიდნენ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1967 წლის 4 იანვრის დადგენილებაში "ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად მზადების შესახებ" მოიწონა ჩვენი ქვეყნის შრომითი კოლექტივების ინიციატივა წინასაიუბილეო შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ. შეჯიბრებაში გამარჯვებულებს სამუდამოდ რჩებოდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები. ასეთივე დროშები დაწესდა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში. მთელი რესპუბლიკა დადგა საიუბილეო შრომით ვახტზე.

თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ნოვატორებმა ვ. პაპინაშვილმა, გ. ჩადუნელმა და სხვებმა წამოიწყეს შეჯიბრება სამახსოვრო საიუბილეო დროშის მოსაპოვებლად. თბილისელ ელმავალმშენებლებს გამოეხმაურნენ რუსთაველი მეტალურგები, ქუთაისელი ავტომშენებლები, ჭიათურელი მაღაროელები და რესპუბლიკის ბევრი სხვა სამრეწველო საწარმოს შრომითი კოლექტივები. ავტომშენებლებმა შეჯიბრება გაშალეს "დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ბრიგადის" წოდების მოსაპოვებლად[35].

ბევრმა ნოვატორმა და მოწინავე კოლექტივმა პირადი ვალდებულებანი აიღო. ქუთაისის ქარხნის კომუნისტური შრომის რაციონალიზატორთა ბრიგადამ, რომელსაც სათავეში ედგა ი. ხაზარაძე, რესპუბლიკის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადებს მოუწოდა შეჯიბრება გაეშალათ შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ლითონისა და მასალების დაზოგვისათვის. ამ ინიციატივას ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი რუსთავის ამწეთსაშენებელი ქარხნის რაციონალიზატორთა ბრიგადამ.

საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში ზესტაფონელმა მეტალურგებმა ახალი შენადნობები მიიღეს, რკინიგზელებმა შეამცირეს ზეგეგმითი გადაზიდვებისა და ვაგონების ბრუნვადობის დრო, რუსთაველმა მეტალურგებმა ა. ფანცულაიამ, ზ. ყაველაშვილმა, გ. ბერეკაშვილმა, ი. ტაბატაძემ და სხვებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი კიროვის სახელობის მაკეევკის ქარხნის მოწინავე მეფოლადეების ჩქაროსნული ფოლადდნობის მეთოდებს, უკვე 1967 წლის სექტემბერში უარი თქვეს დოტაციაზე და გადაწყვიტეს მილიონობით მოგების მიღება[36].

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში კარგი თაოსნობა გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის ტრანსპორტის მუშაკებმა. ვოლგისპირეთის რკინიგზის კოლექტივმა ვალდებულება აიღო ვაგონების

პარკის გაუდიდებლად უზრუნველეყო სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზეგეგმითი პროდუქციის გადაზიდვა საიუბილეო წელს, დასავლეთ ციმბირის რკინიგზის მოსკოვის სავაგონო დეპოს კოლექტივმა კი გადაწყვიტა მნიშვნელოვნად შეემცირებინა ვაგონების რემონტის დრო. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ვოლგისპირეთის რკინიგზისა და დასავლეთ ციმბირის რკინიგზის მოსკოვის სავაგონო დეპოს შრომითი კოლექტივების თაოსნობა.

ჩვენი ქვეყნის ტრანსპორტის მუშაკთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს საქართველოს მთელმა რიგმა საწარმოებმა. ამიერკავკასიის მაგისტრალის სამტრედიის განყოფილების რკინიგზელებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს ნახევარი საათით დაეჩქარებინათ ვაგონის ბრუნვა, უკეთ გამოეყენებინათ მისი ტვირთამწეობა და ამ გზით ყოველდღიურად დამატებითი დატვირთვისათვის გამოეთავისუფლებინათ 220 ვაგონი. ჭიათურის მანგანუმის ტრესტისა და სადგურ ჭიათურის კოლექტივებმა გადაწყვიტეს მკვეთრად აემაღლებინათ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე, მკვეთრად აემაღლებინათ ვაგონების დამუშავების ტექნოლოგია, რიტმული მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით 40 წუთით შეემცირებინათ ვაგონების მოცდენა ნორმასთან შედარებით, რაც დამატებით გამოათავისუფლებდა 20 ვაგონს დღე-ღამეში და უზრუნველყოფდა ზეგეგმითი პროდუქციის გადაზიდვას.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრების პერიოდში კიდევ უფრო გაფართოვდა კონკურსები თავის პროფესიაში საუკეთესო მუშის წოდებისათვის. კონკურსების ფართო მასშტაბი ხელს უწყობდა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებას. 1967 წელს მოწყობილ თბილისის საქალაქო კონკურსში 170-მდე ნოვატორს მიენიჭა თავიანთ პროფესიებში საუკეთესო მუშის წოდებები, მათ შორის იყვნენ ცნობილი ნოვატორები კ. ილურიძე, ზ. სარალიძე, ვ. პაპინაშვილი, ნ. როდმანჩენკო, ვ. საგინაშვილი, გ. გოგიჩაიშვილი და სხვ.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს რესპუბლიკის მშრომელები სამეურნეო ფრონტზე მნიშვნელოვანი გამარჯვებით შეხვდნენ. სოციალისტური ვალდებულებანი გადაჭარბებით შესრულდა. მოწინავეთა შორის იყვნენ ელამავალმშენებლები, მეტალურგები, ჭიათურელი მაღაროელები. ჭიათურის მშრომელებმა მანგანუმის მადნის ამოღებისა და გამდიდრების შვიდწლიანი გეგმა ვადამდე შეასრულეს, წარმატებანი მოიპოვეს მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის დარგშიც, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 2 თებერვლის ბრძანებულებით ”ჭიათურმარგანეცის” ტრესტი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველო დიდი ოქტომბრის იუბილეს წინა პერიოდში ზედიზედ რვაჯერ გამოვიდა გამარჯვებული საკავშირო

სოციალისტურ შეჯიბრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთ საბჭოსა და საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს სამახსოვრო დროშებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკის 20 მოწინავე საწარმო, ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა[37]. ამას გარდა, რესპუბლიკის 146 სამრეწველო საწარმოს, კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებას გადაეცა საქართველოს კომუნისტური პარტიის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები[38]. საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა ასობით მშრომელი.

საიუბილეო წლის ნოემბერში მოსკოველთა ინიციატივით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა შეჯიბრება მერვე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის შრომითმა კოლექტივებმა, უწინარეს ყოვლისა ჩარხმეშენებლებმა, საწარმოებში დაინერგა შრომის ბევრი ახალი მეთოდი, შემუშავდა მუშის პირადი გრაფიკი მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და მისი უდეფექტოდ ჩაბარების უზრუნველსაყოფად. ქართველ მეტალურგთა შორის ფართოდ გაიშალა შეჯიბრება წარმოების კულტურის ამაღლებისა და მოწყობილობათა საპროექტო სიმძლავრეების დროზე ათვისებისათვის[39]. 1968 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

1968 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ”ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ”, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ეს მზადება ხელს შეუწყობდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულებას, პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული აქტუალური ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ამოცანების განხორციელებას.

დიდი ლენინის 100 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის მუშათა კლასი გახდა მრავალი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორი, წარმოების კულტურის ამაღლებისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელები[40], მედალი ”მამაცური შრომისავთის. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად”, შემოღებულ იქნა რესპუბლიკური წამახალისებელი სიგელებიც[41].

საქართველოში ლენინური შრომითი შეჯიბრების პიონერები ჭიათურელი მაღაროელები და წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეები იყვნენ. მათი თაოსნობა ერთსულოვნად მოიწონეს სხვა

შრომითმა კოლექტივებმა. მთელი რესპუბლიკა დადგა ლენინურ შრომითს ვახტზე, ბრძოლა ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის იქცა რესპუბლიკის მშრომელთა უპირველეს საბრძოლო ამოცანად.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა 1969 წლის 12 აპრილს მასობრივი შაბათობით აღნიშნეს კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავი. ადგილებზე მოეწყო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დათვალიერება, შეჯამდა "თავის პროფესიაში საუკეთესო მუშის" წოდებისათვის გაშლილი კონკურსის შედეგები. მრავალ საწარმოში მოეწყო მუშათა პროფესიული დაოსტატების კონკურსები. მოწინავე მუშებს აჯილდოებდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. პირველი ჯილდოები გადაეცათ ჭიათურელ მებიგეს ა. მელაშვილს, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატს ნ. როდომანჩენკოს, 26 კომისრების სახელობის ქარხნის მემოდელეს ა. ღვინიანიძესა და სხვებს. ასე იშვა შრომის მოწინავეთა წარმატებების აღნიშვნის ახალი ტრადიცია[42].

1969 წელს ქუთაისელმა ავტომშენებლებმა მოძრაობა გააჩაღეს ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ასათვისებლად და მხარი დაუჭირეს ბელორუსიის ავტომშენებელთა თაოსნობას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილემდე დარჩენილი წლის ლენინურ სამეურნეო წლად გამოცხადების შესახებ. მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა მაუდ-კამვოლის კომბინატის "საბჭოთა საქართველოს" ოსტატის თანაშემწის ბ. თევდორაძის ინიციატივით წამოიწყეს შეჯიბრება დაეზოგათ ძირითადი ფონდების ფულადი სახსრები. რესპუბლიკის ათობით მუშამ მხარი დაუჭირა კოსტრომელი მქსოველის ვ. პლეტნევას მოწოდებას ხუთწლედის დავალებანი შეესრულებინათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, აგრეთვე მოსკოველი მქსოველის გ. ივანოვას თაოსნობას – 1970 წლის 21 და 22 აპრილს ემუშავათ დაზოგილი მასალით. გ. ივანოვას ინიციატივას პირველი გამოეხმაურა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივი.

1969 წლის აპრილში სოციალისტურმა შრომის გმირმა ი. ხაზარაძემ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა და რესპუბლიკის მშრომელებს მოუწოდა დიდი ლენინის იუბილემდე დარჩენილი წელი დამკვრელურ წლად გამოეცხადებინათ. ი. ხაზარაძის ინიციატივას პირველნი გამოეხმაურნენ წარმოების ნოვატორები – თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ამწყობი-ზეინკალი შ. ფირცხალავა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ფანცულაია, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ოპერატორი კ. მდივანი, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღანელი ვ. პაპინაშვილი, რუსთავის სახლთსამშენებლო კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი შ. მოდებაძე, წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი დ. წივწივაძე, გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა ლენინის ანდერძის ბრიგადირი მ.

მექვევრიშვილი, დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ი. არწივაძე, რესპუბლიკაში პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები: გ. ჩადუნელი, ა. ძამაშვილი, ზ. რუსია, დ. ხაჩიძე და ვ. გეგეშიძე. წარმოების ნოვატორთა მუშაობის დევიზი გახდა შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავ ელენე კოწიწაშვილის ინიციატივა – გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება სამუშაო დროის ყოველი წუთის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამ პატრიოტულ თაოსნობას პირველი გამოეხმაურა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი ნორა გოგოლაძე[43].

საქართველოს მუშათა მასებში ფართო მხარდაჭერა პოვა "თბილგვირაბმშენის" კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ი. კინწურაშვილის თაოსნობამ ლენინური ბრიგადის წოდების მოსაპოვებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების მრავალი ნოვატორი 1969 წლის ბოლოს მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობდა. მაგალითად, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი ზ. გველუკაშვილი 1974 წლის გეგმებს ასრულებდა. მოწინავეთა შორის იყვნენ მჭედელი კ. ილურიძე, მაუდ-კამვოლის კომბინატის მრთველი მ. ბარათაშვილი. პირადი ხუთწლიანი გეგმით 1970 წლის დამდეგისათვის შესრულებული ჰქონდა ათასობით მუშას. ბევრმა საწარმომ მიაღწია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის ბოლოსათვის დაგეგმილ დონეს. 50-ზე მეტმა საწარმომ მხარი დაუჭირა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოსაშენებელი ქარხნის კოლექტივის ინიციატივას ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად ახალი შეჯიბრების გაშლისათვის.

საქართველოს მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეორე ლენინურ კომუნისტურ შაბათობაში (1970 წლის 11 აპრილი) და მთელი გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში შეიტანეს. 21 და 22 აპრილს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 135 ათასმა მუშაკმა იმუშავა დაზოგილი მასალით და დაამზადა 13 მლნ მანეთის პროდუქცია.

საქართველოს მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ბევრი შრომითი კოლექტივისა და ათასობით ნოვატორის შრომა წამახალისებელი ჯილდოებით აღინიშნა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო სიგელებით დაჯილდოვდა 45 საწარმო, ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ხოლო 170-ზე მეტ საწარმო-ორგანიზაციას გადაეცა რესპუბლიკური ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის 198 ათასამდე მოწინავემ დაიმსახურა საიუბილეო მედალი "მამაცური შრომისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად"[44]. სამახსოვრო საიუბილეო დროშები გადაეცათ ქ. თბილისს,

აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, ქ. ქუთაისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებს[45].

1970 წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების წელიც იყო. რესპუბლიკაში გაფართოვდა სოციალისტური შეჯიბრება. იგი განსაკუთრებით გაღრმავდა მას შემდეგ, რაც 1970 წლის 14 ივნისს გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ. რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა და შრომის ნოვატორებმა დიდი საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად აიღეს კონკრეტული ვალდებულებები.

ამრიგად, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა რაოდენობა მერვე ხუთწლედში სისტემატურად იზრდებოდა. რესპუბლიკის მშრომელთა ეს მოძრაობა გახდა ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა ხვედრითი წონა რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობაში ნათლად ჩანს მე-2 ცხრილში[46].

ცხრილი 2

	1966 წ.	1968 წ.	1970 წ.
მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა	1.245.686	1.325.489	1.419.438
მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც გაშლილი იყო სოციალისტური შეჯიბრება	906.145 737.604	988.414 834.122	1.078.382 918.273
შეჯიბრებაში ჩაბმულთა რაოდენობა			

მუშათა ტექნიკური შემოქმედების ერთ-ერთი თავისებურებაა მისი ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ვლინდება გამომგონებლობა-რაციონალიზატორობასა და მუშათა კლასის შემოქმედებითი შრომის სხვა ფორმების მაგალითზე. თუ 1959 წელს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო აერთიანებდა 414 პირველად ორგანიზაციას 21,8 ათასი წევრით, 1970 წელს რესპუბლიკური საბჭოს 915 პირველად ორგანიზაციაში უკვე ირიცხებოდა 65 ათასი წევრი[47].

მერვე ხუთწლედში გაიზარდა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დანერგილ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა. გადიდდა მათი ეფექტიანობა. მარტო 1970 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შემოსული 27,6 ათასი გამოგონებიდან და რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 77,9 პროცენტი, მიღებული ეკონომია შეადგენდა 27,5 მლნ მანეთს[48], მერვე ხუთწლედის მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობაში სულ დაინერგა 97,6 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, რამაც სახელმწიფოს მისცა 129,9 მლნ მანეთის ეკონომია და აგრეთვე 474 გამოგონება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი აღწევდა 12 მლნ მანეთს[49].

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობის მნიშვნელობა კომუნიზმის მშენებლობაში მარტო ეკონომიკური ეფექტით როდი განისაზღვრა. იგი ხელს უწყობს აგრეთვე მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავებას, კოლექტივიზმის სულისკვეთების განმტკიცებას.

მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკურმა საბჭომ მარტო 1968 – 1970 წწ. მოაწყო 878 საზოგადოებრივი დათვალიერება, 859 კონკურსი, შემოქმედებით მივლინებებსა და ექსკურსიებზე გაიგზავნა 7 ათასამდე წევრი. რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში მოწყობილ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიღწევების დათვალიერებებმა და კონკურსებმა ხელი შეუწყეს წარმოების ტექნიკურ სრულყოფას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, სახელმწიფო-სამეურნეო გეგმის შესრულებას, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას. 1965 წელს საქართველოში დამსახურებული რაციონალიზატორისა და გამომგონებლის წოდებას ატარებდა 1341, 1970 წელს – 2344 კაცი[50].

მუშათა კლასისა და მშრომელთა სხვა ფენების ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის დარგში მიღწეული წარმატებების აღრიცხვას, განზოგადებასა და გავრცელებას. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1963 წელს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ქ. გორკის საბჭოს ინიციატივით ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში შეიქმნა საპატენტო ბიუროები და საკონსულტაციო პუნქტები. 1970 წელს საქართველოს 36 საპატენტო ბიუროში გაერთიანებული იყო 325, ხოლო 30 საკონსულტაციო პუნქტში – 105 კაცი[51]. 1966 წელს საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური

საბჭოს ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა პატენტმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელმაც მერვე ხუთწლედში მოამზადა ათეულობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

მერვე ხუთწლედში გაიზარდა მშრომელთა ნებაყოფლობითი შემოქმედებითი კოლექტივების, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროების, შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადების, ნოვატორთა საბჭოების, მუშა-მკვლევართა საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების, ტექნიკური პროგრესის უნივერსიტეტების რაოდენობა.

სამრეწველო საწარმოთა საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები ნოვატორ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთათვის დახმარებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ საწარმოთა ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტაში, მრეწველობის მუშაკებსა და მეცნიერთა შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაში. 1970 წელს რესპუბლიკის 30-მა საზოგადოებრივმა საკონსტრუქტორო ბიურომ, რომელშიც ასზე მეტი ნოვატორი მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მეცნიერი მუშაკი მონაწილეობდა, შეიმუშავა ეკონომიკური ეფექტის მქონე 216 წინადადება[52].

დიდი ყურადღება ეთმობოდა ნოვატორთა საბჭოების მუშაობას. ნოვატოთრა საბჭო ლენინგრადის მშრომელთა ინიციატივით შეიქმნა და სულ მალე იქცა ფართოდ გავრცელებულ და ქმედით ფორმად მუშათა მონაწილეობისა წარმოების სრულყოფისათვის. საქართველოში ნოვატორთა პირველი რაიონული საბჭო შეიქმნა თბილისის ლენინის სახელობის რაიონში. მას სათავეში ჩაუდგა ელექტროდეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე. წარმოების ნოვატორებთან ერთად საბჭოების შემადგენლობაში გაერთიანდნენ მოწინავე სპეციალისტები. ნოვატორთა საბჭოები არჩევდნენ უმნიშვნელოვანეს გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს და სათანადო რეკომენდაციებს აძლევდნენ მათ წარმოებაში დასანერგად. ნოვატორთა საბჭოები ხელს უწყობდნენ აგრეთვე მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას.

გამომგონებლობა და რაციონალიზატორობა ვითარდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც, სადაც ბევრმა რაციონალიზატორმა ისახელა თავი. გორის რაიონის სოფელ შინდისის საბჭოთა მეურნეობის ნოვატორის ს. ჯოჯაშვილის ინიციატივით შექმნილმა მოწყობილობამ გაუმჯობესა ხეხილის ბაღების ნიადაგის ორმხრივი დამუშავება, რამაც მეურნეობას ერთ წელიწადში მისცა 8,7 ათასი მანეთის ეკონომია. წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა მეცხოველეობის ფერმაში დანერგეს უხეში და წვნიანი საკვების მექანიზებული წესით დარიგება, რითაც გაიზარადა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორების ლ. მელუას და ი. კვალაკოვის მიერ გადაკეთებული ტრაქტორის აგრეგატი წარმატებით უზრუნველყოფდა 1,25 მ სიგანის ჩაის პლანტაციების

რიგთაშორის დამუშავებას. გურჯაანის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა გააუმჯობესეს შაბიამნის ხსნარის მექანიკური წესით შემზადებისა და შესხურების მექანიზაცია. ამით ხელით შრომისაგან ასობით მუშა გამოთავისუფლდა, ხოლო მეურნეობის რენტაბელობის დონე 32 პროცენტით გადიდდა. სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა უ. ფუტკარაძემ ტრაქტორზე დაამონტაჟა გოგირდის შემფრქვევი აპარატი, რითაც პროდუქციის თვითღირებულება 20 – 30 პროცენტით შემცირდა.

მერვე ხუთწლედში განსაკუთრებით დიდი ყურადება მიექცა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქმიანობას. საკავშირო პროფსაბჭომ 1966 წლის 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება "მრეწველობის დარგობრივი მართვისა და წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მუშაობის შესახებ". ეს დადგენილება სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისაგან მოითხოვდა გაეძლიერებინა ყურადღება მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემებისადმი. 1965 წელს რესპუბლიკის 16 სამეცნიერო-ტექნიკურ დარგობრივ საზოგადოებაში გაერთიანებული იყო 70 ათასზე მეტი ნოვატორი მუშა, ტექნიკოსი, ინჟინერი და მეცნიერ მუშაკი, 1970 წელს საზოგადოებათა რაოდენობა 20-მდე გადიდდა, წევრთა რიცხვი კი 115 ათასამდე გაიზარდა. მერვე ხუთწლედში ამ საზოგადოებათა მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და წინადადებების დანერგვით დაიზოგა 55 მლნ მანეთი[53].

სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ტექნიკური განვითარების მთავარ მიმართულებათა განსაზღვრაში, წარმოებაში ახალი ეტქნიკის დანერგვასა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაში. მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის პირველადი ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ 1967 წელს აერთიანებდა 35 ინჟინერ-ტექნიკოსს, მუშა-რაციონალიზატორსა და წარმოების ნოვატორს, აქტიურად მონაწილეობდა წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებებში. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მარტო 1970 წელს დაინერგა 626 რაციონალიზატორული წინადადება და ოთხი გამოგონება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი 1,4 მლნ მანეთს შეადგენდა. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა "ისანში" მერვე ხუთწლედში განხორციელდა 553 რაციონალიზატორული წინადადება, მიღებული დანაზოგი 1 მლნ მანეთს აღწევდა.

მეცნიერება, განსაკუთრებით განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მთლიანად იქცევა საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალად, ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდის გადამწყვეტ ფაქტორად. პარტია ყოველნაირად უწყობს ხელს მეცნიერების როლის შემდგომ გაძლიერებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, იმ გამოკვლევათა წახალისებას, რომლებიც ახალ შესაძლებლობებს ქმნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის[54]. მარტო 1967 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაინერგა 150-მდე

მნიშვნელოვანი ღონისძიება საწარმოო პროცესებისა და მოწინავე ტექნოლოგიის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. ამავე წელს გადაცემულ იქნა წარმოებაში და პირველად დამზადდა 40-ზე მეტი დასახელების პროდუქცია.

წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი. მათი ერთობლივი მონაწილეობა შრომის ნოვატორებთან სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დასანერგავად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1968 წლის სექტემბერში მიიღეს დადგენილება ”მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სახალხო მეურნეობაში დაჩქარებით გამოყენებისათვის სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ”. ამავე საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ 1969 წლის 4 თებერვალს მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

მერვე ხუთწლედში გაფართოვდა რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოთა და ორგანიზაციების საქმიანი კონტაქტები სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ერთობლივი ძალებით წარმატებით წყვეტდნენ სახალხო მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებს. ამ პერიოდში შეიქმნა მრავალი ახალი კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადა. 1970 წელს ასეთი ბრიგადების რიცხვი გაიზარდა 405-მდე, ხოლო წევრთა რაოდენობა – 2 720-მდე, წარმოებაში დაინერგა 1800 წინადადება[55].

საქართველოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მერვე ხუთწლედში გარკვეულ ყურადღებას უთმობდნენ წარმოების მოწინავე მუშაკებისა და ნოვატორების გამოცდილების პროპაგანდა-გავრცელებას. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდნენ ტექნიკური ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების უნივერსიტეტები და ქარხანათაშორისო სკოლები, რომელთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. თუ 1965 წელს საქართველოში იყო 26 ასეთი უნივერსიტეტი და სკოლა, 1970 წელს მათი რიცხვი უკვე 34 ერთეულს აღწევდა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი დიდ ამოცანებს აყენებდა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეშიც. საჭირო იყო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი კულტურულ-ტექნიკური და ინტელექტუალური დონის სისტემატური ამაღლება, სწავლების მთელი რიგი ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრება, მართვის მეცნიერულ საფუძველზე სამეურნეო სისტემათა მასობრივი გადაყვანა, მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების დაუფლება, სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გამოყენება.

[1] “საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია”, თბ., 1973, გვ. 854 – 857.
[2] გაზ. “კომუნისტი”, 1967 წლის 26 აპრილი.
[3] იხ. “რეზოლუცია საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობისა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო” (გაზ. “კომუნისტი”, 1971 წლის 3 მარტი).

[4] “საბჭოთა საქართველოს 50 წელი”, გვ. 110.
[5] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 182.
[6] ”Природные ресурсы Грузинской ССР», т. IV, М., 1963, стр. 7.
[7] გაზ. “კომუნისტი”, 1967 წლის 19 ივლისი.
[8] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 198.
[9] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стр. 80 – 82.
[10] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 199.
[11] იქვე, გვ. 206.
[12] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 213 – 217.
[13] “საბჭოთა საქართვლეოს ეკონომიკა”, გვ. 274.
[14] **ვ. ვადაჭკორია,** საქართველოს კვების მრეწველობა მერვე ხუთწლედში, თბ., 1971, გვ. 8 – 11.
[15] «Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 167, 175.
[16] ”საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისთავზე”, სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 1972, გვ. 44.
[17] «Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 189.
[18] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 149 – 150.
[19] **ლ. ი. ბრეჟნევი,** ლენინის კურსით, ტ. I, თბ., 1971, გვ. 75.
[20] გაზ. “კომუნისტი”, 1966 წლის 6 სექტემბერი.
[21] გაზ. “კომუნისტი”, 1966 წლის 5 სექტემბერი.
[22] “საბჭოთა საქართველოს 50 წელი”, გვ. 151.
[23] “პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შესახებ”, (1965 – 1971 წწ.), თბ., 1973, გვ. 611 – 615.
[24] «Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября. Юбилейный статистический ежегодник.», Тб., 1977, стр. 92.
[25] «Народное хозяйство Грузинской ССР», стр. 85.
[26] «Сельское хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник», ч. I, Тб., 1972, стр. 266 – 267.
[27] იხ. “პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შესახებ”, გვ. 69 – 78.
[28] «Сельское хозяйство Грузинской ССР», ч. I, стр. 271.
[29] “საქართველოს სსრ კოლმეურნეთა III ყრილობა”, თბ., 1971, გვ. 43.
[30] იხ. “საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობის დადგენილება (გაზ. “კომუნისტი”, 1969 წლის 5 ნოემბერი).
[31] “პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შესახებ”, გვ. 563.
[32] იქვე, გვ. 558.
[33] **იქვე,** გვ. 566.
[34] **ლ. ი. ბრეჟნევი,** ლენინური კურსით, ტ. 2, გვ. 544.
[35] გაზ. “კომუნისტი”, 1967 წლის 5 მარტი.
[36] **იქვე,** 26 აგვისტო.
[37] გაზ. “კომუნისტი”, 1968 წლის 24 ოქტომბერი.
[38] “საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები”, გვ. 606.
[39] გაზ. “კომუნისტი”, 1967 წლის 16 ივლისი.
[40] **იქვე,** 1969 წლის 7 სექტემბერი.

[41] **იქვე,** 25 დეკემბერი.
[42] **ს. ჩხარტიშვილი,** სოციალისტური შეჯიბრების ისტორია საქართველოს მრეწველობაში, გვ. 218.
[43] **ზ. გვიშიანი,** სოციალისტური შეჯიბრება და მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, თბ., 1975, გვ. 61.
[44] "საბჭოთა საქართველოს 50 წელი", გვ. 49.
[45] გაზ. "კომუნისტი", 1971 წლის 16 მაისი.
[46] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულებისა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიმდინარე არქივის მასალების მიხედვით.
[47] Краткая справка о работе Грузинского республиканского совета ВОИР и состоянии изобретательства и рационализации республики» (в дальнейшем – «Краткая справка о работе ВОИР»), Тб., 1972, стр. 2 – 3.
[48] «Грузинская ССР в цифрах в 1974 году. Краткий статистический сборник», Тб., 1975, стр. 41.
[49] «Краткая справка о работе ВОИР», стр. 5.
[50] იქვე, გვ. 3.
[51] «Краткая справка о работе ВОИР», стр. 4.
[52] **იქვე**, გვ. 5.
[53] საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიმდინარე არქივის მასალებიდან.
[54] "სკკპ XXII ყრილბის მასალები", გვ. 464.
[55] «Краткая справка о работе ВОИР», стр. 4.

§ 3. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება

სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობამ შექმნა მყარი ბაზა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის, რომლის ერთ-ერთი მაჩვენებელია მოსახლეობის ზრდა და ცვლილებები მის სოციალურ შემადგენლობაში. 1970 წლის იანვრისათვის რესპუბლიკის მოსახლეობა 1966 წელთან შედარებით 181 ათასი კაცით გაიზარდა და შეადგინა 4 686 ათასი სული. შეიცვალა მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა გადიდდა 50 პროცენტამდე. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვითარდა თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ქალაქები.

რესპუბლიკაში შრომითი რესურსების 69 პროცენტი დასაქმებული იყო სახალხო მეურნეობაში. მერვე ხუთწლედში საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 239 ათასით გადიდდა და მიაღწია 1 490 ათას კაცს, მათ შორის მუშების რიცხვმა საშუალო მომსახურე პერსონალსა და დაცვის მუშაკებთან ერთად შეადგინა 1 029 ათასი[1].

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველია ეროვნული შემოსავლის მოცულობის გადიდება და მისი სტრუქტურის გაუმჯობესება. ეროვნულ შემოსავალს შეადგენს იმ რესურსების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოიფლებლად, სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოებისა და ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. მერვე ხუთწლედში საქართველოს ეროვნული შემოსავლის მოცულობა შესაბამისი

წლების ფასებში 3 022,1 მლნ მანეთიდან 4 099,2 მლნ მანეთამდე გადიდდა. აქედან მრეწველობაზე მოდიოდა 40,6 პროცენტი, სოფლის მეურნეობაზე – 32,5, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და მშენებლობაზე – 13,9 პროცენტი[2]. ამასთან ერთად გადიდდა გამოყენებული ეროვნული შემოსავლის მოცულობაც. 1965 – 1970 წლებში რესპუბლიკის საერთო ეროვნული შემოსავლიდან მოხმარების ფონდების ხვედრითი წონა გაიზარდა 73,6-დან 76 პროცენტამდე, მათ შორის მოსახლეობის პირადი მოხმარების მაჩვენებელი - 66,2-დან 68,4 პროცენტამდე[3].

მშრომელთა ცხოვრების დონის ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებელია რეალური შემოსავალი – მატერიალური და კულტურული დოვლათის ის რაოდენობა, რასაც მოსახლეობა ღებულობს შრომის ანაზღაურების, დახმარების, შეღავათებისა და უფასო მომსახურების სახით. რეალური შემოსავალი ეროვნული შემოსავლის ნაწილია და მოსახლეობა მას იყენებს მოხმარებისა და დაგროვებისათვის. რეალური შემოსავლის სიდიდე და მოძრაობა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ეროვნული შემოსავლისა და მოხმარების ფონდის ზრდის ტემპებზე, გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში მოხმარებისა და დაგროვების ფონდის ხვედრითი წონის ცვლილებებზე.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი ყოველწლიურად დიდდებოდა. მერვე ხუთწლედში რეალური შემოსავლის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 30 პროცენტს, რესპუბლიკის მოსახლეობის რეალური შემოსავლის ხვედრითი წონა კი – მთელი გამოყენებული ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 70 და მოხმარების ფონდის 95 პროცენტს. 1970 წელს 1965 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავალი გაიზარდა თითქმის 43 პროცენტით, ნატურალური შემოსავალი – 16 პროცენტით[4].

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების მთავარი წყაროა შრომის მიხედვით ანაზღაურების გადიდება. სოციალისტურ სექტორში შრომის ანაზღაურება უმთავრესად ხელფასის ფორმით ხორციელდება. საქართველოს სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მერვე ხუთწლედში გადიდდა 91-დან 106,1 მანეთამდე, ხოლო მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული შეღავათებისა და დახმარების გათვალისწინებით – 125-დან 145,7 მანეთამდე[5].

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გეგმით გათვალისწინებული 20 პროცენტის ნაცვლად გადიდდა 26,1 პროცენტით. შედარებით მაღალი ტემპით მატულობდა საშუალო თვიური ხელფასი მრეწველობაში[6].

საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გადიდების კვალობაზე შემცირდა საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული ნატურალური ანაზღაურების მოცულობა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სკკპ

ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის მითითების შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის დადგენილებით[7] მთელ ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ძირითადი ფორმა ფულადი ანაზღაურება გახდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტთრა საბჭომ განიხილეს და მოიწონეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (”საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შესახებ”) და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დონის უზრუნველსაყოფად ურჩიეს კოლმეურნეობებს 1966 წლის 1 ივლისიდან შემოეღოთ კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება (ფულადი და ნატურით) საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი კატეგორიების მუშაკთა სატარიფო განაკვეთების საფუძველზე; ხოლო თუ კოლმეურნეობას არ ჰქონდა სათანადო სახსრები ამ სამეურნეო პოლიტიკის გასატარებლად, სახელმწიფო ბანკი მას ეხმარებოდა გრძელვადიანი (5-წლიანი) კრედიტით, რომელსაც კოლმეურნეობა ფარავდა კრედიტის მიღების მესამე წლიდან დაწყებული, პირველ რიგში საბიუჯეტო გადასახდელთა შეტანის შემდეგ[8].

რესპუბლიკის კოლმეურნეთა საერთო შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირად დამხმარე მეურნეობას, რადგან საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული ნატურალური შემოსავალი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობის ზოგიერთ პროდუქტზე.

სოფლად ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სოციალური პრობლემაა საზოგადოებრივი და პირადი დამხმარე მეურნეობის ინტერესების სწორად შეხამების უზრუნველყოფა. მართალია, მერვე ხუთწლედში საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში გაიზარდა, მაგრამ კოლმეურნეთა ოჯახების ბიუჯეტში პირადი დამხმარე მეურნეობის წილი 1970 წელს 57,6 პროცენტს აღწევდა. სკკპ XXIII და XXIV ყრილობების, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII და XXIV ყრილობების დოკუმენტებში აღინიშნა საზოგადოებრივი მეურნეობის როლის გაძლიერების აუცილებლობა, რაც უფრო გაზრდიდა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშის დაინტერესებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით და ხელს შეუწყობდა საკუთრების საზოგადოებრივი ფორმის განმტკიცებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მინიმალური ხელფასის ზრდა ხორციელდებოდა საშუალო ანაზღაურების მქონე მუშა-მოსამსახურეთა განაკვეთებისა და დახმარება-შეღავათების გადიდებასთან ერთად. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 სექტემბრის დადგენილებისა (”საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ”) და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 სექტემბრის ბრძანებულების (”მუშათა და მოსამსახურეთა

ხელფასის გადასახადთა შემცირების შესახებ”) შესაბამისად 1968 წლის 1 იანვრიდან გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა შვებულებების ხანგრძლივობა და შემცირდა საშემოსავლო და სხვა გადასახადების ოდენობა.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდის ერთ-ერთი წყაროა წარმოების წახალისების ფონდებიდან გაცემული პრემიები და სხვა გასამრჯელო. 1970 წელს რესპუბლიკის მატერიალური წახალისების ფონდი შეადგენდა 61 მლნ მანეთს. გაიზარდა სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-გაყიდვით კოლმეურნეთა, მუშათა და სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით (”კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ”) 1966 წლიდან საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრა კოლმეურნეობის არა საერთო შემოსავალი, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ მხოლოდ მისი წმინდა შემოსავალი. მატერიალური წახალისებისა და სტიმულირების ფონდების ზრდამ დიდად შეუწყო ხელი მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას.

შრომის ანაზღაურება, ხელფასი სოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყაროა, მაგრამ არა ერთადერთი. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებს, მატერიალური დოვლათის იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ღებულობენ უფასოდ ან შეღავათიან პირობებში. 1965 – 1970 წლებში საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარებისა და შეღავათების მოცულობა 447,5 მლნ-დან გადიდდა 1017,4 მლნ მანეთამდე, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით – 149,4-დან 216 მანეთამდე[9].

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოსახლეობის უფასო სწავლებას, სამედიცინო მომსახურებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, პენსიებს, სტიპენდიებს, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო და შეღავათიანი საგზურების გაცემას, აგრეთვე სხვა დახმარებასა და შეღავათებს. სწორედ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით საბჭოთა საზოგადოებაში წარმატებით წყდება ბევრი სოციალური პრობლემა. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზრუნვას დედათა და ბავშვთა კეთილდღეობაზე. 1970 წელს საქართველოში ყოველთვიურ და ერთდროულ სახელმწიფო დახმარებას იღებდა 64,6 ათასი მრავალშვილიანი დედა. სკოლამდელ დაწესებულებებში (ბაღი, ბაგა-ბაღი) ერთ ბავშვზე წელიწადში იხარჯებოდა დაახლოებით 360 მანეთი, აქედან 80 პროცენტს შეადგენდა მოხმარების საზოგადოებრივი

ფონდებიდან გაღებული სახსრები. 1965 – 1970 წლებში საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების რაოდენობა გადიდდა 997-დან 1417-მდე, ხოლო აღსაზრდელი ბავშვებისა – 83,6 ათასიდან 104,8 ათასამდე[10].

რესპუბლიკაში სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე იმსჯელა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ 1968 წლის 20 მაისს და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სკოლამდელ დაწესებულებათ მუშაობის გასაუმჯობესებლად[11].

გაფართოვდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე (ფიზკულტურასთან ერთად) დაიხარჯა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების 15 – 20 პროცენტი. განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მთავარი რგოლი – საავადმყოფო დაწესებულებანი, ამაღლდა სამედიცინო ტექნიკითა და კვალიფიციური კადრებით მათი აღჭურვის დონე. 1965 – 1970 წლებში რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებში საწოლთა რიცხვი 38,1 ათასიდან 43,1 ათასამდე გადიდდა. 1970 წლის დასასრულს რესპუბლიკის ყოველ 10 ათას მცხოვრებზე მოდიოდა 36,2 ექიმი და 91,2 საშუალო სამედიცინო მუშაკი[12]. მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 26 ივნისის დადგენილებას ”სსრ კავშირში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების მდგომარეობისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შესახებ”[13].

მერვე ხუთწლედში მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებიდან საკურორტო მშენებლობას, რესპუბლიკის მშრომელთა უფასო სამედიცინო დახმარებას, სანიტარულ-საკურორტო მომსახურებასა და ფიზიკურ აღზრდას მოხმარდა დიდძალი სახსრები. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი, ბორჯომის პანსიონატი და დასასვენებელი სახლი, გაგრის პანსიონატი და სხვა ობიექტები. 1970 წელს რესპუბლიკის სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში იმკურნალა და დაისვენა 445 ათასმა კაცმა, ხოლო მშრომელთა ორგანიზაციული დასვენების სხვა დაწესებულებებში – 210 ათასმა[14].

სოციალიზმის მნიშვნელოვანი მონაპოვარია მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ფართო სისტემის შექმნა. შვებულების ანაზღაურება და პენსიები, სხვადასხვა დახმარება და შეღავათები ზრდის მოსახლეობის რეალურ შემოსავალს. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 26 სექტემბერს მიიღო ბრძანებულება “საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ”[15]. ამ ბრძანებულებით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სახელმწიფო პენსიის მინიმუმი, მაღაროებში, ჩრდილოეთის რაიონებსა და სხვა მძიმე უბანზე მომუშავეთათვის დაწესდა მოხუცებულობის პენსიის დანიშვნის შეღავათიანი ვადები. გატარდა ღონისძიებანი სრული პენსიის შენარჩუნებით შრომისუნარიანთა საზოგადოებრივ წარმოებაში

ჩასაბმელად. გადიდდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა სტიპენდიები. მერვე ხუთწლედში ამ ღონისძიებებზე დაიხარჯა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მესამედზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების თითქმის 80 პროცენტი ხმარდებოდა პენსიებს. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ შვიდწლედის დასასრულიდან პენსიებით უზრუნველყოფა გავრცელდა კოლმეურნე გლეხობაზე. ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში პენსიონერთა რაოდენობა 620 ათასიდან გადიდდა 806 ათასამდე, მათ შორის კოლმეურნე პენსიონერებისა – 202 ათასიდან 302 ათასამდე[16].

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ზრდა და მათი მიზანშეწონილი, დიფერენცირებული გამოყენება ხელს უწყობდა საქართველოს მაღალმთიანი და ცენტრალური ნაწილის მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების პროცესებს, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ქსელის გაფართოებას, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას, საბოლოო ანგარიშით ქალაქისა და სოფლის ცხოვრების თანდათან დაახლოებას. სახალხო მეურნეობის ტექნიკურმა პროგრესმა მთელ რიგ დარგებში შეამსუბუქა მუშათა შრომა, აამაღლა მექანიზებული შრომის დონე, ხელი შეუწყო წარმოებასა და მშენებლობაში მუშათა დენადობის შემცირებას.

ხალხის კეთილდღეობის ამაღლება უწინარეს ყოვლისა გამოხატულებას პოულობს ისეთ ეკონომიკურ პროცესში, როგორიცაა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის განვითარება. სახალხო მოხმარების ზრდის ბაზაზე შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების – საცალო საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებისა და მისი სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში განსაკუთრებით ფართო ადგილი დაიკავეს დარგებმა, რომლებიც ქმნიან მრეწველობის სანედლეულო ბაზას. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაადიდა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა. ნატურალურთან შედარებით ფულადი შემოსავლის მკვეთრად გადიდების შედეგად გაიზარდა სოფლის მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, გაფართოვდა მათი მოთხოვნები საბჭოთა ვაჭრობისადმი.

1965 – 1970 წლებში საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით 1529,7 მლნ-დან გაიზარდა 2314,7 მლნ მანეთამდე, ხოლო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხვედრითი წონა სასურსათო საქონლის გაყიდვაში – 85-დან 91 პროცენტამდე[17].

მკვეთრად ამაღლდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნებითა და ხანგრძლივი სარგებლობის საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე. 1965 – 1970 წლებში საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მეშვეობით ქალაქის ტიპის დასახლებებსა და სოფელ ადგილებში ორჯერ და მეტად გაიზარდა მოსახლეობის მიერ შეძენილი რადიომიმღებების, ტელევიზორების, სარეცხი და საკერავი მანქანების, მაცივრებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონლის რაოდენობა. გადიდდა აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელში შეძენილი საწარმოო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის მოცულობა.

60-იანი წლების პირველ ნახევარში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით საქართველოში უფრო დაბალი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე საშუალოდ მთელ ჩვენს ქვეყანაში. მერვე ხუთწლედში საქონელბრუნვის ზრდის ტემპი საშუალო საკავშირო მაჩვენებელს გაუთანაბრდა. მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რესპუბლიკა საკავშირო დონეს კვლავ ჩამორჩებოდა. 1970 წელს საცალო საქონელბრუნვა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველოში შეადგენდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 77 პროცენტს[18]. რესპუბლიკაში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის განვითარების ტემპის ჩამორჩენა განპირობებული არ იყო მოსახლეობის მყიდველობითი ფონდების სიმცირით, პირიქით, ეს უკანასკნელი შესამჩნევად აღემატებოდა მოსახლეობის მიერ სავაჭრო ქსელში საქონლის შესყიდვის დონეს. 1965 – 1970 წლებში საქართველოს მოსახლეობის მყიდველობითი ფონდები თითქმის 12 პროცენტით მეტი იყო საქონლის შესყიდვაზე[19]. ამის გამო წარმოიქმნა გამოუყენებელი მყიდველობითი ფონდები, მოსახლეობის დანაზოგები, რომელთა მოცულობა განუხრელად იზრდებოდა. აღნიშნულ წლებში რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში არსებული ანაბრების საერთო თანხა 355 მლნ მანეთიდან გაიზარდა 1164 მლნ მანეთამდე, ხოლო ანაბრის საშუალო ოდენობა – 451 მანეთიდან 1016 მლნ მანეთამდე[20].

საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვის გაფართოება დიდად იყო დამოკიდებული ადგიობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილ ნაწარმზე. რესპუბლიკისათვის გამოყოფილი საქონლის საბაზრო ფონდების საერთო მოცულობა, მართალია, ფარავდა საცალო საქონელბრუნვის გეგმას, მაგრამ ზოგიერთ საქონელს (მაგლითად, ხორცი, თევზი, შეკერილი ნაწარმი, ავეჯი და სხვ.) რესპუბლიკა აშკარად მცირე რაოდენობით იღებდა და ამ საქონლის საბაზრო ფონდების ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ნაკლები იყო, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირსა და მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში[21]. ამასთან საქართველო მონაწილეობდა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და თავისი პროდუქციის გარკვეული ნაწილი

გაჰქონდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში დიდი იყო რესპუბლიკაშივე წარმოებული საქონლის წილი.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დარგში რესპუბლიკას ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. საქონელბრუნვის განვითარების ტემპზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ისიც, რომ მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის დონე სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, სერიოზული ნაკლოვანებანი იყო აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაობის ორგანიზაციაში.

რესპუბლიკის სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოთა მუშაკები დროულად ვერ ითვალისწინებდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს და სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებს. თავის მხრივ სავაჭრო ორგანიზაციებიც არ იჩენდნენ ოპერატიულობას, ფართო მასშტაბით ვერ ნერგავდნენ ვაჭრობის პროგრესულ, მოსახლეობისათვის მოხერხებულ ფორმებს, თუმცა საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობა მათ ავალებდა: ”აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ვაჭრობის ორგანიზაციაში, განუწყვეტლივ აუმჯობესონ მშრომელთა სავაჭრო მომსახურების კულტურა, ფართოდ დანერგონ ვაჭრობის პროგრესული ფორმები; მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი საქონელბრუნვის გეგმების სისტემატურად შესრულებისათვის, სამრეწველო და სასურსათო საქონლით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის”[22].

ხალხის მატერიალური კეთილიდღეობის გაუმჯობესება გამოვლინდა იმითაც, რომ მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაში გადიდდა არასასურსათო საქონლის ხვედრითი წონა. ამავე დროს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ცვლილებანი, კერძოდ ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფულად სისტემაზე გადასვლა, საკოლმეურნეო ვაჭრობის როლის შემცირება და სხვა ფაქტორები ხელს უწყობდნენ სასურსათო საქონელზე მოთხოვნილების ამაღლებას. 60-იანი წლების პირველ ნახევარში რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მთლიან საქონელბრუნვაში სჭარბობდა სასურსათო საქონლის ხვედრითი წონა, 1965 წლიდან კი შეიმჩნევა არასასურსათო საქონლის წილის თანდათანობით ამაღლების ტენდენცია[23]. 1965 – 1970 წლებში ყველა საქონლის მოცულობა გაიზარდა 151 პროცენტით, მათ შორის არასასურსათო საქონლისა – 164 პროცენტით[24].

გარკვეული ძვრები მოხდა რესპუბლიკის სავაჭრო ობიექტების განლაგებაში. შედარებით მაღალი ტემპით ფართოვდებოდა ქალაქის სავაჭრო ქსელი. მერვე ხუთწლედის დასასრულს რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობას ემსახურებოდა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 5,8 ათასამდე საწარმო. რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში გადიდდა ადგილების რაოდენობა, ამაღლდა სავაჭრო სპეციალიზაციის დონე. მწყობრში ჩადგა ხორცის, თევზის,

ქსოვილების, ავეჯისა და ფართო მოხმარების სხვა საქონლის ახალი სპეციალიზებული მაღაზიები, განმტკიცდა სავაჭრო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საქართველოს მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საკოლმეურნეო ვაჭრობა, თუმცა 1965 – 1970 წლებში მისი ხვედრითი წონა სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში 15-დან 9 პროცენტამდე შემცირდა[25]. მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოში საკოლმეურნეო ვაჭრობის ხვედრითი წონა სასურსათო საქონლის რეალიზაციაში უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში.

მერვე ხუთწლედის პირველ წლებში მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებს სათანადო ადგილი არ ეჭირა საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობაში. საჭირო იყო პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება სახალხო მეურნეობის იმ დარგებისადმი, რომელთა საქმიანობა მთლიანად ექვემდებარებოდა ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების ამოცანას.

ხალხის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 აგვისტოს დადგენილებას ”მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ”. ეს დადგენილება ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს ავალებდა ”რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, გააუმჯობესონ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და მომსახურების კულტურა, გააფართოონ სამუშაოთა მექანიზაცია და სრულყონ ტექნოლოგიური პროცესები, აამაღლონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მშრომელთა მომსახურების ორგანიზაციისათვის... განამტკიცონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომახურების საწარმოები და ორგანიზაციები ხელმძღვანელი კადრებით მომზადებულ, ინიციატივიან და ენერგიულ მუშაკთაგან... გააქტიურონ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა, მათი ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკთა შორის”[26].

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს მოსკოვის, დონეცკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოთა ინიციატივა საკუთარი სახსრებით აეშენებინათ და მოეწყოთ სახელოსნოები, ატელიები და სხვა ობიექტები. ამავე დადგენილებით საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და დაწესებულებებს გაუფართოვდა უფლებები, ამიერიდან მათ შეეძლოთ მიღებული მოგება გამოეყენებინათ მოქმედი საწარმოების განვითარებისა და ახალი ობიექტების

მშენებლობისათვის. დიდი ყურადღება დაეთმო ქსელის გაფართოებას, სპეციალისტთა მომზადებას, რეკლამას.

ამ დადგენილების შესაბამისად საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში ჩაებნენ საქართველოს ეკონომიკურად ძლიერი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამ მხრივ კარგი თაოსნობა გამოიჩინეს გორის, წითელწყაროსა და წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითმა კოლექტივებმა, რომლებმაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური მხარდაჭერით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავეს საკუთარი ძალებითა და სახსრებით საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის სამწლიანი გეგმა[27]. ამ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის სხვა რაიონებმა. 1968 – 1970 წლებში საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალებით აშენდა 700-ზე მეტი საყოფაცხოვრებო ობიექტი, გაუმჯობესდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე.

ეკონომიკური სტიმულირებისა და სამეურნეო საქმიანობის რეგულირების შედეგად რესპუბლიკაში თანდათან უმჯობესდებოდა ვაჭრობისა და მრეწველობის კავშირურთიერთობა.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი რგოლია საბინაო პირობების გაუმჯობესება. მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფის საკითხი სოციალურ პრობლემათა შორის ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარების შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საბინაო მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად. მერვე ხუთწლედში საქართველოში აშენდა 8,8 მლნ-მდე კვ მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი ბინები, მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ააშენეს 3,9 მლნ კვ მეტრი. მუშა-მოსამსახურეთა საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო კრედიტების ხარჯზე აშენდა 2,4 მლნ, კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციის სახსრებით – 2,5 მლნ კვ მეტრი. მერვე ხუთწლედში საბინაო პირობები გაიუმჯობესა 705 ათასმა კაცმა, აქედან 564 ათასმა მიიღო ფართობი ახალ სახლებში[28]. გადიდდა გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა. 1970 წელს გაზიფიცირებული იყო 594 ათასამდე ბინა. თხევად და ბუნებრივ გაზს ღებულობდა რესპუბლიკის ყველა ქალაქი, 53 ქალაქის ტიპის დასახლება და 1788 სოფელი[29].

გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად. გაფართოვდა წყალსადენებისა და კანალიზაციის ქსელი, გაუმჯობესდა რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის წყლით მომარაგება, თბოფიკაცია და საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურება. თბილისის მეტროპოლიტენმა საგრძნობლად გააუმჯობესა მგზავრთა მომსახურების ხარისხი, შეამცირა მათი გადაყვანის დრო.

ხალხის კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თავისუფალი დრო, რომელიც ადამიანის უნარის განვითარების მძლავრი ფაქტორი და, მაშასადამე, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესების წანამძღვარია. თავისუფალი დრო მშრომელებს უქმნის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ოპტიმალურ პირობებს. მშრომელთა თავისუფალი შემოქმედების გაფართოება-განვითარების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 14 მარტის ბრძანებულებით ჩვენს ქვეყანაში შემოღებულ იქნა ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორი გამოსასვლელი დღით[30]. თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება ხელს უწყობს ხალხის შეგნებისა და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებას, ადამიანის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას.

ამრიგად, რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცების საფუძველია. მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად, მერვე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში გაუმჯობესდა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ერთმანეთს დაუახლოვდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფი, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობის დონე, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები; გაძლიერდა მატერიალური და მორალური სტიმულების ზემოქმედება წარმოებაზე, შრომის ნაყოფიერებასა და პროდუქციის ხარისხზე; გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი; გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სავაჭრო მომსახურება.

---

[1] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 193.
[2] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стр. 149 – 150.
[3] იქვე, გვ. 150.
[4] **ვ. ლომთაძე, ნ. შარაშენიძე, მ. ჭინჭარაული,** საქართველოს სსრ მოსახლეობის ცხოვრების დონე და მისი ამაღლება მეცხრე ხუთწლედში, თბ., 1974, გვ. 21.
[5] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 199.
[6] **იქვე,**გვ.200.
[7] იხ. ”პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობის შესახებ”, გვ. 179 – 182.
[8] გაზ. “კომუნისტი”, 1966 წლის 28 ივნისი.
[9] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 210.
[10] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стр. 207, 234.
[11] გაზ. “კომუნისტი”, 1966 წლის 23 მაისი.
[12] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стр. 257 – 258.
[13] გაზ. “კომუნისტი”, 1968 წლის 28 ივნისი.
[14] “საბჭოთა საქართველოს 50 წელი”, გვ. 259.

[15] გაზ. “თბილისი”, 1967 წლის 28 სექტემბერი.
[16] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 232 – 233.
[17] “საბჭოთა საქართველოს 50 წელი”, გვ. 265, 268.
[18] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 760.
[19] იქვე, გვ. 750.
[20] იქვე, გვ. 752 – 753.
[21] იქვე.
[22] “რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო” (იხ. გაზ. “კომუნისტი”, 1966 წლის 6 მარტი).
[23] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 756.
[24] «Народное хозяйство СССР. 1922 – 1972 гг. Юбилейный статистический ежегодник», стр. 578.
[25] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 767.
[26] გაზ. “კომუნისტი”, 1967 წლის 14 სექტემბერი.
[27] გაზ. “კომუნისტი”, 1967 წლის 6 ოქტომბერი.
[28] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 213, 216.
[29] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 779.
[30] გაზ. “კომუნისტი”, 1967 წლის 15 მარტი.

§ 4. მერვე ხუთწლედის შედეგები

მერვე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით განხორციელდა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პროგრამა.

ამ მიღწევებში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმაც. სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლედი მთავარი მაჩვენებლების მიხედვით ძირითადად შესრულდა. გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, ერთნახევარჯერ გადიდდა სამრეწველო წარმოების მოცულობა, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა 9 პროცენტი[1].

განსაკუთრებით გაფართოვდა თბილისის ელმავალსაშენებელი, ჩარხსაშენებელი, რუსთავის მეტალურგიული, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების, გორის ბამბეულისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო საწარმოების სიმძლავრე და გაიზარდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა. საქართველოს ბევრი სამრეწველო საქონელი მოწონებით სარგებლობდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. საექსპორტო ასორტიმენტში გაიზარდა მანქანებისა და მოწყობილობების ხვედრითი წონა. საბჭოთა კავშირის ბევრ მხარეში და საზღვარგარეთ საქარველოდან იგზავნებოდა მაგისტრალური ელმავლები, მიწასაწოვი დანადგარები, სხვადასხვა აპარატურა, ზუსტი ხელსაწყოები და მრავალი სხვა მაღალხარისხოვანი ნაწარმი.

მერვე ხუთწლედში აშენდა 57 მსხვილი სამრეწველო საწარმო, მათ შორის თბილისის ელექტროგამომთვლელი მანქანების, რუსთავის ფოლად-თუჯსასხმელი, ბორჯომის ჩამომსხმელი და სურამის შუშის ტარის ქარხნები, ტყვარჩელის ქვანახშირის შახტი, რვა ჩაის ფაბრიკა და სხვ. საექსპლოატაციოდ გადაეცა 8,7 მლნ კვ მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები[2], აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

ამაღლდა წარმოების ტექნიკური, ენერგო და ელექტროშეიარაღების დონე. 1970 წელს რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი სამრეწველო საწარმოო ფონდების ზრდის მაჩვენებელმა 1960 წელთან შედარებით შეადგინა 236 პროცენტი. ძირითადი სამრეწველო-საწარმოო ფონდების ზრდის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში, სადაც იგი აღწევდა 599 პროცენტს, საშენ მასალათა მრეწველობაში – 305, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში – 277, მსუბუქ მრეწველობაში – 272 პროცენტს[3]. 1969 წლის ივლისისათვის რესპუბლიკის მრეწველობაში დადგმული იყო 1190 მექანიზებულ-ნაკადური და ავტომატური ხაზები, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული იყო 667 უბანი და საამქრო[4].

მერვე ხუთწლედში გაუმჯობესდა რესპუბლიკის ენერგეტიკული ბალანსი, გაფართოვდა ელექტროტექნიკური, საავტომობილო, ხელსაწყოთმშენებლობის, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციის ასორტიმენტი. რესპუბლიკის მანქანათსაშენებელმა საწარმოებმა ხუთწლედში გამოუშვეს 609 სამაგისტრალო ელექტრომავალი, 60 ათასი სატვირთო ავტომობილი, 46,8 ათასი ელექტროშემდუღებელი მოწყობილობა, 18,7 ათასი ლითონმჭრელი ჩანრხი, ათეულ ათასობით სასოფლო-სამეურნეო მანქანა[5]. შეიქმნა ავტომატიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების რეგულირების ხელსაწყოები, ათვისებულ იქნა გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა წარმოება. განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. 1970 წლის დასასრულს მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში შეადგენდა 19 პროცენტს, ხოლო კვების მრეწველობისა – 39,9 პროცენტს.

მერვე ხუთწლედში გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ტემპი აღემატებოდა მოპოვებითი მრეწველობის ზრდის მაჩვენებელს. იმავე წლებში რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მოცულობაში საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხვედრითი წონა 23-დან 29 პროცენტამდე გადიდდა. საქართველოს მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა (წარმოების ფაქტიურად მოქმედ საბითუმო ფასებში) 1966 წელს გადიდდა 3143,3 მლნ მანეთიდან 9703,1 მლნ მანეთამდე 1970 წელს, მათ შორის გადამამუშავებელი მრეწველობისა – 2980,1 მლნ მანეთიდან 4443,1 მლნ მანეთამდე, ხოლო მოპოვებითი მრეწველობისა – 163,8 მლნ მანეთიდან 270,1 მლნ მანეთამდე შესაბამისად[6].

სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაში გარკვეულ როლს ასრულებს ადგილობრივი მრეწველობა. მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა გამოიმუშავეს 570,2 მლნ მანეთის საერთო პროდუქცია, მათ შორის სახალხო მოხმარების საგნების ხვედრითი წონა შეადგენდა 72,6 პროცენტს.

სამრეწველო პროდუქცია რესპუბლიკის მატერიალური სიმდიდრის ძირითადი ნაწილია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ეკონომიკის განვითარებისათვის. 1965 – 1970 წლებში რესპუბლიკის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი 145 პროცენტით გადიდდა, მრეწველობაში კი ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო და 153 პროცენტს აღწევდა. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი რესპუბლიკის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის საერთო მოცულობისა და მისი განაწილების შესახებ (რეალიზაციის ფაქტიურ ფასებში)[7].

ცხრილი 3

	მლნ მანეთობით		პროცენტობით	
	1965	1970	1965	1970
მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი	5.824	8.911	100	100
მათ შორის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით	3.428	5.387	58,9	60,5
მრეწველობა	1.206	1.704	20,7	19,1
	142	233	2,4	2,6
სოფლის მეურნეობა	656	1.012	11,3	11,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	392	575	6,7	6,4
მშენებლობა				

ვაჭრობა, დამზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვ.				

მერვე ხუთწლედში გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. გადიდდა მრავალწლიანი კულტურების, კერძოდ ჩაის, ვენახის, ციტრუსების ფართობი და მოსავლიანობა. ჩაის საშუალო წლიური მოსავალი წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 176,2 ათასი ტონიდან 231 ათას ტონამდე. რესპუბლიკის მეჩაიეებმა ვადამდე შეასრულეს მერვე ხუთწლიანი გეგმა.

1965 – 1970 წლებში რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობაში ყურძნის მოსავალი გადიდდა 385 ათასი ტონიდან 579 ათას ტონამდე[8]. 1970 წელს სახელმწიფომ შეისყიდა 391,8 ათასი ტონა ყურძენი. 147 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1965 წელს[9].

საქართველოს სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ერთწლიან კულტურებს, რომლის ფართობი ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1970 წელს შეადგენდა 736,6 ათას ჰექტარს. აქედან მარცვლეულის კულტურებს (საშემოდგომო ხორბალი, სიმინდი) ეჭირა 500,8 ათასი ჰექტარი, ტექნიკურს (თამბაქო, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი) – 39,5 ათასი, ხოლო კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებს – 57,1 ათასი ჰექტარი[10].

მე-4 ცხრილში ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1965 წლის ფასებში მილიონ მანეთობით)[11].

ცხრილი 4

	წლები	
	1966	1970

მთლიანი პროდუქცია	967,9	1.173,2
მათ შორის:	618,6	823,7
მიწათმოქმედების	349,3	349,5
მეცხოველეობის	492,0	589,4
მეურნეობის კატეგორიების მიხედვით:		
ა) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების პროდუქცია	333,5	358,2
მათ შორის	475,9	583,8
კოლმეურნეობათა პროდუქცია		
ა)მუშების, მოსამსახურეთა და კოლმეურნეების პირად დამხმარე მეურნეობათა პროდუქცია		

გაუმჯობესდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, სპეციალისტთა და მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადება. სოფლის მეურნეობამ მიიღო 22,1 ათასი ტრაქტორი და სატვირთო ავტომანქანა (სპეციალიზებულის გარდა), 664 სილოსის ასაღები კომბაინი და დიდძალი სხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გადიდდა მექანიზებული შრომის პროფესიების ხვედრითი წონა. 1970 წელს სოფლის მეურნეობისათვის მომზადდა 4,1 ათასი მექანიზატორი. რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 24,9 ათასი ტრაქტორისტი-მემანქანე, კომბაინერი და მძღოლი[12].

სოფლის მეურნეობაში გაიზარდა უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტების რაოდენობა. 1970 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის დამხმარე და სხვა საწარმოო წამოწყებებში მუშაობდა 19,1 ათასი სპეციალისტი, მათ შორის აგრონომების, ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინართა რაოდენობა შეადგენდა 12,7 ათას კაცს[13].

მერვე ხუთწლედის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი იყო რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები რესპუბლიკის მუშათა კლასის შემადგენლობაში. 1970 წელს რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებული იყო 1490 ათასი მუშა-მოსამსახურე, რაც 239 ათასით აღემატებოდა 1966 წლის მაჩვენებლებს; მათ შორის მუშების რიცხვი საშუალო მომსახურე პერსონალისა და დაცვის მუშაკებთან ერთად შეადგენდა 1029 ათას კაცს ნაცვლად 811 ათასისა 1965 წელს[14]. მოწინავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მოძრაობაში. წარმოებაში მათი გამოგონებებისა და წინადადებების დანერგვით სახალხო

მეურნეობამ მიიღო მილიონობით მანეთი ეკონომია. მერვე ხუთწლედის დასასრულს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 84,2 პროცენტი, მათ შორის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში ჩაბმული იყო 404,2 ათასი კაცი, აქედან კომუნისტური შრომის დამკვრელი იყო 167,5 ათასი[15].

1970 წლის ნოემბრისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 322 ათასი სპეციალისტი, მათ შორის უმაღლესი განათლება ჰქონდა 184,5 ათას კაცს.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების კვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფისათვის პრფოესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა და სკოლებმა მერვე ხუთწლედში გამოუშვეს 82,1 ათასი მუშა. 1970 წელს საწარმოებსა და ორგანიზაციებში ინდივიდუალურ-ბრიგადულ სწავლებასა და კურსებზე ახალ პროფესიებს დაეუფლა და კვალიფიკაცია აიმაღლა 147 ათასმა მუშამ ნაცვლად 86,4 ათასი კაცისა 1965 წელს[16]. ხუთწლედის დასასრულს მუშების ნახევარზე მეტს საშუალო განათლება ჰქონდა.

მერვე ხუთწლედში გაუმჯობესდა რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა – მოემატათ ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს, გადიდდა საზოგადოებრივი მეურნეობიდან კოლმეურნეთა შემოსავალი, გაიზარდა საზოგადოებრივი ფონდებიდან ფულადი დახმარებისა და შეღავათების გაცემა, გაუმჯობესდა საპენსიო უზრუნველყოფა, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და კულტურული მომსახურება. გაფართოვდა საბინაო მშენებლობა. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობისათვის გაწეული დახმარებისა და შეღავათების რაოდენობა 1965 – 1970 წლებში 668,8 მლნ მანეთიდან 1017,4 მლნ მანეთამდე გადიდდა. ამ სახსრების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 120,1-დან 145,7 მანეთამდე გაიზარდა[17].

გადიდდა სახსრები სოციალურ-კულტურული მომსახურებისათვის. 1970 წლის დასასრულს სოციალური უზრუნველყოფით სარგებლობდა 800 ათასზე მეტი კაცი, სოციალური უზრუნველყოფის ხაზით ასიგნებანი შეადგენდა რესპუბლიკის ბიუჯეტის გასავლის 10 პროცენტზე მეტს.

გაფართოვდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი. გაიზარდა ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებანი. 1970 წლის დამლევს ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგა 60,3 ათსი ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალი (სამხედრო მოსამსახურეთა გარდა) ნაცვლად 44,5 ათასისა 1960 წელს. ექიმ ქალთა რაოდენობა შეადგენდა 65 პროცენტს[18].

ხუთწლედში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ჯანმრთელობის ახალი კერები. მათ შორის ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი, ბორჯომის პანსიონატი და დასასვენებელი სახლი, გაგრის პანსიონატი და სხვა ობიექტები.

მერვე ხუთწლედში გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, საქონელბრუნვა გაიზარდა 52,3 პროცენტით. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით 1965 – 1970 წლებში 1,5 მლრდ-დან 2,3 მლრდ-მდე გადიდდა[19]. მეტი ყურადღება დაეთმო შორეული მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებას.

განმტკიცდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ახალი კეთილმოწყობილი საწარმოები, საწყობები, მაცივრები, ვითარდებოდა ვაჭრობის პროგრესული ფორმები. გაფართოვდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. მერვე ხუთწლედში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა რესპუბლიკაში 30,9 მლნ-დან გაიზარდა 57,7 მლნ მანეთამდე, მათ შორის სოფლისა – 5,3 მლნ-დან 12,6 მლნ მანეთამდე.

მერვე ხუთწლედის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო საბინაო მშენებლობის გადიდება. ამ პერიოდში რესპუბლიკაში აშენდა დაახლოებით 8,8 მლნ კვ მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი ბინები, 866 ათასი კვ მეტრით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში. 1970 წელს ქალაქის საბინაო ფონდის ფართობი შეადგენდა 28,4 მლნ კვ მეტრს ნაცვლად 22,6 მლნ კვ მეტრისა 1965 წელს[20].

გაიზარდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკა. 1970 წელს საბჭოთა აფხაზეთის მრავალდარგოვანი მრეწველობის პროდუქცია 1960 წელთან შედარებით 198 პროცენტით გადიდდა. 1970 წელს აფხაზეთის მრეწველობამ გამოიმუშავა 744 მლნ კვტს ელექტროენერგია, 952 ათასი ტონა საკოქსე ნახშირი, 21,4 მლნ პირობითი ქილა კონსერვი, 6,9 ათასი ტონა ფერმენტირებული თამბაქო და მრავალი სხვა სახის პროდუქცია. რესპუბლიკის 153 კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის 41,8 ათასი ჰექტარი ნათესი ფართობიდან ჩაის კულტურას ეკავა 14 ათასი, ვენახს – 6,4, ციტრუსოვანთა ნარგავებს – 5,8 ათასი ჰექტარი. მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 120,9 ათასამდე გადიდდა, ამაღლდა მათი კულტურულ-ტექნიკური დონე. აფხაზეთის ქალაქებში გაფართოვდა საბინაო-კომუნალური მშენებლობა, უფრო კეთილმოწყობილი გახდა სოხუმი, გაგრა, ახალი ათონი, ბიჭვინთა და სხვა კურორტები.

საქართველოს მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აჭარის გემთმშენებლობას, ელექტროტექნიკურ მრეწველობას, მანქანათმშენებლობასა და კვების მრეწველობას. 1970 წელს აჭარის ასსრ მრეწველობამ გამოუშვა 133,6 ათასი ცალი საოჯახო სარეცხი მანქანა, დიდძალი ხილისა და ციტრუსების კონსერვი, პირველადი გადამუშავების ჩაი და სხვა მაღალხარისხოვანი სამრეწველო პროდუქცია.

საქართველოს შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოს შექმნის შედეგად გაიზარდა ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა. აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლში აიგო ახალი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, უფრო

კეთილმოწყობილი გახდა ქობულეთი, მწვანე კონცხი, მახინჯაური და სხვა კურორტები.

მნიშვნელოვანი წინსვლით ხასიათდებოდა სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობა, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა. ფართოდაა ცნობილი კვაისის სამთო-მეტალურგიული კომბინატის, ცხინვალის ელექტროტექნიკური საწარმოების, ავტობუსების სარემონტო ქარხნისა და სხვა სამრეწველო ობიექტების ნაწარმი, სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის, პროდუქცია. 1970 წელს სახელმწიფომ შეისყიდა შაქრის ჭარხალი 14 ათასი ტონა, ხილი – 15 ათასი ტონა, ხორცი – 3,1 ათასი ტონა. კეთილმოწყობილი გახდა ქალაქი ცხინვალი, კურორტი ჯავა[21].

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წარმატებები კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, მაგრამ საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად შენელდა. 1970 წლისათვის მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავალი საქართველოში შეადგენდა საერთო-საკავშირო შემოსავლის 72,7 პროცენტს, კაპიტალდაბანდება – 68,5, მრეწველობის მთლიანი პროდუქცია – 62,3, შრომის ენერგოაღჭურვილობა მრეწველობაში – 77,4, ხოლო სოფლის მეურნეობაში – 33,9 პროცენტს. ცხადია, ყველა მაჩვენებელი, რომლებიც საშუალო საკავშიროზე ნაკლებია, ყოველთვის არ ჩაითვლება ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენის ნიშნად, მაგრამ აქ მოყვანილი მაჩვენებლები აშკარად მეტყველებენ, რომ საქართველო დიდად ჩამორჩებოდა ეკონომიკური განვითარების საშუალო საკავშირო დონეს[22].

რესპუბლიკის მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის რიგი სხვა დარგების ზრდის ტემპების შენელებამ ხელი შეუშალა მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის გარდაქმნას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნათა შესაბამისად. 1940 – 1970 წლებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი საქართველოს მრეწველობაში აღწევდა 316 პროცენტს, სსრ კავშირის მრეწველობაში კი 492 პროცენტს. ამ მხრივ რესპუბლიკაში მერვე ხუთწლედის მანძილზე მოპოვებული წარმატების მიუხედავად, ჩამორჩენის საერთო ტენდენცია მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელსაც გრძელდებოდა როგორც მრეწველობაში, ასევე სოფლის მეურნეობაში.

---

[1] გაზ. “კომუნისტი”, 1971 წლის 3 მარტი.
[2] იქვე.
[3] “საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისთავზე”, გვ. 79.
[4] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году.», стр. 49 - 50.
[5] იქვე, გვ. 87 – 88.
[6] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 51.

[7] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის მიხედვით, “საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისთავზე”, გვ. 42 – 43.
[8] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стр. 115.
[9] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 110.
[10] იქვე, გვ. 94.
[11] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების მიხედვით: «Сельское хозяйство Грузинской ССР», ч. I, стр. 39;«Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стр. 109 “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 86.
[12] “საბჭოთა საქართველოს 50 წელი”, გვ. 171.
[13] იქვე, გვ. 167.
[14] “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 195.
[15] “საქართველოს პროფსაბჭოს 50 წელი”, გვ. 236 – 237.
[16] “საბჭოთა საქართველოს 50 წელი”, გვ. 236 – 237.
[17] გაზ. “კომუნისტი”, 1970 წლის 23 დეკემბერი: “Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 199.
[18] “საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისთავზე”, გვ. 309 – 310.
[19] იქვე, გვ. 253.
[20] იქვე, გვ. 233 – 235.
[21] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 76 – 78.
[22] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 123 – 133.

თავი მეთორმეტე საქართველოს მშრომელების ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის შესრულებისათვის (1971 – 1975 წწ.)

§ 1. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა

საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მეცხრე ხუთწლედში ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანებს. რესპუბლიკის მუშები, სოფლის მეურნეობის მუშაკები და ინტელიგნეცია აქტიურად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 – 1975 წლების ხუთწლიანი გეგმის სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვაში.

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ (1971 წ. 27 თებერვალი – 1 მარტი). მან დასახა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, რომლებსაც საფუძვლად დაედო მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი დაამტკიცა სკკპ XXIV ყრილობამ (1971 წ. 30 მარტი – 9 აპრილი). ეს იყო პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე ეტაპის აქტუალურ

სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პროგრამა.

ყრილობამ მეცხრე ხუთწლედის მთავარ ამოცანად დასახა საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

მთავარი ამოცანის წარმატებით შესრულებისა და მშრომელთა მოთხოვნილების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის ყრილობის დირექტივები ითვალისწინებდა სამრეწველო პროდუქციის, მათ შორის სახალხო მოხმარების ნაწარმის გამოშვების გაფართოებას, მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის განვითარებას. დასახული იყო მერვე ხუთწლედთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საშუალო წლიური მოცულობის 20 – 22 პროცენტით გადიდება, ყველა კულტურის მოსავლიანობის გაზრდა, მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება.

ყრილობამ დასახა ფართო სოციალური პროგრამა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ, დიდი რუსი ხალხის, მოძმე საბჭოთა ხალხების უანგარო დახმარებამ განაპირობა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავება.

1971 წლის 14 მაისს თბილისში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა მხურვალედ მიულოცა საქართველოს მშრომელებს სახელოვანი დღესასწაული, და აღნიშნა, რომ ”ქართველ მუშათა და გლეხთა, საქართველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში”[1].

ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადასცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი და რეპუბლიკის კომუნისტებს,

ყველა მშრომელს მოუწოდა მთელი ძალ-ღონე, გამოცდილება მოეხმარებინათ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, დიადი სამშობლოს ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების იმ გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ განსაზღვრა

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. საბჭოთა კავშირის შექმნა გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც უზრუნველყო ხელშემწყობი პირობები სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნისათვის, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის.

საბჭოთა ხალხების დიდ მიღწევებში, ნათქვამია დადგენილებაში, უდიდესი წვლილი მიუძღვის – "ყველა ეროვნების მშრომელთა ძმურ მეგობრობას"[2]. ერთიანმა საკავშირო სახელმწიფომ ხალხების სრული ნებაყოფლობის საფუძველზე გააერთიანა მთელი ძალები და რესურსები. ამით თითოეულ რესპუბლიკას, მათ შორის საბჭოთა საქართველოს, საშუალება მიეცა განეხორციელებინა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოციალისტურ საფუძველზე გარდაექმნა წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა, მოეხდინა ნამდვილი კლუტურული რევოლუცია, უმოკლეს დროში აღმოეფხვრა ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა და აეშენებინა სოციალიზმი. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ერთიანმა საკავშირო სოციალისტურმა სახელმწიფომ, საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ხალხების, უწინარეს ყოვლისა მოძმე რუსი ხალხის, მრავალმხრივმა უანგარო დახმარებამ. მაგალითად, რესპუბლიკის ბიუჯეტი ინდუსტრიალიზაციის პერიოდში დიდხანს იყო დეფიციტური და ამიტომ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდა წარმოებდა უმთავრესად საკავშირო და ამიერკავკასიის ფედერაციის ბიუჯეტების ხარჯზე. საბჭოთა კავშირის დახმარებით უმოკლეს დროში აღმოფხვრილ იქნა ფაქტიური ეკონომიკური უთანასწორობა და საქართველო გაუთანაბრდა ქვეყნის მოწინავე რესპუბლიკებს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე სსრ კავშირის შექმნიდან 50 წლის მანძილზე სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამრხერთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სსრ კავშირის შექმნამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა მისი სახე. საქართველოს სოფლის მეურნეობის თვისებრივი ცვლილება გამოიხატა მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების უპირატესი განვითარებით. ამას ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ტექნიკურმა აღჭურვამ. საქართველო გახდა მთელი რიგი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ძირითადი მწარმოებელი საბჭოთა კავშირში. განუხრელად იზრდებოდა რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი და ამის საფუძველზე მაღლდებოდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურის დონე.

საბჭოთა კავშირის შექმნამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სოციალისტური სახელმწიფოს 50 წლისთავის დღესასწაულისადმი საქართველოს მშრომელების დამოკიდებულება გამოიხატა, უწინარეს ყოვლისა, იუბილესადმი მიძღვნილ სოციალისტური შეჯიბრებითაც, რომელმაც მოიცვა რესპუბლიკის ყველა რაიონის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. წარმოიშვა შეჯიბრების ახალი ფორმები.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით გაიშალა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. მან კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა მასებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა და ძმური ურთიერთთანამშრომლობა.

საბჭოთა საქართველოს მიღწევები უფრო მეტი იქნებოდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა ახლო წარსულში რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს.

1972 წლის 21 დეკემბერს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა დიდ სასახლეში, შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა. საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი" შეაჯამა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი მრავალეროვანი საკავშირო სახელმწიფოს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მიღწევები ნახევარი საუკუნის მანძილზე. საბჭოთა კავშირის ისტორია, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, - "ეს არის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებული ყველა ხალხის ურღვევი ერთიანობისა და მეგობრობის შექმნის ისტორია... ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დავაჟკაცებისა და აყვავების ისტორია"[3].

საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი. სულ უფრო გაღრმავდა საბჭოთა საზოგადოების მთელი ცხოვრების ინტერნაცინალიზაციის, ერებისა და ეროვნებათა შემდგომი დაახლოების ობიექტური პროცესები.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული შრომითი კოლექტივები

დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშნით.

საბჭოთა კავშირის იუბილესთან დაკავშირებით დაწესდა "ხალხთა მეგობრობის ორდენი", რომლითაც დაჯილდოვდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, მათ შორის საბჭოთა საქართველო. "ხალხთა მეგობრობის" ორდენით დაჯილდოვდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

---

[1] "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ". სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, 1972 წლის 21 თებერვალი, თბ., 1972, გვ. 4.

[2] "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ". სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, 1972 წლის 21 თებერვალი, თბ., 1972, გვ. 4.

[3] **ლ. ი. ბრეჟნევი,** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი. თბ., 1972, გვ. 3.

§ 2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის

დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ და ბრძოლა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წლის 22 თებერვალს მიიღო დადგენილება "სკკპ XXIVყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ"[1].

პარტიის ამ ისტორიული დოკუმენტით დაიწყო საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი. დადგენილებაში გამოვლინებული იყო მთელი რესპუბლიკის ეკონომიკის სერიოზული ნაკლოვანებანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნეგატიური მოვლენები, რომლებიც აბრკოლებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ჯანსაღ განვითარებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ასახავდა არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. ამ დადგენილებაში განსაზღვრული იყო საქართველოს კომპარტიის პოლიტიკური და

ორგანიზატორული მუშაობის ამოცანები და რესპუბლიკის შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დადებით შედეგებთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი მისი ხელმძღვანელობის დონე სრულიად არ შეესაბამებოდა XXIV ყრილობის მოთხოვნებსა და ამოცანებს. საქალაქო კომიტეტი თავის პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში ჯეროვნად არ იყენებდა ყველა იმ შესაძლებლობას, რომლებიც მოეპოვებოდა თბილისის, როგორც რესპუბლიკის ცენტრის პარტიულ ორგანიზაციას, სახელდობრ: მუშათა კლასის, მეცნიერულ-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალრიცხოვან რაზმს, მაღალკვალიფიციურ, გამოცდილ კადრებს, განვითარებულ ინდუსტრიულ ბაზასა და კულტურის დაწესებულებათა ფართო ქსელს. თბილისის საქალაქო კომიტეტი საერთო კარგი მაჩვენებლების მიღმა არაიშვიათად ვერ ამჩნევდა მუშაობაში არსებულ არსებით ნაკლოვანებებს და არ ახორციელებდა აუცილებელ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად, საქალაქო კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების ორგანიზაციასა და შემოწმებას.

ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ როგორც საქალაქო კომიტეტი, ისე თბილისის რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძოდნენ სამეურნეო ხელმძღვანელობის, შრომითი კოლექტივების პასუხიმგებლობის ამაღლებისათვის, თითოეული საწარმოსა და მშენებლობის მიერ სახელმწიფო გეგმების დროულად შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის გადიდების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის. დადგენილებაში ნათქვამია, რომ თბილისის მრეწველობა ვერ ასრულებდა ზოგიერთი სახეობის პროდუქციის გამოშვების დავალებებს. 1971 წელს ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, დაქვეითდა შრომის ნაყოფიერება, თბილისის ბევრ საწარმოში სრულად ვერ იყენებდნენ არსებულ საწარმოო სიმძლავრეებს, მცირდებოდა ფონდამოგება, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამის შედეგად 1971 წელს სავაჭრო ორგანიზაციებმა დაიწუნეს და დამატებითი დამუშავებისათვის დააბრუნეს ნაწარმის დაახლოებით 20 პროცენტი.

დადგენილება განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა იმ გარემოებას, რომ თბილისში სისტემატურად არ სრულდებოდა კაპიტალური მშენებლობის, კერძო ბინათმშენებლობის გეგმები. საცხოვრებელ სახლებს, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ობიექტებს მშენებლები საექსპლოატაციოდ ხშირად სერიოზული ხარვეზებით აბარებნდენ. ჭიანურდებოდა ახალი წყალსადენისა და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვან სიმტკიცესა და მომთხვონელობას არ იჩენდნენ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით ახალ საცხოვრებელ მასივებში. სუსტად ინერგებოდა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების თანამედროვე ფორმები. მშრომელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის გამო.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კადრებთან მუშაობაში ყოველთვის როდი იყო გათვალისწინებული პარტიის პრინციპული მოთხოვნები, კადრების საკითხის გადაწყვეტისას ზოგჯერ ადგილი ჰქონდა უპრინციპობას, ლიბერალიზმს, უგულებელყოფდნენ კოლექტივის, პარტიული ორგანიზაციის აზრს. პასუხსაგებ თანამდებობაზე ზოგჯერ ხვდებოდნენ სუსტი მუშაკები, რომელთაც უნარი არ შესწევდათ გაძღოლოდნენ დავალებულ საქმეს. დადგენილებაში ნათქვამია: ”საქალაქო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო, რომ კადრებისადმი ნდობა და პატივისცემა სწორად შეეხამებინა მათდამი მომთხოვნელობასთან, შეწყნარებით ეკიდება ცალკეულ ხელმძღვანელებს, რომლებიც ცუდად ასრულებენ მოვალეობებს, უშვებენ ბიუროკრატიზმის, მშრომელთა მოთხოვნებისა და საჭიროებებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების ფაქტებს”.

ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები არ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, გაეძლიერებინათ კომუნისტების აქტივობა, ინიციატივა, განევითარებინათ კრიტიკა და თვითკრიტიკა. საქალაქო კომიტეტი საკმარისად ვერ ზრუნავდა რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის, აპარატის საქმიანობის სრულყოფისა და ხელმძღვანელი კადრების აღზრდისათვის. პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ეხმარებოდნენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო ორგანიზაციების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სასწავლებლების, სამკურნალო და სხვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს გამოეყენებინათ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებები, რომლებიც მათ სკკპ XXIV ყრილობამ მიანიჭა.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი აგრეთვე პარტიული მუშაობის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორიცაა პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. დადგენილება მიუთითებდა, რომ ეს მუშაობა სუსტად იყო დაკავშირებული ცხოვრებასთან, ქალაქის პარტიული ორგანიზაციების, საწარმოთა და დაწესებულებათა წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტასთან. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა მშრომელთა აღზრდას შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით. პრესა, რადიო და ტელევიზია აქტიურად არ მონაწილეობდნენ იდეოლოგიურ მუშაობაში. სათანადო

ყურადღება არ ექცეოდა მშრომელთა, განსაკუთრებით ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას.

დადგენილებამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმაზე, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძოდა სოციალისტური საზოგადოებისათვის ისეთ უცხო მოვლენებს, როგორიცაა სახელმწიფო საკუთრების დატაცება, სპეკულაცია, მექრთამეობა, მუქთახორობა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს აღმოეფხვრა აღნიშნული ნაკლოვანებანი, გაეძლიერებინა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მეცხრე ხუთწლედის დავალებების, სახელმწიფო გეგმებისა და თბილისის მშრომელთა მიერ 1972 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, გაეუმჯობესებინა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და აემაღლებინა მისი ქმედითობა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს შეემუშავებინათ და თანამიმდევრულად განეხორციელებინათ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, არსებული სიმძლავრეების, შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების საფუძველზე. გაეძლიერებინათ პარტიული კონტროლი ეკონომიკის დარგში და უზრუნველეყოთ პარტიული მიდგომა სამეურნეო პრობლემების გადაჭრისადმი.

პარტიულმა ორგანოებმა, აღნიშნულია დადგენილებაში, უნდა მიაღწიონ კაპიტალური მშენებლობის ძირეულ გაუმჯობესებას, აღმოფხვრან ამ დარგში ჩამორჩენა, უზრუნველყონ ობიექტების დროულად გადაცემა საექსპლოატაციოდ, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, სამშენებლო მასალების მომჭირნეობით ხარჯვა.

ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

თბილისის საქალაქო კომიტეტს დაევალა უზრუნველეყო მეცნიერულ გამოკვლევათა კონცენტრაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, გაეძლიერებინა მათი მუშაობის ეფექტიანობა, თითოეულ სამეცნიერო კოლექტივში შეექმნა შემოქმედებისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარება. ამასთან ერთად საქალაქო კომიტეტს დაევალა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები აღეზარდა საზოგადოების წინაშე შრომისადმი მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

დიდი ამოცანები დაისახა საქალაქო კომიტეტის წინაშე სახალხო განათლების განვითარების დარგში: ყველა ტიპის სასწავლებლებსა და

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფა, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის უფრო ფართოდ ჩაბმა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სრულად და დროულად დაკომპლექტება.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ღერძი, აღნიშნულია დადგენილებაში, უნდა გახდეს დებულება, რომ საბოლოო ანგარიშით ხუთწლედის შესრულება დამოკიდებულია თითოეული მუშაკის აქტივობაზე, საქმისადმი შემოქმედებით მიდგომაზე, ბეჯით შრომაზე. პარტიულ ორგანიზაციებს უნდა უზრუნველეყოთ კადრებისა და მშრომელთა ფართო მასების ეკონომიკური განათლების გაუმჯობესება, აემაღლებინათ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის როლი ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში.

პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ გაეძლიერებინათ მუშაობა მშრომელთა აღზრდისათვის საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

პარტიულ, საჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ორგანოებს უნდა განეხორციელებინათ ეფექტიანი ღონისძიებანი სოციალისტური საკუთრების დატაცების, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად. აემაღლებინათ შრომითი კოლექტივების როლი წარსულის გადმონაშთების დაძლევის, მართლწესრიგისა და ცხოვრების სოციალისტური წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თბილისის საქალაქო კომიტეტსა და პარტიულ ორგანიზაციებს უნდა უზრუნველეყოთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების განუხრელად შესრულება, თანამიმდევრულად განევითარებინათ შინაპარტიული დემოკრატია, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველდღიური ყურადება დაეთმოთ პარტიული რიგების თვისებრივი შემადგენლობის ზრდისა და გაუმჯობესების, კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მათი აქტივობისა და სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებისადმი, გაეძლიერებინათ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა.

ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს სწორად და ეფექტიანად განეხორციელებინათ ადმინისტრაციის საქმიანობის, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად დაწესებულებათა და უწყებათა აპარატის მუშაობის კონტროლის უფლება.

დადგენილებამ მოუწოდა თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ ხელმძღვანელობა მშრომელთა მასობრივი

ორგანიზაციებისადმი; გაეზარდათ საბჭოების როლი საქალაქო მეურნეობის განვითარებაში, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ მომსახურებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში; აემაღლებინათ დეპუტატების ავტორიტეტი და აქტივობა, მათი პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე; გაეუმჯობესებინათ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, რათა ფართოდ ჩაებათ წარმოების მართვაში მშრომელები, გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, განეხორციელებინათ კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი, გაეუმჯობესებინათ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები.

პარტიული ორგანიზაციები, აღნიშნულია დადგენილებაში, უნდა სწავლობდნენ კომკავშირის საქმიანობას, ეხმარებოდნენ მუშაობაში, რათა უკეთ გადაწყვიტონ ქალიშვილებისა და ჭაბუკების კომუნისტური აღზრდის ამოცანები, განამტკიცონ კომკავშირში პარტიული ბირთვი, დიდმნიშვნელოვან პარტიულ დავალებად მიიჩნიონ კომკავშირში პარტიის წევრებისა და კანდიდატების მუშაობა.

ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება, რომელსაც დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ეს დადგენილება გახდა ახალი ეტაპის დასაწყისი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

მეცხრე ხუთწლედის დასაწყისისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩა საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს, რაც ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე კიდევ უფრო გაღრმავდა.

სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პირობებში, როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, ეკონომიკაზე უფრო მეტად დაზარალდა ადამიანის ფსიქიკა, მისი სულიერი სამყარო და მსოფლმხედველობა. სერიოზულმა ნეგატიურმა გამოვლინებებმა, რომლებიც პარტიულ ხელმძღვანელობაში არსებულმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია, უარყოფითი დაღი დაასვა აგრეთვე მუშათა ცალკეული ნაწილის აღზრდას[2].

რესპუბლიკის წინაშე მეცხრე ხუთწლედში დასახული გრანდიოზული ამოცანები მოითხოვდნენ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი როლის ამაღლებას. მაგრამ კადრების ერთ ნაწილს უდავოდ არ შეეძლო უზრუნველეყო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და ნამდვილი ხელმძღვანელის როლის შესრულება. ეს აიხსნება იმით, რომ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა წლების მანძილზე უხეშად არღვევდა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინურ პრინციპებს, უკიდურეს სუბიექტივისტურ დამოკიდებულებას იჩენდა ამ საქმეში; ადამიანების შერჩევა წარმოებდა არა მათი ცოდნის, გამოცდილების, დამსახურების, პარტიის საქმისადმი ერთგულების ნიშნის მიხედვით, არამედ ძმაბიჭობის, კუთხურობის, პროტექციონიზმის პრინციპით. ირღვევოდა ლენინური

დებულება ძველი და ახალი კადრების სწორი შეხამების შესახებ. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ახალგაზრდა კადრების დაწინაურება. სწორედ ამ საკითხში ძველი ხელმძღვანელობის მანკიერმა სტილმა და მასთან დაკავშირებულმა სერიოზულმა შეცდომებმა და ჩავარდნებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს საქართველოს ეკონომიკისა და სხვა სფეროების დაქვეითება.

ასეთ რთულ პირობებში გადამწყვეტი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს კომპარტიას, რესპუბლიკის მშრომელებს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წლის 22 თებერვლის ცნობილი დადგენილებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკაში პარტიულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების, კადრების პოლიტიკაში ლენინური პრინციპების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის სექტემბრის პლენუმიდან. პლენუმზე მთელი პრინციპულობით ამხილეს რესპუბლიკის ჩამორჩენის მიზეზები, სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სერიოზული შეცდომები, ეკონომიკის სფეროში სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, არაკომპეტენტურობა და ზერელობა, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების უგულებელყოფა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის სექტემბრის პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე.

მოგვიანებით გადახალისდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა. 1975 წლის 17 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ზურაბ ალექსანდრეს ძე პატარიძე. საქართველოს უმაღლესი საბჭოს IX მოწვევის მესამე სესიამ 1976 წლის 26 იანვარს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია პავლე გიორგის ძე გილაშვილი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები და თითოეული მშრომელი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ, მკვეთრ შემობრუნებას რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ რესპუბლიკის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ძირითადი რგოლია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის ლენინური სტილის აღდგენა, როგორც შემდგომი წარმატებების აუცილებელი პირობა, ხოლო ამ წარმატებათა მიღწევის უპირველესი საშუალებაა კადრების მთელი პოლიტიკის ძირეული გარდაქმნა.

ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის, გაწმინდა

უღირსი და ყალბისმქმნელი მუშაკებისაგან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. მნიშვნელოვნად შეიცვალა პარტიული კომიტეტების მდივნების შემადგენლობაც, სამუშაოზე დააწინაურეს ახალგაზრდა კადრები, უშუალოდ მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული, სულიერ ფასეულობათა შემქმნელი ადამიანები და რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები. გაძლიერდა კადრების პოლიტიკაში არჩევითობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების მნიშვნელობა.

კადრებთან მუშაობა გახდა საქართველოს კომპარტიის მუდმივი ზრუნვის საგანი. ამ საქმეში ლენინური პრინციპის განხორციელებამ უზრუნველყო ხელმძღვანელი პარტიული კადრების თვისებრივი გაუმჯობესება. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მთელი შემადგენლობა 1975 წლის პირველი იანვრისათვის იყო უმაღლესი განათლებით[3], ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საერთო შემადგენლობიდან უმაღლესი განათლებით იყო 61,4 პროცენტი, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით – 5,7, საშუალო განათლებით – 30,5, არასრული საშუალო – 2,1 და დაწყებითი განათლებით – სულ 0,3 პროცენტი[4].

ხელმძღვანელი პარტიული კადრების შემადგენლობაში გაიზარდა სპეციალისტთა რიცხვი. საქალაქო და რაიონული კომიტეტების 260 მდივნიდან 122-მა გაიარა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის კარგი სკოლა. საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობის შემადგენლობაში 1971 წელთან შედარებით 1,5-ჯერ და მეტად გაიზარდა ქალთა რაოდენობა[5].

დიდი ყურადღება დაეთმო ხელმძღვანელი მუშაკების ორგანიზატორული უნარის განვითარებას, მათი იდეური დონის ამაღლებას. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ პლენუმებს, აქტივის კრებებს, თეორიულ და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სემინარებს. ახალმა კადრებმა ძირითადად წარმატებით გაართვეს თავი მუშაობას.

დიდი ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე პარტიის ორგანიზაციული აგების ლენინური ნორმების დაცვას, მასებთან პარტიის კავშირის გაფართოებას. 1975 წლის იანვრისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა 10 947-მდე გაიზარდა. იმატა აგრეთვე საამქროს პარტიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების რიცხვმა. პარტიული ორგანიზაციების ქსელის გაფართოებამ კიდევ უფრო გააძლიერა მასებთან პარტიის კავშირი, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, მასების დარაზმვა მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მნიშვნელოვნად ამაღლდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. მათ უმეტესობამ ახალ ვითარებაში შესანიშნავად გარდაქმნეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რამაც ხელი შეუწყო საწარმოთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, რუსთავის

მეტალურგიული ქარხნის პირველადმა და საამქროების პარტიულმა ორგანიზაციებმა მასებში ჩატარებული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით დაძლიეს საწარმოს ჩამორჩენა და იგი ხუთწლედის მოწინავე მიჯნებზე გაიყვანეს[6].

პარტიული ორგანიზაციების რიგების განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა პარტიული დოკუმენტების შეცვლამ.

ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა რაიონული და საქალაქო კომიტეტების მუშაობის გარდაქმნას. მუშაობის ლენინური სტილის აღდგენის შედეგად პარტიის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტები გახდნენ მასების ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელები და მეთაურები. პრაქტიკაში ინერგებოდა მუშაობის თანამედროვე ფორმები და მეთოდები, ხორციელდებოდა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის პრინციპები, უმჯობესდებოდა საინფორმაციო მუშაობა. პარტიული კომიტეტები უფრო რაციონალურად და ეფექტიანად იყენებდნენ ორგანიზაციული მუშაობის ფორმებს, წყვეტდნენ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ორგანიზაციებს აძლევდნენ მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

ლენინური ნორმების დამკვიდრებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შინაპარტიული ცხოვრების ნორმალიზაციას დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების საფუძველზე. ხელმძღვანელ ორგანოებში კანდიდატურების არჩევისას ბრძოლა გამოეცხადა ფორმალიზმს, პარტიაში გაძლიერდა დემოკრატიული საწყისები. ასარჩევ კანდიდატებს განიხილავდნენ ყოველმხრივ და ობიექტურად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ გადამწყვეტი ბრძოლა გაშალა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1973 წლის აპრილში მიიღეს ერთობლივი დადგენილება ”სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ორგანიზაციების შმრომელთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ”, რომლითაც მოიწონეს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო და ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნების კოლექტივების, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნისა და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის სასოფლო ყრილობების ინიციატივა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების და ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების გამოვლინებათა წინაამდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის და საჭიროდ მიიჩნიეს მისი ფართოდ გავრცელება რესპუბლიკაში. აღნიშნულ წამოწყებას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები და დაიწყეს მასობრივი მოძრაობა დასახული ამოცანების შესასრულებლად.

პარტიული, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა გადაიქცა საყოველთაო მოძრაობად, რომელიც მიზნად ისახავდა პასუხისმგებლობის ამაღლებას ყველა რგოლში და ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას. ამის შედეგად უკვე 1973 წელს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველო დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 11 იანვარს მიიღეს ისტორიული დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის ნოემბრის პლენუმმა განიხილა აღნიშნული დადგენილება და დასახა მისი შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი. პლენუმმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მეცხრე ხუთწლედისათვის დასახული ამოცანების შესრულება და მეათე ხუთწლედში ახალი, უფრო მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად ნიადაგის მომზადება მოითხოვდა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

პარტიის ფართო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად რესპუბლიკამ 1974 წელს უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია.

1974 წელს გეგმის შესრულებისა და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველო მეორედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. დაჯილდოვდნენ აგრეთვე აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ქუთაისი, თბილისის ლენინის სახელობის რაიონი და 14 სამრეწველო საწარმო, მათ შორის რუსთავის მეტალურგიული, თბილისის ჩარხსაშენებელი, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება და სხვ.

1974 წლის 16 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა გულთბილად მიულოცა საქართველოს მეჩაიეებს მეცხრე ხუთწლედის დავალების ვადამდე შესრულება. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ 1975 წლის 28 თებერვალს გარდამავალი წითელი დროშის მიღებასთან დაკავშირებით აიღო ვალდებულება 1975 წელს გეგმის ზევით სახელმწიფოსათვის მიეცა 200 მლნ მან. სარეწველო პროდუქცია და 120 მლნ მან. სოფლის მეურნეობის პროდუქტები[7]. აქტივის კრების ამ გადაწყვეტილებას აქტიურად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მშრომელები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. არ დარჩენილა საწარმო,

რომლის კოლექტივს არ ეკისროს ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უპირველეს ამოცანად დაისახეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება, მასების დარაზმვა, კომუნისტების ავანგარდული როლის უზრუნველყოფა, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შედმგომი განმტკიცება ყველა უბანზე.

უკვე წლის პირველ ნახევარში ნათლად გამოიკვეთა თვალსაჩინო წარმატებები. ბევრმა საწარმომ დაამთავრა ხუთწლიანი დავალება, გადაჭარბებით შეასრულა აღებული სოციალისტური ვალდებულებანიც და დაიწყო მუშაობა მეათე ხუთწლედის ანგარიშში.

მუშაობის ლენინური სტილისათვის დამახასიათებელია საქმიანი და პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. წარსულში ადგილი ჰქონდა კრიტიკის ჩახშობას, მასობრივ უდისციპლინობას, საქმისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, კანონიერების დამახინჯებას, მომხვეჭელობას, კერძომესკუთრულ ტენდენციებსა და საბჭოთა საზოგადოებისათვის შეუწყნარებელ სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა არათუ არ ებრძოდა ამ მახინჯ მოვლენებს, არამედ გაურბოდა მათ გამომზეურებას, უყურადღებოდ ტოვებდა მშრომელთა სიგნალებს. პრესა ხშირად თავს არიდებდა ამ მწვავე საკითხებს, შეუწყნარებელ ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენდა იდეოლოგიურად მავნე ცალკეულ გამოვლინებათა მიმართაც. კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფამ დიდი ზიანი მიაყენა პარტიის ავტორიტეტს, სახალხო მეურნეობას, პატიოსან ადამიანებს, საერთოდ რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას, ხელი შეუწყო ნეგატიური მოვლენების დამკვიდრებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც მტკიცედ ხელმძღვანელობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფას, მისი მნიშვნელობის შეუფასებლობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის ნომებრის პლენუმმა განიხილა გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების საკითხები და პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანად დასახა კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე შეუპოვარი ბრძოლის გაშლა ყველა ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ. ამას სასურველი შედეგი მოჰყვა, რაც გამოიხატა კომუნისტებისა და უპარტიო მშრომელთა აქტივობის უმაგალითო ამაღლებით.

როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, საქართველოში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტების გავლენით

დაკნინებული იყო პარტიის იდეოლოგიური მუშაობის როლი, რამაც გამოიწვია პარტიული მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნის ჩამორჩენა.

პარტიული მუშაობის ლენინური ნორმებისა და კადრების პოლიტიკაში ლენინური პრინციპების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის გადამწყვეტ ბრძოლასთან ერთად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ყურადღება დაუთმო იდეოლოგიური მუშაობის არსებითად გარდაქმნას, მისი როლის ამაღლებას კონკრეტული ამოცანების შესრულების იდეოლოგიურად უზრუნველყოფაში.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე (1976 წლის იანვარი) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: "კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის შესუსტებას წარსულში მოჰყვა დისპროპორციები სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ესე იგი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის შენელება და სხვ...

მხოლოდ იდეოლოგიური მუშაობის შესუსტების პირობებში იყო შესაძლებელი ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა რესპუბლიკაში გავრცელდა საქმოსნობა, კომბინატორობა, მექრთამეობა, გამომძალველობა, სოციალისტური საკუთრების დატაცება და ქურდობა, პროტექციონიზმი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია; წარსულის გადმონაშთები, ეგოიზმი, კარიერიზმი, მომხვეჭველობა, ძმაკაცობა, ნათლიმამობა..."[8].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მთავარი საზრუნავი გახდა მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, პროპაგანდისა და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერება და უკეთ წარმართვა, იდეოლოგიურ მუშაობაში ლენინური სტილის დაუფლება, ე. ი. იდეოლოგიურ მუშაობაში მაღალი პრინციპულობა, საბრძოლო სულისკვეთება და მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობა ადამიანებს უნერგავდა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობას, მაღალ პასუხისმგებლობას, დისციპლინისა და თვითდისციპლინის, მოქალაქეობრივი, პატრიოტული, ინტერნაციონალური მოვალეობის შეგნებას, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას.

იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებებს პარტიის ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

1974 წელს რესპუბლიკაში განხორციელდა მრავალმხრივ სასარგებლო ღონისძიება "ლექტორის სიტყვა – თითოეულ სოფელს", რომლის დროსაც ჩატარდა 1 335 ლექცია. ლექტორები ამავე დროს სწავლობდნენ საზოგადოებრივ აზრს, რის შედეგადაც ბევრი საგულისხმო მომენტი გამოირკვა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული განათლების საქმე. გაიზარდა უპარტიო მშრომელთა მონაწილეობა პარტიული განათლების ქსელში.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, ცხოვრებისეულ აქტუალურ პრობლემებს, ამან კი ხელი შეუწყო კომუნისტებისა და უპარტიოების ცოდნის დონის ამაღლებას, მათი საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის ზრდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის ბრძოლის პროცესში დიდ ღონისძიებებს ახორციელებდა აგრეთვე საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, გაიზარდა მათი მონაწილეობა მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა შესრულებაში. კომკავშირისა და პროფკავშირების მოღვაწეობის გააქტიურების საფუძველზე პარტიამ კიდევ უფრო გააფართოვა და განამტკიცა მასებთან კავშირი, გაიზარდა მისი ავტორიტეტი და ხელმძღვანელი როლი.

ამრიგად, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების, კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში ლენინური პრინციპების აღდგენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში მაღალი პრინციპულობის დამკვიდრებისა და ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1976 წლის 24 ივნისის დადგენილებაში ”თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ” აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ცვლილებები იმის შედეგია, რომ არსებითად გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირება, მასებთან მისი კავშირის განმტკიცება იმ დიდი ბრძოლის ნაყოფია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაშალა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების მკაცრად დაცვისათვის[9], პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის.

---

[1] «Правда», 6 марта 1972 г., გაზ. “კომუნისტი”, 1972 წლის 7 მარტი.

[2] იხ. “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება”, თბ., 1976, გვ. 38, 39, 110.

[3] "საქართველოს კომუნისტური პარტია ციფრებში", თბ., 1976, გვ. 53.
[4] იქვე.
[5] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. გვ. 126.
[6] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, გვ. 128.
[7] გაზ. "კომუნისტი", 1976 წლის 1 მარტი.
[8] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას..., გვ. 109 – 110.
[9] გაზ. "კომუნისტი", 1976 წლის 27 ივნისი.

§ 3. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება

საქართველოს მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მეცხრე ხუთწლედში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი უფრო დიდი იქნებოდა, ხელი რომ არ შეეშალა ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე დაშვებულ სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს.

სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მანკიერმა სტილმა და მეთოდებმა განაპირობეს რესპუბლიკის ეკონომიკის წამყვანი დარგის – მრეწველობის განვითარების ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. 1971- 1972 წლებში საქართველოს სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენდა[1]. სამრეწველო პროდუქციის წარმოების განვითარების ტემპების მიხედვით საქართველო მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ჩამორჩენა სხვა მიზეზებთან ერად გამოიწვია იმან, რომ ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარება, რის გამოც შემცირდა მრეწველობის წილი რესპუბლიკაში წარმოებულ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში და საქართველოს ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოებაში.

მრეწველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აგრეთვე ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის მხრივ. მრეწველობაში დასაქმებული მუშაკის ფონდაღჭურვილობა საშუალოდ წლის მანძილზე გაცილებით დაბალი იყო საკავშირო დონესთან შედარებით. 1961 – 1970 წლებში მუშაკის ფონდაღჭურვა საქართველოს მრეწველობაში საშუალოდ შეადგენდა 5,6 პროცენტს, ხოლო

საბჭოთა კავშირში – 6,8 პროცენტს. ეს აყოვნებდა შრომის პროცესების მექანიზაციას. მრეწველობისა და მშენებლობის მთელ რიგ დარგებში დიდი იყო ხელით შრომის ხვედრითი წონა. მექანიზაციის დაბალი დონე აფერხებდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას. 1971 – 1972 წლებში რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა სულ 2,2 პროცენტი[2]. ამ პერიოდში არ გამოიყენებოდა შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები და შესაძლებლობანი, დაბალი იყო მუშახელისა და სამუშაო დროის გამოყენება, ადგილი ჰქონდა კადრების დენადობას. არადამაკმაყოფილებელი ყურადღება ეთმობოდა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს.

განსაკუთრებით დაბალი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, მეტალურგია და ელექტროენერგეტიკა. მსუბუქი მრეწველობისა და კვების მრეწველობის ხვედრითი წონა მრეწველობაში თითქმის 60 პროცენტს აღწევდა, ხოლო მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო დონეს[3].

ერთობ ჩამორჩებოდა კაპიტალური მშენებლობაც. ადგილი ჰქონდა მშენებლობის გაჭიანურებას, რის გამოც დაუმთავრებელი ობიექტების რაოდენობა იზრდებოდა; ნელი ტემპით ვითარდებოდა მშენებლობის ბაზა – საშენ მასალათა და კონსტრუქციათა მრეწველობა. სრულად არ გამოიყენებოდა არსებული სიმძლავრეები, არსებითად არ გაუმჯობესებულა სამშენებლო სამუშაოთა ტექნოლოგია. მშენებლობა ხასიათდებოდა ხელის შრომის დიდი ხვედრითი წონით, დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება და დაბანდებული სახსრების უკუგება. არადამაკმაყოფილებელი იყო მეშენბლობის ხარისხი, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობაში. მტკიცედ არ ხორციელდებოდა მასალათა დაზოგვა.

მრეწველობაში დიდი იყო ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანებისა და მოწყობილობათა წილი. ნელი ტემპით მიმდინარეობდა დანადგარების მოდერნიზაცია და ტექნიკური რეკონსტრუქცია.

საბჭოთა კავშირის დონესთან შედარებით საქართველოში დაბალი იყო ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ოდენობა, კაპიტალური დაბანდების, ეროვნული შემოსავლის, მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა.

1973 – 1975 წლებში ფართო ღონისძიებანი გატარდა საწარმოთა ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის. მრეწველობაში გაიზარდა მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზების, კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული უბნების, საამქროებისა და საწარმოთა რაოდენობა. მექანიზებული ნაკადური ხაზების რაოდენობა 1974 წელს 1239 ერთეულიდან გაიზარდა 1 879-მდე 1975 წელს, ავტომატიზებული ხაზების რაოდენობა –

შესაბამისად 91-დან 208-მდე, კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული უბნებისა და საამქროებისა – 673-დან 1 311-მდე[4].

ხუთწლედში შეიქმნა 281 ახალი ტიპის მანქანა-მოწყობილობა, ავტომატიზაციის მოწყობილობა და აპარატი. ათვისებულ იქნა 400 ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქცია, წარმოებიდან მოიხსნა 66 მოძველებული კონსტრუქციის მანქანა, მოწყობილობა, აპარატი, ხელსაწყო და ნაწარმი; სამრეწველო საწარმოებში ჩატარდა 4 128 საწარმოო მოწყობილობის მოდერნიზაცია. 1975 წლის დამლევისათვის 247 ნაკეთობას მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, აქედან მარტო 1975 წელს – 123 ნაკეთობას[5].

ფართოდ განვითარდა რაციონალიზატორებისა და გამომგონებელთა ტექნიკური შემოქმედება. გაიზარდა სახალხო მეურნეობაში მათი წინადადებების დანერგვა, რაც ხელს უწყობდა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. აღსანიშნავია, რომ რაციონალიზატორობასა და გამომგონებლობაში ფართოდ მონაწილეობდნენ მუშები და მუშა ქალები. ხუთწლედში რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებათა რაოდენობა 1971 წლის 27,4 ათასიდან გაიზარდა 31,3 ათასამდე 1975 წელს, სულ ხუთწლედში შემოვიდა 146,5 ათასი წინადადება. აქედან წარმოებაში დაინერგა 113 ათასი, რომელთა წლიური ეკონომია 192,5 მილიონ მანეთს შეადგენდა[6]. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

1973 – 1974 წლებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას მოხმარდა 7 613 ათასი მანეთი. ამის შედეგად მიღებულმა ეფექტმა შეადგინა 10 850 ათასი მანეთი. მაგალითად, ხუთწლედში წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით შულავერის კარიერებზე მოეწყო 2,2 კილომეტრი სიგრძის პნევმოტრანსპორტიორი კარიერიდან რკინა-ბეტონის საწარმომდე ინერტული მასალების გადასაზიდად. ეს ტრანსპორტიორი დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა. ამ გამოცდილების საფუძველზე დაიწყო 50 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური პნევმოტრანსპორტიორის ხაზის მშენებლობა შულავრიდან ლილოს რკინა-ბეტონის კომბინატამდე, რომლის წლიური გამტარიანობა შეადგენს 2 მილიონ კუბურ მეტრ ინერტულ მასალას[7].

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებანი ფართოდ დაინერგა აგრეთვე მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მანქანათმშენებლობასა და სხვა დარგებში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი იყო. გეგმით გათვალისწინებული 2 142 ღონისძიების ნაცვლად დაინერგა 1 913. ხუთწლედში არ შესრულდა აგრეთვე საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გეგმა, უმთავრესად ტექნიკური პროგრესისადმი ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის არასწორი დამოკიდებულების გამო. ამის შედეგად რიგ საწარმოში ძალზე ნელა

იზრდებოდა შრომის მექანიზაციის დონე, ადგილი ჰქონდა ამ საქმისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას. ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკაში მეცხრე ხუთწლედში მექანიზებული შრომით დასაქმებული იყო მომუშავეთა მხოლოდ 45,4 პროცენტი[8].

საქართველოში 1973 წლიდან შეიქმნა ხელშემწყობი პოლიტიკური წანამძღვრები სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, გაიშალა მასების შემოქმედებითი ინიციატივა.

სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ხარჯზე მთლიანი პროდუქციის მატებამ შეადგინა 850 მლნ, ანუ პროდუქციის საერთო მატების 50 პროცენტზე მეტი. ხუთწლედის მანძილზე ძირითადი საწარმოო ფონდები 1,4-ჯერ გაიზარდა[9].

შრომით კოლექტივებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა. კადრების დენადობა 1970 წლის 28,9 პროცენტიდან 1974 წელს 21,4 პროცენტამდე შემცირდა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მასების აქტივობისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალო წლიური ტემპი 2,2 პროცენტის ნაცვლად (1971 – 1972 წლებში) ხუთწლედის უკანასკნელ სამ წელიწადს 8,1 პროცენტამდე გაიზარდა. გათვალისწინებული 30 პროცენტის ნაცვლად შრომის ნაყოფიერება ხუთწლედში 32 პროცენტით ამაღლდა. წარმოების მთელი მატების 85,3 პროცენტი მიღებულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე[10]. მრეწველობის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 2,5 პროცენტის ნაცვლად (1971 – 1972 წლებში) შეადგინა 10,5 პროცენტი შემდგომ წლებში, ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა ხუთწლედის დამლევისათვის 40,1 პროცენტს მიაღწია[11].

პარტიის დირექტივებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებით რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის ხვედრითი წონა 1970 წლის 40,7 პროცენტიდან 1974 წელს 43,2 პროცენტამდე გადიდდა. ერთობლივმა პროდუქტმა იმატა 32,8 პროცენტით, ხოლო ეროვნულმა შემოსავალმა – 32 პროცენტით[12]. ამით გადაწყდა მეცხრე ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანა.

მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევრიდან გაუმჯობესდა კაპიტალური მშენებლობა, რომელსაც მოხმარდა 5 მილიარდ 340 მილიონი მანეთი. მწყობრში ჩადგა 73 მსხვილი სამრეწველო საწარმო, აგრეთვე ახალი საამქროები და უბნები მოქმედ საწარმოებში. ამუშავდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული მადნეულის მსხვილი სამთოგამამდიდრებელი კომბინატი და ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მათ შორის მისი წამყვანი დარგის – მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით მუშა-მოსამახურეთა საშუალო წლიური რიცხვი 1970 წლის 1 492 ათასი კაციდან გაიზარდა 1 719

ათას კაცამდე 1975 წელს, მათ შორის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 1 029 ათასიდან გაიზარდა 1 169 კაცამდე, ხოლო მრეწველობაში მუშათა რაოდენობამ 1975 წელს მიაღწია 330 ათას კაცს[13].

საქართველოს სამრეწველო მუშები, რომელთა ავანგარდში კომუნისტები იმყოფებოდნენ, პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდნენ ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, დაძლიეს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპების ორი წლის ჩამორჩენა და ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მიაღწიეს ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, მეცხრე ხუთწლედში მიღწეული წარმატებები საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ რესპუბლიკას გათვალისწინებულ ვადებში აღმოეფხვრა ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან[14]. ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებაში "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" მთავარი ყურადღება დაუთმეს ინდუსტრიის შემდგომი განვითარების ტემპის დაჩქარებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილების განხორციელებისათვის დასახა ფართო პოლიტიკური და ორგანიზატორული ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებდა ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი სამრეწველო დარგების უპირატესი ტემპით განვითარებას. გაიზარდა მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები. ფართო მასშტაბი მიიღო საწარმოთა რეკონსტრუქციამ, მანქანებისა და დანადგარების მოდერნიზაციამ. ინტენსიურად წარმოებდა კადრების მომზადება და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება. გაიზარდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების, მრეწველობის თითოეული მუშაკის შემოქმედებითი აქტივობა. დადებითმა შედეგებმაც არ დააყოვნეს. უკვე 1974 წელს მრეწველობის პროდუქციის წარმოება დაგეგმილი 9 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 11 პროცენტით. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველომ უკანასკნელი ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა.

საქართველოს მრეწველობამ 1973 – 1975 წლებში წარმატებით შეასრულა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა. 1973 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით გეგმით გათვალისწინებული 4,4 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 7,3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 6 პროცენტით, რის შედეგად მიღებულ იქნა პროდუქციის მთელი მატების 83,6 პროცენტი. მოგება გაიზარდა 12 პროცენტით.

გაუმჯობესდა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობა. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 ივნისის დადგენილების ("საქართველოს სსრ

ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ”) შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოების მოცულობის შემდგომ გადიდებას, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. 1975 წელს გამოშვებულ იქნა 214 მლნ მანეთის საერთო პროდუქცია, ნაცვლად 138,2 მლნ მანეთისა 1970 წელს.

საქართველოს ინდუსტრიული განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების ინტერესებთან. რესპუბლიკის ზოგიერთ დარგს თვალსაჩინო ადგილი უკავია შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. მაგალითად, საქართველოს შავი და ფერადი მეტალურგია, მანგანუმის მრეწველობა, ფეროშენადნობთა წარმოება, მანქანათმშენებლობა, სატვირთო ავტომობილმშენებლობა, ელმავალმშენებლობა, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა უშვებენ ისეთ პროდუქციას, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბჭოთა კავშირის მრეწველობის სხვადასხვა დარგში, ხმარდება ქვეყნის მოსახლეობას.

პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესაბამისად მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს მრეწველობის დარგობრივი და შიგადარგობრივი სტრუქტურა. იგი უფრო მეტად დაუახლოვდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ძირეულ პრობლემებს. მეცხრე ხუთწლედში უფრო სწრაფად ვითარდებოდა მძიმე ინდუსტრიის თანამედროვე პროგრესული დარგები, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას: ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა და სხვ.

ხუთწლედში განვითარდა ელექტროენერგეტიკა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. რესპუბლიკის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 1970 წელს 2 064 ათასი კილოვატიდან გაიზარდა 2 708 ათას კილოვატამდე 1975 წელს. შესაბამისად გაიზარდა ელექტოენერგიის წარმოებაც 9 332,3 მილიონ კილოვატსაათიდან 11 735,4 მილიონ კილოვატსაათამდე. გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება განსაკუთრებით მრეწველობასა და მშენებლობაზე[15]. აღსანიშნავია, რომ მომძე რესპუბლიკებიდან ელექტროენერგიის მიღება მეცხრე ხუთწლედში შემცირდა, ხოლო გადაცემა, პირიქით, გადიდდა. ერთიანი ენერგოსისტემის შექმნამ და მაღალი ძაბვის ხაზების მშენებლობის ზრდამ ხელი შეუწყვეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის გაფართოებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტრიფიკაციის დამთავრებას. ელექროენერგიის მოხმარების ზრდამ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აამაღლა წარმოების კულტურა და ეფექტიანობა, გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება ყოფა-ცხოვრებაშიც.

ელექტროენერგეტიკის განვითარების მიუხედავად, ეს დარგი, როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, ჩამორჩებოდა როგორც სამიძლავრეთა გადიდების, ისე ელექტროენერგიის წარმოების მხრივ.

მეცხრე ხუთწლედში საგრძნობლად იკლო საქართველოს სათბობი მრეწველობის ხვედრითმა წონამ. ქვანახშირის ამოღების შემცირება გამოიწვია კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებამ და ახალი შახტების მშენებლობის გაჭიანურებამ. ამავე დროს მოთხოვნილება მყარ სათბობზე განუწყვეტლივ იზრდებოდა როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის. უანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობის მოპოვება და შეიქმნა ამ დარგის განვითარების პერსპექტივები. ხუთწლედში ფართოდ გაიშალა ბუნებრივი გაზის საბადოთა საძიებო სამუშაოები.

ხუთწლედის პირველ ორ წელს შენელდა შავი მეტალურგიის პროდუქციის საშულო წლიური მატების ტემპი, შეიქმნა საგანგაშო მდგომარეობა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პროდუქციის შემცირების გამო. მაგრამ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ხუთწლედის მეორე ნახევრიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გაუმჯობესდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, საწარმოს კოლექტივმა მოიპოვა ახალი, თვალსაჩინო წარმატებანი. გაუმჯობესდა აგრეთვე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობა, რომლის შრომითი კოლექტივი წარმატებით ასრულებდა გეგმის ყველა ძირითად მაჩვენებელსა და სოციალისტურ ვალდებულებებს.

ხუთწლედის მეორე ნახევარში რამდენადმე იზრდებოდა ჭიათურის მანგანუმის მადნის ამოღება. პირველი ხარისხის მანგანუმის მადნის მოპოვების საერთო შემცირებასთან დაკავშირებით დადგა საკითხი კარბონატული და მეორე ხარისხის მანგანუმის მადნების გამოყენების შესახებ მრეწველობაში. გაიშალა მუშაობა ახალი საბადოების საძიებლადაც.

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ამუშავებით დაიწყო ფერადი მეტალურგიის მძლავრი განვითარება. კვლევა-ძიება მიმდინარეობდა სპილენძის მუდმივი თანმხლები სხვა ძვირფასი ელემენტების კომპლექსურად დამუშავებისათვის, მათ შორის ამონაფრქვევი გაზის უტილიზაციისათვის.

ადგილობრივი მერქნის დამზადების შეზღუდულობის გამო შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. მიუხედავად ამისა, ამ დარგშიც მიღწეულ იქნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი წარმატება. ამასთან ერთად უფრო კონკრეტულად დაისვა საკითხი ხე-ტყის წარმოების ნარჩენების გამოსაყენებლად სამშენებლო საქმეში და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის.

კაპიტალური მშენებლობის გაშლასთან დაკავშირებით მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობა. გაიზარდა მისი ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა პროგრესულ

სამშენებლო მასალათა, განსაკუთრებით ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნული წარმოება. მაგრამ საშენ მასალათა მრეწველობა ვერ აკმაყოფილებდა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობა. განმტკიცდა მისი საწარმოო-ტექნიკური ბაზა. დიდ წარმატებებს მიაღწიეს საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობამ. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. შემცირდა წუნი.

თვალსაჩინო მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედი რესპუბლიკის კვების მრავალდარგოვანმა მრეწველობამ, რომლის პროდუქციას დიდი ადგილი უკავია არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაშიც. გაიზარდა ჩაის, ღვინის, კონსერვების, ხორცისა და რძის წარმოება. ამაღლდა რესპუბლიკის კვების მრეწველობის ხვედრითი წონა საერთო-საკავშირო წარმოებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს წილად მოდის ბაიხაო ჩაის საკავშირო წარმოების 95 და სამარკო ღვინოების გამოშვების 12 პროცენტი. გაიზარდა ხილბოსტნეულის კონსერვების, ფერმენტირებული თამბაქოს, ეთერზეთების წარმოება, მინერალური წყლების ჩამოსხმა. ყინვებით ვენახების დაზიანების მიუხედავად, გადიდდა ღვინოებისა და კონიაკის გამოშვება.

მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო წარმოება აფხაზეთში, აჭარასა და სახრეთ ოსეთში, სადაც სწრაფად ვითარდებოდა ახალი სამრეწველო დარგები.

უნდა აღინიშნოს მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების მონაწილეობა საქართველოს მრეწველობის განვითარებაში. მოძმე რესპუბლიკებიდან საქართველო დიდი რაოდენობით იღებდა რკინის მადანს, ნავთობს, ბუნებრივ გაზს, ქსოვილებს, ტყავის ფეხსაცმელს, ხორცს, ხე-ტყეს, მანქანებს, ჩარხებს, მოწყობილობას, სხვადასხვა სამრეწველო ნედლეულს. საქართველოდან კი საბჭოთა რესპუბლიკებში იგზავნებოდა მანგანუმის მადანი, ფეროშენადნობები, ელმავლები, ლითონსაჭრელი ჩარხები, სატვირთო ავტომობილები, ხელსაწყოები, ქიმიური ბოჭკოები, პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი, კონსერვები, ტყავის ფეხსაცმელი და სხვ. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოტანილი სამრეწველო პროდუქცია ჭარბობდა საქართველოდან გატანილ საქონელს. საქართველოს მრეწველობის პროდუქცია იგზავნებოდა მსოფლიოს 75 ქვეყანაში.

რესპუბლიკის ყველა მიღწევა მრეწველობის დარგში მოპოვებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის ზრდის, იმ დიდი პარტიულ-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის შედეგად, რომელსაც 1972 წლის სექტემბრიდან ახორციელებდა ცენტრალური კომიტეტი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ

ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებათა შესასრულებლად

საქართველოს მრეწველობის განვითარების შედეგები უფრო მკაფიოდ ჩანს მისი ცალკეული დარგების მაგალითზე.

ენერგეტიკა. მეცხრე ხუთწლედში დიდი ყურადღება დაეთმო ელექროენერგეტიკის განვითარებას, რადგან იგი, ისე როგორც საერთოდ ენერგეტიკა, მნიშვნელოვნად ჩამორჩა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას. საგრძნობლად შემცირდა ქვანახშირის მოპოვებაც, 1973 წელს ტყიბულში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი შახტი "აღმოსავლეთის-2", მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1975 წელს ქვანახშირის ამოღება უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1970 წელს. განსაკუთრებით გართულდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უზრუნველყოფა საკოქსე ქვანახშირით.

აღსანიშნავია, რომ მეცხრე ხუთწლედში შეწყდა ახალციხის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაცია ქვანახშირის მდარე ხარისხის გამო. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ტყიბულისა და ტყვარჩელის საბადოების გაფართოება და ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოთა გაშლა. 1974 წელს სუფსასა და ტარიბანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი ახალი ჭაბურღილი, დღე-ღამეში ათობით ტ. ნავთობის სიმძლავრისა თითოეული. დიდი სიმძლავრის ჭაბურღილი ჩადგა მწყობრში სამგორის რაიონში[16].

ხუთწლედში ამუშავდა ენგურჰესის კასკადის პირველი სადგურები, გაფართოვდა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე (1972 წელს მიაღწია 1 250 ათას კილოვატს ნაცვლად 1970 წლის 930 ათასი კილოვატისა). დაიწყო ვარციხის, ჟინვალისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 1970 წლის 2 064 ათასი კილოვატიდან გაიზარდა 2 708 ათას კილოვატამდე, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება იმავე პერიოდში 8 964 მილიონ კილოვატსაათიდან 11 551 მილიონ კილოვატსაათამდე[17]. მიუხედავად ამისა, ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოება შეადგენდა საშუალო საკავშირო ოდენობის 63,7 პროცენტს.

მეცხრე ხუთწლედში როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში ელექტროენერგეტიკაში უპირატესი ადგილი დაიკავეს თბოელექტროსადგურებმა როგორც საერთო სიმძლავრის, ისე გამომუშავებული ელექტროენერგიის ხვედრითი წონის მიხედვით. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის დაახლოებით 60 პროცენტი 1973 წელს თბოსადგურებზე მოდიოდა.

ელექტროენერგეტიკული ბაზის გაფართოებამ ხელი შეუწყო მძიმე მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარებას. განსაკუთრებით დიდი იყო ელექტროენერგიის თერმული დანიშნულებისათვის მოხმარება ისეთ ელექტროტევად დარგებში, როგორიცაა ელექტრომეტალურგია, ელექტროქიმია. წარმოებაში ელექტროენერგიის მოხმარების გადიდებამ

ბუნებრივად გამოიწვია შრომის ელექტროაღჭურვილობის დონის ამაღლება სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. 1975 წელს მრეწველობაში შრომის ელექტროაღჭურვილობის ზრდის ტემპი 1960 წელთან შედარებით შეადგენდა 171 პროცენტს. მრეწველობის ელექტრიფიკაციისა და შრომის ენერგოაღჭურვის დონის ამაღლებამ ბიძგი მისცა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის წარმოების გაფართოებას, აამაღლა მუშათა კულტურული დონე, დააჩქარა გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოების პროცესი.

ამ დადებითი შედეგების მიუხედავად, 1970 წელს საქართველოში შრომის ელექტროაღჭურვილობის დონე მრეწველობაში ერთ მუშაზე შეადგენდა საერთო საკავშირო დონის 77,5 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობების მუშაზე – 37, ხოლო ერთ კოლმეურნეზე – 45 პროცენტს[18]. მეცხრე ხუთწლედში ეს მაჩვენებლები საშუალო საკავშირო დონეს მაინც ვერ მიუახლოვდა, რაც იმით აიხსნება, რომ რესპუბლიკაში საკმარისი არ იყო ელექტროენერგეტიკის განვითარების ტემპი[19].

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებისა და სკკპ XXV ყრილობის დირექტივების საფუძველზე დაისახა კონკრეტული ღონისძიებები საქართველოს ელექტროენერგეტიკის ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

მეტალურგია. მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეტალურგიამ, რომელსაც დიდი ადგილი უკავია საქართველოს ეკონომიკაში.

მეტალურგიის წამყვანმა, ყველაზე მსხვილმა საწარმომ, რუსთავის მეტალურგიუმლა ქარხანამ ხუთწლედი დიდი შეფერხებებითა და ხარვეზებით დაიწყო. მარტო 1972 წელს სახელმწიფოს ვერ მისცა 14 მილიონი მანეთის პროდუქცია[20]. ქარხანა ჩამორჩებოდა ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოებაში. კერძოდ, თუჯის წარმოება 1971 წელს 746 ათასი ტონიდან შემცირდა 710 ათას ტონამდე 1972 წელს, ფოლადის გამოდნობა 1 395 ათასი ტონიდან 1 303 ათას ტონამდე[21]. შემცირდა აგრეთვე შავი ლითონების ნაგლინი, ფოლადის მილებისა და კოქსის წარმოება[22].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა ქარხნის საწარმოო მდგომარეობა და დასახა მუშაობის გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებანი. პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა, ქარხნის დირექციამ, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად განახორციელეს ეფექტიანი ღონისძიებანი. ქარხანას დიდი დახმარება აღმოუჩინა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ. ამის შედეგად ქარხნის კოლექტივის ყოველ რგოლში არსებითი ცვლილებები მოხდა. ქარხნის მშრომელებმა 1974 – 1975 წლებში გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხანაში განმტკიცდა პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, საგეგმო, ეკონომიკური, საფინანსო დისციპლინა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

კოლექტივში პარტიული მუშაობის გაძლიერებასა და დისციპლინის განმტკიცებას, პარტიული ძალების შეკავშირებასა და დარაზმვას. გაიზარდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, იკლო მუშათა დენადობამაც.

ყოველივე ამის შედეგად რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ხუთწლედის დავალება ვადამდე შეასრულა. ძირითადი პროდუქციის წარმოება განსაკუთრებით გაიზარდა ხუთწლედის ორი უკანასკნელი წლის პერიოდში. თუჯის გამოშვება გაიზარდა 782 ათას ტონამდე 1975 წელს, ფოლადისა 1 464 ათას ტონამდე, ნაგლინის 1 291 ათას ტონამდე, ხოლო ფოლადის მილების წარმოება 475 ათასიდან 517 ათას ტონამდე. ქარხანამ ხუთწლედში ქვეყანას მისცა თუჯი 3 760 ათასი ტონა, ფოლადი – 6 980, ნაგლინი – 5 843 და ფოლადის მილები – 2 431 ათასი ტონა[23].

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას მიღწევებთან ერთად ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი. მაგალითად, 1971 წელს მთლიანი პროდუქციის გამოშვება ერთი მანეთი საშუალო წლიური ღირებულების წარმოების ძირითად ფონდებზე გადაანგარიშებით შეადგენდა 0,8 მანეთს, ხოლო 1975 წელს – 0,7 მანეთს[24]. ფონდების გამოყენების გაუარესებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქარხნის ყველა მაჩვენებელზე. მაღალი იყო ნახშირბადოვანი ფოლადისა და გადასამუშავებელი თუჯის თვითღირებულება. საგრძნობი იყო პროდუქციის წუნი და კადრების დენადობა.

საქართველოს შავი მეტალურგიის საერთო პროდუქციის მატება (10,9%) ჩამორჩებოდა ძირითადი ფონდების ზრდას (14%), რამაც განაპირობა ფონდამოგების დაბალი დონე[25].

უკანასკნელ წლებში მაღალხარისხოვანი მანგანუმის მარაგის შემცირების გამო დაისახა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის შეკვეცის ტენდენცია. მაგრამ იგი დაძლეულ იქნა არსებულ საბადოთა გაფართოების ხარჯზე. ამის შედეგად მანგანუმის მადნის მოპოვება 1970 წლის 1569 ათასი ტონიდან გაიზარდა 1 819 ათას ტონამდე 1975 წელს. ხუთწლედში სულ ამოღებულ იქნა 8 822 ათასი ტონა მანგანუმი[26]. მეცხრე ხუთწლედში დაიწყო ჭიათურა-საჩხერის რაიონში გამოვლენილ საბადოთა ექსპლოატაციისათვის მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

მეცხრე ხუთწლედში არსებითად შეიცვალა საქართველოს ფერადი მეტალურგია, რომლის პროდუქციის წარმოება გადიდდა 90,9 პროცენტით[27]. საქართველოში აქამდე არსებობდა მხოლოდ კვაისის (სამხრეთ ოსეთი) პოლიმეტალური მადნების საექსპლოატაციო მაღარო და გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წელიწადში რამდენიმე ათიათას ტონა პოლიმეტალურ კონცენტრატს ამზადებდა. კვაისის მაღაროთა სამმართველომ ხუთწლედი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა.

ფერადი მეტალურგიის დარგში ფართო და მნიშვნელოვანი პერსპექტივები დაისახა მადნეულის (ბოლნისის რაიონი) საბადოების სახით.

მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევარში ამუშავდა პირველი და მეორე რიგის მსხვილი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რაც სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით იყო გათვალისწინებული. კომბინატში დაინერგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერის პროფ. პ. გოგორიშვილის მეთაურობით შემუშავებული ავტოკლავური მეთოდი[28]. ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა სპილენძის მადნის მუდმივი თანამგზავრების სამრეწველო გამოყენებაც.

სრულიად უკაცრიელ მადნეულში (ყოფ. კაზრეთი) მსხვილი კომბინატის აშენებასთან დაკავშირებით წარმოიშვა დიდი სამრეწველო დასახლება.

ქიმიური მრეწველობა. საქართველოს მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ქიმიური მრეწველობის სწრაფ განვითარებას. მაგრამ პარტიის არაერთგზის მითითება ამის შესახებ არ სრულდებოდა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე, მათ შორის მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში. ამის შედეგად რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარება არა მარტო შეჩერდა, არამედ ამ დარგმა მიღწეული მიჯნებიც კი დათმო[29].

მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევრიდან დაიწყო ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარება. პროდუქციის წარმოება 60,3 პროცენტით გაიზარდა, ქიმიური ბოჭკოს წარმოება გადიდდა 6,1 ათასი ტონით[30], ამაღლდა კადრების კვალიფიკაციის დონე. 1973 წელს ქიმიურ მრეწველობაში დასაქმებული იყო 2,6 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი, მათ შორის 1,4 ათასი უმაღლესი განათლებით[31]. კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად შრომის ნაყოფიერება 1975 წელს 1970 წელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზარდა[32].

საქართველოში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის ზრდაზე მეტყველებს ისიც, რომ მისი პროდუქციის მოცულობა 1965 წელთან შედარებით 1975 წელს 45 პროცენტით გადიდდა[33].

რუსთავის ქიმიური კომბინატი აზოტოვან მინერალურ სასუქებთან ერთად აწარმოებდა სხვა მნიშვნელოვან პროდუქციასაც. სახელდობრ, სინთეზურ ბოჭკოებსა და ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო კარბამიდს. კაპროლაქტამის წარმოების ბაზაზე რუსთავში მოეწყო სინთეზური ბოჭკოების წარმოება. გაფართოვდა საქარველოში ქიმიური მრეწველობის სხვა საწარმოთა პროდუქციის ნომენკლატურა. წულუკიძის სინთეზურ ნაკეთობათა საწარმო, რომელიც მეცხრე ხუთწლედში ამუშავდა, უშვებდა პოლიმერულ აფსკს. რესპუბლიკაში ვითარდებოდა საყოფაცხოვრებო ქიმია, გაფართოვდა ბარიტისა და გუმბრინის, ასკანიტისა და სხვადასხვა ფისის წარმოება. ყოველწლიურად იზრდებოდა თეთრი პიგმენტების, ზეთის სრესილი საღებავების, ემალის, შაბიამნის, ბარიტის კონცენტრატისა და ბეტონიტის წარმოება.

მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარების დონე ჩამორჩებოდა მეცხრე ხუთწლედის დავალებებს.

ეს უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ როგორც რუსთავის ქიმიური კომბინატის, ისე სხვა საწარმოთა ტექნიკური ბაზის დიდი ნაწილი შედგებოდა მოძველებული დანადგარებისაგან, ზოგიერთ საწარმოში დაბალი იყო საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე, შემცირდა ფონდამოგება. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შეუსრულებლობით ყოვნდებოდა ძირითადი საწარმოო ფონდების საექსპლოატაციოდ გადაცემა. სუსტად გამოიყენებოდა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის რესპუბლიკის მდიდარი ბუნებრივი რესურსები. ჯერ კიდევ არ ხდებოდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა და სხვა საწარმოთა ამონაფრქვევი გაზების უტილიზაცია და სხვ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის ცნობილი დადგენილება "საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", ითვალისწინებდა საქართველოში ქიმიური მრეწველობის სწრაფ განვითარებას არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოებისა და ახალი მშენებლობების, ადგილობრივი ნედლეულის ფართოდ გამოყენების გზით. გათვალისწინებული იყო მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ბაზაზე გოგირდმჟავას წარმოების მოწყობა და სხვ.

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. მეცხრე ხუთწლედში უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ტექნიკური პროგრესის განმსზაღვრელი ისეთი დარგი, როგორიცაა მანქანათმშენებლობა. დიდია მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების ხვედრითი წონა და მნიშვნელობა საქართველოს მრეწველობაში.

მაგრამ უკანასკნელი 15 – 20 წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სფეროში დაშვებულმა არსებითმა შეუსაბამობამ განაპირობა რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის არასაკმაო ინტენსივობით განვითარება და მისი მნიშვნელოვანი ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან. მანქანათმშენებლობის პროდუქციის ოდენობა სამჯერ ჩამორჩებოდა შესაბამის საკავშირო მაჩვენებელს. ნელა ვითარდებოდა საქართველოს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში შეადგენდა 0,22 პროცენტს, მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების წილი საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ამ მაჩვენებელს ხუთჯერ აღემატებოდა.

1973 წლიდან მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა შედეგად უკვე 1973

წელს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი 12,6 პროცენტით გადიდდა[34]. ხუთწლედის დარჩენილ პერიოდში დაძაბული მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი. მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში დაინერგა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, გაუმჯობესდა წარმოების ორგანიზაცია, მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანობა და ფონდამოგების დონე. გადიდდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის წარმოება. ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება 1972 წლის 3 803 ცალიდან 1975 წელს 4 082 ცალამდე გაიზარდა. მაგისტრალური ელმავლების გამოშვება 1971 წლის 99 ცალიდან გადიდდა 115 ცალამდე 1975 წელს. უფრო დიდი მიღწევებით ხასიათდებოდა სატვირთო ავტომობილმშენებლობა. 1971 წელს გამოშვებულ იქნა 14 775 ავტომობილი, ხოლო 1975 წელს – 18 150 სატვირთო ავტომობილი[35], ანუ 23 პროცენტით მეტი. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის საერთო მოცულობის ტემპი 1975 წელს გადიდდა 14 პროცენტით 1970 წელთან შედარებით[36], შრომის ნაყოფიერება – 44 პროცენტით, ხოლო საკუთრივ მანქანათმშენებლობაში – 49 პროცენტით[37].

საქართველოს მანქანათმშენებლობა აღნიშნული პროდუქციის გარდა მრავალი სახეობის ნაკეთობას უშვებდა. მარტო ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომელიც 23 სხვადასხვა პროფილის საწარმოს აერთიანებდა, აწარმოებდა ელექტრომანქანებს, ელექტრომრავებს, მიკრომრავებს, ელექტროაპარატურას, ტრანსფორმატორებს, მრავალ სხვა ნაკეთობას, უმთავრესად მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის. გაფართოვდა ხელსაწყოთმშენებლობა, რომელიც ამზადებდა საკონტროლო და მარეგულირებელ ხელსაწყოებს, გამომთვლელი ტექნიკის საშუალებებს და სხვ. მაგრამ ეს დარგი მაინც ჩამორჩებოდა. მანქანათმშენებლობა უშვებდა ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის საჭირო მანქანებსა და მოწყობილობას, მადნების გამამდიდრებელ დანადგარებს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა ამზადებდა მრავალი სახის ჩარხებს, მათ შორის მილდასამუშავებელ ჩარხებსაც.

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობა კვების მრეწველობას უზრუნველყოფდა ჩაის, მეღვინეობისა და კონსერვების წარმოების დანადგარებით. ამწე-სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა მშენებლობას ამარაგებდა სამშენებლო კოშკურა ამწეებით. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ამზადებდა მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს მებაღეობა-მებოსტნეობისათვის, კულტივატორებს ჩაის მეურნეობისათვის, განსაკუთრებით გაიზარდა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა "საქართველოს" წარმოება.

მანქანათმშენებლობას სხმულებით ემსახურებოდნენ თბილისისა და რუსთავის სამსხმელო ქარხნები.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მანქანათმშენებლობის საწარმოები განლაგებული იყო რესპუბლიკის ბევრ ქალაქში, აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. საწარმოთა გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ადგილობრივი კვალიფიციური კადრები.

უნდა აღინიშნოს, რომ 70-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირში წარმოებული ლითონსაჭრელი ჩარხების 1,8 პროცენტი, მაღაროს ელმავლების – 13,6, სატვირთო ავტომობილების – 2,6, კოშკურა ამწეების – 9, ხოლო მაგისტრალური ელმავლების – 28,8 პროცენტი საქართველოზე მოდიოდა[38].

როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, დაბალი იყო მრეწველობის ამ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი. იგი მანქანათმშენებლობაში მერყეობდა 50-დან 90 პროცენტამდე[39]. ჭიანურდებოდა საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ვადები.

იმის გამო, რომ წლების მანძილზე დროულად არ ხორციელდებოდა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, საერთოდ, და, კერძოდ, მანქანათმშენებლობაში, ამ დარგის მთელ რიგ საწარმოებში ხელით შრომის ხვედრითი წონა შეადგენდა დაახლოებით 40 პროცენტს[40]. ამის შედეგად აღმოცენდა დისპროპორცია ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისა და დამხმარე წარმოების მექანიზაციის დონეს შორის, რაც ამცირებდა ძირითადი წარმოების ეფექტიანობას. დაბალი იყო მანქანათმშენებლობაში ავტომატიზაციის დონეც.

საწარმოო სიმძლავრეთა არადამაკმაყოფილებელ გამოყენებას იწვევდა უმთავრესად მოწყობილობის ცვლიანობის დაბალი დონე. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი შეადგენდა 1,4-ს, ხოლო საქართველოში დაახლოებით – 1,2-ს[41]. საქართველო ჩამორჩებოდა საკავშირო დონეს პროდუქციის მასალატევადობის შემცირებისა და ლითონების დაზოგვით ხარჯვის მხრივაც. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ეფექტიანობის გადიდების გზები.

საშენ მასალათა მრეწველობა. კაპიტალური მშენებლობის გაფართოებისდა კვალად განმტკიცდა საშენ მასალათა მრეწველობის ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა საწარმოთა ქსელი. 55 პროცენტით გადიდდა საწარმოთა ძირითადი ფონდები, დაინერგა პროგრესული ტექნოლოგია, განსაკუთრებით რკინა-ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციებისა და საკედლე მასალების წარმოებაში. მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევრიდან ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და ამის შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 24 პროცენტით. ცემენტის წარმოება 1971 წლის 1 496 ათასი ტონიდან გაიზარდა 1 666 ათას ტონამდე 1975 წელს. ხუთწლედში სულ გამოშვებულ იქნა 7 778 ათასი

ტონა[42]. გაიზარდა აგრევთე ზოგიერთი სხვა სახეობის სამშენებლო მასალათა წარმოება. ხუთწლედში რბილი სახურავი მასალების წარმოება გადიდდა 7,5-ჯერ და მეტად, ინერტული მასალებისა – 3,6-ჯერ, მარმარილოს მოსაპირკეთებელი ფილების, თაბაშირისა და სხვა საქონლისა 2,5-ჯერ. ამაღლდა ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე მსხვილი სამრეწველო ობიექტი, ჩატარდა რიგი საწარმოების რეკონსტრუქცია.

მიუხედავად ზოგიერთი თვალსაჩინო წარმატებისა, საშენ მასალათა მრეწველობამ ვერ უზრუნველყო პროდუქციის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედით განსაზღვრული ტემპები. ამ დარგის განვითარების დონე არ შეესაბამებოდა რესპუბლიკის მდიდარ რესურსებს, აგრეთვე მრეწველობის მასშტაბსა და ტემპს. არ შესრულდა ხუთწლიანი გეგმა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების დარგში.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედში მარტო საშენი კონსტრუქციებისა და დეტალების მრეწველობის განვითარებას 205 მილიონი მანეთი მოხმარდა, მაგრამ დახარჯულმა სახსრებმა ჯეროვანი უკუგება ვერ გამოიღო[43].

საშენ მასალათა მრეწვლობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ხუთწლედში აგურის გამოშვება 7 პროცენტით შემცირდა, კირისა – 12 პროცენტით. ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი შიფერის, კრამიტისა და სხვა საშენი მასალების გამოშვების საქმეში. ამასთან ერთად, აღინიშნა, რომ რესპუბლიკას დღემდე არ გააჩნია ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე კარიერები. ამის გამო ნაკლებად გამოიყენებოდა საქართველოს შესანიშნავი მარმარილოები, ტუფი, ბაზალტი, ეკლარის ქვა, რომელთა მოპოვება-დამუშავება წარმოებდა პრიმიტიული წესით[44].

ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია საშენ მასალათა მრეწველობის საწარომთა მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა.

სატყეო მეურნეობა და ხე-ტყის მრეწველობა. მეცხრე ხუთწლედში დიდად გაიზარდა მოთხოვნილება ხე-ტყის პროდუქციაზე, რამაც განაპირობა სატყეო მეურნეობის შემდგომი განვითარება, ტყის მოვლა-დაცვის გაძლიერება, მისი რაციონალური ექსპლოატაცია.

ბუნების დაცვის ღონისძიებებთან და ამ ღონისძიებათა დიდ სოციალურ ამოცანებთან დაკავშირებით გაძლიერდა რესპუბლიკის ტყის მასივების მოვლა და გაუმჯობესება, დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გამწვანების საქმეში. მოსახლეობის ფართო მონაწილეობით თბილისის შემოგარენზე გაშენდა ტყის ახალი მასივები. გაიზარდა წყალსაცავი და ნიადაგსაცავი, მინდორსაცავი და საკურორტო, აგრეთვე საექსპლოატაციო ტყეების მასივები. მნიშვნელოვნად გადიდდა ტყის აღდგენა-განახლებისა და

მოვლა-დაცვის სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

საქართველოს ტყეების განსაკუთრებული დანიშნულების გამო, მათი სამრეწველო ექსპლოატაცია და შემოსავალიც ერთობ მცირე იყო, მაგრამ მერქნის დამზადება განსაზღვრულ ფარგლებში მაინც წარმოებდა საქართველოს ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობისათვის. სამასალე მერქნის გამოზიდვა მეცხრე ხუთწლედში 1965 წელთან შედარებით 557 ათასი კუბური მეტრიდან შემცირდა 368 ათას კუბურ მეტრამდე 1973 წელს და მხოლოდ 1975 წელს გაიზარდა 494 ათას კუბურმეტრამდე. შემცირდა აგრეთვე დახერხილი ხე-ტყის მოცულობა 1970 წლის 659 ათასი კუბური მეტრიდან 531 ათას კუბურ მეტრამდე 1975 წელს[45]. ხუთწლედში წარმოებული იყო 180 ათასი ტონა ქაღალდი[46]. 1973 – 1974 წლებში ქაღალდის წარმოებამ გადააჭარბა 1970 წლის დონეს, მაგრამ ეს მიღწეული მიჯნები მომდევნო წელს ვერ შეინარჩუნა. ავეჯის, მერქან-ბურბუშელის ფილების, სამშენებლო ნაკეთობათა წარმოება კი შედარებით სწრაფად ვითარდებოდა, რადგან ძირითადად საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოტანილ ნედლეულს იყენებდა.

ცნობილია, რომ საქართველოს არ ყოფნის საკუთარი ხე-ტყის ნედლეული. სამასალე მერქანი, დახერხილი ხე-ტყე, ქაღალდი, მუყაო და სხვა მასალები შემოდის საბჭოთა რესპუბლიკებიდან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკაში არსებული ხე-ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

მსუბუქი მრეწველობა. საქართველოს სამრეწველო კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსუბუქ მრეწველობას. მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მნიშვნელოვნად შენელდა მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდის ტემპები. გაუარესდა წარმოების ეფექტიანობის ყველა მაჩვენებელი. ამან გამოიწვია მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წონის შემცირება. უკვე 1971 წელს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველოს მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება 30 პროცენტით ნაკლები იყო საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით[47].

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ასეთი დაქვეითება, რა თქმა უნდა, სრულიად არ შეესაბამებოდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს მოხმარების საგნების წარმოების ტემპის დაჩქარების შესახებ.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მუშაობა 1973 წლიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა. მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა მსუბუქი ინდუსტრიის მშენებლობა. ხუთწლედში 630 მილიონი მანეთით გადიდდა რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სამრეწველო პოტენციალი[48].

დიდ წარმატებებს მიაღწიეს თელავის აბრეშუმსახვევ-საძახავი და მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკებმა, სადაც სიმძლავრეთა მაქსიმალურად

გამოყენებისა და წარმოების მექანიზაციის გაფართოების საფუძველზე გაიზარდა პროდუქციის წარმოება და ხუთწლიანი დავალება ვადამდე გადაჭარბებით შესრულდა. ასეთივე მიღწევებით ხასიათდებოდა მთელი რიგი სხვა საწარმოების მუშაობაც, რის შედეგადაც 1973 წელს მსუბუქი მრეწველობის 54 სახეობის პროდუქციას მიეკუთვნა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

ამ მიღწევებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კონცენტრაციამ და სპეციალიზაციამ, წარმოების მართვის გაუმჯობესებამ, მასების შრომითმა აქტივობამ. მსუბუქ მრეწველობაში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 1972 წელს შეადგენდა 105 პროცენტს 1970 წლის მიმართ, ხოლო 1973 წელს – 111, 1974 წელს – 121 და 1975 წელს – უკვე 127 პროცენტს[49].

ხუთწლედის მეორე ნახევარში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მიღწევების მიუხედავად, ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა საწარმოო აპარატის განახლება, საკმაოდ დიდი იყო ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკა, დაბალი იყო შრომის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობას ფონდაღჭურვილობის დონის მიხედვით მეთორმეტე ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირში.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის განვითარებას სხვა მიზეზებთან ერთად აფერხებდა ის, რომ ვერ მოგვარდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების უზრუნველყოფა ხარისხიანი ნედლეულით, რომლის ერთი ნაწილი სხვა რესპუბლიკებიდან შემოდიოდა. მსუბუქი მრეწველობის წინაშე დაისახა პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების ამოცანა.

კვების მრეწველობა. კვების მრეწველობას ხვედრითი წონის მხრივ პირველი ადგილი ეკავა რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში. სამრეწველო საწარმოთა 40 პროცენტზე მეტი მოდიოდა კვების მრეწველობის წილად[50].

მეცხრე ხუთწლედში ფართოდ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა, ამუშავდა ჩაის ახალი ფაბრიკები, რუსთავის ხორცის გადამმუშავებელი ქარხანა, ბზიფის ხორცისა და რძის კომბინატი. ახალ საწარმოთა საექსპლოატაციოდ გადაცემისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქციის შედეგად გაიზარდა ყველის, ხორცის, პურ-ფუნთუშეულის, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების, ჩაის წარმოება. განუწყვეტლივ ფართოვდებოდა კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზა, სულ უფრო მეტად ინერგებოდა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ახალი ტექნოლოგია, ელექტრიფიკაცია, ქიმიზაცია, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დაიდგა ბევრი ისეთი მანქანა-დანადგარი, რომელთა ეფექტი ბევრად აღემატებოდა ანალოგიურ უცხოური ნიმუშების ეფექტიანობას. დიდი სამუშაოები განხორციელდა ტექნოლოგიური სრულყოფის მიმართულებით. კვების მრეწველობის წარმოებაში დაიდგა 140 მექანიზებული ხაზი, 230 მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარი[51]. აღსანიშნავია, რომ

მექანიზებული, კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზების მეტი ნაწილი ხუთწლედში დაიდგა კვების მრეწველობის საწარმოებში. მეცხრე ხუთწლედში კვების მრეწველობის, კერძოდ, მეღვინეობის ტექნიკური ბაზის ზრდას ხელი შეუწყო მანქანათმშენებლობის განვითარებამ.

მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა კვების მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები. მისი ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატებოდა შესაბამის საკავშირო ტემპებს[52].

პარტიისა და სახელმწიფოს ფართო ღონისძიებებმა, მასების შრომითი აქტივობის ზრდამ განაპირობეს კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება, პროდუქციის წარმოების გადიდება. ბევრმა საწარმომ უზრუნველყო ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება, მათ შორის თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანამ და საწარმოო გაერთიანება "ბორჯომმა".

კვების მრეწველობამ საერთო პროდუქცია დაგეგმილი 24,8 პროცენტის ნაცვლად გაადიდა 34 პროცენტით. ხორცის წარმოება 1971 წლის 54,3 ათასი ტონიდან გაიზარდა 79,6 ათას ტონამდე 1975 წელს. კონსერვები შესაბამისად 236,7 მილიონი პირობითი ქილიდან 382,9 მილიონ პირობით ქილამდე, მინერალური წყლები – 230 მილიონი ბოთლიდან 445 მილიონ ბოთლამდე, ყურძნის ღვინო – 15,2 მილიონ დეკალიტრიდან 17 მილიონ დეკალიტრამდე, შამპანური ღვინო – 10,5 მილიონი ბოთლიდან 14,7 მილიონ ბოთლამდე, ბაიხაო ჩაი – 65,8 ათასი ტონიდან 80,1 ათას ტონამდე[53].

მოყვანილი მონაცემების მერვე ხუთწლედის მონაცემებთან შეჯერება ცხადყოფს, რომ კვების მრეწველობამ მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადააჭარბა წინა ხუთწლედის დონეს. ამავე დროს საგრძნობლად გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი.

ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზარდა კვების მრეწველობის ხვედრითი წონა როგორც რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში, აგრეთვე ექსპორტში.

მიუხედავად კვების მრეწველობის სწრაფი განვითარებისა, ადგილი ჰქონდა ზოგიერთ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებას, კერძოდ, საზოადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპს. დაბალი იყო კვების მრეწველობის სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობა, განსაკუთრებით რძის მრეწველობაში (60,3%), შაქრის (69,1%) და პურის წარმოებაში (69,1%)[54]. ამ ნაკლოვანებებმა განაპირობეს ერთ სულ მოსახლეზე კვების პროდუქციის წარმოების მხრივ საქართველოს ჩამორჩენა. მან ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში.

მრეწველობის განვითარება აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. საქართველოს კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობის განვითარებისათვის. აფხაზეთის

მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების გადიდებაში. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1975 წელს ორჯერ და მეტად გაიზარდა 1965 წელთან შედარებით. მრეწველობის პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეობებიდან აღსანიშნავია ელექტროენერგიის წარმოება. აფხაზეთის ელექტროსადგურებმა მეცხრე ხუთწლედში გამოიმუშავეს 3437 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ტყვარჩელის ახალი შახტების მშენებლობის გაჭიანურების შედეგად ქვანახშირის ამოღება შემცირდა, მაგრამ ხუთწლედში აფახზეთმა ქვეყანას მაინც მისცა 4 073 ათასი ტონა ქვანახშირი, რომელიც უმთავრესად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსის წარმოებაში გამოიყენებოდა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩაისა და თამბაქოს მრეწველობა. პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაის წარმოება 1971 წლის 11,9 ათასი ტონიდან გაიზარდა 15,1 ათას ტონამდე 1975 წელს. ხუთწლედში აფხაზეთის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნებმა გამოუშვეს 52,9 ათასი ტონა თამბაქო[55].

აფხაზეთში ვითარდებოდა აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგები, კერძოდ ელექტროტექნიკური, საკონსერვო, ხე-ტყის, ხორცისა და რძის წარმოება და სხვ. ამასთან ერთად გაიზარდა მკვიდრი მოსახლეობის ხვედრითი წონა მუშათა კლასის შემადგენლობაში, ხოლო მუშათა შორის აფხაზი მუშა ქალების პროცენტი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდებოდა ელექტროენერგეტიკა, ნავთობგადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა და მრეწველობის სხვა დარგები. აჭარის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 673 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. საკონსერვო ქარხნებმა ხუთწლედში გამოუშვეს 77,1 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 54,7 ათასი ტონა პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი, 10,8 ათასი ტონა ფერმენტირებული თამბაქო[56], 20,1 ათასი კუბ. მ დაწებებული ფანერი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მეცხრე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდა მსხვილი მრეწველობა, მათ შორის სამთამადნო და ელექტროტექნიკური მრეწველობა. 1971 – 1975 წლებში გაიზარდა კვაისის თუთიის საბადოს წარმოება. სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან პროდუქციას უშვებდა ცხინვალის ქარხანა “ემალსადენი”, რომელმაც ხუთწლედის გეგმა ვადამდე შეასრულა. სამხრეთ ოსეთის მუშათა და სპეციალისტთა რიგები შეივსო ადგილობრივი კადრებით.

კაპიტალური მშენებლობა. მეცხრე ხუთწლედში საქართველოში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობამ შეადგინა 6 098 მილიონი მანეთი. აქედან სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდების ოდენობა 1 076 მილიონით აღემატებოდა მერვე ხუთწლედის ფაქტიურ დაბანდებას[57].

სამშენებლო ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სათანადო მანქანებისა და მექანიზმების რაოდენობა. 1971 წელს მშენებლობაში

გამოიყენებოდა 1 318 ექსკავატორი. 163 სკრეპერი, 1 102 ბულდოზერი, 2 045 მოძრავი ამწე, ხოლო 1975 წლის დამლევისათვის – ექსკავატორი – 1510, სკრეპერი – 120, ბულდოზერი – 1 229, ამწე – 2 326.

ინდუსტრიული მეთოდების დანერგვამ საგრძნობლად შეცვალა სამშენებლო წარმოების ხასიათი, შრომის პირობები, კადრების რაოდენობა და კვალიფიკაცია. გაიზარდა ინჟინერ-ტექნიკოსთა რიცხვი, გადიდდა სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების მემანქანეთა, მემონტაჟეებისა და შემდუღებლების ხვედრითი წონა მუშათა საერთო რაოდენობაში. მნიშვნელოვნად შემცირდა არაკვალიფიციური მუშების რაოდენობა[58]. სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებასთან დაკავშირებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე საწარმოებში მუშაკთა რაოდენობა შემცირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1975 წლის ბოლოს მშენებლობაზე დასაქმებული იყო 134,7 ათასი კაცი, მათ შორის 129,2 ათასი კაცი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე[59].

მეცხრე ხუთწლედში საქართველოში ამუშავდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 73 მსხვილი სამრეწველო საწარმო, რეკონსტრუირებულ იქნა ბევრი მოქმედი ფაბრიკა და ქარხანა, ახალ საწარმოთა შორის თავისი სიმძლავრით გამოირჩევა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (ბოლნისის რაიონი) და ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ენგურჰესის კასკადის პირველი ჰიდროელექტროსადგურები, ტყიბულის შახტის “აღმოსავლეთის N 2”, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნები ქ. მახარაძესა და სადგურ იორში, გორის სახლმშენებლობის კომბინატი, თბილისის მეტროპოლიტენის ახალი სადგურები (“ისანი”, ”სამგორი”), დიდი მეფრინველეობის ფაბრიკები კოდაში, გორში, გამარჯვებაში, ცხაკაიასა და ოჩამჩირეში. მწყობრში ჩადგა ახალი სიმძლავრეები თბილისისა და რუსთავის სამსხმელო, ქიმიურ და მეტალურგიულ ქარხნებში, ბათუმისა და ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხნებში, თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში.

მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ სამ წელიწადში შესრულდა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 მილიონ 876 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებები 21 ათასი ბავშვისათვის, სკოლები 177 ათასი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 10 ათასი მოსწავლისათვის, საავადმყოფოები 7,3 ათასი საწოლით[60].

შეიცვალა კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებმა პირველი ადგილი დაიკავეს ხვედრითი წონის მიხედვით.

მშენებლობის დარგში მნიშვნელოვანი ძვრების მიუხედავად, როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, იგი ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპებს.

კაპიტალურ მშენებლობაში ჩამორჩენა და ნაკლოვანებანი გამოიწვია იმან რომ ზოგჯერ უპროექტოდ იწყებოდა ობიექტების მშენებლობა. ამის შედეგად დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებამ 1975 წლის დამდეგისათვის შეადგინა მილიარდ 134 მილიონი მანეთი. ადგილი ჰქონდა რესურსების დაქსაქსვას მრავალი წლისა და მშენებლობის მიხედვით. ახლო წარსულში ძალიან ნელა ვითარდებოდა საშენ მასალათა და კონსტრუქციათა მრეწველობა. ჩამორჩებოდა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში სიმძლავრეთა გამოყენება, სრულყლფილი არ იყო მშენებლობის მართვის სტრუქტურა. სამშენებლო ტექნიკის გამოყენების დაბალი დონის შედეგად შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში დაგეგმილი 36 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 24 პროცენტით. ტექნიკის გამოყენების დაბალი დონით აიხსნებოდა ის, რომ ხელის შრომით დასაქმებულ მუშათა რიცხვი 58 პროცენტს აღწევდა[61].

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ფართო ღონისძიებები დასახა კაპიტალურ მშენებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ამ მნიშვნელოვანი დარგის მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

მეცხრე ხუთწლედში საგრძნობლად განვითარდა საქართველოს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რომლებიც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანებს. გაუმჯობესდა ყველა სახეობის ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათი მუშაობა.

რკინიგზის საერთო საექსპლოატაციო სიგრძე ხუთწლედში არსებითად არ შეიცვალა, მაგრამ რკინიგზის ტრანსპორტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მაინც მიაღწია. უწინარეს ყოვლისა მაგისტრალური ხაზის მთელ რიგ უბნებზე დაიგო მეორე ლიანდაგი. 1974 წელს დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მეორე ხაზი სურამის უღელტეხილის მონაკვეთზე, რომელიც ყველაზე ვიწრო უბანი იყო. გრძელდებოდა მეორე ლიანდაგის დაგება აგრეთვე თბილისი-ხაშურისა და რუსთავი-ბიუკასიკის უბნებზე. რკინიგზის ტრანსპორტის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება გაიზარდა 18 პროცენტით[62].

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად გადიდდა რკინიგზის გამტარუნარიანობა და ტვირთბრუნვა. 1971 წელს რკინიგზით გადატანილი იყო 69,2 მილიონი ტონა ტვირთი, ხოლო 1975 წელს – 77,3 მილიონი ტონა[63]. სახალხო მეურნეობის ტვირთბრუნვაში რკინიგზის ხვედრითი წონა აღემატებოდა ყველა სახეობის ტრანსპორტის ხვედრით წონას. რაც შეეხება მგზავრთა გადაყვანას, აქ, რკინიგზის აბსოლუტური მაჩვენებლების ზრდის

მიუხედავად, საავტომობილო ტრანსპორტმა ხვედრითი წონის მხრივ პირველი ადგილი დაიკავა.

რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოო-ტექნიკური პერსონალის ზრდა აღნიშნულ პერიოდში 3,4 პროცენტს შეადგენდა. მაშასადამე, რკინიგზის გადაზიდვების ზრდა უნდა აიხსნას ტექნიკის პროგრესითა და შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

რკინიგზის ტრანსპორტის მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებოდა რესპუბლიკის სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილები. 1974 წელს გადაწყდა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კაზრეთ (მადნეული) – ახალქალაქის რკინიგზის ხაზისა და კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მაგისტრალური ხაზის გაყვანა.

მეცხრე ხუთწლედში დიდ წარმატებებს მიაღწია საავტომობილო ტრანსპორტმა, რომლის გზების საერთო სიგრძე გაიზარდა 21,4 ათას კილომეტრამდე, მათ შორის მაგარსაფარიანი გზებისა – 17,5 ათას კილომეტრამდე. ჩატარდა არსებული გზების რეკონსტრუქცია. გზების მშენებლობა აღჭურვილ იქნა თანამედროვე საგზაო სამშენებლო ტექნიკით, რაც უზრუნველყოფდა სამუშაოთა დროულად შესრულებას და მათ ხარისხს. 1971 წელს არსებული საავტომობილო გზების საერთო სიგრძიდან სახელმწიფო მნიშვნელობისა იყო 7,7 პროცენტი, რესპუბლიკური – 17,7 და ადგილობრივი მნიშვნელობისა – 74,6 პროცენტი.

საავტომობილო ტრანსპორტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეცხრე ხუთწლედში. სახალხო მეურნეობის ავტოტრანსპორტით ტვირთბრუნვა 1971 წელს 3 085 მილიონ ტონა კილომეტრიდან გაიზარდა 3 921 მილიონ ტონა კილომეტრამდე 1975 წელს. იმავე პერიოდში ტვირთების გადატანა 209,4 მილიონი ტონიდან გაიზარდა 243,0 მილიონ ტონამდე, ანუ 15 პროცენტით. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით 1971 წელს გადაყვანილ იქნა 495 მილიონი კაცი, 1975 წელს – 540 მილიონი კაცი[64]. მისი ტვირთბრუნვა 1971 წელს 1337 მილიონ ტონა კილომეტრიდან გაიზარდა 1 710 მილიონ ტონა კილომეტრამდე 1975 წელს, ხოლო ტვირთების გადაზიდვა შესაბამისად 85,0 მილიონი ტონიდან – 106,8 მილიონ ტონამდე. საავტომობილო ტრანსპორტის გადაზიდვასა და ტვირთბრუნვაში დიდი იყო საუწყებო ავტოტრანსპორტის ხვედრითი წონა.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტომობილების პარკი, მათ შორის ავტობუსებისა და ტაქსმოტორების რაოდენობა. გაუმჯობესდა მათი მუშაობა. გაფართოვდა საქალაქთაშორისო მიმოსვლის მარშრუტები, გაიზარდა მსუბუქი ტაქსების რაოდენობა როგორც ქალაქებში, ისე ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს შორის მიმოსვლისათვის. მთის სოფლის სოციალურ პრობლემათა გადაჭრაში, როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევრდნაძემ აღნიშნა, დიდ როლს ასრულებენ საავტომობილო გზები, მაგრამ რესპუბლიკის “მთიან რაიონებში ძალიან ცოტაა კარგი გზები”[65].

გაფართოვდა ქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება, გაიზარდა თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრთა გადაყვანა, ხოლო, რაც შეეხება საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებს, იქ მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო ავტობუსების როლი.

მეცხრე ხუთწლედში განვითარდა საქართველოს სამოქალაქო ავიაცია და საზღვაო ფლოტი. სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავების პარკი შეივსო ახალი თვითმფრინავებით. დაწესდა ბევრი რესპუბლიკური ავიატრასა. 1971 წელს მწყობრში ჩადგა თბილისის ახალი აეროვაგზალი.

1971 – 1975 წლებში საქარველოს სამოქალაქო ავიაციამ გადაიყვანა 8,9 მილიონი კაცი და გადაიტანა 17,3 ათასი ტონა ფოსტა[66], აგრეთვე დიდი რაოდენობით სხვა ტვირთი.

საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად ხუთწლედში ჩატარდა ნავსადგურების კეთილმოწყობა. ფოთში დაიწყო ახალი საზღვაო ვაგზლის მშენებლობა. გაიზარდა ნავსადგურების გამტარუნარიანობა ძირითადად დატვირთა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის ხარჯზე. შეიქმნა ორი მცურავი სახელოსნო და მძლავრი ამწეობის მცურავი დოკი.

გაფართოვდა მილსადენი ტრანსპორტი, ნავთობსადენებისა და გაზსადენების ქსელი. 1974 წელს ამუშავდა ხაშური-ბათუმის უბნის ახალი 232 კმ სიგრძის ნავთობსადენი. 1975 წელს მოეწყო ასობით მლნ ტ. კილომეტრის ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების მილსადენები[67]. ამასთან დაკავშირებით მოეწყო ნავთობსაქაჩავი სადგურები, ხაშურში ახალი სატუმბავი სადგური, რეზერვუარები. აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთი) მოეწყო ნავთობსადენები ნავთობის სარეწებიდან ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებამდე.

არსებულ მაგისტრალურ გაზსადენებზე მეცხრე ხუთწლედში მიერთებული იქნა რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქები და რაიონები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განვითარდა აგრეთვე კავშირგაბმულობის დაწესებულებათა ქსელი და გაუმჯობესდა მოსახლეობის მომსახურება. საფოსტო, სატელეგრაფო და სეტელეფონო საწარმოთა რაოდენობა 1 471-დან გაიზარდა 1 624-მდე, აქედან სოფლად შესაბამისად – 1 009-დან 1 099-მდე; გაგზავნილი წერილების რაოდენობა – 113 მილიონიდან 133 მილიონამდე; ჟურნალ-გაზეთები – 797 მილიონი ეგზემპლარიდან 921 მილიონამდე, ამანათები – 1,9 მილიონიდან 2,6 მილიონამდე, ფულადი და საპენსიო გზავნილები – 10,5 მილიონიდან 10,9 მილიონამდე, დეპეშა – 8,7 მილიონიდან 9,3 მილიონამდე.

საქართველოს ქალაქებში მოქმედებდა 110 სატელეფონო სადგური, აქედან ავტომატური სისტემის – 100. ქალაქის სატელეფონო სადგურების სიმძლავრე 191 ათასი ნომრიდან გაიზარდა 237 ათას ნომრამდე[68].

გაუმჯობესდა სატელეფონო კავშირი აგრეთვე სოფლად, სადაც 1975 წელს მოქმედებდა 872 სატელეფონო სადგური, მათ შორის ავტომატური

სისტემის – 283. სოფლის სატელეფონო სადგურების საერთო სიმძლავრე 50,4 ათას ნომრამდე გადიდდა[69]. საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკი 7,8 მილიონიდან გაიზარდა 11 მილიონამდე. საერთო სატელეფონო ქსელში ტელეფონების აპარატების რიცხვი – 189,8 ათასიდან 267,8 ათასამდე, მათ შორის ავტომატური აპარატების – 248,2 ათასამდე.

რესპუბლიკაში 1971 წელს იყო 1 829 ათასი რადიომიმღები წერტი, 1975 წელს 2 251 ათასი, რადიომიმღები 974 ათასი, ტელევიზორების რაოდენობა იმავე პერიოდში 513 ათასიდან გაიზარდა 792 ათასამდე. გადიდდა აგრეთე სატრანსლაციო რადიოწერტების რიცხვი[70].

1975 წელს საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში დასაქმებული იყო ათობით ათასი კაცი. მნიშვნელოვნად ამაღლდა მუშაკთა კვალიფიკაცია, რამაც ხელი შეუწყო კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას, მის მონაწილეობას სახალხო მეურნეობის მართვის საქმეში.

---

[1] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 14.
[2] იქვე, გვ. 16, 19.
[3] იქვე, გვ. 23.
[4] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 46.
[5] იქვე.
[6] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 44.
[7] **ვ. ვადაჭკორია,** მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა. 1976, გვ. 22.
[8] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 19.
[9] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 13 - 14.
[10] იქვე, გვ. 14.
[11] იქვე.
[12] იქვე, გვ. 15, 23.
[13] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 193 и 194.
[14] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 18.

[15] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 75.
[16] "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა", გვ. 188.
[17] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 76.
[18] "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა", გვ. 129.
[19] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 15, 23.
[20] გაზ. "კომუნისტი", 1976 წლის 10 ივლისი.
[21] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
[22] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 62.
[23] "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა", გვ. 212.
[24] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 37 – 41.
[25] **იქვე.**

[26] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 62.
[27] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 10.
[28] იქვე.
[29] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას”, გვ. 16.
[30] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 10 - 11.
[31] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», Стат. ежегодник, Тб., 1974, стр. 182.
[32] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 70.
[33] იქვე, გვ. 72.
[34] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა...”, გვ. 254.
[35] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 63.
[36] იქვე, გვ. 55.
[37] იქვე, გვ. 72.
[38] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 262.
[39] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას”, გვ. 21.
[40] იქვე, გვ. 16.
[41] იქვე, გვ. 21.
[42] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 64, 72.
[43] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას”, გვ. 29.
[44] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას”, გვ. 30.
[45] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 63, 64.
[46] იქვე, გვ. 64.
[47] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 309, 310.
[48] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას”, გვ. 27.
[49] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 73.
[50] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა....”, გვ. 332 – 333.
[51] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
[52] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 38.
[53] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 65, 66.
[54] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 49.
[55] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 79 – 80.
[56] იქვე, გვ. 80 – 81.
[57] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 175.
[58] იქვე.
[59] “საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა...”, გვ. 368.
[60] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას”, გვ. 27.
[61] იქვე, გვ. 29, 30.
[62] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 67.
[63] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 156.
[64] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 150 – 151.
[65] “საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას...”, გვ. 60.
[66] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 158, 159.
[67] იქვე, გვ. 155.
[68] იქვე, გვ. 162.

[69] იქვე.
[70] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 160 – 161.

§ 4. სოფლის მეურნეობის განვითარება

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად ახორციელებდნენ ეკონომიკურ, მატერიალურ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების ამოცანების წარმატებით შესრულებას.

მეცხრე ხუთწლედში განხორციელებულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარება, სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გარდაქმნის პროცესის დაჩქარება, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიკური განმტკიცებისათვის.

1973- 1975 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური პრობლემების სწორად გადაწყვეტას პარტიის აგრარული პოლიტიკის შესაბამისად. მარტო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებით გაძნელდებოდა სოფლის მეურნეობაში დასახული ეფექტიანობის მიღწევა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა უზრუნველეყო მეცნიერულ საფუძველზე დაგეგმვის სრულყოფა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემის გაუმჯობესება და მათი შესყიდვის მტკიცე გეგმების დადგენა.

დაგეგმვის რამდენადმე გაუმჯობესებამ, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშაკები, შექმნა აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო რაციონალურად მოწყობის პირობები, ბიძგი მისცა თითოეული მშრომელის თაოსნობის, შემოქმედებითი შრომის ახალი ძალით გაშლას. განსაკუთრებით გაძლიერდა შრომის ეკონომიკური სტიმულირება გარანტირებული ანაზღაურების სისტემის განმტკიცებისა და სრულყოფის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ფასების გადიდების, სახელმწიფოსათვის გეგმის ზევით პროდუქტების მიყიდვისათვის დანამატის გაცემისა და სხვა

ღონისძიებათა განხორციელების გზით, რამაც ხელი შეუწყო სოფლად შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქტების წარმოების გაფართოებას.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობაში კიდევ უფრო განმტკიცდა სამეურნეო ანგარიშის სისტემა. მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობათა დაკრედიტება, დაწესდა კოლმეურნეობებისაგან საშემოსავლო გადასახადების დარიცხვის ახალი შეღავათიანი სისტემა, გაიზარდა სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. მერვე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტებისათვის გაღებული კაპიტალური დაბანდება შეადგენდა 1 018 მილიონ მანეთს, ხოლო მეცხრე ხუთწლედში – 1461 მილიონ მანეთს, ანუ 443 მილიონი მანეთით მეტს[1]. თუ გავითვალისწინებთ კაპიტალურ დაბანდებათა იმ თანხებს, რომელიც მოხმარდა სოფლად არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, მაშინ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა სოფლად მეცხრე ხუთწლედში შეადგენდა 1 555 მილიონ მანეთს ნაცვლად 1 115 მილიონი მანეთისა მერვე ხუთწლედში[2]. აღსანიშნავია, რომ მარტო საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე გამოყენებული კაპიტალური დაბანდება მეცხრე ხუთწლედში შეადგენდა მთელ სახალხო მეურნეობაში დახარჯულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის 23 პროცენტს[3], რაც უახლოვდება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს (26 პროცენტი).

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით კოლმეურნეობების სახსრებიდან გამოიყო სულ 367 მილიონი მანეთი. ამრიგად, სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდება წარმოებდა ძირითადად სახელმწიფოს სახსრებით, რაც თითქმის სამჯერ აღემატებოდა კოლმეურნეობათა მიერ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო 1973 წლიდან. 1971 წელს იგი შეადგენდა 255 მილიონ მანეთს, ხოლო 1975 წელს – თითქმის ასი მილიონი მანეთით მეტს.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობათა მიერ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მუდმივი ზრდის შედეგად მეცხრე ხუთწლედში აშენდა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცხოველეობის ფერმები, ფაბრიკები და კომპლექსები. საგრძნობლად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკური და მატერიალური ბაზა, კერძოდ, მეცხოველეობის დარგში. მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდების ღირებულება. 1975 წელს იგი 28 პროცენტით აღემატებოდა 1970 წლის დონეს[4].

საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული სერიოზული დანაკლისის ანაზღაურებისა და მისი სწრაფი აღმავლობის ერთობ რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვდა სოფლად მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური პრობლემების პრაქტიკულად განხორციელებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა

პარტიის აგრარული პოლიტიკის შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხების გადაწყვეტას, როგორც სოფლად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებას და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის გადამწყვეტ ფაქტორს. სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, დაწესებულებებმა, ლაბორატორიებმა და საცდელმა სადგურებმა ხელი შეუწყვეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათმოქმედების კულტურის დონის ამაღლებას, ჩაის, ხეხილისა და ვაზის ახალი საუკეთესო ჯიშების გამოყვანას. შემუშავდა ნიადაგში სასუქების შეტანის უფრო ეფექტიანი წესები. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ისე წარმართვავდნენ, რომ უზრუნველეყოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადო ტექნიკური ბაზით, აღეჭურვათ ისინი უახლესი ტექნიკით, გადაეყვანათ საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება ინდუსტრიულ საფუძველზე, გაეფართოებინათ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ამის საშუალებით აემაღლებინათ შრომის ნაყოფიერება.

მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის შემდგომ ზრდასა და სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლის ელექტრიფიკაციამ. განუწყვეტლივ იზრდებოდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ელექტროენერგიის მოხმარება, რაც რამდენჯერმე აღემატებოდა სასოფლო ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიის რაოდენობას.

იზრდებოდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო მიზნით ელექტროენერგიის გამოყენება. 1972 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს მოხმარდა 108,8, ხოლო კოლმეურნეობებს, რომელთა 99,3 პროცენტი ელექტრიფიცირებული იყო, 112,6 მლნ კილოვატსაათი[5]. 1975 წელს სოფელმა მიიღო ელექტროენერგია 574,3 კილოვატსაათის რაოდენობით[6]. თუ წინათ სოფლის მეურნეობას ძირითადად სასოფლო ელექტროსადგურები ემსახურებოდნენ, მეცხრე ხუთწლედში ეს ამოცანა უმთავრესად მძლავრ სახელმწიფო რაიონულ სადგურებს დაეკისრათ. ამით აიხსნება 1970 – 1973 წლებში სასოფლო ელექტროსადგურების რაოდენობის შემცირება 25 ერთეულით. ხუთწლედის ბოლოსათვის სასოფლო ელექტროსადგურების რაოდენობამ კიდევ უფრო იკლო, რითაც დიდი ეკონომიკური ეფექტი მიიღო როგორც სახელმწიფომ, ისე სოფლის მეურნეობამ, რადგან წვრილი სასოფლო ელექტროსადგურების ექსპლოატაცია დიდ დანახარჯებს მოითხოვდა.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სოფლად მაღალი ძაბვის ელექტროდენის გადამცემი ხაზების ქსელი, რამაც ხელი შეუწყო მთიანი რაიონების სოფლის ელექტრიფიკაციას.

სახელმწიფოს ერთიან ენერგოსისტემასთან სოფლების მიერთებამ ხელი შეუწყო ელექტროენერგიის გამოყენების გადიდებას როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ისე სოფლის საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ენერგოაღჭურვილობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ენერგოაღჭურვა ერთ მუშაკზე 1970 წელს 3,8 ცხენის ძალიდან გაიზარდა 4,2 ცხენის ძალამდე 1975 წელს[7]. ელექტროენერგია სოფლის მეურნეობაში გამოიყენებოდა უმთავრესად მექანიკურ სამუშაოთა ელექტრიფიცირებისათვის. მექანიკური ამძრავები საბოლოოდ შეცვალეს ელექტროძრავებმა სარემონტო სახელოსნოებში, სამჭედლოებში, წყალსაქაჩავებზე, წისქვილებში, ხე-ტყის დამუშავებაში, მარცვლეულის შეწამვლასა და დახარისხებაში და სხვ.

ელექტროენერგია ფართოდ გამოიყენებოდა მეცხოველეობაში – სოფლის მეურნეობის წარმოების ამ ყველაზე შრომატევად და ჯერჯერობით ყველაზე ჩამორჩენილ დარგში. წყლის მიწოდება ფერმებში, მათი ვენტილაცია, მაცივრების მუშაობა, მეფრინველეობის ინკუბატორების მოქმედება, საკვების დამზადება, ცხვრის პარსვა, ფერმების გაწმენდა და სხვ. სრულდებოდა უმთავრესად ელექტროდანადგარებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა შრომის დანახარჯებს, შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულებას, ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას.

სოფლის ელექტრიფიკაციამ წარმოების ინსტენსიფიკაციასთან ერთად მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები მოახდინა სოფლის მეურნეობის მუშაკთა ცხოვრებაში. შემცირდა შრომატევადი და მძიმე სამუშაოები, სოფლის მშრომელთა შრომა დაუახლოვდა სამრეწველო მუშათა შრომის დონეს, ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ გამოიყენებოდა ელექტროენერგიით მომუშავე საყოფაცხოვრებო დანადგარები – ტელევიზორები, რადიო, მაცივრები და სხვ. ელექტრიფიკაციამ ხელი შეუწყო სოფლის მშრომელთა ინტელექტუალური დონის ამაღლებასაც. მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე აღინიშნა, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ელექტროენერგიით აღჭურვის დონე გარკვეული ზრდის მიუხედავად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. არადამაკმაყოფილებელი იყო უშუალოდ სასოფლო წარმოებაში ელექტროენერგიის მოხმარებაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა მეცხრე ხუთწლედისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით არსებითად შეიცვალა ამ დარგის ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურაც. 1970 წელს 98,4 პროცენტამდე გაიზარდა მექანიკური ძრავების ხვედრითი წონა, ხოლო მუშა პირუტყვის წილი სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურაში, პირიქით, მაქსიმალურად შემცირდა[8]. მაგალითად, საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთ მუშაკზე ენერგეტიკული სიმძლავრენი შეადგენდა 11,2 ცხენის ძალას[9], ხოლო საქართველოში 3,8-ს.

მეცხრე ხუთწლედში კიდევ დაბალი იყო საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამუშაოთა მექანიზაციის დონე. საქართველოს სოფლის მეურნეობა საშუალო საკავშირო მონაცემებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აგრეთვე ტრაქტორებისა და კომბაინების საშუალო გამომუშავების მხრივაც. ეს აიხსნებოდა იმითაც, რომ თანამედროვე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანები თავიანთი გაბარიტების მხრივ არ შეესაბამება საქართველოს მიწათმოქმედების სპეციფიკურ გეოგრაფიულ და ნიადაგობრივ პირობებს, ხოლო მექანიზაციის დაბალი დონე მეცხოველეობაში გამოწვეული იყო ძირითადად ამ დარგისადმი სუსტი ხელმძღვანელობით.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევრიდან დიდი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის ასამაღლებლად. პარტიის მოწოდების საფუძველზე სამრეწველო საწარმოთა მუშებმა შეფობის წესით ფართო საწარმოო-ტექნიკური დახმარება აღმოუჩინეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, არემონტებდნენ მათ მანქანა-იარაღებსა და ინვენტარს, ეხმარებოდნენ სარემონტო სახელოსნოების მოწყობაში, მანქანათა სათადარიგო ნაწილების დამზადებაში. ზოგიერთმა საწარმოო კოლექტივმა საშეფო სოფლებში გაიყვანა წყალსადენი, შეაკეთა გზები, დაეხმარა კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

მუშათა თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, რომლებმაც ფართოდ გაშალეს მუშაობა სოფლის მეურნეობისადმი დასახმარებლად. გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, გაძლიერდა მატერიალური და მორალური სტიმულების გამოყენება, გაფართოვდა მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაცია და წარმოებაში დანერგვა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლექტივებმა კვლევა-ძიება გააფართოვეს სოფლის მეურნეობის აქტუალურ პრობლემებზე, კერძოდ, ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის საკითხებზე. 1973 წელს წარმოებასთან მეცნიერთა თანამშრომლობით შეიქმნა 6 დასახელების ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა[10].

საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანამ. საქართველომ 1971 – 1975 წლებში მიიღო შემდეგი სახისა და რაოდენობის მანქანები: ტრაქტორი 15,1 ათასი, სატვირთო ავტომობილი 10,9 ათასი, მარცვლეულის ასაღები კომბაინი ერთი ათასი, სასილოსე კომბაინი 1,2 ათასი და სხვ[11]. ამის შედეგად ტრაქტორების პარკი 1971 წელს 18,9 ათასიდან გაიზარდა 20,7 ათასამდე 1975 წელს. მარცვლეულის ამღები კომბაინების პარკი იმავე პერიოდში შემცირდა 1,6 ათასიდან 1,4

ათასამდე, ხოლო სატვირთო ავტომობილების პარკი გადიდდა 16 450-დან 19 100 ერთეულამდე[12].

ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ ხელი შეუწყო მემცენარეობასა და მეცხოველეობაში ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებას.

ამ მიღწევების მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ "მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მიღწეული დონე სრულიადაც არ აკმაყოფილებს კოლმეურნეობრივ-საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს. ეს დონე განსაკუთრებით დაბალია შრომატევად დარგებში – მებოსტნეობასა და მეთამბაქოეობაში, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში"[13].

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხანგრძლივი ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო მისი ფონდაღჭურვის დაბალი დონითა და არსებული ფონდების არადამაკმაყოფილებლად გამოყენებით. ამ მხრივ რესპუბლიკა ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა საბჭოთა კავშირში. დაბალი იყო სოფლის მეურნეობაში დაბანდებული თითოეული მანეთის უკუგებაც[14].

საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად იყო დამოკიდებული სოფლის სპეციალისტებსა და საკოლმეურნეო კადრებზე, მათ შემოქმედებითს შრომაზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობა არ განიცდიდა სპეციალისტების მწვავე უკმარობას, არ ჩამორჩებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მექანიზატორთა კადრების რაოდენობის მხრივ. მარტო "საქსოფლტექნიკის" სისტემაში მუშაობდა 1600-მდე ინჟინერი და ტექნიკოს-მექანიკოსი, ე. ი. ყოველ 10 ტრაქტორზე მოდიოდა ერთი ინჟინერ-მექანიზატორი[15]. გარდა ამისა, მექანიზატორები დასაქმებულნი იყვნენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებში. სპეციალისტების რაოდენობა იზრდებოდა აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში. მეცხრე ხუთწლედში 33 პროცენტით გაიზარდა სოფლის მეურნეობის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობა, ხოლო საშუალო განათლებისა – 70 პროცენტით. სასოფლო წარმოებაში გადიდდა ახალი პროფესიებით მომუშავეთა რაოდენობა – მანქანური წველის, ოპერატორთა, დისპეტჩერების, ავტომატების გამმართველებისა და სხვ. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებამ და მისმა ახალმა პერსპექტივებმა ბუნებრივად წარმოქმნა სოფლის მუშაკთა ლტოლვა

მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური განათლების მიღებისადმი, რაც ხორციელდებოდა სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა კვალიფიციურ შრომაში ქალთა მონაწილეობა. კოლმეურნეთა შორის ქალთა ხვედრითი წონა გადიდდა 53,8 პროცენტამდე[16]. მაგრამ საქართველოს ესაჭიროებოდა მასობრივი კვალიფიკაციის კადრები, კერძოდ, მექანიზატორ-ტრაქტორისტები, კომბაინერები, ავტომობილების მძღოლები. სწორედ ამ კადრების ნაკლებობას განიცდიდა სოფლის მეურნეობა. მექანიზატორთა კადრების უკმარობა გამოწვეული იყო შრომის ანაზღაურებისა და საყოფაცხოვრებო პირობების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო კადრების დიდი დენადობით და სხვა მიზეზებით.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელი კადრების მომზადებას. მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლებში საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა 28 769 ხელმძღვანელი მუშაკი და სპეციალისტი, რომელთა 72,4 პროცენტი (20 639 კაცი) იყო უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლებით. კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების 80 პროცენტს, მთავარი აგრონომების 90,7 და მთავარ ზოოტექნიკოსთა 78,3 პროცენტს უმაღლესი განათლება ჰქონდა. მაგრამ სპეციალისტთა 8740 თანამდებობაზე პრაქტიკოსები მუშაობდნენ[17]. რიგითი კოლმეურნეებისაგან დაწინაურებული კადრები თავიანთი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებითა და კურსებზე მიღებული ცოდნით წარმატებით უძღვებოდნენ წარმოებას, რაზმავდნენ მასებს დავალებათა შესასრულებლად.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის განვითარებასა და მოსავლიანობის გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მიწათმოქმედების ქიმიზაციამ. ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო დიდძალი მინერალური სასუქები: 1971 წელს – 598, ხოლო 1975 წელს – 786 ათასი ტონა. სულ ხუთწლედში – 3511 ათასი ტონა[18]. მინერალური სასუქების გამოყენების ზრდამ მნიშვნელოვნად აამაღლა საჰექტარო მოსავლიანობა და სახელმწიფომ დამატებით დიდი რაოდენობით მიიღო სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ქიმიზაციის ეფექტი უფრო მეტი იქნებოდა, მინერალური სასუქები უფრო რაციონალურად და უდანაკარგოდ რომ ყოფილიყო გამოყენებული. სასუქების დაახლოებით 25 პროცენტი დაიკარგა უხეირო ტრანსპორტირების, შენახვისა და ნიადაგში შეტანისას. ამავე დროს ქიმიური სასუქების უკმარობის გამო ნათესი ფართობის მხოლოდ 66,7 პროცენტი განოყიერდა.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამაღლებისათვის საქართველოში დიდი სამუშაოები შესრულდა მელიორაციისა და ირიგაციის საქმეში. გრძელდებოდა ზემო ალაზნისა და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემების მშენებლობა. საირიგაციო მშენებლობა მიმდინარეობდა აგრეთვე

თელეთის, კავთისხევის, საგურამოსა და სხვა რაიონებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობას.

სამელიორაციო სამუშაოები ხშირ შემთხვევაში დაბალი ხარისხით სრულდებოდა, რის გამოც მელიორირებული მიწების ნაწილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის კვლავ უვარგისი ხდებოდა.

მეცხრე ხუთწლედში დიდი და რთული სამუშაოები შესრულდა კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად. კოლხეთის ამოშრობის პრობლემებზე განაგრძობდნენ მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები, აგრეთვე სხვა ორგანიზაციები.

ხუთწლედში ფართო ღონისძიებანი განხორციელდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად მათი ძირითადი ფონდების ღირებულება გაიზარდა 546 მილიონი მანეთით, კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავალი – 28 მილიონი, ხოლო საბჭოთა მეურნეობების მოგება – 22,8 მილიონი მანეთით. ასეთი მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ ისევ ჩამორჩებოდა, რადგან სოფლის მეურნეობაში რაციონალურად არ იყენებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. ამის გამო, თუმცა უკანასკნელ წლებში არარენტაბელურ და წამგებიან მეურნეობათა რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ბევრი მეურნეობა მცირერენტაბელური დარჩა. 1 960-ზე მეტი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ზარალიანი იყო. ამაზე გავლენა მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ დაბალი იყო სოფლის მეურნეობაში ფონდამოგება.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მასებში ეწეოდნენ აქტიურ მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას. სოფლის მშრომელთა კულტურულ-აგრონომიულ-ტექნიკური დონის ამაღლებამ და შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ზრდამ მკაფიო გამოხატულება პოვა სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაშლასა და ამის შედეგად საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

პარტიისა და სახელმწიფოს დახმარებით, ადგილობრივი ორგანიზაციების ღონისძიებათა და სოფლის მშრომელთა ენერგიული ბრძოლის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობამ 1974 წლიდან მტკიცედ დაიწყო ჩამორჩენილობიდან მოწინავე პოზიციებზე გადასვლა. ამ წელს შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 6,4 პროცენტით[19]. მნიშვნელოვნად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოება-დამზადება. სოფლის მეურნეობის შმრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს როგორც ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, ისე გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. სარეკორდო წარმატებას მიაღწიეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში. მათ დაძლიეს

გვიანი გაზაფხულით შექმნილი სიძნელეები და სახელმწიფოს ჩააბარეს 312 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ანუ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებასთან შედარებით 20 ათასი ტონით მეტი. საბჭოთა მეურნეობებმა საგრძნობი მოგებით დაამთავრეს 1974 წელი. მათი საერთო რაოდენობის 90 პროცენტი მუშაობდა დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ პირობებში. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმაც. მათ საჰექტარო მოსავლიანობა გაადიდეს 21,1 ცენტნერამდე და სექტემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა, მუშაობა დაიწყეს მეათე ხუთწლედის ანგარიშში და სახელმწიფოს დამატებით ათასობით ტონა მარცვლეული ჩააბარეს. აღსანიშნავია, რომ 1971 – 1973 წლებში მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება შეადგენდა 680 ათასს, 1974 წელს კი – 801,3 ათას ტონას. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის მევენახეებმაც. ხუთწლედის პირველ სამ წელს ყურძნის საშუალო წლიური დამზადება შეადგენდა 376,3 ათას ტონას, ხოლო 1974 წელს – 453,3 ათას ტონას. ამ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ხილის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილმა დარგმა – მეცხოველეობამაც კი 1974 წელს გარკვეულ წარმატებას მიაღწია. გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა, ძროხის წველადობა, ხორცის, ფრინველისა და კვერცხის წარმოება. მნიშვნელოვნად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში და წინა წლების დონეს გადააჭარბა. სახელმწიფოს მიეყიდა მეტი ხორცი, რძე, კვერცხი და გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმა. საზოგადოებრივ მეურნეობაში გაიზარდა პირუტყვის სულადობა.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს უფრო გაძლიერდა პარტიული, პოლიტიკურ-აღმზრედლობითი მუშაობა, მატერიალური და მორალური სტიმულირების გამოყენება, სოციალისტური შეჯიბრება. სოფლის მოწინავე მშრომელების თაოსნობთი გაჩაღდა ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომისუნარიანთა საზოგადოებრივ წარმოებაში მაქსიმალურად ჩასაბმელად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალების – გეგმის დამატებით 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების – შესრულებისათვის. ამ ამოცანათა განხორციელებაში დიდი მატერიალური დამხარება აღმოუჩინა რესპუბლიკის მუშათა კლასმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების შეკეთებაში, ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში. გაუმჯობესდა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შეფობა სოფელზე. მაგალითად, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ნოვატორებმა რაციონალიზატორულ მოძრაობაში ჩააბეს საშეფო კოლმეურნეობის მუშაკები, დახმარებას უწევდნენ

მათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში, ავტოქარხნელებმა საშეფო კოლმეურნეობებს დაუმზადეს ინსტრუმენტები, მანქანათა დეტალები, სათადარიგო ნაწილები, ცალკეული კვანძები. დახმარება აღმოუჩინეს საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებასა და მოსავლის აღებაში. სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას შეუკვეთეს ტრაქტორები, ააგეს ინვენტარის შესანახი დიდი ფარდული. საავტომობილო ქარხნის სამასზე მეტი მუშა დაეხმარა სამტრედიისა და თერჯოლის რაიონების კოლმეურნეობებს საგაზაფხულო სამუშაოებში. სოფლად საშეფო მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სხვა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებიც.

სკკპ XXV ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით საქართველოს მუშათა კლასის ინიციატივით რესპუბლიკაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ სოფლის მეურნეობის მშრომელებიც, რომლებმაც იკისრეს ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი და მათი წარმატებით შესრულება. ისინი მაღალი პატრიოტული შემართებით იბრძოდნენ ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. 1975 წელს საქართველოს მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 334 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული 295 და სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი 309 ათასი ტონის ნაცვლად. ამასთან პირველი ხარისხის ნედლეულის ხვედრითმა წონამ შეადგინა 69,7 პროცენტი. რესპუბლიკის მევენახეებს ერთობ მძიმე, ხანგრძლივი გვალვის პირობებში უხდებოდათ აღებული ვალდებულების შესრულება. ამაში მათ დიდი დახმარება აღმოუჩინეს პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამრეწველო მუშათა კოლექტივებმა.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად მიღწეულ იქნა ახალი მიჯნები ხუთწლედის შესრულებაში. მეცხრე ხუთწლედში გეგმის ზევით დამზადდა 220 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ საანგარიშო მოსხენებაში, შეაჯამა რა მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგები, აღნიშნა: ”საქართველომ უკანასკნელი 15 – 20 წლის მანძილზე პირველად მიაღწია ეკონომიკის ამ დარგში წარმოების ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირშია. ამით შევძელით დამაჯერებლად დაგვემტკიცებინა ყველასათვის, მათ შორის სკეპტიკოსებისათვისაც, რომ ძალა შეგვწევს მთლიანად დავძლიოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა”[20].

მეცხრე ხუთწლედში მკვეთრად გაფართოვდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობები, რითაც საქართველომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში[21].

საქართველოს თვალსაჩინო ადგილი უკავია აგრეთვე მრავალწლიან ნარგავთა პროდუქციის წარმოებაში. მისი ხვედრითი წონა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის წარმოებაში, კერძოდ, ხილისა და კენკრის (ყურძნის ჩათვლით) შეადგენდა 6,8 პროცენტს, მათ შორის ყურძნის საერთო მოსავლის 10,4, ხოლო წარმოებული ჩაის ფოთლის – 95 პროცენტს[22]. ციტრუსოვანთა ნაყოფი, ტუნგი, კეთილშობილი დაფნა კი თითქმის მხოლოდ საქართველოში იწარმოება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მეურნეობის ყველა კატეგორიიდან სახელმწიფოს მიჰყიდეს ხილი და კენკრა (ყურძნის ჩათვლით) 1971 წელს 478,0 ათასი ტონა, 1975 წელს 778,5 ათასი ტონა, სულ მეცხრე ხუთწლედში 2 797,0 ათასი ტონა, აქედან მარტო ყურძენი – 1 423,8 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი – 1478,4 ათასი ტონა[23].

მრავალწლიან ნარგავთა ფართობების გადიდებასთან ერთად იზრდებოდა მათი საჰექტარო მოსავლიანობაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მეჩაიეებმა. გაიზარდა აგრეთვე ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, მაგრამ უკანასკნელ წლებში საქართველოს მევენახეობამ რამდენჯერმე დიდი ზიანი განიცადა ყინვებისა და 1975 წელს უჩვეულო გვალვისაგან. მიუხედავად ამისა, საქართველოს მევენახეებმა პარტიის დახმარებით და თვით მშრომელთა თავდადებული ბრძოლის შედეგად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 408,7 ათასი ტონა ყურძენი. დიდ წარმატებას მიაღწიეს მეციტრუსეებმაც, რომლებმაც 1971 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს 32,5 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხოლო 1975 წელს – 141,2 ათასი ტონა, ე. ი. ოთხჯერ მეტი[24].

მრავალწლიანი ნარგავების ფართობები საქართველოში უმეტესწილად საზოგადოებრივი მეურნეობის სექტორში იყო კონცენტრირებული და ეს ხელს უწყობდა მათ გეგმიურ განვითარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას, პროდუქციის წარმოების გადიდებას. მაგრამ მრავალწლიანი ნარგავების მეურნეობაში თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ისეთ მოვლენას, რომელთა ნორმალიზაცია აუცილებელი იყო. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში მეცხრე ხუთწლედში დაძლეულია მხოლოდ მისი პირველი ორი წლის ჩამორჩენა, ხოლო სოფლის მეურნეობის საერთო მდგომარეობა ხუთწლედის ბოლოსაც არ იყო სახარბიელო. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლები გაცილებით ნაკლები იყო შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებზე.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სოციალური და ეკონომიკური პრობლემაა საზოგადოებრივი და პირადი დამხმარე მეურნეობის ინტერესთა სწორი შეხამების საკითხი. საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში მეცხრე ხუთწლედში 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 5,3 პროცენტით, მაგრამ პირადი დამხმარე მეურნეობის ხვედრითი წონა მაინც 44,5 პროცენტს შეადგენდა[25]. საზოგადოებრივი და პირადი დამხმარე მეურნეობის

ინტერესთა შეუხამებლობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობის დარგში.

მრავალწლიანი ნარგავების მეურნეობის შემდეგი აქტუალური პრობლემაა მოსავლიანობის ამაღლება, მაგალითად, ყურძნის მოსავლიანობის მიხედვით საქართველო მოკავშირე რესპუბლიკათა შორის აღმოჩნდა ბოლოდან მეორე ადგილზე, რაც აიხსნება იმით, რომ მევენახეობა და განსაკუთრებით მებაღეობა ჩვენში ვითარდებოდა ექსტენსიურად. საქართველოში ხილის საჰექტარო მოსავლიანობა 60 – 70 ცენტნერის რაოდენობით კარგ მოსავლად ითვლება. ამავე დროს ქვეყნის მოწინავე მეურნეობებში, სადაც დიდი ხანია ინტენსიურ მებაღეობაზე გადავიდნენ, ჰექტარზე იღებენ 300 – 400 ცენტნერ ხილს[26]. რესპუბლიკის ზვრებსა და ბაღებში ჯერ ისევ დიდი იყო მეჩხერიანობა, სათანადოდ არ ხორციელდებოდა უკვე ნაცადი აგროტექნიკური ღონისძიებანი. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აფერხებდა მრავალწლიანი კულტურების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. სკკპ XXV ყრილობის დირექტივების შესაბამისად ფართო ღონისძიებებია დასახული საქართველოს სოფლის მეურნეობის ამ კულტურათა ინტენსიური განვითარებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე ერთწლიან კულტურებს. ხუთწლედში მარცვლეული კულტურების საერთო ფართობი შემცირდა, მაგრამ ცალკეული კულტურებისა გაიზარდა. მაგალითად, საშემოდგომო ხორბლის ნათესების ფართობი 1970 წლის 126,3 ათასი ჰექტარიდან გადიდდა 149,0 ათას ჰექტარამდე 1975 წელს, ტექნიკური კულტურებისა შესაბამისად 39,5 ათასიდან 43,7 ათას ჰექტარამდე, ხოლო კარტოფილის და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა – 57,1-დან 65,8 ათას ჰექტარამდე, საკვები კულტურებისა იმავე პერიოდში – 251,5 ათასიდან გადიდდა 276,2 ათას ჰექტარამდე 1975 წელს, ანუ თითქმის 25 ათასი ჰექტარით[27].

ამრიგად, მიმდინარეობდა საქართველოს ნათესი ფართობის სტრუქტურის თვისებრივი ცვლილებანი. მარცვლეულის, უმთავრესად მეორეხარისხოვან კულტურათა, საერთო ფართობის შემცირების ხარჯზე იზრდებოდა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, მათ შორის საკვები კულტურების, ფართობები. ამის შედეგად სათანადოდ გადიდდა აღნიშნულ კულტურათა ხვედრითი წონა. საქართველოს ნათესი ფართობების 86,6 პროცენტი მოდიოდა საზოგადოებრივი სექტორის სარგებლობაში, ხოლო 13,4 პროცენტი კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების საკარმიდამო ნაკვეთების წილად[28].

ხუთწლედში მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავლიანობა 14,6 ცენტნერიდან გაიზარდა 18,4 ცენტნერამდე, შაქრის ჭარხლისა შესაბამისად – 345-დან 379 ცენტნერამდე, მზესუმზირასი – 8,0 ცენტნერიდან – 10,7 ცენტნერამდე, თამბაქოს – 11,5-დან 14,7 ცენტნერამდე, ბოსტნეულისა – 82-დან

98 ცენტნერამდე. მოსავლიანობის გადიდებასთან დაკავშირებით გაიზარდა საერთო მოსავალიც, გარდა შაქრის ჭარხლისა. მერვე ხუთწლედში მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი შეადგენდა 641,7 ათას ტონას, ხოლო მეცხრე ხუთწლედში – 711,5 ათას ტონას, მზესუმზირას მოსავალი – 15,5 ათასიდან გაიზარდა 18,2 ათას ტონამდე, თამბაქოსი – 15,2 ათასიდან 18,4 ათას ტონამდე, კარტოფილის – 227,3 ათასიდან 235,7 ათას ტონამდე და ბოსტნეულისა – 257,8 ათასიდან 368,6 ათას ტონამდე[29]. მაგრამ პარტიას არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდა მიღწეული დონე, რადგან მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მხრივ საქართველო იმყოფებოდა მეექვსე ადგილზე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, კარტოფილის მოსავლიანობით – მერვე, ხოლო ბოსტნეულისა – უკანასკნელ ადგილზე. როგორც სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად საქართველო სრულად ვერ იყენებდა არსებულ პირობებს მეცხოველეობის განვითარებისათვის. მეცხოველეობა უზრუნველყოფილი არ იყო საკვები ბაზით, მოუწყობელი იყო საძოვრები, ფერმები. დაბალი იყო შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონე. ყოველივე ამის შედეგად მერვე ხუთწლედში პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში შემცირდა.

საქართველოს მეცხოველეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა დაიწყო 1973 წლიდან. ეს ჩანს პირუტყვის აღწერის მონაცემებიდან (1 იანვრისათვის ათასი სულადობით)[30].

ცხრილი 1

	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976წ.
მსხვილი რქოსანი პირუტყვი ..... ღორი ..... ცხვარი და თხა	1.474,8 687,5 1.955,6	1.486,6 726,0 1.997,0	1.516,2 693,6 2.051,9	1.528,3 699,2 2.094,1	1.513,5 746,0 1.984,6	1.537,5 762,0 2.079,5

მეცხოველეობის ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ვიდრე პირად მეურნეობებში, რადგან აქ განმტკიცდა და გაიზარდა მეცხოველეობის ტექნიკური ბაზა, მომზადდა მექანიზატორთა კადრები და მნიშვნელოვნად გადიდდა მათი ხელფასი, ამან კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ფერმებში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის რამდენადმე ამაღლებას.

მეცხრე ხუთწლედში, განსაკუთრებით მეორე ნახევრიდან, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება: ხორცისა 111,9 ათასი ტონიდან 132,6 ათას ტონამდე, რძის 530,2 ათასი ტონიდან 575,1 ათას ტონამდე, კვერცხისა 421,5 მილიონი ცალიდან 551,8 მილიონ ცალამდე[31].

საგრძნობლად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით: ხორცის (დაკლული წონით) 35 ცენტნერიდან 48,3 ცენტნერამდე, რძის – 173-დან 188 ცენტნერამდე[32].

გაიზარდა აგრევთე ძროხის საშუალო წლიური წველადობა. ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1971 წელს იგი შეადგენდა 849 კილოგრამს, ხოლო 1975 წელს – 961 კილოგრამს. იმავე პერიოდში ეს მაჩვენებელი შეადგენდა კოლმეურნეობებში შესაბამისად – 1 174 და 1 442, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში – 1493 და 1554 კილოგრამს[33]. მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებით ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1970 წელთან შედარებით 1975 წელს გაიზარდა მოსახლეობის ერთ სულზე მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება[34].

მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. მერვე ხუთწლედში პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვა შეადგენდა 63,4 ათას ტონას, მეცხრე ხუთწლედში – 101,9 ათას ტონას, ხოლო ცალკეულ წლებში – უფრო მეტს. მაგალითად, 1975 წელს მან თითქმის 120 ათას ტონას მიაღწია[35]. ამის შედეგად გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმა.

ასეთი წარმატებების მიუხედავად, განსაკუთრებით დაბალ დონეზე იყო საქართველოში მეცხოველეობის პროდუქტიულობა. რესპუბლიკაში ძროხის საშუალო წველადობა ორჯერ და მეტად ნაკლები იყო, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში[36].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა მეცხოველეობის დარგში შექმნილი მდგომარეობა და XVIII პლენუმზე დასახა მეცნიერულად დასაბუთებული ფართო ღონისძიებები საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მისი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზით.

მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. მერვე ხუთწლედში საშუალოდ წლიურად წარმოებული იყო 1004,3 მილიონი მანეთის (1965 წლის შესადარ ფასებში) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, ხოლო მეცხრე ხუთწლედში წლიურად 1 187,8 მილიონი მანეთისა. სოფლის საზოგადოებრივ მეურნეობაში პროდუქციის წარმოება ფულად გამოსახულებაში ერთ მუშაკზე საშუალო წლიური გაანგარიშებით (მანეთებში) მერვე ხუთწლედში შეადგენდა 955-ს, მეცხრე ხუთწლედში კი 1 156 მანეთს[37].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ერთ მუშაკზე გაანგარიშებით სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ფულად გამოსახულებაში იზრდებოდა, ერთ მუშაკზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულება ჯერ კიდევ ორჯერ და მეტად ნაკლები იყო, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში[38].

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის გადიდებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებმა და საწარმოებმა[39]. ამის საილუსტრაციოდ მოკლედ გავეცნოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ძირითად მაჩვენებლებს.

საქართველოში მეცხრე ხუთწლედის დასაწყისისათვის არსებობდა 1 265 კოლმეურნეობა. მიმდინარეობდა მათი ნაწილის გამსხვილება წვრილი კოლმეურნეობების ბაზაზე, ხოლო ზოგიერთი კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობებად გარდაიქმნა. ამის შედეგად კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობა შემცირდა 388 ერთეულით და 1975 წლის ბოლოსათვის დარჩა სულ 877 კოლმეურნეობა მეთევზეობის ხუთი კოლმეურნეობის ჩათვლით, რომლებიც აერთიანებდნენ კოლმეურნეთა 327 ათას კომლს. კოლმეურნეობათა სამუშაოებში დასაქმებული კოლმეურნეების საშუალო წლიური რიცხვი განისაზღვრებოდა 345 ათასი კაცით.

სახელმწიფოს მრავლმხრივი დახმარების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად მეცხრე ხუთწლედში პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს კოლმეურნეობათა მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები. საკმარისია აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობათა (მეთევზეობის კოლმეურნეობების გარდა) განუყოფელი ფონდები ძირითად და საბრუნავ თანხებში 1970 წლის 845 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 1 142 მილიონ მანეთამდე 1975 წელს. მართალია, განუყოფელი ფონდების ზრდა ნაწილობრივ გამოიწვია იმან, რომ 1975 წელს კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ ბანკის კრედიტები 105 მილიონი მანეთის რაოდენობით, მაგრამ განუყოფელი ფონდების ზრდა ამ თანხის გარეშეც საგრძნობი იყო.

კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 303 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 380 მილიონ მანეთამდე. საერთო შემოსავლის ზრდამ შესაძლებელი გახადა ერთ გამომუშავებულ კაც-დღეზე ანაზღაურების გადიდება 3,83 მანეთიდან 4,95 მანეთამდე.

მეცხრე ხუთწლედში შეიცვალა კოლმეურნეობათა ტექნიკური ბაზა. კოლმეურნეობებში იკლო ტრაქტორების რაოდენობამ, ხოლო ძრავების ჯამური სიმძლავრე, პირიქით, 424 ათასი ცხენის ძალიდან გაიზარდა 490 ათასამდე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კოლმეურნეობების საშუალო ძირითადმა მაჩვენებლებმა. ერთი კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდები 671

ათასი მანეთიდან გაიზარდა 1 310 ათას მანეთამდე, ხოლო საერთო შემოსავალი 240 ათასი მანეთიდან 435 ათას მანეთამდე. ერთ კოლმეურნეობაზე კომლთა რაოდენობა გაიზარდა 315-დან 345 კომლამდე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – 1 562 ჰექტარიდან 2 005 ჰექტარამდე, ხოლო სახნავი ფართობები 332 ჰექტარიდან 406 ჰექტარამდე; საზოგადოებრივი მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა 343-დან 445-მდე, მათ შორის ძროხების რაოდენობა – 94 სულიდან 117-მდე და ა. შ.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა მეურნეობებმა, რომელთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა 1975 წელს დამთავრდა. 1970 – 1975 წლებში საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა 231-დან გაიზარდა 311-მდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ყველა სფეროში დასაქმებულ მუშაკთა საერთო რიცხვი 1 719 ათას კაცამდე. აქედან სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 252 ათასი კაცი, მათ შორის 204 ათასი მუშა. საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობები 194 ათასი ჰექტარიდან გაიზარდა 270 ათას ჰექტარამდე, აქედან მარცვლეული კულტურებისა – 79 ათასი ჰექტარიდან 104 ათას ჰექტარამდე, ტექნიკური კულტურების – 5 ათასი ჰექტარიდან 9 ათას ჰექტარამდე, და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა – 93 ათასი ჰექტარიდან 130 ათას ჰექტარამდე.

საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო ორგანოების ღონისძიებათა შედეგად საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე პირუტყვის სულადობა. ამ ზრდის დინამიკის მონაცემები მოყვანილია მე-2 ცხრილში (ათასობით):

ცხრილი 2

	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
მსხვილი რქოსანი	174	182	188	192	205	245
.....	52	54	56	55	58	69
მათ შორის ძროხა	69	81	77	82	91	99
ღორი	357	364	349	351	357	440
ცხვარი და თხა	355	363	347	350	355	439
.....						
მათ შორის ცხვარი						

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საბჭოთა მეურნეობებში ყველა სახის პირუტყვის სულადობა მეცხრე ხუთწლედში საკმაო ინტენსივობით გაიზარდა და წინა ხუთწლედის დონეს საგრძნობლად გადააჭარბა.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური ბაზა. ტრაქტორების რაოდენობა 6 490 ცალიდან გაიზარდა 7 861 ერთეულამდე, ძრავების ჯამური სიმძლავრე 302 ათასი ცხენის ძალიდან 450 ათასი ცხენის ძალამდე, მარცვლის ასაღები კომბაინების რაოდენობა შესაბამისად 549 ცალიდან 605-მდე. სატვირთო ავტომობილების პარკი გადიდდა 1 263 ავტომობილით.

ამრიგად, საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა მეცხრე ხუთწლედში უფრო განმტკიცდა.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება გაიზარდა უმთავრესად შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე. 1975 წელს 1970 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 15 პროცენტით, მთლიანი პროდუქცია კი 13 პროცენტით. მათ შორის მიწათმოქმედებაში 11 პროცენტით, მეცხოველეობაში 17 პროცენტით. გაიზარდა სოფლის მეურნეობის მოგებაც 31 მილიონი მანეთიდან 62 მილიონ მანეთამდე, აქედან საბჭოთა მეურნეობების ხაზით 29 მილიონიდან 54 მილიონ მანეთამდე[40].

საქართველოს კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მეცხრე ხუთწლედში აფხაზეთში კოლმეურნეობათა რაოდენობა შემცირდა 127 კოლმეურნეობიდან 103-მდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობების რიცხვი გაიზარდა 26-დან 38-მდე. 1975 წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 34,2 ათასი კომლი, ე. ი. 5,2 ათასი კომლით ნაკლები 1970 წელთან შედარებით. აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მაღალშემოსავლიანი კულტურების, განსაკუთრებით სუბტროპიკული მემცენარეობის განვითარების დარგში. რომდენადმე გადიდდა ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების ფართობები. გაიზარდა მსხვილი რქოსანი და სხვა პირუტყვის სულადობა.

გადიდდა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება: თამბაქოსი – 7,3 ათას ტონამდე, ნაცვლად 6,5 ათასი ტონისა 1970 წელს, ხილის წარმოება – 22,4 ათასი ტონიდან 23,9 ათას ტონამდე 1974 წელს. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა: ხილკენკროვანისა – 11,4 ათასი ტონიდან 16,8 ათას ტონამდე, ციტრუსების – 9,1 ათასი ტონიდან 28,2 ათას ტონამდე, პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვა 5 ათასი ტონიდან 9,2 ათას ტონამდე, კვერცხისა 29,8 მილიონი ცალიდან 45,3 მილიონ ცალამდე[41]. აფხაზეთის მეჩაიეებმა 1975 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 63,0 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს აჭარის სოფლის მშრომელებმაც. აჭარაში საბჭოთა მეურნეობების საერთო რაოდენობა (18) უცვლელი დარჩა, მაგრამ კოლმეურნეობათა რიცხვი შემცირდა 165-დან 92-მდე. ასეთი მკვეთრი რაოდენობრივი ცვლილება აიხსნება წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებით.

არსებული 90 კოლმეურნეობა აერთიანებდა 34,3 ათას კომლს ნაცვლად 33,7 ათასი კომლისა 1970 წელს.

აჭარის სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო ფართობი ხუთწლედის მანძილზე თითქმის უცვლელი დარჩა, მრავალწლიანი ნარგავების ფართობები კი გაიზარდა. ხილის ბაღების ფართობი 6 ათასიდან გადიდდა 6,9 ათას ჰექტარამდე, ციტრუსოვანთა – 6,8 ათასიდან 7,2 ათას ჰექტარამდე, ათასი ჰექტარით გაიზარდა ვენახების ზვრებისა და ჩაის პლანტაციების ფართობები.

მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა 110,6 ათასიდან გადიდდა 119,3 ათასამდე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტის წარმოება, გარდა ხილისა, რომლისაც პირიქით, 15,3 ათასი ტონიდან შემცირდა 11,8 ათას ტონამდე. ციტრუსების წარმოება ხუთწლედის პირველ სამ წელს 1970 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ შემცირდა, მაგრამ შემდგომ წლებში დაიწყო მისი მკვეთრი ზრდა. 1974 წელს წარმოებული იყო 79,2 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხოლო 1975 წელს – 96,5 ათასი ტონა, ანუ 3,5 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1970 წელს. ყურძნის წარმოება 1972 წლის 1,7 ათასი ტონიდან ავიდა 4,2 ათას ტონამდე 1975 წელს. რძის წარმოება ხუთწლედში გადიდდა 31,9 ათასი ტონიდან 37,3 ათას ტონამდე, კვერცხის წარმოება – 22 მილიონი ცალიდან 37,3 მილიონ ცალამდე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესაბამისად აჭარაში 1971 – 1975 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა, კერძოდ: ხილ-კენკროვანისა 6,7 ათასი ტონიდან 14,1 ათას ტონამდე, ციტრუსოვანთა ნაყოფისა – 59,6 ათასიდან 91,6 ათას ტონამდე, ყურძნის – 1,1 ათასიდან 1,8 ათას ტონამდე, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა – 39,2 ათასიდან 48,2 ათს ტონამდე[42].

მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში. შეიქმნა 2 ახალი საბჭოთა მეურნეობა, ხოლო კოლმეურნეობათა რაოდენობა 33-დან 20-მდე შემცირდა, მათში გაერთიანებულ კომლთა რაოდენობა კი 7,1 ათასიდან 4,5 ათასამდე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობები შემცირდა 2,1 ათასი ჰექტარით. მაგრამ გაიზარდა მრავალწლიანი ხეხილის ბაღების ფართობი. მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 63,2 ათასიდან 68,7 ათასამდე. საგრძნობლად გაუმჯობესდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მაგრამ რამდენადმე შემცირდა წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ხილისა და ყურძნის წარმოება.

სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მეცხრე ხუთწლედში ქვეყანას მისცეს 59,8 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 55,4 ათასი

ტონა ხილი, 2,4 ათასი ტონა ყურძენი, 19,0 ათასი ტონა პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონით), 36,6 ათასი ტონა რძე და 2,6 მილიონი ცალი კვერცხი[43].

ამრიგად, მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა განაპირობეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში შეუძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ერთდროულად დაწინაურება და განვითარება.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ახლო წარსულში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო მისი გაძღოლის ერთობ მოძველებული და პრიმიტიული მეთოდები. მაგალითად, საბჭოთა კავშირში უკვე 15 – 20 წლის წინათ დაიწყო სოფლის მეურნეობაში ახალი, პროგრესული მეთოდების დანერგვა, სამეურნეობათაშორისო, სარაიონთაშორისო და აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა შექმნა. პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის პერსპექტიული ღონისძიება ქმნიდა სოფლის მეურნეობის წარმოების ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის ხელშემწყობ პირობებს. მოკავშირე რესპუბლიკებმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. საქართველოში კი მხოლოდ უკანასკნელ წლებში შეიქმნა და აშენდა პირუტყვის სასუქებელი რამდენიმე გაერთიანება, მეფრინველეობის ფაბრიკა და მერძევეობის კომპლექსი[44].

საქართველოში ჩამორჩებოდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა უმრავლესობა, როგორც წესი, მრავალდარგოვანია. ზოგიერთი მათგანი ოცზე მეტ სხვადასხვა კულტურას ამუშავებდა. კოლმეურნეობები ძველებურად "უნივერსალიზმის" გზით განაგრძობდნენ მუშაობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, აფერხებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, საკავშირო წარმოებაში მისი ხვედრითი წონის ზრდას და საბოლოო ანგარიშში მოსახლეობის უზრუნველყოფას სურსათით, ხოლო მრეწველობისას – საჭირო ნედლეულით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ დასახა კონკრეტული ამოცანები და გზები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების მიმართულებით სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე[45].

---

[1] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 178.

[2] იქვე, გვ. 180.

[3] იქვე, გვ. 178, 180.
[4] **ნ. ჭითანავა,** სოფლის მეურნეობა, თბ., 1976, გვ. 4.
[5] "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა", გვ. 528.
[6] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 47.
[7] იქვე.
[8] "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა...", გვ. 523.
[9] იქვე, გვ. 524.
[10] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», стат. ежегодник, стр. 48.
[11] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 122.
[12] იქვე, გვ. 120 – 121.
[13] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 52.
[14] იქვე, გვ. 45 – 46, 53.
[15] იქვე, გვ. 59.
[16] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 59.
[17] **ნ. ჭითანავა,** სოფლის მეურნეობა, გვ. 45.
[18] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 124.
[19] გაზ. "კომუნისტი", 1975 წლის 31 იანვარი.
[20] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას", გვ. 449.
[21] «Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году», Стат. ежегодник, стр. 53.
[22] "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა...", გვ. 384.
[23] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 110 – 111.
[24] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 111.
[25] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, გვ. 62.
[26] იქვე, გვ. 48.
[27] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 86 – 89.
[28] "საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა...", გვ. 389.
[29] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 86 – 89.

[30] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 96.
[31] **იქვე,** გვ. 101.
[32] **იქვე,** გვ. 104.
[33] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 104.
[34] **იქვე,** გვ. 105.
[35] **იქვე,** გვ. 109.
[36] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას...", გვ. 46.
[37] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 117.
[38] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას...", გვ. 46.
[39] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 128 – 136.
[40] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 137 – 139.
[41] იქვე, გვ. 137 – 139.
[42] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 140 – 142.
[43] "Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 143 – 145.
[44] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას...", გვ. 47.

[45] "საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას...", გვ. 47 - 49.

§ 5. საქართველოს მშრომელთა მიღწევები საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

საქართველოს მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

როგორც ცნობილია, სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. ამიტომ სკკპ XXIV ყრილობამ აუცილებლად მიიჩნია შეჯიბრების შემდგომი თვისებრივი განვითარება.

სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი იყო მისი ორგანიზაციის სრულყოფა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1971 წლის დადგენილებით „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ" განსაზღვრა კონკრეტული გზები შეჯიბრების მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად. პარტიის ამ დადგენილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, სადაც სახალხო მეურნეობის სერიოზული ჩამორჩენის ტენდენციამ ადრევე იჩინა თავი, ხოლო მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე კიდევ უფრო გაღრმავდა. ამ დროისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარი ყურადღება ექცეოდა წარმოების რაოდენობრივ მაჩვენებელს, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდა პარტიის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, 1972 წლის შემოდგომიდან სერიოზული ყურადღება დაუთმო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ თვისებრივ გნვითარებას, მისი ორგანიზაციის სრულყოფას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ნოემბრის ერთობლივმა დადგენილებამ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების შესახებ, რომელმაც ხელი შეუწყო პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასების შრომითი აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდას.

სოციალისტური შეჯიბრების თვისებრივი განვითარებისა და ორგანიზაციის სრულყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმს. მან შეაჯამა ხუთწლედის განვლილი პერიოდის შედეგები და ახალი ამოცანები დასახა, რომელთა შესრულებაში პლენუმმა განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა სოციალისტურ შეჯიბრებას.

დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად 1973 წლის 24 იანვარს თბილისში შედგა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება. იგი ჩატარდა საერთო დევიზით „გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება ჩვენს ხელშია“. კრებამ მიიღო გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ვალდებულებანი ითვალსიწინებდნენ წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ამ მიზნით 1973 წელს 44 ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზის ამოქმედებას, 350 მაღალმწარმოებლური აგრეგატის, მანქანისა და დანადგარის დანერგვას და სხვ[1].

საქართველოს მშრომელები ქმედითად გამოეხმაურნენ აქტივის კრების გადაწყვეტილებებს. ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, ვაჭრობისა და კოოპერაციის, საბჭოთა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მშრომელები განიხილავდნენ კრების მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, ავლენდნენ რეზერვებს და გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობდნენ გადამწყვეტი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

1973 წლის იანვარში თბილისში შედგა საქართველოს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მოწინავე ბრიგადირების შეკრება. ამ შეკრებაში მონაწილეობდა მოსკოვიდან საქართველოში სტუმრად ჩამოსული მშენებელთა ცნობილი ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ნ. ზლობინი, რომელიც 1972 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან „თბილმშენის“ N14 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის მეთაურს ვ. გალდავას გამოწვევით ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში[2]. შეკრებაზე აღინიშნა ამიერკავკასიის „მეტალურგმშენისა“ და „თბილმშენის“ N14 ტრესტების მიღწევები და ამასთან ერთად მშენებლობაში ზლობინის მეთოდის – სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვის აუცილებლობა. ამ მოწინავე გამოცდილებას გამოუჩნდნენ სხვა მიმდევრებიც. 1973 წელს საქართველოში ზლობინის მეთოდით მშენებელთა უკვე 66 კომპლექსური ბრიგადა მუშაობდა[3].

საქართველოს მშრომელები, უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასი, აქტიურად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებს შორის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ 1973 წლის სახალხო მეურნეობის გეგმების ვადამდე შესასრულებლად. საკავშირო შეჯიბრება გაიშალა ლოზუნგით „მივცეთ მეტი პროდუქცია, უკეთესი ხარისხისა და ნაკლები დანახარჯებით!“

იმავე წლის თებერვალში შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ხუთწლედის ამოცანების შესაბამისად ფართო ღონისძიებანი დასახა პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. პლენუმმა დაავალა ადგილობრივ პარტიულ

ორგანიზაციებს მკვეთრად გარდაექმნათ პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, გაეუმჯობესებინათ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და შინაარსი.

სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლება და ამ მოძრაობაში მასების ფართოდ ჩაბმა იყო ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუდმივი ზრუნვის საგანი, რომლის პრაქტიკულად გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობდა ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების წარმატებით შესრულებას, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის ივლისის პლენუმმა წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხებთან ერთად სერიოზული ადგილი დაუთმო საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების გაძლიერებისა და მისი ორგანიზაციის საკითხებს.

1973 წლის დამდეგს შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით. კომისიაში მონაწილეობენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლები, საწარმოთა მოწინავენი და ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. ანალოგიური კომისიები შეიქმნა აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში, სამინისტროებსა და უწყებებთან, სამრეწველო და სასოფლო საწარმოებში, სადაც კომისიებს მეთაურობენ პარტიული ორგანიზაციების მდივნები. კომისიები სისტემატურად იხილავენ შეჯიბრების მსვლელობას, დახმარებას უწევენ საწარმოებს არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრაში.

1973 წლის მაისში საქართველოს პროფსაბჭოსთან შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების მეთოდური საბჭო პროფკავშირების, სამეურნეო ხელმძღვანელების, სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენელთა შემადგენლობით. საქართველოს პროფსაბჭოსთან შეიქმნა მეთოდური კაბინეტი. მეთოდური საბჭოები შეიქმნა აგრეთვე დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებთან. მეთოდურმა საბჭოებმა და კაბინეტმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს ადგილობრივ ორგანიზაციებს სოციალისტური შეჯიბრების უკეთ მოწყობაში, ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში, ახალი ამოცანების შესაბამისად სოციალისტურ ვალდებულებათა და პირადი გეგმების შედგენაში, შეჯიბრების შედეგების საჯარისობის ფორმების დანერგვაში. ამ ღონისძიებათა შედეგად უფრო გაფართოვდა პროფესიული ორგანიზაციების კავშირი წარმოებასთან.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებამ და მისი ორგანიზაციის სრულყოფამ 1973 წლიდან უზრუნველყო საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივები, ქალაქები და რაიონები, ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, სამინისტროები და უწყებები. საქართველოს მშრომელები ეჯიბრებოდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების შმრომელებს, ხოლო რესპუბლიკის ცალკეული კოლექტივები რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, დაღესტნისა და სხვა რესპუბლიკების მონათესავე დარგის კოლექტივებს. გაღრმავდა რუსთავისა და დნეპროძერჟინსკის ქარხნების, აგრეთვე მახარაძის რაიონისა და უკრაინის გენიჩესკის კოლმეურნეობათა შორის ტრადიციული შეჯიბრება.

რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, რაც გამოვლინდა მასების უდიდეს შემოქმედბით აქტივობაში, მათ დაუოკებელ მისწრაფებაში დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. მასების აქტივობის ზრდისა და პარტიის ღონსიძიებებისადმი მხარდაჭერის თვალსაჩინო ფაქტი იყო თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო და ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნების კოლექტივების მოწოდება რესპუბლიკის მშრომელებისადმი, რათა ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი აღმავლობისა და რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. თაოსნობას, რომელიც მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები ფართოდ გამოეხმაურნენ ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებებით.

სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმის დანერგვაში აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობა, რომელიც ენერგიულად იბრძოდა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის და ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და რესპუბლიკის ეკონომიკის საერთო აღმავლობისათვის, ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

იზრდებოდა სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეთა რაოდენობა. 1973 წლის ივლისისათვის ინდივიდუალურ და ბრიგადულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 1 102 613 მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე, ანუ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 72 პროცენტზე მეტი, ხოლო სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 80 პროცენტი[4]. აქედან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში ინდივიდუალური ვალდებულებებით მონაწილეობდა 544 576

კაცი, მათ შორის კომუნისტური შრომის დამკვრელი იყო 207 578, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში მონაწილეობდა 26 127 ბრიგადა, მათ შორის 12 212 ბრიგადას მინიჭებული ჰქონდა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება. 8 779 ერთეულამდე გაიზარდა იმ საამქროთა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობდნენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში. აქედან 3 213 საამქროს მინიჭებული ჰქონდა კომუნისტური შრომის საამქროს წოდება. 1 537 დაწესებულება და ორგანიზაცია მონაწილეობდა სოციალისტური შეჯიბრების ამ უმაღლეს ფორმაში. აქედან 142 იყო კომუნისტური შრომის დაწესებულება და ორგანიზაცია[5].

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მრეწველობის მთავარი დარგების მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის აბსოლუტური უმეტესობა. მაგალითად, შეჯიბრებაში ჩაბმულთა ხვედრითი წონა მეტალურგიულ მრეწველობაში შეადგენდა 95,6 პროცენტს, ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობაში – 94,6 და მანქანათმშენებლობაში – 82,6 პროცენტს. ასეთივე დიდი იყო შეჯიბრებაში მონაწილეთა ხვედრითი წონა ქვანახშირის, ელექტროტექნიკურ, საფეიქრო და მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მრეწველობის დარგებში. შესაბამისად მაღალი იყო შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში მონაწილეთა ხვედრითი წონაც. სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ მონაწილეობდნენ მშენებლობისა და სამშენებლო მასალათა მრეწველობის, აგრეთვე ყველა სახეობის ტრანსპორტის მშრომელები.

პარტიის მოწოდებასა და მუშათა კლასის ინიციატივით დაწყებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს კომლეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მშრომელები. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 242 177 მუშა სპეციალისტიდან და მოსამსახურიდან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 229,2 ათასი კაცი, ანუ 94 პროცენტზე მეტი. აქედან ინდივიდუალური ვალდებულებებით შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში მოაწილეობდა 67 782 კაცი, მათ შორის კომუნისტური შრომის დამკვრელი იყო 23 550. მოძრაობაში მონაწილე 2 294 ბრიგადიდან კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებას ატარებდა 976 ბრიგადა, ხოლო 372 საამქროდან (უბანი, განყოფილება) 150 ერთეული. 99 დაწესებულება-ორგანიზაციიდან, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ მოძრაობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება მინიჭებული ჰქონდა 19-ს[6].

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობის გაფრათოებამ, ბრძოლამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის მოითხოვა კადრების მომზადება, მათი განათლებისა და ცოდნის ამაღლება. ამ მიზნით გაფართოვდა კომუნისტური შრომის სკოლების ქსელი და გაიზარდა მსმენელთა

რაოდენობა. 1973/74 სასწავლო წელს საქართველოში მუშაობდა 2 272 კომუნისტური შრომის სკოლა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 51 590 მსმენელი, მათ შორის 30 431 კომუნისტური შრომის დამკვრელი და ამ სახელწოდებისათვის მებრძოლი. მსმენელთა საერთო რაოდენობის თითქმის 40 პროცენტს შეადგენდნენ ახალგაზრდები.

1973 წლიდან გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. შეჯიბრებამ გამოიწვია მშრომელთა ფართო თაოსნობა და შრომითი აქტივობის ზრდა, ხუთწლედის გადამწყვეტი წელი აღინიშნა მშრომელთა მზარდი შრომითი ენთუზიაზმით, შემხვედრი გეგმებისათვის თავდადებული ბრძოლით. მაგალითად, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას 1973 წელს უნდა აეთვისებინა ახალი საპროექტო სიმძლავრე, მაგრამ კადრების დიდი უკმარობის გამო ფერხდებოდა ამ დავალების შესრულება. მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა თაოსნობით გამონახულ იქნა შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვი. აპრილის ნახევარში ქარხნის კოლექტივმა დაიწყო მუშაობა ახალი დევიზით: ”დღეს – მოწინავეთა მიჯნა, ხვალ – თითოეულის მიჯნა”. შრომითი კოლექტივის ეს თაოსნობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. ქარხნის კოლექტივმა დიდ წარმატებას მიაღწია. ძირითად პროფესიათა მოწინავე მუშების რაოდენობა 75 კაციდან გაიზარდა 330-მდე. აქედან 98 მუშამ წარმატებით შეასრულა წლიური დავალება და დაიწყო 1974 წლის, ხოლო 24 მუშამ – 1975 წლის ანგარიშში მუშაობა. მუშათა ნაწილმა გადამწყვეტ წელს შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და ხუთას ტონაზე მეტი პროდუქცია გამოიმუშავა მეათე ხუთწლედის ანგარიშში.

რუსთავის ქიმიკოსთა წამოწყებას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშებმა დამატებითი სოციალისტური ვალდებულებები აიღეს და რუსთაველთა დევიზით დაიწყეს მუშაობა. მათ შეამცირეს დეფიციტური მასალებისა და რეაგენტების, აგრეთვე სათბობის, სითბური და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები და საწარმოს დაუზოგეს 70 ათასი მანეთი. სოციალისტური შეჯიბრების შედეგად წლის დამლევისათვის ქარხანაში აღარ იყო არც ერთი ჩამორჩენილი მუშა.

დიდმნიშვნელოვანი ახალი წამოწყების ინიციატორად გამოვიდა თბილისის აბრუშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწე ვასილ გეგეშიძე, რომელმაც თავის ბრიგადაში გააუმჯობესა შრომის ორგანიზაცია, დანადგარების მოვლა, მტკიცედ და ზუსტად იცავდა მუშაობის რეჟიმს, დისციპლინას, დაზგების გაწყობის გრაფიკს, რის შედეგადაც მნიშვნელოვანდ გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ბრიგადა დღეში 1 400 მეტრი ქსოვილის ნაცვლად უშვებდა 1 500 მეტრს. ამ წამოწყებას ბევრმა მიბაძა. გაერთიანებამ წლის დამლევამდე დამატებით გამოუშვა 260 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელმა რესპუბლიკურმა კომისიამ მოიწონა ვ. გეგეშიძის წამოწყება და ყველა საწარმოს ურჩია მისი გამოყენება.

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშებმა 1973 წლის 17 სექტემბრიდან წლის ბოლომდე დარჩენილი 73 დღე დამკვრელურად გამოაცხადეს დევიზით ”მესამე, ხუთწლედის გადამწყვეტ წელს – 73 დამკვრელური შრომითი დღე”. მათ გეგმის ზევით გამოუშვეს 150 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 2 პროცენტით. წარმოების რენტაბელობის გადიდებით მიიღეს 40 ათასი მანეთის ზეგეგმიური მოგება.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო მასების ტექნიკური შემოქმედების განვითარებას, რაშიც გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა. რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროს უფროსმა, რაციონალიზატორმა დ. მგელაძემ წამოაყენა წინადადება გაშლილიყო შეჯიბრება დევიზით ”თითოეული ინჟინერი და ტექნიკოსი – რაციონალიზატორი”. პირადად დ. მგელაძემ ივალდებულა მეცხრე ხუთწლედის ბოლომდე დაენერგა 52 რაციონალიზატორული წინადადება და დაეზოგა 110 ათასი მანეთი. მან მოწოდებით მიმართა ქარხნის ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რათა თიოეულ მათგანს შეედგინა პირადი შემოქმედებითი გეგმა და აეღო შეფობა მუშებზე ტექნიკურ შემოქმედებაში მათი ჩაბმის მიზნით. თვითონ კი იკისრა ხუთწლედის ბოლომდე ქარხნის 15 ახალგაზრდა მუშის ჩაბმა რაციონალიზატორულ მუშაობაში. ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ როგორც ინჟინერ-ტექნიკოსები, ისე მუშები. თბილისის საავიაციო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორმა ს. გაბრიჩიძემ პირად შემოქმედებით გეგმაში შეიტანა დეტალების მექანიკური დამუშავების შემცირება სხმულებითა და ტვიფრით შეცვლის გზით, მთელი რიგი დეტალების კონსტრუქციის შეცვლა, მათი შრომატევადობის შემცირება და სხვ. იმავე ქარხნის მუშა ხარატმა გ. სუხინმა პირად შემოქმედებით გეგმაში გაითვალისწინა როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდება, ისე პროდუქციის ხარისხის წარმოების კულტურის ამაღლება და სხვ.

1973 წელს საქართველოში იყო რაციონალიზატორთა 601 კომპლექსური ბრიგადა. ამ წელს 24,5 ათასმა გამომგონებელმა და რაიცონალიზატორმა წამოაყენა 29,6 ათასი წინადადება. აქედან სახალხო მეურნეობაში დაინერგა 22,7 ათასი წინადადება, რომელთა წლიურმა ეკონომიამ შეადგინა 39,3 მილიონი მანეთი. წინადადებათა მეტი ნაწილი დაინერგა სამრეწველო საწარმოებში და დიდ ეკონომიკურ ეფექტთან ერთად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი სოციალური შედეგები შრომის გაადვილების, მუშახელის გამოთავისუფლებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის თვალსაზრისით.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად გამომგონებლობასა და რაციონალიზატორთა მოძრაობას ხელი შეუწყეს დარგობრივმა სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ, რომელიც 1973 წლის დეკემბრისათვის აერთიანებდა 943 პირველად ორგანიზაციას 73 039 წევრით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული გამომგონებლები და რაციონალიზატორები შემოქმედებითად იბრძოდნენ წარმოების რაციონალიზაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად და ხელს უწყობდნენ მისი ეფექტიანობის ამაღლებას, მიღებული ეკონომიით ქმნიდნენ რაციონალიზატურულ ფონდს.

მნიშვნელოვნად განვითარდა სოციალისტური შეჯიბრება, მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მშენებლობასა და ტრანსპორტზე. კასპის ცემენტის ქარხნის მუშებმა სამშენებლო მასალათა საწარმოების კოლექტივებს მოუწოდეს 1973 წელი გადაექციათ არა მარტო გადამწყვეტ, არამედ აგრეთვე გარდატეხის წელიწადად. სამშენებლო მასალათა მრეწველობის მუშაკებმა ამასთან დაკავშირებით გადასინჯეს ადრე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და მნიშვნელოვნად გაადიდეს. ამით შექმნეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების პირობები. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში მონაწილეობდა 29,3 ათასი მუშა, 1 806 ბრიგადა და 209 საამქრო. 232 მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებში გაერთიანებული იყო 7 ათასი კაცი, მათ შორის 5 700 მუშა. მეურნეობრიობის მეთოდების პრაქტიკულად შესწავლისათვის არსებობდა კომუნისტური შრომის 154 სკოლა 4 ათასი მსმენელით. საქართველოს ყველა სახეობის ტრანსპორტის 134 772 მუშაკიდან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 108 678 კაცი, ანუ 80 პროცენტზე მეტი.

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა. იგი ვერ შეასრულა მშენებლობის სამინისტრომ, "საქსოფლელექტრომშენმა" და ჰიდრომექანიზაციის ამიერკავკასიის სამშენებლო სამმართველომ. მიუხედავად ამისა, 1973 წელს აშენდა და მწყობრში ჩადგა 23 მსხვილი სამრეწველო საწარმო.

გაფართოვდა მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. 1973 წელს შეიქმნა 79 ახალი ტიპის მანქანა, მოწყობილობა, აპარატი და ხელსაწყო, მათ შორის 34 გამომთვლელი ტექნიკის საშუალება და ექვსი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ამაღლდა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში მასობრივად დაინერგა მძიმე საყელავი, საკვეთ-საბურღი და სხვა მანქანები, ხვეტია დანადგარები და კონვეირები.

სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 1973 წელს შეადგინა 5,9 პროცენტი. გაიზარდა ლითონსაჭრელი ჩარხების, სატვირთო ავტომობილების, სამაგისტრალო ელმავლებისა და სამრეწველო პროდუქციის სხვა ძირითად სახეობათა წარმოება.

სამრეწველო წარმოების მთლიანი პროდუქციის ნამატის 83 პროცენტი მიღებულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. სოციალისტური

ვალდებულების წარმატებით შესრულების შედეგად რესპუბლიკამ 21 დეკემბრისათვის შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა. წლიური გეგმის გადამეტებით რეალიზებული იყო 149,7 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან შეიქმნა სამეცნიერო საბჭო აკად. ა. ფრანგიშვილის თავმჯდომარეობით. საბჭო იხილავდა სოციალისტური შეჯიბრების კომპლექსურ პრობლემებს და ამუშავებდა რეკომენდაციებს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში და ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცებაში მიღწეული წარმატებებისათვის 1973 წლის ოქტომბერში საბჭოთა საქართველოს გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი. ამ მაღალმა ჯილდომ უფრო აღაფრთოვანა რესპუბლიკის მშრომელები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1973 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და საქართველოს სსრ დააჯილდოეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოსა და სრულიად ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. წითელი დროშით დაჯილდოვდნენ აფხაზეთის ასსრ, საავტომობილო გზების სამინისტროს გორის N28 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ამიერკავკასიის რკინიგზა, საწარმოო გაერთიანება "ბორჯომი", ქ. გორის N3 სამშენებლო ტრესტი, მშენებლობის სამინისტროს ქ. თბილისის N13 სამშენებლო ტრესტი, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმო N2, თბილისის წისქვილკომბინატი N1 და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წყალტუბოს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით დაჯილდოვდა აჭარის ასსრ, აბაშის, გორის, მახარაძის, ხობის, წითელწყაროს რაიონები, აბაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფ.

ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა, ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, კასპის რაიონის სოფ. ქვემოჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის ი.ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის 3 715 მოწინავე დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, მათ შორის ლენინის ორდენით – 107 კაცი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით – 132, შრომის წითელი დროშის ორდენით – 907, ”საპატიო ნიშნის” ორდენით – 1152 კაცი.

განსაკუთრებული წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ გუგული ქადეიშვილს (მეჩაიე, მახარაძის რაიონი სოფ. შრომა), ნადია ჯინჭარაძეს (მეჩაიე, ქობულეთის რაიონი), ალექსანდრა ვოუბას (მეჩაიე, ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა), ელენე გორგაძეს (მეთამბაქოე, ლაგოდეხის რაიონის სოფ. ცოდნისკარი), არსენ გოლიჯაშვილს (ბრიგადირი, გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობა), სევასტი ქოქოზაშვილს (მუშა, ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობა) და ივანე ფიროსმანაშვილს (წითელწყაროს რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე).

1973 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქების, რაიონების, სამინისტროებისა და უწყებათა დიდი რაოდენობა დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის წითელი დროშით დაჯილდოვდა 13 სასოფლო რაიონი და 32 კოლმეურნეობა, საჭოთა მეურნეობა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო.

1973 წელს მოპოვებულმა მიღწევებმა ნიადაგი მოუმზადეს ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა უფრო მეტი წარმატებით შესრულებას. რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ”პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი” და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებამ ”შრომის დიდების” ორდენისა და ”შრომის ვეტერანის” მედლის დაწესების შესახებ დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია საქართველოს მშრომელებში. 1974 წლიდან უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, გაიზარდა შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ინდივიდუალური და

ბრიგადული წესით მონაწილეობდა 1 500 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე, ინჟინერი და ტექნიკოსი, ანუ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვის 91,5 პროცენტი. კომუნისტური შრომის დამკვრელი იყო 200 ათასზე მეტი[7].

პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რათა უზრუნველეყოთ შეჯიბრებაში თითოეული მშრომელის აქტიური მონაწილეობა. ახალი ძალით გაშლილი შეჯიბრების ლოზუნგებად დასაწყისიდანვე დაისახა „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“, „ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის“.

ხუთწლედის განმსზღვრელ წელს ინერგებოდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები. გაძლიერდა ბრძოლა შემხვედრი გეგმების შესასრულებლად. შეჯიბრებამ ხელი შეუწყო წარმოების ინტენსიფიკაციას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მართვის სისტემის გაუმჯობესების, მშრომელთა განათლებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების, ტექნიკის დარგში მასების შემოქმედებითი მოღვაწეობის გაფართოების საფუძველზე. მნიშვნელოვნად გაძლიერდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი საქმიანობა. 1974 წელს წამოყენებულ იქნა 29,5 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. აქედან სახალხო მეურნეობაში დაინერგა 23,3 ათასი წინადადება, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა 41,7 მილიონი მანეთი[8]. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების 948 პირველადი ორგანიზაცია აერთიანებდა 74,8 ათას წევრს, მათ შორის 36,2 ათას მუშას.

წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლის პროცესში კიდევ უფრო გაღრმავდა წარმოებასთან მეცნიერების კავშირი, რამაც ხელი შეუწყო ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გაფთართოებას, მუშათა შრომის შემსუბუქებას. გაიზარდა სამრეწველო საწარმოებში მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზების, კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული უბნების, საამქროების, წარმოებათა, აგრეთვე კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმოების რაოდენობა. 1974 წელს შეიქმნა 40-მდე დასახელების ახალი ტიპის მანქანა, საწარმოებში დაიდგა 60-ზე მეტი მექანიზებულ-ნაკადური ხაზი და 10 ავტომატიზებული ხაზი. შეიქმნა წარმოების აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული 10 სისტემა. 98 ნაწარმს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულების შედეგად შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1974 წელს დაგეგმილი 5,9 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 8,7 პროცენტით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში – 6,4 და მშენებლობაში – 7 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის მატების 84,6 პროცენტი მიღწეულ იქნა შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

საქართველოს მუშათა კლასმა სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობით განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია სამრეწველო წარმოების განვითარებაში. 1974 წელს სამრეწველო წარმოების მატებამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 11,4 პროცენტი. აქედან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში ეს მაჩვენებელი დაგეგმილი 9 პროცენტის ნაცვლად 11,1 პროცენტამდე ავიდა.

გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა. ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაციამ 135,8 მილიონი მანეთი შეადგინა. 1973 წელთან შედარებით 1974 წელს საგრძნობლად გაიზარდა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის წარმოება, კერძოდ, ელექტროენერგეტიკის – 5 პროცენტით, სათბობი მრეწველობის – 4, შავი მეტალურგიის – 5, ფერადი მეტალურგიის – 7, ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობის – 11, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების – 12, მსუბუქი მრეწველობის – 12 და კვების მრეწველობისა – 13 პროცენტით. 1974 წელს ელექტროენერგიის გამომუშავებამ შეადგინა 11 116 მილიონი კილოვატსაათი, ქვანახშირის ამოღებამ – 2 152 ათასი ტონა, მანგანუმის მადნისამ – 1819 ათასი ტონა; გამოშვებულ იქნა 4 062 ლითონსაჭრელი ჩარხი, 105 სამაგისტრალო ელმავალი. გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადის, შავი ლითონის ნაგლინის, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, ცემენტის, სატვირთო ავტომობილების, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, მუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა[9].

1974 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობამ მტკიცედ დაიწყო ჩამორჩენიდან მოწინავე პოზიციებზე გადასვლა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 6,2 პროცენტით გაიზარდა და 73 მილიონ მანეთს გადააჭარბა, რაც თითქმის 13 მილიონი მანეთით აღემატებოდა 1971 – 1973 წლების საშუალო წლიურ წარმოებას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სამრეწველო ნედლეულის წარმოება-დამზადების ტემპის ზრდაში. დაჩქარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი.

სარეკორდო იყო საქართველოს მეჩაიეთა შრომის შედეგები. მათ წარმატებით დაძლიეს გვიანი გაზაფხულით შექმნილი სიძნელენი და სახელმწიფოს ჩააბარეს 312 ათასი ტონა. ანუ გათვალისწვინებულზე 20 ათასი ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მხვნელმთესველებმა, რომლებმაც საჰექტარო მოსავლიანობა გაადიდეს 21,1 ცენტნერამდე, სექტემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა მეცხრე ხუთწლედის

განმსაზღვრელ წელს ყურძნის, ხილის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადება.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეცხოველეობამაც. იმატა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობამ, გადიდდა ხორცის, ფრინველისა და კვერცხის წარმოება. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში და გადააჭარბა წინა წლების წარმოების დონეს. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუტების შესყიდვის წლიური გეგმა. სოფლის მეურნეობაში მიღწეულ წარმატებათა შედეგად კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი 1974 წელს 349 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, ანუ 7 პროცენტით მეტად წინა წელთან შედარებით და 10 პროცენტით მეტად, ვიდრე საშუალოდ 1971 – 1973 წლებში.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წერილობით მიულოცა წარმატებანი საქართველოს მოწინავე მუშებს: ტყვარჩელის N2 შახტის მუშას სოციალისტური შრომის გმირს ლ. ტყებუჩავას, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშა ქალს ე. გალუსტოვას და ფოთის საზღვაო პორტის უფროს მემანქანეს გ. გუგუშვილს. ამ წერილებმა უფრო წაახალისეს საქართველოს მშრომელები ახალი შრომითი მიღწევებისათვის ბრძოლაში. შეჯიბრებაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის რესპუბლიკის თითქმის 60 ათასი მშრომელი დაჯილდოვდა „1974 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ნიშნით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების საფუძველზე 1975 წლიდან რესპუბლიკაში უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და მასების შრომითი აქტივობა. 1975 წელს შეჯიბრების მთავარ შინაარსს შეადგენდა მეცხრე ხუთწლედის ვადამდე გადაჭარბებით შესრულება, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდება მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, წარმოებისა და მართვის სრულყოფის, სამუშაო დროის უფრო რაციონალურად გამოყენების საფუძველზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის მიმართვაში „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი“ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „ჩვენი დროის მტკიცე მოთხოვნაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მისი მიღწევების, შრომის ორგანიზაციის, წარმოებისა და მართვის მოწინავე მეთოდების დანერგვა“[10]. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ გაითვალისწინა მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის სერიოზული ჩამორჩენა და ხუთწლედის მთლიანად შესრულებისათვის გადაწყვიტა გეგმის დამატებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო და 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. საქართველოს მუშათა კლასმა,

კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს პარტიის დავალება, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ მოწოდებას და აქტიურად ჩაებნენ მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში. მუშათა კლასი, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა, სათავეში ჩაუდგა მასების ბრძოლას და თვით იძლეოდა თავდადებული შრომის მისაბაძ მაგალითს. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში სოციალისტურ შეჯიბრებაში მოანწილეობდა მუშათა 96,2 პროცენტი, კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მოიპოვა 836 მუშამ[11].

სკკპ XXV ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ახალ მძლავრ ტალღად გაიშალა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. პარტიის ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ. ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა, პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გადასინჯეს ადრე აღებული შრომითი ვალდებულებანი და უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. შეჯიბრებაში ჩაებნენ წარმოების ნოვატორები, გამომგონებლები, რაციონალიზატორები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დაწესებულებები.

შეჯიბრება ითვალისწინებდა ხუთწლედის ვადამდე გადაჭარბებით შესრულებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ დანერგვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მასალების დაზოგვას.

პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ყრილობისათვის მზადებაში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა ფართო პროპაგანდა გასწია საზოგადოება „ცოდნამ“. გააქტიურდა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქმიანობა. ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ საწარმოებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს. საწარმოებთან ერთად პრაქტიკულად იმუშავებდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გაფართოების ღონისძიებებს. მეცნიერება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა წარმოებას და საწარმოთა კადრებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა აქტუალური ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში ერთობლივი შემოქმედებითი შრომით მოპოვებულ იქნა დიდი მიღწევები როგორც პროდუქციის წარმოების გაფართოების, ისე საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლებაში, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას. 1975 წელს შეიქმნა 56 ახალი ტიპის მანქანის, მოწყობილობის, აპარატურის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნიმუში, ათვისებულ იქნა 80 დასახელების სამრეწველო პროდუქციის წარმოება, წარმოებიდან მოიხსნა

13 მოძველებული კონსტრუქციის მანქანა და დანადგარი. სამრეწველო საწარმოებში მოდერნიზებულ იქნა 826 საწარმოო მოწყობილობა. იმავე წელს 123 ნაწარმს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა. დანერგილ წინადადებათა ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ეფექტი. 1975 წელს 31,3 ათასი რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 24,2 ათასი, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა წელიწადში 47,6 მილიონი მანეთი. დაიდგა 440 მექანიზებული ნაკადური ხაზი, 117 ავტომატური ხაზი, მოეწყო 638 კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული უბანი, საამქრო და წარმოება. ამ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მეცხრე ხუთწლედში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე შესრულდა ეროვნული შემოსავლის მატების დაახლოებით 99 პროცენტი.

საქართველოს მუშათა კლასმა 1975 წელს სოციალისტური შეჯიბრების შედეგად უდიდეს წარმატებას მიაღწია, გაანაღდა ნაკისრი ვალდებულებანი და უზრუნველყო ხუთწლედის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებიც ერთ-ერთი პირველები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, 1 დეკემბრისათვის შეასრულეს მეცხრე ხუთწლედი ყველა ძირითადი მაჩვენებლით და წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვეს 325 ათასი ტონა სასაქონლო მადანი. ვადამდე შეასრულეს ხუთწლედი აგრეთვე თბილისის საავიაციო და ქუთაისის საავტომობილო, თბილისის ელმავალსაშენებელმა, კასპის ცემენტისა და ავჭალის შუშის, ცხინვალის ემალის ქარხნებმა, საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მთელმა რიგმა მსხვილმა საწარმოებმა, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებამ და გაერთიანება „ბორჯომმა“. მშენებლებმა დაამთავრეს მესტიაში სატელევიზიო რეტრანსლატორის აგება.

სოციალისტური შეჯიბრების პროცესში გაფართოვდა მუშათა პატრიოტული თაოსნობა, ახალი წამოწყებები. ბათუმის მანქანათმშენებლებმა პარტიის ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ივალდებულეს საწარმო ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე პროდუქციის წარმოების მაქსიმალურად გადიდება, ფონდუკუგებისა და შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლება და მართლაც, მასალათა მომჭირნეობით ხარჯვის გზით მიიღეს 884,3 ათასი მანეთის ეკონომია. რუსთავის მეტალურგებმა 21 დეკემბრიდან გამოაცხადეს დამკვრელური შრომის ექვსი დეკადა. თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადა (ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე) გამოვიდა ინიციატივით ყველა უბანზე მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. ბრიგადას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. თბილისის I-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა თაოსნობით დაიწყო მოძრაობა დევიზით „ჩვენი ოსტატობა – ხარისხის სამსახურში“.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის დავალება ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. ხუთწლედის გეგმის დამატებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 220 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. საქართველოს მეჩაიეებმა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 334 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 295 ათასისა. თავი ისახელეს მეციტრუსეებმაც, რომლებმაც ხუთწლედი 1974 წელს შეასრულეს და მომდევნო წელს სახელმწიფოს დამატებით ჩააბარეს 170 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. მნიშვნელოვნად გაადიდეს მოსავლიანობა მხვნელ-მთესველებმა. გაიზარდა კარტოფილის მოსავალი, საკვების დამზადება. აბაშის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 6 ათასი, ანუ გეგმის დამატებით 2 300 ტონით მეტი ეთერზეთოვანი ნედლეული. წარმატებებს მიაღწია მეცხოველეობამ, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება. სოფლის მექანიზატორები შეუდგნენ მემინდვრეობის კომპლექსურ მექანიზაციას. ნაცვლად ნაკისრი 309 ათასი ტონისა მევენახეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 407 ათასი ტონა ყურძენი.

ხუთწლედისათვის ენერგიულად იბრძოდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რათა მოეპოვებინათ პარტიის ყრილობისათვის წარსადგენ პატაკზე ხელმოწერის უფლება.

მასების მაღალი შრომითი ენთუზიაზმის შედეგად 1975 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. წინა წელთან შედარებით ეროვნულმა შემოსავალმა იმატა 7,9 პროცენტით. მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 10,7 პროცენტით. სამი პროცენტით გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 8,9 პროცენტით. ამის შედეგად მიღებულ იქნა წარმოების მოცულობის მატების 81,1 პროცენტი.

მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის 1 400-ზე მეტი მშრომელი დაჯილდოვდა „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ ნიშნით[12].

ამრიგად, 1973 – 1975 წლებში ფართოდ გაშლილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შედეგად საქართველოს მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმატებით დაძლიეს ხუთწლედის პირველი ორი წლის სერიოზული ჩამორჩენა და უზრუნველყვეს ხუთწლედის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მოპოვებულმა ეკონომიკურმა მიღწევებმა ხელი შეუწყეს საზოგადოების სოციალურ განვითარებას. შეჯიბრების პერიოდში ნაკისრ ვალდებულებებში სულ უფრო ფართოდ აისახა შრომითი კოლექტივების სოციალურ გარდაქმნათა ელემენტები. სისტემატურად იზრდებოდა

მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ მუშათა მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრებამ და სოფლისადმი საშეფო დახმარებამ შემდგომ განამტკიცა მუშათა კლასის კავშირი კოლმეურნე გლეხობასთან.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა სოციალისტური შეჯიბრების აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდა იმით, რომ გაიშალა მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, ამაღლდა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა და განმტკიცდა შრომის დისციპლინა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო მასების ზოგადი განათლების, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, ხოლო ამის საფუძველზე თვით სოციალისტური შეჯიბრების თვისებრივ განვითარებას.

მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აღზრდის ერთიანობამ, რასაც საქართველოს კომპარტია 1973 წლიდან მტკიცედ ახორციელებდა გამოიწვია მასების აქტივობის ზრდა, მათი ინიციატივით შეჯიბრების ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრება, რამაც უზრუნველყო ხუთწლედით გათვალისწინებული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა.

ამ მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, მეცხრე ხუთწლედში მოპოვებული წარმატებანი ჯერ კიდევ საკმარისი არ იყო რესპუბლიკის ჩამორჩენის საბოლოო დაძლევისათვის[13]. ამ ამოცანების შესრულებაში დიდი როლი ეკისრებოდა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას.

---

[1] **“М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа,** Рабочий класс Грузии в строительстве материально-технической базы социализма и коммунизма в СССР, Тб., 1975, стр. 54.

[2] Газ. «Заря Востока», 5 октября 1972 года.

[3] **“М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа,** დასახ. შრომა, გვ. 54.

[4] «Социалистическое соревнование трудящихся Грузии в 1973 году, цифры и факты», Тб., 1974, стр. 33; **ს. ჩხარტიშვილი,** სოციალისტური შეჯიბრების ისტორია საქართველოს მრეწველობაში, თბ., 1974, გვ. 243, 267, 268.

[5] «Социалистическое соревнование трудящихся Грузии в 1973 году», стр. 33.

[6] «Социалистическое соревнование трудящихся Грузии в 1973 году», стр. 35.

[7] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[8] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 45.

[9] გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 31 იანვარი.

[10] გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 4 იანვარი.

[11] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 41.

[12] **ვ. ვადაჭკორია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[13] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას...“, გვ. 17.

§6. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება

სკკპ XXIV ყრილობამ მეცხრე ხუთწლედის მთავარ ამოცანად დასახა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების პროპორციული განვითარების და ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების საფუძველზე. ამ ამოცანის შესრულებისაკენ იყო მიმართული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ღონისძიება.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ ყრილობის დირექტივების შესაბამისად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხუთწლედის უკანასკნელი სამი წელი, როდესაც პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, გაიზარდა მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა.

საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის ცნობილ დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებას საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებების გადაწყვეტილებებს.

მეცხრე ხუთწლედში გაიზარდა საქართველოს მოსახლეობა და მისი დასაქმება საზოგადოებრივ წარმოებაში. 1970 წლის იანვრის აღწერის მონაცემებით რესპუბლიკაში ცხოვრობდა 4 686 ათასი კაცი, ხოლო 1976 წლის იანვრისათვის – 4 954 ათასი[1], ე. ი. 268 ათასი კაცით მეტი. ამავე პერიოდში მოსახლეობა გაიზარდა აგრეთვე საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, კერძოდ, აფხაზეთში – 487 ათასი კაციდან 500 ათასამდე, აჭარაში – 310 ათასიდან 343 ათასამდე და სამხრეთ ოსეთში – 99 ათასიდან 103 ათასამდე[2].

მოსახლეობის რაოდენობის ზრდა განაპირობეს იმ ფართო ღონისძიებებმა, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების კვალობაზე გაიზარდა საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი. 1970 წელს დასაქმებული იყო 1 490 ათასი, ხოლო 1975 წელს – 1719 ათასი მუშა-მოსამსახურე[3] (15,3 პროცენტით მეტი), რაც რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 34,7 პროცენტს შეადგენდა.

მრეწველობის განვითარებას მოჰყვა ქალაქის მოსახლეობის ზრდა 1970 წლის 2 240 ათასი კაციდან 2 507 ათასამდე 1975 წელს, ანუ ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა 48 პროცენტიდან გადიდდა 51 პროცენტამდე, ხოლო სოფლის მოსახლეობისა 52-დან შემცირდა 49 პროცენტამდე”[4].

მოსახლეობის დასაქმების მთავარ სფეროებს წარმოადგენდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და ტრანსპორტი. 1970 წელს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 27 პროცენტი მოდიოდა მრეწველობასა და მშენებლობაზე, ხოლო 1975 წელს – 26 პროცენტი. იმავე პერიოდში სოფლისა და ტყის მეურნეობაზე მოდიოდა შესაბამისად 38 და 35 პროცენტი, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგებში 7-დან გაიზარდა 8 პროცენტამდე.

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა გაიზარდა აგრეთვე ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, დამზადების დარგებში. მნიშვნელოვნად გადიდდა დასაქმებულთა რიცხვი განათლების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში[5]. დასაქმებულთა 73,1 პროცენტი მოდიოდა მატერიალური წარმოების დარგებზე, ხოლო 26,9 პროცენტი – არამატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებზე (3,1 პროცენტით მეტი 1970 წელთან შედარებით)[6].

1975 წელს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი შეადგენდა 405 ათას კაცს, აქედან მუშა იყო 330 ათასი. მნიშვნელოვნად გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა აგრეთვე სოფლის მეურნეობაში 207 ათასიდან 267 ათას კაცამდე; აქედან საბჭოთა მეურნეობებში და სხვა დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში – 189 ათასიდან 252 ათას კაცამდე, მათ შორის მუშების რაოდენობა 204 ათასამდე[7]. ყველა სახეობის ტრანსპორტზე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 136 ათასიდან გაიზარდა 156 ათასამდე.

მატერიალური წარმოების გაფართოების შესაბამისად სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგები, იზრდებოდა ამ სფეროებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაც.

მეცხრე ხუთწლედში საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც მკაფიო გამოხატულება პოვა სახალხო მეურნეობაში მათი შრომის გამოყენების გაფართოებით. მაგალითად, ქალები შეადგენდნენ მსუბუქი მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 70 პროცენტს, ადგილობრივ მრეწველობაში – 50, ხოლო კოლმეურნეთა შორის – 53,8 პროცენტს. მასწავლებლებისა და ექიმების უმეტესობა ქალი იყო[8]. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე იყო 186,8 ათასი ქალი, ანუ 51,3 პროცენტი.

ხუთწლედში ქალთა შრომა ფართოდ გამოიყენებოდა არამატერიალური წარმოების სფეროებშიც, მათ შორის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების დარგებში. ამრიგად, შრომისუნარიან ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმული იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

მოსახლეობის ზრდა და საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობის გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ქალთა შრომის გამოყენების გაფართოება, კადრების კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება და ამის შედეგად შრომის ნაყოფიერების გადიდება ხელს უწყობდა ხუთწლედის მეორე ნახევარში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ზრდას.

მეცხრე ხუთწლედში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი გადიდდა 32,8 პროცენტით[9]. ეროვნული შემოსავალი ამ პერიოდში 4 099,2 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 5 368,4 მილიონ მანეთამდე[10]. ეროვნული შემოსავლის ზრდის წლიური ტემპი 1971 და 1972 წლებში შეადგენდა 1,8 პროცენტს, ხოლო 1973 – 1975 წლებში 8,3 პროცენტს, მაგალითად, მეცხრე ხუთწლედში საშუალო წლიური ტემპი უდრიდა 5,4 პროცენტს[11]. ეროვნული შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპი 1973 – 1975 წლებში განაპირობა მასების შრომითი აქტივობის ამაღლებამ.

ეროვნული შემოსავლის სტრუქტურაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მრეწველობამ, რომლის ხვედრითი წონა აღემატებოდა 40 პროცენტს და მნიშვნელოვნად სჭარბობდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ დონეს. ეროვნული შემოსავლის განუხრელმა ზრდამ შექმნა პირობები ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის გადასაჭრელად. ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი გამოყენებული იყო მოხმარებაზე. საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 80 პროცენტი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას მოხმარდა. დაგროვების ფონდიც, რომელიც წარმოების გაფართოებასა და მოსახლეობის მზარდ დასაქმებას ხმარდება, არსებითად ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება.

საქართველოს ეკონომიკური მიღწევების საფუძველზე მეცხრე ხუთწლედში განხორციელდა მშრომელთა ხელფასის მნიშვნელოვანი გადიდება და სხვადასხვა კატეგორიის მუშათა ხელფასში არსებული მკვეთრი სხვაობის შემცირება. ხელფასის ხვედრითი წონა მშრომელთა ფულად შემოსავალში სამ მეოთხედს შეადგენდა და მათი კეთილდღეობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ და წარმოებაში მისი მიღწევების დანერგვამ მნიშვნელოვნად შეცვალა შრომის შინაარსი. ტექნიკური პროგრესის შედეგად შრომის დაბალი ანაზღაურების მქონე მუშებმაც შეიძინეს კვალიფიციური შრომის ელემენტები. წარმოების

თანამედროვე ტექნიკური დონის პირობებში თვით ეგრეთ წოდებული „დამხმარე“ მუშაც აღარ არის უბრალო დამხმარე მუშა როგორც უწინ. რადგან მას საქმე აქვს ახალ ტექნიკასთან, რომელსაც იგი მუშაობის პროცესში ეცნობა და ითვისებს. ასეთ ვითარებაში ხელფასის მომატებას მეტი მასტიმულირებელი მნიშვნელობა მიენიჭა. მინიმალური განაკვეთებისა და ხელფასის გადიდებამ ხელი შეუწყო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

მეცხრე ხუთწლედში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდის შესაბამისად ყოველწლიურად მატულობდა მათი ხელფასის ფონდი. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 11,7 პროცენტით, კოლმეურნეთა შემოსავალი – 24 პროცენტით. საგრძნობლად გადიდდა რკინიგზის მუშების, სოფლის მეურნეობის მექანიზატორების, მედიცინის, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მუშაკთა მინიმალური ხელფასი[12]. ხელფასი მოემატათ ექიმებს 23 პროცენტზე მეტი, მასწავლებლებს – თითქმის 21 და აღმზრდელებს დაახლოებით – 29 პროცენტი. ამის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა 19 ათასზე მეტი ექიმისა და 84 ათასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლის მატერიალური უზრუნველყოფა და კეთილდღეობა[13]. გაუქმდა 70 მანეთამდე ხელფასიდან გადასახადები და შემცირდა 70 მანეთის ზევით ხელფასიდან გადასახადის ოდენობა.

მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 17 პროცენტით[14]. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი გადიდდა განაკვეთებისა და სარგოების მომატებით, აგრეთვე წარმოებაში წახალისების ფონდიდან პრემიებისა და სხვა გასამრჯელოს გაცემის ხარჯზე. ამ ფონდში 1970 წელს ჩაირიცხა 61 მილიონი მანეთი, ხოლო 1975 წელს – 85 მილიონი მანეთი[15].

ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში დიდი როლი შეასრულეს მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდებმა, მატერიალური დოვლათის იმ ნაწილმა, რომელსაც უფასოდ ან შეღავათიან პირობებში იღებდა მოსახლეობა. ამ ფონდების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებაზე, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ღონისძიებებზე.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების დანიშნულების გაფართოებასთან დაკავშირებით სისტემატურად მატულობდა მათი საერთო მოცულობა. მაგალითად, 1970 წელს იგი შეადგენდა 1 017 მილიონ მანეთს, ხოლო ხუთწლედის უკანასკნელ წელს – უკვე 1 353 მილიონ მანეთს.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გამოყენებით ხუთწლედში გადაწყდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემები, კერძოდ, იმ პირთა უზრუნველყოფა, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ან აღარ შეეძლოთ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობა. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან წარმოებდა ბავშვების, მოხუცებულებისა და

ინვალიდების უზრუნველყოფა. სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევდა იმ ოჯახებს, რომელთა საშუალო შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით არ აღემატებოდა 50 მანეთს თვეში. დახმარებას იღებდნენ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარება თუ შეღავათები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მეცხრე ხუთწლედში გადიდდა 33 პროცენტით[16]. შრომის ნაყოფიერებასა და მის ანაზღაურებას შორის დამყარებულმა სწორმა შესაბამისობამ, რომლის დროსაც შრომის ნაყოფიერების ზრდა წინ უსწრებს ხელფასის ზრდას, განაპირობა რეალური შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება. 1970 წელს ერთი მუშაკის რეალური შემოსავალი თვეში შეადგენდა 145,7 მანეთს, ხოლო 1975 წელს – 166,7 მანეთს, ანუ 21 მანეთით მეტს[17]. მეცხრე ხუთწლედში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემლებისა და შეღავათების სახით რესპუბლიკის მოსახლეობამ სულ მიიღო 6196,8 მილიონი მანეთი. ერთ სულზე გაანგარიშებით მისაცემლებისა და შეღავათების თანხა 1971 წლის 230,9 მანეთიდან გაიზარდა 287,1 მანეთამდე 1975 წელს[18].

დაბალხელფასიანი და მცირე შემოსავლის მქონე ჯგუფების მშრომელთა ხელფასის გადიდებით თანდათანობით ხორციელდებოდა შრომის ანაზღაურების დონეთა დაახლოება. საგრძნობლად დაუახლოვდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დონეს, ხოლო ეს უკანასკნელი – მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასს. კოლმეურნეები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი, ხელფასის გარდა, ფულადი შემოსავლის ნაწილს პირადი დამხმარე მეურნეობებიდან იღებდნენ. კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის ზრდაზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა კოლმეურნეობების წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებამ და შრომის გარანტირებულმა ანაზღაურებამ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანდათანობით ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანამ ხელი შეუწყო შრომითი რესურსების გამოყენების გადიდებას, კოლმეურნეთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ხუთწლედის მეორე ნახევრიდან დიდი ყურადღება დაეთმო საბინაო მშენებლობას. ხუთწლედში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 8 855 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. აქედან მარტო სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ააშენეს 4 892 ათასი კვადრატული მეტრი[19]. საქართველოს 736 ათასმა მშრომელმა მიიღო ახალი, კეთილმოწყობილი ბინა[20]. ამასთან ერთად გაფართოვდა ბინების გაზიფიცირება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. 1970 წელს გაზიფიცირებული იყო 593,4 ათასი, 1975 წელს კი – უკვე 939,6 ათასი ბინა[21]. ხუთწლედში სულ გაზიფიცირებული იყო ბინების 60 პროცენტზე მეტი[22]. მნიშვნელოვნად გაიზარდა საცალო საქონელბრუნვა, გაფართოვდა

პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფა. 1971 – 1972 წლებში ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონელბრუნვის ზრდის ტემპი საგრძნობლად შენელდა. ამის მიზეზი იყო საცალო საქონელბრუნვის ორგანიზაციის მოუგვარებლობა. სასურსათო და არასასურსათო საქონელი ერთ მოსახლეზე შეადგენდა სსრ კავშირში 713 მანეთს. საქართველოში კი 557 მანეთს[23]. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობას და იგი იძულებული იყო უმთავრესად არაორგანიზებული ვაჭრობის საქონლით ესარგებლა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ზომების შედეგად გაუმჯობესდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განხორციელდა ღონისძიებები სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციისა და მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვის მიმართულებით, გაფართოვდა საზოგადოებრივი კვების ქსელი. საცალო საქონელბრუნვა ხუთწლედში გაიზარდა 39 პროცენტით. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება გადიდდა 34,5 პროცენტით, კვერცხის – თითქმის 39, ბოსტნეულისა და ბაღჩეულობისა – 40 პროცენტით და მეტად[24].

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, მათ შორის საზოგადოებრივი კვების, საცალო საქონელბრუნვამ 1970 წლის დონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბა და 1975 წელს შეადგინა 3 210 მილიონი მანეთი. ე. ი. 895 მილიონი მანეთით მეტი. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა ვაჭრობის ყველა სექტორში, მათ შორის საკოლმეურნეო ვაჭრობაში, 2 438 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 3 339 მილიონ მანეთამდე[25], ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 30 პროცენტით და მეტად[26].

მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევარში შეიცვალა მოსახლეობის სავაჭრო მოხმარების სტრუქტურა. საქონელბრუნვის სისტემა უფრო მეტად დაუახლოვდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს. გადიდდა სახალხო მოხმარების სასურსათო საქონლის გაყიდვა, კერძოდ, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის, წინდების, ტყავის ფეხსაცმლის, ავეჯისა და სხვ.[27]. გაფართოვდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონლის რეალიზაცია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საცალო საქონელბრუნვა აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში.

საცალო საქონელბრუნვის გაფართოებასთან დაკავშირებით გადიდდა ფულადი დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე, შეიცვალა ქალაქსა და სოფელს შორის თანაფარდობა საცალო ვაჭრობის სფეროში.

საცალო საქონელბრუნვაში წამყვან როლს ასრულებდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა. მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საკოლმეურნეო ბაზრის ხვედრითი წონა მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებაში 16-დან 13 პროცენტამდე შემცირდა, რადგან სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში გაიზარდა პროდუქტების, განსაკუთრებით ხორცის, კვერცხის, ხილის, ბოსტნეულის პროდუქტების

გაყიდვა. მიუხედავად ამისა, საერთო საქონელბრუნვაში საკოლმეურნეო ბაზრის წილი მაინც საგრძნობლად დიდი იყო სურსათით მოსახლეობის მომარაგებაში. იგი საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს სჭარბობდა.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების შედეგად მოსახლეობის საერთო შემოსავლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა მშრომელთა დანაზოგი სახსრები და შემნახველ სალაროებში ანაბრების თანხა, რაც მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მაჩვენებელიცაა. მოსახლეობის ანაბრების თანხა გაიზარდა როგორც ქალაქების, ისე სოფლების შემნახველ სალაროებში. 1970 წელს შემნახველ სალაროებში ირიცხებოდა 1 146 ათასი ანაბარი, ხოლო 1975 წელს – 1 406 ათასი, ანუ 22,6 პროცენტით მეტი. აქედან ქალაქის შემანხველ სალაროებში – 1 157 ათასი, სოფლის შემნახველ სალაროებში – 249 ათასი. ანაბრების საერთო თანხა 1970 წელს 164 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 1 797 მილიონ მანეთამდე 1975 წელს, მათ შორის ქალაქებში – 1014 მილიონი მანეთიდან 1 525 მილიონ მანეთამდე, ხოლო სოფლად – 151 მილიონი მანეთიდან 272 მილიონ მანეთამდე. 1975 წელს ერთი ანაბრის თანხა საშუალოდ შეადგენდა ქალაქებში – 1 318 მანეთს, ხოლო სოფლად – 1 092 მანეთს[28]. მშრომელთა ფულადი დანაზოგი აქტიურად მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის განვითარებაში, რაც ხელს უწყობდა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებათა შედეგად მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. მეცხრე ხუთწლედში ამ საქმეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხმარდა 26,4 პროცენტით მეტი, ვიდრე მერვე ხუთწლედში[29]. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა ექიმთა რიცხვმრავალი რაზმი, რომელიც ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1970 წელს იყო ყველა სპეციალობის 17,1 ათასი ექიმი, ხოლო 1975 წელს – 19,4 ათასი. მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე საქართველოში 1970 წელს მოდიოდა 36,2 ექიმი, ხოლო 1975 წელს – 39,2 ექიმი და 94,7 საშუალო სამედიცინო მუშაკი.

გაიზარდა საავადმყოფოების რიცხვი და უფრო მეტად მათში საწოლების რაოდენობა. 1970 წელს რესპუბლიკის საავადმყოფოებში იყო 43,1 ათასი, ხოლო 1975 წელს – 49,1 ათასი საწოლი[30]. მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე 1970 წელს საავადმყოფოებში მოდიოდა 91 საწოლი, ხოლო 1975 წელს – 99,1 საწოლი.

გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება, გაფართოვდა ქალთა კონსულტაციების, საბავშვო პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების ქსელი, გაიზარდა საექიმო და სამშობიარო საწოლების რაოდენობა[31]. აშენდა ახალი საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, მოწყო ახალი ან გაფართოვდა სხვადასხვა სპეციალური დანიშნულების დისპანსერები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.

საგრძნობლად განვითარდა საკურორტო-სანატორული მკურნალობა. გაუმჯობესდა კურორტების კეთილმოწყობა. დაიწყო მსხვილი

სანატორიუმების მშენებლობა. სანატორიუმებში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში გაიზარდა საწოლების რაოდენობა, გაუმჯობესდა მკურნალობისა და დასვენების პირობები, გადიდდა უფასო და შეღავათიანი საგზურების რაოდენობა.

განვითარდა ფიზიკური კულტურა და სპორტი. გაუმჯობესდა სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რესპუბლიკის რაიონებში და მსხვილ საწარმოებთან აშენდა სტაიდიონები და მოედნები. გაფართოვდა ფიზკულტურისა და სპორტის კადრების მომზადება. 1965 წლისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 6,8 ათასი ფიზკულტურული კოლექტივი, 1 158,1 ათასი ფიზკულტურელი, მათ შორის სსრ კავშირის სპორტის ოსტატი იყო 3 278 კაცი[32].

1966 – 1967 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანთლებლო სკოლებში შემოღებულ იქნა ფიზკულტურის ორი გაკვეთილი, პედაგოგ სპეციალისტთა კადრებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით 1967 – 1968 სასწავლო წელს ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, გორის, ცხინვალისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან გაიხსნა ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტები, ხოლო თბილისის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ბაზაზე - ფიზკულტურულ-სპორტული კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები.

მერვე ხუთწლედში ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს არა ერთი თვალსაჩინო წარმატება, ბევრი მათგანის სახელი შორს გასცდა რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში (1968 წ.) საქართველოდან მონაწილეობდა 15 სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ ვ. სანეევი (მძლეოსნობა), რ. რურუა (ჭიდაობა) და შ. ლომიძე, ზ. საკანდელიძე (კალათბურთი); მსოფლიოს ჩემპიონები – ნ. გაფრინდაშვილი (ჭადრაკი), დ. შანიძე (ძალოსნობა); ევროპის ჩემპიონები – ა. კიკნაძე, ვ. ჩიკვილაძე, ფ. მარტყოფლიშვილი (ჭიდაობა ძიუ-დო), სსრ კავშირის ჩემპიონები – ნ. ალექსანდრია (ჭადრაკი), ა. მეტრეველი (ჩოგბურთი) და სხვ. 1967 წელს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის თასი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საპენსიო უზრუნველყოფა. ამ დანიშნულებისათვის დანახარჯები ხუთწლედში 50 პროცენტზე მეტად გადიდდა. სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევისათვის დაიხარჯა 2,2 მილიარდი მანეთი. გადიდდა პენსიათა ოდენობა. პენსიონერთა რაოდენობამ 1970 წლის 787 ათასი კაციდან იმატა 846 ათას კაცამდე 1975 წელს. კოლმეურნეებზე გავრცელდა მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული პენსიის განსაზღვრის პირობები. პენსიონერთა საერთო რაოდენობიდან 1975 წელს კოლმეურნე იყო 292 ათასი კაცი[33]. საბჭოთა მთავრობის მიერ 1971 წელს მიღებული დადგენილებით

„კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ კოლმეურნეებს გაუდიდდათ პენსია.

მუშა-მოსამსახურეებსა და სამხედრო მოსამსახურეებს პენსია მოემატათ დაახლოებით 33 პროცენტი, ხოლო დაღუპული მარჩენალი პენსიონერის ოჯახს – 20 პროცენტი. დამატებითი შეღავათები დაუწესდათ სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

საავადმყოფოებში, პიონერთა ბანაკებში, ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ინვალიდებისა და ღრმადმოხუცებულთა სახლებში ამაღლდა კვებისათვის ხარჯების ნორმები. შემოღებულ იქნა დახმარება ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის. გაიზარდა სტიპენდიანტთა რაოდენობა და სტიპენდიის ოდენობა.

შრომისუნარიანი პენსიონერები სრული პენსიის შენარჩუნებით ჩაბმული არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ წარმოებაში.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე ხელფასის, პენსიების, სტიპენდიებისა და სხვა სახის დახმარების გარდა დადებითი გავლენა მოახდინა ზოგიერთ საქონელზე ფასების დაკლებამ, ობლიგაციების დაფარვამ.

მეცხრე ხუთწლედში, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახურება. გაიზარდა მომსახურების საერთო მოცულობა, მაგრამ იგი მაინც ვერ აკმაყოფილებდა მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. დადგენილების შემდეგ საყოფაცხოვრებო მომსახურება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გაიზარდა მოსახურების საწარმოთა რაოდენობა. 1970 წელს რესპუბლიკაში არსებობდა 9,5 ათასი საწარმო, ხოლო 1975 წელს – 10 ათასი. საწარმოთა ნაწილი გამსხვილდა. ხუთწლედში მომსახურების მოცულობა 1970 წლის 72 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 115 მილიონ მანეთამდე 1975 წელს, მათ შორის სოფლებში 16 მილიონი მანეთიდან 27 მილიონ მანეთამდე. მომსახურების გაფართოებასთან დაკავშირებით მომსახურების საწარმოებსა და მიმღებ პუნქტებში მომუშავეთა რაოდენობა 34,2 ათასიდან გაიზარდა 47,1 ათას კაცამდე.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები ასრულებდნენ ფეხსაცმლის ინდივიდუალურ შეკერვასა და შეკეთებას, მზა ტანსაცმლის შეკეთებასა და ინდივიდუალურ შეკერვას, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების, ავეჯის შეკეთებასა და დამზადებას, ქიმიურ წმენდასა და შეღებვას, თეთრეულის გარეცხვას, ბინების შეკეთებას. ხუთწლედში ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო ახალი ატელიეები. საყოფაცხოვრებო მომსახურება

გაიზარდა სოფლადაც. მიუხედავად ამისა საყოფაცხოვრებო მომსახურება საქართველოში მაინც ჩამორჩებოდა.

მეცხრე ხუთწლედში დიდი ყურადღება დაეთმო მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განივთარებისათვის. ამ მიზნით შემცირდა სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 39,4 საათამდე, გაფართოვდა საზოგადოებრივი კვების სისტემა და საყოფაცხოვრებო მომსახურება. საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივ განვითარების ამოცანას ემსახურება საზოგადოება „ცოდნა“, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებამ ხელი შეუწყო მშრომელთა სამუშაო დროის მაქსიმალურად დატვირთვას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ხოლო საბოლოო ანგარიშში – მშრომელთა შემოსავლის ზრდას, მათი კეთილდღეობის ამაღლებას.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე გაფართოვდა ქალაქების, დაბების, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა, გაუმჯობესდა კომუნალური მეურნეობა და მოსახურება, წარმოიშვა ახალი დაბა-მადნეული ბოლნისის რაიონში. გაფართოვდა წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, გადიდდა ერთ სულ მოსახლეზე წყლის სადღეღამისო მოხმარების ოდენობა. განვითარდა კომუნალური ენერგეტიკა, გაუმჯობესდა ცენტრალიზებული წესით ბინების გათბობა და გაზით უზრუნველყოფა. ერთიორად გაიზარდა ბინების გაზიფიკაცია სოფლად. რესპუბლიკის ბევრ რაიონში გაყვანილ იქნა გაზსადენი ხაზები.

მნიშვნელოვნად განვითარდა საქალაქო და სარაიონთაშორისო ტრანსპორტი. ტროლეიბუსებისა და ავტობუსების პარკი შეივსო ახალი გაუმჯობესებული მანქანებით.

არსებითად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კაულტურული კეთილდღეობა. გაიზარდა ახალი საცხოვრებელი სახლების, კლუბების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, ბიბლიოთეკების, სკოლების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოების რაოდენობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

მეცხრე ხუთწლედში ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში მიღწეული წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა ხუთწლედის პირველი ორი წლის პერიოდში არსებულ სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომლებმაც საგრძნობლად შეაფერხეს რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის უფრო სწრაფი აღმავლობა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ მოპოვებული დიდი წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული რესპუბლიკის ჩამორჩენა მთელ რიგ დარგებში. ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მოსახლეობამ ვერ მიიღო 420

ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მასობრივი მოხმარების ყოველი მეოთხე ნაკეთობა გამოდიოდა არადამაკმაყოფილებელი ხარისხით. რესპუბლიკა ჩამორჩა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, რის გამოც ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების მოხმარების ოდენობა უფრო მცირე იყო, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში. ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვის მოცულობა 22 პროცენტით ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს, განსაკუთრებით დაბალი იყო სოფლის მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მოსახურების დონე.

მიუხედავად ამისა, პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებათა შედეგად მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა, განხორციელდა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის მთელი რიგი სოციალური ღონისძიებანი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა საქმიანობა. თუმცა სპორტის მთელ რიგ სახეობაში რესპუბლიკამ რამდენადმე დათმო ადრე მიღწეული შედეგები. საქართველოს კომპარტის ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წლის 3 ივნისის დადგენილებით განსაზღვრა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ძირითადი მიმართლებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების („ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“) განუხრელი განხორციელებისათვის დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

გაუმჯობესდა ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური და სპეციალიზებული სპორტული სკოლების მუშაობა. განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო სპორტის მასობრიობას, სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მატერიალური ბაზის განმტკიცებას. 1975 წელს საზოგადოება „კოლმეურნე“ პროფკავშირის გამგებლობაში გადავიდა და ჩამოყალიბდა როგორც დარგობრივი ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება. „განთიადმა“, „სპარტაკმა“ და სხვა საზოგადოებებმა გააძლიერეს სოფლის კოლექტივებისადმი დახმარება, საშეფო მუშაობა. 1975 წელს რესპუბლიკაში სპორტის 49 სახეობაში მომზადდა ასობით პირველხარისხოვანი ოსტატი. ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა 6 ათასი კაცით გადააჭარბეს „მშთ“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გეგმას.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის ბევრმა სპორტსმენმა ისახელა თავი. 1972 წელს მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში შედიოდა ჩვენი რესპუბლიკის 18 წარმომადგენელი, ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ვ. სანეევი (მეორედ), შ. ჩოჩიშვილი (ძიუ-დო), ვ. კრატასიუკი (ნიჩბოსნობა), ზ. საკანდელიძე და მ. ქორქია (კალათბურთი); პრიზიორები – ო. ფხაკაძე (ტრეკი), მ. ხურცილავა და რ. ძოძუაშვილი (ფეხბურთი), გ. ონაშვილი

(ჭიდაობა), დ. შანიძე (ძალოსნობა); მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ნ. გაფრინდაშვილი (ჭადრაკი), რ. სიხარულიძე და ნ. დრონოვა (ტანვარჯიში), ლ. თედიაშვილი (ჭიდაობა), ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონები – ა. მეტრეველი და თ. კაკულია (ჩოგბურთი) და სხვ. სულ შვიდ ოლიმპიადაში (1952 – 1976 წწ.) საქართველოს 97 სპორტსმენი მონაწილეობდა, აქედან ოქროს მედალი დაიმსახურა 20 სპორტსმენმა, ვერცხლის მედალი – 16, ხოლო ბრინჯაოსი – 24 სპორტსმენმა.

---

[1] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 8.
[2] **იქვე,** გვ. 14.
[3] **იქვე,** გვ. 193.
[4] **იქვე,** გვ. 8.
[5] **იქვე,** გვ. 189.
[6] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 8.
[7] **იქვე,** გვ. 194 – 195.
[8] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 84 – 85.
[9] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 15.
[10] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 207.
[11] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 75.
[12] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 75.
[13] **ლ. კიბაბიძე,** ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, თბ., 1976, გვ. 25.
[14] **იქვე,** გვ. 21.
[15] **იქვე,** გვ. 25.
[16] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 75.
[17] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 199.
[18] იქვე, გვ. 210.
[19] **იქვე,** გვ. 213.
[20] **იქვე,** გვ. 217.
[21] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 218.
[22] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 75.
[23] „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა...“, გვ. 752.
[24] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 75.
[25] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 219 – 220.
[26] **ლ. კიბაბიძე,** დასახ ნაშრომი, გვ. 7.
[27] Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 224-226
[28] იქვე, გვ. 228 – 229.
[29] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 74.

[30] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 230.
[31] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიგო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, გვ. 76.
[32] «Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября», стр. 212- 213, 228.
[33] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 232 – 233.

თავი მეცამეტე ქართული კულტურა და მეცნიერება განვითარებული სოციალიზმის პერიოდში (1959 – 1975 წწ.)

§ 1. სახალხო განათლება. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

60-იანი წლების დამდეგიდან ჩვენი ქვეყნის გადასვლამ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ახალი ამოცანები დააყენა სახალხო განათლების სისტემის წინაშე. კომუნისტური მშენებლობა გულისხმობს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმირება-განვითარებას. ეს ამოცანა მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და ახალი ადამიანის აღზრდასთან. ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

სასკოლო მშენებლობის გარდაქმნის ღონისძიებანი დაისახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის დეკემბრის კანონით „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“. კანონში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა სკოლის მთავარი ამოცანაა მოამზადოს მოსწავლეები ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, კიდევ უფრო აამაღლოს ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების დონე... საშუალო სკოლაში სწავლებისა და აღზრდის წამყვანი საწყისი უნდა გახდეს მჭიდრო კავშირი შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან“[1]. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, ხელმძღვანელობდა რა სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მითითებით იმის შესახებ, რომ საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნა მოითხოვს გარკვეულ დროს და დიდ მუშაობას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს უნდა შეემუშავებინათ ეროვნულ ტრადიციათა და თავისებურებათა შესაბამისი კანონები სახალხო განათლების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1959 წლის აპრილში დაამტკიცა კანონი რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

ახალი სასკოლო კანონი ითვალისწინებდა შვიდწლიანი საყოველთაო-სავალდებულო განათლების შეცვლას რვაწლიანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლებით. რვაწლიან სკოლაში მოსწავლეს

ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად უნდა მიეღო პოლიტექნიკური განათლებაც, აეთვისებინა რომელიმე მასობრივი პროფესია.

სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის საკითხები გახდა საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობის (1959 წლის 30 სექტემბერი – 1 ოქტომბერი) მსჯელობის საგანი. ყრილობამ ახალი კანონის საფუძველზე დასახა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სრულყოფის ღონისძიებანი, მოახდინა სახალხო განათლების მუშაკთა ძალების მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობის ამ ეტაპზე სკოლის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პირველი ნაბიჯები გადაიდგა უკვე 1959/60 სასწავლო წელს, როდესაც საქართველოს ქალაქის 98 და სოფლის 83 საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასები გადავიდნენ საწარმოო სწავლებაზე. ამან მოითხოვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან საწარმოო საამქროებისა და სახელოსნოების შექმნა. გარდა ამისა, სკოლები მიამაგრეს სამრეწველო საწარმოებს, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სადაც იქმნებოდა სპეციალური სასწავლო უბნები. 1959/60 სასწავლო წელს სოფლად საწარმოო ბრიგადებსა და რგოლებში ჩაბმული იყო თითქმის 91 ათასი მოსწავლე, რომელთაც გამოიმუშავეს ერთ მილიონზე მეტი შრომადღე[2]. 1960/61 სასწავლო წლის ბოლოსათვის რესპუბლიკის 1 157 საშუალო სკოლიდან საწარმოო სწავლებაზე გადავიდა 454 საშუალო სკოლა, სადაც 16 ათასზე მეტი მოსწავლე ეუფლებოდა 70 სხვადასხვა საწარმოო პროფესიას[3].

მოსწავლეთა საწარმოო სწავლების შემდგომი განვითარების, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი 1960 წლის ივლისში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეორგანიზაციისას თავი იჩინა მცდარმა შეხედულებამ, თითქოს სკოლის პოლიტექნიზაცია გულისხმობდა მხოლოდ საწარმოო პროფესიის დაუფლებას. ამას მოჰყვა ის, რომ შესუსტდა ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლებისადმი[4]. სკოლა კი განვითარებული სოციალიზმის პირობებში მოწოდებულია აღზარდოს ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი.

1962/63 სასწავლო წელს დამთავრდა საქართველოში შვიდწლიანი სკოლების რეორგანიზაცია რვაწლიან სკოლებად და ზოგადსაგანმანათლებლო 10-წლიანი სკოლისა 11-წლიან სკოლებად[5]. სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრება“, რომლის გამოცემა დაიწყო 1960 წლის შუახანებიდან ნაცვლად ჟურნალისა „კომუნისტური აღზრდისათვის“. ამ ჟურნალს 1966 წლიდან დაემატა პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის ბეჭდვითი-საგნობრივი

პერიოდული (ყოველკვირეული) ორგანოები: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „ქიმია, ბიოლოგია სკოლაში“ და სხვ.

1965 წლის დამლევიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დააწესა დიდი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილი სახელობის ორი პრემია, რომელიც ენიჭებათ პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, სწავლა-აღზრდის საკითხებზე შესრულებული საუკეთესო ნაშრომებისა და ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლებისათვის შედგენილ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე საგნების ავტორებს.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სკოლა-ინტერნატების ქსელის შემდგომ გაფართოებას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1959 – 1965 წლებში სკოლა-ინტერნატების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. სკოლა-ინტერნატებს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ საწარმოო სწავლების დანერგვისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან ერთად სკოლა-ინტერნატებიც, კერძოდ, ბეთანიის, თეთრი წყაროს, ზუგდიდის, გორდის, გუმისთის და ბროწეულას სკოლა-ინტერნატები 1959/60 სასწავლო წლიდან გადავიდნენ საწარმოო სწავლებაზე. 1959 – 1965 წლებში სკოლა-ინტერნატების რაოდენობა საქართველოში 12-დან 50-მდე გაიზარდა.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, მოსაწვლეებისადმი მეთვალყურეობის გაძლიერებისა და მშობლებისადმი დახმარების მიზნით 1960 წელს საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, შეიქმნა გახანგრძლივებული სკოლები და ჯგუფები. 1961 – 1965 წლებში რესპუბლიკაში არსებობდა 2ასეთი სკოლა. იმ სკოლების რაოდენობა კი, რომელთაც ჰქონდათ გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები, 1965/66 სასწავლო წელს გადიდდა 20-დან 273-მდე, ხოლო საერთოდ ასეთი ჯგუფების რიცხვი – 33-დან 612-მდე[6]. გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა კონტინგენტმა შვიდწლედის ბოლოს 14 ათასს გადააჭარბა.

ახალი კანონის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის შესაბამისად საქართველოში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველო 60-იანი წლების დამდეგს მაინც ჩამორჩებოდა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს. ამიტომ ეს საკითხი არაერთხელ განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. მასვე მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია 1963 წლის აპრილში. ჩამორჩენის დასაძლევად ბევრი იმუშავეს ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. შედეგმაც არ დააყოვნა, უკვე მომდევნო წლებში შემცირდა სკოლებიდან

განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებაში ჩამორჩა ზოგიერთი რაიონი, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ.

რვაწლიანი სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. მათი ქსელი 60-იან წლებში საგრძნობლად გაფართოვდა. მოსწავლეთა რაოდენობა მუშა და გლეხი ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში გაიზარდა 1958/59 წლის 31 ათასიდან 57 ათასამდე 1965/66 სასწავლო წელს, მთლიანად კი 1966 წელს საქართველოში იყო 4 685 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 927,8 ათასი მოსწავლით და 70 ათასამდე მასწავლებლით. როგორც საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა (1964 წლის იანვარი) მიუთითებდა, იმ პერიოდში სკოლების მატერიალური ბაზის მშენებლობა საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდას. მაგალითად, 1963/64 სასწავლო წელს 1958/59 წელთან შედარებით მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 199 ათასით, სასკოლო შენობები კი აშენდა მხოლოდ 84,5 ათასი მოსწავლისათვის. ამან გამოიწვია მთელ რიგ სკოლებში სამცვლიანი მეცადინეობის შემოღება[7].

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობამ (1966 წლის მარტი) აღნიშნა, რომ თუმცა რესპუბლიკაში შვიდწლედის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაინც სუსტად ხორციელდებოდა კანონი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ, შეუწყნარებლად დიდი იყო იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სკოლებიდან წავიდნენ რვაწლედის დამთავრებამდე[8].

50-იანი და 60-იანი წლების პირველ ნახევარში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ვოლუნტარიზმმა და სუბიექტივიზმმა, რაც სახალხო განათლებასაც შეეხო და გამოიხატა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხშირი და გაუმართლებელი რეორგანიზაციით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და შემდგომმა პლენუმებმა დასახეს სახალხო მეურნეობაში, მათ შორის სასკოლო მშენებლობის დარგში, დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილებამ „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. საქართველოში სასკოლო მშენებლობის ფართოდ გაშლის მიუხედავად სასკოლო შენობათა ფართობის ყოველწლიური ზრდა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მოსწავლეთა რაოდენობრივი ზრდის ტემპს. 1967 წლისათვის საქართველოში ყოველ ათას მოსწავლეზე საშუალოდ მოდიოდა 740 მოსწავლის ადგილი, ხოლო ზოგიერთ რაიონსა და განსაკუთრებით ქალაქებში, მათ შორის თბილისში, კიდევ უფრო იგრძნობოდა

სასკოლო ფონდის უკმარობა, რის გამოც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდ ნაწილს უხდებოდა მეცადინეობა ორ და სამ ცვლად. არსებული სასკოლო ფონდის ნაწილიც კეთილმოუწყობელი იყო. დადგენილებაში აღინიშნა, რომ საბჭოთა სკოლა კვლავაც უნდა ვითარდებოდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლა, რათა მოსწავლეებს მისცეს მეცნიერული საფუძვლების მყარი ცოდნა, განუვითაროს მაღალი კომუნისტური შეგნება.

აღნიშნული დადგენილება მიზნად ისახავდა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის სრულყოფილად განხორციელებას, რასაც უნდა უზრუნველეყო 1970/71 სასწავლო წლიდან საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლა, შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების დონის შემდგომი ამაღლება, ამ მიზნით შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალი წესდება, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო 1970 წლის სექტემბერში. ახალმა წესდებამ განსაზღვრა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის საფუძვლები, სახალხო განათლების ორგანოების, მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი. 1970 წლამდე არ არსებობდა სსრ კავშირის მასშტაბით სკოლებში გამოცდების ჩატარების ერთიანი წესები. ამიერიდან კი დაკანონდა მე-8 და მე10 კლასებში სავალდებულო გამოსაშვები გამოცდები, ხოლო დანარჩენ კლასებში მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროები წყვეტდნენ კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების საკითხს. კვლავ ძალაში დარჩა 1963 წელს შემოღებული კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ჩატარების ის წესი, რომელიც არ ითვალისწინებს წლის დასაწყისში საგამოცდო საგნების დასახელებას, ამასთან ახლებურად გადაწყდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების პრობლემა. იგი უფრო სრულყოფილი გახდა, რადგან ცოდნის შეფასება ხდება ერთდროულად როგორც ხუთბალიანი სიტყვიერი, ასევე ციფრობრივი სისტემით, დაშვებულ იქნა ე. წ. ფაკულტატიური შეფასება, ხოლო მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასება ხდება სამგვარად: „სანიმუშო“, „დამაკმაყოფილებელი“ და „არადამაკმაყოფილებელი“.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელისა და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად 1971 წელს, როდესაც რესპუბლიკაში იყო 4 571 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ერთ მილიონზე მეტი მოსწავლით და 77 ათასი მასწავლებლით, სასკოლო მშენებლობა ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით, რაზედაც ყურადღება გაამახვილა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ (1971 წლის თებერვალი). ყრილობამ განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახადა მოსწავლეთა განთესვა. იმ დროისათვის რესპუბლიკის სკოლების პირველ კლასებში ჩაბმული ყოველი 100 მოსწავლიდან რვაწლიან სკოლას დადგენილ ვადაში ამთავრებდა მხოლოდ 60, მოსწავლეთა შედარებით დიდ განთესვას ადგილი ჰქონდა ყაზბეგის, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებში[9]. 1971/72 სასწავლო წელს პირველ

კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის გეგმა რესპუბლიკაში არ შესრულებულა, 15 ათასი მოსწავლე გათვალისწინებულ კონტინგენტს დააკლდა[10].

70-იან წლებში სახალხო განათლების სისტემის უმთავრესი ამოცანა იყო საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის უზრუნველყოფა. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება მოითხოვდა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომ სრულყოფას განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ახალი ამოცანებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1971 წლის ივლისში მიიღეს ერთობლივი დადგენილება სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა თაობაზე. გათვალისწინებული იყო სოფლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაციონალურად განლაგება, მცირეკომპლექტიანი სკოლების შემდგომი შემცირება და კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გადიდება, შორეული დასახლებული პუნქტებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების გაფართოება, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ა. შ[11]. 1972/73 სასწავლო წელს საქართველოს სოფლის სკოლების საერთო რაოდენობიდან ცუდად მოწყობილ და მეცადინეობისათვის გამოუსადეგარ შენობებში იყო 1 474 სკოლა, მათ შორის 603 დაწყებითი, 514 რვაწლიანი და 357 საშუალო სკოლა[12], მაშინ როდესაც შეჩერებული იყო 44 სკოლის მშენებლობა, სკოლებს აკლდათ საგნობრივი კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული დარბაზები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქალაქსა და სოფელს შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა განაწილებაში. 1960/61 სასწავლო წელს ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებათა სკოლებში მეცადინეობდა 261,7 ათასი მოსწავლე, სოფლად 405,4, ანუ 143,7 ათასით მეტი (მუშა და გლეხი ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა გარდა), ვიდრე ქალაქებში, 1965/66 სასწავლო წელს კი შესაბამისად 383,3 ათასი და 497,5 ათასი, ანუ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ითვლებოდა 14,2 ათასით მეტი მოსწავლე[13]. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 60-იანი წლების პირველ ნახევარში გაიზარდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობა, მაგრამ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის მხრივ ქალაქი უსწრებდა სოფელს.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. 1971/72 სასწავლო წელს ათი მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-8 კლასებში „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ კურსის საცდელი სწავლების შემოღებას დადებითი შედეგი მოჰყვა, რაც იმით გამოიხატა, რომ შემცირდა მოზარდთა

შორის სამართალდარღვევის შემთხვევები. ამის გამო 1975/76 სასწავლო წლიდან ეს საგანი ისწავლება საბჭოთა კავშირის ყველა სკოლაში.

1973 წლის 4 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად მიიღეს დადგენილება „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში დიდი ყურადღება მიექცა სოფლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის ერთ-ერთ ძირითად პირობას. მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეთათვის შემოღებულ იქნა ავტოსაქმის სწავლება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მექანიზატორთა კადრების მომზადებისათვის.

სახალხო განათლების ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ განეხორციელებინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

საყოველთაო საშუალო განათლების პირობებში კიდევ უფრო იზრდება მასწავლებლის როლი. 1976 წლისათვის საქართველოში მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურებოდა 80 ათასი მასწავლებელი[14]. მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დაოსტატების სტიმულირების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივლისის დადგენილებით „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“ დაწესდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა სისტემატური ატესტაცია, რაც ხელს უწყობს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისათვის თვით მასწავლებელთა პასუხიმგებლობის ამაღლებას. მოწინავე მასწავლებლებს „უფროსი მასწავლებლის“ და „მასწავლებელ-მეთოდისტის წოდებას“ ანიჭებდა მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტრო.

1970/71 სასწავლო წელს საქართველოს ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდნობამ შეადგინა 1 035, 9 ათასი ნაცვლად 937,6 ათასისა 1965/66 სასწავლო წელს, მეცხრე ხუთწლედის ბოლოს კი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 1 025,0 ათასი მოსწავლე[15], ანუ თითქმის 11 ათასით ნაკლები, ვიდრე მერვე ხუთწლედის ბოლოს. ეს ძირითადად გამოწვეული იყო საშუალო სპეციალური სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდით. აღსანიშნავია, რომ 1975/76 სასწავლო წელს გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში მეცადინეობდა 12 პროცენტით მეტი, ვიდრე 1974/75 სასწავლო წელს[16]. მეცხრე

ხუთწლედის უკანასკნელ წელს რვაწლიანი სკოლის დამთავრებულთა (93 ათასი) შორის თითქმის 94 – 96 პროცენტმა სწავლა განაგრძო საშუალო სკოლაში, აგრეთვე სხვა სასწავლებლებში.

რესპუბლიკის მოსწავლეები ფართოდ იყვნენ ჩაბმული კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა ფორმაში, აწყობდნენ ლაშქრობებს მშობლიური მხარის გასაცნობად, კრეფდნენ დოკუმენტურ მასალებს წინაპართა საბრძოლო და შრომითი გმირობის შესახებ, ქმნიდნენ სასკოლო მუზეუმებს. თბილისელმა და სოხუმელმა ნორჩმა კვალმაძიებლებმა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის 30 წლისთავთან დაკავშირებით შეაგროვეს ათასობით ექსპონატი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოუწონა მოსწავლეებს ეს პატრიოტული საქმიანობა, მოუწოდა მათ დაიცვან მამა-პაპათა საბრძოლო ტრადიციები, ისწავლონ მათგან ერთგულება კომუნიზმის იდეებისადმი[17].

ახალი ამოცანების წინაშე დადგა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 70-იანი წლების მეორე ნახევარში. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მკვეთრად ამაღლდეს მოზარდი თაობის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის პირობებში იზრდება მოთხოვნები მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონისადმი, რთულ პროფესიებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების აუცილებელი პირობა ხდება საშუალო განათლების მიღება. ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის დადგენილებამ „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციური მუშების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საჭიროდ მიიჩნია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების გარდაქმნა საშუალო განათლების პროფტექნიკურ სასწავლებლებად. ახალი ტიპის სასწავლებლების შექმნა მოასწავებდა მნიშვნელოვან ეტაპს პროფტექნიკური სისტემის განვითარებაში. საშუალო განათლების მქონე კვალიფიციური მუშების ნაწილი სწავლას აგრძელებდა ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მერვე ხუთწლედის პერიოდში რესპუბლიკის პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა (67 სასწავლებელი) მოამზადეს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ გაგზავნეს 82 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

1971 – 1972 წლებში 6 ერთეულით გადიდდა რესპუბლიკის პროფტექნიკური სასწავლებლების რაოდენობა, ხოლო 9 სასწავლებელი გარდაიქმნა საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლად. 1973 წელს რესპუბლიკაში უკვე იყო 20 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, სადაც 6 ათასზე მეტი ახალგაზრდა იძენდა კვალიფიციური მუშის პროფესიას. პროფესიების რაოდენობა გაიზარდა 120-დან 200-მდე. ამ სასწავლებლებმა

სახალხო მეურნეობას მისცეს 1973 წელს 20,3 ათასი, ხოლო 1975 წელს თითქმის 22 ათასი კვალიფიციური მუშა. თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო ამაღლდა პროფტექნიკური განათლების სისტემის როლი ფართო პროფილისა და მაღალი კულტურის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებაში.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებს დაუსახა ახალი ამოცანები. მათ შესასრულებლად კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ განახორციელეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო უმაღლესი სკოლის ერთგვარი რეორგანიზაცია. 1959 წელს საქართველოში გაერთიანდა ორი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი – თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ასევე უმაღლესი სასწავლებლების გამსხვილების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შეუერთდა მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ხოლო მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – ზოოვეტერინარულ ინსტიტუტს. 1974 წლის იანვარში გაიხსნა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

რესპულიკის უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა მთელი რიგი ახალი ფაკულტეტები და სპეციალობები. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა სსრ კავშირში ერთ-ერთი პირველი კიბერნეტიკის ფაკულტეტი. გარდა ამისა, შემოღებულ იქნა ახალი სპეციალობები: მათემატიკური ლინგვისტიკა, რადიოაქტიური ბიოლოგია, გენეტიკა და ციტოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კლასიკური ფილოლოგია. საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო ფაკულტეტი უცხოელი – აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების სტუდენტებისათვის. არაერთი უცხოელი სტუდენტი და ასპირანტი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. იზრდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი. 1965/66 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ იქნა 13 ათასი, 1970/71 სასწავლო წელს – 13,9 ათასი, ხოლო 1975/76 სასწავლო წელს – 14,7 ათასი სტუდენტი[18], მათ შორის იზრდებოდა დღის განყოფილებაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა. თუ 1959/60 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ითვლებოდა 56,3 ათასი სტუდენტი, 1965/66 სასწავლო წელს 76,6 ათასი, 1975/76 სასწავლო წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 82,8 ათასს[19].

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების, კათედრების, სპეციალობებისა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ 1976 წლის იანვრისათვის იხილეთ ცხრილი 1.

60-იანი წლების დამდეგიდან დიდი ყურადღება მიექცა უმაღლეს სასწავლებლებში საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებას. 1959 წლის ივლისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საღამოს და

დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და დაუსწრებელი საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა შეღავათების შესახებ“. შეღავათები ეხებოდა ფასიან შვებულებებს დიპლომების დასაცავად, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას და სხვ. ამ დადგენილებამ სტიმული მისცა უმაღლესი განათლების გაფართოებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. 1964 წლისათვის საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე სტუდენტთა ხვედრითი წონა შეადგენდა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 66 პროცენტზე მეტს[20].

1969/70 სასწავლო წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად „უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ“, საქართველოში, ისევე როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, გაიხსნა მოსამზადებელი განყოფილებები დღის, საღამოსა და დაუსწრებელ ფორმით უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის შერჩევის გასაუმჯობესებლად, სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების მიზნით.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის ნაწილი, რომელიც ამთავრებდა საშუალო სკოლას, შედიოდა რსფსრ, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში. თავის მხრივ, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ სპეციალისტთა კადრებს მოკავშირე რესპუბლიკებისათვისაც.

ცხრილი 1[21]

უმაღლესი სასწავლებლები	ფაკულ-ტეტები	კათედ-რები	სტუდენტე-ბი	პროფესორ მასწავლე-ბლები	რამდენ სპეცია-ლობას ამზადებს
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15	187	15.447	1.028	37
ვ.ი.ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი	15	78	22.598	1.451	62
სამედიცინო ინსტიტუტი	5	69	4.000	540	5
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი	7	54	5.000	302	14
ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედ. ინსტიტუტი	5	22	3.300	181	19
პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტი	9	31	5.700	260	8
ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა პედ. ინსტიტუტი.....	4	16	2.250	160	8
სოხუმის მ. გორკის სახ. პედ. ინსტიტუტი.....		29	3.003	133	13
ბათუმის შ. რუსთაველის სახ. პედ.		14	2.374	102	8
ინსტიტუტი.....		14	2.260	104	8

სამხრეთ ოსეთის პედ. ინსტიტუტი					
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.....	20	20	1.600	163	6
			დაახლ.		
საქართველოს ზოოვეტერინარული. ინსტიტუტი	2	27	2.000	264	2
			დაახლ.		
საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი	3	28	4.000	193	4
თელავის ი. გოგებაშვილის სახ. პედ. ინსტიტუტი		12	1.800	89	6
ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედ.	4	15	2.320	83	7
ინსტიტუტი	5	19	1.300	200-მდე	20
ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია	4	19	950	229	20
თბილისის სამხატვრო აკადემია					
შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი	6		224		7
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი	9	13	3.400	250	6

უკანასკნელ ათწლეულში საგრძნობლად გაფართოვდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კონტაქტები როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ასევე უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან. 1966 წლის 14 ნოემბერს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტს შორის. 1966 – 1970 წლებში ამ ორმა უმაღლესმა სასწავლებელმა გაცვალა 700 მასწავლებელი, მეცნიერი, სტაჟიორი, ასპირანტი[22]. იენში ყოველწლიურად იგზავნებოდნენ სტუდენტები უნივერსიტეტის კურსის დასამთავრებლად. საწარმოო პრაქტიკის გასავლელად პოლონეთში, უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაიგზავნა 40 სტუდენტი, ხოლო 1967 წელს – 144 სტუდენტი[23]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მჭიდრო კონტაქტები აქვს სტრასბურგის, ლოძისა და პრაღის უნივერსიტეტებთან, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს – ბრნოს უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტსა და პრაღის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიას – ვარშავის კონსერვატორიასთან და ა. შ. ხშირია პროფესორ-მასწავლებელთა ხანგრძლივი მივლინება უცხოეთში სამეცნიერო სტაჟირებისათვის. 1969 – 1973 წლებში საქართველოდან სოციალისტურ ქვეყნებს ეწვია 341, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებს – 157 მეცნიერი[24].

უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა შექმნეს თავიანთი ფილიალები და სასწავლო პუნქტები მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან, ჭიათურის მანგანუმის წარმოებასთან, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

მუშა და სოფლის ახალგაზრდობა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას იღებდა. გადიდდა საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა რაოდენობა. 1959/60 სასწავლო წელს რესპუბლიკის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ითვლებოდა 26,2 ათასი მოსწავლე, 1965/66 სასწავლო წლისათვის საშუალო-სპეციალური სასწავლებლების რაოდენობა გაიზარდა 89-მდე, ხოლო 1975/76 სასწავლო წელს 97-მდე, სადაც ცოდნას იძენდა 49,4 ათასი მოსწავლე[25]. 1965 – 1975 წლებში ახალი ტექნიკუმები გაიხსნა თბილისში (სამრეწველო-ეკონომიკური, რადიოტექნიკური), საგარეჯოში (პოლიტექნიკური), ბათუმსა და ტყიბულში (ინდუსტრიული) და სხვა. ტექნიკუმები ამზადებდნენ საშუალო კვალიფიკაციის კადრებს 140 სპეციალობაში.

რესპუბლიკის საშუალო-სპეციალურმა სასწავლებლებმა 1965 წელს გამოუშვეს მრეწველობისა და მშენებლობისათვის 2,3 ათასი, სოფლის მეურნეობისათვის 2,8 ათასი, 1970 წელს – 3,2 და 3,8 ათასი, ხოლო 1975 წელს 3,8 და 3,9 ათასი სპეციალისტი[26].

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს დადგენილებაში „საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებისა და საშუალო განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მომზადდეს საშუალო განათლების საკმარისი რაოდენობის სპეციალისტები, რაციონალურად მოეწყოს მათი განაწილება, რათა ახალგაზრდა კადრების სწორი გამოყენებით სისტემატურად მაღლდებოდეს მათი როლი სოციალისტური წარმოების სფეროში. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებაშიც.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 65,2 ათასი, ხოლო საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა – 73,7 ათასი სპეციალისტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის[27].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უახლოეს წარსულში მთელ რიგ შემთხვევებში სპეციალისტთა მომზადება არ იყო დაკავშირებული სახალხო მეურნეობის მოთხოვნებთან, ნაკლებად ამზადებდნენ სპეციალისტებს მრეწველობის ახალი დარგებისათვის (ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტროტექნიკა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია).

60-იანი წლების მეორე ნახევარში სსრ კავშირში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის გავლენის დაძლევის შედეგად დიდი ყურადღება მიექცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის აგვისტოს დადგენილების საფუძველზე „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ, შეტანილ იქნა არსებითი ცვლილებანი

საზოგადოებრივი მეცნიერებების პროგრამებში, გაფართოვდა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლებისათვის ამ დისციპლინებში სტაბილურ სახელმძღვანელოთა მოსამზადებლად, გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები და სხვა ლიტერატურა სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიკისა და მეცნიერული კომუნიზმის საკითხებზე და ა. შ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი, რომელშიც ოთხთვიანი გადამზადების კურსს ორ ნაკადად გადიოდნენ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები. გარდა ამისა, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებოდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის უმაღლესი სასწავლებლების ანალოგიურ ფაკულტეტებზე.

ზოგად მეცნიერულ დისციპლინებში სტუდენტთა მომზადების დონის გაუმჯობესების, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით უმაღლესი სკოლის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების, გამოყენებისა და მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების ამოცანები დაისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (1972).

უკანასკნელ წლებში გაფართოვდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სასწავლო კომპლექსის ნაწილი, კერძოდ, მექანიკა-მათემატიკისა და ეკონომიკური ფაკულტეტების მაღლივი სასწავლო კორპუსი, ღია მეტეოროლოგიური მეოდნით და სახურავზე მბრუნავი ასტრონომიული კოშკურით, დამთავრდა ბიოლოგიური კორპუსის რეკონსტრუქცია, აიგო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სოხუმისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების შენობები, გაფართოვდა საქართველოს პოლიტექნიკური, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და თბილისის სამხატვრო აკადემია.

70-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაშლილმა უკომპრომისო ბრძოლამ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში სახალხო განათლების მთელ სისტემაზე, უმაღლესი სკოლის მუშაობის ხარისხზე.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის წარმატებით გადაჭრის შედეგია საბჭოთა კავშირის ყველა სოციალისტური ერისა და ეროვნების ენისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარება. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 60-იანი და 70-იანი წლების პირველ ნახევარში ახალი ნაბიჯები გადაიდგა საბჭოთა მოძმე ერებისა და ეროვნებათა შემდგომი

დაახლოებისაკენ. ეს პროცესი მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა, მათ შორის სოციალისტური ეროვნული კულტურების განვითარების თავისებურებათა, გათვალისწინებით. როგორც სკკპ XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშავდა „სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი“. ამ თეორიულმა და პრაქტიკულმა დებულებამ დააყენა რუსული ენის – სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენის – როლის შედმგომი ამაღლების საკითხი, რამდენადაც იგი ასრულებს ეროვნებათაშორის ურთიერთობის საერთო ენის ფუნქციებს. იგი არის ეროვნული რესპუბლიკების მიღწევების გაცნობა-გაზიარების, მისი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გატანის საშუალება, სსრ კავშირის ხალხთა ენების გამდიდრების ძირითადი წყარო.

რუსული ენის სახელმწიფოებრივ და საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობას გაუსვა ხაზი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის დადგენილებამ რუსული ენის შესწავლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე გადაისინჯა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო გეგმები. 1973/74 სასწავლო წლიდან ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულ იქნა რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან. უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის სახელმწიფო გამოცდებთან ერთად შემოღებულ იქნა სადიპლომო ნაშრომის სავალდებულო შესრულება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე[28]. რუსული ენის კარგად დაუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის ქვეყნებთან სასწავლო დაწესებულებათა შორის კონტაქტების გაფართოებისათვის.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შემოქმედებითი კონტაქტები აქვთ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ბაქოს, ერევნის, ყაზანის, გორკის, ვილნიუსის, ტარტუს და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან. ამ კონტაქტების ფორმებია, ერთობლივი სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, სამეცნიერო ლიტერატურისა და მრავალტირაჟიანი გაზეთების გაცვლა, მეცნიერ მუშაკთა მივლინებები და სხვ.

ჩვენი ქვეყნის სტუდენტი ახალგაზრდობის კავშირურთიერთობანი ხორციელდება შრომითი საქმიანობის გზითაც. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ათასობით სტუდენტისათვის საზაფხულო არდადეგები იქცა ე. წ. შრომით სემესტრად, რომელსაც ისინი ატარებდნენ ყამირ მიწებზე მოსავლის აღებისა თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობაზე. უმაღლეს სასწავლებლებს შორის ვითარდებოდა კულტურული კონტაქტები. ქართველ სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები ხშირად

მონაწილეობდნენ საკავშირო დათვალიერებებსა და ოლიმპიადებში, გამოდიოდნენ საზღვარგარეთაც, ხშირად ეწყობოდა სტუდენტთა ინტერნაციონალური საღამოები და ა. შ.

60-იანი წლების პირველ ნახევარში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ექსპერიმენტებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ 1973 წლის 19 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირში სახალხო განათლების მდგომარეობისა და ზოგადი, საშუალო პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების შესაბამისად 1974 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა 1958 წლის 24 დეკემბრის კანონი „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1975 წლის 28 ივნისს მიიღო კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების შესახებ, რაც ზემოაღნიშნული საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად მოიცავდა სკოლამდელ აღზრდას, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო განათლებას, სკოლის გარეშე აღზრდას, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს განათლებას, სახალხო განათლების მთელი სისტემა ემსახურება საყოველთაო რვაწლიანი სწავლების განხორციელების საფუძველზე ახალგაზრდობის საყოველთაო საშაულო განათლებას, პროფტექნიკურ, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართო განვითარებას.

კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავრი ამოცანაა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა. პარტიის პროგრამაში მოცემულია კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების, პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების, საზოგადოების სულიერი დოვლათის შექმნის კონკრეტული გზები. ამ ამოცანების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან განვითარებული სოციალისტური საზოგადეობის პრაქტიკული სამეურნეო და კულტურული ამოცანების განმარტებასა და პროპაგანდაში.

როგორც ცნობილია, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი ძალაა პრესა, რადიო და ტელევიზია, მასობრივი ბიბლიოთეკები, კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, მუზეუმები.

60-იანი წლების დამდეგიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს ტელევიზიის მოქმედების რადიუსი. თბილისი-ქუთაისის სარელეო ხაზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ (1963) დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ ტელეგადაცემები თბილისიდან. 1964 წლის იანვრისათვის მწყობრში ჩადგა სარელეო ხაზი მოსკოვი-თბილისი, რის შედეგადაც საქართველოს ტელევიზია

ჩაერთო ცენტრალური ტელევიზიის, მისი მეშვეობით კი მოკავშირე რესპუბლიკების ტელეცენტრების, აგრეთვე ინტერვიზიისა და ევროვიზიის ქსელში. ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

ფართო ხასიათი მიიღო რადიო და ტელეგადაცემების გაცვლამ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან, 1963 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „მუსიკალური რადიოფესტივალი“[29].

პარტიული და საბჭოთა პრესის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის შექმნას, რომლის პირველი დამფუძნებელი ყრილობა შედგა 1959 წლის თებერვალში.

მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებდნენ მასობრივი ბიბლიოთეკები. 1966 – 1970 წლებში გაიხსნა თითქმის 700 ახალი ბიბლიოთეკა, 200-ზე მეტი კულტურის სახლი და კლუბი, 16 კინოთეატრი, 5 მუზეუმი[30]. მეცხრე ხუთწლედის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა მასობრივი ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებათა რაოდენობა, განსაკუთრებით სოფლად. მაგალითად, 1975 წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 3 861 მასობრივი ბიბლიოთეკა, მათ შორის სოფლად – 3 182, სულ 2 259 კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე[31], მათგან სოფლად იყო 1 996 ასეთი დაწესებულება.

განხორციელდა ღონისძიებანი გამომცემლობათა გამსხვილების მიზნით. 1964 წლის მარტში შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა მთელი საგამომცემლო საქმიანობის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის ხელმძღვანელობა, ყველა სახის ლიტერატურის გამოცემის კოორდინაცია.

1963 წლის ივლისიდან საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას დაერქვა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“. 1959 წელს შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, დაიწყო გამოსვლა ამ საზოგადოების ჟურნალმა „ძეგლის მეგობარი“.

60-იან წლებში ფართო გავრცელება პოვეს კულტურის სახალხო უნივერსიტეტებმა. 1967 წელს მუშაობდა კულტურის 45 სახალხო უნივერსიტეტი 4 ათასამდე მსმენელით, 1970 წელს კი მათი რაოდენობა 62-მდე გაიზარდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დიდი მუშაობა გასწიეს მშრომელთა მხატვრული თვითშემოქმედების განვითარებისათვის. გადიდდა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რაოდენობა, გაუმჯობესდა მათი მუშაობა. 70-იანი წლების დამდეგისათვის რესპუბლიკაში იყო ათასზე მეტი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი, მათ შორის 41 კოლექტივს მიენიჭა სახალხო მხატვრული კოლექტივის საპატიო წოდება[32].

მხატვრულ კოლექტივებს დიდ დახმარებას უწევდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. სისტემატურად ეწყობოდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერებანი და ოლიმპიადები.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწვეტაში.

---

[1] ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1959, N 1, გვ. 4 – 5.

[2] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1961, N 5, გვ. 29.
[3] **იქვე.**
[4] ”Правда», 6 июля 1960 г.
[5] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1961, N 12.
[6] Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции. стат. сб., 1967, стр. 225.
[7] „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას. საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის რეზოლუცია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო“, თბ., 1964, გვ. 52.
[8] „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას. საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის რეზოლუცია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო“, თბ., 1966, გვ. 35.
[9] „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის რეზოლუცია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო“, თბ., 1971, გვ. 42.
[10] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1972, N 9, გვ. 29 – 30.
[11] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1971, N 9.
[12] **იქვე,** 1973, N 10, გვ. 3.
[13] Советская Грузия к 50-летию...» стр. 222.
[14] „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება“, 1976, გვ. 89.
[15] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 246 – 247.
[16] **იქვე.**
[17] გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 4 იანვარი, 14 მაისი.
[18] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 257.
[19] **იქვე,** გვ. 246-247.
[20] „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას“, გვ. 52.
[21] ცხრილი შედგენილია კრებულის „საქართველოს სსრ მეცხრე ხუთწლედში“, თბ., 1976, გვ. 17 – 37 მიხედვით.
[22] **მ. ბინიაშვილი,** ქართული საბჭოთა კულტურის საერთაშორისო კონტაქტების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1972, გვ. 183.
[23] **იქვე,** გვ. 191.
[24] **იქვე,** გვ. 92.
[25] ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 246 – 247.
[26] **იქვე,** გვ. 253.
[27] **იქვე,** გვ. 255.

[28] **გ. ჯიბლაძე,** საქართველოს სსრ მეცხრე ხუთწლედში, „განათლება“, გვ. 13.
[29] გაზ. „კომუნისტი“, 1963 წლის 30 ოქტომბერი.
[30] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას. საქართვლეოს კპ XXIV ყრილობის რეზოლუცია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო“, თბ., 1971, გვ. 36.
[31]"Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 261.
[32] „საქართველოს პროფკავშირების ისტორიის ნარკვევები“, გვ. 631 – 632.

§ 2. ქართული მეცნიერების განვითარება

ა) მეცნიერების განვითარების ღონისძიებანი

მომწიფებული სოციალიზმის პერიოდში ფართოდ განვითარდა საბჭოთა საქართველოს მეცნიერება. საბუნებისმეტყველო დარგების მკვლევარებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ისეთი რთული პრობლემების შესწავლაში, როგორიცაა საბჭოთა ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, ახალი მანქანების ავტომატური და ტელემექანიკური სისტემების შექმნის თეორიისა და პრინციპების გაშუქება, ქიმიური ტექნოლოგიური პროცესებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური გამოყენების ახალი მეთოდების შემუშავება, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო დიდმნიშვნელოვანი საკითხების კვლევა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის, ქართველი ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების უმთავრესი საპრობლემო საკითხების შესწავლა-განზოგადებას.

განვითარებულმა სოციალიზმმა ახალი ამოცანები დააყენა მეცნიერთა კადრების მომზადების დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 იანვრის დადგენილების („სადისერტაციო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებისა და სამეცნიერო წოდებების მინიჭების წესების შესახებ“)[1] და 1961 წლის 13 ივნისისა და 1967 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებათა („სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ“)[2] შესაბამისად გაუმჯობესდა მეცნიერული კადრების მომზადებისა და ატესტაციის სისტემა. მნიშვნელოვნად გადიდდა რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა. 1960 – 1975 წწ. სამეცნიერო დაწესებულებათა (უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად) რიცხვი გაიზარდა 170-დან 188-მდე, ხოლო მეცნიერ მუშაკთა კონტინგენტი – 7,3 ათასიდან 23,9 ათასამდე. 1975 წელს რესპუბლიკაში უკვე ითვლებოდა ათობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ფილიალი და განყოფილება.

1959 – 1975 წლებში მეცნიერებათა დოქტორების რიცხვი გაიზარდა 430-დან 1174-მდე[3].

1975 წლისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 42 სამეცნიერო დაწესებულებიდან საბუნებისმეტყველო პრობლემებს იკვლევდა 26, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საკითხებს – 16. ამ დაწესებულებათა მეცნიერული კვლევის ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას ახორციელებდნენ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა, გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის ბიოლოგიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ენისა და ლიტერატურის, სამედიცინო და სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილებები. აქედან ბოლო სამი განყოფილება მეცხრე ხუთწლედში ჩამოყალიბდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებას „ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“[4] და 1963 წლის 11 აპრილის დადგენილებას „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“[5]. ამ მითითებათა შესაბამისად გარდაიქმნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ხელმძღვანელობის სისტემა, გაუმჯობესდა მეცნიერული კვლევის დაგეგმვის კოორდინაციის ფორმები და მეთოდები, უფრო ამაღლდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის როლი მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრაში, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუნდამენტურ გამოკვლევათა ხელმძღვანელობაში; რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც 1965 წლის დამლევს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტად გადაკეთდა.

მეცნიერებათა წამყვანი დარგების შემდგომი განვითარების ამოცანებზე იმსჯელა მეცნიერ მუშაკთა რესპუბლიკურმა თათბირმა (1961 წლის ივნისი), რომელმაც განიხილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნ. მუსხელიშვილის მოხსენება „მეცნიერ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგებისა და საქართველოს მეცნიერთა ამოცანების შესახებ“. „წარმოებისა და მეცნიერების მუშაკთა გაერთიანებულმა შემოქმედებითმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, ადამიანის სიცოცხლის

გახანგრძლივება[6]“, - ნათქვამია თათბირის მიმართვაში მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებისადმი.

1964 წლის 24 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელსაც ესწრებოდნენ სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები და წარმოების ნოვატორები, შეიმუშავა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი[7].

60-იანი წლების პირველ ნახევარში შეიქმნა მეცნიერულ გამოკვლევათა ორგანიზაციის, დაგეგმვისა და კოორდინაციის ახალი ფორმა – სამეცნიერო საბჭოები. 1975 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებანი აერთიანებდნენ 70-მდე სამეცნიერო საბჭოს, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობით ახორციელებდნენ რესპუბლიკაში მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციას უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მიხედვით[8]. საპრობლემო სამეცნიერო საბჭოებს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ე. ხარაძე, თ. დავითაია, ა. ფრანგიშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ა. ჩიქობავა, გ. ჭოღოშვილი, კ. ზავრიევი, რ. აგლაძე, გ. ციციშვილი, ფ. თავაძე და სხვა ცნობილი მეცნიერები.

უკანასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვნად ამაღლდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი როლი ეროვნული რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. 1967 წლის მაისში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოიწონა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიმდინარე და პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი გეგმების ძირითადი მიმართულებანი. ამ გეგმების შესაბამისად რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებები მოთავენი გახდნენ საკავშირო მნიშვნელობის შემდეგი სამეცნიერო პრობლემების დამუშავებისა: „გალაქტიკის სტრუქტურა და დინამიკა“ (აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია). „რადიაციული მასალათმცოდნეობა“ (ფიზიკის ინსტიტუტი), „მთიანი ტერიტორიის გარდაქმნის კომპლექსური შესწავლა“ (ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი).

მეტალურგიის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის, ფარმაკოქიმიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 10 დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში[9].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სათანადო ყურადღებას უთმობდნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობაში

მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვის გზით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1973 წელს მიიღეს დადგენილება მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის პირობებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

1975 წლის 20 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, უწყებრივი სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებების წარმომადგენლებთან განიხილა საკითხი „რესპუბლიკის მეცნიერთა ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით“ (მომხ. მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ხარაძე). ამ კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ[10].

რესპუბლიკის მეცნიერთა წინაშე მდგარ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ დასახა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი და შეიმუშავა მეცნიერთა მონაწილეობის გეგმა სახალხო მეურნეობაში ეფექტიანი ნამუშევრების დასანერგავად. მეცნიერულ-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სპეციალურ თათბირებზე, სადაც მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების სპეციალისტები და ხელმძღვანელი მუშაკები, განისაზღვრა აკადემიის მეცნიერთა ამოცანები კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და ახალი მიწების ჩაისა და სხვა კულტურების საჭიროებისათვის გამოყენების საქმეში; უხვმოსავლიანი და ყინვამედეგი ჯიშების ჩაის გამოყვანა-დანერგვაში, მევენახეობის, მებაღეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაში, სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი პრეპარატების შექმნაში, შავი ზღვის სანაპირო ზონის გამაგრების, მიწის პროდუქტიულობის გადიდებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადაწყვეტაში.

1973 – 1975 წლებში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შრომითი კოლექტივები დიდი ენთუზიაზმით იბრძოდნენ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ასამაღლებლად, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად, საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო საკოორდინაციო საბჭოებისა და კომისიების საქმიანობა, გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა, გაუმჯობესდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1975 წლის დამდეგს აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობდა 9,1 ათასი კაცი, მათ შორის მეცნიერ მუშაკი იყო 4,1 ათასი, აქედან მეცნიერებათა დოქტორი –

326, აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი – 116. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის 60 თანამშრომელი მონაწილეობდა 85 საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციაში, კავშირში, დარგობრივ კომისიაში, საბჭოსა და სექციაში[11]. მათი ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომა ღირსეულად დაფასდა. საბჭოთა მეცნიერების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 1975 წლის აგვისტოში ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა.

რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის დიდი ეროვნული კერაა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1959 წლიდან აქ შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი პრობლემური ლაბორატორიები, რითაც კიდევ უფრო გაფართოვდა პროფესორ-მასწავლებელთა მეცნიერული მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თეორიული და გამოყენებითი პრობლემების დამუშავებას, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხების კომპლექსურ შესწავლას.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის შემდგომ პერსპექტივებს განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა ბუნებისმეტყველების წამყვანი დარგების მიღწევები[12], სადაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს გამოთვლითი მათემატიკა და გამოთვლითი ტექნიკა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 მარტის დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორია, რომელიც მალე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა და წარმატებით იკვლევს ფიზიკის, ტექნიკის, ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან დაკავშირებულ მათემატიკურ პრობლემებს.

ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტართა ფიზიკისა და კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორიები, აგრეთვე ბირთვული ფიზიკის, დაბალი ტემპერატურის ფიზიკის, ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა-ძიებისა და უნივერსიტეტის სხვა სამეცნიერო ლაბორატორიები.

სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით დაისვა უნივერსიტეტის კომპლექსის აშენების საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საბურთალო-ბაგების რაიონში უნივერსიტეტისათვის გამოყო 240 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც 1965 წელს დაიწყო 14-სართულიანი კორპუსისა და ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიისათვის საჭირო შენობის აგება[13]. დამუშავდა გენერალური გეგმის საპროექტო დავალებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 30 ივლისს მიიღეს დადგენილება „თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსის მშენებლობის შესახებ“, დასახეს მშენებლობის ტემპების შემდგომი დაჩქარების ღონისძიებანი.

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“[14]. ამ დადგენილებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასახელებულია საბჭოთა კავშირის წამყვან 25 უმაღლეს სასწავლებელს შორის, რომლებშიც სრულდებოდა სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი მეცნიერული გამოკვლევები და ფართო შესაძლებლობანი იყო შექმნილი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ახალი დარგების განვითარებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1966 წლის 1 ნოემბერი. ამ დღეს მას ეწვია ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გულთბილი მიღებისათვის და უსურვა დიდი წარმატებანი პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში[15].

განმტკიცდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური და ფინანსური ბაზა. მარტო 1973 წელს სამეცნიერო მოწყობილობათა შესაძენად დაიხარჯა 892 ათასი მანეთი. სამეცნიერო მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრები 1963 – 1973 წლებში შეადგენდა 2,5 მლნ მანეთს. 1974 წლისათვის უნივერსიტეტის 16 ფაკულტეტის 116 კათედრაზე, ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და 10 პრობლემურ და სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორებში ამუშავებდნენ 750-მდე თემას[16].

1959 წელს ს. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად შეიქმნა ვ. ი . ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის მეცნიერთა მრავალათასიანი კოლექტივის საქმიანობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარება.

სპეციალისტთა კადრების მომზადებასა და მეცნიერული კვლევის დარგში ღირსეული წვლილისათვის 1972 წლის 6 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ამ დიდმა აღიარებამ ინსტიტუტის კოლექტივს დიდი ამოცანები დააკისრა სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიზანდასახულობათა განხორციელებაში.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დარგში კვლევითი მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, იგი მოთავეობდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მიღწევების დანერგვას წარმოებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების გამო, ორგანიზაციულად განმტკიცდა რეპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ქსელი (მეცნიერებათა აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სამეცნიერო დაწესებულებანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულისა და ჩაქვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვ.). რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო დაწესებულებებში შეიქმნა სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშები, გარკვეული მუშაობა ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, მინერალური სასუქების გამოყენებისა და მიწების მელიორაციის სისტემის გასაუმჯობესებლად, შრომის ხარჯებისა და თვითღირებულების შესამცირებლად. შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

ამ წარმატებათა მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კვლევის დონე და მოცულობა რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, ჯერ კიდევ არ შეესაბამებოდა საბჭოთა საზოგადოების შემდგომი მძლავრი განვითარების ამოცანებს. ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებამ „სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“[17], სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმმა „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“[18] და პარტიის XXIV ყრილობამ დასახეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების ტემპის დაჩქარებაში მეცნიერების როლის შემდგომი ამაღლების, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანული შეხამების, სამეცნიერო კოლექტივებში შემოქმედებითი კვლევა-ძიებისა და მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნის ღონისძიებანი კომუნისტური მშენებლობის აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად[19].

ქართული საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა საზოგადოების განვითარების ტენდენციების გამოკვლევა, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების პრობლემების, აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების

შესწავლა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 14 აგვისტოს დადგენილების „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“[20], და 1971 წლის 21 დეკემბრის - „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“[21]. დადგენილების, განსაკუთრებით კი 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციებში შეიქმნა მეცნიერების წამყვანი დარგების შემდგომი განვითარების ხელსაყრელი პირობები.

როგორც აღინიშნა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს, არსებითად კი რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციას დაავალა „აამაღლოს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონე. უზრუნველყოს მეცნიერული გამოკვლევების კონცენტრაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების ყველაზე მნიშვენლოვან პრობლემებზე, გააძლიეროს ინსტიტუტების, კათედრების, ლაბორატორების მუშაობის ეფექტიანობა, შექმნას თითოეულ სამეცნიერო კოლექტივში შემოქმედებისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარება. აღზარდოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები საზოგადოების წინაშე თავისი შრომის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, განამტკიცოს მათი კავშირი საწარმოო კოლექტივებთან“[22].

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ-მუშაკებმა ამ მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნეს მუშაობა და მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებები, ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და წარმოებასთან კავშირის განმტკიცებაში.

ბ) მეცნიერული კვლევის უმთავრესი შედეგები

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში ქართველმა საბჭოთა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს საბუნებისმეტყველო დარგების განვითარებაში.

მეთემატიკოსები და მექანიკოსები მეცნიერულ კვლევას აწარმოებდნენ შემდეგი ტრადიციული მიმართულებებით – რიცხვთა თეორია, ფუნქციათა თეორია, ტოპოლოგია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებანი, გამოთვლითი მათემატიკა და სხვ. ქართული მათემატიკური სკოლის მიღწევების საყოველთაო აღიარების მაჩვენებელია ისიც, რომ აკად. ნ. მუსხელიშვილს 1972 წელს მეინიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო – მ. ლომონოსოვის ოქროს მედალი.

ქართველი მეცნიერები ამუშავებდნენ მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანების, ელიფსური ტიპის განტოლებებისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების შესწავლის ახალ მეთოდებს. 1962 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. რ. გამყრელიძეს, სხვა საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, ნაშრომების ციკლისათვის ჩვეულებრივი დიფერენციული განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის თეორიასა და რხევის თეორიაში მიენიჭა ლენინური პრემია.

ლენინური პრემია 1963 წელს მიენიჭა აკად. ი. ვეკუას ნაშრომისათვის „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, რომელიც გამოქვეყნდა 1959 წელს.

აკად. ნ. ვეკუამ გამოაქვეყნა ნაშრომი „სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები“, რისთვისაც მას 1975 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. მათემატიკის აქტუალურ პრობლემებს იკვლევდნენ აკადემიკოსები კ. მარჯანიშვილი, ა. ბიწაძე, ა. ხარაძე, შ. მიქელაძე და სხვ.

მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის დარგებიდან ინტენსიური მუშაობა გრძელდებოდა დრეკადობის თეორიის საკითხებზე. კვლევის ძირითადი შედეგები განზოგადებულია კოლექტიურ მონოგრაფიაში „დრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“ (ხელმძღვანელი აკად. ვ. კუპრაძე), რომელსაც 1971 წელს მიენიჭა საქართელოს სსრ სახელმწიფო პრემია.

დრეკადი გარსების თეორია უწყვეტი სხეულების მექანიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს სამშენებლო საქმესთან. ამ მიმართულებით დამუშავებულია ახალი მეთოდი, აგებულია გარსთა თეორიის რამდენიმე ვარიანტი, რომელთა გამოყენებით გაანგარიშებულია სამეურნეო ხასიათის პრაქტიკული ამოცანები. ამ სამუშაოს თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე ასრულებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მათემატიკოსები და ინჟინრები[23].

მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის დარგში გამოკვლეულია რადიაციული დეფექტების გენერაციის კანონზომიერებანი და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები (აკად. გ. ხუციშვილი, მეცნ. დოქტ. ლ. ბუიშვილი და სხვ.). მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკისა და ბიოფიზიკის პრობლემების კვლევის სამუშაოებს ხელმძღვანელობას უწევდა აკად. ე.

ანდრონიკაშვილი. ქართველ ფიზიკოსთა ბევრმა ნაშრომმა ფართო აღიარება პოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში. 1970 წელს მეცნ. დოქტორებს გ. ჩიქოვანს, ვ. როინიშვილსა და თ. ასათიანს ნაშრომისათვის „ტრეკის ნაპერწკლოვანი კამერები“ მიენიჭათ ლენინური პრემია.

ქართველმა ასტრონომებმა გალაქტიკის შერჩეულ უბნებში მოახდინეს ვარსკვლავთა ორგანზომილებიანი კლასიფიკაცია, შეადგინეს 30 ათასამდე ვარსკვლავის სპექტრული ტიპებისა და ნათობათა კლასების კატალოგები; ააგეს ნათობის ფუნქციები, აღმოაჩინეს ასობით პეკულიარული ვარსკვლავი, შეისწავლეს მათი განაწილება გალაქტიკის სიმეტრიის სიბრტყეში (აკად. ე. ხარაძე, მეცნ. კანდ. რ. ბართაია). აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობის წესით, დამუშავდა და დაინერგა ხელოვნური კოსმოსური ობიექტების ზუსტი კოორდინატების დადგენის მეთოდიკა, რისთვისაც მეცნ. კანდ. რ. კილაძესა და სხვა მეცნიერებს 1971 წელს მიენიჭათ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია[24].

მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა ქართველი გეოფიზიკოსების მუშაობა. მაგნიტურ, სეისმურ, გეოელექტრონულ და სხვა გეოფიზიკურ მოვლენებზე დაკვირვებისას მათ მიერ მიღებული შედეგები ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობაში. გეოფიზიკოსებმა გამოიკვლიეს ღრუბლების წარმოქმნის პროცესები, დაამუშავეს ღრუბლებზე ზემოქმედების მეთოდიკა, ალაზნის ველის ბუნებრივ პირობებში განახორციელეს ღრუბლებზე რაკეტული ზემოქმედების ახალ საშუალებათა გამოცდა სეტყვის ასაცილებლად. მათ შექმნეს პირველი სეტყვის საწინააღმდეგო სამამულო რაკეტები, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი ბალისტიკური და გეოფიზიკური მაჩვენებლები. სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტებისა და ჭურვების გამოყენებით სეტყვასთან ბრძოლის მეთოდისა და საშუალებების დამუშავებისა და დანერგვისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის, ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტისა და სხვა დაწესებულებათა მუშაკებს (ა. ბუხნიკაშვილი, გ. სულაქველიძე, ნ. ხიბილაშვილი, ბ. კიზირია, ე. ფედოროვი და სხვ.) 1969 წელს მიენიჭათ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

მეცხრე ხუთწლედში ქართველმა სეისმოლოგებმა გამოიკვლიეს რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური რეჟიმი და მიწისძვრების პარამეტრები, დედამიწის ქერქისა და მანტიის აგებულება, შეადგინეს სეისმური დარაიონების რუკა, რომელიც მსხვილ ნაგებობათა რაციონალური განლაგების საფუძველია. ენგურჰესის მთავარი კაშხალის ტერიტორიაზე შესწავლილია ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის უშიშროებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი – დედამიწის ქერქის ნელი მოძრაობები (აკად. ბ. ბალავაძე და სხვ.).

დაწინაურდა ქართული გეოლოგიური სკოლა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის

გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრების მეცნიერმა მუშაკებმა გამოიკვლიეს თანამედროვე გეოლოგიური მეცნიერების ძირითადი დარგების – პალეონტოლოგიის, ტექტონიკის, მინერალოგიის, ვულკანოლოგიის, გეოლოგიის, საინჟინრო გეოლოგიის, იზოტოპების გეოლოგიის, სასარგებლო ნამარხთა საბადოების გეოლოგიისა და სხვა დარგების უმნიშვნელოვანესი საკითხები. მათ შეისწავლეს მაგნიტიზმის განვითარების, ზემო რაჭის სტიბიუმის, ვოლფრამისა და მოლიბდენის გამადნებათა ფორმირებისა და სივრცეში განაწილების კანონზომიერებანი, წყალქვეშა ვულკანიზმის როლი ნალექდაგროვების პროცესებში, გამოიკვლიეს რესპუბლიკის ზემო-კაინოზოური ფაუნა, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს სილიციუმის მაღალი შემცველობის ბუნებრივი ცეოლითების საბადოთა გამომჟღავნების მეთოდების შესაქმნელად. შეადგინეს და გამოსცეს კავკასიის ტექტონიკური რუკა (მთავარი რედაქტორი აკად. პ. გამყრელიძე), რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ჩრდილო კავკასიისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა გეოლოგიური კოლექტივები[25].

ქართველ გეოლოგთა ბევრმა ნაშრომმა ფართო აღიარება პოვა არა მარტო რესპუბლიკასა და მთელ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აკად. გ. ძოწენიძეს, სხვა ცნობილ ქართველ გეოლოგებთან ერთად, მონოგრაფიაში „ვულკანოგენური ფორმაციების მადნიანობა“ დასმული პრობლემების გადაწყვეტისათვის 1972 წელს მიეკუთვნა ლენინური პრემია. რესპუბლიკის გეოლოგების მიღწევები შეჯამებულია განმაზოგადებელ ნაშრომში „სსრ კავშირის გეოლოგია“ (ტ. 10, საქართველოს სსრ. ნაწ. I, გეოლოგიური აღწერა), რომლის ავტორებს აკადემიკოსებს პ. გამყრელიძეს, ი. კაჭარავას, ა. ცაგარელს, წევრკორესპონდენტებს გ. ზარიძეს, მ. რუბინშტეინსა და სხვებს 1973 წელს მიეკუთვნათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

50-იანი წლების დამლევსა და 60-იანი წლების დამდეგს ქართველი გეოგრაფების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთავარი მიმართულება იყო ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების განვითარებისა და გარვცელების კანონზომიერებათა დადგენა, ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსური რეგიონული კვლევა-ძიებანი და ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, საქართველოს სსრ კომპლექსური გეოგრაფიული ატლასის შედგენა[26]. რესპუბლიკის გეოგრაფებმა სსრ კავშირის პროგნოზების ცენტრალური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან თანამშრომლობით შეიმუშავეს ვეგეტაციური პერიოდის სითბოთი უზრუნველყოფისა და მოსალოდნელი მოსავლის დაახლოებითი რაოდენობის პროგნოზის მეთოდი (აკად. თ. დავითაია, პროფ. ნ. ვლადიმიროვი); დაადგინეს ბუნებაში თავისუფალი ჟანგბადის კლებადობის მაჩვენებლები; გამოიკვლიეს სხვადასხვა პერიოდებისა და ეპოქების ატმოსფეროს გაზობრივი შემადგენლობის დინამიკური წონასწორობა ცოცხალი ორგანიზმების განვითარებასთან კავშირში. მაღალმეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე

შესრულდა საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასი, რისთვისაც აკადემიკოსებს ა. ჯავახიშვილსა და თ. დავითაიას, მეცნ. დოქტორებს ვ. ჯაოშვილს, ნ. ვლადიმიროვს, ა. ასლანიკაშვილსა და სხვებს 1971 წელს მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, ხოლო აკად. თ. დავითაიას, საბჭოთა და კუბელ მეცნიერებთან ერთად, კუბის ეროვნული ატლასის შექმნისათვის 1973 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საქართველოში დაწინაურდა ტექნიკურ მეცნიერებათა ახალი დარგები: კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა, ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, რადიოტექნიკა და ტელემექანიკა. გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების ამ დარგებში მიღებულია საგულისხმო შედეგები. მნიშვნელოვან მიღწევებს მიეკუთვნება ხელოვნური კონცეპტუალური ინტელექტის ორიგინალური თეორიის დამუშავება, რომელიც იძლევა ძირითადი ინფორმაციული პროცესების იმიტაციისა და ხელოვნური ინტელექტის სხვა პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას. ამ თეორიის საფუძველზე შემუშავდა სახეთა გამოცნობის, რთული სისტემების მდგომარეობის დიაგნოსტიკის, გადაწყვეტილებათა მიღების, გადამწყვეტი მოქმედების შერჩევის, მწვავე სიტუაციაში და შეზღუდული ინფორმაციის პირობებში დაგეგმვის ალგორითმები და პროგრამები.

ქართველმა კიბერნეტიკოსებმა დაამუშავეს ალბათური ლოგიკის პრინციპებზე აგებული უნივერსალური მმართველი მანქანების თეორია, შექმნეს სწრაფმოქმედი გამოთვლითი მანქანებისა და სხვა კიბერნეტიკული სისტემები, რომლებიც დამყარებულია ახალ ფიზიკურ, ბიოლოგიურ და მათემატიკური ლოგიკის პრინციპებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში ჯერ კიდევ 1964 წელს შექმნილი და გამოყენებული გამოთვლითი მანქანა მეტყველების ავტომატური გამოცნობის დარგში[27].

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული აგრეთვე ავტომატური მართვის თეორიაში რუსულიდან ქართულ ენაზე ავტომატური თარგმნის ალგორითმის შექმნაში, არაკოჰერენტულ ოპტელექრონიკის ფიზიკურ-ტექნიკური და გამოყენებითი საფუძვლების დამუშავებაში, რისთვისაც პროფ. ხ. გაფრინდაშვილსა და სხვა მეცნიერებს 1973 წელს მიენიჭათ უკრაინის სსრ სახელმწიფო პრემია.

სამშენებლო მექანიკისა და ანტისეისმური მშენებლობის ხაზით დამუშავდა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სეისმომედეგობაზე ანგარიშის სპექტრალური მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო დაპროექტების ახალ ნორმებს სეისმური რაიონებისათვის. შეიქმნა სეისმური მიკროდარაიონების ახალი ინსტრუქცია, რომლის მიხედვით შედგა ქ. თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მსხვილი სამშენებლო ობიექტების სეისმური მიკროდარაიონების რუკები, თაღოვანი კაშხალების, ურღვევი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების დაზუსტებული მეთოდი, რომლის

საფუძველზე შესრულდა ენგურისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გაანგარიშებანი[28]; დამუშავდა მაღაროს ტურბომანქანებში მიმდინარე არასტაციონარული პროცესების თეორია, სამთო მექანიკის სისტემების დიდმნიშვნელოვანი საკითხები; გამოვლინდა ბაგირგზების ავტომატიზებული ამძრავის ორიგინალური კონსტრუქციის ახალი შესაძლებლობები.

შესწავლილ იქნა ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდებისა და ჭიათურის მაღაროებში ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების სრულყოფის საკითხები. ამ მეთოდის დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მადნის დანაკარგები, მიღებულ იქნა დიდი ეკონომიკური ეფექტი მადნეული საბადოების დამუშავების მეცნიერული საფუძვლების განმტკიცებისათვის. საქართველოს ფენობრივი საბადოების მაგალითზე შახტებისა და მაღაროების აეროლოგიის დამუშავების ეფექტიანი სისტემების დარგში სამუშაოთა ციკლისათვის აკად. ა. ძიძიგურს, მეცნ. დოქტორებს ი. ზურაბაშვილს, შ. ონიანსა და ვ. ჭანიშვილს, მეცნ. კანდიდატებს ვ. კალანდაძესა და ა. მიქეალძეს 1973 წელს მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

გაფართოვდა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა გამოყენებითი მექანიკის ერთ-ერთ წამყვან დარგში – მანქანათმცოდნეობაში. დამუშავებულ იქნა მთის პირობებში მომუშავე მობილური მანქანებისა და მათი შიგაწვის ძრავების გაანგარიშების ზოგადი თეორია და მეთოდი (აკად. რ. დვალი და ვ. მახალდიანი), რომელთა მეშვეობით გადაწყდა სამთო მიწათმოქმედების მანქანების კონსტრუირების პრინციპული საკითხები. მობილური მანქანების ახალი თეორია, რომელიც ემყარება მანქანების წონასწორობას დედამიწის დახრილი სიბრტყის პირობებში, უნივერსალური და გამოსადეგიცაა ექსპლოატაციის მრავალფეროვან პირობებში, მათ შორის დაბლობ და მთიან ადგილებში. ქართველ მეცნიერთა კვლევის ზოგიერთი შედეგი შესულია სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების შიგაწვის ძრავებისა და ტრაქტორის თეორიის სახელმძღვანელოებში[29]. 1971 წელს აკად. ვ. მახალდიანს სამუშაოთა ციკლისათვის სამთო პირობებში მომუშავე ავტოსატრაქტორო ძრავების თეორიაში, ხოლო 1973 წელს აკად. რ. დვალს სამთო პირობებში მომუშავე მობილურ მანქანათა თეორიაში ჩატარებული სამუშაოების ციკლისათვის, მიენიჭათ საქართვლოს სსრ სახელმწიფო პრემიები.

გაფართოვდა კვლევითი მუშაობის მასშტაბი სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგში. 1962 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი, სადაც წარმატებით იკვლევდნენ მსხვილპანელიანი სეისმომედეგი მშენებლობის პრობლემებს. გარსის სივრცითი თეორიის განვითარების საკითხებს (აკად. ო. ონიაშვილი). ქართველმა მეცნიერბმა შეიმუშავეს მაღალი სეისმომედეგობის მქონე ორიგინალური კონსტრუქციის მსხვილპანელიანი საცხოვრებელი

სახლების პროექტები, გადაწყვიტეს რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი დინამიკური ამოცანები.

თანამედროვე ქიმიისა და მეტალურგიის აქტუალური პრობლემების დამუშავებისას მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღეს საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთაც. ამ წარმატებათა ერთ-ერთი ფაქტორია საქართველოს ქიმიკოსების, ისე როგორც რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო დარგის მუშაკების, მჭიდრო კავშირი ჩვენი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების წამყვან მეცნიერებთან: ერთობლივი საკავშირო სამეცნიერო კონფერენციები და თათბირები, აკადემიკოსების ნ. ლანდიას, ლ. მელიქაძის, პროფ. ვ. ჩაგუნავას, პრობლემური ლაბორატორიების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ტექნოლოგიის ფაკულტეტისა და რესპუბლიკის სხვა მეცნიერული უჯრედების თანამშრომლობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის დაწესებულებებთან დიდმნიშვნელოვანი პრობლემების ერთიანი ძალებით გადაწყვეტისათვის[30].

60-იან წლებში ქართველმა ქიმიკოსებმა გამოიკვლიეს ახალი ლუმინესცენციური ნივთიერებანი, დაამუშავეს თერმოდინამიკური თვისებების გაანგარიშებისა და ვაზისა და სხვა მცენარეთა ქლოროზთან ბრძოლის ეფექტიანი ორგანულ-მიენალური პრეპარატების მიღების მეთოდები, შეისწავლეს მაღალი ენერგიის გამოსხივების ზემოქმედება გოგირდშემცველი ნაერთების ჟანგვითი რეაქციებისას. წარმატებით დამთავრდა აგრეთვე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროლიზური მანგანუმის მისაღებ საამქროში ვერცხლის შემცველი ტყვიის ანოდების გამოცდა, გადაიდგა ნაბიჯები მანგანუმის ღარიბი მადნებიდან ელექტროლიზური მანგანუმის მისაღებად[31].

მეცხრე ხუთწლედში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის ხაზით დამუშავდა იაფი ბუნებრივი ნედლეულიდან ცეოლითებისა და ალუმინსილიკატების სხვადასხვა იონმიმოცვლითი ფორმების მიღებისა და მათი სინთეზის მეთოდები. ცეოლითები გამოცდილია და რეკომენდებულია ჰაერის გასაწმენდად და გასაშრობად, კატალიზური ჰიდრირებისათვის. მიღებულია ახალი მაღალეფექტური კატალიზატორები, რომელთაც ახასიათებს ჰიდრირების, ამინოლიზისა და სხვა ორგანულ რეაქციებში მაღალი გამოსავლიანობა და სელექციურობა; შესწავლილია საქართველოს ნავთობების ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება, მათი გამოყენების გზები. საყურადღებო ნაშრომებია შექმნილი ქიმიური თერმოდინამიკის დარგში, კერძოდ, სითბური და მაგნიტური თვისებების სფეროში; შემუშავებულია გასაზომი ტექნიკის სრულყოფისა და გაზომვის მონაცემების მათემატიკური დამუშავების მეთოდები, რომლებიც შეტანილია საბჭოთა და საზღვარგარეთის საცნობარო გამოცემებში. მეტალურგიის დარგში ჩატარდა ფართო მასშტაბის სამუშაოები მძლავრი დახურული ტიპის ელექტროღუმელების მრეწველობაში

დასანერგავად, შეიქმნა და ჩვენი ქვეყნის ქარხნებში დაინერგა ფოლადის ბევრი ახალი სხვადასხვა შენადნობი.

საგულისხმო შედეგებია მიღებული თანამედროვე ბიოლოგიურ მეცნიერების ძირითად მიმართულებათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვლევაში. საყურადღებოა მიღწევები ბოტანიკის, ფიზიოლოგიის, პალეონტოლოგიის, ექსპერიმენტული მორფოლოგიისა და ბიოლოგიის სხვა დარგებში. რესპუბლიკის ბოტანიკოსებმა გამოიკვლიეს ციტრუსოვანთა ყინვაგამძლეობისა და ვაზის ფესვური კვების რეგენერაციული პროცესების ფიზიოლოგიური საფუძვლები; გამოაქვეყნეს საქართველოს აგროგეობოტანიკური რუკა, რომლის მეშვეობით განისაზღვრა აგროგეობოტანიკურ ზონებსა და რაიონებში სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების პერსპექტიული მიმართულებანი.

ქართველ ფიზიოლოგთა საქვეყნოდ აღიარებულმა სკოლამ, რომელსაც აკად. ი. ბერიტაშვილი ხელმძღვანელობდა, მიიღო ახალი შედეგები უმაღლესხერხემლიან ცხოველთა მეხსიერების სხვადასხვა სახეების დახასიათებისა და ახალი ქერქის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ხატისმიერი მეხსიერების რეალიზაციაში. ქართველმა ფიზიოლოგებმა შეისწავლეს ემოციური რეაქციებისა და ძილის სტრუქტურის საკითხები, დაადგინეს ტვინის ნახევარსფეროთა ურთიერთქმედების მნიშვნელობა მეხსიერების კვალის ფიქსაციაში; გამოიკვლიეს ცხოველთა სინაპტოსომური ცილების ფრაქციის მოლეკულური წონა, მისი ამინომჟავური შედგენილობა. გაფართოვდა სამუშაოები პალეობიოლოგიის ისეთი პრობლემების შესაწავლად, როგორიცაა ევოლუციური პროგრესის საკითხები და კავშირი ონტოგენეზსა და ფილოგენეზს შორის. ზოოლოგიის დარგიდან მნიშვნელოვანი მიღწევა იყო სსრ კავშირის სამხრეთის კონტინენტური ნეოგენური დანალექების სტრატოგრაფიული პარალელიზაცია, ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის კაინოზოური დანალექების ბიოსტრატოგრაფიული პოლარიზაციის სქემების შემუშავება[32].

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის განყოფილება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას სისტემატურ კონსულტაციას უწევდა მეცნიერულ-ორგანიზაციულ საკითხებში. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მხარდაჭერით საზღვარგარეთ მეცნიერული მივლინებით იყვნენ გაგზავნილი: 1963 – 1969 წწ. შვეიცასა და პოლონეთში ფიზიოლოგიისა და ტვინში სისხლის მიმოქცევის პათოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი პროფ. გ. მჭედლიშვილი, 1970 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ლაბორატორიებში – ტვინის ნახევარსფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე პროფ. ვ. მოსიძე, ხოლო 1968–1969 წწ. – ნევროლოგიური ინსტიტუტის ელექტროფიზიოლოგიური ლაბორატორიის გამგე აკად. ვ. ოკუჯავა[33].

საყურადღებო გამოკვლევები გამოქვეყნდა ფილტვების დაავადების მკურნალობისა და სისხლძარღვთა ქირურგიის საკითხებზე, მეანობისა და

გინეკოლოგიის პრობლემებზე. ბევრი მათგანის მნიშვნელობა შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. 1961 წელს აკად. ნ. ანთელავას, სხვა საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, ფილტვების დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის ორიგინალური მეთოდების შემუშავებისა და ფართო სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვისათვის, მიენიჭა ლენინური პრემია. აკადემიკოსმა კ. ჩაჩავამ გინეკოლოგიისა და მეანობის დარგში შექმნილ ნაშრომთა ციკლისათვის 1968 წელს დაიმსახურა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, ხოლო აკადემიკოსებს კ. ერისთავსა და მ. კომახიძეს, პროფ. გ. იოსელიანს სისხლძარღვთა ქირურგიის საკითხებზე 1958 – 1973 წწ. შექმნილ ნაშრომთა ციკლისათვის 1975 წელს მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის მკვლევარები ინტენსიურ მუშაობას ეწეოდნენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის შესასწავლად, კერძოდ, სისხლძარღვთა სისტემების შესაძლებლობათა პოტენციალის გამოსავლინებლად.

ბიოქიმიკოსთა ნაშრომებმა მცენარეთა კულტურების ბიოქიმიასა და მცენარეთა ნედლეულის ტექნოლოგიის ბიოლოგიური საფუძვლების დამუშავების სფეროში ფართო აღიარება პოვეს მთელ ჩვენს ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთაც. მათ გამოიკვლიეს მცენარეულ უჯრედებში კანცეროგენული ნახშირწყალბადების დეტოქსიკაციის გზები: გამოავლინეს მცენარეთა თვისება – შეითვისონ და გარდაქმნან ადამიანისათვის მავნე მთელი რიგი ნაერთები; დაადგინეს უმაღლეს მცენარეთა ქსოვილებში ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ორგანული ნაერთების ღრმა ჟანგვითი გარდაქმნები.

1959 – 1975 წლებში საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში შეიქმნა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ამაღლდა კულტურულ მცენარეთა სელექციური შესწავლის დონე. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაწესებულებებში, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტში, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებში, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და მეცნიერებათა აკადემიის რიგ ინსტიტუტებში, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთ კათედრაზე სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, მიწების მელიორაციისა და ეფექტიანად გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებასთან ერთად მიღებულ იქნა კულტურულ მცენარეთა მაღალხარისხოვანი სახეები[34].

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა ერთ ჯგუფს (შ. კერესელიძე, დ. ნასარიძე, გ. ოგანეზოვი, თ. ჭეიშვილი, გ. ედიბერიძე, შ. დარჯანია) ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის პროცესის მექანიზაციის დარგში ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის 1967 წელს მიენიჭა ლენინური პრემია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ხორბლისა და ამიერკავკასიის სხვა კულტურულ მცენარეთა ბოტანიკურ-გენეტიკური და სელექციური შესწავლის დარგში ნაშრომთა სერიისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლ. დეაპრილევიჩს მიანიჭა 1973 წლის ლ. ვავილოვის სახელობის პრემია[35]. დიდი აღიარება პოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის პროფ. გ. პაპალაშვილის სელექციურმა მეთოდმა. მისი ხელმძღვანელობით გამოყვანილ იქნა მრავალტაროიანი სიმინდის ჯიში, რომელიც წარმატებით დაინერგა სოფლის მეურნეობაში[36]. 1974 წლის 29 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება „პროფ. გ. პაპალაშვილის გამოკვლევათა შედეგების წარმოებაში დანერგვისა და მისი მეთოდებით გენეტიკურ-სელექციური მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“[37].

ფართო გამოხმაურება პოვეს გამოკვლევებმა ნიადაგმცოდნეობაში (აკად. მ. საბაშვილი და სხვ.), მემცენარეობაში (აკად. ი. ლომოური და სხვ.), მცენარეთა დაცვის დარგში (აკად. ნ. ყანჩაველი), მეტეყვეობაში (აკად. ვ. გულისაშვილი), მეცხოველეობაში, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა და სხვა დარგებში. აკად. ვ. გულისაშვილს 1965–1967 წწ. გამოქვეყნებული მონოგრაფიებისათვის („სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის მერქნიანი მცენარეულობის წარმოშობა და მათი მემკვიდრეობითი თავისებურებების განვითარება“, „სტადიურობა მცენარეთა განვითარებაში მათს წარმოშობასთან დაკავშირებით“) 1973 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

განვითარდა კვლევა-ძიებითი სამუშაოები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში. ინტენსიური მუშაობა ჩატარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმის – საქართველოს კომპარტიის ისტორიის შესასწავლად. პარტიის ისტორიის მკვლევარებმა გამოიკვლიეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის უმთავრესი საკითხები, აჩვენეს მშრომელთა ფართო მასების ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის, მენშევიკთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხელისუფლების დამხობისა (ვ. ესაიაშვილი, გ. ჟვანია, ლ. ებანოიძე და სხვ.) და ლენინური პარტიის გენერალური კურსის განხორციელებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანეს დარგში (ვ. მერკვილაძე, ფ. ლომაშვილი, გ. ჯანგველაძე, ლ. თოიძე, ა. მირცხულავა, დ. სტურუა და სხვ.).

შეიქმნა კოლექტიური გამოკვლევები საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე. 1963 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ (ნაწ. მეორე), 1967 – 1972 წწ. რუსულ და ქართულ ენებზე გამოიცა „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტოიის ნარკვევების“ ორტომეული, ხოლო 1971 წელს - „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883 – 1970)“

განმტკიცდა რესპუბლიკის ისტორიულ-პარტიული მეცნიერების წყაროთმცოდნეობითი ბაზა. გამოქვეყნდა დოკუმენტებისა და მასალების კრებული „საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განმტკიცების პერიოდში 1921 – 1925 წწ.“ (1961), „საქართველოს მშრომელები – ვ. ი. ლენინს“ (1964), „საქართველოს კომუნისტური პარტია ციფრებში 1921 – 1970 წწ. სტატისტიკური მასალების კრებული“ (1971)

1959 – 1975 წლებში გამოქვეყნდა საყურადღებო ნაშრომები ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე. დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის დამოკიდებულების საკითხებს მიეძღვნა პროფ. ს. წერეთლის ნაშრომები „ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხები“ (1960), „დასაბუთების დასაწყისი“ (1963), „დიალექტიკური ლოგიკა“ (1965 – 1971 წწ.), აგრეთვე წევრ-კორესპონდენტის ლ. გოკიელის „ლოგიკა“ (ტ. 1–2, 1965 – 1967). ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის საკითხებზე აღსანიშნავია აკად. ა. ბოჭორიშვილის ნაშრომები „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები“ და „შეუგნებლობის პრობლემა ფსიქოლოგიაში“ (1961), „ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის“ (1966) და სხვ.

ქართველ ფსიქოლოგთა კვლევის ძირითადი თემა იყო პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემა, კერძოდ, პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლა. განწყობის ფსიქოლოგიის დარგში მიღებულმა შედეგებმა ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას ფართო აღიარება მოუტანა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ პრობლემებზე გამოქვეყნდა კრებული „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“ (რედ. აკად. ა. ფრანგიშვილი), სადაც გაშუქებულია საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები.

50-იანი წლების დამლევსა და 60-იანი წლების დამდეგს გაფართოვდა პედაგოგიური ფსიქოლოგიის, შრომითი საქმიანობისა და სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების მეცნიერული კვლევა. პედაგოგიური ფსიქოლოგიის ხაზით მუშავდებოდა სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების პრობლემები, ენის როლი სკოლამდელთა ლოგიკური აზროვნების ფორმირებაში, ცალკეული საგნების სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები. ეს საკითხები განხილულია კრებულში „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, რომლის ორტომეული გამოქვეყნდა 1962 – 1965 წლებში. ბავშვის ფსიქოლოგიის პრობლემათა დამუშავებაში საეტაპო მნიშვნელობისა იყო „ბავშვთა ფსიქოლოგიის“ სისტემატური კურსის ორტომეულის გამოცემა (1964 – 1968 წწ.)

ქართველი ფსიქოლოგები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საკავშირო და საერთაშორისო თათბირების, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების მუშაობაში. მათ წაიკითხეს მაღალკვალიფიციური მოხსენებები ფსიქოლოგთა საზოგადოების ლენინგრადის (1959, 1963), კიევისა (1968) და თბილისის (1971) ყრილობებზე; ინიციატორები გახდნენ ამიერკავკასიის ფსიქოლოგთა კონფერენციის მოწვევისა (თბილისი, 1959). ფსიქოლოგთა

მარტო XIX საერთაშორისო კონგრესის მასალებში გამოქვეყნდა დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 12 თანამშრომლის მოხსენების თეზისები თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე[38].

ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში დიდი ყურადღება ეთმობოდა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიკურ კანონზომიერებათა შესწავლას. უკანასკნელ ათწლეულში ქართველ ეკონომისტთა მუშაობის მთავარი მიმართულება იყო სკკპ XXIII და XXIVყრილობათა მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა, კერძოდ, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პრობლემები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და საწარმოო ურთიერთობათა სრულყოფა-განვითარების საკითხები.

ქართული ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი მიღწევაა კოლექტიური ნაშრომი „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“ (ქართ. და რუს. ენებზე, 1972 – 1975). მასში გაშუქებულია სოციალისტურ გარდაქმნათა მთავარი მიმართულებანი, რესპუბლიკის ეკონომიკის წამყვანი დარგების თანამედროვე მდგომარეობა. 1975 წელს ამ მონოგრაფიული გამოკვლევების ავტორთა ერთ ჯგუფს (ი. მიქელაძე, ვ. მელქაძე, პ. ჟღენტი, კ. ჩარკვიანი და სხვ.) მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

საქართველოს ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს აშუქებდნენ თავიანთ მონოგრაფიებში აკადემიკოსები ირ. მიქელაძე, პ. გუგუშვილი, აკადემიის წევრ-კორ. ა. გუნია, პროფესორები: ვ. მელქაძე, გ. ჩანტლაძე, გ. ჭანუყვაძე. სამართლებრივი მეცნიერების საკითხებს იკვლევენ აკადემიკოსი ი. დოლიძე, წევრ-კორესპონდენტი თ. წერეთელი, პროფ. გ. ინწკირველი და სხვ.

ქართველმა ისტორიკოსებმა მონოგრაფიულად შეისწავლეს საქართველოს ისტორიული წარსულის, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ისტორიის საკვანძო საკითხები, ქართველი ხალხის რუს და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ურთიერთობათა ისტორიის პრობლემები.

საქართველოს უძველესი ისტორიის პრობლემებზე აკად. გ. მელიქიშვილმა შექმნა განმაზოგადებელი მონოგრაფიული ნაშრომები „ძველი საქართველოს ისტორიისათვის“ (რუს. ენაზე, 1959), „საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ (1965). ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ანტიკურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს იკვლევენ აკად. ს. ჯიქია, პროფესორები გ. გოზალიშვილი, ვ. ფუთურიძე, თ. ყაუხჩიშვილი, ო. ლორთქიფანიძე, დ. ხახუტაიშვილი და სხვ. გამოქვეყნდა აკად. ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ 8 ტომი, რომლებშიც გაშუქებულია ფეოდალური საზოგადოების ჩასახვა-განვითარების მთავარი საკითხები, მოცემულია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური განვითარების თანამიმდევრული

სურათი, შესწავლილია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები.

ფეოდალური ურთიერთობის გენეზისისა და ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების, კულტურის ისტორიისა და კლასთა ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების შ. მესხიას და ვ. გაბაშვილის, პროფესორების მ. დუმბაძის, მ. ლორთქიფანიძის, ზ. ანჩაბაძის, ი. ცინცაძის, გ. პაიჭაძის, ნ. ნაკაშიძის, ვ. მაჭარაძის და სხვ. ნაშრომები.

ინტენსიური მუშაობა გაიშალა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესასწავლად. გამოქვეყნდა განმაზოგადებელი ნაშრომები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, გლეხობის ისტორიის, კაპიტალიზმის აღმოცენება-განვითარების, ბურჟუაზიული ერის ფორმირების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის საკითხებზე (პროფესორები ი. ანთელავა, პ. რატიანი, გ. ბაქრაძე, გ. მეგრელიშვილი და სხვ.). გრძელდებოდა მუშაობა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების ისტორიის საკითხებზე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ლ. გორგილაძე, ა. სურგულაძე, გ. ძიძარია, პროფესორები ნ. მახარაძე, ა. კიკვიძე, ი. კაჭარავა, გ. მარგიანი, ი. მირცხულავა, ალ. ბენდიანიშვილი და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის გაშუქებას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების თანამშრომელთა ძალებით შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევა - „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში“ (მთავარი რედაქტორი აკად. ი. მინცი).

შესწავლილ იქნა საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, კერძოდ, სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის (ი. კაჭარავა და სხვ.), რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის, ქართველი სოციალისტური ერის ფორმირებისა და კულტურის განვითარების ისტორიის უმთავრესი საკითხები (პროფესორები მ. ნათმელაძე, ა. კოჭლავაშვილი, გ. ბრეგაძე, ა. კუპრავა, დ. მაისურაძე, ი. ჩიქავა, ბ. პლიევი, ც. კალანდაძე და სხვ.), დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის (პროფესორები ა. იოსელიანი და კ. ცქიტიშვილი, ისტორიის მეცნ. კანდიდატები ი. ბაბალაშვილი, მ. ქოჩიაშვილი და სხვ.), რესპუბლიკის ომის შემდგომი პერიოდის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საპრობლემო საკითხები (პროფესორები ნ. სტურუა, ს. ჩხარტიშვილი და სხვ.).

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის პრემიით აღინიშნა ს. ყაუხჩიშვილის („ქართლის ცხოვრება“. ტ. 2, 1959), ა. აფაქიძის („ძველი საქართველოს ქალაქები“, რუს. ენაზე, 1968), ნ. მახარაძის („დიდი ოქტომბრის გამარჯვება

საქართველოში“, 1967), შ. მესხიას („ძლევაი საკვირელი“, 1970), ი. ანთელავას („საქართველოს სახელმწიფო გლეხები XIX საუკუნეში“, ტ. I – II, რუს. ენაზე, 1962 – 1969), ა. სურგულაძის („ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, 1973) მონოგრაფიული ნაშრომები, ხოლო აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის პრემიით – ო. ჯაფარიძის („უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე“, 1971), აკად. ა. შანიძის („ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“, 1971), აკად. ს. ყაუხჩიშვილის („ქართლის ცხოვრების“ მეოთხე ტომი, 1973), აკად. გ. მელიქიშვილის („ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი“, 1973), დ. კობიძის („სპარსული ლიტერატურის ისტორია“, 1975) ნაშრომები.

ისტორიკოსთა მიერ ჩატარებული გამოკვლევები ფართოდ აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულში, რომლის 5 ტომი გამოქვეყნდა 1970 – 1975 წლებში.

საველე-არქეოლოგიური კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა ქვის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ა. კალანდაძე, ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, კ. ფიცხელაური, ისტორიის მეცნ. კანდ. გ. გობეჯიშვილი და სხვ.), ანტიკური ეპოქისა და ფეოდალური პერიოდის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს. ა. აფაქიძე, პროფესორები ო. ლორთქიფანიძე, ლ. ჭილაშვილი, პ. ზაქარაია და სხვ.) მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლები. ეთნოგრაფებმა გამოიკვლიეს მატერიალური კულტურის, სამეურნეო ცხოვრების, სოციალური კავშირურთიერთობის საკითხები და რელიგიურ წარმოდგენათა რიტუალები (აკად. გ. ჩიტაია, პროფესორები ვ. ბარდაველიძე, ა. რობაქიძე, მ. გეგეშიძე, თ. ჩიქოვანი, ვ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური და სხვ.). დამუშავდა სამრეწველო მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის ყოფის, სოფლის საცხოვრებლის ტიპების სამეურნეო ფუნქციები და სოციალური ბუნების საკითხები, შედგა საცხოვრებელი ბინებისა და სოფლების რეგიონალური კლასიფიკაცია.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის. სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიების ხელოვნების ისტორიის კათედრების მეცნიერ მუშაკებმა შეისწავლეს საქართველოს არქიტექტურის, მონუმენტური ფერწერის, ჭედური და გამოყენებითი ხელოვნების ძეგლები, გამოიკვლიეს საბჭოური დროის ხელოვნების დიდმნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები.

ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლაში ძირითადი მონაპოვარი იყო ის, რომ დადგინდა ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარების ცალკეული ეტაპები, ქართული არქიტექტურისა და სამშენებლო ხელოვნების ძეგლები განხილულ იქნა, როგორც ეროვნული შემოქმედების შედეგი,

ისტორიულად განპირობებული და დაკავშირებული წინააზიისა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნების გარკვეულ კულტურულ წრესთან, განსაზღვრულ იქნა ქართული ხელოვნების ადგილი ხელოვნების მსოფლიო ისტორიაში[39].

გამოქვეყნდა აკად. გ. ჩუბინაშვილის „ქართული ოქრომჭედლობა. რკვევანი ქართული შუასაუკუნეთა ხელოვნების ისტორიისათვის“ (ტექსტი და ილუსტრაციები, ორტომეული, რუს. ენაზე, თბ., 1959). მილანში იტალიურ ენაზე გამოიცა მისი წიგნი „ჯვრის ტიპის ძეგლები“. აკად. შ. ამირანაშვილის მონოგრაფია „ქართველი მხატვარი დამიანე“ დაიბეჭდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მასში გარკვეულია მხატვრის ადგილი XIV საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების ისტორიაში. მეცნიერის მეორე წიგნი ქართული მინანქრის შესახებ გამოიცა საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში. საყურადღებოა აგრეთვე აკად. ვ. ბერიძის გამოკვლევა „ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრება“ (თბ., 1971), პროფ. ნ. ჯანბერიძის წიგნი „ქართული საბჭოთა არქიტექტურა“ და სხვ.

ქართველი ენაცმეცნიერები დიდი წარმატებით იკვლევდნენ თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგად-თეორიულ პრობლემებს, იბერიულ-კავკასიური ენების განვითარების საკითხებს. ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა ქართული ენის დაილექტიკის შესწავლისა და ლექსიკოლოგიის დარგში. გამოიცა აკად. ვ. თოფურიასა და პროფესორების ი. გიგინეიშვილის და ი. ქავთარაძის „ქართული დაილექტოლოგია“ (ტ. I, 1961), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VI – VIII ტომები. 1971 წელს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის რედაქტორებს (აკადემიკოსები ა. ჩიქობავა და გ. წერეთელი, წევრ-კორესპონდენტები ქ. ლომთათიძე და თ. შარაძენიძე და სხვ.) მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. გამოქვეყნდა აგრეთვე „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ-კორ. ი. აბულაძე, თბ., 1972), რუსულ-ქართული აკადემიური ლექსიკონი სამტომეულის უკანასკნელი ტომი, „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1968), „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (ტ. I, 1970), შეიქმნა 30-ზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

ქართველ ენაცმეცნიერთა კვლევითი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო იბერიულ-კავკასიური ენების, კერძოდ, სვანური ენის ისტორიისა და სტრუქტურის საკითხების, სხვა ქართველურ ენებთან მისი ურთიერთობის პრობლემების შესწავლა. გაფართოვდა მთის იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლა, გამოქვეყნდა აკად. ა. ჩიქობავას მონოგრაფია „იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორია“ (1965), მისივე რედაქციით გამოიცა საკავშირო ორგანოს - „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ პირველი ტომი (1971); დაისტამბა პროფესორების ტ. გუდავას, შ. გაფრინდაშვილის, დ. იმნაიშვილისა და სხვა მკვლევარების ნაშრომები კავკასიური ენების ისტორიის საკითხებზე.

ახალი ნაბიჯები გადაიდგა ქართველური ენების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლის მიმართულებით. ამ მხრივ საყურადღებოა აკად. თ. გამყრელიძისა და ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორის გ. მაჭავარიანის ნაშრომი „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (თბ., 1965).

დიდძალი შრომები დაიწერა „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა გ. წერეთლის მონოგრაფია „მეტრი და რითმა შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ (1973), რომელშიც ახლებურადაა განხილული რუსთაველის ლექსის სტრუქტურის საკითხები.

გამოიცა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულის 4 ტომი, მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად მომზადდა და დაიბეჭდა „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“ (რუს. ენაზე, თბ., 1975), გამოქვეყნდა ქართული ხალხური პოეზიის სრული კრებულის 4 ტომი, დაიბეჭდა აკადემიკოსების ა. ბარამიძისა და გ. ჯიბლაძის, წევრ-კორესპონდენტის ე. მეტრეველის, პროფესორების ბ. ჟღენტის, გ. ციციშვილის, მ. დუდუჩავას, დ. გამეზარდაშვილის, გ. გაჩეჩილაძისა და სხვათა ნაშრომები ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიისა და თეორიის საკითხებზე.

აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო სემიტოლოგია, კერძოდ, ძველებრაული, არამეული, ასურულ-ბაბილონური ფილოლოგია და არაბისტიკა. შესწავლილ იქნა შუა აზიის არაბული დიალექტები, თანამედროვე არაბული დიალექტები და გრამატიკული ტრაქტატები (აკად. გ. წერეთელი, წევრ-კორ. კ. წერეთელი, პროფ. ვ. ახვლედიანი და სხვ.), სპარსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის, სპარსული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხები (პროფესორი დ. კობიძე და სხვ.), ხეთოლოგიის (აკად. თ. გამყრელიძე, პროფესორები ე. მენაბდე, გ. გიორგაძე), ბიზანტიოლოგიისა (აკად. ს. ყაუხჩიშვილი, პროფესორები პ. ბერაძე, ა. ურუშაძე, დოც. ა. გამყრელიძე და სხვ.) და შუა და ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეთა ისტორიის, კერძოდ, აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის, წინა აზიის ქვეყნების ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების საკითხები (წევრ-კორესპონდენტი ვ. გაბაშვილი და სხვ.), აღმოსავლეთის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის აქტუალური პრობლემები.

გ) მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა სახალხო მეურნეობაში

სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების დაჩქარებისათვის სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1968 წლის 24 სექტემბერს მიიღეს დადგენილება „სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და

სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“[40]. ამავე საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 4 თებერვალს მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რომელშიც მოცემულია რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში დანერგვა-ათვისების დაჩქარების ღონისძიებანი[41]. 1968 წლიდან დაიწყო რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, უმთავრესად მეცნიერებათა აკადემიისა და უმაღლესი სპეციალური განათლების სამინისტროს დაწესებულებების მიერ დამთავრებული და დასანერგად რეკომენდებული მეცნიერული მიღწევების განხილვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში.

1959 – 1975 წლებში საქართველოს სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებანი, მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ ახალი მანქანებისა და მოწყობილობების, მექანიზმებისა და აპარატების შექმნაზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარმოებაში თანამედროვე ავტომატური მოწყობილობისა და კიბერნეტიკული მანქანების დანერგვას. ხელსაწყოთმშენებლობისა და მართვის სისტემების თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეიქმნა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, კერძოდ, გამომთვლელი ტექნიკის მ-1000-ის აგრეგატული სისტემა, რომელიც პასუხობს კიბერნეტიკის განვითარების თანამედროვე დონეს, შედგება უნიფიცირებული და სტანდარტიზებული აგრეგატებისაგან და ფართოდ გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისათვის მეტალურგიულ, ქიმიურ, საშენი მასალებისა და მრეწველობის სხვა დარგებში[42].

მეცხრე ხუთწლედში ფართოდ გამოიყენებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან თანამშრომლობით შექმნილი ახალი სერიის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით ფართოდ დაინერგა ელექტროენერგიის წარმოებისა და გადაცემის კომპლექსური ავტომატიზაცია და ტელემექანიზაცია. ამიერკავკასიის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში დანერგილია რეგულირებისა და მართვის თანამედროვე ტელეავტომატური მეთოდი, რომელიც ემყარება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის გამოყენებას. ამ დარგის ავტომატიზაციის განხორციელებაში გამოყენებულია მართვის სისტემების თბილისის ინსტიტუტის მიერ დამუშავებული სამართი მექანიზმები და სისტემები, რომლებიც აგრევთე დანერგილია მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის ქალაქების ელქეტრომეურნეობებში.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკის მრეწველობის მაპროფილებელი დარგებისათვის თანამედროვე,

ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მანქანა-დანადგარების შესაქმნელად. მათი მრავალი სახეობა წარმატებით დაინერგა საწარმოებში. ესაა უწინარეს ყოვლისა ჩაის, ღვინისა და საკონსერვო, აგრეთვე მინერალური და ხილეული წყლების მრეწველობის მოწყობილობა, ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზები. კვების მრწეველობაში დაინერგა რესპუბლიკაში შექმნილი მანქანა-მოწყობილობანი, რომლებმაც უზრუნველყვეს დაფასოების, დოზირება-ჩამოსხმის, შეფუთვის, ეტიკეტებისა და სხვა ოპერაციათა ავტომატიზაცია[43].

1959 – 1975 წლებში სახალხო მეურნეობაში დაინერგა დამუშავებული 57 სამუშაოს შედეგი, მათგან მხოლოდ 13-მა დანერგილმა წინადადებამ სახალხო მეურნეობას მისცა 14,6 მლნ მანეთის წლიური ეკონომია. დანარჩენი 44 სამუშაოს ეკონომიკური ეფექტი ფულადი ეკვივალენტით არ განისაზღვრებოდა, თუმცა მათ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგალითად, ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის მიერ მიწოდებული 39 ახალი სამკურნალო პრეპარატი, რომელიც ემსახურებოდა ადამიანის ჯანმრთელობას; კომპლექსური მოდიფიკატორები, რომელთა გამოყენებით მიღებულ იქნა მაღალი სიმტკიცის თუჯის სხმულები; ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მიერ დამუშავებული და რუსთავის აზოტ-სასუქების ქარხანაში დანერგილი ჰაერის გაწმენდის მეთოდი ცეოლითების გამოყენებით, რის შედეგად შემცირდა ხანძრისა და აფეთქების საშიშროება და ლუმინეფორი „ნორიოლი“, რომელსაც იყენებდა საბჭოთა ქვეყნის 60-მდე გემთმშენებელი, მანქანათმშენებელი და საავიაციო ქარხანა პასუხსაგებ მანქანათა დეტალების დეფექტოსკოპიისა და ხარისხიანობის შესამოწმებლად[44], სოფლის მეურნეობის მავნებლების, კერძოდ, ნაძვის დიდი ლაფანჭამიას საწინააღმდეგო ახალი ეფექტიანი პრეპარატი, რომელიც ფართოდაა გამოყენებული რესპუბლიკის ტყის დასაცავად და სხვ.

სრულყოფილი გახდა კალიუმის პერმანგანატის მიღების ერთსტადიანი ელექტროქიმიური მეთოდი, რომელიც შემუშავდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ისნტიტუტში (აკად. რ. აგლაძე, პროფ. მ. გრძელიშვილი). ეს მეთოდი დაინერგა რუსთავის ქიმიურ კომბინატსა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო საწარმოებში. კალიუმის პერმანგანატი, რომლის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში ფრიად დიდია, გამოიყენება ქიმიური, ნავთობის და ხის დამუშავების მრეწველობაში, სამხედრო საქმესა და მედიცინაში.

პერმანგანატზე უაღრესად დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში. მართალია, საბჭოთა კავშირი მანგანუმით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ მანგანუმის ეს უმნიშვნელოვანესი ნაერთი ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით შემოგვაქვს საზღვარგარეთიდან. სსრ კავშირში გამომუშავებული პერმანგანატის მთელი რაოდენობის ერთი მესამედი მიიღება რ. აგლაძისა და მ. გრძელიშვილის მიერ შემუშავებული მეთოდით,

რომელიც სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეთოდად არის ცნობილი.

კალიუმის პერმანგანატის მიღების ახალი მეთოდის დანერგვისათვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ქართველმა მეცნიერებმა და წარმოების მუშაკებმა 10 მედალი მიიღეს[45].

იმავე ინსტიტუტის ლაბორატორიაში შესრულებული გამოკვლევების საფუძველზე საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ქ. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში აიგო ნახევრადსამრეწველო დანადგარი ტყიბულის ნახშირებიდან უწყვეტი მეთოდით მეტალურგიული კოქსის მისაღებად. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს გადაწყვეტილებით 1969 წლიდან დანადგარზე მუშაობა განახლდა, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამაც მიიღო შესაბამისი დაფინანსება. სამინისტროს სამმართველომ მიიღო აგრეთვე დადგენილება ამავე სამუშაოებში ქ. სვერდლოვსკის აღმოსავლეთის ნახშირების ქიმიის ინსტიტუტის მონაწილეობის შესახებ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტმა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და აღმოსავლეთის ნახშირების ქიმიის ინსტიტუტთან ერთად დანადგარზე ჩაატარა მეტალურგიული კოქსის მიღების ტექნოლოგიისა და დანერგვის სამუშაოები. მიღებულმა შედეგებმა დაადასტურეს შერჩეული ტექნოლოგიური სქემების სისწორე და ძირითადი კვანძების მუშაობის ეფექტიანობა[46].

ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტმა არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტსა და ლენინგრადის ინსტიტუტ „გიპრონიკელთან“ ერთად დაამუშავა მადნეულის პოლიმეტალური და ჭიათურის მანგანუმის ღარიბი მადნებისა და ელექტროკონცენტრატების კომპლექსური ავტოკლავური ჰიდრომეტალურგიული გადამუშავების ახალი ტექნოლოგიური სქემა. მათი ერთდროული გადამუშავების შედეგად მიიღება სპილენძის ფხვნილი და აქტიური მანგანუმის ელექტროლიზური ორჟანგი. სქემამ გაიარა ნახევარსაქარხნო გამოცდის სტადია მადნეულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატში. მიღებული მონაცემების საფუძველზე დამუშავდა და დასაბუთდა მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის ჰიდრომეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ძირითადი საკითხები[47]. პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამლევისა და 60-იანი წლების დასაწყისში დაადგინეს, რომ ტყიბულის ფისოვანი ლიფტობოლითი, ანუ რაბდოპირიტული ნახშირი ძვირფასი ნედლეულია მაღალი ტექნიკური მაჩვენებლების მქონე პლასტიკური მასალების დასამზადებლად. ინსტიტუტის ეს მიღწევა ფართოდ იყო აღიარებული მთელ ჩვენს ქვეყანაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 ივლისის დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალათ რაბდოპირიტის ტექნოლოგიის დამუშავება პლასტიკური

მასალების მისაღებად. ამის შემდეგ, ქუთაისის ლითოფონის ქარხანასთან აიგო საცდელ-სამრეწველო დანადგარი, რომელიც ამუშავდა 1965 წელს. დანადგარმა გამოუშვა 60–70 ტონა რაბდოპირიტული პლასტმასა, რომლის გამოცდამ დაადასტურა ამ პროდუქტის მაღალი ტექნიკური და ეკონმოიკური მაჩვენებლები. თბილისის აირმეურნეობის ტელემექანიზაციას საფუძვლად დაედო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის საქმთავარენერგოს ცენტრალურ სადისპეტჩერო სამსახურისათვის შექმნილი ტელეაპარატურა (ავტორი ნ. კალატოზიშვილი). 1963 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ავტომატიზაციის სახელმწიფო კომიტეტმა ტელეაპარატურის ეს კომპლექტი საუკეთესო ნიმუშად აღიარა და რეკომენდაცია მისცა მასობრივად დანერგვისათვის[48]. 1973 წლისათვის ტელეაპარატურა უკვე დამონტაჟებული იყო თბილგაზის სამმართველოს სადისპეტჩერო სამსახურის 70-მდე ობიექტზე[49].

ცხინვალის საწარმოო გაერთიანება „ვიბრომანქანაში“ დამზადებული ელექტროვიბრაციული მანქანები ფართოდ გამოიყენება სამთამადნო მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიაში, მშენებლობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა ინსტიტუტმა ცხინვალის საწარმოო „ვიბრომანქანასთან“ ტექნიკური თანამშრომლობის და სამეურნეო სახელშეკრულებო წესით შეასრულა სამუშაოები: „კორპუსიანი დეტალების გაანგარიშება“ და „ამორტიზატორების გაანგარიშება“, რომელიც ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურომ გამოიყენა ახალი მანქანების დაგეგმარებასა და შექმნაში.

უკანასკნელ ათწლეულში გეოლოგია წმინდა საბუნებისმეტყველო აკადემიური მეცნიერების ჩარჩოებიდან გახდა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვარი დარგი, რომელშიც შერწყმულია ღრმამეცნიერული კვლევა და პრაქტიკული საქმიანობა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს რესპუბლიკის საწარმოო-გელოგიურ სამმართველოსთან. გეოლოგთა საქმიანობის ეფექტი უაღრესად მაღალია. გამოვლინებულ სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების პოტენციური ღირებულება საშუალოდ 40-ჯერ აღემატება გეოლოგიურ კვლევაზე გაწეულ ხარჯებს[50].

მეცნიერულ მიღწევათა დანერგვისათვის ბრძოლის პროცესში წარმოიშვა მეცნიერებისა და წარმოების კავშირის შემდგომი განმტკიცების ახალი ფორმები. შემოქმედებითი ხელშეკრულებები დადეს ურთიერთშორის რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, კათედრებმა და საწარმოებმა. მაგალითად, 1975 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრებს შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეკრულებანი გაფორმებული ჰქონდათ რესპუბლიკის 62 საწარმოსა და

პროფესიულ-ტექნიკური განათლების 46 ორგანიზაციასთან. ამით მცენიერებისა და წარმოების კავშირი უფრო მჭიდრო და ქმედითი გახდა.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებმა მიიღეს 358 საავტორო მოწმობა, რომელთაგან 72,4 პროცენტი უკვე დანერგილია წარმოებაში. ამის შედეგად სახელმწიფომ მიიღო რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ეკონომია[51].

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების, კერძოდ, მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის მაგისტრალურ მიმართულებას შეადგენდა ფუნდამენტური კვლევა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკის სფეროში, სადაც მატერიალური დოვლათი იქმნება. მიუხედავად დიდი მიღწევებისა, საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია უკუგება. მეცნიერული კვლევისათვის დახარჯულ ყოველ მანეთზე მიღებული იყო 2 მანეთი უკუგება, მაშინ როცა საერთო-საკავშირო მასშტაბით შესადარისი მაჩვენებელი შეადგენდა 5 მანეთს[52].

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული ქართველ მეცნიერთა წინაშე სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პერსპექტიული გეგმით, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა. ამ ამოცანების გადასაწყვეტად მეათე ხუთწლედში გადიდდება რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა კვლევის ეფექტიანობა წარმოებასთან მჭიდრო კავშირში, დაჩქარდება მეცნიერულ მიღწევათა დანერგვა სახალხო მეურნეობაში.

---

[1] «Справочник партийного работника», вып. 3, М., 1963, стр. 511 - 516.

[2] **იქვე,** გვ. 408 – 492.

[3] „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“, გვ. 313. ”Грузинская ССР в цифрах в 1975 году», стр. 41 – 42.

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1961 წლის 13 აპრილი.

[5] «Справочник партийного работника», вып. 5, М., 1963, стр. 230 – 235.

[6] გაზ. „კომუნისტი“, 1961 წლის 2 ივლისი.

[7] **იქვე,** 1964 წლის 27 აპრილი.

[8] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი წარმართავდა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის სამეცნიერო საბჭოების საქმიანობას.

[9] იხ. **ი. ვეკუა,** მეცნიერება, თბ., 1975, გვ. 6 – 7.

[10] იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 27 თებერვალი.

[11] იქვე.

[12] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“, თბ., 1971, გვ. 183 – 184.

[13] „თბილისის უნივერსიტეტი 1918 - 1968“, თბ., 1968, გვ. 153.

[14] „სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები“, თბ., 1975, გვ. 507 – 520.

[15] გაზ. „კომუნისტი“, 1966 წლის 2 ნოემბერი.

[16] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, N 11, 1974, გვ. 54.

[17] „პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობის შესახებ“ (1966 – 1971 წწ.), გვ. 447 – 461.

[18] **იქვე,** გვ. 656 – 667.

[19] „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, გვ. 111.
[20] „სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები“, გვ. 539 – 557.
[21] **იქვე,** გვ. 659 – 664.
[22] „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ (გაზ. „კომუნისტი“, 1972 წლის 7 მარტი).
[23] **ი. ვეკუა,** მეცნიერება, გვ. 15 – 16.
[24] იქვე, გვ. 17 – 18.
[25] **ი. ვეკუა,** მეცნიერება, გვ. 32.
[26] „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე“, თბ., 1961, გვ.107 – 108.
[27] გაზ. „კომუნისტი“, 1965 წლის 10 თებერვალი.
[28] **ი. ვეკუა,** მეცნიერება, გვ. 24.
[29] «Академия наук СССР и развитие грузинской науки 1724 – 1974», Тб., 1974, стр. 112 – 113.
[30] См. «Академия наук СССР и развитие грузинской науки», стр. 132 – 135.
[31] ჟურნ. „მაცნე“, N 5, 1967, გვ. 30 – 31.
[32] **ი. ვეკუა,** მეცნიერება, გვ. 34.
[33] «Академия наук СССР и развитие грузинской науки», стр. 148.
[34] «Наука Союза СССР», М., 1972, стр. 223.
[35] **ი. ვეკუა,** „ მეცნიერება”, გვ. 35.
[36] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, N 11, 1974, გვ. 55.
[37] «Отчет о научно-исследовательской работе Тбилисского государственного университета за 1974 год», стр. 16.
[38] «Академия наук СССР и развитие грузинской науки», стр. 175 – 176.

[39] «Академия наук СССР и развитие грузинской науки», стр. 196.

[40] „სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები“, გვ. 577 – 616.
[41] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ.
[42] „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა“, გვ. 471.
[43] „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა“, გვ. 472 – 473.
[44] „მეცნიერება წარმოებას“, მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების წარმოებაში დანერგვისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თბ., 1975, გვ. 31 – 32.
[45] „მეცნიერება წარმოებას“, გვ. 177.
[46] იქვე, გვ. 88.
[47] **ი. ვეკუა,** მეცნიერება, გვ. 56.
[48] „მეცნიერება წარმოებას“, გვ. 148 – 149.
[49] **იქვე,** გვ. 149.
[50] „მეცნიერება წარმოებას“, გვ. 169.
[51] ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, N 6, 1976, გვ. 4.
[52] გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 27 თებერვალი.

§ 3. ქართული ლიტერატურა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში

კომუნისტური მშენებლობის პერიოდის ქართული მწერლობა ერთ-ერთი ურთულესი და მხატვრული მოვლენებით უმდიდრესია ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც ახალი ეტაპი დაიწყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, დასაბამი მისცა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ახალ პერიოდს. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული პრესის მიერ ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამდგეს წამოწყებული ბრძოლა ვულგარულ-დოგმატიკური მხატვრული აზროვნების წინააღმდეგ, 50-იანი წლების შუახანიდან თანამიმდევრულ ხასიათს იღებს. ამიერიდან ფართო გასაქანი მიეცა მასების ინიციატივასა და თაოსნობას, უფრო თავისუფლად იწყო სუნთქვა მხატვრულმა აზროვნებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

1958 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გადასინჯა დადგენილებები ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკის“, კინოსურათის „მთელი გულით“ შესახებ და აღნიშნა, რომ დასახელებულ ნაწარმოებთა შეფასებაში დაშვებული იყო შეცდომები.

საბჭოთა მწერლების ერთმა ნაწილმა „პიროვნების კულტის“ კრიტიკა და პარტიის მიერ გატარებული ღონისძიებები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში არასწორად გაიგო; დაიწყო მხატვრული პრინციპების გადასინჯვა. ადრე განმტკიცებული ესთეტიკურ-ლიტერატურული დებულებები მსჯელობის საგანი გახდა და გარკვეულ წრეებში ზოგი რამ უარყოფილიც იქნა; კამათი შეეხო ლიტერატურის მიმართულების, თემატიკის, გმირის, პარტიულობისა და ხალხურობის, ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურისა და „ამაღლებულის“ პრობლემებს. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში გამოქვეყნდა მრავალი წერილი, რომელთა ავტორებმა ამოსავალ დებულებად გამოაცხადეს „პიროვნების კულტის“ კრიტიკა და იჭვის ქვეშ დააყენეს იმ ნაწარმოებების მხატვრული ღირსებები, რომლებიც შეიქნმა ი. ბ. სტალინის სიცოცხლეში იმ საბაბით, რომ თითქოს პიროვნების კულტის ვითარებაში ჭეშმარიტ შემოქმედს, რომელიც ასახავს სინამდვილის განვითარებად ტენდენციებს, განაზოგადებს მოვლენებს და ქმნის ტიპებს, არ შეეძლო შეექმნა სრულფასოვანი მაღალმხატვრული რეალისტური ნაწრმოებები. შემთხვევითი როდია, რომ ა. ტოლსტოის, მ. შოლოხოვის, ა. ტვარდოვსკის, კ. ფედინის, გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძისა და სხვათა შემოქმედებაზე „პიროვნების კულტს“ არსებითად გავლენა არ მოუხდენია[1].

ძველის კრიტიკამ მხატვრული ლიტერატურის პარტიულობის პრინციპების რევიზიის ელფერი მიიღო. საქართველოში ამ ტენდენციის გასატარებლად უმეტესად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. ამიტომ ამ მწვავე დისკუსიას ხშირად „მამებისა და შვილების“ პრობლემას უკავშირებდნენ, მაგრამ როგორც ირაკლი აბაშიძე აღნიშნავდა, „არავითარი მამებისა და შვილების პრობლემა ჩვენს მწერლობაში არ არსებობდა“[2].

ქართული პრესა და განსაკუთრებით „ლიტერატურული გაზეთი“ თანამიმდევრულად ებრძოდა რევიზიონიზმს; გაზეთი ხშირად უთმობდა ტრიბუნას გამოჩენილ კრიტიკოსებს (ბ. ჟღენტი, გ. ნატროშვილი, ე.

ქარელიშვილი, გ. მერკვილაძე, გ. ციციშვილი, გ. მარგველაშვილი და სხვ.), რომლებიც იცავდნენ ლიტერატურის ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპებს, სისტემატურად იბეჭდებოდა მეთაური წერილები, რომლებშიც მკაცრად იყო დაგმობილი რევიზიონიზმის რეციდივები.

ქართული მწერლობა მტკიცედ დარჩა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა: კ. გამსახურდიამ, ი. აბაშიძემ, დ. შენგელაიამ, კ. ლორთქიფანიძემ, ს. კლდიაშვილმა, გ. აბაშიძემ და სხვ. გამოამჟღავნეს მდიდარი ქართული კლასიკური მწერლობისა და რეალიზმისადმი ერთგულება. საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ტრიბუნიდან მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. აბაშიძე აღნიშნავდა: „ამ ბოლო ხანებში, როცა ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ განსაკუთრებული გააფთრებით შემოუტია ჩვენს საბჭოთა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, შემოუტია საბჭოთა ლიტერატურის რიგებს, არა მარტო უცხოეთიდან, არამედ ზოგიერთი დემოკრატიული ქვეყნიდანაც კი, სამწუხაროდ, თვით ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი ლიტერატურული ორგანიზაციებიდანაც, საქართველოს მწერლობა კვლავ აღმოჩნდა მაღალ დონეზე“[3].

50-იანი წლების დასასრულიდან ნოვატორობის პრობლემამ საბჭოთა მწერლობასა და ლიტერატურისმცოდნეობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა. ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თანამედროვე ქართულმა მწერლობამაც. ქართულ ლიტერატურაში მკაფიოდ გამოიკვეთა თვისებრივი მხატვრული სიახლე, რაც გამოიხატება მის თემატურ-ჟანრულ ხასიათსა და მხატვრულ-სტილურ მრავალფეროვნებაში. განსაკუთრებული ნიშნები შეიძინა ეთიკურმა პრობლემამ, გამძაფრდა თანამედროვეობის გრძნობა და ინტერესი პიროვნების სულიერი სამყაროსადმი, ახალი ძალით აღორძინდა ქართული პროზა, წინა პლანზე წამოიწია ლირიკამ, დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოიპოვა ლირიკულ-ეპიკურმა ჟანრმა, მედიტაციურმა პოეზიამ და ე. წ. ინტელექტუალიზმმა: მრავალფეროვანი გახდა ნაწარმოების კომპოზიციურ-სტრუქტურული აღნაგობა, ფაბულა და სიუჟეტი, ფრაზა დაიხვეწა, დაიტვირთა აზრით, ქვეტექსტებით, გამდიდრდა ლირიკული თვალსაზრისით. თხრობიდან განიდევნა ყალბი, პათეტიკური ტონი, გამრავალფეროვნდა ეპოსისა და ლირიკის ფორმები, ასევე გამდიდრდა დრამატურგიის სახეები და მისი ფორმები. ამ დიდი განახლების სათავეები თვით მდიდარი ქართული მწერლობის ტრადიციებსა და ამოუწურავ პოტენციურ შესაძლებლობაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ აშკარაა ერთგვარი გავლენაც თანამედროვე საზღვარგარეთის პროგრესული ლიტერატურული სკოლების მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებისა. ამასთან ამ ნოვატორობას „ჩვენ განვიხილავთ როგორც ახალ თვისებრივ კატეგორიას და არავითარ შემთხვევაში – როგორც უფრო მაღალ ესთეტიკურ ფენომენს“[4].

თანამედროვე ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ძიებები მიზნად ისახავს ჩვენი დიდი ეპოქის შესატყვისად

მხატვრული ლიტერატურის განახლებას, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედთა ერთ ნაწილს, მხატვრული ძიების პროცესში, ზოგჯერ ზომიერებამ უღალატა, მათ გადაუხვიეს ქართული მწერლობის განვითარების ბუნებრივ გზას, რამაც ცხარე დისკუსიები გამოიწვია;

ნოვატორობის პრობლემის მტკივნეული ხასიათი იმანაც განაპირობა, რომ იგი ხშირად გადაჭდობილია ესთეტიკურ რევიზიონიზმთან.

ქართული მწერლობის მიმდინარე ეტაპისათვის დამახასიათებელია თანამედროვეობის მძაფრი განცდა. დღეს ლიტერატურა ჩვენი ცხოვრების სეისმოგრაფიაა. ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ლიტერატურა ცხოვრების ასლს გვიხატავს. ხელოვნება, რომელიც სინამდვილით საზრდოობს, თავად ქმნის მხატვრულ სამყაროს. მაგრამ აქ გვინდა მივუთითოთ თანამედრვოე ქართული მწერლობის სინამდვილისადმი ერთგულებაზე, მის ისტორიზმზე, იმაზე, რომ იგი ცხოვრების კვალდაკვალ ვითარდება და მხარში უდგას მას. თანამედროვე რთული და ძნელი სინამდვილე ლიტერატურაში ვლინდება ჟანრობრივ-სახეობრივი და თემატურ-მხატვრული მრავალფეროვნებით. გადიდდა თანამედროვე თემატიკის ხვედრითი წონა და გაფართოვდა მოტივების რკალი: სოციალისტური სოფელი და მუშათა კლასი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, დიდი სამამულო ომი და ხალხთა მეგობრობა; ჰუმანიზმი და ხალხთა შორის მშვიდობა, ეთიკური და პიროვნების ბედის პრობლემა, ახალგაზრდობის სულიერი ფორმირება, ნეგატიური მხარეების წინააღმდეგ ბრძოლა – აი ის უმთავრესი მოტივები, რომლებიც ფართოდაა წარმოსახული ქართული მწერლობის თანამედროვე ეტაპზე.

პოეზია. თანამედროვე ეტაპზე ქართული პოეზიის საგანი უკიდეგანო გახდა. მისთვის უცხო არ არის თანამედროვე მსოფლიოს ხალხთა პოეზიაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები, მისი თემატიკა და რთული მხატვრული მოვლენები; დღეს უჩვეულოდ გაფართოვდა ქართული პოეზიის გეოგრაფიული რუკა, მისი მასშტაბები, ე.წ. მარადიული თემების გვერდით ქართულ პოეზიაში შეხვდებით ხუთივე კონტინენტის ქვეყნებს, მათ ხალხებს, პოეზიის ენით ეზიარებით მათი შვილების დამაფიქრებელ ბედს, ტკივილებსა თუ სიხარულს; ეს პროცესი უწინარეს ყოვლისა შედეგია თანამედროვე საერთაშორისო კონტაქტებისა, რომელთაც ახლა ასე ფართო, გლობალური ხასიათი აქვს. მაგრამ ქართული პოეზიის განახლებას, მის თემატიკურ მხატვრულ ფერიცვალებას მიმდინარე ეტაპზე არსებითად ნიადაგი შეუმზადეს ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურმა და კულტურულმა ძვრებმა.

ლირიკა უფრო გაღრმავდა. გაძლიერდა ინტერესი რთული პოეტური სახეებისამდი. ზოგადკაცობრიული პრობლემები – ჰუმანიზმის თავისუფლების, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმისა თუ ხალხთა მეგობრობის მოტივები – ინტიმური გრძნობები და ყოფითი სურათები ახლა ვლინდება თავისებური მხატვრული გადაწყვეტით (თვალთახედვა, სტილი,

მანერა). რა თქმა უნადა, ეს არ ნიშნავს, რომ მიმდინარე ლიტერატურული პროცესი წარმოვიდგინოთ ქართული პოეზიის დიდი ტრადიციების გარეშე, კერძოდ, წინა პერიოდისაგან მოწყვეტილად. ქართული პოეტური ნაკადის არსებით ხასიათს კვლავაც ქართული კლასიკური პოეზიის ბუნება განსაზღვრავს.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მიმდინარე ეტაპი ქართულ ლირიკაში მაინც არის გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის პერიოდი. მაგრამ ორი-სამი, თუნდაც ძალზე დიდი პოეტი, ვერასოდეს გამოხატავს მთელი ერის შემოქმედებით სახეს. ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, კ. კალაძე, ა. მირცხულავა, კ. ნადირაძე, ანა კალანდაძე, ი. ნონეშვილი, რ. მარგიანი, ა. გომიაშვილი, მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, ა. სულაკაური, შ. ნიშნიანიძე, ხ. ბერულავა, ო. ჭელიძე, თ. ჭილაძე, ო. ჭილაძე, მ. ქვლივიძე, ლ. სულაბერიძე, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ჭანტურია, მ. ფოცხიშვილი, ნ. კილასონია, ვ. ჯავახაძე, ფ. ხალვაში, შ. ფორჩხიძე, გ. გეგეჭკორი, მ. კახიძე, ლ. სტურუა, რ. ამაშუკელი, ბ. ხარანაული და სხვა მრავალი განაპირობებენ თანამედროვე ქართული პოეტური ორკესტრის პოლიფონიას.

თანამედროვე ლირიკული გმირისათვის დამახასიათებელია მაძიებელი სული და განცდის სიღრმე. იგი ისწრაფვის საკუთარი თვალით დაინახოს გარემო, შეაფასოს, განსაჯოს და „მისეული ბილიკით“ შეუერთდეს საზოგადოებრივ ყოფას, რომელიც უმაღლეს ბედნიერებას ანიჭებს მას, ან მძაფრ კონფლიქტშია მასთან და ებრძვის. ბუნებრივია, ეს პროცესი თავისებურად და სხვადასხვაგავარი ფორმით გამოვლინდა დამოუკიდებელი მხატვრული ინდივიდუალობისა და სტილის ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაში: ჟანრულ სახეობათა სიახლესთან ისინი აღწევენ თემის ორიგინალურ გააზრებას და მხატვრულ გადაწყვეტას. ერთნი ამჟღავნებენ კლასიკური პოეზიის ტრადიციებისადმი ერთგულებას და ამ გზით იპყრობენ ახალ-ახალ პოეტურ სიმაღლეებს, მეორენი რთულ მეტაფორულ აზროვნებასა და ვერსიფიკაციულ განახლებაში ხედავენ ქართული პოეზიის მომავალს.

თანამდეროვე ქართულ ლირიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პატრიოტიზმს. ქართული პოეზიის ტრადიციულმა მოტივმა მამულის სიყვარულისა საბჭოთა კავშირში ახალი შინაარსი შეიძინა. ჩვენს დროში სოციალისტური სამშობლო, ეროვნული გრძნობა, ხალხთა მეგობრობა და ინტერნაციონალიზმი სინონიმებად იქცა. ამიტომ თანამედროვე ლირიკული გმირი თავის „მეში“ აერთიანებს ეროვნულსა და ინტერნაციონალურს, გამოხატავს სოციალისტური სამშობლოს მოქალაქის მდიდარ სულიერ სამყაროს. პირადულ-ეროვნულისა და ზოგად-ინტერნაციონალურის, ისტორიული წარსულისა და დღევანდელობის შეგნებული შეხამება ამდიდრებს ლირიკული გმირის ბუნებას, მის ხასიათს, რწმენას. ქართული პატრიოტული ლირიკა ახალ თვისებრივ სიმაღლეზე აიყვანა ირაკლი აბაშიძემ ლექსთა ციკლებით „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“ (1958 – 1961). მათ ლირიკულ გმირში ისტორიული წარსული შერწყმულია

დღევანდელობასთან; მისი ჭირთა თმენა და მის მიერ აღძრული კითხვები ამქვეყნიურ გარემოებათა შესახებ, ფილოსოფიური განსჯა და ხელაპყრობილი ღაღადისი მშობლიური ენის უსაზღვრო სიყვარულზე (მისი, როგორც უკვდავი ფენომენის, დასაცავად) ქმნის უდიდესი გზნების პატრიოტულ ნაწარმოებს.

ისტორიული წარსულის განცდა გამძაფრებული აქვთ ანა კალანდაძეს, მ. მაჭავარიანს და ტ. ჭანტურიას, რომლებიც თავიანთ ლირიკულ გმირებს, მათ იდეალებსა და მამაცობას ორგანულად უკავშირებენ ხალხის წარსულსა და მის ლეგენდარულ ადამიანებს („რომელი ჩიტი...“, - ანა კალანდაძისა, „სულხან-საბას“ ციკლი, რომელზედაც კვლავ განაგრძობს მუშაობას მ. მაჭავარიანი).

პატრიოტული მოტივის მძაფრი გამოხატულებაა სამამულო ომის თემატიკასთან მიბრუნება, რაც მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ქართველი პოეტები ახლა უფრო დაკვირვებითა და ღრმა გააზრებით ამუშავებენ ამ მოტივს.

სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილური გრძნობა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება გამოვლინდა იმ პოეტურ ნაწარმოებებში, რომლებიც შექმნილია მოგზაურობის შთაბეჭდილებათა შედეგად. ქართველი პოეტები ნახულისა და განცდილის ასოციაციებში კონტრასტული ხერხით გამოხატავენ სამშობლოს განუმეორებელ სილამაზეს, მისგან განშორებით გამოწვეულ მონატრების უწმინდეს გრძნობას და თავისი ხალხისადმი სიყვარულს.

თანამედროვე ქართულ ლირიკაში ერთ-ერთი ფართო ხასიათის ნაკადს ქმნის მოძმე ხალხების მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის მოტივები. იგი განაპირობა, ერთი მხრივ, მოძმე ერების ისტორიულმა ურთიერთობამ, და, მეორე მხრივ, თანამედროვე ფართო ხასიათის კონტაქტებმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ამ პოეტური ნაკადის ღირსშესანიშნავი ლექსები შექმნილია მოგზაურობის შთაბეჭდილებათა შედეგად, ს. ჩიქოვანის „გოეთეს ცაცხვების ქვებ“ (1960), ასევე გ. აბაშიძის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის, ანა კალანდაძის, ნ. გურეშიძისა და სხვათა ლექსები. ქართველი პოეტები ახლებურ გააზრებას ანიჭებენ მეგობრობის ისტორიულ ფაქტებს და ორიგინალურად ასახავენ ერთა შორის თანამედროვე ურთიერთობას, მოძმე ხალხების ურღვევ კავშირს, მათ საერთო იდეალებსა და ძმობას, თანაუგრძნობენ და ამხნევებენ დამოუიდებლობისათვის მებრძოლ თავისუფლებისმოყვარე ხალხებს, იბრძვიან რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ჰუმანიზმისათვის. ამით თანამდეროვე ქართული პოეზია ავითარებს კლასიკური ეროვნული მწერლობის დიდ ინტერნაციონალისტურ ტრადიციას. ლირიკული ლექსები თავიანთი ორიგინალობით მუდამ დარჩება საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ხალხთა მეგობრობის ამსახველი მხატვრული მატიანე.

დიდი ტრადიციები აქვს ქართულ პოეზიაში სამოქალაქო-პოლიტიკურ ლირიკას, რომელიც მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში ახალი შინაარსითა და პოეტური ფორმებით გამდიდრდა. მასში გამოხატულია ქართველი პოეტის

აქტიური პოზიცია ცხოვრების, დღევანდელობის მიმართ და მისი მაღალი მოქალაქეობრივი იდეალები, სამოქალაქო-პოლიტიკური ლირიკა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ა. მირცხულავამ, კ. კალაძემ, ა. გომიაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულავამ, შ. ნიშნიანიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, ა. თევზაძემ, ლ. სულაბერიძემ, მ. ფოცხიშვილმა, ნ. კილასონიამ და სხვ.

თანამედროვე ქართული სამოქალაქო ლირიკა დიდ შემეცნებით-ემოციურ გავლენას ახდენს მკითხველზე. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი ხდება ერის ცხოვრებაში, თუ გავიხსენებთ, რომ გარკვეულ პერიოდში ჩვენს სინამდვილეში და მწერლობაშიც თავი იჩინეს პესიმისტურმა განწყობილებებმა.

საბჭოთა პოლიტიკური ლირიკის განსაკუთრებული მოვლენაა შ. ნიშნიანიძის „კომუნისტები“. მასში ავტორმა ღრმად და გაბედულად გაიაზრა მხავტრული ლიტერატურის ეს ტრადიციული თემა და შექმნა თანამედროვე კომუნისტის მდიდარი სახე, რომელიც თავის თავში აერთებს მთელი პროგრესული კაცობრიობის უკეთეს შვილთა ღირსებებს. ეს ნაწარმოები საბჭოთა ლიტერატურის დიდი მონაპოვარია.

თანამედროვე ქართული ლირიკა ფრიად მრავალფეროვანია თემატიკური და მხატვრულ-იდეური თვალსაზრისით: მიმდინარე ეტაპზე გამოქვეყნდა ლირიკული ციკლები და ჭეშმარიტი პოეტური შედევრები, რომლებიც განუმეორებელ მხატვრულ ფორმებში წარმოსახავენ თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს, ჩვენი ხალხის ტკივილსა და სიხარულს, ფიქრებსა და იდეალებს. ამიტომ თანამედროვე ქართულ ლირიკაში ოპტიმისტური პოეზიის გვერდით შეინიშნება ტრაგიკული საწყისების გამძაფრება, მეტი დაფიქრება, განსჯა, თემატიკური მასშტაბების გაფართოება და მნიშვნელოვანი მიღწევები მხატვრული წარმოსახვის ძიების გზაზე.

თანამედროვე ქართველი ლირიკოსი პოეტების დიდმა არმიამ და მისმა ნიჭიერმა წარმომადგენლებმა ახალი მხატვრული ფურცელი ჩაწერეს მრავალსაუკუნოვანი ქართული და მთელი საბჭოთა ლირიკის ისტორიაში.

მიმდინარე ეტაპზე თითქმის შეწყდა სიუჟეტიანი პოემის კლასიკური გზა. ახალ პოემაში მოჭარბდა ლირიკული ნაკადი, რომელმაც გადალეკა ეპოსის მყარი ჯებირები და განდევნა ფაბულა (ო. ჭილაძე, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ჭანტურია და სხვ.).

თემატიკური თვალსაზრისით ქართულ პოეტურ ეპოსშიც განვითარებას პოულობს სოციალისტური მშენებლობის პათოსი და ახალი ადამიანის ფორმირების რთული პროცესი, ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის, რევოლუციური ბრძოლის, თავისუფლების, ინტერნაციონალიზმის და ხალხთა მეგობრობის მოტივები (ს. ჩიქოვანის „განჯის დღიური“, ო. ჭელიძის „ჩვენი მაგნიტური არე“, მ. ლებანიძის „ანისი“, „ციმბირელი პაპა“, ხ. ბერულავას ლირიკული პოემები და სხვ.).

ქართულ პოეტურ ეპოსში ფართო ასახვა პოვა სამამულო ომის თემამ. გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, ხ. ბერულავას, რ.

მარგიანის, ო. ჭელიძის, ჯ. ჩარკვიანის, ლ. სულაბერიძისა და სხვათა პოემებსა და ბალადებში გაცოცხლდნენ და მკითხველს პირდაპირ შეხვდნენ ჩვენი ეპოქის დიდი მამულიშვილები – ზოია რუხაძე, თინა იოსებიძე, მირზა გელოვანი და მრავალი სხვა, რომლებმაც თავი დასდეს ჩვენი ხალხისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის.

თანამედროვე ახალგაზრდა გმირის ოპტიმისტური შემართება და გმირული ბუნება განსაკუთრებული სიცხადით გამოხატა თავის ლირიკულ პოემებში ჯანსუღ ჩარკვიანმა. მისი გმირი ეს არის თანამედროვე ახალგაზრდა, რომელიც მძაფრად განიცდის დიად დღეებს, გულით ატარებს სამშობლოს, ხალხის სიყვარულს, იღვწის და შრომობს. ჯ. ჩარკვიანის ლირიკული პოემები „ჯაჭვის თორანი“ (1971), „რწმენის კედელი“ (1969 – 70), „მონატრება“ (1971), „გაფრთხილება“ (1972 – 1973) და სხვ. თანამედროვე ქართული პატრიოტული პოეზიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

თანამედროვე პოეტური ეპოსი (და საზოგადოდ, მწერლობა) მდიდრდება მითოლოგიური და ზღაპრულ-ლეგენდარული მოტივებით (ო. ჭილაძე, ტ. ჭანტურია, შ. ნიშნიანიძე და სხვ.). ფრიად ორიგინალური მოვლენაა თანამედროვე ქართულ პოეტურ ეპოსში ო. ჭილაძის პოემები („ცხრა პოემა“, 1969), ისინი გამოირჩევა თემის ორიგინალური გახსნით და მხატვრული გააზრებით. ამ პოემების ერთ ნაწილში („დევებით სავსე ქუდი“, „თიხის სამი ფირფიტა“ და სხვ.) ზღაპრულ-მითოლოგიური და ისტორიული სინამდვილე შერწყმულია თანამედროვეობასთან, გმირის ოცნებასთან და ავტორი გამოხატავს თავისი ხალხისა და, საზოგადოდ, ადამიანის სიდიადის, თავისუფლებისა და მარადიულობის იდეას; იგრძნობა მისი სულის ენერგიული მოძრაობა. ამ თვალსაზრისით ორიგინალური მოვლენაა ტ. ჭანტურიას პოემები („ლტოლვა“, „სტუმარი“, „სპილოების სასაფლაო“, „გაღმა ნაპირი“ და სხვ.).

თანამედროვე ქართული პოეზია განაგრძობს კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს მშობელი ხალხის უანგარო სამსახურისა და დღესაც ინარჩუნებს მაღალმოქალაქეობრივ იდეალებს; იგი მთელი საბჭოთა მრავალეროვანი მწერლობის ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია.

პროზა. ქართულ პროზაში იყო პერიოდები, როდესაც სოფლის თემა დომინირებდა და იგი თითქოს განსაზღვრავდა კიდეც ქართული ბელეტრისტიკის ბუნებას, ხასიათსა და მის ისტორიასაც კი. თანამედროვე ქართულ პროზაში ამ თვალსაზრისით ვითარება შეიცვალა. მწერლებმა თითქოს ხელახლა გადაინაწილეს თემები და სოფლის თემატიკამ მხოლოდ მისთვის კუთვნილი ადგილი დაიკავა, ყოველ შემთხვევაში, იგი დღეს ქართული პროზისათვის აღარ არის ერთადერთი გაბატონებული მოტივი, მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართული პროზაიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც დღევანდელ სოფელსა და მის ადამიანებს დასტრიალებს თავს. გამოქვეყნდა მრავალი რომანი, მოთხრობა, ნოველა და მხატვრული ნარკვევი, რომლებიც რეალისტურად წარმოსახავენ დღევანდელი სოფლის

სინამდვილეს. დიდი ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ქართულმა მწერლობამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ რევოლუციამდე შექმნა და საბჭოთა სინამდვილეში, განსაკუთრებით 30-იან წლებში, ასე უჩვეულოდ გამდიდრდა, მყარ ნიადაგს უქმნის და იმპულსს აძლევს თანამედროვე ქართულ პროზას. შეიქმნა დიდი და მრავალფეროვანი პროზაული ნაწარმოებები სოციალისტურ სოფელზე. მათში თანამედროვე ყოფის რთული სინამდვილე დანახულია ახალ ასპექტში, ახალი მოტივები და სიუჟეტები ახლებურად აშუქებს ადამიანის მდიდარ ბუნებას, მის შინაგან სულიერ შრეებს, რაც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია მხოლოდ მიმდინარე პროცესებისათვის. ქართველმა მწერლებმა კ. ლორთქიფანიძემ, დ. შენგელაიამ, ს. კლდიაშვილმა, გ. ნატროშვილმა, რ. ჯაფარიძემ, გ. ჩიქოვანმა, ო. ჩხეიძემ, ნ. დუმბაძემ, ა. ადამიამ, რ. ინანიშვილმა, ლ. მრელაშვილმა, ო. იოსელიანმა, გ. გოგიჩაიშვილმა, რ. ბეჟანიშვილმა, თ. გოგოლაძემ და სხვ. შექმნეს თანამედროვე ქართული სოფლის მდიდარი მხატვრული გალერეა, რომელშიც მკაფიო ინდივიდუალობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ასაკისა და მოსაქმეობის, სხვადასხვა ბუნებისა და იდეალების ადამიანები; მათი მოქმედების არე ფართოა, ხასიათები და ბუნება – ღრმა, სიტუაციები, რომლებშიც ისინი მოქმედებენ – რთული და დამახასიათებელი თანამედროვე ცხოვრებისათვის, აქ თითქმის არსად გვხვდება ადრე გავრცელებული შტამპები და სქემები.

თემატიკურ-პრობლემური მრავალმხრივობა, მოტივების მრავალფეროვნება და ხასიათების ფორმირების, გმირის ბუნების ჩამოყალიბების რთული გზის ასახვა – ყურადღების გამახვილება ზნეობრივ მხარეზე – ძირითადი ნიშანია მიმდინარე ლიტერატურული პროცესისათვის, საერთოდ, და, კერძოდ, თანამედროვე სოფლის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის. მაგრამ თუ ერთ შემთხევაში კონფლიქტი თვით გმირის შინაგან ბუნებაში, მის „მეშია“ (ნ. დუმბაძის, რ. ინანიშვილის გმირები), მეორე შემთხვევაში გმირის ხასიათს განსაზღვრავს მამხილებელი პათოსი, კრიტიკა და ბრძოლა ანტიპოდებთან (გოგოლა – კ. ლორთქიფანიძის „ნატვრისთვალში“, შავლეგო – ლ. მრელაშვილის „ყაბახში“).

ეთიკური პრობლემა წარმოადგენს თანამედროვე ქართული მწერლობისა და, კერძოდ, სოციალისტური სოფლის თემაზე შექმნილი პროზის ძირითად პათოსს. ეს „მიმართულება“ თანამედროვე ქართველმა მწერლებმა მემკვიდრეობით მიიღეს 20 – 30-იანი წლების ქართული ლიტერატურისაგან. ამ თვალსაზრისით ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ 50-იანი წლების მეორე ნახევარში, ხოლო ქართული მწერლობის თანამედროვე ეტაპზე, შეიძლება ითქვას, სინამდვილის კრიტიკული პათოსი, ნეგატიური მოვლენის მხილება ერთი მთავარი ნიშანდობლივი თვისება გახდა სოციალისტური სოფლის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებისათვისაც.

კ. ლორთქიფანიძე მხატვრის მახვილი თვალით და ეპიკური სიმშვიდით განაგრძობს მუშაობას რომანზე „ნატვრის თვალი“. ნაწარმოების სიუჟეტი გაშლილია სოციალისტური სოფლის ფონზე და ფართოდ გვიხატავს ქართული

სოფლის ადამიანებს. რომანის ფაბულას თანდათანობით შეერთვის ახალ-ახალი სიუჟეტური შენაკადები, რომლებიც აფართოებენ ნაწარმოების მასშტაბს. ავტორი „ნატვრის თვალშიც“ გვესახება როგორც ხასიათების დიდოსტატი. მწერლის დახვეწილი მეტყველება და პერსონაჟთა მდიდარი ენა, რომელსაც უშუალობის ნათელი და სურნელება ახლავს, ნაწარმოებს დიდ მხატვრულ ძალას ანიჭებს. „ნატვრის თვალის“ იდეური დატვირთვა ვლინდება არა იმდენად ფაბულა-სიუჟეტის მძაფრ ხასიათში, რამდენადაც გმირთა სულიერ სამყაროში. რომანში სწორედ ხასიათთა სხვადასხვაობა განაპირობებს პერსონაჟთა კონფლიქტს და მიუხედავად იმისა, რომ მათს ბრძოლას არა აქვს კლასობრივი ხასიათი (ესენი უკლასო სოციალისტური საზოგადოების ადამიანები არიან), მწერალმა შექმნა მკვეთრი ინდივიდუალობის ტიპები (ლევანი, გოგოლა, ზაქარია, მანუჩარი, დუბოვი, არჩილ ყანჩაშვილი, წითელი დათა, თადია რაინაული), რომლებშიც ორგანულადაა შერწყმული პიროვნული ნიშან-თვისებები ზოგად-ტიპობრივთან. მათი კონფლიქტები და გაბედული ბრძოლა განსაზღვრავს ნაწარმოების პათოსს. მწერალი აქტიური პოზიციებიდან ამხელს იმ დროს, როდესაც „ზარზეიმსა და ზიზილ-პიპილობას ისე შევეჩვიეთ, რომ ადამიანს დარდი და ეჭვი ხმამაღლა ვერ გამოეთქვა“.

ქართული სოციალისტური სოფლის ფართო პანორამა შექმნა მწერალმა ლადო მრელაშვილმა თავის პოპულარულ რომანში „ყაბახი“. მასში თანამედროვე სოფლის დიდი ცხოვრება ნაჩვენებია ჩრდილებით, ტკივილებით, ცხოვრებისეული კონფლიქტებით და პრობლემები დანახულია სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან; მკვიდრებადი, ნათელი ტენდენციები მძაფრადაა დაპირისპირებული ნეგატიურ მოვლენებთან. რომანის ცალკეული ეპიზოდები და სურათები დახატულია მდიდარი ფერებით, მაგრამ მთავარი მაინც ხასიათების ჭიდილია და ნაწარმოების კოლიზიასაც ეს განსაზღვრავს. ომგადახდილი რევაზი, შავლეგო, თეიმურაზი, რუსუდანი და სხვ. უპირისპირდებიან და ებრძვიან თედოს, ნიკოს, ვარდენს და სხვ. მწერლის გამარჯვებაა შავლეგოს ხასიათი. ეს ომგადახდილი ვაჟკაცი შინაგანი ბუნებით დაკავშირებულია ეროვნული ხასიათის ძირებთან. დიდი სიმართლე, შემართება, რწმენა მისთვის სიკეთისა და ადამიანურობის კანონზომიერი გამოვლინებაა. სოფლის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები ამდიდრებს ქართულ ლიტერატურას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი ადამიანის სულიერ ფორმირებაში.

თანამედროვე ქართული მწერლობის უმთავრესი ნიშანია ყურადღების გამახვილება ეთიკურ პრობლემებზე, თუმცა მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანის ზნეობრივ სიწმინდეს ემსახურება, მაგრამ ამხანად მწერლობა განსაკუთრებულ აქცენტირებას ახდენს სწორედ მორალის პრობლემბეზე. ისტორიულ წარსულზე თუ თანამედროვე თემატიკაზე გამოქვეყნებული ნაწარმოებების ლაიტმოტივს ადამიანის ზნეობრივი მხარე შეადგენს. ეს ბუნებრივიცაა ახალი საზოგადოების სულიერი

ფორმირების პერიოდში. და ამითაც უნდა აიხსნას, რომ მიმდინარე ეტაპზე საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ, ქართულ მწერლობაში, გაძლიერდა კრიტიკული პათოსი, ნეგატიური მოვლენების მხილება, როგორც აქტიური და უფრო ქმედითი ფორმა მახინჯ გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად. ქართული რეალიზმის დიდი ტრადიცია სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა, რომელიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან გააღრმავეს გამოჩენილმა ქართველმა საბჭოთა მწერლებმა: ა. ბელიაშვილმა, მ. ჯავახიშვილმა, გ. ტაბიძემ, კ. გამსახურდიამ, კ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა, 60-იან წლებში კიდევ უფრო გაამძაფრეს ლ. ავალიანმა, ნ. დუმბაძემ, ნ. წულეისკირმა, გ. ფანჯიკიძემ, რ. ინანიშვილმა, ი. ურჯუმელაშვილმა.

ვოლუნტარისტული და სუბიექტივისტური ხელმძღვანელობის შედეგად, როდესაც ჩვენს სინამდვილეში თავი იჩინა სოციალისტური მშენებლობისათვის უცხო, არადამახასიათებელმა მოვლენებმა, ქართველმა მწერლებმა გაბედულად აღიმაღლეს მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ხმა; გამოიჩინეს ჭეშმარიტი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სიმტკიცე და სინამდვილისადმი, ხალხისადმი ერთგულება. ეს სოციალისტური რეალიზმისათვის სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რამდენადაც კრიტიკული პათოსი, როგორც საზოგადოების მხატვრულ-იდეური ზრდის საშუალება, დიდი მასტიმულირებელი ძალა და იარაღია. მართალია, ქართული მწერლობის თანამედროვე ეტაპზე ზოგიერთმა მწერალმა უღალატა მხატვრულ სიმართლეს, გამოამჟღავნა ნატურალიზმი, მაგრამ უმთავრესად ქართული მწერლობა ამ მიმართულებითაც ჯანსაღ ნიადაგზე აღმოჩნდა. ქართველ მწერალთა ამ პერიოდის ნაწარმოებები აფხიზლებდა ხალხს, კრიტიკულ დამოკიდებულებას ასწავლიდა ჩვენი სინამდვილისადმი, განაწყობდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამხნევებდა, უნერგავდა გამარჯვების რწმენას. ამ მხრივ განუზომელია, საზოგადოდ, ქართული ლიტერატურის როლი ჩენი ერის ცხოვრებაში და, კერძოდ, მიმდინარე ეტაპზე. ამ მიმართულებით ფრიად ორიგინალური მოვლენაა ნოდარ დუმბაძის შემოქმედება. იგი 60-იანი წლების განთიადზე გამოვიდა შემოქმედების დიდ გზაზე და რამდენიმე წელიწადში სრულიად ახალი ნაკადი შექმნა ქართულ პროზაში („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – 1960, „მე ვხედავ მზეს“ – 1962, „მზიანი ღამე“ – 1967, „ნუ გეშინია, დედა“ – 1971 და შესანიშნავი მოთხრობები, რომლებისთვისაც ავტორს 1975 წელს რუსთაველის პრემია მიენიჭა). მან თანამედროვე ახალგაზრდა ქართველ მწერალთაგან ყველაზე ღრმად შეიგრძნო ლიტერატურის ხალხურობის იდუმალი ძალა, მწერლობაში შემოიტანა შეულამაზებელი სინამდვილე, დიდი სიმართლე და ლაღი იუმორით წარმოსახა ახალგაზრდა გმირის ბრძოლა ცხოვრებაში საკუთარი ადგილისა და ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად. მისი რომანების გმირი ჯანსაღი თვალით უმზერს გარემოს, ახალგაზრდული მიამიტობით გრძნობს, რომ მის კანონიერ გზას ცხოვრებაში ეღობება ბევრი დაბრკოლება, ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რომლებიც უნდა დაირღვეს, მოიშალოს.

ამ ბრძოლაში წარმოიშვება მძაფრი კონფლიქტები დუმბაძის გმირისა გარემოსთან. იგი გაბედულად აკრიტიკებს გულცივ ადამიანებს, ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმის გამოვლინებასაც და მწერალი ჰუმანიზმის პოზიციებიდან იცავს ადამიანის უფლებებს. მისი კრიტიკა (იგი დღეს ჩვენს მწერლობაში ყველაზე მძაფრი, გაბედული და ფართო ხასიათისაა) არასოდეს აგდებს მკითხველს პესიმიზმში, მძაფრ დრამატიზმამდე განვითარებულ სიტუაციებშიც მისი გმირი ინარჩუნებს იუმორის გრძნობას და მკითხველს იმედსა და გამარჯვების რწმენას, ცხოვრების სიყვარულს შთააგონებს, მისი ღამეც კი მზიანია.

სოციალისტური სინამდვილისათვის უცხო და გაუმართლებელი მოვლენები ამხილა გ. ფანჯიკიძემ პოპულარულ რომანში „თვალი პატიოსანი“. მწერალი დრამატული და მძაფრი სატირული სიუჟეტური ხაზებით ქმნის კრიტიკული პათოსით გამსჭვალულ დამაფიქრებელ მხატვრულ ტილოს. თავის დროზე ამ ნაწარმოებმა ოფიციალური წრეების გულისწყრომა გამოიწვია. ამ თვალსაზრისით მიმდინარე ლიტერატურული პროცესის მნიშვნელოვანი მოვლენაა გ. აბაშიძის „ყორნალი“ (1969), ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ (1971), თ. ჭილაძის „შუადღე“(1962), ა. სულაკაურის „ოქროს თევზი“(1966) და ა. კალანდაძის რომანი „მწვანე შტო“ (1974), რომელშიც ავტორმა წარსულის ნეგატიური მოვლენები ახალ ასპექტში გახსნა და შექმნა ომში გამოვლილი მებრძოლი არქიტექტორის ორიგინალური სახე.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში თავისებური მოვლენაა ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ (1975). ესაა რთული მხატვრული სტრუქტურის მრავალპლანიანი სოციალურ-ფსიქოლოგიური ნაწარმოები. მისი მხატვრულ-იდეური პათოსი, რომელიც მიმართულია ბოროტების დათრგუნვისა და სიკეთის გასამარჯვებლად, შთაგონებულია თანამედროვე მაღალი ზნეობრივი იდეალებით.

ზნეობრივი პრობლემები ორიგინალურ მხატვრულ ფორმებში გახსნეს დ. შენგელაიამ, კ. ლორთქიფანიძემ, რ. ჯაფარიძემ, ო. ჩხეიძემ, მ. მრევლიშვილმა, ე. ზედგენიძემ, ო. იოსელიანმა, ე. ყიფიანმა, თ. გოგოლაძემ, რ. ჭეიშვილმა, გ. გეგეშიძემ, მ. ელიოზიშვილმა.

ქართული მწერლობის თანამედროვე ეტაპზე გაძლიერდა ინტერესი მუშათა ცხოვრებისადმი. ამ თემას მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში დიდი ტრადიცია არა აქვს. ისედაც ისტორიულად ახალგაზრდა მუშათა კლასს ჩვენში სუსტად ეხმაურებოდა მწერლობა.

ორმოცდაათიანი წლებიდან ქართულ პროზაში ამ მხრივაც შეინიშნება გარდატეხა. ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ (1950 – 1969), აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“ (1959), გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“(1967) და სხვა მხატვრული ქმნილებები მნიშვნელოვან ნაკადს ქმნიან თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“. იგი ჟანრობრივად ორგანული გაგრძელებაა რომანის კლასიკური ფორმისა, რომელიც ქართულ მწერლობაში გასული საუკუნის

დამლევს ყალიბდება და ახალ მხატვრულ თვისებრივ ნიშნებს იძენს 20 – 30-იან წლებში.

თემატიკურად ეს ნაწარმოები ახალი ხნულია ჩვენს მწერლობაში, რამდენადაც ქართველ მეშახტეთა ცხოვრებაზე ჩვენს პროზაში აქამდე მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა. მწერალმა ახალი მოტივებით, ახალი ტიპებით, ხასიათებითა და სიტუაციებით გაამდიდრა ეროვნული ლიტერატურა და გააფართოვა ქართული მწერლობის თემატიკურ-მხატვრული სამყარო. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ეს ნაწარმოები, მართლაც, ახალი ჰორიზონტია ჩვენს მწერლობაში.

რუსთავის ქარხნის მშენებლობისა და ქართველი მეტალურგების ცხოვრებაზე შეიქმნა საყურადღებო ლიტერატურული ნაწარმოებები ქართულ მწერლობაში. გვინდა გამოვყოთ ა. ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“. მწერალმა შექმნა ქართველი მეფოლადე მუშის ორიგინალური მხატვრული სახე. ავტორმა ახალი ადამიანის სულიერი ფორმირების რთული პროცესი ორგანულად დაუკავშირა სამშობლოს თანამედროვე გიგანტურ სამრეწველო გარდაქმნებს და მოძმე ხალხების თანამეგობრობის პათოსს. ვეფხია ხალიბაური როგორც ლიტერატურული გმირი თანამდეროვე ეპოქის ღვიძლი შვილია.

საბჭოთა მკითხველ საზოგადოებაში ფართო პოპულარობით სარგებლობს გ. ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე ცა“. რომანში რუსთაველ მეტალურგთა ცხოვრების მაგალითზე მრავალმხრივ ასახვას პოულობს თანამედროვეობის ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა ადამიანი და საზოგადოება, ხელმძღვანელი და მასა, ტექნიკური პროგრესი. აქ განსაკუთრებით მკვეთრად არის დასმული ადამიანის როგორც ზნეობრივი ფენომენის პრობლემა. ამ თვალსაზრისით ორგანულად არის გახსნილი რომანის მთავარი გმირის ინჟინერ ხიდაშელის ხასიათი, მისი წინააღმდეგობრივი ბუნება.

ქართულ მწერლობაში ახლებურად ისხამს ხორცს სამამულო ომის მოტივი. იგი თანამედრვოე ეტაპზე გაშუქებულია ახალი კუთხით, ახალ მოვლენებსა და პრობლემებს აყენებს მკითხევლი საზოგადების წინაშე. განზოგადებულია ომის დროის უშუალო შთაბეჭდილებები და დღევანდელობის პოზიციებიდან უნერგავს ურთიერთთავდადების, გმირობის, მოძმე ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სამხედრო-პატრიოტული გრძნობებისა და ადამიანში კაცთმოყვარეობის, ჰუმანურობის გასაღვივებლად.

ქართველი მწერლების კ. ლორთქიფანიძის, გ. ნატროშვილის, რ. ჯაფარიძის, ალ. კალანდაძის, ე. მაისურაძის, დ. კვიცარიძისა და სხვათა ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში ახალი სიცოცხლით წარმოდგნენ დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ ადამიანთა სახეები. კ. ლორთქიფანიძის „ცაბუნია“ და „უტუყარი მოთხრობების“ ციკლი (1966) კლასიკური მწერლობისათვის დამახასიათებელი სინათლითა და ლაკონური

თხრობით განგვაცდევინებს მეორე მსოფლიო ომის დროის ტრაგიკულ ეპიზოდებს.

ომის წლების ქართულ სოფელზე დიდი ემოციური ძალის ტრაგიკული მხატვრული ტილო შექმნა ო. იოსელიანმა („ვარსკვლავთცვენა“, 1961). გ. ციციშვილის ნოველების ერთიანი თემატიკური ციკლი „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“ (1975) წარმოადგენს ფართო პანოს სამამულო ომის მძიმე წლებზე. მასში ოსტატურადაა გახსნილი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო.

თანამედრვოე ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიულ თემატიკას. მასში თანამედროვეობის პოზიციებიდანაა დანახული ქართველი ერის ისტორიული ეპოქები და მისი ტენდენციები, დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისა და ისტორიული პირების მძიმე საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება.

დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ დაამთავრა ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რომელსაც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე წერდა. ეს ნაწარმოები ისევე, როგორც საერთოდ ისტორიულ თემაზე დაწერილი ყველა ჭეშმარიტი ქმნილება, არის, როგორც ა. ს. ტოლსტოი ამბობდა, თანამედროვეობასთან „ზურგიდან მოსვლა“. მწერალმა გამოამჟღავნა ეპოქის ენციკლოპედიური ცოდნა, ისტორიულ გმირთა ხასიათებში ჩაწვდომის, მათი საზოგადოებრივი და პიროვნული ტენდენციების შეცნობის უნარი, მხატვრული ტაქტი და ჭეშმარიტად თანამედროვე მხატვრის თვალთახედვით შექმნა დიდი ჰუმანისტი-მოაზროვნის, პატრიოტი სარდლისა და სახელმწიფო მოღვაწის მონუმენტური სახე.

50-იანი წლებიდან ინტენსიურად მუშაობდა ქართლის ცხოვრების ქრონიკებზე გამოჩენილი ქართველი მწერალი გრიგოლ აბაშიძე. მისი ტრილოგია (რომანები „ლაშარელა“ – 1957, „დიდი ღამე“ – 1962 – 65 და „ცოტნე ან ქართველთა დაცემა და ამაღლება“ – 1975) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მწერალმა მხატვრის სული შთაბერა XIII საუკუნის ქართულ ქრონიკებს და თანამედროვე მკითხველის წინაშე გააცოცხლა ჩვენი ერის წარსულის ერთი უდიდესი ტრაგიკული ისტორიული მონაკვეთი, მისი გმირები, ადამიანები და ამ ფონზე დიდი მხატვრული ძალით შეძლო ეჩვენებინა ხალხის სულის მაღალი ზნეობრივი თვისებები.

გრ. აბაშიძის ისტორიული რომანები თანამედროვე მკითხველი საზოგადოებისათვის სულიერი სიწმინდისა და სიმტკიცის შთამაგონებელი წყაროა. „ისტორიულ რომანებში მე მინდოდა, - წერს ავტორი, - მეჩვენებინა ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი ძალა. ამით ერთგვარად შემევსო მატიანეების ის დიდი ხარვეზი, რომელიც ერთნაირად აწუხებდა ფრანგ ვოლტერსა და ქართველ ილია ჭავჭავაძეს. ... ცოტნეს გმირობა ქართველი ერის ისტორიის აპოთეოზად მესახებოდა და მის თავდადებაში მარტო ერთი

თაობის განწმენდას კი არა, მთელი დაცემული საქართველოს სულიერ ამაღლებას, ფენიქსებრ აღდგენასა და გამარჯვებას ვხედავდი“.

„ცოტნეს თავდადება კეთილშობილი რაინდობისა და დიდსულოვნების განუმეორებელი ნიმუშია. ზნეობრივ მაგალითს შთამომავლობაზე ყოველთვის ჰქონდა ცხოველმყოფელი გავლენა და ცოტნეს გაკვეთილის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს დღეს, როცა ქართველი ხალხი ასეთი ერთსულოვნებით იბრძვის ზნეობრივი განწმენდისათვის, მაღალი მორალისა და შეულახავი პატიოსნების დამკვიდრებისათვის“[5].

ისტორიულ წარსულზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის მნიშვნელოვანი მოვლენაა ლ. გოთუას რომანი „გმირთა ვარამი“ (I – IV წიგნები, 1958 – 1962), რომელშიც შთამბეჭდავადაა ასახული ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა XVI – XVII საუკუნეებში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ისტორიულ მოვლენათა წარმოსახვის მასშტაბებით, განზოგადებით, ხალხის ქვედა ფენების სულისკვეთების ცოდნით ინტერესს იწვევს რ. ჯაფარიძის რომანი „მძიმე ჯვარი“, რომელიც ეძღვნება XVIII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამეფოს, იმერთა მეფის სოლომონ მეორის ხანას. ავტორმა უკვე გამოაქვეყნა პირველი, მეორე და მესამე წიგნები, რომლებიც მკითხველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო.

შემდგომ დამუშავებასა და გაღრმავებას პოულობს ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა ქართულ პროზაში. შ. დადიანმა თავისი უკანასკნელი რომანი, „გვირგვილიანების ოჯახი“ (1960) მიუძღვნა XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საქართველოს გართულებულ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, ქალაქისა და სოფლის კლასობრივ დიფერენციაციას, მეფის ბიუროკრატიული წყობილების კრიტიკასა და დემოკრატიული ინტელიგენციის როლს გლეხთა რევოლუციური სულისკვეთების ჩამოყალიბებაში.

ქართული სოფლის ახლო რევოლუციურ წარსულს ასახავს გრ. ჩიქოვანის საინტერესო რომანი „თებერვალი დადგაო“ (1971).

ახალი ხნული გაავლო თანამედროვე ქართულ პროზაში გ. ლეონიძემ მოთხრობების ციკლით „ნატვრის ხე“ (1964). მწერალმა უებრო ქართული ძარღვიანი ენით შექმნა რევოლუციამდელ გლეხკაცთა მდიდარი ფერებით შესრულებული სახეების მხატვრული გალერეა. მკითხველს ხიბლავს ხასიათების სიმართლე, კოლორიტი და ენობრივი სურნელება.

თემატიკურ-მხატვრული გააზრებით თანამედროვე ქართული პროზის ორიგინალური მოვლენაა თამაზ და ოთარ ჭილაძეების რომანები და მოთხრობები, რომლებშიც თავისებური თვალითაა დანახული ადამიანის რთული ბუნება.

თანამედროვე ქართულ პროზაში გაფართოვდა დოკუმენტური პროზის ფარგლები, გამდიდრდა იგი ახალი ჟანრობრივი სახეებითა და მოტივებით.

უნდა გამოვყოთ მხატვრული ნარკვევი სოციალისტური შრომის ადამიანებზე, დიდი სამამულო ომის თემაზე, გამოჩენილ ისტორიულ

პირებზე, აგრეთვე მემუარული ხასიათის სხვადასხვა ფორმა, მოგზაურობის ჟანრი და ა. შ. გაფართოვდა თანამედროვე ქართული დოკუმენტური ლიტერატურის გეოგრაფიული გარემოც და მისი პერსონაჟების სამოქმედო სარბიელიც. იგი ასახავს ჩვენი ეპოქის გმირების – სხვადასხვა პროფესიის, ეროვნებისა და ასაკის ადამიანთა თავდადებას, ბრძოლასა და შრომას.

მხატვრული ნარკვევი, რომელსაც მ. გორკიმ ლიტერატურის ყველაზე ოპერატიული ჟანრი უწოდა, თანამედროვე ეტაპზე გამდიდრდა თემატიკურად, მხატვრული ფორმებით და სიღრმით. მასში მთავარი ადგილი თანამედროვე სოფლისა და ქალაქის გიგანტური მშენებლობის ადამიანებმა დაიკავეს, მათ, რომლებმაც გამოამჟღავნეს მომავალი საზოგადოების ჰარმონიულ ადამიანთა პირველი ნიშნები სოციალისტურ შრომასა და ყოფაში.

სოციალისტური სოფლისა და ქალაქის გამოჩენილ ადამიანებზე მხატვრულად საინტერესო ნარკვევები გამოაქვეყნეს გ. ჩიქოვანმა, გ. ნატროშვილმა, ბ. ჩხეიძემ, რ. ჯაფარიძემ, ნ. წულეისკირმა, გ. ფანჯიკიძემ, ს. წვერავამ, მ. ასათიანმა, ე. უბილავამ, ლ. სულაბერიძემ, და სხვ. მათ ნარკვევებში სიმართლივ აისახა ჩვენი ქალაქებისა და სოფლების, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურებისა და მსხვილი საწარმოების მშენებლობა და შრომაში განთქმული ადამიანების თავდადება.

დოკუმენტური ლიტერატურის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა სამხედრო ბიოგრაფიული ჟანრი. ამ ლიტერატურული ნაკადის საფუძველს დიდი სამამულო ომი წარმოადგენს.

დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის გარეთაც გახდა ცნობილი საბჭოთა კავშირის გმირების დ. ბაქრაძის „გმირთა სისხლით“, ი. იოსელიანის „ცეცხლი ოკეანეში“ და სხვა ნაწარმოებები. მნიშვნელოვანი მხატვრული მოვლენაა აგრეთვე მ. კვესელავას „ასერგასის დღე“ (სამ წიგნად – 1967, 1970, 1974), ალ. კალანდაძის „დღეები ბრესტის სიმაგრეში“ (1961), „პიასტის ნამუხლარზე“ (1967) და „მაკიზარებთან“ (1969), დ. კვიცარიძის „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“ (1970). მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა კ. ლორთქიფანიძის „უტყუარი მოთხრობების“ ციკლი (1967), რ. ჯაფარიძის „მარუხის თეთრი ღამეები“ (1963) და სხვ. ამ ნაწარმოებებში დიდი სამამულო ომის სინამდვილე ორგანულად უკავშირდება ქართველი ერის პატრიოტულ გრძნობას, სამხედრო ხელოვნებას. ამასთან მკითხველი ეცნობა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მოძმე და საზღვარგარეთის ხალხების მამაც ადამიანებს, რაც ინტერნაციონალიზმსა და ჰუმანიზმზე მიგვითითებს.

თანამედროვე ქართული მემუარული ლიტერატურის დიდი შენაძენია ნ. აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ (1960), ი. ვართაგავას „მოგონებები“ (1966), შ. აფხაიძის „ადამიანები და წიგნები“ (1964) და სხვ.

სახელმწიფოთა თანამედროვე საგარეო ურთიერთობის ხასიათმა და ხალხთა კონტაქტებმა საფუძველი შეუქმნეს სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის განვითარებას. ამ ჟანრს არა მარტო კულტურულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, იგი ამხელს ბურჟუაზიულ „წესრიგს“, მას უპირისპირებს

საბჭოთა სინამდვილეს და ჩვენი სახელოვანი ადამიანების მაღალ იდეალებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. აბაშიძის „დღეები საზღვარგარეთ“ (1959) და „შორეულ ფილიპინებზე“(1969), ი. აბაშიძის „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“ (1960), მისივე „პალესტინის დღიური“ (1961, 1969 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ი. აბაშიძის „გზები და ფიქრები“), ა. ბელიაშვილის „მოზაურობა ამერიკაში“ (1962), ვ. ალფენიძის „ფიქრიანი გზები“ (1974), აგრეთვე ს. ჩიქოვანის, გ. ჯიბლაძის, ბ. ჟღენტის, ა. მირცხულავას, ს. ჭილაიას, ხ. ბერულავას და სხვათა მგზავრული ჩანაწერები.

თანამედროვე ეტაპზე ქართული მწერლობა გამდიდრდა სათავგადასავლო-ბიოგრაფიული ჟანრით. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება და მოღვაწეობა დიდ შემეცნებით-მხატვრულ ინტერესს იწვევს მკითხველ საზოგადოებაში: ა. გელოვანის „სვეტი ნათლისა“, ე. მაღრაძის „გრიგოლ ორბელიანი“ (1966), „გოდება“ (1974), ო. ჩხეიძის „რომანი და ისტორია“ (1970), კ. გოგიავას „ილიაობა“ (1973) და მრავალი სხვა.

სათავგადასავლო-ბიოგრაფიული ჟანრის ნაკადი თანამედროვე ლიტერატურაში თანდათანობით ფართოვდება.

დრამატურგია. დრამატურგია თანამედროვე ეტაპზეც ქართული ლიტერატურის შედარებით ჩამორჩენილი უბანია. კაზმულსიტყვაობის ამ დარგის დაბალი დონე მისი რთული ბუნებით უნდა აიხსნას.

თანამედროვე ქართული დრამატურგიისათვისაც არსებითად დამახასაითებელია ის იდეურ-თემატიკური პრობლემები, რომლებიც გვხვდება ქართულ ლირიკასა და ეპოსში. მეგობრობა, ინტერნაციონალიზმი და ჰუმანიზმი, სოციალისტური მშენებლობის პათოსი და პატრიოტიზმი, ნეგატიური მოვლენების კრიტიკა და ჩვენი სოციალისტური წყობისათვის უცხო მორალური თვისებების გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა – ასეთია ძირითადად ის მოტივები, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართული დრამატურგიისათვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ თანამედროვე თემატიკას ქართულ დრამატურგიაში წამყვანი ადგილი უჭირავს. როგორც განსაკუთრებული მოვლენა ქართული დრამატურგიისა, უნდა გამოვყოთ საბჭოთა კომედიოგრაფიის ერთ-ერთი დიდოსტატის პ. კაკაბაძის შემოქმედება. მან დაასრულა ისტორიულ თემებზე ტრაგედიები: „დემეტრე მეორე“ (1945 – 1971), „ბაგრატ მეშვიდე“, „ქეთევანი და კირიონი“ (1912 – 1968) და დაწერა თანამედროვეობის თემაზე „ცხოვრების ჯარა“ (1964), რომელშიც მძაფრად გაამათრახა ჩვენი საზოგადოებისათვის შეუფერებელი ზნის ადამიანები და ამით დაგმო კარიერიზმი, შინაკაცობა, სიყალბე და მომხვეჭელობა. პ. კაკაბაძის აღნიშნული თხზულებები ახალ ეტაპს ქმნის ქართულ დრამატურგიაში. მათში კვლავაც თავი იჩინა დრამატურგიისათვის დამახასიათებელმა მძაფრმა კოლიზიებმა, ლაკონურმა დიალოგებმა, ენის სიმდიდრემ და სახოვნებამ, ხასიათების ხატვის უბადლო ოსტატობამ.

საინტერესო პიესები შექმნეს გ. აბაშიძემ „ლეგენდა პირველ თბილისელებზე“ (1959) და „მოგზაურობა სამ დროში“ (1961), ვ. გაბისკირიამ

„ახალი წლის ღამე“ (1959) და „შრიალებენ ვერხვები“ (1962), გ. ნატროშვილმა „ბარათაშვილის უკანასკნელი ღამე“ (1969), კ. ბუაჩიძემ „გავიხსენოთ ჩვენი ახალგაზრდობა“ (1960), „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ (1966), ი. ვაკელმა, მ. ბარათაშვილმა, ო. ჩხეიძემ, ვ. კანდელაკმა, გ. ნახუცრიშვილმა, თ. ჭილაძემ, ო. იოსელიანმა, გ. ხუხაშვილმა, ო. მამფორიამ, რ. თაბუკაშვილმა, ა. გეწაძემ, ლ. სანიკიძემ და სხვებმა.

მათ დრამატულ თხზულებებში მეტ-ნაკლებად სწორადაა ასახული ჩვენი თანამედროვეობა და ისტორიული წასრული.

საბავშვო მწერლობა. ახალი მოტივებით, მხატვრული ხერხებითა და გამოსახვის საშუალებებით გამდიდრდა ქართული საბავშვო მწერლობა. ქართველი მწერლები საბავშვო ნაწარმოებებში მიზნად ისახავდნენ მოზარდი თაობის პატრიოტულ და მაღალზნეობრივ პრინციპებზე აღზრდას, უნერგავდნენ ჰუმანიზმსა და შრომისადმი სიყვარულს. მარიჯანმა, ი. გრიშაშვილმა, ს. კლდიაშვილმა, ი. აბაშიძემ, გ. აბაშიძემ, ი. სიხარულიძემ, მ. მრევლიშვილმა, ხ. ბერულავამ, კ. კალაძემ, ნ. ჩაჩავამ, მ. ბარათაშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, რ. ჯაფარიძემ, გ. კალანდაძემ, რ. ინანიშვილმა, ე. ყიფიანმა, ო. ჭელიძემ, ა. სულაკაურმა, ნ. კეცხოველმა, ა. ადამიამ, რ. ქორქიამ, ნ. მალაზონიამ, ლ. მრელაშვილმა, ი. ურჯუმელაშვილმა, ო. იოსელიანმა, ს. დემურხანაშვილმა, რ. ჩაჩანიძემ და სხვ. დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში, გააფართოეს თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობის თემატიკური რკალი, ჟანრული ბუნება და აიყვანეს ახალ მხატვრულ-იდეურ სიმაღლეზე. უმნიშვნელოვანესი საბავშვო ნაწარმოებებისათვის ავტორებს მიენიჭათ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიები.

თარგმანები. თანამედროვე ეტაპზე ფართო ხასიათი მიიღო მთარგმნელობითმა საქმიანობამ. ერთი მხრივ, ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები ითარგმნა მოძმე და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე მიიღო მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო მხატვრული ქმნილებები; ქართულ ენაზე დიდი რაოდენობით გამოიცა დასავლეთ ევროპის კლასიკოსი მწერლებისა და საზღვარგარეთის თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის ნიმუშები. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ აქვეყნებს მსოფლიო ლიტერატურის 80-ტომეულს ქართულ ენაზე.

განსაკუთრებით ფართო და თანამიმდევრული ხასიათი აქვს რუსი კლასიკოსებისა და მოძმე საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების საუკეთესო თხზულებათა თარგმანების პრაქტიკას. 1959 – 1975 წლებში ითარგმნა და გამოიცა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ლევ ტოლსტოის, დ. დოსტოევსკის, ი. ტურგენევის, ი. კრილოვის, ა. კუპრინის, მ. გორკის, ა. ჩეხოვის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ტოლსტოის, ბ. პასტერნაკის, მ. შოლოხოვის, კ. ფედინის, ნ. ტიხონოვის, ა. ტვარდოვსკის, ა. ფადეევის, ლ. ლეონოვის, კ. სიმონოვის, აგრეთვე უკრაინელი,

ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, ოსი და სხვა მოძმე ხალხთა მწერლების ნაწარმოებები.

საქართველოში მუშაობს მწერალთა დიდი ჯგუფი, რომელმაც ქართულ ენაზე თარგმნა მოძმე საბჭოთა ხალხებისა და საზღვარგარეთის ხალხთა ლიტერატურის ნიმუშები (გ. გაჩეჩილაძე, ვ. ჭელიძე, ვ. ურუშაძე, ნ. აგიაშვილი, გ. ბუაჩიძე, ნ. ყიასაშვილი, თ. ჩხენკელი, ბ. ბრეგვაძე, ა. გელოვანი, ო. ჭელიძე, ო. ჭილაძე და სხვ.). მათი ნაწილი კი ქართულიდან უცხო ენებზე თარგმნის ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს (ს. წულაძე, ვ. ურუშაძე და სხვ.). ქართული პოეზიის რუსულ, უკრაინულ და მოძმე საბჭოთა ხალხების სხვა ენებზე თარგმნას დიდი ღვაწლი დასდეს ნ. ტიხონოვმა, მ. ბაჟანმა, ე. ევტუშენკომ, ა. მეჟიროვმა, ბ. ახმადულინამ, ა. გრაშმა, ს. კაპუტიკიანმა, მ. იბრაგიმოვმა და სხვ.

შოთა რუსთაველის იუბილე. ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით, საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დადგენილებით 1966 წელს ჩატარდა უდიდესი მნიშვნელობის ეროვნული დღესასწაული, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი. ზეიმმა, რომელშიც მონაწილეობდნენ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები, უჩვეულოდ ფართო მასშტაბი მიიღო. იგი გადაიქცა ქართველი ერის დიდი კულტურული წარსულის დემონსტრაციად, რასაც საერთაშორისო აღიარება მოჰყვა.

ქართული მწერლობა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში წარმმართველი როლი შეასრულეს სკკ პარტიის XXIII – XXV ყრილობების გადაწყვეტილებებმა და საკავშირო მწერლებისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობებმა (1959 – 1975 წლებში ჩატარდა ქართველ მწერალთა სამი ყრილობა: V ყრილობა – 1959 წლის იანვარში, VI – 1966 წლის ივლისში და VII ყრილობა – 1971 წლის მაისში), აგრეთვე პარტიულმა პრესამ, რომელიც სისტემატურად აშუქებდა მხატვრული ლიტერატურის პრობლემებს. ამასთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დეკადებსა და შეხვედრებს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვსა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ცენტრებში.

ამ პერიოდში 20-ზე მეტი ქართველი საბჭოთა მწერლის დიდი შემოქმედებითი წარმატება აღნიშნულია საკავშირო მთავრობისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვადასხვა პრემიით[6], მათ შორის: ი. აბაშიძე, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე (სიკვდილის შემდეგ), კ. ლორთქიფანიძე, ნ. დუმბაძე, მ. ლებანიძე, შ. ნიშნიანიძე, ა. სულაკაური, მ. მრევლიშვილი, მ. გელოვანი (სიკვდილის შემდეგ), ნ. კეცხოველი, რ. ინანიშვილი რუსთაველის სახელობის პრემიით.

70-იანი წლებიდან განსაკუთრებული აღმავლობა შეინიშნება ქართულ ლიტერატურაში. ქართული მწერლობა მხარში უდგას პარტიას იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც ეწევა საქართველოს კომპარტია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე. ქართველი მწერლები მთელი

შემოქმედებითი შემართებით დგანან „ცეცხლის ხაზზე“, ხუთწლედის მხარდამხარ იბრძვიან როგორც მოქალაქენი, მხატვრები და აქტიურ როლს ასრულებენ იმ „ზნეობრივი გაჯანსაღების“ პროცესში, რომელიც ახლა ორციელდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებამ „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ განსაზღვრა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის შეცვლის (1972 წლის სექტემბერში) შემდეგ დაიწყო მობრუნება არა მარტო რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ სულიერი კულტურის სფეროში, ქართულ ლიტერატურაშიც.

ქართულ მწერლობაში გაქრა „უსაგნო ლირიკით“ გატაცების ტენდენციები და „ნახევარტონით“ მოჩურჩულე პოეტების ხმა, რაც არსებითად ეროვნული მწერლობის ტრადიციისაგან გადახვევას წარმოადგენდა.

ქართველმა მწერლებმა დააჩქარეს მუშაობა დაწყებულ მხატვრულ ტილოებზე, რომლებზეც შეგნებულად ქვეცნობიერად დადებითი გავლენა მოახდინეს მიმდინარე ცხოვრებისეულმა პროცესებმა. მხატვრულმა პუბლიცისტიკამ და სამოქალაქო ლირიკამ კვლავ კუთვნილი ადგილი დაიკავა ქართულ მწერლობაში, გამოიკვეთა თანამედროვე კომუნიზმის მშენებელი მოქალაქის, კომუნისტის მხატვრული სახე, გაძლიერდა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის თემატიკა. ქართველი მწერლები, რომლებიც მუშაობდნენ ისტორიულ თემატიკაზე, ცხოვრების ძახილზე მოსწყდნენ საწერ მაგიდას და გაემგზავრნენ კოლხეთის ჭაობის დასაშრობად გაჩაღებულ სამუშაოებზე, თუ ჩვენი ქვეყნის სხვა გიგანტურ მშენებლობებზე. „განახლებისა და გაჯანსაღების ის ატმოსფერო, - აღნიშნავდა თავის მოხსენებაში გ. აბაშიძე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, - რომლითაც ახლა სუნთქავს მთელი ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრება, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. პარტიული ხელმძღვანელობის დაინტერესებამ და ყურადღებამ წაახალისა და ხელი შეუწყო ჩვენი მწერლობის შემოქმედებითს გააქტივებას“[7].

ამ წლებში გამოქვეყნდა რამდენიმე ათეული სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები – რომანი, მოთხრობა, პოემა, ლირიკული ლექსი, დრამა, მხატვრული და პუბლიცისტური ნარკვევი, რაც ქართველი მწერლების ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. ეს ნაწარმოებები მანიშნებელია ახალი თვისებრივი ეტაპისა ქართულ მწერლობაში.

სკკპ XXV ყრილობამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 24 ივნისის დადგენილებამ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე, აგრეთვე

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი მხატვრული პრობლემები დაუსახეს საბჭოთა მწერლებს.

ლიტერატურისმცოდნეობა. აღმავლობის გზაზე დგას ქართული ლიტერატურისმცოდნეობა (ლიტერატურის ისტორია, თეორია, კრიტიკა). იგი განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე გამოირჩევა პრობლემურობით, მეცნიერული ანალიზის სიღრმითა და კვლევა-ძიების ფართო მასშტაბებით. ქართული ფილოლოგიური სკოლა სახელოვნად აგრძელებს ქართული მწერლობის მეცნიერული პუბლიკაციის ტრადიციას.

თანამედროვე ეტაპზე გამოიცა ქართული მწერლობის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეული, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, „როსტომიანი“, თეიმურაზ პირველისა და თეიმურაზ მეორის თხზულებანი, „რუსუდანიანი“, „კალმასობა“ (ორ წიგნად), „ქილილა და დამანა“, პირველად გამოიცა არჩილი, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის მხატვრულ თხზულებათა კრებულები.

დაიბეჭდა XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსების: ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის მრავალტომეულები და რჩეულები, აგრეთვე ქართველი საბჭოთა მწერლების: ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილის, შალვა დადიანის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, გერონტი ქიქოძის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი ლეონიძის, დემნა შენგელაიას, პოლიკარპე კაკაბაძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მირცხულავას (მაშაშვილის), ლადო ასათიანის და სხვ. ნაწერები. დიდი ყურადღება დაეთმო მდიდარი ქართული ფოლკლორული ძეგლების, მსოფლიო პროგრესული, რუსული და სხვა მოძმე ერების ლიტერატურულ ქმნილებათა გამოცემას.

ამ გამოცემებმა ნიადაგი მოუმზადეს ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. ახლა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გამოქვეყნებულია რამდენიმე ათეული მონოგრაფიული გამოკვლევა, ლიტერატურული პორტრეტები, ნარკვევები, წერილები და სხვა ფორმის ნაწერები, რომლებშიც მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურისმცოდნეობის პოზიციებიდან გაშუქებულია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის პრობლემური საკითხები.

ფართო მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობს ლიტერატურულ ურთიერთობათა პროცესების შესასწავლად; ქართულ-ბერძნული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემები გააშუქეს კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, პ. ბერაძემ, ა. ურუშაძემ, ა. გამყრელიძემ, რ. მიმინოშვილმა და სხვ. ქართულ-სომხური ურთიერთობანი –

ლ. მელიქსეთბეგმა, ილ. აბულაძემ, ქართულ-ირანული ურთიერთობანი – ა. ბარამიძემ, ი. აბულაძემ, ვლ. ფუთურიძემ, დ. კობიძემ, მ. თოდუამ, ა. გვახარიამ და სხვ.

დასავლეთ ევროპის ლიტერატურის შესწავლას საფუძვლიანი შრომები მიუძღვნეს გრ. ხავთასმა, გ. გაჩეჩილაძემ, მ. კვესელავამ, ნ. კაკაბაძემ, ნ. ყიასაშვილმა, ო. ჯინორიამ, შ. რევიშვილმა, დ. ლაშქარაძემ, ვ. ჭელიძემ, ზ. ჭარხალაშვილმა და სხვ.

ფართო ხასიათი აქვს ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლას. ამ დარგში დიდი წვლილი შეიტანეს ა. ჩხეიძემ, ვ. შადურმა, ირ. ანდრონიკაშვილმა, გ. ციციშვილმა, თ. ბუაჩიძემ, ი. ბოგომოლოვმა და სხვ.

ქართულ-უკრაინული ურთიერთობის საკითხებზე ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ბ. ჟღენტმა, ო. ბაქანიძემ, დ. კოსარიკმა, ი. ლუცენკომ და სხვ.

მოძმე საბჭოთა ერებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურებთან ურთიერთობის შესასწავლად შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში შექმნილია ორი სპეციალური განყოფილება.

დიდი მუშაობა გასწიეს ქართველმა ფოლკლორისტებმა მ. ჩიქოვანმა, ქ.სიხარულიძემ, ელ. ვირსალაძემ, ალ. ღლონტმა, ი. მეგრელიძემ და სხვ. თანამიმდევრულად მიმდინარეობს რუსთველოლოგიური ძიებანი; 1975 წელს რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა რუსთველოლოგიის განყოფილება, ხოლო 1962 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან - „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია. ქართველმა მეცნიერებმა: გ. წერეთელმა, ალ. ბარამიძემ, ე. მეტრეველმა, შ. ძიძიგურმა, გ. იმედაშვილმა, ს. ცაიშვილმა, ლ. მენაბდემ, ი. ლოლაშვილმა, ი. მეგრელიძემ, ს. ყუბანეიშვილმა, რ. სირაძემ, რ. ბარამიძემ, ე. ხინთიბიძემ, შ. ონიანმა, მ. გუგუშვილმა და სხვ. ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიური კვლევა-ძიებანი.

ჩვენი დროის ლიტერატურათმცოდნეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის მრავალ ცენტრში.

ქართველმა საბჭოთა მეცნიერებმა გააშუქეს თანამედროვე ესთეტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის აქტუალური პრობლემები: რიგი ფუნდამენტური ნაშრომები ან საყურადღებო გამოკვლევები და თეორიული ხასიათის წერილები გამოქვეყნდა სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების, სოციალისტური რეალიზმის როგორც საბჭოთა მწერლების ძირითადი შემოქმედებითი მეთოდისა და მისი სპეციფიკის, მხატვრული ეპოსის, ლირიკის, დრამატურგიის, პოეტიკისა და სალიტერატურო კრიტიკის საკითხებზე. ლიტერატურის ისტორიაში საფუძვლიანად იქმნა გაანალიზებული უახლესი პერიოდის მთელი რიგი

ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლების შემოქმედება. გაშუქებულ იქნა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების გზა, ხოლო სალიტერატურო კრიტიკა უფრო მძაფრი და პრინციპული გახდა. თუმცა იგი თავისუფალი არ იყო ვულგარიზმისა და ტენდენციურობის რეციდივებისაგან.

სოციალისტური რეალიზმის როგორც ძირითადი შემოქმედებითი მეთოდის დამკვიდრება ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და ამ მიმართულების მნიშვნელოვანი ისტორიულ-თეორიული პრობლემები გააშუქეს ქართველმა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებმა: გ. ლომიძემ, მ. დუდუჩავამ, ო. ეგაძემ, ბ. ჟღენტმა, დ. ბენაშვილმა, ა. გაწერელიამ, ს. ჭილაიამ, გ. მერკვილაძემ, გ. ნატროშვილმა, ლ. კალანდაძემ, გ. ციციშვილმა და სხვ. მათ გამოკვლევებსა და საჟურნალო სტატიებში ძირითადად სწორადაა გადაწყვეტილი სოციალისტური რეალიზმის თეორიული საკითხები.

თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლას. გამოქვეყნდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულის“ ოთხი ტომი.

XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზრისა და მწერლობის ისტორიის გაშუქებაში დიდი წვლილი შეიტანეს მ. ზანდუკელმა, პ. ინგოროყვამ, გ. ქიქოძემ, ს. დანელიამ, შ. რადიანმა, ა. გაწერელიამ, ა. მახარაძემ, ს. ხუციშვილმა, ა. გაჩეჩილაძემ, პ. კეკელიძემ, გ. კიკნაძემ, დ. გამეზარდაშვილმა, პ. რატიანმა, გ. ასათიანმა, შ. გოზალიშვილმა, მ. გაფრინდაშვილმა, ჯ. ჭუმბურიძემ, ი. ბოცვაძემ, ალ. კალანდაძემ, გ. გვერდწითელმა და სხვ.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობაა გაჩაღებული საბჭოთა მწერლობის ისტორიის პრობლემებზე. ახლებურად იქნა გაშუქებული ქართული საბჭოთა მწერლობის 20 – 30-იანი წლების საკვანძო საკითხები. ამ პერიოდის ლიტერატურის ისტორიაში კუთვნილი ადგილი დაიკავა მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილისა და სხვ. მდიდარმა შემოქმედებამ.

უფრო ფართო ხასიათი მიიღო ქართველი საბჭოთა მწერლების მონოგრაფიულმა შესწავლამ, საინტერესო ნაშრომები და წერილები გამოქვეყნდა ქართული რომანის, ნოველისა და პოეტური ეპოსის საკითხებზე, აგრეთვე ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის, მხატვრული ნარკვევის, ენისა და საბავშვო მწერლობის განვითარების შესახებ. მათში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები ორგანულადაა დაკავშირებული მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან და თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის პოზიციებიდანაა განხილული ქართული საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილი მწერლების შემოქმედებითი გზა და ესთეტიკურ-იდეური სამყარო. ამ პერიოდში გამოქვეყნდა მრავალი ავტორის საყურადღებო გამოკვლევა ისეთი ცნობილი ქართველი მწერლების შესახებ, როგორიც არიან შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ლეონიძე,

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გრიგოლ აბაშიძე და სხვ. მათი შემოქმედების ანალიზი უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევა ლიტერატურული მასალის საფუძვლიანი ცოდნითა და დასკვნებით.

თანამედროვე ეტაპი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი ხანაა. იგი ხასიათდება ესთეტიკურ-მხატვრულ თვალსაზრისთა მრავალფეროვნებით, შემოქმედებითი პრინციპების ძიებებითა და ახალი ფორმების დადგენისათვის სწრაფვით. ამასთან გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ სუბიექტივისტური და ვოლუტნტარისტული ხელმძღვანელობის შედეგად საერთაშორისო რევიზიონიზმის ატმოსფეროში ლიტერატურულ კრიტიკაშიც თავი იჩინეს ჩვენი იდეოლოგიისათვის მიუღებელმა განწყობილებებმა, მეთოდოლოგიურმა შეცდომებმა, ესთეტიკურ-ფორმალისტურმა მიდრეკილებებმა, სოციალისტური რეალიზმის, ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინიცპებისა და სხვა სახელმძღვანელო დებულებათა უგულებელყოფის ტენდენციებმა.

საბჭოთა მხატვრულ-კრიტიკული ფრონტის წარმომადგენლებმა, მათ შორის გამოჩენილმა ქართველმა კრიტიკოსებმაც, რომლებიც გამობრძმედილი იყვნენ 20 – 30-იანი და 40-იანი წლების ლიტერატურულ ბრძოლებში, ახალგაზრდა თაობის ნიჭიერ კრიტიკოსებთან ერთად, მტკიცედ დაიცვეს პარტიის სახელმძღვანელო პრინციპები და მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული ლიტერატურული კრიტიკა, სწორად შეაფასეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის პრობლემები და გამოჩენილი მწერლების ცალკეული მხატვრული ტილოები.

თანამედროვე ქართული მხატვრული აზროვნებისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს კონსტანტინე გამსახურდიამ, სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ, ირაკლი აბაშიძემ, დემნა შენგელაიამ, გრიგოლ აბაშიძემ, რევაზ ჯაფარიძემ და სხვა ქართველმა მწერლებმა, რომლებმაც თავიანთი წერილებით გააფართოეს კრიტიკის თვალსაწიერი, გაამდიდრეს და აამაღლეს თანამედროვე ქართული ესთეტიკურ-ლიტერატურული აზროვნება.

---

[1] იხ. სამდივნოს მოხსენება სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მესამე პლენუმზე, «Литературная газета», 24 мая 1957 г.

[2] „ლიტერატურული გაზეთი“, 1963 წლის 29 მარტი.

[3] იქვე, 1958 წლის 17 იანვარი.

[4] **გ. მერკვილაძე,** რომანი და ეპოქა, 1973, გვ. 314.

[5] **გრ. აბაშიძე,** მწერალი და ისტორია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1974 წ. 19 აპრილი.

[6] 1964 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესდა შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემია ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების შემდგომი განვითარების მიზნით.

[7] **გ. აბაშიძე,** ხარაჩოები გვიხმობენ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ , 1974 წლის 5 ივლისი.

§ 4. თეატრი

ხელოვნების სხვა დარგებს შორის თეატრი ყველაზე ადრე გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას. იგი ვერ შეასრულებს „ხალხის მწვრთნელისა და ხალხის გამზრდელის“ (ი.ჭავჭავაძე) ფუნქციას, თუ უშუალოდ თავის თანამედროვე მაყურებელს არ ემსახურება. ქართულმა თეატრმა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ინტენსიურად დაიწყო თავისი შემოქმედებითი არსენალის გადასინჯვა-გადახალისების პროცესი. თვით ცხოვრებამ მოითხოვა თეატრის მხატვრულ საშუალებათა განახლება. 50-იანი წლების ბოლოს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში (1958) ერთგვარად შეჯამდა თეატრის მიღწევები. ყველა საუკეთესო სპექტაკლი, რომლებიც აქ იყო წარმოდგენილი, ნათლად ავლენდა ქართული თეატრის წიაღში მიმდინარე პროცესების თავისებურებას, პირველ რიგში კი გმირულისა და ფსიქოლოგიურის სინთეზს. მათი თანაარსებობის შედეგად გამდიდრდა და გაფართოვდა მხატვრული საშუალებანი.

ქართული დრამატული თეატრების თავისებურება ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ვლინდებოდა რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მაგალითზე. ეს თეატრები განსაზღვრავდნენ ქართული თეატრის ხასიათს. მათ რთულ შემოქმედებით ცხოვრებაში ჩანს ქართული თეატრის განვითარების ორიენტირი, მისი გზა.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებასთან არის დაკავშირებული ქართული თეატრის არაერთი დიდი მიღწევა. 50 – 60-იან წლებში თეატრმა ღრმა ცვლილებები განიცადა. მის წიაღში წარმოიქმნა სტილური განახლების აუცილებლობით ნაკარნახევი ახალი ტენდენციები.

50-იანი წლების ძიებებს ახასიათებდა ფსიქოლოგიური ნაკადის წარმოჩენა და ლირიკულ განწყობილებათა სიჭარბე. თეატრის გმირულ-რომანტიკულ ხაზში ჩაისახა ტენდენცია, რომელმაც შემდგომ იმძლავრა და წარმოიქმნა ახლებური თეატრალური აზროვნება. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“ (1959), კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“ (1958), ხოლო მეორე მხრივ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (1956), დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“(1960) ნათლად გამოხატავდა თეატრის წიაღში მიმდინარე პროცესების თავისებურებას.

რუსთაველის თეატრში 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში მოხდა შემოქმედებითი მიღწევების ერთგვარი სტაბილიზაცია.

რომანტიკულში ფსიქოლოგიური ნაკადის შერწყმა, ლირიკული საწყისის წარმოჩინება სხვადასხვა ხელწერის რეჟისორთა (დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი) სპექტაკლების „მშვიდობიან თანაარსებობასაც“ გულისხმობდა. ასე იყო მანამდე, სანამ მაღალ ხარისხში ვლინდებოდა ერთიცა და მეორეც, ვიდრე კეთილად ზემოქმედებდნენ ურთიერთზე, იწვევდნენ შემოქმედებითი იმპულსების აქტივობას. თეატრის მოქმედ რეპერტუარში, რასაკვირველია, იყო საშუალო და სუსტი სპექტაკლებიც, მაგრამ ისინი არ განსაზღვრავდნენ თეატრის დონეს.

ამას მოსდევს 60-იანი წლების პირველი ნახევრის უაღრესად მტკივნეული ეტაპი. თეატრში თავი იჩინა დაბნეულობამ და შინაგანმა წინააღმდეგობამ.

რუსთაველის თეატრში დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონის“, გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანისა“ (1961) და გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილების“ (1961) დადგმა იყო უკანასკნელი ამაღლება რომანტიკული თეატრის პრინციპებისა. დიდი განსხვავების მიუხედავად, ეს სპექტაკლები მაინც ერთი სათავიდან მოედინებოდნენ. შესრულების ოსტატობა და საერთოდ მთელი მხატვრული განფენილობა, რომელიც ამ წარმოდგენებს ქმნიდა, რომანტიკული თეატრის ესთეტიკას უკავშირდებოდა. ეს იყო ტრადიციულიცა და ახალიც. იგი ამასთანავე ცხადყოფდა იმ ძიებას, რომელიც რუსთაველის თეატრში მიმდინარეობდა. ფსიქოლოგიური ნაკადი ერწყმოდა თეატრის რომანტიკულ ზეაწეულობას. ს. ზაქარიაძის მონაწილეობა სპექტაკლებში აქ ბევრად განაპირობებდა ამ ძიებათა წარმატებას.

რუსთაველის თეატრი თავის საუკეთესო სპექტაკლებში ნათლად ავლენდა ახალ თვისებებს, რაც ერთობ რელიეფურად გამოიხატებოდა ისეთი პიესების დადგმაში, როგორიცაა ჟან ანუის „ანტიგონე“ (1968). იქნებ ბუნებრივიც იყო, რომ სწორედ ინტელექტუალური დრამის „დამორჩილებაში“ უნდა ეცადა თეატრს თავისი ძალა. სოფოკლეს ანუით შეცვლა მსახიობთა მთელი საშემსრულებლო არსენალის გადასინჯვასაც გულისხმობდა. რუსთაველის თეატრმა თავისად აქცია ანუი და ისე წარსდგა მაყურებლის წინაშე. ამ ფაქტიდან შეიძლება ორი დასკვნა გაკეთდეს. ერთი, რომ რუსთაველის თეატრმა გვერდი არ აუარა თანამედროვე მსოფლიო დრამატურგიის მნიშვნელოვან მოვლენას და მეორეც, რომ თეატრი გაბედულად ეჭიდებოდა თანადროულობის ურთულეს საკითხებს. ეს ცხადყოფდა თეატრის გამახვილებულ ყურადღებას ახლის ძიებისადმი.

ქართულ სცენაზე ბ. ბრეხტის პიესა პირველად დ. ალექსიძემ დადგა რუსთაველის სახელობის თეატრში. ეს იყო „სამგროშიანი ოპერა“ (1964). თეატრმა განახორციელა ა. მილერის „სეილემის პროცესი“(1965), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1965), ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“ (1966), ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ (1967, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“(1969), როსინის „ფედრა“ (1969), დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1969), ჟ. ანუის „მედეა“ (1971), შ. დადიანის

„გუშინდელნი“ (1972), ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ (1975). ამ სპექტაკლების რეჟისურა (დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი, რ. სტურუა, თ. ჩხეიძე, ნ. ხატისკაცი) და აქტიორული ხელოვნება სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს აერთიანებდა. სპექტაკლებში გამოჩნდა ქართველ მსახიობთა ნიჭი და ოსტატობა. 60-იანი წლების რეპერტუარში ს. ზაქარიაძემ შექმნა სახეები (ქადაგი, ფიროსმანი, ლირი, კრეონი, აგაბო, ბეკინა), რომელთაც ფართო რეზონანსი ჰქონდათ. მან დიდი ოსტატობით გააცოცხლა ქართული და უცხოური კლასიკა, შთაგონებით გამოხატა თანამედროვეობის მღელვარე პრობლემები. მასშტაბური გააზრების ღრმა რეალისტური სახე შექმნა ე. მანჯგალაძემ (გვადი ბიგვა), გარდასახვის ოსტატობითა და ლირიზმით გამოხატა პლატონის სახე გ. გეგეჭკორმა.

„სეილემის პროცესში“ გამოვლინდა არაერთი აქტიორული სახე. ზ. კვერენჩხილაძის (ელიზაბეტ პროქტორი), ე. მაღალაშვილის (ჯონ პროქტორი), გ. საღარაძის (ჯეილი), ი. გიგოშვილის (აბიგაილი), მ. მაღლაკელიძის (მერი ფორენი) მაღალმა პროფესიულმა შესრულებამ განაპირობა სპექტაკლის აქტიორული წარმატება. „ზღვის შვილებში“ გამოჩნდა ე. მანჯგალაძის, მ. ჩახავას და კ. მახარაძის ოსტატობა. ფართოდ გაიშალა ზ. კვერენჩხილაძის ტრაგიკული ნიჭი (ელიზაბეტი, ლელა, ფედრა, ანტიგონე, მედეა). ამ პერიოდში ახალ მხატვრულ სიმაღლეებს მიაღწია რ. ჩხიკვაძემ, მისი ხალასი არტისტიზმი ფოირვერკული ბრწყინვალებით გამოჩნდა მთელ რიგ როლებში (ქოსა, კირილე მიმინოშვილი, აკოფა, აზდაკი). ერთგვარი მოდერნიზაციით აღინიშნა ა. ცაგარელის „ხანუმას“ დადგმა. აქტიორულმა წარმატებამ (ს. ყანჩელის ხანუმა, ე. მანჯგალაძის თავადი, რ. ჩხიკვაძის აკოფა) დიდი პოპულარობა მოუტანა სპექტაკლს.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, უ. შექსპირის „იულიუს კეისარი“. თეატრი ეძებდა სასცენო ხელოვნების თანამედრვე ენას. მისი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა ყოფილიყო თანადროული თავისი პრობლემატიკით და გამომსახველობითი საშუალებებით. ამ მხრივ საყურადღებოა გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“, ი. დვორეცკის „უცხო კაცი“, ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“.

რუსთაველის თეატრი პირველად შეხვდა გ. ლორკას პოეზიას, მისი დრამატული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშს „ბერნარდა ალბას ოჯახს“. ეს პიესა წარმატებით დაიდგა სოხუმშიც (რეჟისორი ლ. პაქსაშვილი), მაგრამ რუსთაველის თეატრში ამ პიესის დამდგმელმა რეჟისორმა (თ. ჩხეიძე) სხვაგვარად გაიაზრა წარმოდგენა. თეატრმა მაყურებელს უჩვენა მძაფრი, შინაგანად სავსე და პლასტიკური სპექტაკლი, რომელშიც სრულიად ახლებურად გამოჩნდა ს. ყანჩელის აქტიორული შესაძლებლობანი.

60 – 70-იანი წლების რუსთაველის თეატრის სცენაზე ახალი სახეები შექმნეს ე. მანჯგალაძემ, გ. გეგეჭორმა, რ. ჩხიკვაძემ, ბ. ზაქარიაძემ, მ. ჩახავამ, ს. ყანჩელმა, ზ. კვერენჩხილაძემ, გ. საღარაძემ, ე. მაღალაშვილმა, კ. საკანდელიძემ, მ. გეგეჭკორმა, გიორგი საღარაძემ, ბ. კობახიძემ, ჯ. ღაღანიძემ,

ი. გიგოშვილმა, გ. ხარაბაძემ, მ. ჯანაშიამ, ლ. ჭავჭავაძემ, ლ. ღამბაშიძემ, ლ. ჩხეიძემ, ე. საყვარელიძემ, ნ. მგალობლიშვილმა, ს. ლაღიძემ, ზ. ბოცვაძემ, კ. კავსაძემ, ჟ. ლოლაშვილმა, ბ. წიფურიამ, ბ. მირიანაშვილმა, ტ. ყველაიძემ, მ. თავაძემ და სხვ.

განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს: შ. დადიანის „გუშინდელნი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“. მათ ცხადყვეს თეატრის რეჟისორული და აქტიორული აზროვნების მაღალი დონე და, მათი სტილური სხვაობის მიუხედავად, ახალი აქცენტი შეიტანეს რუსთაველის თეატრის ესთეტიკაში. აქ შეიქმნა აქტიორული სახეები, რომლებიც გამოირჩევიან შესრულების მაღალი კულტურით, არტისტიზმით. ამ მხრივ აღსანიშნავია „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც რეჟისორ რ. სტურუასა და მსახიობების ერთობლივი წარმატებაა. დიდ კმაყოფილებას იწვევს რეჟისორის აზროვნების სიღრმე და მასშტაბი. რ. ჩხიკვაძემ, გ. საღარაძემ და ი. გიგოშვილმა სპექტაკლში შექმნეს სახეები, რომელთა წყალობითაც ქართველი მაყურებელი ეზიარა ბრეხტის დიდ შემოქმედებას.

სპექტაკლმა ცხადყო, რაოდენ მრავალპლანიანია იგი რეჟისორული აზროვნებით, მსახიობთა შესრულებით, მხატვრის (გ. მესხიშვილი), კომპოზიტორის (გ. ყანჩელი) ნამოღვაწარით. სიმფონიზმმა, ურთიერთშერწყმამ და შენივთებამ ყოველი დეტალისა, ყოველი ხაზისა, სპექტაკლს მიანიჭა სისავსე და მთლიანობა.

რ. სტურუას სპექტაკლები „ღალატი“, „ყვარყვარე“ და „კავკასიური ცარცის წრე“ ერთ დედაბოძზეა ნაშენი. ეს არის პლატფორმა პოლიტიკური თეატრისა, რომელიც თავისი არსით პირდაპირ ებრძვის პოლიტიკურ ავანტიურიზმსა და კარიერიზმს, ტირანიასა და უსამართლობას, სოციალური უთანასწორობის ყოველგვარ გამოვლენას. რეჟისორი არ ერიდება სიტუაციების გაღრმავებასა და გამწვავებას, რათა უკეთ წარმოაჩინოს კეთილი. ამ გზით აფხიზლებს იგი მაყურებლის გონებას და აქტიურად განაწყობს სამართლიანობის დასაცავად.

თეატრი იოლი გზით არ მისულა ამ წარმატებამდე. მაგრამ ეს იყო ლოგიკური სვლა. რუსთაველის თეატრის ისტორიამ იცის ამგვარი ზიგზაგობრივი ძიების არაერთი მაგალითი.

„ხანუმას“ არტისტიზმი ვოდევილის თეატრის პრინიციპზეა აგებული (ვოდევილმა კი თავის დროზე საქართველოში კლასიკურ დონეს მიაღწია). მის გვერდით მოქმედებს და ცოცხლობს დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“ და გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას ოჯახი“, უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და ე. როზოვის „სიტუაცია“. ჟანრების, თემების, პრობლემების როგორი სხვადასხვაობაა. მათი ხელწერის სხვადასხვაობა, მსახიობთან მუშაობის განსხვავებული პრინციპები და სპექტაკლის ხედვის, მათი აგების თავისებურებანი თეატრში ამ განსხვავებათა თანაარსებობის

საშუალებებსაც იძლევა, მათ აქვთ ბევრი საერთოც (და ეს არის უმთავრესი), რაც ვლინდება ხელოვანთა მაღალმოქალაქეობრივ პრინციპულობაში, მათ უკომპრომისო ბრძოლაში სოციალურ-პოლიტიკურ თუ სხვა ზნეობრივ უკუღმართობათა წინააღმდეგ. ამასთანავე ეს არის რეჟისორთა ახალი თაობის პოზიცია, მათი აზროვნების ფორმები, რომლებიც ხორციელდება რუსთაველის თეატრის პრაქტიკაში. თეატრის საერთო მხატვრული დონე კი, - მიუხედავად იმისა, თუ რა არის მასში სადავო და საკამათო, სუსტი ან ძლიერი, ან როგორ წარიმართება მისი ხვალინდელი დღე – ეს არის დონე თანამედროვე თეატრისა, თავისი წარმატებებით, ძიებებით, სირთულით, წინააღმდეგობებით.

60 – 70-იანი წლების მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა სპექტაკლები, რომლებიც სხვადსხვა ასპექტით აშუქებდნენ თანამედროვეობისა და წარსულის სურათებს. თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად თეატრის რეპერტუარში იყო სხვადასხვა ჟანრისა და სტილის ნაწარმოებები. ქართველი, რუსი, უკრაინელი და უცხოელი მწერლების პიესების საფუძველზე იქმნებოდა სპექტაკლები, რომელთაც მოწონებით ხვდებოდა მაყურებელი. 1962 წელს დაიდგა ევრიპიდეს „მედეა“ (რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი) და უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. წარმატებით იდგმებოდა პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“ (1965), „ცხოვრების ჯარა“ (1966), კ. ჩაპეკის „დედა“ (1965), კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ (1968), ფ. შილერის „დონ-კარლოსი“ (1971), ა. კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა“ (1971), გ. ხუხაშვილის „მოსამართლე“, ვ. კანდელაკის „სოკრატე“. ბოლო წლებში მაყურებელმა ნახა რეალისტური სახიერებით შესრულებული არაერთი აქტიორული მიღწევა. მაყურებელმა შეიყვარა მარჯანიშვილის თეატრის ძველი და ახალი თაობის მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, ს. თაყაიშვილი, ვ. გოძიაშვილი, ა. კვანტალიანი, ა. ომიაძე, კ. მახარაძე, ი. ტრიპოლსკი, ა. ნინუა, ტ. საყვარელიძე, თ. არჩვაძე, მ. თბილელი, ე. ყიფშიძე, ი. უჩანეიშვილი, ზ. ლაფერაძე, ვ. ცხვარიაშვილი, გ. ტატიშვილი, გ. გელოვანი, რომელთაც შექმნეს წარუშლელი თეატრალური სახეები.

კ. მარჯანიშვილის თეატრი დიდი გულისხმიერებთი მოეკიდა თავის ტრადიციას. მან სცენაზე აღადგინა საუკეთესო სპექტაკლები ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი„?! (ლუარსაბი ვ. გოძიაშვილი, დარეჯანი მ. თბილელი) და კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“(ურიელი – კ. მახარაძე, ივდითი – ს. ჭიაურელი). ორივე სპექტაკლმა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის წინათ დაიდგა, თანამედროვე მაყურებელშიც გამოიწვია ინტერესი. მარჯანიშვილის თეატრში დიდი წარმატება ხვდა ვ. გოძიაშვილის დადგმას „ძველი ვოდევილები“. არტისტული მრავალფეროვნებით, მდიდარი მხატვრული საშუალებებით, ხალასი, არტისტიზმით წარმოადგინეს მართალი სახეები ვ. გოძიაშვილმა, მ. თბილელმა, ე. ყიფშიძემ და სხვ.

კ. მარჯანიშვილის თეატრში სერიოზული შემოქმედებითი წარმატება ხვდა ნ. ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავეს“ (რეჟ. მ. კუჭუხიძე), აქტიორული

წარმატებით აღინიშნა ი. უჩანეიშვილის გამოსვლა იეთიმ გურჯის როლში. თეატრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით დადგა გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, „როცა ქალაქს სძინავს“ და რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი“. ნ. გაჩავას ეს სპექტაკლები (აგრეთვე ა. ჩხაიძის „ხიდი“ რუსთაველის თეატრის სცენაზე) გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით, პუბლიცისტური სიმახვილით. წარმატებით დაიდგა ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“ (რეჟ. თ. ჩხეიძე), სადაც კვლავ გამოჩნდა ვ. ანჯაფარიძის და ა. ვასაძის დიდი ოსტატობა. მ. თუმანიშვილმა განახორციელა ფ. დიურენმანტის „მილიარდერის ვიზიტი“.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ისტორიაში უაღრესად რთული მოვლენა იყო 60-იანი წლების მეორე ნახევარი, როცა მას გამოეყო ახალგაზრდა მსახიობთა დიდი ჯგუფი და წავიდა რუსთავში ახალი თეატრის შესაქმნელად. ამასთანავე უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე თეატრს გამოაკლდა არაერთი დიდი მსახიობი. ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებაზე. მაგრამ თეატრი მაინც ცდილობდა არ ჩამორჩენოდა დროს.

60 – 70-იანი წლების ქართულ თეატრში კვლავ ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა დიდი სამამულო ომის თემას. საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობისა და ვაჟკაცობის ეპოპეა მრავალფეროვნად გამოიხატა სცენაზე. ქართული თეატრი ეძებდა ახალ ხერხებს, ახალ მხატვრულ საშუალებებს. თეატრმა მონახა საბჭოთა მეომრების ფსიქოლოგიური განცდების, მათი ტკივილისა თუ სიხარულის გამომსახველი ფორმები. თეატრმა იგრძნო, რომ საჭირო იყო ომის თემის ახლებური გააზრება: ფრონტისა და ზურგის ცხოვრება გამოვლინდა სცენაზე, როგორც ერთი მთლიანი პროცესი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნ. დუმბაძის ნაწარმოებებს. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1960), რომელიც პირველად მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე) ახლებურად აშუქებდა ომის თემას. ნაზი იუმორი, ლირიზმი, ნაღველი, რომელიც ცხოვრების მართალ სურათებშია განფენილი, სცენაზე დიდი მხატვრული სიმართლითა და სისავსით წარმოსდგა. თეატრში ახალი ძალით გაცოცხლდა საბჭოთა ჰუმანიზმის და კაცთმოყვარეობის იდეები. ადამიანთა შორის ჰარმონიული ურთიერთობის იდეალს სცენაზე მოენახა მხატვრულად საინტერესო ფორმა. ს. თაყაიშვილის, ალ. ჟორჟოლიანის, ლ. ანთაძისა და გრ. კოსტავას დიდი აქტიორული მიღწევების გვერდით შეიქმნა ეპიზოდური სახეები, რომელთა ერთობლიობაც იმის დასტური იყო, რომ მარჯანიშვილის თეატრი მტკიცედ იცავდა რეალისტური აზროვნების ტრადიციას. მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებაში ვლინდებოდა თეატრის მდიდარი აქტიორული შესაძლებლობანი. გ. ლოთქიფანიძემ, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს ქართულ დრამატურგიას, 1962 წელს დადგა ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. ეს იყო იმ გულწრფელი და პოეტური მოტივების გაგრძელება, რომელიც ასე წარმატებით გამოხატა მან ნ. დუმბაძის პირველი ნაწარმოების

დადგმაში, ქ. კიკნაძემ და გ. ქავთარაძემ ფაქიზად და წმინდად ასახეს ხატიასა და სოსოიას ახალგაზრდული სამყარო, სინათლითა და სიკეთით რომ იყო განათებული. რუსთაველის თეატრში დაიდგა „მზიანი ღამე“ (1966), რომელიც ნ. დუმბაძის გმირის ფორმირების ახალ ეტაპს უჩვენებდა. სპექტაკლის აქტიორულ შესრულებაში კვლავ გამოვლინად ქართული თეატრის სწრაფვა - ფსიქოლოგიური სიღრმით, ადამიანურ გრძნობათა და განცდათა სიმართლის ჩვენებით გადმოეცათ ომის დრამა, მისი გამოძახილი ზურგში.

რესპუბლიკის რამდენიმე თეატრში დაიდგა ომის თემისადმი მიძღვნილი პიესები: ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“, გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“, აკ. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“.

ომის თემა აჟღერდა მაღალი მოქალაქეობრივი რწმენით, სიმართლით. რომანტიკულ ზეაწეულობას ენაცვლებოდა ლირიკული განწყობილება, მონუმენტურ ფორმებს – კამერული, ყოფითს – პოეტური, სევდას – იუმორი, წუხილს – სიხარული. ერთი სიტყვით, ადამიანურ გრძნობათა და განცდათა მრავალფეროვნებაში იხატებოდა საბჭოთა ხალხის ცხოვრების რეალისტური სურათები.

მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, რომელიც განახორციელა ცხინვალის თეატრმა (1961), არ იყო ამავე სახელწოდების მოთხრობის ინსცენირება. პიესის არქიტექტონიკა, მისი დრამატული წყობა იმდენად ოსტატურად იყო აგებული, რომ იგი შეიგიძნობოდა როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები.

მორალურ-ეთიკური პრობლემა, რომელიც თანამედროვეობისა და წარსულის შერწყმის, მათი ავკარგიანობის, მათი დაახლოებისა და დაშორების რთულ პროცესში იშლებოდა, ნათლად გამოხატავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომწიფებული ზნეობრივი პრინციპების აქტუალობას. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“. ნაწარმოებში მოცემული შინმოუსვლელი ჯარისკაცის ქვრივის სახე, როგორც პატიოსნების, თავშეწირვის, უმწიკვლობის სიმბოლო. მაგრამ მის სულში შეიჭრა გარესამყაროს მძლავრი ნაკადი, ადამიანურ ურთიერთობათა ახალი ფორმები, ახალი სასიცოცხლო იმპულსები და ქვრივის სახეც რთულ წინააღმდეგობათა ქსელში გაიხლართა. საზოგადოება ვერ ეგუება დაღუპული ჯარისკაცის ხსოვნის ოდნავ შებღალვასაც კი, მაგრამ ცოცხალი ადამიანის ბუნება თავისას მოითხოვს, ცხოვრების მკაცრი სინამდვილე უპირისპირდება გარდასულ დღეთა მოგონებებს. ერთმანეთში ირევა წარსული და აწმყო, სევდა და სიხარული. ეს პიესა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გარდა, დაიდგა რესპუბლიკის რამდენიმე თეატრის სცენაზე.

მაგრამ გადის დრო და ქვრივი ქალის ბედი სულ სხვა გადაწყვეტას პოულობს ჩვენს დრამატურგიაში. იწერება ო. იოსელიანის პიესა „ადამიანი იბადება ერთხელ“. უკვე სათაურშივე ნაგრძნობია ერთხელ დაბადებულისადმი, ადამიანის სიცოცხლისადმი გამახვილებული ყურადღება.

მრავალი წელი ამშვენებდა მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარს ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ (1967). ეს იყო ქართულ დრამატურგიაში მანამდე შეუმჩნეველი, აქამდე უცნობი მხატვრული სამყაროს წარმოჩენა. ჯარისკაცთა საბრძოლო თავგადასავალში, მათს ბიოგრაფიაში ორგანულად აღმოცენდა „ცრემლიანი სიცილი“, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ჭიდილის სიმბოლო. ომის მრისხანე დღეების, პარტიზანთა ცხოვრების სხვდასხვა სირთულეს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა სულის ერთობას მიეძღვნა დ. კვიცარიძის პიესა „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“ (ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი), რ. თაბუკაშვილის „დემბურგის ზარი“ (რუსთაველის სახელობის თეატრი).

კავკასიის გმირული დაცვის თემას ეხებოდა ა. აფშილავას „მარუხის ტრაგედია“ (ზუგდიდის თეატრი). სახელოვანი გმირი ქალების ბრძოლას მიეძღვნა რ. ებრალიძის „ზოია რუხაძე“ (მოზარდ მაყურებელთა თეატრი) და რ. მამულაშვილის „თორტიზელი ქალიშვილი“ (გორის თეატრი).

ინტენსიურად მუშაობდა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი (შუკშინის „თვალსაზრისი“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“). წარმატება ხვდა სომხური თეატრის სპექტაკლებს (შირვან ზადეს „ნამუსი“, მ. ბარათაშვილის „სართულები“, ო. თუმანიანის „გიქორ“).

ქართული თეატრის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავეს რესპუბლიკის საბავშვო თეატრებმა. თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრების, თბილისისა და ქუთაისის თოჯინების თეატრების გარეშე შეუძლებელია მთლიანობაში წარმოვიდგინოთ ქართული თეატრი. 60 – 70-იან წლებში უფრო მიზანსწრაფული და ნაყოფიერი გახდა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისა და თბილისის თოჯინების თეატრის მუშაობა. რამდენიმე სპექტაკლი, მაგალითად, „ეი, შენ“, „ძია ელიოზი“, „ბატის ჭუკი“, „ყოყლოჩინა კვერცხი“, „მზის სხივი“, სხვადასხვა სახის პრემიებითა და დიპლომებით აღინიშნა. დიდი საჩუქარი მიიღო მაყურებელმა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ახალი შენობის სახით. წარმატებით დაიდგა სპექტაკლები ს. ბაიაცკის „რობინ ჰუდი“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“ და სხვ.

საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში ღირსეული ადგილი დაიკავა რუსთავის თეატრმა (1967 წელს შეიქმნა). თეატრს, რომელშიც თავი მოიყარეს ახალგაზრდა მსახიობებმა, სათავეში ჩაუდგა გამოცდილი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე. რუსთავის თეატრმა გამოავლინა თავისი დამოუკიდებელი მხავტრული პოზიცია, რაც გამოიხატა რომანტიკული საწყისის, მებრძოლი მოქალაქეობრივი პოზიციის ხაზგასმით წარმოსახვაში. დიდი წარმატება ხვდა თეატრის პირველსავე სპექტაკლებს: როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ (1967) და ვ. კარასტილოვის „ასი წლის შემდეგ“(1967). თეატრს დიდი პოპულარობა და აღიარება მოუტანეს სპექტაკლებმა: მ. გორკის „ფსკერზე“ (1968), ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“ (1968), თ. ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან“ (1970), ი. კატონას „ბანკ-ბანი“ (1971), ო. იოსელიანის „ექვსი

შინაბერა და ერთი მამაკაცი“ (1972), ვ. მაიაკოვსკის „აბანო“ (1972), ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ (1973), უ. შექსპირის „მეფე ლირი“ (1973), ვ. კარასტილოვის „ფიროსმანი“ (1974), ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრი“ და სხვ.

მეტალურგთა ქალაქის მსახიობებმა ახალი მხატვრული სახეებით გაამდიდრეს ქართული საბჭოთა თეატრის აქტიორული ხელოვნება, გვიჩვენეს მაღალი პროფესიული ოსტატობა, ანსამბლურობა, იდეური სიმწიფე და მოქალაქეობრივი შემართბა. მათ მიერ შექმნილი სახეები გამოხატავდნენ საბჭოთა ადამიანების ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, შრომისა და თავდადების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის იდეებს. ო. მეღვინეთუხუცესის გმირები (სირანო დე ბერჟერაკი, ლამანჩელი, ფიროსმანი) აღბეჭდილნი არიან რომანტიკული გზნებით, პოეტური სილამაზით.

რუსთავის თეატრში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს რეჟისორებმა: ა. ქუთათელაძემ, ი. კაკულიამ, თ. მესხმა. მსახიობებმა: ი. ხობუამ, თ. არჩვაძემ, ი. უჩანეიშვილმა, გ. სიხარულიძემ, გ. ბერიკაშვილმა, ლ. ანთაძემ, ლ. შოთაძემ, გ. მაისურაძემ, ს. გოგიჩაიშვილმა, კ. თოლორაიამ, ე. სიხარულიძემ, ზ. ლებანიძემ, თ. სხირტლაძემ, ი. ბოკუჩავამ, ლ. ფილფანმა.

თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აკ. ვასაძის მოღვაწეობა. იგი ჭეშმარიტი ახალგაზრდული გზნებით შეუერთდა ახალი თეატრის მშენებლებს და შექმნა სახეები, რომლებმაც კიდევ უფრო გაამდიდრეს მსახიობის შემოქმედებითი ბიოგრაფია. თეატრს დიდი წარმატება ხვდა მოსკოვსა (1969) და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში (1974) გასტროლების დროს.

ქართული თეატრის განვითარების რთულ პროცესში, მის წარმატებებსა და ნაკლოვანებებში თავისი ადგილი დაიმკვიდრეს რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულმა თეატრებმა. ამ თეატრებში იგრძნობოდა თაობათა მონაცვლეობის შედეგად წარმოქმნილი მიღწევებიცა და სიძნელეებიც. ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი თეატრის რეპერტუარში. უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდობამ თეატრში მოიტანა არა მარტო ახალგაზრდული გულწრფელობა და გატაცება, არამედ მაღალი პროფესიული კულტურაც.

ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორის, ჭიათურის, ფოთის, მახარაძის, ზუგდიდისა და თელავის თეატრებს თავიანთი ისტორია აქვთ. ბევრი მათგანი ას წელს ითვლის (ცხინვალის, ზუგდიდის, მესხეთის, მახარაძის), ზოგი მეტსაც (ქუთაისი, თელავი, გორი). ამ თეატრებში მუშაობდნენ სხვადასხვა თაობის მსახიობები და რეჟისორები. თეატრების მუშაობის სპეციფიკა განაპირობებდა მათი შემოქმედებითი ცხოვრების ხასიათს. ისინი სისტემატურად მართავდნენ გასვლით სპექტაკლებს. პარალელური წარმოდგენები იქცა მათი ყოველდღიური ცხოვრების ქვაკუთხედად, ამიტომ ეს მომენტი თავისებურ გამოძახილს პოულობდა რეპერტუარშიც. თეატრები ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ დროს.

საუკეთესო სპექტაკლები უძღვნეს მათ თანადროულობის საჭირბოროტო პრობლემებს, ეძებდნენ ახალ გზებს, ახალ მხატვრულ საშუალებებს. საქალაქო და რაიონული თეატრების ცხოვრებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდნენ თბილისის წამყვანი თეატრები. მათ რეპერტუარში იყო ერთი და იგივე დასახელების პიესები, მაგრამ ხდებოდა პირიქითაც, როცა ახალი პიესები პირველად სწორედ ამ თეატრებში იკაფავდნენ გზას.

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში უფროსი თაობის მსახიობების (შ. პირველი, ვ. მეგრელიშვილი, ი. ხვიჩია, შ. ხაჟალია, თ. ღვინიაშვილი, მ. გელაშვილი, ქ. კოლხიდელი, გრ. ნაცვლიშვილი, ვ. გვენცაძე და სხვ.) გვერდით გამოჩნდნენ ახალგაზრდები (თ. ლასხიშვილი, ე. სვანიძე, ლ. ვაშაკიძე, ჯ. ხერხაძე), რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს 60 – 70-იანი წლების ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. ვასაძის მოღვაწეობა ქუთაისში. მისმა დიდმა გამოცდილებამ და შემოქმედებითმა ავტორიტეტმა ხელი შეუწყო თეატრის პრესტიჟის ამაღლებას. ქუთაისში მრავალი წელი მოღვაწეობდა რეჟისორი თ. მესხი. ქუთაისის თეატრის სპექტაკლებში (შექსპირის „ოტელო“ და „რიჩარდ მესამე“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“, ლ. სანიკიძის „ნერონი“, დ. კვიცარიძის „ადამიანი და ბილიკები“, რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“) ჩანდა თეატრის სურვილი შესჭიდებოდა რთულ პრობლემებს, გამოესახა ჩვენი წარსული და თანამედროვეობა.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრში ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ უფროსი თაობის მსახიობები: მ. ხინიკაძე, ი. კობალაძე, თ. თეთრაძე, ა. მგელაძე, ხ. მეგრელიძე, ნ. კეჭეყმაძე, გ. იმნაიშვილი, ლ. აფხაზავა, გ. გოგიბერიძე, შ. გეჯაძე, გ. ახვლედიანი და სხვ. მათ გვერდით მოღვაწეობდნენ საშუალო და ახალი თაობის მსახიობები ი. ცანავა, მ. შერვაშიძე, ნ. საკანდელიძე, ნ. მესხი, ა. ტაკიძე, ლ. ღლონტი, რ. კაკაურიძე და სხვ.

ბათუმის თეატრში 60-იანი წლებიდან მოღვაწეობდნენ რეჟისორები შ. ინასარიძე, გ.ჟორდანია, გ. ქავთარაძე, ლ. ნიკოლაძე, გ. აბესაძე.

თეატრი მუდამ ცდილობდა ყოფილიყო თანადროული, რომანტიკულად ამაღლებული და მგზნებარე ტრიბუნი, ამასთანავე მას არც ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური ნაკადისათვის შეუქცევია ზურგი. ბათუმის თეატრის სცენაზე დაიდგა სპექტაკლები: ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1960), პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“ (1962), ა.სამსონიას „ჩემი შვილი სიმონა“ (1963), უ. შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ (1969), გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“ (1971), ნ. გოგოლის „რევიზორი“ (1972), დ.კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“ (1973), რ. მამულაშვილის „მერხებზე ანგელოზები სხედან“ (1975), ვ. კანდელაკის „აიეტი“ (1975). 60-იან წლებში თეატრმა სცადა სტილიური განახლება. თეატრის ცხოვრებაში დიდი მოვლენა

იყო მისი გასტროლები მოსკოვსა (1968) და ბულგარეთში (1974). საგასტროლო რეპერტუარში იყო ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ჭანბას სახელობის სოხუმის თეატრში, სადაც აფხაზური და ქართული დასი მოღვაწეობს, იდგმებოდა ქართული, რუსული და უცხოური ნაწარმოებები. მრავალფეროვანი რეპერტუარი თეატრს საშუალებას აძლევდა ნათლად და დამაჯერებლად გამოეხატა თავისი მხატვრული შესაძლებლობანი. თეატრის სცენაზე დაიდგა ნ. გოგოლის „რევიზორი“ (1959), ა. ჩეხოვის „ივანოვი“ (1960), შუკშინის „ენერგიული ადამიანები“. წარმატება ხვდა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“ (1966, რეჟისორი ა. ქუთათელაძე). მაგრამ თეატრის რეპერტუარში უმთავრესი ადგილი ეკავა ქართულ დრამატურგიას – ო. ჩხეიძის „ძველი რომანსები“, ვ. კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნები“, დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და „გზა, ყარამანს ცოლი მოჰყავს“, თ. ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან“ და სხვ.

აფხაზურ თეატრში ყურადღება მიიქცია სპექტაკლებმა – ლ. უკრაინკას „ტყის სიმღერა“, ფ. შილერის „დონ კარლოსი“, ბ. შინკუბას „კლდის სიმღერა“, ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“ და სხვ.

რ. ქორქიას „ნ. ნიკოლაძემ“ ვ. გუნიას სახელობის ფოთის თეატრს საშუალება მისცა შეექმნა მრავალმხრივ საჭირო და საინტერესო სპექტაკლი. რეჟისორმა ს. კალანდარიშვილმა კარგად იგრძნო დრამატურგიული მასალის „შინაგანი დინება“ და რეალისტურად გამოხატა იგი. ამ სპექტაკლში გამოჩნდა დამდგმელი კოლექტივის ერთიანი სულისკვეთება, მხატვრული ალღო და გემოვნება.

ვ. გუნიას სახელობის ფოთის თეატრში დაიდგა ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ (1967), ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ (1962), დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ (1973), ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, ა. პუშკინის „დონ-ჟუანი“ (1974) და სხვა წარმოდგენები, რომლებმაც განსაზღვრეს თეატრის ბოლო წლების მხატვრული დონე.

შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის თეატრმა 1968 წელს თავისი ისტორიის 100 წელი იზეიმა. საუკუნოვანი გზა რთული და სახელოვანი იყო. თეატრი 50-იანი წლების შემდეგ კიდევ უფრო მეტი პროფესიული ოსტატობით აგრძელებდა თავის ისტორიას. განსაკუთრებით აღსანიშავია 60-იანი წლები, როცა აქ უფროსი თაობის გვერდით მოღვაწეობდნენ ახალგაზრდებიც. წარმატება ხვდა მთელ რიგ სპექტაკლებს: გ. დარასელის „კიკვიძე“, ა. ვოლოდინის „ხუთი საღამო“ (რეჟისორი თ. ჩხეიძე), ა. კუზნეცოვისა და მ. შტეინის „ცოლიანი საქმრო“ (რეჟისორი დ. კობახიძე), ი. ოტჩენაშეკის „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“.

კ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის თეატრში მუშაობდა ოსური და ქართული დასი. მრავალფეროვანი იყო მისი რეპერტუარი. ცხინვალის თეატრი არაერთხელ ეწვია თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებს. საზოგადოების

ყურადღება მიიქცია სპექტაკლებმა: ქართული დასიდან გ. ნატროშვილის „ნ. ბარათაშვილმა“, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობმა“. საყურადღებო წარმოდგენები შეიქმნა ოსურ თეატრში: ვ. გაგლოევის „თქმულება დედაზე“, ე. ურთუიბაგოვას „სანიათი“. არ. ჩხარტიშვილმა დადგა სოფოკლეს „ანტიგონე“.

საინტერესო შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა თეალავის თეატრი 50 – 60-იან წლებში. თეატრმა გააღრმავა და გააფართოვა თავისი მხატვრული დიაპაზონი. ამ თეატრის მსახიობებს თ. ბურბუთაშვილს, პ. ახვლედიანს, ა. კუპატაძეს, ვ. ჩელთისპირელს და სხვებს კარგად იცნობენ მთელ რესპუბლიკაში.

თელავის თეატრის სპექტაკლებიდან მაყურებლის ინტერესი გამოიწვია ა. ყაზბეგის „მამის მკვლელმა“ (1959), ა. წერეთლის „პატარა კახმა“ (1960), გ. ბერიაშვილის „ვაზის ტირილმა“ (1961), მ. ლერმონტოვის „მასკარადმა“ (1965), მ. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენმა“ (1972), პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერმა“ (1972), თ. ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან“ და კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისმა“ (1973).

ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის თეატრში ცნობილი მსახიობების გრ. ტყაბლაძის, მ. ვაშაძის გვერდით აქტიურად მოღვაწეობდნენ ახალი თაობის მსახიობები ნ. ჩაჩანიძე, რ. ჩაჩანიძე, ნ. ჯიშკარიანი და სხვ. თეატრის რეპერტუარიდან მაყურებლის მოწონება დაიმსახურა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალმა“ (1967), ვ. ჰიუგოს „მარია ტიუდორმა“ (1964), ა. ბელიაშვილის „შვიდკაცამ“ (1968), ნ. დუმბაძის „თეთრმა ბაირაღებმა“ (1973), რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანმა“ (1974), და სხვ.

გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრი ისტორიულად ყოველთვის თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. ვ. ყუშიტაშვილმა, ლ. იოსელიანმა და პ. ფრანგიშვილმა აამაღლეს თეატრის ავტორიტეტი. ისინი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ თეატრს, ქმნიდნენ მრავალმხრივ საინტერესო სპექტაკლებს. 60 – 70-იან წლებში აქ დაიდგა სპექტაკლები, რომლებმაც ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქციეს. თავისი იდეურ-მხატვრული დონით და შესრულების რეალისტური მანერით აღსანიშნავია მ. მრევლიშვილის „ზვავი“, ვ. გაბესკირიას „შრიალებენ ვერხვები“, მ. გორკის „მდაბიონი“ და მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“. სპექტაკლ „ბებერი მეზურნეების“ წარმატება განაპირობა რეჟისორ ლ. იოსელიანისა და მსახიობების ვ. კახნიაშვილის, შ. ხერხეულიძის, ე. არაქელოვის მაღალმხატვრულმა შემოქმედებამ. მოწონება ხვდა თეატრის სპექტაკლს დ. კლდიაშვილის „უბედურებასა“ და „მსხვერპლს“ (რეჟისორი ი. კაკულია).

ა. წუწუნავას სახელობის მახარაძის თეატრი, რომელმაც უკვე იზეიმა თავისი ისტორიის ასი წელი, 60 – 70-იან წლებში აგრძელებდა მის მიერ არჩეულ რეალისტურ გზას. საინტერესო იყო ამ თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლები დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გასაჭირი“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“, მ. გორკის „ეგორ ბულეჩოვი“, ნ. გოგოლის

„რევიზორი“, ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“, აკ. გეწაძის „ყარამანი ცოლს ირთავს“ (რეჟ. ი. მაცხონაშვილი) და სხვ.

1967 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე დიდი საჩუქარი მიიღეს მესხეთის მშრომელებმა. ახალციხეში განახლდა თეატრი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა. სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მთელი ჯგუფი წავიდა მესხეთის თეატრში ახალგაზრდა რეჟისორ ნ. დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით. თეატრალური ინსტიტუტის ახალგაზრდებს შეუერთდნენ კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლების კურსდამთავრებულებიც და შეიქმნა თანამოაზრეთა თეატრი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა რესპუბლიკაში. თეატრი გასტროლებზე იყო მოსკოვში, თბილისში, ბათუმში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

მესხეთის თეატრის სპექტაკლებმა ო. ჩხეიძის „თედორე“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, გ. ბერიაშვილის „მეხდაცემული კაკალი“, ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, ვ. კანდელაკის „დრო 24 საათი“ და სხვ. გამოავლინეს თეატრის რეჟისორული და აქტიორული ოსტატობის მაღალი დონე, მისი შესაძლებლობანი. თეატრს შემოქმედებითი წარმატებებისათვის მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომელთაც რეჟისორი ს. მრევლიშვილი ხელმძღვანელობდა, 1974 წელს თბილისში შექმნეს „თეატრი სტუდია“ – ე. წ. მეტეხის თეატრი[1]. თეატრი იყო გასტროლებზე პოლონეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც უჩვენა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი დ. კლდიაშვილის „უბედურება“. მის რეპერტუარში იყო შექსპირის „ჰამლეტი“ (1974), ს. მრევლიშვილის „ურემი“ (1974), ს. კარასის „ძალოსნები“ (1975), ა. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (1975), ს. მრევლიშვილის „ლადო კეცხოველი“ (1977), რომელშიც მგზნებარე რევოლუციონერის სახე შექმნა ზ. ცინცქილაძემ.

70-იან წლებში თბილისში შეიქმნა პანტომიმისა და მინიატურების თეატრები (ხელმძღვანელები ა. შალიკაშვილი, თ. ჩანტლაძე). თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა სპექტაკლით ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ (სცენური კომპოზიცია მ. გეგიასი), რომელსაც საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა, საფუძველი ჩაუყარეს კინომსახიობთა თეატრს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი ადამიანის ჰარმონიული განვითარების პრობლემას. კომუნიზმის მშენებელი ხალხის იდეური აღზრდის საშუალებათა კომპლექსში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია თეატრს. 60 – 70-იან წლებში, ხელმძღვანელობდა რა სკკპ ყრილობების გადაწყვეტილებებით, ქართული თეატრი აღრმავებდა ცხოვრებასთან თეატრის კავშირის ტრადიციას, რეპერტუარში მეტ ადგილს უთმობდა მოძმე ხალხთა

დრამატურგიულ ნაწარმოებებს. ამ პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა ქართული თეატრის შემოქმედებითი კონტაქტები მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების თეატრებთან. საქართველოს თეატრალურ საზოგადებასთან შეიქმნა „მეგობრობის თეატრი“, რომელიც მომმე საბჭოთა ხალხების თეატრალური კულტურის მიღწევების ნამდვილი პროპაგანდისტი გახდა.

თეატრალურ პრაქტიკაში დამკვიდრდა მომმე საბჭოთა ხალხების დრამატურგიული ნაწარმოებების საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების მოწყობის ტრადიცია. ქართული თეატრების რეპერტუარში ფართოდ იყო წარმოდგენილი მომმე ხალხების დრამატურგია. დაიდგა რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბელორუსი, ესტონელი, მოლდაველი და სხვა რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებები. მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრში დაიდგა ქართველ ავტორთა პიესები.

გარკვეული თვალსაზრისით ეს ქართული დრამატურგიის აღიარებაც იყო. უმთავრესად იგი განაპირობა საბჭოთა ხალხების მეგობრობის, ურთიერთდაახლოებისა და გამდიდრების იმ პროცესმა, რომელიც საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ხდება. ახლა ქართულ პიესებს, ქართველი ხალხის ცხოვრების სურათებს უყურებენ ასიათასობით ადამიანი მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის, ტაშკენტისა და ერევნის, ბაქოსა და რიგის, ტალინისა და კიშინოვის, ოდესის, ჩელიაბინსკის, იაკუტიის თეატრების სცენებზე. საკავშირო პრემიებით და დიპლომებით აღინიშნა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ესტონელი, სომეხი მსახიობების გამოსვლები ნ. დუმბაძის, ო. იოსელიანის, გ. ნახუცრიშვილის, ა. ჩხაიძის, ა. გეწაძის, გ. ხუხაშვილისა და სხვა დრამატურგების პიესებში. ქართულ თეატრს და მის დრამატურგიას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია ასე ფართო ასპარეზი და არ ჰყოლია ასე დიდი აუდიტორია.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის თეატრებში იწვევდნენ ქართველ რეჟისორებს. ქართული თეატრალური ხელოვნების ნაწარმოებები გავიდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც.

საბჭოთა ხალხების მეგობრობის თემის აქტუალობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის საზეიმო დღეებში, როდესაც შეჯამდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგები. ხალხთა მეგობრობის ამ ზეიმში დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა თეატრმაც. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, რუსთავის თეატრი, ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი, ბათუმისა და სოხუმის თეატრები საგასტროლოდ იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის, სოციალისტური თანამეგობრობის საფუძვლებმა, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ატმოსფერომ ქართულ თეატრს საშუალება მისცა გასულიყო ფართო სარბიელზე. რუსთაველის თეატრმა გასტროლები ჩაატარა

რუმინეთში, პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საბჭოთა ქვეყნისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის ვითარებაში შესაძლებელი გახდა საარბრიუკენში დადგმულიყო დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. საპასუხოდ რუსთაველის თეატრში გერმანელმა რეჟისორებმა დადგეს ლესინგის „ნათან ბრძენი“, საარბრიუკენის თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

ქართველი მწერლების ნაწარმოებებს დგამდნენ ბულგარეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, ფინეთში. ქართველმა რეჟისორებმა წარმოდგენები დადგეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (რ. სტურუა, თ. ჩხეიძე), ბულგარეთში (გ. ქავთარაძე), უნგრეთში (გ. ლორთქიფანიძე).

60 -70-იან წლებში უფრო ინტენსიური გახდა თეატრმცოდნეობითი მუშაობა. უფროსი თაობის თეატრალურ კრიტიკოსებს შეემატნენ ახალი ძალები, გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, გააქტიურდა თეატრალური კრიტიკა. თეატრმცოდნეებმა მეტი ინტენსივობით დაიწყეს თეატრის ისტორიისა და თეორიის პრობლემების დამუშავება. შეიქმნა არაერთი საინტერესო ნაშრომი, მათ შორის ე. გუგუშვილის წიგნს „კოტე მარჯანიშვილი“ მიენიჭა კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემია.

ქართული თეატრმცოდნეობა სულ უფრო მრავლმხრივი და ნაყოფიერი ხდება. თეატრმცოდნეებმა შექმნეს შრომები, რომლებმაც საზოგადოების ფართო აღიარება მოიპოვეს.

ქართულ თეატრს არა აქვს სხვა უფრო წმინდა და დიადი ამოცანა, ვიდრე თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის სამსახური. ეს არის მისი ღირსეული და კეთილშობილური გზა.

---

[1] თეატრი-სტუდია მუშაობს ცნობილი მეტეხის ციხე-სასახლის ტაძარში.

§ 5. ქართული კინოხელოვნება

60-იანი წლების მიჯნაზე ქართველ კინემატოგრაფისტებს შეემატა ახალი თაობა, რომელიც შემდგომ ქართული კინოხელოვნების ძირითად ბირთვად იქცა. ესენი არიან: ო. აბესაძე, გ. გერსამია, მ. კობახიძე, მ. კოკოჩაშვილი, ო. იოსელიანი, გ. მგელაძე, თ. მელიავა, ვ. მიქელაძე, ნ. მჭედლიძე, ლ. ღოღოებერიძე, ა. რეხვიაშვილი, ელდარ და გიორგი შენგელაიები, გ. ჭუბაბრია და სხვ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სისტემატურ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა სამამულო კინოხელოვნებისადმი. 1962 წ. შეიქმნა სსრ

კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი. 1965 წლის 23 ნოემბერს კრემლის სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მოუწოდა საბჭოთა კინოს მუშაკებს თავიანთ ნაწარმოებებში სრულყოფილად აესახათ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გმირული გზა და ეჩვენებინათ საბჭოთა ადამიანის მორალურ-ეთიკური სახე.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საერთო-სახალხო სამზადისი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის, ამ მსოფლიო ისტორიული რევოლუციის გენიალური შემოქმედი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად. გაიშალა ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობა, რათა თანამედროვეობის თვალით ერთხელ კიდევ გადაგვეხედა ჩვენი რევოლუციური წარსულისათვის, იმ ძნელი გზებისათვის, რაც ძლევამოსილმა საბჭოთა ქვეყანამ გამოიარა, მადლიერებით მოგვეგონებინა ადამიანები, რომელთაც აღასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

სკკპ XXIII ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა მტკიცე იდეურ პოზიციასა და ფართო შემოქმედებითს გაქანებას. ეს შეფასება დამსახურებულად გაიზიარა ქართულმა საბჭოურმა კინოხელოვნებამაც, რომლის ძირითად თემად ჩვენი თანამედროვის სახე იქცა. 1958 – 1975 წწ. საქართველოს კინოსტუდიებში[1] შეიქმნა 700-მდე ფილმი, რომელთა უმრავლესობა სწორედ თანამედროვეობას ასახავს.

ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწევა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი, რომელიც 1957 წლის დეკემბერში შეიქმნა. 1961 წელს გაიმართა ქართველ კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობა, 1963 წელს – მეორე, 1968 წელს – მესამე, ხოლო 1976 წლის აპრილში მეოთხე ყრილობა. 1975 წლის ბოლოს კინემატოგრაფისტთა კავშირი აერთიანებდა 295 წევრს, მათ შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი 9, ლომონოსივის პრემიის ლაურეატი 2, საბოთა კავშირის სახალხო არტისტი 5, საქართველოს სახალხო არტისტი – 23, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე 39.

1958 წლიდან საბჭოთა კავშირში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება საკავშირო კინოფესტივალი. 1972 წელს მეხუთე საკავშირო კინოფესტივალი ჩატარდა თბილისში. ფესტივალებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქართულმა ფილმებმა. 60 – 70-იანი წლები მეტად „უხვმოსავლიანი“ გამოდგა საერთაშორისო აღიარების მხრივაც. 1958 – 1975 წწ. სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე საპატიო ჯილდოები მოიპოვეს **მხატვრულმა** ფილმებმა: „სხვისი შვილები“, „ხმელი წიფელი“, „ჯარისკაცის მამა“, „ხევსურული ბალადა“, „ქორწილი“, „ქოლგა“, „ფიროსმანი“,

„ვედრება“, „ნერგები“, „პირველი მერცხალი“, **დოკუმენტურმა** - „თეთრი თორღვაი“, „დარიალის ჩანახატები“, **მულტიპლიკაციურმა** - „მტრობა“, „ო, მოდა, მოდა“, „საყვირის შემდეგ“ და სხვ.

დიდი წარმატება ხვდა წილად ქართულ კინოსამსახიობო სკოლასაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ოთხ საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართველმა მსახიობებმა – საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა რ. ჩხიკვაძემ და დ. აბაშიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. კიკაბიძემ პრემიები მოიპოვეს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, ხოლო საკავშირო ფესტივალებზე ს. ჭიაურელმა (რამდენჯერმე), ლ. აბაშიძემ, მ. წულუკიძემ და დ. აბაშიძემ.

1966 წელს თბილისის ახალ რაიონში – დიღომში დასრულდა „ქართული ფილმის“ ახალი კინოსტუდიის მშენებლობა, რომელიც 22 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

1974 წელს კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ სათავეში ჩაუდგა ცნობილი კინორეჟისორი რ. ჩხეიძე. მომდევნო წლისათვის სტუდიაში უკვე არსებულ სამ გაერთიანებას დაემატა ორი ახალი შემოქმედებითი გაერთიანება ცნობილი ქართველი კინორეჟისორების თ. აბულაძისა და ე. შენგელაიას ხელმძღვანელობით. კინომცოდნეთა და კინემატოგრაფისტთა კადრების მომზადების მიზნით შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში შეიქმნა კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-კვლევითი სექტორი (1969) და გაიხსნა კინოფაკულტეტი (1974).

საგრძნობლად გაიზარდა და გამრავალფეროვნდა ქართული კინოლიტერატურა. 1969 – 1975 წლებში გაცილებით მეტი კინოლიტერატურა გამოვიდა ქართულ ენაზე, ვიდრე საერთოდ ქართული კინოს არსებობის მთელ წინა პერიოდში. 1962 წლიდან გამოდის გაზეთი „ეკრანის ამბები“, 1962 – 1968 წლებში გამოდიოდა გაზეთი „საქართველოს კინემატოგრაფისტი“, 1968 წლიდან გამოდის საინფორმაციო ბიულეტენი „ახალი ფილმები“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდება, ხოლო 1975 წლიდან გამოდის კინომასალების კრებული „კინო“.

1974 წელს ქუთაისში, ქართული კინოს ცოცხალი პიონერის ვ. ამაშუკელის დამსახურების აღსანიშნავად ჩატარდა პირველი რესპუბლიკური კინოფესტივალი. ორი წლის შემდეგ კი ამ უხუცეს ქართველ კინემატოგრაფისტს მადლიერმა ქართველმა ხალხმა დაბადების 90 წლისთავის იუბილე გადაუხადა.

60 -70-იან წლებში ფართო შემოქმედებითი გაქანება მიეცა კინემატოგრაფიის ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა და სტილისტური თავისებურებების ჭეშმარიტად ნოვატორულ ძიებებს, კინოს იმ ახალ სპეციფიკურ საშუალებათა საინტერესო ცდებს, რაც ყოველთვის აღმოცენებული იყო დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების ნიადაგზე,

რომლითაც საბჭოთა ხალხის ისტორიული სინამდვილე ასე ნოყიერად კვებავს ჩვენს სულიერ კულტურას.

ჟანრობრივად სხვადასხვაგვარია თანამედროვე თემაზე შექმნილი ფილმები, სხვადასხვაგვარია მათი პროფესიული დონე, ავტორებიც სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან და მათი ხელწერაც განსხვავებულია, მაგრამ ამ ფილმებსა და მათს გმირებს მაინც აქვთ საერთო – საბჭოთა ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მაღალი ზნეობრივი პრინციპები, მორალური პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე, ყურადღების გამახვილება უშუალოდ ადამიანზე, მის რთულ ცხოვრებისეულ ურთიერთობებზე, უკომპრომისობასა და სულიერ კეთილშობილებაზე.

თანამედროვე გმირის სრულიად ახლებური სახე მოცემულია ფილმში „ალავერდობა“ (სცენარის ავტორები რ. ინანიშვილი და გ. შენგელაია, რეჟისორი გ. შენგელაია, 1962), რომელსაც საფუძვლად დაედო უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის გ. რჩეულიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობა. ახალგაზრდა ჟურნალისტი გურამი, რომელსაც ანსახიერებს გ. ფალავანდიშვილი, ესწრება ალავერდობას და როცა დარწმუნდება, თუ რაოდენი უგუნურება, სულიერ და ფიზიკურ ძალთა რა უაზრო ფლანგვაა ეს რელიგიური დღესასწაული, თავისებურ აქტიურ პროტესტს მიმართავს, რათა გამოაფხიზლოს ალავერდობის გაოგნებული მონაწილენი.

ავტორები ბრწყინვალე კინემატოგრაფიული ენით ხატავენ სულიერი სიწმინდისა და სიფაქიზის, ძლიერი ვაჟკაცური ხასიათისა და დაუოკებელი ტემპერამენტის მქონე გმირის პორტრეტს.

ფილმი „თეთრი ქარავანი“ (სცენარის ავტორი მ. ელიოზიშვილი, რეჟისორები თ. მელიავა, ე. შენგელაია, 1963) ასახავს ქართველი მწყემსების სიძნელეებით აღსავსე ცხოვრებასა და საქმიანობას. ფილმი ეხმაურება მამათა და შვილთა ურთიერთობის პრობლემას, ძველსა და ახალს შორის არსებულ კონფლიქტს. ეს ფილმი 1964 წელს ლენინგრადში გამართულ მეორე საკავშირო კინოფესტივალზე აღინიშნა სპეციალური პრიზით „ადამიანის შრომის ნიჭიერი და პოეტური ასახვისათვის“.

„თეთრი ქარავანი“ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის მ. ელიოზიშვილის ორმხრივი დებიუტი იყო, ფილმში იგი ერთ-ერთ მთავარ გმირს ასახიერებს. კინოსაქმეებში ასეთმა უშუალო „ჩარევამ“, როგორც ჩანს, მეტად ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა მ. ელიოზიშვილ-კინემატოგრაფისტზე. ამის უტყუარი დამადასტურებელია მისი მორიგი სცენარი, რომლის მიხედვითაც რეჟისორმა მ. კოკოჩაშვილმა გადაიღო ფილმი „დიდი მწვანე ველი“ (1967).

ერთი შეხედვით, თემატურ-ჟანრობრივად აქ თითქოს არაფერი იცვლება – ისევ სოფელი, მწყემსი-მენახირე, ისევ კონფლიქტი ძველსა და ახალს შორის, მაგრამ ამ ფილმში გაცილებით მეტი ცხოვრებისეული სიღრმითაა დახატული ადამიანთა მწვავე სოციალური ურთიერთობანი. და, რაც მთავარია,

მოცემულია მთავარი გმირის – სოსანას უაღრესად ძლიერი სახე, მას ღრმად სწამს, რომ მხოლოდ და მხოლოდ მამაპაპისეული საქმე უნდა აკეთოს მისმა შვილმა და ა. შ. ეს მისი ცხოვრების აზრია და ვინც ამას ეწინააღმდეგება, მისი შეურიგებელი მტერია. მაგრამ უნდა თუ არა, სოსანამ მაინც ანგარიში უნდა გაუწიოს ცხოვრების შემოტევას – ამ შემთხვევაში ტექნიკის, პროგრესის გარდუვალი გამარჯვება იგულისხმება.

მხატვრული სახის მთლიანობით გამოირჩევა ფილმი „გიორგობისთვე“ (სცენარის ავტორი ა. ჭიჭინაძე, რეჟისორი ო. იოსელიანი, 1966), რომლის ახალგაზრდა გმირი ნიკო ზნეობრივი სიწმინდის, მაღალი პრინციპულობისა და ვაჟკაცური შემართების ნამდვილი განსახიერებაა. მას ღრმად სწამს თავისი სიმართლისა და პატიოსნებისა და ამიტომაც არის ასე ამაყი, შეუვალი და უკომპრომისო.

„გიორგობისთვეს“ 1968 წელს პარიზში მიენიჭა სწორედ იმხანად დაარსებული ჟორჟ სადულის სახელობის პრემია საუკეთესო უცხოური ფილმისათვის.

თანამედროვეობას, საბჭოთა ადამიანის შრომით საქმიანობასა და მუყაით გარჯას, დღევანდელი ყოფის სხვადასხვა მღელვარე საკითხს მიეძღვნა ფილმები: შ. მანაგაძის „კეთილი ადამიანები“ (1961), ს. დოლიძის „ქალაქი ადრე იღვიძებს“ (1967), ო. აბესაძის „მალე გაზაფხული მოვა“ (1967), გ. მგელაძის „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ (1969), რ. ჩხეიძის „ნერგები“ (1972). ამ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელს რ. ჩხიკვაძეს 1973 წელს მოსკოვის VIII საერთაშორისო კინოფესტივალზე მიენიჭა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

ისტორიულ-რევოლუციური ჟანრი იმთავითვე წამყვან ღერძად იქცა საბჭოურ კინემატოგრაფიაში და, როგორც ცნობილია, პირველი თვალსაჩინო წარმატებები სწორედ ამ მხრივ იქნა მოპოვებული. 60-იანი წლებისათვის რევოლუციური თემატიკის გადაწყვეტის ესთეტიკური პრინციპების ისტორიულად გარდუვალი ცვლილებანი უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ ტიპაჟურ-მონტაჟური კინემატოგრაფიის საშუალებების ნაცვლად თანდათან მეტი ყურადღება მიექცა მხატვრულ სახეთა კონკრეტიზაციას, ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიურ მოტივირებას და, რაც მთავარია, გმირისა და გარემოს ურთიერთკავშირის იმ ტრადიციული ნაკლის აღმოფხვრას, რომლის გამოც ს. ეიზენშტეინი მიუთითებდა, რომ მშვენიერი ჩაპაევი და შჩორსი გვყავს, მაგრამ შესაბამისი სოციალური გარემო, ეპოქის კოლოსალური ჟღერადობა გვაკლიაო.

ამ თვალსაზრისით მეტ-ნაკლები იდეურ-მხატვრული დონით გამოირჩევიან ახალი ფილმები, რომლებიც სახელოვანი რევოლუციური წარსულის უკვდავ ფურცლებსა და ჩვენს ქვეყანაში მომხდარ დიდ სოციალურ ძვრებზე მოგვითხრობენ, გვიჩვენებენ იმ ადამიანთა დასამახსოვრებელ სახეებს, რომელთაც რევოულციის სამსახურში პოვეს ჭეშმარიტი ბედნიერება და რომელთაც მამულის ყველა ჭირი და ლხინი გაიზიარეს. ასეთია ს. დოლიძის „შეხვედრა წარსულთან“ (1966) და „გაქცევა განთიადის წინ“ (1975),

გ. კალატოზიშვილის „ციმბირელი პაპა“ (1973), შოთა და ნოდარ მანაგაძეების „წუთისოფელი“ (1971), რომელიც V საკავშირო კინოფესტივალზე სამი პრემიით აღინიშნა, მათ შორის სცენარის ავტორს ს. ჟღენტს მიენიჭა პრემია საუკეთესო სცენარისათვის, ს. ჭიაურელს კი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

დიდი სამამულო ომი მთელი ჩვენი საბჭოური კინემატოგრაფიის ერთ-ერთი წამყვანი თემაა. ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“ (სცენარის ავტორი ს. ჟღენტი, რეჟისორი რ. ჩხეიძე, 1964) გამოსვლისთანავე მეტად მნიშვნელოვან მოვლენად იქნა აღიარებული არა მარტო კინოხელოვნებაში, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფილმში დიდი მხატვრული სიმართლითაა დახატული ქართველი კოლმეურნე გლეხი, ჯარისკაცის მამა, რომელიც თვითონ ხდება სამშობლოს დამცველი მეომარი. ს. ზაქარიაძის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულ ქართველი გლეხის ამ შთამაგონებელ სახეში შესანიშნავად არის შერწყმული ეროვნული და ინტერნაციონალური, ის ზოგადსაკაცობრიო მაღალი იდეალები, რომელთაც ემსახურება მრავალეროვანი მთელი საბჭოთა კულტურა და მათ შორის კინემატოგრაფია.

„ჯარისკაცის მამამ“, ფილმმა და მთავარი როლის შემსრულებელმა დიდი აღიარება მოიპოვეს 1965 წელს მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალზე. ს. ზაქარიაძეს მიენიჭა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ამავე როლისათვის მიენიჭა მას ლენინური პრემია.

უშუალოდ დიდი სამამულო ომის თემას თუ მის გამოძახილს ეხება აგრეთვე რ. ჩხეიძის მომდევნო ფილმი - „ღიმილის ბიჭები“ (1969), კ. პიპინაშვილის „ზღვის შვილები“ (1964), შ. მანაგაძის „ჯვარცმული კუნძული“ (1968), ნანა მჭედლიძის „დიდედები და შვილიშვილები“ (1969). ქართველ და ჩეხ კინემატოგრაფისტთ პირველი ერთობლივი ნაწარმოები „შეწყვეტილი სიმღერა“ (სცენარის ავტორები კ. ლორთქიფანიძე, ა. მარენჩიჩი, რეჟისორი ნ. სანიშვილი, 1960) და სხვ.

კინემატოგრაფი 60 – 70-იან წლებში კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობდა მოძმე ხალხების ლიტერატურულ ნაწარმოებთა თუ ხალხურ თქმულებათა ეკრანიზაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. სანიშვილის ფილმი „ჩერმენი“ (1970) ოსი ხალხის სახალხო გმირ ჩერმენზე, თ. აბულაძის „სამკაული სატრფოსათვის“ (1971) დაღესტნელი მწერლის აჰმედ აბუ-ბაქარის ნაწარმოების მიედვით.

ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა **ეკრანიზაცია** ყოველთვის იყო ეროვნული კინემატოგრაფიის თემატური გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების ერთ-ერთი საშუალება. 1959 – 1975 წლებში წარმატებით გაგრძელდა ლიტერატურის კლასიკოსების ეკრანიზირების საუკეთესო ტრადიციები. დაიდგა რამდენიმე ახალი მხატვრული ფილმი, რომლებიც ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებების მშრალ ილუსტრაციას კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ავტორებმა შეძლეს შემოქმედებითად გაეაზრებინათ ლიტერატურული პირველწყაროები და კინემატოგრაფის სპეციფიკურ

საშუალებათა გათვალისწინებით შეექმნათ დამოუკიდებელი მხატვრული ღირსებების მქონე კინოფილმები, როგორიცაა „მიხა“, მ. ჯავახიშვილის „მუსუსის“ მიხედვით (რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი, 1965), „ჩირიკი და ჩიკორტელა“ გ. ლეონიძის მიხედვით (სცენარის ავტორი რ. ინანიშვილი, რეჟისორები ლევან და რევაზ ხოტივარები, 1975) და „ღვინის ქურდები“ შ. არაგვისპირელის მოთხრობის მიხედვით (სცენარის ავტორი ე. ჟღენტი, რეჟისორი ვ. კვაჭაძე, 1975).

განსაკუთრებით დიდ მოვლენად იქცა თენგიზ აბულაძის ფილმი „ვედრება“ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით (სცენარის ავტორები ა. სალუქვაძე, რ. კვესელავა და თ. აბულაძე, 1967), რომელიც, მიუხედავად ზოგადი სადავო მხარისა, ვაჟა-ფშაველას გმირთა სულიერი სამყაროს კინემატოგრაფიული განსხეულების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ამის დასტურია „გრან-პრი“, რომელიც „ვედრებამ“ დაიმსახურა 1974 წელს სან-რემოს (იტალია) საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ქართველ კლასიკოსთა ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულ იქნა აგრეთვე: „პალიასტომი“ (რეჟისორი ს. დოლიძე, 1963), „ხევისბერი გოჩა“ (რეჟისორი ნ. სანიშვილი, 1964), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (რეჟისორი მ. ჭიაურელი, 1965), „ტარიელ გოლუა“ (რეჟისორი ლ. ხოტივარი, 1968), „დიდოსტატის მარჯვენა“ (სცენარის ავტორები კ. გამსახურდია და ვ. ტაბლიაშვილი, რეჟისორები ვ. ტაბლიაშვილი და დ. აბაშიძე, 1969 – 1970), „მთვარის მოტაცება“ (რეჟისორი თ. მელიავა, 1972). განხორციელდა ბალეტ „ოტელოსა“ (1960) და ოპერების „აბესალომ და ეთერისა“ (1966) და „დაისის“ (1971) ეკრანიზაცია.

ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებსაც. ამ მხრივ ყველაზე მეტად დამახასიათებელია ნოდარ დუმბაძის რომანების ეკრანიზაცია, რამაც ჩვენს კინოს მეტად კოლორიტული თემატურ-ემოციური ნაკადი შესძინა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის თ. აბულაძის ფილმზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1962), რომელმაც პირველად გვაზიარა ნ. დუმბაძის გმირთა ნათელ კინემატოგრაფიულ სამყაროს. 1965 წელს გამოვიდა ლ. ღოღობერიძის „მე ვხედავ მზეს“, 1973 წელს კი მ. კოკოჩაშვილის „გზა მშვიდობისა, ჯაყო“ („ნუ გეშინია, დედა!“).

60-იან წლებში შეიქმნა ფრიად საინტერესო **კინოკომედიური** ფილმები. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალობითა და პოეტურობით გამოირჩევა მ. კობახიძის „ქორწილი“ (1964), „ქოლგა“ (1967) და „მუსიკოსები“ (1969), რომელთა სცენარები და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის რეჟისორს, ხოლო „მუსიკოსებში“ მ. კობახიძე ერთ-ერთ გმირს ასახიერებს. ამ „მუნჯ“ კინომინიატურათა შორის არნახული წარმატება მოიპოვა „ქორწილმა“ საერთაშორისო ასპარეზზე, როცა 1965 წ. ობერჰაუზენში (გფრ) სამი, მათ შორის მთავარი, პრიზი დაიმსახურა. ასეთივე წარმატება ხვდა მას კანში, ბუენოს-აირესში, მელბურნში, კრაკოვში.

მეორე ფილმმა „ქოლგა“ 1967 წ. კრაკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ორი, მათ შორის მთავარი, პრიზი მოიპოვა, ასეთივე წარმატებით აღინიშნა იგი 1968 წ. მელბურნში.

1968 წელს გამოვიდა ე. შენგელაიას კომედია „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (სცენარის ავტორი რ. გაბრიაძე), რომელმაც მწარედ დაგვაფიქრა ნიჭიერი მხატვარ-მოქანდაკის ამაოდ გაფლანგულ შემოქმედებით უნარზე, მის გაუფურჩქვნელ ტალანტსა და გამოუყენებელ პოტენციურ შესაძლებლობებზე. თემატურად, მოქალაქეობრივი პათოსითა და სევდანარევი იუმორით „არაჩვეულებრივ გამოფენას“ ეხმიანება ო. იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“ (1970), რომელშიც დასმულია ზნეობრივი ხასიათის პრობლემა იმ მორალური მოვალეობის თაობაზე, რასაც ახალგაზრდა კაცი უნდა გრძნობდეს საკუთარი თავისა და მთელი საზოგადოების წინაშე. ე. შენგელაიას მომდევნო ფილმი „შერეკილები“ (სცენარის ავტორი რ. გაბრიაძე, 1973) ადამიანის გონების პოეტურ აღმაფრენას მიეძღვნა. ამ ნაწარმოებებში მკაფიოდ გამოჩნდა მათი ავტორების ხალასი კომედიური ნიჭი და უშრეტი შემოქმედებითი გაქანება. აქაც, ისევე როგორც „არაჩვეულებრივ გამოფენაში“, ერთ-ერთი მთავარი როლი ბრწყინვალედ შეასრულა მეტად საინტერესო და კოლორიტულმა მსახიობმა ვ. ჩხაიძემ.

70-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა პირველი ქართული მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ (რეჟისორი გ. შენგელაია, კომპოზიტორი გ. ცაბაძე). იგი სწორედ იმ დროს გამოვიდა ეკრანებზე, როცა გ. შენგელაიას შესანიშნავი ფილმი „ფიროსმანი“ ლონდონისა (1969) და ჩიკაგოს (1974) საერთაშორისო კინოფესტივალებზე წლის საუკეთესო საზღვარგარეთულ ფილმად იქნა აღიარებული. „ვერის უბნის მელოდიებმა“ იმავე წელს მოიპოვა პრემიები სან-სებასტიანის საერთაშორისო, ბაქოს – საკავშირო და ქუთაისის – რესპუბლიკურ კინოფესტივალებზე. კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა ქართული კინოს ისტორიაში ნანა მჭედლიძის კინოკომედიამ „პირველი მერცხალი“ (სცენარის ავტორი ლ. ჭელიძე, 1975), რომელმაც 1976 წელს ოქროს ორი პრიზი მოიპოვა თეირანის IV საერთაშორისო კინოფესტივალზე – ერთი თვით ფილმმა, მეორე კი დ. აბაშიძემ, როგორც მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელმა.

ამ პერიოდის ქართულ კომედიაზე საუბრისას უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე გ. დანელიას „არ დაიდარდო“ (სცენარის ავტორი რ. გაბრიაძე, 1970). „მოსფილმისა“ და „ქართული ფილმის“ ეს ერთადერთი ერთობლივი ნაწარმოები, სამართლიანად არის აღიარებული ერთ-ერთ საუკეთესო საბჭოთა კინოკომედიად. 1970 წელს მარ-დელ-პლატას საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმმა მთავარი პრიზი „კონდარი“ მოიპოვა, ხოლო ვ. კიკაბიძემ იმავე წელს კარტახენში (კოლუმბია) პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

1975 წ. უკვე ცნობილმა კინოდრამატურგმა რ. გაბრიაძემ, რომლის სცენარებითაც დაიდგა ზემოხსენებული კინოკომედიები „არაჩვეულებრივი

გამოფენა“, „არ დაიდარდო“, „შერეკილები“, კინორეჟისურაში სცადა ბედი. ა. დარსაველიძესთან ერთად მან გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „კავკასიური რომანი“, რომელიც, როგორც პაროდია თანამედროვე ამერიკულ ვესტერნებზე, დიდი პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა.

საბავშვო კინემატოგრაფიაზე საუბარი ყოველთვის ერთგვარ პირობით ხასიათს ატარებს, იმიტომ, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ასეთი ზუსტი განმარტება. ვერავინ იტყვის, მაგალითად, საბავშვო ფილმია თუ არა „მაგდანას ლურჯა“ ან „ველური ძაღლი დინგო“, მაგრამ რაკი თემატურად და ფილმის პრობლემატიკის დონის მიხედვით მაინც შეიძლება საბავშვო ფილმის, როგორც ასეთის, რამდენადმე განსაზღვრა მაინც, უნდა ითქვას, რომ განსახილველ პერიოდში ამ მხრივაც გამახვილებული იყო ქართველ კინემატოგრაფისტთა ყურადღება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რაიმე განსაკუთრებული მოვლენა მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად შეიმჩნევა. მეტ-ნაკლები სიძლიერით გამოირჩევა: „არდადეგები“ (რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი, 1962), „ჩაძირული ქალაქის მაძიებლები“ (რეჟისორი დ. აბაშიძე, 1972) და სხვ.

ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ დარგში კინორეჟისორი ნელი ნენოვა, ეროვნებით ბულგარელი, რომელსაც თავის მეუღლე გ. წულაიასთან ერთად გადაღებული აქვს: „ცეროდენა რაინდები“ (1963), „მოვდივართ და მოვიმღერით“ (1973), „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“ (1974).

სათავგადასავლო ჟანრის მოყვარულთათვის არის განკუთვნილი ისეთი ფილმები, როგორიცაა ი. ქავთარაძის „უყაიმო თამაში“ (1966), გ. კალატოზიშვილის „ფილატელისტის სიკვდილი“ (1969) და „მე, გამომძიებელი“ (1971).

დოკუმენტური კინო. როგორც ითქვა, 1958 წელს შეიქმნა ჩვენი რესპუბლიკის საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია. კინოწარმოების ასეთმა გონივრულმა დიფერენციაციამ მეტად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო – ნათლად გამოიკვეთა პროფილი ორივე სტუდიისა, დაკომპლექტდა თემატიკა და მუშაობაც მეტი ინტენსიურობით წარიმართა. საკმარისია აღინიშნოს, რომ, თუ წინა პერიოდში ყოველწლიურად საშუალოდ 16 ფილმი გამოდიოდა, ახლა მათი რიცხვი თითქმის ორმაგად გაიზარდა. რაც მთავარია, ამაღლდა ამ ფილმების პროფესიული დონე. აქაც, ისევე როგორც მხატვრულ კინოში, განსაკუთრებული როლი შეასრულა ახალმა თაობამ.

გაგრძელდა ტრადიცია, როცა მხატვრული კინოს მომავალი ოსტატები დოკუმენტური ფილმებით იწყებენ თავიანთ შემოქმედებით გზას დიდ კინემატოგრაფიაში. კერძოდ, იგულისხმებიან: გ. შენგელაია („ფიროსმანი“, 1960), ო. იოსელიანი („საპოვნელა“, 1959 და „თუჯი“, 1965), ლ. ღოღობერიძე („გელათი“ და „თბილისი 1500 წლისაა“, 1958) და სხვ.

ნამდვილი პოეტური აღმაფრენითაა გამსჭვალული მიქელაძის, გ. კანდელაკისა და გ. ჭუბაბრიას ფილმები („ქართული ცეკვები“, „გრძელი

ღიღინი“, „თეთრი თორღვაი“). თემატური მრავალფეროვნებითა და თხრობის საინტერესო მანერით გამოირჩევიან თ. ნოზაძე, შ. შონია, გ. მონავარდისაშვილი, ოთარ და რამაზ ჭიაურელები და სხვ.

თანამედროვე საბჭოთა დოკუმენტური კინოს ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა გიორგი ასათიანმა სწორედ ამ ხანებში შექმნა თავისი საუკეთესო ფილმები („ნაირსართულებიანი ამერიკა“, „ალჟირის დღიური“, „ძველი კულტურის ქვეყანა“ და სხვ.), რისთვისაც დაიმსახურა სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება (1966) და ლომონოსოვის სახელობის პრემია. ლომონოსოვის სახელობის პრემია მოიპოვა აგრეთვე ახალგაზრდა კინორეჟისორმა გ. ჟვანიამ 1973 წელს ფილმისათვის „აბრეშუმი“ (1972). საკავშირო კინოფესტივალებზეც არის პრემირებული მისი ფილმები: „აბრეშუმი“, „ძროხა, ინდაური და ტელევიზორი“ (1972). თბილისში გამართულ V საკავშირო კინოფესტივალზე პრემიით აღინიშნა ჟ. ლომიძისა და ი. შველიძის „ოქროს საწმისი“.

ენერგიულად განაგრძობს მოღვაწეობას ქართველ დოკუმენტალისტთა ძველი თაობა: შ. ჩაგუნავა, შ. ხომერიკი, გ. შიოშვილი და სხვ. დოკუმენტურ კინოდრამატურგიაში ნაყოფიერად შრომობენ: მ. სალუქვაძე, ვ. სულაკაური და სხვ., რომელთა სცენარების მიხედვით მრავალი საინტერესო ფილმი შეიქმნა.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ თვალსაჩინო წარმატება ხვდა წილად სპორტულ თემატიკას ქართულ დოკუმენტურ კინოში. ეს ფილმებია: ბ. კრეპსის „უშბაზე ძლიერნი“ (1965), სპორტული ფილმების საკავშირო პრემიის ლაურეატის ო. გურგენიძის „კლდის ვეფხვი“ (1968), შ. შონიას „სპორტსმენები“.

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს რამდენიმე საყურადღებო **მულტიპლიკაციური** ფილმი. ვ. ბახტაძის ფილმებმა „საყვირის შემდეგ“ და „ო, მოდა, მოდა“ მოიპოვეს 1960 და 1968 წლებში პრემია და პრიზი საერთაშორისო კინოფესტივალზე სან-ფრანცისკოში და რუმინეთში. ნაყოფიერად მოღვაწეობს თოჯინური ფილმების დარგში კ. სულაკაური, რომელმაც პირველი ქართული თოჯინური ფილმი „ნიკო და სიკო“ 1963 წელს დადგა.

საიმედო შევსება მიიღო მულტიპლიკაციამაც. მოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრები, რეჟისორები, სცენარისტები. კერძოდ, მხატვრები: ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი და ი. ჩიკვაიძე, საინტერესო სცენარებს წერენ მ. კობახიძე, მ. სალარიძე და სხვ.

ქართული ტელეფილმი, რომელიც კარგა ხანია მთელი ჩვენი საბჭოური კინოხელოვნების ერთ-ერთ საინტერესო მოვლენად იქცა, სწორედ განსახილველ პერიოდში გაჩნდა, როცა 1959 წ. მ. ჯალიაშვილმა გადაიღო „დედის ხელი“. ოფიციალურად კი საქართველოს სსრ სატელევიზიო ფილმების სტუდია 1968 წლის 4 იანვარს დაარსდა.

მოკლე, ნამდვილად სარეკორდო დროში ქართული ტელეფილმების ახალგაზრდა მუშაკებმა პროფესიული დაოსტატებაც შეძლეს და ისეთი მაღალმხატვრული ფილმების შექმნაც, რომელთაც მოიპოვეს საერთო აღიარება. ესენია: „სერენადა“ (რეჟისორი ქ. ხოტივარი, 1969), „ქვევრი“

(რეჟისორი ირ. კვირიკაძე, 1970), „ფეხბურთი უბურთოდ“ (რეჟისორები გ. კანდელაკი და ლ. სიხარულიძე, 1969), „ბზიანეთი“ (რეჟისორი ლ. ელიავა, 1969), „ძველი ქართული საგალობლები“ (რეჟისორი ს. ჩხაიძე, 1970), „ხაბაზები“ (რეჟისორი გ. რაჭველიშვილი, 1970), „დარიალის ჩანახატები“ (რეჟისორი რ. ხოტივარი, 1971). ბევრი მათგანი საერთაშორისო პრემიებითაც აღინიშნა („სერენადა“, „ფეხბურთი უბურთოდ“, „დარიალის ჩანახატები“).

ეს არის სწორედ ის „შესანიშნავი შვიდეული“, რომლითაც პირველად წარსდგა ქართული ტელეფილმების სტუდია საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე და სახელი და დიდებაც მოიპოვა. პრესაში დაიწყეს საუბარი ქართულ ტელეფილმზე, როგორც უაღრესად თვითმყოფად და საინტერესო ფენომენზე.

მალე ცხადი გახდა, რომ ეს არაჩვეულებრივი წარმატება სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო. ამის დასტურია: რ. ხოტივარის „ლაზარე“, რ. ესაძის „წკიპურტები“, ლ. სიხარულიძის „ძველი თბილისის მოტივები“, გ. პატარაიას „რეკორდი“ და სხვ. 1972 წელს რეჟისორ პატარაიას ფილმებისათვის „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „შორია გურჯისტანამდე“ შ. რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

---

[1] 1958 წ. კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ გამოეყო დოკუმენტური სექტორი და ცალკე სტუდიად იქცა, ხოლო 1968 წ. შეიქმნა საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდია.

§ 6. ქართული სამუსიკო ხელოვნება

60-იანი წლების პერიოდი ქართული ეროვნული მუსიკის ისტორიის თვისებრივად ახალი ეტაპია. მისთვის დამახასიათებელი ევოლუცია, ეროვნული ტრადიციების საგრძნობი განახლება განაპირობა მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკის საერთო განვითარებამ, ეროვნული კულტურების შემოქმედებითმა ურთიერთკავშირმა. ამასთანავე ეროვნული მუსიკის ნიშანდობლივად ახალი შემოქმედებითი ტენდენციების საგრძნობ მოჭარბებაში მკვეთრად გამოვლინდა ქართულ მხატვრულ კულტურაში 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები, ეროვნული ხელოვნების სხვადასხვა დარგისათვის დამახასიათებელი ახალი საერთო იდეურ-ესთეტიკური ტენდენციები.

სამოღვაწეო ასპარეზის საგრძნობმა გაფართოებამ, საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკის საერთო განვითარებაში საკუთარი ადგილის განმტკიცებამ, XX საუკუნის მუსიკის საგულისხმო მოვლენების გაცნობა-შესწავლამ (რაც სწორედ ამ პერიოდში გახდა მისაწვდომი) განაპირობა ქართული საბჭოთა მუსიკის პროფესიული დონის მნიშვნელოვანი ზრდა და ამასთანავე ეროვნული მუსიკის მიღწევათა შეფასების შესაძლებლობა თანამედროვე

პროგრესული ზოგადსაკაცობრიო მუსიკალური კულტურის საზომით. გაფართოვდა ქართული მუსიკის თემატური წრე, წამყვან ადგილს იკავებს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ასახვა. სხვადასხვა თაობის ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში მკაფიოდ ვლინდება ეროვნული სტილის ევოლუცია, მისი თვისებების გაფართოების აქტიური პროცესი. ამ პროცესის ძირითადი მაჩვენებელია ხალხური მუსიკისადმი დიფერენცირებული მიდგომა, ეროვნულ პროფესიულ მუსიკაში არსებული ტრადიციების წინა წლების გამოცდილებით შემოწმებული და დანერგილი გამომსახველი საშუალებებისა და საზოგადოდ თვისებრივი განახლება, საბჭოთა მუსიკის გამოცდილებიდან და მსოფლიოს მუსიკალური კულტურის მრავალი სხვა არხიდან მომდინარე მხატვრული ხერხებისა და სტრუქტურების შემოქმედებითი ათვისება.

ქართველმა კომპოზიტორებმა, განსაკუთრებით ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებმა, ყურადღება გაამახვილეს ეროვნული მუსიკის ძირითადი მასაზრდოებელი წყაროს, ხალხური სასიმღერო შემოქმედების, მანამდე შეუმჩნეველ თვისებებზე (შუა საუკუნეების წიაღიდან სათუთად შემონახულ საგალობელთა სიღრმეებზე, გურული პოლიფონიის ვირტუოზულ ბრწყინვალებაზე და სხვ.). ქართული მუსიკის განვითარების შედეგად სწორედ ამ პერიოდისათვის „ეროვნულ ტრადიციებში“ იგულისხმებოდა უკვე არა მარტო ხალხური მრავალხმიანობის საუკუნეობრივი ტრადიციები ან ამ ტრადიციებზე აღმოცენებული ეროვნული საოპერო კლასიკა, არამედ საკუთრივ საბჭოთა ქართული მუსიკის წინა პერიოდების ის უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები, რომლებმაც თავის დროზე ეროვნულ მუსიკაში დანერგეს აზროვნების ახალი ფორმები, გააფართოეს ეროვნული მუსიკალური ენის ნორმები, განავითარეს ხალხური კილო-ინტონაციური მასალისა და რიტმულ თავისებურებათა განზოგადების მეთოდები. ასეთი ახალი, საბჭოთა ქართული მუსიკის განვითარების გზაზე აღმოცენებული და დანერგილი ტრადიციები გააჩნდა არაერთ ჟანრს. მაგრამ ამ ტრადიციათა განახლებამ და ახალი თვისებებით გამდიდრებამ განსაკუთრებით იჩინა თავი ეროვნული მუსიკალური აზროვნებისათვის ყველაზე ახალ, შედარებით ნაკლებად დამახასიათებელ მეთოდში – ეროვნულ სიმფონიზმში. ქართულმა სიმფონიზმმა ხანმოკლე ისტორიულ მონაკვეთში განვლო რთული გზა: უცხო კულტურათა გამოცდილების, მსოფლიო სიმფონიზმის მოდელების შესწავლა-ათვისებიდან ბოლო ათეულ წლებში ეროვნული კულტურის ტრადიციებიდან მომდინარე ორიგინალური სიმფონიური კონცეფციების მომწიფებამდე.

სწორედ ამ პერიოდის ქართულ სიმფონიურ და საზოგადოდ ინსტრუმენტულ მუსიკაში გამოვლინდა ლოკალური მხატვრული ამოცანების დაძლევა, თემატურ-ინტონაციური ჩარჩოების გაფართოება, სწრაფვა ღრმა ფსიქოლოგიური კონფლიქტების, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების ასახვისადმი. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ

ინსტრუმენტული მუსიკის სფეროში ახალი ტენდენციების დანერგვით, ეროვნული სტილის ახალი თვისებების განმტკიცებით თავი ისახელა კომპოზიტორთა ახალმა თაობამ. თუმცა ეს ტენდენციები უფროსი თაობის რიგ კომპოზიტორთა ნაწარმოებებშიც გამოვლინდა, ხოლო ზოგიერთი კომპოზიტორის შემოქმედება ხელწერის გარკვეული განახლებითაც აღინიშნა. ამასთანავე 60-იანი წლების ქართული ინსტრუმენტული მუსიკა გამდიდრდა მრავალი მაღალმხატვრული ნაწარმოებით, რომელსაც ახასიათებდა ეროვნული ტრადიციების თანამედროვე გამომსახველ საშუალებებთან ზომიერი, უფრო თანაბარი შერწყმა, გარკვეული აკადემიურობა, ავტორისეული ხელწერის ნიშანდობლივ თვისებათა შემდგომი გაღრმავება. ამრიგად, ქართული ინსტრუმენტული მუსიკის განვითარების ეს პერიოდი ხასიათდება ეროვნულ ტრადიციათა მრავალმხრივი განახლებით, მისი განახლების პროცესი წარმოგვიდგება დროულ და კანონზომიერ მოვლენად.

ამ პროცესში ავტორის მიერ განვლილი გზის ერთგვარი განზოგადებისა და საერთოდ, ქართული მუსიკის გარკვეული პერიოდის ძიებათა თავისებური შეჯამების თვალსაზრისით ნიშანდობლივი ადგილი დაიკავა ა. ბალანჩივაძის მეორე სიმფონიამ (1959). თავის დროისათვის ისტორიული მნიშვნელობის ა. ბალანჩივაძის ნოვატორული პირველი სიმფონიისაგან (1944) განსხვავებით, ამ ნაწარმოებმა, ავტორის შემოქმედებით ძიებათა და ქართული სიმფონიზმის განვითარების გზაჯვარედინზე, გარდამავალი ადგილი დაიკავა. სიმფონიის მაღალმხატვრული ღირსებები, უპირველეს ყოვლისა, კვლავ ორიგინალურ დრამატურგიულ კონცეფციაში მდგომარეობს. ნაწარმოები ხიბლავს სახეთა ღრმა პოეტურობით, პირველ ორ ნაწილში ჟანრული იერის სინატიფით, განსაკუთრებით კი კულმინაციური მესამე ნაწილის დრამატული სიმძაფრითა და ნათელი სევდის გრძნობით გამსჭვალული ფინალ-ეპილოგით.

ა. ბალანჩივაძის შემდგომ ნაწარმოებებში მკვეთრად გამოვლინდა ავტორისეული სტილის ევოლუცია, მისწრაფება ახალი გზების ძიებისადმი. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მუსიკის განვითარებით ნაკარნახევი საკომპოზიციო ხერხების ათვისებისას, საკუთარი ხელწერის გარკვეული თვითგანახლებისას, ღვაწლმოსილი კომპოზიტორი არ კარგავს თავისი მუსიკის მთავარ ნიშან-თვისებას: აღფრთოვანებულ პოეტურობას, ჭაბუკურ მგზნებარებას, მაღალ ჰუმანურობას. ახლებურად ეკიდება კომპოზიტორი ნაცადი ჟანრების ტრადიციულ გაგებას. ქართული კლასიკური ბალეტის ტრადიციული გმირულ-რომანტიკული ჟანრისაგან განსხვავებით, იგი მიმართავს ეროვნული საბალეტო დრამატურგიის პრინციპულად ახალ ნაირსახეობას, ე. წ. „პოემა-ბალეტის“ ჟანრს (ბალეტი „მწირი“, 1961), ხოლო ტრადიციულ საფორტეპიანოში კონცერტს ანიჭებს პროგრამულობას (მე-4 საფორტეპიანო კონცერტი, 1967). აღსანიშნავია, რომ ორივე ჟანრის ტრადიცია ქართულ მუსიკაში დანერგა თვით ა. ბალანჩივაძემ.

1969 წელს ა. ბალანჩივაძეს მე-4 საფორტეპიანო კონცერტის და ბალეტ - „მწირის“ მუსიკის საფუძველზე კამერული ორკესტრისათვის შექმნილ სიუიტისათვის მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

აღსანიშნავია შ. მშველიძის ერთგულება ეპიკური სიმფონიზმის ტრადიციებისადმი. მის ახალ ქმნილებებს – სიმფონიებს N 4 (1968), მიძღვნილს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი, და N 5 (1975) ეპიგრაფით „მზის და ნათელის ძიება, მომავლის რწმენა და იმედი“, ახასიათებთ მშველიძისეული თვითმყოფადი მუსიკალური ენა, სახეთა ეროვნული სიცხადე, ჩანაფიქრთა მასშტაბურობა, დრამატურგიული განვითარების მეთოდი. ამასთანავე აქ გამოვლინდა ახალი თვისებებიც, სახელდობრ, მეოთხე სიმფონია გამოირჩევა ხალხური მუსიკის ჟანრული თუ ინტონაციური საწყისის გაზრდილი განზოგადებით; კომპოზიტორისათვის ჩვეული მასალის განვითარების თავისუფალი, რაფსოდიული მანერა აღწევს მეტ კომპოზიციურ დახვეწილობას, რომელშიც ჟანრულ-ეპიკური საწყისის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ნათელი ლირიკული ნაკადის დამკვიდრებას.

ეროვნულ ტრადიციათა განახლების აღნიშნული პროცესის ზოგიერთი ნიშან-თვისება მკაფიოდ გამოვლინდა ს. ცინცაძის შემოქმედებითი სტილის თანამიმდევრულ ევოლუციაში. ფსიქოლოგიურმა სიღრმემ, გონივრული საწყისის ზრდამ საგრძნობლად განაახლა კომპოზიტორის ტექნოლოგიური რესურსები ბალეტ „დემონში“ (1961), რომლის მუსიკა აღინიშნა მოქნილი სახეებით, გაზრდილი ექსპრესიით, ინტონაციური საწყისის მეტი გაუშუალოებით, სიმფონიური განვითარებით და დახვეწილი ორკესტრირებით.

მისი შემოქმედებითი სტილის თვისებრივ განახლებად შეიძლება მივიჩნიოთ მეხუთე კვარტეტიც (1962), რომელშიც განსაკუთრებული სიმძლავრით განმტკიცდა ახლებური თემატიკა, გამომსახველ საშუალებათა ახალი სფერო.

ს. ცინცაძის ამავე პერიოდის სხვა მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მეორე სიმფონია (1962), რომლის მხატვრულ სახეთა განვითარებაში, საცეკვაო რიტმების გაზრდილ ფუნქციაში, ინტონაციური სფეროს შემდგომ გაფართოებაში კომპოზიტორის მრავალმა ახალმა თვისებამ იჩინა თავი. ს. ცინცაძის მეორე სიმფონიის მუსიკაზე მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრისა და შემდგომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენებზე დაიდგა ბალეტი „პოემა“ (დამდგმელი – ა. ჭიჭინაძე), რომლის შინაარსი შთაგონებული იყო დიდი სამამულო ომის მძვინვარე წლების გმირული სახეებით. ამ ნაწარმოებს უფრო გარდამავალი მნიშვნელობა ჰქონდა. მასზე ერთგვარად მომზადდა მხატვრულ ჩანაფიქრთა ის წრე, რომელიც გამოვლინდა კომპოზიტორის შემდგომ ნაწარმოებებში – ოსტატობის განსაკუთრებული დახვეწილობით აღნიშნულ VI (1966), მძაფრი დრამატიზმით აღსავსე VII (1970) თუ ტრაგიკულ VIII (1974)

კვარტეტებში, მძაფრი დინამიკითა და პოლიფონიური ხერხების უხვად გამოყენებით აღბეჭდილ მე-3 სიმფონიაში (1969), 60-იანი წლების ინსტრუმენტულ კონცერტებში...

თანამედროვე მუსიკის მიღწევებისადმი ღრმა, პროფესიული გულისხმიერება, საკუთარ შემოქმედებაში ჩამოყალიბებული გამომსახველ საშუალებათა რადიკალურად განახლების მზარდი ტენდენციები გამოვლინდა რ. გაბიჩვაძის 60-იანი წლების შემოქმედებაში. მისი ხუთნაწილიანი სიმფონია N 1 (1964) გამოირჩევა კომპაქტური აგებულებით, დახვეწილი ინტონაციური ენით (რომელსაც არ აკლია ეროვნული კილო, არც ჟღერადობის უშუალობა და არც მკვეთრი გამომსახველობა) რიტმის დრამატულ შესაძლებლობათა გამოყენებით. რ. გაბიჩვაძის შემდგომ ნაწარმოებებში (სიმფონიები – 1966, 1972, საფორტეპიანო სონატა, 1964, კამერული სიმფონიები 9 ინსტრუმენტისათვის (ნონეტი) 1965, 1968, ბალეტი „ჰამლეტი“, 1971 და სხვ.) უფრო მკვეთრად გამომჟღავნდა ავტორის მიერ თანამედროვე მუსიკის ტექნოლოგიურ საშუალებათა საფუძვლიანი ათვისების თანამიმდევრობა, მიდრეკილება ენის უნივერსალიზაციისაკენ. ზ. ფალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ მის მესამე, ანუ „როსტოკის“ სიმფონიაში (ამ სახელწოდებას ატარებს ქ. როსტოკში (გდრ) პირველი შესრულების გამო) ეროვნული ინტონაციური საწყისი გამოყენებულია მხოლოდ თავისებურ „წარმომადგენლობით“ ელემენტად. ძველ ქართულ საგალობელთა სტილში დაწერილი საგუნდო პროლოგი და ეპილოგი დრამატურგიული ეპიზოდია, რომელიც არ ვითარდება საკუთრივ სიმფონიის ინტონაციურ მასალაში, ავტორისეულ სახეთა და ფორმის კონსტრუირებაში. ფოლკლორის ცალკეულ ელემენტთა „ეროვნული დატვირთვის“ მინიშნებად გამოყენება ვლინდება ოსტატურად დაწერილ მეორე სიმფონიაშიც („ფიქრნი მტკვრის პირას“, ნ. ბარათაშვილის მიხედვით) ხმისა და ორკესტრისათვის. ამრიგად, ეროვნული ინსტრუმენტული მუსიკისა და საზოგადოდ, ინტონაციური ენის განახლება რ. გაბიჩვაძის შემოქმედებაში ხდება ქართული ფოლკლორის ბუნებისაგან მკვეთრად განსხვავებული გამომსახველი საშუალებებით, მისი შემოქმედება თანამედროვე ქართული მუსიკის სტილური გაფართოების დამახასიათებელი მოვლენაა.

ეროვნული თემის ახლებური გაგებით, მუსიკალური ტექნოლოგიის თანამედროვე პრინციპების შემოქმედებითი თვისებით აღინიშნა დ. თორაძის მეორე სიმფონია „ნიკორწმინდა“ (1968, შთაგონებული გ. ტაბიძის ლექსით „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“). მასში გატარებულია ერთიანი თემატური მარცვალი (ძველებური საგალობლის პირქუში ჰანგი), რომელიც მრავალმხრივ სახეცვლას და განვითარებას განიცდის. ამაღლებული პათოსითა და მძაფრი დინამიკით გამსჭვალულ ამ ნაწარმოებში გამოვლინდა კომპოზიტორის ძიებისათვის დამახასიათებელი ტემბრალური კოლორიტულობის ზრდა და რიტმული ფუნქციის მნიშვნელობის გამახვილება, რამაც ახალი თვისებები შემატა კომპოზიტორისათვის ჩვეულ მხატვრულ სახეთა დეკორაციულ გამოკვეთილობას.

შემოქმედებით ძიებათა კანონზომიერი ევოლუციის შედეგია ა. მაჭავარიანის მე-2 სიმფონია (1973). ორნაწილიან სიმფონიაში პოეტურად ნატიფ თუ შეუპოვრად მშფოთვარე კონტრასტულ მხატვრულ სახეთა და განწყობილებათა დაპირისპირებით ავტორი ქმნის თანამედროვეობის ცხოვრებისეული, თეატრალური სახიერებით აღბეჭდილ სიმფონიურ ტილოს.

თემატური მთლიანობით, მკაფიო ფორმით, მასალის აკადემიური გადმოცემით გამოირჩევა ა. შავერზაშვილის ნაწარმოებები: სიმფონია N 2 (1962), სავიოლინო კონცერტი (1964), საფორტეპიანო ტრიო N 2 (1968) და სხვ.

50-იანი წლების დამლევს ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა შორის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობით, ძიებათა მიზანდასახულობით და შემოქმედებითი მოწიფულობით გამოირჩეოდა ბ. კვერნაძისა და ს. ნასიძის შემოქმედება.

ბ. კვერნაძემ ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ ადრინდელი პერიოდის ნაწარმოებებით, რომლებშიც მუსიკალური ფოლკლორის საწყისებისადმი საკუთარი მიდგომის გარდა, ნათლად აღინიშნა ტრადიციული ჟანრების თვისებრივად ახლებური გამოყენება, ხალხური იუმორის თანდაყოლილი შეგრძნებიდან გამომდინარე მუსიკალური სახეების უჩვეულო ფერადოვნება, ლირიზმის მეტად თავისებური – რომანტიკულად მგზნებარე, ან პოეტურად მეოცნებე გაგება, საორკესტრო ფერადოვნების ელვარე ეფექტურობა. გამომსახველ საშუალებათა გაფართოებით, ინტონაციური საწყისის გაზრდილი განზოგადებით აღინიშნა მისი პირველი სიმფონია (1961), რომელშიც გამოვლინდა ავტორისა და, საზოგადოდ, ქართული მუსიკისათვის ახალი, თანამედროვე სიმფონიზმიდან მომდინარე ქმედითი დრამატული სიმძაფრე და ამასთანავე ეროვნულ მუსიკაში დამკვიდრებული ლირიკული ტრადიციების ახალ ხარისხში აყვანა. მუსიკალური ენის თანამიმდევრული ევოლუცია, პოეტურ სახეთა სურათოვნება, ორკესტრული დრამატურგიის ზრდა ახასიათებდა მის მეორე, „ქორეოგრაფიულ სიმფონიას“ (1964). ახალი შემოქმედებითი ძიება, გამოვლინდა მეორე საფორტეპიანო კონცერტში (1966), რომლის მუსიკალურ სახეებში კვლავ ჩანს კვერნაძისეული ნათელი ლირიკა და ფერადოვანი საორკესტრო აზროვნება.

ს. ნასიძის ადრინდელ, 50-იან წლებში შექმნილ, ნაწარმოებებში გამომჟღავნდა ახალგაზრდა კომპოზიტორის სოლიდური პროფესიული ერუდიცია. განუხრელი ინტერესი თანამედროვეობის თემისადმი, ხალხურ მუსიკაში ახალი შესაძლებლობების მიგნება, შემოქმედებითი ინტერესების მიზანდასახული თანამიმდევრობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს მის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა: მეორე საფორტეპიანო კონცერტი (1961), მეორე (1964) და მესამე „კამერული“ სიმფონია (1969), ორატორია „ჩემო სამშობლო“ (1967), ორი სიმებიანი კვარტეტი (1968 და 1970 წწ.), „კოლხური სიმფონია“ (1974) და სხვა.

ს. ნასიძის შემოქმედებაში დამკვიდრდა თავისებური მუსიკალურ-თხრობითი მანერა, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავდაჭერილი

ემოციურობის განზოგადებულად გადმოცემა და არა გრძნობათა ზერელე მჩქეფარება, „ზოგადხალხური“ ჟანრულობა და აღწერილობითობა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ს. ნასიძის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი თვისება თანამდეროვე გამომსახველობითი ხერხებისა და ეროვნული საწყისის ორგანული სინთეზია.

ეროვნული სიმფონიზმის თვისებრივად ახალ საწყისთა დამკვიდრებით, მხატვრულ სახეთა და ფორმათა თანამიმდევრული ძიებითა და მნიშვნელოვანი მხატვრული მიგნებებით აღინიშნა გ. ყანჩელის შემოქმედება. მის პირველსავე ნაწარმოებებში („კონცერტი“ ლარგო და ალეგრო, 1963), გამოვლინდა თანამედროვეობის ღრმა შეგრძნება, გამომგონებლობის განსაკუთრებული უნარი, ეროვნული ტრადიციებისადმი საკუთარი მიდგომა, თანამიმდევრულად დაიხვეწა სიმფონიური აზროვნების ორიგინალური ტიპი. გ. ყანჩელის პირველივე სიმფონიაში (1967) შეიმჩნევა ეროვნული მუსიკისათვის ახალი სახოვანი საწყისი გამახვილებულ გროტესკულობასთან ერთად ღრმა ლირიკული ჭვრეტისა და მგზნებარე რომანტიკული განწყობილების გამოხატვის ავტორისეული უნარი. ამასთანავე მისი აზროვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული მუსიკისა და საზოგადოდ ეროვნული ხელოვნების მრავალწახნაგოვან ტრადიციებთან. ეს ვლინდება მეორე („საგალობელი“, 1970) და განსაკუთრებით მიქელანჯელოს ხსოვნისადმი მიძღვნილ მე-4 სიმფონიაში (1975). გ. ყანჩელის საუკეთესო შემოქმედებით თვისებებს შორის აღსანიშნავია აზრის აკადემიურად მკაფიო გარკვეულობა, ნაწარმოების კონსტრუქციის ლოგიკურობის შერწყმა ტემპერამენტთან. ამ თვისებებმა განაპირობეს კომპოზიტორის მიერ თეატრალური დადგმებისა თუ კინოფილმებისათვის დაწერილი მუსიკის წარმატებაც („კავკასიური ცარცის წრე“, „ხანუმა“, „არაჩვეულებრი გამოფენა“, „არ დაიდარდო“, „კავკასიელი ტყვე“, „ციმბირელი პაპა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და სხვ.).

სიმფონიური მუსიკისადმი განსაკუთრებული ერთგულებით, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისადმი მიდრეკილებით და ჩანაფიქრის მასშტაბურობით აღინიშნა ფ. ღლონტის შემოქმედება, რომელიც უმთავრესად ინსტრუმენტული ფორმებითაა წარმოდგენილი (ხუთი სიმფონია, 1961, „მსოფლიოს ჰორიზონტები“, 1964, 1967, 1971, 1974, ბალეტი „განთიადი“, 1967, ინსტრუმენტული კონცერტები). ემოციურად გაჯერებულ მხატვრულ სახეთა მაღალი განზოგადების გზით კომპოზიტორი მიისწრაფვის მუსიკალური მასალის ამომწურავი გადმოცემისადმი.

ნაყოფიერად მუშაობს ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრებში ვ. აზარაშვილი. აშკარა მელოდიური ნიჭის მქონე ამ კომპოზიტორის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ლირიკულ-ჟანრული საწყისი, გამომსახველი ემოციურობა, საყოფაცხოვრებო მუსიკალური ინტონაციებიდან გამომდინარე მღერადი მელოდიურობა. ეს თვისებები თანამიმდევრულად გამოვლინდა ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა სიმფონია (1966),

ინსტრუმენტული კონცერტები (სავიოლინო, 1967 და 1972 წ. ფლეიტის, 1968, ჩელოსი, 1969, ალტისა და კამერული ორკესტრისათვის, 1973 და სხვ.).

60-იანი წლების ინსტრუმენტულ მუსიკაში საინტერესო ძიებით, მხატვრული მიზანდასახულობით გამოირჩევა ნ. მამისაშვილის შემოქმედება. იგი ამჟღავნებს ჟანრულობის ახალ შესაძლებლობებს ისეთ ნაწარმოებებში როგორიცაა: ფერადოვანი სიმფონიური სიუიტა „გურია აკვარელში“ (1962), იუმორითა და უშუალობით აღსავსე „პიონერული კონცერტი“ ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (1965), პოეტური სავიოლინო კონცერტი (1967) და სხვ. ამასთანავე ნ. მამისაშვილი მიმართავს ახალ, ეროვნულ მუსიკაში ადრე გამოუყენებელ, ტექნოლოგიურ ხერხებს, აღწევს თანამედროვე გამომსახველობის და ეროვნული ინტონაციის ფრიად საინტერესო სინთეზს. ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „მინიატურები“ კვარტეტისათვის (1971), ჩელოსათვის (1966), კამერული ორკესტრისათვის (1967), კვინტეტი - „კონცერტინო“ (1972), რიგი საფორტეპიანო კომპოზიციებისა, კომპოზიტორი მივიდა საკუთარ კილო-ინტონაციური სისტემის ჩამოყალიბებამდე.

ინსტრუმენტულ ჟანრებში რიგ მნიშვნელოვან სიახლეთა მოხდენილი გამოყენებით, რიტმული ორგანიზაციის საგრძნობი გაზრდით, კილო-ჰარმონიულ სტრუქტურათა ახალი შეგრძნების დამკვიდრებით, ინტონაციური განვითარების ახალ თვისებათა დანერგვით აღინიშნა ნ. გაბუნიას შემოქმედებითი ინდივიდუალობის ჩამოყალიბება, მისთვის დამახასიათებელი ხატოვანი აზროვნება, დრამატურგიული ალღო და ფოლკლორისადმი საკუთარი მიდგომა მკვეთრად გამოვლინდა აგრეთვე ქართულ კინემატოგრაფიაში მისი ნაყოფიერი თანამშრომლობით (მუსიკა კინოფილმებისათვის „ვედრება“, „ნერგები“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „სამკაული სატრფოსათვის“, „აურზაური სალხინეთში“ და სხვ.). ფართო საერთაშორისო გამოხმაურება პოვა ნ. გაბუნიას „იგავ-არაკმა“ სულხან-საბას მიხედვით (1963).

ინსტრუმენტულ მუსიკაში ინტენსიური მუშაობით, კომპოზიციის თანამედროვე ტექნიკის საშუალებათა მიზანდასახული და უხვი გამოყენებით გამოირჩევა ნათელა სვანიძის 60-იანი წლების შემოქმედება. ავტორისა და საზოგადოდ ქართული მუსიკისათვის ბგერათა ორგანიზაციის ახალი ტექნიკის – თორმეტტონიანი სისტემის ათვისებითა და დამკვიდრებით აღსანიშნავია მისი სიმფონია (1965). მხატვრულ-ესთეტიკური ორიენტაციის თანამიმდევრობა მკვეთრად გამოვლინდა ნ. სვანიძის შემდგომ ნაწარმოებებშიც. ეროვნული ტრადიციებისა და თანამედროვე გამომსახველ საშუალებათა ზომიერი სინთეზის მხატვრულ-ესთეტიკური ტენდენცია ვლინდება კომპოზიტორ ი. გეჯაძის ნაწარმოებებში (სიმფონია–პოემა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, 1966; „საზეიმო უვერტიურა“, 1968, სავიოლინო კონცერტი, 1969; საბავშვო კონცერტი 4 ხელით ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 1971; „სიმფონია-რეკვიემი“, 1975).

სერიოზული შემოქმედებითი განაცხადით მოვიდა ქართულ მუსიკაში რ. ქარუხნიშვილი. მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი – საფორტეპიანო ციკლი "საცეკვაო იმპროვიზაციები" აღნიშნული იყო სრულიად საკავშირო დათვალიერების პრემიით (1961). კომპოზიტორის ძიება და შემოქმედებითი მიზანდასახულობა გმომჟღავნდა მის მომდევნო ნაწარმოებებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ხალხური საწყისებიდან გამომდინარე ჟანრობრივი თუ ლირიული სახეების განზოგადების უნარი.

დიდი შემოქმედებითი პოტენციით ყურადღება მიიპყრო ნ. ვაწაძემ, რომლის სიმებიან კვარტეტში (1961) გამოვლინდა ლირიკის მეოცნებე შეგრძნება, ემოციური გამომსახველობა, კაზმული ინტონაციის შეხამება მძაფრ დინამიკასთან. სრულიად საკავშირო დათვალიერება – კონკურსის პირველი პრემიით დაჯილდოებული ეს ნაწარმოები კომპოზიტორის შემოქმედებაში დღემდე ინარჩუნებს წამყვან ადგილს. მისი შემდგომი მუშაობა ძირითადად ვლინდება კინომუსიკაში ("მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", "გათენების წინ", "სინათლე ჩვეს ფანჯრებში", "არ დაიჯერო", რომ აღარა ვარ", და სხვ.).

ორი სიმფონიის (1967,1969) ავტორია ე. სანაძე. მის პირველ შემოქმედებით განაცხადად იქცა კვარტეტი (1964), რომელიც აღნიშნული იყო რესპუბლიკური კონკურსის პრემიით. ამ ნაწარმოებში თავი იჩინა ახალგაზრდა კომპოზიტორის საკუთარმა შემოქმედებითმა მიდგომამ, პროფესიულმა ოსტატობამ.

ინსტრუმენტული მუსიკისადმი განსაკუთრებული ინტერესით, მხატვრული ჩანაფიქრის სიღრმით აღინიშნა ვ. კუხიანიძის შემოქმედება. მის ნაწარმოებებში ვლინდება კომპოზიტორის მხატვრული ხედვის რომანტიკული ბუნება, მიდრეკილება გამომსახველ საშუალებათა საკუთარი სისტემის ათვისებისაკენ. ფორმის ლაკონიურობითა და სახეთა პოეტურობით გამოირჩევა ვ. კუხიანიძის სიმფონია N 2.

ნაყოფიერად მუშაობს ინსტრუმენტულ ჟანრებში შ. დავიდოვი. მისი პროფესიული ზრდის მაჩვენებელია სიმფონიური პოემა "ვეფხვი და მოყმე" (1960), ქართველ მთასვლელებისადმი მიძღვნილი სიმფონია "უშბა", (1963) და სხვ. ამ ნაწარმოებებში ვლინდება ავტორის მჭიდრო კავშირი ქართულ კილოინტონაციურ საწყისებთან.

60–იანი წლების მეორე ნახევარში დაწინაურებულ ახალგაზრდა თაობიდან სოლიდური პროფესიული მომზადებით, თანამედროვე ტენდეციებისადმი გულმოდგინე ინტერესით მიიპყრეს ყურადღება თ. ბაკურაძემ და მ. შუღლიაშვილმა.

განსახილველი პერიოდი აღინიშნა ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიმუშის შექმნით. ამ ჟანრში გამოვლინდა ო.თაქთაქიშვილის შემოქმედებით ინტერესთა დაბრუნება ინსტრუმენტული მუსიკისადმი. მის საფორტეპიანო (1973) და სავიოლინო (1975) კონცერტებში მკვეთრად გამოვლინდა ავტორისეული მხატვრულ – ესთეტიკური

ტენდენციის სიმყარე, მჭიდრო კავშირი ეროვნული მუსიკალური აზროვნების სათავეებთან.

კონცერტებისა, (სავიოლინო, 1971 და ჩელოს, 1973) და კონცერტინოს ფლეიტისა და ორკესტრისათვის (1969) ავტორია ტ. ბაქრაძე. მისი სხვა ინსტრუმენტული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია სიმფონია (1962) და სიმფონიური სიუიტა "ენგურის ნაპირებზე" (1973).

ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრისადმი ერთგულებით აღინიშნა რ. კემულარიას შემოქმედება. მისი 6 კონცერტიდან ორი საბავშვოა.

ქართული სიმფონიური მუსიკის ტრადიციების გაფართოებისა და ნაყოფიერი გავლენის მაჩვენებელია მისი თავისებურ განშტოებათა წარმოქმნა 70 –იანი წლების აფხაზურ და ოსურ პროფესიულ მუსიკაში. უნდა აღინიშნოს, ა. ჩიჩბას სიმფონიური პოემა "აბრსკელი" (1974), რ. გუმბას სიმფონიური პიესა "სიხარული" (1973). აფხაზური მუსიკის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეაქვს მ. ბერიკაშვილს (სიმფონიური სურათი "მეშახტეები", "საზეიმო უვერტიურა", განსაკუთრებით სიმფონია – პოემა "სიმღერა კლდეზე" ბ. შინკუბას ცნობილი პოემის მიხედვით). აფხაზური პროფესიული მუსიკის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო ქ. სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დაარსებამ (1973).

ნაყოფიერად წარმართავს შემოქმედებით მოღვაწეობას სამხრეთ ოსეთის სამუსიკო კულტურის წარმომადგენელი ზინაიდა ხაბალოვა. მის ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია ოპერა "ფატიმა" კ. ხეთაგუროვის მიხედვით, სიმფონია, "კაპრიჩიო" და სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის.

თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულ აფხაზ და ოს კომპოზიტორთა ნაყოფიერი შემოქმედება მოძმე ეროვნულ კულტურათა ინტერნაციონალური ურთიერთობების დამახასიათებელი შედეგია.

ქართული საბჭოთა მუსიკის ინტსრუმენტული ჟანრების გარჩევისას აღსანიშნავია ინსტრუმენტული სონატის ჟანრი. ქართველ კომპოზიტორთა ამ ჟანრში შექმნილ ნაწარმოებთა ჩამოთვლაც კი ადასტურებს ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის პროფესიულ ზრდას.

ამრიგად, 60 –იანი წლების ქართული ინსტრუმენტული მუსიკა საგრძნობ აღმავლობას განიცდიდა. ყველაზე მეტად სწორედ ამ სფეროში ვლინდება კომპოზიტორების მისწრაფება მუსიკის ახალ გამომსახველ საშუალებათა ძიებისაკენ, ტრადიციათა მუდმივი გამდიდრების განუწყვეტელი პროცესისაკენ. ამ პერიოდში 30 –მდე ოპერა დაიწერა.

ქართული ინსტრუმენტული მუსიკის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, კომპოზიტორთა შემოქმედებაში თავის აქტუალობას არ კარგავს მუსიკალური თეატრი და მისი ჟანრები. განსახილველ პერიოდში საკმაოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ამ მიმართულებითაც.

ეროვნული საოპერო კლასიკის ტრადიციების ახლებურად გამოყენების ნიმუშია შ. მშველიძის "დიდოსტატის მარჯვენა" (1961) კ. გამსახურდიას

რომანის მიხედვით. ცალკეულ პერსონაჟთა ზუსტად მიგნებული მუსიკალური დახასიათების მიუხედავად, წამყვანი როლის მნიშვნელობა ოპერის დრამატურგიაში საგუნდო სცენებს მიენიჭა. სწორედ ეს სცენები გამოირჩევა ხალხური მრავალხმიანობის წიაღიდან მომდინარე მშველიძისეული ეპიკური მასშტაბურობით.

ქართული მუსიკალური თეატრის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ო. თაქთაქიშვილის ოპერა "მინდია" (1961) ვაჟა - ფშაველას მიხედვით. პოემის ფილოსოფიური არსის, დიდი ჰუმანისტური იდეის თაქთაქიშვილისეული გადაწყვეტა გამოიხატება შესატყვის სიუჟეტურ გარკვეულობასა და მუსიკალური დრამატურგიის მხატვრულ დამაჯერებლობაში. ნაწარმოებში მოცემულია ორი, ურთიერთდაკავშირებული სიუჟეტური ხაზით წარმოდგენილი ლირიკულ – დრამატული და გმირულ – პატრიოტული საწყისი. ეს ნაწარმოები ქართული საბჭოთა მუსიკის მნიშვნელოვანი შენაძენია. "მინდია" წარმატებით იდგმება საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა საოპერო თეატრში.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა ო. თაქთაქიშვილის საოპერო "ტრიპტიქი" "სამი ნოველა" (1967), დაწერილი საკუთარ ლიბრეტოზე. "სამი ნოველის" სახით თაქთაქიშვილმა შექმნა ქართული საოპერო ხელოვნების საკმაოდ ორიგინალური ნაწარმოები, რომლის დრამატურგია აგებულია უფრო მეტად კინომონტაჟის პრინციპზე, ვიდრე ტრადიციული საოპერო სცენების თანმიმდევრობაზე.

1972 წ. ეს ნაწარმოები ახალი რედაქციით და ახალი სახელით "სამი სიცოცხლე" წარმატებით დაიდგა მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ - დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის სცენაზე.

ს. ცინცაძის შემოქმედებითი ძიებების მიზანდასახულობა ახლებურად გამოვლინდა მის ოპერა "განდეგილში" (1972).

დიდი გამოხმაურება და ფართო მოწონება პოვა რ. ლაღიძის ჰეროიკულ – ისტორიულმა ოპერამ "ლელა" (1875), რომელმაც შემდეგში სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. პოპულარული კომპოზიტორის კარგად ცნობილი, მრავალ ჟანრში ნაცადი თვისებები – უსაზღვრო მელოდიურობა, დიდი ემოციური ტონუსი, ღრმა ლირიზმი, ჰარმონიის ფაქიზი შეგრძნება – ამ ნაწარმოებში ახლებურად გამოვლინდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპოზიტორის მიერ მომღერალთა შესაძლებლობების ზედმიწევნითი განსაზღვრა და გამოყენება, რის შედეგად ნაწარმოებში სუფევს განუმეორებელი მღერადობა. "ლელა" დაიდგა საზღვარგარეთაც (ჩეხოსლოვაკია).

აღსანიშნავია 1960 წელს ნ. გიგაურის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირში პირველი სატელევიზიო ოპერა "გამზრდელი".

60 – იან წლებში რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა ქართული საბავშვო ოპერის ჟანრში. 1965 წ. დაიდგა ვ. გოკიელის "ბროლის ქოში" შარლ პეროს ცნობილი ზღაპრის მიხედვით. ეს ოპერა, ისევე როგორც ვ.

გოკიელის ადრინდელი საბავშვო ოპერა “წითელქუდა, საქართველოს ფარგლებს გარეთაც დაიდგა.

საბავშვო მუსიკის ჟანრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის გამოცდილებამ, ბავშვთა სამყაროს, შინაგანი ბუნებისა და ინტერესების ღრმა ცოდნამ განაპირობა მერი დავითაშვილის პირველი საბავშვო ოპერის “ქაჯანას” წარმატება (1966).

ქართული საბავშვო ოპერის ჟანრის ახლებური გაგების მაგალითია ნ. მამისაშვილის „ბაქია ბაჭია“ (1971), რომელიც წარმატებით იდგმებოდა საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც.

რესპუბლიკაში მუსიკალური თეატრის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში დადებითი როლი შეასრულა ქ. ქუთაისში 1969 წელს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ფილიალის გახსნამ.

ამ პერიოდის ქართულ საბალეტო მუსიკაში წამყვანი ადგილი მეტწილად ფსიქოლოგიურ სიმფონიზმს ეთმობა. ისახება ახალი საბალეტო ჟანრები. ტრადიციული ბალეტის გვერდით თავს იჩენს მისწრაფება პირობითი მხატვრული ხერხებისადმი, „დიდი” ბალეტის ნაცვლად პოემურობა. ამ წლებში განხორციელებული საბალეტო დადგმებიდან აღსანიშნავია ს. ცინცაძის „დემონი“ (1961), ბ. კვერნაძის „ქორეოგრაფიული ნოველები“ (1963), ა. ბალანჩივაძის „მწირი“ (1964), ს. ცინცაძის „პოემა“, ფ. ღლონტის „განთიადი“ (1967), რ. გაბიჩვაძის „ჰამლეტი“ (1971) და ს. ნასიძის „ორფეოსი და ევრიდიკე“ (1972). ქართველ კომპოზიტორთა ამ ბალეტებს ახასიათებს ახალი მუსიკალურ-გამომსახველი საშუალებების ძიება, ეროვნული მუსიკალური ენისა და ამ ჟანრის ტრადიციათა საგრძნობი განვითარება.

ქართული ქორეოგრაფიის შემდგომი განახლება აღინიშნა ახალი მხატვრულ-ესთეტიკური ტენდენციების გაზიარებით და ათვისებით, ჟანრობრივ ტრადიციათა საგრძნობი განვითარებით. მასში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ქორეოგრაფმა გ.ალექსიძემ, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა მთელი რიგი საბალეტო სპექტაკლები (ბ.კვერნაძის „ბერიკაობა“ (1973), ს. ცინცაძის „ანტიკური ესკიზები“ (1974) და „დალი და მონადირე“ (1975).

ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების ერთ-ერთი პოპულარული და მიმზიდველი ჟანრია ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა, კერძოდ, კანტატა და ორატორია, მჭიდრო კავშირი ეროვნული მუსიკის ცხოველმყოფელ ნაკადთან, ხალხურ საგუნდო მრავალხმიანობასთან განსაზღვრავს ქართველ კომპოზიტორთა ცხოველ ინტერესს ამ ჟანრისადმი. ყოველ ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებში ადვილად შეიმჩნევა ძველი ტრადიციებისადმი ახლებური მიდგომა, მათი შესაძლებლობის გაფართოებისა და გამდიდრების ცდები. ეს სიახლენი გამოვლინდა ო. გორდელის ვოკალურ-სიმფონიურ პოემაში „რაზედ ბუტბუტებს მტკვარი“ (1961), ა. შავერზაშვილის ლირიკულ-ჟანრულ კანტატებში „ჩემი სამშობლოს ჰანგები“ (1961), „კრემლის მზემ“ (1972)

და ორატორია „დიდება ოქტომბერს“. ორიგინალური სტრუქტურით, თვითმყოფი სახეებით აღინიშნა თ. ბაკურაძის კანტატა „ლირიკული სტროფები“ (1963).

ჩანაფიქრის მთლიანობით, პატრიოტული თემის ახლებურად გაშუქებით, დრამატურგიული ხაზის ლოგიკური გაშლით ხასიათდება სულხან ნასიძის ორატორია „ჩემი სამშობლო“ (1966).

რ. ლაღიძისათვის ჩვეული მღერადობით, გულწრფელი ემოციურობით და სასიმღერო ფორმის სიმფონიზაციით აღინიშნა მისი მუშაობა ამ ჟანრში: ერთნაწილიანი ოდა „მელის ვარძია“ შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის (1966), კანტატა „მიაბიჯებს ოქტომბერი“ (1967), „ბალადა ვაზზე“ (1969), „ოდა მესხეთს“ (1966) და სხვ. ამაღლებული პათოსით ხასიათდება ა. ჩიმაკაძის ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ვლადიმერ ლენინი“ (1970) და კანტატა „დიდება შენ“ (1971). ეროვნული მუსიკისათვის ახალ ჟანრშია გადაწყვეტილი ნ. სვანიძის კამერული კანტატა „ფიროსმანი“ (1969).

ს. ცინცაძის ორატორიამ „უკვდავება“ (1970), მიძღვნილმა ვ. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, ყურადღება მიიპყრო გამომსახველობითი ხერხების სიუხვით.

ქართული ხალხური საგუნდო პოლიფონიის ღრმა ცოდნა, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება ახასიათებს გ. კოკელაძის ნაყოფიერ შემოქმედებას ამ ჟანრში.

მიმზიდველი უშუალობითა და პოეტურად მეოცნებე ლირიზმით გამოირჩევა ი. ბობოხიძის საგუნდო ნაწარმოებები.

საბავშვო გუნდებისათვის შექმნილ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია დალი ჩხეიძის შვიდნაწილიანი კანტატა „სამშობლოზე“ (1968), ი. ბობოხიძის კანტატა „დილა“ (1966), განსაკუთრებით კი რ. ქარუხნიშვილის ოთხნაწილიანი კანტატა „წლის დრონი“ (1968).

დიდი ადგილი უკავია ვოკალურ-სიმფონიურ და საგუნდო მუსიკას ტ. ბაქრაძის შემოქმედებაში (კანტატა „მიყვარხარ სამშობლო“, 1960, ვოკალურ-სიმფონიური პოემა „მარუხი“, 1965), ორატორია „რევოლუციურ საქართველოს“ (1967).

კანტატა და ორატორია წამყვან ჟანრებად იქცა ო. თაქთაქიშვილის შემოქმედებაში. აღსანიშნავია მისი კანტატა „ცოცხალი კერა“ (1964) (ს. ჩიქოვანის ტექსტზე) და ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ ირ. აბაშიძის ციკლის „პალესტინა, პალესტინას“ მიხედვით, რომელსაც 1967 წ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ო. თაქთაქიშვილის ხუთნაწილიან ორატორიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970), კანტატაში „გურული სიმღერები“ (1971) და სიუიტაში „მეგრული სიმღერები“ (1972) უფრო მკვეთრად გამოვლინდა მისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-ესთეტიკური ტენდენცია – ხალხური მასალის თვითმყოფადი არსის გამომჟღავნება, საშემსრულებლო სპეციფიკის

პირველადი ღირებულების ხაზგასმა და ამ თვისებათა ავტორისეულ გამომსახველ სისტემაში ჩართვა.

უკანასკნელ პერიოდში კანტატა-ორატორიულ ჟანრში შექმნილ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია: შ. მშველიძის ორატორია „საუკუნეების თქმულება“, რ. ლაღიძის კანტატა „საქართველოს“ და მისივე ჰიმნები: „პარტიას“ და „ლენინს“; რ. გაბიჩვაძის „სამი ოდა ლენინს“; ო. გორდელის „ოდა ლენინს“; გ. კოკელაძის კანტატა „საქართველოს“; დ. თორაძის კანტატა „დროშები ჩქარა“; ნ. გუდიაშვილის საგუნდო ციკლი „სურათები ხალხური პოეზიიდან“; ვ. ცაგარეიშვილის კანტატა; გ. ციციშვილის „ქება სამშობლოს“; ვ. აზარაშვილის „ბალადა შინმოუსვლელ გმირზე“; ლ. შავერზაშვილის საგუნდო ციკლი „მიხეილ ხერგიანის ხსოვნას“; რ. ქარუხნიშვილის საგუნდო სიმღერების ციკლი „კახური მადრიგალები“; შ. მილორავას კანტატა „აყვავებული მხარე“; მ. ფარცხალაძის, შ. დავიდოვის, ი. კეჭაყმაძის, გ. სიხარულიძისა და შ. შილაკაძის საგუნდო ნაწარმოებები. მათ შორის განსაკუთრებული ნაყოფიერებით და საგუნდო მუსიკაში ახლის ძიებით გამოირჩევა ი. კეჭაყმაძის შემოქმედება. ამ ჟანრში მან შეძლო საკუთარი შემოქმედებითი მანერის შემუშავება. დიდი აღიარება პოვეს ა. კალანდაძის ლექსებზე შექმნილმა საგუნდო ციკლმა „ფშაური იდილიები“ (1972) და განსაკუთრებით ხუთმა პარაფრაზამ - საგუნდო ციკლმა „ძველი თბილისის სიმღერები“ (1975), რაც თვისებრივად ახალი სიტყვაა ეროვნული საგუნდო მუსიკის ტრადიციების განახლებაში, რისთვისაც კომპოზიტორს ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

რიგი საინტერესო მონაპოვრებით აღინიშნა 60-იანი წლების ქართული კამერული ვოკალური მუსიკა. პირველ ყოვლისა უნდა გამოვყოთ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრში გადაწყვეტილი ა. მაჭავარიანის ვოკალური ციკლი „ხუთი მონოლოგი“, რომელშიც კომპოზიტორის მუსიკის მგზნებარე ემოციურობა და ძალუმი მაჯისცემა გამსჭვალულია ვაჟა-ფშაველასეული რომანტიკული გმირის მძაფრი ფსიქოლოგიური განცდებით, სულიერი მღელვარებით. 1971 წელს ა. მაჭავარიანს ამ ნაწარმოებისათვის მიენიჭა შ. რუსთაველის სახელობის პრემია.

ეროვნული სამუსიკო ფოლკლორის ორიგინალური გამოყენებით, მისი კილო-ინტონაციური თვისებების ღრმად ინდივიდუალური გარდაქმნით გამოირჩევა ს. ნასიძის ვოკალური ციკლი „ქართული ხალხური პოეზიიდან“.

60-იან წლებში შექმნილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავაია ო. თაქთაქიშვილის, გ. კოკელაძის, ტ. ბაქრაძის, ი. ბობოხიძის, შ. დავიდოვის, მ. დავითაშვილის, მ. დიაკვნიშვილის ვოკალური ციკლები, ლ. შავერზაშვილის ორნაწილიანი ვოკალურ-სიმფონიური ციკლი (1964) და სამნაწილიანი „დიალოგი“ (1970). ტრადიციული ვოკალური ციკლისადმი ახლებური მიდგომით და ორიგინალურ გამომსახველ საშუალებათა გაბედული ძიებით გამოირჩევა ახალგაზრდა ავტორების – თ. შავლოხაშვილის, გ. ჩლაიძის და მ. ცერცვაძის ვოკალური ციკლები (1974).

ეროვნული სამუსიკო რეპერტუარი სისტემატურად მდიდრდებოდა ხალხური ბუნებიდან გამომდინარე მაღალოსტატური ვოკალური ნაწარმოებებით. თანამედროვე ქართული სიმღერის განვითარებაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის რ. ლაღიძეს. მასთან ერთად ქართული სასიმღერო „ინტონაციური ლექსიკონის“ დადგენასა და გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ა. კერესელიძემ, ფართო პოპულარობა მოიპოვეს ს.ცინცაძის სიმღერებმა კინოფილმებიდან. ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლებიდან სასიმღერო ჟანრში ნაყოფიერი მუშაობა დაიწყო ს. მირიანაშვილმა, რომელსაც შექმნილი აქვს მრავალრიცხოვანი სოლო და საანსამბლო სიმღერები. მის მუსიკას ახასიათებს ნათლად გამოკვეთილი მელოდიურობა, მისაწვდომობა, რამაც მის ნაწარმოებებს ფართო პოპულარობა მოუპოვა.

60-იან წლებში ქართულ საესტრადო მუსიკაში საგულისხმო გარდატეხა მოხდა, რაც გამოიხატა ამ ჟანრში ჩამოყალიბებული არსებული პროფესიული ტრადიციების გადასინჯვაში, მათ დახვეწასა და ახლებური ეროვნული სასიმღერო შემოქმედებითი და საშემსრულებლო სტილის ჩამოყალიბებაში. საესტრადო სიმღერამ წამყვანი ადგილი დაიკავა გ. ცაბაძის შემოქმედებაში. ნაყოფიერად მუშაობს სიმღერის ჟანრში შ. მილორავა, ო. თევდორაძე, ბ. კვერნაძე, ო. გორდელი, გ. ყანჩელი, ლ. იაშვილი, ვ. აზარაშვილი, ნ. გაბუნია, ნ. ვაწაძე, საესტრადო და ლირიკული სიმღერებით გაითქვეს სახელი გ. ბზვანელმა, ნ. დუღაშვილმა, ნ. გიგაურმა და სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ჯ. კახიძის მოღვაწეობა, რომელმაც საესტრადო სიმღერის სფეროში მიაგნო ეროვნული მუსიკალური თვისებების ახლებურად გამოყენების გზას.

შესამჩნევი გარდატეხა მოხდა მუსიკალური კომედიის ჟანრშიც.

თანამედროვე ქართული ოპერეტის რეპერტუარისა და ეროვნული სტილის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოცამდე ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის ავტორმა შ. მილორავამ. მის ოპერეტებში („სიმღერა თბილისზე“, „საყვარელი დისწული“ და სხვ.) მკვეთრად გამოვლინდა კომპოზიტორის ინტერესი თანამედროვეობის ამსახველი თემატიკისადმი და გულთბილი იუმორი. კოლორიტული სახეებით მდიდარი მუსიკით გამორჩეულ გ. ცაბაძის ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებით სახელმოხვეჭილია: „შესანიშნავი სამეული“ (1964), „ჩემი შეშლილი ძმა“ (1965), „კურკას ქორწილი“ (1969), „თოვლიანი მთების მელოდიები“ (1970) და სხვ. გ. ცაბაძის მუსიკალური კომედიები წარმატებით იდგმება საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის სცენაზე.

ქართული მუსიკისამდი ახალ ჟანრში – საბავშვო ოპერაში უდავო წარმატებას მიაღწია ლილი იაშვილმა („ბაბაჯანას ქოშები“ (1967) და „ირმისა“ (1972).

ქართული მუსიკისა და მისი მოღვაწეების ავტორიტეტის აღიარებად იქცა საკავშირო და რესპუბლიკური საპატიო წოდებებისა და სახელმწიფო პრემიების მიკუთვნება. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის

წოდება მიენიჭათ კომპოზიტორებს: ა. მაჭავარიანს, ა. ბალანჩივაძეს, ო. თაქთაქიშვილს, დირიჟორ ო. დიმიტრიადის, მომღერალს ზ. ანჯაფარიძეს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ო. თაქთაქიშვილს (1967), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები – კომპოზიტორებს ა. ბალანჩივაძეს (1963), ა. მაჭავარიანს (1971), ს. ნასიძეს (1973), რ. ლაღიძეს (1975), ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიები – კომპოზიტორებს: შ. მშველიძეს (1972), ა. კერესელიძეს (1972), ს. ცინცაძეს (1974); მუსიკისმცოდნეებს: ლ. დონაძეს (1971) და ბ. ასლანიშვილს (1971); მუსიკოს შემსრულებელს დირიჟორ ვ. ფალიაშვილს; მომღერლებს: ზ. ანჯაფარიძეს, პ. ამირანაშვილს და მ. ამირანაშვილს (1971); მევიოლინე მ. იაშვილს (1974). ლენინური კომკავშირის პრემია მიეკუთვნათ კომპოზიტორებს გ. ცაბაძეს და ვ. აზარაშვილს. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორ შ. მშველიძეს მიენიჭა ჯ. ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემია (1972). ა.მაჭავარიანი დაჯილდოვდა ქ. მილანის „ბრანდეზეს ხელოვნების გალერეის“ (იტალია) ოქროს მედლით (1974), ხოლო მუსიკისმცოდნე ვ. გვახარიას 1966 წელს მიეკუთვნა გ. ჰენდელის სახელობის საერთაშორისო პრემია (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

60-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალი შემოქმედებითი კოლექტივები – ქუთაისში გაიხსნა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფილიალი (1969); შეიქმნა სიმფონიური ორკესტრი და კაპელა სოხუმში (1974), საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან დაარსდა კამერული ორკესტრი (1965). აქტიურ მუშაობას განაგრძობდა საქართველოს სახელმწიფო ტრიო და კვარტეტი, რამდენიმე საესტრადო კოლექტივი, უმთავრესად ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები: „ორერა“ და მისი წამყვანი სოლისტი ნანი ბრეგვაძე, „ივერია“, „დიელო“ და სხვა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართული სიმღერისა და საესტრადო მუსიკის პოპულარიზაციაში ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

გაფართოვდა სამუსიკო განათლების ქსელი. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და მისი ქუთაისის ფილიალის გარდა, გაიხსნა ახალი სპეციალური სამუსიკო სასწავლებლები, რომელთა რიცხვი გაიზარდა 12-მდე (რესპუბლიკის 9 ქალაქში), ხოლო სპეციალური სამუსიკო სკოლა-შვიდწლედების რაოდენობამ 1976 წლისათვის 160-ს მიაღწია. ამ სასწავლო დაწესებულებებს 60-იანი წლებიდან შეემატა რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონული ცენტრის მრავალრიცხოვან საშუალო სკოლებთან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური ცენტრის ინიციატივით გახსნილი ე. წ. „მუსიკალური სტუდია-ათწლედები“. აღსანიშნავია ამავე ორგანიზაციის მიერ თბილისსა და ქუთაისში დაარსებული ინტერნატები, სადაც ასწავლიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში შერჩეულ მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებულ ბავშვებს. მოზარდთა ესთეტიკური აღზრდისა და სამუსიკო განათლების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებენ მრავალრიცხოვანი

თვითმოქმედი კოლექტივები (გუნდები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები და ა. შ.), რომელთა შორის დიდი გამოხმაურება პოვა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კოლექტივმა, საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, ანსამბლმა „ცისარტყელამ“ (მეტადრე მასში შემავალმა გოგონების საესტრადო კოლექტივმა „მზიურმა“) და თბილისის რკინიგზელთა სახლის საბავშვო ანსამბლმა „ნერგებმა“.

1967 წელს ადრე დაარსებულ „საქართველოს საგუნდო საზოგადოების“ რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა „საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება“, რომელსაც რესპუბლიკის ყველა ადმინისტრაციულ ცენტრში აქვს განყოფილებები.

არნახულ აღმავლობას განიცდიდა ქართული საშემსრულებლო ხელოვნება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით იმართება ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი), ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ხელმძღვანელი ა. კავსაძე), ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ვოკალური ანსამბლების „გორდელას“ და „რუსთავის“ (ხელმძღვანელი ა. ერქომაიშვილი) გასტროლები. მრავალი უცხო ქვეყნის ხშირი სტუმრები არიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის თვითმოქმედი კოლექტივები. ხალხური საგუნდო პოლიფონიის უნიკალური ნიმუში – მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული ხალხური სიმღერა, ცოცხალი შესრულებით თუ გრამფირფიტებზე გამოცემული ანთოლოგიის სახით, მსოფლიო ავტორიტეტთა ყურადღებას იპყრობს. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც XX საუკუნის მუსიკის უდიდესი წარმომადგენლის კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის ფართოდ გახმაურებული შეფასება: „...ეს ბრწყინვალე აღმოჩენაა, რომელსაც ძალუძს შემატოს საშემსრულებლო ხელოვნებას მეტი, ვიდრე ახალი მუსიკის ყველა სხვა შენაძენმა“[1].

ამ პერიოდის ეროვნული სამუსიკო კულტურის შეუნელებელი ზრდის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ მრავალრიცხოვან საერთაშორისო და საკავშირო ფესტივალებსა და კონკურსებში ქართველ შემსრულებელთა გამარჯვებანი. საერთაშორისო ასპარეზზე ქართულ კულტურას დიდი სახელი მოუხვეჭეს პიანისტებმა ე. ვირსალაძემ, მ. მდივანმა, მევიოლინეებმა: მ. იაშვილმა, ლ. ისაკაძემ, ვიოლონჩელისტმა თ. გაბარაშვილმა, მომღერლებმა: ზ. ანჯაფარიძემ, მ. ამირანაშვილმა, ლ.ჭყონიამ, ნ. ანდღულაძემ, ზ. სოტკილავამ, მ. ქასრაშვილმა, ც. ტატიშვილმა, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა, ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლებმა „შვიდკაცამ“, „გორდელამ“, „რუსთავმა“ და სხვ.

რესპუბლიკაში საშემსრულებლო ხელოვნების შემდგომ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1960 წელს დაარსებულ „ამიერკავკასიის მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსებს“, რომელიც ტარდება ყოველ ორ წელიწადში

ერთხელ. ბოლო წლებში ამ კონკურსებმა გამოავლინეს მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსი.

ამრიგად, 60 – 70-იანი წლების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის ჩამოთვლაც კი მეტყველებს ქართული საბჭოთა სამუსიკო კულტურის არნახულ აღმავლობაზე, მოწმობს მის მნიშვნელოვან ადგილს ერის სულიერ ცხოვრებაში.

[1] Жур. „Советская музыка“, № 12, 1966.

§ 7. ქართული სახვითი ხელოვნება

ძირეულმა გარდატეხამ, რომელიც ქართულ ხელოვნებაში 50-იანი წლების შუა ხანიდან აღინიშნა, მომდევნო წლებში მხატვრული კულტურის საერთო დონის ამაღლებასთან ერთად სახვითი ხელოვნების ყველა დარგის ინტენსიური განვითარება გამოიწვია. ამ ცვლილებათა შედეგები განსაკუთრებით მკაფიოდ უკვე 60-იან წლებში გამოვლინდა. ამას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII, XIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებმა.

რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში დადებითი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის დადგენილებამ მონუმენტურ-დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებისა და მხატვართა უფრო აქტიური მონაწილეობის შესახებ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გაფორმებაში. ქართველ მხატვართა მონაწილეობამ საბჭოთა მხატვრების პირველი და მეორე ყრილობების მუშაობაში, ისევე როგორც საქართველოს მხატვართა IV, V, VI, და VII ყრილობებმა (1959, 1962, 1965, 1972) მნიშვნელოვნად განაპირობეს ქართული საბჭოთა რეალისტური ხელოვნების აღმავალი განვითარება. ამ მიღწევების მაჩვენებელია 60-იანი და 70-იანი წლების რესპუბლიკური გამოფენები, თემატიკური გამოფენები - „მშვიდობის სადარაჯოზე“ (1965), „დიდება შრომას“ (1974) და სხვ.

ყოველწლიურ გამოფენებზე ყურადღებას იპყრობდა მხატვართა ახალი სახელები, ისინი საქართველოში მხატვართა კადრების მომზადების ცენტრის – თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები არიან.

60 – 70-იანი წლების სახვით ხელოვნებაში მისწრაფება თემატიკის გაფართოებისა და მოვლენების ფართო ასახვისაკენ მჭიდროდ უკავშირდება მხატვრული გამომსახველობის მეტყველ და მრავალფეროვან საშუალებათა ძიებას: ხაზის, სილუეტის გამომსახველობა, კოლორიტის, ფერთა შეხამების ახლებური გააზრება, ინტერესების გაძლიერება წმინდა ფერწერული

პრობლემებისადმი, დეკორატიულობისადმი. გამომსახველობის ახალი ფორმების ძიებას ეროვნული ხელოვნების მდიდარი ტრადიციები უდევს საფუძვლად. ამასთან დაკავშირებით გამახვილდა ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი მისთვის დამახასიათებელი პოეტურობითა და უშუალობით, დეკორატიულობითა და პირობითობით.

აღნიშნული ტენდენციები საერთოდ დამახასიათებელია საბჭოთა ხელოვნების განვითარებისათვის უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე. რეალიზმის ცნების ვიწრო, დოგმატური გაგება, რასაც ადგილი ჰქონდა 30 – 40-იან წლებში, გაფართოვდა და გაცილებით უფრო ბევრის შემცველი გახდა.

ახლის ძიება წინააღმდეგობათა გარეშე როდი მიმდინარეობდა. მაგალითად, ამ პერიოდის დასაწყის ხანაში ფერწერის რიგ ნაწარმოებებში შესამჩნევი იყო დასავლეთ ევროპის მხატვრების მანერის მიბაძვა, განსაკუთრებით ტექნიკური ხერხების თვალსაზრისით, რასაც თან სდევდა ცალმხრივი გატაცება გარეგნული ეფექტით. ზოგიერთ შემთხვევაში ფორმათა სტილიზაცია და პირობითობა ხელოვნური სქემატიზაციის საშიშროებას ქმნის. მაგრამ ეს მომენტები არ განსაზღვრავენ ქართული ხელოვნების განვითარებას, რომელიც თანამედროვეობის მიერ წამოყენებული პრობლემების მრავალმხრივი ასახვის გზით მიემართება.

60 – 70-იანი წლების სახვით ხელოვნებაში აღინიშნება განვითარება და გაღრმავება იმ ძირითადი მხატვრული ამოცანებისა, რომელთაც ამუშავებდნენ ქართული საბჭოთა ხელოვნების ფუძემდებლები: მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ს. ქობულაძე, თ. აბაკელია, ი. ნიკოლაძე, ნ. კანდელაკი და სხვ. მომდევნო თაობათა მხატვრები ნოვატორულად ავითარებენ მათ. ამიტომაა, რომ ამ პერიოდის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სტილის, მანერის, ინდივიდუალური ხელწერის განსაკუთრებული მრავალფეროვნება. ასახავს რა საბჭოთა რეალისტური ხელოვნების განვითარების საერთო კანონზომიერებას, ქართულმა ხელოვნებამ გამოიმუშავა მკაფიოდ გამოხატული თვითმყოფადი ნიშნები, რაც შესაძლებლობას იძლევა ვილაპარაკოთ მის სავსებით ჩამოყალიბებულ ეროვნულ ხასიათზე.

60-იანი წლებიდან ქართულ საბჭოთა ფერწერას, ისევე როგორც საერთოდ ამ პერიოდის საბჭოთა ხელოვნებას მთლიანობაში, ახასიათებს მკაფიოდ გამოვლენილი ტენდენცია – სწრაფვა მონუმენტურობისაკენ, რაც ხელს უწყობს გარკვეული იდეების განზოგადებული სიძლიერით გამოსახვას. ჩვენი ქვეყნის აღმავლობის ლოგიკური შედეგია საზეიმო განწყობილება, ადამიანის შემოქმედებითი ძალით შთაგონებული სიამაყის გრძნობა. ყველაფერი ეს გამომსახველობის ახალ ფორმებს მოითხოვს.

ფერწერის დარგში მონუმენტურობისადმი, განზოგადებისადმი მისწრაფებამ გამოიწვია პირველ რიგში მონუმენტური კედლის მხატვრობის განვითარება. დაზგურ ფერწერაშიც მკაფიოდ ვლინდება ახალი მხატვრული

პრინციპების ჩამოყალიბება, რის შედეგსაც წარმოადგენს დაზგური და მონუმენტური ფერწერის ერთმანეთთან დაახლოება.

ფართო მასშტაბში გაშლილი მშენებლობა, ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნება, გამოჩენილი ადამიანები – ამ პერიოდის ქართული მხატვრობის მთავარი თემაა.

თანამედროვე ადამიანისადმი ინტერესი განაპირობებს ქ. მაღალაშვილის, ვ. შუხაევის, პ. ბლიოტკინის, კ. სანაძის, გ. ჯაშის მიერ შექმნილ გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებს. პორტრეტულ ჟანრში მუშაობენ აგრეთე მომდევნო თაობის მხატვრები, მათ შორის ზ. ნიჟარაძე, ა. ვარაზი და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების, მისი წარსულის ასახვისას თავისუფლად ვითარდება მხატვართა ინდივიდუალური ნიჭი.

ლ. გუდიაშვილი მიმართავს თავის საყვარელ თემას – ხალხურ შემოქმედებას, ზღაპარს, იგავ-არაკებს. ხალხის ისტორიის საფუძველზე წარმოშობილი ლეგენდა, ხალხური დღესასწაულები – ბერიკაობა, ყეენობა მეტყველ გამოსახვას პოულობს მის ნაწარმოებებში. თანამედროვე თემასაც მხატვარი ასახავს მისთვის ჩვეული თეატრალური სანახაობის სახით. წლების მანძილზე ლ. გუდიაშვილის ნაწარმოების კოლორიტი ხდება უფრო ღია, მხატვარი ხშირად მიმართავს გუაშს, აკვარელს. მაგრამ მისი ნახატი რჩება ისეთივე მოძრავი, დენადი და დეკორატიული.

ახლებურად ჟღერს ე. ახვლედიანის პეიზაჟები (60-იან წლებში შესრულებული იმერეთის პეიზაჟების სერია). მათ ოპტიმისტურ ხასიათს ხაზს უსვამს ჟღერადი კოლორიტი. წერის მანერა ხდება უფრო თავისუფალი. ე. ახვლედიანის სახელთანაა დაკავშირებული ამ წლებში მხატვართა მთელი ჯგუფის (ნ. ფალავანდიშვილი, ნ. ჩიქოვანი, ნ. ღიბრაძე, რ. ჯავრიშვილი, ე. ანდრონიკაშვილი და სხვ.) შემოქმედება. მათ ნამუშევრებს ახასაითებს განსაკუთრებული ფერადოვნება; ბუნებისა და ქალაქის ხედების მრავალფეროვნება მეტყველადაა გადმოცემული.

სხვადასხვა თაობის მხატვართა შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ზეთის საღებავებით, აკვარელით და გუაშით შესრულებულ პეიზაჟებს. აღინიშნება განსხვავებული მიდგომა პეიზაჟის გადმოცემაში: ბუნების კუთხეების ფიქსაციის გვერდით დიდი ადგილი უჭირავს განწყობილებიან პეიზაჟს, ხშირად წინ წამოწეულია ფერადოვანი გადაწყვეტის დეკორატიულობა. კვლავაც დიდი სიყვარულით სარგებლობს ძველი თბილისის თემა. რომანტიკულ ასპექტშია აღბეჭდილი ძველი თბილისის კუთხეები და ქალაქის დღევანდელი სახე.

პეიზაჟის ჟანრში განაგრძობენ მუშაობას ვ. ჯაფარიძე, პ. ბლიოტკინი, ნ. მეტონიძე, ი. მამალაძე, მ. ხვიტია, ს. მაისაშვილი და ბევრი სხვა. ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავენ შ. მაყაშვილი, ვ. შერპილოვი, გ. ჩირინაშვილი, ჟ. მეძმარიაშვილი, ა. დილბარიანი. ყოველ მხატვარს გააჩნია თავისი ინდივიდუალური ხედვა, საკუთარი წერის მანერა, მაგრამ ყველას აერთიანებს მეტყველი, გამომსახველი ხერხების ძიება.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ქართულ მხატვრობაში მკაფიოდ ვლინდება სწრაფვა ფართო მასშტაბებში გაშლილი „თხრობისადმი“, განზოგადებისადმი. ეს იგრძნობა როგორც პეიზაჟურ კომპოზიციებში, ისე მშრომელი ადამიანის სახის შექმნისას. ე. კალანდაძე გარდა პორტრეტებისა წერს მონუმენტურ პეიზაჟებს. მის ტილოში „რუსთავი“ (1966) ემოციურად ჟღერს ქარხნის განზოგადებული სილუეტები, ეფექტურად გაცოცხლებული ადამიანთა ფიგურების ფერადოვანი ლაქებით. რომანტიკული განწყობილებითაა აღსავსე გ. ქუთათელაძის ტილოებში ფართოდ გაშლილი ხედები. მშრომელი ადამიანი სიძლიერის პათოსს ასახავს კ. სანაძე, რომლის ნამუშევრებში შემდგომ განვითარებას პოულობს მხატვრისათვის დამახასიათებელი ცხოველხატულობა, განათების ეფექტები.

დაზგურ ფერწერაში განზოგადებისადმი სწრაფვა ახასიათებს გ. თოთიბაძეს, ზ. ნიჟარაძეს, გ. გელოვანს, ლ. ცუცქირიძეს, რ. თორდიას და ბევრ სხვა მხატვარს.

გ. თოთიბაძის შემოქმედებაში წინანდებურად ყურადღების ცენტრშია თანამედროვე თემატიკა. ამ წლებში შესრულებულ ტილოებში განზოგადებულ განსახიერებას პოულობს შინაგანი ძალით აღსავსე ქართველი გლეხის სახე („კახეთის მევენახეები“, „თამადა“, 1967); იგი მიმართავს აგრეთვე ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკას („აჯანყება გურიაში“, 1970). მის ნაწარმოებთა კომპოზიციურ წყობაში იგრძნობა თანამედროვე ცხოვრების რიტმთან ორგანული კავშირი, ხედვის წერტილი განსაზღვრავს გამოსახულ პერსონაჟთა მონუმენტურობას და ხაზს უსვამს ეპიკური ხასიათის თხრობას.

განზოგადებული მხატვრული ხერხების ძიებაში ძლიერ აქტიურია გ. გელოვანი. მისთვის დამახასიათებელი მიდრეკილება მონუმენტურ-დეკორატიული გადაწყვეტისადმი ღრმა შინაარსობრივ დატვირთვას ღებულობს 1969 წელს შესრულებულ ტილოში „ვ. ი. ლენინი“. ფიგურის წარმოდგენა დაბალი ჰორიზონტით გამოსახული პეიზაჟის ფონზე სურათს განსაკუთრებულ სივრცობრივ შთაბეჭდილებას ანიჭებს.

კ. მახარაძე ამ პერიოდში ქმნის მონუმენტურ, ალეგორიული ხასიათის ტილოს „სამშობლო ჩემი“ (1967). მასშტაბურად გადაწყვეტილი ფიგურები, ფრონტალური კომპოზიცია, პათოსით აღსავსე ჟესტები ქართული მიწის ნაყოფიერების ალეგორიული განსახიერების მნიშვნელობას იძენს. ასევე ალეგორიულია მისი სურათი „თეთრი ხარი“ (1969), შინაარსობრივად დაკავშირებული სიკეთის წარმოდგენასთან ქართულ ფოლკლორში. ეს სურათი გამოირჩევა დინამიკური და დეკორატიული გადაწყვეტით, რაც მას ემოციურობას ანიჭებს. მხატვარი აღრმავებს მონუმენტურობისადმი ტენდენციას ტილოში „ვ. ი. ლენინი“ (1971).

განზოგადების ტენდენციას თან სდევს ცხოვრების მოვლენათა ფილოსოფიური და ესთეტიკური გააზრება. ასეთი ხასიათისაა გ. ნარმანიას ფართოდ გაშლილი ხედები („გაზაფხული“, 1967), გ. თოიძის ეპიკური ხასიათის ტილოები („ახალი ცხოვრების დილა“1967, „სამშობლო – სიყვარული

ჩემი“ (1970), „რევოლუცია“ (1970). პოეტური სიმბოლურობით ხასიათდება ბ. შველიძის ნაწარმოებები (”გოგონა ბროწეულით“, 1967), რომანტიკული, ემოციური ჟღერადობით – ზ. დავითაიას ნამუშევარი „1905 წელი“ (1967), რ. თორდიას კომპოზიცია „ერთობა“ (1969); რომანტიკულობით, ერთგვარი თეატრალურობით გამოირჩევა ნ. იანქოშვილის ნაწარმოებები.

ამ პერიოდის ნამუშევრებს ახასიათებს მხატვრული ხერხების მეტყველი გამოყენება გარკვეული აზრის ხაზგასმის მიზნით.

განზოგადების ამოცანამ ლოგიკურად მიიყვანა დაზგური ფერწერა ტრიპტიქონის კომპოზიციის ფართო გამოყენებასთან. ამგვარ კომპოზიციას მიმართავს ლ. ბაიახჩევი („რევოლუციის პოეტები“, 1961). ზ. ნიჟარაძის ტრიპტიქონში „გამარჯვებულნი“ ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობა გარკვეულ ფილოსოფიურ განზოგადებას პოულობს. უფრო კამერული ხასიათის ნამუშევრებშიც ვლინდება ზ. ნიჟარაძის მიდრეკილება განზოგადებისადმი („ჩიტების გამყიდველი“, 1968; „მოხუცი, რომელსაც ლოგინი მიაქვს“, 1970). როგორც პორტრეტებში, ასევე ამ სურათებში მხატვარი წინანდებურად ფერწერულ ამოცანებს წყვეტს პლასტიურობის შთაბეჭდილების მიღწევასთან ერთად.

მონუმენტურ ტრიპტიქონს ქმნის რ. თორდიას „შრომა, სიყვარული, ლხინი“ (1967), სადაც თემატიკური დაპირისპირებით ხაზს უსვამს ადამიანის ცხოვრების სამ მთავარ საწყისს.

ტრიპტიქონის კომპოზიციაში წარმოგვიდგენს ნ. იგნატოვი სურათს „სიმღერა საქართველოზე“ (1967), რომელშიც მხატვრისათვის ჩვეული საერთო დეკორატიული მიდგომით მეტყველადაა გადაწყვეტილი თანამედროვე თვალთახედვით გადამუშავებული ხალხური ეროვნული სახეები და მოტივები.

ყველა ჩამოთვლილ ტრიპტიქონში განზოგადების უნარი ნათლად ვლინდება არა მარტო შინაარსობრივი კვანძების შერჩევასა და მათ დაპირისპირებაში, არამედ მათ გამოსახვაში მონუმენტურ-დეკორატიული ფორმებით. საგულისხმოა, რომ განზოგადების მიზნით პოლიპტიქონის კომპოზიციას იყენებენ უფრო მცირე ზომის, კამერული ხასიათის კომპოზიციებში (ნ. ფალავანდიშვილი, „ძველი თბილისი“).

ბუნებრივია, რომ მხატვრობის ასეთი გზით განვითარებისას განსაკუთრებულ ადგილს პოულობს მონუმენტური ფერწერა. ახალი შენობების მკაცრად გადაწყვეტილი ინტერიერების ფასადების, აგრეთვე საზოგადოებრივი ადგილების შესამკობად ფართოდ იყენებენ მონუმენტურ-დეკორატიული მხატვრობის მრავალ ნაირსახეობას (მოზაიკა, ფერწერა, კერამიკა). ამ შემკულობაში ნათლად ისახება შინაარსობრივი აქცენტირებისა და მხატვრული გაფორმების ამოცანათა მთლიან სინთეზში გადაწყვეტა.

მონუმენტური ფერწერის დარგში განაგრძობს მუშაობას უ. ჯაფარიძე. საქართველოში პლაფონების პირველი შემქმნელი რ. სტურუა 1967 წელს ასრულებს ფერწერულ ფრიზს ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე, რომელიც

ამკობს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დარბაზს და პანოს - „ვ. ი. ლენინი“. მხატვარი ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ რომანტიკულ პათოსს, რომელსაც განსაზღვრავს შინაარსის ნათელ, მკაცრ ფორმებში გადმოცემა.

კურორტი ბიჭვინთა იქცა იმ ადგილად, სადაც თავი მოიყარეს საქართველოს მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის საუკეთესო ძალებმა. ე. ბერძენიშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ 1960 წ. კედლის მხატვრობით შეამკო ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დარბაზი, აქ, ბიჭვინთაში ასრულებს დეკორატიულ, კედლის ზედაპირში ჩაჭრილ ნახატებს, რომელნიც ჰარმონიულობით და მეტყველი ნახატის დენადობით ხასიათდებიან.

ნ. იგნატოვი, რომელიც განაგრძობს დაზგურ ფერწერაში მუშაობას („განთიადის სიმღერა“, 1970), ასრულებს პანოს „სიმღერა საქათველოზე“, რომელიც ამშვენებს კურორტ ბიჭვინთას. აქ ავტორმა მოგვცა განვითარება იმ მხატვრული მიდგომისა, რომელიც მან პირველად სპექტაკლ „სიბრძნე-სიცრუისა“ დეკორაციებში გამოიყენა (მოზაიკურად დამონტაჟებული მეტყველად შერჩეული დამახასიათებელი სცენები, ცალკეული კოლორიტული ელემენტები).

ბ. ბერძენიშვილს, რომელმაც სახელი მოიხვეჭა ეროვნული ხასიათის ნატურმორტების შექმნით, აგრეთვე თავისი წვლილი შეაქვს მონუმენტურ ფერწერაში: 1967 წ. იგი ამკობს სასტუმრო „ივერიას“-ს რესტორნის ერთ-ერთ კედელს პანოთი, რომელზედაც ასახულია ხალხის ყოველდღიური ცხოვრების, საქმიანობისა და დასვენების სცენები. ამ კომპოზიციის თავისებურებაა ყოველი ცალკეული სცენის დასრულებული ხასიათი; ამავე დროს ისინი ერთიანი, ეპიკური თხრობის შემადგენელ ნაწილებად იკითხებიან. ფორმათა განზოგადებულ დამუშავებას ერწყმის კომპოზიციური აგების სისადავე და საერთო დეკორატიულობის შთაბეჭდილება.

ეროვნული ნატურმორტის თემატიკას ამუშავებს ბევრი მხატვარი, მათ შორის კ. ჩანკვეტაძე, მ. თარიშვილი და სხვ.

მოზაიკის ტექნიკას მიმართავს ზ. წერეთელი, რომელიც თავის დეკორატიულ პანოებში დაუშრეტელ ფანტაზიას ამჟღავნებს (მემორიალური არქიტექტურული კომპლექსის მოზაიკა ულიანოვსკში, 1970; ბიჭვინთის ბარის ინტერიერებისა და კორპუსებს შორის მოთავსებული დეკორატიული კედლების მოზაიკები (1966 – 1968), თბილისის სპროფკავშირის სახლის მოზაიკა, 1970). მხატვარი ასახავს შრომის აპოთეოზის თემას. კომპოზიციების მაჟორული ხასიათი, შერწყმული საერთო დეკორატიულ ანსამბლთან, ძველ საქართველოსთან დაკავშირებული სახეები და მოტივები ასრულებენ ორმაგ დანიშნულებას, ხაზს უსვამენ შენობის ფუნქციურ დანიშნულებას, მის ხასიათს და ამავე დროს ამკობენ მას.

მონუმენტურ ფერწერაში მუშაობს აგრევთე ვ. ქოქიაშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ დაზგურ ფერწერაში გამოავლინა მიდრეკილება განზოგადებისადმი და დეკორატიულობისადმი („ხევსურები“, 1967; ამ

დაზგურ ნაწარმოების საფუძველზე მხატვარმა შექმნა 1969 წ. იმავე სახელწოდების მონუმენტური მოზაიკა). 1967 წ. ამავე მხატვარმა შეასრულა ქართული ორნამენტის მოტივებზე შექმნილი ორი ვიტრაჟი სასტუმრო „ივერიისათვის“, სადაც გეომეტრიული ელემენტები ქმნიან ერთიან მკაცრ დეკორატიულ ანსამბლს.

მონუმენტური ფერწერა იტაცებს მხატვრებს – ლ. ცუცქირიძეს („ნადიმი“, „მოსავლის დღესასწაული“, თბომავალზე „შოთა რუსთაველი“, 1966), ლ. შენგელიას („ქართული ცეკვები“ – იმავე თბომავლის მუსიკალური სალონი), რ. თარხან-მოურავს („ქართული ცეკვები“ – სადეგუსტაციო დარბაზი ყვარელში, 1968).

მონუმენტური ფერწერის ასეთ ფართო განვითარებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ აქ თავს იყრის ის პრობლემები, რომელნიც ისახება ამ პერიოდის საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგში – დაზგურ ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებაში.

ფართო ფილოსოფიურ განზოგადებისადმი სწრაფვას, ეპიკური თხრობის მოთხოვნილებას ყველაზე სრულყოფილად თავისი სპეციფიკის გამო აკმაყოფილებს მონუმენტური ფერწერა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქალაქმშენებლობასთან. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ეს დარგი ფერწერაში პირველ პლანზე გამოდის.

განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო თეატრალურ-დეკორატიულმა ხელოვნებამ, რომელშიც 50-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი გარდატეხა ისახება, რეაბილიტირებულია თეატრალური „რეალიზმის“ გაგება, მხატვრები თავისუფლად მიმართავენ მრავალ მხატვრულ ხერხს: აშენებული, გეომეტრიულად განზოგადებული ფორმები (ო. ლითანიშვილი – ნ. დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“, ი. სუმბათაშვილი – უ. შექსპირი „რიჩარდ III“; „მედეა“), გროტესკული ფორმები მოძრავ დანადგარზე – (დ. თავაძე – პ. კაკაბაძე „ყვარყვარე თუთაბერი“), ფარდების კომბინაცია, დაკავშირებული განათებისა და ფერების ეფექტურ ჟღერადობასთან (კ. კუკულაძე, ი. ასკურავა). აპლიკაციის და მოზაიკის მსგავს ხერხებს იყენებს ს. ვირსალაძე ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ გაფორმებისას. თეატრში მოდის მხატვართა ახალი თაობა, გამბედავი, ნიჭიერი, ერთმანეთისაგან განსხვავებული თავისი ფანტაზიით, მხატვრული ხერხებით.

მხატვართა სამეული (ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე) მეტყველად იყენებს თავის გამომგონებლობას პიესის მხატვრული სახის შესაბამისად; ზღაპარ „ჭინჭრაქას“ მხიარულ ფერებში გადაწყვეტილ დეკორაციებში გამოყენებულია ფარდები, ნიღბები, აპლიკაცია. „სეილემის პროცესი“-სათვის მხატვრები იყენებენ მასიურ, განზოგადებულ ფორმებს – მძიმე ბოძებს; „სამი მეზურნე“-სათვის ქმნიან პიესის ხასიათის შესატყვის, ფიროსმანის მანერაში შესრულებულ დეკორაციებს. გ. გუნია ეძებს ლაკონიურ ფორმებს, რომლებშიც სიმბოლიურად შეიძლება იყოს განსახიერებული პიესის

დედააზრი (ჟ. ანუი „ტოროლა“ – ჯვრისა და სახრჩობელას მსგავსი ხის მკაცრი კონსტრუქცია).

თ. მურვანიძე, ი. ყიფშიძე, ა. კაკაბაძე, თ. სუმბათაშვილი, გ. მესხიშვილი – ეს ბევრად არასრული სიაა ახალი თაობის მხატვრებისა, რომელთაც თავისი შემოქმედება მთლიანად თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებას დაუკავშირეს. მათი ნამუშევრები გამოირჩევიან ინდივიდუალური ხასიათით, ხოლო მათ აერთიანებს ძიება ისეთი მხატვრული ხერხებისა, რომლებიც პიესის შინაარსის გაგებას უნდა ემსახურებოდეს და ხელს უწყობდეს სათანადო მიზანსცენების შექმნას. გარდა ამისა, მკაფიოდ ვლინდება დრამატული და საოპერო დადგმების სპეციფიკის გათვალისწინება. სპეციფიკაზე ზრუნვა უფრო მეტად დაეტყო საბავშვო სპექტაკლების გაფორმებას („კომბლე“).

ქართველმა მხატვრებმა დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული კინემატოგრაფიის წარმატებებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კინომხატვართა ის თაობა, რომლის შემოქმედება ფართოდ გაიშალა 60 – 70-იან წლებში. ესენი არიან კ. ხუციშვილი, რომელმაც მხატვრულად გააფორმა კინოფილმები „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (გ. გიგაურთან ერთად), „პალიასტომი“, „ცისკრის ზარები“ და სხვ., გ. გიგაური - „ქორწილი“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „ბებერი მეზურნეები“ და სხვ.; დ. თაყაიშვილი „ერთი ცისქვეშ“, „მე ვხედავ მზეს“, „თეთრი ქარავანი“, „პირველი მერცხალი“ და სხვ.; ი. მეძმარიაშვილი - „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „ნერგები“ და სხვ.; შ. გოგოლაშვილი - „კეთილი ადამიანები“, „ხევსურული ბალადა“, „დიდოსტატის მარჯვენა“ (კ. ხუციშვილთან ერთად), „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“, „წუთისოფელი“, რომლის მხატვრული გაფორმებისათვის შ. გოგოლაშვილს საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია მიენიჭა.

60 – 70-იანი წლების ქართულ გრაფიკაში გამომსხაველობის მეტყველი და ემოციური ხერხების ძიება აღინიშნება. ხაზგასმული გამომეტყველების და ექსპრესის მიზნებს ემსახურება ფორმათა განზოგადება და პირობითობა, ნახატის სტილიზაცია, მეტყველი და ლაკონიური კომპოზიციური და ფერადოვანი გადაწყვეტა. ახლის ძიებისას მხატვრები მიმართავენ ქართული ხელოვნების მდიდარ მემკვიდრეობას, ხალხურ შემოქმედებას, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი ქართული გრაფიკის ეროვნული სახის ჩამოყალიბებას.

ქართველ გრაფიკოსთა რიგები გაიზარდა ახალი კადრებით, რომელთა შემოქმედებაშიაც იგრძნობა ინდივიდუალური ხასიათი, თავისებური ხედვა.

წიგნის დასურათების დარგში მკაფიოდაა გამოხატული გრაფიკის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინების ტენდენცია. ქართველ მხატვართა მიერ შესრულებულ ილუსტრაციებში იგრძნობა მისწრაფება განზოგადებისაკენ, მხატვრული ენის ლაკონიზმისაკენ. ძირითად ამოცანას

შეადგენს ლიტერატურული ნაწარმოების არსის აქცენტირება, მისი ხასიათისა და განწყობილების გადმოცემა.

ქართული წიგნის გრაფიკის საერთო მიმართულება გამოხატულია ილუსტრაციებში, რომლებიც შეიქმნა ვაჟა-ფშაველას 100 წლისთავის (1961) და შოთა რუსთაველის 800 წლისთავის (1966) იუბილეებთან დაკავშირებით. შოთა რუსთაველის პოემის ამაღლებული ჰუმანიზმი, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა რომანტიკა, მათში გადმოცემული ტრაგიკული კონფლიქტები შთაგონების წყარო გახდა ქართველი მხატვრებისათვის.

თ. ყუბანეიშვილის ლინოგრავიურებში ვაჟა-ფშაველას პოემებისათვის ძირითადია ლიტერატურული ნაწარმოების დრამატული მხარის აქცენტირება. ლაკონიური მხატვრული აქცენტების – გამომსახველი სილუეტების, ფერადოვანი ლაქების დაპირისპირებაში იხსნება მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური დახასიათება, მოვლენების ტრაგიკული განწყობილება. მონუმენტური ფორმების ძიება, რომანტიკული პათოსი მკაფიოდაა გამოხატული ლ. ცუცქირიძის შემოქმედებაში. ფიგურათა პირობითი პოზები და ჟესტები, ნახატის სტილიზაცია, რაც შუასაუკუნეების ხელოვნების ძეგლებით იყო გარკვეულ ფარგლებში შთაგონებული, თავისებურ გამომხატველობას ანიჭებს ილუსტრაციებს ვაჟა-ფშაველას პოემისათვის „ალუდა ქეთელაური“. გმირთა ამაღლებული, იდეალიზებული სახეები შექმნა მხატვარმა ილუსტრაციებში შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანისათვის“. საინტერესოდაა გადაწყვეტილი ვაჟა-ფშაველას ლირიკის დასურათების ამოცანა მოქანდაკე გ. ოჩიაურის მიერ კომპოზიციებში ვაჟას ლექსების თემებზე, სადაც ძირითად გამოსახულებად თვით პოეტის ფიგურაა მოცემული; მხატვარი ხაზს უსვამს მისი ლირიკის კავშირს ბუნებასთან, იძლევა ლექსების ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას. საერთოდ გ. ოჩიაურის გრაფიკული ნამუშევრებისათვის სტილიზებული ნახატის გამომსახველობაა დამახასიათებელი (გ. აბაშიძის „ლაშარელა“, ლექსების კრებული. 1965 და სხვ.)

გრაფიკოსები ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათიდან გამომდინარე განსხვავებულ მხატვრულ გადაწყვეტას მიმართავენ. დინამიკური ნახატი, ფერადოვანი გადაწყვეტის დეკორატიულობა ერთგვარი ზღაპრულობის შთაბეჭდილებას ანიჭებს ა. ბანძელაძის ილუსტრაციებს რ. კიპლინგის „მაუგლისათვის“ (1961). „არსენას ლექსის“ გაფორმებაში (1966) ნაწარმოების ხალხურობის ხაზგასმის მიზნით იგი მიმართავს ფიგურათა ფორმების გამარტივების, მათი უტრირების ხერხს. ხალხური ხასიათი გადმოსცა ბ. ბერძენიშვილმა დეკორატიულად გადაწყვეტილ კომპოზიციებში ქართული ხალხური ლექსებისათვის (1966).

ჯ. ლოლუა წმინდა გრაფიკული მანერით შესრულებულ ილუსტრაციებში ხან იუმორისტულ, სატირულ მომენტებს უსვამს ხაზს (ნ. დუმბაძის სატირული მოთხრობების კრებული, 1960, მ. დარბინიანის „სულდი და ბულდი“), ხან კი ლირიკულ, პოეტურ განწყობილებას აღბეჭდავს (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, 1966). შავისა და თეთრის მკვეთრი კონტრასტები

ძლიერ ექსპრესიას ანიჭებენ ალეგორიულ კომპოზიციებს გ. ტაბიძის ლექსების თემაზე - „ოქტომბრის სიმფონია“. ზ. ლეჟავას ილუსტრაციებში დ. კლდიაშვილის ნაწარმოებებისათვის ფიგურებისა და საგნების მეტყველი, სახასიათო სილუეტების საშუალებით კარგადაა გადმოცემული ამ მოთხრობებისათვის დამახასიათებელი იუმორი, მსუბუქი ირონიის განწყობილება.

უკანასკნელი ათწლეულის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წიგნის საერთო მხატვრული გაფორმების პრობლემას, მის გადაწყვეტას როგორც მთლიანი ანსამბლისა, რომლის ორგანული შემადგენელი ნაწილია ილუსტრაციები, დეკორატიული ელემენტები, შრიფტი, მხატვრულადაა გააზრებული ფურცლის მთლიანი კომპოზიცია, ილუსტრაციების კავშირი ტექსტთან.

ქართული წიგნის გაფორმების ეროვნული სახის ჩამოყალიბებაში ამ პერიოდშიც დიდი წვლილი შეიტანა ღვაწლმოსილმა გრაფიკოსმა ლ. გრიგოლიამ, რომლის ნამუშევრებშიც ჩანს ეროვნული ორნამენტის ფორმების შემოქმედებითი ათვისება და მრავალმხრივი გამოყენება წიგნის დეკორში (კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“). დ. გაბაშვილის მიერ შესრულებულ წიგნების დეკორში ლაკონიური კომპოზიცია, მოფიქრებულად შერჩეული დეტალები სახოვნად წარმოადგენენ წიგნის შინაარსის არსებით მხარეებს. წიგნის გაფორმების დარგში ნაყოფიერად მუშაობენ ი. დივნოგორცევა, გ. გორდელაძე, დ. დუნდუა, ი. გორდელაძე, დ. შენგელია და სხვ.

საბავშვო გამოცემების დასურათებაში გამოირჩევიან შ. ცხადაძე, ვ. ბელეცკაია, გ. ჩირინაშვლი, ა. ბანძელაძე, ჯ. ლოლუა, თ. მირზაშვილი, თ. სამსონაძე, ე. ბერძენიშვილი და სხვ. ილუსტრაციების ხასიათი და შესრულების მანერა სხვადასხვაა; ზოგი მხატვარი ცხოველხატულ ეფექტებს და სივრცის ილუზორულ გადმოცემას მიმართავს, ზოგიც - ფერადოვანი ლაქების დაპირისპირებას, ზოგიც ძირითად მხატვრულ საშუალებად ნახატს, სილუეტს ირჩევს და ა. შ. მაგრამ აღინიშნება საერთო ტენდენცია, შეიქმნას ფერადოვანი და სახოვანი, მკაფიოდ აღსაქმელი, ბავშვის მხატვრული აზროვნებისათვის მისაწვდომი ილუსტრაციები.

50-იანი წლებიდან გაფართოვდა სადაზგო გრაფიკის თემატიკური წრე: საქართველოს მდიდარი ბუნება, ისტორიული ძეგლები, თანამედროვე ქალაქი და სოფელი, ინდუსტრია, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სცენები და სხვ. შეიქმნა დიდი თემატიკური სერიები.

ბევრი გრაფიკოსი ამუშავებს შრომის თემას, მათ შორის ვ. ტოროტაძე, ს. კაშხიანი, ზ. თელია, დ. ნოდია, ე. ანდრონიკაშვილი და სხვ. საყურადღებოა ახლებური მიდგომა ამ თემის გადაწყვეტისადმი, როდესაც მხატვრები არ კმაყოფილდებიან ცალკეული ინდუსტრიული ობიექტის, შრომის პროცესის მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტური ასახვით და ხშირად მიმართავენ განზოგადებას, მონუმენტურ ფორმებს, ფერის დეკორატიულ გააზრებას, რათა ხაზი გაუსვან შრომის სიდიადესა და სიძლიერეს. ლაკონიური კომპოზიცია,

მონუმენტურობა, დეკორატიული რიტმის ხაზგასმა ფიგურათა და საგნების განლაგებაში გამომსახველობას ანიჭებს დ. ნოდიას შრომის პროცესის ამსახველ ლინოგრავიურებისა და გუაშის სერიებს („ფოთი“, 1961, „რუსთავი“, ჭიათურა, 1964, „ენგურჰესი“, 1967). განზოგადებული შინაარსის კომპოზიციებისათვის სერიიდან „საქართველო“ (1970) მხატვარმა დეკორატიული პანოს პრინციპი აირჩია. თავისუფალი ნახატის, ფერის ცხოველხატული ეფექტის საშუალებით თემის ემოციურ გადაწყვეტას აღწევს ე. ანდრონიკაშვილი საქართველოს ინდუსტრიისადმი და სოფლის მეურნეობისადმი მიძღვნილ ნამუშევრებში.

ფერების კონტრასტები, ფიგურათა მკვეთრი, დინამიკური სილუეტები სიმახვილეს და სიცხოველეს ანიჭებენ ა. შალიკაშვილის მიერ შესრულებულ ქართული სოფლის ცხოვრების სახასიათო სცენებს („სამუშაოდან დაბრუნება“, „ბაზარი“, „შეხვედრა“, 1962, „მრთველები“, 1968). საინტერესოდ აგებული კომპოზიციით და ფერადოვანი გადაწყვეტით გამოირჩევა ნ. ფალავანდიშვილის ჟანრული კომპოზიციები და პეიზაჟები („ფასანაური“, „თუშეთი“).

დამახასიათებელია, რომ უკანასკნელ ათეულ წლებში ქართველი მხატვრების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს მთიანეთი. მისი დიადი ბუნება, თავისებური ყოფა, ხალხური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, რაც დაკავშირებული იყო მათ მიერ ეროვნული ფორმების ძიებასთან.

დიდი ოსტატობით ასახავს თ. მირზაშვილი სხვადასხვა ტექნიკით (ფანქარი, აკვარელი, გუაში, ტემპერა) შესრულებულ ნამუშევრებში საქართველოს მთიანი რაიონების (მთათუშეთი, სვანეთი) ბუნების, ყოფის განუმეორებელ სპეციფიკას, რასაც ემსახურება ლაკონიური კომპოზიცია, განზოგადებული ნახატი, ფიგურათა გამომსახველი პოზები და მოძრაობა. თავისებური რომანტიკითაა გამსჭვალული ვ. ონიანის გრაფიკული ნამუშევრები, რომელთა მთავარი თემა სვანეთია. სპეციფიკური გამომსახველობის მიზნებისათვის, ხალხური ხასიათის გადმოსაცემად მხატვარი ფორმათა არქაიზაციის ხერხს მიმართავს.

ეროვნული ხასიათითაა აღბეჭდილი რ. თარხან-მოურავის ქართული ხალხური ცეკვების, სიმღერებისა და თამაშობათა ამსახველი ლინოგრავიურების სერიები (1959, 1964); დინამიკური ნახატის, თეთრი და შავი ხაზებისა და ლაქების დაპირისპირების საშუალებით მხატვარი მათში დიდი ემოციური გამომსახველობით გადმოგვცემს ქართული ცეკვებისა და თამაშობათა დინამიკას, სიმღერების შესატყვის რიტმს.

პოეტური განწყობილებით, დახვეწილი ფერადოვნებით გამოირჩევიან დ. ერისთავის ნამუშევრები (პასტელი, ფანქარი) ქალაქის ყოველდღიურობის ამსახველი სცენებით („იების გამყიდველი“, „გასეირნება“, „მუზეუმში“)

სადაზგო გრაფიკის მნიშვნელოვანი ჟანრია პორტრეტი. მხატვრების – ზ. ნიჟარაძის, დ. ერისთავის, ნ. ფალავანდიშვილის, ნ. ჩიქოვანის, თ.

ყუბანეიშვილისა და სხვათა გრაფიკულ ნამუშევრებში, რომლებიც ძირითადად თანამედროვეთა პორტრეტებს გვიჩვენებენ, მკაფიოდ ჩანს თითოეული მათგანის ინდივიდუალური მანერა.

მიღწევებმა პლაკატის ხელოვნების განვითარებაში, რომლებიც მკაფიოდ გამოჩნდა 1958 წელს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის შექმნილ ნაწარმოებებში, განსაზღვრეს 60 – 70-იანი წლების ქართული პლაკატის საერთო ხასიათი. პირველ რიგში ეს შეეხება თეატრალური სპექტაკლებისა და კონცერტების აფიშებსა და კინოპლაკატს, სადაც მაყურებელზე უშუალო ემოციური ზემოქმედება მიღწეულია პლაკატის მხატვრული ენისათვის სპეციფიკური ძუნწი, ლაკონიური ხერხებით (ავტორები: ე. ბერძენიშვილი, მ. ბერძენიშვილი, ი. გორდელაძე, ლ. შენგელია, ვ. გიორგობიანი, შ. კუპრაშვილი და სხვ.), სააგიტაციო და პოლიტიკური პლაკატის მხატვრული დონე რამდენადმე ჩამორჩებოდა ამ დარგის წინაშე დასმულ ამოცანებს. მაგრამ 1964 წ. თბილისში სააგიტაციო პლაკატის სახელოსნოს დაარსებამ ხელი შეუწყო შემოქმედებითი ძალების ფართოდ ჩაბმას ამ საქმეში. თემის განზოგადებული გადმოცემა, აქტუალობა და ქმედითი ხასიათი აღინიშნება საუკეთესო სააგიტაციო და პოლიტიკურ პლაკატებში, რომლებიც დაკავშირებულია მხატვრების ი. გორდელაძის, ო. ჯიშკარიანის, ნ. მალაზონიასა და დ. დუნდუას სახელებთან.

წარმატებით გრძელდება მუშაობა სატირული გრაფიკის სფეროში. ფართო პოპულარობა მოიპოვა ამ დარგში მხატვარმა გ. ფირცხალავამ, რომელიც აქტიურად ეხმაურება თანამედროვე ცხოვრებას, იქნება ეს კეთილი იუმორით აღბეჭდილი მეგობრული შარჟები, თუ მკვეთრი, ძლიერი სატირა ცხოვრების უარყოფითი მოვლენების მიმართ.

ქართული ქანდაკების ინტენსიური განვითარება 60 – 70-იან წლებში აგრეთვე განსაზღვრა იმ საერთო გარდატეხამ, რომელიც ქართულ ხელოვნებაში 50-იანი წლების შუა ხანიდან მკაფიოდ გამომჟღავნდა. ქანდაკებაში ახალი, რთული პრობლემების დაყენება თვით ცხოვრების მსვლელობით, სახელდობრ სოციალისტური მშენებლობის ფართო გაქანებით იყო ნაკარნახევი. ამ ამოცანების გადაწყვეტაში, უფროს თაობათა მოქანდაკეების გვერდით ფართოდ ჩაება ახალგაზრდობა. მოქანდაკეებს (ი. ოჩიაური, ე. კაკაბაძე, ა. გორგაძე, გ. კორძახია, მ. ბერძენიშვილი, გ. ოჩიაური), რომელთაც ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჭეშმარიტი სიახლე შეიტანეს ქართული პლასტიკის განვითარებაში, სულ მალე მიემატნენ მომდევნო თაობის მოქანდაკეები (მ. მერაბიშვილი, ბ. ცაბაძე, ვ. ონიანი, გ. კალაძე, ჯ. მიქატაძე, ჯ. ჯაფარიძე, გ. მიზანდარი, თ. გიგაური, გ. შხვაცაბაია, ვ. ჭუმბურიძე, ა. მჭედლიშვილი, ს. მელიქიშვილი, ა. რატიანი).

ახალგაზრდა მოქანდაკეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პლასტიკური ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ამოცანას, ეროვნული ფორმის ძიებას.

ქართულ სკულპტურაში კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პორტრეტულ ჟანრს. მასში, როგორც ახალი და მნიშვნელოვანი, აღინიშნება გამახვილებული ინტერესი თანამედროვე ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანისადმი, რომლის მხატვრული სახე აქედან გამომდინარე სხვადასხვა ასპექტშია გახსნილი. თითქმის ყველა მოქანდაკემ შეიტანა წვლილი ამ ჟანრის განვითარებაში: ნ. კანდელაკი, კ. მერაბიშვილი, ს. კაკაბაძე, ვ. თოფურიძე, ი. ოქროპირიძე, ბ. ავალიშვილი, თ. ასათიანი, თ. ღვინიაშვილი, ფ. მზარეულაშვილი, ე. კაკაბაძე, ა. გორგაძე, ი. ოჩიაური, გ. ოჩიაური, ბ. ცაბაძე, გ. ქაჯაია, ჯ. ჯაფარიძე და სხვ.

მათი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია სკულპტურული გადაწყვეტის მრავალფეროვნება, ტიპიზაციისა და განზოგადების ტენდენცია, მისწრაფება რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ თვით პლასტიკური ფორმის გამომსახველი საშუალებანი და მასალის ესთეტიკური თავისებურებანი. უფრო მრავალფეროვანი გახდა მასალის არჩევა – ქვა, მარმარილო, ბრინჯაო, თაბაშირი, ხე. პორტრეტულ სახეთა განსხვავებულ გადაწყვეტაში თავს იჩენს მოქანდაკეთა შემოქმედების ინდივიდუალური შესაძლებლობანი: ზოგიერთი პორტრეტი ეპიკური სიმშვიდით, მონუმენტურობით გამოირჩევა, სხვა შემთხვევებში ჩანს მისწრაფება ემოციური, რომანტიკული, პოეტური სახეების შექმნისაკენ, ანდა ტიპიური ხალხური ნიშნების აქცენტირება და ა. შ. ამასთანაა შეფარდებული პლასტიკური ხერხები, რომლებიც ყოველთვის წმინდა სკულპტურულ ამოცანებთანაა დაკავშირებული.

ქალაქთმშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანსამბლური დაგეგმარების, არქიტექტურული კომპლექსების შექმნის ამოცანებს. ამის გამო ახლებურად და უფრო ფართოდ დაისვა არქიტექტურის, მხატვრობისა და ქანდაკების სინთეზის და მათი ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირების საკითხები. ხელოვნების ძირითადი მიზანია ჩვენი ეპოქის ჰუმანისტური იდეალების – მშვიდობისათვის ბრძოლის, კოსმოსის დაპყრობის, ინტერანციონალიზმის იდეების – შემდგომი განმტკიცება და მათი უფრო ფართო, ქმედითი პროპაგანდა. ყველაფერმა ამან სტიმული მისცა მონუმენტური და მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკების განვითარებას. ქანდაკება გამოდის მოედნებსა და ქუჩებზე და მას, როგორც თანამედროვე ქალაქის განუყოფელ ნაწილს, აქტიური როლი ენიჭება ქალაქის მხატვრული სახის შექმნაში. თანამედროვეობის მოთხოვნილებებთან უფრო მჭიდრო კავშირმა (ვიდრე ეს იყო უწინ) განსაზღვრა ქართული ქანდაკების ჟანრული მრავალფეროვნება და ბიძგი მისცა გამომსხაველობის ახალ მხატვრულ საშუალებათა ძიებას: ალეგორიული ფიგურებისა და დიდი მასშტაბის კომპოზიციებიდან მცირე პლასტიკის ინტიმურ, ლირიკული განწყობილებით გამსჭვალულ ნაწარმოებებამდე. დიდ განვითარებას აღწევს სკულპტურული რელიეფი და კერამიკა. 50-იანი წლებიდან აღორძინებულ ჭედურ ხელოვნებას დიდი როლი მიენიჭა ინტერიერების გაფორმებაში.

60 – 70-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმართულ იქნა მონუმენტური ძეგლები გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ხსოვნის აღსანიშნავად. ერთ-ერთი ძირთიადი თემა იყო რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის სკულპტურული სახის შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია მოქანდაკე შ. მიქატაძის მიერ შესრულებული ვ. ი. ლენინის მონუმენტები, რომლებიც დაიდგა ქუთაისში, მახარაძეში და განმეორებული იყო გომელსა, ვიბორგსა და ნიკოლაევში. ბელადის სახის ახლებურ, საინტერესო გადაწყვეტას გვაძლევს ვ. თოფურიძე კალინინგრადის (1958), რუსთავის (1959), ტყიბულის (1960), მოსკოვის (1968, ვ. ი. ლენინის სახ. ქარხნის წინ) ძეგლებში. საბჭოთა ხელოვნებაში ამ მნიშვნელოვანი თემის დამუშავებაში ქართველმა მოქანდაკეებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მემორიალური ანსამბლის შექმნა თბილისში კუკიის სასაფლოაზე დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად (ა. რატიანი, ვ. ჭუმბურიძე, 1963). საქართველოს სხვადასხვა რაიონში აღმართულ იქნა მონუმენტური ძეგლები საბჭოთა ხალხის გამარჯვებისა და სამშობლოს დამცველთა ხსოვნის აღსანიშნავად, მათ შორის: ფოთში და ზესტაფონში (ე. ამაშუკელი), საჩხერეში (თ. ღვინიაშვილი), სიღნაღში (ს. მელიქიშვილი). ამ თემის გადაწყვეტისას მოქანდაკეები ხშირად მიმართავენ სიმბოლოსა და ალეგორიას; ცენტრალურ სახეს წარმოადგენს ან გამარჯვებული მეომარი, ანდა ქალი, რომელიც კონკრეტული წარმოდგენის მიხედვით დედას განასახიერებს, ხოლო განზოგადებული მნიშვნელობით – სამშობლოს. განსაკუთრებული ემოციური სიღრმითაა ეს თემა ხორცშესხმული მ. ბერძენიშვილის მიერ მარნეულისათვის შექმნილ ძეგლში – ქალის ფიგურა მახვილით ხელში და ორი პატარა ბავშვით. ამ ძეგლისათვის ავტორს ლენინური პრემია მიენიჭა.

ცალკე თემად შეიძლება გამოიყოს ისტორიულ პირთა ძეგლები. აქ წამყვან მოტივად გამოდის გმირის წარმოდგენა მხედრის სახით. ცხენოსანი ფიგურის გამოსახვისას მოქანდაკეები მრავალფეროვან, საინტერესო გადაწყვეტას აღწევენ, ასეთებია ვახტანგ გორგასალის ძეგლი თბილისში, მეტეხის ტაძრის წინ (ე. ამაშუკელი, 1967), გიორგი სააკაძისა – კასპში (მ. ბერძენიშვილი, 1970), ერეკლე მეორე – თელავში (მ. მერაბიშვილი, 1971).

60-იანი წლების დასაწყისიდან დიდი ყურადღება ექცევა მწერლების, ხელოვნების და საზოგადო მოღვაწეების ქანდაკებათა შექმნას, მათ შორისაა ძეგლები: ალ. ყაზბეგის – ყაზბეგში (ი. ოჩიაური, 1959), ა. გრიბოედოვის – თბილისში (მ. მერაბიშვილი, 1961), დ. გურამიშვილისა და ზ. ფალიაშვილის – თბილისში (მ. ბერძენიშვილი, 1965 და 1971), ვაჟა-ფშაველას – თბილისში (გ. ოჩიაური, 1973).

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში იქმნება დეკორატიული დანიშნულების ქანდაკებანი, რომლებმაც დაამშვენეს თბილისის მოედნები და პარკები: მზეჭაბუკი (ჯ. მიქატაძე, 1965), მშვილდოსანი (გ. ქაჯაია, 1969). ფილარმონიის შენობის წინ დაიდგა ქალის ალეგორიული ფიგურა, მუზის

განსახიერება, გადაწყვეტილი დეკორატიულ-სტილიზებულ ფორმებში (მ. ბერძენიშვილი, 1971).

დამახასიათებელი მოვლენაა დეკორატიული დანიშნულების რელიეფის განვითარება, სადაც ძირითად მხატვრულ საშუალებად სტილიზებული გრაფიკული ნახატი გვევლინება. რელიეფების შინაარსს ეროვნული, ხალხური თემატიკა განსაზღვრავს. რელიეფის ამ სახეში საინტერესო, თავისებური გადაწყვეტა მოგვცა გ. მიქაძემ. ხშირად დეკორატიულ რელიეფებს არქიტექტურის შესამკობად იყენებენ, მაგ. სასტუმრო „ივერია“ (გ. კალძე, 1968).

60-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად ფართოვდება ჭედური რელიეფების მხატვრული დანიშნულების სფერო. ქართული ხელოვნების ეს ახლად აღორძინებული დარგი ახალ ჟღერადობას იძენს განსხვავებული ინდივიდუალობის ხელოვანთა შემოქმედებაში, კერძოდ, ინტერიერთა გაფორმებაში, როგორიცაა ქორწინების სახლის ინტერიერის გაფორმება ჭედური რელიეფებით ბედნიერი ოჯახის თემაზე (ი. ოჩიაური, 1964), მუსკომედიის თეატრის ფოიეს გაფორმება „ვეფხის-ტყაოსნის“ სიუჟეტის კომპოზიციით და სხვ. (კ. გურული, 1965). ჭედურობა გამოყენებულია თბილისის მეტროპოლიტენის სადგურების, კაფეებისა და რესტორნების, თბომავლების „შოთა რუსთაველი“, „აჭარა“ გაფორმებისათვის.

ჭედური ხელოვნების ნაწარმოები ამ შემთხვევაში მონუმენტურ ხასიათს იძენს. რელიეფების საერთო გადაწყვეტის დეკორატიულობა და ფორმათა სტილიზაცია შეესატყვისება მათ დეკორატიულ დანიშნულებას. ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა, მაგალითად, ა. გორგაძის ჭედური ნაწარმოებები (სასტუმრო „ივერიის“ ვესტიბიულის აჟურული კარი, 1967), რომლებშიც ძველი ქართული ეროვნული ფორმებია შემოქმედებითად გამოყენებული.

ჭედურმა ხელოვნებამ მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ყოფაში – საიუველირო ნაწარმი, ჭურჭელი, ჭედური ფირფიტები სიუჟეტური სცენებით. ჭედური ხელოვნების ოსტატთა – ი. ოჩიაურის, კ. გურულის, გ. გაბაშვილის, დ. ყიფშიძის, ი. ქოიავას – ნაწარმოებებისათვის, რომლებიც უფრო ხშირად ეროვნულ, ხალხურ მოტივებზეა აგებული, ეროვნული ფორმის ძიებაა დამახასიათებელი.

ქართული ქანდაკების ინტენსიურმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა ქართველ მოქანდაკეებს გადაეწყვიტათ ისეთი რთული პრობლემა, როგორიცაა დიდი სკულპტურული ანსამბლის შექმნა. ამის მაგალითია კურორტ ბიჭვინთას ანსამბლი (1968 – 1970), რომლის საერთო მხატვრულ სახეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სკულპტურას და, რაც მთავარია, იგი მრავალფეროვანი სახითაა მოცემული. ძირითად ამოცანას შეადგენდა ქანდაკების დაკავშირება არქიტექტურასთან და პეიზაჟთან. მართლაც, სხვადასხვა ხასიათის სკულპტურული ჯგუფები და ფიგურები: „ზღვა“ (გ. ოჩიაური), „მედეა“ (მ. ბერძენიშვილი), „სამაია“ (გ. კალაძე), „ქალიშვილი“ (ვ.

ონიანი), „დეკორატიული ქანდაკება“ (გ. შხვაცაბაია) და სხვ. ორგანულადაა ჩართული ბუნებრივ გარემოში.

ქართული ქანდაკების განვითარების ამ პერიოდში გარკვეული გამოცოცხლება ჩანს სადაზგო სკულპტურის დარგში, რომელშიც თავისებური ასახვა პოვა მონუმენტური და პორტრეტული პლასტიკისათვის დამახასიათებელმა ძიებებმა – მისწრაფებამ მონუმენტურობასა და ფართო განზოგადებისაკენ. აღსანიშნავია ინტერესის გამახვილება სიუჟეტურ ქანდაკებაზე, მაგალითად, „შურის მაძიებელი“ (ვ. მიზანდარი), „დემობილიზებული“ (ე. კაკაბაძე), „გამოღვიძებული კოლონიები“ (გ. თოიძე), „საბჭოების გარიჟრაჟზე“, „მხატვრული ტანვარჯიში “ (რ. გვაზავა), „მშვიდობიანი ატომი“ (გ. გელაშვილი), „კოლექტივიზაცია“ (თ. გიგაური) და სხვ. დამახასიათებელია ალეგორიული ხასიათის ქანდაკებათა შექმნა: „განთიადი“, „შემოდგომა“ (გ. კალაძე) და სხვ. 60-იანი წლებიდან გამოფენებზე უფრო ხშირად ვხედავთ კოლმეურნეთა და მუშათა სკულპტურულ გამოსახულებებს: „მწყემსი“, „ბრიგადირი“ (კ. ტაბატაძე), „მწველავი“ (გ. გურასპაშვილი) და სხვ. ახალგაზრდა მოქანდაკეებთან ერთად სადაზგო სკულპტურის ჟანრში განაგრძობენ მუშაობას უფროსი თაობის მოქანდაკეები – გ. სესიაშვილი, ი. ოქროპირიძე, ნ. ალექსიძე, თ. ნაცვლიშვილი და სხვ.

ამრიგად, 60 – 70-იანი წლების ქართულ ქანდაკებაში ჩანს თემატიკის მრავალფეროვნება, ქანდაკების სხვადასხვა დარგის მრავალმხრივი განვითარება და მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ხასიათი.

ამ პერიოდის ქართული კერამიკა სადა ფორმების, მარტივი, ნათელი პროპორციების ხელოვნებაა. ორნამენტი მასში მხატვრული აქცენტის როლს ასრულებს. ძველი ქართული კერამიკის ფორმების, შემკულობის მოტივების, ტექნოლოგიის ათვისებისა და შემოქმედებითი გადამუშავების შედეგად ქართველი კერამიკოსები ქმნიან თანამედროვე ხასიათის ნაწარმოებებს, მკაფიოდ გამოხატული ეროვნული თავისებურებებით. ახლის ძიება ქართულ კერამიკაში დაკავშირებულია რ. იაშვილის, ა. კაკაბაძის, ი. გაჩეჩილაძის, ნ. კიკნაძის, ჟ. ფორჩხიძისა და სხვ. სახელებთან. სხვადასხვაგვარმა კერამიკულმა ჭურჭელმა (თასები, დოქები, ლარნაკები და სხვ.) მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ყოფაში, ხოლო დეკორატიულმა კერამიკულმა პანომ გამოყენება პოვა შენობის ინტერიერთა გაფორმებაში.

§ 8. ხუროთმოძღვრება

50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ქართულმა ხუროთმოძღვრებამ მხარი აუბა კულტურის საერთო აღმავლობას. არქიტექტურა კიდევ უფრო აქტიურად ჩაება განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების განხორციელებაში.

რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა ტიპური პროექტებით. ამ პროექტების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით არქიტექტორებს ზ. ქურდიანს, ს. რევიშვილს, გ. თავდგირიძეს და დ. ჩოფიკაშვილს. აშენებული სახლების სართულების გაზრდამ (სახლები 8-სართულიანი გახდა) შეცვალა მათი არქიტექტურული იერი. 60-იანი წლების ბოლოდან სართულიანობა გადიდდა 14 სართულამდე. პირველი მაღლივი 14-სართულიანი სახლი თბილისში აიგო 1967 წელს დიღმის მასივში. შემდეგ გაჩნდნენ 16 და 17-სართულიანი სახლები.

70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა ტიპური პროექტების ახალი სერია ინდუსტრიულ ნაკეთობათა გამოყენებით მსხვილბლოკიანი სახლებისათვის (არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, ს. კაციტაძე, კონსტრუქტორი რ. შიოლაშვილი).

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს თბილისში ვარაზის ხევისა და შ. ნუცუბიძის ქუჩის განაშენიანება (1968 – 1972 წწ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის ახალი საზღვრები – ე. წ. „დიდი თბილისის“ რკალი. ამ ბრძანებულების თანახმად თბილისს შეუერთდა გარდაბნის რაიონის ტერიტორიის ნაწილი.

1960 წელს დაიწყო საცხოვრებელი მასივების განაშენიანება საბურთალოსა და დიღომში, 26 კომისრის რაიონში და ღრმაღელის ტერიტორიაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ აგებული საცხოვრებელი სახლები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნებს.

საცხოვრებელი კომპლექსები შენდებოდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, რუსთავში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (1968 წ.).

მშენებლობის ფართო ინდუსტრიალიზაციის შედეგად მარტო კომპლექსური განაშენიანების მასივებში 1958 – 1961 წლებში აშენდა 2,2-ჯერ მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე წინა ოთხ წელიწადში. მარტო სამ მასივში ამ პერიოდში აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა 200 ათასზე მეტი კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რომელშიც 25 ათასმა კაცმა დაიდო ბინა. ომის შემდგომ 30 წელიწადში თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცა 6 313 950 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, აქედან მარტო მეცხრე ხუთწლედში – 2 530 700 კვ მეტრი. დიდი ყურადღება ეთმობოდა საცხოვრებელი ფონდის კომუნალურ მომსახურებას.

თბილისში ამ პერიოდში აშენდა სასტუმრო „აფხაზეთი“ (არქიტექტორი თ. შუბლაძე). 1962 – 1963 წლებში მწყობრში ჩადგა სასტუმრო „კოლხეთი“ (არქიტექტორები თ. თევზაძე, ნ. ჯობაძე), მოტელი დიღომში (არქიტექტორები ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე), მთელი რიგი საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული და სასწავლო ნაგებობანი. 1967 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა კრწანისში ზოოვეტინსტიტუტის შენობა (არქიტექტორები ო. თუხარელი და ა. ბარქაია) და ა. შ.

60-იანი წლებიდან საქართველოს არქიტექტურაში ახალ ნიადაგზე ვითარდებოდა ტრადიციული დეკორაციული მოტივებისა და ელემენტების გამოყენების ტენდენცია. აღორძინება დაიწყო ჭედურობამ. ჭედური პანოები ფართოდ იქნა გამოყენებული ქორწინების სახლსა (არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, რ. კიკნაძე, 1965), მუსიკალური კომედიის თეატრის ინტერიერებში (არქიტექტორები ო. ლითანიშვილი, თ. მაჭავარიანი, 1965) და სხვა შენობებში.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის 60-იანი წლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: სპორტის სასახლე (არქიტექტორები ი. კასრაძე, ვ. მესხიშვილი, ინჟ. დ. ქაჯაია, 1961), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი (არქიტექტორები ვ. მესხიშვილი, გ. გაბაშვილი, 1967) და სასტუმრო „ივერია“ (არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი ი. ცხომელიძე, 1967), საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შენობა (არქიტექტორი ი. ჩხენკელი, 1971).

ბოლო პერიოდის არქიტექტურულ პრაქტიკაში გაჩნდა ნაწარმოებები, რომლებშიც ჭარბობს რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და შემინული სიბრტყეები. ასეთებია ხელნაწერთა ინსტიტუტის შენობა მეცნიერებათა აკადემიის ქალაქში (არქიტექტორები გ. ლეჟავა, ვ. ცუხიშვილი, 1965), ტელეცენტრი (არქიტექტორი ა. ქურდიანი, 1966), ადმინისტრაციული სახლი თბილისში სადგურის ქუჩაზე (არქიტექტორი გ. მელქაძე, 1968) და ა. შ.

აღსანიშნავია საჭადრაკო-ალპიური კლუბის შენობა (არქიტექტორები ვ. მესხიშვილი, გ. ღუდუშაური, 1972), საზოგადოებრივ ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც შეიცავს უნივერმაღ „თბილისს“ 450 სამუშაო ადგილზე (1975), გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრს და „ლენინის მოედნის“ მეტროპოლიტენის სადგურს. დედაქალაქის მსხვილ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია (არქიტექტორები ა. და გ. ქურდიანები, 1971 – 1976 წწ.).

ქალაქთმშენებლობის რიგი საკითხების გადაწყვეტის სიახლით გამოირჩევა გლდანის საცხოვრებელი მასივის დაგეგმარება და მშენებლობა (არქიტექტორები გ. ბოჭორიშვილი, ბ. ოდიშარია, 1968).

არქიტექტორთა დიდი ჯგუფის პროექტით თბილისში ბაგები-საბურთალოს რაიონში 240 ჰექტარ ტერიტორიაზე დაიწყო უნივერსიტეტის დიდი კომპლექსის მშენებლობა 8 ათასი სტუდენტისათვის. პირველი კორპუსი დამთავრდა 1968 წელს (არქიტექტორები მ. შავიშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი, ს. ბეჟანოვი, მ. შუბლაძე, კონსტრუქტორი მ. ლომიძე).

საინტერესოა საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის ახალი გენერალური გეგმა (არქიტექტორი ე. ბაგრატიონი, 1970 – 1972).

ქართული საბჭოთა არქიტექტურის დიდ შენაძენად უნდა ჩაითვალოს თბილისის მეტროპოლიტენი. იგი ქალაქგეგმარების უდიდესი ღონისძიება იყო და მნიშვნელოვანწილად წყვეტდა სატრანსპორტო პრობლემას. 1965 წლის 31 დეკემბერს დამთავრდა მეტროპოლიტენის პირველი რიგის პირველი უბნის

მშენებლობა დიდუბიდან-რუსთაველამდე (მისი საერთო სიგრძე 6,5 კილომეტრია), რომლის სადგურებია: მიწის ზევით „დიდუბე“ (არქიტექტორები ნ. ლომიძე, გ. მოძმანაშვილი, კონსტრუქტორები მ. ქავთარაძე, ი. როზდევიჩი), „ელექტროდეპო“ (არქიტექტორები ნ. ლომიძე, გ. მოძმანაშვილი, კონსტრუქტორები ლ. კამკამიძე, ა. კოჩაროვი), მიწის ქვეშ - „ვაგზლის მოედანი“ (არქიტექტორები ვ. აბრამიშვილი, გ. მელქაძე, კონსტრუქტორები ა. ვინოგრადოვი, ი. კახაძე), „მარჯანიშვილი“ (არქიტექტორები გ. მელქაძე, მ. მელია, კონსტრუქტორები ე. ჩერნო-ივანოვი, როდზევიჩი, ვ. ტატაროვა), „რუსთაველი“ (არქიტექტორები ლ. ჯანელიძე, ო. კალანდარიშვილი, კონსტრუქტორები ა. კურისკო, ა. ლაკერბაი). 1966 წლის 11 იანვარს ამ ხაზზე პირველი რეისი გააკეთა ცისფერმა ექსპრესმა.

1967 წლის 5 ნოემბერს მწყობრში ჩადგა მეტროს პირველი რიგის მეორე უბანი სადგურებით „ლენინის მოედანი“ (არქიტექტორები ვ. მესხიშვილი, კონსტრუქტორები ა. ჩერნო-ივანოვი, შ. გაზაშვილი), „26 კომისარი“ (არქიტექტორები ა. რევიშვილი, შ. ჩაჩანიძე, კონსტრუქტორები ა. კურისკო, ე. შიოშვილი) და „300 არაგველი“ (არქიტექტორები გ. ბათიაშვილი, თ. თევზაძე, კონსტრუქტორები ა. კურისკო, გ. ზამბახიძე). 1971 წლის 5 მაისს დამთავრდა მესამე უბნის მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი სადგური: „ისანი“ (არქიტექტორები გ. მოძმანაშვილი, ნ. ლომიძე, კონსტრუქტორები ო. ლორთქიფანიძე, ლ. კამკამიძე) და „სამგორი“ (არქიტექტორი ნ. ლომიძე, კონსტრუქტორი ვ. სუკაჩევი). ამით დასრულდა მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობა, რომლის სიგრძეა 12,5 კილომეტრი. ამ ტრასაზე მატარებლებს საშუალოდ ყოველდღიურად გადაჰყავთ დაახლოებით 300 ათასი მგზავრი. თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი, რომლის მშენებლობა მიმდინარეობს 1971 წლიდან, კარდინალურად გადაჭრის თბილისის სატრანსპორტო პრობლემას.

1975 წლის 20 იანვარს დამთავრდა ესკალატორიანი მიწისქვეშა გადასასვლელის (სიგრძე 106 მეტრი) მშენებლობა, რომელმაც კახეთის გზატკეცილი დაუკავშირა მეტროპოლიტენის სადგურ „სამგორს“ და მოსკოვის პროსპექტს (არქიტექტორი ნ. ლომიძე, კონსტრუქტორი ლ. აბაშმაძე).

ომის შემდგომ წლებში დიდი სამუშაოები ჩატარდა რესპუბლიკის სხვა ქალაქების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის.

ფართოდ გაიშალა საკურორტო მშენებლობა. ბიჭვინთაში აიგო პანსიონატის ახალი მაღლივი შენობები. ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა გაგრის, ქობულეთის, ბორჯომ-ლიკანის, ბაკურიანის, წყალტუბოს განაშენიანების სამუშაოები.

კურორტი წყალტუბო ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშენდა. არქიტექტორების ლ. მელეგის, გ. ხიმშიაშვილის, ა. ინწკირველის, ი. ზაალიშვილის, ვ. ჩანტლაძის, ვ. ნასარიძის, ვ. კედიას, ნ. სოლოვიოვას, ლ. ჯანელიძის, ვ. მესხიშვილის, თ ფოცხიშვილისა და სხვათა პროექტებით აქ აიგო არაერთი სანატორიუმი.

უკანასკნელ პერიოდში სამრეწველო არქიტექტურაშიც შემუშავდა ტიპური პროექტები, რომელთა მიხედვით განხორციელდა 15 ჩაის ფაბრიკის მშენებლობა (არქიტექტორები ა. სულაქველიძე, თ. გაბუნია, რ. ივანოვი; ინჟინრები ი. ღოღობერიძე, ი. სერებრიანსკი, გ. ნარსია და სხვ.).

ნაყოფიერი მუშაობა წარმოებდა სოფლის არქიტექტურის განვითარებისათვის. აშენდა კულტურის სახლები, კლუბები, კოლმეურნეობათა ადმინისტრაციული შენობები, ელექტროსადგურები და ა. შ. შეიქმნა სასოფლო მშენებლობისათვის ტიპური პროექტების სერიები. წარმოებდა ხეთის, ვარკეთილის, ნაფარეულის, გაგრისა და ინგურის საბჭოთა მეურნეობების, სოფლების ნაგომარის, ნატანების კოლმეურნეთა კარმიდამოების დაგეგმარება. შეიქმნა სოფლად ინდივიდუალური მშენებლობის საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების ალბომები. სოფლად მშენებლობაში გათვალისწინებულია თანამედროვე მოთხოვნები და ქართული ხალხური სახლის პროგრესული ტრადიციები. გაიმართა კონკურსები სოფლად საცხოვრებელი სახლების პროექტების ახალი სერიების შესამუშავებლად. ახალი წამოწყება იყო მძლავრი მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა.

რესპუბლიკაში აიგო არაერთი ახალი სასკოლო შენობა, კინოთეატრი, საბავშვო ბაღი, ბაგა, საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტი.

საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ხევსურეთისა და თუშეთის რაიონების კეთილმოწყობის სამუშაოთა დაწყება. შემუშავდა დაბების გუდანის, ბისოს, ხახმატის და შატილის დაგეგმარების ახალი პროექტები.

1972 წელს დაიწყო კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ექსპერიმენტული დაბების მშენებლობა.

უკანასკნელ ათწლეულში თბილისი კოლოსალურად გაიზარდა. იგი გადაიჭიმა თითქმის 40 კილომეტრზე. ქალაქის განაშენიანება უნდა გაგრძელებულიყო მდინარე მტკვრის გასწვრივ. ქალაქის „დაგრძელება“ დაკავშირებული იყო ბევრ უხერხულობასთან და დამატებით დიდძალ ხარჯებთან, ყოველივე ამის გამო ახლებურად უნდა გადაწყვეტილიყო ქალაქის არსებული ტერიტორიის გამოყენების საკითხი. ამიტომ სავსებით სწორი იყო მაღლივი სახლების მშენებლობა.

საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის მეშვეობით. სწორედ ამიტომ საბინაო მშენებლობაში ახალ ეტაპს მოასწავებდა მსხვილპანელიანი ბინათმშენებლობა.

ქალაქ თბილისის ახალი გენერალური გეგმა (არქიტექტორები ი. ჩხენკელი, გ. ჯაფარიძე, ჯ. ჯიბლაძე, გ. შავდია, ეკონომისტები ლ. ლორთქიფანიძე, ი. ბოლქვაძე, 1962 – 1969 წწ.) შედგენილია 2 000 წლამდე. პროექტით გათვალისწინებულია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე „თბილისის

ზღვის“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანება, რაც პრაქტიკულად უკვე ხორციელდება.

საბჭოთა ქალაქები და დაბები ის მატერიალური გარემოა, სადაც ცხოვრობს, მუშაობს და ისვენებს საბჭოთა ადამიანი. ამიტომ არქიტექტურა უნდა ასახავდეს ჩვენს დიად ეპოქას, მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის განვითარების დონეს.

§ 9. საქართველოს კულტურული კონტაქტები 60-იანი და 70-იანი წლების პირველ ნახევარში

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა „ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებისათვის, სოციალისტური ერების ცხოვრებისა და სულიერი წყობის დაახლოებისათვის აქტიური ხელშეწყობა“[1], რადგან ყოველ ეროვნულ კულტურას ახასიათებს თვითმყოფადობა, რომლის შემდგომი განვითარება გულისხმობს კულტურულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლისა და ურთიერთგამდიდრების პროცესს.

სოციალისტური კულტურის მშენებლობაში დიდ როლს ასრულებენ კულტურული ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგავლენის ფაქტორები. კულტურული გავლენის მრავალფეროვან საშუალებებს და ფორმებს შორის მთავარი და ყველაზე აქტიური ფორმაა მოწინავე კულტურული გამოცდილების შემოქმედებითი ათვისება, რადგან იგი ხელს უწყობს შემოქმედებითს სფეროში მაღალი დონის მიღწევას. სწორედ ამ გზით წარიმართებოდა საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობა სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე.

ხალხების კულტურულ მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისება გულისხმობს სულიერი ცხოვრების სფეროში დაგროვილი გამოცდილების ისეთ განზოგადებას, რომელიც ხელს უწყობს ფორმის მიხედვით უფრო მრავალფეროვან და შინაარსით უფრო მდიდარ, მაღალი მხატვრული დონის კულტურული ფენომენის შექმნას. ეს კი მოასწავებს კულტურის განვითარების ახალ ნაბიჯს, ახალ თვისებრიობას.

საბჭოთა ხალხების კულტურულ კავშირებში, რაც საბჭოთა კულტურის განვითარების მამოძრავებელი ძალაა, წამყვანი ადგილი უკავია რუსულ კულტურასა და ენას. საბჭოთა ქვეყნის ყოველი ეროვნული კულტურა განიცდის რუსული კულტურის დადებით გავლენას. იგი ხელს უწყობს ეროვნულ კულტურათა და სალიტერატურო ენების განვითარებას. თავის მხრივ ეროვნული კულტურები თავიანთი მონაპოვრებით ამდიდრებენ რუსულ კულტურას და საკუთარი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კულტურის ერთიან საგანძურში. ეს ურთიერთგამდიდრება სოციალისტურ ეროვნებათა კულტურული კავშირების არსია. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი

აღნიშნავდა, „ყოველ საბჭოთა კულტურას ასაზრდოებს არა მარტო საკუთარი წყაროები, არამედ სხვა მოძმე ხალხების სულიერი სიმდიდრე და თავის მხრივ იგი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მათზე, ამდიდრებს მათ.

საბჭოთა სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმების მრავალფეროვნებაში სულ უფრო შესამჩნევი ხდება საერთო, ინტერნაციონალური თვისებები. ეროვნული სული უფრო მეტად მდიდრდება სხვა მოძმე ხალხების მიღწევებით“[2].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება სახავს ფართო შესაძლებლობებს თითოეული ერის განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სწრაფი განვითარებისათვის, ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და გამდიდრებისათვის, რადგან ღრმავდება ეროვნული კულტურის ინტერნაციონალური შინაარსი. სოციალისტური საზოგადოების განვითარების კვალობაზე იხვეწება კულტურის ეროვნული ფორმები, ვითარდება საუკეთესო ეროვნული ტრადიციები, ჩნდება ახალი ელემენტები და ნიშნები, იგი მდიდრდება სოციალიზმის მშენებლობის პროცესში წარმოშობილი ახალი ტრადიციებით.

1976 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარებულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასა და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალურ საკითხებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე, აღინიშნა, რომ სოციალიზმის დროს „ვითარდება კულტურის ინტერნაციონალური საფუძვლები, მაგრამ ეს არ იწვევს კულტურის არც მექანიკურ ნიველირებას, არც ერთფეროვნებას. პირიქით, მხოლოდ სოციალიზმი ქმნის ლიტერატურისა და ხელოვნების პროგრესული ჟანრების, სტილის, თანამედროვე გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნების ნამდვილ შესაძლებლობებს. ლიტერატურათა და ხელოვნებათა იდეურ-შემოქმედებითი ურთიერთგავლენა და ურთიერთგამდიდრება ჩვენი მრავალეროვანი კულტურის, მათ შორის მცირერიცხოვან ხალხთა კულტურის, შემდგომი განვითარების კანონზომიერებაა“[3].

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ინტენსიური გახდა კონტაქტები მეცნიერებისა და კულტურის დარგში. სხვა ერების გამოცდილების გაზიარება ან სხვა „ერისაგან სწავლა“[4] სავსებით შეესატყვისება ეროვნულ ინტერესებს.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს კულტურული კონტაქტები ორი მიმართულებით განვითარდა. ერთი მხრივ, საბჭოთა ხალხების ეროვნულ კულტურებთან დაახლოების, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში კი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, კულტურული კონტაქტების გაძლიერების მიმართულებით, ცხადია, ამ ქვეყნებთან მთელი საბჭოთა კავშირის ხალხების კულტურული ურთიერთობის გაფართოების გზით, რასაც საფუძვლად უდევს

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სრული თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი ურთიერთპატივისცემის, ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრინციპები.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის სიტყვაში საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე 1971 წლის 14 მაისს აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება – საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი მძლავრი ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების შინაგან სამყაროს, მოუწოდებენ მათ სიკეთისათვის, ნათელი იდეალებისათვის, აღანთებენ საბრძოლველად ყოველივე იმის საწინააღმდეგოდ, რაც ხელს უშლის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას“[5].

ეროვნულ კულტურათა დაახლოების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ლიტერატურული ურთიერთობანი, ქართული საბჭოთა ლიტერატურის მჭიდრო კავშირი მოძმე საბჭოთა ხალხების ლიტერატურებთან, ვინაიდან ასეთი ურთიერთობა ხელს უწყობს ლიტერატურული სახეებისა და თემატიკის გამრავალფეროვნებას, ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრებას. საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობანი, რამაც ფართო ხასიათი მიიღო 60 – 70-იან წლებში, ხორციელდებოდა ძირითადად მთარგმნელობითი მუშაობის გაფართოებისა და ლიტერატურული დეკადების, ლიტერატურის დღეებისა და პოეზიის ე. წ. დღესასწაულების მოწყობის გზით.

საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში დიდი პოლიტიკური და კულტურული მოვლენა იყო რუსული პოეზიის დეკადა, რომელიც 1962 წლის ივნისში ჩატარდა საქართველოში. დეკადის დღეებში ერთმანეთს ცვლიდნენ რუსი და ქართველი პოეტები. დაიწერა საქართველოსადმი მიძღვნილი ახალი ლექსები, ითარგმნა ქართველი პოეტების ახალი ნაწარმოებები, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა როგორც ქართული, ასევე რუსული პოეზია, ხოლო ორი მოძმე ხალხის ტრადიციული ლიტერატურული ურთიერთობის მატიანეს ახალი ფურცელი შეემატა.

რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად იქცა 1962 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარებული მ. გორკის დღეები, რომელიც მიეძღვნა დიდი პროლეტარული მწერლის პირველი მოთხრობის „მაკარ ჩუდრას“ თბილისში გამოქვეყნების 70 წლისთავს. ასევე ქართველი და უკრაინელი ხალხების საერთო დღესასწაულად იქცა დიდი უკრაინელი პოეტის, ხალხთა მეგობრობის მომღერლის ტ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის იუბილე თბილისში 1964 წლის მარტში. ეს იყო გამოხატულება ქართველი საზოგადოებრიობის დიდი პატივისცემისა და სიყვარულისა მოძმე უკრაინელი ხალხის შვილისადმი, რომელიც პირადი ნაცნობობითაც იყო დაკავშირებული გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან.

1964 წლის 2 – 12 ოქტომბერს ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართა უკრაინული ლიტერატურის დეკადა, რომელსაც წინ უძღოდა უკრაინელ

მწერალთა ნაწარმოებების ახალი თარგმანების გამოცემა ქართულ ენაზე. დეკადის მონაწილენი შეხვდნენ კახეთის მევენახეებს, აფხაზეთისა და აჭარის მეჩაიეებს, ქუთაისისა და სურამის მშრომელებს. სურამი ხომ სათუთად ინახავს გამოჩენილი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას ხსოვნას. როგორც ცნობილი უკრაინელი მწერალი ო. გონჩარი ამბობდა, უკრაინული ლიტერატურის დეკადა საქართველოში უკრაინულ და ქართულ კულტურებს შორის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესანიშნავი მატიანის, ჩვენს ხალხებს შორის ძმობის გამოხატულების ერთ-ერთი ნათელი ფურცელი გახდა[6].

უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის ფრიად საინტერესო მოვლენა იყო ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში, რომელიც ჩატარდა 1969 წლის 10 – 20 მაისს. ამასთან დაკავშირებით უკრაინაში მომზადდა და გამოიცა ქართველ მწერალთა 20-მდე წიგნი, მოეწყო ქართული ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები შემოქმედებითს მუშაკებთან. დეკადის მონაწილე ქართველი მწერლები და კრიტიკოსები ესტუმრნენ უკრაინის სხვადასხვა რაიონს – იყვნენ ქ. კანევში ტ. შევჩენკოს მუზეუმში, მირგოროდში, სადაც 12 მაისს დაესწრნენ გამოჩენილი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის ძეგლისა და ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის საზეიმო გახსნას; შეხვდნენ პოლტავის, ხარკოვის, ჟიტომირის ოლქის მშრომელებს, დაათვალიერეს ლესია უკრაინკას მუზეუმი ნოვგორდ-ვოლინსკში.

კულტურულ გაცვლას საქართველოსა და ლიტვას შორის საფუძველი ჩაეყარა 60-იანი წლებიდან. 1963 წლის 15 – 22 ოქტომბერს თბილისში მოეწყო ლიტვური კულტურის კვირეული, რომლის დროსაც საქართველო გაეცნო ლიტვური წიგნის გრაფიკისა და პლაკატის გამოფენებს, კინოფილმებს.

ქართველმა მწერლებმა მონაწილეობა მიიღეს 1967 წლის მაისში თბილისში გამართულ „მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებში“ და მისი დამთავრებისთანავე მოსკოვში ჩატარებულ „თბილისის დღეებში“.

დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეოდ გამოიცა კრებულები „ქართველი პოეტები ლენინს“, „ქართული ლენინიანა“, რითაც ახალი შინაარსით გამდიდრდა როგორც ქართული, ასევე საბჭოთა ლიტერატურული ლენინიანა.

საბჭოთა მრავალეროვანი სალიტერატურო ურთიერთობანი კიდევ უფრო გაცხოველდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილის დღეებში. 1972 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარდა საბჭოთა ხალხების პოეზიის დღესასწაული, რომელიც დაემთხვა ქართული პოეზიის ტრადიციულ, ყოველწლიურ დღესასწაულს – რუსთაველის დღეებს[7]. საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში ამ დიდ მოვლენასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე გამოიცა კრებული „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, რომელშიც წარმოდგენილი იყო საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის 120 ნაწარმოები. გამოქვეყნდა სხვადასხვა მოძმე რესპუბლიკის მწერალთა

ნაწარმოებები საქართველოს შესახებ და ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი ქართველ მწერალთა ნაწარმოებები[8].

საიუბილეოდ გამოიცა სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლების ნაწარმოებები ქართულ ენაზე და ქართველ მწერალთა ნაწარმოებები რუსულ ენაზე, აგრეთვე გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნეობის დარგში მოძმე ხალხების მწერალთა შემოქმედების შესახებ და ა. შ.[9].

1971 წლის ზაფხულში ესტონეთში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები. ესტონეთის მშრომელები უფრო ფართოდ გაეცნენ ქართულ კულტურას, რომელსაც ესტონურ კულტურასთან ურთიერთობის ტრადიციები აქვს.

ესტონეთის კულტურის დღეებში, რომელიც იმავე წლის 26 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე ჩატარდა, საქართველო გაეცნო ესტონეთის თეატრალურ კოლექტივებს, მოეწყო ესტონეთის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა, წიგნისა და წიგნის გრაფიკის ნიმუშების გამოფენა. ვერნისაჟზე წარმოდგენილი იყო ესტონეთის ბავშვების 286 მხატვრული ნამუშევარი. გაიმართა ესტონური კინოფილმების ფესტივალი.

1975 წლის ივნისში საქართველოში ჩატარდა საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომელიც დამთავრდა დიდი ინტერნაციონალური საღამოთი. აქ საბჭოთა მწერლებთან ერთად იყვნენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების – ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, მონღოლეთის, კუბის და ჩეხოსლოვაკიის ლიტერატორები. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა კ. სიმონოვმა ამ საღამოზე თქვა, რომ საბჭოთა ლიტერატურის დღეების არაერთ მონაწილეს აღეძრა სურვილი კვლავ ეწვიოს საქართველოს. „უფრო ღრმად, დაწვრილებით, საფუძვლიანად გაეცნოს მისი მშრომელების ცხოვრებას, შეივსოს პირველი დაკვირვებების მარაგი და უკვე უფრო ფართოდ და ფუნდამენტურად დაამუშაოს ქართული თემა“[10]. ეს არის ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრების მკაფიო მაგალითი.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ხშირად იმართება მოძმე საბჭოთა ხალხების გამოჩენილ მწერალთა ლიტერატურული საღამოები. ერთ-ერთი ასეთი საღამო 1975 წლის იანვარში გამოჩენილი ქართველი პოეტის ს. ჩიქოვანის პოეზიას მიეძღვნა. ეს იყო რუსული და ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საუკეთესო ტრადიციების ბრწყინვალე დემონსტრაცია.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში გაფართოვდა ქართული ლიტერატურის კონტაქტები არა მარტო მოძმე საბჭოთა ხალხების, არამედ უცხოეთის ლიტერატურებთანაც. იგი ხორციელდებოდა უმთავრესად ქართული მწერლობის კლასიკოსთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნის, მხატვრული თარგმანისა და მწერალთა საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის გზით.

საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის წარმომადგენელთა, აგრეთვე უცხოეთის 45 ქვეყნის თვალსაჩინო მწერლების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობით იდღესასწაულა 1966 წლის სექტემბერში ქართველმა ხალხმა თავისი გენიალური პოეტის, მოაზროვნისა და ჰუმანისტის შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე. ამ იუბილესადმი სამზადისისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1960 წლის ოქტომბერში შ. რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ახალი მასალების მოსაძიებლად სპეციალური ექსპედიციის მოწყობას პალესტინაში ცნობილი ქართველი პოეტის ირ. აბაშიძისა და სახელოვანი ქართველი მეცნიერების გ. წერეთლისა და ა. შანიძის მონაწილეობით.

შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში რუსთაველის სახელობის პრემია, რომელიც დაწესდა 1964 წლის მარტში, მიენიჭათ გამოჩენილ უკრაინელ პოეტს მიკოლა ბაჟანს „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნისათვის და ცნობილ რუს პოეტს ნიკოლოზ ტიხონოვს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისათვის.

მრავალი საბჭოთა და უცხოელი მწერალი, მეცნიერ-ქართველოლოგი დაესწრო შ. რუსთაველისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებს თბილისში, პოეტის ძეგლის გახსნას ქ. ახალციხეში, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებისა და მისი ილუსტრაციების გამოფენებს, თეატრალიზებულ და სპორტულ დღესასწაულებს, „ქართული პოეზიის დღეებს“ მოსკოვში, დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე – ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩის სკვერში შ. რუსთაველის ძეგლის გახსნას, 1966 წლის 25 ოქტომბერს საიუბილეო საზეიმო საღამოს მოსკოვში.

ამ იუბილესთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ გამოქვეყნდა წერილები, მოხსენებები, სპეციალური კრებულები, მოეწყო მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების გამოფენა და სხვ.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღინიშნა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნ. ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღები. მეორე მხრივ, საქართველოში დიდი პატივისცემით აღინიშნა არაერთი გამოჩენილი საბჭოთა თუ უცხოელი მწერლის, მათ შორის ცნობილი გერმანელი მწერლისა და მეცნიერის, ქართული კულტურის დიდი მეგობრის არტურ ლაისტის დაბადების 120 წლისთავი. იგი ხომ თბილისში, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

ლიტერატურულ ურთიერთობათა გაფართოებისა და ეროვნული მწერლობის გამდიდრების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა მხატვრული თარგმანი. საბჭოთა ლიტერატურისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა თარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, ასევე საბჭოთა ლიტერატურის, მათ შორის ქართული კლასიკური და თანამედროვე სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშების თარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე განსაკუთრებით გაფართოვდა 50-იანი წლების ბოლოდან.

1959 წელს გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგისა და დ. ჭონქაძის მოთხრობების თარგმანები ჩეხურ ენაზე, ფრანგულად ითარგმნა ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“. 1964 წელს დაიბეჭდა ს. წულაძის მიერ საუცხოოდ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი, რისთვისაც მთარგმნელს 1965 წელს საფრანგეთის აკადემიამ ლანგლუას პრემია მიანიჭა. 1968 წელს ფრანგულად გამოიცა ნ. ბარათაშვილის ლექსების ს. წულაძისეული თარგმანი. 1962 წელს დაიბეჭდა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ინგლისურ ენაზე. 1968 წელს უნგრულად ითარგმნა ი. ჭავჭავაძის პოემები და ქართული ხალხური ზღაპრების კრებული. გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ რუმინულ ენაზე (1959), ესპანურად (1966), კლასიკურ ებრაულზე (1969), პოემის სრული პოეტური თარგმანი პოლონურ და იაპონურ ენებზე (1972) და ა. შ.

ქართველი მწერლები მონაწილეობდნენ მწერალთა საერთაშორისო შეკრებებში, მაგალითად, ვაიმარის საერთაშორისო ფორუმზე (1965), აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერათლა კონფერენციაზე ქ. დელში (1970), პერუელი და საბჭოთა მწერლების დიალოგში (1971), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში გამართულ მწერალთა შეხვედრებში და ა. შ. გამოჩენილ ქართველ პოეტს ირ. აბაშიძეს ინდოეთისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლისათვის მიენიჭა ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემია. საქართველოს დღევანდელ ცხოვრებას და მის ადამიანებს ეცნობოდნენ ამერიკელი, იტალიელი, დანიელი, ბულგარელი, პოლონელი, თურქი და სხვა მწერლები, მთარგმნელები და ჟურნალისტები, რის შედეგადაც დაიწერა არაერთი საინტერესო ნარკვევი თუ წერილი ქართველი ხალხის სახელოვანი წარსულისა და მდიდარი აწმყოს შესახებ[11].

ქართული ლიტერატურის დემოკრატიულ და რეალისტურ ტრადიციებთან ერთად კულტურული კავშირის გაფართოება მომმე საბჭოთა ხალხების კულტურებთან, ასევე მსოფლიოს პროგრესულ ლიტერატურებთან უკანასკნელ წლებში ქართული მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო.

ეროვნული კულტურების დაახლოების ერთ-ერთი ფორმაა ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები და კვირეულები. ლიტერატურის დეკადები, კვირეულები და პოეზიის დღეები ეწყობოდა მომმე საბჭოთა რესპუბლიკებში, კერძოდ, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში ჩატარდა უკრაინის, ესტონეთისა და ლიტვის ლიტერატურის დეკადები და კულტურის კვირეულები და შესაბამისად ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები იმავე რესპუბლიკებში. დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეოდ 1970 წლის 11 – 23 მარტს თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების ფესტივალი, რომელიც მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ნამდვილ ზეიმად იქცა. მომმე აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით 1970 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის, ხოლო იმავე წლის

ნოემბერში სომხეთის სს რესპუბლიკის დღეები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამ რესპუბლიკების მხატვრულმა კოლექტივებმა.

60 -70-იან წლებში ფართო ხასიათი მიიღეს ქართული კულტურის დეკადებმა მოძმე სოციალისტურ, აგრეთვე კაპიტალისტურ ქეყნებშიც. მაგალითად, 1959 წლის 28 სექტემბრიდან – 4 ოქტომბრამდე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩატარდა ქართული კულტურის კვირეული, ხოლო იმავე წლის 19 – 26 ოქტომბერს საქართველოში მოეწყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კვირეული. ამ ორმხრივ შეხვედრებზე პოლონელები გაეცნენ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, გრაფიკისა და ქანდაკების გამოფენას, მხატვრულ-საშემსრულებლო კოლექტივებს, ახალ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს. თავის მხრივ საქართველო გაეცნო პოლონეთის სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს, მომღერლებს, კინოფილმებს და სხვ.[12]. ამ კვირეულებმა ხელი შეუწყეს პოლონელი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

1966 წლის 18 – 28 აგვისტოს ქართული კულტურის დეკადა ჩატარდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. მას წინ უსწრებდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის საბალეტო დასის გამოსვლა სეგედის საზაფხულო ფესტივალზე. ქართული კულტურის დღეებში ბუდაპეშტში, დებრეცენში, გიორში, ვესპრიმსა და პეჩში უჩვენეს ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმები. ბუდაპეშტში გაიხსნა ქართული ფერწერის, გრაფიკისა და მხატვრული კერამიკის გამოფენა, უნგრულ ენაზე დაიბეჭდა ქართველი პოეტების ლექსები. მოეწყო კონკურსი თემაზე: „ჩვენი მეგობარი საქართველო“. საპასუხოდ 1967 წელს 15 – 24 სექტემბერს საქართველოში ჩატარდა უნგრეთის კულტურის დღეები, რომელშიც მონაწილეობდნენ ბუდაპეშტის საოპერო თეატრის სოლისტები, მუსიკოს-შემსრულებლები, კინემატოგრაფისტები, მოეწყო უნგრული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა[13].

1967 წლის 26 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე საქართველოში პირველად ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები, რომელიც საბჭოთა და გერმანელი ხალხების მიერ სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებული მიღწევების ნათელ დემონსტრაციად, მეგობრობის ზეიმად გადაიქცა. კულტურის დღეებში მონაწილეობდნენ დრეზდენის სიმფონიური და კამერული ორკესტრები, ქ. ჰალეს მადრიგალისტები, სხვა მუსიკოს-შემსრულებლები. კულტურის ამ დღეების გერმანელ მონაწილეთა კოლექტივის ხელმძღვანელი ამბობდა: „საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები კიდევ უფრო დაგვაახლოებენ, გაამდიდრებენ ჩვენს აზრებსა და ცოდნას, განამტკიცებენ ჩვენს მეგობრობას და ძმობას“[14]. ორი წლის შემდეგ, 1969 წლის ნოემბერში, ჩატარდა ქართული კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც გაიმართა ქართული სიმღერის, ცეკვის, სიმფონიური, კამერული და საესტრადო კონცერტები, ქართული

კინოფილმების ფესტივალი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების გამოფენები[15].

1970 წლის 22 თებერვალს იტალიაში, ქალაქ პალერმოში, დაიწყო „საბჭოთა კავშირის კვირეული“ – საქართველოს რესპუბლიკის დღეები, რომელიც იტალია-სსრ კავშირის საზოგადოების ინიციატივით მოეწყო. იტალიელებს მოეწონათ მოცეკვავეთა ანსამბლი „სალაღობო“, თვითმოქმედი ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“, ფოტოგამოფენა „საბჭოთა საქართველო“, გამოჩენილი ქართველი მხატვრების ნიკო ფიროსმანაშვილის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანისა და სხვა მხატვართა ტილოები, კერამიკისა და ჭედურობის გამოფენა. იმავე წლის 15 ოქტომბრიდან კი საბჭოთა კავშირში, კერძოდ, მოსკოვსა და თბილისში, მოეწყო იტალიის კულტურის კვირეული, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საფრანგეთის კულტურის დეკადა (1969 წლის 17 – 27 სექტემბერი)[16]. ეს იყო ფრანგული კინოფილმების ფესტივალი და ფრანგული მუსიკის კონცერტები. ამ დღეების საპასუხოდ 1970 წლის ოქტომბერში საფრანგეთში გაიმართა ქართული კულტურის ერთთვიური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამმა მხატვრულმა კოლექტივმა: - საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ხალხური სიმღერების ანსამბლმა „გორდელამ“ და ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ორერამ“. მოეწყო ქართული გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა და ქართული წიგნის გამოფენები, თემატური ფოტოგამოფენები. ეს იყო ქართველი მსახიობების პირველი გამოსვლა საფრანგეთში, მის 25 ქალაქში, მათ შორის ტულუზაში, ნიცაში, ბორდოში, მონპელიეში და ა. შ. ნაჩვენები იქნა ქართული ფილმები. საქართველოს დელეგაციაში მონაწილეობდა ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი ს. ზაქარიაძე. ფრანგული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართული კულტურის დღეებს, რომელიც დამთავრდა პარიზში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავისამდი მიძღვნილი სადღესასწაულო საღამოთი.

თბილისსა და საარბრიუკენს შორის 1972 წლის 14 ივლისს დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა არა მარტო ცალკეულ შემსრულებელთა ან კოლექტივების გაცვლით გასტროლებს, არამედ ეროვნულ კულტურათა მიღწევების ურთიერთგაცნობას, მათ დაახლოებას. ქართული კულტურა ამ კვირეულში წარმოდგენილი იყო მასშტაბურად და მრავალფეროვნად. გერმანული პრესა აღნიშნავდა, რომ ქართული საბჭოთა კულტურის კვირეულის ფართო პროგრამა წარმოდგენას უქმნის გერმანელ ხალხს ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე[17]. კვირეულის ცენტრში იყო ქართული ოპერა. შედგა ო. თაქთაქიშვილის „მინდიას“ პრემიერა (ავტორის დირიჟორობით). ეს იყო მეორე ოპერა, რომელიც საარლანდის თეატრში

დაიდგა. საინტერესოა ისიც, რომ ქართული კლასიკური ოპერა, ზ. ფალიაშვილის „დაისი“, საარლანდის თეატრმა გაიტანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარეთ, კერძოდ, ლუქსემბურგში 1974 წლის აპრილში. საარლანდის თეატრში 1975 წელს დაიდგა ზ. ფალიაშვილის მეორე ოპერა „აბესალომ და ეთერი“. უფრო ადრე კი იგი დაიდგა პოლონეთში, ლოძის საოპერო თეატრში (დირიჟორი ჯ. კახიძე, რეჟისორი გ. მელივა). თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე კი რ. ვაგნერის ოპერა „ლოენგრინი“ განახორციელა საარბრიუკენის თეატრის გენერალურმა დირექტორმა ჰერმან ვედეკინდმა. ამით საფუძველი ჩაეყარა ორი საოპერო თეატრის შემოქმედებითს თანამშრომლობას.

მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ 1973 – 1974 წლებში საარბრიუკენში დაიდგა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც თბილისიდან მივლინებულმა სადადგმო ჯგუფმა (რეჟ. რ. სტურუა და თ. ჩხეიძე) განახორციელა და რ. ებრალიძის „გზა მზისკენ“ („თანამედროვე ტრაგედია“), რომელიც მთლიანად გერმანელ მსახიობთა ძალებით იქნა წარმოდგენილი. საინტერესო მოვლენა იყო „სამანიშვილის დედინაცვლის“ წარმოდგენა კვირეულის ერთ საღამოს ორჯერ – გერმანული და ქართული დასების მიერ, რაც საბჭოთა და გერმანელი ხალხების დაახლოების სიმბოლოდ იქცა.

გერმანელი მაყურებელი აღაფრთოვანა ქართული ვოკალური სკოლის შესანიშნავი წარმომადგენლების ც. ტატიშვილის და ზ. სოტკილავას, დრამის მსახიობების გ. გეგეჭკორის, რ. ჩხიკვაძისა და სხვათა ხელოვნებამ. გერმანული პრესის ერთ-ერთ გამოხმაურებაში ნათქვამი იყო, რომ „ქართული ხელოვნება სხვა ურთიერთობათა ჩარჩოებს განეკუთვნება, ვიდრე ჩვენი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ მისგან ზოგი რამ“[18].

კვირეულში მონაწილეობდა ვოკალური ანსამბლი „რუსთავი“ ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. მას ახლდა ქართული ხალხური საკრავების ტრიო და მოცეკვავეთა ანსამბლი „სალხინოდან“. ამ ანსამბლმა გერმანელი მსმენელი მოხიბლა საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქართული თვითმყოფადი საგუნდო მუსიკალური ხელოვნებით. დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს. ერთ-ერთი გერმანელი რეცენზენტი აღნიშნავდა: „ქართული მუსიკა თავისი გზით ვითარდება, ამკვიდრებს რა თავის ეროვნულ თვითმყოფადობას, იგი ამავე დროს ინტერნაციონალური გამოცდილების გზით ითვისებს ყოველივე პროგრესულს, რაც მსოფლიოში ხდება, თუმცა პირველ პლანზე მაინც თავის ეროვნულ მეობას აყენებს. ეს კი საინტერესოს ხდის მას როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ“[19].

საარლანდის სახელმწიფო თეატრის მცირე სცენაზე ჩატარდა „ქართული პოეზიისა და კამერული მუსიკის საღამო“. მსმენელი მოხიბლა გ. საღარაძის მხატვრულმა კითხვამ გუნდის თანხლებით. ფოიეში მოეწყო ქართული თეატრალური მხატვრობის გამოფენა. წარმოდგენილი იყო 100 სასცენო

დადგმის ესკიზი. კვირეულთან დაკავშირებით შეიქმნა საცნობარო და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა, რომელიც გამოიცა როგორც ჩვენში, ასევე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

საარბრიუკენში „ქართული საბჭოთა კულტურის კვირეულის“ ჩატარებამ ხელი შეუწყო არა მარტო კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, არამედ ქალაქების თბილისისა და საარბრიუკენის დაძმობილებას.

კულტურის დეკადებისა და კვირეულების ჩატარებას საზღვარგარეთ და ჩვენში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურისა და განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს კულტურული მიღწევების გაცნობისა და ქართული კულტურის ახალი აღმავლობისათვის.

ქართული კულტურის მიღწევების პოპულარიზაციას, მის გამდიდრებას მოძმე საბჭოთა ხალხებისა და უცხოეთის ქვეყნების კულტურული მონაპოვრების გაცნობის გზით ხელს უწყობდა ის მუშაობა, რომელსაც ახორციელებდნენ ამ პერიოდში შექმნილი უცხოეთთან კულტურული კავშირისა და მეგობრობის მთელი რიგი რესპუბლიკური ორგანიზაციები და საზოგადოებანი: საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება (1959), საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება (1959); გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა კავშირის საზოგადოების საქართველოს განყოფილება (1967). აღნიშნულ დაწესებულებათა მეოხებით ფართოვდებოდა კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებში. შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირების საქართველოს საზოგადოება (1964).

60-70-იან წლებში საქართველოს თეატრები თავიანთ რეპერტუარში კვლავინდებურად დიდ ადგილს უთმობდნენ მოძმე საბჭოთა ხალხების კლასიკურ და თანამედროვე დრამატურგიას. მაგალითისათვის უნდა დავასახელოთ ცნობილი უკრაინელი დრამატურგის ა. კორნეიჩუკის გმირულ-ჰეროიკული პიესა „ხსოვნა გულისა“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში. ამ დრამატურგის მოღვაწეობამ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა არა მარტო უკრაინულ, არამედ ქართულ თეატრზეც. მეორე მხრივ, ქართული დრამატურგიის ნიმუშებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების თეატრების რეპერტუარში. კიევის ლესია უკრაინკას სახელობის თეატრმა 1972 წ. მიიწვია ქართული სადადგმო ჯგუფი ო. იოსელიანის პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ დასადგმელად. ინტერესი ამ პიესისადმი განაპირობა იმან, რომ იგი ეხება ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის ზოგად აქტუალურ პრობლემებს. ეს პიესა გადიოდა საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სცენაზეც. ტალინის ახალგაზრდობის თეატრში წარმატებით სარგებლობს დიდი

ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. თეატრალური კავშირების გაფართოებისათვის ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან 1973 წელს დაარსებული „მეგობრობის თეატრი“, რომლის საშუალებით ქართველი მაყურებელი ეცნობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა სასცენო ხელოვნებას. ამ თეატრის მოწვევით თბილისში სპექტაკლები უჩვენეს მოსკოვის სამხატვრო თეატრმა, სატირის თეატრმა, „მოსსოვეტის“ სახელობის თეატრმა, ლენინგრადის გორკის სახელობის დიდმა დრამატულმა თეატრმა და სხვ. ამან ხელი შეუწყო შემოქმედებითი მეგობრობის განმტკიცებას ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან თეატრებს შორის.

თეატრალური კონტაქტების გაფართოების საუკეთესო საშუალებაა თეატრალური კოლექტივების გასტროლები. ამ პერიოდში საქართველოს წამყვანი თეატრები ესტუმრნენ მოსკოვს, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქებსა და კულტურულ ცენტრებს. 1960 წელს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასი მოსკოვს მეექვსედ, ხოლო კიევს მეორედ ეწვია. გასტროლები მრავალმხრივ საგულისხმო იყო ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის. 1962 წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი ჩავიდა მოსკოვსა და რიგაში, სადაც დიდი ინტერესით მიიღეს ქართველი რეჟისორების, მსახიობების, თეატრალური მხატვრებისა და კომპოზიტორების ხელოვნება. იმავე წელს თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულმა დრამატულმა თეატრმა გასტროლები გამართა ქ. გორკში, 1968 წლის თებერვალში კი ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრმა ორი სპექტაკლი უჩვენა კრემლის თეატრის სცენაზე[20]. მოსკოვში იმართებოდა ქართველ მსახიობთა შემოქმედებითი საღამოებიც. 1966 წლის ივნისში სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ოდესაში მაყურებელს უჩვენა 7 სპექტაკლი, რომელთაგან 2 გადაიცა ტელევიზიით. ამავე თეატრის ქართულ დასს 1974 წელს სექტემბერ-ოქტომბერში გასტროლები ჰქონდა ქ. ნიკოლაევში. ვ. დარასელის „კიკვიძე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უკრაინელმა მსახიობებმაც, მიდიოდა ქართულ და უკრაინულ ენებზე. ორი თეატრალური კულტურის ასეთი შეხვედრა ხელს უწყობდა თეატრალური კონტაქტების ტრადიციების გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებას, ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

1960 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოზარდ მაყურებელთა თეატრების რიგით მესამე დათვალიერება, რამაც ხელი შეუწყო თეატრების მუშაობის გაუმჯობესებას, თეატრალური კოლექტივების დაახლოებას. ხშირად ეწყობოდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პლენუმები სომხეთისა და აზერბაიჯანის თეატრალურ საზოგადოებებთან ერთად, რომელზედაც განიხილებოდა რეჟისურის, თანამედროვე დრამატურგიისა და თეატრალური კრიტიკის პრობლემები.

თეატრალური კავშირების განვითარებაში მონაწილეობდნენ არა მარტო პროფესიული, არამედ სახალხო თეატრებიც. მაგალითად, დიდი ოქტომბრის

სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით 1967 წელს გამართულ სახალხო თეატრების საკავშირო ფესტივალში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სახალხო თეატრს ფესტივალის დიდი მედალი და ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ქართული თეატრების გასტროლებთან ერთად, საქართველოშიც ხშირად მართავდნენ სპექტაკლებს მომმე რესპუბლიკების თეატრალური კოლექტივები. 1962 წლის ივნისში თბილისში გამოდიოდა მოსკოვის სახელგანთქმული თეატრი „სოვრემენიკი“, 1964 წელს – მოსკოვის „მცირე თეატრი“, 1965 წელს – რიგის რუსული დრამის თეატრი და სხვ.

60 -70-იან წლებში ქართული თეატრების გასტროლები გასცდა სსრ კავშირის ფარგლებს და იგი საზღვარგარეთაც მოეწყო. 1967 წელს შედგა რუსთაველის სახ. თეატრის გასტროლები რუმინეთში[21], ხოლო 1970 წლის მაისში – გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ბერლინში, დრეზდენსა და ლაიპციგში ქართულმა თეატრმა გერმანელ მაყურებელს უჩვენა სპექტაკლები „სამანიშვილის დედინაცვალი“, „სიბრძნე-სიცრუისა“ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით და ანტიკური პიესა „ანტიგონე“, აგრეთვე ნაწყვეტები უახლესი თეატრალური რეპერტუარიდან. გერმანულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართული თეატრის ტრადიციებს, არტისტიზმსა და შესანიშნავ ანსამბლურობას. გაზ. „ნოიეს დოიჩლანდი“ წერდა: „დიდი სახალხო თეატრი, რომლის სპექტაკლებშიც ძველი ტრადიციული ხელოვნების ელემენტებთან ჰარმონიულადაა შერწყმული თანამედროვე გამოსახვის ახალი ფორმები, აი ასეთად წარმოგვიდგა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „ბერლინერ ანსამბლის სცენაზე“[22].

ფრიად საინტერესო მოვლენა იყო 1960 წლის აპრილში პოლონეთში კრაკოვის რაფსოდიის თეატრის მიერ განხორციელებული „ვეფხისტყაოსნის“ დადგმა. ამ თეატრს, რომელიც ძირითადად მსოფლიო ლიტერატურის კლასიკურ პოეტურ ნაწარმოებებს დგამს, უწოდებენ კლასიკური პოემის თეატრს. „ვეფხისტყაოსანი“, რომლის, თეატრისათვის საჭირო, ადგილები თარგმნა ცნობილმა პოლონელმა პოეტმა ეჟი ზაგურსკიმ ქართველ მეცნიერთა დახმარებით, დიდი მოწონებით მიიღო პოლონელმა მაყურებელმა. ამ ფაქტმა, რომელშიც უდავოდ გამოვლინდა ამ პოემის საერთაშორისო აღიარება, კიდევ ერთი ფურცელი შემატა საქართველო-პოლონეთის კულტურული ურთიერთობის მატიანეს.

განსახილველ პერიოდში არაერთი თეატრალური დასი ეწვია საგასტროლოდ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაც. 1966 წელს თბილისში ჩამოვიდა ფრანგული თეატრი „ატელიე“, რომელმაც 4 სპექტაკლი უჩვენა. 1967 წელს სპექტაკლები გამართა ათენის სამხატვრო თეატრმა, ხოლო 1971 წელს ბრეხტის თეატრმა „ბერლნერ ანსამბლმა“. მსოფლიოში სახელგანთქმული ამ თეატრალური კოლექტივების ხელოვნების გაცნობა ფრიად სასარგებლო იყო ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის, მან

ხელი შეუწყო პროფესიული თეატრალური გამომსახველობითი ხერხების გამდიდრებასა და დახვეწას.

ქართული კინემატოგრაფია 50-იანი წლების ბოლოდან კინოფესტივალებში მონაწილეობის გზით უფრო ფართოდ გამოდიოდა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე. გაფართოვდა ქართველ კინომოღვაწეთა კონტაქტები გამოცდილების გაზიარების მიზნით მოძმე რესპუბლიკების კოლეგებთან. შეხვედრები მოეწყო სომეხ კინემატოგრაფისტებთან 1959 წლის სექტემბერში, როდესაც ერევანში ჩატარდა კინოსტუდია "ქართული ფილმის" ნაწარმოებთა ფესტივალი. ასეთი შემოქმედებითი კავშირები ხელს უწყობს კინოხელოვნების ურთიერთდაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას.

არაერთმა ქართულმა ფილმმა მოიპოვა წარმატება საკავშირო კინოფესტივალებზე. მაგალითად, 1959 წელს საბჭოთა ფილმების ფესტივალზე ქ. მინსკში დაჯილდოვდა ქართული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი" (რეჟისორი შ. მანაგაძე), 1964 წ. ლენინგრადში გამართულ კინოფესტივალზე წარმატება ხვდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოებს „თეთრ ქარავანს" (რეჟისორები ე. შენგელაია და თ. მელიავა).

ამ პერიოდში საქართველოშიც ჩატარდა რამდენიმე კინოფესტივალი. კერძოდ, 1967 წელს თბილისში მოეწყო უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფილმების დათვალისერება-კონკურსი „ძმობისა და მეგობრობის" ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა 1965 – 1967 წლებში შექმნილი 40 საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიპლიკაციური ფილმი. პირველი ხარისხის დიპლომი და ფესტივალის პრიზი „პრომეთეოსის თასი" მიენიჭა ქართულ ფილმს „შეხვედრა წარსულთან" (რეჟისორი ს. დოლიძე), ფესტივალის დიპლომით აღინიშნა ისტორიულ მასალაზე შექმნილი ფილმი „მაცი ხვიტია" (რეჟისორი გ. შენგელაია). ფესტივალის ზოგიერთ მონაწილეს გადაეცა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები[23].

ფრიად მდიდარია საერთაშორისო ფესტივალებზე ქართული ფილმების მონაწილეობის ამ პერიოდის მატიანე. 1959 წელს ვენეციის საერთაშორისო ფესტივალზე საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა ქართული ფილმი „ოთარაანთ ქვრივი" (რეჟისორი მ. ჭიაურელი). ფილმმა „ხევსურული ბალადა" (რეჟისორი შ. მანაგაძე) პირველი პრემია მიიღო ლოკარნოს კინოფესტივალზე, ხოლო 1967 წელს კანის საერთაშორისო ფესტივალზე ორი სხვადასხვა პრემია დაიმსახურა. კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოებმა „სხვისი შვილები" (რეჟისორი თ. აბულაძე), რომელიც მონაწილეობდა 4 საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1959 წელს ლონდონში აღიარებულ იქნა წლის ერთ-ერთ საუკეთესო კინონაწარმოებად და დაჯილდოვდა დიპლომით, 12 უცხოურ ფილმს შორის საპატიო სიგელით აღინიშნა იგი 1959 წელსვე საერთაშორისო ფესტივალზე ჰელსინკში; მოწონებით მიიღეს ეს ფილმი 1961 წელს ტაშკენტში

ჩატარებულ აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ფესტივალზე, ხოლო 1965 წელს – თეირანის კინოფესტივალზე, სადაც მას პირველი პრემია მიენიჭა. წარმატება ხვდა წილად კინოფლიმ „თეთრ ქარავანს“, აგრევთე კინოფილმ „ფატიმას“ (რეჟისორი ს. დოლიძე), რომელიც დუბლირებულ იქნა არაბულ ენაზე და გადიოდა მსოფლიოს 52 ქვეყნის ეკრანზე. ეს ფილმი ნაჩვენები იქნა 1960 წ. კაიროში სხვა საბჭოთა ფილმებთან ერთად, 1961 წელს ბეირუთში ჩატარებულ საბჭოთა ფილმების ფესტივალზე, ხოლო 1965 წელს ტუნისში გამართულ საბჭოთა ფილმების კვირეულის დროს. მანვე 1967 წელს კანის ფესტივალზე ორი პრემია მიიღო[24].

1966 – 1969 წლებში პარიზის კინოეკრანებზე უჩვენეს რამდენიმე ქართული მხატვრული ფილმი: „ხევსურული ბალადა“, „ჯარისკაცის მამა“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ქორწილი“, „ქოლგა“, რომლებიც გადაიცა იტალიის, ჰოლანდიის, დანიის, ნორვეგიის, შვეციისა და შვეიცარიის ტელევიზიითაც[25]. ფილმმა „ქორწილი“ მიიღო უმაღლესი ჯილდოები (რეჟისორი მ. კობახიძე) 1966 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ობერჰაუზენისა და 1966 წელს კანის კინოფესტივალებზე[26].

ყველაზე დიდი წარმატება საერთაშორისო ეკრანზე წილად ხვდა „ჯარისკაცის მამას“ (რეჟისორი რ. ჩხეიძე). ამ ფილმმა 1965 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვების შემდეგ ტრიუმფით მოიარა აშშ-ის, იაპონიის, ინგლისის, ინდოეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკრანები, ბევრი დაიწერა ამ ფილმისა და ჯარისკაცის მამის როლის ბრწყინვალე შემსრულებლის ს. ზაქარიაძის შესახებ საკავშირო და უცხოეთის პრესაში. ს. ზაქარიაძეს ამ როლის შესრულებისათვის ლენინური პრემია მიენიჭა.

1974 წელს სან-რემოს (იტალია) საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი პრემია მიენიჭა ფილმს „ვედრება“ (რეჟისორი თ. აბულაძე). წლის საუკეთესო ფილმად იქნა აღიარებული ფილმი „ფიროსმანი“(რეჟისორი გ. შენგელაია), რომელიც მთავარი პრიზით დაჯილდოვდა ჩიკაგოს კინოფესტივალზე, ხოლო ფილმი-მუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ (რეჟისორი გ. შენგელაია) სან-სებასტიანის (ესპანეთი) ტრადიციულ კინოფესტივალზე პრიზით აღინიშნა.

1975 წლის 21 თებერვლიდან 1 მარტამდე დასავლეთ ბერლინში გაიმართა ქართული ფილმების კვირეული, რომელზედაც უჩვენეს 10 ფილმი, მათ შორის საქართველოს კინოსტუდიის პირველი პერიოდის კლასიკური ფილმები და თანამედროვე კინონამუშევრები „დიდი მწვანე ველი“(რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი), „როცა აყვავდა ნუში“ (რეჟისორი ლ. ღოღობერიძე) და სხვ.

სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებთან ერთად ჯილდოებით აღინიშნა რამდენიმე ქართული სამეცნიერო-პოპულარული, დოკუმენტური, ნახატი და თოჯინური ფილმი. მაგალითად, 1963 წელს სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ქართული ფუტკარი“ (რეჟისორი ე. კანდელაკი)

მონაწილეობდა მეფუტკრეობის პირველ საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით ბუქარესტში გამართულ კინოფესტივალში და დაჯილდოვდა დიდი პრიზითა და პირველი ხარისხის დიპლომით. სპეციალური პრიზით და დიპლომით დაჯილდოვდა 1965 წელს დოკუმენტური ფილმი „მეხუთე კონტინენტის გზა“ (რეჟისორი გ. ასათიანი), ხოლო 1960 წელს სან-ფრანცისკოს ფესტივალზე – ქართული ნახატი ფილმი „საყვირის შემდეგ“ (რეჟისორი ვ. ბახტაძე).

საქართველოში ჩატარდა უცხოური ფილმების რამდენიმე კინოფესტივალი, კერძოდ, 1967 წელს ნოემბერში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კინოფესტივალი, იმავე წლის დეკემბერში კი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გაიმართა იაპონური მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. იმავე დროს იაპონიის ქალაქებში მიმდინარეობდა საბჭოთა ფილმების ფესტივალი. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იაპონიისა და საბჭოთა ხალხების კულტურული კონტაქტების გაფართოებაში.

60-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში ხშირად ეწყობა სატელევიზიო ფილმების ფესტივალებიც. ერთ-ერთი ასეთი სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი ჩატარდა თბილისში 1975 წლის 17 – 26 ნოემბერს. იგი მიეძღვნა სკკპ XXV ყრილობას. საკონკურსოდ გამოტანილი იყო 87 ტელეფილმი, მათ შორის 19 მხატვრული, 52 დოკუმენტური და 16 მუსიკალური ტელეფილმები. მიუხედავად ჟანრული, თემატური და მხატვრული სხვადასხვაობისა, ყველა ეს ფილმი ასახავდა თანამედროვეობას. ფესტივალის დღეებში იმართებოდა შემოქმედებითი დისკუსიები, სჯა-ბაასი კინოხელოვნების აქტუალურ საკითხებზე, შეხვედრები საბჭოთა და უცხოელ კინომოღვაწეებთან. ტელეფილმების თბილისის ფესტივალის დიდ პრიზი დაიმსახურა მხატვრულ ტელეფილმებს შორის ა. პ. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიის მრავალსერიანმა ტელეფილმმა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, დოკუმენტურ ფილმებს შორის ქართულმა ტელეფილმმა „ჩარხმშენებლები“, ხოლო მუსიკალური ტელეფილმებიდან – გაერთიანება „ეკრანის“ ტელეფილმმა „დიმიტრი შოსტაკოვიჩი“[27].

60 – 70-იან წლებში გაფართოვდა კონტაქტები მუსიკალური ხელოვნების დარგში. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგამდიდრების ერთ-ერთი ფორმა კვლავინდებურად იყო „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“, 1965 წელს ჩატარდა მეორე, ხოლო 1975 წელს მესამე „მუსიკალური გაზაფხული“[28]. ყოველ მათგანს თავისი დამახასიათებელი თავისებურებანი ჰქონდა, რადგან აჯამებდა დროის გარკვეულ მონაკვეთში ეროვნულ მუსიკალურ კულტურათა მიღწევებს. მაგალითად, მესამე „მუსიკალურ გაზაფხულზე“ წარმოდგენილი იყო მუსიკალური ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოები. ეს ტრადიციული ფესტივალები ხელს

უწყობდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხების თანამშრომლობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მათ დაახლოებას.

სისტემატური ხასიათი მიიღო მოძმე რესპუბლიკების ახალი საოპერო და საბალეტო საშემსრულებლო ძალების ურთიერთგაცვლამ, რითაც კიდევ უფრო მტკიცდებოდა მათი შემოქმედებითი კავშირები. 1963 წლის ზაფხულში ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი საგასტროლოდ ეწვია ერევანსა და ბაქოს, იმავე დროს თბილისში ა. სპენდიაროვის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის და მ. ახუნდოვის სახელობის ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეატრებმა თბილისელ მაყურებელს უჩვენეს საოპერო და საბალეტო სპექტაკლები.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ქართული საოპერო მუსიკის ფართოდ გასვლა როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საზღვარგარეთის საოპერო ხელოვნების სარბიელზე. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩაეყარა საძირკველი უკრაინელი და ქართველი მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ტრადიციას. თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე იდგმებოდა უკრაინული საოპერო სპექტაკლები. 1972 წლის მაისში ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე აჟღერდა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომლის განხორციელებისათვის უკრაინის ხელოვნების ოსტატებს მიენიჭათ დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება. იმავე წელს ნ. ლისენკოს სახელობის ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, ხოლო 1973 წლის გაზაფხულზე თბილისის საოპერო თეატრში ამავე ოპერის დადგმაში მონაწილეობდნენ ხარკოვის ოპერის სოლისტები და დირიჟორი. ქართველმა მაყურებელმა თვალნათლივ დაინახა, თუ რა დიდი მუშაობა გასწიეს უკრაინელი ხელოვნების მუშაკებმა ქართული ეროვნული მუსიკის სპეციფიკურ სირთულეთა დასაძლევად.

უკანასკნელ წლებში ტრადიციად იქცა ქართული როგორც საოპერო, ასევე სიმფონიური, კამერული და საესტრადო მუსიკის კონცერტებისა და საღამოების გამართვა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრებში. კომპოზიტორთა შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებისა და მათი ნაწარმოებების მუსიკის მოყვარულთა ფართო მასებში პოპულარიზაციის მიზნით საძირკველი ჩაეყარა გაცვლითი კონცერტების მოწყობას ლენინგრადსა და თბილისში. ასეთი კონცერტი პირველად გაიმართა 1963 წლის დეკემბერში, როდესაც ლენინგრადში ქართველ მუსიკოსთა ჯგუფმა მოაწყო ორი სიმფონიური და ერთი კამერული მუსიკის კონცერტი. ქართველი კომპოზიტორები შეხვდნენ ლენინგრადის რამდენიმე მსხვილი სამრეწველო საწარმოს მშრომელებს, ლენინგრადში მოღვაწე ცნობილ საბჭოთა კომპოზიტორებს[29].

არაერთი ქართველი ხელოვანი მოღვაწეობდა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. მაგალითად, 1960 წლიდან

რამდენიმე სეზონის განმავლობაში კიევის საოპერო თეატრის სცენაზე გამოდიოდა ლ. ჭყონია. მან მონაწილეობა მიიღო იმავე წელს მოსკოვში გამართულ უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაშიც. ცნობილი ქართველი დირიჟორი ჯ. კახიძე მუშაობდა ქ. ლოძის (პოლონეთი) საოპერო თეატრში, სადაც 1972 წლის ივნისში მისი დირიჟორობით და გ. მელივას რეჟისორობით დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელშიც მთავარ პარტიებს ასრულებდნენ პოლონელი მომღერლები.

მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1975 წლის მარტში სლოვაკიაში ჩატარებული ქართული მუსიკის კონცერტები, რომელშიც მონაწილეობდა გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა ვოკალური ანსამბლი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვიოლონჩელისტი ი. ჭეიშვილი, საქართველოს სიმებიანი კვარტეტი. ბრატისლავაში ქართული მუსიკის დღეებში შესრულდა ო. თაქთაქიშვილისა და სხვა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ამას დაემთხვა საბჭოთა დრამატურგიის ფესტივალიც, რომელშიც მონაწილეობდა რუსთავის სახელმწიფო თეატრი.

ქართველი მომღერლები და მუსიკოს-შემსრულებლები გამოდიოდნენ რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, კუბაში და სხვა ქვეყნებში. ირანში, რუდაქის სახელობის თეირანის ოპერისა და ბალეტის თეატრში ცნობილმა ქართველმა ბალეტმეისტერმა ვ. ჭაბუკიანმა 1972 წელს დადგა პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა“[30].

საქართველოს საგასტროლოდ ეწვია არაერთი სახელგანთქმული საბალეტო დასი. 1960 წელს სექტემბერში თბილისში გამოდიოდა ამერიკული „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ დასი თანამედროვეობის გამოჩენილი ბალეტმაისტერის ჯორჯ ბალანჩინის (გიორგი ბალანჩივაძე) ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივის გასტროლები კვლავ გაიმართა თბილისში 1972 წლის ოქტომბერში[31].

კულტურის დარგში თანამშრომლობისა და გაცვლის შესახებ დადებული შეთანხმების შესაბამისად 1961 წელს თბილისს ესტუმრა ცნობილი ფრანგი ქორეოგრაფი, ბალეტ „შოთა რუსთაველის“ დამდგმელი საფრანგეთში სერჟ ლაფარი. 1965 წელს კი თბილისში გასტროლები გამართა კუბის ეროვნულმა საბალეტო კოლექტივმა, რომელმაც უჩვენა როგორც კლასიკური, ასევე ეროვნულ ფოლკლორზე შექმნილი სახასიათო ცეკვები.

ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები, სოლისტები, მხატვრული კოლექტივები, ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები და ჯგუფები მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ ჩატარებულ მთელ რიგ საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში. მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები გახდნენ ლ. ისაკაძე, მ. მდივანი, ნ. იაშვილი, რ. გვასალია, მ. ხვიტია, მ. დოიჯაშვილი, ნ. ჭირაქაძე, მომღერლები მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, ზ. სოტკილავა და სხვ.

საქართველოს სსრ მევიოლინეთა სახელმწიფო დამსახურებულ კვარტეტს მოწონება ხვდა ჩეხოსლოვაკიასა (1961) და ავსტრიაში (1963). 1974 წელს ანსამბლმა კონცერტები გამართა აშშ-ის 58 ქალაქში. მასთან ერთად გამოდიოდა ვოკალური ჯგუფი „გორდელა“[32]. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა კონცერტები გამართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში (1968). ეს იყო ანსამბლის პირველი გასვლა საზღვარგარეთ[33]. საქართველოს სიმფონიური ორკესტრი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „ორერა“, „ივერია“, „დიელო“, „აისი“ იყვნენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ჰოლანდიელები მოხიბლა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „მზიურმა“, რომელსაც კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

მილიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთში, საქართველოს ხალხური ცეკვის აკადემიურ ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ანსამბლმა 60 – 70-იან წლებში მოიარა აშშ, კანადა, მექსიკა, პერუ, კუბა, ვენესუელა, ინდოეთი, ეთიოპია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ინგლისი და სხვა ქვეყნები. საგულისხმოა რომ ინგლისში მათი ტრიუმფალური გამოსვლების გამო ქ. სანდერლენდის ერთ-ერთ ქუჩას საქართველოს ქუჩა ეწოდა[34].

კულტურული კონტაქტების გაფართოება-განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მარტო პროფესიული, არამედ თვითმოქმედი კოლექტივებიც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ასეთი ფაქტი. 1970 წელს საფრანგეთის ქ. კონფოლანში ჩატარებულ ფოლკლორის ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალში, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 17 ქვეყნის მხატვრული კოლექტივი, საბჭოთა კავშირი წარმოადგინა თვითმოქმედმა ვოკალურ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სალხინომ“. მან მოიპოვა პირველი პრემია და ფესტივალის ლაურეატის წოდება. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს მხატვრული თვითმოქმედების ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 1963 წელს ჰელსინკში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მერვე მსოფლიო ფესტივალში. ანსამბლის გამოსვლების მაღალი შეფასების მაჩვენებელი იყო ანსამბლის წევრების ოქროს მედლებით დაჯილდოება.

წლითიწლობით იზრდებოდა საქართველოში საგასტროლოდ ჩამოსული საზღვარგარეთელი მსახიობების რაოდენობა. 1973 წელს რესპუბლიკაში თავისი ხელოვნება უჩვენა 271, 1974 წელს – 332, ხოლო 1975 წელს – 349 უცხოელმა მსახიობმა[35].

შემოქმედებითი კულტურული კავშირები ხორციელდებოდა რადიოსა და ტელევიზიის დარგშიც, რადიო და ტელეპროგრამების გაცვლის, ერთობლივი გადაცემების ორგანიზაციის გზით.

კულტურული კავშირების გაფართოება-განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამხატვრო გამოფენები, რომელთა მოწყობამ 60 – 70-იან წლებში სისტემატური ხასიათი მიიღო. ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაწრმოებების გამოფენები ეწყობოდა როგორც მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში, ასევე საზღვარგარეთ. 1963 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ექსპონირებული იყო ქართული გრაფიკისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები. გამოფენაში მონაწილეობდნენ ქართული სახვითი ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები ლ. გუდიაშვილი, ს. მაისაშვილი, თ. ყუბანეიშვილი, ი. ოჩიაური, გ. გაბაშვილი, დ. ყიფშიძე, კ. გურული და სხვ.

1963 წლის სექტემბრის დამლევს ლიტვის სსრ დედაქალაქში ვილნიუსში გაიმართა ქართული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ცნობილი ქართველი მხატვრების უ. ჯაფარიძის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, ა. ქუთათელაძის, მოქანდაკე ე. ამაშუკელისა და სხვა ხელოვანთა ნაწარმოებები. თავის მხრივ ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები გაეცნენ ლიტველ ხელოვანთა შემოქმედებასაც. ამ შეხვედრების შემდეგ ლიტველები აღნიშნავდნენ, „თქვენმა ხელოვნებამ ჩვენ დაგვაახლოვა. მან საშუალება მოგვცა უფრო ღრმად შეგვეცნო თქვენი ცხოვრება, თქვენი ხალხი“[36]. ამავე ქალაქში 1975 წლის 20 თებერვალს გაიხსნა ქართველ ფერმწერთა ნამუშევრების გამოფენა. აქ ექსპონირებული იყო 100-მდე ტილო. გაიმართა ქართველ და ლიტველ მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა შეხვედრები.

60 – 70-იან წლებში საქართველოში მოეწყო მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მხატვართა არაერთი გამოფენა. 1963 წელს თბილისის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსული სახვითი ხელოვნების, ხოლო 1964 წელს ესტონეთის გრაფიკისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების გამოფენები.

ქართველი მხატვრები მონაწილეობდნენ უცხოეთის ქვეყნების გამოფენებში. კერძოდ, 1967 წელს ქართველ მხატვართა ნამუშევრები გაიგზავნა იაპონიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1968 წელს – ბულგარეთში და ა. შ. მოეწყო ცნობილი ქართველი მხატვრების პერსონალური გამოფენებიც, კერძოდ, 1959 წელს მოსკოვში გაიხსნა ცნობილი მხატვრის დ. კაკაბაძის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევართა გამოფენა[37]. განთქმული ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებს გაეცნო 1969 წელს ვარშავა, პრაღა და პარიზი, ხოლო 1971 წელს ბუდაპეშტი. 1975 წლის 23 იანვარს ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიხსნა ქართული ჭედური ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა.

არაერთი ქართველი მხატვარი ეწეოდა წლების მანძილზე შემოქმედებითს შრომას მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ისინი მონაწილეობდნენ ამ ქვეყნების მხატვართა კადრების აღზრდაში. ამ მხატვრების მიერ ვიეტნამის თუ მონღოლეთის პეიზაჟის, ისტორიულ მასალაზე და თანამედროვე ყოფაზე შექმნილმა მახტვრულმა ნაწარმოებებმა, ცხადია, გაამდიდრა ქართული ეროვნული სახვითი ხელოვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, მისი თანამედროვე ცხოვრება აისახა უცხოეთის მხატვართა ნამუშევრებშიც. 1962 წლის მაისში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ჩეხი მხატვრის იოზეფ რეიგას ნაწარმოებთა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო თბილისისა და ბათუმის პეიზაჟები. 1967 წელს თბილისში მოწყობილ პოლონელ მხატვართა გამოფენის დიდი ნაწილი მიეძღვნა საბჭოთა ქვეყანას, მის ქალაქებს, მათ შორის დღევანდელ თბილისს[38].

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოეწყო იუგოსლავიის თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების (1959), კანადის მხატვრების ნამუშევართა ავტორიზებული ფერადი რეპროდუქციების, XVI – XIX საუკუნეების ფრანგული ფერწერის ნიმუშების გამოფენები (1960), 1962 წელს – ამერიკელი მხატვრის როკუელ კენტის პერსონალური გამოფენა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენების მოწყობა კიდევ უფრო გაფართოვდა 70-იან წლებში. მარტო 1972 წლის პირველ ნახევარში თბილისში მოეწყო 19 უცხოური გამოფენა. 1973 წელს ფრიად საინტერესო კულტურულ მოვლენად იქცა იაპონიის ფერწერის, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნებისა და არქიტექტურის გამოფენა.

კულტურული კონტაქტების გაფართოებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფოტოგამოფენებს. დოკუმენტური ფოტოს საშუალებით მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელები, ასევე უცხოელები ეცნობოდნენ საქართველოს ცხოვრებას, მისი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს, თვით ფოტოხელოვნებასაც.

1969 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოეწყო ფოტოგამოფენა „საბჭოთა საქართველო“ და „ქართული ხუროთმოძღვრება“. ქართული ხელოვნება მონაწილეობდა ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობების იმ განყოფილებებში, რომლებიც კულტურულ კავშირებს ასახავენ. მაგალითად, 1975 წლის 5 – 26 მარტს ლიონის საერთაშორისო ბაზრობაზე საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული კავშირის განყოფილებაში გამოფენილი იყო თბილისისა და ზუგდიდის მუზეუმების ექსპონატები, თარგმნილი ლიტერატურა, ისტორიული დოკუმენტების ფოტოასლები, ი. ნიკოლაძისა და ლ. გუდიაშვილის მიერ საფრანგეთში შესრულებული ნამუშევრები.

ქართული კულტურის კონტაქტების გაფართოების უტყუარი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ქართული კულტურის საკითხებით

დაინტერესებულია არაერთი უცხოელი მკვლევარი. ქართულ ფილოლოგიაში მუშაობენ ჟ. გარიტი (ბელგია) , ი. ასფალგი (გერმანიის ფედერაციული რესპულიკა), ჰ. ფოგტი (ნორვეგია), ი. იედლიჩკა (ჩეხოსლოვაკია), ჰ. პეჩი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და სხვანი[39].

ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებულია არაერთი უცხოელი მკვლევარი. ქართულ ფოლკლორს სწავლობენ მ. იშტვანოვიჩი (უნგრეთი), ვ. გაშპარიკოვა (სლოვაკია), რ. სტივენსონი (ინგლისი) და სხვ. დიდი საკვლევაძიებო მუშაობა ჩაატარეს წინა თაობის მკვლევარებმაც, კერძოდ, რ. ბლაიხშტაინერმა (გერმანია), კ. კრონმა (ფინეთი), ა. ოლრიკმა (დანია) და სხვებმა[40]. დღეს ქართული ენა ისწავლება მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების უნივერსიტეტებში. მაგალითად, ჩიკაგოს (აშშ), სორბონის (საფრანგეთი), სტრასბურგისა და მიუნხენის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ლუვენის (ბელგია), ოსლოს (ნორვეგია), ციურიხის (შვეიცარია), იენის ფრ. შილერის სახელობის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში[41].

რესპუბლიკის საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებაზე მკაფიოდ მეტყველებს საქართველოს ქალაქების დამმობილება საზღვარგარეთის ქვეყნების მთელ რიგ ქალაქებთან. მაგალითად, თბილისი დამმობილებულია ქ. პალერმოსთან (იტალია), საარბრიუკენთან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ლიუბლიანასთან (სლოვენიის სოციალისტური რესპუბლიკა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა), ინსბრუკთან (ავსტრია), ქ. ბათუმი – ქ. ბლაგოევგრადთან (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა) და ა. შ. ქალაქების კავშირ-ურთიერთობის ეს ახალი ფორმა უდავოდ უწყობს ხელს საქალაქო ცხოვრების, სამეურნეო და კულტურული მიღწევების ურთიერთგაცნობას, სტიმულს აძლევს მათს შემდგომ დაწინაურებას და ემსახურება ხალხების ურთიერთდაახლოების საქმეს.

კულტურული კავშირების გაფართოება, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია 60 – 70-იანი წლებისათვის, ხელს უწყობს ეროვნულ კულტურათა გაცნობის გზით კულტურების ურთიერთგამდიდრებას. ამასთანავე დიდია მისი მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქისათვის, როდესაც საბჭოთა ხალხები და ასევე მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები ისწრაფვიან მშვიდობისაკენ, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობისაკენ.

*

* *

ტომში მეტ-ნაკლები სისრულით გაშუქებულია საბჭოთა საქართველოს ისტორიის სამი ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდი. პირველი ნაწილი მიძღვნილია საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლების საქართველოს ისტორიისადმი. დიდი სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის ცხოვრება მთლიანად გარდაიქმნა საომარ ყაიდაზე. 700 ათასზე მეტი მეომარი მისცა

საქართველომ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. ზურგის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად საქართველო გადაიქცა ფრონტის ერთ-ერთ არსენალად. ქართველმა ხალხმა თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიის, იმპერიალუისტური იაპონიისა და მათი სატელიტების განადგურებაში.

ტომის მეორე ნაწილი ასახავს მატერიალური წარმოების სფეროსა და ომის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისა და სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის.ბრძოლას. 50-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა სრულად და საბოლოოდ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის წარმატებები აისახა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში.

ტომის მესამე ნაწილი ასახავს მატერიალური წარმოების სფეროს და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის მიღწევებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და მისი სრულყოფის ეტაპზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მეთაურობით უახლოესი წარსულის ნეგატიური მოვლენების ამოძირკვისა და პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმებისა და პრინციპების, მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის, რომელიც გაიშალა 1972 წლის სექტემბრიდან. ამ უკომპრომისო და მიზანსწრაფული ბრძოლის წარმატების ნათელი დადასტურებაა საქართველოს სსრ შვიდგზის დაჯილდოება სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის არჩევა (1978 წლის ნოემბერი) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, აგრეთვე საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ლენინის ორდენით დაჯილდოება (1979 წლის ოქტომბერი).

საქართველოს მშრომელები უმაგალითო წარმატებებით შეხვდნენ სსრ კავშირის ახალი, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის მიღებას, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ახალ კონსტიტუციებს.

საქართველოს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და ინტელიგენციას, რომლებიც ერთსულოვნად მხარს უჭერენ რესპუბლიკაში

მორალურ-პორლიტიკური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღების კურსს, თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა ხალხის საერთო-სახალხო ბრძოლაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ახალი, გრანდიოზული გეგმების ხორცშესხმისათვის.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1971, გვ. 197 – 198.
[2] **ლ. ი. ბრეჟნევი,** ლენინური კურსით, ტომი 4, თბ., 1974, გვ. 64.
[3] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე 1976 წლის 20 ოქტომბერს თბილისში, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 4 დეკემბერი.
[4] **კ. მარქსი,** კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 8.
[5] გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 14 მაისი.

[6] Газ. «Заря Востока», 2 октября 1964 г.
[7] Газ. «Заря Востока», 7 ноября 1972 г.
[8] Газ. «Заря Востока», 26 декабря 1972 г.
[9] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975 წლის 27 ივნისი.

[10] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975 წლის 27 ივნისი.

[11] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, N 2.

[12] გაზ. „კომუნისტი“, 1959 წლის 21 ოქტომბერი; გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1959 წლის 29 სექტემბერი, 14 – 18 ოქტომბერი.
[13] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, N 9, გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1967 წლის 15 – 16, 24 სექტემბერი.
[14] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, N 12.
[15] Газ. «Заря Востока», 4 ноября 1969 г.
[16] Газ. «Заря Востока», 16 сентября 1969 г.
[17] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, N 9, გვ. 42.
[18] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, N 9, გვ. 62.
[19] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, N 9, გვ. 27.

[20] „“ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, N 2.
[21] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, N 9, გვ. 70.

[22] იქვე.
[23] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, N 5.
[24] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, N 11.
[25] **იქვე,** 1971, N 7.
[26] იქვე, 1967, N 11.
[27] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, N 1, გვ. 31 – 36.
[28] საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივ მუსიკალურ დღესასწაულებს საძირკველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1944 წლის დეკემბერში, სამამულო ომის პერიოდში, ხოლო „მუსიკალური გაზაფხულის“ სახელწოდებით პირველი ფესტივალი ჩატარდა 1958 წელს.

[29] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, N 12.
[30] **მ. ბინიაშვილი,** ქართული საბჭოთა კულტურის საერთაშორისო კონტაქტების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1972, გვ. 257.
[31] გაზ. „თბილისი“, 1972 წლის 1 ოქტომბერი.
[32] გაზ. „კომუნისტი“, 1974 წლის 26 ნოემბერი, 15 დეკემბერი.
[33] **მ. ბინიაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 266.
[34] გაზ. „კომუნისტი“, 1963 წლის 30 ოქტომბერი.
[35] იქვე, 1976 წლის 21 აგვისტო.
[36] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1964, N 3.
[37] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, N 1.
[38] იქვე.
[39] **ილია აბულაძე,** ქართული ფილოლოგია დასავლეთში, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, III, 1973, გვ. 5.
[40] ქართული ფოლკლორის შესწავლის შესახებ უცხოელთა მიერ იხ. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, 1975, გვ. 420 – 421, ქართული ეპოსი, ტ. II, 1965, გვ. 313 – 325.
[41] ცნობები მოგვაწოდა შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომელმა ს. თურნავამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.